შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი

(2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)

თარგმანი გერმანული ენიდან ზურაბ ჭეჭელაშვილისა

თბილისი
2018

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი
გამომცემელი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
გამოცემის წელი: 2018 წ.

მთარგმნელი და რედაქტორი: ზურაბ ჭეჭელაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი ლომსაძე
დაიბეჭდა გამომცემლობაში შპს „სვეტი“

© შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი
© გამომცემელი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

ISBN 978-9941-9580-4-5

სარჩევი

წინათქმა 15

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი

შესავალი

პირველი ნაწილი: პირების სამართალი 21

პირველი ტიტული: ფიზიკური პირები..... 21

პირველი თავი: პირადი უფლებები 21

მეორე თავი: მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაცია 28

მეორე ტიტული: იურიდიული პირები..... 32

პირველი თავი: ზოგადი დებულებები..... 32

მეორე თავი: კავშირები 34

მესამე თავი: ფონდები 37

მეორე ტიტულიbis: გაერთიანებული ქონება 43

მეორე ნაწილი: საოჯახო სამართალი

პირველი განყოფილება: საქორწინო სამართალი..... 44

მესამე ტიტული: დაქორწინება..... 44

პირველი თავი: ნიშნობა..... 44

მეორე თავი: ქორწინების წინაპირობები..... 45

მესამე თავი: ქორწინების მომზადება და საქორწინო ცერემონია 45

მეოთხე თავი: ქორწინების ბათილობა.....47

მეოთხე ტიტული: განქორწინება და მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება 49

პირველი თავი: განქორწინების წინაპირობები 49

მეორე თავი: მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება..... 50

მესამე თავი: განქორწინების შედეგები 50

მეხუთე ტიტული: ქორწინების სამართლებრივი
შედეგები ზოგადად 57

მეექვსე ტიტული: მეუღლეთა ქონებრივი
ურთიერთობის რეჟიმი 61
პირველი თავი: ზოგადი დებულებები..... 61
მეორე თავი: მეუღლეთა მიერ შეძენილ ქონებაში თანამონაწილეობის
სტანდარტული ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი 64
მესამე თავი: მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი..... 70
მეოთხე თავი: მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმი 74

მეორე განყოფილება: ნათესაობა 75
მეშვიდე ტიტული: მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის
წარმოშობა 75
პირველი თავი: ზოგადი დებულებები.....75
მეორე თავი: ქმრის მამობის პრეზუმფცია.....76
მესამე თავი: მამობის აღიარება და მამობის დადგენის შესახებ
სასამართლოს გადაწყვეტილება.....78
მეოთხე თავი: შვილად აყვანა 80

მერვე ტიტული: მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის
სამართლებრივი შედეგები..... 84
პირველი თავი: მშობლებისა და შვილების გაერთანება..... 84
მეორე თავი: მშობლების მიერ შვილების რჩენის ვალდებულება 86
მესამე თავი: მშობლის ზრუნვა..... 90
მეოთხე თავი: ბავშვის ქონება 99
მეხუთე თავი: მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი..... 101

მეცხრე ტიტული: საოჯახო გაერთიანება..... 101
პირველი თავი: რჩენის ვალდებულება 101
მეორე თავი: სახლის მართვის უფლებამოსილება (Hausgewalt) 102
მესამე თავი: ოჯახის ქონება..... 103

მესამე განყოფილება: ზრდასრულ პირთა დაცვა 107

მეათე ტიტული: საკუთარ თავზე ზრუნვა და კანონისმიერი ღონისძიებები ..
107

პირველი თავი: საკუთარ თავზე ზრუნვა 107
პირველი ქვეთავი: ზრუნვის დავალება 107
მეორე ქვეთავი: პაციენტის ინსტრუქცია (Patientenverfügung) 109
მეორე თავი: ქმედუუნარო პირებისათვის განსახორციელებელი
კანონისმიერი ღონისძიებები 110
პირველი ქვეთავი: წარმომადგენლობა მეუღლის ან რეგისტრირებული
პარტნიორის მიერ 110
მეორე ქვეთავი: წარმომადგენლობა სამედიცინო ხასიათის
ზომების მიღებასთან დაკავშირებით 111
მესამე ქვეთავი: განთავსება საცხოვრებელ ან სამზრუნველო
დაწესებულებებში 113

მეთერთმეტე ტიტული: ზრდასრულ პირთა დაცვის უწყებრივი
ღონისძიებები 115
პირველი თავი: ზოგადი პრინციპები 115
მეორე თავი: მზრუნველობა 115
პირველი ქვეთავი: ზოგადი დებულებები 115
მეორე ქვეთავი: მზრუნველობის სახეები 116
მესამე ქვეთავი: მზრუნველობის შეწყვეტა 118
მეოთხე ქვეთავი: მზრუნველი 118
მეხუთე ქვეთავი: მზრუნველობის განხორციელება 119
მეექვსე ქვეთავი: ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს თანამონაწილეობა .
121
მეშვიდე ქვეთავი: ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მხრიდან საქმეში
ჩარევის შემთხვევები 123
მერვე ქვეთავი: ნათესავების მიმართ მოქმედი სპეციალური დანაწესები .....
123
მეცხრე ქვეთავი: მზრუნველზე დაკისრებული მოვალეობების შეწყვეტა 123
მესამე თავი: სოციალური დაცვის მიზნით განთავსება 124

მეთორმეტე ტიტული: ორგანიზაციული მოწყობა 128
პირველი თავი: ორგანოები და ადგილობრივი იურისდიქცია 128
მეორე თავი: საქმის წარმოება 129

პირველი ქვეთავი: საქმის წარმოება ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს წინაშე 129
მეორე ქვეთავი: საქმის წარმოება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში 131
მესამე ქვეთავი: ერთობლივი დანაწესები 133
მეოთხე ქვეთავი: აღსრულება 133
მესამე თავი: ურთიერთობა მესამე პირებთან და თანამშრომლობის ვალდებულება 133
მეოთხე თავი: პასუხისმგებლობა 134

მესამე ნაწილი: მემკვიდრეობის სამართალი

პირველი განყოფილება: მემკვიდრეები 135
მეცამეტე ტიტული: კანონით მემკვიდრეები 135

მეთოთხმეტე ტიტული: საანდერძო განკარგულებები 137
პირველი თავი: განკარგვის უნარი 137
მეორე თავი: განკარგვის თავისუფლება 137
მესამე თავი: განკარგვის სახეები 140
მეოთხე თავი: განკარგვის ფორმები 144
მეხუთე თავი: ანდერძის აღმსრულებლები 147
მეექვსე თავი: საანდერძო განკარგულებათა ბათილობა და მათი შემცირება 148
მეშვიდე თავი: მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სარჩელები 152

მეორე განყოფილება: ქონების მემკვიდრეობით გადასვლა 153
მეთხუთმეტე ტიტული: სამკვიდროს გახსნა 153

მეთექვსმეტე ტიტული: ქონების მემკვიდრეობით გადასვლის შედეგები 156
პირველი თავი: სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებები 156
მეორე თავი: სამკვიდროს მიღება 159
მესამე თავი: საჯარო ინვენტარიზაცია 163
მეოთხე თავი: ოფიციალური ლიკვიდაცია 165
მეხუთე თავი: სამკვიდროს მოთხოვნის შესახებ სარჩელი 166
მეჩვიდმეტე ტიტული: სამკვიდროს გაყოფა 167

პირველი თავი: სამკვიდროს გაყოფამდე არსებული გაერთიანება..... 167
მეორე თავი: სამკვიდროს გაყოფის ხერხები..... 168
მესამე თავი: კომპენსაცია..... 171
მეოთხე თავი: სამკვიდროს გაყოფის დასრულება და
სამართლებრივი შედეგები..... 173

მეოთხე ნაწილი: სანივთო სამართალი

პირველი განყოფილება: საკუთრების უფლება 174
მეთვრამეტე ტიტული: ზოგადი დებულებები 174

მეცხრამეტე ტიტული: მიწის საკუთრება..... 180
პირველი თავი: მიწის საკუთრების საგანი, შეძენა და დაკარგვა..... 180
მეორე თავი: მიწის საკუთრების შინაარსი და შეზღუდვა..... 184
მესამე თავი: მრავალბინიან სახლზე საკუთრება..... 196

მეოცე ტიტული: მოძრავ ქონებაზე საკუთრება..... 202

მეორე განყოფილება: შეზღუდული სანივთო უფლებები..... 206

ოცდამეერთე ტიტული: სერვიტუტები და მიწის გადასახდელები..... 206
პირველი თავი: მიწის სერვიტუტები..... 206
მეორე თავი: უზუფრუქტი და სხვა სერვიტუტები..... 209
მესამე თავი: მიწის გადასახდელები 219

ოცდამეორე ტიტული: უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო
უფლება..... 221
პირველი თავი: ზოგადი დებულებები..... 221
მეორე თავი: იპოთეკა 229
მესამე თავი: იპოთეკის მოწმობა..... 233
მეოთხე თავი: უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებით
უზრუნველყოფილი სასესხო დოკუმენტების (Anleihenstiteln) გაცემა 238

ოცდამესამე ტიტული: მოძრავი ქონების გირავნობა..... 239

პირველი თავი: მფლობელობითი გირავნობა და
დაკავების უფლება 239
მეორე თავი: გირავნობა მოთხოვნებსა და სხვა უფლებებზე 242
მესამე თავი: ლომბრადში ნივთების დაგირავება (Versatzpfand) 243
მეოთხე თავი: ... (გაუქმებულია) 245

მესამე განყოფილება: მფლობელობა და
საადგილმამულო რეესტრი 245

ოცდამეოთხე ტიტული: მფლობელობა 245

ოცდამეხუთე ტიტული: საადგილმამულო რეესტრი 249

ფედერალური კანონი შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ
(მეხუთე ნაწილი: ვალდებულებითი სამართალი)

პირველი განყოფილება: ზოგადი დებულებები 262
პირველი ტიტული: ვალდებულებების წარმოშობა 262
პირველი თავი: ვალდებულებების წარმოშობა ხელშეკრულების
საფუძველზე 262
მეორე თავი: ვალდებულებების წარმოშობა
ზიანის მიყენების შედეგად 272
მესამე თავი: ვალდებულებების წარმოშობა უსაფუძვლო გამდიდრებიდან
გამომდინარე 277

მეორე ტიტული: ვალდებულებების მოქმედება 279
პირველი თავი: ვალდებულებების შესრულება 279
მეორე თავი: ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები 285
მესამე თავი: ურთიერთობები მესამე პირებთან 288

მესამე ტიტული: ვალდებულებების შეწყვეტა 289

მეოთხე ტიტული: განსაკუთრებული ურთიერთობები ვალდებულებებში .. 294
პირველი თავი: სოლიდარული ვალდებულებები 294

მეორე თავი: პირობითი ვალდებულებები 296
მესამე თავი: ბე და საჯარიმო თანხა (Reugeld). ხელფასიდან დაკავებული
თანხები. პირგასამტეხლო..... 297

მეხუთე ტიტული: მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება 298

მეორე განყოფილება: ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობები... 303

მეექვსე ტიტული: ნასყიდობა და გაცვლა 303
პირველი თავი: ზოგადი დებულებები..... 303
მეორე თავი: მოძრავი ქონების ნასყიდობა 303
მესამე თავი: მიწის ნაკვეთის ნასყიდობა 311
მეხუთე თავი: გაცვლის ხელშეკრულება..... 317

მეშვიდე ტიტული: ჩუქება 317

მერვე ტიტული: ქირავნობა..... 320
პირველი თავი: ზოგადი დებულებები..... 320
მეორე თავი: შეუსაბამოდ მაღალი ქირის თანხებისა და გამქირავებლის
სხვა გაუმართლებელი მოთხოვნებისაგან დაცვა საცხოვრებელი და
კომერციული ფართების ქირავნობის შემთხვევაში 332
მესამე თავი: დამქირავებლის უფლებების დაცვა საცხოვრებელი
და კომერციული ფართების ქირავნობის
ხელშეკრულების შეწყვეტისას 335
მეოთხე თავი: (გაუქმებულია)..... 338

მერვე ტიტულიbis: იჯარა 339

მეცხრე ტიტული: თხოვება/სესხი (Leihe) 347
პირველი თავი: თხოვება (Gebrauchsleihe) 347
მეორე თავი: სესხი 348

მეათე ტიტული: შრომითი ხელშეკრულება 349
პირველი თავი: ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება 349

მეორე თავი: სპეციალური ინდივიდუალური
შრომითი ხელშეკრულებები 377
A. სასწავლო პრაქტიკის ხელშეკრულება..... 377
B. კომივოიაჟორული ხელშეკრულება (Handelsreisendenvertrag) 378
C. შინახელოსნობის ხელშეკრულება 382
D. ზოგადი ნორმების გამოყენება 384
მესამე თავი: კოლექტიური და სტანდარტული შრომითი
ხელშეკრულებებით..... 384
A. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება 384
B. სტანდარტული შრომითი ხელშეკრულება 387
მეოთხე თავი: იმპერატიული ნორმები 390

მეთერთმეტე ტიტული: ნარდობის ხელშეკრულება 393

მეთორმეტე ტიტული: საგამომცემლო ხელშეკრულება 398

მეცამეტე ტიტული: დავალება 401
პირველი თავი: მარტივი დავალება..... 401
პირველი თავიbis: საქორწინო ან საპარტნიორო
შუამავლობის დავალება..... 404
მეორე თავი: აკრედიტივი და კრედიტის გაცემის დავალება 406
მესამე თავი: საშუამავლო ხელშეკრულება 407
მეოთხე თავი: სააგენტო ხელშეკრულება 408

მეთოთხმეტე ტიტული: დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება....
414

მეთხუთხმეტე ტიტული: კომისიის ხელშეკრულება 415

მეთექვსმეტე ტიტული: გადაზიდვის ხელშეკრულება 418

მეჩვიდმეტე ტიტული: პროკურა და სხვა
სავაჭრო მინდობილობები..... 423

მეთვრამეტე ტიტული: საგადახდო დავალება 424

მეცხრამეტე ტიტული: მიბარების ხელშეკრულება 426

მეოცე ტიტული: თავდებობა 430

ოცდამეერთე ტიტული: თამაშობა და სანაძლეო 441

ოცდამეორე ტიტული: სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება და ქონების
გადაცემის სანაცვლოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება 442

ოცდამესამე ტიტული: სამოქალაქო ამხანაგობა 445

მესამე განყოფილება: სავაჭრო საზოგადოებები და
კოოპერატივები 451

ოცდამეოთხე ტიტული: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
(Kollektivgesellschaft) 451
პირველი თავი: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება და
მისი დაფუძნება 451
მეორე თავი: ურთიერთობა პარტნიორთა შორის 452
მესამე თავი: ურთიერთობა საზოგადოებასა და 453
მეოთხე თავი: საზოგადოების გაუქმება და პარტნორის საზოგადოებიდან
გასვლა 455
მეხუთე თავი: ლიკვიდაცია 457
მეექვსე თავი: ხანდაზმულობა 459

ოცდამეხუთე ტიტული: კომანდიტური საზოგადოება 460
პირველი თავი: კომანდიტური საზოგადოების ცნება
და მისი დაფუძნება 460
მეორე თავი: ურთიერთობა პარტნიორთა შორის 461
მესამე თავი: ურთიერთობა საზოგადოებასა
და მესამე პირებს შორის 462
მეოთხე თავი: საზოგადოების გაუქმება, ლიკვიდაცია, ხანდაზმულობა .. 464

ოცდამეექვსე ტიტული: სააქციო საზოგადოება 465
პირველი თავი: ზოგადი დებულებები..... 465
მეორე თავი: აქციონერთა უფლებები და ვალდებულებები 481
მესამე თავი: სააქციო საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობა 499
A. საერთო კრება 499
B. დირექტორთა საბჭო..... 502
C. აუდიტორები 507
D. საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის ხარვეზები..... 514
მეოთხე თავი: სააქციო კაპიტალის შემცირება 514
მეხუთე თავი: სააქციო საზოგადოების გაუქმება..... 515
მეექვსე თავი: პასუხისმგებლობა..... 519
მეშვიდე თავი: საჯარო სამართლის კორპორაციის მონაწილეობა სააქციო
საზოგადოებებში..... 521
მერვე თავი: საჯაროსამართლებრივი დაწესებულებების მიმართ
წინამდებარე კანონის ნორმათა გამოყენების გამორიცხვა 522

ოცდამეშვიდე ტიტული: კომანდიტური სააქციო საზოგადოება 522

ოცდამერვე ტიტული: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება . 524
პირველი თავი: ზოგადი დებულებები..... 524
მეორე თავი: პარტნიორთა უფლებები და ვალდებულებები 530
მესამე თავი: საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობა 537
მეოთხე თავი: საზოგადოების გაუქმება და პარტნორის საზოგადოებიდან
გასვლა 544
მეხუთე თავი: პასუხისმგებლობა 546

ოცდამეცხრე ტიტული: კოოპერატივი 546
პირველი თავი: ცნება და დაფუძნება 546
მეორე თავი: წევრობის შეძენა..... 549
მესამე თავი: წევრობის დაკარგვა..... 549
მეოთხე თავი: კოოპერატივის წევრების უფლებები და ვალდებულებები 552
მეექვსე თავი: კოოპერატივის გაუქმება 566
მეშვიდე თავი: პასუხისმგებლობა..... 567
მერვე თავი: კოოპერატივების გაერთიანებები..... 568

მეცხრე თავი: საჯარო სამართლის კორპორაციის მონაწილეობა კოოპერატივებში 569

მეოთხე განყოფილება: სამეწარმეო რეესტრი, საფირმო სახელწოდება და სამეწარმეო ბუღალტერია 570

ოცდამეათე ტიტული: სამეწარმეო რეესტრი 570

ოცდამეთერთმეტე ტიტული: საფირმო სახელწოდებები 575

ოცდამეთორმეტე ტიტული: სამეწარმეო ბუღალტერია და ფინანსური ანგარიშგება 577
პირველი თავი: ზოგადი დებულებები 577
მეორე თავი: წლიური ანგარიშგება 581
მესამე თავი: ფინანსური ანგარიშგება მსხვილი საწარმოებისათვის 587
მეოთხე თავი: ფინანსური ანგარიშგების აღიარებული სტანდარტების შესაბამისად შედგენილი ფინანსური ანგარიში 588
მეხუთე თავი: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში 589

მეხუთე განყოფილება: ფასიანი ქაღალდები 592
ოცდამეცამეტე ტიტული: სახელობითი, საწარმდგენლო და საორდერო ფასიანი ქაღალდები 592
პირველი თავი: ზოგადი დებულებები 592
მეორე თავი: სახელობითი ფასიანი ქაღალდები 594
მესამე თავი: საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდები 595

წინათქმა

2010 წლის ივნისში გამოიცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (Bürgerliches Gesetzbuch (BGB) ქართული თარგმანი, რითაც ქართველ მკითხველს პირველად მიეცა საშუალება, მშობლიურ ენაზე გაცნობოდა აღნიშნული კოდექსის სრული ტექსტის თარგმანს. ამ გამოცემამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში; მისი დახმარებით გაირკვა და სათანადოდ განიმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მრავალი ტექსტუალური ხარვეზის შემცველი და ბუნდოვანი ნორმა, არაერთი კერძოსამართლებრივი პრობლემა სწორად და დასაბუთებულად იქნა გადაწყვეტილი სასამართლო პრაქტიკაში. 2017 წლის სექტემბერში საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ გამოიცა 1991 წელს მიღებული კვებეკის სამოქალაქო კოდექსის (Civil Code of Quebec) ქართული თარგმანი, რაც კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ქართული ცივილისტიკის განვითარების გზაზე, ვინაიდან აღნიშნული კოდექსი საუკეთესოდ ასახავს როგორც ფრანგული სამოქალაქო კოდექსის გავლენით ჩამოყალიბებული რომანული სამართლის სისტემის პრინციპებს, ნორმათა ჩამოყალიბებისა და სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდსა და სტილს, ისე ამერიკული სამართლის ძლიერი გავლენით ის გარკვეულწილად შეიცავს ინგლისურ-ამერიკული საერთო სამართლის (Common Law) ინსტიტუტებსაც (მაგ., ტრასტი).

ამჯერად საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ქართველ მკითხველს წარუდგენს ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის – **შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსს (Schweizerisches Zivilgesetzbuch)** მის მე-5 ნაწილთან – **ვალდებულებით სამართალთან (Obligationenrecht)** ერთად. ამ კოდექსის ქართული თარგმანის გაცნობაც ქართველი კომპარასტივისტებისათვის ფრიად საინტერესო და შედეგიანი იქნება. კერძო სამართლის სფეროთი დაინტერესებული იურისტებისათვის ნათელი გახდება, თუ რა როლი შეიძლება ითამაშოს ისტორიულმა ფაქტორებმა სამოქალაქო კანონმდებლობის ფორმირებაში. ამისათვის კი რელევანტური იქნება მოკლედ გადავავლოთ თვალი შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის მიღების პერიოდისათვის არსებულ ისტორიულ ვითარებას:

1815 წელს ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თითქმის ერთი საუკუნე დასჭირდა შვეიცარიაში ფედერალურ დონეზე სამოქალაქო კოდექსის მიღებას. საბოლოოდ 1907 წელს მიღებული შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი 1912 წელს შევიდა ძალაში. საერთო ფედერალური სამოქალაქო კოდექსის შექმნის ამგვარი გრძელი გზა დიდწილად განაპირობა ისტორიულ-პოლიტიკურმა ასპექტებმა და ტერიტორიული მოწყობის კონფედერაციულმა ფორმამ, რომელიც არსებითად აბრკოლებდა ერთიანი კერძოსამარლებრივი კანონმდებლობის შემუშავებას. მე-19 საუკუნის დასაწყისში 25 კანტონს თავიანთი სპეციფიკური და რიგ შემთხვევებში ერთმანეთისაგან საკმაოდ განსახვევებული სამართალი ჰქონდათ, რომელიც ძირითადად ჩვეულებითი ხასიათის იყო. ხანდახან ერთი კანტონის შიგნითაც კი არ იყო ერთგვაროვანი ჩვეულებები.

ამიტომაც მათ მალევე გააცნობიერეს კოდიფიკაციის აუცილებლობა, თუმცა, ამის მცდელობებს ადგილი ჰქონდა არა ფედერალურ დონეზე, არამედ თითოეული მათგანის მიერ ცალ-ცალკე. პირველმა ბერნის კანტონმა მოახდინა სამოქალაქო სამართლის კოდიფიცირება 1824-30 წლებში, რომელმაც, თავის მხრივ, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის გავლენა განიცადა. მას მოჰყვა ლიუცერნის, ზოლოთურნის, აარგაუს, ციურიხის სამოქალაქო კოდექსები[1]. თანდათანობით ყველა კანტონმა თავიანთი კოდესი შექმნა, რომლებიც 3 კატეგორიად შეიძლება დაიყოს. მათი ერთი ნაწილი ეფუძნებოდა საფრანგეთის, მეორე ნაწილი – ავსტრიისა და მესამე კი გერმანიის (მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ციურიხის სამოქალაქო კოდექსი) სამოქალქო სამართლებრივ მოძღვრებებს. განსხვავებული რეგულირების არსებობის პირობებში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა კანტონების საზღვრების მიღმა საზოგადოების ურთიერთქმედება, თუმცა, ერთიანი ეროვნული კოდიფიკაცია ვერ მიიღწეოდა 1848 წლის კონსტიტუციის გამო, რადგან ეს უკანასკნელი კერძოსამართლებრივ საკითხებში კანონშემოქმედებით უფლებამოსილებას სრულად გადასცემდა ცალკეულ კანტონებს. 1870-80-იან წლებში უკვე აშკარა გახდა ერთიანი სამოქალაქო კოდექსის მიღების აუცილებლობა. კონფედერაციული ტერიტორიული მოწყობის პირობებში საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე კოდექსის მიღება, რა თქმა უნდა, მწვავე დისკუსიის საგნად იქცა, თუმცა, მიუხედავად ამისა, 1874 წელს გატარდა კონსტიტუციური რეფორმა და შვეიცარიის ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოს მიენიჭა გარკვეული უფლებამოსილებები კერძო სამართლის სფეროში, რომლის პირველი ნაყოფი იყო 1881 წლის კანონი „ვალდებულებითი სამართლის შესახებ“. იგი ძალაში 1883 წლის 1 იანვარს შევიდა. საბოლოოდ კი 1898 წელს კონსტიტუციაში განხორციელებული კიდევ ერთი ცვლილებით სამოქალაქო სამართლის სფეროს რეგულირების უფლებამოსილება გადაეცა ფედერალურ ხელისუფლებას, რამაც შესაძლებელი გახადა ხორცი შესხმოდა ერთიანი შვეიცარული სამოქალაქო კოდექსის მიღების იდეას, რისი რეალიზებისათვისაც უკვე მყარი ნიადაგი იყო მომზადებული. კოდიფიკაციისათვის პირველ ბიძგს წარმოადგენდა იურისტთა შვეიცარული კავშირის მხარდაჭერით ოიგენ ჰუბერის მიერ 1884 წელს ჩატარებული შედარებით-სამართლებრივი კვლევა, რომლის საფუძველზე მან შეადგინა ნაშრომი „შვეიცარული სამოქალაქო სამართლის სისტემისა და ისტორიის შესახებ“[2]. კვლევის მდიდარ მასალაზე დაყრდნობით, შვეიცარიის ტერიტორიაზე არსებული კანტონების სამართლებრივი სისტემების თავისებურებების სწორედ ამგვარი სიღრმისეულად გააზრებით, ჰუბერმა შექმნა საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული სამოქალაქო კოდექსი. იგი კოდექსის კანონპროექტის ინიცირებიდან მისი საბოლოოდ ძალაში შესვლამდე არ იშურებდა ენერგიას, რათა კოდექსს კანონშემოქმედების ყველა ეტაპი წარმატებულად გაევლო. მართლაც, 1907 წლის 10 იანვარს ჩატარებულ გადამწყვეტ კენჭისყრაზე შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი მიიღეს. ამასთანავე, მისი ძალაში შესვლის დროისათვის განხორციელდა „ვალდებულებითი სამართლის შე-

1 Ernest J. Schuster, Journal of Comparative Legislation and International Law, Third Series, Vol. 5, No. 4 (1923), გვ. 216

2 კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი I, თბილისი, 2000, გვ. 187-188

სახებ“ კანონის მოდერნიზება[1] და ეს უკანასკნელი სამოქალაქო კოდექსის მე-5 ნაწილად იქცა.

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის შექმნისას გამოყენებული შედარებით-სამართლებრივი მეთოდი მას სძენს განუმეორებელ და მეტად ინდივიდუალურ ელფერს. მასში აშკარად იგრძნობა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის გავლენა, თუმცა, ამავდროულად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის სტილიც. იგი იმდენად მოქნილი აღმოჩნდა, რომ მცირე ცვლილებებით მისი სრულად რეცეფცირება მოახდინა თურქეთმა 1926 წელს მუსტაფა ქემალ ათათურქის პრეზიდენტობის პერიოდში გატარებული რეფორმებისას. ასევე მან გავლენა იქონია მრავალი სხვა ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობაზეც.

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსმა დღემდე გარკვეული ცვლილებები განიცადა, განსაკუთრებით შრომისა და სამეწარმეო სამართლის საკითხების კუთხით, თუმცაღა, უდავოა, რომ იგი არა მარტო მისი მიღების დროისათვის, არამედ დღესაც უმნიშვნელოვანეს, ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და პოპულარულ კერძოსამართლებრივ კანონად რჩება როგორც მეცნიერთა, ასევე პრაქტიკოს იურისტთა წრეებში. ამაში კი დაინტერესებულ მკითხველს სწორედ წინამდებარე თარგმანის გაცნობა დაარწმუნებს.

სისტემური ჩამოყალიბების მხრივ შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი მისდევს ზოგიერთი რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნის სამოქალაქო კოდექსების (მაგ., იტალიის, ნიდერლანდების და სხვა) სტილს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ე. წ. „კლასიკური“ სამოქალაქო სამართლით, არამედ მასში შევიდა ასევე შრომისა და სამეწარმეო სამართლის მომწესრიგებელი ნორმებიც. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი მთლიანობაში შედგება 5 ნაწილისაგან:

- **პირველი ნაწილი** – პირების სამართალი
- **მეორე ნაწილი** – საოჯახო სამართალი
- **მესამე ნაწილი** – მემკვიდრეობის სამართალი
- **მეოთხე ნაწილი** – სანივთო სამართალი (ოთხივე ნაწილში მთლიანობაში **977 მუხლი**),

რომლებსაც ემატება **მეხუთე ნაწილი** – ვალდებულებითი სამართალი (მთლიანობაში – **1186 მუხლი**).

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი ითარგმნა გერმანული ენიდან. ნებისმიერი იურიდიული ტექსტის, განსაკუთრებით კი, უცხო ქვეყნის კანონის ტექსტის თარგმნა ურთულესი საქმეა, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში ქართულ სამართალში საერთოდ არ მოიძებნება ანალოგიური სამართლებრივი ინსტიტუტები ან იურიდიული ტერმინები და ცნებები. ამ შემთხვევაში მოგვიხდა შესაბამისი ქართული ტერმინის შექმნა ან გადმოქართულება მაქსიმალურად მიახლოვებული შინაარსის მქონე სიტყვების გამოყენებით; მაგ., Anstände – კერძოსამართლებრივი დავები, erbrechtliche Herabsetzungsklage – საანდერძო განკარგულებათა სამემკვიდრეო-სამართლებრივი შემცირების შესახებ სარჩელი, Ausstattung – შვილისათვის გამოყოფილი აქტივი, Verpfründungsverträge – ქონების გადაცემის სანაცვლოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებები, Nachlassvertrag – გა-

1 Ernst Rabel, Private Laws of Western Civilization: Part III. The German and Swiss Civil Codes, 10 La. L. Rev. (1950), გვ. 271

კოტრების საქმის წარმოებაში დადებული კომპრომისული შეთანხმება, Verlustscheine – ვალის გადაუხდელობის დამადასტურებელი დოკუმენტები, Bedachter – ანდერძში ნახსენები ბენეფიციარი, Anries – გადმოსულ ტოტებზე არსებული ნაყოფის მიღების უფლება, Anleihenstiteln – სასესხო დოკუმენტები, Vereitelung – მოთხოვნის უფლების დაკარგვა, Entwehrung – ნივთის სასამართლო წესით ჩამორთმევა, Wandelungsklage – ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის შესახებ სარჩელი, Koppelungsgeschäft – გარკვეული დამატებითი პირობების შესრულებაზე დამოკიდებული გარიგება, Bucheffekten – ელექტრონული ფასიანი ქაღალდები, Tantiemen – კორპორაციის უმაღლეს თანამდებობის პირებზე მოგების პროცენტის სახით გადახდილი დამატებითი გასამრჯელოები, Bauzinsen – საზოგადოების საქმიანობის დაწყებამდე აქციონერისათვის გადახდილი პროცენტები, Genussscheine – აქციები ფიქსირებული დივიდენდებით, Bezugsrecht – ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლება, gemischtwirtschaftliche Unternehmungen – შერეული ტიპის საწარმოები და ა. შ.

თარგმანი განკუთვნილია ნოტარიუსებისათვის, კერძო სამართლის სფეროში მოღვაწე მოსამართლეებისა და სხვა იურისტებისათვის (ადვოკატებისათვის), აგრეთვე, – სტუდენტების, სამეცნიერო მუშაკებისა და კერძო სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

თეონა გაჩეჩილაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი

ზურაბ ჭეჭელაშვილი
სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი
ადვოკატი

თბილისი, მაისი 2018წ.

1907 წლის 10 დეკემბრის

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი

შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კრება ფედერაციის კონსტიტუციის 64-ე მუხლის საფუძველზე, ფედერალური საბჭოს 1904 წლის 28 მაისის გზავნილის გაცნობის შემდეგ, *ადგენს:*

შესავალი

მუხლი 1

[1] კანონი მოქმედებს ყველა იმ სამართლებრივი საკითხის მიმართ, რომელთათვისაც ის თავისი სიტყვასიტყვითი ტექსტისა თუ განმარტების მიხედვით შეიცავს დანაწესს.

[2] დანაწესის არარსებობისას სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად, ხოლო თუ ეს უკანასკნელიც არ არის სახეზე, – იმ წესის შესაბამისად, რომელსაც დაადგენდა კანონმდებელი.

[3] ზემოაღნიშნული საქმიანობისას სასამართლო ეფუძნება სანდო დოქტრინასა და ტრადიციას.

მუხლი 2

[1] ნებისმიერმა პირმა საკუთარი უფლებების რეალიზაციისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.

[2] უფლების აშკარა ბოროტად გამოყენება არ იმსახურებს სამართლებრივ დაცვას.

მუხლი 3

[1] იქ, სადაც კანონი სამართლებრივ შედეგს უკავშირებს პირის კეთილსინდისიერებას, ამ უკანასკნელის არსებობა ივარაუდება.

[2] კეთილსინდისიერების პრინციპზე ვერ მიუთითებს პირი, რომელიც ვერ იქნებოდა კეთილსინდისიერი იმ გულისხმიერების არსებობისას, რაც მას გარემოებების გათვალისწინებით შესაძლოა მოეთხოვოს.

მუხლი 4

იქ, სადაც კანონი უთითებს სასამართლოს დისკრეციაზე, გადაწყვეტილება მიიღოს საკუთარი შეხედულებითა თუ გარემოებების შეფასებით ანდა მნიშვნელოვან საფუძვლებზე დაყრდნობით, სასამართლომ საკითხი უნდა გადაწყვიტოს კანონისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 5

[1] რამდენადაც ფედერალური სამართალი უშვებს კანტონალური სამართლის მოქმედებას, კანტონებს შეუძლიათ მიიღონ ან გააუქმონ სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები.

[2] იქ, სადაც კანონი უთითებს პრაქტიკასა თუ ადგილობრივ ჩვეულებებზე, არსებული კანტონალური სამართალი ჩაითვლება მათ გამოხატულებად მანამდე, სანამ არ გამოიძებნება განსხვავებული პრაქტიკა.

მუხლი 6

[1] კანტონები თავიანთ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებში არ იზღუდებიან ფედერალური სამოქალაქო სამართლით.

[2] კანტონებს თავიანთი სუვერენიტეტის ფარგლებში შეუძლიათ შეზღუდონ ან აკრძალონ სამოქალაქო ბრუნვა ნივთების განსაზღვრული სახეობებით ანდა ასეთ ნივთებთან დაკავშირებული გარიგებები გამოაცხადონ ბათილად.

მუხლი 7

ხელშეკრულებების დადების, შესრულებისა და გაუქმების შესახებ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დანაწესები გამოიყენება ასევე სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მიმართაც.

მუხლი 8

თუ კანონი სხვაგვარად არ ადგენს, დასადასტურებელი ფაქტის არსებობა უნდა ამტკიცოს იმან, ვინც იძენს უფლებას ამ ფაქტიდან.

მუხლი 9

[1] საჯარო რეესტრი და საჯარო აქტები ქმნის მათ მიერ დადასტურებული ფაქტების სრულ მტკიცებულებას მანამდე, სანამ არ დამტკიცდება მათი შინაარსის უსწორობა.

[2] უსწორობის მტკიცება არ არის დაკავშირებული რაიმე სპეციალურ ფორმასთან.

მუხლი 10 (გაუქმებულია)

პირველი ნაწილი: პირების სამართალი

პირველი ტიტული: ფიზიკური პირები

პირველი თავი: პირადი უფლებები

მუხლი 11

[1] უფლებაუნარიანია ნებისმიერი პირი.

[2] შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს მართლწესრიგით გათვალისწინებულ ფარგლებში თანაბარი უნარი, იქონიოს უფლებები და ვალდებულებები.

მუხლი 12

ქმედუნარიან პირს აქვს უნარი, საკუთარი მოქმედებებით დაადგინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები.

მუხლი 13

ქმედუნარიანია სრულწლოვანი პირი, რომელსაც შეუძლია თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა.

მუხლი 14

სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს.

მუხლი 15 (გაუქმებულია)

მუხლი 16

წინამდებარე კანონის არსით იმ პირს, რომელსაც შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავის თავს, წარმოადგენს ნებისმიერი ის პირი, რომელიც არა თავისი საბავშვო ასაკის გამო, არამედ გონებრივი შეზღუდვის, ფსიქიკური დარღვევის, სიმთვრალისა თუ მსგავსი გარემოებების შედეგად უუნაროა, იმოქმედოს რაციონალურად.

მუხლი 17

ქმედუუნარო არიან პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა, არასრულწლოვანი პირები, ისევე როგორც – საერთო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები.

მუხლი 18

კანონისმიერი გამონაკლისების გათვალისწინების პირობით, პირს, რომელიც ვერ უწევს თავის თავს ანგარიშს, არ შეუძლია საკუთარი მოქმედებებით სამართლებრივი შედეგების მიღწევა.

მუხლი 19

[1] ქმედუუნარო პირებს, რომლებსაც შეუძლიათ თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა, ვალდებულებების კისრება ან უფლებებზე უარის თქმა შეუძლიათ მხოლოდ თავიანთი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

[2] აღნიშნული თანხმობის გარეშე ამ ქმედუუნარო პირებს შეუძლიათ უსასყიდლო სარგებლის მიღება, ისევე როგორც – დადონ ყოველდღიური წვრილმანი ყოფითი გარიგებები.

[3] აღნიშნული პირები პასუხს აგებენ დელიქტიდან გამომდინარე ზიანისათვის.

მუხლი 19a

[1] რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ადგენს, კანონიერ წარმომადგენელს თანხმობის მიცემა შეუძლია წინასწარ პირდაპირ გამოხატული ფორმით ან უსიტყვოდ ანდა მას შეუძლია გარიგების შემდგომშიც მოწონება.

[2] გარიგების მეორე მხარე თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ მოწონება არ ხდება თავად მის მიერ ან სასამართლოს მხრიდან დადგენილ გონივრულ ვადაში.

მუხლი 19b

[1] თუ კანონიერი წარმომადგენელი არ ახდენს მოწონებას, მაშინ გარიგების ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს განხორციელებული შესრულებების უკან დაბრუნება. თუმცა, ქმედუუნარო პირი პასუხისმგებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მან ვალდებულების შესრულებიდან მიიღო სარგებელი ან ის შესრულებულის უკან დაბრუნების მომენტისათვის ჯერ კიდევ გამდიდრებულია ანდა მან გამდიდრებული არაკეთილსინდისიერად გაასხვისა.

[2] თუ ქმედუუნარო პირმა გარიგების მეორე მხარე დაიყოლია იმ მცდარი ვარაუდით, რომ ის არის ქმედუნარიანი, მაშინ ის პასუხისმგებელია მეორე მხარის წინაშე აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის.

მუხლი 19c

[1] ქმედუუნარო პირები, რომლებსაც შეუძლიათ თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა, დამოუკიდებლად ახორციელებენ იმ უფლებებს, რომლებიც მათ თავიანთი პიროვნების გამო ეკუთვნით; აღნიშნულს არ მიეკუთვნება შემთხვევები, რომელთა დროსაც კანონი ითვალისწინებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.

[2] იმ პირების სასარგებლოდ, რომლებსაც არ შეუძლიათ თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა, მოქმედებს კანონიერი წარმომადგენელი, თუ უფლება იმდენად მჭიდროდ დაკავშირებული არ არის პიროვნებასთან, რომ ნებისმიერი წარმომადგენლობა გამორიცხულია.

მუხლი 19d

ქმედუნარიანობა შეიძლება შეიზღუდოს ზრდასრულ პირთა დაცვის ღონისძიებებით.

მუხლი 20

[1] ნათესაობის ხარისხი განისაზღვრება მასში არსებული შუალობითი დაბადებების რიცხვით.

[2] ორი პირი ერთმანეთთან დაკავშირებულია პირდაპირი ნათესაური ხაზით იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი წარმოადგენს მეორის შთამომავალს, ხოლო გვერდითა ნათესაური ხაზით კი, – იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი წარმოადგენენ მესამე პირის შთამომავლებსა და ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული პირდაპირი ნათესაური ხაზით.

მუხლი 21

[1] ის, ვინც ნათესაურ კავშირში იმყოფება პირთან, იგივე ხაზით და იგივე ხარისხით ენათესავება ამ პირის მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს.

[2] მოყვრობა არ უქმდება იმ ქორწინების ან რეგისტრირებული პარტნიორობის შეწყვეტით, რომელმაც ის წარმოშვა.

მუხლი 22

[1] პირის წარმოშობის ტერიტორია (Heimat) დგინდება მისი მოქალაქეობით.

[2] მოქალაქეობა რეგულირდება საჯარო სამართლით.

[3] როდესაც პირს აქვს რამდენიმე ტერიტორიის მოქალაქეობა, მაშინ მისი წარმოშობის ტერიტორიისადმი მიკუთვნებისათვის გადამწყვეტია ის ადგილი, სადაც მას მოცემულ მომენტში აქვს ან უკანასკნელ დროს ჰქონდა თავისი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო ასეთი საცხოვრებელი ადგილის არარასებობისას, – ის ადგილი, სადაც მის ან მისი წინამორბედების მიერ უკანასკნელ მომენტში იქნა მიღებული მოქალაქეობა.

მუხლი 23

[1] პირის საცხოვრებელი ადგილი არსებობს იმ ადგილზე, სადაც ის იმყოფება გრძელვადიანი დარჩენის განზრახვით; პირის ადგილზე ყოფნა განათლების მიღების მიზნით ან მისი განთავსება აღმზდელობისა თუ სამზრუნველო დაწესებულებაში, საავადმყოფოსა თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისთავად არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს.

[2] არავის არ შეუძლია ჰქონდეს თავისი საცხოვრებელი ადგილი ერთდროულად რამდენიმე ტერიტორიაზე.

[3] აღნიშნული დანაწესი არ ეხება საწარმოს ფილიალს.

მუხლი 24

[1] პირის მიერ ერთხელ დადგენილი საცხოვრებელი ადგილი შენარჩუნდება ახალი საცხოვრებელი ადგილის შეძენამდე.

[2] თუ უფრო ადრე დადგენილი საცხოვრებელი ადგილის არსებობა ვერ მტკიცდება ან პირი უარს აცხადებს საზღვარგარეთ დადგენილ საცხოვრებელ ადგილზე და შვეიცარიაში ახალი საცხოვრებელი ადგილი არ იქნა დადგენილი, – მაშინ პირის ადგილსამყოფელი მიიჩნევა მის საცხოვრებელ ადგილად.

მუხლი 25

[1] მშობლის ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ მშობლებს არა აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი, მაშინ – იმ მშობლის საცხოვრებელი ადგილი, რომლის მფარველობის (Obhut) ქვეშ იმყოფება ბავშვი; დანარჩენ შემთხვევებში საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მისი ადგილსამყოფელი.

[2] მფარველობის ქვეშ მყოფი ბავშვების საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ბავშვთა დაცვის ორგანოს ადგილსამყოფელი.

მუხლი 26

საერთო მზრუნველობის ქვეშ მყოფი სრულწლოვანი პირების საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს ადგილსამყოფელი.

მუხლი 27

[1] არავის შეუძლია უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა.

[2] არავის შეუძლია თავისი თავისუფლების დათმობა ან მისი გამოყენების შეზღუდვა იმ ხარისხით, რაც არღვევს კანონს ან ზნეობის ნორმებს.

მუხლი 28

[1] იმ პირს, რომლის პირადი უფლებებიც უკანონოდ ირღვევა, შეუძლია თავისი ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს ყოველი იმ პირის მიმართ, რომელიც მონაწილეობს უფლებების დარღვევაში.

[2] დარღვევა არის უკანონო, თუ ის არ არის გამართლებული დაზარალებული პირის თანხმობით, ან უპირატესი კერძო ან საჯარო ინტერესით ანდა – კანონით.

მუხლი 28a

[1] მოსარჩელეს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს:

1. უფლების მოსალოდნელი დარღვევის აკრძალვა;
2. უფლების არსებული დარღვევის თავიდან აცილება;
3. უფლების დარღვევის უკანონობის ფაქტის დადგენა, თუ ამ უკანასკნელს შემდგომშიც ექნება ნეგატიური შედეგები.

[2] კერძოდ, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს საკითხის მოწესრიგების ან სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ მესამე პირისათვის შეტყობინება ან მისი გასაჯაროება.

[3] შენარჩუნებულია მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელები, ისევე როგორც – დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად მიღებული შემოსავლის დაბრუნების შესახებ სარჩელები.

მუხლი 28b

[1] ძალადობის, მუქარისა თუ დევნის წინააღმდეგ დაცვისათვის სარჩელის წარმდგენ პირს, კერძოდ, შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს, რომ ზიანის მიმყენებელ პირს აეკრძალოს:

1. სარჩელის წარმდგენ პირთან მიახლოვება ან მისი საცხოვრებელი ადგილის გარშემო განსაზღვრულ პერიმეტრზე ყოფნა;

2. განსაზღვრულ ადგილზე, სახელდობრ კი, განსაზღვრულ ქუჩებზე, მოედნებსა თუ უბნებში ყოფნა;

3. სარჩელის წარმდგენ პირთან კონტაქტის დამყარება, სახელდობრ კი, – მისი შეწუხება სატელეფონო ზარებით, წერილობითი თუ ელექტრონული წერილების გაგზავნით ან სხვაგვარად.

[2] თუ სარჩელის წარმდგენი პირი ზიანის მიმყენებელ პირთან ერთად ცხოვრობს ბინაში, მაშინ მას შეუძლია სასამართლოს დამატებით მოსთხოვოს ასევე ზიანის მიმყენებელი პირის განსაზღვრული ვადით საცხოვრებელი ბინიდან გასახლებაც. მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე აღნიშნული ვადა შეიძლება ერთჯერადად გახანგრძლივდეს.

[3] რამდენადაც ეს ყველა გარემოებით გამართლებულად ჩანს, სასამართლოს შეუძლია:

1. ბინის ექსკლუზიური სარგებლობისათვის სარჩელის წარმდგენ პირს დააკისროს დაზარალებული პირისათვის სათანადო კომპენსაციის გადახდა; ან

2. გამქირავებლის თანხმობით მხოლოდ მას გადასცეს ქირავნობიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.

[4] კანტონები განსაზღვრავენ უწყებას, რომელსაც შეუძლია კრიზისულ ვითარებაში საერთო საცხოვრებელი ბინიდან ზიანის მიმყენებელი პირის დაუყოვნებელი გასახლების დადგენა.

მუხლები 28c-28f (გაუქმებულია)

მუხლი 28g

[1] პირს, რომლის პირად უფლებებს უშუალოდ შეეხნენ პერიოდულად გამომავალ მასმედია-საშუალებებში, კერძოდ კი, – პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში გამოქვეყნებული ფაქტების კონსტატაციით, აქვს ამ ფაქტების უარყოფის მოთხოვნის უფლება.

[2] ფაქტების უარყოფის მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ სახელმწიფო ორგანოს მიერ წარმოებული საჯარო განხილვების შესახებ სარწმუნოდ იქნება შეტყობინებული და შესაბამისმა პირმა მონაწილეობა მიიღო ამ განხილვებში.

მუხლი 28h

[1] ფაქტების უარმყოფი განცხადების ტექსტი უნდა იყოს მოკლე და შემოიფარგლებოდეს გასასაჩივრებელი ფაქტების კონსტატაციით.

[2] ფაქტების უარყოფაზე შეიძლება ითქვას უარი, თუ ის აშკარად უსწოროა ან არღვევს კანონსა თუ ზნეობის ნორმებს.

მუხლი 28i

[1] დაინტერესებულმა პირმა ფაქტების უარყოფის ტექსტი სამაუწყებლო კომპანიას უნდა გაუგზავნოს 20 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მან შეიტყო გასასაჩივრებელი ფაქტების კონსტატაციის თაობაზე, თუმცა – არაუმატეს 3 თვისა ცნობების გავრცელების შემდეგ.

[2] სამაუწყებლო კომპანია დაუყოვნებლივ ატყობინებს დაინტერესებულ პირს იმის შესახებ, თუ როდის გამოქვეყნდება ფაქტების უარყოფის ტექსტი ან რატომ ამბობენ მის გამოქვეყნებაზე უარს.

მუხლი 28k

[1] ფაქტების უარყოფის ტექსტი უნდა გამოქვეყნდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად და, ამავე დროს, იმგვარად, რომ ის მიუვიდეს იგივე პირთა წრეს, რასაც ადგილი ჰქონდა გასასაჩივრებელი ფაქტების შემთხვევაში.

[2] ფაქტების უარყოფის ტექსტი, როგორც ასეთი, უნდა იყოს იდენტიფიცირებადი; სამაუწყებლო კომპანიას შეუძლია აღნიშნულს დაამატოს მხოლოდ ისეთი ახსნა-განმარტება, რომლითაც გამყარდებოდა მის მიერ მოყვანილი ფაქტები, ან მიუთითოს ის წყაროები, რომლებსაც კომპანია ეყრდნობა.

[3] ფაქტების უარყოფის ტექსტის გაქვეყნება ხდება უფასოდ.

მუხლი 28l

[1] თუ სამაუწყებლო კომპანია აბრკოლებს ფაქტების უარყოფის უფლების რეალიზაციას, უარს აცხადებს ფაქტების უარყოფაზე ან უარყოფის ტექსტს არ აქვეყნებს სწორად, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

[2] ... (გაუქმებულია)

[3] და ... (გაუქმებულია)

მუხლი 29

[1] თუ პირს შეეცილებიან თავისი სახელის ტარების უფლებას, მაშინ მას შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დადგენის მოთხოვნით.

[2] თუ პირის ინტერესები ირღვევა იმით, რომ სხვა პირი ახდენს მისი სახელის მითვისებას, მაშინ მას შეუძლია სარჩელით მოითხოვოს ასეთი მითვისების აღკვეთა, ისევე როგორც ბრალის არსებობისას, – ზიანის ანაზღაურება, ხოლო როდესაც დარღვევის სახე ამას ამართლებს, მორალური ზიანის დაკმაყოფილების სახით მოითხოვოს ასევე ფულადი თანხის გადახდაც.

მუხლი 30

[1] პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კანტონის მთავრობას შეუძლია ამ პირს სახელის შეცვლის ნება დართოს, თუ სახეზეა პატივსადები საფუძვლები.

[2] ... (გაუქმებულია)

[3] იმ პირს, რომლის ინტერესებიც ირღვევა სახელის შეცვლის შედეგად, აღნიშნულის შეტყობის მომენტიდან ერთი წლის ვადის განმავლობაში შეუძლია ინტერესების დარღვევა გაასაჩივროს სასამართლო წესით.

მუხლი 30a

თუ გარდაიცვლება მეუღლე, მაშინ მეორე მეუღლეს, თუ მან დაქორწინებისას შეიცვალა გვარი, შეუძლია სამოქალაქო რეესტრის მოხელის წინაშე ნებისმიერ დროს განაცხადოს იმის შესახებ, რომ მას კვლავ თავისი ქორწინებამდელი გვარის ტარება სურს.

მუხლი 31

[1] პირადი უფლებები წარმოიშობა ბავშვის ცოცხლად დაბადების დასრულებიდან და მთავრდება გარდაცვალებით.

[2] დაბადებამდე ბავშვი უფლებაუნარიანია იმ პირობით, რომ ის დაიბადება ცოცხალი.

მუხლი 32

[1] ის, ვინც უფლების რეალიზაციისათვის ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ პირი ცოცხალი ან გარდაცვლილი იქნებოდა, განსაზღვრულ მომენტში იქნებოდა ცოცხალი ანდა სხვა პირი უფრო ადრე გარდაიცვლებოდა, ვალდებულია წარადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება.

[2] თუ ვერ მტკიცდება ის ფაქტი, თუ რამდენიმე გარდაცვლილი პირიდან რომელი უფრო ადრე გარდაიცვალა, მაშინ ისინი ერთდროულად გარდაცვლილად მიიჩნევიან.

მუხლი 33

[1] პირის დაბადების ან გარდაცვალების მტკიცება ხდება სამოქალაქო რეესტრის დოკუმენტებით.

[2] თუ ასეთი დოკუმენტები სახეზე არ არის ან არსებული დოკუმენტები უსწორო აღმოჩნდა, მაშინ შესაძლებელია მტკიცებულების სხვაგვარად წარდგენა.

მუხლი 34

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არავის უნახავს გვამი, პირის გარდაცვალება შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამტკიცებულად, თუ პირი გაუჩინარებულია იმ გარემოებების არსებობისას, როდესაც მისი გარდაცვალება შესაძლოა სარწმუნოდ ჩანდეს.

მუხლი 35

[1] თუ პირის გარდაცვალების ალბათობა მეტად დიდია იმის გამო, რომ ის გაუჩინარებულია სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობისას ან დიდი ხნით არ ჩნდება მის შესახებ რაიმე ცნობების გარეშე, მაშინ სასამართლოს შეუძლია აღიაროს ის უგზო-უკვლოდ დაკარგულად იმ პირების შუამდგომლობის საფუძველზე, რომლებიც მისი გარდაცვალებიდან გამომდინარე იძენენ უფლებებს.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 36

[1] შუამდგომლობა წარდგენილ უნდა იქნეს, სულ ცოტა, ერთი წლის გასვლის შემდეგ სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის წარმოშობის მომენტიდან ან უკანასკნელი ცნობის მიღებიდან – ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

[2] სასამართლომ ნებისმიერ იმ პირს, რომელსაც შეუძლია გაუჩინარებული ან სახეზე არმყოფი პირის შესახებ ინფორმაციის მიცემა, მოსთხოვოს განსაზღვრული ვადის განმავლობაში შეტყობინების გაკეთება სათანადო საჯარო ფორმით.

[3] აღნიშნული ვადა შეადგენს, სულ ცოტა, ერთ წელს, რომელიც აითვლება პირველადი საჯარო შეტყობინების მომენტიდან.

მუხლი 37

თუ გაუჩინარებული ან სახეზე არმყოფი პირი შესაბამის ვადაში გაავრცელებს თავისი თავის შესახებ ინფორმაციას ან მის შესახებ გახდება ცნობილი ანდა დადასტურდება ამ პირის გარდაცვალების მომენტი, მაშინ ზემოაღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება.

მუხლი 38

[1] თუ დადგენილი დროის განმავლობაში არანაირი შეტყობინება არ მოდის, მაშინ გაუჩინარებული ან სახეზე არმყოფი პირი ცხადდება უგზო-უკვლოდ დაკარგულად და შესაძლებელი ხდება მისი გარდაცვალებისაგან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია ისე, თითქოს გარდაცვალება დამტკიცებულ იქნა.

[2] უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებას აქვს უკუქცევითი ძალა სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის ან პირის შესახებ უკანასკნელი ცნობის მიღების მომენტისათვის.

[3] უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება იწვევს ქორწინების შეწყვეტას.

მეორე თავი: მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაცია

მუხლი 39

[1] მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციისათვის იწარმოება ელექტრონული რეესტრი.

[2] კერძოდ, მოქალაქეობრივ მდგომარეობას მიეკუთვნება:

1. პირთან უშუალოდ დაკავშირებული სამოქალაქო მდგომარეობის ფაქტები, როგორიცაა დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება;
2. პირის პირადი და საოჯახო-სამართლებრივი სტატუსი, როგორიცაა სრულწლოვანება, წარმომავლობა, ქორწინება;
3. სახელები;
4. კანტონალური და მუნიციპალური მოქალაქეობის უფლება;
5. სახელმწიფოს მოქალაქეობა.

მუხლი 40

[1] ფედერალური საბჭო განსაზღვრავს იმ პირებსა და ორგანოებს, რომლებსაც ევალებათ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება.

[2] ფედერალურ საბჭოს რეგისტრაციის მოვალეობის დარღვევისათვის შეუძლია გაითვალისწინოს დამრღვევის დაჯარიმება.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 41

[1] როდესაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ მონაცემები უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად, კანტონალურ საზედამხედველო ორგანოს შეუძლია მტკიცებულების სახით მიიღოს სამოქალაქო რეესტრის მოხელის წინაშე გაკეთებული განცხადება, რამდენადაც საკმარისი ძალისხმევის მიუხედავად დოკუმენტების მიღება შეუძლებელი ან არაგონივრულია, ხოლო მონაცემები კი არ არის სადავო.

[2] სამოქალაქო რეესტრის მოხელე აფრთხილებს განმცხადებელ პირს სიმართლის თქმის მოვალეობის თაობაზე და ასევე უთითებს ყალბი განცხადების გაკეთებისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 42

[1] პირს, რომელიც ამტკიცებს პატივსადები პირადი ინტერესის არსებობას, შეუძლია სასამართლოს სასარჩელო წესით მოსთხოვოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ სადავო მონაცემების რეგისტრაცია, ასევე – რეგისტრაციის შესწორება ან გაუქმება. სასამართლო მოუსმენს შესაბამის კანტონალურ საზედამხედველო ორგანოებს და უგზავნის მათ თავის გადაწყვეტილებას.

[2] კანტონალური საზედამხედველო ორგანოებიც ასევე არიან უფლებამოსილი სარჩელის წარდგენაზე.

მუხლი 43

მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებმა თავისი ინიციატივით უნდა გამოასწორონ ის ხარვეზები, რომლებიც წარმოადგენს აშკარა დაუდევრობისა თუ შეცდომის შედეგს.

მუხლი 43a

[1] მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის სფეროში ფედერალური საბჭო ზრუნავს იმ პირთა პიროვნებისა და ძირითადი უფლებების დაცვაზე, რომელთა შესახებაც ხდება მონაცემთა დამუშავება.

[2] ფედერალური საბჭო აწესრიგებს იმ კერძო პირებისათვის მონაცემთა გამჟღავნების საკითხს, რომლებსაც შეუძლიათ დაამტკიცონ პატივსადები პირადი ინტერესის არსებობა.

[3] გარდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებისა, ფედერალური საბჭო განსაზღვრავს ასევე იმ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებსაც პერიოდულად ან მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეწოდოს თავიანთი კანონისმიერი ამოცანების შესრულებისათვის აუცილებელი მონაცემები. შენარჩუნებულია კანტონალური სამართლით მოწესრიგებული მონაცემთა გასაჯაროების შესახებ ნორმების მოქმედება.

[3bis] მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებს ევალებათ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისათვის ყველა იმ დანაშაულის ფაქტის შესახებ შეტყობინება, რომლებიც დგინდება მათი სამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელებისას.

[4] ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ საქმისწარმოებაში პირის პიროვნების შემოწმებისათვის აუცილებელი მონაცემები ხელმისაწვდომია:

1. მონაცემების გამცემი ორგანოებისათვის შვეიცარიის მოქალაქეებისათვის პირადობის მოწმობათა გაცემის შესახებ 2001 წლის 22 ივნისის ფედერალური კანონის თანახმად;

2. 2008 წლის 13 ივნისის ფედერაციის პოლიციური საინფორმაციო სისტემის შესახებ ფედერალური კანონის მე-15 მუხლის თანახმად, პოლიციური დევნის ავტომატიზირებული სისტემის წარმოებაზე უფლებამოსილი ფედერალური სამსახურისა და მონაცემთა ფილტრაციაზე პასუხისმგებელი სამსახურებისათვის, რომლებიც დევნის სისტემაში დაკავშირებული არიან კანტონებისა და მუნიციპალიტეტების პოლიციის კორპუსთან;

3. სისხლის სამართლის კოდექსის 359-ე მუხლის საფუძველზე ნასამართლობის ავტომატიზირებული რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი ფედერალური სამსახურისათვის;

4. დაკარგული პირების ძებნის განხორციელებაზე უფლებამოსილი ფედერალური სამსახურისათვის.

მუხლი 44

[1] კერძოდ, სამოქალაქო რეესტრის მოხელეები, ასრულებენ შემდეგ ამოცანებს:

1. აწარმოებენ რეესტრს;

2. აგზავნიან შეტყობინებებსა და გასცემენ ამონაწერებს;

3. ასრულებენ ქორწინების მოსამზადებელ სამუშაოებსა და წარმართავენ საქორწინო ცერემონიას;

4. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის მიზნით იღებენ განცხადებებს.

[2] გამონაკლისის სახით ფედერალურ საბჭოს აღნიშნული ამოცანების შესრულება შეუძლია ანდოს უცხოეთში შვეიცარიის წარმომადგენელს.

მუხლი 45

[1] ყოველი კანტონი ნიშნავს საზედამხედველო ორგანოს.

[2] კერძოდ, აღნიშნული ორგანო ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

1. ზედამხედველობას უწევს სამოქალაქო რეესტრის სამსახურებს.

2. ახორციელებს სამოქალაქო რეესტრის მოხელეების მხარდაჭერასა და ეხმარება მათ რეკომენდაციების გაცემით;

3. ეხმარება მოხელეებს რეესტრის წარმოებისას და ქორწინების მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებისას;

4. იღებს განკარგულებებს უცხოეთში მომხდარი სამოქალაქო მდგომარეობის ფაქტების აღიარებისა და რეგისტრაციის შესახებ, ისევე როგორც მოქალაქეობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული უცხოური გადაწყვეტილებების შესახებ;

5. ზრუნავს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებში დასაქმებული პირების ზოგად განათლებასა და შემდგომ გადამზადებაზე.

[3] ფედერაცია ახორციელებს ზედამხედველობას. სამოქალაქო რეესტრის მოხელეებისა და საზედამხედველო ორგანოების მიერ მიღებული განკარგულებების წინააღმდეგ მას შეუძლია კანტონალური გასაჩივრების საშუალების წარდგენა.

მუხლი 45a

[1] ფედერაცია კანტონებისათვის ახორციელებს მონაცემთა ცენტრალური ბაზის ოპერირებას.

[2] მონაცემთა ბაზა ფინანსდება კანტონების მიერ. ხარჯები ნაწილდება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

[3] კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში და კანტონების თანამონაწილეობით ფედერალური საბჭო აწესრიგებს:

1. თანამშრომლობის პროცესს;

2. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოების მიერ მონაცემთა წვდომის უფლებებს;

3. მონაცემთა დაცვისა და სანდოობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს;

4. დაარქივებას.

მუხლი 46

[1] ყოველ პირს, რომელსაც უკანონოდ ადგება ზიანი მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებში დასაქმებული პირების მიერ თავისი სამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელებისას, აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ხოლო იქ, სადაც დარღვევის სიმძიმე ამას ამართლებს, – მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

[2] პასუხისმგებელია კანტონი; მას შეუძლია წაუყენოს რეგრესული მოთხოვნა იმ პირებს, რომლებმაც განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოიწვიეს ზიანი.

[3] ფედერაციის მიერ დანიშნული პირების მიმართ გამოიყენება პასუხისმგებლობის შესახებ (Verantwortlichkeitsgesetz) 1958 წლის 14 მარტის კანონი.

მუხლი 47

[1] მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის სამსახურებში დასაქმებული პირების მხრიდან განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი სამსახურეობრივი მოვალეობების დარღვევები კანტონალური საზედამხედველო ორგანოების მიერ ისჯება დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომებით.

[2] დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომებს მიეკუთვნება შენიშვნა, დაჯარიმება 1000 ფრანკის ოდენობამდე ან მძიმე შემთხვევებში, – თანამდებობიდან დათხოვნა.

[3] შენარჩუნებულია სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება.

მუხლი 48

[1] ფედერალური საბჭო იღებს საკანონმდებლო ნორმების შესრულების შესახებ ინსტრუქციებს.

[2] ფედერალური საბჭო, სახელდობრ, აწესრიგებს:

1. რეესტრებსა და სარეგისტრაციო მონაცემებს;

2. პირთა ოფიციალურ რეესტრებს შორის მონაცემთა ელექტრონული გაცვლის მიზნით სადაზღვევო ნომრის გამოყენებას მოხუცთა და ცოცხლად დარჩენილ პირთა დაზღვევის შესახებ 1946 წლის 20 დეკემბრის ფედერალური კანონის 50c მუხლის შესაბამისად;

3. რეესტრის წარმოების საკითხებს;
4. ზედამხედველობის საკითხებს.

[3] პროფესიული კუთხით საიმედო შესრულების უზრუნველსაყოფად ფედერალურ საბჭოს შეუძლია დაადგინოს მინიმალური მოთხოვნები მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებში დასაქმებული პირების ზოგად განათლებისა და შემდგომ გადამზადების მიმართ, ისევე როგორც სამოქალაქო რეესტრის მოხელეების დაკავებულობის ხარისხის მიმართ.

[4] ფედერალური საბჭო ადგენს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებში გადასახდელ მოსაკრებლებს.

[5] ფედერალური საბჭო განსაზღვრავს, ელექტრონული კომუნიკაციის გზით თუ რა პირობების არსებობისას არის დასაშვები:
1. მოქალაქეობრივი მდგომარეობის შემთხვევების შესახებ შეტყობინება;
2. პირის მდგომარეობის შესახებ განცხადებების გაკეთება;
3. შეტყობინებების გაგზავნა და ამონაწერების გაცემა.

მუხლი 49

[1] კანტონები ადგენენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის სარეგისტრაციო ტერიტორიას.

[2] ფედერალური სამართლის ფარგლებში კანტონები იღებენ საკანონმდებლო ნორმების შესრულების შესახებ აუცილებელ ინსტრუქციებს.

[3] კანტონალური ნორმები – გარდა იმ ნორმებისა, რომლებიც ეხება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებში დასაქმებული პირების სახელფასო განაკვეთს – თავიანთი ნამდვილობისათვის საჭიროებს ფედერაციის მოწონებას.

მუხლები 50 და 51 (გაუქმებულია)

მეორე ტიტული: იურიდიული პირები

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 52

[1] კორპორატიულად ორგანიზებული პირთა გაერთიანებები და სპეციალური მიზნების მქონე დამოუკიდებელი დაწესებულებები პირის სტატუსს იძენენ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

[2] რეგისტრაციას არ საჭიროებენ საჯარო-სამართლებრივი კორპორაციები და დაწესებულებები, ისევე როგორც კავშირები, რომლებიც არ ისახავენ ეკონომიკურ მიზნებს.

[3] ამორალური ან კანონსაწინააღმდეგო მიზნების მქონე პირთა გაერთიანებები და დაწესებულებები ვერ იძენენ პირის სტატუსს.

მუხლი 53

იურიდიულ პირებს აქვთ ყველა ის უფლება და ვალდებულება, რომელთა აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, როგორიცაა სქესი, ასაკი ან ნათესაობა.

მუხლი 54

იურიდიული პირები ქმედუნარიანობას იძენენ იმ მომენტიდან, როდესაც ინიშნებიან კანონისა და წესდების თანახმად აუცილებელი ორგანოები.

მუხლი 55

[1] იურიდიული პირის ორგანოები მიმართული არიან იმისკენ, რომ გამოხატონ იურიდიული პირის ნება.

[2] ისინი ავალდებულებენ იურიდიულ პირს როგორც გარიგებების დადებით, ისე თავიანთი სხვა მოქმედებებით.

[3] გარდა ამისა, იურიდიული პირის სახელით მოქმედი პირები საკუთარი ბრალისათვის პასუხს აგებენ პირადად.

მუხლი 56

თუ იურიდიული პირის წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, იურიდიული პირის ადგილსამყოფელი არსებობს იმ ადგილზე, სადაც ხორციელდება მისი მართვა.

მუხლი 57

[1] თუ კანონი, წესდება, დფუძნების დოკუმენტები ან კომპეტენტური ორგანოები სხვაგვარად არ ითვალისწინებენ, იურიდიული პირის გაუქმების შემთხვევაში მისი ქონება გადადის იმ თემზე (Gemeinwesen) (ფედერაცია, კანტონი, მუნიციპალიტეტი), რომელსაც ეს პირი თავისი მიზნობრიობის მიხედვით მიეკუთვნებოდა.

[2] აღნიშნული ქონება გამოყენებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად თავდაპირველი მიზნების შესაბამისად.

[3] თუ იურიდიული პირი უქმდება ამორალური ან კანონსაწინააღმდეგო მიზნების განხორციელების გამო, მაშინ მისი ქონება გადადის თემზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკითხი სხვაგვარად არის გადაწყვეტილი.

მუხლი 58

იურიდიული პირის ქონების ლიკვიდაციის პროცესი რეგულირდება კოოპერატივების მიმართ დადგენილი ნორმებით.

მუხლი 59

[1] საჯარო-სამართლებრივი და საეკლესიო კორპორაციებისა და დაწესებულებების მიმართ შენარჩუნებულია ფედერაციისა და კანტონების საჯარო სამართლის მოქმედება.

[2] პირთა გაერთიანებები, რომლებიც ისახავენ ეკონომიკური მიზნების განხორციელებას, რეგულირდებიან საზოგადოებებისა და კოოპერატივების მომწესრიგებელი ნორმებით.

[3] მუნიციპალური სარგებლობის მიწების კოოპერატივები (Allmendgenossenschaften) და მსგავსი კორპორაციები რჩებიან კანტონალური სამართლის ნორმათა რეგულირების ქვეშ.

მეორე თავი: კავშირები

მუხლი 60

[1] კავშირები, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური, რელიგიური, სამეცნიერო, კულტურული, საქველმოქმედო, სოციალური ან სხვა არაეკონომიკური ამოცანები, იურიდიული პირის სტატუსს იძენენ იმ მომენტიდან, როდესაც კორპორაციის სახით ჩამოყალიბების ნება ნათელი ხდება მისი წესდებიდან.

[2] წესდება უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და იძლეოდეს ინფორმაციას კავშირის მიზნის, მისი საშუალებებისა და ორგანიზაციული მოწყობის შესახებ.

მუხლი 61

[1] თუ კავშირის წესდება მიღებულია და გამგეობაც ინიშნება, მაშინ კავშირი გამზადებულია სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისათვის.

[2] კავშირს ევალება რეგისტრაციის განხორციელება, თუ ის:

1. საკუთარი მიზნებისათვის ახორციელებს ბიზნესსაქმიანობას;
2. ექვემდებარება აუდიტორულ შემოწმებას;

[2] რეგისტრაციის განაცხადს უნდა დაერთოს წესდება და გამგეობის წევრთა სია.

მუხლი 62

კავშირები, რომლებიც ვერ იძენენ იურიდიული პირის სტატუსს, ან რომლებსაც ჯერ არ შეუძენიათ ასეთი სტატუსი, უთანაბრდებიან მარტივ ამხანაგობებს.

მუხლი 63

[1] რამდენადაც წესდება არ ადგენს კავშირის საორგანიზაციო და საკუთარ წევრებთან ურთიერთობის შესახებ ნორმებს, გამოიყენება შემდეგი დანაწესები.

[2] დაუშვებელია წესდებით იმ დანაწესების შეცვლა, რომელთა გამოყენებაც კანონით იმპერატიულად არის გათვალისწინებული.

მუხლი 64

[1] წევრთა საერთო კრება წარმოადგენს კავშირის უმაღლეს მმართველ ორგანოს.

[2] საერთო კრება მოიწვევა გამგეობის მიერ.

[3] წევრთა საერთო კრების მოიწვევა ხდება წესდებით და ასევე – კანონით გათვალისწინებული წესებით, თუ მოწვევას ითხოვს წევრთა ერთი მეხუთედი.

მუხლი 65

[1] კავშირის წევრთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას წევრთა მიღებისა და გარიცხვის შესახებ, ირჩევს გამგეობას და წყვეტს ასევე ყველა იმ საკითხს, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა ორგანოების კომპეტენციას.

[2] საერთო კრება ზედამხედველობს ორგანოების საქმიანობას და მას შეუძლია მათი ნებისმიერ დროს გამოწვევა იმ მოთხოვნის უფლებების შეზღუდვის გარეშე, რომლებიც თანამდებობიდან გათავისუფლებულებს ეკუთვნით არსებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე.

[3] ორგანოების გამოწვევის უფლება არსებობს კანონის ძალით, როდესაც მას ამართლებს მნიშვნელოვანი საფუძველი.

მუხლი 66

[1] კავშირის გადაწყვეტილებები მიიღება კავშირის წევრთა საერთო კრების მიერ.

[2] დღის წესრიგის საკითხზე ყველა წევრის წერილობითი თანხმობა უთანაბრდება წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებას.

მუხლი 67

[1] საერთო კრებაზე ყველა წევრს თანაბარი ხმის უფლება აქვს.

[2] კავშირის გადაწყვეტილებები მიიღება საერთო კრებაზე გამოცხადებული წევრების ხმათა უმრავლესობით.

[3] სათანადოდ შეუტყობინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წესდება ამას პირდაპირ უშვებს.

მუხლი 68

თთოეულ წევრს კანონის ძალით ერთმევა ხმის უფლება იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებიც ეხება, ერთი მხრივ, მას, მის მეუღლესა თუ მასთან პირდაპირი ნათესაური ხაზით დაკავშირებულ პირს შორის დადებულ გარიგებას ან არსებულ დავას და, მეორე მხრივ, – კავშირს.

მუხლი 69

გამგეობა აქვს უფლება – და ის ასევე მოავლეა – წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების თანახმად გაუძღვეს კავშირის საქმეებს და წარმოადგინოს ის.

მუხლი 69a

გამგეობა აწარმოებს კავშირის ბუღალტერიას. აზრობრივად მოქმედებს ვალდებულებით სამართალში მოცემული საწარმოში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 69b

[1] კავშირმა უნდა დაუშვას თავისი საბუღალტრო წიგნების სრული შემოწმება აუდიტორების მიერ, თუ ერთმანეთის მიყოლებით ორი სამეურნეო წლის განმავლობაში ადგილი აქვს ქვემოთ მოცემული ორი სიდიდის გადამეტებას:

1. საბალანსო ნარჩენი თანხა 10 მილიონი ფრანკის ოდენობით;
2. ბრუნვიდან მოგება 20 მილიონი ფრანკის ოდენობით;
3. საშუალოდ წელიწადის განმავლობაში 50 სრული შტატი.

[2] კავშირმა უნდა დაუშვას თავისი საბუღალტრო წიგნების არასრული შემოწმება, თუ ამას ითხოვს კავშირის ის წევრი, რომელსაც ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა ან დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულება.

[3] შესაბამისად გამოიყენება ვალდებულებით სამართალში სააქციო საზოგადოებებისათვის მოცემული აუდიტორების შესახებ ნორმები.

[4] ყველა სხვა შემთხვევაში წესდებითა და კავშირის საერთო კრებით თავისუფლად დგინდება აუდიტორული შემოწმების ჩატარების წესი.

მუხლი 69c

[1] თუ კავშირს არა აქვს კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ორგანო, მაშინ კავშირის წევრს ან კრედიტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს აუცილებელი ზომების მიღების მოთხოვნით.

[2] სასამართლოს, კერძოდ, შეუძლია დაადგინოს ვადა კანონით გათვალისწინებული მდგომარეობის აღდგენისათვის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – დანიშნოს მმართველი.

[3] კავშირს ეკისრება აღნიშნული ზომების გატარების ხარჯები. სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს კავშირი, დანიშნულ პირებს გადაუხადოს საავანსო თანხა.

[4] თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი, მაშინ კავშირს შეუძლია სასამართლოსაგან მოითხოვოს ამ უკანასკნელის მიერ დანიშნული პირების თანამდებობიდან გათავისუფლება.

მუხლი 70

[1] წევრთა მიღება დასაშვებია ნებისმიერ დროს.

[2] კავშირიდან გასვლა დასაშვებია კანონის ძალით, თუ ამის შესახებ შეტყობინება ხდება ნახევარწლიანი ვადის დაცვით კალენდარული წლის დასრულებისას, ხოლო როდესაც გათვალისწინებულია მართვის პერიოდი, – ამ უკანასკნელის გასვლის შემდეგ.

[3] წევრობა არ ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას და არც მემკვიდრეობით გადადის.

მუხლი 71

წევრებს შეიძლება მოეთხოვოს საწევრო შენატანების გადახდა, რამდენადაც ამას ითვალისწინებს კავშირის წესდება.

მუხლი 72

[1] კავშირის წესდება შესაძლოა ითვალისწინებდეს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობისას წევრი შეიძლება გაირიცხოს კავშირიდან, თუმცა, ის შეიძლება უშვებდეს წევრის გარიცხვას ასევე საფუძვლების მითითების გარეშეც.

[2] აღნიშნულ შემთხვევებში დაუშვებელია კავშირიდან გარიცხვის გასაჩივრება მისი დაუსაბუთებლობის გამო.

[3] თუ წესდება ამ მხრივ არ შეიცავს რაიმე დანაწესს, მაშინ წევრის გარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ კავშირის წევრთა გადაწყვეტილებითა და მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე.

მუხლი 73

[1] კავშირიდან გასულ ან გარიცხულ წევრებს კავშირის ქონების მიმართ მოთხოვნის უფლებები არა აქვთ.

[2] საწევრო შენატანებისათვის ისინი პასუხს აგებენ მათი წევრობის დროის შესაბამისად.

მუხლი 74

დაუშვებელია კავშირის წევრის იძულება, შეცვალოს კავშირის მიზანი.

მუხლი 75

კავშირის ნებისმიერ წევრს შეუძლია კანონის საფუძველზე სასამართლოში გაასაჩივროს კავშირის კანონის ან წესდების ნორმების დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებები მათი მიღების ფაქტის შეტყობიდან ექვსი თვის განმავლობაში.

მუხლი 75a

თავისი ვალდებულებებისათვის კავშირი პასუხს აგებს საკუთარი ქონებით. პასუხისმგებლობა შემოიფარგლება კავშირის ქონებით, თუ წესდება სხვაგვარად არ განსაზღვრავს.

მუხლი 76

წევრთა გადაწყვეტილებით კავშირი შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს.

მუხლი 77

კავშირის გაუქმება ხორციელდება კანონის ძალით, თუ კავშირი გადახდისუუნაროა, ისევე როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია გამგეობის წესდების შესაბამისად დანიშვნა.

მუხლი 78

როდესაც კავშირის მიზანი კანონსაწინააღმდეგო ან ამორალურია, კავშირის გაუქმება ხორციელდება სასამართლოს მიერ კომპეტენტური ორგანოს ან დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე.

მუხლი 79

თუ კავშირი რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, მაშინ სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლის მიზნით გამგეობამ ან სასამართლომ კავშირის გაუქმების შესახებ უნდა შეატყობინოს რეგისტრატორს.

მესამე თავი: ფონდები

მუხლი 80

ფონდის დაფუძნება ხდება ქონების სპეციალური მიზნით გადაცემის გზით.

მუხლი 81

[1] ფონდი იქმნება საჯარო აქტის შედგენით ან საანდერძო განკარგულებით.

[2] სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება ფონდის დაფუძნების აქტის საფუძველზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – საზედამხედველო ორგანოს განკარგულებით გამგეობის წევრთა სახელების მითითებით.

[3] ის სახელმწიფო ორგანო, რომელიც ასაჯაროებს საანდერძო განკარგულებას, ფონდის დაფუძნების შესახებ ატყობინებს სამეწარმეო რეესტრის რეგისტრატორს.

მუხლი 82

ფონდის დაფუძნება შეიძლება გასაჩივრდეს დამფუძნებლის მემკვიდრეების ან კრედიტორების მიერ ჩუქების მიმართ მოქმედი წესების მსგავსად.

მუხლი 83

ფონდის ორგანოები და მართვის წესი განისაზღვრება ფონდის დაფუძნების აქტით.

მუხლი 83a

ფონდის უმაღლესი ორგანო აწარმოებს ფონდის ბუღალტერიას. აზრობრივად მოქმედებს ვალდებულებით სამართალში მოცემული საწარმოში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 83b

[1] ფონდის უმაღლესი ორგანო ნიშნავს აუდიტორებს.

[2] საზედამხედველო ორგანოს შეუძლია გაათავისუფლოს ფონდი აუდიტორების დანიშვნის ვალდებულებისაგან. ფედერალური საბჭო განსაზღვრავს აღნიშნული ვალდებულებისაგან გათავისუფლების წინაპირობებს.

[3] რამდენადაც ფონდების მიმართ სახეზე არ არის სპეციალური ნორმები, შესაბამისად გამოიყენება ვალდებულებით სამართალში სააქციო საზოგადოებებისათვის გათვალისწინებული აუდიტორების შესახებ ნორმები.

[4] თუ ფონდს ეკისრება არასრული აუდიტორული შემოწმების ჩატარება, მაშინ საზედამხედველო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს სტანდარტული აუდიტორული შემოწმება, როდესაც ეს აუცილებელია ფონდის ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლების დონის სანდო შეფასებისათვის.

მუხლი 83c

აუდიტორები საზედამხედველო ორგანოს აწვდიან აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიშის ასლს, ისევე როგორც – ფონდისათვის გაგზავნილ ყველა მნიშვნელოვან შეტყობინებას.

მუხლი 83d

[1] თუ გათვალისწინებული საორგანიზაციო სისტემა საკმარისი არ არის, ან თუ ფონდს აკლია წესდებით გათვალისწინებული ორგანო ანდა ეს ორგანო ლეგიტიმურად ვერ შეიქმნა, მაშინ საზედამხედველო ორგანომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები. კერძოდ კი, მას შეუძლია:

1. ფონდს დაუდგინოს ვადა, რომლის განმავლობაშიც ამ უკანასკნელმა უნდა აღადგინოს კანონით გათვალისწინებული მდგომარეობა; ან

2. დანიშნოს სახეზე არ არსებული ორგანო ან მმართველი.

[2] თუ ფონდის ეფექტური ორგანიზების მიღწევა ვერ ხერხდება, მაშინ საზედამხედველო ორგანომ ქონება უნდა გადასცეს სხვა ფონდს, რომელსაც შეძლებისდაგვარად მსგავსი მიზნები აქვს.

[3] ფონდს ეკისრება აღნიშნული ზომების გატარების ხარჯები. საზედამხედველო ორგანოს შეუძლია დაავალდებულოს ფონდი, დანიშნულ პირებს გადაუხადოს საავანსო თანხა.

[4] თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი, მაშინ ფონდს შეუძლია საზედამხედველო ორგანოსაგან მოითხოვოს ამ უკანასკნელის მიერ დანიშნული პირების თანამდებობიდან გათავისუფლება.

მუხლი 84

[1] ფონდები ექვემდებარებიან იმ თემის ზედამხედველობას (ფედერაცია, კანტონი, მუნიციპალიტეტი), რომელსაც ისინი თავიანთი მიზნობრიობის მიხედვით მიეკუთვნებიან.

[1bis] კანტონებს შეუძლიათ თემს მიკუთვნებული ფონდები დაუქვემდებარონ კანტონალურ საზედამხედველო ორგანოებს.

[2] საზედამხედველო ორგანომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ფონდის ქონება გამოყენებულ იქნეს მისი მიზნების შესაბამისად.

მუხლი 84a

[1] თუ არსებობს საფუძვლიანი შიში იმისა, რომ ფონდი აღმოჩნდება ზედავალიანებაში ან მისი ვალდებულებები გრძელვადიანი პერსპექტივით ვეღარ შესრულდება, მაშინ სარეალიზაციო ღირებულების საფუძველზე ფონდის უმაღლესი ორგანო ადგენს შუალედურ ბალანსს და წარუდგენს მას აუდიტორს შემოწმებისათვის. თუ ფონდს არა ჰყავს აუდიტორი, მაშინ ფონდის ორგანო შუალედურ ბალანსს წარუდგენს საზედამხედველო ორგანოს.

[2] თუ აუდიტორი დაადგენს, რომ ფონდი აღმოჩნდა ზედავალიანებაში ან მისი ვალდებულებები გრძელვადიანი პერპექტივით ვერ სრულდება, მაშინ შუალედურ ბალანსს ის წარუდგენს საზედამხედველო ორგანოს.

[3] საზედამხედველო ორგანო ფონდის უმაღლეს ორგანოს ავალებს აუცილებელი ზომების მიღებას. თუ ეს უკანასკნელი არ ასრულებს ასეთ დავალებას, მაშინ ასეთ ზომებს იღებს საზედამხედველო ორგანო.

[4] აუცილებლობის შემთხვევაში, საზედამხედველო ორგანო შუამდგომლობს იძულებითი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით; აზრობრივად გამოიყენება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ან გადავადების შესახებ სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 84b (გაუქმებულია)

მუხლი 85

საზედამხედველო ორგანოების განცხადების საფუძველზე და ფონდის უმაღლესი ორგანოს მოსმენის შემდეგ, კომპეტენტურ ფედერალურ ან კანტონალურ ორგანოს შეუძლია შეცვალოს ფონდის ორგანიზაციული სტრუქტურა, თუ

აღნიშნულს სასწრაფოდ მოითხოვს ფონდის ქონების ან მიზნის შენარჩუნების აუცილებლობა.

მუხლი 86

[1] საზედამხედველო ორგანოების ან ფონდის უმაღლესი ორგანოს განცხადების საფუძველზე, კომპეტენტურ ფედერალურ ან კანტონალურ ორგანოს შეუძლია შეცვალოს ფონდის მიზანი, როდესაც მისმა თავდაპირველმა მიზანმა სრულიად სხვა მნიშვნელობა ან შედეგი შეიძინა ისე, რომ ფონდი აშკარად დაშორდა დამფუძნებლის ნება-სურვილს.

[2] იგივე წინაპირობების არსებობისას შესაძლებელია იმ ვალდებულებებისა თუ პირობების გაუქმება ან შეცვლა, რომლებიც საზიანოა ფონდის მიზნებისათვის.

მუხლი 86a

[1] კომპეტენტური ფედერალური ან კანტონალური ორგანო დამფუძნებლის განცხადების ან საანდერძო განკარგულების საფუძველზე ცვლის ფონდის მიზანს, როდესაც ფონდის დაფუძნების აქტში გაკეთდა დათქმა მიზნის ცვლილების შესაძლებლობის შესახებ, ხოლო ფონდის დაფუძნების ან დამფუძნებლის მხრიდან მოთხოვნილი უკანასკნელი ცვლილების მომენტიდან გასულია, სულ ცოტა, ათი წელი.

[2] თუ ფონდი ისახავს საჯარო ან საყოველთაო სასარგებლო მიზანს პირდაპირი ფედერალური გადასახადების შესახებ 1990 წლის 14 დეკემბრის კანონის 56-ე მუხლის g ქვეპუნქტის თანახმად, მაშინ შეცვლილი მიზანიც ასევე უნდა იყოს საჯარო ან საყოველთაო სასარგებლო.

[3] ფონდის მიზნის შეცვლის უფლება მემკვიდრეობით არ გადადის და არც სხვა პირზე გადაცემას ექვემდებარება. თუ დამფუძნებელს წარმოადგენს იურიდიული პირი, მაშინ აღნიშნული უფლება უქმდება ფონდის დაფუძნებიდან მაქსიმუმ 20 წლის გასვლის შემდეგ.

[4] თუ ფონდი დააფუძნა რამდენიმე პირმა, მაშინ ფონდის მიზნის შეცვლის მოთხოვნა მათ მხოლოდ ერთობლივად შეუძლიათ.

[5] ის სახელმწიფო ორგანო, რომელიც ასაჯაროებს საანდერძო განკარგულებას, ფონდის მიზნის შეცვლის შესახებ განკარგულებას ატყობინებს კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოს.

მუხლი 86b

ფონდის უმაღლესი ორგანოს მოსმენის შემდეგ საზედამხედველო ორგანოს ფონდის დაფუძნების აქტში შეუძლია შეიტანოს არაარსებითი ცვლილებები, რამდენადაც ეს რეკომენდირებულია დამაჯერებელი ობიექტური საფუძვლებით და არ არღვევს მესამე პირთა უფლებებს.

მუხლი 87

[1] საოჯახო და საეკლესიო ფონდები არ ექვემდებარებიან საზედამხედველო ორგანოებს, გარდა საჯარო სამართლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

[1bis] აღნიშნული ფონდები თავისუფლდებიან აუდიტორების დანიშვნის ვალდებულებისაგან.

[2] კერძოსამართლებრივ დავებზე (Anstände) გადაწყვეტილებებს იღებს სასამართლო.

მუხლი 88

[1] კომპეტენტური ფედერალური ან კანტონალური ორგანო განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით აუქმებს ფონდს, თუ:

1. ამ უკანასკნელის მიზანი მიუღწეველი გახდა, ხოლო ფონდის შენარჩუნება მისი დაფუძნების აქტის შეცვლის შედეგად შეუძლებელია; ან

2. ფონდის მიზანი კანონსაწინააღმდეგო ან ამორალური გახდა.

[2] საოჯახო და საეკლესიო ფონდები უქმდება სასამართლოს მიერ.

მუხლი 89

[1] ნებისმიერი დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, წარადგინოს განცხადება ან სარჩელი ფონდის გაუქმების მოთხოვნით.

[2] სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლის მიზნით ფონდის გაუქმების შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს რეგისტრატორს.

მუხლი 89a

[1] შემდეგი დამატებითი დანაწესები მოქმედებს ვალდებულებითი სამართლის 331-ე მუხლის შესაბამისად ფონდის ფორმით დაფუძნებული დასაქმებულთა კეთილდღეობაზე ზრუნვის სქემების მიმართ.

[2] ფონდის ორგანოებმა ბენეფიციარებს უნდა მიაწოდონ აუცილებელი ინფორმაცია ფონდის ორგანიზაციული მოწყობის, საქმიანობისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

[3] თუ დასაქმებულებს ფონდში შეაქვთ შენატანები, მაშინ ისინი მის მართვაში მონაწილეობას იღებენ, სულ ცოტა, აღნიშნული შენატანების შესაბამისად; რამდენადაც ეს შესაძლებელია, დასაქმებულებმა დამსაქმებლის თანამშრომლებიდან უნდა აირჩიონ თავიანთი წარმომადგენელი.

[4] ... (გაუქმებულია)

[5] ბენეფიციარებს შეუძლიათ წარადგინონ სარჩელი ფონდის წინააღმდეგ სარგებლის განაწილების მოთხოვნით, თუ მათ ამ ფონდში განახორციელეს შესაბამისი შენატანები ან თუ ფონდის დანაწესების შესაბამისად მათ სამართლებრივი პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ აღნიშნულ სარგებელზე.

[6] დასაქმებულთა კეთილდღეობაზე ზრუნვის ფონდების მიმართ, რომლებიც საქმიანობენ მოხუცთა, ცოცხლად დარჩენილ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის სფეროში და რომელთა მიმართაც მოქმედებს საპენსიო ფონდიდან გარანტირებული გადახდების შესახებ 1993 წლის 17 დეკემბრის კანონი (FZG), გამოიყენება ასევე მოხუცთა, ცოცხლად დარჩენილ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის შესახებ 1982 წლის 25 ივნისის ფედერალური კანონის (BVG) შემდეგი დანაწესები/საკითხები:

1. პროფესიული ზრუნვის, ისევე როგორც დაზღვევადი ხელფასის ან შემოსავლის განმარტება და პრიციპები (მუხ. 1, 33a და 33b),

2. მოხუცთა და ცოცხლად დარჩენილ პირთა დაზღვევის სფეროში ყოფნის მოთხოვნა (მუხ. 5 ნაწ. 1),

3. ბენეფიციარები ცოცხლად დარჩენილ პირთა მიერ მისაღები სარგებლის შემთხვევაში (მუხ. 20a),

3a. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიის მისადაგება სამზრუნველო თანხების თანაბარი განაწილების წესების შესაბამისად (მუხ. 24 ნაწ. 5),

3b. დაზღვევის ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივება და სარგებლის გადახდის შენარჩუნება შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევისათვის დაზღვევის თანხის შემცირების ან გაუქმებისას (მუხ. 26a),

4. ინფლაციის დონისადმი სარგებლის დაგეგმილი გადახდების მისადაგება (მუხ. 36 ნაწ. 2–4),

4a. კომპენსაციის ერთიანი თანხით ანაზღაურებისას თანხმობის მიცემა (მუხ. 37a),

5. მოთხოვნის უფლებათა ხანდაზმულობის ვადა და სამზრუნველყო დოკუმენტაციის შენახვა (მუხ. 41),

5a. მოხუცთა და ცოცხლად დარჩენილ პირთა დაზღვევის სფეროში დაზღვეულთა რაოდენობის გამოყენება, გადამუშავება და გამოქვეყნება (მუხ. 48 ნაწ. 4, მუხ. 85a პუნქტი f და მუხ. 86a ნაწ. 2 პუნქტი b^{bis}),

6. პასუხისმგებლობა (მუხ. 52),

7. მაკონტროლებელი ორგანოების ლიცენზირება და ამოცანები (მუხ. 52a–52e),

8. პასუხისმგებელი პირების უმწიკვლო რეპუტაცია და ერთგულება, გარიგებები დაკავშირებულ პირებთან და ინტერესთა კონფლიქტები (მუხ. 51b, 51c და 53a),

9. ნაწილობრივი ან სრული ლიკვიდაცია (მუხ. 53b–53d),

10. ხელშეკრულებების შეწყვეტა (მუხ. 53e და 53f),

11. საგარანტიო ფონდი (მუხ. 56 ნაწ. 1 პუნქტი c და ნაწ. 2–5, მუხ. 56a, 57 და 59)

12. კონტროლი და ზედამხედველობა (მუხ. 61–62a და 64–64c),

13. ... (გაუქმებულია)

14. ფინანსური უზრუნველყოფა (მუხ. 65 ნაწ. 1, 3 და 4, მუხ. 66 ნაწ. 4, მუხ. 67 და მუხ. 72a–72g),

15. გამჭვირვალობა (მუხ. 65a),

16. სარეზერვო ფონდის ანარიცხები (მუხ. 65b),

17. სამზრუნველო დაწესებულებებსა და სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულებები (მუხ. 68 ნაწ. 3 და 4),

18. ქონების მართვა (მუხ. 71),

19. მართლმსაჯულების განხორციელება (მუხ. 73 და 74),

20. სისხლისსამართლებრივი სანქციები (მუხ. 75–79),

21. შესყიდვა (მუხ. 79b),

22. დაზღვევადი ხელფასი ან შემოსავალი (მუხ. 79c),

23. დაზღვეული პირების შესახებ ინფორმაცია (მუხ. 86b).

[7] დასაქმებულთა კეთილდღეობაზე ზრუნვის ფონდების მიმართ, რომლებიც საქმიანობენ მოხუცთა, ცოცხლად დარჩენილ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის სფეროში, მაგრამ რომელთა მიმართაც არ მოქმედებს

თავისუფალი მიმოსვლის უფლების შესახებ 1993 წლის 17 დეკემბრის კანონი (FZG), როგორიცაა ე. წ. დამსაქმებელთა მიერ დაფინანსებული საქველმოქმედო ფულადი ფონდები სარგებლის დისკრეციული გაცემით, ისევე როგორც – საფინანსო ფონდები, ცოცხლად დარჩენილ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის შესახებ 1982 წლის 25 ივნისის ფედერალური კანონის (BVG) დანაწესებიდან/საკითხებიდან მოქმედებს მხოლოდ შემდეგი:

1. მოხუცთა და ცოცხლად დარჩენილ პირთა დაზღვევის სფეროში ყოფნის მოთხოვნა (მუხ. 5 ნაწ. 1);

2. მოხუცთა და ცოცხლად დარჩენილ პირთა დაზღვევის სფეროში დაზღვეულთა რაოდენობის გამოყენება, გადამუშავება და გამოქვეყნება (მუხ. 48 ნაწ. 4, მუხ. 85a პუნქტი f და მუხ. 86a ნაწ. 2 პუნქტი b^{bis});

3. პასუხისმგებლობა (მუხ. 52);

4. აუდიტორების ლიცენზირება და ამოცანები (მუხ. 52a, 52b და 52c ნაწ. 1 პუნქტები a–d და g, 2 და 3);

5. პასუხისმგებელი პირების უმწიკვლო რეპუტაცია და ერთგულება, გარიგებები დაკავშირებულ პირებთან და ინტერესთა კონფლიქტები (მუხ. 51b, 51c და 53a);

6. სრული ლიკვიდაცია (მუხ. 53c);

7. კონტროლი და ზედამხედველობა (მუხ. 61–62a და 64–64b);

8. მართლმსაჯულების განხორციელება (მუხ. 73 და 74);

9. სისხლისსამართლებრივი სანქციები (მუხ. 75–79);

10. საგადასახადო რეჟიმი (მუხ. 80, 81 ნაწ. 1 და 83).

[8] მე-7 ნაწილის თანახმად დასაქმებულთა კეთილდღეობაზე ზრუნვის ფონდების მიმართაც მოქმედებს შემდეგი დანაწესები/საკითხები:

1. ეს ფონდები მართავენ თავიანთ ქონებას იმგავრად, რომ გარანტირებულია უსაფრთხოება, ინვესტიციებზე საკმარისი შემოსავალი და ფონდების ამოცანების შესრულებისათვის აუცილებელი ლიკვიდური აქტივები.

2. საზედამხედველო ორგანო ფონდის საბჭოს განცხადების საფუძველზე იღებს განკარგულებებს სარგებლის დისკრეციული გაცემით დამსაქმებელთა მიერ დაფინანსებული საქველმოქმედო ფულად ფონდებთან დაკავშირებულ ნაწილობრივი ლიკვიდაციის საკითხებზე.

3. აღნიშნულმა ფონდებმა შესაბამისად უნდა დაიცვან თანასწორი დამოკიდებულებისა და სამართლიანობის პრინციპები.

მეორე ტიტულიbis: გაერთიანებული ქონება

მუხლი 89b

[1] თუ საყოველთაო სასარგებლო მიზნით გაერთიანების შემთხვევაში, არ ხდება გაერთინებული ქონების მართვასა თუ გამოყენებაზე ზრუნვა, მაშინ კომპეტენტური ორგანო იღებს შესაბამის საჭირო ზომებს.

[2] კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია დანიშნოს ქონების მმართველი ან გადასცეს ეს ქონება სხვა კავშირსა თუ ფონდს, რომლებსაც შეძლებისდაგვარად მსგავსი მიზნები აქვთ.

[3] ქონების მართვის მიმართ აზრობრივად გამოიყენება ზრდასრულ პირთა დაცვის ფარგლებში განხორციელებული მზრუნველობის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 89c

[1] კომპეტენტურია ის კანტონი, რომლის ტერიტორიაზეც ხდება გაერთიანებული ქონების მთავარი შემადგენელი ნაწილის მართვა.

[2] რამდენადაც კანტონი სხვაგვარად არ ადგენს, კომპეტენტურია ფონდებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო.

მეორე ნაწილი: საოჯახო სამართალი

პირველი განყოფილება: საქორწინო სამართალი

მესამე ტიტული: დაქორწინება

პირველი თავი: ნიშნობა

მუხლი 90

[1] ნიშნობა ხორციელდება დაქორწინების შეპირებით.

[2] კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე განხორცილებელი ნიშნობით არასრულწლოვან პირებს არ ეკისრებათ რაიმე ვალდებულება.

[2] ნიშნობით არ წარმოიშობა სასარჩელო წესით დაცვადი დაქორწინების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 91

[1] გარდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო საჩუქრებისა, დანიშნულ პირებს ნიშნობის გაუქმების შემთხვევაში შეუძლიათ მოითხოვონ ერთმანეთისათვის გადაცემული საჩუქრების დაბრუნება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნიშნობა გაუქმდა დანიშნული პირის გარდაცვალების შედეგად.

[2] თუ საჩუქრები სახეზე აღარ არის, მაშინ კომპენსაციის გადახდა ხორციელდება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების შესაბამისად.

მუხლი 92

თუ დანიშნულმა პირმა დაქორწინების მოლოდინის გამო კეთილსინდისიერად გასწია გარკვეული დანახარჯები, მაშინ მას ნიშნობის გაუქმების შემთხვევაში მეორე მხარისაგან შეუძლია მოითხოვოს ხარჯებში სათანადო თანამონა-

წილეობა, რამდენადაც საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით აღნიშნული უსამართლოდ არ ჩაითვლება.

მუხლი 93

ნიშნობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ნიშნობის გაუქმებიდან ერთი წლის ვადის გასვლისთანავე.

მეორე თავი: ქორწინების წინაპირობები

მუხლი 94

[1] იმისათვის, რომ წყვილს შეეძლოს დაქორწინება, დასაქორწინებელმა პირებმა უნდა მიაღწიონ 18 წლის ასაკს და მათ უნდა შეეძლოთ თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 95

[1] ქორწინება აკრძალულია პირდაპირი ხაზით ნათესავებს შორის, ისევე როგორც – და-ძმებსა თუ ნახევარდასა და ნახევარძმას შორის მიუხედავად იმისა, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან წარმომავლობითა თუ შვილად აყვანის გზით.

[2] შვილად აყვანა რჩება ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად, ერთი მხრივ, ნაშვილებსა და მის შთამომავლებს და, მეორე მხრივ, მის შვილად ამყვან ოჯახს შორის.

მუხლი 96

პირმა, რომელსაც სურს ხელახლა დაქორწინება, უნდა წარადგინოს მტკიცებულება იმისა, რომ თავდაპირველი ქორწინება გამოცხადდა ბათილად ან შეწყდა.

მესამე თავი: ქორწინების მომზადება და საქორწინო ცერემონია

მუხლი 97

[1] საქორწინო ცერემონია ტარდება სამოქალაქო რეესტრის მოხელის წინაშე მოსამზადებელი პროცედურის ჩატარების შემდეგ.

[2] დანიშნულ პირებს შეუძლიათ დაქორწინდნენ საკუთარი სურვილით შერჩეულ მოქალაქეობრივი მდგომარეობის სარეგისტრაციო ტერიტორიაზე.

[3] საქორწინო ცერემონიის ჩატარებამდე რელიგიური წესით ქორწინება დაუშვებელია.

მუხლი 97a

[1] სამოქალაქო რეესტრის მოხელე არ განიხილავს ქორწინების განაცხადს, თუ პატარძალს ან საქმროს აშკარად აქვთ არა ერთად ცხოვრების განზრახვა, არამედ სურთ უცხო ქვეყნის მოქალაქის საცხოვრებლად მიღების შესახებ დანაწესების გვერდის ავლა.

[2] სამოქალაქო რეესტრის მოხელე მოუსმენს დასაქორწინებელ პირებს და მას

ინფორმაციის მიღება შეუძლია სხვა სახელმწიფო ორგანოებიდან ან მესამე პირებისაგან.

მუხლი 98

[1] დასაქორწინებელი პირები ქორწინების მოსამზადებელი პროცედურის ჩატარების შესახებ განაცხადს სამოქალაქო რეესტრის სამსახურს წარუდგენენ პატარძლის ან საქმროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

[2] დასაქორწინებელი პირები პირადად უნდა გამოცხადდნენ სამოქალაქო რეესტრის მოხელესთან. იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ აღნიშნული აშკარად მიზანშეუწონელია, მაშინ ქორწინების მოსამზადებელი პროცედურის ჩატარება დასაშვებია წერილობითი ფორმით.

[3] დასაქორწინებელმა პირებმა თავიანთი პირადი მონაცემები უნდა დაადასტურონ დოკუმენტების მეშვეობით და სამოქალაქო რეესტრის სამსახურს პირადად განუცხადონ, რომ ისინი აკმაყოფილებენ ქორწინების წინაპირობებს; დასაქორწინებელი პირები წარადგენენ ასევე აუცილებელ თანხმობებს.

[4] იმ დასაქორწინებელმა პირებმა, რომლებიც არ წარმოადგენენ შვეიცარიის მოქალაქეებს, ქორწინების მოსამზადებელი პროცედურის ჩატარებისას უნდა დაამტკიცონ შვეიცარიაში თავიანთი ყოფნის კანონიერება.

მუხლი 99

[1] სამოქალაქო რეესტრის სამსახური ამოწმებს, არის თუ არა:

1. განაცხადი სათანადო წესით წარდგენილი;
2. დასაქორწინებელი პირების პიროვნება დადგენილი; და
3. დაკმაყოფილებული ქორწინების წინაპირობები, განსაკუთრებით კი, – არის თუ არა სახეზე ისეთი გარემოებები, რომლებიც ცხადყოფს, რომ განაცხადი აშკარად არ შეესაბამება დასაქორწინებელი პირების ნებას.

[2] თუ აღნიშნული მოთხოვნები შესრულებულია, სამოქალაქო რეესტრი ატყობინებს დასაქორწინებელ პირებს ქორწინების მოსამზადებელი პროცედურის დასრულებისა და საქორწინო ცერემონიის კანონისმიერი ვადების შესახებ.

[3] დასაქორწინებელ პირებთან შეთანხმებითა და კანტონალური ნორმების შესაბამისად სამოქალაქო რეესტრი ადგენს საქორწინო ცერემონიის თარიღს ან განცხადების საფუძველზე საქორწინო ცერემონიის ჩატარების ნებას რთავს სხვა სარეგისტრაციო ტერიტორიაზე.

[4] სამოქალაქო რეესტრის სამსახური კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს უგზავნის იმ დასაქორწინებელ პირთა მონაცემებს, რომლებმაც ვერ დაამტკიცეს შვეიცარიაში თავიანთი ყოფნის კანონიერება.

მუხლი 100

[1] საქორწინო ცერემონია შეიძლება ჩატარდეს ქორწინების მოსამზადებელი პროცედურის დასრულების შესახებ შეტყობინებიდან არაუადრეს ათი დღისა და არაუგვიანეს სამი თვისა.

[2] თუ ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი სიკვდილის პირას იმყოფება და არსებობს საფრთხე იმისა, რომ ათდღიანი ვადის დაცვის შემთხვევაში საქორწინო ცერემონიის ჩატარება შეუძლებელი გახდება, მაშინ სამოქალაქო რეესტრის

მოხელეს საექიმო დასტურის საფუძველზე შეუძლია აღნიშნული ვადის შემცირება ან ცერემონიის დაუყოვნებლივ ჩატარება.

მუხლი 101

[1] საქორწინო ცერემონია ტარდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის სარეგისტრაციო ტერიტორის იმ რიტუალების დარბაზში, რომლებიც აირჩიეს დასაქორწინებელმა პირებმა.

[2] თუ ქორწინების მოსამზადებელი პროცედურა ჩატარდა სამოქალაქო რეესტრის სხვა სარეგისტრაციო ტერიტორიაზე, დასაქორწინებელმა პირებმა უნდა წარადგინონ საქორწინო ცერემონიის ჩატარების ნებართვა.

[3] თუ დასაქორწინებელი პირები დაამტკიცებენ, რომ აღნიშნული აშკარად მიზანშეუწონელია, მაშინ საქორწინო ცერემონია შეიძლება ჩატარდეს სხვა ტერიტორიაზე არსებული რიტუალების დარბაზში.

მუხლი 102

[1] საქორწინო ცერემონია საჯაროა და ის ტარდება იმ ორი სრულწლოვანი მოწმის თანდასწრებით, რომლებსაც შეუძლიათ თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა.

[2] სამოქალაქო რეესტრის მოხელე პატარძალსა და საქმროს ინდივიდუალურად მიმართავს შეკითხვით, სურთ თუ არა მათ ერთმანეთთან დაქორწინება.

[3] თუ დასაქორწინებელი პირები დადებითად პასუხობენ აღნიშნულ კითხვას, მაშინ ორმხრივი თანხმობის საფუძველზე ისინი ცხადდებიან დაქორწინებულად.

მუხლი 103

ფედერალური საბჭო, და თავიანთი კომპენტენციის ფარგლებში, კანტონები შესაბამისი პროცედურების შესრულებაზე გამოსცემენ საჭირო დანაწესებს.

მეოთხე თავი: ქორწინების ბათილობა

მუხლი 104

სამოქალაქო რეესტრის მოხელის წინაშე გაფორმებული ქორწინება შეიძლება ბათილად გამოცხადდეს მხოლოდ წინამდებარე თავში გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძვლით.

მუხლი 105

ქორწინების ბათილობის საფუძველი სახეზეა, როდესაც:

1. დაქორწინების მომენტში ერთ-ერთი მეუღლე უკვე დაქორწინებულია და თავდაპირველი ქორწინება არ იქნა შეწყვეტილი განქორწინებით ან წინა მეუღლის გარდაცვალებით;

2. დაქორწინების მომენტში ერთ-ერთ მეუღლეს არ შეუძლია თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა და შემდგომშიც ის ვერ იბრუნებს თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევის უნარს;

3. დაქორწინება მეუღლეებს შორის ნათესაური კავშირის გამო აკრძალულია;

4. ერთ-ერთ მეუღლეს აქვს არა ერთად ცხოვრების განზრახვა, არამედ სურს უცხო ქვეყნის მოქალაქის საცხოვრებლად მიღების შესახებ დანაწესების გვერდის ავლა;

5. მეუღლე არ დაქორწინდა თავისუფალი ნებით;

6. ერთ-ერთ მეუღლე არასრულწლოვანია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქორწინების შენარჩუნება შეესაბამება ამ მეუღლის უპირატეს ინტერესებს.

მუხლი 106

[1] ქორწინების ბათილობის მოთხოვნით სარჩელის წარდგენა ხდება კომპეტენტური კანტონალური ორგანოს მიერ საკუთარი ინიციატივით მეუღლეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; გარდა ამისა, სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილია ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს აღნიშნულის ინტერესი. რამდენადაც ეს შესაბამისობაშია ფედერაციისა და კანტონების ორგანოთა ამოცანებთან, ეს ორგანოები ანგარიშს წარუდგენენ სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოებს, თუ მათ აქვთ საბაბი იმის ვარაუდისა, რომ სახეზეა ქორწინების ბათილობის საფუძველი.

[2] ქორწინების შეწყვეტის შემდეგ დაუშვებელია საკუთარი ინიციატივით მისი ბათილობის საკითხის დაყენება; თუმცა, ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს ამის ინტერესი, შეუძლია მოთხოვოს ქორწინების ბათილად ცნობა.

[3] ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

მუხლი 107

მეუღლეს შეუძლია მოთხოვოს ქორწინების ბათილად ცნობა, როდესაც:

1. მას საქორწინო ცერემონიის დროს დროებით არ შეეძლო თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა;

2. ის დაქორწინდა შეცდომის შედეგად მიუხედავად იმისა, მას საერთოდ სურდა თუ არა დაქორწინება ან არ სურდა მოცემულ პირთან;

3. მან იქორწინა მეორე მეუღლის არსებით პირად თვისებებთან დაკავშირებით განზრახ ჩადენილი მოტყუების ფაქტის გამო;

4. ... (გაუქმებულია)

მუხლი 108

[1] ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს ბათილობის საფუძვლის შესახებ შეტყობიდან ან მუქარის შეწყვეტის მომენტიდან ექვსი თვის ვადაში, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, – დაქორწინებიდან ხუთი წლის ვადის გასვლამდე.

[2] სარჩელის წარდგენის უფლება არ გადადის მემკვიდრეობით; თუმცაღა, მემკვიდრეს შეუძლია გააგრძელოს უკვე წარდგენილი სარჩელის საფუძველზე წარმოებული პროცესი.

მუხლი 109

[1] ქორწინების ბათილობა ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სასამართლო აცხადებს ქორწინების ბათილობის შესახებ; სასამართლოს გადაწყვე-

ტილების მიღებამდე ქორწინებას აქვს ნამდვილი ქორწინების მიმართ არსებული ყველა სამართლებრივი შედეგი იმ სამემკვიდრეო-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებების გარდა, რომლებსაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლე ყველა შემთხვევაში კარგავს.

[2] მეუღლეებისა და შვილებთან დაკავშირებით სასამართლო წესით ბათილად გამოცხადებული ქორწინების სამართლებრივი შედეგების მიმართ აზრობრივად მოქმედებს განქორწინების მომწესრიგებელი ნორმები.

[3] მეუღლის მამობის პრეზუმფცია არ გამოიყენება, თუ ქორწინება ბათილად იქნა ცნობილი იმის გამო, რომ ის ემსახურებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქის საცხოვრებლად მიღების შესახებ დანაწესების გვერდის ავლას.

მუხლი 110 (გაუქმებულია)

მეოთხე ტიტული: განქორწინება და მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება

პირველი თავი: განქორწინების წინაპირობები

მუხლი 111

[1] თუ მეუღლეები ერთობლივად ითხოვენ განქორწინებას და აღწევენ სრულ შეთანხმებას განქორწინების შედეგების ირგვლივ ყველა საჭირო დოკუმენტითა და შვილებთან დაკავშირებული ერთობლივი განცხადებებით, მაშინ სასამართლო მოუსმენს მათ ცალ-ცალკე და ერთად. მოსმენას შესაძლოა რამდენიმე სხდომა დაეთმოს.

[2] თუ სასამართლო დარწმუნდა იმაში, რომ განქორწინების თხოვნა და შეთანხმება ეფუძნება თავისუფალ ნებასა და საფუძვლიან გააზრებას, ხოლო შეთანხმება შვილებთან დაკავშირებულ განცხადებთან ერთად მოსაწონია, მაშინ ის აცხადებს განქორწინების თაობაზე.

მუხლი 112

[1] მეუღლეებს შეუძლიათ ერთობლივად მოთხოვონ განქორწინება და მიმართონ სასამართლოს თხოვნით, რომ მან მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებზეც ისინი ვერ თანხმდებიან.

[2] მსგავსად ყოველისმომცველი შეთანხმების შემთხვევისა, სასამართლო მოუსმენს მეუღლეების თხოვნას განქორწინების იმ შედეგების თაობაზე, რომლებზეც მათ მიაღწიეს შეთანხმებას, ისევე როგორც – იმ განცხადების თაობაზე, რომ სხვა შედეგები უნდა გადაწყდეს სასამართლოს გზით.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 113 (გაუქმებულია)

მუხლი 114

მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს განქორწინება, თუ სარჩელის წარმოებაში მიღების ან განქორწინების თხოვნის სარჩელით შეცვლის მომენტში მეუღლეები, სულ ცოტა, ორი წლის განმავლობაში განცალკევებით ცხოვრობდნენ.

მუხლი 115

მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს განქორწინება ორწლიანი ვადის გასვლამდეც, თუ ქორწინების გაგრძელება მეუღლეს არ შეიძლება მოეთხოვოს იმ მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლებიც მას ვერ შეერაცხება.

მუხლი 116 (გაუქმებულია)

მეორე თავი: მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება

მუხლი 117

[1] მეუღლეებს შეუძლიათ მოითხოვონ განცალკევებით ცხოვრება იგივე წინაპირობების არსებობისას, რაც განქორწინების შემთხვევაში.

[2] ... (გაუქმებულია)

[3] მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეხება განქორწინების მოთხოვნის უფლებას.

მუხლი 118

[1] მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებით ავტომატურად კანონის ძალით დგება მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმი.

[2] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აზრობრივად გამოიყენება მეუღლეთა ოჯახური კავშირის დაცვის ღონისძიებათა მომწესრიგებელი დანაწესები.

მესამე თავი: განქორწინების შედეგები

მუხლი 119

მეუღლე, რომელმაც დაქორწინებისას შეიცვალა თავისი გვარი, ინარჩუნებს მას განქორწინების შემდეგაც; თუმცა, მას ნებისმიერ დროს სამოქალაქო რეესტრის მოხელის წინაშე შეუძლია განაცხადოს, რომ კვლავ თავისი ქორწინებამდელი გვარის ტარება სურს.

მუხლი 120

[1] მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მიმართ მოქმედებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის (Güterrecht) მომწესრიგებელი ნორმები.

[2] განქორწინებულ მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ არა აქვთ მემკვიდრეო-

ბის უფლება და მათ არ შეუძლიათ იმ საანდერძო განკარგულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია, რომლებიც მათ დადეს განქორწინების საქმის წარმოებაში მიღებამდე.

მუხლი 121

[1] თუ მეუღლე შვილების გამო ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე უნდა დარჩეს ოჯახის საცხოვრებელ სახლში, მაშინ თვით სასამართლოსაც შეუძლია მას გადასცეს ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები, რამდენადაც აღნიშნული მეორე მხარეს შეიძლება გონივრულად მოეთხოვოს.

[2] თავდაპირველი დამქირავებელი პასუხს აგებს სოლიდარულად ქირის თანხის გადახდისათვის იმ თარიღამდე, როდესაც ქირავნობის ურთიერთობა ხელშეკრულების ან კანონის შესაბამისად წყდება ან შეიძლება შეწყდეს, თუმცა, – მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში; თუ თავდაპირველი დამქირავებელი ქირის თანხის გადახდას სასამართლო წესით ითხოვს, მაშინ მას შეუძლია ერთი თვის ქირის ოდენობით გადახდილი თანხა პროპორციულად გაქვითოს იმ საალიმენტო თანხებში, რომლებიც მას ეკისრება მეორე მეუღლის მიმართ.

[3] თუ ოჯახის საცხოვრებელი სახლი ეკუთვნის ერთ-ერთ მეუღლეს, მაშინ სასამართლოს ანალოგიური წინაპირობების არსებობისას და სათანადო საზღაურის სანაცვლოდ ან საალიმენტო თანხებში გაქვითვის პირობით შეუძლია მეორე მეუღლეს მიანიჭოს ვადიანი საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლება. თუ მნიშვნელოვანი ახალი გარემოებები ამას ითხოვს, საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლება უნდა შეიზღუდოს ან გაუქმდეს.

მუხლი 122

ქორწინების განმავლობაში განქორწინების საქმის წარმოებაში მიღების მომენტამდე პროფესიული ზრუნვიდან გამომდინარე შეძენილი მოთხოვნის უფლებები განქორწინების შემთხვევაში კომპენსირდება.

მუხლი 123

[1] თანაბრად იყოფა ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის გათვალისწინებული გადასახდელები საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების შეძენისათვის საპენსიო ფონდიდან გარანტირებული გადახდებისა (Freizügigkeitsguthaben) და წინასწარ მიღებული თანხების ჩათვლით.

[2] 1-ლი ნაწილი არ გამოიყენება კანონის თანახმად ინდივიდუალური აქტივიდან ერთჯერადი შენატანების მიმართ.

[3] ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის გათვალისწინებული გასანაწილებელი გადასახდელები გამოითვლება საპენსიო ფონდიდან გარანტირებული გადახდების შესახებ 1993 წლის 17 დეკემბრის კანონის 15–17 და 22a ან 22b მუხლების თანახმად.

მუხლი 124

[1] თუ განქორწინების საქმის წარმოებაში მიღების მომენტში მეუღლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიას იღებს კანონით გათვალისწინე-

ბული საპენსიო ასაკის მიღწევამდე, მაშინ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის გათვალისწინებულ გადასახდელად მიიჩნევა თანხა, რომლის მიღებაზეც ის უფლებამოსილი იქნებოდა შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიის გაუქმების შემდეგ თანახმად საპენსიო ფონდიდან გარანტირებული გადახდების შესახებ 1993 წლის 17 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილისა.

[2] აზრობრივად მოქმედებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის გათვალისწინებული გადასახდელების კომპენსირების მომწესრიგებელი ნორმები.

[3] ფედერალური საბჭო ადგენს, თუ რა შემთხვევებში არის დაუშვებელი თანხის საკომპენსაციოდ გამოყენება 1-ლი ნაწილის თანახმად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზედმეტად გადახდილი საპენსიო თანხების შემცირების გამო.

მუხლი 124a

[1] თუ განქორწინების საქმის წარმოებაში მიღების მომენტში მეუღლე კანონით გათვალისწინებული საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ იღებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიას ან ასაკობრივ პენსიას, მაშინ სასამართლო საპენსიო თანხის გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი შეხედულებით. ამ დროს სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქორწინების ხანგრძლივობასა და ორივე მეუღლის სამზრუნველო საჭიროებებს.

[2] უფლებამოსილი მეუღლისათვის მიკუთვნებული საპენსიო თანხის წილი გადაანგარიშდება სიცოცხლის მანძილზე გადასახდელ პენსიად. ამ უკანასკნელს მას უხდის ვალდებული მეუღლის სამზრუნველო დაწესებულება ან ის გადადის უფლებამოსილი მეუღლის სამზრუნველო სფეროში.

[3] ფედერალური საბჭო ადგენს:

1. საპენსიო თანხის წილის სიცოცხლის მანძილზე გადასახდელ პენსიად სადაზღვევო-ტექნიკურ გადაანგარიშებას;

2. პროცედურას იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს ასაკობრივი პენსიის გადახდის გადავადებას ან საპენსიო თანხების ზედმეტად გადახდის გამო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საპენსიო თანხების შემცირებას.

მუხლი 124b

[1] მეუღლეებს განქორწინების შედეგების შესახებ შეთანხმებაში შეუძლიათ თავი აარიდონ თანაბარწილად გაყოფას ან უარი თქვან სამზრუნველო თანხების თანაბარ განაწილებაზე, თუ გარანტირებულად შენარჩუნებულია ასაკობრივი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათანადო სამზრუნველო თანხები.

[2] სასამართლო უფლებამოსილ მეუღლეს აკუთვნებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის გათვალისწინებული გადასახდელების ნახევარზე ნაკლებს ან საერთოდ უარს აცხადებს თანაბარ გაყოფაზე, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძვლები. კერძოდ, მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა, როდესაც თანაბარი გაყოფა უსამართლო იქნებოდა:

1. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის ან განქორწინების შემდეგ არსებული ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით;

2. სამზრუნველო საჭიროებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი, – მეუღლეებს შორის ასაკობრივი სხვაობის მხედველობაში მიღებით.

[3] სასამართლოს შეუძლია უფლებამოსილ მეუღლეს მიაკუთვნოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის გათვალისწინებული გადასახდელების ნახევარზე მეტიც, თუ ის განქორწინების შემდეგ ზრუნავს საერთო შვილებზე, ხოლო ვალდებული მეუღლე შემდგომშიც აგრძელებს ასაკობრივი და შესაძლებლობის მქონე პირთა საკმარისი სამზრუნველო თანხების მიღებას.

მუხლი 124c

[1] ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის გათვალისწინებულ გადასახდელებთან ან საპენსიო თანხის წილთან დაკავშირებული მეუღლეთა ურთიერთმოთხოვნის უფლებები იქვითება. საპენსიო მოთხოვნის უფლებების გაქვითვა ხორციელდება უფლებამოსილი მეუღლისათვის მიკუთვნებული საპენსიო თანხის წილის გადაანგარიშებამდე.

[2] ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის გათვალისწინებული გადასახდელები საპენსიო თანხის წილთან იქვითება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ეთანხმებიან მეუღლეები და პროფესიული სამზრუნველო დაწესებულებები.

მუხლი 124d

თუ ორივე მეუღლის სამზრუნველო საჭიროებების შეფასების საფუძველზე პროფესიული სამზრუნველო აქტივებიდან კომპენსაციის გაცემა მიზანშეწონილი არ არის, მაშინ ვალდებულ მეუღლეს უფლებამოსილი მეუღლის მიმართ ეკისრება კომპენსაციის ერთიანი თანხით გადახდის ვალდებულება.

მუხლი 124e

[1] თუ პროფესიული სამზრუნველო აქტივებიდან კომპენსაციის გაცემა შეუძლებელია, მაშინ ვალდებულ მეუღლეს უფლებამოსილი მეუღლის მიმართ ეკისრება სათანადო ანაზღაურების ერთიანი თანხის ან პერიოდული გადასახდელების სახით გადახდის ვალდებულება.

[2] შვეიცარიის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს ვალდებული მეუღლის თხოვნის საფუძველზე, თუ უცხოეთში არსებული სამზრუნველო მოთხოვნის უფლებები კომპენსირდა 1-ლი ნაწილის თანახმად გადახდილი ანაზღაურების თანხით და აღნიშნული სამზრუნველო მოთხოვნის უფლებები ამის შემდგომ გაიყო უცხოეთში მიღებული იმ უცხოელისათვის შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებით, რომელსაც ეკისრება სამზრუნველო თანხების გადახდა.

მუხლი 125

[1] თუ მეუღლეს არ შეიძლება მოეთხოვოს ის, რომ მან თავად უზრუნველყოს საკუთარი თავის რჩენა სათანადო ასაკობრივი ზრუნვის ჩათვლით, მაშინ მეორე მეუღლემ მას უნდა გადაუხადოს სათანადო თანხები.

[2] კერძოდ, იმ საკითხის გადაწყვეტისას, უნდა მოხდეს თუ არა აღნიშნული თანხების გადახდა, ხოლო ასეთი თუ უნდა მოხდეს, მაშინ რა ოდენობითა და რა ვადით, – გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

1. ქორწინების განმავლობაში მოვალეობების განაწილება;
2. ქორწინების ხანგრძლივობა;

3. ქორწინების განმავლობაში ცხოვრების დონე;

4. მეუღლეთა ასაკი და ჯანმრთელობა;

5. მეუღლეთა შემოსავლები და ქონება;

6. შვილებზე ზრუნვის მოცულობა და ხანგრძლივობა, რომელიც ჯერ კიდევ მოითხოვება მეუღლეებისაგან;

7. მეუღლეთა პროფესიული განათლება და კარიერული პერსპექტივები, ისევე როგორც – მოთხოვნის უფლების მქონე პირის პროფესიულ საქმიანობაში დაბრუნებისათვის საჭირო სავარაუდო ხარჯი;

8. მოხუცთა და ცოცხლად დარჩენილ პირთა ფედერალური დაზღვევიდან და პროფესიული ან სხვა კერძო თუ სახელმწიფო ზრუნვიდან გამომდინარე სამომავლო უფლებების მიღება (Anwartschaften), მათ შორის, – ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის გათვალისწინებული გადასახდელების განაწილებიდან ამონაგები თანხები.

[3] გამონაკლისის სახით, თანხების გადახდაზე შესაძლოა ითქვას უარი ან შემცირდეს მათი მოცულობა, თუ ეს აშკარად უსამართლო იქნებოდა, განსაკუთრებით კი, – იმის გამო, რომ უფლებამოსილმა პირმა:

1. მასზე დაკისრებული ოჯახის რჩენის ვალდებულება უხეშად დაარღვია:

2. თავისი თავი სიღარიბეში განზრახ ჩაიგდო;

3. ვალდებული პირის ან მისი ახლობლის წინააღმდეგ ჩაიდინა მძიმე დანაშაული.

მუხლი 126

[1] სასამართლო ადგენს პერიოდულად გადასახდელ საალიმენტო თანხასა და განსაზღვრავს მისი გადახდის დაწყების თარიღს.

[2] თუ ეს განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, შესაძლოა დადგინდეს ერთიანი თანხის გადახდა ნაცვლად პერიოდულად გადასახდელი თანხებისა.

[3] სასამართლოს შეუძლია საალიმენტო თანხის გადახდა პირობაზე დამოკიდებული გახადოს.

მუხლი 127

მეუღლეებს შეუძლიათ შეთანხმებით მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხონ დადგენილი პერიოდული გადასახდელების ცვლილება.

მუხლი 128

სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ საალიმენტო თანხა ავტომატურად გაიზარდოს ან შემცირდეს საარსებო მინიმუმის გარკვეული ცვლილებების შემთხვევაში.

მუხლი 129

[1] გარემოებათა მნიშვნელოვანი და მყარი ცვლილების შემთხვევაში, პერიოდული გადასახდელები შეიძლება შემცირდეს, გაუქმდეს ან განსაზღვრული ვადით შეჩერდეს; უფლებამოსილი პირის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება მხედველობაში მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განქორწინების საქმეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებაში შესაძლოა დადგენილი ყოფი-

ლიყო პირისათვის მიკუთვნებული სარჩოს ოდენობისათვის საკმარისი პერიოდული გადასახდელები.

[2] უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს პერიოდული გადასახდელების მისადაგება ფასების სამომავლო ზრდასთან, თუ ვალდებული პირის შემოსავალი განქორწინების შემდეგ მოულოდნელად გაიზარდა.

[3] განქორწინებიდან ხუთი წლის განმავლობაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს პერიოდული გადასახდელების დადგენა ან მათი გაზრდა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მიკუთვნებული სარჩოს ოდენობისათვის საკმარისი პერიოდული გადასახდელების დადგენა შეუძლებელი იქნებოდა იმ პირობით, რომ ამავე დროს ვალდებული პირის ეკონომიკური მდგომარეობა შესაბამისად გაუმჯობესდა.

მუხლი 130

[1] საალიმენტო თანხის გადახდის ვალდებულება წყდება უფლებამოსილი ან ვალდებული პირის გარდაცვალებით.

[2] რამდენადაც შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, საალიმენტო თანხის გადახდის ვალდებულება აღარ არსებობს ასევე უფლებამოსილი პირის ხელახალი დაქორწინების შემთხვევაში.

მუხლი 131

[1] თუ ვალდებული პირი არ ასრულებს რჩენის ვალდებულებას, მაშინ კანტონალური სამართლით გათვალისწინებული დარგობრივი დაწესებულება შუამდგომლობის საფუძველზე და, როგორც წესი, უსასყიდლოდ დახმარებას უწევს უფლებამოსილ პირს სათანადო წესით სარჩოს მიღების მოთხოვნის უფლების აღსრულებისას.

[2] ფედერალური საბჭო განსაზღვრავს გადასახდელი თანხების ინკასირების ხელშეწყობის წესებსა და პირობებს.

მუხლი 131a

[1] საჯარო სამართლის რეგულირების სფეროში რჩება საავანსო თანხების დაფარვა, როდესაც ვალდებული პირი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ რჩენის ვალდებულებას.

[2] რამდენადაც უფლებამოსილ პირს სარჩოს უხდის თემი, რჩენის მოთხოვნის უფლება ყველა მასთან დაკავშირებული უფლებით გადადის ამ თემზე.

მუხლი 132

[1] თუ ვალდებული პირი უგულებელყოფს რჩენის ვალდებულების შესრულებას, მაშინ სასამართლოს შეუძლია მის მოვალეს დაავალოს, გადახდები სრულად ან ნაწილობრივ აწარმოოს უფლებამოსილი პირის მიმართ.

[2] თუ ვალდებული პირი ჯიუტად უგულებელყოფს რჩენის ვალდებულების შესრულებას ან თუ სავარაუდოა, რომ ის ემზადება გასაქცევად ან ანიავებს ანდა მალავს თავის ქონებას, მაშინ მას სარჩოს სამომავლო თანხებისათვის შეიძლება დაეკისროს სათანადო უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულება.

მუხლი 133

[1] სასამართლო მშობლის უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი შედეგების მომწესრიგებელი ნორმებით. კერძოდ, ის არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

1. მშობლის ზრუნვას;
2. მფარველობას;
3. პირად კონტაქტებს (მუხ. 273) ან მშობლის მოვალეობათა განაწილებას; და
4. სარჩოს ოდენობას.

[2] სასამართლო ბავშვის კეთილდღეობისათვის ყველა მნიშვნელოვან გარემოებას ითვალისწინებს. ის მხედველობაში იღებს მშობლების ერთობლივ განცხადებასა და რამდენადაც ეს შესაძლებელია, – ბავშვის აზრს.

[3] სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ სარჩოს თანხის გადახდა გაგრძელდეს ბავშვის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგაც.

მუხლი 134

[1] ერთ-ერთი მშობლის, შვილის ან ბავშვთა დაცვის ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე მშობლის ზრუნვის განაწილება ახლებურად უნდა მოწესრიგდეს, თუ ის გარემოებათა მნიშვნელოვანი ცვლილების გამო ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას.

[2] მშობლის დანარჩენი უფლება-მოვალეობების ცვლილების წინაპირობები დგინდება მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი შედეგების მომწესრიგებელი ნორმებით.

[3] თუ მშობლები თანახმა არიან, ბავშვთა დაცვის ორგანო კომპეტენტურია მშობლის ზრუნვის ახლებურ მოწესრიგებაზე, მფარველობასა და რჩენის ხელშეკრულების მოწონებაზე. დანარჩენ შემთხვევებში გადაწყვეტილებას იღებს განქორწინების საქმეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლაზე განსჯადი სასამართლო.

[4] თუ არასრულწლოვანი შვილისათვის მშობლის ზრუნვის, მეურვეობისა თუ სარჩოს თანხის ცვლილების საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სასამართლოს მხრიდან ჩარევა, მაშინ აუცილებლობის შემთხვევაში ეს უკანასკნელი ახლებურად აწესრიგებს ასევე პირად კონტაქტებსაც ან მშობლის მოვალეობათა განაწილებას; სხვა შემთხვევებში პირადი კონტაქტის ან მშობლის მოვალეობათა განაწილების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბავშვთა დაცვის ორგანო.

მუხლები 135-149 (გაუქმებულია)

მუხლები 150-158 (გაუქმებულია)

მეხუთე ტიტული: ქორწინების სამართლებრივი

შედეგები ზოგადად

მუხლი 159

[1] დაქორწინებით მეუღლეები ვალდებული არიან, იმყოფებოდნენ მეუღლეთა ოჯახური კავშირში.

[2] მეუღლეებს ორმხრივად ეკისრებათ, უზრუნველყონ ოჯახური კავშირის კეთილდღეობა ერთსულოვანი შეთანხმებული ქმედებებით და ერთობლივად იზრუნონ შვილებზე.

[3] მათ ერთმანეთის მიმართ ეკისრებათ ერთგულებისა და თანადგომის ვალდებულება.

მუხლი 160

[1] თითოეული მეუღლე ინარჩუნებს თავის გვარს.

[2] თუმცა, დასაქორწინებელ პირებს შეუძლიათ სამოქალაქო რეესტრის მოხელის წინაშე განაცხადონ იმის შესახებ, რომ მათ სურთ პატარძლის ან საქმროს ქორწინებამდელი გვარის ტარება.

[3] თუ დასაქორწინებელი პირები ინარჩუნებენ თავიანთ გვარებს, მაშინ ისინი წყვეტენ, თუ მათი ქორწინებამდელი რომელი გვარი უნდა ატარონ შვილებმა. იმ შემთხვევებში, როდესაც ეს დასაბუთებულია, სამოქალაქო რეესტრის მოხელეს შეუძლია გაანთავისუფლოს დასაქორწინებელი პირები აღნიშნული ვალდებულებისაგან.

მუხლი 161

თითოეული მეუღლე ინარჩუნებს თავისი კანტონისა და თემის მოქალაქეობას.

მუხლი 162

მეუღლეები ერთობლივად განსაზღვრავენ საერთო საცხოვრებელ სახლს.

მუხლი 163

[1] მეუღლეები ერთობლივად – თითოეული თავისი შესაძლებლობის შესაბამისად – ზრუნავენ ოჯახის სათანადო რჩენაზე.

[2] მეუღლეები თანხმდებიან თითოეულის მიერ განსახორციელებელ თანამონაწილეობაზე, სახელდობრ, – ფულადი თანხების გადახდის, საოჯახო მეურნეობის მოვლის, შვილებზე ზრუნვის ან მეორე მეუღლის პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის გზით.

[3] ზემოაღნიშნულის დროს მეუღლეები ითვალისწინებენ ოჯახური კავშირისა და თავიანთ პირად საჭიროებებს.

მუხლი 164

[1] მეუღლეს, რომელიც უვლის საოჯახო მეურნეობას, ზრუნავს შვილებზე ან ხელს უწყობს მეორე მეუღლეს პროფესიულ ან სამეწარმეო საქმიანობაში, აქვს მოთხოვნის უფლება იმაზე, რომ მეორე მეუღლემ მას თავისუფალი განკარგვი-

სათვის რეგულარულად გადასცეს სათანადო თანხები.

[2] აღნიშნული თანხების განსაზღვრისათვის მხედველობაში მიიღება უფლებამოსილი მეუღლის პირადი შემოსავლები და პასუხისმგებლობის გრძნობით განხორციელებული ზრუნვა ოჯახზე, პროფესიასა თუ სამეწარმეო საქმიანობაზე.

მუხლი 165

[1] თუ ერთ-ერთი მეუღლის თანამონაწილეობა მეორე მეუღლის პროფესიულ ან სამეწარმეო საქმიანობაში მნიშვნელოვნად აღემატება იმ ოდენობას, რაც მისგან მოითხოვება ოჯახის რჩენისათვის, მაშინ ასეთ შემთხვევაში ამ მეუღლეს აქვს სათანადო კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

[2] აღნიშნული წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეუღლემ საკუთარი შემოსავლიდან ან ქონებიდან გაცილებით მეტი გაიღო ოჯახის რჩენისათვის, ვიდრე ის ვალდებული იყო.

[3] თუმცა, მეუღლეს არ შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნა, თუ მან თავისი საგანგებო გადახდები განახორციელა შრომითი, სესხისა თუ ამხანაგობის ხელშეკრულებების ანდა სხვა სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე.

მუხლი 166

[1] თანაცხოვრების პერიოდში ოჯახის მიმდინარე ყოველდღიურ საჭიროებებთან დაკავშირებით ნებისმიერი მეუღლე წარმოადგენს მეუღლეთა ოჯახურ კავშირს.

[2] ოჯახის სხვა საჭიროებებთან დაკავშირებით მეუღლეს შეუძლია წარმოადგინოს ოჯახური კავშირი მხოლოდ იმ შემთხვევაში:

1. თუ ის ამაზე მეორე მეუღლისაგან ან სასამართლოსაგან იქნა უფლებამოსილი;

2. თუ ოჯახური კავშირის ინტერესები ვერ ითმენს დახანებას და მეორე მეუღლეს ავადმყოფობის, არყოფნისა თუ მსგავსი მიზეზების გამო არ შეუძლია თანხმობის მიცემა.

[3] ყოველი მეუღლე საკუთარი მოქმედებებით პირადად კისრულობს ვალდებულებას, ხოლო რამდენადაც ეს არ სცილდება მესამე პირებისათვის შესამჩნევ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, – ის ასევე აკისრებს სოლიდარულ ვალდებულებას მეორე მეუღლესაც.

მუხლი 167

საკუთარი პროფესიული თუ სამეწარმეო საქმიანობის არჩევის ან განხორციელებისას ყოველი მეუღლე მხედველობაში უნდა იღებდეს მეორე მეუღლის ინტერესებსა და ოჯახური კავშირის კეთილდღეობას.

მუხლი 168

რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ადგენს, ყოველ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლესთან ან მესამე პირებთან გარიგებების დადება.

მუხლი 169

[1] მეუღლეს მხოლოდ მეორე მეუღლის პირდაპირ გამოხატული თანხმობით შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა, საცხოვრებელი სახლისა თუ ბინის გასხვისება ან სხვა გარიგებებით საცხოვრებელ ფართზე ოჯახის კუთვნილი უფლებების შეზღუდვა.

[2] თუ მეუღლეს აღნიშნული თანხმობის მიღება არ შეუძლია ან თუ მას თანხმობის მიცემაზე მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე უცხადებენ უარს, მაშინ მეუღლეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 170

[1] ყოველ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლისაგან მოითხოვოს ამ უკანასკნელის შემოსავლების, ქონებისა და ვალების შესახებ ინფორმაცია.

[2] ერთ-ერთი მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მეორე მეუღლე ან მესამე პირი, მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია და წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტები.

[3] ზემოაღნიშნული წესი არ მოქმედებს ადვოკატების, ნოტარიუსების, ექიმების, სასულიერო პირებისა და მათი დამხმარე პირთა პროფესიული საიდუმლოების მიმართ.

მუხლი 171

კანტონებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ საქორწინო ურთიერთობებში სირთულეების არსებობის შემთხვევაში მეუღლეებს შეეძლოთ ერთობლივად ან ცალ-ცალკე საქორწინო-საოჯახო საკითხებში საკონსულტაციო დაწესებულებებისათვის მიმართვა.

მუხლი 172

[1] თუ მეუღლე არ ასრულებს ოჯახის წინაშე თავის ვალდებულებებს ან თუ მეუღლეები ვერ თანხმდებიან ოჯახურ კავშირთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შეუძლიათ ერთობლივად ან ცალ-ცალკე მედიაციისათვის (Vermittlung) მიმართონ სასამართლოს.

[2] სასამართლო ახსენებს მეუღლეებს მათ ვალდებულებებს და ცდილობს მათ შერიგებას; მეუღლეთა თანხმობით სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს ექსპერტი ან გადაამისამართოს ისინი საქორწინო-საოჯახო საკითხებში საკონსულტაციო დაწესებულებასთან.

[3] აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო ერთ-ერთი მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს. აზრობრივად გამოიყენება ძალადობისაგან, მუქარისა თუ დევნისაგან პიროვნების დაცვის მომწესრიგებელი დანაწესი.

მუხლი 173

[1] მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო განსაზღვრავს ოჯახის რჩენისათვის გადასახდელ ფულად თანხებს.

[2] ანალოგიურად მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო განსაზღვრავს იმ მეუღლისათვის გადასახდელ თანხას, რომელიც უძღვება საოჯახო მეურნეობას, ზრუნავს შვილებზე ან ხელს უწყობს მეორე მეუღლეს პროფე-

სიულ ან სამეწარმეო საქმიანობაში.

[3] გადახდები შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სამომავლოდ და შუამდგომლობის წარდგენამდე ერთი წლის ვადისათვის.

მუხლი 174

[1] თუ მეუღლე ამეტებს ოჯახური კავშირის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ან ის უუნარო აღმოჩნდება, განახორციელოს ეს უფლებამოსილება, მაშინ სასამართლოს მეორე მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოართვას მას აღნიშნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

[2] შუამდგომლობის წარმდგენ მეუღლეს პერსონალური შეტყობინების გაგზავნით შეუძლია გააგებინოს მესამე პირებს უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ.

[3] წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ჩამორთმევა კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს განკარგულების საფუძველზე მოხდა მისი გასაჯაროება.

მუხლი 175

მეუღლე უფლებამოსილია, საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოება შეაჩეროს მანამდე, სანამ მის პიროვნებას, ეკონომიკურ უსაფრთხოებას ან ოჯახის კეთილდღეობას თანაცხოვრების შედეგად მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება.

მუხლი 176

[1] თუ საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოების შეჩერება გამართლებულია, მაშინ სასამართლომ ერთ-ერთი მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა:

1. განსაზღვროს შვილებისა და მეორე მეუღლის მიმართ გადასახდელი სარჩოს თანხების ოდენობა;

2. მოაწესრიგოს საცხოვრებელი ბინით სარგებლობისა და საშინაო ნივთების გამოყენების საკითხები;

3. დაადგინოს მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმი, თუ ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია.

[2] აღნიშნული შუამდგომლობის დაყენება მეუღლეს შეუძლია ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც თანაცხოვრება შეუძლებელია, სახელდობრ, – იმის გამო, რომ მეორე მეუღლე დაუსაბუთებლად უარს ამბობს მასზე.

[3] თუ მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, მაშინ სასამართლო აუცილებელ ზომებს იღებს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი შედეგების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 176a

შესაბამისად გამოიყენება განქორწინებისა და მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი შედეგების შემთხვევაში თანხების ინკასირების ხელშეწყობისა და საავანსო თანხების შესახებ ნორმები.

მუხლი 177

თუ მეუღლე არ ასრულებს ოჯახის წინაშე მასზე დაკისრებულ რჩენის ვალდებულებას, მაშინ სასამართლოს შეუძლია მის მოვალეს დაავალოს, გადახდები სრულად ან ნაწილობრივ აწარმოოს მეორე მეუღლის მიმართ.

მუხლი 178

[1] რამდენადაც ამას ითხოვს ოჯახის ეკონომიკური ბაზისის უსაფრთხოება ან მეუღლეთა ოჯახური კავშირიდან გამომდინარე ქონებრივი ვალდებულებების შესრულება, სასამართლოს მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია განსაზღვრული აქტივების განკარგვა დამოკიდებული გახადოს მის თანხმობაზე.

[2] სასამართლო იღებს სათანადო საუზრუნველყოფო ზომებს.

[3] თუ სასამართლო უკრძალავს მეუღლეს მიწის ნაკვეთის განკარგვას, მაშინ მან ამის შესახებ საკუთარი ინიციატივით შესაბამისი ჩანაწერი უნდა გააკეთოს საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 179

[1] თუ ადგილი აქვს არსებული გარემოებების ცვლილებას, მაშინ სასამართლო მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე ახდენს მიღებული ზომების ცვლილებებისადმი მისადაგებას ან აუქმებს ამ ზომებს, თუ მათი არსებობა გაუმართლებელი გახდა. აზრობრივად მოქმედებს განქორწინების შემთხვევაში გარემოებათა ცვლილების მომწესრიგებელი ნორმები.

[2] თუ მეუღლეები განაახლებენ თანაცხოვრებას, მაშინ უქმდება განცალკევებით ცხოვრებისათვის მიღებული ზომები, გარდა მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმისა და შვილების უფლებათა დაცვის ღონისძიებებისა.

მუხლი 180 (გაუქმებულია)

მეექვსე ტიტული: მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 181

მეუღლეთა მიმართ მოქმედებს მათ მიერ ერთობლივად შეძენილ ქონებაში თანამონაწილეობის (Errungenschaftsbeteiligung) შესახებ დებულებები, რამდენადაც საქორწინო ხელშეკრულებით ისინი სხვაგვარად არ შეთანხმებულან ან არ დგება საგანგებო ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი (der ausserordentliche Güterstand).

მუხლი 182

[1] საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს დაქორწინებამდე ან დაქორწინების შემდეგ.

[2] დასაქორწინებელ პირებს ან მეუღლეებს შეუძლიათ აირჩიონ, გააუქმონ ან შეცვალონ თავიანთი ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში.

მუხლი 183

[1] პირი, რომელსაც სურს საქორწინო ხელშეკრულების დადება, უნდა შეეძლოს თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა

[2] არასრულწლოვანი პირები, ისევე როგორც იმ მზრუნველობის ქვეშ მყოფი სრულწლოვანი პირები, რომელიც მოიცავს საქორწინო ხელშეკრულების დადებას, საჭიროებენ მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.

მუხლი 184

საქორწინო ხელშეკრულება ოფიციალურად უნდა დამოწმდეს და ის ხელმოწერილ უნდა იქნეს ხელშეკრულების მხარეების, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

მუხლი 185

[1] მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმი დგინდება სასამართლოს მიერ, თუ სახეზეა საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძველი.

[2] სახელდობრ, მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა:

1. თუ მეორე მეუღლე აღმოჩნდება ზედავალიანებაში ან მოხდება საერთო საკუთრებაში მისი წილის დაყადაღება;

2. თუ მეორე მეუღლე საფრთხეს უქმნის შუამდგომლობის წარმდგენის ან ოჯახური კავშირის ინტერესებს.

3. თუ მეორე მეუღლე გაუმართლებლად უარს აცხადებს საერთო ქონების განკარგვისათვის საჭირო თანხმობის მიცემაზე;

4. თუ მეორე მეუღლე უარს ამბობს შუამდგომლობის წარმდგენისათვის თავისი შემოსავლების, ქონებისა და ვალების ან საერთო ქონების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე;

5. თუ მეორე მეუღლეს მყარად არ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა.

[3] თუ მეუღლეს მყარად არ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა, მაშინ მის კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია ამ საფუძვლით მოითხოვოს ასევე მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმის დადგენა.

მუხლი 186 (გაუქმებულია)

მუხლი 187

[1] მეუღლეებს ნებისმიერ დროს საქორწინო ხელშეკრულებით შეუძლიათ შეთანხმდნენ თავდაპირველი ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის აღდგენაზე ან სხვა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმზე.

[2] თუ მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმის არსებობის საფუძველი აღარ

არსებობს, მაშინ სასამართლოს მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს თავდაპირველი ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის აღდგენა.

მუხლი 188

თუ იმ მეუღლის ქონებაზე, რომელიც ცხოვრობს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში, იხსნება გაკოტრების საქმე, მაშინ ავტომატურად კანონის ძალით დგება მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმი.

მუხლი 189

თუ იმ მეუღლის მიმართ, რომელიც ცხოვრობს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში, საკუთარი ვალებისათვის ხორციელდება იძულებითი აღსრულება და ხდება საერთო საკუთრებაში მისი წილის დაყადაღება, მაშინ იძულებითი აღსრულების საზედამხედველო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს სასამართლოსაგან მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმის დადგენა.

მუხლი 190

[1] შუამდგომლობა მიმართულია ორივე მეუღლის წინააღმდეგ.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 191

[1] თუ კრედიტორების მოთხოვნები კმაყოფილდება, მაშინ სასამართლოს მეუღლის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის აღდგენა.

[2] საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მათ მიერ შეძენილ ქონებაში თანამონაწილეობაზე.

მუხლი 192

რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ადგენს, იმ შემთხვევაში, თუ დგება მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმი, მაშინ მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მიმართ მოქმედებს თავდაპირველი ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 193

[1] მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის დადგენით ან შეცვლით ანდა მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფით დაუშვებელია იმ აქტივის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, რომლისაგანაც მანამდე ერთ-ერთი მეუღლის ან ოჯახური კავშირის კრედიტორებს შეეძლოთ დაკმაყოფილების მიღების მოთხოვნა.

[2] თუ ასეთი აქტივი გადაეცა ერთ-ერთ მეუღლეს, მაშინ ვალები ამ უკანასკნელმა უნდა გადაიხადოს, თუმცა მას შეუძლია გაითავისუფლოს თავი აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან იმდენად, რამდენადაც ის დაამტკიცებს, რომ მიღებული აქტივი არ არის საკმარისი ვალების დასაფარად.

მუხლი 194 (გაუქმებულია)

მუხლი 195

[1] რამდენადაც მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, თუ ერთმა მეუღლემ მეორეს პირდაპირ გამოხატული ფორმით ან უსიტყვოდ სამართავად გადასცა თავისი ქონება, მაშინ მოქმედებს დავალების მომწესრიგებელი ნორმები.

[2] შენარჩუნებულია მეუღლეთა შორის ვალების დაფარვის მომწესრიგებელი ნორმების მოქმედება.

მუხლი 195a

[1] ყოველ მეუღლეს ნებისმიერ დროს შეუძლია მეორე მეუღლისაგან მოითხოვოს მათი აქტივების ნუსხის საჯარო აქტის სახით შედგენის ხელშეწყობა.

[2] ივარაუდება, რომ აღნიშნული ნუსხა სწორია, თუ მისი შედგენა მოხდა აქტივების მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმში მოქცევიდან ერთი წლის განმავლობაში.

მეორე თავი: მეუღლეთა მიერ შეძენილ ქონებაში თანამონაწილეობის სტანდარტული ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი

მუხლი 196

მეუღლეთა მიერ შეძენილ ქონებაში თანამონაწილეობის ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი მოიცავს ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებასა და თითოეული მეუღლის პირად ქონებას.

მუხლი 197

[1] ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას შეადგენს ის ქონებრივი ობიექტები, რომლებსაც მეუღლე სასყიდლით იძენს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის განმავლობაში.

[2] კერძოდ, მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მოიცავს:

1. მის შრომით შემოსავალს;
2. დასაქმებულთა კეთილდღეობაზე ზრუნვის სქემებიდან, სოციალური დაზღვევიდან და სოციალური დაცვის დაწესებულებებიდან მიღებულ გადახდებს;
3. საზღაურს შრომისუუნარობისათვის;
4. მისი პირადი ქონებიდან მიღებულ შემოსავლებს;
5. ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების სანაცვლოდ მიღებულ აქტივს.

მუხლი 198

კანონის ძალით მეუღლის პირად ქონებას მიეკუთვნება:

1. საგნები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ მეუღლის პირადი სარგებლობისათვის;
2. ქონებრივი ობიექტები, რომლებიც მეუღლეს ეკუთვნის ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის დადგენის მომენტში ან მას შემდგომში მემკვიდრეობით ან

სხვაგვარად უსასყიდლოდ გადაეცემა;

3. მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლებები;

4. პირადი ქონების სანაცვლოდ მიღებული აქტივი.

მუხლი 199

[1] მეუღლეებს საქორწინო ხელშეკრულებით შეუძლიათ პირად ქონებად გამოაცხადონ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ის ქონებრივი ობიექტები, რომლებიც განკუთვნილია პროფესიულ ან სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებისათვის.

[2] გარდა აღნიშნულისა, მეუღლეებს საქორწინო ხელშეკრულებით შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ პირადი ქონებიდან მიღებული შემოსავლები არ ჩაითვალოს ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებად.

მუხლი 200

[1] პირმა, რომელიც ირწმუნება, რომ განსაზღვრული ქონებრივი ობიექტი წარმოადგენს ერთი ან მეორე მეუღლის საკუთრებას, უნდა დაამტკიცოს ეს.

[2] თუ ასეთი მტკიცებულება ვერ იქნება წარმოდგენილი, მაშინ ივარაუდება ორივე მეუღლის თანასაკუთრების არსებობა.

[3] საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე მეუღლის ყველა აქტივი მიიჩნევა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებად.

მუხლი 201

[1] კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში ყოველი მეუღლე მართავს და იყენებს თავის ქორწინების განმავლობაში შეძენილ და პირად ქონებას და ასევე – განკარგავს აღნიშნულ ქონებას.

[2] რამდენადაც მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, თუ ქონებრივი ობიექტი წარმოადგენს ორივე მეუღლის თანასაკუთრებას, მაშინ არც ერთ მეუღლეს არ შეუძლია მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე თავისი წილის განკარგვა.

მუხლი 202

ყოველი მეუღლე საკუთარი ვალებისათვის პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით.

მუხლი 203

[1] ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი გავლენას ვერ ახდენს მეუღლეთა შორის ვალდებულებების ვადამოსულობაზე.

[2] თუ ამავე დროს ფულადი ვალდებულებების შესრულება ან გადასაცემი ნივთების დაბრუნება ვალდებული მეუღლისათვის ისეთ მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომ საფრთხეს უქმნის ოჯახურ კავშირს, მაშინ ამ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს მისთვის შესაბამისი ვადების მიცემა; მოთხოვნა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, თუ ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია.

მუხლი 204

[1] ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი უქმდება მეუღლის გარდაცვალებით ან სხვა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის შეთანხმებით.

[2] განქორწინების, მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, ქორწინების ბათილად გამოცხადების ან მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმის დადგენის შემთხვევაში, ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმებას აქვს უკუქცევითი ძალა იმ დღისათვის, როდესაც წარდგენილ იქნა შუამდგომლობა.

მუხლი 205

[1] ყოველი მეუღლე უკან იბრუნებს თავის იმ ქონებრივ ობიექტებს, რომლებიც იმყოფება მეორე მეუღლის მფლობელობაში.

[2] თუ ქონებრივი ობიექტი იმყოფება თანასაკუთრებაში, ხოლო ერთ-ერთი მეუღლე ამტკიცებს მისი თავისთან ქონის უპირატესი ინტერესის არსებობას, მაშინ მას, გარდა სხვა კანონისმიერი ღონისძიებებისა, შეუძლია მოითხოვოს, რომ აღნიშნული ქონებრივი ობიექტი განუყოფლად გადაეცეს მას მეორე მეუღლისათვის კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ.

[3] მეუღლეები აწესრიგებენ თავიანთ ორმხრივ ვალდებულებებს.

მუხლი 206

[1] თუ მეუღლემ გაიღო თანხები მეორე მეუღლის აქტივების შესაძენად, გასაუმჯობესებლად ან შესანარჩუნებლად შესაბამისი სამაგიერო შესრულების გარეშე და საერთო ქონების გაყოფის მომენტში სახეზეა ნამეტი ღირებულება, მაშინ მისი მოთხოვნა შეესაბამება მის მიერ გაღებული თანხის ნაწილს და მისი მოცულობა გამოითვლება აქტივების მიმდინარე ღირებულების შესაბამისად; თუ, პირიქით, სახეზეა აქტივების ღირებულების შემცირება, მაშინ მოთხოვნა შეესაბამება თავდაპირველ თანხას.

[2] თუ აღნიშნული ქონებრივი ობიექტებიდან ერთ-ერთი მანამდე გასხვისდა, მაშინ მოთხოვნის მოცულობა გამოითვლება გასხვისებისას მიღებული ამონაგები თანხის მიხედვით, ხოლო მოთხოვნა კი დაუყოვნებლივ ექვემდებარება შესრულებას.

[3] წერილობითი შეთანხმებით მეუღლეებს შეუძლიათ გამორიცხონ ან შეცვალონ ნამეტ ღირებულებაში თავიანთი მონაწილეობა.

მუხლი 207

[1] თითოეული მეუღლის ქორწინების განმავლობაში შეძენილი და პირადი ქონება ერთმანეთისაგან გამოიყოფა მათი ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმების მომენტში არსებული შემადგენლობის მიხედვით.

[2] ერთჯერადად გადახდილი თანხა, რომელიც მეუღლემ მიიღო სამზრუნველო დაწესებულებიდან ან შრომისუუნარობისათვის, დაემატება იმ პერიოდული გადასახდელების ჯამური ღირებულების თანხას, რომელთა მიღებაზეც უფლებამოსილი იქნებოდა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმების შემთხვევაში.

მუხლი 208

[1] ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას ასევე ემატება:

1. ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმებამდე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებული უსასყიდლო ქონებრივი გადაცემები (Zuwendungen), გარდა ჩვეულებრივი ცხოვრებისეული საჩუქრებისა;

2. ერთი მეუღლის მიერ ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის განმავლობაში მეორე მეუღლის თანამონაწილეობის წილის შემცირების მიზნით გასხვისებული ქონებრივი ობიექტები.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 209

[1] თუ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ვალები იფარება მეუღლის პირადი ქონებიდან ან პირადი ქონების ვალები იფარება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებიდან, მაშინ მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას არსებობს კომპენსაციის გადახდის მოთხოვნა.

[2] ვალი ტვირთავს იმ ქონებრივ მასას, რომელთანაც ის საგნობრივად არის დაკავშირებული, თუმცა საეჭვოობისას ის ტვირთავს ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას.

[3] თუ ერთ ქონებრივ მასას მიკუთვნებული აქტივები გამოყენებულ იქნა მეორე მეუღლის ქონებრივი ობიექტების შესაძენად, გასაუმჯობესებლად ან შესანარჩუნებლად და სახეზეა ქონების ღირებულების გაზრდა ან შემცირება, მაშინ კომპენსაციის გადახდის მოთხოვნა შეესაბამება თანამონაწილეობის წილსა და გამოითვლება საერთო ქონების გაყოფის ან გასხვისების მომენტში ქონებრივი ობიექტების ღირებულების მიხედვით.

მუხლი 210

[1] ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების საერთო ღირებულება, მათ შორის, მასზე დამატებული ქონებრივი ობიექტები და კომპენსაციის გადახდის მოთხოვნები, მასზე არსებული ვალდებულებების გამოკლებით ქმნის ნამეტს (Vorschlag).

[2] ზარალი (Rückschlag) მხედველობაში არ მიიღება.

მუხლი 211

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას ქონებრივი ობიექტების ღირებულება დგინდება საბაზრო ფასით.

მუხლი 212

[1] იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ღირებულება, რომელსაც მეუღლე უძღვება როგორც მესაკუთრე ან რომლისათვისაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლე ან შთამომავალი წარადგენს დასაბუთებულ მოთხოვნის უფლებას მის განუყოფლად გადაცემაზე, დგინდება ნამეტი ღირებულების წილისა და განაწილებაში თანამონაწილეობის მოთხოვნის გაანგარიშებისას წმინდა კაპიტალიზირებული შემოსავლების დადგენით.

[2] სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მესაკუთრეს ან მის მემკვიდრეებს მეორე

მეუღლის მიმართ შეუძლიათ ნამეტი ღირებულების წილისა თუ განაწილებაში თანამონაწილეობის მოთხოვნის სახით წარადგინონ პრეტენზია მხოლოდ იმ თანხაზე, რომელსაც ისინი მიიღებდნენ საწარმოს ღირებულების საბაზრო ფასით ჩათვლისას.

[3] აზრობრივად მოქმედებს ღირებულების დადგენისა და თანამემკვიდრეების მოგებაში მონაწილეობის მომწესრიგებელი სამემკვიდრეო-სამართლებრივი ნორმები.

მუხლი 213

[1] ჩასათვლელი ღირებულება შეიძლება შესაბამისად გაიზარდოს, თუ ეს განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია.

[2] კერძოდ, განსაკუთრებულ გარემოებებად მიიჩნევა ცოცხლად დარჩენილი მეუღლის რჩენის საჭიროება, სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შესყიდვის ფასი საინვესტიციო შენატანების ჩათვლით ან იმ მეუღლის ქონებრივი მდგომარეობა, რომელსაც ეს საწარმო ეკუთვნის.

მუხლი 214

[1] მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმის გაუქმებისას სახეზე არსებული ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ღირებულების დადგენისათვის განმსაზღვრელია მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მომენტი.

[2] იმ ქონებრივი ობიექტებისათვის, რომლებიც ასევე ემატება ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას, განმსაზღვრელია ის დღე, როდესაც მოხდა მათი გასხვისება.

მუხლი 215

[1] თითოეულ მეუღლეს ან მის მემკვიდრეს ეკუთვნის მეორე მეუღლის ქონების ნამეტის ნახევარი.

[2] მოთხოვნები იქვითება.

მუხლი 216

[1] საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ქონების ნამეტში განსხვავებული თანამონაწილეობა.

[2] აღნიშნულ შეთანხმებებს ვერ ექნება უარყოფითი შედეგები არასაერთო შვილებისა და მათი შთამომავლების მხრიდან სამკვიდრო ქონებაში სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებების მიმართ.

მუხლი 217

განქორწინების, მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, ქორწინების ბათილად გამოცხადების ან მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმის დადგენის შემთხვევაში ქონების ნამეტში კანონისმიერი თანამონაწილეობის შეცვლის შესახებ შეთანხმებები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქორწინო ხელშეკრულება ამას პირდაპირ ითვალისწინებს.

მუხლი 218

[1] თუ თანამონაწილეობის მოთხოვნისა და ნამეტი ღირებულების წილის დაუყოვნებელი გადახდა ვალდებულ მეუღლეს უქმნის მნიშვნელოვან სირთულეებს, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს მისთვის შესაბამისი გადახდის ვადების მიცემა.

[2] რამდენადაც მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, თანამონაწილეობის მოთხოვნისა და ნამეტი ღირებულების წილს ერიცხება პროცენტი მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის დასრულების მომენტიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, – მოთხოვნა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

მუხლი 219

[1] იმისათვის, რომ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეეძლოს თავდაპირველი ყოფა-ცხოვრების წესის შენარჩუნება, თავისი მოთხოვნის საფუძველზე მას მისაღები აქტივის ანგარიშში მიენიჭება უზუფრუქტი ან ცხოვრების უფლება იმ სახლსა თუ საცხოვრებელ ბინაზე, სადაც მეუღლეები ცხოვრობდნენ და რომელიც ეკუთვნოდა გარდაცვლილ მეუღლეს; საქორწინო ხელშეკრულებით დასაშვებია განსხვავებულ წესზე შეთანხმება.

[2] ანალოგიური წინაპირობების არსებობისას ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს საშინაო ნივთებზეც საკუთრების უფლების მისთვის გადაცემა.

[3] იქ, სადაც ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ან გარდაცვლილი მეუღლის კანონისმიერი მემკვიდრეების მოთხოვნის საფუძველზე უზუფრუქტის ან ცხოვრების უფლების ნაცვლად სახლსა თუ საცხოვრებელ ბინაზე შეიძლება მინიჭებულ იქნეს საკუთრების უფლება.

[4] ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს არ შეუძლია აღნიშნული უფლებების დადგენის მოთხოვნა იმ ფართებზე, რომლებშიც მამკვიდრებელი ახორციელებდა პროფესიულ ან სამეწარმეო საქმიანობას და რომლებიც ესაჭიროება მის შთამომავალს ამ საქმიანობის გაგრძელებისათვის; შენარჩუნებულია საგლეხო მეურნეობის მემკვიდრეობის სამართლის ნორმების მოქმედება.

მუხლი 220

[1] თუ ვალდებულების მეუღლის ქონება ან მისი სამკვიდრო მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას ვერ ფარავს თანამონაწილეობის მოთხოვნას, მაშინ უფლებამოსილ მეუღლეს ან მის მემკვიდრეებს შეუძლიათ მოსარგებლე მესამე პირებისაგან დანაკლისის ოდენობით მოითხოვონ იმ გადაცემული ქონების დაბრუნება, რომელიც უნდა დაემატოს ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას.

[2] სარჩელის წარდგენის უფლება ქარწყლდება ერთი წლის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც მეუღლემ ან მისი მემკვიდრეებმა შეიტყვეს თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ, თუმცა, – ნებისმიერ შემთხვევაში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმებიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

[3] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აზრობრივად მოქმედებს საანდერძო განკარგულებათა სამემკვიდრეო-სამართლებრივი შემცირების შესახებ სა-

რჩელის (erbrechtliche Herabsetzungsklage) მომწესრიგებელი ნორმები.

მესამე თავი: მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი

მუხლი 221

საერთო ქონების რეჟიმში მეუღლეთა ქონება მოიცავს საერთო საკუთრებასა და თითოეული მეუღლის პირად ქონებას.

მუხლი 222

[1] მეუღლეთა საერთო ქონების ზოგადი რეჟიმი აერთიანებს მეუღლეთა აქტივებსა და საერთო საკუთრებიდან მიღებულ შემოსავლებს, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც კანონის თანახმად ქმნის პირად ქონებას.

[2] საერთო საკუთრება განუყოფლად ეკუთვნის ორივე მეუღლეს.

[3] არც ერთ მეუღლეს არ შეუძლია საერთო საკუთრებაში თავისი წილის განკარგვა.

მუხლი 223

[1] მეუღლეებს საქორწინო ხელშეკრულებაში შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ საერთო ქონების დროს შემოიფარგლონ მხოლოდ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებით.

[2] პირადი ქონებიდან მიღებული შემოსავლები ხდება საერთო საკუთრება.

მუხლი 224

[1] საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ საერთო ქონებიდან ამორიცხონ განსაზღვრული ქონებრივი ობიექტები ან ქონებრივი ობიექტების სახეები, როგორიცაა მიწის ნაკვეთები, მეუღლის შრომითი შემოსავალი ან ის ქონებრივი ობიექტები, რომლებიც გამოიყენება პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობისათვის.

[2] რამდენადაც სხვა რამ არ არის შეთანხმებული, აღნიშნული ქონებრივი ობიექტებიდან მიღებული შემოსავლები არ ხდება საერთო საკუთრება.

მუხლი 225

[1] პირადი ქონება წარმოიშობა საქორწინო ხელშეკრულებით, მესამე პირის მიერ განხორციელებული ქონებრივი გადაცემით ან კანონის ძალით.

[2] კანონის ძალით თითოეული მეუღლის პირად ქონებას ქმნის ის საგნები, რომლებიც ექსკლუზიურად მის პირად სარგებლობაში იმყოფება, ისევე როგორც – მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლებები.

[3] ის, რაც მეუღლემ სავალდებულო წილის სახით უნდა მოითხოვოს, მას თავისი ნათესავებისაგან პირადი ქონების სახით ვერ გადაეცემა, რამდენადაც საქორწინო ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ აღნიშნული ქონებრივი ობიექტები საერთო საკუთრებას წარმოადგენს.

მუხლი 226

ყველა ქონებრივი ობიექტი ივარაუდება საერთო საკუთრებად მანამდე, სანამ არ დამტკიცდება, რომ ის წარმოადგენს მეუღლის პირად ქონებას.

მუხლი 227

[1] მეუღლეები საერთო საკუთრებას მართავენ მეუღლეთა ოჯახური კავშირის ინტერესებში.

[2] თითოეულ მეუღლეს შეუძლია ჩვეულებრივი მართვის ფარგლებში იკისროს ვალდებულება ოჯახური კავშირის სახელით და განკარგოს საერთო საკუთრება.

მუხლი 228

[1] ჩვეულებრივი მართვის მიღმა მეუღლეებს მხოლოდ ერთობლივად – ან ერთ-ერთ მათგანს მხოლოდ მეორის თანხმობით – შეუძლიათ ოჯახური კავშირის სახელით ვალდებულების კისრება და საერთო საკუთრების განკარგვა.

[2] მესამე პირებს შეუძლიათ ივარაუდონ აღნიშნული თანხმობა, რამდენადაც მათ არ იციან ან არ უნდა იცოდნენ, რომ ასეთი არ არსებობს.

[3] შენარჩუნებულია მეუღლეთა ოჯახური კავშირის წარმომადგენლობის მომწესრიგებელი ნორმების მოქმედება.

მუხლი 229

თუ მეუღლე მეორე მეუღლის თანხმობით საკუთარ პროფესიულ ან სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს საერთო საკუთრების აქტივების გამოყენებით, მაშინ მას შეუძლია ყველა იმ გარიგების დადება, რომელსაც მოიცავს ასეთი აქტივობები.

მუხლი 230

[1] მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე მეუღლეს არ შეუძლია არც იმ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა, რომელიც გახდებოდა საერთო საკუთრება, და არც ზედავალიანების მქონე სამკვიდროს მიღება.

[2] თუ მეუღლეს აღნიშნული თანხმობის მიღება არ შეუძლია ან თუ მას თანხმობის მიცემაზე მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე ეტყვიან უარს, მაშინ მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 231

[1] საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული მოქმედებებისათვის თითეული მეუღლე ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმებისას პასუხს აგებს როგორც რწმუნებული.

[2] საერთო საკუთრების მართვის ხარჯები ანაზღაურდება საერთო საკუთრების აქტივებიდან.

მუხლი 232

[1] ყოველი მეუღლე კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში მართავს თავის პირად ქონებას და განკარგავს მას.

[2] თუ პირად ქონებას ემატება შემოსავლები, მართვის ხარჯები ანაზღაურდე-

ბა ამ ქონებიდან.

მუხლი 229

თითეული მეუღლე პასუხისმგებელია თავისი პირადი ქონებითა და საერთო საკუთრებით:

1. იმ ვალებისათვის, რომლებსაც ის კისრულობს მასზე დაკისრებული მეუღლეთა ოჯახური კავშირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისას ან საერთო საკუთრების მართვისათვის;

2. იმ ვალებისათვის, რომლებსაც ის კისრულობს პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, რამდენადაც აღნიშნულისათვის გამოიყენება საერთო საკუთრება ან მისგან მიღებული შემოსავლები საერთო საკუთრება ხდება;

3. იმ ვალებისათვის, რომლებისათვის მეორე მეუღლეც არის პირადად პასუხისმგებელი;

4. იმ ვალებისათვის, რომელთა დაკავშირებითაც მეუღლეები მესამე პირთან შეთანხმდნენ, რომ საერთო საკუთრება პასუხისმგებელია მოვალის პირად ქონებასთან ერთად.

მუხლი 234

[1] ყველა სხვა ვალისათვის მეუღლეები პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი პირადი ქონებით და საერთო საკუთრების ღირებულების ნახევრით.

[2] შენარჩუნებულია მეუღლეთა ოჯახური კავშირის უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები.

მუხლი 235

[1] ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი გავლენას ვერ ახდენს მეუღლეთა შორის ვალდებულებების ვადამოსულობაზე.

[2] თუ ამავე დროს ფულადი ვალდებულებების შესრულება ან გადასაცემი ნივთების დაბრუნება ვალდებული მეუღლისათვის ისეთ მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომ საფრთხეს უქმნის ოჯახურ კავშირს, მაშინ ამ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს მისთვის შესაბამისი ვადების მიცემა; მოთხოვნა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, თუ ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია.

მუხლი 236

[1] ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი უქმდება მეუღლის გარდაცვალებით ან სხვა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის შეთანხმებით ანდა ერთ-ერთი მეუღლის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნით.

[2] განქორწინების, მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, ქორწინების ბათილად გამოცხადების ან სასამართლოს განკარგულებით მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმის დადგენის შემთხვევაში, ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმებას აქვს უკუქცევითი ძალა იმ დღისათვის, როდესაც წარდგენილ იქნა შუამდგომლობა.

[3] საერთო საკუთრებასა და პირად ქონებაში შემავალი ობიექტების დადგენი-

სათვის განმსაზღვრელია ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმების მომენტი.

მუხლი 237

ერთჯერადად გადახდილი თანხა, რომელიც მეუღლემ მიიღო სამზრუნველო დაწესებულებიდან ან შრომისუუნარობისათვის, დაემატება იმ პერიოდული გადასახდელების ჯამური ღირებულების თანხაში, რომელთა მიღებაზეც უფლებამოსილი იქნებოდა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმების შემთხვევაში.

მუხლი 238

[1] მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას თითოეული მეუღლის საერთო საკუთრებისა და პირადი ქონების აქტივებს შორის არსებობს კომპენსაციის გადახდის მოთხოვნები, როდესაც ქონებრივი მასის მტვირთავი ვალების დაფარვა განხორციელდა მეორე მეუღლის კუთვნილი აქტივებით.

[2] ვალი ტვირთავს იმ ქონებრივ მასას, რომელთანაც ის საგნობრივად არის დაკავშირებული, თუმცა საეჭვოობისას ის ტვირთავს საერთო საკუთრებას.

მუხლი 239

თუ მეუღლის პირადი ქონება ან საერთო საკუთრება გამოყენებულ იქნა მეორე მეუღლის ქონებრივი მასისათვის აქტივების შესაძენად, გასაუმჯობესებლად ან შესანარჩუნებლად, მაშინ აზრობრივად მოქმედებს მეუღლეთა მიერ შეძენილ ქონებაში თანამონაწილეობისას არსებული ნამეტი ღირებულების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 240

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმებისას სახეზე არსებული საერთო საკუთრების ღირებულებისათვის განმსაზღვრელია მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მომენტი.

მუხლი 241

[1] თუ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი უქმდება ერთ-ერთი მეუღლის გადრაცვალებით ან სხვა რეჟიმის შეთანხმებით, მაშინ თითოეულ მეუღლეს ან მის მემკვიდრეს ეკუთვნის საერთო საკუთრების ნახევარი.

[2] საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმებულ იქნეს გაყოფის განსხვავებული წესი.

[3] აღნიშნულ შეთანხმებებს ვერ ექნება უარყოფითი შედეგები მეუღლის შთამომავლების მხრიდან სამკვიდრო ქონებაში სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებების მიმართ.

მუხლი 242

[1] განქორწინების, მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, ქორწინების ბათილად გამოცხადების ან კანონის საფუძველზე თუ სასამართლოს მიერ მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმის დადგენის შემთხვევაში, თითოეული მე-

უღლე საერთო საკუთრებიდან იბრუნებს იმას, რაც იქნებოდა მისი პირადი ქონება მეუღლეთა მიერ შეძენილ ქონებაში თანამონაწილეობის შედეგად.

[2] საერთო საკუთრების დარჩენილი აქტივი მეუღლეებს ეკუთვნით სანახევროდ.

[3] კანონისმიერი გაყოფის წესის შეცვლის შესახებ შეთანხმებები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქორწინო ხელშეკრულება ამას პირდაპირ ითვალისწინებს.

მუხლი 243

თუ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი უქმდება მეუღლის გარდაცვალებით, მაშინ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მას მის მიერ მისაღები აქტივის ანგარიშში გადაეცეს ის, რაც მეუღლეთა მიერ შეძენილ ქონებაში თანამონაწილეობის შედეგად მისი პირადი ქონება იქნებოდა.

მუხლი 244

[1] თუ სახლი ან საცხოვრებელი ბინა, სადაც მეუღლეები ცხოვრობდნენ, ან საშინაო ნივთები მიეკუთვნება საერთო საკუთრებას, მაშინ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მას მის მიერ მისაღები აქტივის ანგარიშში გადაეცეს საკუთრების უფლება ამ ობიექტებზე.

[2] იქ, სადაც ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ან გარდაცვლილი მეუღლის სხვა კანონისმიერი მემკვიდრეების მოთხოვნის საფუძველზე საკუთრების უფლების ნაცვლად შეიძლება მინიჭებულ იქნეს უზუფრუქტი ან ცხოვრების უფლება.

[3] თუ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი არ უქმდება მეუღლის გარდაცვალებით, თითოეულ მეუღლეს შეუძლია წარადგინოს რეჟიმის გაუქმების შესახებ შუამდგომლობა, თუ ის ამტკიცებს უპირატესი ინტერესის არსებობას.

მუხლი 245

თუ მეუღლე ამტკიცებს უპირატესი ინტერესის არსებობას, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს, რომ მის მიერ მისაღები აქტივის ანგარიშში გადაეცეს ასევე სხვა ქონებრივი ობიექტებიც.

მუხლი 246

დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აზრობრივად მოქმედებს საერთო საკუთრების გაყოფისა და სამკვიდროს გაყოფის პროცედურის მომწესრიგებელი ნორმები.

მეოთხე თავი: მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმი

მუხლი 247

კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში ყოველი მეუღლე მართავს და იყენებს თავის ქონებას და ასევე განკარგავს მას.

მუხლი 248

[1] პირმა, რომელიც ირწმუნება, რომ განსაზღვრული ქონებრივი ობიექტი წარმოადგენს ერთი ან მეორე მეუღლის საკუთრებას, უნდა დაამტკიცოს ეს.

[2] თუ ასეთი მტკიცებულება ვერ იქნება წარმოდგენილი, მაშინ ივარაუდება ორივე მეუღლის თანასაკუთრების არსებობა.

მუხლი 249

ყოველი მეუღლე საკუთარი ვალებისათვის პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით.

მუხლი 250

[1] ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი გავლენას ვერ ახდენს მეუღლეთა შორის ვალდებულებების ვადამოსულობაზე.

[2] თუ ამავე დროს ფულადი ვალდებულებების შესრულება ან გადასაცემი ნივთების დაბრუნება ვალდებული მეუღლისათვის ისეთ მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომ საფრთხეს უქმნის ოჯახურ კავშირს, მაშინ ამ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს მისთვის შესაბამისი ვადების მიცემა; მოთხოვნა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, თუ ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია.

მუხლი 251

თუ ქონებრივი ობიექტი იმყოფება თანასაკუთრებაში, ხოლო ერთ-ერთი მეუღლე ამტკიცებს მისი თავისთან ქონის უპირატესი ინტერესის არსებობას, მაშინ მას ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის გაუქმებისას, გარდა სხვა კანონისმიერი ღონისძიებებისა, შეუძლია მოითხოვოს, რომ აღნიშნული ქონებრივი ობიექტი განუყოფლად გადაეცეს მას მეორე მეუღლისათვის კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ.

მეორე განყოფილება: ნათესაობა

მეშვიდე ტიტული: მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის წარმოშობა

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 252

[1] შვილსა და დედას შორის ნათესაური ურთიერთობა წარმოიშობა ბავშვის დაბადებით.

[2] აღნიშნული ურთიერთობა შვილსა და მამას შორის წარმოიშობა ამ უკანას-

კნელის დედასათან ქორწინებით ან აღიარებით ანდა დგინდება სასამართლოს გზით.

[3] გარდა აღნიშნულისა, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა წარმოიშობა შვილად აყვანის გზით.

მუხლი 253 (გაუქმებულია)

მუხლი 254 (გაუქმებულია)

მეორე თავი: ქმრის მამობის პრეზუმფცია

მუხლი 255

[1] თუ ბავშვი დაიბადა ქორწინების განმავლობაში, მაშინ მამად მიიჩნევა ქმარი.

[2] თუ ქმარი გარდაიცვლება, მაშინ ის მიიჩნევა მამად, თუ ბავშვი დაიბადება მისი გარდაცვალებიდან 300 დღის განმავლობაში ან თუ უფრო გვიან დაბადების შემთხვევაში დამტკიცდება, რომ ბავშვი ჩასახულ იქნა ქმრის გარდაცვალებამდე.

[3] თუ ქმარი აღიარებული იქნება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, მაშინ ის მიიჩნევა მამად, თუ ბავშვი იბადება სიცოცხლისათვის საფრთხის წარმოშობის მომენტიდან ან უკანასკნელი ცნობის მიღებიდან 300-დღიანი ვადის გასვლამდე.

მუხლი 256

[1] მამობის პრეზუმფცია შეიძლება შეცილებულ იქნეს სასამართლოში:

1. ქმრის მიერ;

2. ბავშვის მიერ, თუ მისი არასრულწლოვნების პერიოდში შეწყდა მეუღლეთა საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოება.

[2] ქმრის სარჩელი მიმართულია ბავშვისა და დედის წინააღმდეგ, ხოლო ბავშვის სარჩელი კი, – ქმრისა და დედის წინააღმდეგ.

[3] ქმარს არა აქვს სარჩელის უფლება, თუ ის დაეთანხმა მესამე პირის მიერ ბავშვის ჩასახვას. ბავშვის შეცილების უფლების მიმართ მოქმედებს რეპროდუქციული მედიცინის შესახებ 1998 წლის 18 დეკემბრის კანონი.

მუხლი 256a

[1] თუ ბავშვი ჩასახულ იქნა ქორწინების განმავლობაში, მაშინ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ ქმარი არ არის მამა.

[2] თუ ბავშვი დაიბადა დაქორწინებიდან არაუადრეს 180 დღისა და არაუგვიანეს 300 დღისა გარდაცვალების გამო ქორწინების შეწყვეტის შემდეგ, მაშინ ივარაუდება, რომ ის ჩასახულ იქნა ქორწინების განმავლობაში.

მუხლი 256b

[1] თუ ბავშვი ჩასახულ იქნა დაქორწინებამდე ან იმ მომენტისათვის, როდესაც საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოება შეწყდა, მაშინ შეცილება აღარ საჭი-

როებს შემდგომ დასაბუთებას.

[2] თუმცა, ქმრის მამობა ივარაუდება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც სარწმუნოდ დგინდება, რომ მას ბავშვის ჩასახვის მომენტში დედასთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი.

მუხლი 256c

[1] ქმარმა სარჩელი უნდა წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო დაბადებისა და იმ ფაქტის შესახებ, რომ ის არ არის მამა ან ბავშვის ჩასახვის მომენტში დედასთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა მესამე პირს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, – დაბადებიდან ხუთი წლის ვადის გასვლამდე.

[2] ბავშვის სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ არაუგვიანეს ერთი წლისა.

[3] აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შეცილება დასაშვებია, თუ დაგვიანება საპატიოა მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობის გამო.

მუხლი 257

[1] თუ ბავშვი იბადება 300-დღიანი ვადის გასვლამდე გარდაცვალების გამო ქორწინების შეწყვეტის შემდეგ და დედა ამ პერიოდში თავიდან დაქორწინდა, მაშინ მეორე ქმარი მიიჩნევა მამად.

[2] თუ აღნიშნული ვარაუდი გაბათილდება, მაშინ მამად მიიჩნევა პირველი ქმარი.

მუხლი 258

[1] თუ სარჩელის წარდგენისათვის გათვალისწინებული ვადის გასვლამდე ქმარი გარდაიცვლება ან მას აღარ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა, მაშინ შეცილების მიზნით სარჩელის წარდგენა შეუძლია მის მამას ან მის დედას.

[2] შესაბამისად გამოიყენება ქმრის მიერ შეცილების მომწესრიგებელი ნორმები.

[3] სარჩელის წარდგენისათვის გათვალისწინებული ერთწლიანი ვადა აითვლება არაუადრეს იმ დღისა, როდესაც მისი მამა ან დედა შეიტყობს გარდაცვალების ან ანგარიშის გაწევის უნარის დაკარგვის შესახებ.

მუხლი 259

[1] თუ მშობლები არიან დაქორწინებული, მაშინ ქორწინების განმავლობაში დაბადებული ბავშვის სტატუსის მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება ქორწინებამდე დაბადებული ბავშვის მიმართ იმ პირობით, რომ ქმრის მამობა დგინდება აღიარებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

[2] მამობის აღიარება შეიძლება შეცილებულ იქნეს:

1. დედის მიერ;
2. ბავშვის მიერ ან მისი გარდაცვალების შემდეგ, – მისი შთამომავლების მიერ, თუ მისი არასრულწლოვანების პერიოდში მეუღლეთა საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოება შეწყდა ან აღიარება მოხდა მხოლოდ მის მიერ თორმეტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ;
3. თემის მიერ ქმრის წარმოშობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
4. ქმრის მიერ.

[3] შესაბამისად გამოიყენება მამობის აღიარების შეცილების შესახებ ნორმები.

მესამე თავი: მამობის აღიარება და მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 260

[1] თუ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა არსებობს მხოლოდ დედის მიმართ, მაშინ მამას შეუძლია ბავშვი აღიაროს შვილად.

[2] თუ მამობის ამღიარებელი პირი არასრულწლოვანია, იმყოფება საერთო მზრუნველობის ქვეშ ან ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანომ მიიღო შესაბამისი განკარგულება, მაშინ მამობის აღიარებისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

[3] მამობის აღიარება ხორციელდება სამოქალაქო რეესტრის მოხელის წინაშე გაკეთებული განცხადებით ან საანდერძო განკარგულებით ანდა თუ მამობის დადგენის შესახებ სარჩელი ჯერ კიდევ იხილება, – სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადებით.

მუხლი 260a

[1] მამობის აღიარება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ნებისმიერი იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს ამის ინტერესი, სახელდობრ, – დედის, ბავშვის ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში, – მისი შთამომავლების მიერ, ისევე როგორც თემის მიერ მამობის ამღიარებელი პირის წარმოშობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

[2] მამობის ამღიარებელ პირს აქვს სარჩელის წარდგენის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ბავშვი შვილად აღიარა მისი ან მისი ახლობლის სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისათვის, პატივისა თუ ქონებისათვის უშუალო და მნიშვნელოვანი მუქარის გავლენით ანდა – მის მამობასთან დაკავშირებით შეცდომის შედეგად.

[3] სარჩელი მიმართულია მამობის ამღიარებელი პირისა და ბავშვის წინააღმდეგ, რამდენადაც ეს პირები თავად არ წარადგენენ სარჩელს.

მუხლი 260b

[1] მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მამობის ამღიარებელი პირი არ წარმოადგენს ბავშვის მამას.

[2] თუმცა, დედამ და შვილმა აღნიშნულის მტკიცებულება უნდა წარადგინონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამობის ამღიარებელი პირი სარწმუნოდ ამტკიცებს, რომ ბავშვის ჩასახვის მომენტში მას დედასთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი.

მუხლი 260c

[1] სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მოსარჩელემ შეიტყო მამობის აღიარებისა და იმ ფაქტის შესახებ, რომ მამობის ამღიარებელი პირი არ არის მამა ან ბავშვის ჩასახვის მომენტში დედასთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა მესამე პირს, ანდა მამობასთან დაკავშირებით შეცდომის აღმოჩენისა თუ მუქარის დასრულების მომენტიდან, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, – აღიარებიდან ხუთი წლის ვადის გასვლამდე.

[2] ბავშვის სარჩელი ნებისმიერ შემთხვევაში წარდგენილ უნდა იქნეს სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ არაუგვიანეს ერთი წლისა.

[3] აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შეცილება დასაშვებია, თუ დაგვიანება საპატიოა მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობის გამო.

მუხლი 261

[1] როგორც დედას, ისე ბავშვს შეუძლიათ სარჩელით მოითხოვონ ბავშვსა და მამას შორის მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის დადგენა.

[2] სარჩელი მიმართულია მამის წინააღმდეგ ან თუ ის გარდაცვლილია, – ერთმანეთის მიყოლებით მისი შთამომავლების, მშობლების ან და-ძმების წინააღმდეგ, ხოლო თუ აღნიშნული პირებიც არ არიან სახეზე, – მამის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი კომპეტენტური ორგანოს წინააღმდეგ.

[3] თუ მამა გარდაცვლილია, მაშინ სასამართლო სარჩელის წარდგენის შესახებ ატყობინებს მის ცოლს, რათა ამ უკანასკნელს შეეძლოს თავისი ინტერესების დაცვა.

მუხლი 262

[1] თუ მოპასუხეს დედასთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა ბავშვის დაბადებამდე მე-300 დღიდან 180-ე დღემდე პერიოდში, მაშინ მისი მამობა ივარაუდება.

[2] აღნიშნული პრეზუმფცია მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვი ჩასახულ იქნა დაბადებამდე მე-300 დღიდან 180-ე დღემდე პერიოდში და მოპასუხეს ჩასახვის მომენტში დედასთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი.

[3] მამობის პრეზუმფცია არ გამოიყენება, თუ მოპასუხე დაამტკიცებს, რომ მისი მამობა გამორიცხული ან ნაკლებად სავარაუდოა, ვიდრე მესამე პირის მამობის პრეზუმფცია.

მუხლი 263

[1] სარჩელი დასაშვებია როგორც მშობიარობამდე, ისე მის შემდეგაც, თუმცა ის წარდგენილ უნდა იქნეს:

1. დედის მიერ ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის ვადის გასვლამდე;
2. ბავშვის მიერ არაუგვიანეს ერთი წლისა სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ.

[2] თუ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა უკვე არსებობს სხვა მამაკაცთან, მაშინ სარჩელი ნებისმიერ შემთხვევაში წარდგენილ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც აღნიშნული ურთიერთობა შეწყდა.

[3] აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სარჩელი დასაშვებია, თუ დაგვიანება საპატიოა მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობის გამო.

მეოთხე თავი: შვილად აყვანა

მუხლი 264

ბავშვი შეიძლება შვილად იქნეს აყვანილი, თუ მომავალი მშვილებლები, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში ზრუნავდნენ ბავშვზე და აღზარდეს ის და ასევე საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის დამყარება ბავშვის საკეთილდღეოდ იმოქმედებს მშვილებლების სხვა შვილების ინტერესების უსამართლოდ უგულებელყოფის გარეშე.

მუხლი 264a

[1] მეუღლეებს მხოლოდ ერთობლივად შეუძლიათ შვილად აყვანა; სხვა პირებს არ შეუძლიათ ერთობლივად შვილად აყვანა.

[2] მეუღლეები უნდა იყვნენ დაქორწინებულები, სულ ცოტა, 5 წელი ან უნდა იყვნენ მიღწეული 35 წლის ასაკს.

[3] პირს შეუძლია მისი მეუღლის შვილის შვილად აყვანა, თუ მეუღლეები დაქორწინებულები არიან, სულ ცოტა, ხუთი წლის განმავლობაში.

მუხლი 264b

[1] დაუქორწინებელ პირს შეუძლია დამოუკიდებლად შვილად აყვანა, თუ მან მიაღწია 35 წლის ასაკს.

[2] დაქორწინებულ პირს, რომელმაც მიაღწია 35 წლის ასაკს, შეუძლია დამოუკიდებლად შვილად აყვანა, თუ ერთობლივად შვილად აყვანა შეუძლებლი აღმოჩნდება, რამდენადაც მყარად არ შეუძლია თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა ან 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფება უცნობ ადგილას ანდა თუ ქორწინება 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სასამართლო წესით შეწყვეტილია.

მუხლი 265

[1] ბავშვი უნდა იყოს მშვილებლებზე, სულ ცოტა, 16 წლით უმცროსი.

[2] თუ ბავშვს შეუძლია თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა, მაშინ შვილად აყვანისათვის აუცილებელია მისი თანხმობა.

[3] თუ ბავშვი იმყოფება მეურვეობის ქვეშ, მაშინ შვილად აყვანა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბავშვთა დაცვის ორგანოს თანხმობით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბავშვს შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა.

მუხლი 265a

[1] შვილად აყვანა საჭიროებს ბავშვის დედისა და მამის თანხმობას.

[2] თანხმობა მიცემულ უნდა იქნეს ზეპირად ან წერილობით მშობლების ან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის ან მათი ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი ბავშვთა დაცვის ორგანოსათვის და შეტანილ იქნეს ოქმში.

[3] აღნიშნული თანხმობა ნამდვილია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მომავალი მშვილებლები არ არიან დასახელებული ან თუნდაც ჯერ არ არიან განსაზღვრული.

მუხლი 265b

[1] დაუშვებელია შვილად აყვანაზე თანხმობის მიცემა ბავშვის დაბადებიდან ექვსკვირიანი ვადის გასვლამდე.

[2] თანხმობა შეიძლება გამოხმობილ იქნეს მისი მიღებიდან ექვსი კვირის განმავლობაში.

[3] თუ თანხმობის გამოხმობის შემდეგ ის თავიდან იქნება მიცემული, მაშინ ასეთი თანხმობა საბოლოოა.

მუხლი 265c

შვილად აყვანაზე მშობლის თანხმობა შესაძლოა არ იქნეს მხედველობაში მიღებული,

1. თუ ამ მშობლის პიროვნება უცნობია, ის დიდი ხნის განმავლობაში იმყოფება უცნობ ადგილას ან მყარად არ შეუძლია თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა,

2. თუ ის ბავშვზე სათანადოდ არ ზრუნავდა.

მუხლი 265d

[1] თუ ბავშვის მიმართ ხორციელდება სპეციალური ზრუნვა სამომავლოდ შვილად აყვანის მიზნით და სახეზე არ არის ერთ-ერთი მშობლის თანხმობა, მაშინ საშუამავლო უწყების ან მშვილებლების შუამდგომლობის საფუძველზე აღნიშნული თანხმობის მხედველობაში მიუღებლობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი ბავშვთა დაცვის ორგანო და თანაც, როგორც წესი, – ბავშვის მიმართ სპეციალური ზრუნვის დაწყებამდე.

[2] ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება შვილად აყვანის მომენტში.

[3] თუ შვილად აყვანაზე მშობლის თანხმობა არ იქნება მხედველობაში მიღებული იმის გამო, რომ ეს მშობელი ბავშვზე სათანადოდ არ ზრუნავდა, მაშინ მას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა შეატყობინონ წერილობით.

მუხლი 266

[1] შთამომვლების არარსებობისას სრულწლოვანი პირის შვილად აყვანა შესაძლებელია:

1. თუ ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო ის მუდმივად სჭიროებს დახმარებას და მშვილებლები, სულ ცოტა, ხუთი წლის განმავლობაში ზრუნავდნენ მასზე;

2. თუ ამ პირის არასრულწლოვანების განმავლობაში მშვილებლები, სულ ცოტა, ხუთი წლის განმავლობაში ზრუნავდნენ მასზე და აღზარდეს ის;

3. თუ სახეზეა სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლები და შვილად ასაყვანი, სულ ცოტა, ხუთი წლის განმავლობაში მშვილებლებთან ერთად საერთო ოჯახში (Hausgemeinschaft) ცხოვრობდა.

[2] დაქორწინებული პირის შვილად აყვანა დასაშვებია მხოლოდ მისი მეუღლის თანხმობით.

[3] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აზრობრივად გამოიყენება არასრულწლოვანი პირების შვილად აყვანის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 267

[1] შვილად ასაყვანი იძენს მშვილებლების შვილის სტატუსს.

[2] მშობლებსა და შვილებს შორის არსებული თავდაპირველი ურთიერთობა წყდება; თუმცაღა, ეს ურთიერთობა შენარჩუნდება იმ მშობელთან, რომელიც დაქორწინებულია მშვილებელთან.

[3] შვილად აყვანისას ბავშვს შეიძლება მიეცეს ახალი სახელი.

მუხლი 267a

[1] თავისი თავდაპირველი მოქალაქეობის ნაცვლად, არასრულწლოვანი ბავშვი იძენს იმ მშვილებლის კანტონისა და თემის მოქალაქეობას, რომლის გვარსაც ის ატარებს.

[2] თუ მეუღლე ახდენს მეორე მეუღლის არასრულწლოვანი შვილის შვილად აყვანას, მაშინ ამ უკანასკნელს აქვს იმ მშობლის კანტონისა და თემის მოქალაქეობა, რომლის გვარსაც ის ატარებს.

მუხლი 268

[1] შვილად აყვანის გამოცხადება ხდება კომპეტენტური კანტონალური ორგანოს მიერ მშვილებლების საცხოვრებელ ადგილზე.

[2] თუ წარდგენილია შვილად აყვანის შუამდგომლობა, მაშინ მშვილებლის გარდაცვალება ან თავის თავისთვის ანგარიშის გაწევის უნარის დაკარგვა ხელს არ უშლის შვილად აყვანას, რამდენადაც ეს არ ეხება მის დანარჩენ წინაპირობებს.

[3] თუ შუამდგომლობის წარდგენის შემდეგ ბავშვი სრულწლოვანი ხდება, მაშინ არასრულწლოვანი პირების შვილად აყვანის მომწესრიგებელი ნორმები მაინც გამოიყენება, თუ მანამდე შესრულებულია შვილად აყვანის წინაპირობები.

მუხლი 268a

[1] შვილად აყვანის გამოცხადება დასაშვებია მხოლოდ ყველა არსებითი გარემოების ყოვლისმომცველი გამოკვლევის შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში კი, – საქმეში ექსპერტების ჩაბმით.

[2] სახელდობრ, უნდა დადგინდეს მშვილებლებისა და შვილად ასაყვანის პიროვნება და ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათი ორმხრივი ურთიერთობა, შვილის აღზრდისათვის საჭირო მშვილებლების თვისებები, ეკონომიკური მდგომარეობა, შვილად აყვანის მოტივები და ოჯახური მდგომარეობა, ასევე – ბავშვზე ზრუნვის ისტორია.

[3] თუ მშვილებლებს ჰყავთ შთამომავლები, მაშინ ყურადსაღებია ამ უკანასკნელთა მოსაზრებაც შვილად აყვანასთან დაკავშირებით.

მუხლი 268b

მშვილებლების თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბავშვის ბიოლოგიური მშობლებისათვის მათი პიროვნების გამხელა.

მუხლი 268c

[1] თუ ბავშვმა მიაღწია 18 წლის ასაკს, მაშინ მას ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი ბიოლოგიური მშობლების პიროვნების შესახებ ინფორმაცია;

აღნიშნულ მომენტამდე ამ ინფორმაციის მოთხოვნა მას შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ აქვს პატივსადები ინტერესი.

[2] მანამდე, სანამ სასურველი მონაცემების მქონე ორგანო ან უწყება აღნიშნულ ინფორმაციას გასცემდეს ბავშვზე, ის – თუ ეს შესაძლებელია – ატყობინებს ამის შესახებ ბიოლოგიურ მშობლებს. თუ ბიოლოგიური მშობლები უარს ამბობენ პირად კონტაქტზე, მაშინ ბავშვს უნდა შეატყობინონ ამის შესახებ და ასევე გააგებინონ ბიოლოგიური მშობლების პირადი უფლებების შესახებ.

[3] კანტონებმა უნდა განსაზღვრონ სათანდო უწყება, რომელიც ბავშვის ნებასურვილს მხარს დაუჭერს რჩევა-დარიგების მიცემის გზით.

მუხლი 269

[1] თუ თანხმობა კანონისმიერი გამამართლებელი საფუძვლის გარეშე არ იქნა მიღებული, მაშინ თანხმობის მიცემაზე უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ შვილად აყვანის გასაჩივრება სასამართლოში, რამდენადაც ამით მნიშვნელოვნად არ დაზარალდება ბავშვის კეთილდღეობა.

[2] თუმცა, აღნიშნული სარჩელის უფლება მშობლებს არა აქვთ, როდესაც მათ შეუძლიათ სასამართლოს გადაწყვეტილების ფედერალურ სასამართლოში გასაჩივრება.

მუხლი 269a

[1] თუ შვილად აყვანას აქვს სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები, მაშინ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, განსაკუთრებით კი, ასევე წარმოშობის ან საცხოვრებელი ადგილის თემს შეუძლია მისი გასაჩივრება.

[2] თუმცა, გასაჩივრება გამორიცხულია, თუ ხარვეზი შესაბამის პერიოდში გამოსწორდა ან ის ეხება მხოლოდ და მხოლოდ პროცესუალურ დანაწესებს.

მუხლი 269b

სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს შეცილების საფუძვლის აღმოჩენიდან ექვსი თვის განმავლობაში და ნებისმიერ შემთხვევაში, – შვილად აყვანიდან ორი წლის განმავლობაში.

მუხლი 269c

[1] ფედერაცია ახორციელებს ბავშვების შვილად აყვანის საშუამავლო საქმიანობაზე ზედამხედველობას.

[2] ის პირი, რომელიც აღნიშნულ საშუამავლო საქმიანობას ახორციელებს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ან მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საჭიროებს შესაბამის ნებართვას; ზემოაღნიშნული წესი არ ეხება საშუამავლო საქმიანობას ბავშვთა დაცვის ორგანოს მეშვეობით.

[3] ფედერალური საბჭო იღებს საკანონმდებლო ნორმების შესრულების შესახებ ინსტრუქციებს და აწესრიგებს სამომავლოდ შვილად აყვანის მიზნით ბავშვების სპეციალური ზრუნვისათვის კომპეტენტური კანტონალური ორგანოების ჩართულობას შვილად აყვანის წინაპირობების დაკმაყოფილების შეფასებასა და ზედამხედველობის განხორციელების პროცესში.

[4] ... (გაუქმებულია)

მერვე ტიტული: მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი შედეგები

პირველი თავი: მშობლებისა და შვილების გაერთანება

მუხლი 270

[1] თუ მშობლები ერთმანეთთან არიან დაქორწინებულები, მაგრამ ატარებენ სხვადასხვა გვარებს, მაშინ შვილი იღებს მშობლების იმ ქორწინებამდელ გვარს, რომელიც მათ დაქორწინებისას განსაზღვრეს როგორც მათი საერთო შვილების გვარი.

[2] პირველი შვილის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში მშობლებს შეუძლიათ ერთობლივად მოითხოვონ, რომ ბავშვმა ატაროს მეორე მშობლის ქორწინებამდელი გვარი.

[3] თუ მშობლები ატარებენ საერთო ოჯახურ გვარს, მაშინ ბავშვი იღებს ამ გვარს.

მუხლი 270a

[1] თუ მშობლის ზრუნვას ახორციელებს ერთი მშობელი, მაშინ ბავშვი იღებს მის ქორწინებამდელ გვარს. თუ მშობლის ზრუნვას მშობლები ერთობლივად ახორციელებენ, მაშინ ისინი წყვეტენ, თუ რომელი მათგანის ქორწინებამდელი გვარი უნდა ატარონ მათმა შვილებმა.

[2] თუ ერთობლივი მშობლის ზრუნვა ხორციელდება პირველი შვილის დაბადების შემდეგ, მაშინ მშობლებს ზრუნვის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში შეუძლიათ სამოქალაქო რეესტრის მოხელის წინაშე განაცხადონ, რომ ბავშვმა უნდა ატაროს მეორე მშობლის ქორწინებამდელი გვარი. აღნიშნული განცხადება მოქმედებს ყველა საერთო შვილის მიმართ მიუხედავად იმისა, თუ რა პროპორციით ხორციელდება მათ მიმართ მშობლის ზრუნვა.

[3] თუ მშობლის ზრუნვას არც ერთი მშობელი არ ახორციელებს, მაშინ ბავშვი იღებს დედის ქორწინებამდელ გვარს.

[4] მშობლის ზრუნვის განაწილების ცვლილებები გავლენას არ ახდენს გვარზე. შენარჩუნებულია გვარის შეცვლის მომწესრიგებელი ნორმების მოქმედება.

მუხლი 270b

თუ ბავშვმა მიაღწია თორმეტი წლის ასაკს, მაშინ მისი გვარი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ამაზე აცხადებს თანხმობას.

მუხლი 271

[1] ბავშვი იძენს იმ მშობლის კანტონისა და თემის მოქალაქეობას, რომლის გვარსაც ის ატარებს.

[2] თუ ბავშვი არასრულწლოვანების დროს იღებს მეორე მშობლის გვარს, მაშინ, ნაცვლად თავდაპირველი მოქალაქეობისა, ის იძენს ამ მშობლის კანტონისა და თემის მოქალაქეობას.

მუხლი 272

მშობლებსა და შვილებს ერთანეთის მიმართ ეკისრებათ ისეთი მაქსიმალური თანადგომის, ყურადღებისა და პატივისცემის ვალდებულება, რასაც ითხოვს საოჯახო გაერთიანების კეთილდღეობა.

მუხლი 273

[1] იმ მშობლებს, რომლებსაც არ ეკისრებათ მშობლის ზრუნვის მოვალეობა ან რომელთა მფარველობის ქვეშ არ იმყოფება ბავშვი, და არასრულწლოვან შვილს აქვთ ორმხრივი მოთხოვნის უფლებები სათანადო პირად კონტაქტზე.

[2] ბავშვთა დაცვის ორგანოს შეუძლია შეახსენოს მშობლებს, ბავშვის აღსაზრდელად ამყვან მშობლებს (Pflegeeltern) ან ბავშვს მათი მოვალეობები და მისცეს მათ მითითებები, როდესაც პირადი კონტაქტის განხორციელება ან განუხორციელებლობა ბავშვისთვის საზიანოა ან როდესაც მოვალეობების შეხსენება ან მითითებების მიცემა აუცილებელია სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე.

[3] მამას ან დედას შეუძლია მოითხოვოს ბავშვთან პირად კონტაქტზე მისი მოთხოვნის უფლების საკითხის მოწესრიგება.

მუხლი 274

[1] მამამ და დედამ თავი უნდა შეიკავონ ყველა იმ ქმედებისაგან, რაც ზიანს აყენებს მეორე მშობელთან ბავშვის ურთიერთობას ან ართულებს აღმზრდელი პირის ამოცანას.

[2] თუ პირადი კონტაქტის შედეგად ბავშვის კეთილდღეობას შეექმნება საფრთხე, მშობლები ასეთ კონტაქტს იყენებენ მათზე დაკისრებული მოვალეობების საწინააღმდეგოდ, ან თუ ისინი ბავშვზე სათანადოდ არ ზრუნავდნენ ანდა არსებობს სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლები, – მაშინ მათ შეიძლება უარი ეთქვათ ბავშვთან პირადი კონტაქტის უფლების მინიჭებაზე ან ჩამოერთვათ ეს უფლება.

[3] თუ მშობლებმა გასცეს თანხმობა თავიანთი შვილის შვილად აყვანაზე ან თუ მათი თანხმობა შეიძლება არ იქნეს მხედველობაში მიღებული, მაშინ პირადი კონტაქტის უფლება უქმდება, როგორც კი სამომავლოდ შვილად აყვანის მიზნით ბავშვის მიმართ იწყება სპეციალური ზრუნვა.

მუხლი 274a

[1] თუ სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, მაშინ ბავშვთან პირადი კონტაქტის მოთხოვნის უფლება შეიძლება მიენიჭოს ასევე სხვა პირებსაც, განსაკუთრებით კი, – ნათესავებს, რამდენადაც ეს ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას.

[2] აზრობრივად მოქმედებს მშობლების მიერ ბავშვის ნახვის უფლების მიმართ დადგენილი შეზღუდვები.

მუხლი 275

[1] ბავშვთან პირადი კონტაქტის საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი განკარგულებების მიღებაზე კომპეტენტურია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი ბავშვთა დაცვის ორგანო და ასევე – ბავშვის ადგილსამყო-

ფელის მიხედვით მოქმედი ბავშვთა დაცვის ორგანო, რამდენადაც მან მიიღო ბავშვის უფლებათა დაცვის ღონისძიებები ან იღებს ასეთ დაცვის ზომებს.

[2] თუ სასამართლო მშობლის ზრუნვის, ბავშვის მფარველობის ან რჩენაში მონაწილეობის საკითხებს აწესრიგებს განქორწინებისა და ოჯახური კავშირის დაცვის შესახებ ნორმების შესაბამისად, მაშინ მან ასევე უნდა გადაწყვიტოს ბავშვთან პირადი კონტაქტის საკითხიც.

[3] თუ ჯერ კიდევ არ არის მიღებული განკარგულებები პირადი კონტაქტის საკითხზე მამისა და დედის მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებით, მაშინ დაუშვებელია პირადი კონტაქტის უფლების რეალიზაცია იმ პირის ნების საწინააღმდეგოდ, რომელიც ახორციელებს მშობლის ზრუნვას ან რომლის მფარველობის ქვეშაც იმყოფება ბავშვი.

მუხლი 275a

[1] მშობლებს, რომლებიც არ ახორციელებენ მშობლის ზრუნვას, უნდა შეატყობინონ ბავშვის ცხოვრების განსაკუთრებული მოვლენების შესახებ და მათ უნდა მოუსმინონ იმ გადაწყვეტილებების მიღებამდე, რომლებიც მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისათვის.

[2] მშობლებს, რომლებიც არ ახორციელებენ მშობლის ზრუნვას, შეუძლიათ ბავშვის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღება შვილებზე ზრუნვაში ჩართული მესამე პირებისაგან, რომლებსაც წარმოადგენენ, სახელდობრ, პედაგოგები და ექიმები მსგავსად იმისა, როგორც ამას ახდენს მშობლის ზრუნვის განმახორციელებელი პირი.

[2] აზრობრივად მოქმედებს ბავშვთან პირადი კონტაქტისა მიმართ დადგენილი შეზღუდვებისა და უფლებამოსილების მომწესრიგებელი ნორმები.

მეორე თავი: მშობლების მიერ შვილების რჩენის ვალდებულება

მუხლი 276

[1] შვილების რჩენა ხორციელდება ზრუნვის, აღზრდისა და ფულადი თანხების გადახდის გზით.

[2] მშობლები ერთობლივად – თითოეული თავისი შესაძლებლობის შესაბამისად – ზრუნავენ შვილის სათანადო რჩენაზე და მათ, კერძოდ, ეკისრებათ ბავშვზე ზრუნვის ხარჯები, მისი აღზრდა, განათლება და ბავშვის უფლებათა დაცვის ღონისძიებები.

[3] მშობლები თავისუფლდებიან რჩენის ვალდებულებისაგან იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ბავშვს შეიძლება მოეთხოვოს რჩენის ხარჯების საკუთარი შრომითი შემოსავლებიდან ან სხვა წყაროებიდან დაფარვა.

მუხლი 276a

[1] არასრულწლოვანი შვილის მიმართ რჩენის ვალდებულებას ენიჭება უპირატესობა სხვა საოჯახო-სამართლებრივი რჩენის ვალდებულებებთან შედარებით.

[2] იმ შემთხვევებში, როდესაც ეს დასაბუთებულია, სასამართლოს შეუძლია

გადაუხვიოს აღნიშნული წესიდან, განსაკუთრებით კი, – იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი სრულწლოვანი შვილის მდგომარეობის გაუარესება.

მუხლი 277

[1] მშობელზე დაკისრებული შვილის რჩენის ვალდებულება გრძელდება შვილის სრულწლოვანებამდე.

[2] თუ ასეთ შემთხვევაში ბავშვს ჯერ არა აქვს სათანადო განათლება, მშობლებმა – რამდენადაც ეს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით მათ შეესაძლოა მოეთხოვოს – უნდა იხადონ მისი რჩენის თანხები მანამდე, სანამ ბავშვი თავად ჩვეულებრივ ვადებში შეძლებს შესაბამისი სწავლის დასრულებას.

მუხლი 278

[1] ქორწინების განმავლობაში მშობლებს რჩენის ხარჯები ეკისრებათ საქორწინო სამართლის ნორმების შესაბამისად.

[2] თითოეულმა მეუღლემ სათანადოდ უნდა შეუწყოს ხელი მეორე მეუღლეს ქორწინებამდელი შვილების მიმართ რჩენის ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 279

[1] შვილს შეუძლია მამის ან დედის ანდა ორივეს მიმართ წარადგინოს სარჩელი რჩენის ვალდებულების სამომავლოდ და სარჩელის წარდგენამდე ერთწლიანი პერიოდისათვის შესრულების მოთხოვნით.

[2-3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 280-284 (გაუქმებულია)

მუხლი 285

[1] სარჩოს ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საჭიროებებს, ისევე როგორც – მშობლების ცხოვრების დონესა და გადახდის შესაძლებლობებს; ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვის ქონება და შემოსავლები.

[2] სარჩოს ოდენობა ემსახურება ასევე მშობლების ან მესამე პირების მხრიდან ბავშვზე ზრუნვის უზრუნველყოფასაც.

[3] სარჩო გადახდილ უნდა იქნეს წინასწარ. სასამართლო ადგენს გადახდის ვადებს.

მუხლი 285a

[1] ოჯახის მრავალსულიანობისათვის გათვალისწინებული დანამატები (Familienzulagen), რომლებიც განკუთვნილია რჩენაზე ვალდებული მშობლისათვის, დამატებით უნდა იქნეს გადახდილი სარჩოს თანხასთან ერთად.

[2] რამდენადაც სასამართლო სხვაგვარად არ ადგენს, სოციალური დაზღვევის ფონდიდან პერიოდული გადასახდელები და ბავშვის რჩენისათვის განსაზღვრული მსგავსი გადასახდელები, რომლებიც ეკუთვნის რჩენაზე ვალდებულ მშობელს, – დამატებით უნდა იქნეს გადახდილი სარჩოს თანხასთან ერთად.

[3] თუ რჩენაზე ვალდებული მშობელი ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობის

გამო შემდგომში იღებს სოციალური დაზღვევის ფონდიდან პერიოდულ გადასახდელებსა და ბავშვის რჩენისათვის განსაზღვრულ იმ მსგავს გადასახდელებს, რომლებიც ცვლის მის შრომით შემოსავლებს, მაშინ მან აღნიშნული თანხები უნდა გადაუხადოს ბავშვს; თავდაპირველი სარჩოს თანხა ავტომატურად კანონის ძალით მცირდება აღნიშნული ახალი გადასახდელების ოდენობით.

მუხლი 286

[1] სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ სარჩოს თანხა ავტომატურად გაიზარდოს ან შემცირდეს ბავშვის საჭიროებების ან მშობლების გადახდის შესაძლებლობებისა თუ საარსებო მინიმუმის განსაზღვრული ცვლილებების შემთხვევაში.

[2] გარემოებათა მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, სასამართლო ერთ-ერთი მშობლის ან ბავშვის განცხადების საფუძველზე ადგენს სარჩოს ახალ თანხას ან საერთოდაც აუქმებს სარჩოს.

[3] ბავშვის წინასწარ გაუთვალისწინებელი საგანგებო საჭიროებების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშობლები, განახორციელონ სპეციალური გადახდები.

მუხლი 286a

[1] თუ მოწონებულ რჩენის ხელშეკრულებაში ან გადაწყვეტილებაში დადგინდა, რომ ვერ განისაზღვრებოდა იმ ოდენობის სარჩოს თანხა, რომელიც საკმარისი იქნებოდა ბავშვის სათანადო რჩენისათვის, და აღნიშნულის შემდგომ რჩენაზე ვალდებული მშობლის მდგომარეობა არსებითად გაუმჯობესდა, – მაშინ ბავშვს აქვს მოთხოვნის უფლება ამ მშობლის მიერ იმ თანხების გადახდაზე, რომლებიც არ იქნებოდა საკმარისი ბავშვის სათანადო რჩენისათვის იმ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც არსებობდა სარჩოს გადახდის ვალდებულება.

[2] მოთხოვნის უფლების წარდგენა უნდა მოხდეს მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესების ფაქტის შეტყობიდან ერთი წლის განმავლობაში.

[3] აღნიშნული მოთხოვნის უფლება ყველა უფლებასთან ერთად გადადის მეორე მშობელზე ან თემზე, რამდენადაც ეს მშობელი ან თემი ანაზღაურებს სათანადო სარჩოს თანხის გადაუხდელ ნაწილს.

მუხლი 287

[1] რჩენის ხელშეკრულებები ბავშვისათვის სავალდებულო ხდება მხოლოდ ბავშვთა დაცვის ორგანოს მიერ მათი მოწონების მომენტიდან.

[2] ხელშეკრულებით დადგენილი სარჩოს თანხები შეიძლება შეიცვალოს, რამდენადაც ასეთი ცვლილება ბავშვთა დაცვის ორგანოს მიერ რჩენის ხელშეკრულების მოწონებისას არ გამოირიცხა.

[3] თუ ხელშეკრულება იდება სასამართლოში საქმის წარმოებისას, მაშინ მოწონებას ახდენს სასამართლო.

მუხლი 287a

თუ რჩენის ხელშეკრულებაში დგინდება სარჩოს თანხები, მაშინ მასში უნდა მიეთითოს:

ა. თითოეული მშობლისა და შვილის შემოსავალი და ქონება, რომლიდანაც უნდა იქნეს გამოყვანილი სარჩოს თანხების ოდენობა;

ბ. თითოეული შვილისათვის განსაზღვრული თანხა;

გ. თითოეული შვილის სათანადო სარჩოს თანხის გადაუხდელი ნაწილის ოდენობა;

დ. მიესადაგება თუ არა – ხოლო თუ მიესადაგება, მაშინ რა ოდენობით – სარჩოს თანხები საარსებო მინიმუმის ცვლილებებს.

მუხლი 288

[1] ბავშვის რჩენის მოთხოვნის უფლების ერთჯერადი სრული დაკმაყოფილება შეიძლება შეთანხმებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ ეს გამართლებულია ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.

[2] შეთანხმება ბავშვისათვის სავალდებულო ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში:

1. როდესაც ბავშვთა დაცვის ორგანომ, ხოლო სასამართლოში საქმის წარმოების დროს ხელშეკრულების დადების შემთხვევაში კი, სასამართლომ მოიწონეს ეს შეთანხმება, და

2. როდესაც ერთჯერადი დაკმაყოფილების თანხა შეტანილ იქნა შეთანხმებაში მითითებულ ანგარიშზე.

მუხლი 289

[1] რამდენადაც სასამართლო სხვაგვარად არ ადგენს, სარჩოს თანხების მიღების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის ბავშვს, ხოლო მანამდე კი, სანამ ბავშვი არასრულწლოვანია, ეს მოთხოვნის უფლება უნდა შესრულდეს კანონიერი წარმომადგენლის ან მფარველის მიმართ განხორციელებული გადახდების გზით.

[2] თუმცაღა, თუ თემი კისრულობს სარჩოს თანხის გადახდას, მაშინ მასზე ყველა უფლებასთან ერთად გადადის სარჩოს თანხების მიღების მოთხოვნის უფლებაც.

მუხლი 290

[1] თუ მამა ან დედა არ ასრულებს რჩენის ვალდებულებას, მაშინ კანტონალური სამართლით გათვალისწინებული დარგობრივი დაწესებულება შუამდგომლობის საფუძველზე და უსასყიდლოდ დახმარებას უწევს როგორც ბავშვს, ისე მეორე მშობელს სარჩოს მიღების მოთხოვნის უფლების სათანადო წესით აღსრულებისას.

[2] ფედერალური საბჭო განსაზღვრავს გადასახდელი თანხების ინკასირების ხელშეწყობის წესებსა და პირობებს.

მუხლი 291

თუ მშობლები უგულებელყოფენ შვილის რჩენის ვალდებულებას, მაშინ სასამართლოს შეუძლია მათ მოვალეს დაავალოს, გადახდები სრულად ან ნაწილობრივ აწარმოოს ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მიმართ.

მუხლი 292

თუ მშობლები ჯიუტად უგულებელყოფენ რჩენის ვალდებულებას ან თუ სა-

ვარაუდოა, რომ ისინი ემზადებიან გასაქცევად ან ანიავებენ ანდა მალავენ თავიანთ ქონებას, მაშინ მათ სამომავლო სარჩოს თანხების გადახდის უზრუნველსაყოფად შეიძლება დაეკისროთ სათანადო გარანტიის წარდგენის ვალდებულება.

მუხლი 293

[1] ნათესავების მხრიდან რჩენის ვალდებულების გათვალისწინების პირობით, საჯარო სამართალი განსაზღვრავს პირს, რომელსაც უნდა დაეკისროს რჩენის ხარჯები, თუ არც მშობლებსა და არც შვილს არ შეუძლიათ მათი დაფარვა.

[2] გარდა აღნიშნულისა, საჯარო სამართალი აწესრიგებს შვილის რჩენისკენ მიმართული საავანსო თანხების დაფარვას, როდესაც მშობლები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ რჩენის ვალდებულებას.

მუხლი 294

[1] ბავშვის აღსაზრდელად ამყვან მშობლებს აქვთ მოთხოვნის უფლება ბავშვზე ზრუნვისათვის საჭირო სათანადო ფულადი თანხის მიღებაზე, რამდენადაც საწინააღმდეგო პირობა არ არის შეთანხმებული ან არსებული გარემოებებიდან ცალსახად არ გამომდინარეობს.

[2] უსასყიდლობა ივარაუდება, როდესაც ბავშვების აღსაზრდელად აყვანა ხდება ახლო ნათესავების მიერ ან მათი შემდგომში შვილად აყვანის მიზნით.

მუხლი 295

[1] ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა დედას შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნით მამის ან მისი მემკვიდრეების მიმართ სარჩელის წარდგენა:

1. ორსულის რჩენის ხარჯებისათვის;

2. ბავშვის დაბადებამდე, სულ ცოტა, ოთხი კვირისა და დაბადების შემდეგ, სულ ცოტა, რვა კვირის განმავლობაში რჩენის ხარჯებისათვის,

3. ორსულობისა თუ მშობიარობის შედეგად აუცილებელი სხვა ხარჯებისათვის შვილისათვის გამოყოფილი აქტივის (Ausstattung) ჩათვლით.

[2] სამართლიანობიდან გამომდინარე სასამართლოს შეუძლია შესაბამისი ხარჯებისათვის მოახდინოს კომპენსაციის თანხის ნაწილობრივ ან სრულად დაკისრება, თუ ორსულობა ნაადრევად წყდება.

[3] მესამე პირთა მიერ განხორციელებული გადახდები, რომლებზეც დედას აქვს მოთხოვნის უფლება კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმდენად, რამდენადაც ეს გამართლებულია გარემოებებიდან გამომდინარე.

მესამე თავი: მშობლის ზრუნვა

მუხლი 296

[1] მშობლის ზრუნვა ემსახურება შვილის კეთილდღეობას.

[2] მანამდე, სანამ შვილები არიან არასრულწლოვნები, ისინი იმყოფებიან მამისა და დედის ერთობლივი ზრუნვის ქვეშ.

[3] არასრულწლოვანი მშობლები, ისევე როგორც საერთო მზრუნველობის ქვეშ

მყოფი მშობლები არ ახორციელებენ მშობლის ზრუნვას. როდესაც მშობლები აღწევენ სრულწლოვანების ასაკს, მაშინ მათ ეკისრებათ მშობლის ზრუნვის განხორციელება. თუ საერთო მზრუნველობა უქმდება, მაშინ მშობლის ზრუნვის ვალდებულების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბავშვთა დაცვის ორგანო ბავშვის კეთილდღეობის ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 297

[1] თუ მშობლები ერთობლივად ახორციელებენ მშობლის ზრუნვას და გარდაიცვლება ერთ-ერთი მშობელი, მაშინ მშობლის ზრუნვა სრულად ეკისრება ცოცხლად დარჩენილ მშობელს.

[2] თუ გარდაიცვლება მშობელი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს მშობლის ზრუნვას, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანო მშობლის ზრუნვას აკისრებს ცოცხლად დარჩენილ მშობელს ან ბავშვს უნიშნავს მეურვეს იმისდა მიხედვით, თუ რომელი უფრო მისაღები იქნება ბავშვის კეთილდღეობისათვის.

მუხლი 298

[1] განქორწინებისა თუ ქორწინების დაცვის პროცესში სასამართლო ერთ-ერთ მშობელს აკისრებს მშობლის ზრუნვის დამოუკიდებლად განხორციელების ვალდებულებას, თუ ეს აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის.

[2] სასამართლოს შეუძლია შემოიფარგლოს ასევე ბავშვის მფარველობის, პირადი კონტაქტისა თუ მშობლის მოვალეობათა განაწილების საკითხების მოწესრიგებით, თუ არ არსებობს პერსპექტივა იმისა, რომ მშობლები აღნიშნულზე შეთანხმდებიან.

[2bis] ბავშვის მფარველობის, პირადი კონტაქტისა თუ მშობლის მოვალეობათა განაწილების საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის უფლებას, იქონიოს რეგულარული პირადი ურთიერთობები ორივე მშობელთან.

[2ter] თუ ამას ითხოვს ერთ-ერთი მშობელი ან ბავშვი, ერთობლივად განხორციელებული მშობლის ზრუნვისას სასამართლო ბავშვის კეთილდღეობის მხრივ ამოწმებს ბავშვის ორივე მშობლის მიერ ერთმანეთის შენაცვლებით მფარველობის შესაძლებლობას.

[3] სასამართლო ბავშვთა დაცვის ორგანოს სთხოვს ბავშვისათვის მეურვის დანიშვნას, თუ მოსალოდნელი არ არის არც დედისა და არც მამის მხრიდან მშობლის ზრუნვის კისრება.

მუხლი 298a

[1] თუ მშობლები ერთმანეთთან არ არიან დაქორწინებულები და ბავშვის მამა აღიარებს მამობას ანდა თუ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა დგინდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუმცა ერთობლივად განხორციელებული მშობლის ზრუნვა არ განისაზღვრა უკვე სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მომენტში, – მაშინ ერთობლივად განხორციელებული მშობლის ზრუნვა წარმოიშობა მშობლების ერთობლივი განცხადების საფუძველზე.

[2] განცხადებაში მშობლები ადასტურებენ, რომ ისინი:

1. მზად არიან, ერთობლივად იკისრონ ბავშვზე პასუხისმგებლობა; და

2. შეთანხმებული არიან ბავშვის მფარველობის, პირადი კონტაქტისა თუ მშობლის მოვალეობათა განაწილების საკითხებზე, ისევე როგორც – ბავშვზე გასაწევი სარჩოს თანხების ოდენობაზე.

[3] განცხადების წარდგენამდე მშობლებს ბავშვთა დაცვის ორგანოსაგან შეუძლიათ მიიღონ რჩევა-დარიგებები.

[4] თუ მშობლებები განცხადებას წარადგენენ მამობის აღიარებასთან ერთად, მაშინ ამ განცხადებას ისინი უგზავნიან სამოქალაქო რეესტრის სამსახურს. მოგვიანებით გაკეთებული განცხადება მათ უნდა გადაუგზავნონ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედ ბავშვთა დაცვის ორგანოს.

[5] განცხადების გაკეთებამდე მშობლის ზრუნვას დამოუკიდებლად ახორციელებს დედა.

მუხლი 298b

[1] თუ ერთ-ერთი მშობელი უარს აცხადებს ერთობლივად განსახორციელებელ მშობლის ზრუნვის შესახებ განცხადების წარდგენაზე, მაშინ მეორე მშობელს შეუძლია მიმართოს ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედ ბავშვთა დაცვის ორგანოს.

[2] ბავშვთა დაცვის ორგანო ადგენს ერთობლივად განსახორციელებელ მშობლის ზრუნვას, რამდენადაც ბავშვის კეთილდღეობისათვის არ უნდა შენარჩუნდეს დედის მიერ დამოუკიდებლად განსახორციელებელი მშობლის ზრუნვა ან დამოუკიდებლად განსახორციელებელი მშობლის ზრუნვა უნდა დაეკისროს მამას.

[3] მშობლის ზრუნვასთან დაკავშირებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად ბავშვთა დაცვის ორგანო აწესრიგებს დანარჩენ სადავო საკითხებსაც. შენარჩუნებულია განსჯად სასამართლოში წარსადგენი სარჩელი სარჩოს თანხის გადახდის მოთხოვნით; აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ასევე მშობლის ზრუნვის საკითხზეც, ისევე როგორც – ბავშვთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

[3bis] ბავშვის მფარველობის, პირადი კონტაქტისა თუ მშობლის მოვალეობათა განაწილების საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვთა დაცვის ორგანო ითვალისწინებს ბავშვის უფლებას, იქონიოს რეგულარული პირადი ურთიერთობები ორივე მშობელთან.

[3ter] თუ ამას ითხოვს ერთ-ერთი მშობელი ან ბავშვი, ერთობლივად განხორციელებული მშობლის ზრუნვისას ბავშვთა დაცვის ორგანო ბავშვის კეთილდღეობის მხრივ ამოწმებს ბავშვის ორივე მშობლის მიერ ერთმანეთის შენაცვლებით მფარველობის შესაძლებლობას.

[4] თუ დედა არასრულწლოვანია ან ის იმყოფება საერთო მზრუნველობის ქვეშ, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანო მშობლის ზრუნვას აკისრებს მამას ან ბავშვს უნიშნავს მეურვეს იმისდა მიხედვით, თუ რომელი უფრო მისაღები იქნება ბავშვის კეთილდღეობისათვის.

მუხლი 298c

თუ სასამართლო იწონებს მამობის დადგენის შესახებ სარჩელს, მაშინ ის ადგენს ერთობლივად განსახორციელებელ მშობლის ზრუნვას, რამდენადაც

ბავშვის კეთილდღეობისათვის არ უნდა შენარჩუნდეს დედის მიერ დამოუკიდებლად განსახორციელებელი მშობლის ზრუნვა ან დამოუკიდებლად განსახორციელებელი მშობლის ზრუნვა უნდა დაეკისროს მამას.

მუხლი 298d

[1] ერთ-ერთი მშობლის ან ბავშვის შუამდგომლობის საფუძველზე ანდა საკუთარი ინიციატივით ბავშვთა დაცვის ორგანო ახლებურად აწესრიგებს მშობლის ზრუნვის ვალდებულების განაწილების შესახებ საკითხს, თუ გარემოებათა მნიშვნელოვანი ცვლილების გამო ეს აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის.

[2] ბავშვთა დაცვის ორგანოს შეუძლია შემოიფარგლოს ბავშვის მფარველობის, პირადი კონტაქტისა თუ მშობლის მოვალეობათა განაწილების საკითხების მოწესრიგებით.

[3] შენარჩუნებულია განსჯად სასამართლოში წარსადგენი სარჩელი სარჩოს თანხის ოდენობის შეცვლის მოთხოვნით; აღნიშნულ შემთხვევაში, თუ საჭიროა, სასამართლო ახლებურად აწესრიგებს მშობლის ზრუნვის საკითხს, ისევე როგორც – ბავშვთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 299

თითოეულმა მეუღლემ სათანადოდ უნდა შეუწყოს ხელი მეორე მეუღლეს ამ უკანასკნელის მხრიდან თავისი შვილის მიმართ რჩენის ვალდებულების შესრულებაში და ჩაანაცვლოს ის, თუ გარემოებები ამას ითხოვს.

მუხლი 300

[1] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი განკარგულებები სხვაგვარად ადგენს, თუ ბავშვზე ზრუნვა დაეკისრება მესამე პირებს, მაშინ მშობლის ზრუნვის განხორციელებისას ეს პირები ენაცვლებიან მშობლებს, რამდენადაც ეს მიზანშეწონილია მათი მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის.

[2] მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებამდე ბავშვის აღსაზრდელად ამყვან მშობლებს უნდა მოუსმინონ.

მუხლი 301

[1] მშობლები ზღუნავენ შვილზე, მის აღზრდას ახორციელებენ შვილის კეთილდღეობის ინტერესებში და იღებენ აუცილებელ გადაწყვეტილებებს, გარდა შვილის მიერ თავისი ქმედუნარიანობის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევებისა.

[1bis] მშობელს, რომელიც ზღუნავს შვილზე, შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ:

1. საქმე ეხება ყოველდღიურ ან გადაუდებელ საკითხს;

2. მეორე მეუღლესთან დაკავშირება შეუძლებელია არაგონივრული დანახარჯების გარეშე.

[2] შვილს ევალება, იყოს მშობლების დამჯერი; მშობლები ანიჭებენ შვილს მისი მოწიფულობის შესაბამის თავისუფლებას, გადაწყვიტოს თავისი ცხოვრების წესი და, რამდენადაც ეს მიზანშეწონილია, მნიშვნელოვან საკითხებში ითვალისწინებენ მის აზრს.

[3] შვილს არ შეუძლია მშობლების თანხმობის გარეშე მიატოვოს ოჯახის სახლი; ასევე დაუშვებელია მისი ამ სახლიდან უკანონო გაყვანა.

[4] მშობლები შვილს აძლევენ სახელს.

მუხლი 301a

[1] მშობლის ზრუნვა მოიცავს შვილის ადგილსამყოფელის განსაზღვრის უფლებას.

[2] თუ მშობლები ერთობლივად ახორციელებენ მშობლის ზრუნვას და ერთ-ერთ მშობელს სურს შვილის ადგილსამყოფელის შეცვლა, მაშინ ეს საჭიროებს მეორე მშობლის თანხმობას ან სასამართლოს ანდა ბავშვთა დაცვის ორგანოს გადაწყვეტილებას, თუ:

ა. ახალი ადგილსამყოფელი უცხოეთშია; ან

ბ. ადგილსამყოფელის შეცვლას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მეორე მშობლის მიერ ზრუნვის განხორციელებასა და ბავშვთან პირად კონტაქტზე.

[3] თუ ერთ-ერთი მშობელი დამოუკიდებლად ახორციელებს მშობლის ზრუნვას და მას სურს შვილის ადგილსამყოფელის შეცვლა, მაშინ მან ამის შესახებ დროულად უნდა შეატყობინოს მეორე მშობელს.

[4] ანალოგიური შეტყობინების ვალდებულება ეკისრება იმ მშობელს, რომელსაც სურს თავისი საკუთარი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

[5] რამდენადაც ეს აუცილებელია, მშობლები უნდა შეთანხმდნენ მშობლის ზრუნვის, ბავშვის მფარველობის, პირადი კონტაქტისა თუ სარჩოს ოდენობის საკითხების შვილის კეთილდღეობის ინტერესებთან მისადაგების შესახებ. თუ ისინი ვერ თანხმდებიან, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო ან ბავშვთა დაცვის ორგანო.

მუხლი 302

[1] მშობლებმა უნდა აღზარდონ შვილი მათი პირობების შესაბამისად და ხელი შეუწყონ მის ფიზიკურ, სულიერ და ზნეობრივ განვითარებას და დაიცვან ის.

[2] მშობლებმა შვილს, განსაკუთრებით კი, – ასევე ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე შვილს, უნდა მისცენ სათანდო, შეძლებისდაგვარად მისი უნარებისა და მიდრეკილებების შესაბამისი ზოგადი და პროფესიული განათლება.

[3] აღნიშნული მიზნით მშობლებმა სათანადოდ უნდა ითანამშრომლონ სკოლასთან, ხოლო იქ, სადაც გარემოებები ამას ითხოვს, – არასრულწლოვანთა საჯარო და საზოგადოებრივ დახმარებასთან.

მუხლი 303

[1] რელიგიურ აღზრდასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებენ მშობლები.

[2] ბათილია ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს აღნიშნულ უფლებამოსილებას.

[3] თუ ბავშვმა მიაღწია 16 წლის ასაკს, მაშინ ის დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საკუთარ რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებით.

მუხლი 304

[1] იმ ფარგლებში, რომლებშიც მშობლები ახორციელებენ მშობლის ზრუნვას, მესამე პირებთან მიმართებაში მათ კანონის ძალით აქვთ შვილის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

[2] თუ ორივე მშობელი ახორციელებს მშობლის ზრუნვას, მაშინ კეთილსინდისიერ მესამე პირებს შეუძლიათ ივარაუდონ, რომ ყოველი მშობელი მოქმედებს მეორე მშობელთან შეთანხმებით.

[3] შვილის წარმომადგენლობისას მოქმედ მშობლებს არ შეუძლიათ თავდებად დადგომა, ფონდების დაფუძნება და ქონების გაჩუქება, გარდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო საჩუქრებისა.

მუხლი 305

[1] მშობლის ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვს, რომელსაც შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა, პირადი უფლებების ფარგლებში საკუთარი მოქმედებებით შეუძლია უფლებებისა და ვალდებულებების დადგენა და მკაცრად პირადი უფლებების რეალიზაცია.

[2] თავისი ვალდებულებებისათვის ბავშვი პასუხს აგებს საკუთარი ქონებით მშობლების ქონებრივი უფლებების გაუთვალისწინებლად.

მუხლი 306

[1] მშობლის ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებს, რომლებსაც შეუძლიათ თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა, მშობლების თანხმობით შეუძლიათ, იმოქმედონ ოჯახის სასარგებლოდ, თუმცა ამით ისინი ავალდებულებენ არა თავის თავს, არამედ – მშობლებს.

[2] თუ მშობლებს ხელი ეშლებათ მოქმედების განხორციელებაში ან თუ მათ შესაბამის საკითხთან დაკავშირებით აქვთ ისეთი ინტერესი, რომელიც ეწინააღმდეგება შვილის ინტერესებს, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანო ნიშნავს მრჩეველს (Beistand) ან თავად აგვარებს საკითხს.

[3] ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, შესაბამის საკითხთან დაკავშირებით მშობლების უფლებამოსილებები ავტომატურად კანონის ძალით წყდება.

მუხლი 307

[1] თუ ბავშვის კეთილდღეობას ექმნება საფრთხე და მშობლები არ ზრუნავენ მდგომარეობის გამოსწორებაზე ან ისინი უძლურნი არიან, გამოასწორონ ის, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანო იღებს სათანადო ზომებს ბავშვის დასაცავად.

[2] ანალოგიური ვალდებულება ბავშვთა დაცვის ორგანოს ეკისრება ასევე იმ ბავშვების მიმართაც, რომლებიც იმყოფებიან აღსაზრდელად ამყვან მშობლებთან ან ცხოვრობენ მშობლების საერთო სახლის მიღმა.

[3] კერძოდ, ბავშვთა დაცვის ორგანოს შეუძლია შეახსენოს მშობლებს, ბავშვის აღსაზრდელად ამყვან მშობლებს ან ბავშვს მათი მოვალეობები და მისცეს მათ განსაზღვრული მითითებები ზრუნვასთან, აღზრდასა თუ სწავლა-განათლებასთან დაკავშირებით და ასევე განსაზღვროს სათანადო პირი ან დაწესებულება საკითხის გარკვევისა და ინფორმაციის მიღებისათვის.

მუხლი 308

[1] თუ გარემოებები ამას ითხოვს, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანო ბავშვს უნიშნავს მრჩეველს, რომელიც რჩევითა და ქმედებით ეხმარება მშობლებს შვილზე ზრუნვაში.

[2] ბავშვთა დაცვის ორგანოს შეუძლია მრჩეველს მიანიჭოს განსაკუთრებული უფლებამოსილებები, სახელდობრ, ბავშვის წარმომადგენლობა მამობის დადგენისას, ბავშვის კუთვნილი რჩენის მოთხოვნის უფლებისა და სხვა უფლებების დაცვა, ასევე – პირადი კონტაქტის ზედამხედველობის უფლებამოსილება.

[3] მშობლის ზრუნვა შესაძლოა შესაბამისად შეიზღუდოს.

მუხლი 309 (გაუქმებულია)

მუხლი 310

[1] თუ ბავშვისათვის შექმნილი საფრთხის თავიდან აცილება სხვაგვარად შეუძლებელია, ბავშვთა დაცვის ორგანომ ბავშვი უნდა ჩამოართვას მშობლებს ან მესამე პირებს, თუ ბავშვი ამ უკანასკნელებთან იმყოფება, და განათავსოს ის საცხოვრებლად სათანადო ადგილას.

[2] მშობლების ან ბავშვის შუამდგომლობის საფუძველზე ბავშვთა დაცვის ორგანო ანალოგიურ განკარგულებას იღებს იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობა იმდენად გაუარესდა, რომ ბავშვის ოჯახის სახლში დარჩენა მიზანშეუწონელი გახდა და გარემოებებიდან გამომდინარე სხვა გამოსავალი არ არსებობს.

[3] თუ ბავშვი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა აღსაზრდელად ამყვან მშობლებთან, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანოს შეუძლია აუკრძალოს მშობლებს მისი უკან დაბრუნება, თუ ეს ქმედება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ბავშვის განვითარებას.

მუხლი 311

[1] თუ ბავშვის დაცვისკენ მიმართული სხვა ზომები უშედეგოა ან ისინი თავიდანვე არასაკმარისად ჩანდა, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანო აუქმებს მშობლის ზრუნვას:

1. თუ მშობლებს გამოუცდელობის, ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის, არყოფნის, ძალმომრეობის ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო არ შეუძლიათ მშობლის ზრუნვის მოვალეობის სათანადოდ შესრულება;

2. თუ მშობლები შვილზე სათანადოდ არ ზრუნავდნენ ან მათ უხეშად დაარღვიეს შვილის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები.

[2] თუ შვილებზე ზრუნვის უფლებამოსილება ჩამოერთვა ორივე მშობელს, მაშინ შვილებს ენიშნებათ მეურვე.

[3] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირდაპირ დადგენილია საწინააღმდეგო წესი, ჩამორთმევა მოქმედებს ყველა შვილის მიმართ, მათ შორის, – მოგვიანებით დაბადებული შვილების მიმართაც.

მუხლი 312

ბავშვთა დაცვის ორგანო აუქმებს მშობლის ზრუნვას:

1. თუ მშობლები მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე ამას ითხოვენ;

2. თუ მშობლები დაეთანხმნენ უცნობი მესამე პირის მიერ ბავშვის სამომავლო შვილად აყვანას.

მუხლი 313

[1] თუ იცვლება არსებული გარემოებები, მაშინ ბავშვის დაცვის ზომები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ახლად შექმნილ მდგომარეობასთან.

[2] ყველა შემთხვევაში დაუშვებელია მშობლის ზრუნვის აღდგენა მისი გაუქმებიდან ერთი წლის ვადის გასვლამდე.

მუხლი 314

[1] აზრობრივად გამოიყენება ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს წინაშე წარმოებული პროცესის მომწესრიგებელი ნორმები.

[2] სათანადო შემთხვევებში ბავშვთა დაცვის ორგანოს შეუძლია მოუწოდოს მშობლებს, რომ მათ ეცადონ საკითხის მოგვარება მედიაციის გზით.

[3] თუ ბავშვთა დაცვის ორგანო ნიშნავს მრჩეველს, მაშინ ის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ადგენს მის ამოცანებსა და მშობლის ზრუნვის შესაძლო შეზღუდვებს.

მუხლი 314a

[1] ბავშვს სათანადო წესით პირადად მოუსმენს ბავშვთა დაცვის ორგანო ან ამ უფლებამოსილებით აღჭურვილი მესამე პირი, რამდენადაც ეს მიზანშეუწონელი არ არის ბავშვი ასაკის ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზის გათვალისწინებით.

[2] მოსმენის ოქმში უნდა აისახოს მხოლოდ გადაწყვეტილებისათვის საჭირო არსებითი ხასიათის შედეგები. მშობლებს ატყობინებენ აღნიშნული შედეგების შესახებ.

[3] ბავშვს, რომელიც უწევს თავის თავს ანგარიშს, შეუძლია გაასაჩივროს მოსმენაზე უარი.

მუხლი 314abis

[1] აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვთა დაცვის ორგანო წყვეტს ბავშვის წარმომადგენლობის საკითხს და მრჩევლად ნიშნავს სოციალური დაცვისა და სამართლებრივ საკითხებში გამოცდილების მქონე პირს.

[2] კერძოდ, ბავშვთა დაცვის ორგანო იხილავს ბავშვის წარმომადგენლობის საკითხს, თუ:

1. ბავშვის საცხოვრებლად განთავსება საქმის წარმოების საგანს წარმოადგენს;

2. მხარეები წარადგენენ განსხვავებულ განცხადებებს მშობლის ზრუნვის მოწესრიგებასა თუ პირადი კონტაქტის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

[3] ბავშვის მრჩეველს შეუძლია განცხადებებისა და საჩივრების წარდგენა.

მუხლი 314b

[1] თუ ბავშვი უნდა განთავსდეს დახურულ დაწესებულებაში ან ფსიქიატრიულ კლინიკაში, მაშინ აზრობრივად გამოიყენება სოციალური დაცვის მიზნით ბავშვის განთავსების შესახებ ზრდასრულ პირთა დაცვის შესახებ ნორმები.

[2] თუ ბავშვს აქვს უნარი, გაუწიოს თავის თავს ანგარიში, მას თავად შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 315

[1] ბავშვის უფლებათა დაცვის ღონისძიებათა გატარების შესახებ განკარგულებები მიიღება ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი ბავშვთა დაცვის ორგანოს მიერ.

[2] თუ ბავშვი ცხოვრობს ბავშვის აღსაზრდელად ამყვან მშობლებთან ან სხვაგვარად მშობლების სახლის მიღმა ანდა სახეზეა დაგვიანების საფრთხე, მაშინ საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილი არიან ასევე იმ ტერიტორიაზე მოქმედი ორგანოები, სადაც იმყოფება ბავშვი.

[3] თუ ბავშვის ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი ორგანო იღებს ბავშვის უფლებათა დაცვის ზომებს, მაშინ ის ატყობინებს ამის შესახებ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედ ორგანოებს.

მუხლი 315a

[1] თუ განქორწინების ან ოჯახური კავშირის დაცვის საქმეებზე განსჯადმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს შვილებთან მშობლების ურთიერთობის საკითხები, მაშინ ის იღებს ასევე ბავშვის უფლებათა დაცვის აუცილებელ ზომებსაც და ავალებს ამ ზომების გატარებას ბავშვთა დაცვის ორგანოს.

[2] ბავშვის უფლებათა დაცვის არსებული ზომები სასამართლომ შეიძლება ასევე მიუსადაგოს ახალ გარემოებებსაც.

[3] თუმცა, ბავშვთა დაცვის ორგანო რჩება უფლებამოსილი:

1. გააგრძელოს სასამართლოში საქმის განხილვამდე დაწყებული ბავშვის უფლებათა დაცვის პროცესი;

2. დაადგინოს ბავშვის უფლებათა დაცვისათვის დაუყოვნებლივ საჭირო ზომები, თუ სავარაუდოდ მათ მიღებას სასამართლო დროულად ვერ შეძლებს.

მუხლი 315b

[1] შვილების განაწილებისა და მათ უფლებათა დაცვის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული განკარგულებების შეცვლაზე განსჯადია სასამართლო:

1. განქორწინების საქმის წარმოებისას;

2. განქორწინების მომწესრიგებელი დებულებების შესაბამისად განქორწინების საქმეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით საქმის წარმოებაში;

3. ქორწინების დაცვის ღონისძიებათა შეცვლის მოთხოვნით საქმის წარმოებაში; აზრობრივად გამოიყენება განქორწინების მომწესრიგებელი დებულებები.

[2] დანარჩენ შემთხვევებში კომპეტენტურია ბავშვთა დაცვის ორგანო.

მუხლი 316

[1] პირი, ვინც აღსაზრდელად იყვანს ბავშვებს, საჭიროებს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი ბავშვთა დაცვის ორგანოს ან კანტონალური სამართლით განსაზღვრული სხვა დაწესებულების თანხმობის მიღებას, და ის ასევე იმყოფება ამ ორგანოსა თუ დაწესებულების მეთვალყურეობის ქვეშ.

[1bis] თუ ბავშვის აღსაზრდელად აყვანა ხდება შემდგომში შვილად აყვანის მიზნით, მაშინ კომპეტენტურია ცალკეული კანტონალური ორგანო.

[2] ფედერალური საბჭო იღებს საკანონმდებლო ნორმების შესრულების შესახებ ინსტრუქციებს.

მუხლი 317

კანტონები შესაბამისი დანაწესების მეშვეობით უზრუნველყოფენ ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას ბავშვთა დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივ, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლისა და მათი სხვაგვარი დახმარების სფეროში.

მეოთხე თავი: ბავშვის ქონება

მუხლი 318

[1] მანამდე, სანამ მშობლები ახორციელებენ მშობლის ზრუნვას, მათ აქვთ ბავშვის ქონების მართვის უფლება და ეკისრებათ ამის ვალდებულება.

[2] თუ გარდაიცვლება ერთ-ერთი მშობელი, მაშინ ცოცხლად დარჩენილმა მშობელმა ბავშვთა დაცვის ორგანოს უნდა წარუდგინოს ბავშვის ქონების ნუსხა.

[3] თუ ბავშვის ქონების სახეობისა და ოდენობის, ასევე მშობლების პირადი მდგომარეობის გათვალისწინებით ბავშვთა დაცვის ორგანო ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, მაშინ ის ადგენს ქონების აღწერის ჩატარებას ან პერიოდულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას.

მუხლი 319

[1] მშობლებს შეუძლიათ ბავშვის ქონებიდან მიღებული შემოსავლები გამოიყენონ ბავშვის რჩენის, აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის და რამდენადაც ეს სამართლიანია, – ასევე საოჯახო მეურნეობის საჭიროებებისათვისაც.

[2] ნარჩენი თანხა ემატება ბავშვის ქონებას.

მუხლი 320

[1] ერთჯერადი სრული დაკმაყოფილებისკენ მიმართული, საკომპენსაციო და მსგავსი გადახდები შესაძლოა ნაწილ-ნაწილ თანხებად იქნეს გამოყენებული ბავშვის რჩენის მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად.

[2] თუ აუცილებელი ხდება რჩენის, აღზრდისა თუ სწავლა-განათლების ხარჯების დაფარვა, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანოს შეუძლია მშობლებს დართოს ნება, განსაზღვრული თანხების ოდენობით გამოიყენონ ასევე ბავშვის ქონების დარჩენილი ნაწილიც.

მუხლი 321

[1] მშობლებს არ შეუძლიათ ბავშვის ქონებიდან მიღებული შემოსავლების გამოყენება, თუ ბავშვს ქონება გადაეცემა ასეთი პირდაპირ გათვალისწინებული პირობით ან პროცენტიანი ინვესტიციების სახით განსაზღვრული ანდა ანაბარზე განთავსებული ფულადი სახსრების სახით.

[2] მშობლების მეშვეობით ქონების მართვა გამორიცხულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების გადაცემისას აღნიშნული პირდაპირ დადგინდება.

მუხლი 322

[1] საანდერძო განკარგულებით მშობლის მიერ ქონების მართვიდან შეიძლება გამორიცხოს ასევე ბავშვის სავალდებულო წილიც.

[2] თუ მამკვიდრებელი სამკვიდრო ქონებას სამართავად გადასცემს მესამე პირს, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანოს შეუძლია მას მოსთხოვოს ქონების პერიოდული აღრიცხვა და ანგარიშგება.

მუხლი 323

[1] ბავშვი თავად მართავს და იყენებს იმ აქტივებს, რასაც ის საკუთარი შრომით იძენს და თავისი ქონებიდან მშობლებისაგან იღებს პროფესიულ ან საკუთარ სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებისათვის.

[2] თუ ბავშვი მშობლებთან ერთად ცხოვრობს ოჯახის სახლში, მაშინ მშობლებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ ბავშვმა გაიღოს სათანადო თანხა საკუთარი რჩენისათვის.

მუხლი 324

[1] თუ გულმოდგინე მართვა არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანო სათანადო ზომებს იღებს ბავშვის ქონების დასაცავად.

[2] სახელდობრ, ბავშვთა დაცვის ორგანოს შეუძლია მშობლებს მისცეს მითითებები ქონების მართვასთან დაკავშირებით, ხოლო თუ ქონების პერიოდული აღრიცხვა და ანგარიშგება საკმარისი არ არის, მას შეუძლია დაავალოს მშობლებს დეპოზიტზე თანხის განთავსება ან უზრუნველყოფის წარდგენა.

[3] საქმის წარმოების პროცედურისა და განსჯადობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება ბავშვთა დაცვის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 325

[1] თუ ბავშვის ქონების მიმართ არსებული საფრთხის თავიდან აცილება სხვაგვარად შეუძლებელია, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანო ქონებას სამართავად გადასცემს მრჩეველს.

[2] ბავშვთა დაცვის ორგანო იღებს ანალოგიურ განკარგულებებს, თუ საფრთხე ექმნება ბავშვის იმ ქონებას, რომელიც არ იმართება მშობლების მიერ.

[3] თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ბავშვის ქონებიდან მიღებული შემოსავლები ან ამ ქონებიდან სამომხმარებლოდ გათვალისწინებული ან გამოთავისუფლებული თანხები არ იქნება გამოყენებული დანიშნულებისამებრ, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანოს შეუძლია ასევე ეს აქტივებიც სამართავად გადასცეს მრჩეველს.

მუხლი 326

მშობლის ზრუნვის ან მშობლის მიერ ქონების მართვის დასრულებისას მშობლებმა ბავშვის ქონება საბოლოო ანგარიშსწორების დოკუმენტის საფუძველზე უნდა გადასცენ სრულწლოვან ბავშვს ან მის კანონიერ წარმომადგენელს.

მუხლი 327

[1] შესრულებულის დაბრუნებისათვის მშობლები პასუხს აგებენ როგორც რწმუნებული.

[2] მშობლებმა უნდა დააბრუნონ ამონაგები თანხები იმ ქონებისათვის, რომელიც მათ კეთილსინდისიერად გაასხვისეს.

[3] მშობლებს არ ეკისრებათ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება იმ ნებადართული ხარჯებისათვის, რომლებიც გაღებულ იქნა ბავშვის ან საოჯახო მეურნეობისათვის.

მეხუთე თავი: მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი

მუხლი 327a

თუ ბავშვი არ იმყოფება მშობლის ზრუნვის ქვეშ, მაშინ ბავშვთა დაცვის ორგანო მას უნიშნავს მეურვეს.

მუხლი 327b

მეურვეობის ქვეშ მყოფ ბავშვს აქვს იგივე უფლებრივი მდგომარეობა, რაც მშობლის ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვს.

მუხლი 327c

[1] მეურვეს აქვს იგივე უფლებები, რაც მშობლებს.

[2] აზრობრივად გამოიყენება ზრდასრულ პირთა დაცვის შესახებ ნორმები, სახელდობრ, – მრჩევლის დანიშვნის, მის მიერ საქმის მართვისა და ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს თანამონაწილეობის შესახებ ნორმები.

[3] თუ ბავშვი უნდა განთავსდეს დახურულ დაწესებულებაში ან ფსიქიატრიულ კლინიკაში, მაშინ აზრობრივად გამოიყენება სოციალური დაცვის მიზნით ბავშვის განთავსების შესახებ ზრდასრულ პირთა დაცვის შესახებ ნორმები.

მეცხრე ტიტული: საოჯახო გაერთიანება

პირველი თავი: რჩენის ვალდებულება

მუხლი 328

[1] ფინანსურად უზრუნველყოფილ პირობებში მცხოვრები პირი ვალდებულია, არჩინოს აღმავალი და დაღმავალი ხაზით ნათესავები, რომლებიც ასეთი მხარდაჭერის გარეშე რთულ ეკონიმიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ.

[2] შენარჩუნებულია მშობლებისა და მეუღლის, ასევე რეგისტრირებული პარტნიორების რჩენის ვალდებულება.

მუხლი 329

[1] რჩენის მოთხოვნის უფლების წარდგენა ვალდებული პირების მიმართ ხდება მათ მიერ სამკვიდროს მიღების უფლებამოსილების რიგითობის მიხედვით და ის გამოიხატება შესრულების იმ მოცულობაში, რომელიც მოითხოვება გაჭირვებულის რჩენის საჭიროების დასაკმაყოფილებლად და შეესაბამება ვალდებული პირის ქონებრივ მდგომარეობას.

[1bis] რჩენის მოთხოვნის უფლების წარდგენა დაუშვებელია, თუ რთული ეკონომიკური მდგომარეობა გამოწვეულია საკუთარ შვილებზე ზრუნვის გამო შრომითი საქმიანობის შეზღუდვით.

[2] თუ განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე ვალდებული პირისათვის დაკისრებული რჩენის ვალდებულების მოთხოვნა უსამართლო იქნება, სასამართლოს შეუძლია შეამციროს რჩენის ვალდებულების მოცულობა ან საერთოდ გააუქმოს ის.

[3] შესაბამისად გამოიყენება ბავშვის მიერ საალიმენტო თანხების დაკისრების შესახებ სარჩელისა და მისი რჩენის მოთხოვნის უფლების თემზე გადასვლის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 330

[1] ნაპოვნი ბავშვების რჩენას ახორციელებს ის თემი, რომლის მოქალაქეებიც ისინი ხდებიან.

[2] თუ ნაპოვნი ბავშვის წარმომავლობა დადგინდება, მაშინ აღნიშნულ თემს შეუძლია რჩენაზე ვალდებულ ნათესავებსა და, უკიდურეს შემთხვევაში, – რჩენაზე ვალდებულ სახელმწიფო ორგანოს მოსთხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მის მიერ ნაპოვნი ბავშვის რჩენისას იქნა გაწეული.

მეორე თავი: სახლის მართვის უფლებამოსილება (Hausgewalt)

მუხლი 331

[1] თუ საერთო საოჯახო სახლში მცხოვრებ პირებს საკანონმდებლო ნორმების, შეთანხმების ან ტრადიციის შესაბამისად ჰყავს ოჯახის უფროსი, მაშინ ამ უკანასკნელს აქვს ოჯახის სახლის მართვის უფლებამოსილება.

[2] სახლის მართვის უფლებამოსილება ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომელიც საერთო სახლში ცხოვრობს და უძღვება მეურნეობას როგორც ნათესავი და დანათესავებული ან სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, – როგორც დასაქმებული ანდა ანალოგიურ პოზიციაზე მყოფი.

მუხლი 332

[1] მართვის წესები, რომლებსაც ემორჩილებიან ოჯახის წევრები, სათანადოდ უნდა ითვალისწინებდეს ურთიერთობის ყველა მონაწილის ინტერესებს.

[2] კერძოდ, ოჯახის წევრებს უნდა მიეცეთ საკუთარი სწავლა-განათლების, პროფესიული შრომისა და რელიგიური საჭიროებებისათვის აუცილებელი თავისუფლება.

[3] წევრების მიერ ოჯახში შემოტანილი ნივთები ოჯახის უფროსმა უნდა შეინახოს და ზიანისაგან დაიცვას იგივე ზრუნვით, რასაც ის ავლენს საკუთარი ნივთების მიმართ.

მუხლი 333

[1] თუ ზიანი გამოწვეულია ოჯახის იმ წევრის მიერ, რომელიც არასრულწლოვანია ან აქვს გონებრივი შეზღუდვა, იმყოფება საერთო მზრუნველობის ქვეშ ანდა აქვს ფსიქიკური დარღვევა, მაშინ ოჯახის უფროსი ამ ზიანზე პასუხისმგებელია იმდენად, რამდენადაც მან ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ გამოავლინა ოჯახზე ზრუნვის ჩვეულებრივი და არსებული გარემოებებით საჭირო მოცულობა.

[2] ოჯახის უფროსი ვალდებულია, იზრუნოს იმაზე, რომ გონებრივი შეზღუდვის ან ფსიქიკური დარღვევის მქონე ოჯახის წევრის მდგომარეობის გამო არ წარმოეშვათ რაიმე საფრთხე ან ზიანი არც თავად ამ პირს და არც ოჯახის სხვა წევრებს.

[3] აუცილებლობის შემთხვევაში ოჯახის უფროსმა კომპეტენტურ ორგანოებს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება აუცილებელი უსაფრთხოების ზომების მიღების მიზნით.

მუხლი 334

[1] სრულწლოვან შვილებს ან შვილიშვილებს, რომლებმაც საერთო საოჯახო მეურნეობაში გასწიეს შრომა ან თავიანთი შემოსავლები გადასცეს მშობლებს ან პაპა-ბებიებს, შეუძლიათ ამისათვის მოითხოვონ სათანადო საზღაური.

[2] დავის შემთხვევაში საზღაურის ოდენობის, მისი უზრუნველყოფისა და გადახდის სახისა და ხერხის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

მუხლი 334bis

[1] შვილების ან შვილიშვილების კუთვნილი საზღაური შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მოვალის გარდაცვალებისას.

[2] საზღაური შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ჯერ კიდევ მოვალის სიცოცხლის განმავლობაში, თუ მოვალის ქონებაზე ხდება ყადაღის დადება ან იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება, თუ საერთო საოჯახო მეურნეობა უქმდება ანდა წარმოება სხვის ხელში გადადის.

[3] საზღაურის მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება ხანდაზმულობას, თუმცა ის წარდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს მოვალის სამკვიდროს გაყოფის მომენტისა.

მესამე თავი: ოჯახის ქონება

მუხლი 335

[1] ქონება შეიძლება ოჯახთან იმგვარად იყოს დაკავშირებული, რომ ოჯახის წევრთა აღზრდის, შვილისათვის გამოყოფილი აქტივის ან რჩენის ხარჯების გაწევისათვის ან მსგავსი მიზნებისათვის პირებისა თუ მემკვიდრეობის სამართლის წესების შესაბამისად შეიქმნას საოჯახო ფონდი.

[2] ოჯახის ფიდეიკომისის დაფუძნება აღარ არის დასაშვები.

მუხლი 336

ქონება შეიძლება ოჯახთან იმგვარად იყოს დაკავშირებული, რომ ნათესავები სამკვიდო ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ ფლობას აგრძელებენ საერთო საკუთარების სახით ან საერთო საკუთარებას უერთებენ რაიმე ქონებრივ ობიექტს.

მუხლი 337

თავისი ნამდვილობისათვის საერთო საკუთრების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებასა და ყველა თანამესაკუთრის ან მათი წარმომადგენლების ხელმოწერას.

მუხლი 338

[1] საერთო საკუთრება შეიძლება შეიქმნას განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

[2] თუ საერთო საკუთრება იქმნება განუსაზღვრელი ვადით, მაშინ ნებისმიერ თანამესაკუთრეს შეუძლია მისი შეწყვეტა ექვსთვიანი ვადის დაცვით.

[3] როდესაც საერთო საკუთრებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საწარმო, შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ადგილობრივ ჩვეულებების შესაბამისად გაზაფხულის ან შემოდგომის პერიოდში.

მუხლი 339

[1] საერთო საკუთრება ავალდებულებს თანამესაკუთრეებს საერთო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას.

[2] სხვა პირობის არარსებობისას თანამესაკუთრეები საერთო საკუთრებაში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით.

[3] საერთო საკუთრების არსებობისას თანამესაკუთრეებს არ შეუძლიათ არც ქონების გაყოფის მოთხოვნა და არც საერთო საკუთრებაში თავიანთი წილების განკარგვა.

მუხლი 340

[1] საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ერთობლივად ყველა თანამესაკუთრის მიერ.

[2] თითოეულ თანამესაკუთრეს დანარჩენ თანამესაკუთრეთა თანამონაწილეობის გარეშე შეუძლია ქონების მართვასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი მოქმედებების შესრულება.

მუხლი 341

[1] თანამესაკუთრეებს შეუძლიათ ერთ-ერთი წევრი დანიშნონ საერთო საკუთრების ხელმძღვანელად.

[2] საერთო საკუთრებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ფარგლებში საერთო საკუთრების ხელმძღვანელს აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ის უძღვება მის ეკონიმიკურ საქმიანობას.

[3] თუმცა, სხვა თანამესაკუთრეების საერთო საკუთრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისაგან გამორიცხვა კეთილსინდისიე-

რი მესამე პირების მიმართ ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენელი რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში.

მუხლი 342

[1] საერთო საკუთრების ქონებრივი ობიექტები იმყოფება ყველა თანამესაკუთრის თანასაკუთრებაში.

[2] ვალებისათვის თანამესაკუთრეები პასუხს აგებენ სოლიდარულად.

[3] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად თანხმდებიან, ის აქტივი, რასაც თანამესაკუთრე საერთო საკუთრების პარალელურად ფლობს ან საერთო საკუთრების არსებობის პერიოდში მემკვიდრეობით ან სხვაგვარად უსასყიდლოდ იძენს, წარმოადგენს მის პირად ქონებას.

მუხლი 343

საერთო საკუთრება უქმდება:

1. შეთანხმებით ან შეწყვეტის შესახებ განცხადებით;
2. იმ ვადის გასვლით, რომლისათვისაც დადგინდა საერთო საკუთრება, რამდენადაც ის უსიტყვოდ არ გრძელდება;
3. თუ მოხდება საერთო საკუთრებაში თანამესაკუთრის დაყადაღებული წილის რეალიზაცია;
4. თუ თანამესაკუთრის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება;
5. თანამესაკუთრის მოთხოვნით მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე.

მუხლი 344

[1] თუ თანამესაკუთრე წყვეტს საერთო საკუთრებას ან ერთ-ერთი თანამესაკუთრის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება ანდა ხდება საერთო საკუთრებაში თანამესაკუთრის დაყადაღებული წილის რეალიზაცია, მაშინ დანარჩენ თანამესაკუთრეებს შეუძლიათ გააგრძელონ ერთმანეთთან საერთო საკუთრება, რამდენადაც ისინი აკმაყოფილებენ საერთო საკუთრებიდან გამსვლელს ან მის კრედიტორებს.

[2] თუ თანამესაკუთრე ქორწინდება, მაშინ მას შეუძლია აღნიშნული დაკმაყოფილების მოთხოვნა საერთო საკუთრების შეწყვეტის შესახებ განცხადების გარეშე.

მუხლი 345

[1] თუ თანამესაკუთრე გარდაიცვლება, მაშინ იმ მემკვიდრეებს, რომლებიც არ მონაწილეობენ საერთო საკუთრებაში, შეუძლიათ მოითხოვონ მხოლოდ მისი წილის სანაცვლო დაკმაყოფილება.

[2] თუ აღნიშნულ თანამესაკუთრეს რჩება სამკვიდროს მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავლები, მაშინ ამ უკანასკნელებს დანარჩენი თანამესაკუთრეების თანხმობით შეუძლიათ საერთო საკუთრებაში მამკვიდრებლის ჩანაცვლება.

მუხლი 346

[1] საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა ან გამსვლელი თანა-

მესაკუთრის წილის სანაცვლო დაკმაყოფილება ხორციელდება იმ ქონებრივი მდგომარეობით, რომელიც სახეზეა საერთო საკუთრების გაუქმების საფუძვლის დადგომისას.

[2] შეუსაბამო დროს გაყოფის განხორციელების მოთხოვნა დაუშვებელია.

მუხლი 347

[1] თანამესაკუთრეებს შეუძლიათ საერთო საკუთრებაში არსებული ქონების ექსპლუატაცია და წარმომადგენლობა დააკისრონ ერთ-ერთ მათგანს იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ყოველწლიურად თითოეულ თანამესაკუთრეს გადაუხდის წმინდა მოგებიდან წილს.

[2] თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, ზემოაღნიშნული წილი დგინდება სამართლიანობის საფუძველზე საკმარისად გრძელვადიანი პერიოდისათვის საერთო საკუთრებაში არსებული ქონებიდან მიღებული საშუალო შემოსავლების მიხედვითა და იმ თანამესაკუთრის მიერ განხორციელებული გადახდების გათვალისწინებით, რომელსაც დაეკისრა საერთო საკუთრებაში არსებული ქონების ექსპლუატაცია და წარმომადგენლობა.

მუხლი 348

[1] თუ საერთო საკუთრებაში არსებული ქონება ჯეროვნად არ იმართება იმ თანამესაკუთრის მიერ, რომელსაც დაეკისრა ამ ქონების ექსპლუატაცია და წარმომადგენლობა, ან თუ ეს თანამესაკუთრე არ ასრულებს თავის ვალდებულებებს სხვა თანამესაკუთრეთა მიმართ, მაშინ საერთო საკუთრება შეიძლება გაუქმდეს.

[2] თანამესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე შეუძლია დაადგინოს მისი ჩართვა იმ თანამესაკუთრის მიერ განხორციელებულ სამეურნეო მართვაში, რომელსაც დაეკისრა საერთო საკუთრებაში არსებული ქონების ექსპლუატაცია და წარმომადგენლობა, სამემკვიდრეო-სამართლებრივი გაყოფის მომწესრიგებელი ნორმების გათვალისწინებით.

[3] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით მოგებაზე ორიენტირებული საერთო საკუთრება რეგულირდება საერთო სამეურნეო მართვაში არსებული საერთო საკუთრების მომწესრიგებელი ნორმებით.

მუხლები 349-358 (გაუქმებულია)

მუხლი 359 (გაუქმებულია)

მესამე განყოფილება: ზრდასრულ პირთა დაცვა

მეათე ტიტული: საკუთარ თავზე ზრუნვა და კანონისმიერი ღონისძიებები

პირველი თავი: საკუთარ თავზე ზრუნვა

პირველი ქვეთავი: ზრუნვის დავალება

მუხლი 360

[1] თავის თავისთვის ანგარიშის გაწევის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, ქმედუნარიან პირს შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს დაავალოს, რომ ამ უკანასკნელმა იკისროს მის პიროვნებაზე ან ქონებაზე ზრუნვა ანდა წარმოადგინოს ის სამოქალაქო ურთიერთობებში.

[2] ქმედუნარიანმა პირმა უნდა განსაზღვროს ის ამოცანები, რომელთა რწმუნებულზე დაკისრებაც მას სურს, და შეუძლია მისცეს მას მითითებები ამ ამოცანების შესრულებისათვის.

[3] ქმედუნარიან პირს შეუძლია შეცვალოს რწმუნებული იმ შემთხვევაში, თუ ის შეუსაბამოა მასზე დაკისრებული ამოცანებისათვის, უარს ამბობს დავალების კისრებაზე ან აუქმებს მას.

მუხლი 361

[1] ზრუნვის დავალების მიცემა ხორციელდება საკუთარი ხელით შესრულებული ან ოფიციალურად დამოწმებული წერილობითი დოკუმენტის სახით.

[2] საკუთარი ხელით შესრულებული ზრუნვის დავალების მიცემის შესახებ წერილობითი დოკუმენტი დავალების მიმცემის მიერ უნდა იქნეს თავიდან ბოლომდე დაწერილი, დათარიღებული და ხელმოწერილი.

[3] განცხადების საფუძველზე სამოქალაქო რეესტრის სამსახური მონაცემთა ცენტრალურ ბაზაში რეგისტრაციაში ატარებს ფაქტს იმის შესახებ, რომ პირმა მოახდინა ზრუნვის დავალების მიცემა, და ასევე – მისი შენახვის ადგილს. ფედერალური საბჭო ადგენს აუცილებელ დანაწესებს, სახელდობრ კი, – მონაცემების ხელმისაწვდომობის შესახებ დანაწესებს.

მუხლი 362

[1] დავალების მიმცემს შეუძლია თავისი ზრუნვის დავალების ნებისმიერ დროს იმ ერთ-ერთი ფორმით გაუქმება, რაც გათვალისწინებულია მისი მიცემისათვის.

[2] დავალების მიმცემს ზრუნვის დავალება შეუძლია გააუქმოს ასევე დოკუმენტის განადგურებით.

[3] თუ დავალების მიმცემი იძლევა ახალ ზრუნვის დავალებას თავდაპირველი დავალების პირდაპირი გაუქმების გარეშე, მაშინ ახალი ზრუნვის დავალება იკავებს თავდაპირველის ადგილს, რამდენადაც ის აშკარად არ წარმოადგენს პირველის უბრალო განვრცობას.

მუხლი 363

[1] თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო შეიტყობს, რომ პირს აღარ შეუძლია თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა, თუმცა მისთვის უცნობია, არის თუ არა სახეზე ზრუნვის დავალება, – მაშინ მან შესაბამისი ცნობები უნდა მიიღოს სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან.

[2] თუ ზრუნვის დავალება სახეზეა, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ამოწმებს:

1. არის თუ არა ეს დავალება ძალმოსილად მიცემული;
2. დამდგარია თუ არა წინაპირობები მისი სამართლებრივი ძალისათვის;
3. შეეფერება თუ არა რწმუნებული მასზე დაკისრებულ ამოცანებს;
4. მოითხოვება თუ არა ზრდასრულ პირთა დაცვის შემდგომი ღონისძიებები.

[3] თუ რწმუნებული კისრულობს ზრუნვის დავალებას, მაშინ ორგანო განუმარტავს მას დავალების შესახებ ვალდებულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად ნაკისრ ვალდებულებებს და გადასცემს დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია მისი უფლებამოსილებები.

მუხლი 364

რწმუნებულს შეუძლია ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მოსთხოვოს ზრუნვის დავალების განმარტება და მისი დამატებითი დებულებებით განვრცობა.

მუხლი 365

[1] რწმუნებული წარმოადგენს დავალების მიმცემს ზრუნვის დავალების ფარგლებში მოქმედებისას და მან თავისი დავალებები უნდა შეასრულოს გულმოდგინედ დავალების შესახებ ვალდებულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად.

[2] თუ უნდა შესრულდეს ისეთი მოქმედებები, რომლებსაც არ მოიცავს ზრუნვის დავალება, ან თუ რწმუნებულს აქვს ინტერესი იმ საკითხში, რომელიც წინააღმდეგობაშია დავალების მიმცემის ინტერესებთან, მაშინ რწმუნებულმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს.

[3] ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, რწმუნებულის უფლებამოსილებები კანონის ძალით ავტომატურად წყდება.

მუხლი 366

[1] თუ ზრუნვის დავალება არ შეიცავს რწმუნებულისათვის გასამრჯელოს გადახდის შესახებ რაიმე მითითებას, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ადგენს სათანადო საზღაურს, როდესაც ეს დავალებათა მოცულობის გათვალისწინებით გამართლებულად ჩანს ან თუ რწმუნებულის მომსახურება, როგორც წესი, სასყიდლიანია.

[2] გასამრჯელოსა და აუცილებელი დანახარჯების თანხების გადახდა ეკისრება დავალების მიმცემს.

მუხლი 367

[1] ორთვიანი შეწყვეტის ვადის დაცვითა და ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოსათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით რწმუნებულს ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს ზრუნვის დავალება.

[2] მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე რწმუნებულს დავალების შეწყვეტა შეუძლია შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშეც.

მუხლი 368

[1] თუ დავალების მიმცემის ინტერესებს ექმნება საფრთხე ან ეს ინტერესები აღარ არის დაცული, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო საკუთარი ინიციატივით ან დაკავშირებული პირის განცხადების საფუძველზე იღებს აუცილებელ ზომებს.

[2] კერძოდ, დავალების მიმცემს შეუძლია რწმუნებულს მისცეს მითითებები, დაავალდებულოს ის ქონების ნუსხის წარმოდგენაზე, პერიოდულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე ანდა ნაწილობრივ ან სრულად გააუქმოს მისი უფლებამოსილებები.

მუხლი 369

[1] თუ დავალების მიმცემი კვლავ ხდება ქმედუნარიანი, მაშინ ზრუნვის დავალება ავტომატურად კანონის ძალით კარგავს თავის ძალას.

[2] თუ აღნიშნულის შედეგად საფრთხე ექმნება დავალების მიმცემის ინტერესებს, მაშინ რწმუნებული ვალდებულია, მანამდე იზრუნოს მისთვის მიცემული დავალებების შესრულების გაგრძელებაზე, სანამ დავალების მიმცემი თავად არ შეძლებს თავისი ინტერესების დაცვას.

[3] ის მოქმედებები, რომლებსაც რწმუნებული ახორციელებს მანამდე, სანამ ის შეიტყობს მისი დავალების გაუქმების შესახებ, ავალდებულებს დავალების მიმცემს ისე, თითქოს დავალება ჯერ კიდევ არსებობს.

მეორე ქვეთავი: პაციენტის ინსტრუქცია (Patientenverfügung)

მუხლი 370

[1] ქმედუნარიან პირს პაციენტის ინსტრუქციაში შეუძლია დაადგინოს, თუ რომელი სამედიცინო ხასიათის ზომების მიღებას ეთანხმება ის ან არ ეთანხმება მისი ქმედუუნარობის დადგომის შემთხვევაში.

[2] ქმედუნარიან პირს შეუძლია ასევე დაასახელოს ფიზიკური პირი, რომელიც მისი ქმედუუნარობის დადგომის შემთხვევაში მკურნალ ექიმთან განიხილავს სამედიცინო ხასიათის ზომებსა და მისი სახელით მიიღებს გადაწყვეტილებებს. მას შეუძლია აღნიშნულ პირს მისცეს შესაბამისი მითითებები.

[3] ქმედუნარიან პირს შეუძლია შეცვალოს დასახელებული პირი იმ შემთხვევაში, თუ ის შეუსაბამოა მასზე დაკისრებული ამოცანებისათვის, უარს ამბობს დავალების კისრებაზე ან აუქმებს მას.

მუხლი 371

[1] პაციენტის ინსტრუქცია უნდა შედგეს წერილობით, დათარიღდეს და შესაბამისად ხელმოწერილ იქნეს.

[2] პირს, რომელმაც შეადგინა პაციენტის ინსტრუქცია, შეუძლია მოახდინოს ამ ფაქტისა და ინსტრუქციის შენახვის ადგილის აღნიშვნა დაზღვევის ბარათზე. ფედერალური საბჭო ადგენს აუცილებელ დანაწესებს, სახელდობრ კი, – მონაცემების ხელმისაწვდომობის შესახებ დანაწესებს.

[3] აზრობრივად გამოიყენება ზრუნვის დავალების გაუქმების მომწესრიგებელი ნორმა.

მუხლი 372

[1] თუ პაციენტს არ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა და ამავე დროს უცნობია, შედგენილია თუ არა პაციენტის ინსტრუქცია, მაშინ მკურნალი ექიმი აღნიშნულს ადგენს დაზღვევის ბარათის მეშვეობით. ეს წესი არ მოქმედებს გადაუდებელი შემთხვევებისათვის.

[2] ექიმი უნდა მოქმედებდეს პაციენტის ინსტრუქციის შესაბამისად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს არღვევს საკანონმდებლო ნორმებს ან თუ არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ პაციენტის ინსტრუქცია ეფუძნება მის თავისუფალ ნებას ან ჯერ კიდევ შეესაბამება მის სავარაუდო ნება-სურვილს.

[3] ექიმი პაციენტის პირად საქმეში აკეთებს აღნიშვნას იმის შესახებ, თუ რა საფუძვლებიდან გამომდინარე არ იქნა მხედველობაში მიღებული პაციენტის ინსტრუქცია.

მუხლი 373

[1] პაციენტთან დაკავშირებულ ყოველ პირს შეუძლია წერილობით მიმართოს ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს და მოითხოვოს, რომ:

1. პაციენტის ინსტრუქცია არ იქნეს მხედველობაში მიღებული;
2. ქმედუუნარო პირის ინტერესებს ექმნება საფრთხე ან ეს ინტერესები აღარ არის დაცული;
3. პაციენტის ინსტრუქცია თავისუფალ ნებას ეფუძნება.

[2] აზრობრივად გამოიყენება ზრუნვის დავალებისას ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მხრიდან საქმეში ჩარევის მომწესრიგებელი ნორმა.

მეორე თავი: ქმედუუნარო პირებისათვის განსახორციელებელი კანონისმიერი ღონისძიებები

პირველი ქვეთავი: წარმომადგენლობა მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის მიერ

მუხლი 374

[1] პირი, რომელიც მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის სახით უძღვება საერთო საოჯახო მეურნეობას იმ პირთან, რომელსაც არ შეუძლია თავის თა-

ვისთვის ანგარიშის გაწევა, ან რეგულარულად და პირადად უწევს მას დახმარებას, აქვს კანონისმიერი წარმომადგენლობის უფლება, თუ არ არსებობს არც ზრუნვის დავალება და არც შესაბამისი მზრუნველობა.

[2] წარმომადგენლობის უფლება მოიცავს:

1. ყველა იურიდიულ მოქმედებას, რომლებიც ჩვეულებრივ აუცილებელია რჩენის საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2. შემოსავლებისა და სხვა ქონებრივი ობიექტების სათანადო მართვას; და

3. აუცილებლობის შემთხვევაში, – კორესპონდენციის გახსნასა და მასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას.

[3] ქონებრივი ობიექტების საგანგებო მართვის ფარგლებში განხორციელებული იურიდიული მოქმედებებისათვის მეუღლემ ან რეგისტრირებულმა პარტნიორმა უნდა მიიღოს ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს თანხმობა.

მუხლი 375

წარმომადგენლობის უფლების რეალიზაციის მიმართ აზრობრივად გამოიყენება დავალების შესახებ ვალდებულებითი სამართლის ნორმები.

მუხლი 376

[1] თუ არსებობს ეჭვი იმისა, ხდება თუ არა წარმომადგენლობის წინაპირობათა დაკმაყოფილება, მაშინ წარმომადგენლობის უფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო და, აუცილებლობის შემთხვევაში, მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს გადასცემს დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია შესაბამისი უფლებამოსილებები.

[2] თუ ქმედუუნარო პირის ინტერესებს ექმნება საფრთხე ან ეს ინტერესები აღარ არის დაცული, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო დაკავშირებული პირის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს ნაწილობრივ ან სრულად უუქმებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს ან ადგენს მზრუნველობას.

მეორე ქვეთავი: წარმომადგენლობა სამედიცინო ხასიათის ზომების მიღებასთან დაკავშირებით

მუხლი 377

[1] თუ ქმედუუნარო პირმა პაციენტის ინსტრუქციაში არ გააკეთა რაიმე მითითება მკურნალობასთან დაკავშირებით, მაშინ მკურნალი ექიმი ადგენს საჭირო მკურნალობის გეგმას სამედიცინო ხასიათის ზომების მიღებასთან დაკავშირებით წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ჩართვით.

[2] ექიმი ატყობინებს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებიც არსებითია დასახული სამედიცინო ხასიათის ზომების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი, – მათი მიზეზების, მიზნების, სახის, მეთოდების, რისკების, გვერდითი მოვლენებისა და ხარჯების, მკურნალობისაგან თავის შეკავების შედეგების შესახებ, ისევე როგორც – ნებისმიერი ალტერნატიული მკურნალობის შესაძლებლობების შესახებ.

[3] შეძლებისდაგვარად ქმედუუნარო პირიც უნდა ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

[4] მკურნალობის გეგმა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი უკანასკნელ მიღწევებთან.

მუხლი 378

[1] შემდეგი პირები რიგითობის მიხედვით არიან უფლებამოსილი, წარმოადგინონ ქმედუუნარო პირი და დაეთანხმონ დასახული ამბულატორიული ან სტაციონარული სამედიცინო ხასიათის ზომების მიღებას ან უარი განაცხადონ მათ მიღებაზე:

1. პაციენტის ინსტრუქციაში ან ზრუნვის დავალებაში მითითებული პირი:

2. სამედიცინო ხასიათის ზომების მიღებასთან დაკავშირებით წარმომადგენლობის უფლების მქონე მრჩეველი;

3. პირი, რომელიც მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის სახით უძღვება საერთო საოჯახო მეურნეობას იმ პირთან, რომელსაც არ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა, ან რეგულარულად და პირადად უწევს მას დახმარებას;

4. პირი, რომელიც საერთო საოჯახო მეურნეობას აწარმოებს იმ პირთან, რომელსაც არ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა, და რეგულარულად და პირადად უწევს მას დახმარებას;

5. შთამომავლები, როდესაც ისინი რეგულარულად და პირადად უწევენ დახმარებას პირს, რომელსაც არ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა;

6. მშობლები, როდესაც ისინი რეგულარულად და პირადად უწევენ დახმარებას პირს, რომელსაც არ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა;

7. და-ძმები, როდესაც ისინი რეგულარულად და პირადად უწევენ დახმარებას პირს, რომელსაც არ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა.

[2] თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს რამდენიმე პირს, მაშინ კეთილსინდისიერ ექიმს შეუძლია ივარაუდოს, რომ თითოეული მოქმედებს სხვებთან შეთანხმებით.

[3] თუ პაციენტის ინსტრუქციაში არ არის შესაბამისი მითითებები, მაშინ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი გადაწყვეტილებებს იღებს ქმედუუნარო პირის სავარაუდო ნება-სურვილისა და ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 379

გადაუდებელ შემთხვევებში ექიმი სამედიცინო ხასიათის ზომებს იღებს ქმედუუნარო პირის სავარაუდო ნება-სურვილისა და ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 380

ფსიქიატრიულ კლინიკაში ქმედუუნარო პირის ფსიქიკური დარღვევის მკურნალობა რეგულირდება სოციალური დაცვის მიზნით განთავსების შესახებ ნორმებით.

მუხლი 381

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ადგენს წარმომადგენლობით მზრუნველობას, თუ სახეზე არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ან ამ უკანასკნელს არ სურს წარმომადგენლობის უფლების განხორციელება.

[2] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო განსაზღვრავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს ან ადგენს წარმომადგენლობით მზრუნველობას, თუ:

1. გაურკვეველია, ვინ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე;

2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ; ან

3. ქმედუუნარო პირის ინტერესებს ექმნება საფრთხე ან ეს ინტერესები აღარ არის დაცული.

[3] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო მოქმედებს ექიმის ან სხვა დაკავშირებული პირის განცხადების საფუძველზე ანდა საკუთარი ინიციატივით.

მესამე ქვეთავი: განთავსება საცხოვრებელ ან სამზრუნველო დაწესებულებებში

მუხლი 382

[1] თუ ხდება ქმედუუნარო პირის ხანგრძლივი ვადით სამზრუნველოდ განთავსება საცხოვრებელ ან სამზრუნველო დაწესებულებაში, მაშინ მზრუნველობის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებაში წერილობითი ფორმით უნდა დადგინდეს, თუ რა სახის მომსახურება უნდა გასწიოს დაწესებულებამ და რა საზღაურია ამისათვის გათვალისწინებული.

[2] დაწესებულების მიერ გასაწევი მომსახურების დადგენისას შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სამზრუნველო პირის სურვილები.

[3] მზრუნველობის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების დადების, შეცვლისა თუ გაუქმებისას ქმედუუნარო პირის წარმომადგენლობისათვის განსჯადობის საკითხი აზრობრივად რეგულირდება სამედიცინო ხასიათის ზომების მიღებასთან დაკავშირებით წარმომადგენლობის მომწესრიგებელი ნორმებით.

მუხლი 383

[1] საცხოვრებელ ან სამზრუნველო დაწესებულებას ქმედუუნარო პირის მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად რადიკალური ზომები არ არის საკმარისი ან თავიდანვე არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევა, ხოლო მისაღები ზომები კი ემსახურება:

1. სამზრუნველო პირისა თუ მესამე პირის სიცოცხლისა თუ სხეულებრივი ხელშეუხებლობისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის თავიდან აცილებას; ან

2. არსებულ საზოგადოებაში ცხოვრების მძიმე დარღვევის აღმოფხვრა.

[2] მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვამდე სამზრუნველო პირს უნდა განემარტოს, თუ რა ხდება, რატომ იქნა ზომები მიღებული, სავარაუდოდ რამდენი ხანი გაგრძელდება აღნიშნული და ვინ იქნება პასუხისმგებელი პირი ამ ვადის განმავლობაში. ეს წესი არ მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის მიმართ.

[3] მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა შეძლებისდაგვარად კვლავ დროულად უნდა გაუქმდეს და თითოეულ შემთხვევაში მისი ლეგიტიმურობა რეგულარულად უნდა შემოწმდეს.

მუხლი 384

[1] მიმოსვლის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვის შესახებ უნდა შედგეს ოქმი. ეს უკანასკნელი კი, კერძოდ, უნდა შეიცავდეს ზომების მიმღები პირის სახელს, ამ ზომების მიზანს, სახესა და ხანგრძლივობას.

[2] სამედიცინო ხასიათის ზომების მიღებასთან დაკავშირებით წარმომადგენლობაზე უფლებამოლ პირს უნდა ეცნობოს მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიებათა შესახებ და მას ნებისმიერ დროს შეუძლია ოქმის ტექსტის გაცნობა.

[3] ოქმის ტექსტის გაცნობის უფლება აქვთ ასევე იმ პირებსაც, რომლებიც ახორციელებენ საცხოვრებელი ან სამზრუნველო დაწესებულების ზედამხედველობას.

მუხლი 385

[1] სამზრუნველო პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიებათა წინააღმდეგ ნებისმიერ დროს შეუძლია დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით წერილობით მიმართოს ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს.

[2] თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ადგენს, რომ ღონისძიებები არ შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაშინ ის ახდენს ამ ღონისძიებების შეცვლას, აუქმებს მათ ან იღებს გადაწყვეტილებას ზრდასრულ პირთა დაცვის უწყებრივ ღონისძიებათა შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში ის ატყობინებს დაწესებულების საზედამხედველო ორგანოს.

[3] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მიერ განსახორციელებელი შეფასების შესახებ ნებისმიერი თხოვნა დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს შესაბამის ორგანოს.

მუხლი 386

[1] საცხოვრებელი ან სამზრუნველო დაწესებულება იცავს ქმედუუნარო პირის პირად უფლებებსა და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ხელს უწყობს მის კონტაქტს დაწესებულების მიღმა მყოფ პირებთან.

[2] თუ დაწესებულების მიღმა ქმედუუნარო პირის მიმართ არავინ ამჟღავნებს ინტერესს, მაშინ საცხოვრებელი ან სამზრუნველო დაწესებულება შეტყობინებას უგზავნის ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს.

[3] ექიმის არჩევის თავისუფლება უზრუნველყოფილია, რამდენადაც ამის საწინააღმდეგოდ არ არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზები.

მუხლი 387

კანტონები თავის ზედამხედველობას უქვემდებარებენ საცხოვრებელ და სამზრუნველო დაწესებულებებს, რომლებშიც ზრუნავენ ქმედუუნარო პირებზე, რამდენადაც ზედამხედველობა არ არის უკვე უზრუნველყოფილი ფედერალური საკანონმდებლო ნორმებით.

მეთერთმეტე ტიტული: ზრდასრულ პირთა დაცვის უწყებრივი ღონისძიებები

პირველი თავი: ზოგადი პრინციპები

მუხლი 388

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის უწყებრივი ღონისძიებების მიზანია იმ პირთა კეთილდღეობისა და დაცვის უზრუნველყოფა, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას.

[2] უწყებრივმა ღონისძიებებმა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს სამზრუნველო პირის თვითგანსაზღვრა და ხელი შეუწყოს მას.

მუხლი 389

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ადგენს შესაბამის ღონისძიებებს იმ შემთხვევაში, თუ:

1. ოჯახის, სხვა დაკავშირებული პირების ან კერძო თუ საჯარო სამსახურების მხრიდან იმ პირთა მხარდაჭერა, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას, არ არის საკმარისი ან თავიდანვე არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევა;

2. იმ პირთა ქმედუუნარობის დადგომისას, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას, არანაირი ზომები არ იქნა მიღებული თავის თავზე ზრუნვისათვის ან ეს ზომები არ იყო საკმარისი, ხოლო კანონისმიერი ღონისძიებები კი არადამაკმაყოფილებელია.

[2] ყოველი უწყებრივი ღონისძიება უნდა იყოს აუცილებელი და შესაბამისი.

მეორე თავი: მზრუნველობა

პირველი ქვეთავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 390

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ადგენს მზრუნველობას, თუ სრულწლოვან პირს:

1. გონებრივი შეზღუდვის, ფსიქიკური დარღვევისა თუ პიროვნებასთან და-

კავშირებული მსგავსი გონებრივი სისუსტის გამო საკუთარი საქმეების მართვა შეუძლია მხოლოდ ნაწილობრივ ან საერთოდაც არ შეუძლია ეს;

2. თავის თავისთვის ანგარიშის გაწევის უნარის დროებითი დაკარგვის ან იმ საკითხების მოსაგვარებლად დროებითი არყოფნის გამო, რომლებიც საჭიროებს გადაწყვეტას, არ შეუძლია პირადად მოქმედება და მას ასევე არც წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არ დაუნიშნავს.

[2] მხედველობაში მისაღებია ნათესავებისა და მესამე პირების მიერ ნაკისრი ვალდებულებები და მათი დაცვა.

[3] მზრუნველობა დგინდება სამზრუნველო პირის ან დაკავშირებული პირის განცხადების საფუძველზე ან ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მიერ საკუთარი ინიციატივით.

მუხლი 391

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო მზრუნველობის მოვალეობათა წრეს განსაზღვრავს სამზრუნველო პირის საჭიროებების მიხედვით.

[2] მოვალეობათა წრე ეხება პიროვნებაზე ზრუნვას, ქონებაზე ზრუნვას ან სამართლებრივ ურთიერთობებს.

[3] სამზრუნველო პირის თანხმობის გარეშე მზრუნველს შეუძლია მისი კორესპონდენციის გახსნა ან მის საცხოვრებელი სადგომში შესვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანომ ასეთი უფლებამოსილება მას პირდაპირ მიანიჭა.

მუხლი 392

თუ მოვალეობათა მოცულობის გათვალისწინებით მზრუნველობის დადგენა აშკარად არათანაზომიერად მიიჩნევა, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს შეუძლია:

1. თავად მიიღოს აუცილებელი ზომები, სახელდობრ, დაეთანხმოს გარიგების დადებას;

2. დაავალოს მესამე პირს ცალკეული ამოცანების შესრულება; ან

3. დაასახელოს სათანადო პირი ან დაწესებულება განსაზღვრული საკითხების გარკვევისა და ინფორმაციის მიღებისათვის.

მეორე ქვეთავი: მზრუნველობის სახეები

მუხლი 393

[1] თანმხლები მზრუნველობა (Begleitbeistandschaft) დგინდება იმ პირის თანხმობით, რომელიც საჭიროებს დახმარებას, იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს ესაჭიროება თანმხლები მხარდაჭერა განსაზღვრული საკითხების მოსაგვარებლად.

[2] თანმხლები მზრუნველობა არ ზღუდავს სამზრუნველო პირის ქმედუნარიანობას.

მუხლი 394

[1] წარმომადგენლობითი მზრუნველობა (Vertretungsbeistandschaft) დგინდება იმ შემთხვევაში, თუ იმ პირს, რომელიც საჭიროებს დახმარებას, არ შეუძლია განსაზღვრული საკითხების მოგვარება და, შესაბამისად, ის უნდა იქნეს სხვა პირის მიერ წარმოდგენილი.

[2] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს შეუძლია შესაბამისად შეზღუდოს აღნიშნული პირის ქმედუნარიანობა.

[3] თუნდაც იმ შემთხვევებში, როდესაც ქმედუნარიანობა არ არის შეზღუდული, სამზრუნველო პირი შებოჭილია მზრუნველის მიერ განხორციელებული მოქმედებებით ან ის უნდა შეეგუოს მათ.

მუხლი 395

[1] თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო წარმომადგენლობით მზრუნველობას ადგენს ქონების მართვისათვის, მაშინ ის განსაზღვრავს იმ ქონებრივ ობიექტებს, რომელთა მართვაც უნდა განხორციელდეს მზრუნველის მიერ. ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს შეუძლია მართვა გაავრცელოს შემოსავლის ნაწილზე ან მთლიან შემოსავალზე, ქონების ნაწილზე ან მთლიან ქონებაზე ანდა – მთლიან შემოსავალსა და ქონებაზე.

[2] მართვის უფლებამოსილება მოიცავს ასევე სამართავი შემოსავლებიდან გამომდინარე დანაზოგებს ან სამართავი ქონების სარგებელს, თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო სხვაგვარად არ ადგენს.

[3] სამზრუნველო პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის გარეშე, ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს შეუძლია ჩამოართვას მას ცალკეული ქონებრივ ობიექტებზე შესვლის უფლება.

[4] თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო სამზრუნველო პირს უკრძალავს მიწის ნაკვეთის განკარგვას, მაშინ მან ამის შესახებ შესაბამისი ჩანაწერი უნდა გააკეთოს საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 396

[1] თანამონაწილეობის მზრუნველობა (Mitwirkungsbeistandschaft) დგინდება იმ შემთხვევაში, თუ იმ პირის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვისკენ მიმართული განსაზღვრული მოქმედებები, რომელიც საჭიროებს დახმარებას, მოითხოვს მეურვის თანხმობას.

[2] ამდენად, სამზრუნველო პირის ქმედუნარიანობა კანონის ძალით იზღუდება.

მუხლი 397

შესაძლებელია თანმხლები, წარმომადგენლობითი და თანამონაწილეობის მზრუნველობის ერთმანეთთან კომბინირება.

მუხლი 398

[1] საერთო მზრუნველობა დგინდება იმ შემთხვევაში, თუ, სახელდობრ, პირი მყარი ქმედუუნარობის გამო განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებს.

[2] საერთო მზრუნველობა მოიცავს პიროვნებაზე ზრუნვის, ქონებაზე ზრუნვისა და სამართლებრივი ურთიერთობების ყველა ასპექტს.

[3] სამზრუნველო პირის ქმედუნარიანობა ძალას კარგავს ავტომატურად კანონის ძალით.

მესამე ქვეთავი: მზრუნველობის შეწყვეტა

მუხლი 399

[1] მზრუნველობა ავტომატურად კანონის ძალით წყდება სამზრუნველო პირის გარდაცვალებით.

[2] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო აუქმებს მზრუნველობას სამზრუნველო პირის ან დაკავშირებული პირის განცხადების საფუძველზე ანდა – საკუთარი ინიციატივით, როგორც კი აღარ არსებობს მისი გახანგრძლივების საფუძველი.

მეოთხე ქვეთავი: მზრუნველი

მუხლი 400

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო მზრუნველის სახით ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელიც დასახული ამოცანებისათვის პიროვნულად და პროფესიონალურად შესაფერისია, რომელსაც შეუძლია ამისათვის აუცილებელი დროის გამონახვა და ამოცანების პირადად შესრულება. განსაკუთრებულ შემთხვევებში მზრუნველად შეიძლება დაინიშნოს რამდენიმე პირი.

[2] მზრუნველად დანიშნული პირი ვალდებულია, დაეთანხმოს მზრუნველობის კისრებას, თუ ამის საწინააღმდეგოდ არ არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზები.

[3] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მზრუნველმა მიიღოს აუცილებელი ინსტრუქტაჟი, რჩევა-დარიგება და მხარდაჭერა.

მუხლი 401

[1] თუ სამზრუნველო პირი ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მზრუნველის სახით სთავაზობს თავის ნდობით აღჭურვილ პირს, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო უნდა დაეთანხმოს მის ნება-სურვილს, თუ შემოთავაზებული პიროვნება შესაფერისია მზრუნველობისათვის და მზად არის, იკისროს ის.

[2] რამდენადაც ეს მიზანშეწონილია, ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ითვალისწინებს ნათესავებისა თუ სხვა დაკავშირებული პირების ნება-სურვილებს.

[3] თუ სამზრუნველო პირი უარს ამბობს განსაზღვრულ პირზე როგორც მზრუნველზე, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ითვალისწინებს ამ სურვილს, რამდენადაც ეს მიზანშეწონილია.

მუხლი 402

[1] თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო მზრუნველობას რამდენიმე პირს აკისრებს, მაშინ ის განსაზღვრავს, უნდა განხორციელდეს თუ არა მათი მოვალეობები ერთობლივად ან ვინ რომელი ამოცანის შესრულებაზეა პასუხისმგებელი.

[2] რამდენიმე პირს მზრუნველობის ერთობლივად განხორციელება ეკისრება მხოლოდ მათი თანხმობით.

მუხლი 403

[1] თუ მზრუნველს ხელი ეშლება მოქმედების განხორციელებაში ან მისი ინტერესები წინააღმდეგობაშია სამზრუნველო პირის ინტერესებთან, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ნიშნავს შემცვლელ მზრუნველს ან თავად აგვარებს საკითხს.

[2] ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, შესაბამის საკითხთან დაკავშირებით მზრუნველის უფლებამოსილებები ავტომატურად კანონის ძალით წყდება.

მუხლი 404

[1] მზრუნველს აქვს მოთხოვნის უფლება სამზრუნველო პირის ქონებიდან სათანადო საზღაურის მიღებასა და აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებაზე. პროფესიონალი მზრუნველის შემთხვევაში, საზღაურისა და აუცილებელი ხარჯების გადახდა ეკისრება დამსაქმებელს.

[2] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ადგენს საზღაურის ოდენობას. ის განსაკუთრებით ითვალისწინებს მზრუნველზე დაკისრებული მოვალეობების მოცულობასა და სირთულეს.

[3] კანტონები იღებენ საკანონმდებლო ნორმების შესრულების შესახებ ინსტრუქციებს და აწესრიგებენ საზღაურისა და აუცილებელი ხარჯების გადახდის საკითხებს, თუ მათი გადახდა სამზრუნველო პირის ქონებიდან შეუძლებელია.

მეხუთე ქვეთავი: მზრუნველობის განხორციელება

მუხლი 405

[1] მზრუნველმა მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის უნდა მოიპოვოს აუცილებელი ინფორმაცია და პირადი კონტაქტი დაამყაროს სამზრუნველო პირთან.

[2] თუ მზრუნველობა მოიცავს ქონების მართვას, მაშინ მზრუნველი ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოსთან ერთად დაუყოვნებლივ ახდენს სამართავი ქონებრივი ობიექტების ნუსხის შედგენას.

[3] როდესაც ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს შეუძლია დაადგინოს საჯარო ინვენტარიზაცია. ამ უკანასკნელს აქვს იგივე სამართლებრივი შედეგი, რაც მემკვიდრეობის სამართალში საჯარო ინვენტარიზაციას.

[4] მესამე პირებს ეკისრებათ ინვენტარიზაციისათვის აუცილებელი სრული ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 406

[1] მზრუნველი თავის მოვალეობას ასრულებს სამზრუნველო პირის ინტერესებში, რამდენადაც ეს მიზანშეწონილია, მხედველობაში იღებს მის შეხედულებას და ითვალისწინებს მის ნებას, მოიწყოს ცხოვრება თავისი შესაძლებ-

ლობების შესაბამისად საკუთარი სურვილების მიხედვითა და წარმოდგენების საფუძველზე.

[2] მზრუნველი იღწვის იმისათვის, რომ სამზრუნველო პირთან შექმნას ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა და შეარბილოს გონებრივი სისუსტის შედეგები ან აღმოფხვრას გართულებები.

მუხლი 407

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამზრუნველო პირს, რომელსაც შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა, ჩამოერთვა ქმედუნარიანობა, პირადი უფლებების ფარგლებში საკუთარი მოქმედებებით შეუძლია უფლებებისა და ვალდებულებების დადგენა და მკაცრად პირადი უფლებების რეალიზაცია.

მუხლი 408

[1] მზრუნველი გულმოდგინედ მართავს ქონებრივ ობიექტებს და დებს მართვასთან დაკავშირებულ ყველა გარიგებას.

[2] კერძოდ მზრუნველს შეუძლია:

1. სამზრუნველო პირის სახელით მესამე პირებისაგან მიიღოს ნაკისრი შესრულებები ვალდებულებისაგან გათავისუფლების სამართლებრივი შედეგით;

2. გადაიხადოს ვალები, რამდენადაც ეს მიზანშეწონილია;

3. აუცილებლობის შემთხვევაში წარმოადგინოს სამზრუნველო პირი ყოველდღიურ საჭიროებებთან დაკავშირებით.

[3] ფედერალური საბჭო ადგენს აქტივების განთავსებისა და შენახვის შესახებ დანაწესებს.

მუხლი 409

მზრუნველი სამზრუნველო პირზე მისივე ქონებიდან თავისუფალი განკარგვისათვის გასცემს სათანადო თანხებს.

მუხლი 410

[1] მზრუნველი აწარმოებს აღრიცხვას და ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს ანგარიშს დასამტკიცებლად წარუდგენს ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, თუმცა, – სულ ცოტა, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

[2] მზრუნველი განუმარტავს სამზრუნველო პირს თავის ანგარიშს და მოთხოვნის საფუძველზე გადასცემს მას მის ასლს.

მუხლი 411

[1] მზრუნველი სამზრუნველო პირის მდგომარეობისა და მზრუნველობის პროცესის შესახებ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მოხსენებას წარუდგენს ისეთი სიხშირით, როგორც ეს აუცილებელია, თუმცა, – სულ ცოტა, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

[2] რამდენადაც ეს მიზანშეწონილია, მზრუნველი ახდენს მოხსენების შედგენის პროცესში სამზრუნველო პირის ჩართვას და მოთხოვნის საფუძველზე გადასცემს მას მოხსენების ასლს.

მუხლი 412

[1] სამზრუნველო პირის წარმომადგენლობისას მზრუნველს არ შეუძლია თავდებად დადგომა, ფონდების დაფუძნება და ქონების გაჩუქება, გარდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო საჩუქრებისა.

[2] ქონებრივი ობიექტები, რომლებსაც სამზრუნველო პირისათვის ან მისი ოჯახისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს, შეძლებისდაგვარად არ უნდა იქნეს გასხვისებული.

მუხლი 413

[1] მზრუნველს მოვალეობათა შესრულებისას ეკისრება იგივე ზრუნვის ვალდებულება, რაც აქვს რწმუნებულს ვალდებულებითი სამართლის ნორმების თანახმად.

[2] მზრუნველს ეკისრება ინფორმაციის გაუხმაურებლობის ვალდებულება, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება უპირატეს ინტერესებს.

[3] მესამე პირებს უნდა გააგებინონ მზრუნველობის შესახებ, რამდენადაც ეს აუცილებელია მზრუნველის მიერ ნაკისრი მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის.

მუხლი 414

მზრუნველი დაუყოვნებლივ ატყობინებს ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც ითხოვს მიღებული ზომების შეცვლას ან მზრუნველობის გაუქმებას.

მეექვსე ქვეთავი: ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს თანამონაწილეობა

მუხლი 415

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ამოწმებს ანგარიშს და იწონებს მას ან უარს ამბობს მის მოწონებაზე; აუცილებლობის შემთხვევაში ის ითხოვს ანგარიშის შესწორებას.

[2] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ამოწმებს მოხსენებას და, აუცილებლობის შემთხვევაში, ითხოვს მასში დამატებების შეტანას.

[3] აუცილებლობის შემთხვევაში ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო იღებს ზომებს, რომლებიც მიმართულია სამზრუნველო პირის ინტერესების დასაცავად.

მუხლი 416

[1] მზრუნველის მიერ სამზრუნველო პირის წარმომადგენლობისას დადებული შემდეგი გარიგებებისათვის არის აუცილებელი ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს თანხმობა:

1. საოჯახო მეურნეობის ლიკვიდაცია, იმ საცხოვრებელი ფართების ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა, რომლებშიც ცხოვრობს სამზრუნველო პირი;

2. სამზრუნველო პირის საცხოვრებლად განთავსების შესახებ გრძელვადიანი ხელშეკრულებები;

3. სამკვიდროს მიღება ან მის მიღებაზე უარი, თუ ამისათვის მოითხოვება პირდაპირ გაკეთებული განცხადება, ისევე როგორც – მემკვიდრეობისა და სამკვიდროს გაყოფის შესახებ ხელშეკრულებები;

4. მიწის ნაკვეთების შეძენა, გასხვისება, საუზრუნველყოფო და სხვა სანივთო უფლებით დატვირთვა, ისევე როგორც იმ ნაგებობების აღმართვა, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივ მმართველობით საქმიანობას;

5. სხვა ქონებრივი ობიექტების შეძენა, გასხვისება და საუზრუნველყოფო უფლებებით დატვირთვა, ისევე როგორც მათზე უზუფრუქტის დადგენა, თუ აღნიშნული გარიგებები არ იდება ჩვეულებრივი მარვის წარმოებისა და ექსპლუატაციის ფარგლებში;

6. მნიშვნელოვანი ოდენობით სესხების აღება და გაცემა, თამასუქით გამყარებული ვალდებულებების კისრება;

7. სამისდღეშიო რჩენისა და ქონების გადაცემის სანაცვლოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებები (Verpfründungsverträge), ისევე როგორც სიცოცხლის დაზღვევა, რამდენადაც აღნიშნული პროფესიული ზრუნვის ფარგლებში არ არის დაკავშირებული შრომით ხელშეკრულებასთან;

8. საწარმოს მიღება ან ლიკვიდაცია, პერსონალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებაში პარტნიორად შესვლა ან ასეთი საზოგადოების კაპიტალში მნიშვნელოვანი მონაწილეობა;

9. გადაუდებელ შემთხვევებში მზრუნველის მიერ დროებითი ღონისძიებების მიღების პირობით, გადახდისუუნაროდ გამოცხადება, სასამართლო საქმის წარმართვა, მორიგების აქტის, საარბიტრაჟო შეთანხმების ან გაკოტრების საქმის წარმოებაში კომპრომისული შეთანხმების (Nachlassvertrag) დადება.

[2] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს თანხმობა აუცილებელი არ არის, თუ სამზრუნველო პირი, რომელსაც შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა, ეთანხმება გარიგებას და მისი ქმედუნარიანობა მზრუნველობის შედეგად არ არის შეზღუდული.

[3] ხელშეკრულებები მზრუნველსა და სამზრუნველო პირს შორის ყოველთვის საჭიროებს ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს თანხმობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამზრუნველო პირი იძლევა უსასყიდლო დავალებას.

მუხლი 417

ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე შეუძლია დაადგინოს, რომ მის თანხმობას დაექვემდებაროს სხვა გარიგებებიც.

მუხლი 418

თუ გარიგება იდება ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ მას სამზრუნველო პირის მიმართ აქვს მხოლოდ ის სამართლებრივი შედეგი, რაც გათვალისწინებულია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არარსებობის შემთხვევათა შესახებ პირადი უფლებების მომწესრიგებელი სამართლის ნორმებით.

მეშვიდე ქვეთავი: ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მხრიდან საქმეში ჩარევის შემთხვევები

მუხლი 419

მზრუნველის, მესამე პირისა თუ დაწესებულების მხრიდან განხორციელებული იმ მოქმედებებისა თუ მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების ფაქტების წინააღმდეგ, რაზეც ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანომ ამ პირებს მისცა შესაბამისი დავალება, სამზრუნველო პირს ან მასთან დაკავშირებულ პირსა და კანონით დაცული ინტერესის მქონე ნებისმიერ სხვა პირს საქმეში ჩარევის მიზნით შეუძლია მიმართოს ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს.

მერვე ქვეთავი: ნათესავების მიმართ მოქმედი სპეციალური დანაწესები

მუხლი 420

თუ სამზრუნველო პირის მზრუნველად ინიშნება მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი, მშობელი, შთამომავალი, და-ძმა, ფაქტობრივი თანაცხოვრების პარტნიორი, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს შეუძლია ის ნაწილობრივ ან სრულად გაათავისუფლოს ქონების ნუსხის შედგენის, პერიოდული აღრიცხვისა და ანგარიშგების, ასევე განსაზღვრული გარიგებებისათვის თანხმობის მიცემის ვალდებულებებისაგან, როდესაც ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია.

მეცხრე ქვეთავი: მზრუნველზე დაკისრებული მოვალეობების შეწყვეტა

მუხლი 421

მზრუნველზე დაკისრებული მოვალეობები ავტომატურად კანონის ძალით წყდება:

1. ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მიერ მზრუნველზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის დადგენილი ვადის გასვლით, რამდენადაც არ ხდება ამ მოვალეობათა გაგრძელების დადასტურება;
2. მზრუნველობის შეწყვეტით;
3. პროფესიონალი მზრუნველის სახით მონაწილეობის მიმღების შრომითი ურთიერთობის შეწყვეტით;
4. იმ მომენტში, როდესაც მზრუნველს თავად ენიშნება მზრუნველი ან ის ქმედუუნარო ხდება ანდა გარდაიცვლება.

მუხლი 422

[1] მზრუნველს აქვს უფლება, დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება მოითხოვოს მათი შესრულების დაწყებიდან არაუადრეს ოთხი წლისა.

[2] აღნიშნულ მომენტამდე დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება მზრუნველს შეუძლია მოითხოვოს მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე.

მუხლი 423

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ათავისუფლებს მზრუნველს მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან, თუ:

1. ის აღარ არის გამოსადეგი მოვალეობათა შესასრულებლად;
2. მოვალეობებისაგან გათავისუფლებისათვის სახეზეა სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი.

[2] მოვალეობებისაგან გათავისუფლება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სამზრუნველო ან მასთან დაკავშირებული პირის მხრიდან.

მუხლი 424

მზრუნველი ვალდებულია, გააგრძელოს გადაუდებელი გარიგებების შესრულება უფლებამონაცვლის მიერ მოვალეობათა კისრებამდე, რამდენადაც ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო სხვაგარად არ ადგენს. აღნიშნული დანაწესი არ მოქმედებს პროფესიონალი მზრუნველის მიმართ.

მუხლი 425

[1] როდესაც მზრუნველზე დაკისრებული მოვალეობები წყდება, მაშინ მზრუნველი ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს უკეთებს საბოლოო მოხსენებასა და, აუცილებლობის შემთხვევაში, წარუდგენს მას საბოლოო ანგარიშს. ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს შეუძლია გაათავისუფლოს პროფესიონალი მზრუნველი ამ ვალდებულებისაგან, თუ შრომითი ურთიერთობა წყდება.

[2] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ამოწმებს და იწონებს საბოლოო მოხსენებასა და საბოლოო ანგარიშს იგივე წესით, როგორც პერიოდული მოხსენებებისა და ანგარიშგების შემთხვევებში.

[3] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო საბოლოო მოხსენებასა და საბოლოო ანგარიშს უგზავნის სამზრუნველო პირს ან მის მშობლებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – ახალ მზრუნველს და ამავე დროს აღნიშნული პირების ყურადღებას ამახვილებს პასუხისმგებლობის შესახებ ნორმებზე.

[4] გარდა ამისა, ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ზემოაღნიშნულ პირებს ატყობინებს იმის შესახებ, მოახდინა თუ არა მან მზრუნველის გათავისუფლება მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან ანდა განაცხადა თუ არა მან უარი საბოლოო მოხსენებისა თუ საბოლოო ანგარიშის მოწონებაზე.

მესამე თავი: სოციალური დაცვის მიზნით განთავსება

მუხლი 426

[1] ფსიქიკური დარღვევის ან გონებრივი შეზღუდვის მქონე პირი ანდა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილი უპატრონო პირი შესაძლოა განთავსდეს სათანადო დაწესებულებაში, თუ აუცილებელი მკურნალობის ჩატარება ან ზრუნვის განხორციელება სხვაგვარად შეუძლებელია.

[2] მხედველობაში მისაღებია ნათესავებისა და მესამე პირების მიერ ნაკისრი ვალდებულებები და მათი დაცვა.

[3] სამზრუნველო პირი უნდა გაეწეროს დაწესებულებიდან, როდესაც აღარ სრულდება სოციალური დაცვის მიზნით განთავსების წინაპირობები.

[4] სამზრუნველო ან მასთან დაკავშირებულ პირს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დაწესებულებიდან გაწერა. ამ შუამდგომლობის შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული.

მუხლი 427

[1] თუ ფსიქიკური დარღვევის მქონე პირს, რომელიც ნებაყოფლობით იქნა განთავსებული სათანადო დაწესებულებაში, სურს მისი დატოვება, მაშინ ის დაწესებულების საექიმო ხელმძღვანელობის მიერ შეიძლება დაყოვნდეს მაქსიმუმ სამი დღის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი:

1. თავად უქმნის საფრთხეს საკუთარ სხეულსა და სიცოცხლეს; ან
2. მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მესამე პირების სიცოცხლესა თუ სხეულებრივ ხელშეუხებლობას.

[2] აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სამზრუნველო პირს შეუძლია დაწესებულების მიტოვება, თუ სახეზე არ არის მისი დაწესებულებაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

[3] სამზრუნველო პირს წერილობით უნდა გააგებინონ იმის თაობაზე, რომ მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 428

[1] დაწესებულებაში განთავსებისა და დაწესებულებიდან გაწერის შესახებ განკარგულების მიღებაზე კომპეტენტურია ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო.

[2] ცალკეულ შემთხვევებში ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს შეუძლია დაწესებულებიდან გაწერის უფლებამოსილება გადასცეს სხვა ორგანოს.

მუხლი 429

[1] კანტონებს შეუძლიათ დანიშნონ ექიმები, რომლებიც ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოსთან ერთად შეძლებენ კანტონალური სამართლით დადგენილი ვადით დაწესებულებაში განთავსების შესახებ განკარგულების მიღებას. განთავსების ვადა შეიძლება შეადგენდეს მაქსიმუმ ექვს კვირას.

[2] მკურნალობის მიზნით დაწესებულებაში განთავსება ვერ გაგრძელდება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, რამდენადაც სახეზე არ არის დაწესებულებაში განთავსების შესახებ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

[3] დაწესებულებიდან გაწერის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულება.

მუხლი 430

[1] ექიმი პირადად სინჯავს სამზრუნველო პირსა და უსმენს მას.

[2] დაწესებულებაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს, სულ ცოტა, შემდეგ მონაცემებს:

1. განთავსების ადგილსა და თარიღს;
2. ექიმის სახელს;
3. დიაგნოზს, განთავსების მიზეზებსა და მიზანს;
4. გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის განმარტებას.

[3] გასაჩივრებას არა აქვს გადადების სამართლებრივი შედეგი, რამდენადაც ექიმი ან განსჯადი სასამართლო სხვაგვარად არ ადგენს.

[4] დაწესებულებაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილების ერთი ეგზემპლარი უნდა გადაეცეს სამზრუნველო პირს; სხვა ეგზემპლარი უნდა წარედგინოს დაწესებულებას სამზრუნველო პირის მიღებისას.

[5] რამდენადაც ეს შესაძლებელია, ექიმი სამზრუნველო პირთან დაკავშირებულ პირს წერილობით ატყობინებს დაწესებულებაში განთავსებისა და ასევე სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შესახებ.

მუხლი 431

[1] სამზრუნველო პირის დაწესებულებაში განთავსების მომენტიდან მაქსიმუმ ექვსი თვის განმავლობაში ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ამოწმებს, კიდევ სრულდება თუ არა განთავსების წინაპირობები და შესაბამისია თუ არა ჯერ კიდევ დაწესებულება სამზრუნველო პირის განთავსებისათვის.

[2] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო შემდეგი ექვსი თვის განმავლობაში ატარებს მეორე შემოწმებას. ამის შემდგომ ის შემოწმებას ატარებს ისეთი სიხშირით, რაც ეს აუცილებელია, თუმცა, – სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც.

მუხლი 432

დაწესებულებაში განსათავსებელ ნებისმიერ პირს შეუძლია მოიწვიოს მისი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც გაუწევს მას დახმარებას დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში და ამასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის დასრულებამდე.

მუხლი 433

[1] თუ პირის დაწესებულებაში განთავსება ხდება ფსიქიკური დარღვევის სამკურნალოდ, მაშინ მკურნალი ექიმი წერილობით ადგენს მკურნალობის გეგმას სამზრუნველო პირისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, მისი ნდობით აღჭურვილი პირის ჩართვით.

[2] ექიმი ატყობინებს სამზრუნველო პირსა და მისი ნდობით აღჭურვილი პირს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებიც არსებითია დასახული სამედიცინო ხასიათის ზომების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი, მათი მიზეზების, მიზნების, სახის, მეთოდების, რისკებისა და გვერდითი მოვლენების, მკურნალობისაგან თავის შეკავების შედეგების შესახებ, ისევე როგორც – ნებისმიერი ალტერნატიული მკურნალობის შესაძლებლობების შესახებ.

[3] მკურნალობის გეგმა შესათანხმებლად წარედგინება სამზრუნველო პირს. ქმედუუნარო პირის შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია პაციენტის ნებისმიერი ინსტრუქცია.

[4] მკურნალობის გეგმა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი უკანასკნელ მიღწევებთან.

მუხლი 434

[1] სამზრუნველო პირის მხრიდან თანხმობის არარსებობისას, განყოფილების მთავარ ექიმს შეუძლია წერილობით დაადგინოს მკურნალობის გეგმაში გათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის ზომების მიღება, თუ:

1. მკურნალობის გარეშე სამზრუნველო პირის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი ემუქრება ან მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება მესამე პირების სიცოცხლესა თუ სხეულებრივ ხელშეუხებლობას;

2. სამზრუნველო პირს არ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა საკუთარი მკურნალობის საჭიროებებთან დაკავშირებით; და

3. ხელმისაწვდომი არ არის ნაკლებად რადიკალური სათანადო ზომები.

[2] წერილობითი დადგენილება უნდა გადაეცეს სამზრუნველო პირსა და მის ნდობით აღჭურვილ პირს გასაჩივრების წესის განმარტებასთან ერთად.

მუხლი 435

[1] უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, სამზრუნველო პირისა თუ მესამე პირების დაცვისათვის საჭირო სამედიცინო ხასიათის ზომები შეიძლება მიღებულ იქნეს დაუყოვნებლივ.

[2] თუ დაწესებულებისათვის ცნობილია, როგორი მკურნალობა სურს პირს, მაშინ ის მხედველობაში იღებს მის ნება-სურვილს.

მუხლი 436

[1] თუ არსებობს რეციდივის საფრთხე, მაშინ მკურნალი ექიმმა უნდა სცადოს, დაწესებულებიდან გაწერამდე სამზრუნველო პირთან შეთანხმდეს მკურნალობის პრინციპებზე დაწესებულებაში ხელახალი განთავსების შემთხვევისათვის.

[2] დაწესებულებიდან გასვლამდე ჩატარებული გასაუბრება უნდა იქნეს დოკუმენტირებული.

მუხლი 437

[1] კანტონები აწესრიგებენ დაწესებულებიდან გაწერის შემდგომ მზრუნველობის საკითხებს.

[2] კანტონებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ამბულატორიული სამედიცინო ხასიათის ზომები.

მუხლი 438

იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც ზღუდავს დაწესებულებაში სამზრუნველო პირის მიმოსვლის თავისუფლებას, აზრობრივად გამოიყენება საცხოვრებელ ან სამზრუნველო დაწესებულებებში მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომწესრიგებელი ნორმები. შენარჩუნებულია სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.

მუხლი 439

[1] სამზრუნველო პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს შეუძლია წერილობით მიმართოს განსჯად სასამართლოს:

1. ექიმის მიერ დადგენილ დაწესებულებაში განთავსების შემთხვევაში;

2. დაწესებულების მიერ მისი დაყოვნების შემთხვევაში;

3. დაწესებულების მიერ გაწერის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში;

4. მიმოსვლის თავისუფლების შემზღუდველი ზომების შემთხვევაში.

[2] სასამართლოსათვის მიმართვის ვადა შეადგენს ათ წელს გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების გაგზავნის დღიდან. მიმოსვლის თავისუფლების შემზღუდველი ზომების შემთხვევაში, სასამართლოსათვის მიმართვა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი.

[3] საქმისწარმოება მიმდინარეობს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში საჩივრის განხილვის პროცედურის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

[4] სასამართლოსეული შეფასების გაკეთების თაობაზე ნებისმიერი თხოვნა დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს.

მეთორმეტე ტიტული: ორგანიზაციული მოწყობა

პირველი თავი: ორგანოები და ადგილობრივი იურისდიქცია

მუხლი 440

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო წარმოადგენს სპეციალიზირებულ უწყებას. ის ინიშნება კანტონების მიერ.

[2] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო თავის გადაწყვეტილებებს იღებს, სულ ცოტა, სამი წევრის უმრავლესობით. კანტონებს შეუძლიათ განსაზღვრული გარიგებებისათვის გაითვალისწინონ გამონაკლისები.

[3] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს ეკისრება ასევე ბავშვთა დაცვის ორგანოს ამოცანებიც.

მუხლი 441

[1] კანტონებს შეუძლიათ განსაზღვრონ საზედამხედველო ორგანოები.

[2] ფედერალურ საბჭოს შეუძლია დაადგინოს საზედამხედველო დანაწესები.

მუხლი 442

[1] კომპეტენტურია სამზრუნველო პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო. თუ საქმის წარმოება უკვე მიმდინარეობს, მაშინ საქმის მწარმოებელი ორგანო ინარჩუნებს კომპეტენციას საქმის დასრულებამდე.

[2] თუ არსებობს დაგვიანების საფრთხე, მაშინ კომპეტენტურია ასევე იმ ტერიტორიაზე მოქმედი ორგანოც, სადაც იმყოფება სამზრუნველო პირი. თუ აღნიშნული ორგანო იღებს შესაბამის ზომებს, მაშინ ის ატყობინებს ამის შესახებ სამზრუნველო პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედ ორგანოს.

[3] სამზრუნველო პირის სახეზე არყოფნის გამო მზრუნველობის დადგენის

შემთხვევაში, კომპეტენტურია ასევე იმ ტერიტორიაზე მოქმედი ორგანოც, სადაც განხორციელდა ქონების მთავარი ნაწილის მართვა ან სამზრუნველო პირისათვის გადაცემა.

[4] კანტონები უფლებამოსილი არიან, თავიანთი მოქალაქეებისათვის, რომლებსაც კანტონის ტერიტორიაზე აქვთ საცხოვრებელი ადგილი, კომპეტენტურად ჩათვალოს წარმოშობის ტერიტორიის მიხედვით მოქმედი ორგანო ნაცვლად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი ორგანოსი, რამდენადაც იმ პირის მხარდაჭერა, რომელიც საჭიროებს დახმარებას, სრულად ან ნაწილობრივ ეკისრება ასევე პირის წარმოშობის ტერიტორიის თემსაც.

[5] თუ პირი, რომლისათვისაც უნდა იქნეს მიღებული ზომები, იცვლის თავის საცხოვრებელ ადგილს, მაშინ ახალი ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი ორგანო დაუყოვნებლივ კისრულობს ზომების მიღების ვალდებულებას, რამდენადაც ამის საწინააღმდეგოდ არ არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზები.

მეორე თავი: საქმის წარმოება

პირველი ქვეთავი: საქმის წარმოება ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს წინაშე

მუხლი 443

[1] ნებისმიერ პირს შეუძლია გაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინება ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს, თუ მიიჩნევს, რომ პირს ესაჭიროება დახმარება. აღნიშნული წესი არ მოქმედებს პროფესიული საიდუმლოების მომწესრიგებელი ნორმების მიმართ.

[2] შეტყობინების ვალდებულება ეკისრება პირს, რომელიც სამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელებისას შეიტყობს იმ პირის შესახებ, რომელიც საჭიროებს დახმარებას. კანტონებს შეუძლიათ გაითვალისწინონ დამატებითი შეტყობინების ვალდებულებები.

მუხლი 444

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო თავის კომპეტენციას ამოწმებს საკუთარი ინიციატივით.

[2] თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო თავის თავს არ მიიჩნევს კომპეტენტურად, მაშინ ის საქმეს დაუყოვნებლივ გადაუგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც ის კომპეტენტურად ჩათვლის.

[3] თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს ეჭვი შეაქვს თავის კომპეტენციაში, მაშინ ის ახდენს მოსაზრებების ურთიერთგაცვლას იმ ორგანოსთან, რომელიც შესაძლოა იყოს კომპეტენტური.

[4] თუ მოსაზრებების ურთიერთგაცვლას შედეგად ვერ მოჰყვება შეთანხმება, მაშინ თავდაპირველად საქმის განმხილველი ორგანო მისი კომპეტენციის საკითხს გადასაწყვეტად წარუდგენს ზემდგომ სასამართლო ინსტანციას.

მუხლი 445

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო საქმის წარმოებაში მონაწილე პირის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით საქმის წარმოების პერიოდისათვის იღებს ყველა აუცილებელ გამაფრთხილებელ ზომებს. კერძოდ, მას ზრდასრულ პირთა დაცვა შეუძლია დაადგინოს გამაფრთხილებელი ზომის სახით.

[2] განსაკუთრებულ გადაუდებელ შემთხვევაში, ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს შეუძლია გამაფრთხილებელი ზომები მიიღოს დაუყოვნებლივ საქმის წარმოებაში მონაწილე პირების მოსმენის გარეშე. ერთდროულად ის აძლევს ამ პირებს შესაძლებლობას საკუთარი აზრის გამოსათქმელად; ამის შემდგომ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო თავიდან იღებს გადაწყვეტილებას.

[3] გამაფრთხილებელი ზომების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან ათი წლის განმავლობაში მათ წინააღმდეგ შესაძლებელია საჩივრის წარდგენა.

მუხლი 446

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო საქმის გარემოებებს იკვლევს საკუთარი ინიციატივით.

[2] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო იღებს საჭირო ცნობებსა და აგროვებს აუცილებელ მტკიცებულებებს. მას შეუძლია საკითხის გარკვევა დაავალოს სათანადო პირსა თუ დაწესებულებას. აუცილებლობის შემთხვევაში, ის ითხოვს ექსპერტის დასკვნას.

[3] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო არ არის შებოჭილი საქმის წარმოებაში მონაწილე პირების განცხადებებით.

[4] ის კანონს იყენებს საკუთარი ინიცატივით.

მუხლი 447

[1] სამზრუნველო პირს უნდა მოუსმინონ პირადად, რამდენადაც ეს არასათანადოდ არ მიიჩნევა.

[2] სოციალური დაცვის მიზნით განთავსების შემთხვევაში, ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო, როგორც წესი, სამზრუნველო პირს მოუსმენს როგორც კოლეგია.

მუხლი 448

[1] საქმის წარმოებაში მონაწილე პირებსა და მესამე პირებს საკითხის გარკვევისას ეკისრებათ თანამშომლობის ვალდებულება. ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო იღებს აუცილებელ განკარგულებებს პატივსადები ინტერესების დასაცავად. აუცილებლობის შემთხვევაში ის ადგენს თანამშომლობის ვალდებულების იძულების წესით შესრულებას.

[2] ექიმებს, კბილის ექიმებს, აფთიაქარებსა და ბებიაქალებს, ისევე როგორც მათ დამხმარე პირებს თანამშომლობის ვალდებულება ეკისრებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე უფლებამოსილმა პირმა მათ მიანიჭა აღნიშნულის უფლება ან ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს თხოვნის საფუძველზე ზემდგომმა უწყებამ გაათავისუფლა ეს პირები პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისაგან.

[3] თანამშომლობის ვალდებულება არ ეკისრებათ სასულიერო პირებს, ადვოკატებს, დამცველებს, მედიატორებს, ისევე როგორც – თავდაპირველ მზრუნველებს, რომლებიც საქმის წარმოებისათვის დაინიშნენ.

[4] მმართველი ორგანოები და სასამართლოები იღებენ აუცილებელ დოკუმენტებს, აკეთებენ მოხსენებასა და გასცემენ ინფორმაციას, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება პატივსადებ ინტერესებს.

მუხლი 449

[1] თუ ფსიქიატრიული ექსპერტიზა აუცილებელია და მისი ჩატარება ამბულატორიულად შეუძლებელია, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო სამზრუნველო პირს მიმართვას აძლევს შესაბამის დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის.

[2] აზრობრივად გამოიყენება სოციალური დაცვის მიზნით განთავსების შემთხვევაში მოქმედი პროცედურის შესახებ ნორმები.

მუხლი 449a

აუცილებლობის შემთხვევაში ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო წყვეტს სამზრუნველო პირის წარმომადგენლობის საკითხს და მზრუნველად ნიშნავს სოციალური დაცვისა და სამართლებრივ საკითხებში გამოცდილების მქონე პირს.

მუხლი 449b

[1] საქმის წარმოებაში მონაწილე პირებს აქვთ საქმის მასალების გაცნობის უფლება, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება პატივსადებ ინტერესებს.

[2] თუ საქმის წარმოებაში მონაწილე პირს უარს ეტყვიან რომელიმე დოკუმენტის გაცნობაზე, მაშინ ამ უკანასკნელში მოცემული ინფორმაციის გამოყენება საქმის წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანომ აღნიშნულ მონაწილეს ზეპირად ან წერილობით გააცნო დოკუმენტის საქმისათვის მნიშვნელოვანი შინაარსი.

მუხლი 449c

ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო უგზავნის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს შესაბამის შეტყობინებას, თუ:

1. მყარი ქმედუუნარობის გამო ის ახდენს პირის განთავსებას საერთო მზრუნველობის ქვეშ;
2. მყარად ქმედუუნარო პირისათვის ძალაში შედის ზრუნვის დავალება.

მეორე ქვეთავი: საქმის წარმოება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში

მუხლი 450

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ შესაძლებელია საჩივრის შეტანა განსჯად სასამართლოში.

[2] საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილი არიან:

1. საქმის წარმოებაში მონაწილე პირები;

2. სამზრუნველო პირთან დაკავშირებულ პირები;

3. პირები, რომლებსაც აქვთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცლის კანონით დაცული ინტერესი.

[3] საჩივარი სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმითა და შესაბამისი დასაბუთებით.

მუხლი 450a

[1] საჩივრით შეიძლება გასაჩივრდეს:

1. სამართალდარღვევა;

2. სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საქმის გარემოების უსწორო ან არასრული დადგენა;

3. არასათანადო გადაწყვეტილება.

[2] გარდა ამისა, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ასევე მართლმსაჯულებაზე უარისა და საქმის წარმოების გაჭიანურების გამოც.

მუხლი 450b

[1] საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს ოცდაათ დღეს, რომელიც აითვლება გადაწყვეტილების შეტყობინების მომენტიდან. ეს ვადა გამოიყენება ასევე საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილი იმ პირების მიმართაც, რომელთათვისაც გადაწყვეტილების შეტყობინება სავალდებულო არ არის.

[2] სოციალური დაცვის მიზნით განთავსების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს ათ დღეს, რომელიც აითვლება გადაწყვეტილების შეტყობინების მომენტიდან.

[3] საჩივრის წარდგენა მართლმსაჯულებაზე უარისა და საქმის წარმოების გაჭიანურების გამო შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

მუხლი 450c

საჩივარს აქვს გადადების სამართლებრივი შედეგი, რამდენადაც ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ან ზემდგომი სასამართლო ინსტანცია სხვაგვარად არ ადგენს.

მუხლი 450d

[1] ზემდგომი სასამართლო ინსტანცია ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს აძლევს საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალებას.

[2] საკუთარი ხედვის წარდენის ნაცვლად, ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს შეუძლია გადახედოს თავის გადაწყვეტილებას.

მუხლი 450e

[1] სოციალური დაცვის მიზნით განთავსების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო საჩივრის დასაბუთება არ მოითხოვება.

[2] საჩივარს არა აქვს გადადების სამართლებრივი შედეგი, რამდენადაც ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ან ზემდგომი სასამართლო ინსტანცია სხვაგვარად არ ადგენს.

[3] ფსიქიკური დარღვევების შემთხვევებში, გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ექსპერტიზის დასკვნას.

[4] ზემდგომი სასამართლო ინსტანცია, როგორც წესი, სამზრუნველო პირს მოუსმენს როგორც კოლეგია. აუცილებლობის შემთხვევაში ის წყვეტს სამზრუნველო პირის წარმომადგენლობის საკითხს და მზრუნველად ნიშნავს სოციალური დაცვისა და სამართლებრივ საკითხებში გამოცდილების მქონე პირს.

[5] ზემდგომი სასამართლო ინსტანცია ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შემოსვლიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.

მესამე ქვეთავი: ერთობლივი დანაწესები

მუხლი 450f

დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აზრობრივად გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესები, რამდენადაც კანტონები სხვაგვარად არ ადგენენ.

მეოთხე ქვეთავი: აღსრულება

მუხლი 450g

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო გადაწყვეტილებებს აღასრულებს განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

[2] თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანომ ან ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ გადაწყვტილებაში უკვე დაადგინა სააღსრულებო ღონისძიებები, მაშინ დასაშვებია ამ ღონისძიებების პირდაპირი აღსრულება.

[3] პირს, რომელსაც დაევალა გადაწყვტილების აღსრულება, აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია ითხოვოს პოლიციის დახმარება. უშუალო იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას, როგორც წესი, წინ უნდა უძღვოდეს გაფრთხილება.

მესამე თავი: ურთიერთობა მესამე პირებთან და თანამშრომლობის ვალდებულება

მუხლი 451

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს ეკისრება ინფორმაციის გაუხმაურებლობის ვალდებულება, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება უპირატეს ინტერესებს.

[2] პირს, რომელიც ამტკიცებს პატივსადები პირადი ინტერესის არსებობას, შეუძლია ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოსაგან მოითხოვოს ზრდასრულ პირთა დაცვის ღონისძიების არსებობისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება.

მუხლი 452

[1] ზრდასრულ პირთა დაცვის ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მოქმედებენ კეთილსინდისიერად.

[2] თუ მზრუნველობა ზღუდავს სამზრუნველო პირის ქმედუნარიანობას, მაშინ მოვალეებს უნდა შეატყობინონ, რომ მათ შესრულებას ვალდებულებისაგან გამათავისუფლებელი სამართლებრივი შედეგი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მას განახორციელებენ მზრუნველის მიმართ. შეტყობინების მომენტამდე მზრუნველობა ვერ იქნება გამოყენებული კეთილსინდისიერად მოქმედი მოვალეების მიმართ.

[3] თუ პირმა, რომლის მიმართაც არსებობს ზრდასრულ პირთა დაცვის ღონისძიება, გარიგების მეორე მხარე დაიყოლია იმ მცდარი ვარაუდით, რომ ის არის ქმედუნარიანი, მაშინ ის პასუხისმგებელია მეორე მხარის წინაშე აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის.

მუხლი 453

[1] თუ არსებობს მნიშვნელოვანი რისკი იმისა, რომ პირი, რომელიც საჭიროებს დახმარებას, შეუქმნის საფრთხეს საკუთარ თავს ან ჩაიდენს ისეთ დანაშაულს ან სამართალდარღვევას, რომელიც ფიზიკურად, სულიერად ან მატერიალურად მძიმედ დააზარალებს ვინმეს, მაშინ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანომ, შესაბამისმა დაწესებულებებმა და პოლიციამ ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ.

[2] პირები, რომლებსაც ევალებათ სამსახურეობრივი თუ პროფესიული საიდუმლოების დაცვა, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში უფლებამოსილი არიან, ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს გაუგზავნონ შესაბამისი შეტყობინება.

მეოთხე თავი: პასუხისმგებლობა

მუხლი 454

[1] პირს, რომელსაც ზრდასრულ პირთა დაცვასთან დაკავშირებული უწყებრივი ღონისძიებების ფარგლებში უკანონო მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად ადგება ზიანი, აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ხოლო რამდენადაც დარღვევის სიმძიმე ამას ამართლებს, – მორალური ზიანის დაკმაყოფილების მიღების მოთხოვნის უფლებაც.

[2] იგივე მოთხოვნის უფლება არსებობს, თუ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ან საზედამხედველო ორგანო უკანონოდ მოქმედებდა ზრდასრულ პირთა დაცვის სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

[3] პასუხისმგებელია კანტონი; დაზარალებულ პირს არა აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირის მიმართ, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია ზიანი.

[4] კანტონის რეგრესული მოთხოვნის უფლება იმ პირის მიმართ, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია ზიანი, რეგულირდება კანტონალური სამართლით.

მუხლი 455

[1] ფიზიკური თუ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც დაზარალებული პირი შეიტყობს ზიანის მიყენების შესახებ, თუმცა, – ნებისმიერ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი ქმედების ჩადენის დღიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

[2] თუ სარჩელი გამომდინარეობს იმ დანაშაულებრივი ქმედებიდან, რომლისათვის გათვალისწინებულია ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივი ვადა, მაშინ მოქმედებს ეს ვადა.

[3] თუ ზიანის მიყენება დაკავშირებულია გრძელვადიანი ღონისძიების დადგენასა თუ განხორციელებასთან, მაშინ კანტონის მიმართ მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არ აითვლება გრძელვადიანი ღონისძიების შეწყვეტამდე ან მისი სხვა კანტონის მეშვეობით გაგრძელების მომენტამდე.

მუხლი 456

იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელსაც დაევალა სხვა პირზე ზრუნვა, ისევე როგორც ქმედუუნარო პირის ან რამდენადაც საქმე არ ეხება მზრუნველობას, სამედიცინო ღონიძიებათა შემთხვევაში, წარმომადგენლის მეუღლის ან რეგისტრირებული პარტნიორის პასუხისმგებლობა რეგულირდება დავალების შესახებ ვალდებულებითი სამართლის ნორმებით.

მესამე ნაწილი: მემკვიდრეობის სამართალი

პირველი განყოფილება: მემკვიდრეები

მეცამეტე ტიტული: კანონით მემკვიდრეები

მუხლი 457

[1] მამკვიდრებლის უახლოეს მემკვიდრეებს წარმოადგენენ მისი შთამომავლები.

[2] შვილები სამკვიდროს იღებენ თანაბარწილად.

[3] გარდაცვლილი შვილის ადგილს იკავებენ მისი შთამომავლები და, ამავე დროს, – ყველა ხარისხში შესაბამისი ნათესაური ხაზის მიხედვით.

მუხლი 458

[1] თუ მამკვიდრებელი არ ტოვებს შთამომავლებს, მაშინ სამკვიდრო გადადის მშობლების ხაზით.

[2] მამა და დედა სამკვიდროს სანახევროდ იღებენ.

[3] გარდაცვლილი მამის ან დედის ადგილს იკავებენ მათი შთამომავლები და, ამავე დროს, – ყველა ხარისხში შესაბამისი ნათესაური ხაზის მიხედვით.

[4] თუ ერთ მხარეს შთამომავლები სახეზე არ არიან, მაშინ მთელი სამკვიდრო გადადის მეორე მხარის შთამომავლებზე.

მუხლი 459

[1] თუ მამკვიდრებელი არ ტოვებს მშობლების ხაზით არც შთამომავლებსა და არც მემკვიდრეებს, მაშინ სამკვიდრო გადადის პაპა-ბებიების ხაზით.

[2] თუ მამკვიდრებელი მამისა და დედის მხარის პაპა-ბებიებზე უფრო ადრე გარდაიცვლება, მაშინ თითოეულ მხარეს პაპა-ბებიები სამკვიდროს იღებენ თანაბარწილად.

[3] გარდაცვლილი პაპის ან გარდაცვლილი ბებიის ადგილს იკავებენ მისი შთამომავლები და, ამავე დროს, – ყველა ხარისხში შესაბამისი ნათესაური ხაზის მიხედვით.

[4] თუ მამისა და დედის მხარის პაპა ან ბებია გარდაიცვალა უფრო ადრე შთამომავლობის დატოვების გარეშე, მაშინ მთელი სამკვიდროს ნახევარი გადადის იგივე მხარის სახეზე არსებულ მემკვიდრეებზე.

[5] თუ მამისა და დედის მხარის მემკვიდრეები სახეზე არ არიან, მაშინ მთელი სამკვიდრო გადადის მეორე მხარის მემკვიდრეებზე.

მუხლი 460

პაპა-ბებიების ხაზით ნათესაობა აუქმებს ნათესავების მემკვიდრეობის უფლებასაც.

მუხლი 461 (გაუქმებულია)

მუხლი 462

ცოცხლად დარჩენილი მეუღლეები და რეგისტრირებული პარტნიორები იღებენ:

1. სამკვიდროს ნახევარს, როდესაც მათ სამკვიდრო უნდა გაუყონ შთამომავლებს;

2. სამკვიდროს სამ მეოთხედს, როდესაც მათ სამკვიდრო უნდა გაუყონ მშობლების ხაზით მემკვიდრეებს;

3. მთელ სამკვიდროს, როდესაც სახეზე არ არიან ასევე მშობლების ხაზით მემკვიდრეებიც.

მუხლები 463-464 (გაუქმებულია)

მუხლი 465 (გაუქმებულია)

მუხლი 466

თუ მამკვიდრებელი არ ტოვებს მემკვიდრეებს, მაშინ სამკვიდრო გადადის იმ კანტონზე, რომლის ტერიტორიაზეც მამკვიდრებელს ჰქონდა უკანასკნელი სა-

ცხოვრებელი ადგილი, ან – იმ თემზე, რომელიც აღნიშნული კანტონის კანონმდებლობით სახელდება როგორც სამკვიდროს მიღებაზე უფლებამოსილი სუბიექტი.

მეთოთხმეტე ტიტული: საანდერძო განკარგულებები

პირველი თავი: განკარგვის უნარი

მუხლი 467

ქმედუნარინი პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, უფლებამოსილია, კანონისმიერი შეზღუდვებისა და ფორმების გათვალისწინებით მოახდინოს თავისი ქონების ანდერძით განკარგვა.

მუხლი 468

[1] ქმედუნარინ პირს, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, შეუძლია მამკვიდრებელთან მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების დადება.

[2] იმ მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები, რომელიც მოიცავს მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების დადებას, საჭიროებენ მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.

მუხლი 469

[1] ბათილია განკარგვები, რომლებიც განხორციელდა შეცდომის, მოტყუების, მუქარისა თუ იძულების გავლენით.

[2] თუმცა, ასეთი განკარგვები ნამდვილი ხდება, თუ მამკვიდრებელი მათ არ აუქმებს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, როდესაც ის შეიტყობს შეცდომის ან მოტყუების შესახებ ანდა აღარ არსებობს მუქარისა თუ იძულების გავლენა.

[3] თუ განკარგვა შეიცავს პირთან თუ ნივთთან დაკავშირებულ აშკარა შეცდომას, თუმცა მამკვიდრებლის ნამდვილი ნება დარწმუნებით შეიძლება დადგინდეს, მაშინ განკარგვა ამ მხრივ უნდა შესწორდეს.

მეორე თავი: განკარგვის თავისუფლება

მუხლი 470

[1] პირს, რომელიც ტოვებს შთამომავლებს, მშობლებს, მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს, შეუძლია ანდერძით განკარგოს თავისი ქონება იმ ფარგლებში, რაც აღემატება ამ პირთა კუთვნილ სავალდებულო წილის ოდენობას.

[2] პირს, რომელიც არ ტოვებს ზემოაღნიშნულ მემკვიდრეებს, შეუძლია ანდერძით განკარგოს მთელი თავისი ქონება.

მუხლი 471

სავალდებულო წილი შეადგენს:

1. შთამომავლისათვის – კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მისაღები სამკვიდროს სამ მეოთხედ ნაწილს;

2. თითოეული მშობლისათვის – ნახევარს;

3. ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის, რეგისტრირებული პარტნიორისათვის – ნახევარს.

მუხლი 472 (გაუქმებულია)

მუხლი 473

[1] საანდერძო განკარგულებით მამკვიდრებელს შეუძლია ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს მიანიჭოს უზუფრუქტი სამკვიდროს იმ მთლიან ნაწილზე, რომელიც გადადის მათ საერთო შთამომავალზე.

[2] აღნიშნული უზუფრუქტი იკავებს მეუღლის შთამომავლებთან ერთად კუთვნილ კანონით მემკვიდრეობის უფლების ადგილს. გარდა ამ უზუფრუქტის, განსაკარგავი ნაწილი შეადგენს სამკვიდროს ერთ მეოთხედს.

[3] ხელახალი დაქორწინების შემთხვევაში, უზუფრუქტი უქმდება სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელიც ქონების მემკვიდრეობით გადასვლის მომენტში უზუფრუქტით ვერ დაიტვირთებოდა შთამომავლების სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ჩვეულებრივი დანაწესების შესაბამისად.

მუხლი 474

[1] განსაკარგავი ნაწილის ღირებულება გამოითვლება ქონების მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში არსებული მდგომარეობის მიხედვით.

[2] სამკვიდროს ღირებულების გამოთვლისას მისგან უნდა გამოიქვითოს მამკვიდრებლის ვალები, დაკრძალვის, ქონების დალუქვისა და აღწერის ჩატარების ხარჯები, ისევე როგორც – ერთი თვის განმავლობაში ოჯახის წევრების რჩენის მოთხოვნის უფლებები.

მუხლი 475

ცოცხალ პირთა შორის ქონებრივი გადაცემები ემატება სამკვიდრო ქონებას იმდენად, რამდენადაც მათ შემთხვევაში შესაძლებელია საანდერძო განკარგულებათა შემცირების შესახებ სარჩელის წარდგენა.

მუხლი 476

თუ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში ვადამოსული დაზღვევის მოთხოვნის უფლება მესამე პირის სასარგებლოდ დადგინდა ცოცხალ პირთა შორის განკარგულებით ან საანდერძო განკარგულებით ანდა ის უსასყიდლოდ გადაეცა მესამე პირს მამკვიდრებლის სიცოცხლის განმავლობაში, მაშინ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში არსებული დაზღვევის მოთხოვნის უფლების გამოსყიდვის ღირებულება დაემატება სამკვიდრო ქონებას.

მუხლი 477

მამკვიდრებელი უფლებამოსილია, საანდერძო განკარგულებით ჩამოართვას მემკვიდრეს სავალდებულო წილი:

1. თუ მემკვიდრემ მამკვიდრებლის ან მისი ახლობლის წინააღმდეგ ჩაიდინა მძიმე დანაშაული;

2. თუ მან მამკვიდრებლის ან მისი ნათესავების მიმართ უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული საოჯახო-სამართლებრივი მოვალეობები.

მუხლი 478

[1] პირს, რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, არ შეუძლია არც სამკვიდროს განაწილებაში მონაწილეობის მიღება და არც საანდერძო განკარგულებათა შემცირების შესახებ სარჩელის წარდგენა.

[2] რამდენადაც მამკვიდრებელმა სხვაგვარად არ განკარგა, იმ პირის წილი, რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, გადადის მამკვიდრებლის კანონით მემკვიდრეებზე ისე, თითქოს ეს პირი სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხალი აღარ იყო.

[3] იმ პირის შთამომავლები, რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, ინარჩუნებენ თავიანთ სავალდებულო წილის უფლებას ისე, თითქოს ეს პირი სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხალი აღარ იყო.

მუხლი 479

[1] მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელი უფლების ჩამორთმევის საფუძველს უთითებს თავის საანდერძო განკარგულებაში.

[2] თუ პირი, რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, ასაჩივრებს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას ზემოაღნიშნული მითითების უსწორობის გამო, მაშინ მემკვიდრემ ან ანდერძში ნახსენებმა ბენეფიციარმა (Bedachte), რომელიც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევიდან იღებს სარგებელს, უნდა დაამტკიცოს მითითების სისწორე.

[3] თუ აღნიშნული მტკიცებულების წარმოდგენა შეუძლებელია ან თუ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველი მითითებული არ არის, საანდერძო განკარგულება შენარჩუნდება იმდენად, რამდენადაც ეს არ ართმევს სავალდებულო წილს იმ პირს, რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მამკვიდრებელმა საანდერძო განკარგულებაში მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველთან დაკავშირებით აშკარა შეცდომა დაუშვა.

მუხლი 480

[1] თუ მამკვიდრებლის შთამომავლის მიმართ არსებობს ვალის გადაუხდელობის დამადასტურებელი დოკუმენტები (Verlustscheine), მაშინ მამკვიდრებელს შეუძლია ჩამოართვას ასეთ შთამომავალს კუთვნილი სავალდებულო წილის ნახევარი იმ პირობით, თუ ის ამ წილს გადასცემს შთამომავლის სახეზე არსებულ ან მომავალში დასაბადებელ შვილებს.

[2] თუმცა, იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, აღნიშნული მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უქმდება, თუ სამკვიდროს გახსნის ვალის გადაუხდელობის დამადასტურებელი დოკუმენტები სახეზე აღარ არის ან მათი საერთო თანხა არ აღემატება სამკვიდროს ერთ მეოთხედს.

მესამე თავი: განკარგვის სახეები

მუხლი 481

[1] განკარგვის თავისუფლების ფარგლებში მამკვიდრებელს საანდერძო განკარგულებით ან მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ განკარგოს თავისი ქონება.

[2] სამკვიდროს ის ნაწილი, რომელიც მან არ განკარგა, გადადის კანონით მემკვიდრეებზე.

მუხლი 482

[1] მამკვიდრებელს თავის განკარგვებს შეუძლია დაუმატოს ვალდებულებები და პირობები, რომელთა შესრულებაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი ამ საკითხით დაინტერესებული პირის მიერ იმ მომენტიდან, როდესაც განკარგვა შესასრულებელი გახდება.

[2] ამორალური ან კანონსაწინააღმდეგო ვალდებულებები და პირობები შედეგად იწვევს განკარგვის ბათილობას.

[3] თუ აღნიშნული ვალდებულებები და პირობები ეხება მხოლოდ და მხოლოდ სხვა პირებს ან ისინი უაზრო, მაშინ მიიჩნევა, რომ ასეთი ვალდებულებები და პირობები საერთოდ არ არსებობს.

[4] თუ ცხოველი საანდერძო განკარგულებით იღებს ლეგატს, მაშინ შესაბამისი განკარგულება მოქმედებს როგორც ვალდებულების დაკისრება, რომლის მიხედვითაც უნდა იზრუნონ ცხოველზე მისი საჭიროებების შესაბამისად.

მუხლი 483

[1] მამკვიდრებელს მთელი სამკვიდროსათვის ან მისი ნაწილისათვის შეუძლია დანიშნოს ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე.

[2] მემკვიდრის დანიშვნად მიიჩნევა ნებისმიერი განკარგულება, რომლის თანახმადაც ანდერძში ნახსენებმა ბენეფიციარმა (Bedachter) სამკვიდრო უნდა მიიღოს მთლიანად ან ნაწილობრივ.

მუხლი 484

[1] მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძში ნახსენებ ბენეფიციარს ლეგატის სახით მიანიჭოს ქონებრივი სარგებელი ამ პირის მემკვიდრედ დანიშვნის გარეშე.

[2] მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძში ნახსენებ ბენეფიციარს მთლიანად ან ნაწილობრივ ლეგატით გადასცეს სამკვიდრო ქონებაში შემავალი ცალკეული ობიექტები, სამკვიდრო ქონებაზე დადგენილი უზუფრუქტი ან დაავალოს მემ-

კვიდრეებსა თუ ლეგატარებს, რომ მათ გადახდები აწარმოონ აღნიშნული პირის მიმართ სამკვიდროში შემავალი თანხებიდან ან გაათავისუფლონ ის ვალდებულებებისაგან.

[3] თუ მამკვიდრებელი ლეგატით გადასცემს განსაზღვრულ ნივთს, მაშინ ვალდებულ მემკვიდრეს (Beschwerte) არ დაეკისრება ვალდებულება, თუ აღნიშნული ნივთი არ იძებნება სამკვიდროში, ხოლო განკარგვიდან კი მამკვიდრებლის სხვა ნება-სურვილი არ იკვეთება.

მუხლი 485

[1] ანდერძში ნახსენებ ბენეფიციარს ნივთი უნდა მიეწოდოს უფლებრივი ტვირთის არმქონე ან უფლებრივად დატვირთული იმ მდგომარეობითა და ხარისხით, როგორშიც ის იმყოფება სამკვიდროს გახსნის მომენტში დაზიანებისა და მიმატებების ჩათვლით.

[2] იმ დანახარჯებთან დაკავშირებით, რომლებიც ვალდებულმა მემკვიდრემ გასწია ნივთზე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ისევე როგორც აღნიშნული მომენტის შემდეგ დამდგარ გაუარესობასთან დაკავშირებით ვალდებულ მემკვიდრეს აქვს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლის კუთვნილი უფლებები და დაკისრებული ვალდებულებები.

მუხლი 486

[1] თუ ლეგატები აღემატება სამკვიდროს ღირებულებას ან ვალდებული მემკვიდრის მიმართ განხორციელებულ ქონებრივ გადაცემებსა თუ განსაკარგავ ნაწილს, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მათი პროპორციული შემცირება.

[2] თუ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში ვალდებული მემკვიდრეები აღარ არიან ცოცხლები ან ისინი ცნობილი არიან უღირს მემკვიდრეებად ანდა უარს აცხადებენ სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ მიუხედავად ამისა ლეგატები მაინც ძალაში რჩება.

[3] თუ მამკვიდრებლმა ლეგატი დაადგინა ერთ-ერთი კანონით მემკვიდრის ან დანიშნული მემკვიდრის სასარგებლოდ, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია ლეგატი მოითხოვოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე.

მუხლი 487

მამკვიდრებელს შეუძლია თავის განკარგულებაში მიუთითოს ერთი ან რამდენიმე პირი, რომლებზეც უნდა გადავიდეს სამკვიდრო ქონება ან ლეგატი მემკვიდრის ან ლეგატარის უფრო ადრე გარდაცვალების ანდა მის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის შემთხვევისათვის.

მუხლი 488

[1] მამკვიდრებელი უფლებამოსილია, თავის განკარგულებაში დანიშნულ მემკვიდრეს, როგორც თავდაპირველ მემკვიდრეს (Vorerbe), მოსთხოვოს სამკვიდრო ქონების სხვა პირისათვის, როგორც სუბსტიტუტისათვის (Nacherbe), მიწოდება.

[2] დაუშვებელია იგივე ვალდებულების სუბსტიტუტისათვის დაკისრება.
[3] ანალოგიური დანაწესები მოქმედებს ლეგატისათვისაც.

მუხლი 489

[1] თუ განკარგულება სხვაგვარად არ ადგენს, მიწოდების მომენტად მიიჩნევა თავდაპირველი მემკვიდრის გარდაცვალება.
[2] თუ მოხდება მიწოდების სხვა მომენტის მითითება და ეს უკანასკნელი თავდაპირველი მემკვიდრის გარდაცვალებისათვის ჯერ არ დამდგარა, მაშინ სამკვიდრო უზრუნველყოფის წარდგენის სანაცვლოდ გადადის თავდაპირველი მემკვიდრის მემკვიდრეებზე.
[3] თუ რაიმე მიზეზის გამო აღნიშნული მომენტი ვეღარ დადგება, მაშინ სამკვიდრო უპირობოდ გადადის თავდაპირველი მემკვიდრის მემკვიდრეებზე.

მუხლი 490

[1] სუბსტიტუტის დანიშვნის ყველა შემთხვევაში, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა დაადგინოს ქონებრივი ნუსხის შედგენა.
[2] თავდაპირველი მემკვიდრისათვის სამკვიდრო ქონების გადაცემა – რამდენადაც მამკვიდრებელმა ის პირდაპირ არ გაათავისუფლა ამ ვალდებულებისაგან – ხორციელდება მხოლოდ უზრუნველყოფის წარდგენის სანაცვლოდ, რაც მიწის ნაკვეთების შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს სამკვიდრო ქონების გადაცემის ვალდებულების საადგილმამულო რეესტრში წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრაციით.
[3] თუ თავდაპირველ მემკვიდრეს არ შეუძლია აღნიშნული უზრუნველყოფის წარდგენა ან მას ემუქრება სუბსტიტუტის კუთვნილი სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნა, მაშინ უნდა დადგინდეს სამკვიდრო ქონების მართვა.

მუხლი 491

[1] თავდაპირველი მემკვიდრე სამკვიდროს იძენს ისე, როგორც სხვა დანიშნული მემკვიდრე.
[2] ის სამკვიდრო ქონების მესაკუთრე ხდება მისი გადაცემის ვალდებულების კისრებით.

მუხლი 492

[1] სუბსტიტუტი იძენს მამკვიდრებლის სამკვიდროს, თუ ის ცოცხალია სამკვიდრო ქონების გადაცემისათვის გათვალისწინებულ მომენტში.
[2] თუ აღნიშნულ მომენტში სუბსტიტუტი ცოცხალი აღარ არის, მაშინ სამკვიდრო რჩება თავდაპირველ მემკვიდრეს, რამდენადაც მამკვიდრებელმა სხვაგვარად არ განკარგა.
[3] თუ თავდაპირველი მემკვიდრე მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში აღარ არის ცოცხალი ან ის ცნობილია უღირს მემკვიდრედ ანდა უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ სამკვიდრო გადადის სუბსტიტუტზე.

მუხლი 492a

[1] თუ შთამომავალს მყარად არ შეუძლია თავის თავისთვის ანგარიშის გაწევა

და მას არ რჩება არც შთამომავალი და არც მეუღლე, მაშინ ნარჩენი ქონების მიმართ მამკვიდრებელს შეუძლია დაადგინოს სუბსტიტუტის დანიშვნა.

[2] სუბსტიტუტის დანიშვნა უქმდება ავტომატურად კანონის ძალით, თუ შთამომავალი მოულოდნელად იბრუნებს თავის თავისთვის ანგარიშის გაწევის უნარს.

მუხლი 493

[1] მამკვიდრებელი უფლებამოსილია, თავისი ქონების განსაკარგავი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ რაიმე მიზნისათვის შესწიროს ფონდს.

[2] თუმცა, ფონდისათვის ქონების გადაცემა ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეესაბამება საკანონმდებლო ნორმებს.

მუხლი 494

[1] მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებით მამკვიდრებელს შეუძლია სხვა პირის წინაშე იკისროს ვალდებულება, თავისი სამკვიდრო ან ლეგატი დაუტოვოს მას ან მესამე პირს.

[2] მამკვიდრებელს თავისუფლად შეუძლია განკარგოს თავისი ქონება.

[3] თუმცა, შესაძლოა გასაჩივრდეს ის საანდერძო განკარგულებები ან ნაჩუქრობები, რომლებიც არ შეესაბამება მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მამკვიდრებლის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

მუხლი 495

[1] მამკვიდრებელს შეუძლია მემკვიდრესთან დადოს სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ ხელშეკრულება ან სამკვიდროს გამოსყიდვის ხელშეკრულება.

[2] პირი, რომელიც უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, ქონების მემკვიდრეობით გადასვლისას არასოდეს არ მიიჩნევა მემკვიდრედ.

[3] იქ, სადაც ხელშეკრულება სხვაგვარად არ ადგენს, სამკვიდროს მიღებაზე უარი მოქმედებს ასევე სამკვიდროს მიღებაზე უარის განმცხადებლის შთამომავლების მიმართაც.

მუხლი 496

[1] თუ მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაში მითითებული მემკვიდრეები ინიშნებიან მემკვიდრეებად სამკვიდროს მიღებაზე უარის განმცხადებლის ნაცვლად, მაშინ სამკვიდროს მიღებაზე უარი უქმდება, თუ ეს პირები რაიმე მიზეზის გამო ვერ იძენენ სამკვიდრო ქონებას.

[2] თუ სამკვიდროს მიღებაზე უარი ხორციელდება თანამემკვიდრის სასარგებლოდ, მაშინ ივარაუდება, რომ ეს უნარი მოქმედებს მხოლოდ იმ ნათესაური ხაზის მემკვიდრეების მიმართ, რომელიც მომდინარეობს მათი უახლოესი საერთო წინამორბედისაგან, და მას ადგილი არა აქვს უფრო შორეული მემკვიდრეების მიმართ.

მუხლი 497

თუ მამკვიდრებელი სამკვიდროს გახსნის მომენტში გადახდისუუნაროა და მისი კრედიტორები მემკვიდრეებისაგან არ დაკმაყოფილდებიან, მაშინ სამკვი-

დროს მიღებაზე უარის განმცხადებელსა და მის მემკვიდრეებს შეიძლება წაეყენოთ შესაბამისი მოთხოვნები იმ ფარგლებში, რომლებშიც მათ სამკვიდროს მიღებაზე უარისათვის მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მისი ქონებიდან მიიღეს სამაგიერო შესრულება და სამკვიდროს გახსნის შემდგომაც ისინი ჯერ კიდევ გამდიდრებულები არიან.

მეოთხე თავი: განკარგვის ფორმები

მუხლი 498

მამკვიდრებელს საანდერძო განკარგულების შედგენა შეუძლია ოფიციალურად დამოწმებული დოკუმენტის ან საკუთარი ხელით შესრულებული ფორმით ანდა – ზეპირი განცხადების სახით.

მუხლი 499

ოფიციალურად დამოწმებული საანდერძო განკარგულების შედგენა ხდება ორი მოწმის თანამონაწილეობით საჯარო მოხელის, ნოტარიუსის ან დოკუმენტის შედგენაზე იმ სხვა უფლებამოსილი პირის წინაშე, რომელსაც კანტონალური სამართლის თანახმად ევალება აღნიშნული საქმეების შესრულება.

მუხლი 500

[1] მამკვიდრებელმა საჯარო მოხელეს უნდა შეატყობინოს თავისი ნება, რომლის საფუძველზეც ეს უკანასკნელი ადგენს დოკუმენტს ან უზრუნველყოფს მის შედგენას და გასაცნობად გადასცემს ამ დოკუმენტს მამკვიდრებელს.

[2] დოკუმენტი უნდა იქნეს ხელმოწერილი მამკვიდრებლის მხრიდან.

[3] საჯარო მოხელემ დოკუმენტი უნდა დაათარიღოს და ასევე ხელი მოაწეროს მას.

მუხლი 501

[1] მამკვიდრებელმა უშუალოდ დოკუმენტის დათარიღებისა და ხელმოწერის შემდეგ ორ მოწმეს საჯარო მოხელის თანდასწრებით უნდა განუცხადოს, რომ მან წაიკითხა დოკუმენტი და რომ ის შეიცავს მის საანდერძო განკარგულებას.

[2] მოწმეებმა თავიანთი ხელმოწერით უნდა დაადასტურონ, რომ მამკვიდრებელმა აღნიშნული განცხადება გააკეთა მათ წინაშე და რომ მათი აღქმით ამ დროს მას სრულად ჰქონდა ქონების განკარგვის უნარი.

[3] არ არის აუცილებელი, რომ მოწმეებმა შეიტყონ დოკუმენტის შინაარსი.

მუხლი 502

[1] თუ მამკვიდრებელი დოკუმენტს თავად არ კითხულობს და ხელს არ აწერს, მაშინ საჯარო მოხელემ ის უნდა წაიკითხოს ორივე მოწმის თანდასწრებით და მამკვიდრებელმა ამის შემდეგ უნდა განაცხადოს, რომ დოკუმენტი შეიცავს მის საანდერძო განკარგულებას.

[2] აღნიშნულ შემთხვევაში მოწმეებმა არა მარტო უნდა დაამოწმონ მამკვი-

დრებლის განცხადება და მათი აღქმა ქონების განკარგვის უნართან დაკავშირებით, არამედ თავიანთი ხელმოწერებით დაადასტურონ, რომ საჯარო მოხელემ დოკუმენტი მათი თანდასწრებით წაუკითხა მამკვიდრებელს.

მუხლი 503

[1] ქმედუუნარო პირები, ასევე ის პირები, რომლებსაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით ჩამოერთვათ სამოქალაქო უფლებები (nicht im Besitz der bürgerlichen Ehren und Rechte befinden), ანდა რომლებსაც არ შეუძლიათ წერა-კითხვა, ისევე როგორც – მამკვიდრებლის პირდაპირი ხაზით ნათესავები და და-ძმები და მათი მეუღლეები და თავად მამკვიდრებლის მეუღლე ვერ იღებენ მონაწილეობას ოფიციალური განკარგულების შედგენისას როგორც დამმოწმებელი საჯარო მოხელეების სახით, ისე მოწმეების სახითაც.

[2] დაუშვებელია საანდერძო განკარგულებაში დამმოწმებელი საჯარო მოხელისა და მოწმეების, ისევე როგორც აღნიშნული პირების პირდაპირი ხაზით ნათესავებისა და და-ძმების ან მეუღლეების მითითება.

მუხლი 504

კანტონებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ის საჯარო მოხელეები, რომლებსაც ევალებათ დოკუმენტების დამოწმება, საანდერძო განკარგულებებს დედნის ან ასლის სახით თავად შეინახავენ ანდა შესანახად გადასცემენ შესაბამის უწყებას.

მუხლი 505

[1] საკუთარი ხელით შესრულებული საანდერძო განკარგულება მამკვიდრებლის მიერ უნდა იქნეს პირადად თავიდან ბოლომდე დაწერილი შედგენის წლის, თვისა და დღის მითითებით და ასევე – მამკვიდრებლის მიერ ხელმოწერილი.

[2] კანტონებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნული საანდერძო განკარგულებები დაულუქავად ან დალუქულ მდგომარეობაში შესანახად გადაეცეს შესაბამის უწყებას.

მუხლი 506

[1] თუ მამკვიდრებელს ისეთი განსაკუთრებული გარემოებების შედეგად, როგორიცაა სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი საფრთხე, საგზაო მოძრაობის შეზღუდვა, ეპიდემიები ან ომი, ხელი ეშლება საანდერძო განკარგულების სხვა ფორმების გამოყენებაში, მაშინ ის უფლებამოსილია, შეადგინოს ზეპირი საანდერძო განკარგულება.

[2] აღნიშნული მიზნით მან თავისი საანდერძო განკარგულების შესახებ უნდა განაცხადოს ორი მოწმის წინაშე და დაავალოს მათ, უზრუნველყონ მისი განკარგულების საჭირო ფორმით დამოწმება.

[3] მოწმეთა მიმართ მოქმედებს გამორიცხვის მომწესრიგებელი იგივე ნორმები, რომლებიც გამოიყენება ოფიციალურად დამოწმებული განკარგულების შემთხვევაში.

მუხლი 507

[1] ზეპირი განკარგულება დაუყოვნებლივ უნდა შედგეს წერილობით ერთ-ე-

რთი მოწმის მიერ ადგილის, წლის, თვისა და დღის მითითებით, უნდა იქნეს ხელმოწერილი ორივე მოწმის მიერ და მაშინვე წარედგინოს სასამართლო უწყებას იმ ფაქტის თაობაზე განცხადებასთან ერთად, რომ ქონების განკარგვის უნარის მქონე მამკვიდრებელმა მოცემულ განსაკუთრებულ გარემოებებში მოწმეებს შეატყობინა თავისი საანდერძო განკარგულების შესახებ.

[2] ორივე მოწმეს ზემოაღნიშნულის ნაცვლად შეუძლია განკარგულების იგივე განცხადებასთან ერთად სასამართლო ოქმში ასახვა.

[3] თუ მამკვიდრებელი ზეპირ განკარგულებას ადგენს სამხედრო სამსახურში ყოფნისას, მაშინ კაპიტნის ან უფრო მაღალი წოდების მქონე ოფიცერს შეუძლია შეცვალოს სასამართლო უწყებას.

მუხლი 508

თუ მამკვიდრებელს შემდგომში შეეძლება განკარგულების რომელიმე სხვა ფორმის გამოყენება, მაშინ ამ შესაძლებლობის წარმოშობის მომენტიდან 14 დღის გასვლის შემდეგ ზეპირი განკარგულება კარგავს თავის ძალას.

მუხლი 509

[1] მამკვიდრებელს შეუძლია თავისი საანდერძო განკარგულების ნებისმიერ დროს იმ ერთ-ერთი ფორმით გაუქმება, რაც გათვალისწინებულია მისი დადგენისათვის.

[2] გაუქმება შეიძლება ეხებოდეს მთელ განკარგულებას ან მის ნაწილს.

მუხლი 510

[1] მამკვიდრებელს შეუძლია თავისი საანდერძო განკარგულება გააუქმოს ასევე დოკუმენტის განადგურებითაც.

[2] თუ დოკუმენტი შემთხვევით ან სხვა პირის ბრალეული ქმედების შედეგად განადგურდება, მაშინ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების შენარჩუნების პირობით განკარგულება ასევე კარგავს თავის ძალას იმდენად, რამდენადაც მისი შინაარსის ზუსტი და სრული დადგენა შეუძლებელია.

მუხლი 511

[1] თუ მამკვიდრებელი საანდერძო განკარგულებას ადგენს თავდაპირველი განკარგულების პირდაპირი გაუქმების გარეშე, მაშინ ახალი საანდერძო განკარგულება იკავებს თავდაპირველის ადგილს, რამდენადაც ის აშკარად არ წარმოადგენს პირველის უბრალო განვრცობას.

[2] ანალოგიურად, თუ კონკრეტული ნივთის საანდერძო განკარგულებით განკარგვა უქმდება იმით, რომ მამკვიდრებელი შემდგომში ახდენს ნივთის განკარგვას ისე, რომ ეს შესაბამისობაში არ არის თავდაპირველ განკარგვასთან.

მუხლი 512

[1] თავისი ნამდვილობისათვის მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება საჭიროებს ოფიციალურად დამოწმებული საანდერძო განკარგულებისათვის დადგენილ ფორმას.

[2] ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა თავიანთი ნების შესახებ ერთდროუ-

ლად უნდა განუცხადონ საჯარო მოხელეს და ხელი მოაწერონ დოკუმენტს მისი და ორი მოწმის წინაშე.

მუხლი 513

[1] მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს მისი დამდები მხარეების წერილობითი შეთანხმებით.

[2] მამკვიდრებელს შეუძლია მემკვიდრის დანიშვნის ან ლეგატის ხელშეკრულების ცალმხრივი გაუქმება, თუ მემკვიდრე ან ანდერძში ნახსენები ბენეფიციარი ხელშეკრულების დადების შემდეგ მამკვიდრებლის მიმართ ბრალეულად სჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც წარმოადგენს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველს.

[3] ცალმხრივი გაუქმება უნდა განხორციელდეს იმ ერთ-ერთი ფორმით, რაც გათვალისწინებულია საანდერძო განკარგულების დადგენისათვის.

მუხლი 514

პირს, რომელიც მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე უფლებამოსილია ცოცხალ პირთა შორის გადახდების მიღებაზე, ვალდებულებითი სამართლის ნორმების თანახმად შეუძლია განაცხადოს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, თუ აღნიშნული გადახდები არ ხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად ან ისინი არ არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 515

[1] თუ მემკვიდრე ან ლეგატარი მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში აღარ არის ცოცხალი, მაშინ ხელშეკრულება უქმდება.

[2] თუ მემკვიდრის გარდაცვალების მომენტში მამკვიდრებელი ხელშეკრულების შესრულების შედეგად გამდიდრდა, მაშინ გარდაცვლილის მემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხოვონ კომპენსაცია გამდიდრების ღირებულების ოდენობით, თუ შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

მუხლი 516

თუ მამკვიდრებელს საანდერძო განკარგულების დადგენის შემდეგ შეეზღუდება თავისი ქონების განკარგვის თავისუფლება, მაშინ განკარგულება არ უქმდება, თუმცა მის მიმართ შეიძლება წარდგენილ იქნეს საანდერძო განკარგულებათა შემცირების შესახებ სარჩელი.

მეხუთე თავი: ანდერძის აღმსრულებლები

მუხლი 517

[1] მამკვიდრებელს შეუძლია თავის საანდერძო განკარგულებაში ერთ ან რამდენიმე ქმედუნარიან პირს დაავალოს მისი ანდერძის აღსრულება.

[2] მიცემული დავალება აღნიშნულ პირებს შესაბამისი უწყების მიერ საკუთარი ინიციატივით უნდა ეცნობოს, ხოლო მათ კი აღნიშნული შეტყობინების მი-

ღებიდან 14 დღის განმავლობაში უნდა განაცხადონ, იღებენ თუ არა ისინი ამ დავალებას, რომლის დროსაც მათი დუმილი დავალების მიღებად ითვლება.

[3] ზემოაღნიშნულ პირებს თავინთი საქმიანობისათვის აქვთ სათანადო გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 518

[1] რამდენადაც მამკვიდრებელი სხვაგვარად არ განკარგავს, ანდერძის აღმსრულებლებს ენიჭებათ სამკვიდრო ქონების ოფიციალური მმართველის უფლებები და ეკისრებათ მისი ვალდებულებები.

[2] ანდერძის აღმსრულებლებმა უნდა შეასრულონ მამკვიდრებლის ნება-სურვილი და, განსაკუთრებით კი, იმოქმედონ დავალების შესაბამისად, მართონ სამკვიდრო, დაფარონ მამკვიდრებლის ვალები, შეასრულონ ლეგატები და განახორციელონ სამკვიდროს გაყოფა მამკვიდრებლის მიერ მიცემული განკარგულებებისა თუ საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად.

[3] თუ დანიშნულია რამდენიმე ანდერძის აღმსრულებელი, მაშინ აღნიშნული უფლებამოსილებები მათ ერთობლივად ეკუთვნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მამკვიდრებელმა სხვაგვარად დაადგინა.

მეექვსე თავი: საანდერძო განკარგულებათა ბათილობა და მათი შემცირება

მუხლი 519

[1] წარდგენილი სარჩელის საფუძველზე საანდერძო განკარგულება შეიძლება გამოცხადდეს ბათილად:

1. თუ ის მამკვიდრებლის მიერ მიღებულ იქნა იმ მომენტში, როდესაც მას განკარგვის უნარი არ ჰქონდა;
2. თუ ის გამომდინარეობს ნაკლის მქონე ნების გამოვლენიდან;
3. თუ მისი შინაარსი ან მასთან დაკავშირებული პირობა ამორალური ან კანონსაწინააღმდეგოა.

[2] ბათილობის მოთხოვნით სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ ნებისმიერი პირის მიერ, რომელსაც, როგორც მემკვიდრეს ან ანდერძში ნახსენებ ბენეფიციარს, აქვს განკარგვის ბათილად გამოცხადების ინტერესი.

მუხლი 520

[1] თუ საანდერძო განკარგულებას აქვს ფორმასთან დაკავშირებული ნაკლი, მაშინ ის წარდგენილი სარჩელის საფუძველზე ცხადდება ბათილად.

[2] თუ საანდერძო განკარგულების ფორმასთან დაკავშირებული ნაკლი ეხება იმ პირთა თანამონაწილეობას, რომლებიც პირადად ანდა მათი ნათესავები წარმოადგენენ განკარგულებაში ლეგატის მიმღებებს, მაშინ ბათილად ცხადდება მხოლოდ აღნიშნული პირებისათვის ქონებრივ გადაცემებთან დაკავშირებული დათქმები.

[3] სარჩელის უფლების მიმართ მოქმედებს იგივე ნორმები, რომლებიც გამოიყენება განკარგვის უუნარობის შემთხვევაში.

მუხლი 520a

თუ საკუთარი ხელით შესრულებული საანდერძო განკარგულების ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ წელი, თვე ან დღე არ არის მითითებული ან არასწორად არის მითითებული, მაშინ ასეთი განკარგულება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროსთან დაკავშირებული საჭირო მონაცემები სხვაგვარად ვერ დადგინდება, ხოლო თარიღი კი აუცილებელია განკარგვის უნარის, რამდენიმე განკარგვის შემთხვევაში რიგითობისა და განკარგვის ნამდვილობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების დადგენისათვის.

მუხლი 521

[1] ბათილობის მოთხოვნის შესახებ სარჩელი ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც მოსარჩელემ შეიტყო საანდერძო განკარგულებისა და ბათილობის საფუძვლის შესახებ, თუმცა, – ნებისმიერ შემთხვევაში განკარგულების გახსნის დღიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

[2] არაკეთილსინდისიერად მოქმედი ანდერძში ნახსენები ბენეფიციარების მიმართ აღნიშნული სარჩელი ხანდაზმულია მამკვიდრებლის მხრიდან განკარგვის უუნარობის ან ამორალურობისა თუ მართლსაწინააღმდეგოობის შემთხვევაში, – საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით მხოლოდ 30 წლის გასვლის შემდეგ.

[3] საანდერძო განკარგულების ბათილობა ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც შესაგებელი.

მუხლი 522

[1] თუ მამკვიდრებელმა გადაამეტა თავის განკარგვის უფლებამოსილებას, მაშინ იმ მემკვიდრეებს, რომლებიც არ იღებენ თავიანთი სავალდებულო წილის სრულ ღირებულებას, შეუძლიათ მოითხოვონ საანდერძო განკარგულების დასაშვები ოდენობით შემცირება.

[2] თუ საანდერძო განკარგულება შეიცავს დებულებებს კანონით მემკვიდრეების წილებთან დაკავშირებით, მაშინ ისინი გაგებულ უნდა იქნეს უბრალოდ როგორც სამკვიდროს გაყოფის შესახებ ნორმები, თუ საანდერძო განკარგულებიდან მამკვიდრებლის სხვა ნება-სურვილი არ იკვეთება.

მუხლი 523

თუ საანდერძო განკარგულება შეიცავს სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი რამდენიმე მემკვიდრისათვის ქონებრივ გადაცემებს შეღავათის მინიჭების არსით, მაშინ განკარგვის უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში თანამემკვიდრეებს შორის ადგილი აქვს განკარგულების იმ თანხების ოდენობით პროპორციულ შემცირებას, რომლითაც ქონებრივი გადაცემები აღემატება თანამემკვიდრეების სავალდებულო წილებს.

მუხლი 524

[1] როდესაც მამკვიდრებელმა მემკვიდრის საზიანოდ გადაამეტა თავის განკარგვის უფლებამოსილებას და გასცდა განსაკარგავ ნაწილს, ხოლო აღნიშნული მემკვიდრე არ წარადგენს საანდერძო განკარგულებათა შემცირების შესახებ სარჩელს მიუხედავად ამის მოთხოვნისა მემკვიდრის გაკოტრების საქმის წარმოებაში გაკოტრების მმართველის ან მემკვიდრის იმ კრედიტორების მხრიდან, რომლების სამკვიდროს გახსნის მომენტში ფლობენ ვალის გადაუხდელობის დამადასტურებელი დოკუმენტებს, – გაკოტრების მმართველს ან თავად კრედიტორებს შეუძლიათ მემკვიდრისათვის მიცემულ ვადაში წარადგინონ საანდერძო განკარგულებათა შემცირების შესახებ სარჩელი იმ თანხის ოდენობით, რაც აუცილებელია მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

[2] ანალოგიური უფლებამოსილება არსებობს ასევე მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაშიც, რასაც არ ასაჩივრებს პირი, რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება.

მუხლი 525

[1] საანდერძო განკარგულებათა შემცირება ყველა დანიშნული მემკვიდრისა და ანდერძში ნახსენები ბენეფიციარის მიმართ ხორციელდება თანაბარწილად, რამდენადაც საანდერძო განკარგულებიდან მამკვიდრებლის სხვა ნება-სურვილი არ იკვეთება.

[2] თუ მცირდება ანდერძში ნახსენები იმ ბენეფიციარის მიმართ განხორციელებული ქონებრივი გადაცემა, რომელსაც ერთდროულად ეკისრება ლეგატების შესრულებაც, მაშინ ამ ბენეფიციარს ანალოგიური დათქმით შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული ლეგატების პროპორციული შემცირება.

მუხლი 526

თუ შემცირებას ექვემდებარება იმ კონკრეტული ნივთის მიმართ დადგენილი ლეგატი, რომლის გაყოფაც შეუძლებელია მისი ღირებულების შემცირების გარეშე, მაშინ ანდერძში ნახსენებ ბენეფიციარს შეუძლია მოითხოვოს თავად ნივთი ზედმეტობის ანაზღაურების სანაცვლოდ ან – ნივთის ნაცვლად განსაკარგავი თანხა.

მუხლი 527

საანდერძო განკარგულებათა მსგავსად შემცირებას ექვემდებარება:

1. მზითვის, შვილისათვის გამოყოფილი აქტივის ან აქტივის დათმობის სახით სამკვიდრო წილის ანგარიშში განხორციელებული ქონებრივი გადაცემები, როდესაც ისინი არ ექვემდებარება კომპენსაციას (Ausgleichung);

2. მემკვიდრის წილის საკომპენსაციო გადახდები (Erbabfindungen) და სამკვიდროს გამოსყიდვის თანხები;

3. ნაჩუქრობები, რომელთა გაუქმებაც მამკვიდრებელს თავისუფლად შეეძლო, ან რომლებიც მან განახორციელა გარდაცვალებამდე უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, გარდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო საჩუქრებისა;

4. მამკვიდრებლის მიერ განკარგვის უფლებამოსილების აშკარად გვერდის ავლით განხორციელებული ქონებრივი ობიექტების გასხვისების გარიგება.

მუხლი 528

[1] კეთილსინდისერ პირს მიღებული შესრულების დაბრუნების ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სამკვიდროს გახსნის მომენტში ის ჯერ კიდევ გამდიდრებულია.

[2] თუ მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებით ანდერძში ნახსენები ბენეფიციარის მიმართ უნდა განხორციელდეს საანდერძო განკარგულებათა შემცირება, მაშინ ის უფლებამოსილია, მოითხოვოს მამკვიდრებლის მიერ განხორციელებული სამაგიერო შესრულების შესაბამისი თანხის უკან დაბრუნება.

მუხლი 529

თუ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში ვადამოსული დაზღვევის მოთხოვნის უფლებები მესამე პირის სასარგებლოდ დადგინდა ცოცხალ პირთა შორის განკარგულებით ან საანდერძო განკარგულებით ანდა ისინი უსასყიდლოდ გადაეცა მესამე პირს მამკვიდრებლის სიცოცხლის განმავლობაში, მაშინ აღნიშნული მოთხოვნის უფლებები ექვემდებარება შემცირებას თავიანთი გამოსყიდვის ღირებულებით.

მუხლი 530

თუ მამკვიდრებლმა თავისი სამკვიდრო უზუფრუქტის მოთხოვნის უფლებებითა და პერიოდული გადასახდელებით დატვირთა იმგვარად, რომ მათი ჯამური ღირებულება ვალდებულების შესრულების სავარაუდო ვადის გასვლის შემდეგ აღემატება სამკვიდროს განსაკარგავ ნაწილს, მაშინ მემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხოვონ მოთხოვნის უფლებათა პროპორციული შემცირება ან მათი დაფარვა სამკვიდროს განსაკარგავი ნაწილის დათმობით.

მუხლი 531

სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი მემკვიდრის მიმართ სუბსტიტუტის დანიშვნა ბათილია სავალდებულო წილის ფარგლებში; ეს წესი არ მოქმედებს ქმედუუნარო შთამომავლების შესახებ დანაწესის მიმართ.

მუხლი 532

შემცირებას, პირველ რიგში, ექვემდებარება საანდერძო განკარგულებები, ხოლო უკვე ამის შემდეგ კი, – ცოცხალ პირთა შორის განხორციელებული ქონებრივი გადაცემები; ამდენად, საანდერძო განკარგულებები და ქონებრივი გადაცემები უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მოხდეს შემცირება მოგვიანებით განხორციელებული განკარგულებებისა და ქონებრივი გადაცემებისა უფრო ადრე განხორციელებულ განკარგულებთან და ქონებრივ გადაცემებთან შედარებით მანამდე, სანამ არ აღდგება სამკვიდროს სავალდებულო წილი.

მუხლი 533

[1] საანდერძო განკარგულებათა შემცირების შესახებ სარჩელი ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც მემკვიდრეებმა შეიტყვეს თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ, თუმცა, – ნებისმიერ შემთხვევაში ათი წლის გასვლის შემდეგ, რომელიც საანდერძო განკარგულებების შემ-

თხვევაში აითვლება სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, ხოლო სხვა ქონებრივი გადაცემების შემთხვევაში კი, – მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტიდან.

[2] თუ უფრო მოგვიანებით განხორციელებული საანდერძო განკარგულების ბათილად ცნობის შედეგად ძალმოსილი გახდა უფრო ადრე განხორციელებული განკარგულება, მაშინ ვადები აითვლება ბათილად ცნობის მომენტიდან.

[3] საანდერძო განკარგულებათა შემცირების მოთხოვნის უფლება ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც შესაგებელი.

მეშვიდე თავი: მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სარჩელები

მუხლი 534

[1] თუ მამკვიდრებელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში კუთვნილ ქონებას გადასცემს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მემკვიდრეს, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია უზრუნველყოს საჯარო ინვენტარიზაციის ჩატარება.

[2] თუ მამკვიდრებელმა არ მოახდინა მთელი თავისი ქონების გადაცემა ან გადაცემის შემდეგ შეიძინა ქონება, მაშინ ხელშეკრულება ეხება მხოლოდ გადაცემულ ქონებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მამკვიდრებელმა სხვაგვარად დაადგინა.

[3] რამდენადაც ქონების გადაცემას ადგილი ჰქონდა მამკვიდრებლის სიცოცხლის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები გადადის დანიშნული მემკვიდრის მემკვიდრეებზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მამკვიდრებელმა სხვაგვარად დაადგინა.

მუხლი 535

[1] თუ მამკვიდრებელმა თავისი სიცოცხლის განმავლობაში სამკვიდროს მიღებაზე უარის განმცხადებელი მემკვიდრის მიმართ განახორციელა გარკვეული გადახდები, რომლებიც აღემატება მისი სამკვიდროს განსაკარგავ ნაწილს, მაშინ თანამემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხოვონ საანდერძო განკარგულებათა შემცირება.

[2] თუმცა, საანდერძო განკარგულება შემცირებას ექვემდებარება მხოლოდ იმ თანხის ოდენობით, რომლითაც გადახდები აღემატება სამკვიდროს მიღებაზე უარის განმცხადებლის სავალდებულო წილს.

[3] გადახდების ანგარიშში ჩათვლა ხორციელდება იგივე ნორმების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება კომპენსაციის შემთხვევაში.

მუხლი 536

თუ სამკვიდროს მიღებაზე უარის განმცხადებელს საანდერძო განკარგულებათა შემცირების შედეგად დაეკისრება სამკვიდროში შესრულებულის უკან დაბრუნების ვალდებულება, მაშინ მას შეუძლია აირჩიოს, აღნიშნული შესრულება თავის თავზე მიიღოს ან მთლიანი შესრულება დაუქვემდებაროს გაყოფას და მიიღოს მონაწილეობა გაყოფაში ისე, თითქოს მას არასოდეს განუცხადებია უარი სამკვიდროს მიღებაზე.

მეორე განყოფილება:
ქონების მემკვიდრეობით გადასვლა

მეთხუთმეტე ტიტული: სამკვიდროს გახსნა

მუხლი 537

[1] სამკვიდრო იხსნება მამკვიდრებლის გარდაცვალებით.

[2] რამდენადაც მამკვიდრებლის სიცოცხლის განმავლობაში განხორციელებული ქონებრივი გადაცემები და ქონების გაყოფა სამემკვიდრეო-სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს, ისინი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამკვიდროს იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელშიც ეს უკანასკნელი იმყოფება მამკვიდრებლის გარდაცვალების დროს.

მუხლი 538

[1] სამკვიდროს გახსნა ეხება მთელ ქონებას მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 539

[1] ნებისმიერ პირს შეუძლია იყოს მემკვიდრე და შეიძინოს ქონება საანდერძო განკარგულებების საფუძველზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონის თანახმად მას არა აქვს მემკვიდრედ ყოფნის უფლება (erbunfähig ist).

[2] პირთა ჯგუფზე განსაზღვრული მიზნით ერთიანი ქონებრივი გადაცემების მიღება – თუ აღნიშნულის შედეგად არ იქმნება სამართლის სუბიექტი – ხდება ყველა ამ პირის მიერ ინდივიდუალურად მამკვიდრებლის მიერ განსაზღვრული მიზნის შესაბამისად გამოყენების ვალდებულების პირობით, ხოლო როდესაც აღნიშნული არ გამოდის, მაშინ ასეთი ქონებრივი გადაცემები მიიჩნევა ფონდად.

მუხლი 540

[1] მემკვიდრეობის მიღებაზე ან საანდერძო განკარგულებიდან გამომდინარე რაიმეს შეძენაზე უღირსია პირი:

1. რომელმაც განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ გამოიწვია მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სცადა აღნიშნული;
2. რომელმაც მამკვიდრებელი განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ ჩააგდო მყარი განკარგვის უუნარობის მდგომარეობაში;
3. რომელმაც მზაკვრობით, იძულებით ან მუქარით მამკვიდრებელი დაიყოლია საანდერძო განკარგულების მიღებაზე ან გაუქმებაზე ანდა ხელი შეუშალა აღნიშნულის განხორციელებაში;
4. რომელმაც საანდერძო განკარგულება განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ მოსპო ან გააბათილა იმგავრად, რომ მამკვიდრებელს აღარ აქვს მისი განახლების შესაძლებლობა.

[2] მამკვიდრებლის მხრიდან უღირსი მემკვიდრის პატიებით ამ უკანასკნელის უღირსობა ქარწყლდება.

მუხლი 541

[1] მემკვიდრეობის მიღების უუნარობა ეხება მხოლოდ თავად უღირს მემკვიდრეს.

[2] უღირსი მემკვიდრის შთამომავლები მამკვიდრებლის ქონებას მემკვიდრეობით იღებენ ისე, თითქოს უღირსი მემკვიდრე მამკვიდრებელზე უფრო ადრე გარდაიცვალა.

მუხლი 542

[1] სამკვიდრო ქონების მიღების შესაძლებლობისათვის მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის მომენტში უნდა იყოს ცოცხალი და მას უნდა ჰქონდეს მემკვიდრეობის მიღების უნარი.

[2] თუ მემკვიდრე გარდაიცვლება მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაშინ სამკვიდრო ქონებაზე მისი უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

მუხლი 543

[1] ლეგატარი ლეგატზე მოთხოვნის უფლებას იძენს იმ შემთხვევაში, თუ ის ცოცხალი იყო სამკვიდროს გახსნის მომენტში და მას ჰქონდა მემკვიდრეობის მიღების უნარი.

[2] თუ ლეგატარი მამკვიდრებელზე ადრე გარდაიცვლება, მაშინ მისი ლეგატი უქმდება იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც ვალდებული იქნებოდა ლეგატის შესრულებაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საანდერძო განკარგულებიდან შესაძლოა სხვაგვარი ნების არსებობა დამტკიცდეს.

მუხლი 544

[1] ჩასახვის მომენტში შვილს აქვს მემკვიდრეობის მიღების უნარი იმ პირობით, თუ ის ცოცხალი დაიბადება.

[1bis] თუ ეს საჭიროა მისი ინტერესების დასაცავად, ბავშვთა დაცვის ორგანო ადგენს მზრუნველობას.

[2] თუ ბავშვი მკდვრადშობილი დაიბადება, მაშინ ქონების მემკვიდრეობით გადასვლისათვის ის მხედველობაში არ მიიღება.

მუხლი 545

[1] სუბსტიტუტის დანიშვნის ან სუბსტიტუციური ლეგატის (Nachvermächtniss) დადგენის გზით სამკვიდრო ან სამკვიდრო ქონებაში შემავალი ობიექტები შეიძლება გადაეცეს იმ პირს, რომელიც სამკვიდროს გახსნის მომენტში ჯერ კიდევ არ არის ცოცხალი.

[2] თუ თავდაპირველი მემკვიდრე არ არის დასახელებული, მაშინ კანონით მემკვიდრეები მიიჩნევიან თავდაპირველ მემკვიდრეებად.

მუხლი 546

[1] თუ პირი აღიარებული იქნება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, მაშინ მემკვი-

დრეებმა ან ანდერძში ნახსენებმა ბენეფიციარებმა სამკვიდრო ქონების მიღებამდე უნდა წარადგინონ გარანტია ქონების უპირატესი უფლების მქონე პირის ან თავად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირისათვის უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

[2] სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობისას გაუჩინარების შემთხვევაში, აღნიშნული გარანტია წარდგენილ უნდა იქნეს ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო პირის რაიმე ცნობების გარეშე არყოფნის შემთხვევაში კი, 15 წლის განმავლობაში, თუმცა, არც ერთ შემთხვევაში, – იმ თარიღზე გვიან, როდესაც უგზო-უკვლოდ დაკარგული 100 წლის გახდებოდა.

[3] ხუთწლიანი ვადა აითვლება სამკვიდრო ქონების გადაცემის მომენტიდან, ხოლო 15-წლიანი ვადა კი, – უკანასკნელი ცნობის მიღების მომენტიდან.

მუხლი 547

[1] თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირი დაბრუნდება ან თუ სამკვიდრო ქონების მიმართ უპირატესი უფლების მქონე პირი მოახდენს თავისი მოთხოვნის უფლებების რეალიზაციას, მაშინ სამკვიდროს ფაქტობრივმა მფლობელებმა (Eingewiesenen) სამკვიდრო ქონება უნდა დააბრუნონ მფლობელობის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

[2] იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს ფაქტობრივი მფლობელები მოქმედებენ კეთილსინდისიერად, ისინი უპირატესი უფლების მქონე პირის წინაშე პასუხს აგებენ მხოლოდ იმ ვადის განმავლობაში, როდესაც შეიძლება სამკვიდროს მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენა.

მუხლი 548

[1] თუ ქონების მემკვიდრეობით გადასვლის მომენტში შეუძლებელია იმის დადგენა, მემკვიდრე ცოცხალია თუ გარდაცვლილი იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი გაუჩინარებულია, მაშინ მისი ნაწილი დაექვემდებარება ოფიციალურ მართვას.

[2] იმ პირებს, რომლებიც გაუჩინარებული პირის არყოფნის შემთხვევაში მიიღებდნენ თავიანთ სამკვიდროს წილს, აქვთ უფლება, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობისას გაუჩინარებიდან ერთი წლის განმავლობაში ან გაუჩინარებულის შესახებ უკანასკნელი ცნობის მიღების მომენტიდან ხუთი წლის განმავლობაში სასამართლოს მოსთხოვონ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და უკვე ამ აღიარების შემდეგ სამკვიდროს წილების მათთვის გადმოცემა.

[3] აღნიშნული წილების გადაცემა ხორციელდება უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მემკვიდრეებისათვის წილის გადაცემის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 549

[1] თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მემკვიდრეები უკვე ფლობენ მის ქონებას და სამკვიდრო გადადის ამ პირზე, მაშინ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის თანამემკვიდრეებს შეუძლიათ მიუთითონ ამ ფაქტზე და მოითხოვონ მიღებული აქტივის დაბრუნება ისე, რომ აუცილებელი არ არის პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ხელახალი აღიარება.

[2] ანალოგიურად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მემკვიდრეებსაც შეუძლიათ მიუთითონ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების იმ ფაქტზე, რომელსაც მიაღწიეს დაკარგულად აღიარებული პირის თანამემკვიდრეებმა.

მუხლი 550

[1] თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ქონება ან სამკვიდროს წილი ათი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ოფიციალური მართვის ქვეშ ან თუ ამ პირის ასაკი მიაღწევდა 100 წლის ასაკს, მაშინ კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება შესაბამისი ორგანოების მიერ ხორციელდება საკუთარი ინიციატივით.

[2] თუ საჯარო შეტყობინების მოქმედების პერიოდში უფლებამოსილი პირები არ აცხადებენ თავიანთი უფლებების შესახებ, მაშინ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ქონება მემკვიდრეობით გადადის სამკვიდრო ქონების მიღებაზე უფლებამოსილ თემზე ან, თუ აღნიშნული პირი არასოდეს არ ცხოვრობდა შვეიცარიაში, – წარმოშობის კანტონზე.

[3] თავად უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული და უპირატესი უფლების მქონე პირების მიმართ წარმოიშობა კომპენსაციის გადახდის იგივე ვალდებულება, რაც არსებობს სამკვიდროს ფაქტობრივი მფლობელი მემკვიდრეების მიმართ.

მეთექვსმეტე ტიტული: ქონების მემკვიდრეობით გადასვლის შედეგები

პირველი თავი: სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებები

მუხლი 551

[1] კომპეტენტურმა ორგანომ საკუთარი ინიციატივით უნდა მიიღოს ქონების მემკვიდრეობით გადასვლისათვის საჭირო ღონისძიებები.

[2] კერძოდ, აღნიშნულ ღონისძიებებს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული სამკვიდროს დალუქვის შემთხვევები, ინვენტარიზაცია, სამკვიდროს მმართველის დანიშვნა და საანდერძო განკარგულებების გახსნა.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 552

სამკვიდროს დალუქვა დგინდება კანტონალური სამართლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 553

[1] ინვენტარიზაციის ჩატარება დგინდება, როდესაც:

1. არასრულწლოვანი მემკვიდრე იმყოფება მეურვეობის ქვეშ ან მას უნდა დაენიშნოს მეურვე;

2. მემკვიდრე არ ჩნდება დიდი ხნის განმავლობაში და თანაც – წარმომადგენლობის გარეშე;

3. ერთ-ერთი მემკვიდრე ან ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანო ამას ითხოვს;

4. სრულწლოვანი მემკვიდრე იმყოფება საერთო მზრუნველობის ქვეშ ან ის უნდა განთავსდეს ასეთი მზრუნველობის ქვეშ.

[2] ინვენტარიზაცია ხორციელდება კანტონალური სამართლით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად და, როგორც წესი, ის უნდა დასრულდეს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ორი თვის განმავლობაში.

[3] კანტონალური სამართლით ინვენტარიზაცია შესაძლოა გათვალისწინებული იყოს სხვა შემთხვევებისთვისაც.

მუხლი 554

[1] სამკვიდროს მმართველობა დგინდება:

1. როდესაც მემკვიდრე არ ჩნდება დიდი ხნის განმავლობაში და თანაც წარმომადგენლობის გარეშე, რამდენადაც ამას მოითხოვს მისი ინტერესების დაცვა;

2. როდესაც არც ერთ მოსარჩელეს (Ansprecher) არ შეუძლია თავისი მემკვიდრეობის უფლების არსებობის სათანადოდ დამტკიცება ან მემკვიდრის არსებობა საეჭვოა;

3. როდესაც ცნობილი არ არის მამკვიდრებლის ყველა მემკვიდრე;

4. კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

[2] თუ მამკვიდრებელმა დანიშნა ანდერძის აღმსრულებელი, მაშინ ამ უკანასკნელს ეკისრება სამკვიდროს მართვა.

[3] თუ გარდაცვლილი პირი იმყოფებოდა იმ მზრუნველობის ქვეშ, რომელიც მოიცავს ქონების მართვას, მაშინ მზრუნველს ეკისრება ასევე სამკვიდროს მართვაც, რამდენადაც ადგილი არ ექნება სხვაგვარ მითითებებს.

მუხლი 555

[1] თუ შესაბამისი ორგანოსათვის საეჭვოა ის ფაქტი, დატოვა თუ არა მამკვიდრებელმა მემკვიდრეები, ან ცნობილია თუ არა მისთვის ყველა მემკვიდრე, მაშინ მემკვიდრეობის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს სათანადო წესით საჯარო შეტყობინების გზით უნდა მოეთხოვოს, ერთი წლის განმავლობაში განაცხადონ თავიანთი მემკვიდრეობის უფლების თაობაზე.

[2] თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში პირები არ განაცხადებენ თავიანთი მემკვიდრეობის უფლების თაობაზე, ხოლო შესაბამისი ორგანოსათვის კი მემკვიდრეები არ არიან ცნობილი, მაშინ სამკვიდრო გადადის სამკვიდრო ქონების მიღებაზე უფლებამოსილ თემზე სამკვიდროს მოთხოვნის შესახებ სარჩელის შენარჩუნების პირობით.

მუხლი 556

[1] თუ მამკვიდრებლის გარდაცვალებისას აღმოჩენილი იქნება საანდერძო განკარგულება, მაშინ ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს შესაბამის ორგანოს, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ის ბათილად მიიჩნევა.

[2] საჯარო მოხელე, რომელთანაც დგება ან ინახება საანდერძო განკარგულება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირი, რომელთანაც ინახებოდა ეს განკარგულება ანდა რომელმაც ის მამკვიდრებლის ნივთებს შორის იპოვა, იმ მომენტიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ, პირადად არის პასუხისმგებელი ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის.

[3] რამდენადაც ეს დაინტერესებულ პირთა მოსმენის შედეგად მიზანშეწონილად მიიჩნევა, საანდერძო განკარგულების წარდგენის შემდეგ შესაბამისმა ორგანომ სამკვიდრო ქონება ან დროებით უნდა გადასცეს კანონით მემკვიდრეებს ანდა დანიშნოს სამკვიდროს მმართველი.

მუხლი 557

[1] მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულება კომპეტენტური ორგანოსათვის მისი წარდგენის შემდეგ უნდა გაიხსნას ამ ორგანოს მიერ ერთი თვის ვადის განმავლობაში.

[2] საანდერძო განკარგულების გახსნისათვის მოიწვევიან მემკვიდრეები, რამდენადაც ისინი ორგანოსათვის ცნობილი არიან.

[3] თუ მამკვიდრებელი ტოვებს ერთზე მეტ საანდერძო განკარგულებას, მაშინ ყველა ეს დოკუმენტი უნდა წარედგინოს ზემოაღნიშნულ ორგანოს და გაიხსნას მის მიერ.

მუხლი 558

[1] სამკვიდრო ქონების მიღებით დაინტერესებული ყველა პირი სამკვიდროს ხარჯზე იღებს გახსნილი საანდერძო განკარგულების ასლს, რამდენადაც ეს უკანასკნელი მას ეხება.

[2] ანდერძში ნახსენები იმ ბენეფიციარების ინფორმირება, რომელთა ადგილსამყოფელი უცნობია, ხორციელდება სათანადო საჯარო შეტყობინების გზით.

მუხლი 559

[1] როდესაც კანონისმიერმა მემკვიდრეებმა ან თავდაპირველი საანდერძო განკარგულებიდან ბენეფიციარებმა პირდაპირ არ გახადეს სადავოდ დაინტერესებული პირების უფლებამოსილება, ამ უკანასკნელთათვის შეტყობინების გაგზავნიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ შესაბამისი ორგანო დანიშნული მემკვიდრეების მოთხოვნის საფუძველზე დაინტერესებულ პირებზე გასცემს მოწმობას მათი მემკვიდრეებად ცნობის შესახებ განკარგულების ბათილობის მოთხოვნით სარჩელისა და სამკვიდროს მოთხოვნის შესახებ სარჩელის შენარჩუნების პირობით.

[2] ამავე დროს მოცემულ შემთხვევაში სამკვიდროს მმართველს დაევალება აღნიშნული პირებისათვის სამკვიდროს გადაცემა.

მეორე თავი: სამკვიდროს მიღება

მუხლი 560

[1] მემკვიდრეები სამკვიდროს ერთიანად იღებენ კანონის ძალით მამკვიდრებლის გარდაცვალებისთანავე.

[2] კანონისმიერი გამონაკლისების გათვალისწინებით, მამკვიდრებლის მოთხოვნები, საკუთრების უფლება, შეზღუდული სანივთო უფლებები და მფლობელობა ავტომატურად გადადის მემკვიდრეებზე, ხოლო მამკვიდრებლის ვალები კი ხდება მემკვიდრეების პირადი ვალები.

[3] დანიშნული მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღებას აქვს უკუქცევითი ძალა საანდერძო განკარგულების გახსნის მომენტისათვის, ხოლო კანონით მემკვიდრეებმა კი სამკვიდრო ქონება დანიშნულ მემკვიდრეებს უნდა დაუბრუნონ მფლობელობის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 561 (გაუქმებულია)

მუხლი 562

[1] ლეგატარებს ვალდებული მემკვიდრეების, ხოლო თუ ვალდებული მემკვიდრეები არ არიან სპეციალურად დასახელებული, – კანონით ან დანიშნული მემკვიდრეების მიმართ აქვთ პირადი მოთხოვნის უფლება.

[2] თუ საანდერძო განკარგულებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, მოთხოვნა ვადამოსული ხდება იმ მომენტიდან, როდესაც ვალდებულმა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო ან მას აღარ შეუძლია მის მიღებაზე უარი.

[3] თუ მემკვიდრეები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებას, მაშინ მათ შეიძლება მოეთხოვოთ სამკვიდრო ქონებაში შემავალი ლეგატით გადაცემული ობიექტების გადმოცემა, ხოლო როდესაც საანდერძო განკარგულების საგანს წარმოადგენს რაიმე მოქმედება, – მაშინ ზიანის ანაზღაურებაც.

მუხლი 563

[1] თუ ანდერძში ნახსენებ ბენეფიციარს ლეგატით გადაეცემა უზუფრუქტი, პერიოდული გადასახდელები ან პერიოდულად განსახორციელებელი სხვა შესრულება, მაშინ თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, მისი მოთხოვნის უფლება განისაზღვრება სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნორმებით.

[2] თუ ლეგატით გადაეცემა მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში ვადამოსული დაზღვევის მოთხოვნის უფლება, მაშინ მისი რეალიზაცია უშუალოდ შეუძლია ანდერძში ნახსენებ ბენეფიციარს.

მუხლი 564

[1] მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნის უფლებებს ენიჭება უპირატესობა ლეგატარების მოთხოვნის უფლებებთან შედარებით.

[2] მემკვიდრის კრედიტორები უთანაბრდებიან მამკვიდრებლის კრედიტორებს, თუ მემკვიდრემ სამკვიდრო ქონება უპირობოდ მიიღო.

მუხლი 565

[1] თუ ლეგატების შესრულების შემდეგ მემკვიდრეები იხდიან სამკვიდროს იმ ვალებს, რომელთა შესახებაც მათ მანამდე არაფერი იცოდნენ, მაშინ მემკვიდრეებს შეუძლიათ მოსთხოვონ ლეგატარებს შესრულებულის პროპორციული დაბრუნება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი შეძლებდნენ ლეგატების შემცირების მოთხოვნას.

[2] თუმცა, ლეგატარებს შეიძლება წაეყენოთ მოთხოვნები მაქსიმუმ უკუმოთხოვნის წარდგენის მომენტში ჯერ კიდევ არსებული გამდიდრების ფარგლებში.

მუხლი 566

[1] კანონით ან დანიშნულ მემკვიდრეებს შეუძლიათ უარი განაცხადონ მათთვის გადასაცემ სამკვიდროზე.

[2] თუ მამკვიდრებლის გადახდისუუნარობა მისი გარდაცვალების მომენტში ოფიციალურად დგინდება ან ის აშკარაა, მაშინ სამკვიდროზე უარი ივარაუდება.

მუხლი 567

[1] სამკვიდროზე უარის განცხადების ვადა შეადგენს სამ თვეს.

[2] აღნიშნული ვადის ათვლა კანონით მემკვიდრეებისათვის იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მათთვის ცნობილი გახდა მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ მათ სამკვიდროს გახსნის შესახებ უფრო გვიან შეიტყვეს, ხოლო დანიშნული მემკვიდრეებისათვის კი ვადის ათვლა იწყება მათთვის მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულების შესახებ ოფიციალური შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან.

მუხლი 568

თუ ინვენტარიზაცია სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიების სახით განხორციელდა, მაშინ სამკვიდროზე უარის განცხადების ვადის ათვლა ყველა მემკვიდრისათვის იწყება იმ დღიდან, როდესაც შესაბამისმა ორგანომ მათ გააგებინა ინვენტარიზაციის დასრულების შესახებ.

მუხლი 569

[1] თუ მემკვიდრე გარდაიცვლება სამკვიდროზე უარის განცხადებამდე ან მის მიღებამდე, მაშინ სამკვიდროზე უარის უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

[2] აღნიშნული მემკვიდრეებისათვის სამკვიდროზე უარის განცხადების ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მათთვის ცნობილი ხდება სამკვიდროს მათ მამკვიდრებელზე გადასვლის შესახებ და სრულდება არაუადრეს იმ ვადის გასვლისა, რომელიც მიცემულია მათთვის საკუთარი მამკვიდრებლის მიმართ სამკვიდროზე უარის განცხადებისათვის.

[3] თუ ზემოაღნიშნული მემკვიდრეები უარს აცხადებენ სამკვიდროს მიღებაზე და ის გადადის სხვა მემკვიდრეებზე, რომლებიც მანამდე არ იყვნენ უფლებამოსილი სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ სამკვიდროს მიღებაზე უარის განცხადე-

ბის ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც სხვა მემკვიდრეებისათვის ცნობილი გახდა სამკვიდროს მიღებაზე უარის განცხადების შესახებ.

მუხლი 570

[1] მემკვიდრეების მიერ სამკვიდროზე უარი კომპეტენტური ორგანოს წინაშე უნდა გაცხადდეს ზეპირად ან წერილობით.

[2] უარი უნდა იყოს უპირობო და განხორციელდეს ყოველგვარი დათქმის გარეშე.

[3] ზემოაღნიშნულმა ორგანომ სამკვიდროზე უარის შესახებ უნდა შეადგინოს შესაბამისი ოქმი.

მუხლი 571

[1] თუ მემკვიდრე დადგენილი ვადის განმავლობაში არ განაცხადებს სამკვიდროზე უარის შესახებ, მაშინ მიიჩნევა, რომ მან სამკვიდრო მიიღო ყოველგვარი დათქმის გარეშე.

[2] თუ მემკვიდრე სამკვიდროზე უარის განცხადების ვადის გასვლამდე ჩაერია სამკვიდროს საქმეებში ან განახორციელა ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ მოითხოვებოდა სამკვიდროს მართვისა თუ მამკვიდრებლის ბიზნესსაქმიანობის გაგრძელებისათვის ანდა როდესაც მან მიისაკუთრა ან გადამალა სამკვიდრო ქონებაში შემავალი ობიექტები, მაშინ მას სამკვიდროზე უარი აღარ შეუძლია.

მუხლი 572

[1] თუ მამკვიდრებელი არ ტოვებს საანდერძო განკარგულებას და რამდენიმე მემკვიდრისაგან ერთ-ერთი უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ მისი წილი გადადის მემკვიდრეობით ისე, თითქოს ის სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხალი აღარ იყო.

[2] თუ მამკვიდრებელი ტოვებს საანდერძო განკარგულებას, მაშინ სამკვიდროს ის წილი, რომელზეც დანიშნულმა მემკვიდრემ უარი განაცხადა, გადადის მამკვიდრებლის უახლოეს კანონით მემკვიდრეებზე, თუ საანდერძო განკარგულებიდან მამკვიდრებლის სხვა ნება-სურვილი არ იკვეთება.

მუხლი 573

[1] თუ სამკვიდროს მიღებაზე უარს განაცხადებს ყველა უახლოესი კანონით მემკვიდრე, მაშინ ის ექვემდებარება ლიკვიდაციას გაკოტრების საქმის მწარმოებელი უწყების მიერ.

[2] თუ ლიკვიდაციის პროცესში ვალების დაფარვის შემდეგ რჩება ზედმეტობა, მაშინ ეს უკანასკნელი გადაეცემა სამკვიდროს მიღებაზე უფლებამოსილ პირებს ისე, თითქოს სამკვიდროს მიღებაზე არანაირ უარს არ ჰქონდა ადგილი.

მუხლი 574

თუ სამკვიდროს მიღებაზე უარი თქვეს მამკვიდრებლის შთამომავლებმა, მაშინ ამის შესახებ შესაბამისი ორგანო ატყობინებს ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, რომელსაც ორი თვის განმავლობაში შეუძლია განაცხადოს სამკვიდროს მიღების შესახებ.

მუხლი 575

[1] სამკვიდროს მიღებაზე უარის განცხადებისას მემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ სამკვიდროს ლიკვიდაციის დაწყებამდე მისი მიღება ჯერ შესთავაზონ მათ მომდევნო მემკვიდრეებს.

[2] აღნიშნულ შემთხვევაში შესაბამისი ორგანო მომდევნო მემკვიდრეებს ატყობინებს წინამორბედი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ, ხოლო თუ მომდევნო მემკვიდრეები ერთი თვის განმავლობაში არ განაცხადებენ სამკვიდროს მიღების თაობაზე, მაშინ მიიჩნევა ასევე, რომ მათთაც უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.

მუხლი 576

მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია კანონით და დანიშნულ მემკვიდრეებს გაუგრძელოს არსებული ვადა ან დაუდგინოს ახალი ვადა.

მუხლი 577

თუ ლეგატარი უარს აცხადებს ლეგატზე, მაშინ ეს უკანასკნელი უქმდება ვალდებული მემკვიდრის სასარგებლოდ, თუ საანდერძო განკარგულებიდან მამკვიდრებლის სხვა ნება-სურვილი არ იკვეთება.

მუხლი 578

[1] თუ ზედავალიანების მქონე მემკვიდრემ უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე იმ მიზნით, რომ არ მოხდეს მისი ჩამორთმევა მემკვიდრის კრედიტორების მხრიდან, მაშინ ამ კრედიტორებს ან გაკოტრების მმართველს შეუძლიათ ექვსი თვის განმავლობაში გაასაჩივრონ სამკვიდროს მიღებაზე უარი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება მათი მოთხოვნების უზრუნველყოფა.

[2] თუ კრედიტორების ან გაკოტრების მმართველის სარჩელი დაკმაყოფილდება, მაშინ სამკვიდრო ქონება ექვემდებარება ოფიციალურ ლიკვიდაციას.

[3] არსებული ზედმეტობა გამოიყენება, უპირველეს ყოვლისა, საჩივრის წარმდგენი კრედიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ხოლო სხვა ვალების დაფარვის შემდეგ ის გადადის იმ მემკვიდრეებზე, რომელთა სასარგებლოდაც მოხდა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა.

მუხლი 579

[1] თუ გადახდიუუნარო მამკვიდრებლის მემკვიდრეები უარს აცხადებენ სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ ისინი პასუხს აგებენ მისი კრედიტორების წინაშე იმ ფარგლებში, რომლებშიც მათ მამკვიდრებლისაგან მის გარდაცვალებამდე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მიიღეს აქტივები, რომლებიც სამკვიდროს გაყოფისას დაექვემდებარებოდა კომპენსაციას.

[2] აღნიშნული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება ადგილობრივი ტრადიციის შესაბამისად დაქორწინებისას შვილისათვის გამოყოფილ აქტივზე, ისევე როგორც აღზრდისა და სწავლა-განათლების ხარჯებზე.

[3] კეთილსინდისიერი მემკვიდრეები პასუხს აგებენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ გამდიდრებული არიან.

მესამე თავი: საჯარო ინვენტარიზაცია

მუხლი 580

[1] სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმაზე უფლებამოსილ ყოველ მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს საჯარო ინვენტარიზაციის ჩატარება.

[2] მოთხოვნა კომპეტენტურ ორგანოს ერთი თვის ვადის განმავლობაში უნდა წარედგინოს იგივე ფორმით, რაც გათვალისწინებულია სამკვიდროს მიღებაზე უარისათვის.

[3] თუ მოთხოვნა წარდგენილ იქნა ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ, მაშინ ის მოქმედებს ასევე დანარჩენი მემკვიდრეებისათვისაც.

მუხლი 581

[1] საჯარო ინვენტარიზაცია ხორციელდება კომპეტენტური ორგანოს მიერ კანტონალური სამართლის ნორმების შესაბამისად და ის მდგომარეობს სამკვიდროს აქტივებისა და ვალების ჩამონათვალის შედგენაში ქონებრივ ნუსხაში შემავალი ყველა ობიექტის შეფასებასთან ერთად.

[2] ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია მამკვიდრებლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, პირადად არის ვალდებული, შესაბამის ორგანოს მიაწოდოს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ყველა განმარტება.

[3] კერძოდ, მემკვიდრეებმა აღნიშნულ ორგანოს უნდა შეატყობინონ მათთვის ცნობილი მამკვიდრებლის ვალების შესახებ.

მუხლი 582

[1] ინვენტარიზაციის ჩატარებისას შესაბამისი ორგანო ვალდებულია, სათანადო საჯარო შეტყობინების გზით მოიწვიოს მამკვიდრებლის კრედიტორები და მოვალეები თავდებობიდან გამომდინარე კრედიტორების ჩათვლით და განსაზღვრულ ვადაში აღრიცხოს მათი მოთხოვნები და ვალები.

[2] ამავე დროს, კრედიტორებს უნდა გააგებინონ მოთხოვნების აღრიცხვის განუხორციელებლობის შედეგების თაობაზე.

[3] მოთხოვნების აღრიცხვის ვადა უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, ერთ თვეს პირველი საჯარო შეტყობინების დღიდან.

მუხლი 583

[1] საჯარო რეესტრებსა თუ მამკვიდრებლის ფასიან ქაღალდებში ასახული მოთხოვნები და ვალები შესაბამისი ორგანოს მიერ ქონებრივ ნუსხაში შეიტანება საკუთარი ინიციატივით.

[2] მოვალეებსა და კრედიტორებს უნდა ეცნობოთ ქონებრივ ნუსხაში მოთხოვნებისა და ვალების შეტანის შესახებ.

მუხლი 584

[1] საჯარო შეტყობინების ვადის გასვლის შემდეგ ქონებრივი ნუსხა იხურება და ამის შემდეგ ის ხელმისაწვდომი ხდება დაინტერესებული პირებისათვის გასაცნობად, სულ ცოტა, ერთი თვის განმავლობაში.

[2] ხარჯები იფარება სამკვიდრო ქონებიდან, ხოლო როდესაც ეს უკანასკნელი საკმარისი არ არის, – იმ მემკვიდრეების მიერ, რომლებმაც მოითხოვეს ინვენტარიზაციის ჩატარება.

მუხლი 585

[1] ინვენტარიზაციის ჩატარების ვადის განმავლობაში დასაშვებია მხოლოდ მართვასთან დაკავშირებული აუცილებელი მოქმედებების განხორციელება.

[2] თუ შესაბამისი ორგანო მემკვიდრეს დართავს ნებას, გააგრძელოს მამკვიდრებლის ბიზნესსაქმიანობა, მაშინ მის თანამემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხოვონ უზრუნველყოფის წარდგენა.

მუხლი 586

[1] ინვენტარიზაციის ჩატარების ვადის განმავლობაში მამკვიდრებლის ვალების ამოღებისაკენ მიმართული მოქმედებების განხორციელება დაუშვებელია.

[2] ხანდაზმულობის ვადის დენა არ ხდება.

[3] გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, დაუშვებელია პროცესების როგორც გაგრძელება, ისე დაწყებაც.

მუხლი 587

[1] ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მემკვიდრეს მოეთხოვება, ერთი თვის ვადის განმავლობაში განაცხადოს სამკვიდროს მიღების განზრახვის შესახებ.

[2] იქ, სადაც ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია დაადგინოს დამატებითი ვადა ქონების შეფასებისათვის, სადავო მოთხოვნის უფლებების შესრულებისათვის და მისთ.

მუხლი 588

[1] მემკვიდრეს დადგენილი ვადის განმავლობაში შეუძლია უარი განაცხადოს სამკვიდროს მიღებაზე ან მოითხოვოს ოფიციალური ლიკვიდაცია ანდა მიიღოს სამკვიდრო საჯარო ინვენტარიზაციის ჩატარების პირობით ან ყოველგვარი დათქმის გარეშე.

[2] თუ მემკვიდრე არ აკეთებს შესაბამის განცხადებას, მაშინ მიიჩნევა, რომ მან სამკვიდრო მიიღო საჯარო ინვენტარიზაციის ჩატარების პირობით.

მუხლი 589

[1] თუ მემკვიდრე სამკვიდროს იღებს საჯარო ინვენტარიზაციის ჩატარების პირობით, ქონების ნუსხაში ჩამოთვლილი მამკვიდრებლის ვალები და ასევე აქტივები გადადის მასზე.

[2] თავისი უფლებებითა და ვალდებულებებით სამკვიდროს მიღებას აქვს უკუქცევითი ძალა სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის.

[3] ქონების ნუსხაში ჩამოთვლილი ვალებისათვის მემკვიდრე პასუხს აგებს როგორც სამკვიდრო ქონებით, ისე თავისი საკუთარი ქონებითაც.

მუხლი 590

[1] მემკვიდრეები პასუხს არ აგებენ არც პირადად და არც სამკვიდრო ქონებით მამკვიდრებლის იმ კრედიტორების წინაშე, რომელთა მოთხოვნებიც არ იქნა შეტანილი ქონების ნუსხაში იმის გამო, რომ მათ არ მოახდინეს ამ მოთხოვნების დროული აღრიცხვა.

[2] თუ კრედიტორებს მოთხოვნების ქონების ნუსხაში აღურიცხაობაში ბრალი არ მიუძღვით, ან მათი მოთხოვნები არ იქნა შეტანილი ნუსხაში მიუხედავად მათი აღრიცხვისათვის წარდგენისა, მაშინ მემკვიდრე პასუხისმგებელია იმდენად, რამდენადაც ის სამკვიდროს ქონებიდან მდიდრდება.

[3] ყველა შემთხვევაში, კრედიტორებს შეუძლიათ თავიანთი მოთხოვნების რეალიზაცია იმდენად, რამდენადაც ეს მოთხოვნები უზრუნველყოფილია სამკვიდრო ქონებაში შემავალ ობიექტებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებით.

მუხლი 591

მამკვიდრებლის თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულებები ქონების ნუსხაში აღირიცხება განცალკევებულად და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მემკვიდრის მიმართ – თუნდაც მის მიერ სამკვიდროს მიღების შემთხვევაში – მხოლოდ იმ თანხის ოდენობამდე, რომელიც გაკოტრების საქმის წარმოების წესების მიხედვით სამკვიდროდან განხორციელებული ყველა ვალის დაფარვის შემთხვევაში მიკუთვნებული გახდებოდა თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულებას.

მუხლი 592

თუ სამკვიდრო გადადის თემზე, მაშინ კრედიტორებისა და მოვალეების მონწვევა ხდება შესაბამისი ორგანოს მიერ საკუთარი ინიციატივით, ხოლო თემი კი სამკვიდროს ვალებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ იმ აქტივის ფარგლებში, რომელიც მან სამკვიდროდან მიიღო.

მეოთხე თავი: ოფიციალური ლიკვიდაცია

მუხლი 593

[1] ნაცვლად სამკვიდროს მიღებაზე უარის ან საჯარო ინვენტარიზაციის ჩატარებისა, ყოველი მემკვიდრე უფლებამოსილია, მოითხოვოს ოფიციალური ლიკვიდაციის განხორციელება.

[2] თუმცაღა, აღნიშნულ თხოვნას ვერ ექნება შედეგი მანამდე, სანამ ერთი თანამემკვიდრეც კი არ განაცხადებს სამკვიდროს მიღების შესახებ.

[3] ოფიციალური ლიკვიდაციის შემთხვევაში მემკვიდრეები პასუხს არ აგებენ სამკვიდროს ვალებისათვის.

მუხლი 594

[1] თუ მამკვიდრებლის კრედიტორებს აქვთ საფუძვლიანი შიში იმისა, რომ

მათი მოთხოვნები არ დაიფარება და ასევე თუ ეს მოთხოვნები მათივე თხოვნის საფუძველზე არ დაკმაყოფილდება ან არ იქნება უზრუნველყოფილი, მაშინ კრედიტორებს მამკვიდრებლის გარდაცვალების ან საანდერძო განკარგულების გახსნის შემდეგ სამი თვის განმავლობაში შეუძლიათ მოითხოვონ სამკვიდროს ოფიციალური ლიკვიდაციის განხორციელება.

[2] იგივე წინაპირობების გათვალისწინებით ლეგატარებს თავიანთი ინტერესების უზრუნველსაყოფად შეუძლიათ მოითხოვონ გამაფრთხილებელი ზომების მიღება.

მუხლი 595

[1] ოფიციალური ლიკვიდაცია ხორციელდება კომპეტენტური ორგანოს ან ამ უკანასკნელის დავალებით, – სამკვიდროს ერთი ან რამდენიმე მმართველის მიერ.

[2] ლიკვიდაცია იწყება ინვენტარიზაციის ჩატარებითა და მამკვიდრებლის კრედიტორებისა და მოვალეების მოწვევით.

[3] სამკვიდროს მმართველი იმყოფება შესაბამისი ორგანოს მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო მემკვიდრეებს კი აქვთ უფლება, მმართველის მიერ დაგეგმილი ან განხორციელებული ღონისძიებები ამ ორგანოში გაასაჩივრონ.

მუხლი 596

[1] ლიკვიდაციის მიზნისათვის უნდა დასრულდეს მამკვიდრებლის მიმდინარე საქმეები, შესრულდეს მისი ვალდებულებები, განხორციელდეს მისი მოთხოვნების რეალიზაცია, შეძლებისდაგვარად შესრულდეს ლეგატები, რამდენადაც ეს აუცილებელია, მამკვიდრებლის უფლებები და ვალდებულებები დადგინდეს სასამართლო წესით, ხოლო მისი ქონება კი გადაიქცეს ფულად თანხებად.

[2] მამკვიდრებლის მიწის ნაკვეთების გასხვისება ხორციელდება საჯარო აუქციონის გზით, ხოლო საკუთარი შეხედულებით პირდაპირი მიყიდვის გზით (aus freier Hand) გასხვისება კი დასაშვებია მხოლოდ ყველა მემკვიდრის თანხმობით.

[3] მემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ თუნდაც ჯერ კიდევ ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში მათ მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეთ ის ნივთები და ნაღდი ფული, რომლებიც ლიკვიდაციის პროცესისათვის ზედმეტია.

მუხლი 597

თუ სამკვიდრო ზედავალიანების მქონეა, მაშინ ლიკვიდაცია ხორციელდება გაკოტრების საქმის მწარმოებელი უწყების მიერ გაკოტრების სამართლის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მეხუთე თავი: სამკვიდროს მოთხოვნის შესახებ სარჩელი

მუხლი 598

[1] პირი, რომელსაც სჯერა, რომ მას როგორც კანონით ან დანიშნულ მემკვიდრეს სამკვიდრო ქონებაზე ან მასში შემავალ ობიექტებზე აქვს უკეთესი უფლე-

ბა არსებულ მფლობელთან შედარებით, უფლებამოსილია თავისი უფლების რეალიზაცია მოახდინოს სამკვიდროს მოთხოვნის შესახებ სარჩელის მეშვეობით.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 599

[1] თუ სარჩელი დაკმაყოფილდება, მაშინ მფლობელმა სამკვიდრო ქონება ან მასში შემავალი ობიექტები უნდა დაუბრუნოს მოსარჩელეს მფლობელობის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

[2] მოპასუხეს არ შეუძლია სამკვიდროს მოთხოვნის შესახებ სარჩელის წინააღმდეგ მიუთითოს სამკვიდრო ქონებაში შემავალი ობიექტების შეძენით ხანდაზმულობაზე.

მუხლი 600

[1] კეთილსინდისიერი მოპასუხის მიმართ სამკვიდროს მოთხოვნის შესახებ სარჩელი ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც მოსარჩელემ შეიტყო მოპასუხის მფლობელობისა და თავისი საკუთარი უკეთესი უფლების შესახებ, თუმცა, – ყველა შემთხვევაში მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ან მისი საანდერძო განკარგულების გახსნის მომენტიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

[2] არაკეთილსინდისიერი მოპასუხის მიმართ ხანდაზმულობის ვადა ყოველთვის შეადგენს 30 წელს.

მუხლი 601

ლეგატარის სარჩელი ხანდაზმულია საანდერძო განკარგულების შესახებ შეტყობინების ან შემდგომში ლეგატის შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

მეჩვიდმეტე ტიტული: სამკვიდროს გაყოფა

პირველი თავი: სამკვიდროს გაყოფამდე არსებული გაერთიანება

მუხლი 602

[1] თუ მამკვიდრებელს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ მათ შორის სამკვიდროს გაყოფამდე სამკვიდროს გახსნის შედეგად არსებობს სამკვიდრო ქონებაში შემავალი ყველა უფლებისა და ვალდებულების ერთობლიობა.

[2] მემკვიდრეები ხდებიან სამკვიდრო ქონებაში შემავალი ობიექტების თანამესაკუთრეები და ისინი ერთობლივად განკარგავენ სამკვიდროს უფლებებს სახელშეკრულებო ან კანონისმიერი წარმომადგენლობითი და მმართველობითი უფლებამოსილებების გათვალისწინებით.

[3] ერთ-ერთი თანამესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე, სამკვიდროს გაყოფამდე კომპეტენტურ ორგანოს მემკვიდრეთა გაერთიანებას შეუძლია დაუნიშნოს წარმომადგენელი.

მუხლი 603

[1] მამკვიდრებლის ვალებისათვის მემკვიდრეები პასუხს აგებენ სოლიდარულად.

[2] სათანადო საზღაური, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შვილებისა თუ შვილიშვილებისათვის მამკვიდრებელთან ერთობლივად წარმოებული საოჯახო მეურნეობაში განხორციელებული ქონებრივი გადაცემების სანაცვლოდ, უნდა დაემატოს სამკვიდროს ვალებს, რამდენადაც ამით არ წარმოიშობა სამკვიდროს ზედავალიანება.

მუხლი 604

[1] ყოველ თანამემკვიდრეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს სამკვიდროს გაყოფა, რამდენადაც მას ხელშეკრულებით ან კანონის დანაწესით არ ეკისრება მემკვიდრეთა გაერთიანებაში ყოფნის ვალდებულება.

[2] მემკვიდრის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დაადგინოს სამკვიდროს ან სამკვიდრო ქონებაში შემავალი ცალკეული ობიექტების გაყოფის დროებითი გადადება, თუ მისი დაუყოვნებელი ჩატარება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა სამკვიდრო ქონებას.

[3] გადახდისუუნარო მემკვიდრის თანამემკვიდრეები არიან უფლებამოსილი, თავიანთი მოთხოვნის უფლებების უზრუნველსაყოფად ქონების მემკვიდრეობით გადასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ მოითხოვონ გამაფრთხილებელი ზომების მიღება.

მუხლი 605

[1] თუ ქონების მემკვიდრეობით გადასვლისას მხედველობაში მისაღებია ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ინტერესები, მაშინ სამკვიდროს გაყოფა უნდა გადაიდოს მის დაბადებამდე.

[2] იგივე ვადის განმავლობაში ბავშვის დედას აქვს საერთო ქონებიდან სარგებლის მოთხოვნის უფლება, რამდენადაც ეს აუცილებელია მისი რჩენისათვის.

მუხლი 606

მემკვიდრეებს, რომლებიც მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში ამ უკანასკნელის საოჯახო მეურნეობაში იღებდნენ სარჩოს, შეუძლიათ სამკვიდრო ქონების ხარჯზე მოითხოვონ სარჩოს მიღება მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ კიდევ ერთი თვის განმავლობაში.

მეორე თავი: სამკვიდროს გაყოფის ხერხები

მუხლი 607

[1] კანონით მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა გაყონ როგორც ერთმანეთს შორის, ისე იგივე პრინციპების საფუძველზე, – დანიშნულ მემკვიდრეებთან ერთად.

[2] თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, კანონით მემკვიდრეებს შეუძლიათ თავისუფლად შეთანხმდნენ სამკვიდროს გაყოფის ხერხებზე.

[3] თანამემკვიდრეებმა, რომლებიც ფლობენ სამკვიდრო ქონებაში შემავალ ობიექტებს ან წარმოადგენენ მამკვიდრებლის მოვალეებს, სამკვიდროს გაყოფისას ამ ფაქტის შესახებ უნდა წარადგინონ ზუსტი ინფორმაცია.

მუხლი 608

[1] მამკვიდრებელი უფლებამოსილია, საანდერძო განკარგულებით თავის მემკვიდრეებს მისცეს მითითებები სამკვიდროს გაყოფისა და წილების ფორმირების შესახებ.

[2] აღნიშნული მითითებები მემკვიდრეებისათვის სავალდებულოა შესასრულებლად წილთა იმ უთანაბრობის შემთხვევაში კომპენსაციის გადახდის პირობით, რომელიც მამკვიდრებელს არ ჰქონდა განზრახული.

[3] თუ საანდერძო განკარგულებიდან მამკვიდრებლის სხვა ნება-სურვილი არ იკვეთება, მაშინ სამკვიდრო ქონებაში შემავალ ობიექტების გადაცემა ერთ კონკრეტულ მემკვიდრეზე ჩაითვლება სამკვიდროს გაყოფასთან დაკავშირებით უბრალო მითითებად და არა ლეგატად.

მუხლი 609

[1] იმ კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, რომელმაც შეიძინა მემკვიდრის მიერ მიღებულ სამკვიდროზე მოთხოვნის უფლება ან მოახდინა მისი დაყადაღება, ანდა რომელიც მემკვიდრის მიმართ ფლობს ვალის გადაუხდელობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, – სამკვიდროს გაყოფაში აღნიშნული მემკვიდრის ნაცვლად მონაწილეობა უნდა მიიღოს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ.

[2] კანტონალური სამართლის ნორმებით სამკვიდროს გაყოფაში ოფიციალური ორგანოების მონაწილეობა შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს სხვა შემთხვევებშიც.

მუხლი 610

[1] თუ სახეზე არ არის სხვა დანაწესები, ყველა მემკვიდრეს სამკვიდროს გაყოფისას აქვს თანაბარი მოთხოვნის უფლება სამკვიდრო ქონების საგნებზე.

[2] მემკვიდრეებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ მამკვიდრებელთან მათ ურთიერთობასთან დაკავშირებით ყველა ის ფაქტი, რაც გასათვალისწინებელია სამკვიდროს თანაბარი და სამართლიანი გაყოფისათვის.

[3] ყოველ მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მამკვიდრებლის ვალები დაიფაროს ან უზრუნველყოფილ იქნეს სამკვიდროს გაყოფამდე.

მუხლი 611

[1] მემკვიდრეები სამკვიდრო ქონებაში შემავალ ობიექტებიდან ქმნიან იმდენ წილსა თუ ლოტს, რამდენიცაა მემკვიდრე ან მემკვიდრეობის ხაზი.

[2] თუ მემკვიდრეები ვერ თანხმდებიან, მაშინ ერთ-ერთი მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე კომპეტენტურმა ორგანომ ლოტები უნდა შეადგინოს ადგილობრივი ჩვეულებებისა და თანამემკვიდრეთა უმრავლესობის პირადი ურთიერთობებისა და სურვილების გათვალისწინებით.

[3] ლოტების მემკვიდრეთა შორის განაწილება ხდება შეთანხმებით ან კენჭისყრით.

მუხლი 612

[1] სამკვიდრო ქონებაში შემავალი ის ობიექტი, რომლის ღირებულებაც გაყოფის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, განუყოფლად უნდა გადაეცეს ერთ-ერთ მემკვიდრეს.

[2] თუ მემკვიდრეები ვერ თანხმდებიან ობიექტის გაყოფის ან მისი გადაცემის თაობაზე, მაშინ ეს ობიექტი უნდა გაიყიდოს, ხოლო ამონაგები თანხა კი განაწილდეს.

[3] მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე, გაყიდვა უნდა განხორციელდეს აუქციონის გზით, ხოლო მემკვიდრეთა შორის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში კი კომპეტენტური ორგანო წყვეტს, აღნიშნული აუქციონი უნდა ჩატარდეს საჯაროდ თუ მხოლოდ მემკვიდრეთა შორის.

მუხლი 612a

[1] თუ სამკვიდრო ქონებაში შედის სახლი ან საცხოვრებელი ბინა, სადაც ცხოვრობდნენ მეუღლეები, ანდა – საშინაო ნივთები, მაშინ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მას მის მიერ მისაღები აქტივის ანგარიშში გადაეცეს საკუთრების უფლება ამ ობიექტებზე.

[2] იქ, სადაც ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ან გარდაცვლილი მეუღლის სხვა კანონისმიერი მემკვიდრეების მოთხოვნის საფუძველზე საკუთრების უფლების ნაცვლად შეიძლება მინიჭებულ იქნეს უზუფრუქტი ან ცხოვრების უფლება.

[3] ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს არ შეუძლია აღნიშნული უფლებების დადგენის მოთხოვნა იმ ფართებზე, რომლებშიც მამკვიდრებელი ახორციელებდა პროფესიულ ან სამეწარმეო საქმიანობას და რომლებიც ესაჭიროება მის შთამომავალს ამ საქმიანობის გაგრძელებისათვის; შენარჩუნებულია საგლეხო მეურნეობის მემკვიდრეობის სამართლის ნორმების მოქმედება.

[4] ანალოგიური დანაწესი აზრობრივად გამოიყენება რეგისტრირებული პარტნიორობის შემთხვევაში.

მუხლი 613

[1] დაუშვებელია იმ ობიექტების ერთმანეთისაგან განცალკევება, რომლებიც თავიანთი ბუნებით ქმნის ერთიანობას, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე ეწინააღმდეგება ასეთ გაყოფას.

[2] რამდენადაც მემკვიდრე ამას ეწინააღმდეგება, დაუშვებელია საოჯახო დოკუმენტებისა და იმ ობიექტების გასხვისება, რომლებსაც ოჯახისთვის განსაკუთრებული სამახსოვრო მნიშვნელობა აქვს.

[3] თუ მემკვიდრეები ვერ თანხმდებიან, მაშინ სამკვიდრო წილის ანგარიშში გათვალისწინებით ან ამის გარეშე ობიექტების გასხვისებისა თუ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომპეტენტური ორგანო ადგილობრივი ჩვეულებების, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, – მემკვიდრეთა პირადი ურთიერთობების გათვალისწინებით.

მუხლი 613a

თუ გარდაიცვლება სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოიჯარე და მისი ერთ-ერთი მემკვიდრე კი დამოუკიდებლად აგრძელებს იჯარას, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს, რომ მას მისთვის განკუთვნილი სამკვიდრო წილის ანგარიშში სარგებლიანობის ღირებულებით გადაეცეს მთლიანი ინვენტარი (რქოსანი პირუტყვი, ხელსაწყოები, მარაგები და ა. შ.).

მუხლი 614

სამკვიდროს გაყოფისას სამკვიდრო წილის ანგარიშში უნდა იქნეს გათვალისწინებული ის მოთხოვნები, რომლებიც მამკვიდრებელს ერთ-ერთი მემკვიდრის მიმართ ჰქონდა.

მუხლი 615

თუ სამკვიდროს გაყოფის შედეგად მემკვიდრე იღებს სამკვიდრო ქონებაში შემავალ იმ ობიექტს, რომელიც დაგირავებულია მამკვიდრებლის ვალების უზრუნველსაყოფად, მაშინ მასზე გადადის ასევე გირავნობით უზრუნველყოფილი ვალიც.

მუხლი 616 (გაუქმებულია)

მუხლი 617

მიწის ნაკვეთები სამკვიდრო წილის ანგარიშში უნდა იქნეს გათვალისწინებული იმ საბაზრო ღირებულებით, რაც ამ ნაკვეთებს აქვს სამკვიდროს გაყოფის მომენტში.

მუხლი 618

[1] თუ მემკვიდრეები ვერ თანხმებიან სამკვიდრო წილის ანგარიშში ჩათვლის საბაზრო ღირებულებაზე, მაშინ ეს უკანასკნელი დგინდება ოფიციალურად დანიშნული ექსპერტის მიერ.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 619

სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და მიწის ნაკვეთების მიღებისა და სამკვიდრო წილის ანგარიშში ჩათვლის მიმართ მოქმედებს 1991 წლის 4 ოქტომბრის ფედერალური კანონი საგლეხო სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ.

მუხლები 620-625 (გაუქმებულია)

მესამე თავი: კომპენსაცია

მუხლი 626

[1] კანონით მემკვიდრეებს ერთმანეთს მიმართ ეკისრებათ ყოველივე იმის კომპენსირების ვალდებულება, რაც მამკვიდრებელმა სიცოცხლის განმავლობაში მათ გადასცა თავიანთი სამკვიდრო წილის ანგარიშში.

[2] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მამკვიდრებელი პირდაპირ იძლევა საწინააღმდეგო მითითებებს, კომპენსაციას ექვემდებარება ის ქონება, რომელიც მამკვიდრებელმა თავის შთამომავლებს გადასცა მზითვის, შვილისათვის გამოყოფილი აქტივის სახით ან აქტივის დათმობით, ვალის პატიებითა და სხვა მსგავსი გზით.

მუხლი 627

[1] თუ პირი აღარ არის მემკვიდრე ქონების მემკვიდრეობით გადასვლამდე ან

ამის შემდეგ, მაშინ მასზე დაკისრებული კომპენსაციის ვალდებულება გადადის იმ მემკვიდრეებზე, რომლებიც იკავებენ მის ადგილს.

[2] იმ ქონებრივ გადაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც მემკვიდრემ მიიღო, ამ უკანასკნელის შთამომავლებს ეკისრებათ კომპენსაციის ვალდებულება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აღნიშნული გადაცემები მათზე არ გადავიდა.

მუხლი 628

[1] მემკვიდრეებს აქვთ არჩევანის უფლება, კომპენსირება განახორციელონ ნატურით ან მისი ღირებულების ანგარიშში ჩათვლით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ სასარგებლოდ განხორციელებული ქონებრივი გადაცემები სამკვიდროს წილის ოდენობას აღემატება.

[2] დასაშვებია მამკვიდრებლის საწინააღმდეგო განკარგულებები, ისევე როგორც შენარჩუნებულია თანამემკვიდრეთა მოთხოვნის უფლებები ქონებრივი გადაცემების შემცირებაზე.

მუხლი 629

[1] თუ ქონებრივი გადაცემები სამკვიდროს წილის ოდენობას აღემატება, მაშინ ზედმეტობა თანამემკვიდრეთა მხრიდან შემცირების მოთხოვნის უფლების შენარჩუნების პირობით არ ექვემდებარება კომპენსაციას, თუ მტკიცდება ის ფაქტი, რომ მამკვიდრებელს ამით სურდა მემკვიდრეებისათვის შეღავათის მინიჭება.

[2] აღნიშნული შეღავათის მინიჭება ივარაუდება შვილისათვის გამოყოფილი იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც შთამომავლებს მათი დაქორწინებისას ჩვეულებრივი მოცულობით გადაეცათ.

მუხლი 630

[1] კომპენსირება ხორციელდება ქონებრივი გადაცემების იმ ღირებულებით, რომელიც მათ აქვს ქონების მემკვიდრეობით გადასვლის მომენტში, ხოლო თუ ნივთი წინასწარ იქნა გასხვისებული, – ამის შედეგად ამონაგები თანხის ოდენობით.

[2] ქონებაზე გაწეული ხარჯები და მისთვის მიყენებული ზიანი, ისევე როგორც მიღებული ნაყოფი მხედველობაში მიიღება მემკვიდრეთა შორის მფლობელობის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 631

[1] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მტკიცდება მამკვიდრებლის სხვაგვარი ნების არსებობა, ამ უკანასკნელის მიერ ცალკეული შვილის აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის გაწეული ხარჯები ექვემდებარება კომპენსაციას მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი ჩვეულებრივ ოდენობას აღემატება.

[2] იმ შვილებს, რომლებიც ჯერ კიდევ სწავლობენ, ან რომელბსაც აქვთ ფიზიკური ნაკლი, სამკვიდროს გაყოფისას უნდა მიეცეთ სათანადო საავანსო თანხები.

მუხლი 632

ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო საჩუქრები არ ექვემდებარება კომპენსაციას.

მუხლი 633 (გაუქმებულია)

მეოთხე თავი: სამკვიდროს გაყოფის დასრულება და სამართლებრივი შედეგები

მუხლი 634

[1] სამკვიდროს გაყოფა მემკვიდრეებისათვის სავალდებულო ხდება ლოტების შექმნითა და მიღებით ან სამკვიდროს გაყოფის შესახებ ხელშეკრულების დადებით.

[2] სამკვიდროს გაყოფის შესახებ ხელშეკრულება თავისი ნამდვილობისათვის საჭიროებს წერილობითი ფორმით დადებას.

მუხლი 635

[1] თანამემკვიდრეთა შორის სამკვიდროს წილების დათმობის შესახებ დადებული ხელშეკრულებები თავიანთი ნამდვილობისათვის საჭიროებს წერილობითი ფორმით დადებას.

[2] თუ აღნიშნული ხელშეკრულებები ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ დაიდება მესამე პირთან, მაშინ ისინი ამ უკანასკნელს ანიჭებს არა სამკვიდროს გაყოფაში მონაწილეობის უფლებას, არამედ მხოლოდ მოთხოვნის უფლებას იმ წილზე, რომელიც გაყოფის შემდეგად უნდა გადაეცეს მემკვიდრეს.

მუხლი 636

[1] მავალდებულებელი არ არის ის ხელშეკრულებები, რომლებსაც ჯერ კიდევ მიუღებელ სამკვიდროზე ერთი მემკვიდრე მამკვიდრებლის მონაწილეობისა და თანხმობის გარეშე დებს სხვა თანამემკვიდრესთან ან მესამე პირთან.

[2] დასაშვებია იმ შესრულებების უკან დაბრუნების მოთხოვნა, რომლებიც განხორციელდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე.

მუხლი 637

[1] სამკვიდროს გაყოფის დასრულების შემდეგ სამკვიდრო ქონებაში შემავალი ობიექტებისათვის თანამემკვიდრეები ერთმანეთის მიმართ პასუხს აგებენ, როგორც მყიდველი და გამყიდველი.

[2] თანამემკვიდრეებმა უნდა უზრუნველყონ ერთმანეთს შორის იმ მოთხოვნების არსებობა, რომლებიც მათ გადაეცემათ სამკვიდროს გაყოფის შემთხვევაში, და რამდენადაც საქმე არ ეხება საბაზრო ფასის მქონე ფასიან ქაღალდებს, ისინი ერთმანეთის მიმართ პასუხს აგებენ მოვალის გადახდისუნარიანობისათვის, როგორც ჩვეულებრივი თავდებები, მოთხოვნის ჩათვლილი თანხის ოდენობით.

[3] უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულებიდან გამომდინარე სარჩელი ხანდაზმულია სამკვიდროს გაყოფის ან შემდგომში მოთხოვნების შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 638

სამკვიდროს გაყოფის შესახებ ხელშეკრულების გასაჩივრება ხორციელდება ზოგადად ხელშეკრულებების გასაჩივრების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 639

[1] მემკვიდრეები სამკვიდროს გაყოფის შემდეგაც არიან მამკვიდრებლის ვალებისათვის სოლიდარულად და მთელი თავიანთი ქონებით პასუხისმგებელი მანამდე, სანამ კრედიტორები პირდაპირ გამოხატული ფორმით ან უსიტყვოდ არ დაეთანხმებიან სამკვიდროს გაყოფას ან ამ ვალების გადაკისრებას.

[2] თანამემკვიდრეების სოლიდარული პასუხისმგებლობა ხანდაზმულია სამკვიდროს გაყოფის ან შემდგომში მოთხოვნების შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 640

[1] თუ მემკვიდრემ დაფარა მამკვიდრებლის ის ვალი, რომელიც მასზე არ გადმოვიდა სამკვიდროს გაყოფის შედეგად, ან თუ მემკვიდრემ დაფარა იმაზე მეტი ვალი, ვიდრე მან იკისრა, მაშინ მას თავის თანამემკვიდრეთა მიმართ აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება.

[2] აღნიშნული რეგრესული მოთხოვნის უფლება, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც სამკვიდროს გაყოფისას იკისრა დაფარული ვალი.

[3] ამავე დროს სხვა შეთანხმების არარსებობისას, მემკვიდრეებს ვალები ეკისრებათ სამკვიდროში მათი წილების პროპორციულად.

მეოთხე ნაწილი: სანივთო სამართალი

პირველი განყოფილება: საკუთრების უფლება

მეთვრამეტე ტიტული: ზოგადი დებულებები

მუხლი 641

[1] ნივთის მესაკუთრეს შეუძლია ამ ნივთის თავისი შეხედულებით განკარგვა მართლწესრიგით გათვალისწინებულ ფარგლებში.

[2] მესაკუთრეს აქვს უფლება, გამოითხვოს თავისი ნივთი ნებისმიერი იმ პირისაგან, რომელიც მას აკავებს, და დაიცვას ის ნებისმიერი გაუმართლებელი ზემოქმედებისაგან.

მუხლი 641a

[1] ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს.

[2] რამდენადაც ცხოველების მიმართ არ არსებობს სპეციალური რეგულაციები, მათ მიმართ მოქმედებს ნივთების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 642

[1] ნივთის მესაკუთრეს აქვს საკუთრების უფლება ასევე მის ყველა შემადგენელ ნაწილზეც.

[2] ნივთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ყველაფერი ის, რაც მოცემულ ადგილას მიღებული ჩვეულებრივი წარმოდგენების მიხედვით შედის ნივთის შემადგენლობაში და რომლის მოცილებაც შეუძლებელია მისი განადგურების, დაზიანებისა თუ შეცვლის გარეშე.

მუხლი 643

[1] ნივთის მესაკუთრეს აქვს საკუთრების უფლება ასევე მის ბუნებრივ ნაყოფზეც.

[2] ბუნებრივ ნაყოფს წარმოადგენს პერიოდულად წარმოებული პროდუქტი და ნამატი, რომელიც ჩვეულებრივი წარმოდგენების მიხედვით მიიღება ნივთიდან მისი დანიშნულების შესაბამისად გამოყენების შედეგად.

[3] მის მოცილებამდე ბუნებრივი ნაყოფი წარმოადგენს ნივთის შემადგენელ ნაწილს.

მუხლი 644

[1] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კეთდება გამონაკლისი, ნივთის განკარგვა ეხება ასევე მის საკუთვნებელსაც.

[2] საკუთვნებელს წარმოადგენს მოძრავი ნივთები, რომლებიც მოცემულ ადგილას მიღებული ჩვეულებრივი წარმოდგენების მიხედვით ან ძირითადი ნივთის მესაკუთრის აშკარა ნების შესაბამისად მყარად განკუთვნილია მისი მართვის, სარგებლობისა თუ შენარჩუნებისათვის და შეერთებით, მისადაგებითა თუ სხვაგვარად დაკავშირებულია ძირითად ნივთთან.

[3] თუ ნივთი წარმოადგენს საკუთვნებელს, მაშინ მისი ძირითადი ნივთისაგან დროებითი მოცილება ვერ შეცვლის ამ ნივთის ასეთ ნიშან-თვისებას.

მუხლი 645

საკუთვნებელს არასოდეს არ წარმოადგენს ისეთი მოძრავი ნივთები, რომლებიც განკუთვნილია ძირითადი ნივთის მფლობელის მხოლოდ დროებითი სარგებლობისა თუ მოხმარებისათვის ანდა რომლებიც ძირითადი ნივთის ნიშან-თვისებასთან არანაირ კავშირში არ არის, ისევე როგორც – ისეთი მოძრავი ნივთები, რომლებიც ძირითად ნივთთან დაკავშირებულია მხოლოდ შენახვის, გაყიდვისა თუ გაქირავების მიზნებისათვის.

მუხლი 646

[1] თუ რამდენიმე პირი ფლობს წილებს ერთ ნივთში, რომელიც გარეგნულად არ არის დაყოფილი მათ ცალ-ცალკე საკუთრებად, მაშინ აღნიშნული პირები წარმოადგენენ თანამესაკუთრეებს.

[2] თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, თანამესაკუთრეებს აქვთ თანაბარი წილები.

[3] თითოეულ თანამესაკუთრეს თავისი წილის მიმართ აქვს მესაკუთრის უფლებები და ვალდებულებები; აღნიშნული წილი მის მიერ შეიძლება გასხვისდეს და დაგირავდეს, ხოლო მისი კრედიტორების მიერ კი დაყადაღდეს.

მუხლი 647

[1] თანამესაკუთრეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ კანონისმიერი დანაწესებისაგან განსხვავებული სარგებლობისა და მართვის წესებზე და ასევე გაითვალისწინონ ის, რომ აღნიშნული წესების შეცვლა დასაშვები იყოს მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის უმრავლესობის თანხმობით.

[1bis] ექსკლუზიური სარგებლობის უფლებების მინიჭების თაობაზე სარგებლობისა და მართვის წესების შეცვლა დამატებით საჭიროებს იმ თანამესაკუთრეთა თანხმობასაც, რომლებსაც აღნიშნული შეცვლა უშუალოდ ეხება.

[2] დაუშვებელია თითოეული თანამესაკუთრისათვის კუთვნილი შემდეგი უფლებამოსილებების გაუქმება ან შეზღუდვა:

1. მოითხოვოს ნივთის ღირებულებისა და გამოყენებადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი მმართველობითი მოქმედებების განხორციელება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – აღნიშნულის სასამართლოს მიერ დადგენა;

2. საკუთარი ინიციატივითა და ყველა თანამესაკუთრის ხარჯზე დაუყოვნებლივ მიიღოს ის ზომები, რომლებიც აუცილებელია ნივთის მოსალოდნელი ან ზრდადი ზიანისაგან დასაცავად.

მუხლი 647a

[1] თითოეული თანამესაკუთრე უფლებამოსილია ჩვეულებრივ მართვასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაზე, კერძოდ კი, – სარემონტო სამუშაოების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებისა და მოსავლის აღების სამუშაოების ჩატარებაზე, მოკლევადიან მიბარებასა და მეთვალყურეობაზე, ისევე როგორც – აღნიშნული მიზნებისათვის ხელშეკრულებების დადებასა და იმ უფლებამოსილებების განხორციელებაზე, რომლებიც გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებებიდან და ასევე ქირავნობის, იჯარისა და ნარდობის ხელშეკრულებებიდან ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ ფულადი თანხების გადახდისა და მიღების ჩათვლით.

[2] თანამესაკუთრეთა უმრავლესობის თანხმობითა და აუცილებელი და გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ კანონისმიერი დანაწესების გათვალისწინების პირობით, ზემოაღნიშნულ მართვასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება შესაძლოა სხვაგვარად მოწესრიგდეს.

მუხლი 647b

[1] ყველა იმ თანამესაკუთრის თანხმობით, რომლებიც ერთდროულად ნივთის უდიდეს ნაწილს ფლობენ, შეიძლება განხორციელდეს მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოქმედებები, მათ შორის, – დამუშავებისა თუ გამოყენების მეთოდის ცვლილება, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, ნიადაგის გაუმჯობესების სამუშაოებში მონაწილება და იმ მმართველის დანიშვნა, რომლის უფლებამოსილებაც არ არის შეზღუდული ჩვეულებრივ მართვასთან დაკავშირებული მოქმედებებით.

[2] ზემოაღნიშნული წესი არ მოქმედებს აუცილებელი სამშენებლო სამუშაოების მომწესრიგებელი ნორმების მიმართ.

მუხლი 647c

საექსპლუატაციო, აღდგენითი და განახლების სამუშაოები, რომლებიც აუცილებელია ნივთის ღირებულებისა და გამოყენებადობის შენარჩუნებისათვის, შეიძლება განხორციელდეს ყველა თანამესაკუთრის უმრავლესობის თანხმობით, რამდენადაც ეს სამუშაოები თითოეული თანამესაკუთრის მხრიდან ჩვეულებრივ მართვასთან დაკავშირებული მოქმედების სახით ვერ ხორციელდება საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

მუხლი 647d

[1] განახლებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება ნივთის მომგებიანობის ან გამოყენებადობის გაზრდისა თუ გაუმჯობესებისათვის, საჭიროებს ყველა იმ თანამესაკუთრის უმრავლესობის თანხმობას, რომლებიც ერთდროულად ნივთის უდიდეს ნაწილს ფლობენ.

[2] დაუშვებელია თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე იმ ცვლილებების განხორციელება, რომლებიც მნიშვნელოვნად და მყარად აძნელებს ამ თანამესაკუთრის მიერ ნივთის თავდაპირველი მიზნით გამოყენებასა თუ სარგებლობას ან უვარგისს ხდის ამ ნივთს.

[3] თუ ცვლილება საჭიროებს თანამესაკუთრის მხრიდან არაგონივრული ხარჯების გაწევას, კერძოდ კი, – იმის გამო, რომ ეს ხარჯები შეუსაბამოა მისი წილის ღირებულებასთან, მაშინ აღნიშნული ცვლილება თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენი თანამესაკუთრეები კისრულობენ ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც აღემატება მის მიერ სავარაუდოდ მისაღებ თანხას.

მუხლი 647e

[1] ის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც მიმართულია უბრალოდ ნივთის მორთვის, გარეგნული იერ-სახის გაუმჯობესებისა თუ მისი გამოყენებისას კომფორტის შექმნისაკენ, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის თანხმობით.

[2] თუ აღნიშნული სამუშაოების ჩატარება დგინდება ყველა იმ თანამესაკუთრის უმრავლესობის თანხმობით, რომლებიც ერთდროულად ნივთის უდიდეს ნაწილს ფლობენ, მაშინ მათი განხორციელება შესაძლებელია ასევე იმ თანამესაკუთრის თანხმობის გარეშეც, რომელიც მათ არ ეთანხმება, რამდენადაც ეს სამუშაოები მნიშვნელოვან ზიანს არ აყენებს ამ თანამესაკუთრის კუთვნილ სარგებლობისა და გამოყენების უფლებებს, ხოლო დანარჩენი თანამესაკუთრები კი მას უხდიან წმინდა დროებით მიყენებული ზარალისათვის კომპენსაციასა და კისრულობენ თავიანთ წილ ხარჯებს.

მუხლი 648

[1] ყოველი თანამესაკუთრე უფლებამოსილია ნივთის წარმოდგენაზე, გამოყენებასა და სარგებლობაზე იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს თავსებადია სხვა თანამესაკუთრის უფლებებთან.

[2] ნივთის გასხვისებისა თუ უფლებრივი დატვირთვისათვის, ისევე როგორც – მისი მიზნობრიობის შეცვლისათვის საჭიროა ყველა თანამესაკუთრის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამესაკუთრები ერთხმად შეთანხმდნენ სხვა წესზე.

[3] თუ საერთო საკუთრების წილებზე არსებობს უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებები (Grundpfandrechte) ან მიწის გადასახდელები (Grundlasten), მაშინ თანამესაკუთრეებს აღარ შეუძლიათ ნივთის შემდგომი დატვირთვა თვით ასეთი უფლებებითაც.

მუხლი 649

[1] როდესაც შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, მართვის ხარჯები, გადასახადები და სხვა ვალდებულებები, რომლებიც საერთო საკუთრებიდან წარმოიშობა ან დაკავშირებულია საერთო საკუთრებაში არსებულ ნივთთან, ეკისრებათ თანამესაკუთრეებს მათი წილების პროპორციულად.

[2] თუ აღნიშნული ხარჯები თანამესაკუთრემ გასწია მისი წილის ღირებულებაზე მეტი ოდენობით, მაშინ მას შეუძლია სხვა თანამესაკუთრეებისაგან მოითხოვოს პროპორციული კომპენსაცია.

მუხლი 649a

[1] თანამესაკუთრეთა მიერ შეთანხმებული სარგებლობისა და მართვის წესები, მათ მიერ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებები, ისევე როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებები და განკარგვები ავალდებულებს ასევე თანამესაკუთრის უფლებამონაცვლესა და თანასაკუთრების წილზე სანივთო უფლების შემძენს.

[2] მიწის ნაკვეთებზე თანასაკუთრების წილთა შემთხვევაში აღნიშნული წესები, გადაწყვეტილებები და განკარგვები შეიძლება შესაბამისი ჩანაწერის სახით აღინიშნოს საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 649b

[1] სასამართლოს გადაწყვეტილებით თანამესაკუთრე შეიძლება გაირიცხოს თანასაკუთრებიდან, თუ მისი ან იმ პირების მოქმედების შედეგად, რომლებსაც მან მიანიჭა ნივთის გამოყენების უფლება ანდა რომელთა ქმედებებისათვისაც მან უნდა იკისროს პასუხისმგებლობა, ყველა ან ცალკეული თანამესაკუთრის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები იმდენად მძიმედ ირღვევა, რომ თანასაკუთრების რეჟიმის გაგრძელება შეუძლებელი ხდება.

[2] თუ თანასაკუთრებაში შედის მხოლოდ ორი თანამესაკუთრე, მაშინ თითოეულს აქვს მეორის მიმართ სარჩელის წარდგენის უფლება; დანარჩენ შემთხვევებში, როდესაც შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, სარჩელის წარდგენის უფლებამოსილების მინიჭებისათვის საჭიროა ყველა თანამესაკუთრის, გარდა მოპასუხისა, უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება.

[3] თუ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მოპასუხის თანასაკუთრებიდან გარიცხვის შესახებ, მაშინ ის ამ უკანასკნელს ავალებს თავისი წილის გასხვისებას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მისთვის მიცემული ვადის განმავლობაში არ გაასხვისებს წილს, სასამართლო ადგენს ამ წილის საჯარო აუქციონზე

გაყიდვას მიწის ნაკვეთების იძულებითი რეალიზაციის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად, გარდა საერთო საკუთრების გაუქმების შესახებ დანაწესებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

მუხლი 649c

თანამესაკუთრის თანასაკუთრებიდან გარიცხვის მომწესრიგებელი ნორმები აზრობრივად გამოიყენება უზუფრუქტუარისა და საერთო საკუთრების წილზე სხვა სანივთო თუ საადგილმამულო რეესტრში წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრირებული პირადი სარგებლობის უფლებების მფლობელის მიმართ.

მუხლი 650

[1] ყოველ თანამესაკუთრეს აქვს უფლება, მოითხოვოს საერთო საკუთრების გაუქმება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამორიცხულია გარიგებით, მრავალბინიან სახლზე საკუთრების ბინებად დაყოფის ან ნივთის გრძელვადიანი მიზნისათვის განსაზღვრის შედეგად.

[2] საერთო საკუთრების გაუქმება შეთანხმებით შეიძლება გამოირიცხოს მაქსიმუმ 50 წლის ვადით; აღნიშნული მიწის ნაკვეთების მიმართ თავისი ნამდვილობისათვის საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას და ის შეიძლება წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრაციაში გატარდეს საადგილმამულო რეესტრში.

[3] შეუსაბამო დროს საერთო საკუთრების გაუქმების მოთხოვნა დაუშვებელია.

მუხლი 651

[1] საერთო საკუთრების გაუქმება ხორციელდება ფიზიკური გაყოფით, პირდაპირი მიყიდვის ან აუქციონის გზით გაყიდვის შედეგად ამონაგები თანხის განაწილებით ანდა ერთი ან რამდენიმე თანამესაკუთრისათვის მთლიანი ნივთის დანარჩენი თანამესაკუთრეებისაგან გამოსყიდვის პირობით გადაცემით.

[2] თუ თანამესაკუთრეები ვერ თანხმდებიან საერთო საკუთრების გაუქმების ხერხზე, მაშინ სასამართლოს განკარგულების თანახმად ნივთი გაიყოფა ნატურით, ხოლო როდესაც ეს შეუძლებელია მისი ღირებულების არსებითი შემცირების გარეშე, – ნივთი გაიყიდება საჯარო ან თანამესაკუთრეთა შორის აუქციონზე.

[3] ნატურით გაყოფით არათანაბარი წილების მიღების შემთხვევაში, თანამესაკუთრეებმა შეიძლება გაითვალისწინონ უთანაბრობის ფულადი სახით ანაზღაურების ვალდებულება.

მუხლი 651a

[1] იმ ცხოველების შემთხვევაში, რომლებიც ჰყავთ სახლის პირობებში ნაცვლად მათი საინვესტიციო ან კომერციული მიზნით ყოლისა, დავის შემთხვევაში სასამართლო ასეთ ცხოველზე ერთპიროვნულ საკუთრებას ანიჭებს იმ მხარეს, რომელიც ცხოველის ინტერესებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მისი განთავსების უკეთეს პირობებს.

[2] იმ პირს, რომელსაც მიეკუთვნა ცხოველი, სასამართლოს შეუძლია დაავალოს მეორე მხარისათვის სათანადო საზღაურის გადახდის ვალდებულება; საზღაურის ოდენობას სასამართლო ადგენს თავისი შეხედულებით.

[3] სასამართლო იღებს აუცილებელ გამაფრთხილებელ ზომებს, სახელდობრ კი, – ცხოველის დროებით განთავსებასთან დაკავშირებით.

მუხლი 652

თუ რამდენიმე პირს, რომლებსაც საკანონმდებლო ნორმების ან ხელშეკრულების საფუძველზე ეკისრებათ თანასაკუთრებაში ყოფნის ვალდებულება, თავიანთი თანასაკუთრების ძალით საკუთრების უფლებით ეკუთვნის რაიმე ნივთი, მაშინ ისინი წარმოადგენენ თანაზიარ მესაკუთრეებს (Gesamteigentümer) და, შესაბამისად, თითოეულის უფლება ვრცელდება მთლიან ნივთზე.

მუხლი 653

[1] თანაზიარი მესაკუთრეების უფლებები განისაზღვრება მათი კანონისმიერი ან სახელშეკრულებო თანასაკუთრების მომწესრიგებელი წესების შესაბამისად.

[2] თუ სახეზე არ არის სხვა ნორმა, საკუთრების უფლების განხორციელებისათვის, განსაკუთრებით კი, – ნივთის განკარგვისათვის საჭიროა ყველა თანაზიარი მესაკუთრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება.

[3] თანასაკუთრების არსებობის განმავლობაში ნივთის გაყოფის ან მისი შემადგენელი ნაწილების განკარგვის უფლება გამორიცხულია.

მუხლი 654

[1] თანაზიარი საკუთრების გაუქმება ხორციელდება ნივთის გასხვისებით ან თანასაკუთრების გაუქმებით.

[2] როდესაც შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ნივთის გაყოფა ხორციელდება საერთო საკუთრების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 654a

სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და მიწის ნაკვეთებზე არსებული თანაზიარი საკუთრების უფლების გაუქმების მიმართ მოქმედებს 1991 წლის 4 ოქტომბრის ფედერალური კანონი საგლეხო სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ.

მეცხრამეტე ტიტული: მიწის საკუთრება

პირველი თავი: მიწის საკუთრების საგანი, შეძენა და დაკარგვა

მუხლი 655

[1] მიწის საკუთრების საგანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთები.

[2] წინამდებარე კანონის გაგებით მიწის ნაკვეთებს მიეკუთვნება:

1. მიწის ნაკვეთები მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (Liegenschaften);

2. საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული დამოუკიდებელი და გრძელვადიანი უფლებები;

3. საბადოები;

4. მიწის ნაკვეთებზე თანასაკუთრების წილები.

[3] დამოუკიდებელი და გრძელვადიანი უფლების სახით საადგილმამულო რეესტრში შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს მიწის ნაკვეთზე არსებული სერვიტუტი, თუ ის:

1. არ არის დადგენილი არც უფლებამოსილი მიწის ნაკვეთის და არც ექსკლუზიურად განსაზღვრული პირის სასარგებლოდ; და

2. დადგენილია, სულ ცოტა, 30 წლით ან განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 655a

[1] მიწის ნაკვეთი სხვა მიწის ნაკვეთთან შეიძლება ისე იყოს დაკავშირებული, რომ მთავარი მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრე იყოს ასევე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეც. მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი იზიარებს მთავარი მიწის ნაკვეთის უფლებრივ ბედს და მისი ცალკე გასხვისება, იპოთეკით ან სხვა უფლებებით დატვირთვა დაუშვებელია.

[2] თუ დაკავშირება ხდება გრძელვადიანი მიზნით, მაშინ დაუშვებელია თანამესაკუთრეთა კანონისმიერი უპირატესი შესყიდვის უფლებისა და საერთო საკუთრების გაუქმების მოთხოვნის უფლების რეალიზაცია.

მუხლი 656

[1] მიწის საკუთრების შეძენისათვის საჭიროა საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაცია.

[2] მისაკუთრების, ქონების მემკვიდრეობით გადასვლის, ექსპროპრიაციის, იძულებითი აღსრულებისა თუ სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში შემძენი საკუთრების უფლებას იძენს ჯერ კიდევ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციამდე, თუმცა, მას მიწის ნაკვეთის განკარგვა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება რეგისტრაცია.

მუხლი 657

[1] იმისათვის, რომ საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულება იყოს მავალდებულებელი, ის საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას.

[2] საანდერძო განკარგულება და საქორწინო ხელშეკრულება საჭიროებს მემკვიდრეობის სამართლისა და მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმებით გათვალისწინებულ ფორმებს.

მუხლი 658

[1] საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მისაკუთრება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეესტრის მონაცემების თანახმად ეს ნაკვეთი უპატრონოა.

[2] იმ მიწის ნაკვეთის მისაკუთრება, რომელიც არ არის საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული, რეგულირდება უპატრონო ნივთების მომწესრიგებელი ნორმებით.

მუხლი 659

[1] თუ ნარიყის (Anschwemmung), მიწაყრილის, ნიადაგის გადაადგილების, საჯარო წყლის ნაკადების დინებისა თუ დონის ცვლილების ანდა სხვაგვარად უპატრონო მიწიდან იქმნება ახალი დამუშავებისათვის ვარგისი მიწა, მაშინ ეს უკანასკნელი ეკუთვნის იმ კანტონს, რომლის ტეროტორიაზეც ის მდებარეობს.

[2] კანტონს თავისუფლად შეუძლია აღნიშნული მიწის მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთათვის (Anstössern) გადაცემა.

[3] თუ პირს შეუძლია იმის დამტკიცება, რომ მიწის ნაწილები გამოეყო მის საკუთრებას, მაშინ მას სათანადო ვადის განმავლობაში შეუძლია ამ ნაწილების დაბრუნება.

მუხლი 660

[1] ნიადაგის ერთი მიწის ნაკვეთიდან მეორეზე გადაადგილება არ იწვევს ნაკვეთების საზღვრების ცვლილებას.

[2] მიწის ნაწილები და სხვა ობიექტები, რომლებიც ერთი მიწის ნაკვეთიდან მეორეზე გადადის, ექვემდებარება მიტანილი ნივთების ან ნივთების შეერთების მომწესრიგებელი ნორმებით რეგულირებას.

მუხლი 660a

[1] პრინციპი, რომლის თანახმადაც ნიადაგის გადაადგილება არ იწვევს ნაკვეთების საზღვრების ცვლილებას, არ მოქმედებს ნიადაგის პერმანენტული გადაადგილების საფრთხის ზონების მიმართ, როდესაც აღნიშნული ზონები ასეთად განსაზღვრულია კანტონის მიერ.

[2] აღნიშნული ზონების განსაზღვრის შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია შესაბამისი მიწის ნაკვეთის ნიშან-თვისებები.

[3] აღნიშნული ზონებისადმი მიწის ნაკვეთის მიკუთვნების შესახებ სათანდო წესით უნდა შეატყობინონ დაინტერესებულ პირებსა და ეს ფაქტი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 660b

[1] თუ ნიადაგის გადაადგილების გამო საზღვარი მიზანშეუწონელი ხდება, მაშინ მიწის ნაკვეთის ნებისმიერ დაინტერესებულ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს საზღვრის ხელახალი დადგენა.

[2] ღირებულების გაზრდა ან შემცირება ექვემდებარება კომპენსირებას.

მუხლი 661

თუ პირი არასწორად არის მესაკუთრედ რეგისტრირებული საადგილმამულო რეესტრში, მაშინ მისი საკუთრების უფლება ვეღარ გასაჩივრდება მას შემდეგ, რაც ის მიწის ნაკვეთს კეთილსინდისიერად ათი წლის განმავლობაში უწყვეტად და შეცილების გარეშე ფლობს.

მუხლი 662

[1] თუ პირი 30 წლის განმავლობაში უწყვეტად და შეცილების გარეშე, როგორც საკუთარს, ფლობს მიწის ნაკვეთს, რომელიც არ არის საადგილმამულო რე-

ესტრში რეგისტრირებული, მას შეუძლია მოითხოვოს თავისი თავის მესაკუთრედ რეგისტრაცია.

[2] იგივე წინაპირობების არსებობისას აღნიშნული უფლება აქვს იმ მიწის ნაკვეთის მფლობელს, რომლის მესაკუთრეც საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერიდან არ იკვეთება, ან ვინც შეძენითი ხანდაზმულობის 30-წლიანი ვადის დენის დაწყებისას აღიარებულ იქნა გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად,

[3] თუმცა, მესაკუთრედ რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს განკარგულების საფუძველზე იმ პირობით, რომ საჩივრების წარდგენისათვის საჯარო შეტყობინებით მიცემული ვადის განმავლობაში არ იქნება წარდგენილი საჩივარი ან ასეთი საჩივარი არ დაკმაყოფილდება.

მუხლი 663

შეძენითი ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის, მათი დენის შეწყვეტისა და შეჩერების მიმართ შესაბამისად გამოიყენება მოთხოვნების ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 664

[1] უპატრონო და საჯარო ნივთები იმყოფება იმ ტერიტორიული ერთეულის სუვერენიტეტის ქვეშ (unter der Hoheit des Staates), რომლის ტეროტორიაზეც ისინი მდებარეობს.

[2] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა საწინააღმდეგო მტკიცებულება, დაუშვებელია კერძო საკუთრება საჯარო წყლებზე, ისევე როგორც დამუშავებისათვის უვარგის მიწებზე, როგორიცაა კლდეები და ნაშალები, მუდმივი თოვლი და მყინვარები და მათგან გამომავალი წყარეობი.

[3] კანტონალური სამართალი იღებს უპატრონო მიწის მისაკუთრებისა და ასევე ისეთი საჯარო ნივთების ექსპლუატაციისა და საერთო სარგებლობის მომწესრიგებელ აუცილებელ ნორმებს, როგორიცაა ქუჩები და მოედნები, წყლის ნაკადები და მდინარის კალაპოტები.

მუხლი 665

[1] შეძენის სამართლებრივი საფუძველი შემძენს მესაკუთრის მიმართ ანიჭებს საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის განხორციელებაზე პერსონალურ მოთხოვნის უფლებას, ხოლო მესაკუთრის მხრიდან რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კი, – საკუთრების სასამართლო წესით მიკუთვნების უფლებას.

[2] მისაკუთრების, ქონების მემკვიდრეობით გადასვლის, ექსპროპრიაციის, იძულებითი აღსრულებისა თუ სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში, შემძენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიღწევა შეუძლია საკუთარი ინიციატივითაც.

[3] მიწის საკუთრების ისეთი ცვლილებები, რომლებიც დგება კანონის ძალით მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმისა თუ მისი შეწყვეტის შედეგად, რეგისტრაციაში ტარდება საადგილმამულო რეესტრში ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე.

მუხლი 666

[1] მიწის საკუთრება უქმდება საადგილმამულო რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის ამოშლით, ისევე როგორც – მიწის ნაკვეთის სრული განადგურებით.

[2] ექსპროპრიაციის შემთხვევაში საკუთრების დაკარგვის მომენტი განისაზღვრება ექსპროპრიაციის შესახებ ფედერაციისა და კანტონების კანონმდებლობით.

მუხლი 666a

[1] თუ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრის იდენტიფიცირება შეუძლებელია, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან თუ უცნობია მისი ერთი ან რამდენიმე მემკვიდრის სახელი ან ადგილსამყოფელი, მაშინ სასამართლოს განცხადების საფუძველზე შეუძლია დაადგინოს აუცილებელი ზომების მიღება.

[2] კერძოდ, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს წარმომადგენელი. განცხადების საფუძველზე ის განსაზღვრავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებსაც. თუ სასამართლო სხვაგვარად არ ადგენს, აღნიშნული უფლებამოსილება იზღუდება გასატარებელი ღონისძიებებით.

[3] აუცილებელი ზომების მიღების შესახებ განკარგულების მოთხოვნა შეუძლია:

1. ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს პატივსადები ინტერესი;
2. მიწის ნაკვეთის მდებარეობის ტერიტორიაზე მოქმედ საადგილმამულო რეესტრის სამსახურს.

[4] აუცილებელი ზომების მიღების შესახებ განკარგულება არ წყვეტს განსაკუთრებული შეძენითი ხანდაზმულობის (ausserordentliche Ersitzung) ვადის დენას.

მუხლი 666b

თუ საადგილმამულო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს ან სხვა სამართლის სუბიექტს აღარ ჰყავს კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ორგანო, მაშინ ნებისმიერ პატივსადები ინტერესის მქონე პირს ან მიწის ნაკვეთის მდებარეობის ტერიტორიაზე მოქმედ საადგილმამულო რეესტრის სამსახურს შეუძლია მიმართოს სასამართლოს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული აუცილებელი ზომების მიღების შესახებ განკარგულების მიღების მოთხოვნით.

მეორე თავი: მიწის საკუთრების შინაარსი და შეზღუდვა

მუხლი 667

[1] მიწაზე საკუთრების უფლება ვრცელდება მიწის ზედაპირის ზედა სივრცეზე და მიწის მასაზე ზედაპირის ქვემოთ იმ ფარგლებში, რომლებშიც საკუთრების უფლების გამოყენებისათვის არსებობს ინტერესი.

[2] კანონისმიერი შეზღუდვების გათვალისწინების პირობით, მიწაზე საკუთრების უფლება მოცავს ყველა შენობა-ნაგებობასა და მცენარეს, ისევე როგორც – წყაროებს.

მუხლი 668

[1] მიწის ნაკვეთების საზღვრები დგინდება საადგილმამულო რეესტრის გეგმებითა და თავად საზღვრების გავლებით.

[2] თუ საადგილმამულო რეესტრის არსებული გეგმები და გავლებული საზღვრები არ ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ ივარაუდება საადგილმამულო რეესტრის გეგმების სისწორე.

[3] აღნიშნული პრეზუმფცია არ მოქმედებს კანტონის მიერ ნიადაგის გადაადგილების საფრთხის შემცველად მიჩნეული ზონების მიმართ.

მუხლი 669

მიწის ნაკვეთის ყოველი მესაკუთრე ვალდებულია, მისი მეზობლის მოთხოვნის საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს გაურკვეველი საზღვრის დადგენაში, რაც შეიძლება გამოხატებოდეს საადგილმამულო რეესტრის გეგმების შესწორებით ან სასაზღვრო ნიშნულების დასმით.

მუხლი 670

თუ ორ მიწის ნაკვეთს შორის საზღვრის გავლების მიზნით საზღვარზე აღმართულია ისეთი მოწყობილობები, როგორიცაა კედლები, ცოცხალი ღობეები, ღობეები, მაშინ ივარაუდება, რომ ეს მოწყობილობები წარმოადგენს ორივე მეზობლის თანასაკუთრებას.

მუხლი 671

[1] თუ პირმა თავის მიწის ნაკვეთზე წარმოებული მშენებლობისათვის გამოიყენა სხვისი მასალები ან საკუთარი მასალები – სხვის მიწის ნაკვეთზე წარმოებული მშენებლობისათვის, მაშინ ეს მასალები ხდება მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილები.

[2] თუმცა, როდესაც აღნიშნული მასალების გამოყენება მოხდა მათი მესაკუთრის ნების გარეშე, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ხარჯზე მოითხოვოს მასალების მოცილება და მათი დაბრუნება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია არათანაზომიერი ზიანის გარეშე.

[3] იგივე წინაპირობების არსებობისას, როდესაც მასალების გამოყენება მოხდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნების გარეშე, ამ უკანასკნელს შეუძლია მშენებლის ხარჯზე მოითხოვოს მასალების გატანა.

მუხლი 672

[1] თუ მიწის ნაკვეთიდან მასალების მოცილება არ ხდება, მაშინ მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ამ მასალებისათვის უნდა გადაიხადოს სათანადო საზღაური.

[2] თუ იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, რომელზეც წარმოებდა სამშენებლო სამუშაოები, მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ზარალის სრულად ანაზღაურების შესახებ.

[3] თუ არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყენებული მასალების მესაკუთრე, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ზარალის ანაზღაურების მხოლოდ იმ ოდენობით დაკისრების შესახებ, რასაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის მინიმუმ შეადგენს შენობა-ნაგებობის ღირებულება.

მუხლი 673

თუ შენობა-ნაგებობის ღირებულება აშკარად აღემატება მიწის ნაკვეთის ღირებულებას, მაშინ იმ პირს, რომელიც მოქმედებს კეთილსინდისიერად, შეუძლია მოითხოვოს შენობა-ნაგებობასა და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მასალების მესაკუთრისათვის გადაცემა სათანადო საზღაურის გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 674

[1] ერთი მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობები და სხვა მოწყობილობები, რომლებიც გადასცდა მეორე მიწის ნაკვეთის საზღვარს, რჩება იმ მიწის ნაკვეთის შემადგენელ ნაწილად, საიდანაც ისინი გადმოვიდა, როდესაც შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მესაკუთრეს მათზე აქვს სანივთო უფლება.

[2] საზღვრის გადაცდენის უფლება საადგილმამულო რეესტრში შესაძლოა გატარდეს რეგისტრაციაში როგორც სერვიტუტი.

[3] თუ საზღვრის გადაცდენა არამართლზომიერია და დაზარალებული მხარე დროულად არ აპროტესტებს მას მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მისთვის ცნობილი გახდა, მაშინ თუ ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, კეთილსინდისიერად მოქმედ საზღვრის გადამცდენს სათანადო საზღაურის გადახდის სანაცვლოდ შეიძლება მიენიჭოს სანივთო უფლება გადაცდენილ ნაწილზე ან საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე.

მუხლი 675

[1] იმ შენობა-ნაგებობებსა და სხვა მოწყობილობებს, რომლებიც სხვის მიწის ნაკვეთშია ჩამარხული, აღმართული ან სხვაგვარად მყარად შეერთებული მიწის ზედაპირს ან მის ქვემოთ, – შეიძლება ჰყავდეს ცალკე მესაკუთრეები, თუ ეს შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები სერვიტუტის სახით არის საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული.

[2] შენობის ცალკეულ სართულზე აღნაგობის უფლების (Baurecht) დადგენა დაუშვებელია.

მუხლი 676

[1] თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, კომუნალური მომსახურებისა და საკანალიზაციო გაყვანილობები და მილები, რომლებიც განთავსებულია იმ მიწის ნაკვეთის მიღმა, რომელსაც ისინი ემსახურება, ეკუთვნის წარმოების (Werk) მესაკუთრესა და შედის იმ წარმოების შემადგენლობაში, რომლიდანაც ხდება მათი გამოშვება ან მომარაგება.

[2] რამდენადაც სამეზობლო სამართლის ნორმები არ გამოყენება, ზემოაღნიშნული გაყვანილობებითა და მილებით სხვისი მიწის ნაკვეთის უფლებრივი დატვირთვა ხორციელდება სერვიტუტის დადგენით.

[3] სერვიტუტი წარმოიშობა გაყვანილობის ინსტალაციით, თუ ეს უკანასკნელი გარეგნულად შესამჩნევია. სხვა შემთხვევებში, ის წარმოიშობა საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციით.

მუხლი 677

[1] ქოხები, ჯიხურები, ბარაკები და მისთ. ინარჩუნებს თავის ცალკე მესაკუთრეებს, თუ ისინი სხვის მიწაზე აღმართულია მასზე მყარი შეერთების მიზნის გარეშე.

[2] აღნიშნული ობიექტები არ ტარდება რეგისტრაციაში საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 678

[1] თუ პირი სხვის მცენარეებს მოიხმარს საკუთარ მიწის ნაკვეთზე ან საკუთარ მცენარეებს – სხვის მიწის ნაკვეთზე, მაშინ წარმოიშობა იგივე უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც სახეზეა სამშენებლო მასალების ან მოძრავი ნაგებობების გამოყენებისას.

[2] აღნაგობის უფლების შესაბამისი სერვიტუტი შეიძლება დადგინდეს ცალკეული მცენარეებისა და პლანტაციების მიმართ მინიმუმ ათი და მაქსიმუმ 100 წლის ვადით.

[3] მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეთანხმებული ვადის გასვლამდე შეუძლია მოითხოვოს სერვიტუტის უფლების გაქარწყლება (Ablösung), თუ მან სერვიტუტის მფლობელთან გააფორმა იჯარის ხელშეკრულება მიწით სარგებლობასთან დაკავშირებით და ეს ხელშეკრულება წყდება. სასამართლო ქონებრივ-სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავს საქმის ყველა გარემოების შეფასებით.

მუხლი 679

[1] თუ პირს ადგება ზიანი ან არსებობს მისთვის ზიანის მიყენების საფრთხე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მხრიდან საკუთრების უფლებიდან გამომდინარე კუთვნილი უფლებამოსილებების გადამეტების გამო, მაშინ მას შეუძლია სასარჩელო წესით მოითხოვოს ზიანის თავიდან აცილება ან ზიანის მიყენების საფრთხის საწინააღმდეგოდ დაცვა და ზიანის ანაზღაურება.

[2] თუ შენობა-ნაგებობა ან მოწყობილობა მეზობელ მიწის ნაკვეთს ართმევს განსაზღვრულ ნიშან-თვისებებს, მაშინ ზემოხსენებული მოთხოვნის უფლებები არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობის აშენებისას ან მოწყობილობის ინსტალაციისას მოქმედი რეგულაციები არ იქნა დაცული.

მუხლი 679a

თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე საკუთარი ნაკვეთის სამეურნეო მიზნით მართლზომიერი გამოყენებისას, სახელდობრ კი, – მშენებლობისას მეზობელს დროებით აყენებს გადამეტებულ და გარდაუვალ ცუდ მდგომარეობაში და ამით იწვევს ზიანის დადგომას, მაშინ მეზობელს მიწის ნაკვეთის მესაკუთრისაგან შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 680

[1] საკუთრების უფლების კანონისმიერი შეზღუდვები არსებობს საადგილმამულო რეესტრში სარეგისტრაციო ჩანაწერის გარეშე.

[2] თავისი ნამდვილობისათვის ამ შეზღუდვების გარიგებით გაუქმება ან შეცვ-

ლა საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებასა და რეგისტრაციას საადგილმამულო რეესტრში.

[3] საჯარო-სამართლებრივი ხასიათის კანონისმიერი შეზღუდვების გაუქმება ან შეცვლა დაუშვებელია.

მუხლი 681

[1] კანონისმიერი უპირატესი შესყიდვის უფლებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე იძულებითი აუქციონის შემთხვევაშიც, თუმცა – მხოლოდ თავად აუქციონზე და იმ პირობით, რომ მიწის ნაკვეთს მიაკუთვნებენ ყველაზე მაღალი ფასის შემთავაზებელს; სხვა შემთხვევებში კანონისმიერი უპირატესი შესყიდვის უფლებების რეალიზაცია შესაძლებელია იმ წინაპირობების გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებს სახელშეკრულებო უპირატესი შესყიდვის უფლებების მიმართ.

[2] უპირატესი შესყიდვის უფლება უქმდება, თუ მიწის ნაკვეთი გასხვისდება იმ პირზე, რომელსაც აქვს თანაბარი ან უპირატესი რიგის მქონე უპირატესი შესყიდვის უფლება.

[3] დაუშვებელია კანონისმიერი უპირატესი შესყიდვის უფლებების როგორც მემკვიდრეობით გადაცემა, ისე დათმობა. მათ ენიჭება პრიორიტეტი სახელშეკრულებო უპირატესი შესყიდვის უფლებებთან შედარებით.

მუხლი 681a

[1] გამყიდველმა უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს უნდა გააგებინოს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი და ასევე – მისი შინაარსი.

[2] თუ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს სურს თავისი უფლების რეალიზაცია, მაშინ მან ეს უნდა მოახდინოს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტისა და მისი შინაარსის შეტყობის მომენტიდან სამი თვის განმავლობაში. აღნიშნული უფლების რეალიზაცია აღარ შეიძლება საადგილმამულო რეესტრში ახალი მესაკუთრის რეგისტრაციიდან ორი წლის გასვლის შემდეგ.

[3] აღნიშნული ვადების განმავლობაში უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს თავისი უფლების რეალიზაცია შეუძლია მიწის ნაკვეთის ნებისმიერი მესაკუთრის მიმართ.

მუხლი 681b

[1] თავისი ნამდვილობისათვის ოფიციალურ დამოწმებას საჭიროებს შეთანხმება, რომლითაც გამოირიცხება ან იცვლება კანონისმიერი უპირატესი შესყიდვის უფლება. ასეთი შეთანხმება შეიძლება წინასწარი ჩანაწერის სახით გატარდეს რეგისტრაციაში საადგილმამულო რეესტრში, თუ უპირატესი შესყიდვის უფლება ეკუთვნის სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამის მესაკუთრეს.

[2] უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელებისათვის გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემდეგ უფლებამოსილ პირს შეუძლია წერილობით უარი თქვას კანონისმიერი უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციაზე.

მუხლი 682

[1] თანამესაკუთრეებს უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ იმ ნებისმიერი

არათანამესაკუთრის მიმართ, რომელიც იძენს წილს. თუ რამდენიმე თანამესაკუთრე ახორციელებს თავის უპირატესი შესყიდვის უფლებას, მაშინ წილი მათ გადაეცემათ თავიანთი თავდაპირველი თანასაკუთრების წილების პროპორციულად.

[2] დამოუკიდებელი და გრძელვადიანი აღნაგობის უფლებით დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღნაგობის უფლების უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს ასევე ნებისმიერი შემძენის მიმართ, ხოლო უფლებით დატვირთული მიწის ნაკვეთის უპირატესი შესყიდვის უფლება კი აქვს ამ უფლების მფლობელს, რამდენადაც მიწის ნაკვეთი დაექვემდებარება მისი უფლების რეალიზაციას.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 682a

სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და მიწის ნაკვეთებზე არსებული უპირატესი შესყიდვის უფლებების მიმართ მოქმედებს ასევე 1991 წლის 4 ოქტომბრის ფედერალური კანონი საგლეხო სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ.

მუხლი 683 (გაუქმებულია)

მუხლი 684

[1] თავისი საკუთრების უფლების განხორციელებისას, როგორიცაა, სახელდობრ, კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამეწარმეო საქმიანობა, ნებისმიერი პირი ვალდებულია, თავი შეიკავოს მეზობლის საკუთრებაზე ყოველგვარი გადამეტებული ზემოქმედებისაგან.

[2] კერძოდ, აკრძალულია ყოველგვარი საზიანო და მიწის ნაკვეთის მდებარეობისა და ნიშან-თვისებების, ასევე – ადგილობრივი ჩვეულებების თანახმად გაუმართლებელი ზემოქმედება ჰაერის დაბინძურების, ცუდი სუნის, ხმაურის, ძლიერი ხმის გავრცელების, რყევების, გამოსხივების ან მზისა თუ დღის სინათლის ბლოკირების შედეგად.

მუხლი 685

[1] მიწის გათხრებისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მესაკუთრეს არ შეუძლია მეზობლის მიწის ნაკვეთებისათვის ზიანის მიყენება იმით, რომ გამოიწვიოს ნიადაგის გადაადგილება ან შექმნას ასეთი გადაადგილების საფრთხე ანდა – დააზიანოს არსებული ნაგებობი.

[2] სამეზობლო სამართლის ნორმების დამრღვევი შენობა-ნაგებობების მიმართ გამოიყენება საზღვრის გადაცდენით აშენებული შენობა-ნაგებობების მიმართ მოქმედი დანაწესები.

მუხლი 686

[1] კანტონებს აქვთ უფლება, დაადგინონ ის მანძილები, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს მიწის გათხრებისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას.

[2] კანტონები ინარჩუნებენ უფლებას, მიიღონ დამატებითი სამშენებლო ნორმები.

მუხლი 687

[1] მეზობელს შეუძლია მოჭრას თავის ნაკვეთზე გადმოსული ტოტები და ფესვები და დაიტოვოს სათავისოდ, თუ ეს ტოტები და ფესვები აზიანებს მის საკუთრებას და მათი მოცილება ვერ მოხერხდა ამ საკითხთან დაკავშირებით მისი საჩივრის წარდგენიდან გონივრული ვადის განმავლობაში.

[2] თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ითმენს დასამუშავებელ ან მშენებარე მიწის ნაკვეთზე გადმოსულ ტოტებს, მაშინ ის უფლებამოსილია იმ ნაყოფის მიღებაზე, რომელიც ამ ტოტებზე იზრდება (გადმოსულ ტოტებზე არსებული ნაყოფის მიღების უფლება (Anries)).

[3] ზემოაღნიშნული ნორმები არ გამოიყენება ერთმანეთის მოსაზღვრე სატყეო მიწის ნაკვეთების მიმართ.

მუხლი 688

კანტონებს აქვთ უფლება, დაადგინონ მეზობელი მიწის ნაკვეთიდან ის მანძილები, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს პლანტაციებისათვის მიწის ნაკვეთის ტიპისა და მცენარეების სახეობის მიხედვით, ან დაავალდებულოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, დაუშვას ნაყოფიერი ხეების ტოტებისა და ფესვების გადმოსვლა და ამ შემთხვევებისათვის მოაწესრიგოს გადმოსულ ტოტებზე არსებული ნაყოფის მიღების უფლება ანდა გააუქმოს ეს უფლება.

მუხლი 689

[1] მიწის ნაკვეთის ყოველი მესაკუთრე ვალდებულია, მიიღოს ის წყლები, რომლებიც ბუნებრივად მოედინება მის ზემოთ არსებული მიწის ნაკვეთიდან, როგორიცაა, სახელდობრ, წვიმის წყალი, თოვლის ნადნობი წყლები და ბუნებრივად მომდინარე წყაროები.

[2] არავის შეუძლია მეზობლის საზიანოდ წყლის ნაკადის ბუნებრივი მიმართულების შეცვლა.

[3] ქვემოთ არსებული მიწის ნაკვეთისათვის საჭირო ჩამდინარე წყლების გადაკეტვა დასაშვებია მხოლოდ იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს აუცილებელია ზემოთ არსებული მიწის ნაკვეთისათვის.

მუხლი 690

[1] დრენაჟის შემთხვევაში ქვემოთ არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე უნდა მიიღოს ის წყალი, რომელიც მანამდე ბუნებრივად მიედინებოდა მის ნაკვეთზე.

[2] თუ ქვემოთ არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წყლის გატარების შედეგად ადგება ზიანი, მაშინ მას შეუძლია ზემოთ არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა საკუთარი ხარჯით ქვემოთ არსებული მიწის ნაკვეთის მთელ სიგრძეზე გაატაროს წყლის მილი.

მუხლი 691

[1] მიწის ნაკვეთის ყოველი მესაკუთრე ვალდებულია, დაუშვას ნაკვეთზე კომუნალური მომსახურებისა და საკანალიზაციო მილების გაყვანა და გაყვანილობების გაკეთება მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების სანაცვლოდ,

თუ მეორე მიწის ნაკვეთს სხვაგვარად არ შეუძლია დაკავშირება კომუნალური მომსახურებისა და საკანალიზაციო ქსელთან ან ასეთი დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამო დანახარჯებით.

[2] სამეზობლო სამართლიდან გამომდინარე გაყვანილობების გაკეთების მოთხოვნის უფლება დაუშვებელია იმ შემთხვევებში, რომლებშიც კანტონალური ან ფედერალური სამართალი ახდენს მითითებას ქონების ექსპროპრიაციის წესზე.

[3] უფლებამოსილი ან მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე, გაყვანილობები უფლებამოსილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ხარჯზე რეგისტრაციაში უნდა გატარდეს საადგილმამულო რეესტრში სერვიტუტის სახით. მეზობელ მიწის ნაკვეთზე გაყვანილობების გაკეთების უფლება კეთილსინდისიერი შემძენის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის გარეშეც.

მუხლი 692

[1] მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აქვს მოთხოვნის უფლებაზე იმაზე, რომ მისი ინტერესები სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული.

[2] როდესაც ეს განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მიწის ზედაპირზე გაკეთებული გაყვანილობების შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს ის, რომ მისი მიწის ნაკვეთი, რომლის გაყოლებაზეც უნდა გაკეთდეს გაყვანილობები, სათანადო ფართის მქონე შემოგარენთან ერთად გამოსყიდულ იქნეს მისგან საზღაურის სრულად გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 693

[1] თუ გარემოებები იცვლება, მაშინ მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს გაყვანილობის გადატანა მისი ინტერესების შესაბამისად.

[2] როგორც წესი, გაყვანილობის გადატანის ხარჯები ეკისრება უფლებამოსილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს.

[3] თუმცა, როდესაც ეს განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, ხარჯების შესაბამის ნაწილში მონაწილეობა შესაძლოა დაეკისროს მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრესაც.

მუხლი 694

[1] თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს თავისი ნაკვეთიდან არა აქვს სათანადო კავშირი საჯარო გზებთან, მაშინ მას შეუძლია თავის მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელი გზის უფლების მინიჭება საზღაურის სრულად გადახდის სანაცვლოდ.

[2] აღნიშნული მოთხოვნის უფლება, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია იმ მეზობლის წინააღმდეგ, რომელსაც თავდაპირველი საკუთრებისა და საგზაო პირობების გამო პირველ რიგში შეიძლება მოეთხოვოს აუცილებელი გზის უფლების მინიჭება, ხოლო ამის შემდგომ კი, – იმ მეზობლის წინააღმდეგ, რომლისათვისაც აუცილებელი გზა ყველაზე ნაკლებად საზიანოა.

[3] აუცილებელი გზის დადგენისას მხედველობაში მისაღებია ორივე მხარის ინტერესები.

მუხლი 695

კანტონები ინარჩუნებენ უფლებას, დაადგინონ უფრო დეტალური დანაწესები, რომლებიც აწესრიგებს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებამოსილებას, შევიდეს მეზობლის მიწის ნაკვეთში საკუთარი მიწის დამუშავების ან რემონტისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოების მიზნებისათვის, ისევე როგორც – უფლებამოსილებას, მიწის მოხვნისას მოატრიალოს გუთანი (Streck-oder Tretrecht), პირუტყვს დაალევინოს წყალი, იაროს ზამთრის პერიოდში ან გაიაროს მოუხნავ მიწაზე (Brachweg), გაატაროს ხე-ტყის მასალა და მისთ.

მუხლი 696

[1] უშუალოდ კანონის საფუძველზე დადგენილი აუცილებელი გზის უფლებები არსებობს საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე.

[2] თუმცა, თუ ეს უფლებები თავისი შინაარსიდან გამომდინარე ხანგრძლივი ვადით დგინდება, მაშინ ისინი რეგისტრაციაში ტარდება საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 697

[1] მიწის ნაკვეთის შემოღობვის ხარჯები ეკისრება მის მესაკუთრეს სასაზღვრო მოწყობილობებზე საერთო საკუთრების მომწესრიგებელი დანაწესების გათვალისწინების პირობით.

[2] შემოღობვის ვალდებულებასა და ხერხთან დაკავშირებით შენარჩუნებულია კანტონალური სამართლის მოქმედება.

მუხლი 698

სამეზობლო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობების ხარჯები ეკისრებათ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს მათი ინტერესების პროპორციულად.

მუხლი 699

[1] ნებისმიერ პირს შეუძლია ადგილობრივი ჩვეულებებით დაშვებულ ფარგლებში ტყეში და მდელოებზე გავლა და ველური კენკრის, სოკოებისა და მისთ. სათავისოდ შეგროვება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვის ინტერესებში კომპეტენტური ორგანოების მხრიდან დგინდება ცალკეული განსაზღვრული აკრძალვები.

[2] კანტონალური სამართლით შეიძლება დადგინდეს სხვის საკუთრებაში ნადირობისა და თევზაობის მიზნით შესვლის მომწესრიგებელი უფრო დეტალური დანაწესები.

მუხლი 700

[1] თუ წყლის ნაკადის, ქარის, ზვავისა თუ სხვა ბუნებრივი ძალის ან შემთხვევითი მოვლენის შედეგად ადგილი აქვს საგნების სხვის მიწის ნაკვეთზე გადატანას ანდა თუ ცხოველები, როგორიცაა მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ფუტკრების გუნდები, შინაური ფრინველი და თევზი, აღმოჩნდება სხვის მიწაზე, მაშინ მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ უფლებამოსილ პირს უნდა დართოს

კუთვნილ ტერიტორიაზე ამ ცხოველების მოძიებისა და მათი წაყვანის ნება.

[2] მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რის უზრუნველსაყოფადაც მას აქვს ამ საგნების დაკავების უფლება.

მუხლი 701

[1] თუ პირს თავისი თავისგან ან სხვისგან მოსალოდნელი ზიანის ან არსებული საფრთხის აცილება შეუძლია მხოლოდ იმით, რომ ის იჭრება მესამე პირის მიწის საკუთრებაში, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია ითმინოს ასეთი ხელყოფა იმ ფარგლებში, რომლებშიც საფრთხე ან ზიანი გაცილებით მეტია, ვიდრე ხელყოფით მიყენებული ზარალი.

[2] აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის გადახდილ უნდა იქნეს სათანადო კომპენსაცია.

მუხლი 702

ფედერაცია, კანტონები და თემები ინარჩუნებენ უფლებას, დაადგინონ მიწის საკუთრების შეზღუდვები საერთო კეთილდღეობისათვის, რომლებიც, სახელდობრ, დაკავშირებულია სამშენებლო, სახანძრო და სანიტარულ ზედამხედველობასთან დაკავშირებით, ასევე – სატყეო და საგზაო მომსახურებასთან, არხის კალაპოტებთან, სასაზღვრო და საზომი ნიშნების დასმასთან, ნიადაგის გაუმჯობესების სამუშაოებთან, ქონებრივი სიკეთის განაწილებასთან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა და სამშენებლო ტერიტორიების გაერთიანებასთან, ანტიკვარული ნივთებისა და ბუნებრივი ძეგლების კონსერვაციასთან, ლანშაფტებისა და გადასახედების დამახინჯებისაგან დაცვასთან და სამკურნალო წყლების შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

მუხლი 703

[1] თუ ნიადაგის გაუმჯობესების სამუშაოები, როგორიცაა წყლის დინებათა შეცვლა, დრენაჟისა თუ სარწყავი სისტების მოწყობა, ტყის გაშენება, საგზაო ნაგებობები, მიწების გაერთიანების პროცედურები და მისთ. შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით და მონაწილე მიწის ნაკვეთებიდან ნახევარზე მეტის მფლობელ წევრ მესაკუთრეთა უმრავლესობა დაეთანხმა ასეთ ძალისხმევას, მაშინ სხვა მესაკუთრეები ვალდებული არიან, მიიღონ მასში მონაწილეობა. მიიჩნევა, რომ მიწის ნაკვეთების ის მესაკუთრეები, რომლებმაც არ მიიღეს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, დაეთანხმნენ მიღებულ გადაწყვეტილებას. თანამონაწილეობა რეგისტრაციაში უნდა გატარდეს საადგილმამულო რეესტრში.

[2] კანტონები აწესრიგებენ შესაბამის პროცედურას. კერძოდ, მათ უნდა მიიღონ მიწების გაერთიანების მომწესრიგებელი დეტალური რეგულაციები.

[3] კანტონალური კანონმდებლობით შესაძლოა ასევე ნიადაგის გაუმჯობესების აღნიშნული სამუშაოების ჩატარების კიდევ უფრო გაიოლება, ხოლო შესაბამისი ნორმები კი მიჩნეულ იქნეს სამშნებლო ტერიტორიისა და ნიადაგის პერმანენტული გადაადგილების საფრთხის ზონების მიმართ მოქმედად.

მუხლი 704

[1] წყაროები წარმოდგენს მიწის ნაკვეთების შემადგენელ ნაწილს და მათზე საკუთრების უფლების შეძენა დასაშვებია მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, საიდანაც ისინი მოედინება.

[2] სხვის მიწის ნაკვეთზე არსებულ წყაროზე უფლება დგინდება სერვიტუტის სახით საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

[3] გრუნტის წყლები უთანაბრდება წყაროებს.

მუხლი 705

[1] საერთო კეთილდღეობის ინტერესებში კანტონალური სამართლით შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს წყაროს წყლების გამოყენება.

[2] თუ კანტონებს შორის აღნიშნულ საკითხებზე წარმოიშობა დავა, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფედერალური საბჭო.

მუხლი 706

[1] თუ წყაროები და ჭები, რომელთა წყლებიც ფართოდ მოიხმარება ან გათვალისწინებულია ნარჩენების უტილიზაციისათვის, სამშენებლო სამუშაოების, ნაგებობებისა თუ სხვა სახის ღონისძიებების შედეგად მესაკუთრის ან მოსარგებლის საზიანოდ მოითხრება, გაფუჭდება ან დაბინძურდება, მაშინ ამისათვის მესაკუთრეს ან მოსარგებლეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

[2] თუ ზიანის მიყენება არც განზრახ ხდება და არც გაუფრთხილებლობით ან თავად დაზარალებულს მიუძღვის მის დადგომაში ბრალი, მაშინ სასამართლო საკუთარი შეხედულებით განსაზღვრავს, თუ რა მოცულობითა და წესით უნდა მოხდეს კომპენსაციის გადახდა.

მუხლი 707

[1] თუ წყაროები და ჭები, რომელთა წყლებიც აუცილებელია მიწის ნაკვეთის დამუშავებისათვის ან საცხოვრებლად გამოყენებისათვის ანდა სასმელი წყლის მიწოდებისათვის, მოითხრება ან დაბინძურდება, მაშინ, რამდენადაც ეს ზოგადად შესაძლებელია, დაზარალებულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა.

[2] სხვა შემთხვევებში თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იქ, სადაც ეს გამართლებულია განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე.

მუხლი 708

[1] თუ ერთმანეთის მომიჯნავე და სხვადასხვა მესაკუთრის კუთვნილი წყაროები ერთად ქმნის საერთო სათავედან გამომავალი წყაროების ჯგუფს, მაშინ თითოეულ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს წყაროს წყლების შეგროვება და მათი მიმართვა უფლებამოსილი პირებისათვის ნაკადების თავდაპირველი მოცულობის პროპორციულად.

[2] საერთო ნაგებობის ექსპლუატაციის ხარჯები უფლებამოსილ პირებს ეკისრებათ მათი ინტერესების პროპორციულად.

[3] თუ უფლებამოსილ პირთაგან ერთ-ერთი ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ

მოთხოვნას, მაშინ ყოველი მათგანი უფლებამოსილია კუთვნილი წყაროს წყლის სათანადო წესით მიღებასა და გადატანაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა წყაროების ნაკადების მოცულობა ამის შედეგად შემცირდება და ამ შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს კომპენსაციის თანხა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ახალი მოწყობილობების დაყენების შედეგად გაიზარდა მისი წყაროს ნაკადის მოცულობა.

მუხლი 709

კანტონები ინარჩუნებენ უფლებას განსაზღვრონ, თუ რა მოცულობით შეიძლება კერძო საკუთრებაში არსებული წყაროები, ჭები და ნაკადულები მეზობლებისა და სხვა პირების მიერ გამოყენებულ იქნეს წყლის ზიდვის, პირუტყვისათვის წყლის დალევინებისა და სხვა მსგავსი მიზნებისათვის.

მუხლი 710

[1] თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს სახლისა და ეზო-კარისათვის აუცილებელი წყლები და ასეთი წყლების სხვა ადგილიდან მიღება შეუძლებელია აბსოლუტურად შეუსაბამო ძალისხმევისა და ხარჯების გარეშე, მაშინ მესაკუთრეს კომპენსაციის სრული თანხის გადახდის სანაცვლოდ შეუძლია ჭებსა თუ წყაროებზე წილის დათმობა მოითხოვოს იმ მეზობლისაგან, რომელსაც თავად შესწევს უნარი გაჭირვების გარეშე ასეთი წყლის მიწოდებისა.

[2] აუცილებელი ჭების დადგენისას უპირატესობა ენიჭება წყლის მიწოდებაზე ვალდებული პირის ინტერესების გათვალისწინებას.

[3] თუ გარემოებები იცვლება, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უკვე მიღებული წესების შეცვლაც.

მუხლი 711

[1] თუ წყაროები, ჭები და ნაკადულები არ გამოიყენება მათი მესაკუთრის მიერ ან გამოიყენება მხოლოდ ძალიან მცირე მოცულობით მათი გამოყენების პოტენციალთან შედარებით, მაშინ მესაკუთრეს სასმელი წყლის მიწოდების, სახანძრო ჰიდრანტებისა და საჯარო კეთილდღეობის ინტერესებში განსახორციელებელი სხვა საქმიანობისათვის შეიძლება მოეთხოვოს მათი დათმობა კომპენსაციის სრული თანხის გადახდის სანაცვლოდ.

[2] აღნიშნული კომპენსაცია შეიძლება გამოიხატებოდეს წყლის ახალი ნაგებობიდან მიწოდებაში.

მუხლი 712

სასმელი წყლის მიწოდების ქსელის მესაკუთრეებს შეუძლიათ ექსპროპრიაციის გზით მოითხოვონ მათი წყლების მიმდებარე ტერიტორიის დათმობა, რამდენადაც ეს აუცილებელია წყაროების დაბინძურებისაგან დაცვისათვის.

მესამე თავი: მრავალბინიან სახლზე საკუთრება

მუხლი 712a

[1] მრავალბინიან სახლში საკუთრება წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე არსებულ თანასაკუთრების წილს, რომელიც თანამესაკუთრეს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას (Sonderrecht), ექსკლუზიურად გამოიყენოს შენობა-ნაგებობის განსაზღვრული ნაწილები და გადაწყვიტოს მათი შიდა მოწყობის საკითხები.

[2] ბინის მესაკუთრეს თავისუფლად შეუძლია საკუთარი ფართების მართვა, გამოყენება და კონსტრუქციული დიზაინი, თუმცა მან ხელი არ უნდა შეუშალოს ბინების სხვა მესაკუთრეებს ანალოგიური უფლების განხორციელებაში და არანაირად არ უნდა დააზიანოს შენობის საერთო ნაწილები, ნაგებობები და მოწყობილობები ან გააუარესოს მათი მოქმედება და გარეგნული იერ-სახე.

[3] ბინის მესაკუთრე ვალდებულია, მოუაროს თავის ფართებს ისე, როგორც ეს აუცილებელია შენობა-ნაგებობის უნაკლო მდგომარეობისა და კარგი შესახედაობის შენარჩუნებისათვის.

მუხლი 712b

[1] განსაკუთრებული უფლების საგანს წარმოადგენს ცალკეული ფართები ან ფართების ნაწილები, რომლებიც ბინების ან სამეწარმეო თუ სხვა მიზნებისათვის გათვალისწინებული ფართების სახით თავის თავში უნდა შეიცავდეს საკუთარ შესასვლელს, თუმცა, ამავე დროს, ის შესაძლოა მოიცავდეს ასევე ცალკე გამიჯნულ დამხმარე ფართებსაც.

[2] დაუშვებელია ბინის მესაკუთრისათვის განსაკუთრებული უფლების მინიჭება:

1. მიწაზე მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით და იმ აღნაგობის უფლებაზე, რომლის ძალითაც შენდება ასეთი შენობა-ნაგებობები;

2. შენობის ნაწილებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია შენობა-ნაგებობის ან სხვა მესაკუთრეთა კუთვნილი ფართების სიძლიერისათვის, კონსტრუქციული გაყოფისა და სიმყარისათვის ანდა რომლებიც განსაზღვრავს შენობა-ნაგებობის გარეგნულ ფორმასა და იერ-სახეს;

3. იმ ნაგებობებსა და მოწყობილობებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ასევე ბინის სხვა მესაკუთრეთა მიერ კუთვნილი ფართებით სარგებლობისათვის.

[3] ბინის საკუთრების დაფუძნების აქტითა და ბინის მესაკუთრეთა შორის შემდგომში ანალოგიური ფორმით დადებული შეთანხმებით შენობა-ნაგებობის სხვა შემადგენელი ნაწილები შეიძლება ასევე აღინიშნოს როგორც საერთო საკუთრება; თუ ასეთი აღნიშვნა არ ხდება, მაშინ ივარაუდება, რომ ეს ნაწილები წარმოადგენს განსაკუთრებული უფლების ობიექტს.

მუხლი 712c

[1] ბინის მესაკუთრეს კანონის ძალით არა აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება იმ ნებისმიერი მესამე პირის მიმართ, რომელიც იძენს წილს, თუმცა, აღნიშნული უფლება შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ბინის საკუთრების დაფუძნების აქტსა თუ შემდგომში დადებული შეთანხმებით და წინასწარი ჩანაწერის სახით გატარდეს რეგისტრაციაში საადგილმამულო რეესტრში.

[2] ანალოგიურად შეიძლება დადგინდეს, რომ ფართების გასხვისება, მათი უზუფრუქტით ან ცხოვრების უფლებით დატვირთვა, ისევე როგორც გაქირავება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენმა მესაკუთრეებმა არ გააპროტესტეს აღნიშნული გარიგებები მათ მიერ დადებული გარიგებების თაობაზე მიღებული შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

[3] პროტესტი სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ის წარდგენილ იქნა მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე.

მუხლი 712d

[1] ბინის საკუთრება დგინდება საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციით.

[2] აღნიშნული რეგისტრაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს:

1. თანამესაკუთრეთა შორის მათი წილების ბინის საკუთრებად გაფორმების შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

2. თანასაკუთრების წილების შექმნისა და მათი ბინის საკუთრებად გაფორმების შესახებ უძრავი ქონების მესაკუთრისა და დამოუკიდებელი და გრძელვადიანი აღნაგობის უფლების მფლობელის განცხადების საფუძველზე.

[3] თავისი ნამდვილობისათვის ბინის საკუთრების დადგენის გარიგება საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას, ხოლო თუ ბინის საკუთრების დადგენა ხორციელდება საანდერძო განკარგულებით ან სამკვიდროს გაყოფის შესახებ ხელშეკრულებით, მაშინ – მემკვიდრეობის სამართლით გათვალისწინებული ფორმით.

მუხლი 712e

[1] ბინის საკუთრების დაფუძნების აქტში უნდა მიეთითოს ფართებად გაყოფის წესი და ასევე – თითოეული ფართის ხვედრითი წილი უძრავი ქონებისა და აღნაგობის უფლების ღირებულებაში, რაც გამოხატება საერთო მნიშვნელის მქონე შემადგენელი ნაწილის სახით.

[2] წილთა ღირებულების ცვლილებები საჭიროებს ყველა უშუალოდ ჩართული მხარის თანხმობასა და ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების მოწონებას; თუმცაღა, თითოეული ბინის მესაკუთრეს აქვს შესწორების მოთხოვნის უფლება, თუ მისი წილი შეცდომით არასწორად დადგინდა ან ის უსწორო გახდა შენობა-ნაგებობისა თუ მისი შემოგარენის კონსტრუქციული ცვლილებების შედეგად.

მუხლი 712f

[1] ბინის საკუთრება უქმდება უძრავი ქონების განადგურებით ან აღნაგობის უფლების გაუქმებითა და საადგილმამულო რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის ამოშლით.

[2] აღნიშნული ამოშლა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ბინის საკუთრების გაუქმების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და ამ უკანასკნელის გარეშეც იმ მესაკუთრის მიერ, რომელიც ფლობს ყველა წილს, თუმცა, აღნიშნული საჭიროებს ცალკეულ ფართებზე სანივთო უფლებების მქონე პირების თანხმობას, რომელთა უფლებების გადაცემა შეუძლებელია მთლიანი მიწის ნაკვეთისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

[3] ბინის საკუთრების გაუქმება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ყოველი ბინის მესაკუთრის მიერ, თუ:

1. განადგურდა შენობა-ნაგებობის ღირებულების ნახევარზე მეტი, ხოლო მისი აღდგენა კი დაკავშირებულია მესაკუთრისათვის განსაკუთრებული სირთულეების გადალახვასთან; ან

2. შენობა-ნაგებობა ბინებად არის დაყოფილი 50 წელზე მეტი ხნით და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელია გაუარესებული კონსტრუქციული მდგომარეობის გამო.

[4] ბინის მესაკუთრეებს, რომლებსაც სურთ საერთო საკუთრების შენარჩუნება, შეუძლიათ თავიდან აიცილონ ბინის საკუთრების გაუქმება დანარჩენი მესაკუთრეების წილთა გამოსყიდვის გზით.

მუხლი 712g

[1] საერთო საკუთრების მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება მართვასთან დაკავშირებული მოქმედებებისა და სამშენებლო ღონისძიებათა განხორციელების უფლებამოსილების მიმართ.

[2] თუ აღნიშნული ნორმები თავად ამას არ გამორიცხავს, ისინი შეიძლება შეიცვალოს სხვა წესებით, თუმცა, – მხოლოდ იმ წესებით, რომლებიც მოცემულია ბინის საკუთრების დაფუძნების აქტში ან ერთხმად მიღებულია ყველა ბინის მესაკუთრის გადაწყვეტილებით.

[3] თუმცა, თითოეული ბინის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მართვისა და სარგებლობის მომწესრიგებელი წესების დადგენა და საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაცია ისე, რომ ეს წესები თავისი მავალდებულებელი ძალისათვის საჭიროებს ერთდროულად წილთა ნახევარზე მეტის მფლობელ მესაკუთრეთა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას და ეს წესები ასევე შეიძლება შეიცვალოს ამავე უმრავლესობით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მოცემულია ბინის საკუთრების დაფუძნების აქტში.

[4] მართვისა და სარგებლობის მომწესრიგებელი წესების შესაბამისად ექსკლუზიური სარგებლობის უფლებების განაწილების პრინციპის შეცვლა დამატებით საჭიროებს იმ მესაკუთრეთა თანხმობასაც, რომლებსაც აღნიშნული შეცვლა უშუალოდ ეხება.

მუხლი 712h

[1] ბინის მესაკუთრეებს ეკისრებათ საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული ვალდებულებები და საერთო მართვაში მონაწილეობის ხარჯები მათი წილების ღირებულების პროპორციულად.

[2] სახელდობრ, აღნიშნულ ვალდებულებებსა და ხარჯებს მიეკუთვნება:

1. მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის საერთო ნაწილების, ისევე როგორც საერთო ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე მოვლა-პატნორობის, შეკეთებისა და განახლების დანახარჯები;

2. მმართველობითი საქმიანობის ხარჯები მმართველის საზღაურის ჩათვლით;

3. ბინის მესაკუთრეებზე ერთობლივად დაკისრებული საჯარო-სამართლებრივი გადასახდელები და გადასახადები;

4. განსახორციელებელი საპროცენტო და ამორტიზაციის გადახდები იმ იპოთეკარების მიმართ, რომელთა მოთხოვნების უზრუნველსაყოფადაც დატვირთულია უძრავი ქონება, ან რომელთა წინაშეც ბინის მესაკუთრეებმა იკისრეს სოლიდარული ვალდებულება.

[3] თუ შენობის განსაზღვრული საერთო ნაწილები, ნაგებობები ან მოწყობილობები არ არის განკუთვნილი ცალკეული ფართების მესაკუთრეთა სარგებლობისათვის ან გათვალისწინებულია მხოლოდ მცირე მოცულობით სარგებლობისათვის, მაშინ აღნიშნული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხარჯების განაწილებისას.

მუხლი 712i

[1] უკანასკნელი სამი წლის პერიოდისათვის ხარჯებში თანამონაწილეობის ვალდებულების უზრუნველსაყოფად ბინის მესაკუთრეთა გაერთიანება უფლებამოსილია, დაადგინოს იპოთეკა ყოველი შესაბამისი მესაკუთრის წილზე.

[2] იპოთეკის რეგისტრაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მმართველის ან თუ ასეთი არ არის დანიშნული, ბინის მესაკუთრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ანდა სასამართლოს მიერ აღნიშნულზე უფლებამოსილი ნებისმიერი მესაკუთრის მიერ, ასევე – იმ კრედიტორის მიერ, რომლის სასარგებლოდაც მოხდა ხარჯებში თანამონაწილეობის მოთხოვნის დაყადაღება.

[3] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აზრობრივად გამოიყენება მენაშენის კუთვნილი იპოთეკის დადგენის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 712k

უკანასკნელი სამი წლის პერიოდისათვის ხარჯებში თანამონაწილეობის ვალდებულების უზრუნველსაყოფად ბინის მესაკუთრეთა გაერთიანება უფლებამოსილია, გამქირავებლის მსგავსად, მოახდინოს იმ მოძრავი ნივთების დაკავება, რომლებიც განთავსებულია ბინის მესაკუთრის ფართებში და განკუთვნილია ამ ფართების მოწყობისა თუ სარგებლობისათვის.

მუხლი 712l

[1] ბინის მესაკუთრეთა გაერთიანება საკუთარი სახელით იძენს მისი მმართველობითი საქმიანობიდან გამომდინარე მიღებულ ქონებას, როგორიცაა, სახელდობრ, ხარჯებში თანამონაწილეობის მოთხოვნები და მათგან მიღებული ისეთი განსაკარგავი მატერიალური საშუალებები, როგორიცაა განახლების ფონდი.

[2] ბინის მესაკუთრეთა გაერთიანებას შეუძლია საკუთარი სახელით სარჩელის შეტანა სასამართლოში და კუთვნილი მოთხოვნების რეალიზაცია (betreiben); ის ასევე შეიძლება გამოვიდეს მოპასუხედ სასამართლოში და მოთხოვნების რეალიზაცია განხორციელდეს მის მიმართ.

მუხლი 712m

[1] გარდა სხვა ნორმებში დასახელებული უფლებამოსილებებისა, ბინის მესაკუთრეთა საერთო კრებას აქვს, კერძოდ, შემდეგი უფლებამოსილებები:

1. მიიღოს გადაწყვეტილებები მართვასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხზე, რომლებიც არ განეკუთვნება მმართველის კომპეტენციას;

2. დანიშნოს მმართველი და ზედამხედველობა გაუწიოს მის საქმიანობას;

3. აირჩიოს კომიტეტი ან დელეგატი, რომელსაც შეიძლება დაეკისროს მართვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა, სახელდობრ, მმართველისათვის დახმარების გაწევა რჩევა-დარიგების მიცემით, მის მიერ წარმოებული საქმის კონტროლითა და ამ საკითხებზე საერთო კრების წინაშე ანგარიშგებითა და შესაბამისი წინადადებების წარდგენით;

4. ყოველწლიურად წინასწარი ხარჯთაღრიცხვის, ანგარიშისა და მესაკუთრეთა შორის ხარჯების განაწილების მოწონება;

5. შენობა-ნაგებობის მოვლა-პატრონობისა და განახლების სამუშაოებისათვის განახლების ფონდის შექმნა;

6. შენობა-ნაგებობის დაზღვევა ხანძრისა და სხვა საფრთხეების საწინააღმდეგოდ და ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სტანდარტული დაზღვევის ხელშეკრულებების დადება, გარდა ამისა, – დამატებითი სადაზღვევო პრემიის თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრება იმ მესაკუთრისათვის, რომელმაც თავისი ფართების კონსტრუქციული მოწყობა განსაკუთრებული დანახარჯებით მოახდინა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის თავად საკუთარი ხარჯით აფორმებს დამატებით დაზღვევას.

[2] რამდენადაც კანონი არ შეიცავს განსაკუთრებულ დანაწესებს, ბინის მესაკუთრეთა საერთო კრებისა და კომიტეტის მიმართ გამოიყენება კავშირის ორგანოებისა და კავშირის გადაწყვეტილების გასაჩივრების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 712n

[1] კანონი ბინის მესაკუთრეთა საერთო კრებას იწვევს და თავმჯდომარეობს მმართველი, თუ ბინის მესაკუთრეებმა სხვაგვარად არ გადაწყვიტეს.

[2] გადაწყვეტილებები უნდა აისახოს ოქმებში, რომლებიც ინახება მმართველთან ან ბინის იმ მესაკუთრესთან, რომელიც თავმჯდომარეობდა სხდომას.

მუხლი 712o

[1] რამდენიმე პირს, რომლებსაც ბინა ერთობლივად ეკითვნის, აქვს მხოლოდ ერთი ხმა, რომლის მიცემაც მათ მიერ ხდება წარმომადგენლის მეშვეობით.

[2] ანალოგიურად, ბინის მესაკუთრე და უზუფრუქტუარი უნდა შეთანხმდნენ ხმის უფლების გამოყენებაზე, ხოლო შეთანხმების არარსებობისას კი უზუფრუქტუარი მიიჩნევა ხმის მიცემაზე უფლებამოსილ პირად მართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, გარდა წმინდა სარგებლის მომტანი ან დეკორატიული და კომფორტის შექმნის მიზნით წარმოებული სამშენებლო სამუშაოებისა.

მუხლი 712p

[1] ბინის მესაკუთრეთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ერთდროულად ყველა წილთა ნახევარზე მეტის მფლებელ მესაკუთრეთა ნახევარი, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, სულ ცოტა, – ორი მესაკუთრე.

[2] არასაკმარისი მონაწილეობის შემთხვევაში მოიწვევა მეორე კრება, რომელიც შეიძლება ჩატარდეს პირველი კრებიდან არაუადრეს ათი დღის ვადის გასვლისა.

[3] მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ყველა მესაკუთრეთა მესამედი, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, სულ ცოტა, – ორი მესაკუთრე.

მუხლი 712q

[1] თუ ბინის მესაკუთრეთა საერთო კრება არ ნიშნავს მმართველს, მაშინ თითოეულ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მმართველის სასამართლოს მიერ დანიშვნა.

[2] იგივე უფლება აქვს ასევე დაინტერესებულ პირსაც, როგორიცაა იპოთეკარი და მზღვეველი.

მუხლი 712r

[1] ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მმართველი შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს გამოწვეული კომპენსაციის თანხის მიღების პოტენციური მოთხოვნის უფლებების შენარჩუნების პირობით.

[2] თუ ბინის მესაკუთრეთა საერთო კრება უარს აცხადებს მმართველის გამოწვევაზე სახეზე არსებული მნიშვნელოვანი საფუძვლების უგულებელყოფით, მაშინ თითოეულ მესაკუთრეს ერთი თვის განმავლობაში შეუძლია მოითხოვოს მმართველის სასამართლო წესით გამოწვევა.

[3] სასამართლოს ნებართვის გარეშე დაუშვებელია მის მიერ დანიშნული მმართველის გამოწვევა იმ ვადის გასვლამდე, რა ვადითაც ეს უკანასკნელი არის დანიშნული.

მუხლი 712s

[1] მმართველი ახორციელებს საერთო მართვისათვის საჭირო ყველა მოქმედებას კანონის ნორმებისა და მართვისა და სარგებლობის წესების, ასევე – ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად და საკუთარი ინიციატივით იღებს ყველა იმ ზომას, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქონებისათვის ზიანის თავიდან აცილებისა თუ მისი აღმოფხვრისათვის.

[2] მმართველი ანაწილებს საერთო ხარჯებსა და ვალდებულებებს ცალკეულ მესაკუთრეთა შორის, წარუდგენს მათ შესაბამის ანგარიშ-ფაქტურას, იღებს მათ შენატანებს და ზრუნავს სახეზე არსებული ფულადი სახსრების მართვასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე.

[3] მმართველი ზრუნავს იმაზე, რომ განსაკუთრებული უფლებების განხორციელებისა და მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის საერთო ნაწილების, ისევე როგორც – საერთო მოწყობილობების გამოყენებისას დაცულ იქნეს კანონის, მართვისა და სარგებლობის წესებისა და შინაგანაწესის ნორმები.

მუხლი 712t

[1] მმართველი გარე ურთიერთობებში ახორციელებს როგორც გაერთიანების, ისე ბინის მესაკუთრეთა წარმომადგენლობას საერთო მართვასთან დაკავშირებით მისი კანონისმიერი ამოცანების სფეროში შემავალ ყველა საკითხში.

[2] გარდა გამარტივებული საქმის წარმოებიას, სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ ან მოწინააღმდეგე მხარედ გამოსვლისათვის მმართველი საჭიროებს ბინის

მესაკუთრეთა საერთო კრების მხრიდან წინასწარ მინიჭებულ უფლებამოსილებას გარდა გადაუდებელი საქმეებისა, რომელთა შემთხვევაშიც ასეთი უფლებამოსილება შემდგომშიც შეიძლება იქნეს მინიჭებული.

[3] ბინის ყველა მესაკუთრეთა მიმართ ერთობლივად წარდგენილი განცხადებები, მოთხოვნები, სასამართლოს გადაწყვეტილებები და განკარგულებები მიიჩნევა სათანადოდ ჩაბარებულად, თუ ისინი გაიგზავნა მმართველის საცხოვრებელ ადგილზე ან ნივთის ადგილმდებარეობის მიხედვით.

მეოცე ტიტული: მოძრავ ქონებაზე საკუთრება

მუხლი 713

მოძრავ ქონებაზე საკუთრების საგანს წარმოადგენს თავიანთი ბუნების მიხედვით მოძრავი სხეულებრივი ნივთები, ისევე როგორც – ბუნებრივი ძალები, რომლებიც ექვემდებარება უფლებრივ ბატონობას და არ მიეკუთვნება მიწის ნაკვეთებს.

მუხლი 714

[1] მოძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემა საჭიროებს შემძენისათვის მფლობელობის გადაცემას.

[2] იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამსხვისებელი არ არის უფლებამოსილი საკუთრების უფლების გადაცემაზე, პირი, რომელიც კეთილსინდისიერად, როგორც მესაკუთრე, იღებს მოძრავ ნივთს მფლობელობაში, ხდება მისი მესაკუთრე, როგორც კი მფლობელობის მომწესრიგებელი ნორმების თანახმად ეს პირი დაცული ხდება მის მიერ განხორციელებული ნივთის მფლობელობაში.

მუხლი 715

[1] შემძენისათვის გადასაცემ მოძრავ ნივთზე პირობადებული საკუთრება ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემძენი რეგისტრირებულია თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი მოთხოვნების რეალიზაციის უწყების თანამშრომლის (Betreibungsbeamte) მიერ წარმოებულ ოფიციალურ რეესტრში.

[2] პირუტყვის ვაჭრობაში პირობადებული საკუთრება დაუშვებელია.

მუხლი 716

პირობადებული საკუთრებით გადაცემული საგნები მესაკუთრემ შეიძლება უკან მოითხოვოს მხოლოდ იმ პირობით, თუ ის აანაზღაურებს შემძენის მიერ განვადებით გადახდილ თანხებს სათანადო რაოდენობის ქირის თანხებისა და ცვეთის ხარჯების გამოკლებით.

მუხლი 717

[1] თუ სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობის შედეგად ნივთი რჩება გამსხვისებელთან, მაშინ საკუთრების უფლების გადასვლა მესამე პირების მი-

მართ სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ აღნიშნულის მიზანი იყო ამ პირებისათვის ზიანის მიყენება ან მფლობელობითი გირავნობის (Faustpfand) მომწესრიგებელი ნორმების გვერდის ავლა.

[2] აღნიშნულ საკითხზე სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი შეხედულებით.

მუხლი 718

უპატრონო ნივთზე საკუთრების უფლების შეძენა ხდება მისი მფლობელობაში მიღებით, რასაც ემატება პირის მიერ ამ ნივთის მესაკუთრედ გახდომის ნება.

მუხლი 719

[1] დაჭერილი ცხოველები ხდებიან უპატრონო, თუ ისინი თავისუფლდებიან და მათი მესაკუთრე დაუყოვნებლივ და უწყვეტად არ ახდენს მათ მოძიებასა და არ ცდილობს მათ კვლავ დაჭერას.

[2] მოშინაურებული ცხოველები ხდებიან უპატრონო, როგორც კი ისინი უბრუნდებიან ველურ მდგომარეობას და თავის პატრონს აღარ უბრუნდებიან.

[3] ფუტკრების გუნდები არ ხდებიან უპატრონო იმით, რომ ისინი სხვის მიწის ნაკვეთზე აღმოჩნდებიან.

მუხლი 720

[1] პირი, ვინც პოულობს ნივთს, ამის შესახებ ვალდებულია შეატყობინოს მესაკუთრეს, ხოლო თუ ის მესაკუთრეს არ იცნობს, – ამის თობაზე უნდა განუცხადოს პოლიციას ან თავად უნდა მიიღოს სათანადო ზომები ნივთის პოვნის ფაქტის გასაჯაროებისა და მესაკუთრის მოძიებისათვის.

[2] აღნიშნული პირი პოლიციისათვის ნივთის პოვნის ფაქტის შესახებ შეტყობინებაზე ვალდებულია იმ შემთხვევაში, თუ ნივთის ღირებულება აშკარად აღემატება 10 ფრანკს.

[3] პირი, ვინც ნივთს პოულობს საცხოვრებელ სახლში ან საზოგადოებრივი მომსახურებისათვის გამოყენებულ დაწესებულებასა თუ ტრანსპორტში, ვალდებულია ეს ნივთი გადასცეს სახლის პარტონს, დამქირავებელსა თუ ზედამხეველს.

მუხლი 720a

[1] პირი, ვინც პოულობს დაკარგულ ცხოველს, ამის შესახებ ვალდებულია, 720-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმის გათვალისწინების პირობით, შეატყობინოს მესაკუთრეს, ხოლო ის მესაკუთრეს არ იცნობს, – განაცხადოს ნაპოვარის შესახებ.

[2] კანტონები განსაზღვრავენ ადგილს, სადაც უნდა იქნეს გაცხადებული ნაპოვარის შესახებ.

მუხლი 721

[1] ნაპოვნი ნივთი სათანადო წესით უნდა იქნეს შენახული.

[2] გაყიდვის შესახებ წინასწარ წარდგენილი განცხადების შემდეგ ნაპოვნი ნივთი კომპეტენტური ორგანოს თანხმობით შეიძლება გაიყიდოს საჯარო აუქცი-

ონზე, თუ ის საჭიროებს ძვირადღირებულ მოვლა-პატრონობას ან მალფუჭებადია ანდა თუ პოლიცია თუ საჯარო დაწესებულება ამ ნივთს უკვე ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ინახავდა.

[3] აუქციონზე გაყიდვიდან ამონაგები თანხა იკავებს ნივთის ადგილს.

მუხლი 722

[1] პირი, ვინც ასრულებს თავის მოვალეობებს როგორც მპოვნელი, იძენს ნივთზე საკუთრების უფლებას, თუ ნივთის პოვნის ფაქტის გასაჯაროებიდან ან მესაკუთრისათვის წარდგენილი შეტყობინებიდან ხუთი წლის განმავლობაში შეუძლებელია მესაკუთრის დადგენა.

[1bis] იმ ცხოველების შემთხვევაში, რომლებიც ჰყავთ სახლის პირობებში ნაცვლად მათი საინვესტიციო ან კომერციული მიზნით ყოლისა, აღნიშნული ვადა შეადგენს ორ თვეს.

[1ter] თუ მპოვნელი ცხოველს გადასცემს ცხოველების თავშესაფარს იმ განზრახვით, რომ საბოლოოდ უარი თქვას მის მფლობელობაზე, მაშინ ცხოველის მიღებიდან ორი თვის გასვლის შემდეგ ცხოველების თავშესაფარს შეუძლია თავისუფლად განკარგოს ცხოველი.

[2] თუ ნაპოვარი უბრუნდება მესაკუთრეს, მაშინ მპოვნელს აქვს მოთხოვნის უფლება ყველა ხარჯის ანაზღაურებაზე, ისევე როგორც – სათანადო ჯილდოს მიღებაზე.

[3] საცხოვრებელ სახლში ან საზოგადოებრივი მომსახურებისათვის გამოყენებულ დაწესებულებასა თუ ტრანსპორტში ნივთის პოვნის შემთხვევაში, მპოვნელად მიიჩნევიან სახლის პარტონი, დამქირავებელი ან დაწესებულება, თუმცაღა ეს უკანასკნელები ვერ მოითხოვენ მპოვნელის ჯილდოს.

მუხლი 723

[1] თუ ძვირადღირებული საგნის აღმოჩენა ხდება იმ გარემოებებში, რომლებშიც სარწმუნოდ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის დიდხანს იყო დაფლული ან გადამალული და აღარ ჰყავს მესაკუთრე, მაშინ ეს საგანი განიხილება როგორც განძი.

[2] სამეცნიერო ღირებულების მქონე ობიექტების მომწესრიგებელი დანაწესების გათვალისწინების პირობით განძი ეკუთვნის იმ მიწის ნაკვეთისა თუ მოძრავი ნივთის მესაკუთრეს, რომელშიც ის იქნა აღმოჩენილი.

[3] მპოვნელს აქვს მოთხოვნის უფლება სათანადო ანაზღაურების მიღებაზე, რომელიც, ამავე დროს, არ უნდა აღემატებოდეს განძის ღირებულების ნახევარს.

მუხლი 724

[1] სამეცნიერო ღირებულების მქონე უპატრონო ბუნებრივი ობიექტები ან ანტიკვარული ნივთები წარმოადგენს იმ კანტონის საკუთრებას, რომლის ტერიტორიაზეც ისინი აღმოაჩინეს.

[1bis] კომპეტენტური კანტონალური ორგანოების თანხმობის გარეშე აღნიშნული ობიექტების გასხვისება დაუშვებელია. დაუშვებელია ასევე მათი შეძენა როგორც შეძენითი ხანდაზმულობით, ისე კეთილსინდისიერადაც. აღნიშნული ობიექტების უკან გამოთხოვის უფლება არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

[2] მესაკუთრე, რომლის მიწის ნაკვეთშიც იქნა აღმოჩენილი ზემოაღნიშნული ობიექტები, ვალდებულია დაუშვას მათი ამოთხრა ამის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების პირობით.

[3] მპოვნელს, ხოლო განძის შემთხვევაში კი, – ასევე მესაკუთრესაც აქვთ მოთხოვნის უფლება სათანადო ანაზღაურების მიღებაზე, რომელიც, ამავე დროს, არ უნდა აღემატებოდეს ობიექტების ღირებულებას.

მუხლი 725

[1] თუ მოძრავი ნივთები პირის მფლობელობაში აღმოჩნდება წყლის ნაკადის, ქარის, ზვავისა თუ სხვა ბუნებრივი ძალის ან შემთხვევითი მოვლენის შედეგად, ანდა თუ სხვისი კუთვნილი ცხოველები აღმოჩნდებიან ამ პირის გამგებლობაში, მაშინ ამ უკანასკნელს აქვს მპოვნელის უფლებები და ეკისრება მისი მოვალეობები.

[2] თუ ფუტკრების გუნდი შეფრინდება სხვის კუთვნილ ფუტკრებიან სკაში, მაშინ ამ სკის მესაკუთრე იძენს საკუთრებას ამ გუნდზე კომპენსაციის გადახდის რაიმე ვალდებულების გარეშე.

მუხლი 726

[1] თუ პირმა სხვისი კუთვნილი ნივთი გადაამუშავა ან გადააკეთა, მაშინ ახალი ნივთი ეკუთვნის გადამამუშავებელს, თუ სამუშაო უფრო მეტი ღირებულების მქონეა, ვიდრე მასალა, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში კი, – მასალის მესაკუთრეს.

[2] თუ გადამამუშავებელი არ მოქმედებდა კეთილსინდისიერად, მაშინ სასამართლოს შეუძლია ახალი ნივთი მიაკუთვნოს მასალის მესაკუთრეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამუშაო უფრო მეტი ღირებულების მქონეა, ვიდრე მასალა.

[3] შენარჩუნებულია ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები.

მუხლი 727

[1] თუ სხვადასხვა მესაკუთრეთა კუთვნილი მოძრავი ნივთები ერთმანეთს ისე შეერევა ან შეუერთდება, რომ მათი გამოყოფა შეუძლებელი ხდება მნიშვნელოვანი ზიანისა თუ შეუსაბამო სამუშაოსა და დანახარჯების გარეშე, მაშინ ნივთების მესაკუთრეები ახალ ნივთზე იძენენ თანასაკუთრებას, თანაც – იმ ღირებულების მიხედვით, რაც აქვს ცალკეულ ნაწილებს შეერთების მომენტში.

[2] თუ ერთი მოძრავი ნივთი მეორეს შეერევა ან შეუერთდება იმგვარად, რომ ის იძენს მეორეხარისხოვანი შემადგენელი ნაწილის თვისებას, მაშინ მთლიანი ნივთი ეკუთვნის მთავარი შემადგენელი ნაწილის მესაკუთრეს.

[3] შენარჩუნებულია ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები.

მუხლი 728

[1] თუ პირი სხვის კუთვნილ მოძრავ ნივთს უწყვეტად და შეცილების გარეშე კეთილსინდისიერად ფლობს ხუთი წლის განმავლობაში როგორც საკუთარს, მაშინ ის ხდება მესაკუთრე შეძენითი ხანდაზმულობის გზით.

[1bis] იმ ცხოველების შემთხვევაში, რომლებიც ჰყავთ სახლის პირობებში ნაცვლად მათი საინვესტიციო ან კომერციული მიზნით ყოლისა, აღნიშნული ვადა შეადგენს ორ თვეს.

[1ter] კანონისმიერი გამონაკლისების გათვალისწინების პირობით, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გადაცემის შესახებ 2003 წლის 20 ივნისის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შეძენითი ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 30 წელს.

[2] მფლობელობის არანებაყოფლობითი დაკარგვა შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენას არ წყვეტს, თუ მფლობელი ერთი წლის განმავლობაში ან იგივე ვადის განმავლობაში წარდგენილი სარჩელის მეშვეობით ნივთს იბრუნებს.

[3] შეძენითი ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის, მათი დენის შეწყვეტისა და შეჩერების მიმართ შესაბამისად გამოიყენება მოთხოვნების ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 729

მიუხედავად მფლობელობის დაკარგვისა, მოძრავ ქონებაზე საკუთრება არ უქმდება მანამდე, სანამ მესაკუთრე არ განაცხადებს უარს თავის უფლებაზე, ან შემდგომში სხვა პირი არ შეიძენს ამ ქონებაზე საკუთრებას.

მეორე განყოფილება: შეზღუდული სანივთო უფლებები

ოცდამეერთე ტიტული: სერვიტუტები და მიწის გადასახდელები

პირველი თავი: მიწის სერვიტუტები

მუხლი 730

[1] მიწის ნაკვეთი სხვა მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ შეიძლება უფლებრივად დაიტვირთოს იმგვარად, რომ მისი მესაკუთრე ვალდებულია იყოს, დაუშვას სხვა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის განსაზღვრული ჩარევები ან ამ უკანასკნელის სასარგებლოდ კონკრეტული მიმართულებების მხრივ არ განახორციელოს თავისი საკუთრების უფლებიდან გამომდინარე უფლებამოსილებები.

[2] მოქმედებების განხორციელების ვალდებულება მიწის სერვიტუტთან შეიძლება მხოლოდ აქცესორულად (nebensächlich) იყოს დაკავშირებული. უფლებამოსილი ან მომსახურე მიწის ნაკვეთის შემძენისათვის აღნიშნული ვალდებულება მბოჭავია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამომდინარეობს საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერიდან.

მუხლი 731

[1] მიწის სერვიტუტის დადგენისათვის საჭიროა საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაცია.

[2] რამდენადაც სხვაგვარად არ არის დადგენილი, შეძენისა და რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს მიწის საკუთრების მომწესრიგებელი ნორმები.

[3] ხანდაზმულობით შეძენა მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთებზე არსებული სერვიტუტის მიმართ არის შესაძლებელი, რომლებიც თავად შეიძლება შეძენილ იქნეს ხანდაზმულობით.

მუხლი 732

[1] მიწის სერვიტუტის დამდგენი გარიგება თავისი ნამდვილობისათვის საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას.

[2] თუ სერვიტუტის უფლების განხორციელება შემოიფარგლება მიწის ნაკვეთის ნაწილით და ადგილობრივი მდგომარეობა არ არის საკმარისად განსაზღვრულად აღწერილი სამართლებრივი საფუძვლის დოკუმენტში, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა იქნეს ნაჩვენები საადგილმამულო რეესტრისათვის განკუთვნილი გეგმის ამონარიდში.

მუხლი 733

მესაკუთრე უფლებამოსილია, თავისი მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ დაადგინოს სერვიტუტი სხვა მიწის ნაკვეთზე, რომელიც ასევე მას ეკუთვნის.

მუხლი 734

ყოველი მიწის სერვიტუტი უქმდება საადგილმამულო რეესტრში მის შესახებ ჩანაწერის ამოშლით, ისევე როგორც მომსახურე ან უფლებამოსილი მიწის ნაკვეთის სრული განადგურებით.

მუხლი 735

[1] თუ უფლებამოსილი პირი ხდება მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მაშინ მას შეუძლია უზრუნველყოს სერვიტუტის შესახებ ჩანაწერის ამოშლა.

[2] ჩანაწერის ამოშლამდე სერვიტუტი აგრძელებს არსებობას როგორც სანივთო უფლება.

მუხლი 736

[1] თუ უფლებამოსილი მიწის ნაკვეთისათვის სერვიტუტმა დაკარგა ყოველგვარი ინტერესი, მაშინ მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მის შესახებ ჩანაწერის ამოშლა.

[2] ამავე დროს, თუ უფლებამოსილი მიწის ნაკვეთის ინტერესი ჯერ კიდევ სახეზეა, თუმცა უფლებრივ დატვირთვასთან შედარებით ეს ინტერესი შეუსაბამად მცირეა, მაშინ სერვიტუტი შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გაუქმდეს საზღაურის გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 737

[1] უფლებამოსილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოიმოქმედოს ყვე-

ლაფერი ის, რაც აუცილებელია სერვიტუტის შენარჩუნებისა და რეალიზაციისათვის.

[2] თუმცა, ის ვალდებულია, თავისი უფლება განახორციელოს მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მაქსიმალური დანდობით.

[3] მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არ შეუძლია იმ ქმედებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუშლის ან გაართულებს სერვიტუტის უფლების განხორციელებას.

მუხლი 738

[1] რამდენადაც საადგილმამულო რეესტრის შესახებ სარეგისტრაციო ჩანაწერიდან უფლებები და ვალდებულებები ნათლად იკვეთება, ეს ჩანაწერი განმსაზღვრელია სერვიტუტის შინაარსისათვის.

[2] აღნიშნული ჩანაწერის ფარგლებში სერვიტუტის შინაარსი შეიძლება გამომდინარეობდეს მისი შეძენის საფუძვლიდან ან ტიპიდან, როგორიცაა მისი შეცილების გარეშე და კეთილსინდისიერად გამოუყენებლობა.

მუხლი 739

უფლებამოსილი მიწის ნაკვეთის საჭიროებების შეცვლის შემთხვევაში, დაუშვებელია მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის დამატებითი უფლებრივი ტვირთვის დაკისრება.

მუხლი 740

თუ ცალკეული შემთხვევებისათვის სხვაგვარად არ არის დადგენილი, აუცილებელი გზის უფლებები, როგორიცაა საფეხმავლო გზა, გაკვალული გზა, მანქანების სავალი გზა, მინდორში გაკვალული გზა, ზამთრის პერიოდში სავალი გზა, ხე-ტყის მასალის გატარების გზა, ასევე – პირუტყვის ძოვების უფლებები, ხე-ტყის ჭრის უფლებები, პირუტყვისათვის წყლის დალევინების უფლებები, საირიგაციო უფლებები და მისთ. განისაზღრება კანტონალური სამართლითა და ადგილობრივი ჩვეულებებით.

მუხლი 740a

[1] თუ რამდენიმე უფლებამოსილი პირი ერთიდაიგივე სერვიტუტის საფუძველზე სარგებელს იღებს საერთო მოწყობილობიდან და არანაირი სხვაგვარი შეთანხმება სახეზე არ არის, მაშინ აზრობრივად გამოიყენება თანამესაკუთრეთა მიმართ მოქმედი წესები.

[2] სერვიტუტზე უარის თქმით თანასაკუთრებიდან გარიცხვის უფლების განხორციელება შეიძლება სერვიტუტის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმით დადებული შეთანხმებით გამოირიცხოს მაქსიმუმ 30 წლის ვადით. ეს შეთანხმება შეიძლება წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრაციაში გატარდეს საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 741

[1] თუ სერვიტუტის უფლების რეალიზაციისათვის საჭიროა განსაზღვრული მოწყობილობა, მაშინ უფლებამოსილ პირს ევალება მისი მოვლა-პატრონობა.

[2] თუ მოწყობილობა ემსახურება ასევე მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესებსაც, მაშინ მოვლა-პატრონობის ხარჯები ეკისრება ორივე მხარეს მათი ინტერესების პროპორციულად. განსხვავებული შეთანხმება მბოჭავია უფლებამოსილი და მომსახურე მიწის ნაკვეთების შემძენისათვის, თუ მისი არსებობა დგინდება საადგილმამულო რეესტრის დოკუმენტაციიდან გამომდინარე.

მუხლი 742

[1] თუ მიწის სერვიტუტის გამოყენება შეეხება მხოლოდ მიწის ნაკვეთის ნაწილს, მაშინ მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს სერვიტუტის სხვა, უფლებამოსილი პირისათვის არანაკლებ მოსახერხებელ ადგილზე გადატანა იმ პირობით, რომ ის დაამტკიცებს შესაბამისი ინტერესის არსებობას და იკისრებს ხარჯების დაფარვას.

[2] აღნიშნულზე მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე უფლებამოსილია ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ სერვიტუტი საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც განსაზღვრულ ადგილზე არსებული.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 743

[1] თუ იყოფა უფლებამოსილი ან მომსახურე მიწის ნაკვეთები, მაშინ სერვიტუტი აგრძელებს არსებობას ყველა ნაწილზე.

[2] თუ არსებული დოკუმენტაციისა თუ გარემოებების შესაბამისად სერვიტუტის გამოყენება შემოიფარგლება ცალკეული ნაწილებით, მაშინ სხვა ნაწილებზე ის უნდა გაუქმდეს.

[3] შესწორების პროცედურა რეგულირდება საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერების ამოშლისა და შეცვლის შესახებ ნორმებით.

მუხლი 744 (გაუქმებულია)

მეორე თავი: უზუფრუქტი და სხვა სერვიტუტები

მუხლი 745

[1] უზუფრუქტი შეიძლება დადგინდეს მოძრავ ნივთებზე, მიწის ნაკვეთებზე, უფლებებზე ან ქონებაზე.

[2] როდესაც შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, უზუფრუქტი უფლებამოსილ პირს ანიჭებს უზუფრუქტის საგნის მაქსიმალური სარგებლობის უფლებამოსილებას.

[3] მიწის ნაკვეთზე არსებული უზუფრუქტის გამოყენება შეიძლება შეიზღუდოს შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთის განსაზღვრული ნაწილით.

მუხლი 746

[1] მოძრავი ნივთებისა თუ მოთხოვნების შემთხვევაში უზუფრუქტის დადგე-

ნისათვის საჭიროა შემძენისათვის მფლობელობის გადაცემა, ხოლო მიწის ნაკვეთების შემთხვევაში კი, – რეგისტრაცია საადგილმამულო რეესტრში.

[2] რამდენადაც სხვაგვარად არ არის დადგენილი, მოძრავი ნივთებისა და მიწის ნაკვეთების შეძენის, ისევე როგორც რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს საკუთრების უფლების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 747 (გაუქმებულია)

მუხლი 748

[1] უზუფრუქტი უქმდება მისი საგნის სრული განადგურებით, ხოლო მიწის ნაკვეთების შემთხვევაში კი, – საადგილმამულო რეესტრში ჩანაწერის ამოშლით იქ, სადაც ასეთი ჩანაწერი უზუფრუქტის დადგენისათვის აუცილებელი იყო.

[2] გაუქმების სხვა საფუძვლები, როგორიცაა ვადის გასვლა, უფლებამოსილი პირის უარი ან გარდაცვალება მიწის ნაკვეთების შემთხვევაში იძლევა მხოლოდ საადგილმამულო რეესტრში ჩანაწერის ამოშლის მოთხოვნის უფლებას.

[3] კანონისმიერი უზუფრუქტი უქმდება მისი საფუძვლის მოსპობით.

მუხლი 749

[1] უზუფრუქტი უქმდება უფლებამოსილი პირის გარდაცვალებით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში კი, – ამ უკანასკნელის გაუქმებით.

[2] თუმცაღა, იურიდიული პირებისათვის უზუფრუქტი შეიძლება გრძელდებოდეს მაქსიმუმ 100 წელი.

მუხლი 750

[1] მესაკუთრე არ არის ვალდებული, აღადგინოს განადგურებული ნივთი.

[2] თუ მესაკუთრე აღადგენს ნივთს, მაშინ მასთან ერთად აღდგება ასევე უზუფრუქტიც.

[3] თუ მოხდება განადგურებული ნივთის შეცვლა, მაგ., ექსპროპრიაციისა და დაზღვევის დროს, მაშინ უზუფრუქტი აგრძელებს არსებობას შემცვლელ ობიექტზე.

მუხლი 751

უზუფრუქტის დასრულებისას მფლობელმა მესაკუთრეს უნდა დაუბრუნოს უზუფრუქტის ობიექტი.

მუხლი 752

[1] უზუფრუქტუარი პასუხისმგებელია ნივთის განადგურებისა და მისი ღირებულების შემცირებისათვის, რამდენადაც ის ვერ ამტკიცებს, რომ აღნიშნული ზარალი მიყენებულ იქნა მისი ბრალის გარეშე.

[2] უზუფრუქტუარმა უნდა აანაზღაუროს იმ გამოყენებული საგნების ღირებულება, რომელთა მოხმარებაც არ ქმნის უზუფრუქტის საგნით სარგებლობას.

[3] უზუფრუქტუარმა არ უნდა აანაზღაუროს იმ საგნების ღირებულების შემცირება, რაც დგება ნივთის ჩვეულებრივი გამოყენების შედეგად.

მუხლი 753

[1] თუ უზუფრუქტუარმა ნივთზე გასწია ის ხარჯები ან განახორციელა მისი ისეთი გაუმჯობესებები, რაზეც ის არ იყო ვალდებული, ნივთის დაბრუნებისას მას შეუძლია მოითხოვოს საზღაური როგორც შემსრულებელს დავალების გარეშე სხვისი საქმების შესრულებისას.

[2] უზუფრუქტუარს შეუძლია თან წაიღოს მის მიერ ნივთზე განთავსებული ის მოწყობილობები, რომელთათვისაც მესაკუთრეს არ სურს მისთვის კომპენსაციის გადახდა, თუმცა უზუფრუქტუარი ვალდებულია, აღადგინოს თავდაპირველი მდგომარეობა.

მუხლი 754

ნივთის გადაკეთებისა თუ ღირებულების შემცირების გამო კომპენსაციის მიღებაზე მესაკუთრის კუთვნილი მოთხოვნის უფლებები, ისევე როგორც – ხარჯების ანაზღაურებასა თუ ნივთზე განთავსებული მოწყობილობების თან წაღებაზე უზუფრუქტუარის კუთვნილი მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ნივთის დაბრუნებიდან ერთი წლის ვადის გასვლისთანავე.

მუხლი 755

[1] უზუფრუქტუარს აქვს ნივთის ფლობის, მისი გამოყენებისა და სარგებლობის უფლება.

[2] უზუფრუქტუარმა უნდა იზრუნოს ნივთის მართვაზე.

[3] უზუფრუქტის უფლების განხორციელებისას უზუფრუქტუარმა უნდა იმოქმედოს მეურნეობის გულმოდგინედ წარმართვის შესახებ წესების შესაბამისად.

მუხლი 756

[1] ბუნებრივი ნაყოფი ეკუთვნის უზუფრუქტუარს, თუ ის დამწიფდა უზუფრუქტუარის უფლებამოსილების პერიოდის განმავლობაში.

[2] პირს, ვინც ამუშავებს მიწის ნაკვეთს, მის მიერ გაწეული ხარჯებისათვის აქვს სათანადო კომპენსაციის მიღების მოთხოვნის უფლება იმ პირის მიმართ, ვინც იღებს მწიფე ნაყოფს, თუმცაღა ამ კომპენსაციის თანხა არ უნდა აღემატებოდეს მიღებული ნაყოფის ღირებულებას.

[3] შემადგენელი ნაწილები, რომლებიც არ წარმოადგენს წარმოებულ პროდუქტებსა თუ ნამატს, რჩება ნივთის მესაკუთრეს.

მუხლი 757

უზუფრუქტით გადაცემული თანხებისა და სხვა პერიოდული გადასახდელების პროცენტები ეკუთვნის უზუფრუქტუარს უფლების წარმოშობის დღიდან იმ მომენტამდე, როდესაც ის უქმდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული გადასახდელების განხორციელების ვადა მხოლოდ შემდგომში დადგება.

მუხლი 758

[1] უზუფრუქტის რეალიზაციის უფლება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ ის მკაცრად პირადულ უფლებას არ წარმოადგენს.

[2] მესაკუთრე უფლებამოსილია, თავისი უფლებების რეალიზაცია მოახდინოს უშუალოდ აღნიშნული პირის მიმართ.

მუხლი 759

მესაკუთრეს შეუძლია შეეწინააღმდეგოს ნებისმიერ კანონსაწინააღმდეგო ან ნივთის არასათანადო გამოყენებას.

მუხლი 760

[1] მესაკუთრე უფლებამოსილია, უზუფრუქტუარისაგან მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა, რამდენადაც ის დაამტკიცებს, რომ მის უფლებებს ექმნება საფრთხე.

[2] მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა აღნიშნული მტკიცებულების გარეშეც და უკვე ნივთის გადაცემამდეც, თუ უზუფრუქტის საგანს წარმოადგენს მოხმარებადი ნივთები ან ფასიანი ქაღალდები.

[3] ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში უზრუნველყოფის წარდგენისათვის საკმარისია მათი დეპონირება.

მუხლი 761

[1] უზრუნველყოფის წარდგენის მოთხოვნის უფლება არ არსებობს იმ პირის მიმართ, რომელმაც უზუფრუქტის საგანი მესაკუთრეს აჩუქა უზუფრუქტის უფლების შენარჩუნების პირობით.

[2] კანონისმიერი უზუფრუქტის შემთხვევაში უზრუნველყოფის წარდგენის მოთხოვნის უფლება ექვემდებარება შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ სპეციალურ წესებს.

მუხლი 762

თუ უზუფრუქტუარი ვერ წარადგენს უზრუნველყოფას მისთვის ამისათვის მიცემულ გონივრულ ვადაში ან, მესაკუთრის წინააღმდეგობის მიუხედავად, ის მაინც არ წყვეტს ნივთის უკანონოდ გამოყენებას, მაშინ სასამართლომ მას დროებით უნდა ჩამოართვას მფლობელობა და დაადგინოს მზრუნველობა.

მუხლი 763

მესაკუთრესა და უზუფრუქტუარს აქვთ უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვონ საერთო ხარჯით უზუფრუქტის საგნების ნუსხის ოფიციალურად დამოწმებული დოკუმენტის სახით შედგენა.

მუხლი 764

[1] უზუფრუქტუარმა უზუფრუქტის საგანი უნდა შეინარჩუნოს მის საწყის მდგომარეობაში და საკუთარი ინიციატივით განახორციელოს ისეთი გაუმჯობესებები და განახლებები, რომლებიც მიეკუთვნება ნივთის ჩვეულებრივ მოვლა-პატრონობას.

[2] თუ უზუფრუქტის საგნის დაცვისათვის აუცილებელია უფრო მნიშვნელოვანი სამუშაოები ან ზომები, მაშინ უზუფრუქტუარმა ამის შესახებ უნდა შეა-

ტყობინოს მესაკუთრეს და მიიღოს ასეთი სამუშაოების ჩატარებისა თუ ზომების მიღების ნებართვა.

[3] თუ მესაკუთრე არ იძლევა აღნიშნულ ნებართვას, მაშინ უზუფრუქტუარი უფლებამოსილია, თავად ჩაატაროს სამუშაოები ან მიიღოს ზომები მესაკუთრის ხარჯზე.

მუხლი 765

[1] უზუფრუქტუარს თავისი უფლებამოსილების ხანგრძლივობის პროპორციულად ეკისრება ნივთის ჩვეულებრივი მოვლა-პატრონობისა და მართვის ხარჯები, პროცენტები კაპიტალური ვალებისათვის, ისევე როგორც – გადასახადები და მოსაკრებლები.

[2] თუ გადასახადები და მოსაკრებლები გადაიხდება მესაკუთრის მიერ, მაშინ უზუფრუქტუარმა მას იგივე ოდენობით უნდა გადაუხადოს კომპენსაცია.

[3] ყველა სხვა გადასახდელი ეკისრება მესაკუთრეს, თუმცაღა, იმ შემთხვევაში, თუ უზუფრუქტუარი შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე მესაკუთრეს ავანსის სახით უსასყიდლოდ არ გადასცემს აუცილებელ ფულად სახსრებს, ამ უკანასკნელს შეუძლია ამ მიზნით უზუფრუქტის საგნების რეალიზაცია.

მუხლი 766

თუ უზუფრუქტით დატვირთულია ქონება, მაშინ უზუფრუქტუარმა კაპიტალური ვალებისათვის უნდა გადაიხადოს პროცენტები, თუმცა, იქ, სადაც ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, მას შეუძლია პროცენტების ვალდებულების გადახდისაგან გათავისუფლდეს იმით, რომ ვალების დაფარვის შემდეგ უზუფრუქტი შემოიფარგლება ქონების ნარჩენი ღირებულებით.

მუხლი 767

[1] უზუფრუქტუარმა მესაკუთრის სასარგებლოდ უნდა დააზღვიოს უზუფრუქტის საგანი ხანძრისა და სხვა საფრთხეებისაგან, რამდენადაც მოცემულ ადგილას მიღებული წარმოდგენების მიხედვითა და მეურნეობის გულმოდგინედ წარმართვის შესახებ წესების შესაბამისად ასეთი დაზღვევა სავალდებულოდ მიიჩნევა.

[2] ასეთ შემთხვევაში, რამდენადაც უზუფრუქტით იტვირთება უკვე დაზღვეული ნივთი, უზუფრუქტის მოქმედების პერიოდისათვის დაზღვევის პრემიის ხარჯები ეკისრება უზუფრუქტუარს.

მუხლი 768

[1] მიწის ნაკვეთის უზუფრუქტუარმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მიწის ნაკვეთი არ იქნეს გამოყენებული უზუფრუქტის სახეობის მიხედვით გათვალისწინებული ჩვეულებრივი ფარგლების გადამეტებით.

[2] რამდენადაც ნაყოფის მიღება ხდება აღნიშნული ფარგლების გადამეტებით, ასეთი ნაყოფი ეკუთვნის მესაკუთრეს.

მუხლი 769

[1] უზუფრუქტუარს არ შეუძლია მიწის ნაკვეთის სამეურნეო დანიშნულების

იმგვარად შეცვლა, რომ ამით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს მესაკუთრეს.

[2] მას არ შეუძლია არც ნივთის გარდაქმნა და არც მისი არსებითი შეცვლა.

[3] ახალი კარიერის მოწყობა, თიხიანი კირქვის თხრა, ტორფის მოპოვება და მისთ. უზუფრუქტუარს შეუძლია მხოლოდ მესაკუთრისათვის წინასწარ გაგზავნილი შეტყობინებით და იმ პირობით, რომ ამის შედეგად მიწის ნაკვეთის სამეურნეო დანიშნულება არსებითად არ შეიცვლება.

მუხლი 770

[1] თუ უზუფრუქტის საგანს წარმოადგენს ტყე, მაშინ უზუფრუქტუარს შეუძლია ამ ტყით ისარგებლოს იმ ფარგლებში, რაც ჩვეულებრივი სამეურნეო გეგმის მიხედვით არის გამართლებული.

[2] როგორც მესაკუთრეს, ისე უზუფრუქტუარს შეუძლიათ მოითხოვონ იმ გეგმის შესრულება, რომლითაც არ ირღვევა მათი უფლებები.

[3] თუ ქარბუქის, თოვლის, ხანძრის, მწერების შემოსევისა თუ სხვა მიზეზების შედეგად ადგილი აქვს გადამეტებულ ექსპლუატაციას, მაშინ თანდათანობით ეს უკანასკნელი უნდა შემცირდეს ან სამეურნეო გეგმა უნდა იქნეს მისადაგებული შეცვლილი გარემოებებისადმი, თუმცა გადამეტებული ექსპლუატაციის შედეგად მიღებული შემოსავალი უნდა განთავსდეს სასყიდლიან ანაბარზე და მოემსახუროს ზარალის ანაზღაურების მიზანს.

მუხლი 771

ტყის უზუფრუქტის მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ ობიექტების უზუფრუქტის მიმართ, რომელთა გამოყენებაც დაკავშირებულია მიწის მასების ამოღებასთან, როგორიცაა, სახელდობრ, საბადოები.

მუხლი 772

[1] თუ შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, უზუფრუქტუარი იძენს საკუთრების უფლებას მოხმარებად ნივთებზე, თუმცა ის ვალდებულია, აანაზღაუროს ის ღირებულება, რომელიც მათ უზუფრუქტის დადგენისას ჰქონდა.

[2] თუ სხვა მოძრავი ნივთები შეფასებით გადავა უზუფრუქტუარის საკუთრებაში, მაშინ თუ შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, უზუფრუქტუარს შეუძლია თავისუფლად განკარგოს ისინი, თუმცა ის ვალდებულია, აანაზღაუროს ამ ნივთების ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ ის იყენებს ასეთ უფლებას.

[3] სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, ნახირი, სასაქონლო საწყობები და მისთ. შეიძლება შეიცვალოს იგივე სახისა და ხარისხის ობიექტებით.

მუხლი 773

[1] თუ უზუფრუქტის საგანს წარმოადგენს მოთხოვნები, მაშინ უზუფრუქტუარს ეკუთვნის ამ მოთხოვნებიდან ამონაგები თანხა.

[2] მოვალის მიმართ ხელშეკრულების შეწყვეტა, ისევე როგორც ფასიანი ქაღალდების განკარგვა კრედიტორისა და უზუფრუქტუარის მხრიდან უნდა ხორციელდებოდეს ერთობლივად, ხოლო მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა კი უნდა ხორციელდებოდეს ორივე მათგანის მიმართ.

[3] კრედიტორსა და უზუფრუქტუარს ერთმანეთის მიმართ აქვთ უფლება, მოთხოვნისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში მოსთხოვონ ერთმანეთს იმ ღონისძიებების მიღებაზე თანხმობის მიცემა, რომლებიც მიეკუთვნება გულმოდგინე მართვას.

მუხლი 774

[1] თუ მოვალე არ არის უფლებამოსილი, თანხების დაფარვა აწარმოოს კრედიტორის ან უზუფრუქტუარის მიმართ, მაშინ მან გადახდები უნდა განახორციელოს ერთდროულად ორივეს მიმართ ან მოახდინოს თანხის დეპოზიტზე განთავსება.

[2] შესრულების საგანი, როგორიცაა, სახელდობრ, უკან დაბრუნებული ძირითადი თანხა, დატვირთულია უზუფრუქტით.

[3] როგორც კრედიტორს, ისე უზუფრუქტუარს აქვთ მოთხოვნის უფლება თანხების ახალ სანდო და პროცენტიან განთავსებაზე.

მუხლი 775

[1] უზუფრუქტუარს აქვს უფლება, უზუფრუქტის დადგენიდან სამი თვის განმავლობაში მოითხოვოს უზუფრუქტით დატვირთული მოთხოვნებისა და ფასიანი ქაღალდების დათმობა.

[2] აღნიშნული დათმობის განხორციელებისთანავე უზუფრუქტუარი ვალდებულია თავდაპირველ კრედიტორს აუნაზღაუროს დათმობის მომენტისათვის მოთხოვნებისა და ფასიანი ქაღალდების არსებული ღირებულება და ამ თანხის ოდენობით წარადგინოს უზრუნველყოფა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი ამაზე უარს განაცხადებს.

[3] თუ სახეზე არ არის აღნიშნული უარი, მოთხოვნებსა და ფასიანი ქაღალდებზე საკუთრება გადადის მხოლოდ უზრუნველყოფის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 776

[1] ცხოვრების უფლება პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, საცხოვრებლად გამოიყენოს შენობა ან მისი ნაწილი.

[2] ცხოვრების უფლება არ ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას და არც მემკვიდრეობით გადადის.

[3] რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ადგენს, ცხოვრების უფლების მიმართ გამოიყენება უზუფრუქტის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 777

[1] ზოგადად ცხოვრების უფლება დგინდება უფლებამოსილი პირის პირადი საჭიროებების შესაბამისად.

[2] თუმცაღა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცხოვრების უფლება ექსკლუზიურად დაკავშირებულია მისი მფლობელის პიროვნებასთან, უფლებამოსილ პირს შეუძლია საცხოვრებელ სახლში თავისი ნათესავებისა და ოჯახის წევრების მიღებაც.

[3] თუ ცხოვრების უფლება შენობის ერთი ნაწილით არის შეზღუდული, მაშინ უფლებამოსილ პირს შეუძლია გამოიყენოს საერთო სარგებლობისათვის გათვალისწინებული მოწყობილობებიც.

მუხლი 778

[1] თუ უფლებამოსილ პირს აქვს ექსკლუზიური ცხოვრების უფლება, მაშინ მას ეკისრება ჩვეულებრივი მოვლა-პატრონობის ხარჯები.

[2] თუ უფლებამოსილ პირს აქვს მხოლოდ თანასარგებლობის უფლება, მაშინ მოვლა-პატრონობის ხარჯები ეკისრება მესაკუთრეს.

მუხლი 779

[1] მიწის ნაკვეთი შეიძლება სარგებლობის სანივთო უფლებით (Dienstbarkeit) დაიტვირთოს იმგვარად, რომ პირს ენიჭებოდეს უფლება, ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ აღმართოს ან იქონიოს შენობა-ნაგებობება.

[2] თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, აღნიშნული უფლება ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას და გადადის მემკვიდრეობით.

[3] თუ აღნაგობა წარმოადგენს დამოუკიდებელ და გრძელვადიან უფლებას, ის შეიძლება, მსგავსად მიწის ნაკვეთისა, რეგისტრირებულ იქნეს საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 779a

[1] თავისი ნამდვილობისათვის აღნაგობის უფლების დადგენის შესახებ გარიგება საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას.

[2] თუ აღნაგობის პროცენტი და ყველა სხვა შესაძლო სახელშეკრულებო დებულება წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრაციაში უნდა გატარდეს საადგილმამულო რეესტრში, მაშინ თავისი ნამდვილობისათვის ისინი ასევე საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას.

მუხლი 779b

[1] აღნაგობის შინაარსისა და მოცულობის შესახებ სახელშეკრულებო დებულებები, როგორიცაა, სახელდობრ, შენობა-ნაგებობების მდებარეობა, ფორმა, ზომა და მიზანი, ისევე როგორც – მიწის იმ ზედაპირის გამოყენება, რომელზეც, მართალია, არ მიმდინარეობს მშენებლობა, მაგრამ გამოიყენება აღნაგობის უფლების განხორციელებისას, მბოჭავია აღნაგობის უფლებისა და დატვირთული მიწის ნაკვეთის ნებისმიერი შემძენისათვის.

[2] სხვა სახელშეკრულებო დებულებები შეიძლება წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრაციაში გატარდეს საადგილმამულო რეესტრში იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ამაზე შეთანხმდებიან.

მუხლი 779c

თუ აღნაგობის უფლება უქმდება, მაშინ არსებული შენობა-ნაგებობები გადადის მესაკუთრის საკუთრებაში და ხდება ამ უკანასკნელის მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილები.

მუხლი 779d

[1] მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ საკუთრებაში მიღებული შენობა-ნაგებობებისათვის თავდაპირველ მეაღნაგეს უნდა გადაუხადოს სათანადო საზღაური, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს იმ კრედიტორების კუთვნილი ჯერ კიდევ არსებული

მოთხოვნების უზრუნველყოფას, რომელთა სასარგებლოდაც აღნაგობის უფლება იპოთეკით იყო დატვირთული; და ასევე დაუშვებელია თავდაპირველი მეაღნაგისათვის აღნიშნული საზღაურის გადახდა კრედიტორების თანხმობის გარეშე.

[2] თუ საზღაური არ იქნება გადახდილი ან უზრუნველყოფილი, მაშინ თავდაპირველ მეაღნაგეს ან იმ კრედიტორს, რომლის სასარგებლოდაც აღნაგობის უფლება იპოთეკით იყო დატვირთული, შეუძლია მოითხოვოს, რომ გაუქმებული აღნაგობის უფლების ნაცვლად საზღაურის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საადგილმამულო რეესტრში იგივე რიგით რეგისტრირებულ იქნეს უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლება.

[3] რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს აღნაგობის უფლების გაუქმებიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

მუხლი 779e (გაუქმებულია)

მუხლი 779f

თუ მეაღნაგე უხეშად ამეტებს კუთვნილი სანივთო უფლებიდან გამომდინარე უფლებამოსილებებს ან არღვევს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მაშინ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია აღნაგობის ვადის გასვლამდე დაიბრუნოს თავისი მიწის ნაკვეთი (Heimfall) და მოითხოვოს აღნაგობის უფლების პირადად მისთვის გადმოცემა ყველა თავისი უფლებამოსილებითა და ვალდებულებებით.

მუხლი 779g

[1] მიწის ნაკვეთის დაბრუნების უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ადგილი ექნება მესაკუთრის საკუთრებაში გადასული შენობა-ნაგებობებისათვის სათანადო საზღაურის გადახდას, რომლის ოდენობის დადგენისას მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული მეაღნაგის ბრალეული მოქმედებები როგორც თანხის შემცირების საფუძველი.

[2] აღნაგობის უფლების მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის გადაცემა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადახდილია საზღაურის თანხა ან ის არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 779h

მიწის ნაკვეთის დაბრუნების უფლების განხორციელების მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს იმ ნებისმიერი უფლების მიმართ, რომელიც მეაღნაგის მხრიდან ნაკისრი ვალდებულის დარღვევის გამო მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ აღნაგობის უფლების ვადამდე გაუქმებისა თუ მისი უკან დაბრუნების მიზნისათვის დაიტოვა.

მუხლი 779i

[1] აღნაგობის პროცენტის უზრუნველსაყოფად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ნებისმიერი მეაღნაგის მიმართ აქვს უფლება, საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულ აღნაგობის უფლებაზე სამწლიანი პერიოდისათვის გათვალისწინებული გადახდების ზღვრული თანხის უზრუნველსაყოფად მოითხოვოს იპოთეკის დადგენა.

[2] თუ სამაგიერო შესრულება არ არის დადგენილი ყოველწლიური თანაბარი გადახდების სახით, მაშინ არსებობს კანონისმიერი იპოთეკის დადგენის მოთხოვნის უფლება სამი წლის განმავლობაში თანაბარწილად გადასახდელი თანხის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 779k

[1] იპოთეკის უფლება შეიძლება ნებისმიერ დროს გატარდეს რეგისტრაციაში მანამდე, სანამ არსებობს აღნაგობის უფლება, და იძულებითი რეალიზაციის პროცესში ამ უფლების შესახებ საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის ამოშლა დაუშვებელია.

[2] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აზრობრივად გამოიყენება მენაშენის კუთვნილი იპოთეკის დადგენის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 779l

[1] აღნაგობა, როგორც დამოუკიდებელი უფლება, შეიძლება დადგინდეს მაქსიმუმ 100 წლის ვადით.

[2] აღნაგობის უფლება მისი დადგენისათვის გათვალისწინებული ფორმით ნებისმიერ დროს შეიძლება გაგრძელდეს ახალი მაქსიმუმ 100 წლის ვადით, თუმცაღა, აღნიშნული ვალდებულის წინასწარ კისრება არ არის მხარისათვის მბოჭავი.

მუხლი 780

[1] სხვის მიწის ნაკვეთზე არსებული წყაროს წყლის მიღების უფლება ტვირთავს აღნიშნულ მიწის ნაკვეთს სერვიტუტით, რომლითაც ნებადართულია წყაროს წყლის ამოღება და მილებით გამოყვანა.

[2] თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, წყაროს წყლის მიღების უფლება ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას და გადადის მემკვიდრეობით.

[3] თუ წყაროს წყლის მიღების უფლება წარმოადგენს დამოუკიდებელ და გრძელვადიან უფლებას, ის შეიძლება, მსგავსად მიწის ნაკვეთისა, რეგისტრირებულ იქნეს საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 781

[1] სხვა შინაარსის მქონე სერვიტუტები შეიძლება დადგინდეს მიწის ნაკვეთებზე ნებისმიერი პირისა თუ პირთა გაერთიანების სასარგებლოდ ისე, რომ ისინი შეიძლება ემსახურებოდეს რომელიმე პირის მიერ განსაზღვრული სარგებლობის მიზანს, როგორიცაა სროლაში ვარჯიში ან გზაზე ანდა ბილიკზე გავლა.

[2] თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, აღნიშნული სერვიტუტები არ ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას, ხოლო მათი შინაარსი კი განისაზღვრება უფლებამოსილი პირის ჩვეულებრივი საჭიროებების მიხედვით.

[2] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული სერვიტუტები ექვემდებარება მიწის სერვიტუტების მომწესრიგებელი ნორმებით რეგულირებას.

მუხლი 781a

საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულ სერვიტუტზე უფლებამოსი-

ლი პირის მიმართ აზრობრივად მოქმედებს მესაკუთრის დაუდგენლობის ან იურიდიული პირისა თუ სხვა სამართლის სუბიექტისათვის კანონით გათვალისწინებული ორგანოს არარსებობის შემთხვევებში სასამართლოს მხრიდან გატარებული ღონისძიებების მომწესრიგებელი ნორმები.

მესამე თავი: მიწის გადასახდელები

მუხლი 782

[1] მიწის გადასახდელების საფუძველზე მიწის ნაკვეთის ნებისმიერი მესაკუთრე ვალდებულია, უფლებამოსილი პირის მიმართ განახორციელოს ისეთი შესრულება, რომლისათვისაც ის მხოლოდ და მხოლოდ მიწის ნაკვეთით არის პასუხისმგებელი.

[2] უფლებამოსილი პირის სახით შეიძლება განისაზღვროს სხვა მიწის ნაკვეთის ნებისმიერი მესაკუთრე.

[3] საჯარო-სამართლებრივი მიწის გადასახდელების გათვალისწინების პირობით, მიწის გადასახდელების შინაარსის სახით შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ის შესრულება, რომელიც გამომდინარეობს დატვირთული მიწის ნაკვეთის სამეურნეო დანიშნულებიდან ან განისაზღვრება უფლებამოსილი მიწის ნაკვეთის სამეურნეო საჭიროებებით.

მუხლი 783

[1] მიწის გადასახდელების დადგენისათვის საჭიროა საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაცია.

[2] სარეგისტრაციო ჩანაწერში მიწის გადასახდელების საერთო ღირებულების სახით უნდა მიეთითოს ქვეყანაში მოქმედ ვალუტაში განსაზღვრული თანხა, ხოლო პერიოდულად განსახორციელებელი გადახდების შემთხვევაში კი, – წლიური გადასახდელი თანხის ოცმაგი ოდენობა, თუ სახეზე არ არის მხარეთა საწინააღმდეგო შეთანხმება.

[3] თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, მიწის გადასახდელების შეძენისა და რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს მიწის საკუთრების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 784

საჯარო-სამართლებრივი მიწის გადასახდელების დადგენისა და კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ მათი სამართლებრივი ძალისათვის აზრობრივად გამოიყენება საუზრუნველყოფო უფლებების მომწესრიგებელი კანტონალური სამართლის ნორმები.

მუხლი 785 (გაუქმებულია)

მუხლი 786

[1] მიწის გადასახდელები უქმდება საადგილმამულო რეესტრში შესაბამისი

ჩანაწერის ამოშლით, ისევე როგორც – დატვირთული მიწის ნაკვეთის სრული განადგურებით.

[2] უფლებაზე უარის, მისი გაქარწყლების ან გაუქმების სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე ვალდებულ პირს უფლებამოსილი პირის მიმართ აქვს საადგილმამულო რეესტრში ჩანაწერის ამოშლის მოთხოვნის უფლება.

მუხლი 787

[1] კრედიტორს შეუძლია მიწის გადასახდელების გაქარწყლების მოთხოვნა შეთანხმების საფუძველზე და ასევე იმ შემთხვევაში:

1. თუ დატვირთული მიწის ნაკვეთი გაიყოფა, ხოლო კრედიტორი კი არ ეთანხმება ვალის გადატანას გაყოფის შედეგად მიღებულ ნაწილებზე;

2. თუ მესაკუთრე ამცირებს მიწის ნაკვეთის ღირებულებას და ამის სანაცვლოდ არ წარადგენს სხვა უზრუნველყოფას;

3. თუ მოვალე ვადაგადაცილებაშია სამი წლის გადასახდელი თანხების ოდენობით.

[2] თუ კრედიტორი მიწის გადასახდელების გაქარწყლებას ითხოვს მიწის ნაკვეთის გაყოფის გამო, მაშინ მან ვალის გადატანის ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადის განმავლობაში უნდა შეწყვიტოს მიწის გადასახდელები შეწყვეტის ერთწლიანი ვადის დაცვით.

მუხლი 788

[1] მოვალეს შეუძლია მიწის გადასახდელების გაქარწყლების მოთხოვნა შეთანხმების საფუძველზე და ასევე იმ შემთხვევაში:

1. თუ უფლებამოსილი პირი არ იცავს იმ ხელშეკრულების პირობებს, რომელსაც ეფუძნება მიწის გადასახდელები;

2. თუ მიწის გადასახდელები არსებობდა ოცდაათი წლის განმავლობაში, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებული იყო უფრო ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი ვადა.

[2] თუ მიწის გადასახდელების გაქარწყლება ხორციელდება ოცდაათი წლის განმავლობაში არსებობის შემდეგ, მაშინ მოვალემ ყველა შემთხვევაში მიწის გადასახდელების შეწყვეტის განცხადება უნდა წარადგინოს შეწყვეტამდე ერთი წლით ადრე.

[3] დაუშვებელია მიწის გადასახდელების გაქარწყლება იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის გადასახდელები დაკავშირებულია მუდმივ მიწის სერვიტუტთან.

მუხლი 789

მიწის გადასახდელების გაქარწყლება ხორციელდება იმ თანხის გადახდით, რომელიც საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია მიწის გადასახდელების საერთო ღირებულების სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მტკიცდება, რომ სინამდვილეში მიწის გადასახდელებს უფრო ნაკლები ღირებულება აქვს.

მუხლი 790

[1] მიწის გადასახდელები არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

[2] ცალკეული გადასახდელები ექვემდებარება ხანდაზმულობას იმ მომენტიდან, როდესაც ისინი ხდება ვალდებული პირის პირადი ვალი.

მუხლი 791

[1] მიწის გადასახდელების კრედიტორს არა აქვს პირადი მოთხოვნა მოვალის მიმართ, არამედ მხოლოდ უფლება, მიიღოს დაკმაყოფილება დატვირთული მიწის ნაკვეთის ღირებულებიდან.

[2] თუმცა, თუ კონკრეტული გადახდის ვალდებულების შესრულების ვადა დგება მისი პირად ვალად გარდაქმნის მომენტიდან სამი წლის გასვლისთანავე, მაშინ მიწის ნაკვეთი აღარ არის პასუხისმგებელი ასეთი გადახდისათვის.

მუხლი 792

[1] თუ მიწის ნაკვეთი იცვლის მესაკუთრეს, მაშინ შემძენი ავტომატურად ხდება მიწის გადასახდელების მოვალე.

[2] თუ მიწის ნაკვეთი გაიყოფა, მაშინ გაყოფის შედეგად მიღებული ნაწილების მესაკუთრეები ხდებიან მიწის გადასახდელების მოვალეები. ვალი განაწილდება მიწის ნაკვეთის ნაწილებზე იპოთეკის (Grundpfandverschreibung) მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

ოცდამეორე ტიტული: უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლება

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 793

[1] უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლება შეიძლება არსებობდეს იპოთეკის ან იპოთეკის მოწმობის (Schuldbrief) სახით.

[2] სხვა სახის საუზრუნველყოფო უფლების დადგენა დაუშვებელია.

მუხლი 794

[1] უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლების დადგენისას ყველა შემთხვევაში მოთხოვნის თანხის სახით უნდა მიეთითოს ქვეყანაში მოქმედ ვალუტაში განსაზღვრული თანხა.

[2] თუ მოთხოვნის თანხა არ არის განსაზღვრული, მაშინ მიეთითება ზღვრული თანხა, რომლის ოდენობამდეც პასუხისმგებელია მიწის ნაკვეთი კრედიტორის ყველა მოთხოვნისათვის.

მუხლი 795

[1] პროცენტების გადახდის ვალდებულება საპროცენტო განაკვეთების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ არსებული კანონისმიერი შეზღუდვების ფარგლებში შეიძლება ნებისმიერი საშუალებით დადგინდეს.

[2] კანტონალური კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს იმ მოთხოვნე-

ბისათვის დასაშვები ბაზისური საპროცენტო განაკვეთის ზღვრული თანხა, რომელთა უზრუნველყოფისათვისაც მიწის ნაკვეთი იტვირთება საუზრუნველყოფო უფლებით.

მუხლი 796

[1] საუზრუნველყოფო უფლება დგინდება მხოლოდ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე.

[2] კანტონებს უფლება აქვთ, დაადგინონ სპეციალური დანაწესები, რომლებიც აწესრიგებს საჯარო მიწების, სათემო სარგებლობაში არსებული მიწებისა (Allmenden) თუ კორპორაციების საკუთრებაში არსებული საძოვრების, ისევე როგორც – მათთან დაკავშირებული სარგებლობის უფლებების საუზრუნველყოფო უფლებებით დატვირთვასა თუ აკრძალვას.

მუხლი 797

[1] საუზრუნველყოფო უფლების დადგენისას დასატვირთი მიწის ნაკვეთი ნათლად უნდა იქნეს იდენტიფიცირებული.

[2] მიწის ნაკვეთის ნაწილების საუზრუნველყოფო უფლებით დატვირთვა დაუშვებელია მანამდე, სანამ გაყოფა არ განხორციელდება საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 798

[1] საუზრუნველყოფო უფლება შეიძლება დადგინდეს რამდენიმე მიწის ნაკვეთზე ერთი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, თუ ეს ნაკვეთები ერთიდაიგივე მესაკუთრეს ეკუთვნის ანდა იმყოფება სოლიდარულად ვალდებული მოვალეების საკუთრებაში.

[2] ყველა სხვა შემთხვევაში ერთიდაიგივე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად რამდენიმე მიწის ნაკვეთის დატვირთვის შემთხვევაში, თითოეული ნაკვეთი უფლებრივად უნდა დაიტვირთოს მოთხოვნის მთელი თანხის განსაზღვრული ნაწილისათვის.

[3] თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, აღნიშნული უფლებრივი დატვირთვა ხორციელდება მიწის ნაკვეთების ღირებულებათა პროპორციულად.

მუხლი 798a

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საუზრუნველყოფო უფლებებით დატვირთვის მიმართ მოქმედებს ასევე 1991 წლის 4 ოქტომბრის ფედერალური კანონი საგლეხო სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ.

მუხლი 799

[1] კანონისმიერი გამონაკლისების გათვალისწინების პირობით, საუზრუნველყოფო უფლება წარმოიშობა მისი საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციით.

[2] თავისი ნამდვილობისათვის საუზრუნველყოფო უფლების დადგენის გარიგება საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას.

მუხლი 800

[1] თუ მიწის ნაკვეთი იმყოფება საერთო საკუთრებაში, მაშინ ყოველ თანამესაკუთრეს შეუძლია თავისი წილის საუზრუნველყოფო უფლებით დატვირთვა.

[2] თუ მიწის ნაკვეთი იმყოფება თანაზიარ საერთო საკუთრებაში, მაშინ ის შეიძლება საუზრუნველყოფო უფლებით დაიტვირთოს მხოლოდ მთლიანად და ყველა თანამესაკუთრის სახელით.

მუხლი 801

[1] უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლება უქმდება საადგილმამულო რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის ამოშლით, ისევე როგორც – დატვირთული მიწის ნაკვეთის სრული განადგურებით.

[2] გაუქმება ექსპროპრიაციის შედეგად რეგულირდება ექსპროპრიაციის შესახებ ფედერაციისა და კანტონების კანონმდებლობით.

მუხლი 802

[1] მიწების გაერთიანების იმ პროცედურების შემთხვევაში, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების თანამონაწილეობითა თუ ზედამხედველობის ქვეშ, გასაერთიანებელ მიწის ნაკვეთებზე არსებული საუზრუნველყოფო უფლებები იგივე რიგით უნდა გადავიდეს სანაცვლოდ გადაცემულ მიწის ნაკვეთზე.

[2] თუ ერთი მიწის ნაკვეთი ცვლის რამდენიმე ცალკეულ მიწის ნაკვეთს, რომლებიც დატვირთულია სხვადასხვა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ან რომელთაგან ყველა არ არის უფლებრივად დატვირთული, მაშინ საუზრუნველყოფო უფლებები, მათი თავდაპირველი რიგის შეძლებისდაგვარად შენარჩუნების პირობით, გადავა მიწის ნაკვეთზე ამ უკანასკნელის ახალი მოცულობით.

მუხლი 803

მოვალე უფლებამოსილია, გაერთიანების განხორციელების მომენტიდან შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით მოახდინოს მიწების გაერთიანების პროცედურაში ჩართულ მიწის ნაკვეთებზე არსებული საუზრუნველყოფო უფლებების გაუქმება ამ უფლებებით უზრუნველყოფილი მოთხოვნების დაკმაყოფილებით.

მუხლი 804

[1] თუ საუზრუნველყოფო უფლებებით დატვირთული მიწის ნაკვეთებისათვის განხორციელდება ფულადი კომპენსაციის გადახდა, მაშინ შესაბამისი თანხა უნდა განაწილდეს კრედიტორებს შორის მათი რიგითობის შესაბამისად, ხოლო თანაბარი რიგის შემთხვევაში კი, – მათი მოთხოვნების ოდენობის პროპორციულად.

[2] დაუშვებელია მოვალის მიმართ აღნიშნული თანხების გადახდა კრდიტორების თანხმობის გარეშე, რამდენადაც ეს თანხები აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ერთ მეოცედ ნაწილს, ან ახალი მიწის ნაკვეთი ვეღარ იძლევა საკმარის უზრუნველყოფას.

მუხლი 805

[1] საუზრუნველყოფო უფლებები მიწის ნაკვეთს ტვირთავს ყველა შემადგენელი ნაწილისა და ყველა საკუთვნებლის ჩათვლით.

[2] თუ საუზრუნველყოფო უფლებებით დატვირთვისას განსაზღვრული ობიექტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარები და სასტუმროს ავეჯი, საუზრუნველყოფო უფლებების დადგენის შეთანხმებაში სპეციალურად აღინიშნება როგორც საკუთვნებელი და ასევე გატარდება რეგისტრაციაში საადგილმამულო რეესტრში, მაშინ ეს ობიექტები ჩაითვლება საკუთვნებლად, რამდენადაც არ დამტკიცდება, რომ კანონის თანახმად მათ ვერ შეეფერება ასეთი ნიშან-თვისება.

[3] შენარჩუნებულია საკუთვნებლის მიმართ მესამე პირების კუთვნილი უფლებები.

მუხლი 806

[1] თუ საუზრუნველყოფო უფლებით დატვირთული მიწის ნაკვეთი გაქირავდება ან გადაეცემა იჯარით, მაშინ საუზრუნველყოფო სანივთო უფლება (Pfandhaft) ვრცელდება ასევე ქირის იმ თანხების მიღების მოთხოვნებზე, რომელთა დაგროვებაც ხდება საუზრუნველყოფო უფლების რეალიზაციის მიზნით იძულებითი აღსრულების დაწყებისა თუ მოვალის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტიდან მიწის ნაკვეთის რეალიზაციამდე პერიოდში.

[2] ზემოაღნიშნული საუზრუნველყოფო სანივთო უფლება ქირის თანხების გადახდაზე ვალდებული პირის მიმართ ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას შეატყობინებენ იძულებითი აღსრულების შესახებ ან მოხდება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ფაქტის გასაჯაროება.

[3] მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ ჯერ კიდევ ვადამოუსვლელი ქირის თანხების მიღების მოთხოვნებთან დაკავშირებით დადებული გარიგებები, ისევე როგორც სხვა კრედიტორების მიერ ქონებაზე ყადაღის დადება ბათილია საუზრუნველყოფო უფლების მქონე იმ კრედიტორის მიმართ, რომელმაც საუზრუნველყოფო უფლების (Unterpfand) რეალიზაციის მიზნით დაიწყო იძულებითი აღსრულება ქირის თანხების გადახდის ვადის დადგომამდე.

მუხლი 807

მოთხოვნები, რომელთათვისაც საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია საუზრუნველყოფო უფლება, არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

მუხლი 808

[1] თუ მესაკუთრე ამცირებს საუზრუნველყოფო საგნის ღირებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია სასამართლო წესით მოსთხოვოს მას ნებისმიერი შემდგომი საზიანო ზემოქმედების აკრძალვა.

[2] კრედიტორს შესაძლოა სასამართლოსაგან მიენიჭოს ეფექტური გამაფრთხილებელი ზომების მიღების უფლებამოსილება და ამასთან ასეთი ზომების მიღება მას შეუძლია ასევე შესაბამისი უფლებამოსილების გარეშეც, თუ არსებობს დაგვიანების საფრთხე.

[3] კრედიტორს შეუძლია გამაფრთხილებელი ზომების მიღების ხარჯებისათვის მესაკუთრეს მოსთხოვოს საზღაური და მას ამ მოთხოვნისათვის მიწის ნა-

კვეთზე აქვს საუზრუნველყოფო უფლება. ეს უფლება წარმოიშობა საადგილ-მამულო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე და მას ენიჭება უპირატესობა რეესტრში რეგისტრირებულ სხვა უფლებრივ ტვირთთან შედარებით.

[4] თუ საუზრუნველყოფო უფლების მოცულობა აღემატება 1000 ფრანკს და ის არ გატარდება რეგისტრაციაში საადგილმამულო რეესტრში გამაფრთხილებელი ზომების მიღებიდან ოთხი თვის განმავლობაში, მაშინ ამ უფლების გამოყენება დაუშვებელია იმ მესამე პირების მიმართ, რომლებიც კეთილსინდისიერად ენდობიან რეესტრის ჩანაწერს.

მუხლი 809

[1] თუ ადგილი აქვს საუზრუნველყოფო საგნის ღირებულების შემცირებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოვალისაგან მოითხოვოს თავისი მოთხოვნის უფლებების უზრუნველყოფა ან საუზრუნველყოფო საგნის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა.

[2] კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს ღირებულების შემცირების საფრთხე.

[3] თუ სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ვალის იმ ოდენობით დაფარვა, რაც საკმარისია მისი უზრუნველყოფის საკომპენსაციოდ.

მუხლი 810

[1] თუ საუზრუნველყოფო საგნის ღირებულების შემცირებას ადგილი აქვს მესაკუთრის ბრალის გარეშე, კრედიტორს უზრუნველყოფის წარდგენის ან ვალის დაფარვის მოთხოვნის უფლება ენიჭება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მესაკუთრეს აუნაზღაურდება ზარალი.

[2] თუმცაღა, კრედიტორს შეუძლია მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები ქონების ღირებულების შემცირების თავიდან აცილებისა თუ მისი აღმოფხვრის მიზნით. გამაფრთხილებელი ზომების მიღების ხარჯების მოთხოვნისათვის კრედიტორს მიწის ნაკვეთზე აქვს საუზრუნველყოფო უფლება ისე, რომ მესაკუთრეს არ ეკისრება პირადი ვალდებულება. აღნიშნული საუზრუნველყოფო უფლება წარმოიშობა საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე და მას ენიჭება უპირატესობა რეესტრში რეგისტრირებულ სხვა უფლებრივ ტვირთთან შედარებით.

[3] თუ საუზრუნველყოფო უფლების მოცულობა აღემატება 1000 ფრანკს და ის არ გატარდება რეგისტრაციაში საადგილმამულო რეესტრში გამაფრთხილებელი ზომების მიღებიდან ოთხი თვის განმავლობაში, მაშინ ამ უფლების გამოყენება დაუშვებელია იმ მესამე პირების მიმართ, რომლებიც კეთილსინდისიერად ენდობიან რეესტრის ჩანაწერს.

მუხლი 811

თუ გასხვისდება მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც საუზრუნველყოფო უფლების ღირებულების მეოცედზე ნაკლებია, მაშინ კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას ამ ერთეულის საუზრუნველყოფო სანივთო უფლებისაგან გათავისუფლებაზე, როდესაც ხორციელდება ვალის პროპორციული დაფარვა ან მიწის ნაკვეთის დარჩენილი ნაწილი საკმარის უზრუნველყოფას იძლევა.

მუხლი 812

[1] საუზრუნველყოფო უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე სხვა ვალდებულებების დადგენის უფლებაზე მესაკუთრის უარს მბოჭავი ძალა არა აქვს.

[2] თუ საუზრუნველყოფო უფლების დადგენის შემდეგ მიწის ნაკვეთი იტვირთება სერვიტუტით ან მიწის გადასახდელებით საუზრუნველყოფო უფლების მქონე კრედიტორის თანხმობის გარეშე, მაშინ საუზრუნველყოფო უფლებას ენიჭება უპირატესობა მოგვიანებით განხორციელებულ უფლებრივ დატვირთვასთან შედარებით, რომელიც ამოიშლება რეესტრიდან, რამდენადაც საუზრუნველყოფო უფლების რეალიზაციის შემთხვევაში მისი არსებობა საუზრუნველყოფო უფლების პრივილეგირებულ მფლობელ კრედიტორს აყენებს ზიანს.

[3] თუმცა, სერვიტუტიდან თუ მიწის გადასახდელებიდან გამომდინარე უფლებამოსილ პირს შემდგომში რეგისტრირებული პირების მიმართ აქვს ამონაგები თანხიდან უფლებრივი დატვირთვის ღირებულებისათვის მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება.

მუხლი 813

[1] საუზრუნველყოფო უფლებით უზრუნველყოფა შემოიფარგლება უფლების რეგისტრაციისას მითითებული რიგით.

[2] უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებები შეიძლება დადგინდეს მეორე ან ნებისმიერი შემდგომი რიგით, რამდენადაც რეგისტრაციისას განსაზღვრული თანხა შენარჩუნდება უპირატესობის მქონე თანხის სახით.

მუხლი 814

[1] თუ მიწის ნაკვეთზე დგინდება სხვადასხვა რიგის საუზრუნველყოფო უფლებები, მაშინ საუზრუნველყოფო უფლების შესახებ ჩანაწერის ამოშლისას შემდგომი რიგის მქონე საუზრუნველყოფო უფლების მქონე კრედიტორს არა აქვს რიგში წინ წაწევის მოთხოვნის უფლება.

[2] უპირატესი რიგის მქონე დაფარული საუზრუნველყოფო უფლების ნაცვლად შეიძლება დადგინდეს ახალი საუზრუნველყოფო უფლება.

[3] საუზრუნველყოფო უფლების მქონე კრედიტორების რიგში წინ წაწევის შესახებ შეთანხმებებს სანივთო-სამართლებრივი ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესაბამისი ჩანაწერის სახით აღინიშნება საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 815

თუ საუზრუნველყოფო უფლება დგინდება ისე, რომ სახეზე არ არის უპირატესი რიგის მქონე საუზრუნველყოფო უფლება, ხოლო მოვალეს კი ჯერ არ უსარგებლია არსებული უპირატესი რიგის მქონე საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტით (Pfandtitel) ანდა უპირატესი მოთხოვნის მოცუილობა ნაკლებია, ვიდრე რეგისტრირებულისა, – მაშინ იძულებითი აღსრულებისას საუზრუნველყოფო ქონებიდან ამონაგები თანხა ნაწილდება საუზრუნველყოფო უფლების მქონე არსებულ კრედიტორებს შორის მათი რიგითობის მიხედვითა და დაუკავებელი რიგების გაუთვალისწინებლად.

მუხლი 816

[1] მოვალის მხრიდან მოთხოვნის დაუკმაყოფილობლობის შემთხვევაში, კრედიტორს აქვს უფლება მიიღოს მიწის ნაკვეთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა.

[2] ბათილია ნებისმიერი შეთანხმება, რომლის თანახმადაც კრედიტორის მოთხოვნის დაუკმაყოფილობლობის შემთხვევაში საუზრუნველყოფო უფლებით დატვირთული ქონება ხდება მისი საკუთრება.

[3] თუ რამდენიმე მიწის ნაკვეთი იტვირთება საუზრუნველყოფო უფლებით ერთიდაიგივე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მაშინ მიწის ნაკვეთის რეალიზაციის მიზნით იძულებითი აღსრულება უნდა განხორციელდეს ერთდროულად ყველა უძრავი ქონების მიმართ, თუმცა ქონების რეალიზაცია კი ხორციელდება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მოთხოვნების რეალიზაციის უწყების განკარგულების შესაბამისად.

მუხლი 817

[1] მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან ამონაგები თანხა ნაწილდება საუზრუნველყოფო უფლების მქონე კრედიტორებს შორის მათი რიგითობის შესაბამისად.

[2] ერთიდაიგივე რიგის მქონე კრედიტორებს აქვთ თავიანთი მოთხოვნების თანაბარწილად დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 818

[1] უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებები უზრუნველყოფს კრედიტორის:

1. მოთხოვნის ძირითად თანხას;
2. იძულებითი აღსრულების ხარჯებსა და ვადაგადაცილების პროცენტებს;
3. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისა თუ ქონების რეალიზაციის პროცედურის დაწყების მომენტისათვის სამწლიანი ვადისათვის დარიცხულ პროცენტებს, რომელსაც ემატება პროცენტების გადახდისათვის შეთანხმებული უკანასკნელი დღიდან დარიცხული პროცენტები; იპოთეკის მოწმობის შემთხვევაში სანივთო უფლებით უზრუნველყოფილია მხოლოდ ფაქტობრივად დარიცხული პროცენტები.

[2] დაუშვებელია შემდგომი რიგის მქონე კრედიტორების საზიანოდ თავდაპირველად შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის ხუთ პროცენტზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 819

[1] თუ საუზრუნველყოფო უფლების მქონე კრედიტორმა საუზრუნველყოფო საგნის მოვლა-პატრონობაზე გასწია აუცილებელი ხარჯები, კერძოდ კი, – გადაიხადა მესაკუთრის მიერ ნაკისრი სადაზღვევო პრემიის თანხები, მაშინ ამ ხარჯებისათვის მას მიწის ნაკვეთზე აქვს საუზრუნველყოფო უფლება. ეს უფლება წარმოიშობა საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე და მას ენიჭება უპირატესობა რეესტრში რეგისტრირებულ სხვა უფლებრივ ტვირთთან შედარებით.

[2] თუ საუზრუნველყოფო უფლების მოცულობა აღემატება 1000 ფრანკს და

ის არ გატარდება რეგისტრაციაში საადგილმამულო რეესტრში საკომპენსაციო თანხის გადახდისკენ მიმართული მოქმედების განხორციელებიდან ოთხი თვის განმავლობაში, მაშინ ამ უფლების გამოყენება დაუშვებელია იმ მესამე პირების მიმართ, რომლებიც კეთილსინდისიერად ენდობიან რეესტრის ჩანაწერს.

მუხლი 820

[1] თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ღირებულება გაიზრდება სახელმწიფო ორგანოების თანამონაწილეობით ჩატარებული ნიადაგის გაუმჯობესების სამუშაოების ჩატარების შედეგად, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მის წილ ხარჯებში მონაწილეობის მიზნით მისი კრედიტორის უზრუნველყოფის სახით საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციაში გაატაროს საუზრუნველყოფო უფლება, რომელსაც მიენიჭება უპირატესობა რეესტრში რეგისტრირებულ ყველა სხვა უფლებრივ ტვირთთან შედარებით.

[2] თუ ნიადაგის გაუმჯობესების სამუშაოები ხორციელდება სახელმწიფო სუბსიდიის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ზემოაღნიშნული საუზრუნველყოფო უფლება რეგისტრაციაში გაატაროს მის წილ ხარჯებში მონაწილეობის მაქსიმუმ ორი მესამედის ოდენობით.

მუხლი 821

[1] თუ ნიადაგის გაუმჯობესების სამუშაოები ხორციელდება სახელმწიფო სუბსიდიის გარეშე, მაშინ იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალი უნდა დაიფაროს, სულ ცოტა, რეგისტრირებული თანხის 5 პროცენტის ოდენობით ანუიტეტის გადახდით.

[2] საუზრუნველყოფო უფლება მოთხოვნისა და ყოველი ანიუტეტისათვის უქმდება გადახდის ვადის დადგომიდან სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო შემდგომი რიგის მქონე საუზრუნველყოფო უფლების მქონე კრედიტორები სანივთო უფლებათა რიგში გადაინაცვლებენ წინ.

მუხლი 822

[1] დაზღვეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიმართ ვადამოსული სადაზღვევო თანხა შეიძლება გადახდილ იქნეს მხოლოდ საუზრუნველყოფო უფლების მქონე ყველა კრედიტორის თანხმობით.

[2] თუმცა, სათანადო უზრუნველყოფის წარდგენის სანაცვლოდ აღნიშნული თანხა მესაკუთრეზე უნდა გაიცეს საუზრუნველყოფო უფლებით დატვირთული ქონების აღდგენის მიზნით.

[3] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით შენარჩუნებულია ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ კანტონების სამართლის ნორმების მოქმედება.

მუხლი 823

თუ საუზრუნველყოფო უფლების მქონე კრედიტორი ან მისი საცხოვრებელი ადგილი უცნობია, მაშინ სასამართლოს მოვალის ან სხვა დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეუძლია დაადგინოს საჭირო ზომების მიღება იმ შემთხვევებში, რომლებშიც კანონი ითვალისწინებს კრედიტორის პირად აქტივობას და ეს უკანასკნელი გადაუდებლად აუცილებელია.

მეორე თავი: იპოთეკა

მუხლი 824

[1] იპოთეკა შეიძლება დადგინდეს ნებისმიერი არსებული ან სამომავლო თუ წმინდა შესაძლო მოთხოვნის საუზრუნველყოფო უფლებით უზრუნველსაყოფად.

[2] იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთი შესაძლოა არც იყოს მოვალის საკუთრება.

მუხლი 825

[1] იპოთეკა განსაზღვრული რიგით დგინდება ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნის თანხა განუსაზღვრელი ან ცვალებადია და ის ინარჩუნებს თავის სარეგისტრაციო რიგს მიუხედავად ყოველგვარი ცვალებადობისა.

[2] კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე საადგილმამულო რეესტრიდან გაიცემა იპოთეკის შესახებ ამონაწერი, რომელსაც აქვს მხოლოდ მტკიცების საშუალების ნიშან-თვისება და არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს.

[3] აღნიშნული მტკიცების საშუალების ნაცვლად, იპოთეკის ხელშეკრულებას შეიძლება დაემატოს რეგისტრაციის მოწმობა.

მუხლი 826

თუ მოთხოვნა წყდება, მაშინ იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია კრედიტორს მოსთხოვოს სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლაზე თანხმობის მიცემა.

მუხლი 827

[1] თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არ წარმოადგენს სანივთო უფლებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალეს, მაშინ მას საუზრუნველყოფო უფლების გაქარწყლება შეუძლია იგივე წინაპირობების არსებობისას, რომელთა შემთხვევაშიც მოვალე უფლებამოსილია დაფაროს მოთხოვნა.

[2] თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე აკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის მასზე.

მუხლი 828

[1] მანამდე, სანამ არ მიმდინაროებს იძულებითი აღსრულება, კანტონალურ სამართალს შეუძლია მიწის ნაკვეთის შემძენს, რომელიც არ არის პირადად პასუხისმგებელი მისი მტვირთავი ვალებისათვის, მიანიჭოს საუზრუნველყოფო უფლებების გაქარწყლების უფლებამოსილება, როდესაც ამ უფლებების ღირებულება აღემატება მიწის ნაკვეთის ღირებულებას და ამასთან შემძენი კრედიტორებს უხდის ნასყიდობის ფასს, ან უსასყიდლო შეძენის შემთხვევაში კი, – მიწის ნაკვეთის ღირებულების შესაბამის თანხას.

[2] მიწის ნაკვეთის შემძენმა მის მიერ საუზრუნველყოფო უფლებების გაქარწყლების განზრახვის შესახებ კრედიტორებს უნდა შეატყობინოს წერილობით შეწყვეტამდე ნახევარი წლით ადრე.

[3] საუზრუნველყოფო უფლების გაქარწყლებისათვის გადახდილი თანხა ნაწილდება კრედიტორებს შორის მათი რიგითობის შესაბამისად.

მუხლი 829

[1] ზემოაღნიშნული საუზრუნველყოფო უფლების გაქარწყლებისას კრედიტორებს აქვთ უფლება, შემძენის მიერ შეტყობინების წარდგენიდან ერთთვიანი ვადის განმავლობაში, ხარჯების თანხების ავანსის სახით გადახდის სანაცვლოდ, მოითხოვონ იპოთეკით დატვირთული ქონების იმ საჯარო აუქციონზე რეალიზაცია, რომელიც უნდა ჩატარდეს მისი საჯაროდ გამოცხადებიდან შემდგომი ერთი თვის განმავლობაში, რაც აითვლება აუქციონის მოთხოვნის მომენტიდან.

[2] თუ აუქციონზე მიიღწევა შეთავაზებულზე უფრო მაღალი ფასის მიღება, მაშინ ეს უკანასკნელი ჩაითვლება საუზრუნველყოფო უფლების გაქარწყლებისათვის გადახდილ თანხად.

[3] უფრო მაღალი ფასის მიღების შემთხვევაში აუქციონის ხარჯები ეკისრება შემძენს, ხოლო სხვა შემთხვევაში კი, – იმ კრედიტორს, რომელმაც მოითხოვა აუქციონის ჩატარება.

მუხლი 830

საჯარო აუქციონის ნაცვლად, კანტონალურ სამართალს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ საუზრუნველყოფო უფლების გაქარწყლებისათვის გადახდილ თანხად ჩაითვალოს ოფიციალური შეფასების შედეგად მიღებული თანხა.

მუხლი 831

კრედიტორის მიერ მოთხოვნის შეწყვეტის შესახებ განცხადება ძალმოსილია არამოვალე იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხორციელდება მოვალისა და მესაკუთრის მიმართ.

მუხლი 832

[1] თუ იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთი გასხვისდება, მაშინ უცვლელი რჩება სანივთო უფლებისა და მოვალის პასუხისმგებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად თანხმდებიან.

[2] თუმცა, თუ ახალმა მესაკუთრემ გადაიკისრა იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალი, მაშინ თავდაპირველი მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ კრედიტორი ერთი წლის ვადის განმავლობაში მას წერილობით არ განუცხადებს მისი მოვალედ დატოვების სურვილის შესახებ.

მუხლი 833

[1] თუ გასხვისდება იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთის ნაწილი ან ერთიდაიგივე მესაკუთრის კუთვნილი რამდენიმე დატვირთული მიწის ნაკვეთიდან ერთ-ერთი ანდა იპოთეკის საგანი იყოფა, მაშინ სხვა შეთანხმების არარსებობისას იპოთეკიდან გამოდინარე პასუხისმგებლობა უნდა განაწილდეს იმგავრად, რომ თითოეული ნაწილი დაიტვირთოს თავისი ღირებულების პროპორციულად.

[2] თუ კრედიტორს არ სურს აღნიშნული განაწილების მიღება, მაშინ მას განაწილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადის განმავლობაში შეუძლია მო-

ითხოვოს, რომ მისი იპოთეკური მოთხოვნა ერთი წლის ვადის განმავლობაში დაიფაროს სრულად.

[3] თუ შემძენმა პირებმა გადაიკისრეს მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე დადგენილი იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალი, მაშინ თავდაპირველი მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ კრედიტორი ერთი წლის ვადის განმავლობაში მას წერილობით არ განუცხადებს მისი მოვალედ დატოვების სურვილის შესახებ.

მუხლი 834

[1] შემძენის მიერ ვალის გადაკისრების შესახებ საადგილმამულო რეესტრის ადმინისტრატორმა უნდა აცნობოს კრედიტორს.

[2] კრედიტორისათვის განცხადებისათვის დადგენილი ერთწლიანი ვადის ათვლა იწყება აღნიშნული შეტყობინების წარდგენის მომენტიდან.

მუხლი 835

თავისი ნამდვილობისათვის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემა არ საჭიროებს საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციას.

მუხლი 836

[1] თუ კანტონალური სამართალი კრედიტორს ანიჭებს საუზრუნველყოფო უფლების დადგენის უფლებამოსილებას იმ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, რომლებიც უშუალო კავშირში იმყოფება დატვირთულ მიწის ნაკვეთთან, მაშინ საუზრუნველყოფო უფლება წარმოიშობა საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციით.

[2] თუ 1000 ფრანკზე მეტი მოცულობის კანონისმიერი საუზრუნველყოფო უფლებები წარმოიშობა კანტონალური სამართალის საფუძველზე საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე და ასევე ისინი არ ტარდება რეგისტრაციაში მათ საფუძვლად არსებული მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან ოთხი თვის განმავლობაში, თუმცაღა – არაუგვიანეს მოთხოვნის წარმოშობიდან ორი წლისა, მაშინ ამ უფლებების გამოყენება დაუშვებელია იმ მესამე პირების მიმართ, რომლებიც კეთილსინდისიერად ენდობიან რეესტრის ჩანაწერს.

[3] შენარჩუნებულია კანტონალური სამართალის ნორმების უფრო მეტად შემზღუდველი მოქმედება.

მუხლი 837

[1] საუზრუნველყოფო უფლების დადგენის მოთხოვნის უფლება არსებობს:

1. ნასყიდობის ფასის მიღებაზე გამყიდველის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად – გაყიდულ მიწის ნაკვეთზე;

2. გაყოფიდან გამომდინარე თანამემკვიდრეთა და სხვა თანამესაკუთრეთა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად – იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც საერთო საკუთრებაში იყოფებოდა;

3. იმ ხელოსნებისა თუ მეწარმეების მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად, რომლებმაც მიწის ნაკვეთზე აწარმოეს სამშენებლო თუ სხვა სამუშაოები, შენობის დემონტაჟი, ხარაჩოების მონტაჟი, შენობა-ნაგებობის გამაგრებისა ან მსგავსი

მიზნით გათხრითი სამუშაოები ან მასალების მიწოდება ანდა მხოლოდ სამუშაოები მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა მათ მოვალეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, ხელოსანი თუ მეწარმე, დამქირავებელი, მოიჯარე ან მიწის ნაკვეთზე უფლებამოსილი სხვა პირი.

[2] თუ დამქირავებელი, მოიჯარე ან მიწის ნაკვეთზე უფლებამოსილი სხვა პირი წარმოადგენს ხელოსნებისა თუ მეწარმეების მოთხოვნების მოვალეს, მაშინ შესაბამისი მოთხოვნის უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე დაეთანხმა სამუშაოების განხორციელებას.

[3] წინამდებარე მუხლის თანახმად უფლებამოსილ პირს არ შეუძლია წინასწარ უარი თქვას უძრავ ნივთებზე დადგენილ კანონისმიერ საუზრუნველყოფო უფლებებზე.

მუხლი 838

გამყიდველის, თანამემკვიდრისა თუ თანამესაკუთრის სასარგებლოდ საუზრუნველყოფო უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს საკუთრების უფლების გადაცემიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

მუხლი 839

[1] ხელოსნებისა და მეწარმეების საუზრუნველყოფო უფლება საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციაში შეიძლება გატარდეს ამ პირების მიერ სამუშაოების შესრულების კისრების მომენტიდან.

[2] აღნიშნული რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს სამუშაოს დასრულებიდან არაუგვიანეს ოთხი თვისა.

[3] საუზრუნველყოფო უფლების რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა აღიარებულ იქნა მესაკუთრის მიერ ან დგინდება სასამართლო წესით და შესაბამისად მისი მოთხოვნა დაუშვებელია, თუ მესაკუთრე შეტყობინებული მოთხოვნისათვის წარადგენს საკმარის უზრუნველყოფას.

[4] თუ მიწის ნაკვეთის შემთხვევაში საქმე უდავოდ ეხება ადმინისტრაციული ორგანოს კუთვნილ ქონებას და მესაკუთრის ვალისათვის პასუხისმგებლობა კი არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან, მაშინ ეს უკანასკნელი პასუხს აგებს ხელოსნებისა და მეწარმეების მიმართ აღიარებული ან სასამართლო წესით დადგენილი მოთხოვნებისათვის ჩვეულებრივი თავდებობის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად, რამდენადაც მოთხოვნა კანონისმიერ თავდებობაზე მითითებით მას წერილობით წარედგინა სამუშაოს დასრულებიდან არაუგვიანეს ოთხი თვისა.

[5] თუ სადავოა, ეხება თუ არა საქმე ადმინისტრაციული ორგანოს კუთვნილ ქონებას, მაშინ ხელოსანს ან მეწარმეს მის მიერ სამუშაოს დასრულებიდან არაუგვიანეს ოთხი თვისა შეუძლია მოითხოვოს საადგილმამულო რეესტრში საუზრუნველყოფო უფლების წინასწარი რეგისტრაცია.

[6] თუ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დგინდება, რომ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს კუთვნილ ქონებას, მაშინ საადგილმამულო რეესტრში საუზრუნველყოფო უფლების წინასწარი ჩანაწერი ექვემდებარება ამოშლას. მის ადგილს იკავებს კანონისმიერი თავდებობა,

რამდენადაც კმაყოფილდება მე-4 ნაწილის წინაპირობები. საუზრუნველყოფო უფლების წინასწარი რეგისტრაციით ვადა დაცულად მიიჩნევა.

მუხლი 840

თუ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია ხელოსნებისა და მეწარმეების კუთვნილი რამდენიმე კანონისმიერი საუზრუნველყოფო უფლება, მაშინ ერთმანეთს შორის ეს უფლებები ქონების რეალიზაციაზე თანაბარ მოთხოვნის უფლებას იძლევა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი სხვადასხვა რიცხვით არის დათარიღებული.

მუხლი 841

[1] თუ ხელოსნებისა და მეწარმეების მოთხოვნები იპოთეკის საგნის რეალიზაციისას სრულად არ კმაყოფილდება, მაშინ დანაკლისი უნდა ანაზღაურდეს უპირატესი რიგის მქონე იპოთეკარების მიერ ქონების რეალიზაციიდან მისაღები წილიდან იმ ფარგლებში, რაც აღემატება მიწის ღირებულებას, რამდენადაც იპოთეკარებისათვის ნათელი იყო, რომ მიწის ნაკვეთი მათი საუზრუნველყოფო უფლებებით დაიტვირთა ხელოსნებისა და მეწარმეების საზიანოდ.

[2] თუ უპირატესი რიგის მქონე იპოთეკარი ასხვისებს თავის საუზრუნველყოფო უფლების დამდგენ დოკუმენტს, მაშინ მან ხელოსნებსა და მეწარმეებს უნდა ანაზღაუროს ის ნებისმიერი თანხა, რასაც ისინი აღნიშნული გასხვისების შედეგად კარგავენ.

[3] როგორც კი უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე სამუშაოების დაწყება აღინიშნება საადგილმამულო რეესტრში, სარეგისტრაციო ვადის გასვლამდე საუზრუნველყოფო უფლებები შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში მხოლოდ იპოთეკის სახით.

მესამე თავი: იპოთეკის მოწმობა

მუხლი 842

[1] იპოთეკის მოწმობით წარმოიშობა პირადი მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებით.

[2] თუ შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, იპოთეკის მოწმობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა არსებობს საუზრუნველყოფო მოთხოვნასთან ერთად, რომელიც კრედიტორს განსაზღვრულ შემთხვევებში აქვს მოვალის მიმართ მათ შორის არსებული ძირითადი ურთიერთობიდან გამომდინარე.

[3] იპოთეკის მოწმობით უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან დაკავშირებით მოვალეს არაკეთილსინდისიერი კრედიტორისა და მისი უფლებამონაცვლის მიმართ შეუძლია წარადგინოს ძირითადი ურთიერთობიდან გამომდინარე პირადული ხასიათის შესაგებლები.

მუხლი 843

იპოთეკის მოწმობა ფორმდება რეგისტრირებული იპოთეკის მოწმობის ან სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობის სახით.

მუხლი 844

[1] იპოთეკის საგნის იმ მესაკუთრის მდგომარეობა, რომელიც არ წარმოადგენს მოვალეს, განისაზღვრება იპოთეკის მომწესრიგებელი ნორმებით.

[2] იპოთეკის მოწმობის შემთხვევაში მოვალის კუთვნილი შესაგებლები აქვს ასევე იპოთეკის საგნის მესაკუთრესაც.

მუხლი 845

მიწის ნაკვეთის გასხვისებისა და გაყოფის სამართლებრივი შედეგების მიმართ მოქმედებს იპოთეკის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 846

[1] იპოთეკის მოწმობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა არ უნდა იყოს კავშირში ძირითად ურთიერთობასთან და ასევე ის არ უნდა შეიცავდეს პირობებსა თუ სამაგიერო შესრულებას.

[2] იპოთეკის მოწმობა შეიძლება შეიცავდეს ვალდებულებით-სამართლებრივ დამატებით შეთანხმებებს საპროცენტო განაკვეთის, ნაწილ-ნაწილ გადახდისა და ვალის დაფარვის შესახებ, ისევე როგორც – იპოთეკის მოწმობით უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან დაკავშირებულ სხვა დამატებით დებულებებს. დასაშვებია ცალკე დადებულ შეთანხმებაზე მითითება.

მუხლი 847

[1] თუ შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, იპოთეკის მოწმობა შეიძლება კრედიტორის ან მოვალის მიერ დაიფაროს ყოველი თვის ბოლოს დოკუმენტის გაუქმების ნახევარწლიანი ვადის დაცვით.

[2] აღნიშნული შეთანხმებით დაუშვებელია კრედიტორისათვის სამ თვეზე ნაკლები ვადის გათვალისწინება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალე აცილებს საამორტიზაციო თუ საპროცენტო თანხების გადახდის ვადებს.

მუხლი 848

იპოთეკის მოწმობით უზრუნველყოფილი მოთხოვნისა და საუზრუნველყოფო უფლების შინაარსი შეესაბამება სარეგისტრაციო ჩანაწერს ნებისმიერი იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც კეთილსინდისიერად ენდობოდა საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერს.

მუხლი 849

[1] მოვალეს შეუძლია მხოლოდ იმ შესაგებლების წარდგენა, რომლებიც გამომდინარეობს საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერიდან ან რომლებიც მას პირადად შესაბამისი კრედიტორის მიმართ ეკუთვნის ანდა სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობის შემთხვევაში გამომდინარეობს საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტიდან.

[2] შეთანხმებები, რომლებიც შეიცავს იპოთეკის მოწმობით უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან დაკავშირებულ სხვა დამატებით დებულებებს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს იპოთეკის მოწმობის კეთილსინდისიერი შემძენის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეთანხმებები აღნიშნულისა საადგილმამულო

რეესტრში, ხოლო სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობის შემთხვევაში კი, – ასევე საუზრუნველყოფო უფლების დამდგენ დოკუმენტშიც.

მუხლი 850

[1] იპოთეკის მოწმობის გაცემისას პირს შეიძლება მიეცეს მინდობილობა. ამ პირმა უნდა განახორციელოს და მიიღოს გადახდები, ჩაიბაროს შეტყობინებები, დაეთანხმოს ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლებასა და, საერთოდაც, დაიცვას კრედიტორების, ისევე როგორც მოვალისა და მესაკუთრის უფლებები მაქსიმალური გულმოდგინეობითა და მიუკერძოებლობით.

[2] უფლებამოსილი პირის სახელი უნდა აღინიშნოს საადგილმამულო რეესტრსა და საუზრუნველყოფო უფლების დამდგენ დოკუმენტში.

[3] თუ მინდობილობა უქმდება, ხოლო შესაბამისი პირები კი ვერ თანხმდებიან, მაშინ აუცილებელ დადგენილებებს იღებს სასამართლო.

მუხლი 851

[1] თუ შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, მოვალემ ყველა გადახდა უნდა განახორციელოს კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

[2] თუ კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი უცნობია ან მოვალის საზიანოდ ის შეიცვალა, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია გაითავისუფლოს თავი ნაკისრი ვალდებულებისაგან თავისი საცხოვრებელი ადგილის ან კრედიტორის ძველი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კომპეტენტურ ორგანოში თანხის დეპონირებით.

მუხლი 852

[1] სახელდობრ, თუ სამართლებრივი ურთიერთობა იცვლება მოვალის სასარგებლოდ, ვალის ნაწილ-ნაწილ გადახდის გზით, მაშინ მოვალეს შეუძლია კრედიტორისაგან მოითხოვოს ის, რომ ეს უკანასკნელი დაეთანხმოს ცვლილების საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციას.

[2] სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობის შემთხვევაში, საადგილმამულო რეესტრის სამსახურმა აღნიშნული ცვლილება უნდა აღნიშნოს საუზრუნველყოფო უფლების დამდგენ დოკუმენტში.

[3] აღნიშნული რეგისტრაციისა თუ საუზრუნველყოფო უფლების დამდგენ დოკუმენტში აღნიშვნის გარეშე სამართლებრივი ურთიერთობის ცვლილებას არა აქვს სამართლებრივი ძალა იპოთეკის მოწმობის კეთილსინდისიერი შემძენის მიმართ.

მუხლი 853

თუ იპოთეკის მოწმობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა იფარება, მაშინ მოვალეს კრედიტორისაგან შეუძლია მოითხოვოს, რომ:

1. ეს უკანასკნელი დაეთანხმოს რეგისტრირებული იპოთეკის მოწმობის მოვალის სახელზე გადასვლას;

2. მან მოვალეს დაუბრუნოს სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობის დოკუმენტი მისი გაუქმების გარეშე.

მუხლი 854

[1] თუ სახეზე არ არის კრედიტორი ან თუ მან უარი თქვა საუზრუნველყოფო უფლებაზე, მაშინ მოვალეს აქვს არჩევანის უფლება, მოახდინოს საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის ამოშლა ან არსებული ჩანაწერის დატოვება.

[2] მოვალე ასევე უფლებამოსილია, გააგრძელოს იპოთეკის მოწმობით სარგებლობა.

მუხლი 855

დაუშვებელია სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობის საადგილმამულო რეესტრიდან ამოშლა მანამდე, სანამ არ გაუქმდება საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტი ან ის სასამართლო წესით არ იქნება ძალადაკარგულად ცნობილი.

მუხლი 856

[1] თუ იპოთეკის მოწმობის კრედიტორი ათი წლის განმავლობაში უცნობია და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში პროცენტის გადახდა არ იქნა მოთხოვნილი, მაშინ იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს, რომ კრედიტორი ექვსი თვის განმავლობაში სასამართლოს მიერ მოწვეულ იქნეს საჯარო შეტყობინების გზით.

[2] თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში კრედიტორი არ იქნება მოწვეული, ხოლო შესაბამისი კვლევა-ძიება კი დიდი ალბათობით დაადგენს, რომ მოთხოვნა იურიდიულად აღარ არსებობს, მაშინ სასამართლოს დადგენილების საფუძველზე:

1. რეგისტრირებული იპოთეკის მოწმობის შემთხვევაში, საუზრუნველყოფო უფლება უნდა ამოიშალოს საადგილმამულო რეესტრიდან; ან

2. სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობა ძალადაკარგულად ცხადდება და საუზრუნველყოფო უფლება ამოიშლება საადგილმამულო რეესტრიდან.

მუხლი 857

[1] რეგისტრირებული იპოთეკის მოწმობა წარმოიშობა მისი საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციით.

[2] რეგისტრირებული იპოთეკის მოწმობა რეგისტრაციაში ტარდება კრედიტორის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სახელზე.

მუხლი 858

[1] რეგისტრირებული იპოთეკის მოწმობის გადაცემა თავდაპირველი კრედიტორის წერილობითი განცხადების საფუძველზე ხორციელდება ახალი კრედიტორის საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

[2] ვალდებულებისაგან გამათავისუფლებელი სამართლებრივი შედეგი აქვს მოვალის მიერ მხოლოდ იმ პირზე განხორციელებულ გადახდებს, რომელიც გადახდის დღეს საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც კრედიტორი.

მუხლი 859

[1] რეგისტრირებული იპოთეკის მოწმობის დაგირავება ხორციელდება საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული კრედიტორების წერილობითი განცხადების საფუძველზე მოძრავი ქონების მოგირავნის რეგისტრაციის გზით.

[2] ყადაღის დადება ხორციელდება საადგილმამულო რეესტრში განკარგვის უფლებამოსილების შეზღუდვის რეგისტრაციის გზით.

[3] უზუფრუქტი წარმოიშობა საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

მუხლი 860

[1] სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობის შემთხვევაში საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციასთან ერთად ყოველთვის გაიცემა საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტი.

[2] სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობის კრედიტორის სახით შეიძლება აღინიშნოს მისი მფლობელი ან კონკრეტული პირი, სახელდობრ, – მიწის ნაკვეთის მესაკუთრე.

[3] იპოთეკის მოწმობა ძალაშია უკვე რეგისტრაციის მომენტიდან, თუნდაც დოკუმენტი ჯერ არ იყოს გაცემული.

მუხლი 861

[1] სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობა გაიცემა საადგილმამულო რეესტრის სამსახურის მიერ.

[2] თავისი ნამდვილობისათვის სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობა საჭიროებს საადგილმამულო რეესტრის ადმინისტრატორის ხელმოწერას. მოწმობის ფორმის მხრივ სხვა მოთხოვნები დგინდება ფედერალური საბჭოს მიერ.

[3] სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობა შეიძლება გადაეცეს კრედიტორს ან მის რწმუნებულს მხოლოდ მოვალისა და დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის პირდაპირ გამოხატული თანხმობით.

მუხლი 862

[1] სერტიფიცირებული იპოთეკის მოწმობის სახით სათანადო ფორმით გაცემული საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტის შინაარსი შეესაბამება მის სიტყვასიტყვით ტექსტს ნებისმიერი იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც კეთილსინდისიერად ენდობოდა ამ ტექსტს.

[2] თუ საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტის სიტყვასიტყვითი ტექსტი არ შეესაბამება სარეგისტრაციო ჩანაწერს ან თუ ასეთი ჩანაწერი არ არსებობს, მაშინ განმსაზღვრელია საადგილმამულო რეესტრის მონაცემები.

[3] თუმცაღა, საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტის კეთილსინდისიერ შემძენს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება საადგილმამულო რეესტრის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 863

[1] იპოთეკის მოწმობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა შეიძლება გასხვისდეს, დაგირავდეს ან, საერთოდაც, რეალიზებულ იქნეს მხოლოდ საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტის ფლობის პირობით.

[2] აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევებში მოთხოვნის რეალიზაციის მიმართ, როდესაც დოკუმენტი ძალადაკარგულად ცხადდება ან ის ჯერ კიდევ არ არის გაცემული.

მუხლი 864

[1] იპოთეკის მოწმობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემა საჭიროებს საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტის შემძენისათვის გადაცემას.

[2] თუ დოკუმენტში აღნიშნულია პირის სახელი, მაშინ დამატებით აუცილებელია ასევე დოკუმენტზე გადასაცემი წარწერა შემძენის მითითებით.

მუხლი 865

[1] თუ საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტი დაიკარგა ან განადგურდა ვალის დაფარვის განზრახვის გარეშე, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს, რომ სასამართლომ დოკუმენტი ცნოს ძალადაკარგულად, ხოლო მოვალეს კი დაევალოს გადახდის განხორციელება, ანდა გაიცეს ახალი დოკუმენტი, რომლის მოთხოვნის შესრულების ვადაც ჯერ არ არის დამდგარი.

[2] ძალადაკარგულად აღიარება ხორციელდება საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების ამორტიზაციის მომწესრიგებელი ნორმების თანახმად ექვსთვიანი ვადის დაცვით.

[3] ანალოგიურად მოვალეს შეუძლია მოითხოვოს დოკუმენტის ძალადაკარგულად ცნობა, თუ ნაწილ-ნაწილ გადახდილი დოკუმენტი იკარგება.

მუხლები 866-874 (გაუქმებულია)

მეოთხე თავი: უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებით უზრუნველყოფილი სასესხო დოკუმენტების (Anleihenstiteln) გაცემა

მუხლი 875

კრედიტორის სახელზე გაცემული ან საწარმდგენლო სასესხო დოკუმენტიდან გამომდინარე ვალდებულებები შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებით:

1. მთლიანი სასესხო დავალიანებისათვის იპოთეკის დადგენით ან იპოთეკის მოწმობის გაცემით და ასევე – კრედიტორებისა და მოვალისათვის წარმომადგენლის აღნიშვნით;

2. მთლიანი სასესხო დავალიანებისათვის გამცემის სასარგებლოდ საუზრუნველყოფო უფლების დადგენით და აღნიშნულ მოთხოვნაზე დოკუმენტის მფლობელი კრედიტორის სასარგებლოდ საუზრუნველყოფო უფლების დადგენით.

მუხლები 876-883 (გაუქმებულია)

ოცდამესამე ტიტული: მოძრავი ქონების გირავნობა

პირველი თავი: მფლობელობითი გირავნობა და დაკავების უფლება

მუხლი 884

[1] იქ, სადაც კანონი არ ადგენს გამონაკლისებს, მოძრავი ქონება შეიძლება დაგირავდეს მხოლოდ გირავნობის საგნის მოგირავნის მფლობელობაში გადაცემის გზით.

[2] რამდენადაც მესამე პირებს არ გააჩნიათ უფლებები უფრო ადრინდელი მფლობელობიდან გამომდინარე, გირავნობის საგნის კეთილსინდისიერი მიმღები იძენს გირავნობის უფლებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამგირავებელი არ იყო ნივთის განკარგვაზე უფლებამოსილი.

[3] გირავნობის უფლება არ წარმოიშობა მანამდე, სანამ დამგირავებელი ინარჩუნებს ნივთვზე ექსკლუზიურ ბატონობას.

მუხლი 885

[1] იმ საკრედიტო ინტიტუტებისა და კოოპერატივების მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად, რომლებიც თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ კანტონებში მოქმედი კომპეტენტური ორგანოების მიერ უფლებამოსილი არიან, დადონ რქოსანი პირუტყვის გირავნობის ხელშეკრულება, გირავნობის უფლება პირუტყვზე შეიძლება დადგინდეს მფლობელობის გადაცემის გარეშეც რქოსანი პირუტყვის რეესტრში რეგისტრაციისა და მოთხოვნების რეალიზაციის უწყებისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.

[2] რეესტრის წარმოების საკითხებს აწესრიგებს ფედერალური საბჭო.

[3] რეესტრში განხორციელებული ჩანაწერებისა და ამასთან დაკავშირებით შესრულებელი ფუნქციებისათვის კანტონებს შეუძლიათ მიიღონ მოსაკრებლის თანხები; კანტონები ადგენენ იმ ფარგლებს, რომლებშიც უნდა იქნეს წარმოებული რეესტრი, და ასევე ნიშნავენ რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ მოხელეებს.

მუხლი 886

შემდგომი რიგის მქონე მფლობელობითი გირავნობა დგინდება მფლობელობითი გირავნობის მქონე მოგირავნის ნივთის შემდგომი დაგირავების შესახებ წერილობითი შეტყობინებითა და იმ დავალების მიცემით, რომ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ გირავნობის საგანი გადასცეს შემდგომი რიგის მქონე მოგირავნეს.

მუხლი 887

კრედიტორს შეუძლია გირავნობის საგანი შემდგომში დააგირაოს მხოლოდ დამგირავებლის თანხმობით.

მუხლი 888

[1] მფლობელობითი გირავნობა უქმდება, როგორც კი კრედიტორი გირავნო-

ბის საგანს აღარ ფლობს და მას ასევე არ შეუძლია მისი მესამე პირის მფლობელობიდან გამოთხოვა.

[2] მფლობელობით გირავნობას არა აქვს სამართლებრივი ძალა, სანამ გირავნობის საგანი კრედიტორის თანხმობით იმყოფება დამგირავებლის ექსკლუზიურ ბატონობაში.

მუხლი 889

[1] თუ მოთხოვნის დაფარვის ან სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე გირავნობის უფლება უქმდება, მაშინ კრედიტორმა გირავნობის საგანი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს.

[2] მისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებამდე კრედიტორი არ არის ვალდებული, მთლიანად ან ნაწილობრივ დააბრუნოს გირავნობის საგანი.

მუხლი 890

[1] კრედიტორი პასუხისმგებელია ღირებულების შემცირებით ან დაგირავებული ნივთის განადგურებით გამოწვეული ზიანისათვის, რამდენადაც ის არ დაამტკიცებს, რომ ეს ზიანი დადგა მისი ბრალის გარეშე.

[2] თუ კრედიტორმა გირავნობის საგანი თვითნებურად გაასხვისა ან შემდგომი გირავნობით დატვირთა, მაშინ ის პასუხს აგებს ამის შედეგად დამდგარი ყოველგვარი ზარალისათვის.

მუხლი 891

[1] მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, კრედიტორს აქვს უფლება მიიღოს გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა.

[2] გირავნობის უფლება უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნას სახელშეკრულებო პროცენტის, რეალიზაციის ხარჯებისა და საურავის თანხების ჩათვლით.

მუხლი 892

[1] გირავნობის უფლება ტვირთავს გირავნობის საგანს მისი საკუთვნებლის ჩათვლით.

[2] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად თანხმდებიან, გირავნობის საგნის ბუნებრივი ნაყოფი კრედიტორმა უნდა გადასცეს მესაკუთრეს იმ მომენტიდან, როგორც კი ის აღარ წარმოადგენს ნივთის შემადგენელ ნაწილს.

[3] გირავნობის უფლება ვრცელდება იმ ნაყოფზე, რომელიც გირავნობის საგნის რეალიზაციის მომენტისათვის წარმოადგენს გირავნობის საგნის შემადგენელ ნაწილს.

მუხლი 893

[1] თუ ერთიდაიგივე ნივთზე რამდენიმე გირავნობის უფლება არსებობს, მაშინ კრედიტორები დაკმაყოფილდებიან მათი რიგითობის მიხედვით.

[2] გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება მათი დადგენის მომენტის მიხედვით.

მუხლი 894

ბათილია ნებისმიერი შეთანხმება, რომლის თანახმადაც კრედიტორის მოთხოვნის დაუკმაყოფილობლობის შემთხვევაში გირავნობის საგანი ხდება მისი საკუთრება.

მუხლი 895

[1] თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე კრედიტორს შეუძლია დააკავოს ის მოძრავი ნივთები და ფასიანი ქაღალდები, რომლებიც მოვალის თანხმობით იმყოფება კრედიტორის მფლობელობაში იმ პირობით, რომ დამდგარია აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა და თავისი ბუნების მიხედვით ის დაკავშირებულია დაკავების უფლების საგანთან.

[2] მეწარმე სუბიექტებს შორის აღნიშნული კავშირი არსებობს, როდესაც როგორც მფლობელობა, ისე მოთხოვნა მათი საქმიანი ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.

[3] რამდენადაც მესამე პირებს არ გააჩნიათ უფლებები უფრო ადრინდელი მფლობელობიდან გამომდინარე, კრედიტორს აქვს დაკავების უფლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის მიერ კეთილსინდისიერად მიღებული ნივთი არ ეკუთვნის მოვალეს.

მუხლი 896

[1] დაუშვებელია დაკავების უფლების განხორციელება იმ ნივთებზე, რომლებიც თავიანთი ბუნებით არ ექვემდებარება რეალიზაციას.

[2] ასევე დაკავების უფლების განხორციელება გამორიცხულია, თუ ის წინააღმდეგობაშია კრედიტორის მიერ ნაკისრ ვალდებულებასთან ან მოვალის მიერ ნივთის გადაცემამდე ან მისი გადაცემისას მიცემულ მითითებებთან ანდა არღვევს საჯარო წესრიგს.

მუხლი 897

[1] მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაში კრედიტორს აქვს დაკავების უფლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა ჯერ არ არის დამდგარი.

[2] თუ გადახდისუუნარობა დგება მხოლოდ ნივთის გადაცემის შემდეგ ანდა იმის შემდეგ, რაც ეს ფაქტი კრედიტორისათვის ცნობილი გახდა, მაშინ ამ უკანასკნელს დაკავების უფლების განხორციელება შეუძლია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის წინააღმდეგობაშია მის მიერ მანამდე ნაკისრ ვალდებულებასთან ან მოვალის მიერ მიცემულ სპეციალურ მითითებებთან.

მუხლი 898

[1] თუ მოვალე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს მოვალის წინასწარი გაფრთხილების შემდეგ შეუძლია განახორციელოს დაკავებული ნივთის რეალიზაცია, მსგავსად გირავნობის საგნისა იმ პირობით, რომ მას არ წარედგინება საკმარისი უზრუნველყოფა.

[2] დაკავებული სახელობითი ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის მიზნით მოვალის წარმომადგენლობისას მოთხოვნების რეალიზაციის უწყების ან გაკოტრების საქმის მწარმოებელმა თანამშრომელმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა.

მეორე თავი: გირავნობა მოთხოვნებსა და სხვა უფლებებზე

მუხლი 899

[1] მოთხოვნები და სხვა უფლებები შეიძლება დაგირავდეს, თუ ისინი ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას.

[2] თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, მოთხოვნებსა და სხვა უფლებებზე გირავნობის უფლების მიმართ გამოიყენება მფლობელობითი გირავნობის მომწესრიგებელი დანაწესები.

მუხლი 900

[1] იმ მოთხოვნის დაგირავებისათვის, რომელიც არ არის დადასტურებული წერილობითი დოკუმენტით ან რომლისათვისაც არსებობს მხოლოდ სავალო საბუთი, საჭიროა გირავნობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – სავალო საბუთის გადაცემა.

[2] მოგირავნესა და დამგირავებელს შეუძლიათ შეატყობინონ მოვალეს მოთხოვნის დაგირავების შესახებ.

[3] სხვა უფლებების დაგირავებისათვის წერილობითი ფორმით დადებულ გირავნობის ხელშეკრულებასთან ერთად საჭიროა იმ ფორმის დაცვა, რაც გათვალისწინებულია უფლების გადაცემისათვის.

მუხლი 901

[1] საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, დაგირავებისათვის საკმარისია დოკუმენტის მოგირავნისათვის გადაცემა.

[2] სხვა ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, საჭიროა დოკუმენტის გადაცემა ინდოსამენტთან ან დათმობის განცხადებასთან ერთად.

[3] რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების (Bucheffekten) დაგირავება ექსკლუზიურად რეგულირდება რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების შესახებ 2008 წლის 3 ოქტომბრის კანონით.

მუხლი 902

[1] თუ საქონელზე არსებული საკუთრების უფლება ასახულია ფასიან ქაღალდში, მაშინ ამ უკანასკნელის დაგირავებით გირავნობის უფლება დგინდება საქონელზეც.

[2] თუ სასაქონლო ფასიან ქაღალდთან ერთად არსებობს ასევე სპეციალური გირავნობის მოწმობა (ვარანტი), მაშინ გირავნობის დადგენისათვის საკმარისია გირავნობის მოწმობის დაგირავება იმ პირობით, რომ თავად სასაქონლო ფასიან ქაღალდზე კეთდება დაგირავების შესახებ აღნიშვნა მოთხოვნის ოდენობისა და გადახდის თარიღის მითითებასთან ერთად.

მუხლი 903

მოთხოვნაზე შემდგომი რიგის მქონე გირავნობის უფლება ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი დაგირავების შესახებ მოთხოვნის კრედიტორი ან შემდგომი რიგის მქონე მოგირავნე წერილობით შეატყობინებს უპირატესი რიგის მქონე მოგირავნეს.

მუხლი 904

[1] თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, იმ მოთხოვნებზე არსებული გირავნობის უფლების შემთხვევაში, რომლებსაც ერიცხება პროცენტები, ან რომელთა შემთხვევაშიც გათვალისწინებულია სხვა პერიოდულად განსახორციელებელი დამატებითი გადახდები როგორიცაა დივიდენდები, დაგირავებულად ჩაითვლება მხოლოდ მიმდინარე მოთხოვნა, ხოლო კრედიტორს არა აქვს მოთხოვნის უფლება ვადამოსული გადახდების მიღებაზე.

[2] თუმცა, თუ აღნიშნული დამატებითი უფლებები დადასტურებულია სპეციალური დოკუმენტებით, მაშინ ეს დოკუმენტები – თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, – დაგირავებულად ჩაითვლება იმდენად, რამდენადაც მათზე გირავნობის უფლება ფორმის დაცვით დადგინდა.

მუხლი 905

[1] დაგირავებული აქციების მეშვეობით აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობას იღებენ აქციონერები და არა მოგირავნე.

[2] შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაგირავებული წილების მეშვეობით პარტნიორთა კრებაში მონაწილეობას იღებენ პარტნიორები და არა მოგირავნე.

მუხლი 906

[1] თუ გულმოდგინე მართვის განხორციელებისათვის მოითხოვება დაგირავებული მოთხოვნის რეალიზაციის შესახებ განცხადების წარდგენა და თავად მოთხოვნის რეალიზაცია, მაშინ მოთხოვნის კრედიტორს შეუძლია აღნიშნული მოქმედებების განხორციელება და მოგირავნეთაგან მათი განხორციელების მოთხოვნა.

[2] დაგირავების შესახებ შეტყობინებისთანავე მოვალეს გადახდების განხორციელება შეუძლია ერთ-ერთის – კრედიტორის ან მოგირავნის მიმართ მხოლოდ მეორე პირის თანხმობით.

[3] როდესაც აღნიშნული თანხმობა სახეზე არ არის, მოვალემ გადასახდელი თანხა უნდა განათავსოს დეპოზიტზე.

მესამე თავი: ლომბრადში ნივთების დაგირავება (Versatzpfand)

მუხლი 907

[1] იმ პირს, რომელსაც სურს ლომბრადის ბიზნესის წარმოება, ამისათვის მოეთხოვება კანტონალური მთავრობის ნებართვის მიღება.

[2] კანტონები განსაზღვრავენ, რომ აღნიშნული ნებართვა გაიცეს მხოლოდ კანტონისა თუ თემის საჯარო დაწესებულებებზე, ისევე როგორც – საქველმოქმედო ორგანიზაციებზე.

[3] კანტონებს აღნიშნული დაწესებულებებისაგან შეუძლიათ მიიღონ მოსაკრებლის თანხები.

მუხლი 908

[1] კერძო სალომბარდე დაწესებულებებზე ნებართვა გაიცემა მხოლოდ განსაზღვრული ვადით, თუმცა ის შემდგომში შეიძლება განახლდეს.

[2] ნებართვა შეიძლება გამოხმობილ იქნეს ნებისმიერ დროს, თუ ლომბარდი არ იცავს მისი ბიზნესისათვის მომწესრიგებელ დანაწესებს.

მუხლი 909

ლომბრადში გირავნობა დგინდება გირავნობის საგნის ლომბარდისათვის გადაცემითა და შესაბამისი გირავნობის ქვითრის გაცემით.

მუხლი 910

[1] თუ გირავნობა შეთანხმებულ ვადაში არ დაიფარება, მაშინ ლომბარდს წინასწარი საჯარო მოთხოვნის შემდეგ შეუძლია განახორციელოს გირავნობის საგნის აუქციონზე (amtlich) გაყიდვა.

[2] ლომბარდს არ შეუძლია პირადული ხასიათის მოთხოვნის რეალიზაცია.

მუხლი 911

[1] თუ აუქციონზე გაყიდვიდან ამონაგები თანხა აღემატება დაგირავებული ნივთის სანაცვლოდ გაცემული თანხის ოდენობას, მაშინ უფლებამოსილ პირს აქვს ნამეტი თანხის მიღების მოთხოვნის უფლება.

[2] ნამეტი თანხის გამოთვლისას ერთიდაიგივე მოვალის მიმართ არსებული რამდენიმე მოთხოვნა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მთლიანი თანხა.

[3] ნამეტი თანხის მიღების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია ნივთის გაყიდვიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 912

[1] მანამდე, სანამ ნივთი ჯერ არ არის გაყიდული, გირავნობა შეიძლება უფლებამოსილი პირის მიერ დაიფაროს ქვითრის დაბრუნების სანაცვლოდ.

[2] თუ უფლებამოსილ პირს არ შეუძლია ქვითრის წარდგენა, მაშინ გირავნობის დაფარვის ვადის დადგომის შემდეგ ის უფლებამოსილია დაფარვაზე იმ პირობით, თუ უფლებამოსილი პირი დოკუმენტურად დაადასტურებს თავის უფლებას.

[3] ზემოაღნიშნული უფლებამოსილება გირავნობის დაფარვის ვადის დადგომიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ უფლებამოსილ პირს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლომბარდმა პირდაპირ დაიტოვა უფლება, მოახდინოს გირავნობის დაფარვა მხოლოდ ქვითრის დაბრუნების სანაცვლოდ.

მუხლი 913

[1] ლომბარდი უფლებამოსილია, გირავნობის დაფარვისას მოითხოვოს სრული მიმდინარე თვის პროცენტების გადახდა.

[2] თუ ლომბარდმა პირდაპირ დაიტოვა უფლება, გირავნობის საგანი გადასცეს ნებისმიერ პირს ქვითრის დაბრუნების სანაცვლოდ, მაშინ ლომბარდი გირავნობის საგნის გადაცემაზე უფლებამოსილია მანამდე, სანამ მან არ იცის ან არ უნდა იცოდეს, რომ აღნიშნულმა პირმა ქვითრზე მფლობელობა მოიპოვა არაკეთილსინდისიერი გზით.

მუხლი 914

გამოსყიდვის უფლებით სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ნივთის ნასყიდობა უთანაბრდება ლომბრადში ნივთების დაგირავებას.

მუხლი 915

[1] კანტონებს შეუძლიათ დაადგინონ ლომბარდის ბიზნესის მომწესრიგებელი დამატებითი რეგულაციები.

[2] ... (გაუქმებულია)

მეოთხე თავი: ... (გაუქმებულია)

მუხლები 916-918 (გაუქმებულია)

მესამე განყოფილება: მფლობელობა და საადგილმამულო რეესტრი

ოცდამეოთხე ტიტული: მფლობელობა

მუხლი 919

[1] ის, ვინც ნივთზე ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას, წარმოადგენს მის მფლობელს.

[2] მიწის სერვიტუტებისა და მიწის გადასახდელების შემთხვევაში, ნივთზე მფლობელობას უთანაბრდება უფლების ფაქტობრივი განხორციელება.

მუხლი 920

[1] თუ მფლობელმა ნივთი სხვა პირს გადასცა შეზღუდული სანივთო ან პირადი უფლების მინიჭების მიზნით, მაშინ ორივე მათგანი არის მფლობელი.

[2] პირს, რომელიც ნივთს ფლობს როგორც მესაკუთრე, აქვს მფლობელობა თავისთვის (selbständigen), ხოლო სხვა პირს კი აქვს მფლობელობა სხვისათვის (unselbständigen).

მუხლი 921

მფლობელობა არ წყდება ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების დროებითი შეფერხებისა თუ მისი განხორციელებისაგან დროებით თავის შეკავების შედეგად.

მუხლი 922

[1] მფლობელობის გადაცემა ხორციელდება თავად ნივთის ან იმ საშუალების ფაქტობრივი გადაცემით, რომლითაც მიმღებს ენიჭება ნივთზე ბატონობა.

[2] გადაცემა განხორციელებულად ითვლება, როგორც კი მიმღები თავდაპირველი მფლობელის ნებართვით შეძლებს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებას.

მუხლი 923

თუ გადაცემა ხდება არათანმყოფ პირებს შორის, მაშინ ის ხორციელდება ნივთის მიმღებისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის ფაქტობრივი გადაცემით.

მუხლი 924

[1] ნივთის ფაქტობრივი გადაცემის გარეშე მფლობელობის შეძენა შესაძლებელია, თუ მესამე პირი ან გამსხვისებელი თავად ინარჩუნებს ნივთზე მფლობელობას განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე.

[2] მესამე პირის მიმართ აღნიშნული მფლობელობის გადაცემა ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამსხვისებელმა ამის შესახებ მას შეატყობინა.

[3] მესამე პირს შეუძლია შემძენს განუცხადოს უარი ნივთის დაბრუნებაზე იგივე საფუძვლებიდან გამომდინარე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ის შეძლებდა გამსხვისებლისათვის უარის თქმას.

მუხლი 925

[1] თუ იმ საქონლისათვის, რომელიც გადაეცა გადამზიდველს ან საწყობს, გაიცემა მასზე არსებული საკუთრების უფლების ამსახველი ფასიანი ქაღალდები, მაშინ ასეთი დოკუმენტის ფაქტობრივი გადაცემა ჩაითვლება თავად საქონლის გადაცემად.

[2] თუმცაღა, თუ სასაქონლო ფასიანი ქაღალდის კეთილსინდისიერ მიმღებს უპირისპირდება საქონლის კეთილსინდისიერი მიმღები, მაშინ უპირატესობა ენიჭება ამ უკანასკნელს.

მუხლი 926

[1] ყოველ მფლობელს შეუძლია აკრძალული თვითნებობისაგან თავის დაცვა ძალის გამოყენებით.

[2] თუ მფლობელს ნივთზე მფლობელობა ერთმევა ძალადობით ან მალულად, მას შეუძლია მფლობელობის დაბრუნება დამრღვევის დაუყოვნებლივ მიწის ნაკვეთიდან გაძევებით, ხოლო მოძრავი ნივთის შემთხვევაში კი, – დამრღვევის ადგილზე წასწრებისა და უშუალოდ ცხელ კვალზე დადევნების შედეგად ნივთის წართმევით.

[3] აღნიშნულ შემთხვევებში მფლობელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ძალის გამოყენებისაგან, რომელიც არსებული გარემოებებიდან გამომდინარე გაუმართლებელია.

მუხლი 927

[1] პირი, რომელმაც სხვა ნივთზე მფლობელობა ჩამოართვა აკრძალული თვითნებობით, ვალდებულია დააბრუნოს ის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ამტკიცებს ნივთზე უკეთესი უფლების ქონას.

[2] თუ მოპასუხე დაუყოვნებლივ დაამტკიცებს თავისი უკეთესი უფლების არ-

სებობას, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს კვლავ შეიძლება მოეთხოვოს ნივთის გადმოცემა, მაშინ მას შეუძლია უარი განაცხადოს ნივთის დაბრუნებაზე.

[3] სარჩელი მიმართულია ნივთის დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურებისაკენ.

მუხლი 928

[1] თუ მფლობელობა ირღვევა აკრძალული თვითნებობის შედეგად, მაშინ მფლობელს შეუძლია დამრღვევის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს უკანასკნელი ამტკიცებს ნივთზე უფლების ქონას.

[2] სარჩელი მიმართულია დარღვევის აღმოფხვრის, შემდგომში მისი ჩადენისაგან თავის შეკავებისა და ზიანის ანაზღაურებისაკენ.

მუხლი 929

[1] აკრძალული თვითნებობიდან გამომდინარე სარჩელი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მფლობელი მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი ხდება დარღვევის ფაქტისა და დამრღვევის პიროვნების შესახებ, დაუყოვნებლივ ითხოვს ნივთის უკან დაბრუნებას ან დარღვევის აღმოფხვრას.

[2] სარჩელი ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც აითვლება ნივთის ჩამორთმევის ან დარღვევის ჩადენის მომენტიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მფლობელმა დარღვევის ფაქტისა და დამრღვევის პიროვნების შესახებ მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო.

მუხლი 930

[1] ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე.

[2] ყოველი თავდაპირველი მფლობელისათვის არსებობს ვარაუდი იმისა, რომ ნივთის მფლობელობის დროს ის წარმოადგენდა მის მესაკუთრეს.

მუხლი 931

[1] თუ პირი ფლობს მოძრავ ნივთს მის მესაკუთრედ ყოფნის ნება-სურვილის გარეშე, მაშინ მას შეუძლია მიუთითოს იმ პირის საკუთრების უფლების პრეზუმფციაზე, რომლისაგანაც მან ეს ნივთი კეთილსინდისიერად მიიღო.

[2] თუ პირი ფლობს მოძრავ ნივთს შეზღუდული სანივთო უფლების ან პირადი მოთხოვნის უფლების საფუძველზე, მაშინ აღნიშნული უფლების არსებობა ივარაუდება, თუმცა, ამ პრეზუმფციაზე მითითება მას არ შეუძლია იმ პირის მიმართ, რომლისაგანაც მან ნივთი მიიღო.

მუხლი 932

მოძრავი ნივთის მფლობელს შეუძლია ნებისმიერი სარჩელის საწინააღმდეგოდ მიუთითოს მისი უკეთესი უფლების არსებობის პრეზუმფციაზე, მფლობელობის თვითნებური ჩამორთმევისა თუ დარღვევის მომწესრიგებელი დანაწესების გათვალისწინების პირობით.

მუხლი 933

პირი, რომელიც მოძრავ ნივთს კეთილსინდისიერად იღებს მფლობელობაში მასზე საკუთრების უფლების ან შეზღუდული სანივთო უფლების შეძენის მიზ-

ნით, თავის შენაძენში დაცულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ნივთი გამსხვისებელს გადაეცა აღნიშნული უფლებების გადაცემის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე.

მუხლი 934

[1] მფლობელს, რომელსაც მოძრავი ნივთი მოჰპარეს ან რომელმაც ნივთი დაკარგა ანდა ეს ნივთი მისი ნების საწინააღმდეგოდ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, შეუძლია ამ ნივთის მოთხოვნა ნებისმიერი მიმღებისაგან ხუთი წლის განმავლობაში. შენარჩუნებულია 722-ე მუხლის მოქმედება.

[1bis] კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გადაცემის შესახებ 2003 წლის 20 ივნისის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ მისი მფლობელობიდან გასული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაბრუნების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც აითვლება მესაკუთრის მიერ იმის შეტყობის მომენტიდან, თუ სად და ვისთან იმყოფება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი, თუმცა არაუგვიანეს 30 წლისა ნივთის მფლობელობიდან გასვლის მომენტიდან.

[2] თუ ნივთი გაიყიდა საჯარო აუქციონზე ან ბაზარზე ანდა გადაცემულ იქნა იმ მეწარმის მეშვეობით, რომელიც ვაჭრობს ანალოგიური სახის საქონლით, მაშინ ამ ნივთის გამოთხოვა შესაძლებელია პირველი და ნებისმიერი შემდგომი კეთილსინდისიერი მიმღებისაგან მხოლოდ მის მიერ გადახდილი ნასყიდობის თანხის ანაზღაურების სანაცვლოდ.

[3] სხვა მხრივ ნივთის უკან დაბრუნება ხორციელდება კეთილსინდისიერი მფლობელის მოთხოვნის უფლებათა მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 935

ფული და საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების კეთილსინდისიერი მიმღებისაგან გამოთხოვა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან.

მუხლი 936

[1] თავდაპირველმა მფლობელმა ნებისმიერ დროს შეიძლება მოსთხოვოს მოძრავი ნივთის დაბრუნება იმ პირს, რომელმაც ნივთი არაკეთილსინდისიერად შეიძინა.

[2] თუმცაღა, თუ თავდაპირველმა მფლობელმა ასევე არაკეთილსინდისიერად შეიძინა მოძრავი ნივთი, ის ვერ მოსთხოვს შემდგომ მფლობელს ნივთის დაბრუნებას.

მუხლი 937

[1] საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით უფლების პრეზუმფცია და მფლობელობიდან გამომდინარე სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება არსებობს მხოლოდ რეესტრში რეგისტრირებული პირისათვის.

[2] თუმცაღა, პირს, რომელიც მიწის ნაკვეთის მიმართ ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას, შეუძლია სარჩელის წარდგენა მფლობელობის თვითნებური ჩამორთმევისა თუ დარღვევის გამო.

მუხლი 938

[1] პირი, ვინც ნივთს კეთილსინდისიერად ფლობს, არ არის ვალდებული, უფლებამოსილ პირს აუნაზღაუროს ნივთით ისეთი სარგებლობისა და გამოყენების შედეგად დამდგარი ზიანი, რომელიც შეესაბამება მის სავარაუდოდ კუთვნილ უფლებას.

[2] აღნიშნული პირი არ არის ვალდებული, შეცვალოს განადგურებული ან დაზიანებული ობიექტები.

მუხლი 939

[1] თუ უფლებამოსილი პირი ითხოვს ნივთის მისთვის გადმოცემას, მაშინ კეთილსინდისიერ მფლობელს აუცილებელი და სარგებლის მომტანი დანახარჯებისათვის შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია და უარი განაცხადოს ნივთის გაცემაზე კომპენსაციის თანხის გადახდამდე.

[2] უფლებამოსილ პირს არ შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნა სხვა დანახარჯებისათვის, თუმცა როდესაც მას ასეთი კომპენსაციის გადახდას არ სთავაზობენ, ნივთის დაბრუნებამდე მას შეუძლია დაიტოვოს ყველაფერი ის, რაზეც მან გასწია ხარჯები, რამდენადაც ამის განხორციელება შესაძლებელია თავად ნივთის დაზიანების გარეშე.

[3] მფლობელის მიერ მიღებული ნაყოფი გათვალისწინებული უნდა იქნეს დანახარჯების მოთხოვნის ანგარიშში.

მუხლი 940

[1] პირმა, ვინც ნივთს არაკეთილსინდისიერად ფლობს, ეს ნივთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს და აუნაზღაუროს მას მისი უკანონო დაკავების შედეგად გამოწვეული ყოველგვარი ზარალი, ისევე როგორც – გადაიხადოს კომპენსაციის თანხა მიღებული ან მიუღებელი ნაყოფისათვის.

[2] აღნიშნული დანახარჯებისათვის არაკეთილსინდისიერ მფლობელს მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი გაწევა აუცილებელი იქნებოდა თვით უფლებამოსილი პირისათვისაც.

[3] მანამდე, სანამ მფლობელმა არ იცის, თუ ვის უნდა გადასცეს ნივთი, ის პასუხს აგებს მხოლოდ იმ ზიანისათვის, რომლისათვისაც მას მიუძღვის ბრალი.

მუხლი 941

შეძენით ხანდაზმულობაზე უფლებამოსილ მფლობელს თავისი წინამორბედის მფლობელობა შეუძლია ჩათვალოს თავისი მფლობელობის ნაწილად იმდენად, რამდენადაც წინამორბედის მფლობელობაც ვარგისი იყო შეძენითი ხანდაზმულობისათვის.

ოცდამეხუთე ტიტული: საადგილმამულო რეესტრი

მუხლი 942

[1] მიწის ნაკვეთებზე არსებული უფლებების აღრიცხვისათვის იწარმოება საადგილმამულო რეესტრი.

[2] საადგილმამულო რეესტრი შედგება მთავარი რეესტრისა და მასზე დამატებული გეგმებისაგან, უძრავი ქონების ჩამონათვალისაგან, დოკუმენტაციისაგან, უძრავი ქონების აღწერისა და ჟურნალისაგან.

[3] საადგილმამულო რეესტრი შეიძლება წარმოებულ იქნეს ქაღალდზე ან ელექტრონული საშუალებით.

[4] საადგილმამულო რეესტრის ელექტრონული საშუალებით წარმოების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი შედეგები დაკავშირებულია სისტემაში სათანადოდ შენახულ და საადგილმამულო რეესტრის სამსახურის მოწყობილობების ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ასოებისა და ციფრების სახით წაკითხვადი ან გრაფიკულად გამოსახულ მონაცემებთან.

მუხლი 943

[1] მიწის ნაკვეთის სახით საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციაში ტარდება:

1. მიწის ნაკვეთები მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით;
2. მიწის ნაკვეთებზე არსებული დამოუკიდებელი და გრძელვადიანი უფლებები;
3. საბადოები;
4. მიწის ნაკვეთებზე თანასაკუთრების წილები.

[2] დამოუკიდებელი და გრძელვადიანი უფლებების, საბადოებისა და მიწის ნაკვეთებზე თანასაკუთრების წილების რეგისტრაციის სახისა და წინაპირობების მომწესრიგებელი დეტალური წესები დგინდება ფედერალური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 944

[1] მიწის ნაკვეთები, რომლებიც არ იმყოფება კერძო საკუთრებაში, ასევე – საზოგადოებრივი მომსახურებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთები საადგილმამულო რეესტრში აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მათზე არსებული სანივთო უფლებები ან თუ მათი რეგისტრაცია გათვალისწინებულია კანტონალური სამართლით.

[2] თუ საადგილმამულო რეესტრში ასახული მიწის ნაკვეთი გარდაიქმნება იმ მიწის ნაკვეთად, რომელიც არ ექვემდებარება რეგისტრაციას, მაშინ ის საადგილმამულო რეესტრიდან ამოიშლება.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 945

[1] ყოველ მიწის ნაკვეთს მთავარ რეესტრში აქვს საკუთარი ფურცელი და ნომერი.

[2] მიწის ნაკვეთების გაყოფისას ან რამდენიმე მიწის ნაკვეთის გაერთიანებისას შესასრულებელი პროცედურა განისაზღვრება ფედერალური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 946

[1] მიწის ნაკვეთის ყოველი ფურცლის სპეციალურ განყოფილებებში რეგისტრაციაში ტარდება:

1. საკუთრების უფლება;

2. მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ან მიწის ნაკვეთზე დადგენილი სერვიტუტები და მიწის გადასახდელები;

3. საუზრუნველყოფო უფლებები, რომლითაც დატვირთულია მიწის ნაკვეთი.

[2] მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე, საკუთვნებელი აღინიშნება ფურცელში და როდესაც ეს ხორციელდება, ასეთი აღნიშვნა შეიძლება წაიშალოს მხოლოდ საადგილმამულო რეესტრში მითითებული ყველა უფლებამოსილი პირის თანხმობით.

მუხლი 947

[1] მესაკუთრის ნებართვით რამდენიმე მიწის ნაკვეთი შეიძლება აღირიცხოს ერთ ფურცელში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი ერთმანეთის მომიჯნავე არ არის.

[2] აღნიშნულ ფურცელში განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერები მოქმედებს ერთობლივად ყველა მიწის ნაკვეთის მიმართ, გარდა მიწის სერვიტუტებისა.

[3] მესაკუთრეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ერთობლივი ფურცლიდან ცალკეული მიწის ნაკვეთის გამოყოფა მასზე არსებული ყველა უფლების შენარჩუნების პირობით.

მუხლი 948

[1] საადგილმამულო რეესტრში სარეგისტრაციო განცხადებები დაუყოვნებლივ ქრონოლოგიურად აისახება ჟურნალში განმცხადებელი პირისა და მისი მოთხოვნის მითითებით.

[2] საადგილმამულო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტები სათანადოდ უნდა დახარისხდეს და დაარქივდეს.

[3] იმ კანტონებში, სადაც დოკუმენტების ოფიციალური დამოწმება ნებადართულია საადგილმამულო რეესტრის ადმინისტრატორის მეშვეობით, დოკუმენტაციის წარდგენა შეიძლება შეიცვალოს საოქმო ჩანაწერით, რომლის რეგისტრაციაც ქმნის დოკუმენტის ოფიციალურ დამოწმებას.

მუხლი 949

[1] ფედერალური საბჭო საადგილმამულო რეესტრისათვის ადგენს სარეგისტრაციო ფორმებს, გამოსცემს აუცილებელ დადგენილებებსა და მას შეუძლია საადგილმამულო რეესტრის საქმიანობის მოწესრიგების მიზნით გაითვალისწინოს დამხმარე რეესტრების წარმოება.

[2] იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც რჩება კანტონალური სამართლის დაქვემდებარებაში, კანტონებს უფლება აქვთ, დაადგინონ მათზე არსებული სანივთო უფლებების რეგისტრაციის მომწესრიგებელი სპეციალური წესები, რომლებიც ამავე დროს თავიანთი ნამდვილობისათვის საჭიროებს ფედერაციის მოწონებას.

მუხლი 949a

[1] კანტონი, რომელსაც სურს საადგილმამულო რეესტრის ელექტრონული საშუალებით წარმოება, საჭიროებს კონფედერაციის იუსტიციისა და პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილებას.

[2] ფედერალური საბჭო აწესრიგებს:

1. უფლებამოსილების მინიჭების პროცედურას;

2. საადგილმამულო რეესტრის ელექტრონული საშუალებით წარმოების მოცულობასა და ცალკეულ ტექნიკურ ელემენტებს, კერძოდ კი, – პროცესს, რომლითაც რეესტრში ჩანაწერები ძალმოსილი ხდება;

3. დასაშვებია თუ არა – და თუ დასაშვებია, მაშინ რა წინაპირობების არსებობისას – საადგილმამულო რეესტრის სამსახურის ელექტრონული გზით კომუნიკაცია;

4. დასაშვებია თუ არა – და თუ დასაშვებია, მაშინ რა წინაპირობების არსებობისას – მთავარი რეესტრის ღია მონაცემების არადაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა;

5. მონაცემების ხელმისაწვდომობას, მოთხოვნების აღწერას, ისევე როგორც არამართლზომიერი გამოყენების შემთხვევაში მონაცემების ხელმისაწვდომობის ჩამორთმევის წინაპირობებს'

6. მონაცემთა დაცვას;

7. მონაცემთა გრძელვადიან დაცვასა და დაარქივებას.

[2] კონფედერაციის იუსტიციისა და პოლიციის დეპარტამენტი, ისევე როგორც კონფედერაციის თავდაცვის, მოსახლეობის დაცვისა და სპორტის დეპარტამენტი საადგილმამულო რეესტრისა და მიწის ოფიციალური აზომვისათვის ადგენენ მონაცემთა მოდელებსა და სტანდარტულ ინტერფეისებს.

მუხლი 950

[1] ცალკეული მიწის ნაკვეთების საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაცია და აღწერა ხორციელდება ოფიციალური საკადასტრო აზომვის, სახელდობრ კი, – საადგილმამულო რეესტრის გეგმის საფუძველზე.

[2] გეოინფორმაციის შესახებ 2007 წლის 5 ოქტომბრის კანონი აწესრიგებს ოფიციალური საკადასტრო აზომვის ხარისხობრივ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

მუხლი 951

[1] საადგილმამულო რეესტრის წარმოებისათვის კანტონებში იქმნება რაიონები.

[2] მიწის ნაკვეთები აისახება იმ რაიონების საადგილმამულო რეესტრში, სადაც ისინი მდებარეობს.

მუხლი 952

[1] თუ მიწის ნაკვეთი მდებარეობს რამდენიმე რაიონში, მაშინ ის უნდა აისახოს თითოეული რაიონის საადგილმამულო რეესტრში სხვა რაიონის საადგილმამულო რეესტრზე შესაბამისი მითითებით.

[2] სარეგისტრაციო განცხადებების წარდგენა და უფლებადამდგენი რეგისტრაციები ხორციელდება იმ რაიონის საადგილმამულო რეესტრში, რომელშიც მდებარეობს მიწის ნაკვეთის უდიდესი ნაწილი.

[3] აღნიშნულ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციების შესახებ შეტყობინებას რეესტრის ადმინისტრატორი უგზავნის სხვა რეესტრებს.

მუხლი 953

[1] კანტონების მიერ ხორციელდება საადგილმამულო რეესტრის სამსახურების დაფუძნება, რაიონების საზღვრების დადგენა, საჯარო მოხელეთა დანიშვნა, მათი შრომის ანაზღაურება და ასევე ზედამხედველობის წესის განსაზღვრა.

[2] კანტონების მიერ მიღებული რეგულაციები, გარდა საჯარო მოხელეთა დანიშვნისა და მათი შრომის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმებისა, საჭიროებს ფედერაციის მოწონებას.

მუხლი 954

[1] საადგილმამულო რეესტრში განსახორციელებელი რეგისტრაციებისა და ამასთან დაკავშირებით ჩასატარებელი აზომვითი სამუშაოებისათვის კანტონებს შეუძლიათ მიიღონ მოსაკრებლის თანხები.

[2] დაუშვებელია მოსაკრებლის თანხების მიღება იმ რეგისტრაციებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ნიადაგის გაუმჯობესების სამუშაოებთან ან სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გაერთიანების მიზნით განხორციელებულ მიწის ნაკვეთების გაცვლის ოპერაციებთან.

მუხლი 955

[1] კანტონები პასუხს აგებენ ყველა იმ ზიანისათვის, რომლებიც საადგილმამულო რეესტრის წარმოებისას დგება.

[2] კანტონებს აქვთ რეგრესული მოთხოვნა საადგილმამულო რეესტრის საჯარო მოხელეებისა და მოსამსახურეების, ისევე როგორც უშუალო ზედამხეველობის განმახორციელებელი ორგანოების მიმართ, რომელთაც ზიანის დადგომაში მიუძღვით ბრალი.

[3] კანტონებს შეუძლიათ საჯარო მოხელეებისა და მოსამსახურეებისაგან მოითხოვონ უზრუნველყოფის წარდგენა.

მუხლი 956

[1] საადგილმამულო რეესტრის მართვა ექვემდებარება კანტონების ადმინისტრაციულ ზედამხედველობას.

[2] ფედერაცია ახორციელებს მთავარ ზედამხედველობას.

მუხლი 956a

[1] საადგილმამულო რეესტრის სამსახურის მიერ მიღებული განკარგულების წინააღმდეგ შესაძლებელია საჩივრის წარდგენა კანტონის მიერ განსაზღვრულ ორგანოში; განკარგულებად ჩაითვლება ასევე სამსახურეობრივი საქმიანობის ფარგლებში შესასრულებელ მოქმედებაზე უკანონო უარი ან ამ მოქმედების შესრულების უკანონო გაჭიანურება.

[2] საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილია:

1. ნებისმიერი ის პირი, რომელსაც საადგილმამულო რეესტრის სამსახურის განკარგულება განსაკუთრებით ეხება ან მისი გაუქმებისა თუ შეცვლის პატივსადები ინტერესი აქვს;

2. კანტონალური ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანო, რამდენადაც კანტონალური სამართალი მას ანიჭებს საჩივრის წარდგენის უფლებამოსილებას;

3. ფედერალური ზედამხედველობის ორგანო.

[3] მთავარ რეესტრში განხორციელებული სანივთო უფლებებისა თუ წინასწარი ჩანაწერების რეგისტრაციის, ცვლილების ან ამოშლის საწინააღმდეგოდ საჩივრის წარდგენა დაუშვებელია.

მუხლი 956b

[1] ზემდგომი კანტონალური ინსტანციისათვის საჩივრის წარდგენის ვადა შეადგენს 30 დღეს.

[2] თუ საადგილმამულო რეესტრის სამსახური უარს აცხადებს განსაზღვრულ სამსახურეობრივი საქმიანობის ფარგლებში შესასრულებელ მოქმედებაზე ან აჭიანურებს ამ მოქმედების შესრულებას, მაშინ ამის საპირისპიროდ საჩივარი შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს წარდგენილი.

მუხლი 957 (გაუქმებულია)

მუხლი 958

საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციაში ტარდება შემდეგი უფლებები:

1. საკუთრების უფლება;
2. სერვიტუტები და მიწის გადასახდელები;
3. საუზრუნველყოფო უფლებები.

მუხლი 959

[1] პირადი უფლებები შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში საადგილმამულო რეესტრში, როდესაც მათი რეგისტრაცია პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით, როგორც, მაგალითად, – უპირატესი შესყიდვისა და გამოსყვიდვის უფლების, ნასყიდობის, იჯარისა და ქირავნობის შემთხვევებში.

[2] პირად უფლებებს საადგილმამულო რეესტრში წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრაციის მეშვეობით სამართლებრივი ძალა ენიჭება ნებისმიერი შემდგომში შეძენილ უფლებებთან შედარებით.

მუხლი 960

[1] ცალკეული მიწის ნაკვეთებისათვის განკარგვის შეზღუდვები შეიძლება წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრაციაში გატარდეს:

1. ოფიციალური დადგენილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია სადავო ან აღსრულებადი მოთხოვნის უფლებების უზრუნველსაყოფად;
2. ყადაღის საფუძველზე;
3. იმ გარიგების საფუძველზე, რომლისათვისაც კანონით გათვალისწინებულია წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაცია, როგორიცაა სუბსტიტუტის მიერ სამომავლო უფლებების მიღება.

[2] განკარგვის შეზღუდვებს საადგილმამულო რეესტრში წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრაციის მეშვეობით სამართლებრივი ძალა ენიჭება ნებისმიერი შემდგომში შეძენილ უფლებებთან შედარებით.

მუხლი 961

[1] დროებითი სარეგისტრაციო ჩანაწერები შეიძლება წინასწარი ჩანაწერის სახით გატარდეს რეგისტრაციაში:

1. დასადასტურებელი სანივთო უფლებების საუზრუნველყოფოდ;

2. კანონით დაშვებული დამატებითი მტკიცებულების შემთხვევებში.

2 დროებითი ჩანაწერები კეთდება ყველა დაინტერესებული პირის თანხმობით ან სასამართლოს დადგენილების საფუძველზე იმ შედეგით, რომ უფლება სანივთო-სამართლებრივ ძალას შეიძენს წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციის მომენტიდან მისი შემდგომში დადასტურების შემთხვევაში.

[3] მოთხოვნის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, ხოლო მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა დაადასტურა თავისი უფლებამოსილება, სასამართლო აცხადებს თანხმობას წინასწარი ჩანაწერის განხორციელებაზე, რომელშიც ის აზუსტებს წინასწარი ჩანაწერის დროში და საგნობრივ მოქმედებას, ხოლო, აუცილებლობის შემთხვევაში კი, – ადგენს ვადას მოთხოვნის უფლებების სასამართლო წესით რეალიზაციისათვის.

მუხლი 961a

საადგილმამულო რეესტრში წინასწარი ჩანაწერი ხელს არ უშლის შემდგომი რიგის უფლების რეგისტრაციას.

მუხლი 962

[1] თემმა ან საჯარო უფლებამოსილების მატარებელმა სხვა ორგანომ განსაზღვრული მიწის ნაკვეთის მიმართ უნდა უზრუნველყოს საკუთრების განკარგვის ისეთი საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაცია, რომელიც ადგენს სარგებლობისა თუ განკარგვის მყარ შეზღუდვას ანდა მესაკუთრეზე დაკისრებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მოვალეობას.

[2] თუ საკუთრების განკარგვის შეზღუდვა აღარ არსებობს, მაშინ თემმა ან საჯარო უფლებამოსილების მატარებელმა სხვა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საადგილმამულო რეესტრში არსებული აღნიშვნის (Anmerkung) ამოშლა. თუ თემი ან საჯარო უფლებამოსილების მატარებელი სხვა ორგანო უმოქმედოა, მაშინ საადგილმამულო რეესტრის სამსახურს შეუძლია ჩანაწერის საკუთარი ინიციატივით ამოშლა.

[3] ფედერალური საბჭო ადგენს, თუ კანტონალური სამართლის რომელი ტერიტორიის მიხედვით უნდა იქნეს საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების განკარგვის შეზღუდვები. კანტონებს შეუძლიათ გაითვალისწინონ რეესტრში დამატებითი აღნიშვნების განხორციელება. კანტონები ადგენენ რეესტრში აღნიშვნებისათვის საჭირო გარემოებათა ჩამონათვალს და უგზავნიან მას ფედერაციას.

მუხლი 962a

საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციაში შეიძლება გატარდნენ:

1. კანონიერი წარმომადგენელი მისივე ან კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე;

2. სამკვიდრო ქონების მმართველი, მემკვიდრეთა წარმომადგენელი, ოფიციალური ლიკვიდატორი და ანდერძის აღმსრულებელი მათივე ან მემკვიდრეთა თუ კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე;

3. დაუდგენელი მესაკუთრის, საუზრუნველყოფო უფლების მქონე კრედიტორის ან სერვიტუტის მფლობელის წარმომადგენელი მისივე ან სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე;

4. კანონით გათვალისწინებული ორგანოს არარსებობისას, იურიდიული პირის ან სხვა სამართლის სუბიექტის წარმომადგენელი მისივე ან სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე;

5. ბინის მესაკუთრეთა გაერთიანების მმართველი მისივე, ბინის მესაკუთრეთა საერთო კრების ან სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 963

[1] საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციები ხორციელდება იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელსაც ეხება განკარგვა.

[2] მესაკუთრის განცხადება არ არის საჭირო, როდესაც შემძენს შეუძლია მიუთითოს კანონისმიერ ნორმაზე, კანონიერ ძალში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებასა თუ სასამართლოს გადაწყვეტილების მსგავსი ძალის მქონე დოკუმენტზე.

[3] კანტონებს შეუძლიათ ოფიციალურ დამოწმებაზე უფლებამოსილ მოხელეებს მისცენ მითითებები, რომ ამ უკანასკნელებმა შეატყობინონ მათ დამოწმებული გარიგებების სარეგისტრაციოდ წარდგენის თაობაზე.

მუხლი 964

[1] სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლა ან მისი შეცვლა საჭიროებს ჩანაწერიდან გამომდინარე უფლებამოსილი პირის წერილობით განცხადებას.

[2] აღნიშნული განცხადების წარდგენა შესაძლებელია ჟურნალში გაკეთებული ხელმოწერით.

მუხლი 965

[1] საადგილმამულო რეესტრში სარეგისტრაციო განკარგვები, როგორიცაა ჩანაწერი, მისი ცვლილება, ჩანაწერის ამოშლა ყველა შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ასეთი განკარგვის უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე და უფლების სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისად.

[2] განკარგვის უფლებამოსილების არსებობა მტკიცდება იმითაც, რომ განმცხადებელი საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის ძალით წარმოადგენს განკარგვაზე უფლებამოსილ პირს ან მან ამ უკანასკნელისაგან მიიღო შესაბამისი მინდობილობა.

[3] განკარგვის სამართლებრივი საფუძვლის არსებობა მტკიცდება იმით, რომ დაკმაყოფილებულია მისი ნამდვილობისათვის აუცილებელი ფორმალური მოთხოვნები.

მუხლი 966

[1] თუ საადგილმამულო რეესტრში განსახორციელებელი განკარგვისათვის საჭირო დოკუმენტაცია არ იქნება წარდგენილი, მაშინ განცხადებას უნდა ეთქვას უარი.

[2] თუმცაღა, როდესაც დგინდება სამართლებრივი საფუძველი, ხოლო საქმე კი ეხება მხოლოდ განკარგვის უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტაციის შევსებას, მაშინ მესაკუთრის თანხმობით ან სასამართლოს განკარგულების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დროებითი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

მუხლი 967

[1] მთავარ რეესტრში სარეგისტრაციო ჩანაწერები კეთდება განცხადებათა წარდგენის ან საადგილმამულო რეესტრის ადმინისტრატორის წინაშე დასამოწმებელი დოკუმენტებისა თუ გაკეთებული განცხადებების ხელმოწერის რიგითობის მიხედვით.

[2] ყველა სარეგისტრაციო ჩანაწერის თაობაზე დაინტერესებულ პირებს მათი მოთხოვნის საფუძველზე გადაეცემათ ამონაწერი.

[3] სარეგისტრაციო ჩანაწერისა და მისი ამოშლის, ასევე ამონაწერების ფორმა განისაზღვრება ფედერალური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 968

მიწის სერვიტუტების რეგისტრაცია და სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლა ხორციელდება უფლებამოსილი და მომსახურე მიწის ნაკვეთების ფურცელში.

მუხლი 969

[1] საადგილმამულო რეესტრის ადმინისტრატორმა დაინტერესებულ პირებს უნდა შეატყობინოს იმ განკარგვების შესახებ, რომლებიც საადგილმამულო რეესტრში ხორციელდება მათი ინფორმირების გარეშე; კერძოდ, მესამე პირების მიერ საკუთრების უფლების შეძენის შესახებ ადმინისტრატორი ატყობინებს იმ უფლებამოსილ პირებს, რომელთა უპირატესი შესყიდვის უფლებაც წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრში ან არსებობს კანონის ძალითა და ვლინდება საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერებიდან.

[2] საადგილმამულო რეესტრში განსახორციელებელი განკარგვების გასაჩივრების ვადების ათვლა იწყება ზემოაღნიშნული შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან.

მუხლი 970

[1] პირს, რომელიც ამტკიცებს პატივსადები ინტერესის არსებობას, აქვს საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერების გაცნობისა თუ შესაბამისი ამონაწერის მიღების მოთხოვნის უფლება.

[2] აღნიშნული ინტერესის გარეშე ნებისმიერი პირი უფლებამოსილია, მიიღოს ინფორმაცია მთავარი რეესტრის შემდეგი მონაცემების შესახებ:

1. მიწის ნაკვეთის დასახელება და მისი აღწერა;
2. მესაკუთრის სახელი და საიდენტიფიკაციო მონაცემები;
3. საკუთრების ფორმა და შეძენის თარიღი.

[3] ფედერალური საბჭო განსაზღვრავს სერვიტუტებთან, მიწის გადასახდელებსა და რეესტრში აღნიშვნებთან დაკავშირებულ სხვა მონაცემებს, რომლებიც შეიძლება გასაჯაროვდეს პატივსადები ინტერესის მტკიცების გარეშე. ამ შემთხვევაში ფედერალური საბჭო მხედველობაში იღებს პიროვნების დაცვას.

[4] დაუშვებელია შესაგებელი იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერი პირისთვის ცნობილი არ იყო.

მუხლი 970a

[1] კანტონებს შეუძლიათ გაითვალისწინონ მიწის ნაკვეთებზე არსებული საკუთრების უფლების შეძენის ყველა ფაქტის გასაჯაროება.

[2] დაუშვებელია კანტონების მიერ სამკვიდროს გაყოფის შემთხვევაში სამაგიერო შესრულების, სამკვიდროში პირის წილის სანაცვლოდ წინასწარ მიღებული თანხის, საქორწინო ხელშეკრულების ან მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის გასაჯაროება.

მუხლი 971

[1] რამდენადაც სანივთო უფლების დადგენისათვის გათვალისწინებულია საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაცია, ეს უფლება სანივთო უფლების სახით არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ვლინდება საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერიდან.

[2] აღნიშნული ჩანაწერის ფარგლებში უფლების შინაარსი შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დოკუმენტის მეშვეობით ან სხვა ხერხით.

მუხლი 972

[1] სანივთო უფლებები წარმოიშობა და ისინი თავიანთ რიგსა და თარიღს იძენს მთავარ რეესტრში რეგისტრაციის გზით.

[2] სანივთო უფლებებს აქვს უკუქცევითი ძალა ჟურნალში მათი აღნიშვნის მომენტიდან იმ პირობით, რომ სარეგისტრაციო განცხადებას თან ერთვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები ან დროებითი სარეგისტრაციო ჩანაწერების შემთხვევაში კი, – აღნიშნული დოკუმენტები შემდგომში დროულად იქნება წარდგენილი.

[3] იქ, სადაც კანტონალური სამართლის თანახმად დოკუმენტების ოფიციალური დამოწმება ხორციელდება საადგილმამულო რეესტრის ადმინისტრატორის მიერ საოქმო ჩანაწერის მეშვეობით, ეს უკანასკნელი იკავებს ჟურნალში გაკეთებული სარეგისტრაციო ჩანაწერის ადგილს.

მუხლი 973

[1] პირი, ვინც კეთილსინდისიერად ენდობა საადგილმამულო რეესტრში არსებულ ჩანაწერს და რომელმაც ასეთი ჩანაწერის საფუძველზე შეიძინა საკუთრების უფლება ან სხვა სანივთო უფლებები, დაცულია ამ შენაძენთან დაკავშირებით.

[2] აღნიშნული დანაწესი არ მოქმედებს იმ ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების საზღვრების მიმართ, რომლებიც კანტონის მიერ მიჩნეულია ნიადაგის გადაადგილების საფრთხის შემცველ ზონებად.

მუხლი 974

[1] თუ სანივთო უფლების რეგისტრაცია უსაფუძვლოა, მაშინ მესამე პირს, რომელმაც იცის ან უნდა იცოდეს ხარვეზის შესახებ, არ შეუძლია სარეგისტრაციო ჩანაწერზე მითითება.

[2] უსაფუძვლოა სარეგისტრაციო ჩანაწერი, რომელიც ხორციელდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ან ბათილი (unverbindlich) გარიგების საფუძველზე.

[3] პირს, რომლის სანივთო უფლებაც ირღვევა აღნიშნული სარეგისტრაციო ჩანაწერის შედეგად, შეუძლია ჩანაწერის ხარვეზიანობაზე მიუთითოს უშუალოდ არაკეთილსინდისიერი მესამე პირის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 974a

[1] თუ მიწის ნაკვეთი გაიყოფა, მაშინ სერვიტუტები, წინასწარი ჩანაწერები და რეესტრში აღნიშვნები ნაკვეთის თითოეული ნაწილისათვის საჭიროებს შესწორებას.

[2] გასაყოფი მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ საადგილმამულო რეესტრის სამსახურს უნდა მისცეს წინადადება, თუ რომელი ჩანაწერები ამოიშალოს და რომელი ჩანაწერი გადავიდეს გაყოფილ ნაწილებზე. საწინააღმდეგო შემთხვევაში განცხადებას უნდა ეთქვას უარი.

[3] თუ თანდართული დოკუმენტებისა თუ გარემოებების შესაბამისად სარეგისტრაციო ჩანაწერი არ ეხება მიწის ნაკვეთის ნაწილს, მაშინ ეს ჩანაწერი უნდა ამოიშალოს. შესაბამისი პროცედურა რეგულირდება სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლის შესახებ ნორმებით.

მუხლი 974b

[1] ერთი მესაკუთრის კუთვნილი რამდენიმე მიწის ნაკვეთი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არანაირი საუზრუნველყოფო უფლებები ან მიწის გადასახდელები არ უნდა გადავიდეს ცალკეული მიწის ნაკვეთებიდან გაერთიანებულ მიწის ნაკვეთზე ან თუ კრედიტორები აღნიშნულს ეთანხმებიან.

[2] თუ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთების მტვირთავი სერვიტუტები, წინასწარი ჩანაწერები და რეესტრში აღნიშვნები, მაშინ მათი გაერთიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირები ამას ეთანხმებიან ან მათი უფლებები არ ირღვევა უფლებრივი დატვირთვის ბუნების გამო.

[3] თუ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთების სასარგებლოდ დადგენილი სერვიტუტები, წინასწარი ჩანაწერები და რეესტრში აღნიშვნები, მაშინ მათი გაერთიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ამას ეთანხმება ან გაერთიანების შედეგად უფლებრივი დატვირთვა არ გაიზრდება.

[4] აზრობრივად გამოიყენება მიწის ნაკვეთის გაყოფისას მოქმედი შესწორების პროცედურის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 975

[1] თუ სანივთო უფლების რეგისტრაცია უსაფუძვლოა ან სწორი სარეგისტრა-

ციო ჩანაწერი გაუმართლებლად ამოიშალა ანდა შეიცვალა, მაშინ ნებისმიერ იმ პირს, რომლის კუთვნილი სანივთო უფლებაც აღნიშნულის შედეგად ირღვევა, შეუძლია წარადგინოს სარჩელი სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლის ან შეცვლის მოთხოვნით.

[2] შენარჩუნებულია კეთილსინდისიერი მესამე პირების მიერ რეგისტრაციის შედეგად შეძენილი სანივთო უფლებები და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები.

მუხლი 976

საადგილმამულო რეესტრის სამსახურს შეუძლია საკუთარი ინიციატივით სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლა, თუ ეს უკანასკნელი:

1. ვადიანია და მან ვადის გავლის შედეგად დაკარგა თავისი სამართლებრივი მნიშვნელობა;
2. ეხება გარდაცვლილი პირის კუთვნილ ისეთ უფლებას, რომელიც არ ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას და არც მემკვიდრეობით გადადის;
3. არ ეხება მიწის ნაკვეთს ტერიტორიული განლაგების გამო;
4. ეხება ისეთ მიწის ნაკვეთს, რომელიც აღარ არსებობს.

მუხლი 976a

[1] თუ სარეგისტრაციო ჩანაწერს დიდი ალბათობით არა აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი, იმის გამო, რომ თანდართული დოკუმენტებისა თუ გარემოებების შესაბამისად სარეგისტრაციო ჩანაწერი არ ეხება მიწის ნაკვეთს, მაშინ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ჩანაწერის ამოშლა.

[2] თუ საადგილმამულო რეესტრის სამსახური მოთხოვნას დასაბუთებულად ჩათვლის, მაშინ ის ატყობინებს უფლებამოსილ პირს იმის შესახებ, რომ სამსახური ამოშლის სარეგისტრაციო ჩანაწერს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირი 30 დღის განმავლობაში აღნიშნული დასაბუთების საწინააღმდეგოდ სამსახურს წარუდგენს საჩივარს.

მუხლი 976b

[1] თუ უფლებამოსილი პირი წარადგენს საჩივარს, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე საადგილმამულო რეესტრის სამსახური გადახედავს სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლის მოთხოვნას.

[2] თუ საადგილმამულო რეესტრის სამსახური მივა იმ დასკვნამდე, რომ მოთხოვნა, მიუხედავად საჩივრისა, უნდა დაკმაყოფილდეს, მაშინ ის ატყობინებს უფლებამოსილ პირს იმის შესახებ, რომ სამსახური ამოშლის მთავარ რეესტრში არსებულ ჩანაწერს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირი სამი თვის განმავლობაში სასამართლოში წარადგენს სარჩელს იმ ფაქტის აღიარების მოთხოვნით, რომ ჩანაწერს აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა.

მუხლი 976c

[1] თუ განსაზღვრულ ტერიტორიაზე გარემოებები ფაქტობრივად ან სამართლებრივად შეიცვალა, რის გამოც სერვიტუტების, წინასწარი ჩანაწერებისა

და რეესტრში აღნიშვნების დიდი რაოდენობა სრულად ან მნიშვნელოვანწილად უსაფუძვლო გახდა ანდა თუ არსებული მდგომარეობის განსაზღვრა უკვე შეუძლებელია, მაშინ კანტონის მიერ მითითებულ ორგანოს შეუძლია დაადგინოს აღნიშნულ ტერიტორიაზე შესწორების პროცედურის ჩატარება.

[2] ზემოაღნიშნული დადგენილება უნდა აღინიშნოს საადგილმამულო რეესტრის შესაბამის ფურცლებში.

[3] კანტონები აწესრიგებენ ცალკეულ საკითხებსა და პროცედურას. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ შესწორების პროცედურის გამარტივება ან ფედერალური სამართლისაგან განსხვავებული რეგულაციების მიღება.

მუხლი 977

[1] დაინტერესებული პირების წერილობითი თანხმობის გარეშე რეესტრში შესწორებების შეტანა საადგილმამულო რეესტრის ადმინისტრატორს შეუძლია მხოლოდ სასამართლოს განკარგულების საფუძველზე.

[2] შესწორების ნაცვლად უსწორო სარეგისტრაციო ჩანაწერი შეიძლება ამოიშალოს და გაკეთდეს ახალი ჩანაწერი.

[3] წმინდა ტექნიკური შეცდომის შესწორება ხორციელდება საადგილმამულო რეესტრის მიერ საკუთარი ინიციატივით ფედერალური საბჭოს მიერ ამის თაობაზე მისაღები დადგენილების შესაბამისად.

ფედერალური კანონი შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ (მეხუთე ნაწილი: ვალდებულებითი სამართალი)

1911 წლის 30 მარტი

შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კრება ფედერაციის ფედერალური საბჭოს 1905 წლის 3 მარტისა და 1909 წლის 1 ივნისის გზავნილების გაცნობის შემდეგ,
ადგენს:

პირველი განყოფილება: ზოგადი დებულებები

პირველი ტიტული: ვალდებულებების წარმოშობა

პირველი თავი: ვალდებულებების წარმოშობა ხელშეკრულების საფუძველზე

მუხლი 1

[1] ხელშეკრულების დადებისათვის საჭიროა მხარეთა შეთანხმებული ორმხრივი ნების გამოვლენა.

[2] ნების გამოვლენა შეიძლება იყოს პირდაპირ გამოხატული ან უსიტყვო.

მუხლი 2

[1] თუ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე, მაშინ ივარაუდება, რომ დამატებით პირობებზე შეთანხმების მიუღწევლობა არ უნდა უშლიდეს ხელს ხელშეკრულების მავალდებულებელ ძალას.

[2] თუ აღნიშნულ დამატებით პირობებზე შეთანხმება არ მიიღწევა, მაშინ ეს პირობები უნდა განსაზღვროს მოსამართლემ გარიგების ბუნების შესაბამისად.

[3] აღნიშნული წესი არ მოქმედებს ხელშეკრულებების ფორმის მომწესრიგებელი ნორმების მიმართ.

მუხლი 3

[1] პირი, ვინც ხელშეკრულების დადებას სთავაზობს სხვა პირს და ამ შეთავა-

ზების მიღებისათვის ადგენს ვადას, ვალდებული რჩება ამ ოფერტით შესაბამისი ვადის გასვლამდე.

[2] ეს პირი თავისუფლდება აღნიშნული ვალდებულებისაგან, თუ შეთავაზების მიღების განცხადება მას დადგენილი ვადის გასვლამდე არ მიუვა.

მუხლი 4

[1] თუ შეთავაზება ვადის განსაზღვრის გარეშე წარედგინება თანმყოფ პირს და მისი მიღება დაუყოვნებლივ არ ხდება, მაშინ შემთავაზებელი აღარ იქნება ვალდებული ამ შეთავაზებით.

[2] თუ ხელშეკრულების მხარეები ან მათი რწმუნებულები საკომუნიკაციოდ პირადად იყენებენ ტელეფონს, მაშინ ხელშეკრულება მიიჩნევა თანმყოფ პირებს შორის დადებულად.

მუხლი 5

[1] თუ შეთავაზება ვადის განსაზღვრის გარეშე წარედგინება არათანმყოფ პირს, მაშინ შემთავაზებელი ვალდებული რჩება იმ მომენტამდე, სანამ მას შეუძლია დაელოდოს სათანადოდ და დროულად გამოგზავნილი პასუხის მიღებას.

[2] ამავე დროს შემთავაზებელს შეუძლია ივარაუდოს, რომ მისი ოფერტი დროულად უნდა ყოფილიყო მიღებული.

[3] თუ დროულად გაგზავნილი შეთავაზების მიღების განცხადება შემთავაზებელს დაგვიანებით მიუვა, მაშინ ამ უკანასკენლმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის თაობაზე შეთავაზების მიმღებს, თუ მას არ სურს იყოს ვალდებული ამ შეთავაზებით.

მუხლი 6

თუ გარიგების განსაკუთრებული ბუნების გამო ან არსებული გარემოებების შესაბამისად პირდაპირ გამოხატული აქცეპტი არ არის მოსალოდნელი, მაშინ ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად, თუ ოფერტი გონივრული ვადის განმავლობაში არ იქნება უარყოფილი.

მუხლი 6a

[1] შეუკვეთავი ნივთის გაგზავნა არ ქმნის ოფერტს.

[2] მიმღები არ არის ვალდებული, დააბრუნოს ან შეინახოს ნივთი

[3] თუ შეუკვეთავი ნივთი აშკარად შეცდომით იქნა გაგზავნილი, მაშინ მიმღებმა ამის შესახებ უნდა შეატყობინოს გამგზავნს.

მუხლი 7

[1] შემთავაზებელი არ ხდება ვალდებული შეთავაზებით, თუ ის ამ უკანასკნელს ურთავს ვალდებულების გამომრიცხავ განცხადებას ან თუ ასეთი პირობა გამომდინარეობს გარიგების ბუნებიდან ანდა არსებული გარემოებებიდან.

[2] ტარიფების, პრეისკურანტებისა და მისთ. გაგზავნა არ ქმნის ოფერტს.

[3] თუმცა, საქონლის განთავსება ფასების მითითებით, როგორც წესი, მიიჩნევა ოფერტად.

მუხლი 8

[1] პირი, რომელიც კონკურსის დადგენის გზით ან საჯარო დაპირებით განსაზღვრული შესრულებისათვის აწესებს ფულად ჯილდოს, ვალდებულია გადაიხადოს თავისი შეპირების შესაბამისი თანხა.

[2] თუ აღნიშნული პირი უარს ამბობს თავის შეპირებაზე მანამდე, სანამ განხორციელდება შესრულება, მაშინ მან დაწესებული ჯილდოს მაქსიმალური თანხის ოდენობამდე კომპენსაცია უნდა გადაუხადოს ნებისმიერ იმ პირს, რომელმაც შეპირების გამო კეთილსინდისიერად გასწია ხარჯები, რამდენადაც ის ვერ დაამტკიცებს, რომ აღნიშნული პირი მაინც ვერ შეძლებდა შესრულების განხორციელებას.

მუხლი 9

[1] თუ მეორე მხარეს ოფერტზე უარი მიუვა ოფერტის ჩაბარებამდე ან ერთდროულად მასთან ერთად, ანდა თუ ოფერტის მოგვიანებით ჩაბარების შემთხვევაში მასზე უარი მეორე მხრისათვის ცნობილი გახდა მანამდე, სანამ ამ უკანასკნელმა ოფერტის შესახებ შეიტყო, მაშინ მიიჩნევა, რომ ოფერტი არ იქნა წარდგენილი.

[2] იგივე წესი მოქმედებს აქცეპზე უარის მიმართაც.

მუხლი 10

[1] თუ ხელშეკრულება იდება არათანმყოფ პირებს შორის, მაშინ ის ძალას იძენს აქცეპტის განცხადების გასაგზავნად გადაცემის მომენტიდან.

[2] თუ პირდაპირ გამოხატული აქცეპტი არ მოითხოვება, მაშინ ხელშეკრულება ძალას იძენს ოფერტის მიღების მომენტიდან.

მუხლი 11

[1] თავიანთი ნამდვილობისათვის ხელშეკრულებები საჭიროებს სპეციალური ფორმის დაცვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონი ასეთს ითვალისწინებს.

[2] თუ კანონით გათვალისწინებული ფორმის მნიშვნელობასა და სამართლებრივ ძალასთან დაკავშირებით რაიმე სხვა წესი არ არის დადგენილი, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამ წესის დაცვაზე.

მუხლი 12

თუ ხელშეკრულებისათვის კანონით გათვალისწინებულია წერილობითი ფორმა, მაშინ ეს წესი მოქმედებს ასევე ნებისმიერი ცვლილებისათვისაც, გარდა შემავსებელი დამატებითი პირობებისა, რომლებიც არ ეწინააღმდეგება თავდაპირველ დოკუმენტს.

მუხლი 13

[1] ხელშეკრულება, რომლისათვისაც კანონით გათვალისწინებულია წერილობითი ფორმა, უნდა იყოს ხელმოწერილი ყველა იმ მხარის მიერ, ვინც ამ ხელშეკრულებით უნდა გახდეს ვალდებული.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 14

[1] ხელმოწერა უნდა შესრულდეს საკუთარი ხელით.

[2] საკუთარი ხელით შესრულებული ხელმოწერის მექანიკური საშუალებით რეპროდუქცია საკმარისად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში ჩვეულებრივ მიღებულია, განსაკუთრებით კი, – იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება დიდი რაოდენობით გაცემული ფასიანი ქაღალდების ხელმოწერას.

[2bis] საკუთარი ხელით შესრულებულ ხელმოწერას უთანაბრდება აუთენტურ დროის შტამპთან კავშირში არსებული აუთენტური ელექტრონული ხელმოწერა 2016 წლის 18 მარტის ელექტრონული ხელმოწერის შესახებ ფედერალური კანონის გაგებით. დასაშვებია აღნიშნული საკითხის განსხვავებული კანონისმიერი ან სახელშეკრულებო მოწესრიგება.

[3] უსინათლო პირისათვის ხელმოწერა მავალდებულებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დადასტურებულია, ან როდესაც მტკიცდება, რომ ხელმოწერის შესრულების მომენტში მისთვის ცნობილი იყო დოკუმენტის შინაარსი.

მუხლი 15

თუ პირს არ შეუძლია ხელმოწერის შესრულება, მაშინ, თამასუქის მომწესრიგებელი ნორმების გათვალისწინების პირობით, ხელმოწერის ნაცვლად დასაშვებია ხელით დადასტურებული სიმბოლოს დასმა ან დოკუმენტის ოფიციალური დამოწმება.

მუხლი 16

[1] თუ იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლისათვისაც კანონმდებლობით ფორმასთან დაკავშირებული მოთხოვნები გათვალისწინებული არ არის, მხარეები შეთანხმდნენ ასეთი მოთხოვნების დაცვაზე, მაშინ ივარაუდება, რომ მხარეებს არ სურთ ვალდებულების კისრება ფორმასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე.

[2] თუ მხარეები თანხმდებიან წერილობით ფორმაზე რაიმე დეტალური აღნიშვნის გარეშე, მაშინ მისი შესრულების მიმართ მოქმედებს კანონით გათვალისწინებული წერილობითი ფორმის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 17

ვალის აღიარება ნამდვილია ასევე ვალდებულების საფუძვლის მითითების გარეშეც.

მუხლი 18

[1] როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით ხელშეკრულების შეფასებისას მხედველობაში მისაღებია მხარეთა შეთანხმებული ნამდვილი ნება და არა უზუსტო დასახელება ან გამოხატვის ფორმები, რომლებიც მხარეთა მიერ გამოყენებულია შეცდომით ანდა ხელშეკრულების ნამდვილი ბუნების დაფარვის განზრახვით.

[2] მოვალე გარიგების მოჩვენებითობაზე მითითებით შესაგებელს ვერ დაუპირისპირებს იმ მესამე პირს, რომელმაც მოთხოვნა შეიძინა წერილობითი ვალის აღიარების დოკუმენტისადმი ნდობის საფუძველზე.

მუხლი 19

[1] კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში ხელშეკრულების შინაარსი შეიძლება თავისუფლად განისაზღვროს.

[2] კანონისმიერი ნორმებისაგან განსხვავებული შეთანხმებები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი არ ადგენს იმპერატიულ ნორმას ან კანონის გვერდის ავლა თავისთავად არ არღვევს საჯარო წესრიგს, ზნეობის ნორმებსა თუ პირად უფლებებს.

მუხლი 20

[1] ბათილია ხელშეკრულება, რომელსაც აქვს შეუძლებელი ან კანონსაწინააღმდეგო შინაარსი ან რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს.

[2] თუმცაღა, თუ ხარვეზი ეხება მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულების ცალკეულ ნაწილებს, მაშინ ბათილია მხოლოდ ეს ნაწილები, რამდენადაც არ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ბათილი ნაწილის გარეშე საერთოდ არ დაიდებოდა.

მუხლი 21

[1] თუ სახეზეა აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების შესრულებასა და სამაგიერო შესრულებას შორის იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომელიც დაიდო ერთი მხარის მიერ მეორე მხარის რთული ეკონიმიკური მდგომარეობის, გამოუცდელობისა თუ ქარაფშუტობის შედეგად, მაშინ დაზარალებულ პირს ერთი წლის განმავლობაში შეუძლია განაცხადოს იმის შესახებ, რომ ის არ დაიცავს ამ ხელშეკრულების პირობებს, და მოითხოვოს უკვე განხორციელებული შესრულებულის უკან დაბრუნება.

[2] ერთწლიანი ვადა აითვლება ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

მუხლი 22

[1] ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს სამომავლო ხელშეკრულების დადების ვალდებულება.

[2] როდესაც ხელშეკრულების დამდებ მხარეთა დაცვისათვის კანონი სამომავლო ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ითვალისწინებს განსაზღვრულ ფორმას, ეს ფორმა მოქმედებს ასევე წინარე ხელშეკრულებისათვისაც.

მუხლი 23

ხელშეკრულება არ ავალდებულებს იმ პირს, რომელიც ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდა არსებითი შეცდომის საფუძველზე.

მუხლი 24

[1] სახელდობრ, შეცდომა არსებითია შემდეგ შემთხვევებში:

1. როდესაც შეცდომით მოქმედ მხარეს სურდა სხვა ხელშეკრულების დადება, ვიდრე იმ ხელშეკრულებისა, რაზეც მან განაცხადა თავისი თანხმობა;

2. როდესაც შეცდომით მოქმედი მხარის ნება მიმართული იყო სხვა ნივთთან დაკავშირებით ანდა იქ, სადაც ხელშეკრულება უნდა დადებულიყო განსაზღვრულ პირთან, – ასევე სხვა პირთან ხელშეკრულების დადებისაკენ, ვიდრე იმ ნივთისა თუ პირისა, რომელთა შესახებაც მან გამოავლინა ნება;

3. როდესაც შეცდომით მოქმედმა მხარემ ვალდებულების შესრულება იკისრა ბევრად მეტი მოცულობით ან მან მიიღო სამაგიერო შესრულების შეპირება ბევრად ნაკლები მოცულობით, ვიდრე მას ეს სურდა;

4. როდესაც შეცდომა ეხებოდა განსაზღვრულ საქმის გარემოებებს, რომლებსაც შეცდომით მოქმედი მხარე კეთილსინდისიერად მიიჩნევდა ხელშეკრულების აუცილებელ საფუძვლად.

[2] თუ, პირიქით, შეცდომა ეხება მხოლოდ ხელშეკრულების დადების მოტივს, მაშინ ეს უკანასკნელი არსებითი არ არის.

[3] წმინდა გამოთვლისას დაშვებული შეცდომები ხელს არ უშლის ხელშეკრულების მავალდებულებელ ძალას, თუმცა ისინი უნდა გასწორდეს.

მუხლი 25

[1] შეცდომაზე მითითება დაუშვებელია, თუ ეს ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.

[2] კერძოდ, შეცდომით მოქმედმა მხარემ ხელშეკრულება უნდა სცნოს დადებულად იმგვარად, როგორც მას ის წარმოედგინა, როდესაც მეორე მხარე აცხადებს თავის მზაობას ამაზე.

მუხლი 26

[1] თუ შეცდომით მოქმედმა მხარემ, რომელიც არ ცნობს ხელშეკრულებას დადებულად, შეცდომა დაუშვა საკუთარი გაუფრთხილებლობით, მაშინ მას ეკისრება ხელშეკრულების ანულირების (Dahinfallen) შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა შეცდომის შესახებ.

[2] იქ, სადაც ეს სამართლიანია, მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს სხვა ზიანის ანაზღაურებაც.

მუხლი 27

თუ ხელშეკრულების დადებისას ოფერტი ან აქცეპტი კურიერის მეშვეობით ან სხვაგვარად არასწორად იქნება შეტყობინებული, მაშინ შესაბამისად გამოიყენება შეცდომის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 28

[1] თუ ხელშეკრულების მხარე დაიყოლიეს ხელშეკრულების დადებაზე მეორე მხარის მიერ განზრახ ჩადენილი მოტყუებით, მაშინ ხელშეკრულება მას არ ავალდებულებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებული შეცდომა არსებითი არ იყო.

[2] მესამე პირის მიერ განზრახ ჩადენილი მოტყუება გამორიცხავს მოტყუებულის ხელშეკრულების პირობებით დავალდებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა მოტყუების შესახებ.

მუხლი 29

[1] თუ ხელშეკრულების მხარემ ხელშეკრულება დადო მეორე მხარის ან მესა-

მე პირის მიერ გამოწვეული კანონსაწინააღმდეგო იძულების შიშის გამო, მაშინ ხელშეკრულება ასეთ პირისათვის მავალდებულებელი არ არის.

[2] თუ იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან, მაშინ რამდენადაც ეს სამართლიანია, იძულების მსხვერპლმა, რომელსაც არ სურს ხელშეკრულების პირობების დაცვა, ხელშეკრულების მეორე მხარეს უნდა გადაუხადოს კომპენსაცია, როდესაც ამ უკანასკნელმა არ იცოდა ან მას არც უნდა სცოდნოდა იძულების შესახებ.

მუხლი 30

[1] იძულების შიში მიიჩნევა საფუძვლიანად იმ პირისათვის, რომელსაც არსებული გარემოებების შესაბამისად შეუძლია ივარაუდოს, რომ მისი ან მისი ახლობლის სხეულისა და სიცოცხლისათვის, პატივისა თუ ქონებისათვის არსებობს უშუალო და მნიშვნელოვანი საფრთხე.

[2] უფლების რეალიზაციის იძულების წინაშე არსებული შიში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იძულების მსხვერპლისათვის ზედმეტი სარგებლის გამოძალვის მიზნით გამოყენებულ იქნა მისი გამოუვალი მდგომარეობა.

მუხლი 31

[1] როდესაც შეცდომის, მოტყუების ან იძულების გავლენით მოქმედი მხარე ერთწლიანი ვადის განმავლობაში არ უცხადებს მეორე მხარეს იმის შესახებ, რომ მას არ სურს ხელშეკრულების პირობების დაცვა, და არც უკვე განხორციელებულ შესრულებას უკან არ ითხოვს, მაშინ ხელშეკრულება მიიჩნევა მოწონებულად.

[2] შეცდომისა და მოტყუების შემთხვევაში, ვადის ათვლა იწყება შეცდომისა და მოტყუების აღმოჩენის მომენტიდან, ხოლო იძულების შემთხვევაში კი, – ამ უკანასკნელის აღმოფხვრის მომენტიდან.

[3] იმ ხელშეკრულების მოწონება, რომელიც მოტყუების ან იძულების გამო მხარეთათვის მავალდებულებელი არ არის, თავისთავად არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარდგენას.

მუხლი 32

[1] როდესაც პირი, ვინც უფლებამოსილია წარმოადგინოს სხვა პირი, ამ უკანასკნელის სახელით დებს ხელშეკრულებას, მაშინ უფლებამოსილი და ვალდებული ხდება მარწმუნებელი და არა წარმომადგენელი.

[2] თუ ხელშეკრულების დადებისას წარმომადგენელმა არ გაამჟღავნა თავისი სტატუსი, მაშინ მარწმუნებელი უშუალოდ უფლებამოსილი და ვალდებული ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეს მოცემული გარემოებებიდან უნდა ევარაუდა წარმომადგენლობითი ურთიერთობის არსებობის შესახებ ან თუ მისთვის სულერთი იყო, თუ ვისთან დადებდა ხელშეკრულებას.

[3] თუ სახეზე არ არის აღნიშნული შემთხვევა, მაშინ საჭიროა მოთხოვნის დათმობის ან ვალის გადაკისრების დადება ამ გარიგებათა მიმართ მოქმედი პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 33

[1] რამდენადაც სხვა პირების სახელით იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება გამომდინარეობს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან, იმდენად ამ უფლებამოსილების შეფასება უნდა მოხდეს ფედერაციისა და კანტონების საჯარო-სამართლებრივი ნორმების თანახმად.

[2] თუ უფლებამოსილების მინიჭება ხდება გარიგების საშუალებით, მაშინ მისი მოცულობა განისაზღვრება ამ გარიგების შინაარსის მიხედვით.

[3] თუ მინდობილობის გამცემი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ შეატყობინებს მესამე პირს, მაშინ ამ უკანასკნელის მიმართ უფლებამოსილების მოცულობა განისაზღვრება შეტყობინების ტექსტის ფორმულირების შესაბამისად.

მუხლი 34

[1] გარიგების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება მინდობილობის გამცემის მიერ შეიძლება ნებისმიერ დროს შეიზღუდოს ან გაუქმდეს იმ უფლებების შეზღუდვის გარეშე, რომლებიც შესაძლოა გამომდინარებდეს გარიგების მონაწილეთა შორის არსებული სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან, როგორიცაა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება, ამხანაგობის ხელშეკრულება, დავალება.

[2] მინდობილობის გამცემის მიერ აღნიშნულ უფლებაზე წინასწარ გაცხადებული უარი ბათილია.

[3] თუ მარწმუნებელმა პირდაპირ გამოხატული ფორმით ან ფაქტობრივი მოქმედებებით გაამჟღავნა მინდობილობის საფუძველზე უფლებამოსილების მინიჭება, მაშინ მას ამ უფლებამოსილების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება შეუძლია დაუპირისპიროს კეთილსინდისიერ მესამე პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ამ უკანასკნელს ასევე შეატყობინა უფლებამოსილების გაუქმების შესახებაც.

მუხლი 35

[1] რამდენადაც საწინააღმდეგო შედეგი არ არის განსაზღვრული ან გარიგების ბუნებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, გარიგების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება წყდება მინდობილობის გამცემის ან რწმუნებულის მიერ უფლებაუნარიანობის დაკარგვით, გაკოტრებით, გარდაცვალებითა თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებით.

[2] ანალოგიური სამართლებრივი შედეგი აქვს იურიდიული პირისა თუ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული ამხანაგობის გაუქმებას.

[3] აღნიშნული წესი არ მოქმედებს მხარეთა ორმხრივი პირადი მოთხოვნის უფლებების მიმართ.

მუხლი 36

[1] თუ რწმუნებულზე გაიცა მინდობილობის დოკუმენტი, მაშინ უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ რწმუნებული ვალდებულია უკან დააბრუნოს ეს დოკუმენტი ან შესანახად გადასცეს სასამართლოს.

[2] თუ მინდობილობის დოკუმენტის დაბრუნება არ იქნება მოთხოვნილი მი-

ნდობილობის გამცემის ან მისი უფლებამონაცვლეების მიერ, მაშინ ამით გამოწვეული ზარალისათვის კეთილსინდისიერი მესამე პირების წინაშე პასუხს აგებენ ეს პირები.

მუხლი 37

[1] მანამდე, სანამ რწმუნებულისათვის ცნობილი გახდება უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, მისი მოქმედებები შედეგად იწვევს მინდობილობის გამცემისა თუ მისი უფლებამონაცვლისათვის უფლებამოსილების მინიჭებასა და ვალდებულების დაკისრებას ისე, თითქოს აღნიშნული უფლებამოსილება ჯერ კიდევ არსებობს.

[2] გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც მესამე პირისათვის ცნობილი იყო უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტი.

მუხლი 38

[1] თუ პირი უფლებამოსილების გარეშე წარმომადგენლის სახით დებს ხელშეკრულებას, მაშინ მარწმუნებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება კრედიტორი ან მოვალე, თუ ის ხელშეკრულებას მოიწონებს.

[2] მეორე მხარე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მარწმუნებელს ხელშეკრულების მოწონება გონივრული ვადის განმავლობაში და ის აღარ იქნება ვალდებული, თუ მარწმუნებელი აღნიშნული ვადის განმავლობაში არ განაცხადებს მოწონების შესახებ.

მუხლი 39

[1] თუ ხელშეკრულების მოწონება პირდაპირ გამოხატული ფორმით ან უსიტყვოდ იქნება უარყოფილი, მაშინ იმ პირს, რომელიც მოქმედებდა როგორც წარმომადგენელი, შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ანულირების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, რამდენადაც ის ვერ დაამტკიცებს, რომ მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების ხარვეზის შესახებ.

[2] იქ, სადაც ეს სამართლიანია, წარმომადგენლის ბრალის არსებობისას მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს სხვა ზიანის ანაზღაურებაც.

[3] ყველა შემთხვევაში შენარჩუნებულია უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნები.

მუხლი 40

შენარჩუნებულია საზოგადოებების წარმომადგენლებისა და ორგანოების, პროკურისტებისა და სხვა სავაჭრო წარმომადგენლების უფლებამოსილების მომწესრიგებელი სპეციალური წესების მოქმედება.

მუხლი 40a

[1] ქვემოთ მოცემული დანაწესები გამოიყენება მომხმარებლის პირადი ან საოჯახო დანიშნულებისათვის გათვალისწინებული მოძრავი ნივთებისა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მიმართ, როდესაც:

a. საქონლის მიმწოდებელი ან მომსახურების გამწევი მოქმედებდა პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში და

b. მომხმარებლის სანაცვალგებო შესრულება აღემატება 100 ფრანკს.

[2] აღნიშნული დანაწესები არ მოქმედებს დაზღვევის ხელშეკრულებების მიმართ.

[3] ფულის მსყიდველუნარიანობის არსებითი ცვლილების შემთხვევაში ფედერალური საბჭო ახდენს 1-ლი ნაწილის b ქვეპუნქტში დასახელებული თანხის შესაბამის მისადაგებას.

მუხლი 40b

მომხმარებელს შეუძლია უარი თქვას მის მიერ გაკეთებული ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე ან ასეთი შეთავაზების მიღებაზე, თუ მას ოფერტი წარედგინა:

a. მის სამუშაო ადგილზე, საცხოვრებელ სახლში ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე;

b. საჯარო ტრანსპორტში ან საჯარო ქუჩებსა და მოედნებზე;

c. სარეკლამო ღონისძიების დროს, რომელიც ჩატარდა ექსკურსიასთან ან სხვა მსგავს შემთხვევასთან დაკავშირებით;

d. ტელეფონით ან პირდაპირი ზეპირი ტელეკომუნიკაციის უზრუნველმყოფი სხვა მსგავსი საშუალებით.

მუხლი 40c

მომხმარებელს არა აქვს შეთავაზებაზე უარის თქმის უფლება:

a. თუ მას პირდაპირ სურდა სახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოება;

b. თუ მან თავისი ოფერტისა თუ აქცეპტის შესახებ განცხადება გააკეთა ბაზრის ან ბაზრობის სტენდზე.

მუხლი 40d

[1] მიმწოდებელმა წერილობით ან სხვა ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა ტექსტუალურად მტკიცების შესაძლებლობას, უნდა შეატყობინოს მომხმარებელს ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე ან ასეთი შეთავაზების მიღებაზე უარის უფლების შესახებ, ისევე როგორც – უარის ფორმისა და ვადის შესახებ და ასევე უნდა გააგებინოს მას თავისი მისამართი.

[2] ზემოაღნიშნული ინფორმაცია უნდა დათარიღდეს და ის უნდა იძლეოდეს შესაბამისი ხელშეკრულების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

[3] ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომხმარებელს იმგვარად, რომ ამ უკანასკნელმა იცოდეს მის შესახებ იმ დროს, როდესაც მომხმარებელი ახდენს ხელშეკრულების დადების შეთავაზებას ან შეთავაზების მიღებას.

მუხლი 40e

[1] ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე ან ასეთი შეთავაზების მიღებაზე უარი დაკავშირებული არ არის რაიმე ფორმის დაცვასთან. მომხმარებელს ეკისრება უარის დროული განცხადების ფაქტის მტკიცების ტვირთი.

[2] უარის განცხადების ვადა შეადგენს 14 დღეს და მისი ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მომხმარებელმა:

a. მოახდინა ხელშეკრულების დადების შეთავაზება ან შეთავაზების მიღება; და

b. შეიტყო 40d მუხლში მითითებული ინფორმაციის შესახებ.

[3] მიმწოდებელს ეკისრება დროის იმ მომენტის მტკიცების ტვირთი, რომელშიც მომხმარებელმა შეიტყო 40d მუხლში მითითებული ინფორმაციის შესახებ.

[4] ვადა დაცულად ჩაითვლება, თუ უარის თქმის უკანასკნელ დღეს მომხმარებელი მიმწოდებელს ატყობინებს მის მიერ ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე ან ასეთი შეთავაზების მიღებაზე უარის თქმის შესახებ ანდა თავის უარის განცხადებას აბარებს ფოსტას.

მუხლი 40f

[1] თუ მომხმარებელმა უარი განაცხადა ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე ან ასეთი შეთავაზების მიღებაზე, მაშინ მხარეებმა უკვე მიღებული შესრულებები უნდა დააბრუნონ უკან.

[2] თუ მომხმარებელმა ნივთით უკვე ისარგებლა, მაშინ ის ვალდებულია მიმწოდებელს გადაუხადოს სათანადო ქირა.

[3] თუ მიმწოდებელმა განახორციელა მომსახურება, მაშინ მომხმარებელმა უნდა აუნაზღაუროს მას გაწეული ხარჯები და დანახარჯები დავალების მომწესრიგებელი ნორმების (მუხლი 402) შესაბამისად.

[4] მომხმარებელი არ არის ვალდებული, მიმწოდებელს გადაუხადოს რაიმე სხვა საზღაური.

მუხლი 40g (გაუქმებულია)

მეორე თავი: ვალდებულებების წარმოშობა ზიანის მიყენების შედეგად

მუხლი 41

[1] პირი, რომელიც სხვას მართლსაწინააღმდეგოდ აყენებს ზიანს, თუნდაც ეს ხდება განზრახ ან გაუფრთხილებლობით, ვალდებულია გადაუხადოს მას კომპენსაცია.

[2] კომპენსაციის გადახდა ეკისრება ასევე იმ პირს, რომელიც ზნეობის ნორმების დარღვევით განზრახ ზიანს აყენებს სხვას.

მუხლი 42

[1] პირმა, რომელიც ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, უნდა დაამტკიცოს ზიანის მიყენების ფაქტი.

[2] როდესაც ზიანის ზუსტი ოდენობის მტკიცება შეუძლებელია, მაშინ ასეთი ზიანი უნდა შეფასდეს მოსამართლის შეხედულებით ფაქტების ჩვეულებრივი მიმდინარეობისა და დაზარალებული პირის მხრიდან მიღებული ზომების გათვალისწინებით.

[3] იმ ცხოველების შემთხვევაში, რომლებიც ჰყავთ სახლის პირობებში ნაცვლად მათი საინვესტიციო ან კომერციული მიზნით ყოლისა, მკურნალობის ხარჯების ზიანის სახით გონივრულ ფარგლებში ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ ხარჯების ოდენობა აღემატება ცხოველის ღირებულებას.

მუხლი 43

[1] მიყენებული ზიანისათვის გადასახდელი კომპენსაციის ფორმასა და ოდენობას ადგენს მოსამართლე, რომელმაც უნდა შეაფასოს როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ისე ბრალეულობის ხარისხი.

[1bis] იმ ცხოველისათვის ზიანის მიყენების ან მოკვლის შემთხვევაში, რომელიც ჰყავთ სახლის პირობებში ნაცვლად მისი საინვესტიციო ან კომერციული მიზნით ყოლისა, მოსამართლეს შეუძლია სათანადოდ მიიღოს მხედველობაში ცხოველის მიმართ ის სიყვარული, რომელიც მის პატრონს ან ამ უკანასკნელის ნათესავს ჰქონდა.

[2] თუ ზიანის ანაზღაურება ხდება პერიოდულად გადასახდელი თანხების დაკისრების სახით, მაშინ მოვალეს ამავდროულად უნდა დაევალოს უზრუნველყოფის წარდგენა.

მუხლი 44

[1] თუ დაზარალებული ეთანხმება ზიანის მიმყენებელ მოქმედებას ან თუ იმ გარემოებებმა, რომელთათვისაც მან უნდა აგოს პასუხი, გამოიწვია ზიანის დადგომა ან მდგომარეობის გაუარესება ანდა სხვაგვარად დაამძიმა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის მდგომარეობა, მაშინ მოსამართლეს შეუძლია შეამციროს კომპენსაციის ოდენობა ან სრულიად გაათავისუფლოს აღნიშნული პირი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

[2] მოსამართლეს შეუძლია ასევე შეამციროს კომპენსაციის ოდენობა იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი დადგა მის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის როგორც განზრახვის, ისე უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე ჩადენილი ქმედების შედეგად და კომპენსაციის თანხის გადახდით აღნიშნული პირი რთულ ეკონიმიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

მუხლი 45

[1] მკვლელობის შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება ამის შედეგად დამდგარი ხარჯები, მათ შორის, – დაკრძალვის ხარჯები.

[2] თუ გარდაცვალება დაუყოვნებლივ არ დადგა, მაშინ კომპენსაციის თანხა მოიცავს ასევე მკურნალობის ხარჯებსაც და შრომისუუნარობის გამო დამდგარ ზარალსაც.

[3] თუ მკვლელობის შედეგად სხვა პირებმა დაკარგეს თავიანთი მარჩენალი, მაშინ მათ უნდა აუნაზღაურდეთ ასევე ამის გამო დამდგარი ზარალიც.

მუხლი 46

[1] სხეულის დაზიანების შემთხვევაში დაზარალებულს აქვს გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ისევე როგორც – სრული ან ნაწილობრივი შრომისუუნარობის გამო დამდგარი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სამომავლო შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული გართულების გათვალისწინებით.

[2] თუ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მომენტში ზიანის მიყენების შედეგები საკმარისი დარწმუნებულობით ვერ დგინდება, მაშინ მოსამართლეს შეუძლია დაიტოვოს გადაწყვეტილების შეცვლის უფლება მისი მიღების დღიდან ორი წლის განმავლობაში.

მუხლი 47

მკვლელობის ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში მოსამართლეს განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლია დაზარალებულ პირს ან გარდაცვლილი პირის ნათესავებს სათანადო ფულადი თანხა მიაკუთვნოს მორალური ზიანის დაკმაყოფილების სახით.

მუხლი 48 (გაუქმებულია)

მუხლი 49

[1] პირს, რომლის პირადი უფლებებიც უკანონოდ ირღვევა, აქვს ფულადი თანხის მორალური ზიანის დაკმაყოფილების სახით მიღების მოთხოვნის უფლება, რამდენადაც ეს გამართლებულია დარღვევის სიმძიმით და ეს დარღვევა სხვაგვარად ვერ იქნა გამოსწორებული.

[2] მოსამართლეს ზემოაღნიშნული ფულადი თანხის გადახდის სანაცვლოდ ან მასთან ერთად შეუძლია დაადგინოს ასევე სხვა სახის დაკმაყოფილებაც.

მუხლი 50

[1] თუ რამდენიმე პირს ერთობლივად მიუძღვის ბრალი ზიანის მიყენებაში, მიუხედავად იმისა, იყო ის წამქეზებელი, შემსრულებელი თუ დამხმარე, მაშინ ეს პირები დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

[2] აქვთ თუ არა აღნიშნულ პირებს ერთმანეთის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლება და, თუ კი, – რა მოცულობით, განისაზღვრება მოსამართლისეული შეხედულებით.

[3] ბენეფიციარი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში და მხოლოდ იმ კომპენსაციის ფარგლებში, რომელიც მან შემოსავლიდან წილის სახით მიიღო ან თავისი მონაწილეობით გამოიწვია ზიანის მიყენება.

მუხლი 51

[1] თუ რამდენიმე პირი სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, -მიუხედავად იმისა, იქნება ეს დელიქტი, ხელშეკრულება თუ კანონის ნორმა, -დაზარალებულის წინაშე პასუხისმგებელია ერთიდაიგივე მიყენებული ზიანისათვის, მაშინ მათ მიმართ შესაბამისად გამოიყენება ასევე იმ პირთა შორის არსებული რეგრესული მოთხოვნის უფლების მომწესრიგებელი დანაწესები, რომლებსაც ერთობლივად მიუძღვით ბრალი ზიანის მიყენებაში.

[2] აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურებას ახდენს, პირველ რიგში, ის პირი, რომელსაც ბრალი მიუძღვის დელიქტის შედეგად ზიანის მიყენებაში, ხოლო მეორე რიგში კი, – ის პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება კანონის ნორმის შესაბამისად საკუთარი ბრალისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების კისრების გარეშე.

მუხლი 52

[1] პირი, რომელიც ახდენს თავდასხმის მოგერიებას აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ამ შემთხვევაში თავდამსხმელის პიროვნებისა თუ მისი ქონებისათვის მიყენებული ზიანი.

[2] პირი, რომელიც აზიანებს სხვის ქონებას იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს თავისი თავისთვის ან სხვა პირისათვის მოსალოდნელი ზიანი ან საფრთხე, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი მოსამართლის შეხედულებით.

[3] პირი, რომელიც საფუძვლიანი მოთხოვნის უფლების უზრუნველყოფის მიზნით თავად იცავს თავის თავს, არ არის ასეთ შემთხვევაში ვალდებული, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ მოცემული გარემოებების შესაბამისად სახელმწიფო ორგანოების დახმარება ვერ იქნებოდა დროულად მიღებული და მხოლოდ თვითდახმარების შედეგად გახდებოდა შესაძლებელი მოთხოვნის უფლების დაკარგვისა (Vereitelung) თუ მისი რეალიზაციის არსებითი გართულების თავიდან აცილება.

მუხლი 53

[1] ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის, თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევის უნარისა თუ მისი უუნარობის შეფასებისას მოსამართლე არ არის შებოჭილი სისხლისსამართლებრივი შერაცხადობის მომწესრიგებელი ნორმებით ან სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მიღებული გამამართლებელი განაჩენით.

[2] ანალოგიურად ბრალეულობის შეფასებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი და ზიანის ოდენობის განსაზღვრა სავალდებულო არ არის სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლისათვის.

მუხლი 54

[1] სამართლიანობიდან გამომდინარე მოსამართლეს შეუძლია ასევე ზიანის მიყენებაში ბრალეული იმ პირისათვის ნაწილობრივ ან სრულად ზიანის ანაზღაურების დაკისრება, რომელსაც არ შეუძლია თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა.

[2] თუ პირმა დროებით დაკარგვა თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევის უნარი და ამ მდგომარეობაში ყოფნისას მან ზიანი მიაყენა სხვას, მაშინ ის ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი, თუ ეს პირი არ დაამტკიცებს, რომ აღნიშნული მდგომარეობა დადგა მისი ბრალის გარეშე.

მუხლი 55

[1] დამსაქმებელი (Geschäftsherr) პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რასაც აყენებენ მისი დასაქმებულები ან სხვა დამხმარე პირები თავიანთი სამსახურეობრივი ან საქმიანი ფუნქციების შესრულებისას, თუ ის არ დაამტკიცებს, რომ მან გამოიჩინა არსებულ გარემოებებში შესაძლო მაქსიმალური ზრუნვა ასეთი სახის ზიანის თავიდან ასაცილებლად, ან რომ ზიანი აღნიშნული ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც დადგებოდა.

[2] დამსაქმებელს შეუძლია ზიანის მიმყენებელ პირს წაუყენოს რეგრესული მოთხოვნა იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი თავად ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

მუხლი 56

[1] ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მისი პატრონი,

თუ ის არ დაამტკიცებს, რომ მან ცხოველის მოვლა-პატრონობისა და მისი მეთვალყურეობისას გამოიჩინა არსებულ გარემოებებში შესაძლო მაქსიმალური ზრუნვა, ან რომ ზიანი აღნიშნული ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც დადგებოდა.

[2] ცხოველის პატრონი ინარჩუნებს რეგრესული მოთხოვნის უფლებას, თუ ცხოველი პროვოცირებულ იქნა სხვა პირის ან ამ უკანასკნელის კუთვნილი ცხოველის მხრიდან.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 57

[1] მიწის ნაკვეთის მფლობელი უფლებამოსილია, თავისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაიჭიროს მესამე პირების კუთვნილი ცხოველები, რომლებიც აყენებენ ზიანს მიწის ნაკვეთს, და დაიტოვოს ისინი თავისთან, ხოლო იქ, სადაც ეს გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებულია, მოკლას კიდეც ისინი.

[2] თუმცაღა, ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ გააგებინოს ეს ფაქტის მესაკუთრეს და, რამდენადაც ეს უკანასკნელი მისთვის ცნობილი არ არის, – მიიღოს საჭირო ზომები მის დასადგენად.

მუხლი 58

[1] შენობის ან სხვა ნაგებობის მესაკუთრემ უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც დგება დეფექტური კონსტრუქციის ან ნაგებობის მონტაჟის ანდა არასათანადო ექსპლუატაციის შედეგად.

[2] შენობის ან სხვა ნაგებობის მესაკუთრე ინარჩუნებს რეგრესული მოთხოვნის უფლებას იმ პირების მიმართ, რომლებიც, თავის მხრივ, პასუხს აგებენ მის წინაშე.

მუხლი 59

[1] პირს, რომელსაც სხვა პირის კუთვნილი შენობისაგან ან ნაგებობისაგან ემუქრება ზიანის მიყენების საფრთხე, შეუძლია მესაკუთრეს მოსთხოვოს აუცილებელი ზომების მიღება საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

[2] შენარჩუნებულია პირებისა და საკუთრების დაცვის მიზნით პოლიციის მიერ გაცემული განკარგულებების მოქმედება.

მუხლი 59a

[1] ელექტრონული ხელმოწერისა თუ ბეჭდის გენერირებისათვის გამოყენებული კრიპტოგრაფიული გასაღების მფლობელი მესამე პირების წინაშე პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მათ განიცადეს 2016 წლის 18 მარტის ელექტრონული ხელმოწერის შესახებ ფედერალური კანონის გაგებით სერტიფიკაციის აღიარებული პროვაიდერის მიერ გაცემული მოქმედი სერტიფიკატისადმი ნდობის შედეგად.

[2] მფლობელის პასუხისმგებლობა არ დგება, თუ მას შეუძლია სარწმუნოდ ახსნას, რომ მან კრიპტოგრაფიული გასაღების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისათვის მიიღო არსებულ გარემოებებში ყველა აუცილებელი და გონივრული უსაფრთხოების ზომა.

[3] ფედერალური საბჭო ახდენს მე-2 ნაწილის გაგებით უსაფრთხოების ზომების აღწერას.

მუხლი 60

[1] ზიანის ანაზღაურებისა თუ მორალური ზიანის დაკმაყოფილების შესახებ მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც დაზარალებულისათვის ცნობილი გახდა ზიანისა და ასევე ზიანზე პასუხისმგებელი პირის ვინაობის შესახებ, თუმცა, – ნებისმიერ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი ქმედების ჩადენის დღიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

[2] თუმცაღა, თუ სარჩელი გამომდინარეობს ისეთი სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებიდან, რომლისათვისაც სისხლის სამართალი ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივ ვადას ითვალისწინებს, მაშინ ეს ვადა მოქმედებს ასევე სამოქალაქო მოთხოვნის უფლების მიმართაც.

[3] თუ ზიანის მიყენების შედეგად წარმოიშობა მოთხოვნა დაზარალებულის მიმართ, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია უარი თქვას ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზიანის მიყენებიდან გამომდინარე მისი კუთვნილი მოთხოვნა ხანდაზმულია.

მუხლი 61

[1] ფედერაციასა და კანტონებს კანონმდებლობის შემუშავების გზით შეუძლიათ დაადგინონ საჯარო მოხელეთა თუ მოსამსახურეთა მიერ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან მორალური ზიანის დაკმაყოფილების ვალდებულების მომწესრიგებელი განსხვავებული დანაწესები.

[2] თუმცაღა, დაუშვებელია წინამდებარე თავის დანაწესების შეცვლა კანტონალური კანონებით საჯარო მოხელეთა თუ მოსამსახურეთა მიერ განხორციელებული პროფესიული მოვალეობების შესრულების შემთხვევაში.

მესამე თავი: ვალდებულებების წარმოშობა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე

მუხლი 62

[1] პირი, რომელიც უსაფუძვლოდ მდიდრდება სხვა პირის ქონების ხარჯზე, ვალდებულია აანაზღაუროს უსაფუძვლოდ მიღებული.

[2] კერძოდ, აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ქონებრივი სარგებელი მიიღო ნამდვილი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ან განუხორციელებელი ანდა შემდგომში გაუქმებული სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე.

მუხლი 63

[1] პირს, რომელიც ნებაყოფლობით იხდის არაარსებულ ვალს, შეუძლია მოითხოვოს შესრულებულის უკან დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც

ის შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ის ცდებოდა ვალის არსებობის ფაქტთან დაკავშირებით.

[2] უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, როდესაც გადახდა განხორციელდა ხანდაზმული ვალის დასაფარად ან ზნეობრივი მოვალეობის შესასრულებლად.

[3] შენარჩუნებულია გადახდილი არაარსებული ვალის უკან დაბრუნების მოთხოვნა ვალების ამოღებისა და გაკოტრების სამართლის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 64

გადახდილის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია იმდენად, რამდენადაც მტკიცდება, რომ მიმღები უკან დაბრუნების მომენტისათვის აღარ არის გამდიდრებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან მიღებული ქონებრივი სარგებელი გაასხვისა ისე, რომ ამ დროს ის არ იყო კეთილსინდისიერი, ანდა მას მაინც უნდა გაეთვალისწინებინა გადახდილის უკან დაბრუნების ვალდებულების წარმოშობის ალბათობა.

მუხლი 65

[1] მიმღებს აქვს აუცილებელი და სარგებლის მომტანი დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცაღა, – მხოლოდ იმ დანახარჯების მიმართ, რომლებიც არ აღემატება უკან დაბრუნების მომენტისათვის ჯერ კიდევ არსებული ნამეტი ღირებულების თანხას, როდესაც ქონებრივი სარგებლის უსაფუძვლოდ მიღებისას მიმღები არ იყო კეთილსინდისიერი.

[2] მიმღებს არ შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნა სხვა დანახარჯებისათვის, თუმცა, როდესაც მას ასეთი კომპენსაციის გადახდას არ სთავაზობენ, ნივთის დაბრუნებამდე მას შეუძლია დაიტოვოს ყველაფერი ის, რაზეც მან გასწია ხარჯები, რამდენადაც ამის განხორციელება შესაძლებელია თავად ნივთის დაზიანების გარეშე.

მუხლი 66

დაუშვებელია უკან დაბრუნების მოთხოვნა იმისა, რაც გადაცემულ იქნა კანონსაწინააღმდეგო ან ამორალური შედეგის მიღების განზრახვით.

მუხლი 67

[1] უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულისათვის ცნობილი გახდა მოთხოვნის უფლების შესახებ, თუმცა, – ნებისმიერ შემთხვევაში მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

[2] თუ უსაფუძვლო გამდიდრება მდგომარეობს დაზარალებულის მიმართ მოთხოვნაში, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია უარი თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია.

მეორე ტიტული: ვალდებულებების მოქმედება

პირველი თავი: ვალდებულებების შესრულება

მუხლი 68

მოვალემ ვალდებულება პირადად უნდა შეასრულოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულება დამოკიდებულია მის პიროვნებაზე.

მუხლი 69

[1] კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ნაწილობრივი გადახდის მიღებაზე, თუ დგინდება მთლიანი ვალი და ის ვადამოსულია.

[2] თუ კრედიტორს სურს ნაწილობრივი გადახდის მიღება, მაშინ მოვალეს არ შეუძლია უარი თქვას მის მიერ აღიარებული ვალის ნაწილის გადახდაზე.

მუხლი 70

[1] თუ დაუყოფადი შესრულება უნდა განხორციელდეს რამდენიმე კრედიტორის მიმართ, მაშინ მოვალემ ყველას ერთად უნდა შეუსრულოს, ხოლო თითოეულ კრედიტორს შეუძლია შესრულების განხორციელება მოითხოვოს ერთობლივად ყველა მათგანის მიმართ.

[2] თუ დაუყოფადი შესრულება უნდა განხორციელდეს რამდენიმე მოვალის მიერ, მაშინ ყოველი მათგანი ვალდებულია განახორციელოს მთლიანი შესრულება.

[3] რამდენადაც არსებული გარემოებებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, იმ მოვალეს, რომელმაც დააკმაყოფილა კრედიტორი, შეუძლია ამის შემდეგ დანარჩენი მოვალეებისაგან მოითხოვოს პროპორციული კომპანსაცია, და მასზე ასევე გადადის დაკმაყოფილებული კრედიტორების უფლებები იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მას აქვს აღნიშნული კომპანსაციის მოთხოვნის უფლება.

მუხლი 71

[1] რამდენადაც სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, თუ ვალდებულების ობიექტი განსაზღვრულია მხოლოდ გვაროვნული ნიშნით, მაშინ კონკრეტული ობიექტის გადაცემისას მოვალეს აქვს არჩევანის უფლება.

[2] თუმცა, მოვალე ვერ შესთავაზებს კრედიტორს საშუალოზე ნაკლები ხარისხის ობიექტს.

მუხლი 72

თუ ვალდებულება მიმართულია რამდენიმე შესრულებისკენ იმგვარად, რომ მხოლოდ ერთ-ერთი შესრულება უნდა განხორციელდეს, მაშინ არჩევანის უფლება აქვს მოვალეს, რამდენადაც სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

მუხლი 73

[1] თუ ვალდებულება მდგომარეობს პროცენტების გადახდაში და ამ პროცე-

ნტების ოდენობა არ განისაზღვრება არც ხელშეკრულებითა და არც კანონითა თუ დამკვიდრებული პრაქტიკით, მაშინ გადახდილ უნდა იქნეს წლიური ხუთი პროცენტი.

[2] აღნიშნული წესი არ ეხება საჯარო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებს პროცენტების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.

მუხლი 74

[1] ვალდებულების შესრულების ადგილი განისაზღვრება მხარეთა პირდაპირ გამოხატული ან გარემოებებიდან გამომდინარე ნაგულისხმევი ნება-სურვილით.

[2] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკითხი სხვაგვარად არის გადაწყვეტილი, მოქმედებს შემდეგი პრინციპები:

1. ფულადი ვალდებულებები უნდა შესრულდეს იმ ადგილზე, სადაც შესრულების მომენტში კრედიტორს აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი;

2. თუ ვალდებულების ობიექტს წარმოადგენს განსაზღვრული ნივთი, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა იქნეს გადაცემული იქ, სადაც ის ხელშეკრულების დადების მომენტში იმყოფებოდა;

3. სხვა ვალდებულებები უნდა შესრულდეს იმ ადგილზე, სადაც მათი წარმოშობის მომენტში მოვალეს ჰქონდა თავისი საცხოვრებელი ადგილი.

[3] როდესაც ვალდებულების წარმოშობის შემდეგ კრედიტორი იცვლის თავის საცხოვრებელ ადგილს, სადაც მას შეეძლო მოეთხოვა ვალდებულების შესრულება, და ამ ცვლილებით მნიშვნელოვან სირთულეს უქმნის მოვალეს შესრულების განხორციელებაში, მაშინ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, განახორციელოს ვალდებულების შესრულება თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილზე.

მუხლი 75

თუ ვალდებულების შესრულების დრო არ განისაზღვრება არც ხელშეკრულებითა და არც სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებით, მაშინ შესრულება შეიძლება განხორციელდეს და მოთხოვნილ იქნეს დაუყოვნებლივ.

მუხლი 76

[1] თუ ვადა განისაზღვრება თვის დასაწყისით ან დასასრულით, მაშინ ის გულისხმობს შესაბამისად თვის პირველ ან ბოლო დღეს.

[2] თუ ვადა განისაზღვრება შუა თვით, მაშინ ის გულისხმობს ამ თვის მეთხუთმეტე დღეს.

მუხლი 77

[1] თუ ვალდებულება უნდა შესრულდეს ან რაიმე სხვა იურიდიული მოქმედება განხორციელდეს ხელშეკრულების დადების შემდეგ განსაზღვრული ვადის გასვლისთანავე, მაშინ მისი ვადის დადგომა ხდება შემდეგი წესით:

1. თუ ვადა აითვლება დღეების მიხედვით, – ვადის უკანასკნელ დღეს იმ დღის ჩაუთვლელად, როდესაც დაიდო ხელშეკრულება, ხოლო თუ ვადა შეადგენს რვა ან 15 დღეს, მაშინ ეს გაგებულ უნდა იქნეს არა როგორც ერთი– ან ორკვირიანი ვადა, არამედ სრული რვა ან 15 დღე;

2. თუ ვადა განისაზღვრება კვირების მიხედვით, – უკანასკნელი კვირის იმ დღეს, რომელიც თავისი დასახელებით შეესაბამება ხელშეკრულების დადების დღეს;

3. თუ ვადა განისაზღვრება თვეების ან რამდენიმე თვის მომცველი დროის პერიოდის (წელი, ნახევარი წელი, კვარტალი) მიხედვით, – უკანასკნელი თვის იმ დღეს, რომელიც თავისი დასახელებით შეესაბამება ხელშეკრულების დადების დღეს, ხოლო თუ ასეთი დღე უკანასკნელ თვეში არ არის, მაშინ – ამ თვის უკანასკნელ დღეს.

გამოთქმა „ნახევარი თვე" გულისხმობს 15-დღიან პერიოდს, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ ვადა წარმოადგენს ერთ ან რამდენიმე თვესა და ნახევარ თვეს, დაითვლება ბოლოს.

[2] ანალოგიურად ვადის გამოთვლა ხდება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ის აითვლება არა ხელშეკრულების დადების დღიდან, არამედ დროის სხვა მომენტიდან.

[3] თუ ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს განსაზღვრული ვადის განმავლობაში, მაშინ შესრულება უნდა განხორციელდეს ამ ვადის გასვლამდე.

მუხლი 78

[1] თუ ვალდებულების შესრულების დრო ემთხვევა კვირას ან შესრულების ადგილზე ოფიციალურად აღიარებულ უქმე დღეს, მაშინ შესრულების ან ვადის უკანასკნელ დღედ ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

[2] დასაშვებია განსხვავებულ წესზე შეთანხმება.

მუხლი 79

ვალდებულების შესრულება უნდა განხორციელდეს და მიღებულ იქნეს განსაზღვრული დღის ჩვეულებრივი სამუშაო დროის განმავლობაში.

მუხლი 80

თუ მოხდა ხელშეკრულებით შეთანხმებული ვადის გახანგრძლივება, მაშინ რამდენადაც ხელშეკრულებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, ახალი ვადის დენა იწყება თავდაპირველი ვადის ამოწურვის შემდეგ პირველ დღეს.

მუხლი 81

[1] რამდენადაც ხელშეკრულების შინაარსიდან ან ბუნებიდან ანდა არსებული გარემოებებიდან მხარეთა სხვა ნება-სურვილი არ გამომდინარეობს, მოვალეს შეუძლია განახორციელოს შესრულება ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდეც.

[2] თუმცა, მოვალე არ არის უფლებამოსილი, შესასრულებელ ვალდებულებას გამოაკლოს ფასდაკლების თანხა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს დაშვებულია შეთანხმებით ან პრაქტიკით.

მუხლი 82

თუ ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში მხარეს სურს, მეორე მხარეს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება, მაშინ მას უკვე უნდა ჰქონდეს შესრუ-

ლებული ან შეთავაზებული მასზე დაკისრებული ვალდებულება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების შინაარსის ან ბუნების შესაბამისად მან მხოლოდ მოგვიანებით უნდა განახორციელოს შესრულება.

მუხლი 83

[1] თუ ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე გადახდისუუნარო გახდა, კერძოდ კი, მის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება ანდა ქონება დაყადაღებულია კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების გარეშე, და ასევე ქონებრივი მდგომარეობის ასეთი გაუარესების შედეგად საფრთხე ექმნება მეორე მხარის მოთხოვნას, – მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე მანამდე, სანამ მას არ წარედგინება სამაგიერო შესრულების უზრუნველყოფა.

[2] თუ მეორე მხარეს გონივრული ვადის განმავლობაში მისი მოთხოვნის საფუძველზე არ წარედგინება უზრუნველყოფა, მაშინ მას შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.

მუხლი 84

[1] ფულადი ვალდებულებები უნდა შესრულდეს ვალდებულებით ნაკისრ ვალუტაში კანონიერი გადახდის საშუალებებით.

[2] თუ ვალი გამოხატულია იმ ვალუტაში, რომელიც გადახდის ადგილზე არ წარმოადგენს ეროვნულ ვალუტას, მაშინ ვალდებულებით ნაკისრი თანხა გადახდილ უნდა იქნეს ასეთ ვალუტაში ვალდებულების შესრულების მომენტში არსებული გაცვლითი კურსით, რამდენადაც ხელშეკრულების სიტყვასიტყვითი შესრულება არ არის დათქმული სიტყვის „რეალური“ გამოყენებით ან მსგავსი ტექსტის დამატებით.

მუხლი 85

[1] მოვალეს შეუძლია ნაწილობრივი გადახდა ჩათვალოს ვალის ძირითადი თანხის გადახდის ანგარიშში მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის არ იმყოფება პროცენტებისა თუ ხარჯების გადახდის ვადაგადაცილებაში.

[2] თუ კრედიტორს თავისი მოთხოვნის ნაწილის უზრუნველსაყოფად წარედგინა თავდებობა ან გირავნობა ანდა სხვა გარანტიები, მაშინ მოვალე არ არის უფლებამოსილი, ნაწილობრივი გადახდა ჩათვალოს მოთხოვნის უზრუნველყოფილი ან უკეთესად უზრუნველყოფილი ნაწილის გადახდის ანგარიშში.

მუხლი 86

[1] თუ რამდენიმე ვალის მქონე მოვალემ გადახდა უნდა განახორციელოს ერთიდაიგივე კრედიტორის მიმართ, მაშინ ის უფლებამოსილია, გადახდისას განაცხადოს, თუ რომელი ვალის დაფარვა სურს მას.

[2] თუ ასეთი განცხადება სახეზე არ არის, მაშინ გადახდილი თანხა ჩაითვლება იმ ვალის გადახდის ანგარიშში, რომელსაც კრედიტორი უთითებს თავის ქვითარში იმ პირობით, რომ მოვალე ამას დაუყოვნებლივ არ აპროტესტებს.

მუხლი 87

[1] თუ სახეზე არ არის არც ვალის დაფარვის შესახებ ძალმოსილი განცხადება და არც ქვითარში მითითება, მაშინ გადახდის თანხა უნდა ჩაითვალოს ვადამოსული ვალის გადახდის ანგარიშში, ან თუ ვადამოსულია რამდენიმე ვალი, მაშინ – იმ ვალის გადახდის ანგარიშში, რომლის იძულებითი აღსრულებაც მოვალის წინააღმდეგ პირველად დაიწყო, ხოლო თუ იძულებით აღსრულებას ადგილი არ ჰქონია, მაშინ აღნიშნული თანხა ჩაითვლება იმ ვალის გადახდის ანგარიშში, რომლის შესრულების ვადაც ყველაზე ადრე დადგა.

[2] თუ რამდენიმე ვალის გადახდის ვადა ერთდროულად დგება, მაშინ ადგილი აქვს თანხის პროპროციულად ანგარიშში ჩათვლას.

[3] თუ რამდენიმე ვალიდან არც ერთის გადახდის ვადა არ არის დამდგარი, მაშინ ჩათვლა ხორციელდება იმ ვალის გადახდის ანგარიშში, რომელიც კრედიტორისათვის ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 88

[1] გადახდის განმახორციელებელი მოვალე უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი ქვითრის გაცემა, ხოლო თუ ვალი იფარება სრულად, – ასევე სავალო საბუთის დაბრუნება ან მისი ძალადაკარგულად გამოცხადება.

[2] თუ ვალის გადახდა სრულად არ ხდება ან თუ სავალო საბუთში კრედიტორის სხვა უფლებებიც არის დადასტურებული, მაშინ მოვალეს შეუძლია ქვითრის გარდა მოითხოვოს მხოლოდ სავალო საბუთზე შესაბამისი აღნიშვნის (Vormerkung) გაკეთება.

მუხლი 89

[1] თუ ვალდებულების საგანს წარმოადგენს პროცენტების გადახდა ან სხვა პერიოდული გადახდების შესრულება, მაშინ შემდგომში განსახორციელებელი გადახდის მიმართ ყოველგვარი დათქმის გარეშე გაცემული ქვითარი ქმნის ვარაუდს იმისა, რომ ყველა მანამდე ვადამოსული გადახდებიც განხორციელებულია.

[2] თუ ქვითარი გაიცემა ძირითადი ვალისათვის, მაშინ ივარაუდება, რომ გადახდილია ასევე პროცენტებიც.

[3] სავალო საბუთის მოვალისათვის დაბრუნება ქმნის ვარაუდს იმისა, რომ ვალი დაფარულია.

მუხლი 90

[1] თუ კრედიტორი ამტკიცებს, რომ სავალო საბუთი დაკარგულია, მაშინ მოვალეს გადახდის განხორციელებისას შეუძლია მოითხოვოს კრედიტორის მიერ ოფიციალური ან დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე სავალო საბუთის ძალადაკარგულად, ხოლო ვალის კი დაფარულად გამოცხადება.

[2] აღნიშნული წესი არ მოქმედებს ფასიანი ქაღალდების ძალადაკარგულად გამოცხადების მომწესრიგებელი ნორმების მიმართ.

მუხლი 91

კრედიტორი იმყოფება ვადაგადაცილებაში, თუ ის გაუმართლებლად უარს

ამბობს სათანადო წესით შეთავაზებულ შესრულების მიღებაზე ან მასზე დაკისრებული იმ მოსამზადებელი მოქმედებების განხორციელებაზე, რომელთა გარეშეც მოვალე ვერ შეძლებს ვალდებულების შესრულებას.

მუხლი 92

[1] როდესაც კრედიტორი აღმოჩნდება ვადაგადაცილებაში, მოვალე უფლებამოსილია, კრედიტორის რისკითა და მის ხარჯზე მოახდინოს ვალდებულების ობიექტის დეპონირება და ამით თავისი თავის ნაკისრი ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

[2] დეპონირების ადგილს განსაზღვრავს მოსამართლე, თუმცა საქონელი შეიძლება ასევე შესანახად გადაეცეს საწყობს მოსამართლისეული განსაზღვრის გარეშეც.

მუხლი 93

[1] თუ ნივთის თვისების ან წარმოების სახეობის შესაბამისად დეპონირება მიზანშეუწონელია ან ნივთი მალფუჭებადია ანდა საჭიროებს ძვირადღირებულ მოვლა-პატრონობასა თუ შენახვისათვის მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევას, მაშინ მოვალეს გაყიდვის შესახებ წინასწარი გაფრთხილების შემდეგ მოსამართლის თანხმობით შეუძლია გაყიდოს ნივთი საჯარო აუქციონზე და ამონაგები თანხა განათავსოს დეპოზიტზე.

[2] თუ ნივთს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი ანდა მისი ღირებულება ნაკლებია გასაწევ ხარჯებთან შედარებით, მაშინ ნივთის რეალიზაცია შეიძლება არც განხორციელდეს საჯარო აუქციონის გზით, ხოლო მოსამართლეს კი შეუძლია დაუშვას ასეთი რეალიზაცია გაყიდვის შესახებ წინასწარი გაფრთხილების გარეშეც.

მუხლი 94

[1] მოვალე უფლებამოსილია, უკან დაიბრუნოს მიბარებული ნივთი მანამდე, სანამ კრედიტორი არ განაცხადებს მისი მიღების შესახებ ან მიბარების შედეგად არ გაუქმდება გირავნობის უფლება.

[2] ნივთის უკან დაბრუნების მომენტში მოთხოვნა კვლავ ძალაში შედის ყველა დამატებით მოთხოვნასთან ერთად.

მუხლი 95

თუ საქმე ეხება სხვა ნივთის გადაცემას, ვიდრე ეს ნაკისრი იყო ვალდებულებით, მაშინ კრედიტორის ვადაგადაცილების შემთხვევაში მოვალეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 96

თუ იმ მიზეზით, რომელიც არ არის დაკავშირებული კრედიტორის პიროვნებასთან, ანდა კრედიტორის პიროვნებასთან დაკავშირებული არაბრალეული გაურკვევლობის შედეგად ვალდებულებით ნაკისრი შესრულება ვერ განხოციელდება ვერც კრედიტორისა და ვერც მისი წარმომადგენლის მიმართ, მაშინ მო-

ვალე უფლებამოსილია ნივთის დეპონირებაზე ან მის უკან დაბრუნებაზე მსგავსად კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადაგადაცილების შემთხვევისა.

მეორე თავი: ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები

მუხლი 97

[1] თუ ვალდებულება საერთოდ ვერ სრულდება ან ჯეროვნად ვერ სრულდება, მაშინ მოვალემ უნდა აანაზღაუროს ამის შედეგად მიყენებული ზიანი, რამდენადაც ის ვერ ამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

[2] იძულებითი აღსრულების მიმართ მოქმედებს ვალების ამოღებისა და გაკოტრების სამართლის შესახებ 1889 წლის 11 აპრილის ფედერალური კანონისა და 2008 წლის 19 დეკემბრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (ZPO) ნორმები.

მუხლი 98

[1] თუ მოვალემ უნდა შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება, მაშინ კრედიტორს, თავისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შენარჩუნების პირობით, შეიძლება თავად მიენიჭოს ვალდებულების შესრულების უფლებამოსილება მოვალის ხარჯზე.

[2] თუ ვალდებულების საგანს არ წარმოადგენს მოვალის მიერ განსაზღვრული მოქმედების შესრულება, მაშინ მას ზიანის ანაზღაურება ეკისრება უკვე თუნდაც ამ ვალდებულების საწინააღმდეგოდ მოქმედების შემთხვევაში.

[3] გარდა აღნიშნულისა, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის აღმოფხვრა და მას შეიძლება მიენიჭოს ასეთი მდგომარეობის აღმოფხვრის უფლებამოსილება მოვალის ხარჯზე.

მუხლი 99

[1] ზოგადად მოვალე პასუხისმგებელია ნებისმიერი ბრალისათვის.

[2] პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება გარიგების განსაკუთრებული ბუნების მიხედვითა და, ამავე დროს, მისი შეფასება ხდება უფრო რბილად, როდესაც გარიგების მიზანი არ მდგომარეობს მოვალის მიერ რაიმე სარგებლის მიღებაში.

[3] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით ზიანის მიყენების შემთხვევაში არსებული პასუხისმგებლობის ოდენობის განმსაზღვრელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება ხელშეკრულების დამრღვევი ქმედების მიმართ.

მუხლი 100

[1] ბათილია წინასწარ დადებული შეთანხმება, რომლითაც გამოირიცხება პასუხისმგებლობა კანონსაწინააღმდეგო განზრახვისა თუ უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

[2] ასევე მოსამართლის შეხედულებით ბათილად შეიძლება იქნეს მიჩნეული მარტივი გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობაზე წინასწარ გაცხადებული უარიც, თუ პასუხისმგებლობაზე უარის განმცხადებელი მხარე განცხადების გაკეთების მომენტში იმყოფებოდა მეორე მხარის სამსახურში, ანდა თუ

პასუხისმგებლობა წარმოიშობა სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებად სამეწარმეო საქმიანობის წარმოებასთან დაკავშირებით.

[3] აღნიშნული წესები არ მოქმედებს დაზღვევის ხელშეკრულებების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების მიმართ.

მუხლი 101

[1] პირი, რომელიც თუნდაც მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ვალდებულების შესრულებას ან ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების რეალიზაციას ახდენს ისეთი დამხმარე პირის მეშვეობით, ვინც არის ოჯახის წევრი ან დასაქმებული, ვალდებულია ხელშეკრულების მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ პირების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას მიყენებული ზიანი.

[2] წინასწარ დადებული შეთანხმებით აღნიშნული პასუხისმგებლობა შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს.

[3] თუმცაღა, თუ პასუხისმგებლობაზე უარის განმცხადებელი მხარე იმყოფება მეორე მხარის სამსახურში ან თუ ეს პასუხისმგებლობა წარმოიშობა სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებად სამეწარმეო საქმიანობის წარმოებასთან დაკავშირებით, მაშინ შეთანხმების საფუძველზე პასუხისმგებლობის გამორიცხვა შესაძლებელია მაქსიმუმ მარტივი გაუფრთხილებლობისათვის.

მუხლი 102

[1] თუ დგება ვალდებულების შესრულების ვადა, მაშინ მოვალე ვადაგადაცილებაში აღმოჩნდება კრედიტორის მხრიდან გაფრთხილების შედეგად.

[2] თუ ვალდებულების შესრულებისათვის შეთანხმებულია განსაზღვრული ბოლო თარიღი ან თუ ეს უკანასკნელი გამომდინარეობს შეთანხმებული და ჯეროვნად განხორციელებული ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შედეგად, მაშინ მოვალე ვადაგადაცილებაშია უკვე აღნიშნული თარიღის გავლისთანავე.

მუხლი 103

[1] თუ მოვალე აღმოჩნდება ვადაგადაცილებაში, მან უნდა აანაზღაუროს ვალდებულების დაგვიანებით შესრულების გამო მიყენებული ზიანი და ის პასუხისმგებელია ასევე შემთხვევითობისათვისაც.

[2] მოვალეს შეუძლია გაითავისუფლოს თავი აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან იმდენად, რამდენადაც ის დაამტკიცებს, რომ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება მოხდა მისი მხრიდან რაიმე ბრალის არსებობის გარეშე ან კრედიტორის საზიანოდ შემთხვევითობას ადგილი ექნებოდა ასევე ვალდებულების საგნის დროული შესრულების შემთხვევაშიც.

მუხლი 104

[1] თუ მოვალე იმყოფება ფულადი ვალდებულების გადახდის ვადაგადაცილებაში, მაშინ მან უნდა გადაიხადოს ვადაგადაცილების წლიური ხუთი პროცენტი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელშეკრულებო პროცენტების ოდენობა უფრო ნაკლებია.

[2] თუ ხელშეკრულებით – თუნდაც პირდაპირ ან პერიოდულად გადასახდელი

ბანკის საკომისიოების გადახდის შესახებ შეთანხმებით – გათვალისწინებულია ხუთ პროცენტზე უფრო მაღალი საპროცენტო სარგებელი, მაშინ ეს უკანასკნელი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასევე ვადაგადაცილების პერიოდშიც.

[3] როდესაც მეწარმე სუბიექტებს შორის საქმიან ურთიერთობებში გადახდის დღეს არსებული ჩვეულებრივი საბანკო დისკონტის განაკვეთი აღემატება ხუთ პროცენტს, მაშინ ვადაგადაცილების პროცენტი შეიძლება გამოითვალოს ამ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით.

მუხლი 105

[1] თუ მოვალე იმყოფება პროცენტების ან პერიოდული გადასახდელებისა თუ ნაჩუქარი თანხების გადახდის ვადაგადაცილებაში, მაშინ მან უნდა გადაიხადოს ვადაგადაცილების პროცენტი იძულებითი აღსრულების პროცესის დაწყების ან სასამართლოში სარჩელის წარდგენის დღიდან.

[2] საწინააღმდეგო შეთანხმება ექვემდებარება სასამართლოსეულ შეფასებას პირგასამტეხლოს მიმართ მოქმედი პრინციპების შესაბამისად.

[3] დაუშვებელია ვადაგადაცილების პროცენტებიდან ვადაგადაცილების პროცენტის გადახდა.

მუხლი 106

[1] თუ კრედიტორმა უფრო მეტი ზიანი განიცადა, ვიდრე მას ვადაგადაცილების პროცენტებით უნაზღაურდება, მოვალემ უნდა აანაზღაუროს ასევე ეს ზიანიც, თუ ის ვერ ამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

[2] თუ აღნიშნული მეტი ოდენობის ზიანი ექვემდებარება წინასწარ შეფასებას, მაშინ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს კომპენსაციის თანხა უკვე მთავარ მოთხოვნასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაშიც.

მუხლი 107

[1] როდესაც მოვალე იმყოფება ორმხრივი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებაში, მაშინ კრედიტორი უფლებამოსილია, დაუდგინოს მას გონივრული ვადა დამატებითი შესრულებისათვის ან ასეთი ვადა დაადგინოს კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით.

[2] თუ აღნიშნული ვადის გასვლამდე ვალდებულება არ შესრულდება, მაშინ კრედიტორს ყოველთვის შეუძლია სარჩელით მოითხოვოს შესრულების განხორციელება დაგვიანების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან ერთად ან, ამავე დროს, ნაცვლად აღნიშნულისა, როდესაც კრედიტორი დაუყოვნებლივ განაცხადების ამის შესახებ, – მას შეუძლია უარი თქვას დამატებით შესრულებაზე და მოითხოვოს შეუსრულებლობის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

მუხლი 108

დამატებითი შესრულებისათვის ვადის დადგენა აუცილებელი არ არის, თუ:

1. მოვალის მოქმედებიდან აშკარად იკვეთება, რომ ვადის დადგენა უშედეგო აღმოჩნდება;

2. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შედეგად შესრულება კრედიტორისათვის უსარგებლო გახდებოდა;

3. ხელშეკრულებიდან ჩანს, რომ მხარეებს განზრახული ჰქონდათ ვალდებულების შესრულება სწორედ განსაზღვრულ მომენტში ან ასეთი მომენტის დადგომამდე.

მუხლი 109

[1] პირს, რომელიც ახდენს ხელშეკრულებიდან გასვლას, შეუძლია უარი თქვას შეპირებულ სამაგიერო შესრულებაზე და მოითხოვოს უკვე განხორციელებული შესრულების უკან დაბრუნება.

[2] გარდა ამისა, აღნიშნულ პირს აქვს ხელშეკრულების ანულირების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რამდენადაც მოვალე ვერ ამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

მესამე თავი: ურთიერთობები მესამე პირებთან

მუხლი 110

რამდენადაც მესამე პირი აკმაყოფილებს კრედიტორს, მისი კუთვნილი უფლებები კანონის ძალით გადადის ამ კრედიტორზე, თუ:

1. მესამე პირი ახდენს სხვა პირის ვალისათვის დაგირავებული იმ ნივთის გამოსყიდვას, რომელიც მას საკუთრების უფლებით ეკუთვნის ანდა რომელზეც მის სასარგებლოდ არსებობს შეზღუდული სანივთო უფლება;

2. მოვალე ატყობინებს კრედიტორს იმის შესახებ, რომ გადამხდელმა უნდა დაიკავოს კრედიტორის ადგილი.

მუხლი 111

პირმა, რომელიც იძლევა დაპირებას მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით, უნდა აანაზღაუროს მესამე პირის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე მიყენებული ზიანი.

მუხლი 112

[1] თუ პირმა, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით, დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ვალდებულება უნდა შესრულდეს მესამე პირის სასარგებლოდ, მაშინ ის უფლებამოსილია მოითხოვოს შესრულების განხორციელება ამ მესამე პირის მიმართ.

[2] მესამე პირს ან მის უფლებამონაცვლეს შეუძლია თავად მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ ეს წარმოადგენდა ორივე მხარის ნება-სურვილს ან თუ შეესაბამება არსებულ პრაქტიკას.

[3] აღნიშნულ შემთხვევაში კრედიტორს აღარ შეუძლია მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლება იმ მომენტიდან, როდესაც მესამე პირი ატყობინებს ამ უკანასკნელს თავისი უფლების რეალიზაციის სურვილის შესახებ.

მუხლი 113

როდესაც დამსაქმებელი კანონისმიერი პასუხისმგებლობის შედეგებისაგან იყო დაზღვეული, ხოლო დასაქმებულმა კი გადაიხადა პრემიის თანხის არანაკლებ ნახევარი, მაშინ დაზღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება ექსკლუზიურად ეკუთვნის დასაქმებულს.

მესამე ტიტული: ვალდებულებების შეწყვეტა

მუხლი 114

[1] თუ მოთხოვნა უქმდება მისი შესრულების შედეგად ან სხვაგვარად, მაშინ ქარწყლდება ყველა სხვა დამატებითი უფლებები, როგორიცაა, სახელდობრ, თავდებობები და გირავნობის უფლებები.

[2] უკვე დარიცხული პროცენტების დამატებით მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორის ეს უფლებამოსილება გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან გამომდინარეობს არსებული გარემოებებიდან.

[3] აღნიშნული წესები არ მოქმედებს უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლების, ფასიანი ქაღალდებისა და გაკოტრების საქმის წარმოებაში კომპრომისული შეთანხმების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების მიმართ.

მუხლი 115

შეთანხმებით მოთხოვნა ფორმის დაცვის გარეშე შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმდეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვალდებულების კისრებისათვის ფორმის დაცვა სავალდებულო იყო ან ის ხელშეკრულების მხარეებმა აირჩიეს.

მუხლი 116

[1] ახალი ვალის დადგენით ძველი ვალის დაფარვა არ ივარაუდება.

[2] კერძოდ, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, თავდაპირველი ვალის ნოვაციას არ იწვევს თამასუქის საფუძველზე ვალდებულების კისრება არსებულ ვალთან ან ახალ სავალო თუ თავდებობის დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 117

[1] კონტოკორენტულ ანგარიშზე ცალკეული პოზიციების დამატება შედეგად არ იწვევს ნოვაციას.

[2] თუმცა, ნოვაცია ივარაუდება, თუ ანგარიშზე დადგინდება და აღიარებული იქნება სალდო.

[3] თუ ცალკეული პოზიციებისათვის არსებობს სპეციალური უზრუნველყოფა, მაშინ სხვა შეთანხმების არარსებობის პირობით ეს უზრუნველყოფა ანგარიშზე სალდოს დადგენითა და აღიარებით არ უქმდება.

მუხლი 118

[1] როდესაც კრედიტორი და მოვალე ერთი პირი აღმოჩნდება, მაშინ მოთხოვნა ჩაითვლება გაუქმებულად კონფუზიის გზით.

[2] თუ კონფუზია გაუქმდება, მაშინ მოთხოვნა კვლავ წარმოიშობა.

[3] აღნიშნული წესები არ მოქმედებს უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებისა და ფასიანი ქაღალდების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების მიმართ.

მუხლი 119

[1] მოთხოვნა ჩაითვლება გაუქმებულად, რამდენადაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია იმ გარემოებების შედეგად, რომელთათვისაც მოვალე პასუხს არ აგებს.

[2] ორმხრივი ხელშეკრულებების შემთხვევაში შესრულების შეუძლებლობის გამო ვალდებულებისაგან გათავისუფლებული მოვალე პასუხს აგებს უკვე მიღებული სამაგიერო შესრულებისათვის უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების შესაბამისად და კარგავს ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელ შეგებებულ მოთხოვნას.

[3] გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც საკანონმდებლო ნორმებისა თუ ხელშეკრულების შინაარსის შესაბამისად რისკი კრედიტორზე გადადის ვალდებულების შესრულებამდე.

მუხლი 120

[1] როდესაც ორ პირს ერთმანეთის მიმართ ეკისრება ფულადი თანხის გადახდა ან სხვა ერთგვაროვანი საგნის მქონე შესრულებების განხორციელება, მაშინ თითოეულს შეუძლია გაქვითოს თავისი ვალი მეორე პირის მოთხოვნასთან, რამდენადაც ორივე მოთხოვნა ვადამოსულია.

[2] მოვალეს შეუძლია გაქვითვის უფლების განხორციელება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი შეგებებული მოთხოვნა სადავოა.

[3] ხანდაზმული მოთხოვნა შეიძლება გაიქვითოს, თუ ის ჯერ არ იყო ხანდაზმული იმ მომენტისათვის, როდესაც მისი სხვა მოთხოვნასთან გაქვითვა შესაძლებელი იყო.

მუხლი 121

თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, რამდენადაც ძირითად მოვალეს აქვს გაქვითვის უფლება.

მუხლი 122

პირს, რომელმაც იკისრა ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ, არ შეუძლია ამ ვალდებულების გაქვითვა იმ მოთხოვნასთან, რომელიც მას აქვს ამ პირის მიმართ.

მუხლი 123

[1] მოვალის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოებისას კრედიტორებს შეუძლიათ გაქვითონ თავიანთი ჯერ კიდევ ვადამოუსვლელი მოთხოვნებიც კი იმ მოთხო-

ვნებთან, რომლებიც ვალაუვალ მოვალეს (Gemeinschuldner) მათ მიმართ აქვს.

[2] მოვალის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოებისას გაქვითვის გამორიცხვა ან მისი გასაჩივრება რეგულირდება ვალების ამოღებისა და გაკოტრების სამართლის მომწესრიგებელი ნორმებით.

მუხლი 124

[1] გაქვითვას ადგილი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოვალე კრედიტორს ამცნობს, რომ მას სურს თავისი გაქვითვის უფლების განხორციელება.

[2] თუ აღნიშნული ხდება, მაშინ ივარაუდება, რომ რამდენადაც მოთხოვნა და შეგებებული მოთხოვნა ერთმანეთს აკომპენსირებს, ისინი დაფარულად მიიჩნევა უკვე იმ მომენტში, როდესაც მოხდა მათი გაქვითვის მიზნით ერთმანეთის მიმართ დაპირისპირება.

[3] აღნიშნული წესები არ მოქმედებს კომერციული კონტოკორენტული ბრუნვის მომწესრიგებელი სპეციალური პრაქტიკის მიმართ.

მუხლი 125

კრედიტორის ნების საწინააღმდეგოდ დაუშვებელია გაქვითვით შემდეგი ვალდებულებების დაფარვა:

1. მიბარებული, უკანონოდ ჩამორთმეული ან არაკეთილსინდისიერად დაკავებული ნივთების უკან დაბრუნებისა თუ მათი შეცვლის ვალდებულებები:

2. ვალდებულებები, რომლებიც თავიანთი განსაკუთრებული ბუნებით მოითხოვს კრედიტორის მიმართ ფაქტობრივ შესრულებას, როგორიცაა რჩენისა და სახელფასო მოთხოვნის უფლებები, რომლებიც სრულიად აუცილებელია კრედიტორისა და მისი ოჯახის რჩენისათვის;

3. თემის წინაშე ნაკისრი საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებები.

მუხლი 126

მოვალეს შეუძლია წინასწარ უარი თქვას კუთვნილ გაქვითვის უფლებაზე.

მუხლი 127

ათი წლის გასვლის შემდეგ ყველა მოთხოვნა ხანდაზმული ხდება, თუ ფედერალური სამოქალაქო სამართალი სხვაგვარად არ განსაზღვრავს.

მუხლი 128

ხუთი წლის გასვლის შემდეგ ხანდაზმული ხდება:

1. მოთხოვნები ქირავნობის, იჯარის ქირისა და ძირითადი თანხის პროცენტებისათვის, ისევე როგორც – სხვა პერიოდული გადახდებისათვის;

2. საკვები პროდუქტების მიწოდებიდან გამომდინარე მოთხოვნები, ასევე მოთხოვნები კვებისა და გამასპინძლებისათვის;

3. სახელოსნო სამუშაოებიდან, საქონლის საცალო გაყიდვებიდან, საექიმო მომსახურებიდან, ადვოკატების, იურიდიული აგენტების, პროკურისტებისა და ნოტარიუსების პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე მოთხოვნები, ისევე როგორც – დასაქმებულების მიერ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები.

მუხლი 129

გარიგების მხარეთა ნება-სურვილით წინამდებარე ტიტულში მოცემული ხანდაზმულობის ვადების შეცვლა დაუშვებელია.

მუხლი 130

[1] ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან.

[2] თუ მოთხოვნა უნდა შესრულდეს შეტყობინების წარდგენის მომენტიდან, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც ეს შეტყობინება დასაშვებია.

მუხლი 131

[1] სამისდღეშიო რჩენისა და მსგავსი პერიოდული გადახდების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა მთლიანი მოთხოვნისათვის იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დადგა პირველი განუხორციელებელი გადახდის შესრულების ვადა.

[2] თუ მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია მთლიანად, მაშინ ხანდაზმულია ასევე ცალკეული გადახდებიც.

მუხლი 132

[1] ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების დღე, ხოლო ხანდაზმულობის ვადა კი დასრულებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გასულია ვადის უკანასკნელი დღე.

[2] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით ვალდებულების შესრულებისას ვადების გამოთვლის მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს ასევე ხანდაზმულობის მიმართაც.

მუხლი 133

მთავარ მოთხოვნასთან ერთად ხანდაზმულია ასევე მისგან გამომდინარე პროცენტის მიღებისა და სხვა დამატებითი მოთხოვნებიც.

მუხლი 134

[1] ხანდაზმულობის ვადის დენა არ იწყება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დენა დაიწყო, – მაშინ ის შეჩერდება:

1. მშობლების მიმართ შვილების მოთხოვნებისათვის ამ უკანასკნელთა სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე;

2. ქმედუუნარო პირის მოთხოვნებისათვის იმ პირის მიმართ, რომელსაც დაევალა სხვა პირზე ზრუნვა მანამდე, სანამ ზრუნვის დავალება ძალაშია;

3. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა ერთმანეთის მიმართ მოთხოვნებისათვის;

3bis. რეგისტრირებული პარტნიორობის განმავლობაში რეგისტრირებული პარტნიორების ერთმანეთის მიმართ მოთხოვნებისათვის;

4. შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის განმავლობაში დამსაქმებლის მიმართ არსებული იმ დასაქმებულების მოთხოვნებისათვის, რომლებიც დამსაქმებელთან ერთად საერთო ოჯახში ცხოვრობენ;

5. მანამდე, სანამ მოვალეს მოთხოვნაზე აქვს უზუფრუქტი;

6. მანამდე, სანამ შვეიცარიულ სასამართლოში მოთხოვნის რეალიზაცია შეუძლებელია.

[2] იმ დღის გასვლის შემდეგ, როდესაც ზემოაღნიშნული მიზეზები აღარ არსებობს, ხანდაზმულობის ვადა იწყებს დენას თავიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვადის დენა უკვე დაწყებულია, – მაშინ მისი შეწყვეტის მომენტიდან.

[3] აღნიშნული წესები არ მოქმედებს ვალების ამოღებისა და გაკოტრების სამართლის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების მიმართ.

მუხლი 135

ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება:

1. მოვალის მხრიდან მოთხოვნის აღიარებით, სახელდობრ, – ასევე პროცენტებისა და საავანსო გადახდებით, გირავნობის დადგენითა თუ თავდებობის კისრებით;

2. ვალების ამოღების საქმისწარმოებით, მორიგების შესახებ შუამდგომლობის, სახელმწიფო სასამართლოში ან კერძო არბიტრაჟში სარჩელისა თუ შესაგებლის წარდგენით, ისევე როგორც – გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების წარდგენით.

მუხლი 136

[1] ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა დაუყოფადი შესრულებიდან გამომდინარე ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ან თანამოვალის მიმართ მოქმედებს ასევე დანარჩენი თანამოვალეების მიმართაც.

[2] თუ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა ძირითადი მოვალის მიმართ, მაშინ ის წყდება ასევე თავდების მიმართაც.

[3] და, პირიქით, თავდების მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა არ მოქმედებს ძირითადი მოვალის მიმართ.

მუხლი 137

[1] ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტით ვადის დენა თავიდან იწყება.

[2] თუ მოთხოვნა აღიარებულია დოკუმენტის გაცემით ან დადასტურებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაშინ ხანდაზმულობის ახალი ვადა ყოველთვის შეადგენს ათ წელს.

მუხლი 138

[1] თუ ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება მორიგების შესახებ შუამდგომლობის, სარჩელისა თუ შესაგებლის წარდგენით, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან იწყება, თუ სამართლებრივი დავა სრულდება სასამართლოს შესაბამის ინსტაციამდე.

[2] თუ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა ხორციელდება ვალების ამოღების საქმისწარმოებით, მაშინ ხანდაზმულობის ახალი ვადის დენა იწყება საქმისწარმოების თითოეული ეტაპიდან.

[3] თუ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა ხდება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების წარდგენით, მაშინ ხანდაზმულობის

ახალი ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც გაკოტრების სამართლის ნორმების შესაბამისად კვლავ შესაძლებელი ხდება მოთხოვნის რეალიზაცია.

მუხლი 139 (გაუქმებულია)

მუხლი 140

მფლობელობითი გირავნობის არსებობით მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამოირიცხება, თუმცა, მისი დადგომა ხელს არ უშლის კრედიტორს გირავნობის უფლების რეალიზაციაში.

მუხლი 141

[1] დაუშვებელია ხანდაზმულობის ვადაზე წინასწარ უარის თქმა.

[2] ხანდაზმულობის ვადაზე ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის უარი ვერ იქნება გამოყენებული დანარჩენი სოლიდარული მოვალეების საწინააღმდეგოდ.

[3] იგივე წესი მოქმედებს დაუყოფადი შესრულებიდან გამომდინარე რამდენიმე მოვალისა და თავდების მიმართ ძირითადი მოვალის მიერ ხანდაზმულობის ვადაზე უარის თქმის შემთხვევაში.

მუხლი 142

მოსამართლეს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება.

მეოთხე ტიტული: განსაკუთრებული ურთიერთობები ვალდებულებებში

პირველი თავი: სოლიდარული ვალდებულებები

მუხლი 143

[1] რამდენიმე მოვალეს შორის სოლიდარულობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი აცხადებენ, რომ თითოეულ მათგანს სურს იყოს პასუხისმგებელი კრედიტორის წინაშე მთლიანი ვალის შესრულებისათვის.

[2] აღნიშნული ნების გამოვლენის გარეშე სოლიდარულობა არსებობს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 144

[1] კრედიტორს ყველა სოლიდარული მოვალისაგან შეუძლია თავისი არჩევანით მოითხოვოს ვალდებულების შესრულების მხოლოდ ნაწილის ან მთლიანი შესრულების მოთხოვნა.

[2] ყველა სოლიდარული მოვალე ვალდებული რჩება მანამდე, სანამ არ დაიფარება მთლიანი მოთხოვნა.

მუხლი 145

[1] სოლიდარულ მოვალეს შეუძლია კრედიტორს დაუპირისპიროს მხოლოდ ისეთი შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს კრედიტორთან მისი პირადი ურთიერთობებიდან ან სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საერთო საფუძვლისა თუ შინაარსიდან.

[2] თითოეული სოლიდარული მოვალე პასუხისმგებელია სხვა სოლიდარული მოვალეების წინაშე, თუ ის არ წარადგენს იმ შესაგებლებს, რომლებიც ყველა მოვალეს ერთობლივად ეკუთვნის.

მუხლი 146

რამდენადაც სხვაგვარად არ არის დადგენილი, სოლიდარულ მოვალეს არ შეუძლია თავისი პირადი ქმედებებით სხვა სოლიდარული მოვალეების მდგომარეობის დამძიმება.

მუხლი 147

[1] რამდენადაც სოლიდარულმა მოვალემ თანხის გადახდით ან გაქვითვის გზით დააკმაყოფილა კრედიტორის მოთხოვნა, მაშინ დანარჩენი სოლიდარული მოვალეებიც თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებისაგან.

[2] თუ სოლიდარული მოვალე თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების გარეშე, მაშინ ვალდებულებისაგან ასეთი გათავისუფლება მოქმედებს სხვა სოლიდარული მოვალეების სასარგებლოდ მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს გამართლებულია გარემოებებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე.

მუხლი 148

[1] რამდენადაც სოლიდარულ მოვალეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, თითოეულ მათგანს ეკისრება კრედიტორის მიმართ განხორციელებული შესრულების თანაბარი წილი.

[2] თუ სოლიდარულ მოვალე იხდის მასზე დაკისრებული წილის ოდენობაზე მეტ თანხას, მაშინ მას ნამეტი თანხისათვის აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება მისი თანამოვალეების მიმართ.

[3] იმ თანხის გადახდა, რომლის მიღებაც ერთ-ერთი თანამოვალისაგან შეუძლებელია, თანაბარწილად ეკისრებათ დანარჩენ თანამოვალეებს.

მუხლი 149

[1] რეგრესული მოთხოვნის უფლების მქონე სოლიდარულ მოვალეზე გადადის კრედიტორის უფლებები იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მან დააკმაყოფილა კრედიტორის მოთხოვნა.

[2] კრედიტორი პასუხისმგებელია იმ შემთხვევაში, თუ ის ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს უკეთეს უფლებრივ მდგომარეობაში აყენებს დანარჩენი სოლიდარული მოვალეების საზიანოდ.

მუხლი 150

[1] სოლიდარულობა რამდენიმე კრედიტორს შორის წარმოიშობა იმ შემთხვე-

ვაში, როდესაც მოვალე აცხადებს, რომ მას სურს თითოეულ მათგანს მიანიჭოს უფლებამოსილება მთლიან მოთხოვნაზე, ისევე როგორც – კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

[2] ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიმართ განხორციელებული შესრულება მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან ყველა კრედიტორის მიმართ.

[3] მოვალეს შეუძლია აირჩიოს, თუ რომელი სოლიდარული კრედიტორის მიმართ განახორციელოს გადახდა მანამდე, სანამ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორი მას იურიდიულად არ მოსთხოვს ვალდებულების შესრულებას.

მეორე თავი: პირობითი ვალდებულებები

მუხლი 151

[1] ხელშეკრულება ჩაითვლება პირობით დადებულ ხელშეკრულებად, თუ მისი მავალდებულებელი ხასიათი დამოკიდებულია გაურკვეველი ფაქტის დადგომაზე.

[2] ძალაში შესვლისათვის განმსაზღვრელია ის მომენტი, როდესაც ხდება პირობის შესრულება, რამდენადაც არ იკვეთება მხარეთა სხვაგვარი განზრახვა.

მუხლი 152

[1] პირობის დადგომამდე პირობითად ვალდებულმა თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი იმ ქმედებისაგან, რომელიც ხელისშემშლელი შეიძლება ყოფილიყო მის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისათვის.

[2] პირობითად ვალდებული პირი უფლებამოსილია, მისი უფლებებისათვის საფრთხის არსებობისას მოითხოვოს ამ უფლებების დაცვითი ღონისძიებების გამოყენება ისე, თითქოს მოთხოვნა უპირობოა.

[3] მერყევი მდგომარეობის განმავლობაში განხორციელებული განკარგვები პირობის დადგომისას ბათილია იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს განკარგვები პირობის ძალმოსილებისათვის საზიანოა.

მუხლი 153

[1] თუ შეპირებული ნივთი კრედიტორს გადაეცა პირობის დადგომამდე, მაშინ პირობის შესრულებისას მას შეუძლია დაიტოვოს ამ პერიოდში მიღებული სარგებელი.

[2] თუ პირობა არ დგება, მაშინ კრედიტორმა უნდა დააბრუნოს მიღებული სარგებელი.

მუხლი 154

[1] ხელშეკრულება, რომლის გაუქმებაც დამოკიდებულია პირობის დადგომაზე, კარგავს თავის ძალას იმ მომენტიდან, როდესაც ხდება პირობის შესრულება.

[2] როგორც წესი, უკუქცევით ძალას ადგილი არა აქვს.

მუხლი 155

თუ პირობა მდგომარეობს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ განხორციელებულ ისეთ მოქმედებაში, რომელიც არ არის დამოკიდებული მის პიროვნებაზე, მაშინ ეს პირობა შეიძლება შესრულდეს ასევე მისი მემკვიდრეების მიერაც.

მუხლი 156

პირობა მიიჩნევა შესრულებულად, როდესაც ერთ-ერთი მხარე კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ ხელს უშლის მის დადგომას.

მუხლი 157

თუ პირობის დამატება ხდება იმ განზრახვით, რომ მოხდეს კანონსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედებისა თუ უმოქმედობის ხელშეწყობა, მაშინ პირობითი მოთხოვნის უფლება ბათილია.

მესამე თავი: ბე და საჯარიმო თანხა (Reugeld). ხელფასიდან დაკავებული თანხები. პირგასამტეხლო

მუხლი 158

[1] ხელშეკრულების დადებისას ბეს სახით მიცემული თანხა მიიჩნევა ხელშეკრულების დადების დასტურად და არა როგორც საჯარიმო თანხად.

[2] როდესაც ხელშეკრულება ან ადგილობრივი ჩვეულებები სხვაგვარად არ განსაზღვრავს, ბეს თანხა რჩება მიმღებს ისე, რომ ის არ გამოიქვითება მისი კუთვნილი მოთხოვნის უფლებიდან.

[3] თუ მხარეთა შორის შეთანხმებულია საჯარიმო თანხა, მაშინ თანხის მიმცემს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან უკვე გადახდილი თანხის დათმობით, ხოლო თანხის მიმღებს კი, თავის მხრივ, შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან თანხის ორმაგი ოდენობის დაბრუნებით.

მუხლი 159 (გაუქმებულია)

მუხლი 160

[1] როდესაც ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევისათვის შეთანხმებულია პირგასამტეხლო, მაშინ სხვა დათქმის არარსებობისას კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს მხოლოდ ან ვალდებულების შესრულება ან პირგასამტეხლოს თანხის გადახდა.

[2] თუ პირგასამტეხლო შეთანხმებული იყო ვალდებულების შესრულების ვადისა თუ ადგილის დარღვევისათვის, მაშინ მისი გადახდის მოთხოვნა შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულებასთან ერთად მანამდე, სანამ კრედიტორი პირდაპირ არ განაცხადებს უარს ასეთ უფლებაზე ან შესრულებას უპირობოდ მიიღებს.

[3] მოვალეს ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ მას უნდა ჰქონოდა

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება პირგასამტეხლოს თანხის გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 161

[1] პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება არ ქარწყლდება (verfallen) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კრედიტორს არ წარმოეშობა რაიმე ზიანი.

[2] თუ განცდილი ზარალი აღემატება პირგასამტეხლოს თანხას, მაშინ კრედიტორს შეუძლია ნამეტი თანხა მოითხოვოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის დაამტკიცებს ბრალის არსებობას.

მუხლი 162

[1] შეთანხმება, რომლის თანახმადაც ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში კრედიტორს უნდა დარჩეს ნაწილობრივი გადახდები, უნდა შეფასდეს პირგასამტეხლოს მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 163

[1] პირგასამტეხლოს თანხა მხარეთა მიერ შეიძლება დადგინდეს ნებისმიერი ოდენობით.

[2] პირგასამტეხლოს თანხის მოთხოვნა შეუძლებელია, როდესაც მის მიზანს წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ან ამორალური ვალდებულების შესრულების კისრება, ხოლო სხვა დათქმის არარსებობისას კი, – როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელი გახდა იმ გარემოების შედეგად, რომლისათვისაც მოვალე პასუხს არ აგებს.

[3] მოსამართლეს შეუძლია თავისი შეხედულებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

მეხუთე ტიტული: მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება

მუხლი 164

[1] კრედიტორს შეუძლია თავისი მოთხოვნა მოვალის თანხმობის გარეშე დაუთმოს სხვას, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება კანონს, შეთანხმებას ან სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებას.

[2] მესამე პირს, რომელმაც მოთხოვნა შეიძინა იმ წერილობითი ვალის აღიარების დოკუმენტისადმი ნდობის საფუძველზე, რომელიც დათმობის აკრძალვას არ შეიცავს, არ შეუძლია მოვალეს დაუპირისპიროს შესაგებელი იმაზე მითითებით, რომ მოთხოვნის დათმობა შეთანხმებით გამორიცხული იყო.

მუხლი 165

[1] თავისი ნამდვილობისათვის მოთხოვნის დათმობა საჭიროებს წერილობითი ფორმით დადებას.

[2] მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დადების ვალდებულება შეიძლება დადგინდეს ფორმის დაცვის გარეშეც.

მუხლი 166

თუ კანონი ან სასამართლოს გადაწყვეტილება ადგენს, რომ მოთხოვნა სხვაზე უნდა გადავიდეს, მაშინ გადასვლა მესამე პირთა მიმართ ძალმოსილია ისე, რომ ის არ საჭიროებს სპეციალური ფორმის დაცვას ანდა თუნდაც მხოლოდ თავდაპირველი კრედიტორის ნების გამოვლენას.

მუხლი 167

როდესაც მანადე, სანამ მოთხოვნის დამთმობი ან შემძენი მოვალეს შეატყობინებს მოთხოვნის დათმობის შესახებ, ეს უკანასკნელი კეთილსინდისიერად ახორციელებს შესრულებას თავდაპირველი კრედიტორის მიმართ, ხოლო რამდენიმე დათმობის შემთხვევაში კი, – მოთხოვნის უკანასკნელი შემძენის მიმართ, მაშინ მოვალე ქმედითად თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან.

მუხლი 168

[1] თუ სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის მოთხოვნა, მაშინ მოვალეს შეუძლია უარი თქვას გადახდაზე და თანხის სასამართლოს დეპოზიტზე განთავსებით გათავისუფლდეს დაკისრებული ვალდებულებისაგან.

[2] თუ მოვალე ახორციელებს გადახდას მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილია დავის არსებობა, მაშინ ის აღნიშნულს ახდენს საკუთარი რისკით.

[3] თუ დავა მიმდინარეობს სასამართლოში და დამდგარია ვალის გადახდის ვადა, მაშინ ყოველ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს გადასახდელი თანხის დეპოზიტზე განთავსება.

მუხლი 169

[1] მოვალეს მოთხოვნის დამთმობის საწინააღმდეგო შესაგებლები შეუძლია წარადგინოს ასევე მოთხოვნის შემძენის მიმართაც, თუ ისინი სახეზე იყო უკვე იმ მომენტისათვის, როდესაც მოვალემ შეიტყო მოთხოვნის დათმობის შესახებ.

[2] თუ მოვალის შეგებებული მოთხოვნა აღნიშნული მომენტისათვის ჯერ კიდევ არ არის ვადამოსული, მაშინ მოვალეს მაინც შეუძლია მისი დათმობილ მოთხოვნასთან გაქვითვა იმ პირობით, რომ შეგებებული მოთხოვნის შესრულების ვადა არ დამდგარა დათმობილი მოთხოვნის შესრულების ვადაზე უფრო გვიან.

მუხლი 170

[1] მოთხოვნასთან ერთად გადადის პრივილეგიები და დამატებითი უფლებები გარდა იმ უფლებებისა, რომლებიც მოთხოვნის დამთმობის პიროვნებასთან განუყოფლად არის დაკავშირებული.

[2] მოთხოვნის დამთმობი ვალდებულია შემძენს გადასცეს სავალო საბუთი და ყველა სახეზე არსებული მტკიცებულება და მისცეს მოთხოვნის რეალიზაციისათვის აუცილებელი ახსნა-განმარტებები.

[3] ივარაუდება, რომ ძირითად მოთხოვნასთან ერთად შემენზე გადადის აგრეთვე გადაუხდელი პროცენტები.

მუხლი 171

[1] სასყიდლიანი მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში მოთხოვნის დამთმობი პასუხისმგებელია დათმობის დროისათვის მოთხოვნის არსებობისათვის.

[2] მოვალის გადაუხდელობისათვის კი, პირიქით, მოთხოვნის დამთმობი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მან ამისათვის იკისრა ვალდებულება.

[3] მოვალის მოთხოვნის უსასყიდლო დათმობის დროს მოთხოვნის დამთმობი პასუხისმგებელი არ არის თვით მოთხოვნის არსებობისათვისაც კი.

მუხლი 172

თუ კრედიტორმა თავისი მოთხოვნა გადახდის მიზნით დათმო იმ თანხის განსაზღვრის გარეშე, რომლისთვისაც იგი უნდა გაიქვითოს, მაშინ შემძენმა უნდა დაუშვას მხოლოდ იმ თანხის გაქვითვა, რომელსაც ის რეალურად იღებს მოვალისაგან ან რის მიღებასაც ის შეძლებდა სათანადო ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაში.

მუხლი 173

[1] გარანტიის ძალით მოთხოვნის დამთმობი პასუხისმგებელია მხოლოდ პროცენტებთან ერთად მიღებული ეკვივალენტისათვის და ასევე – მოთხოვნის დათმობისა და მოვალის წინააღმდეგ უშედეგოდ წარმოებული პროცედურის ხარჯებისათვის.

[2] თუ მოთხოვნა სხვა პირზე გადადის კანონის საფუძველზე, მაშინ თავდაპირველი კრედიტორი პასუხს არ აგებს არც მოთხოვნის არსებობაზე და არც მოვალის გადახდისუნარიანობაზე.

მუხლი 174

იქ, სადაც კანონი მოთხოვნების გადაცემისათვის ადგენს სპეციალურ წესებს, მაშინ შენარჩუნებულია ამ წესების მოქმედება.

მუხლი 175

[1] პირს, რომელიც მოვალეს შეპირდება მისი ვალის კისრებას, ევალება გაათავისუფლოს ის ვალისაგან კრედიტორის დაკმაყოფილებით ან კრედიტორის თანხმობით მოვალის ადგილის დაკავებით.

[2] მოვალეს არ შეუძლია ვალის მიმღებისაგან აღნიშნული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მანამდე, სანამ მოვალის მიერ მის მიმართ არ შესრულდება ვალის გადაკისრების საფუძვლად არსებული ვალდებულებები.

[3] თუ ძველი მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლება არ ხდება, მაშინ მას ახალი მოვალისაგან შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა.

მუხლი 176

[1] ვალის მიმღების ვალდებულებით ურთიერთობაში შემოსვლა თავდაპირვე-

ლი მოვალის ადგილის დაკავებითა და მისი ვალდებულებისაგნ განთავისუფლებით ხორციელდება ვალის მიმღებსა და კრედიტორს შორის დადებული ხელშეკრულებით.

[2] ვალის მიმღების მხრიდან ხელშეკრულების დადების შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს იმგვარად, რომ მან ან მისი რწმუნებით თავდაპირველმა მოვალემ შეატყობინოს კრედიტორს ვალის გადაკისრების შესახებ.

[3] კრედიტორის მხრიდან აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს პირდაპირ გამოხატული ფორმით ან გამომდინარეობდეს არსებული გარემოებებიდან და ის ივარაუდება, როდესაც კრედიტორი ვალის მიმღებისაგან გადახდას ყოველგვარი დათქმის გარეშე იღებს ან ეთანხმება ამ უკანასკნელის მოვალის სახით შესრულებულ სხვა მოქმედებას.

მუხლი 177

[1] კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულების დადების შეთავაზების აქცეპტი შეიძლება ნებისმიერ დროს განხორციელდეს. თუმცა, ვალის მიმღებს, ისევე როგორც თავდაპირველ მოვალეს, შეუძლიათ კრედიტორს დაუდგინონ შეთავაზების მიღების ვადა, რომლის გასვლის შემდეგ კრედიტორის დუმილი ჩაითვლება აქცეპტზე უარად.

[2] თუ შეთავაზების მიღებამდე კრედიტორი დებს ვალის გადაკისრების ახალ ხელშეკრულებას და კრედიტორს ახალი მიმღების მხრიდანაც წარედგინება ასევე შეთავაზება, მაშინ თავდაპირველი ვალის მიმღები თავისუფლდება ვალდებულებისაგან.

მუხლი 178

[1] მოვალის შეცვლა არ ეხება დამატებით უფლებებს, რამდენადაც ისინი თავდაპირველი მოვალის პიროვნებასთან განუყოფლად დაკავშირებული არ არის.

[2] თუმცა, მესამე პირების მიერ კრედიტორის სასარგებლოდ წარდგენილი გირავნობა და თავდებობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა შენარჩუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამგირავებელმა ან თავდებმა ვალის გადაკისრებაზე განაცხადეს თანხმობა.

მუხლი 179

[1] ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე შესაგებლები ისევე ეკუთვნის ახალ მოვალეს, როგორც ისინი თავდაპირველ მოვალეს ეკუთვნოდა.

[2] რამდენადაც კრედიტორთან დადებული ხელშეკრულებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, ახალი მოვალე ვერ დაუპირისპირებს მას იმ შესაგებლებს, რომლებიც თავდაპირველ მოვალეს პირადად კრედიტორის მიმართ ჰქონდა.

[3] ვალის მიმღები კრედიტორის წინააღმდეგ ვერ გამოიყენებს იმ შესაგებლებს, რომლებიც მას მოვალის მიმართ აქვს ვალის გადაკისრების საფუძვლად არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.

მუხლი 180

[1] თუ ვალის გადაკისრების ხელშეკრულება ბათილი აღმოჩნდა, მაშინ კვლავ

აღდგება ადრინდელი მოვალის ვალდებულება ყველა დამატებით უფლებასთან ერთად კეთილსინდისიერი მესამე პირების უფლებათა გათვალისწინების პირობით.

[2] გარდა ამისა, კრედიტორს შეუძლია ვალის მიმღებისაგან მოითხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მას ადრე მიღებული უზრუნველყოფის დაკარგვისა და მსგავსი მიზეზების შედეგად წარმოექმნა, რამდენადაც ის ვერ შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ვალის გადაკისრების ხელშეკრულების ანულირებასა და კრედიტორისათვის ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის.

მუხლი 181

[1] პირი, ვინც ქონებას ან საწარმოს თავისი აქტივებითა და პასივებით იღებს, კრედიტორების წინაშე ავტომატურად ვალდებული ხდება მასთან დაკავშირებულ ვალებზე იმ მომენტიდან, როდესაც ვალის მიმღები კრედიტორებს ატყობინებს ქონებისა თუ საწარმოს მიღების შესახებ ან აქვეყნებს განცხადებას საჯარო გაზეთებში.

[2] თუმცა, თავდაპირველი მოვალე მაინც სოლიდარულად აგებს პასუხს ახალ მოვალესთან ერთად კიდევ სამი წლის განმავლობაში, რომელიც ვადადამდგარი მოთხოვნების შემთხვევაში აითვლება შეტყობინებისა თუ გამოქვეყნების თარიღიდან, ხოლო იმ მოთხოვნების შემთხვევაში, რომელთა შესრულების ვადა მოგვიანებით იწყება, – შესრულების ვადის დადგომის თარიღიდან.

[3] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნულ ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას აქვს იგივე სამართლებრივი შედეგი, რაც ცალკეული ვალის გადაკისრებას.

[4] სავაჭრო საზოგადოებებისაგან, კოოპერატივებისაგან, კავშირებისაგან, ფონდებისა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმეებისაგან ქონების ან საწარმოს მიღება რეგულირდება შერწყმის შესახებ 2003 წლის 3 ოქტომბრის კანონის ნორმებით.

მუხლი 182 (გაუქმებულია)

მუხლი 183

შენარჩუნებულია სამკვიდროს გაყოფის და საუზრუნველყოფო უფლებით დატვირთული მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში ვალის გადაკისრების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების მოქმედება.

მეორე განყოფილება: ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობები

მეექვსე ტიტული: ნასყიდობა და გაცვლა

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 184

[1] ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს მიაწოდოს ნასყიდობის საგანი და გადასცეს საკუთრების უფლება მასზე, ხოლო მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს გადაუხადოს ნასყიდობის თანხა.

[2] რამდენადაც შეთანხმებითა თუ დამკვიდრებული პრაქტიკით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, გამყიდველი და მყიდველი ვალდებული არიან, თავიანთი შესრულებები ერთდროულად, ერთმანეთის მიყოლებით განახორციელონ.

[3] ნასყიდობის ფასი საკმარისად განსაზღვრულია, როდესაც ის არსებული გარემოებების შესაბამისად განსაზღვრებადია.

მუხლი 185

[1] ნივთის სარგებელი და შემთხვევით დაღუპვის რისკი შემძენზე გადადის ხელშეკრულების დადებისთანავე, რამდენადაც განსაკუთრებული გარემოებები არ ქმნის გამონაკლისს ან ასეთი გამონაკლისი გათვალისწინებულია მხარეთა შეთანხმებებით.

[2] თუ გასხვისებული ნივთი განსაზღვრულია მხოლოდ გვაროვნული ნიშნით, მაშინ დამატებით უნდა მოხდეს მისი გამოცალკევება, ხოლო თუ საჭიროა ასევე ამ ნივთის გაგზავნა, – მაშინ ის უნდა გადაეცეს გასაგზავნად.

[3] იმ ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებიც იდება გადადების პირობით, ნივთის სარგებელი და შემთხვევით დაღუპვის რისკი შემძენზე გადადის მხოლოდ პირობის დადგომისთანავე.

მუხლი 186

კანტონალური კანონმდებლობით შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს ალკოჰოლური სასმელების საცალო გაყიდვებთან, მათ შორის, – სასტუმროს ანგარიშებთან (Wirtszeche) დაკავშირებული მოთხოვნების სასამართლო წესით რეალიზაცია.

მეორე თავი: მოძრავი ქონების ნასყიდობა

მუხლი 187

[1] მოძრავი ქონების ნასყიდობად მიიჩნევა ნებისმიერი ნასყიდობა, რომლის

ობიექტსაც არ წარმოადგენს უძრავი ქონება ან საადგილმამულო რეესტრში უძრავი ქონების სახით რეგისტრირებული უფლება.

[2] მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა ნაყოფი ან შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალები თუ კარიერის ნაწარმი ქმნის მოძრავი ქონების ნასყიდობის საგანს, როდესაც ეს ნაწილები მათი მიწის ნაკვეთიდან მოცილების შემდეგ მოძრავი ნივთების სახით გადადის შემძენის საკუთრებაში.

მუხლი 188

რამდენადაც სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული შეთანხმებითა თუ დამკვიდრებული პრაქტიკით, გამყიდველს ეკისრება ნივთის გადაცემის ხარჯები, კერძოდ კი, გაზომვისა და აწონის ხარჯები, ხოლო მყიდველს კი, პირიქით, – ხელშეკრულების დამოწმებისა და ნივთის მიღების ხარჯები.

მუხლი 189

[1] თუ გაყიდული ნივთი უნდა გაიგზავნოს სხვა ადგილზე, ნაცვლად შესრულების ადგილისა, მაშინ ტრასპორტირების ხარჯები ეკისრება მყიდველს, რამდენადაც სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული შეთანხმებითა თუ დამკვიდრებული პრაქტიკით.

[2] თუ შეთანხმებულია საქონლის „ფრანკო“ პირობით მიწოდება, მაშინ ივარაუდება, რომ ტრასპორტირების ხარჯები იკისრა გამყიდველმა.

[3] თუ შეთანხმებულია საქონლის „ფრანკო“ და საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლების პირობით მიწოდება, მაშინ მიიჩნევა, რომ გამყიდველმა იკისრა ასევე საქონლის ტრასპორტირების დროს გადასახდელი ექსპორტის, ტრანზიტისა და იმპორტის საბაჟო გადასახადებიც, მაგრამ – არა აქციზის გადასახადები, რომლითაც საქონლის დაბეგვრა ხდება მისი მიღებისას.

მუხლი 190

[1] თუ სამეწარმეო ურთიერთობებში საქონლის მიწოდებისათვის შეთანხმებულია განსაზღვრული ვადა და გამყიდველი არღვევს ამ ვადას, მაშინ ივარაუდება, რომ მყიდველი უარს აცხადებს მიწოდებულ საქონელზე და ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

[2] თუ მყიდველი ამჯობინებს, მოითხოვოს საქონლის მიწოდება, მაშინ მან ვადის გასვლის შემდეგ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს გამყიდველს.

მუხლი 191

[1] თუ გამყიდველი არ ასრულებს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მყიდველისათვის ასეთი შეუსრულებლობიდან გამომდინარე მიყენებული ზიანი.

[2] სამეწარმეო ურთიერთობებში მყიდველს შეუძლია მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით გამოიყენოს სხვაობა ნასყიდობის ფასსა და იმ ფასს შორის, რომლითაც მან კეთილსინდისიერად შეიძინა მიუწოდებელი საქონლის შემცვლელი ნივთი.

[3] იმ საქონლის შემთხვევაში, რომელსაც აქვს საბაზრო ან საბირჟო ფასი, მყიდველს შეუძლია შემცვლელი ნივთის შეძენის გარეშე ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვოს სხვაობა ნასყიდობის ფასსა და შესრულების მომენტში არსებულ საბაზრო ან საბირჟო ფასს შორის.

მუხლი 192

[1] გამყიდველს ეკისრება იმის გარანტია, რომ მესამე პირი მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ ჩამოართმევს მყიდველს ნასყიდობის საგანს იმ სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლებიც უკვე ხელშეკრულების დადების მომენტში არსებობდა.

[2] თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მყიდველმა იცოდა ნივთის სასამართლო წესით ჩამორთმევის (Entwehrung) საფრთხის შესახებ, მაშინ გამყიდველი პასუხს აგებს ზემოაღნიშნული გარანტიიდან გამომდინარე მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მან ასეთი გარანტია პირდაპირ იკისრა.

[3] შეთანხმება გარანტიის კისრების შესახებ ვალდებულების გაუქმებისა თუ შეზღუდვის თაობაზე ბათილია, თუ გამყიდველმა განზრახ არ ახსენა მესამე პირის უფლებების არსებობა.

მუხლი 193

[1] სასამართლო საქმეში მესამე პირის ჩაბმის (Streitverkündung) წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით.

[2] თუ მესამე პირის ჩაბმა არ ხდება იმ მიზეზის გამო, რომელიც ვერ შეერაცხება გამყიდველს, მაშინ ეს უკანასკნელი თავისუფლდება გარანტიის კისრების შესახებ ვალდებულებისაგან იმდენად, რამდენადაც ის შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ სასამართლო საქმის განხილვის შედეგი უფრო ხელსაყრელი იქნებოდა საქმეში მესამე პირის დროულად განხორციელებული ჩაბმის შემთხვევაში.

მუხლი 194

[1] გარანტიის კისრების შესახებ ვალდებულება არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მყიდველმა სასამართლოს გადაწყვეტილების დალოდების გარეშე კეთილსინდისიერად აღიარა მესამე პირის უფლება ან დაეთანხმა დავის კერძო არბიტრაჟში განხილვას, რამდენადაც გამყიდველი დროულად იქნა გაფრთხილებული არბიტრაჟის შესახებ და პროცესის წარმართვა მისთვის უშედეგოდ იქნა შეთავაზებული.

[2] ანალოგიურად აღნიშნული ვალდებულება არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მყიდველი ამტკიცებს, რომ მას ევალებოდა ნივთის უკან დაბრუნება.

მუხლი 195

[1] თუ ადგილი აქვს ნივთის სასამართლო წესით სრულ ჩამორთმევას, მაშინ ნასყიდობის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად და მყიდველი უფლებამოსილია, მოითხოვოს:

1. გადახდილი ფასის თანხის უკან დაბრუნება პროცენტით მის მიერ მიღებული ან მიუღებელი ნაყოფისა და სხვა სარგებლის გამოკლებით;

2. ნივთზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურება, რამდენადაც ასეთი ანაზღაურების მიღება უფლებამოსილი მესამე პირისაგან შეუძლებელია;

3. საქმის წარმოების დროს წარმოშობილი ყველა სასამართლო და არასასამართლო ხარჯების ანაზღაურება იმ ხარჯების გარდა, რომლებიც თავიდან იქნებოდა აცილებული სასამართლო საქმეში მესამე პირის ჩაბმისას;

4. ნივთის სასამართლო წესით ჩამორთმევით გამოწვეული სხვა პირდაპირი ზიანის ანაზღაურება.

[2] გამყიდველი ვალდებულია, აანაზღაუროს ასევე სხვა ზიანიც, რამდენადაც ის ვერ ამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

მუხლი 196

[1] როდესაც მყიდველს ჩამოერთმევა მხოლოდ ნასყიდობის საგნის ნაწილი, ან როდესაც გაყიდული ნივთი დატვირთულია იმ სანივთო უფლებებით, რომელთათვისაც გამყიდველი არის პასუხისმგებელი, მაშინ მყიდველს შეუძლია მოითხოვოს არა ხელშეკრულების გაუქმება, არამედ მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას ადგება ნივთის სასამართლო წესით ჩამორთმევის შედეგად.

[2] თუმცაღა, თუ არსებული გარემოებებიდან გამომდინარე ივარაუდება, რომ მყიდველი არ დადებდა ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში, თუ ის წინასწარ განჭვრეტდა ნივთის ნაწილობრივ ჩამორთმევას, მაშინ მყიდველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება.

[3] ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მყიდველმა ნასყიდობის საგნის ის ნაწილი, რომელიც მას არ ჩამოერთვა, უნდა დაუბრუნოს გამყიდველს შესაბამის პერიოდში მიღებულ სარგებელთან ერთად.

მუხლი 196a

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გადაცემის შესახებ 2003 წლის 20 ივნისის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის გასხვისებული უფლების გარანტიის კისრების შესახებ ვალდებულების დარღვევის სარჩელი ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლისთანავე მას შემდეგ, რაც მყიდველი აღმოაჩენს უფლებრივ ნაკლს, თუმცა, – ყველა შემთხვევაში ხელშეკრულების დადებიდან 30 წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 197

[1] გამყიდველი პასუხისმგებელია მყიდველის წინაშე როგორც გარანტირებული ნიშან-თვისებებისათვის, ისე ასევე იმისათვის, რომ ნივთს არ ჰქონდეს ისეთი მატერიალური ან უფლებრივი ნაკლი, რომელიც სპობს ან მნიშვნელოვნად ამცირებს ნივთის ღირებულებას ანდა მისი შესაბამისი გამოყენებისათვის ვარგისიანობას.

[2] გამყიდველი პასუხს აგებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნაკლის შესახებ მისთვის ცნობილი არ იყო.

მუხლი 198

რქოსანი პირუტყვით (ცხენები, ვირები, ჯორები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვრები, თხები და ღორები) ვაჭრობის შემთხვევაში, გარანტიის

კისრების შესახებ ვალდებულება არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გამყიდველმა ეს ვალდებულება მყიდველის წინაშე წერილობით იკისრა ან მან მყიდველი განზრახ შეიყვანა შეცდომაში.

მუხლი 199

გარანტიის კისრების შესახებ ვალდებულების გაუქმებისა თუ შეზღუდვის შესახებ შეთანხმება ბათილია, თუ გამყიდველმა ბოროტი განზრახვით დაუმალა მყიდველს გარანტიის პირობების დარღვევის ფაქტი.

მუხლი 200

[1] გამყიდველი პასუხს არ აგებს იმ ნაკლისათვის, რომელიც მყიდველისათვის ცნობილი იყო ნივთის გაყიდვის მომენტში.

[2] იმ ნაკლისათვის, რომელიც მყიდველისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი გულისყურის გამოჩენის შემთხვევაში, გამყიდველი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან მყიდველი დაარწმუნა ასეთი ნაკლის არარსებობაში.

მუხლი 201

[1] მყიდველმა უნდა შეამოწმოს მიღებული ნივთის ხარისხი, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება საქმის წარმოების ჩვეულებრივი წესების შესაბამისად და თუ ის აღმოაჩენს ისეთ ნაკლს, რომლისთვისაც გამყიდველს ეკისრება გარანტია, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს გამყიდველს.

[2] თუ მყიდველი აღნიშნულს არ მოიმოქმედებს, მაშინ ნაყიდი ნივთი ჩაითვლება მიღებულად, რამდენადაც საქმე არ ეხება ისეთ ნაკლს, რომლის შემჩნევაც შეუძლებელი იქნებოდა ჩვეულებრივი დათვალიერების შემთხვევაში.

[3] თუ აღნიშნული ნაკლი მოგვიანებით გამოვლინდება, მაშინ შეტყობინება გამყიდველს უნდა გაეგზავნოს დაუყოვნებლივ ნაკლის აღმოჩენის შემდეგ, რომლის წარუდგენლობის შემთხვევაშიც კი ნივთი ჩაითვლება მიღებულად თუნდაც აღნიშნული ნაკლის მხედველობაში მიღებით.

მუხლი 202

[1] თუ რქოსანი პირუტყვით ვაჭრობის შემთხვევაში წერილობითი გარანტია არ შეიცავს ვადის განმსაზღვრელ დებულებას და ამასთან საქმე არ ეხება ცხოველის მაკეობასთან დაკავშირებულ გარანტიას, მაშინ გამყიდველი პასუხს აგებს მყიდველის წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკლი აღმოჩენილი იქნება ნივთის გადაცემიდან ან მისი მიღების დაყოვნებიდან ცხრა დღის განმავლობაში და თუ იგივე ვადის განმავლობაში შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს წარედგინება ექსპერტის მიერ ცხოველის დათვალიერების შესახებ მოთხოვნა.

[2] ექსპერტიზის დასკვნას მოსამართლე აფასებს საკუთარი შეხედულებით.

[3] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით პროცედურა რეგულირდება ფედერალური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 203

გამყიდველის მხრიდან მყიდველის განზრახ შეცდომაში შეყვანის შემთხვე-

ვაში გარანტიიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა არ იზღუდება მყიდველის მხრიდან შეტყობინების წარუდგენლობის ფაქტის გამო.

მუხლი 204

[1] როდესაც მყიდველი გამოთქვამს პრეტენზიას სხვა ადგილიდან გაგზავნილი ნივთის ხარისხთან დაკავშირებით, ხოლო გამყიდველს კი მიღების ადგილზე არა ჰყავს წარმომადგენელი, მაშინ მყიდველი ვალდებულია, იზრუნოს ნივთის დროებით შენახვაზე და მან ეს ნივთი არ გამყიდველს უმალვე არ უნდა გადაუგზავნოს.

[2] მყიდველმა დაუყოვნებლივ სათანადოდ უნდა დაადგინოს ნივთის მდგომარეობა; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ დასადასტურებელი ნაკლი უკვე ნივთის მიღების მომენტშიც არსებობდა.

[3] თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ გაგზავნილი ნივთი მალე გაფუჭდება, მაშინ მყიდველი უფლებამოსილია, ხოლო რამდენადაც გამყიდველის ინტერესები ამას ითხოვს, – ვალდებულია, უზრუნველყოს ამ ნივთის გაყიდვა იმ ტერიტორიაზე მოქმედი უწყების თანამონაწილეობით, სადაც იმყოფება ნივთი, თუმცა მან ზიანის ანაზღაურების თანხის გადახდის ვალდებულების თავიდან აიცლების მიზნით შეძლებისდაგვარად დროულად უნდა შეატყობინოს ამის შესახებ გამყიდველს.

მუხლი 205

[1] თუ სახეზეა ნივთის ნაკლის გამო გარანტიის პირობების დარღვევის შემთხვევა, მაშინ მყიდველს აქვს არჩევანის უფლება, ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის შესახებ სარჩელით (Wandelungsklage) მოახდინოს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა ან ნასყიდობის ფასის შემცირების შესახებ სარჩელით (Minderungsklage) ნივთის ღირებულების შემცირების საკომპენსაციოდ მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება.

[2] იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წარდგენილია ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის შესახებ სარჩელი, მოსამართლეს თავისი შეხედულებით შეუძლია დაადგინოს ნივთის ღირებულების შემცირების საკომპენსაციო თანხა, რამდენადაც გარემოებებიდან გამომდინარე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა გაუმართლებელია.

[3] თუ მოთხოვნილი ღირებულების შემცირება უტოლდება ნასყიდობის ფასის თანხას, მაშინ მყიდველს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარი.

მუხლი 206

[1] თუ ნასყიდობა ეხება გვაროვნული ნივთების განსაზღვრული ოდენობით მიწოდებას, მაშინ მყიდველს აქვს არჩევანის უფლება, წარადგინოს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარისა თუ ნასყიდობის ფასის შემცირების შესახებ სარჩელები ან მოითხოვოს იგივე სახის სხვა მისაღები საქონელი.

[2] როდესაც ნივთები მყიდველს არ გაეგზავნა სხვა ადგილიდან, გამყიდველიც არის უფლებამოსილი, გათავისუფლდეს მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან იგივე სახის მისაღები საქონლის დაუყოვნებელი მიწოდებითა და მყიდვე-

ლის კუთვნილი სხვა მოთხოვნებიდან გამომდინარე მიყენებული ყოველგვარი ზარალის ანაზღაურებით.

მუხლი 207

[1] ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის შესახებ სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნივთი განადგურდა მისი ნაკლისა თუ შემთხვევითობის შედეგად.

[2] აღნიშნულ შემთხვევაში მყიდველმა უნდა დააბრუნოს მხოლოდ ის, რაც მას ნივთისგან დარჩა.

[3] თუ ნივთი განადგურდა მყიდველის ბრალით ანდა ამ უკანასკნელის მიერ ეს ნივთი შემდგომში გასხვისდა ან გადაკეთდა, მაშინ მყიდველს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ნივთის ღირებულების კომპენსაცია.

მუხლი 208

[1] ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მყიდველმა ნივთი უნდა დაუბრუნოს გამყიდველს შესაბამის პერიოდში მიღებულ სარგებელთან ერთად.

[2] გამყიდველმა უნდა დააბრუნოს გადახდილი ნასყიდობის ფასის თანხა პროცენტებთან ერთად და, გარდა ამისა, ნივთის სასამართლო წესით სრულად ჩამორთმევის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად აანაზღაუროს ის საპროცესო ხარჯები, გაწეული დანახარჯები და ზიანი, რომლებიც გასწია ან რომლებიც უშუალოდ განიცადა მყიდველმა ნაკლის მქონე საქონლის მიწოდების შედეგად.

[3] გამყიდველი ვალდებულია, აანაზღაუროს სხვა ზიანიც, რამდენადაც ის ვერ ამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

მუხლი 209

[1] თუ რამდენიმე ერთად გაყიდული ნივთიდან ან ნივთების ერთობლიობიდან ნაკლოვანია მხოლოდ ცალკეული ობიექტები, მაშინ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ამ ნაკლის მქონე ობიექტების მიმართ.

[2] თუმცა, თუ ნაკლოვანი ობიექტების ნაკლის არმქონე ობიექტებისაგან გამოყოფა შეუძლებელია მყიდველისა თუ გამყიდველისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე, ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარი უნდა გავრცელდეს ნასყიდობის მთლიან საგანზე.

[3] მთავარი ნივთის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარი მოიცავს საკუთვნებელს (Nebensache) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანასკნელისათვის განსაკუთრებული ფასი იყო დადგენილი, თუმცა, ამავე დროს, საკუთვნებლის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარი არ ვრცელდება ასევე მთავარ ნივთზე.

მუხლი 210

[1] ნივთის ნაკლის გამო გარანტიის კისრების შესახებ ვალდებულების დარღვევის სარჩელები ხანდაზმულია ორი წლის ვადის გასვლისთანავე ნივთის მყიდველისათვის მიწოდების შემდეგ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანა-

სკნელმა ნაკლი მოგვიანებით აღმოაჩინა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველმა იკისრა პასუხისმგებლობა უფრო მეტი ვადისათვის.

[2] ვადა შეადგენს ხუთ წელს, რამდენადაც შესრულებული სამუშაოების ნაკლიანობა გამოწვეულ იქნა იმ ნივთის ნაკლით, რომელიც თავისი დანიშნულების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების შედეგად მიუერთდა უძრავ ქონებას.

[3] კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გადაცემის შესახებ 2003 წლის 20 ივნისის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის სარჩელი ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლისთანავე მას შემდეგ, რაც მყიდველი აღმოაჩენს უფლებრივ ნაკლს, თუმცა, – ყველა შემთხვევაში ხელშეკრულების დადებიდან 30 წლის გასვლის შემდეგ.

[4] ხანდაზმულობის ვადის შემცირების შესახებ შეთანხმება ბათილია, თუ:

a. ხანდაზმულობის ვადა შემცირდა ორ წელზე ნაკლები ვადით, ხოლო გამოყენებული ნივთების შემთხვევაში კი, – ერთ წელზე ნაკლები ვადით;

b. ნივთი გათვალისწინებულია მყიდველის პირადი ან საოჯახო გამოყენებისათვის; და

c. გამყიდველი მოქმედებდა თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

[5] მყიდველი ინარჩუნებს არსებული ნაკლის გამო კუთვნილ შესაგებლებს იმ პირობით, რომ მან ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში გამყიდველს წარუდგინა კანონით გათვალისწინებული შეტყობინება.

[6] გამყიდველს არ შეუძლია ხანდაზმულობაზე მითითება, როდესაც მას უმტკიცდება მყიდველის განზრახ შეცდომაში შეყვანის ფაქტი. ეს წესი არ მოქმედებს მე-3 ნაწილით გათვალისწინებული 30-წლიანი ვადის მიმართ.

მუხლი 211

[1] მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და მიიღოს ნაყიდი ნივთი, რამდენადაც ეს უკანასკნელი ხელშეკრულების შესაბამისად შეთავაზებულია მისთვის გამყიდველის მხრიდან.

[2] რამდენადაც სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული შეთანხმებითა თუ დამკვიდრებული პრაქტიკით, ნივთის მიღება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ.

მუხლი 212

[1] როდესაც მყიდველმა შეუკვეთა საქონელი ფასის დასახელების გარეშე, მაშინ ივარაუდება, რომ იგულისხმება მიმდინარე ვალდებულების შესრულების ადგილზე არსებული საშუალო საბაზრო ფასი.

[2] თუ ნასყიდობის ფასი გამოითვლება საქონლის წონის მიხედვით, მაშინ შეფუთვის წონა (ტარის წონა) გამოაკლდება მთლიან წონას.

[3] აღნიშნული წესები არ გამოიყენება იმ სპეციალური სამეწარმეო პრაქტიკის მიმართ, რომლის მიხედვითაც ცალკეული სასაქონლო ერთეულების შემთხვევაში ბრუტო-წონას აკლდება განსაზღვრული ან პროცენტებით გაანგარიშებული თანხა ანდა ფასი გამოითვლება მთლიანი ბრუტო-წონის მიხედვით.

მუხლი 213

[1] თუ დროის სხვა მომენტი არ არის განსაზღვრული, მაშინ ნასყიდობის ფასი გადახდილ უნდა იქნეს ნასყიდობის საგნის მყიდველის მფლობელობაში გადასვლისთანავე.

[2] გარდა გადახდის განსაზღვრული თარიღის დადგომის გამო ვადაგადაცილების მომწესრიგებელი ნორმებისა, ნასყიდობის ფასის თანხას გაფრთხილების გარეშეც დაერიცხება პროცენტი, როდესაც ეს წარმოადგენს ჩვეულებრივ პრაქტიკას ან როდესაც მყიდველს შეუძლია ნასყიდობის საგნის ნაყოფისა თუ სხვა ნამატის მიღება.

მუხლი 214

[1] თუ გაყიდული ნივთი გადაცემულ უნდა იქნეს ნასყიდობის ფასის თანხის წინასწარ ან ნივთის გადაცემასთან ერთად ერთდროულად გადახდის სანაცვლოდ და მყიდველი აღმოჩნდება ნასყიდობის ფასის გადახდის ვადაგადაცილებაში, მაშინ გამყიდველს აქვს უფლება, მყისიერად მოახდინოს ხელშეკრულებიდან გასვლა.

[2] თუმცაღა, თუ მას სურს აღნიშნული უფლების რეალიზაცია, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მყიდველს.

[3] თუ ნასყიდობის საგანი მყიდველის მფლობელობაში გადადის ნასყიდობის ფასის გადახდამდე, მაშინ მყიდველის მხრიდან ნასყიდობის ფასის გადახდის ვადის გადაცილების გამო გამყიდველს შეუძლია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა და გადაცემული ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მან ეს უფლება პირდაპირ დაიტოვა.

მუხლი 215

[1] თუ სამეწარმეო ურთიერთობებში მყიდველი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულებას, მაშინ გამყიდველს აქვს უფლება, აინაზღაუროს მის მიერ განცდილი ზარალი ნასყიდობის ფასსა და იმ ფასს შორის სხვაობის მიღებით, რა ფასადაც მან ნივთი შემდგომში კეთილსინდისიერად გაყიდა.

[2] იმ საქონლის შემთხვევაში, რომელსაც აქვს საბაზრო ან საბირჟო ფასი, გამყიდველს შეუძლია ზემოაღნიშნული ნივთის შემდგომში გაყიდვის გარეშე ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვოს სხვაობა ნასყიდობის ფასსა და შესრულების მომენტში არსებულ საბაზრო ან საბირჟო ფასს შორის.

მესამე თავი: მიწის ნაკვეთის ნასყიდობა

მუხლი 216

[1] თავიანთი ნამდვილობისათვის ოფიციალურ დამოწმებას საჭიროებს ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა საგანსაც წარმოადგენს მიწის ნაკვეთი.

[2] თავიანთი ნამდვილობისათვის ოფიციალურ დამოწმებას საჭიროებს წინარე ხელშეკრულებები, ისევე როგორც ხელშეკრულებები, რომლითაც მიწის ნაკვეთზე დგინდება უპირატესი შესყიდვის, ყიდვისა თუ გამოსყიდვის უფლებები.

[3] უპირატესი შესყიდვის უფლების დამდგენი ხელშეკრულებები, რომლებიც ნასყიდობის ფასს წინასწარ არ ადგენს, ნამდვილია მათი წერილობითი ფორმით დადების შემთხვევაში.

მუხლი 216a

უპირატესი შესყიდვისა და გამოსყიდვის უფლებები შეიძლება შეთანხმებულ იქნეს მაქსიმუმ 25 წლით, ხოლო ყიდვის უფლებები – მაქსიმუმ ათი წლით და წინასწარი ჩანაწერის სახით გატარდეს რეგისტრაციაში საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 216b

[1] თუ მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მაშინ სახელშეკრულებო უპირატესი შესყიდვის, ყიდვისა და გამოსყიდვის უფლებები გადადის მემკვიდრეობით, თუმცა არ ექვემდებარება სხვა პირისათვის დათმობას.

[2] თუ ხელშეკრულების თანახმად დათმობა დასაშვებია, მაშინ ის საჭიროებს იგივე ფორმის დაცვას, რაც გათვალისწინებულია უფლების დადგენისათვის.

მუხლი 216c

[1] უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მიწის ნაკვეთის გაყიდვისას, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა იმ გარიგების შემთხვევაში, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით უთანაბრდება გაყიდვას (უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციის შემთხვევა).

[2] სახელდობრ, უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციის შემთხვევად არ მიიჩნევა სამკვიდროს გაყოფისას სამკვიდრო ქონებაში შემავალი ობიექტების მემკვიდრისათვის გადაცემა, იძულებითი აუქციონი და ქონების შეძენა საჯარო მოვალეობათა შესრულების მიზნით.

მუხლი 216d

[1] გამყიდველმა უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს უნდა გააგებინოს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი და ასევე – მისი შინაარსი.

[2] თუ ნასყიდობის ხელშეკრულება უქმდება მას შემდეგ, რაც მოხდება უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაცია ან თუ აუცილებელი თანხმობის მიცემაზე ცხადდება უარი იმ საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლებიც დაკავშირებულია მყიდველის პიროვნებასთან, მაშინ ხელშეკრულების გაუქმება ან თანხმობის მიცემაზე უარი არ მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირის მიმართ.

[3] თუ უპირატესი შესყიდვის უფლების დამდგენი ხელშეკრულება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია შეიძინოს მიწის ნაკვეთი იმ პირობებით, რომლებიც გამყიდველმა შეათანხმა მესამე პირთან.

მუხლი 216e

თუ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს სურს თავისი უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაცია, მაშინ მან ეს უფლება სამი თვის განმავლო-

ბაში უნდა განახორციელოს გამყიდველის მიმართ, ხოლო როდესაც უპირატესი შესყიდვის უფლება რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრში, – მესაკუთრის მიმართ. ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც აღნიშნულმა პირმა შეიტყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტისა და მისი შინაარსის შესახებ.

მუხლი 217

[1] თუ მიწის ნაკვეთის ნასყიდობა იდება პირობით, მაშინ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირობა სრულდება.

[2] პირობადებული საკუთრების რეგისტრაცია დაუშვებელია.

მუხლი 218

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გასხვისების მიმართ მოქმედებს ასევე 1991 წლის 4 ოქტომბრის ფედერალური კანონი საგლეხო სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ.

მუხლი 219

[1] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა სხვაგვარი შეთანხმება, მიწის ნაკვეთის გამყიდველმა მყიდველს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია, თუ ნაკვეთი არ არის ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული ზომის.

[2] თუ მიწის ნაკვეთი არ არის იმ ზომის, რაც რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრში ოფიციალური აზომვის საფუძველზე, მაშინ გამყიდველმა მყიდველს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან აღნიშნულზე გარანტია პირდაპირ იკისრა.

[3] შენობა-ნაგებობის ნაკლისათვის გარანტიის კისრების შესახებ ვალდებულება ხანდაზმულია საკუთრების უფლების შეძენიდან ხუთი წლის ვადის გასვლისთანავე.

მუხლი 220

თუ მყიდველის მიერ მიწის ნაკვეთის მიღებისათვის ხელშეკრულებით შეთანხმებულია განსაზღვრული თარიღი, მაშინ ივარაუდება, რომ სარგებელი და შემთხვევით დაღუპვის რისკი მყიდველზე გადადის მხოლოდ თარიღის დადგომისთანავე.

მუხლი 221

დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით მიწის ნაკვეთის ნასყიდობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება მოძრავი ქონების ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები.

მეოთხე თავი: ნასყიდობის სპეციალური სახეები

მუხლი 222

[1] ნიმუშის მიხედვით ნასყიდობის შემთხვევაში, ის პირი, რომელსაც მიანდეს ნიმუში, არ არის ვალდებული, დაამტკიცოს მის მიერ წარდგენილი ნიმუშის იდენტურობა მიღებულ ნიმუშთან, არამედ საკმარისია სასამართლოს წინაშე მისი პირადი დასტური იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წარდგენილი ნიმუში აღარ შეესაბამება იმ ფორმას, რომელიც მას გადაცემის მომენტში ჰქონდა, თუმცაღა იმ პირობით, რომ ასეთი ცვლილება წარმოადგენს ნიმუშის მიმართ ჩატარებული შემოწმების აუცილებელ შედეგს.

[2] ყველა შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია დაამტკიცოს, რომ ნიმუში არ არის იგივე.

[3] თუ ნიმუში მყიდველის ხელში ყოფნისას გაფუჭდა ან განადგურდა მისი მხრიდან ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც კი, მაშინ ის არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ნივთის ნიმუშთან შესაბამისობა, არამედ მყიდველს ეკისრება საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი.

მუხლი 223

[1] თუ შეთანხმებულია ნასყიდობა ნიმუშის მიხედვით ან შემოწმების საფუძველზე, მაშინ მყიდველს თავისი სურვილით შეუძლია გადაწყვიტოს, მოიწონოს თუ არა ნასყიდობის საგანი.

[2] მანამდე, სანამ ნივთი არ იქნება მოწონებული, ის რჩება გამყიდველის საკუთრებაში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ნივთი გადავიდა მყიდველის მფლობელობაში.

მუხლი 224

[1] თუ ნივთის შემოწმება უნდა მოხდეს გამყიდველის მიერ, მაშინ ეს უკანასკნელი თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან, თუ მყიდველი არ იწონებს ნივთს შეთანხმებული ან ჩვეულებრივი ვადის გასვლამდე.

[2] აღნიშნული ვადის არარსებობისას გამყიდველს სათანადო დროის პერიოდის გასვლის შემდეგ შეუძლია მოსთხოვოს მყიდველს განცხადება იმის შესახებ, იწონებს თუ არა ის ნივთს, და ის თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან, როდესაც მყიდველი დაუყოვნებლივ მოთხოვნისთანავე არ აკეთებს ასეთ განცხადებას.

მუხლი 225

[1] თუ ნივთი მყიდველს შემოწმებამდე გადაეცა, მაშინ ნასყიდობა ჩაითვლება მოწონებულად, თუ მყიდველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი ვადის განმავლობაში, ხოლო ასეთი ვადის არარსებობისას კი, – გამყიდველის მოთხოვნისთანავე არც იწონებს ნივთს და არც აბრუნებს მას.

[2] ანალოგიურად ნასყიდობა ჩაითვლება მოწონებულად, თუ მყიდველი ფასის თანხას ყოველგვარი დათქმის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ იხდის ან ნივთს განკარგავს სხვაგვარად, ვიდრე ეს აუცილებელია შემოწმებისათვის.

მუხლი 226 (გაუქმებულია)

მუხლები 226a–226d (გაუქმებულია)

მუხლი 226e (გაუქმებულია)

მუხლები 226f–226k (გაუქმებულია)

მუხლი 226l (გაუქმებულია)

მუხლი 226m (გაუქმებულია)

მუხლი 227 (გაუქმებულია)

მუხლები 227a–227i (გაუქმებულია)

მუხლი 228 (გაუქმებულია)

მუხლი 229

[1] იძულებით აუქციონზე ნივთის გაყიდვისას ნასყიდობის ხელშეკრულება იდება იმით, რომ აუქციონის მომწყობი გასაყიდ საგანს აკუთვნებს ყველაზე მაღალი ფასის შემთავაზებელს.

[2] იმ ნებაყოფლობით აუქციონზე ნივთის გაყიდვისას, რომელიც ცხადდება საჯაროდ და ნებისმიერ პირს შეუძლია შეთავაზების გაკეთება, ნასყიდობის ხელშეკრულება იდება იმით, რომ გამსხვისებელი იღებს ყველაზე მაღალი ფასის შეთავაზებას.

[3] მანამდე, სანამ ნივთის გამსხვისებლის სხვაგვარი ნება არ იქნება გამოვლენილი, აუქციონის ჩამტარებელი ჩაითვლება უფლებამოსილად, აუქციონზე გასაყიდი საგანი მიაკუთვნოს ყველაზე მაღალი ფასის შემთავაზებელს.

მუხლი 230

[1] როდესაც აუქციონის შედეგის მიმართ ადგილი ჰქონდა კანონსაწინააღმდეგო ან ამორალური საშუალებებით ზემოქმედებას, მაშინ ასეთი აუქციონი შეიძლება გასაჩივრდეს ათი დღის განმავლობაში ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ.

[2] იძულებითი აუქციონის შემთხვევაში გასაჩივრება ხორციელდება საზედამხედველო ორგანოში, ხოლო სხვა შემთხვევებში კი, – სასამართლოში.

მუხლი 231

[1] აუქციონის პირობების თანახმად, შემთავაზებელი ვალდებულია თავისი შეთავაზებით.

[2] თუ აუქციონის პირობები სხვაგვარად არ ადგენს, შემთავაზებელი თავისუფლდება აღნიშნული ვალდებულებისაგან, თუ ხდება უფრო მაღალი ფასის შეთავაზება ან მისი შეთავაზება დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული ჩვეულებრივი გამოცხადების შემდეგ.

მუხლი 232

[1] მიწის ნაკვეთების შემთხვევაში ყველაზე მაღალი ფასის შეთავაზებაზე თანხმობა ან მასზე უარი უნდა ხორციელდებოდეს თავად აუქციონზე.

[2] ბათილია დათქმები, რომლითაც შემთავაზებელი აუქციონის შემდეგაც ვალდებული რჩება თავისი შეთავაზებით, რამდენადაც საქმე არ ეხება იძულებით აუქციონს ან ისეთ შემთხვევას, როდესაც მიწის ნაკვეთის გაყიდვა საჭიროებს სახელმწიფო ორგანოს თანხმობას.

მუხლი 233

[1] თუ აუქციონის პირობები სხვაგვარად არ ადგენს, აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში შემძენმა გადახდა უნდა აწარმოოს ნაღდი ანგარიშსწორების წესით.

[2] გამსხვისებელს შეუძლია დაუყოვნებლივ გავიდეს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, თუ გადახდა არ ხორციელდება ნაღდი ფულით ან აუქციონის პირობების შესაბამისად.

მუხლი 234

[1] გარდა მიცემული სპეციალური გარანტიებისა თუ შემთავაზებლის განზრახ შეცდომაში შეყვანის შემთხვევებისა, იძულებითი აუქციონის დროს გარანტიის წარდგენა არ ხდება.

[2] აუქციონში გამარჯვებული ნივთს იძენს იმ მდგომარეობასა და უფლება-ვალდებულებებით, რომლებიც გასაჯაროებულია საჯარო რეესტრების მეშვეობით ან აუქციონის პირობებში ანდა არსებობს კანონის ძალით.

[3] ნებაყოფლობით საჯარო აუქციონის შემთხვევაში, გამსხვისებელს ეკისრება იგივე პასუხისმგებლობა, რაც ნებისმიერ სხვა გამყიდველს, თუმცა გასაჯაროებული აუქციონის პირობებში მას შეუძლია უარი თქვას გარანტიის კისრების შესახებ ვალდებულებაზე, გარდა განზრახ შეცდომაში შეყვანისათვის პასუხისმგებლობის შემთხვევებისა.

მუხლი 235

[1] აუქციონში გამარჯვებული შეძენილ მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას იძენს ამ ნივთის მისთვის მიკუთვნებით, ხოლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შეძენა კი, პირიქით, ხდება მხოლოდ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

[2] აუქციონის მომწყობმა უწყებამ დაუყოვნებლივ რეგისტრაციის მიზნით უნდა შეატყობინოს საადგილმამულო რეესტრის ადმინისტრატორს აუქციონის ოქმის საფუძველზე განხორციელებული ქონების გაყიდვის შესახებ.

[3] შენარჩუნებულია იძულებით აუქციონზე გაყიდულ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის მომწესრიგებელი ნორმების მოქმედება.

მუხლი 236

ფედერალური კანონმდებლობის ფარგლებში კანტონებს შეუძლიათ დაადგინონ საჯარო აუქციონის ჩატარების მომწესრიგებელი სხვა წესები.

მეხუთე თავი: გაცვლის ხელშეკრულება

მუხლი 237

გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები იმ გაგებით, რომ ხელშეკრულების თითოეული მხარე მის მიერ შეპირებულ ნივთთან დაკავშირებით წარმოადგენს გამყიდველს, ხოლო მის მიმართ შეპირებულ ნივთთან დაკავშირებით კი, – მყიდველს.

მუხლი 238

თუ ადგილი ექნება გაცვლილი ნივთის სასამართლო წესით ჩამორთმევას ან მისი ნაკლის გამო დაბრუნებას, დაზარალებულ მხარეს აქვს არჩევანის უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან გაცვლილი ნივთის უკან დაბრუნება.

მეშვიდე ტიტული: ჩუქება

მუხლი 239

[1] ჩუქებას წარმოადგენს ცოცხალ პირთა შორის განხორციელებული ნებისმიერი ქონებრივი გადაცემა, რომლითაც პირი საკუთარი ქონების ხარჯზე ახდენს სხვა პირის გამდიდრებას შესაბამისი სამაგიერო შესრულების გარეშე.

[2] პირის მიერ თავის უფლებაზე უარი მანამდე, სანამ მან ეს უფლება შეიძინა, ან უარი სამკვიდროს მიღებაზე არ ქმნის ჩუქებას.

[3] ზნეობრივი მოვალეობის შესრულება არ განიხილება როგორც ჩუქება.

მუხლი 240

[1] ქმედუნარიან პირს შეუძლია გააჩუქოს თავისი ქონება, რამდენადაც მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმები ან მემკვიდრეობის სამართალი მას არ უწესებს გარკვეულ შეზღუდვებს.

[2] ქმედუუნარო პირის ქონების ხარჯზე დასაშვებია მხოლოდ ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო საჩუქრების გაკეთება. შენარჩუნებულია კანონიერი წარმომადგენლის პასუხისმგებლობა.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 241

[1] საჩუქრის მიღება და კანონიერად შეძენა შეუძლია ასევე იმ ქმედუუნარო პირს, რომელსაც შეუძლია თავისი თავისთვის ანგარიშის გაწევა.

[2] თუმცა, საჩუქრის შეძენა არ ხდება ან ჩუქება უქმდება, როდესაც კანონიერი წარმომადგენელი უკრძალავს აღნიშნულ პირს საჩუქრის მიღებას ან აძლევს მას საჩუქრის დაბრუნების მითითებას.

მუხლი 242

[1] ხელიდან ხელში ჩუქება ხორციელდება ნივთის გამჩუქებლისაგან დასაჩუქრებულისათვის გადაცემით.

[2] მიწის საკუთრებისა და მიწის ნაკვეთზე დადგენილი სანივთო უფლებების ჩუქება განხორციელებულად ჩაითვლება მხოლოდ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

[3] აღნიშნული რეგისტრაციის წინაპირობაა ნამდვილი ჩუქების დაპირება.

მუხლი 243

[1] თავისი ნამდვილობისათვის ჩუქების დაპირება საჭიროებს წერილობითი ფორმით დადებას.

[2] თუ ჩუქების საგანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთები ან მათზე დადგენილი სანივთო უფლებები, მაშინ თავიანთი ნამდვილობისათვის ასეთი ჩუქების დაპირებები საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას.

[3] თუ ადგილი აქვს ჩუქების დაპირების შესრულებას, მაშინ ეს ურთიერთობა ჩაითვლება ჩუქებად ხელიდან ხელში.

მუხლი 244

პირს, რომელიც ჩუქების განზრახვით სხვა პირს რაიმეს გადასცემს, შეუძლია დასაჩუქრებულის მხრიდან ქონებრივი გადაცემის მიღებამდე ნებისმიერ დროს მისი უკან წაღება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მან ასეთი ქონებრივი აქტივი ფაქტობრივად გამოყო თავისი ქონებიდან.

მუხლი 245

[1] ჩუქება შეიძლება დაკავშირებული იყოს განსაზღვრული პირობების ან მოვალეობების შესრულებასთან.

[2] ჩუქება, რომლის განხორციელების შესაძლებლობაც დაკავშირებულია გამჩუქებლის გარდაცვალების ფაქტთან, რეგულირდება საანდერძო განკარგულებების მომწესრიგებელი ნორმებით.

მუხლი 246

[1] გამჩუქებელს შეუძლია წარადგინოს სარჩელი დასაჩუქრებულის მიერ ნაკისრი მოვალეობების ხელშეკრულების შინაარსის შესაბამისად შესრულების მოთხოვნით.

[2] თუ მოვალეობების შესრულება წარმოადგენს საჯარო ინტერესს, მაშინ გამჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ მისი მოთხოვნა შეუძლია კომპეტენტურ ორგანოს.

[3] დასაჩუქრებულს შეუძლია უარი თქვას დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე იმდენად, რამდენადაც გადაცემული აქტივის ღირებულება არ ფარავს ამ მოვალეობებთან დაკავშირებულ ხარჯებს და მას არ უნაზღაურდება დანაკლისი.

მუხლი 247

[1] გამჩუქებელს შეუძლია დაიტოვოს გაჩუქებული ნივთის მისთვის უკან დაბრუნების უფლება იმ შემთხვევისათვის, თუ დასაჩუქრებული მასზე ადრე გარდაიცვლება.

[2] მიწის ნაკვეთებისა თუ სანივთო უფლებების ჩუქების შემთხვევაში, გაჩუქე-

ბული ნივთის უკან დაბრუნების უფლება შეიძლება წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრაციაში გატარდეს საადგილმამულო რეესტრში.

მუხლი 248

[1] გამჩუქებელი პასუხისმგებელია დასაჩუქრებულის წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა ამ უკანასკნელს ნაჩუქარი ნივთისაგან მხოლოდ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში.

[2] გამჩუქებელმა ნაჩუქარი ნივთისა თუ დათმობილი მოთხოვნისათვის დასაჩუქრებულს უნდა წარუდგინოს მხოლოდ ის გარანტია, რასაც გამჩუქებელი მას შეპირდა.

მუხლი 249

ხელიდან ხელში ჩუქებისა და ჩუქების დაპირების შემთხვევებში გამჩუქებელს შეუძლია გააუქმოს ჩუქება და მოითხოვოს ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნება, რამდენადაც დასაჩუქრებული ჯერ კიდევ გამდიდრებულია:

1. თუ დასაჩუქრებულმა გამჩუქებლის ან მისი ახლობლის წინააღმდეგ ჩაიდინა მძიმე დანაშაული;

2. თუ მან გამჩუქებლის ან მისი ნათესავების მიმართ უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული საოჯახო-სამართლებრივი მოვალეობები;

3. თუ დასაჩუქრებული გამამართლებელი საფუძვლის გარეშე არ ასრულებს ჩუქებასთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

მუხლი 250

[1] ჩუქების დაპირების შემთხვევაში გამჩუქებელს შეუძლია გამოიხმოს დაპირება და უარი თქვას მის შესრულებაზე:

1. იგივე საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლითაც ხელიდან ხელში ჩუქების შემთხვევაში შესაძლებელია ნაჩუქარის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა;

2. როდესაც ჩუქების დაპირების შემდეგ გამჩუქებლის ქონებრივი მდგომარეობა შეიცვალა იმგვარად, რომ ჩუქების განხორციელება მისთვის განსაკუთრებულად მძიმე ტვირთად დააწვებოდა;

3. როდესაც ჩუქების დაპირების შემდეგ გამჩუქებელს წარმოეშობა ისეთი საოჯახო-სამართლებრივი მოვალეობები, რომლებიც მანამდე საერთოდ არ არსებობდა ან არსებობდა უმნიშვნელო მოცულობით.

[2] იძულებითი აღსრულების შეუძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის (Verlustschein) გაცემისა თუ გამჩუქებლის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შედეგად უქმდება ყოველგვარი ჩუქების დაპირება.

მუხლი 251

[1] ჩუქების დაპირების გამოხმობა შეიძლება განხორციელდეს ერთი წლის ვადის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც გამჩუქებელმა შეიტყო დაპირების გამოხმობის საფუძვლის შესახებ.

[2] თუ აღნიშნული ერთწლიანი ვადის გასვლამდე გარდაიცვლება გამჩუქებელი, მაშინ დარჩენილი პერიოდისათვის სარჩელის წარდგენის უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

[3] გამჩუქებლის მემკვიდრეებს შეუძლიათ ჩუქების გაუქმება, თუ დასაჩუქრებულმა გამჩუქებელი განზრახ და კანონსაწინააღმდეგოდ მოკლა ან ხელი შეუშალა გაუქმების უფლების განხორციელებას.

მუხლი 252

რამდენადაც სხვაგვარად არ არის დადგენილი, თუ გამჩუქებელს ეკისრება პერიოდულად განსახორციელებელი გადახდები, მაშინ ეს ვალდებულება წყდება მისი გარდაცვალებით.

მერვე ტიტული: ქირავნობა

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 253

ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი ვალდებულია, დამქირავებელს გადასცეს ნივთი სარგებლობაში, ხოლო დამქირავებელმა კი ამისათვის გამქირავებელს უნდა გადაუხადოს ქირა.

მუხლი 253a

[1] საცხოვრებელი და კომერციული ფართების მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს ასევე იმ ნივთების მიმართაც, რომლებსაც გამქირავებელი აღნიშნულ ფართებთან ერთად გადასცემს სარგებლობაში დამქირავებელს.

[2] აღნიშნული ნორმები არ მოქმედებს შვებულების პერიოდში მაქსიმუმ სამი თვით გაქირავებული ფართების მიმართ.

[3] ფედერალური საბჭო იღებს საკანონმდებლო ნორმების შესრულების შესახებ ინსტრუქციებს.

მუხლი 253b

[1] შეუსაბამოდ მაღალი ქირის თანხებისაგან დაცვის მომწესრიგებელი ნორმები (მუხლი 269 და შემდ.) აზრობრივად მოქმედებს არასასოფლო-სამეურნეო იჯარისა და სხვა ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც ძირითადად არეგულირებს საცხოვრებელი და კომერციული ფართების სარგებლობაში სასყიდლით გადაცემას.

[2] აღნიშნული ნორმები არ მოქმედებს ძვირადღირებული საცხოვრებელი ბინებისა და ექვსი ან მეტი ოთახის მქონე (სამზარეულოს ჩაუთვლელად) საოჯახო საცხოვრებელი სახლების მიმართ.

[3] შეუსაბამოდ მაღალი ქირის გასაჩივრების მომწესრიგებელი ნორმები არ მოქმედებს იმ საცხოვრებელი ფართების მიმართ, რომელთა მობილიზაცია მოხდა საჯარო სექტორის მხარდაჭერით და რომელთა ქირის თანხების ოდენობის შემოწმებასაც ახდენს სახელმწიფო ორგანო.

მუხლი 254

ბათილია საცხოვრებელი და კომერციული ფართების ქირავნობასთან დაკავშირებული გარკვეული დამატებითი პირობების შესრულებაზე დამოკიდებული გარიგება (Koppelungsgeschäft), როდესაც ქირავნობის ხელშეკრულების დადება ან მისი მოქმედების გაგრძელება დამოკიდებული ხდება ასეთ გარიგებაზე, ხოლო ამ უკანასკნელის პირობების თანახმად, დამქირავებელი გამქირავებლის ან მესამე პირის მიმართ კისრულობს ვალდებულებას, რომელიც არ არის უშუალოდ დაკავშირებული ქირავნობის საგნის გამოყენებასთან.

მუხლი 255

[1] ქირავნობის ურთიერთობა შეიძლება იყოს ვადიანი ან უვადო.

[2] ვადიანია ქირავნობის ურთიერთობა, თუ ის უნდა დასრულდეს შეთანხმებული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების გარეშე.

[3] დანარჩენი ქირავნობის ურთიერთობები ჩაითვლება უვადოდ.

მუხლი 256

[1] გამქირავებელი ვალდებულია, შეთანხმებულ მომენტში ნივთი მეორე მხარეს გადასცეს სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და შეინარჩუნოს ის ასეთ მდგომარეობაში.

[2] დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ დადებული განსხვავებული შეთანხმებები ბათილია, თუ ისინი მოცემულია:

a. წინასწარ ჩამოყალიბებული ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში;

b. საცხოვრებელი და კომერციული ფართების ქირავნობის ხელშეკრულებებში.

მუხლი 256a

[1] თუ თავდაპირველი ქირავნობის ურთიერთობის დასრულებისას გაიცა ნივთის უკან დაბრუნების დამადასტურებელი აქტი, მაშინ ეს უკანასკნელი გამქირავებელმა ახალ დამქირავებელს მისი მოთხოვნის საფუძველზე ნივთის გადაცემისას უნდა წარუდგინოს გასაცნობად.

[2] ანალოგიურად, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს მისი ინფორმირება თავდაპირველი ქირავნობის ურთიერთობის დროს არსებული ქირის თანხის ოდენობის თაობაზე.

მუხლი 256b

გამქირავებელს ეკისრება ნივთთან დაკავშირებული ვალდებულებები და სხვა სახელმწიფო გადასახდელები.

მუხლი 257

ქირა წარმოადგენს საზღაურს, რომლის გადახდაც ეკისრება დამქირავებელს გამქირავებლისათვის ნივთის სარგებლობაში გადაცემისათვის.

მუხლი 257a

[1] დამატებითი ხარჯები წარმოადგენს საზღაურს გამქირავებლის ან მესამე

პირის მიერ გაწეული იმ მომსახურებისათვის, რაც დაკავშირებულია ნივთის გამოყენებასთან.

[2] დამქირავებელს დამატებითი ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის ამ საკითხზე სპეციალურად შეუთანხმდა გამქირავებელს.

მუხლი 257b

[1] საცხოვრებელი და კომერციული ფართების შემთხვევაში, დამატებით ხარჯებს მიეკუთვნება გამქირავებლის მიერ ნივთის გამოყენებასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის გაწეული ფაქტობრივი დანახარჯები, როგორიცაა გათბობის, ცხელი წყლისა და მსგავსი საექსპლუატაციო ხარჯები, ისევე როგორც – სახელმწიფო გადასახდელებისათვის გაწეული დანახარჯები, რაც დაკავშირებულია ნივთის გამოყენებასთან.

[2] მოთხოვნის საფუძველზე გამქირავებელმა დამქირავებელს უნდა მისცეს ზემოაღნიშნული ხარჯების დამადატურებელი დოკუმენტების გაცნობის საშუალება.

მუხლი 257c

დამქირავებელმა ქირის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, დამატებითი ხარჯების თანხები უნდა გადაიხადოს ყოველი თვის ბოლოს, თუმცა – არაუგვიანეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლისა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეთანხმებულია ან ადგილობრივი ჩვეულებებით მოითხოვება სხვა თარიღი.

მუხლი 257d

[1] თუ ნივთის მიღების შემდეგ დამქირავებელი იმყოფება ვადამოსული ქირისა თუ დამატებითი ხარჯების გადახდის ვადაგადაცილებაში, მაშინ გამქირავებელს შეუძლია მას წერილობითი შეტყობინებით დაუდგინოს გადახდის ვადა და გააფრთხილოს ის იმის შესახებ, რომ ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება. აღნიშნული ვადა შეადგენს, სულ ცოტა, ათ დღეს, ხოლო საცხოვრებელი და კომერციული ფართების შემთხვევაში კი, – სულ ცოტა, 30 დღეს.

[2] თუ დამქირავებელი არ ახორციელებს თანხების გადახდას დადგენილი ვადის განმავლობაში, მაშინ გამქირავებელს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება დამატებითი ვადის დაცვის გარეშე, ხოლო საცხოვრებელი და კომერციული ფართების შემთხვევაში კი, – კალენდარული თვის ბოლოს, სულ ცოტა, 30-დღიანი ვადის დაცვით.

მუხლი 257e

[1] თუ საცხოვრებელი და კომერციული ფართების დამქირავებელი წარადგენს უზრუნველყოფას ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების სახით, მაშინ გამქირავებელმა ეს უზრუნველყოფა უნდა განათავსოს დამქირავებლის სახელზე ბანკში არსებულ შემნახველ ანგარიშზე ან დეპოზიტზე.

[2] საცხოვრებელი ფართების ქირავნობის შემთხვევაში, გამქირავებელს უზრუნ-

ველყოფის სახით შეუძლია მოითხოვოს მაქსიმუმ სამი თვის ქირის ოდენობის თანხა.

[3] ბანკს შეუძლია აღნიშნული უზრუნველყოფის გაცემა მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით ან კანონიერ ძალაში შესული გადახდის ბრძანებისა თუ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. თუ ქირავნობის ურთიერთობის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში გამქირავებელმა არ წარადგინა დამქირავებლის მიმართ რაიმე სამართლებრივი პრეტენზია, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია ბანკისაგან მოითხოვოს უზრუნველყოფის უკან დაბრუნება.

[4] კანტონებს შეუძლიათ დამატებითი წესების მიღება.

მუხლი 257f

[1] დამქირავებელმა ნივთი მზრუნველობით უნდა გამოიყენოს.

[2] უძრავი ნივთის დამქირავებელმა უნდა გაითვალისწინოს სახლის სხვა მობინადრეებისა და მეზობლების ინტერესები.

[3] თუ მიუხედავად გამქირავებლის მხრიდან წარდგენილი წერილობითი გაფრთხილებისა, დამქირავებელი განაგრძობს ნივთის მზრუნველობით გამოყენებისა თუ სხვა მობინადრეებისა და მეზობლების ინტერესების გათვალისწინების ვალდებულების დარღვევას ისე, რომ გამქირავებელს ან მობინადრეს ველარ მოეთხოვება ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელება, მაშინ გამქირავებელს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება დამატებითი ვადის დაცვის გარეშე, ხოლო საცხოვრებელი და კომერციული ფართების შემთხვევაში კი, – კალენდარული თვის ბოლოს, სულ ცოტა, 30-დღიანი ვადის დაცვით.

[4] თუმცაღა, საცხოვრებელი და კომერციული ფართების გამქირავებელს დამატებითი ვადის დაცვის გარეშე შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ დამქირავებელი ნივთს განზრახ აყენებს მნიშვნელოვან ზიანს.

მუხლი 257g

[1] დამქირავებელმა უნდა შეატყობინოს გამქირავებელს ნივთის იმ ნაკლის შესახებ, რომლის გამოსწორებაც მას თავად არ ევალება.

[2] თუ დამქირავებელი არ ატყობინებს გამქირავებელს აღნიშნულის შესახებ, მაშინ ის პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც ამის შედეგად წარმოეშობა გამქირავებელს.

მუხლი 257h

[1] დამქირავებელმა უნდა ითმინოს ნივთის მიმართ იმ სამუშაოების წარმოება, რომლებიც აუცილებელია ნაკლის გამოსწორებისათვის ან ზიანის აღმოფხვრისა თუ შემცირებისათვის.

[2] დამქირავებელმა უნდა დართოს გამქირავებელს ნივთის შემოწმების ნება, რამდენადაც ეს აუცილებელია ნივთის ექსპლუატაციის, გაყიდვისა თუ ხელახალი გაქირავებისათვის.

[3] გამქირავებელმა დროულად უნდა აცნობოს დამქირავებელს სამუშაოებისა და ნივთის შემოწმების შესახებ და ასევე ასეთი სამუშაოების წარმოებისა და შემოწმების განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს დამქირავებლის ინტერესები; შენარჩუნებულია დამქირავებლის პოტენციური მოთხოვნები ქირის შემცირებასა (მუხ. 259d) და ზიანის ანაზღაურებასთან (მუხ. 259e) დაკავშირებით.

მუხლი 258

[1] თუ გამქირავებელი ნივთს არ გადასცემს დამქირავებელს შეთანხმებულ მომენტში ან გადასცემს ისეთი ნაკლის მქონე ნივთს, რომელიც გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად აუარესებს მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგისიანობას, მაშინ დამქირავებელს შეუძლია იმოქმედოს 107-109 მუხლებში მოცემული ხელშეკრულების შეუსრულობლობის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

[2] თუ დამქირავებელი ნივთს მიიღებს მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა და დაჟინებით ითხოვს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებას, მაშინ მას შეუძლია მხოლოდ იმ მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია, რომლებიც მას შესაძლოა ჰქონოდა, ნაკლი რომ ქირავნობის ვადის განმავლობაში წარმოშობილიყო (მუხ. 259a–259i).

[3] დამქირავებელს 259a–259i მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია შეუძლია ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნივთს მისი გადაცემისას აქვს ისეთი ნაკლი, რომელიც:

a. მართალია, ამცირებს ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგისიანობას, თუმცა არ გამორიცხავს და არც მნიშვნელოვნად აუარესებს მას;

b. დამქირავებელს ქირავნობის ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯით უნდა აღმოეფხვრა (მუხ. 259).

მუხლი 259

დამქირავებელმა ადგილობრივი ჩვეულებების შესაბამისად საკუთარი ხარჯით უნდა აღმოფხვრას ისეთი ნაკლი, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია მინიმალური, ჩვეულებრივი ექსპლუატაციისათვის აუცილებელი გაწმენდითი ან სარემონტო სამუშაოებით.

მუხლი 259a

[1] თუ ნივთს წარმოეშობა ისეთი ნაკლი, რომლისათვისაც დამქირავებელი პასუხს არ აგებს და რომლის საკუთარი ხარჯით აღმოფხვრის ვალდებულებაც მას არ ეკისრება ანდა თუ დამქირავებელს ხელი შეეშლება ნივთის ხელშეკრულების შესაბამის გამოყენებაში, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს, რომ:

a. გამქირავებელმა აღმოფხვრას ნაკლი;

b. მან პროპორციულად შეამციროს ქირის თანხა;

c. გამქირავებელმა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი;

d. ის ჩაერთოს მესამე პირთან არსებულ სამართლებრივ დავაში.

[2] გარდა აღნიშნულისა, უძრავი ნივთის დამქირავებელს შეუძლია ასევე მოახდინოს ქირის თანხის დეპოზიტზე განთავსება.

მუხლი 259b

თუ გამქირავებლისათვის ცნობილია ხარვეზის არსებობა და ის ამ ხარვეზს არ აღმოფხვრავს სათანადო ვადის განმავლობაში, მაშინ დამქირავებელს შეუძლია:

a. დამატებითი ვადის დაცვის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ნაკლი

გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად აუარესებს უძრავი ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგისიანობას ანდა ამცირებს მოძრავი ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგისიანობას;

b. უზრუნველყოს ნაკლის აღმოფხვრა გამქირავებლის ხარჯზე, თუ ეს ნაკლი, მართალია, ამცირებს ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგისიანობას, თუმცა მნიშვნელოვნად არ აუარესებს მას.

მუხლი 259c

დამქირავებელს არა აქვს ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლება, თუ გამქირავებელი ნაკლის მქონე ნივთისათვის სათანადო ვადის განმავლობაში ახდენს სრული საკომპენსაციო თანხის გადახდას.

მუხლი 259d

თუ ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგისიანობა უარესდება ან მცირდება, მაშინ დამქირავებელს შეუძლია გამქირავებლისაგან მოითხოვოს ქირის თანხის პროპორციული შემცირება იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო ნაკლის შესახებ ამ უკანასკნელის გამოსწორების მომენტამდე.

მუხლი 259e

თუ დამქირავებელმა ნივთის ნაკლის შედეგად განიცადა ზიანი, მაშინ გამქირავებლმა მას ამისათვის უნდა გადაუხადოს კომპენსაცია, თუ ის ვერ ამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

მუხლი 259f

თუ მესამე პირი ნივთის მიმართ წარადგენს ისეთ მოთხოვნას, რომელიც შეუთავსებელია დამქირავებლის უფლებებთან, მაშინ ამ უკანასკნელის შეტყობინების საფუძველზე გამქირავებელი უნდა ჩაერთოს არსებულ სამართლებრივ დავაში.

მუხლი 259g

[1] თუ უძრავი ნივთის დამქირავებელი გამქირავებლისაგან ითხოვს ნაკლის აღმოფხვრას, მაშინ მან ამისათვის გამქირავებელს წერილობითი შეტყობინებით უნდა დაუდგინოს სათანადო ვადა და ასევე მას შეუძლია გააფრთხილოს გამქირავებელი, რომ ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში სამომავლო ქირის თანხებს ის დეპოზიტზე განათავსებს კანტონის მიერ განსაზღვრულ დაწესებულებაში. დამქირავებელმა თანხების დეპოზიტზე განათავსების შესახებ გამქირავებელს უნდა შეატყობინოს წერილობითი ფორმით.

[2] თანხების დეპოზიტზე განთავსებით ქირა ჩაითვლება გადახდილად.

მუხლი 259h

[1] დეპოზიტზე განათავსებული ქირის თანხები გადაეცემა გამქირავებელს, თუ დამქირავებელი მის მიმართ დეპოზიტზე განთავსებული პირველი თანხის

გადახდის ვადის დადგომიდან 30 დღის განმავლობაში არ ახდენს კუთვნილი მოთხოვნის უფლებების სამომრიგებლო უწყებაში რეალიზაციას.

[2] გამქირავებელს შეუძლია სამომრიგებლო უწყებისაგან მოითხოვოს დეპოზიტზე არასწორად განთავსებული ქირის თანხების გაცემა, როგორც კი მას დამქირავებელი შეატყობინებს თანხების დეპოზიტზე განათავსების შესახებ.

მუხლი 259i

საქმის წარმოება რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით.

მუხლი 260

[1] ნივთის მიმართ განახლებები და ცვლილებები გამქირავებელს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დამქირავებლისათვის მისაღებია, ხოლო ქირავნობის ურთიერთობა კი არ არის შეწყვეტილი.

[2] სამუშაოების განხორციელებისას გამქირავებელმა უნდა გაითვალისწინოს დამქირავებლის ინტერესები; შენარჩუნებულია დამქირავებლის პოტენციური მოთხოვნები ქირის შემცირებასა (მუხ. 259d) და ზიანის ანაზღაურებასთან (მუხ. 259e) დაკავშირებით.

მუხლი 260a

[1] ნივთის მიმართ განახლებები და ცვლილებები დამქირავებელს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელი ამას წერილობით დაეთანხმა.

[2] თუ გამქირავებელი ზემოაღნიშნულს დაეთანხმა, მაშინ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა მას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს წერილობითი ფორმით იყო შეთანხმებული.

[3] თუ ქირავნობის ურთიერთობის დასრულებისას ნივთის ღირებულებამ მნიშვნელოვნად მოიმატა იმ განახლებისა თუ ცვლილების წყალობით, რომელსაც დაეთანხმა გამქირავებელი, მაშინ დამქირავებელს მომატებული ღირებულებისათვის შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია; შენარჩუნებულია წერილობითი ფორმით შეთანხმებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სხვა მოთხოვნის უფლებები.

მუხლი 261

[1] თუ გამქირავებელი ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ ასხვისებს ნივთს ან თუ მას ეს ნივთი ჩამოერთმევა ვალების ამოღებისა და გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში, მაშინ ქირავნობის ურთიერთობა საკუთრების უფლებასთან ერთად გადადის შემძენზე.

[2] თუმცაღა, ახალ მესაკუთრეს:

a. საცხოვრებელი და კომერციული ფართების შემთხვევაში შეუძლია კანონისმიერი ვადის დაცვით კანონით განსაზღვრული შემდგომი თარიღიდან შეწყვიტოს ქირავნობის ურთიერთობა, თუ მას აღნიშნული ფართები სასწრაფოდ ესაჭიროება სათავისოდ, ახლო ნათესავისა თუ დანათესავებულისათვის;

b. სხვა ნივთების შემთხვევაში შეუძლია კანონისმიერი ვადის დაცვით კანონით განსაზღვრული შემდგომი თარიღიდან შეწყვიტოს ქირავნობის ურთი-

ერთობა, თუ ხელშეკრულება არ იძლევა ვადაზე ადრე ქირავნობის შეწყვეტის შესაძლებლობას.

[3] თუ ახალი მესაკუთრე წყვეტს ქირავნობას უფრო ადრე, ვიდრე ეს დასაშვები იქნებოდა თავდაპირველ გამქირავებელთან დადებული ხელშეკრულებით, მაშინ ეს უკანასკნელი პასუხს აგებს დამქირავებლის წინაშე აღნიშნულის შედეგად დამდგარი ყოველგვარი ზარალისათვის.

[4] ზემოაღნიშნული წესი არ მოქმედებს ექსპროპრიაციის მომწესრიგებელი ნორმების მიმართ.

მუხლი 261a

აზრობრივად გამოიყენება ნივთის გასხვისების მომწესრიგებელი ნორმები, როდესაც გამქირავებელი მესამე პირს ანიჭებს შეზღუდულ სანივთო უფლებას და ეს უთანაბრდება მესაკუთრის შეცვლას.

მუხლი 261b

[1] მიწის ნაკვეთის ქირავნობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ქირავნობის ურთიერთობის წინასწარი ჩანაწერის სახით საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ.

[2] წინასწარი ჩანაწერი ხელს უწყობს იმას, რომ ყოველმა ახალმა მესაკუთრემ დართოს დამქირავებელს მიწის ნაკვეთით სარგებლობის ნება ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 262

[1] დამქირავებელს გამქირავებლის თანხმობით შეუძლია ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს ქვექირავნობით.

[2] გამქირავებელს თანხმობის მიცემაზე უარი შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

a. დამქირავებელი უარს აცხადებს ქვექირავნობის პირობების გამქირავებლისათვის შეტყობინებაზე;

b. ქვექირავნობის პირობები ძირითადი ქირავნობის ხელშეკრულების პირობებთან შედარებით გაუმართლებელია (missbräuchlich);

c. ქვექირავნობის შედეგად გამქირავებელს არსებითი ზარალი ადგება.

[3] დამქირავებელი პასუხს აგებს გამქირავებლის წინაშე იმისათვის, რომ ქვემოქირავნე ნივთით სარგებლობს სხვაგვარად, ვიდრე ეს თავად მისთვის არის ნებადართული. გამქირავებელს აღნიშნული პირობის დაცვა შეუძლია უშუალოდ მოსთხოვოს ქვემოქირავნეს.

მუხლი 263

[1] კომერციული ფართების დამქირავებელს გამქირავებლის წერილობითი თანხმობით შეუძლია ქირავნობის ურთიერთობის მესამე პირზე გადატანა.

[2] გამქირავებელს თანხმობის მიცემაზე უარი შეუძლია მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე.

[3] თუ გამქირავებელი აცხადებს თანხმობას, მაშინ მესამე პირი იკავებს დამქირავებლის ადგილს ქირავნობის ურთიერთობაში.

[4] დამქირავებელი თავისუფლდება გამქირავებლის მიმართ მასზე დაკისრებული ვალდებულებებიდან. თუმცა, დამქირავებელი მესამე პირთან ერთად სოლიდარულად არის პასუხისმგებელი იმ თარიღამდე, როდესაც ქირავნობის ურთიერთობა ხელშეკრულების ან კანონის შესაბამისად წყდება ან შეიძლება შეწყდეს, თუმცა, – მაქსიმუმ ორი წლის ვადით.

მუხლი 264

[1] თუ დამქირავებელი ნივთს უკან აბრუნებს ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე ან შეწყვეტის თარიღის დადგომამდე, მაშინ ის თავისუფლდება გამქირავებლის მიმართ მასზე დაკისრებული ვალდებულებებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახდენს გამქირავებლისათვის მისაღები ახალი დამქირავებლის შეთავაზებას; ეს უკანასკნელი უნდა იყოს გადახდისუნარიანი და ასევე – მზად იმისათვის, რომ იგივე პირობებით მიიღოს ქირავნობის ხელშეკრულება.

[2] წინააღმდეგ შემთხვევაში დამქირავებელმა უნდა იხადოს ქირის თანხა იმ თარიღამდე, როდესაც ქირავნობის ურთიერთობა ხელშეკრულების ან კანონის შესაბამისად წყდება ან შეიძლება შეწყდეს.

[3] კუთვნილი ქირის თანხის ანგარიშში გამქირავებელმა უნდა გაქვითოს ის თანხები, რომლებიც მან:

a. დაზოგა გასაწევ ხარჯებთან დაკავშირებით და

b. მიიღო შემოსავლის სახით ნივთის სხვაგვარი გამოყენებით ან განზრახ თავი შეიკავა ასეთი შემოსავლის მიღებისაგან.

მუხლი 265

გამქირავებელსა და დამქირავებელს არ შეუძლიათ წინასწარ უარი თქვან ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და ვალების გაქვითვის უფლებაზე.

მუხლი 266

[1] თუ მხარეები პირდაპირ გამოხატული ფორმით ან უსიტყვოდ შეთანხმდნენ განსაზღვრულ ვადაზე, მაშინ ქირავნობის ურთიერთობა წყდება ამ ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების გარეშე.

[2] თუ მხარეებმა უსიტყვოდ გააგრძელეს ქირავნობის ურთიერთობა, მაშინ ეს უკანასკნელი ჩაითვლება უვადოდ.

მუხლი 266a

[1] მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ უვადო ქირავნობის ურთიერთობა კანონისმიერი ვადებისა და თარიღების დაცვით, რამდენადაც მათ უფრო მეტი ვადა ან სხვა თარიღი არა აქვთ შეთანხმებული.

[2] თუ მხარეები არ იცავენ შეწყვეტის ვადას ან არ ელოდებიან თარიღის დადგომას, მაშინ ქირავნობის ურთიერთობა შეწყვეტილად ითვლება მომდევნო შესაძლო თარიღიდან.

მუხლი 266b

უძრავი ნივთებისა და მოძრავი ნაგებობების ქირავნობის შემთხვევაში, მხარეებს სამთვიანი ვადის დაცვით შეუძლიათ შეწყვიტონ ქირავნობის ურთიერთობა ადგილობრივი ჩვეულებებით განსაზღვრული თარიღიდან, ხოლო ადგილობრივი ჩვეულებების არარსებობისას კი, – ქირავნობის ექვსთვიანი ვადის ამოწურვის მომენტიდან.

მუხლი 266c

საცხოვრებელი ბინების ქირავნობის შემთხვევაში, მხარეებს სამთვიანი ვადის დაცვით შეუძლიათ შეწყვიტონ ქირავნობის ურთიერთობა ადგილობრივი ჩვეულებებით განსაზღვრული თარიღიდან, ხოლო ადგილობრივი ჩვეულებების არარსებობისას კი, – ქირავნობის სამთვიანი ვადის ამოწურვის მომენტიდან.

მუხლი 266d

კომერციული ფართების ქირავნობის შემთხვევაში, მხარეებს ექვსთვიანი ვადის დაცვით შეუძლიათ შეწყვიტონ ქირავნობის ურთიერთობა ადგილობრივი ჩვეულებებით განსაზღვრული თარიღიდან, ხოლო ადგილობრივი ჩვეულებების არარსებობისას კი, – ქირავნობის სამთვიანი ვადის ამოწურვის მომენტიდან.

მუხლი 266e

ავეჯით გაწყობილი ფართებისა და ცალკე გამოყოფილი გაქირავებული ავტოსადგომებისა თუ სხვა მსგავი მოწყობილობების ქირავნობის შემთხვევაში, მხარეებს ორკვირიანი ვადის დაცვით შეუძლიათ შეწყვიტონ ქირავნობის ურთიერთობა ქირავნობის ერთთვიანი ვადის ამოწურვის მომენტიდან.

მუხლი 266f

მოძრავი ნივთების ქირავნობის შემთხვევაში, მხარეებს სამდღიანი ვადის დაცვით შეუძლიათ ნებისმიერი მომენტიდან შეწყვიტონ ქირავნობის ურთიერთობა.

მუხლი 266g

[1] როდესაც მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე ხელშეკრულების შესრულება მხარეთათვის მიზანშეუწონელი ხდება, ამ უკანასკნელებს კანონისმიერი ვადის დაცვით შეუძლიათ ნებისმიერი მომენტიდან შეწყვიტონ ქირავნობის ურთიერთობა.

[2] სასამართლო ვადაზე ადრე ქირავნობის შეწყვეტის ქონებრივ-სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავს საქმის ყველა გარემოების შეფასებით.

მუხლი 266h

[1] თუ ნივთის დამქირავებლის მიერ მიღების შემდეგ ამ უკანასკნელის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება, მაშინ გამქირავებელს სამომავლო ქირის თანხებისათვის შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა. გამქირავებელმა ამისათვის დამქირავებელსა და გაკოტრების მმართველს წერილობითი შეტყობინებით უნდა დაუდგინოს სათანადო ვადა.

[2] თუ გამქირავებელი აღნიშნული ვადის განმავლობაში არ მიიღებს უზრუნველყოფას, მაშინ მას შეუძლია ქირავნობის შეწყვეტა დამატებითი ვადის დაცვის გარეშე.

მუხლი 266i

თუ გარდაიცვლება დამქირავებელი, მაშინ მის მემკვიდრეებს შეუძლიათ კანონისმიერი ვადის დაცვით კანონით განსაზღვრული შემდგომი თარიღიდან შეწყვიტონ ქირავნობის ურთიერთობა.

მუხლი 266k

იმ მოძრავი ნივთის დამქირავებელს, რომელიც განკუთვნილია მისი კერძო სარგებლობისათვის და გამქირავებლის მიერ ქირავნობით გაიცემა თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, შეუძლია, სულ ცოტა, 30-დღიანი ვადის დაცვით შეწყვიტოს ქირავნობის ურთიერთობა ქირავნობის სამთვიანი ვადის ამოწურვის მომენტიდან. გამქირავებელს არა აქვს აღნიშნულისათვის კომპენსაციის მიღების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 266l

[1] საცხოვრებელი და კომერციული ფართების გამქირავებელმა და დამქირავებელმა ქირავნობის შეწყვეტა უნდა გააფორმონ წერილობით.

[2] გამქირავებელმა ქირავნობის შეწყვეტა უნდა გააფორმოს კანტონის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ბლანკის გამოყენებით, სადაც მითითებულია, თუ როგორ უნდა იმოქმედოს დამქირავებელმა იმ შემთხვევაში, თუ მას სურს ხელშეკრულების შეწყვეტის გასაჩივრება ან ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივება.

მუხლი 266m

[1] თუ ნაქირავები ნივთი განკუთვნილია საცხოვრებელი ბინის სახით გამოყენებისათვის, მაშინ მეუღლეს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ მეორე მეუღლის პირდაპირ გამოხატული თანხმობით.

[2] თუ მეუღლეს აღნიშნული თანხმობის მიღება არ შეუძლია ან თუ მას თანხმობის მიცემაზე მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე ეტყვიან უარს, მაშინ მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

[3] იგივე წესი აზრობრივად მოქმედებს რეგისტრირებული პარტნიორობის შემთხვევაში.

მუხლი 266n

გამქირავებლის მხრიდან ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადება, ისევე როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გაფრთხილებასთან ერთად (მუხ. 257d) გადახდის ზღვრული ვადის დადგენის შესახებ შეტყობინება დამქირავებელსა და მის მეუღლესა თუ რეგისტრირებულ პარტნიორს უნდა წარედგინოს ცალ-ცალკე.

მუხლი 266o

ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის ნების გამოვლენა ბათილია, თუ ის არ შეესაბამება მუხლებს 266l–266n.

მუხლი 267

[1] დამქირავებელმა ნივთი უნდა დააბრუნოს ისეთ მდგომარეობაში, რაც შეესაბამება ხელშეკრულების შესაბამის გამოყენებას.

[2] ბათილია შეთანხმებები, რომლითაც დამქირავებელი წინასწარ კისრულობს ვალდებულებას, ქირავნობის ურთიერთობის დასრულებისას გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი თანხა მიმართულია შესაძლო ზიანის ანაზღაურებისკენ.

მუხლი 267a

[1] ნივთის დაბრუნებისას გამქირავებელმა უნდა შეამოწმოს მისი მდგომარეობა და დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამქირავებელს იმ ნაკლის შესახებ, რომლისათვისაც ეს უკანასკნელი არის პასუხისმგებელი.

[2] თუ გამქირავებელი აღნიშნულს არ მოიმოქმედებს, მაშინ ის კარგავს თავის მოთხოვნის უფლებებს, რამდენადაც საქმე არ ეხება ისეთ ნაკლს, რომლის შემჩნევაც შეუძლებელი იქნებოდა ჩვეულებრივი დათვალიერების შემთხვევაში.

[3] თუ გამქირავებელი ნაკლს მოგვიანებით აღმოაჩენს, მაშინ მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დამქირავებელს.

მუხლი 268

[1] გასული ერთი წლისა და მიმდინარე ნახევარწლიანი პერიოდისათვის გადასახდელი ქირის თანხების საუზრუნველყოფოდ კომერციული ფართების გამქირავებელს აქვს იმ მოძრავი ნივთების დაკავების უფლება, რომლებიც განთავსებულია გაქირავებულ ფართებში და განკუთვნილია მათი მოწყობისა თუ გამოყენებისათვის.

[2] გამქირავებლის კუთვნილი დაკავების უფლება მოიცავს ქვემოქირავნის მიერ შეტანილ საგნებს იმ ფარგლებში, რომლებშიც ამ უკანასკნელმა არ გადაიხადა მასზე დაკისრებული ქირის თანხა.

[3] დაკავების უფლება არ გამოიყენება იმ ნივთების მიმართ, რომელთა დაყადაღებაც დამქირავებლის კრედიტორების მიერ დაუშვებელია.

მუხლი 268a

[1] გამქირავებლის დაკავების უფლებასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება იმ ნივთების მიმართ მესამე პირების კუთვნილ უფლებებს, რომელთა შესახებაც გამქირავებლმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ისინი არ ეკუთვნის დამქირავებელს, ისევე როგორც – მოპარული, დაკარგული ან მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ მისი მფლობელობიდან სხვაგვარად გასული ნივთების მიმართ მესამე პირების კუთვნილ უფლებებს.

[2] თუ გამქირავებელი მხოლოდ ქირავნობის ვადის განმავლობაში შეიტყობს იმის შესახებ, რომ დამქირავებლის მიერ შეტანილი ნივთები ამ უკანასკნელს არ ეკუთვნის, მაშინ ამ ნივთებზე მისი დაკავების უფლება უქმდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის წყვეტს ქირავნობის ხელშეკრულებას მომდევნო შესაძლო თარიღიდან.

მუხლი 268b

[1] თუ დამქირავებელს სურს ნაქირავები ფართებიდან გასვლა ან მათში არსებული ნივთების გატანა, მაშინ გამქირავებელს შეუძლია კომპეტენტური უწყების დახმარებით დააკავოს იმდენი საგანი, რამდენიც აუცილებელია მისი მოთხოვნის დასაფარად.

[2] ფარულად ან ძალის გამოყენებით გატანილი საგნების პოლიციის დახმარებით უკან გაქირავებულ ფართებში დაბრუნება შესაძლებელია გატანიდან ათი დღის განმავლობაში.

მეორე თავი: შეუსაბამოდ მაღალი ქირის თანხებისა და გამქირავებლის სხვა გაუმართლებელი მოთხოვნებისაგან დაცვა საცხოვრებელი და კომერციული ფართების ქირავნობის შემთხვევაში

მუხლი 269

ქირის თანხები შეუსაბამოდ მაღალია, როდესაც ისინი იძლევა ქირავნობის საგნიდან გადამეტებული შემოსავლის მიღების შესაძლებლობას ან როდესაც ისინი ეფუძნება აშკარად გადამეტებულ ნასყიდობის ფასს.

მუხლი 269a

კერძოდ, ქირის თანხები, როგორც წესი, არ არის შეუსაბამოდ მაღალი, თუ ისინი:

a. თავსდება ადგილობრივი ან ტერიტორიული ჩვეულებებით დადგენილი ქირის თანხების ფარგლებში;

b. გამართლებულია გამქირავებლის მხრიდან ხარჯების ზრდისა თუ დამატებითი მომსახურებით;

c. ახალაშენებული შენობა-ნაგებობების შემთხვევაში თავსდება ხარჯების დაფარვისათვის საჭირო ბრუტო-შემოსავლების (Bruttorendite) ფარგლებში;

d. მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ქირის თანხების იმ შემცირების საკომპენსაციოდ, რომელიც მანამდე იყო ნებადართული ბაზარზე არსებული განაკვეთების შესაბამისი ფინანსური დანახარჯების გადაჯგუფებით და მოცემულია დამქირავებლისათვის წინასწარ შეტყობინებულ ქირის თანხების გადახდის გეგმაში;

e. მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ რისკის შემცველი თანხების ინფლაციის საკომპენსაციოდ;

f. არ აღემატება იგივე ინტერესების გამტარებელი გამქირავებლებისა და დამქირავებლების ასოციაციებისა თუ ორგანიზაციების მხრიდან თავიანთ ჩარჩო ხელშეკრულებებში რეკომენდირებულ ოდენობას.

მუხლი 269b

შეთანხმება, რომლის თანახმადაც ქირის თანხა მიჰყვება შესაბამის მაჩვენებელს, ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქირავნობის ხელშეკრუ-

ლება იდება, სულ ცოტა, ხუთი წლის ვადით და საბაზისო მაჩვენებლის სახით აღიარებულია ქვეყნის სამომხმარებლო ფასების ინდექსი.

მუხლი 269c

შეთანხმება, რომლის თანახმადაც ქირის თანხა პერიოდულად განსაზღვრული ოდენობით იმატებს, ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

a. ქირავნობის ხელშეკრულება იდება, სულ ცოტა, ხუთი წლის ვადით;

b. ქირის თანხა იმატებს მაქსიმუმ წელიწადში ერთხელ; და

c. თანხა, რომლითაც იზრდება ქირა, დგინდება ფრანკებში.

მუხლი 269d

[1] გამქირავებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გაზარდოს ქირის თანხა ხელშეკრულების შეწყვეტის მომდევნო შესაძლო თარიღიდან. გამქირავებელმა ქირის თანხის გაზრდის შესახებ დამქირავებელს კანტონის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ბლანკის გამოყენებით უნდა შეატყობინოს და დაუსაბუთოს თანხის ასეთი ზრდა ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილი ვადის ათვლამდე, სულ ცოტა, ათი დღით ადრე.

[2] ქირის თანხის გაზრდა ბათილია, როდესაც გამქირავებელი:

a. მის შესახებ შეტყობინებას არ წარადგენს კანონით გათვალისწინებული ბლანკის გამოყენებით;

b. არ ახდენს თანხის გაზრდის დასაბუთებას;

c. თანხის გაზრდის შესახებ შეტყობინებასთან ერთად იმუქრება ხელშეკრულების შეწყვეტით ან აცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

[3] 1-ლი და მე-2 ნაწილები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამქირავებელს განზრახული აქვს, დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ სხვაგვარად ცალმხრივად შეცვალოს ქირავნობის ხელშეკრულება, სახელდობრ კი, – შეამციროს მასზე დაკისრებული თავდაპირველი მომსახურების მოცულობა ან დაამატოს ახალი ხარჯები.

მუხლი 270

[1] ნივთის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში დამქირავებელს სამომრიგებლო უწყებაში შეუძლია საწყისი ქირის თანხა გაასაჩივროს როგორც შეუსაბამოდ მაღალი 269-ე და 269a მუხლების გაგებით და მოითხოვოს მისი შემცირება, თუ:

a. ის იძულებული გახდა, დაედო ქირავნობის ხელშეკრულება პირადი ან ოჯახური მდგომარეობის გამო ანდა საცხოვრებელი და კომერციული ფართების არსებულ ადგილობრივ ბაზარზე არსებული გარემოებების გამო; ან

b. გამქირავებელმა თავდაპირველ თანხასთან შედარებით იმავე ნივთზე საწყისი ქირის თანხა მნიშვნელოვნად გაზარდა.

[2] საცხოვრებელი ფართების დეფიციტის შემთხვევაში, კანტონებს მთელი თავიანთი ტერიტორიისა თუ მისი ნაწილისათვის შეუძლიათ ნებისმიერი ახალი ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას სავალდებულოდ გამოაცხადონ 269d მუხლით გათვალისწინებული ბლანკის გამოყენება.

მუხლი 270a

[1] დამქირავებელს შეუძლია გაასაჩივროს ქირის თანხა როგორც შეუსაბამოდ მაღალი და მოითხოვოს მისი შემცირება ხელშეკრულების შეწყვეტის მომდევნო შესაძლო თარიღიდან, როდესაც მას აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ თანხების გამოანგარიშების საფუძვლების მნიშვნელოვანი ცვლილების გამო, უპირველეს ყოვლისა კი, – ხარჯების შემცირების შედეგად გამქირავებელი ქირავნობის საგნიდან იღებს გადამეტებულ შემოსავალს 269-ე და 269a მუხლების გაგებით.

[2] დამქირავებელმა ქირის თანხის შემცირების მოთხოვნა გამქირავებელს უნდა წარუდგინოს წერილობით; ამ უკანასკნელმა მოთხოვნას უნდა უპასუხოს 30 დღის განმავლობაში. თუ გამქირავებელი არ ეთანხმება მოთხოვნას ან ეთანხმება მას მხოლოდ ნაწილობრივ ანდა ის არ პასუხობს მოთხოვნას გონივრულ ვადაში, მაშინ დამქირავებელს 30 დღის განმავლობაში შეუძლია მიმართოს სამომრიგებლო უწყებას.

[3] მე-2 ნაწილი არ გამოიყენება, თუ დამქირავებელი ქირის თანხის გაზრდის გასაჩივრებასთან ერთად ერთდროულად წარადგენს მისი შემცირების მოთხოვნას.

მუხლი 270b

[1] ქირის თანხის გაზრდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში დამქირავებელს შეუძლია სამომრიგებლო უწყებაში გაასაჩივროს ქირის თანხა როგორც შეუსაბამოდ მაღალი 269-ე და 269a მუხლების გაგებით.

[2] 1-ლი ნაწილი არ გამოიყენება, როდესაც გამქირავებელი დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ სხვაგვარად ცალმხრივად ცვლის ქირავნობის ხელშეკრულებას, სახელდობრ კი, – ამცირებს მასზე დაკისრებული თავდაპირველი მომსახურების მოცულობას ან ამატებს ახალ ხარჯებს.

მუხლი 270c

საწყისი ქირის თანხის გასაჩივრების უფლების გათვალისწინების პირობით მხარეს შეუძლია სამომრიგებლო უწყების წინაშე მოთხოვნის დასაბუთება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მხარის მიერ მოთხოვნილი ქირის თანხის გაზრდა ან შემცირება ვერ იქნებოდა გამართლებული ქირის თანხის საბაზისო მაჩვენებლებში შესაბამისი ცვლილებით.

მუხლი 270d

საწყისი ქირის თანხის გასაჩივრების უფლების გათვალისწინების პირობით დამქირავებელს არ შეუძლია ეტაპობრივად გადასახდელი ქირის თანხის გასაჩივრება.

მუხლი 270e

არსებული ქირავნობის ხელშეკრულება უცვლელად აგრძელებს მოქმედებას:

a. სამომრიგებლო საქმის წარმოების განმავლობაში, როდესაც მხარეთა შორის შეთანხმება ვერ მიიღწევა, და

b. სასამართლო საქმის წარმოების განმავლობაში, სასამართლოს მიერ მიღებული გამაფრთხილებელი ზომების გათვალისწინების პირობით.

მესამე თავი: დამქირავებლის უფლებების დაცვა საცხოვრებელი და კომერციული ფართების ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას

მუხლი 271

[1] ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება გასაჩივრდეს, თუ ის არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს.

[2] შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა დასაბუთდეს.

მუხლი 271a

[1] კერძოდ, გამქირავებლის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება გასაჩივრდეს, თუ შეწყვეტა ცხადდება:

a. იმის გამო, რომ დამქირავებელი კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად ახდენს ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების რეალიზაციას;

b. იმის გამო, რომ გამქირავებელს სურს ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეცვლა დამქირავებლის ინტერესების საზიანოდ ან ქირის თანხის მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი;

c. მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ დამქირავებელი დაიყოლიონ ნაქირავები ბინის შეძენაზე;

d. ქირავნობის ურთერთობასთან დაკავშირებული სამომრიგებლო ან სასამართლო საქმის წარმოების განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამქირავებელი აღნიშნული საქმის წარმოების დაწყებისას მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად;

e. ქირავნობის ურთერთობასთან დაკავშირებული იმ სამომრიგებლო ან სასამართლო საქმის წარმოების დასრულებიდან სამი წლის ვადის გასვლამდე, რომელშიც:

1. გამქირავებელი უმეტესწილად წარუმატებელი იყო;

2. მან უარი თქვა თავის მოთხოვნასა თუ სარჩელზე ანდა მნიშვნელოვანწილად შეამცირა ისინი;

3. გამქირავებელმა სასამართლოსათვის მიმართვაზე უარი განაცხადა;

4. მან დამქირავებელთან გააფორმა მორიგება ან სხვაგვარად შეუთანხმდა მას;

f. დამქირავებლის ოჯახური მდგომარეობის ისეთი ცვლილების გამო, რომელთა შედეგადაც გამქირავებელს არსებითი ზარალი არ ადგება.

[2] 1-ლი ნაწილის e ქვეპუნქტი გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამქირავებელს დოკუმენტალურად შეუძლია იმის დამტკიცება, რომ ის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე არსებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით გამქირავებელს შეუთანხმდა სამომრიგებლო ან სასამართლო საქმის წარმოების მიღმა.

[3] 1-ლი ნაწილის d და e ქვეპუნქტები არ გამოიყენება, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტის ნების გამოვლება ხდება:

a. იმის გამო, რომ გამქირავებელს ქირავნობის საგანი სასწრაფოდ ესაჭიროება სათავისოდ, ახლო ნათესავისა თუ დანათესავებულისათვის;

b. დამქირავებლის მხრიდან ქირის თანხის გადახდის ვადაგადაცილების გამო (მუხ. 257d);

c. დამქირავებლის მხრიდან ნივთის მზრუნველობით გამოყენებისა და სხვა მობინადრეებისა თუ მეზობლების ინტერესების გათვალისწინების ვალდებულების მძიმე დარღვევის გამო (მუხ. 257f ნაწ. 3 და 4);

d. ნივთის გასხვისების შედეგად (მუხ. 261);

e. მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე (მუხ. 266g);

f. დამქირავებლის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გამო (მუხ. 266h).

მუხლი 272

[1] დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ვადიანი ან უვადო ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივება, თუ ქირავნობის ხელშეკრულების დასრულება მისთვის ან მისი ოჯახისათვის იმდენად მძიმე შედეგების მომტანი იქნებოდა, რაც ვერ გამართლდებოდა გამქირავებლის ინტერესებით.

[2] მხარეთა შესაბამისი ინტერესების ურთიერთშეფარდებისას კომპეტენტური ორგანო, კერძოდ, მხედველობაში იღებს:

a. იმ გარემოებებს, რომლებშიც დაიდო ხელშეკრულება და განისაზღვრა მისი შინაარსი;

b. ქირავნობის ურთიერთობის ვადას;

c. მხარეთა პირად, ოჯახურ და ეკონომიკურ პირობებს და ასევე – მათ მოქმედებას;

d. იმ ფაქტს, რომ ქირავნობის საგანი გამქირავებელს ესაჭიროება სათავისოდ, ახლო ნათესავისა თუ დანათესავებულისათვის, ისევე როგორც – ასეთი საჭიროების გადაუდებლობას;

e. საცხოვრებელი და კომერციული ფართების ადგილობრივ ბაზარზე არსებულ გარემოებებს.

[3] თუ დამქირავებელი მეორეჯერ ითხოვს ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივებას, მაშინ კომპეტენტური ორგანო მხედველობაში იღებს ასევე იმ გარემოებას, მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად მოიმოქმედა თუ არა დამქირავებელმა ყველაფერი, რაც მას მოეთხოვებოდა.

მუხლი 272a

[1] ხელშეკრულების შეწყვეტისას ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივება გამორიცხულია:

a. დამქირავებლის მხრიდან ქირის თანხის გადახდის ვადაგადაცილების გამო (მუხ. 257d);

b. დამქირავებლის მხრიდან ნივთის მზრუნველობით გამოყენებისა და სხვა მობინადრეებისა თუ მეზობლების ინტერესების გათვალისწინების ვალდებულების მძიმე დარღვევის გამო (მუხ. 257f ნაწ. 3 და 4);

c. დამქირავებლის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გამო (მუხ. 266h);

d. იმ ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ, რომელიც შენობა-ნაგებობის თავდაპირველი სარეკონსტრუქციო თუ დემონტაჟის გეგმის გათვალისწინებით პირდაპირ გამოხატული ფორმით დაიდო მხოლოდ შეზღუდული ვადით მშენებლობის დაწყებამდე ან აუცილებელი ნებართვის მიღების მომენტამდე.

[2] როგორც წესი, ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივება გამორიცხულია, როდესაც საცხოვრებელი და კომერციული ფართებისათვის გამქირავებელი დამქირავებელს სთავაზობს ტოლფას კომპენსაციას.

მუხლი 272b

[1] ქირავნობის ურთიერთობა საცხოვრებელი ფართების შემთხვევაში შეიძლება გახანგრძლივდეს მაქსიმუმ ოთხი, ხოლო კომერციული ფართების შემთხვევაში კი, – მაქსიმუმ ექვსი წლის ვადით. აღნიშნული მაქსიმალური ვადის ფარგლებში შეიძლება მოხდეს ქირავნობის ურთიერთობის ერთხელ ან ორჯერ გახანგრძლივება.

[2] თუ მხარეები თანხმდებიან ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივებაზე, მაშინ ისინი არ არიან შებოჭილი მაქსიმალური ვადით და გამქირავებელს შეუძლია უარი თქვას მეორე გახანგრძლივებაზე.

მუხლი 272c

[1] ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივების გადაწყვეტილების მიღებისას ყოველ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

[2] თუ გახანგრძლივების გადაწყვეტილების მიღებისას ხელშეკრულება არ იცვლება, მაშინ გახანგრძლივების პერიოდის განმავლობაში ის უცვლელად აგრძელებს მოქმედებას; შენარჩუნებულია შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების კანონისმიერი შესაძლებლობები.

მუხლი 272d

თუ გახანგრძლივების შესახებ გადაწყვეტილება ან ამის შესახებ შეთანხმება სხვაგვარად არ ადგენს, მაშინ დამქირავებელს შეუძლია შეწყვიტოს ქირავნობის ურთიერთობა ქვემოთ მოცემული წესებით:

a. ერთ წლამდე ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივების შემთხვევაში, – შეწყვეტის ერთთვიანი ვადის დაცვით კალენდარული თვის ბოლოს წარდგენილი ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადებით;

b. ერთ წელზე მეტი ვადით ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივების შემთხვევაში კი, – შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით კანონით განსაზღვრული თარიღიდან.

მუხლი 273

[1] თუ მხარეს სურს გაასაჩივროს ხელშეკრულების შეწყვეტა, მაშინ მან შესაბამისი მოთხოვნა სამომრიგებლო უწყებას უნდა წარუდგინოს შეწყვეტის შესახებ განცხადების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

[2] თუ დამქირავებელს სურს მოითხოვოს ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივება, მაშინ სამომრიგებლო უწყებას შესაბამისი მოთხოვნა უნდა წარუდგინოს:

a. უვადო ქირავნობის ურთიერთობის შემთხვევაში, – შეწყვეტის შესახებ განცხადების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში;

b. ვადიანი ქირავნობის ურთიერთობის შემთხვევაში კი, – ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა.

[3] მეორე გახანგრძლივების მოთხოვნა დამქირავებელმა სამომრიგებლო უწყებას უნდა წარუდგინოს პირველი გახანგრძლივების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 60 დღისა.

[4] სამომრიგებლო უწყებაში საქმის წარმოება რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით.

[5] თუ კომპეტენტური ორგანო არ აკმაყოფილებს დამქირავებლის მოთხოვნას ხელშეკრულების შეწყვეტის გასაჩივრებასთან დაკავშირებით, მაშინ მან საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივების შესაძლებლობა.

მუხლი 273a

[1] თუ ნაქირავები ნივთი განკუთვნილია საცხოვრებელი ბინის სახით გამოყენებისათვის, მაშინ მეუღლესაც შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტის გასაჩივრება, ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივების მოთხოვნა ან სხვა იმ უფლებების განხორციელებაც, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტისას ეკუთვნის დამქირავებელს.

[2] ქირავნობის ურთიერთობის გახანგრძლივების შესახებ შეთანხმებები ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი იდება ორივე მეუღლესთან.

[3] იგივე წესი აზრობრივად მოქმედებს რეგისტრირებული პარტნიორობის შემთხვევაში.

მუხლი 273b

[1] წინამდებარე თავი მოქმედებს ქვექირავნობის მიმართაც მანამდე, სანამ არ შეწყდება ძირითადი ქირავნობის ურთიერთობა. ქვექირავნობა შეიძლება გახანგრძლივდეს მხოლოდ ძირითადი ქირავნობის ურთიერთობის ვადის ფარგლებში.

[2] თუ ქვექირავნობის ძირითადი მიზანია ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას არსებული უფლებების დაცვის გვერდის ავლა, მაშინ ქვემოქირავნეს ენიჭება ასეთი დაცვა ძირითადი ქირავნობის ურთიერთობის გაუთვალისწინებლადაც. თუ ძირითადი ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება, მაშინ ქვემოქირავნესთან ხელშეკრულებაში დამქირავებლის ადგილს იკავებს გამქირავებელი.

მუხლი 273c

[1] დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას წინამდებარე თავის ნორმებით კუთვნილ უფლებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული.

[2] საწინააღმდეგო შეთანხმებები ბათილია.

მეოთხე თავი: (გაუქმებულია)

მუხლები 274–274g (გაუქმებულია)

მერვე ტიტულიbis: იჯარა

მუხლი 275

იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე ვალდებულია, მოიჯარეს სარგებლობაში გადასცეს ნაყოფის მომცემი ნივთი ან უფლება ნაყოფისა თუ ნამატის მიღების შესაძლებლობით, ხოლო მოიჯარემ კი ამისათვის მას უნდა გადაუხადოს საიჯარო ქირა.

მუხლი 276

საცხოვრებელი და კომერციული ფართების იჯარის მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს ასევე იმ ნივთების მიმართაც, რომლებსაც ამ ფართებთან ერთად მეიჯარე გამოსაყენებლად გადასცემს მოიჯარეს.

მუხლი 276a

[1] სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან ან სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებების მიმართ მოქმედებს 1985 წლის 4 ოქტომბრის ფედერალური კანონი სასოფლო-სამეურნეო იჯარის შესახებ, რამდენადაც ამ უკანასკნელში მოცემულია სპეციალური წესები.

[2] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით მოქმედებს ვალდებულებითი სამართალი საცხოვრებელი და კომერციული ფართების იჯარის მომწესრიგებელი ნორმების გამოკლებით.

მუხლი 277

თუ იჯარა მოიცავს ასევე მოწყობილობებს, რქოსან პირუტყვსა თუ მარაგებს, მაშინ თითოეულმა მხარემ მეორეს უნდა მიაწოდოს ამ საგნების ზუსტი, მის მიერ ხელმოწერილი ჩამონათვალი და მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ შეფასებაში.

მუხლი 278

[1] მეიჯარე ვალდებულია, შეთანხმებულ მომენტში ნივთი მეორე მხარეს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისა და მართვისათვის ვარგის მდგომარეობაში.

[2] თუ თავდაპირველი იჯარის ურთიერთობის დასრულებისას გაიცა ნივთის უკან დაბრუნების დამადასტურებელი აქტი, მაშინ ეს უკანასკნელი მეიჯარემ ახალ მოიჯარეს მისი მოთხოვნის საფუძველზე ნივთის გადაცემისას უნდა წარუდგინოს გასაცნობად.

[3] ანალოგიურად, მოიჯარეს შეუძლია მოითხოვოს მისი ინფორმირება თავდაპირველი იჯარის ურთიერთობის დროს არსებული საიჯარო ქირის თანხის ოდენობის თაობაზე.

მუხლი 279

მეიჯარე ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით განახორციელოს ნივთის ისე-

თი კაპიტალური რემონტი, რომელიც იჯარის ვადის განმავლობაში აუცილებელი ხდება, და, ამასთან, – იმ მომენტიდან, როდესაც მოიჯარემ მას შეატყობინა ასეთი რემონტის აუცილებლობის შესახებ.

მუხლი 280

მეიჯარეს ეკისრება ნივთთან დაკავშირებული ვალდებულებები და სხვა სახელმწიფო გადასახდელები.

მუხლი 281

[1] მოიჯარემ იჯარის ქირის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, დამატებითი ხარჯების თანხები უნდა გადაიხადოს საიჯარო წლის ბოლოს, თუმცა – არაუგვიანეს იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეთანხმებულია ან ადგილობრივი ჩვეულებებით მოითხოვება სხვა თარიღი.

[2] დამატებითი ხარჯების მიმართ მოქმედებს მუხლი 257a.

მუხლი 282

[1] თუ ნივთის მიღების შემდეგ მოიჯარე იმყოფება ვადამოსული იჯარის ქირისა თუ დამატებითი ხარჯების გადახდის ვადაგადაცილებაში, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მას წერილობითი შეტყობინებით დაუდგინოს, სულ ცოტა, 60-დღიანი გადახდის ვადა და გააფრთხილოს ის იმის შესახებ, რომ ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში იჯარის ურთიერთობა შეწყდება.

[2] თუ მოიჯარე არ ახორციელებს თანხების გადახდას დადგენილი ვადის განმავლობაში, მაშინ მეიჯარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება დამატებითი ვადის დაცვის გარეშე, ხოლო საცხოვრებელი და კომერციული ფართების შემთხვევაში კი, – კალენდარული თვის ბოლოს, სულ ცოტა, 30-დღიანი ვადის დაცვით.

მუხლი 283

[1] მოიჯარემ ნივთი უნდა მართოს მზრუნველობით მისი დანიშნულების შესაბამისად, განსაკუთრებით კი, მან უნდა იზრუნოს მისი ხანგრძლივვადიანი ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის.

[2] უძრავი ნივთის მოიჯარემ უნდა გაითვალისწინოს სახლის სხვა მობინადრეებისა და მეზობლების ინტერესები.

მუხლი 284

[1] მოიჯარემ უნდა იზრუნოს ნივთის ჩვეულებრივი მოვლა-პატრონობისათვის.

[2] მოიჯარემ ადგილობრივი ჩვეულებების შესაბამისად უნდა განახორციელოს მიმდინარე რემონტი, ისევე როგორც – შეცვალოს ახლით მცირე ღირებულების მქონე მოწყობილობები და სამუშაო იარაღები, როდესაც ისინი წლოვანებისა თუ ცვეთის შედეგად გამოუსადეგარი გახდა.

მუხლი 285

[1] თუ მიუხედავად მეიჯარის მხრიდან წარდგენილი წერილობითი გაფრთხილებისა, მოიჯარე აგრძელებს ნივთის მზრუნველობით გამოყენებისა თუ სხვა მობინადრეებისა და მეზობლების ინტერესების გათვალისწინებისა თუ ნივთის ჩვეულებრივი მოვლა-პატრონობის ვალდებულების დარღვევას ისე, რომ მეიჯარეს ან მობინადრეს ვეღარ მოეთხოვება იჯარის ურთიერთობის გაგრძელება, – მაშინ მეიჯარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება დამატებითი ვადის დაცვის გარეშე, ხოლო საცხოვრებელი და კომერციული ფართების შემთხვევაში კი, – კალენდარული თვის ბოლოს, სულ ცოტა, 30-დღიანი ვადის დაცვით.

[4] თუმცაღა, საცხოვრებელი და კომერციული ფართების მეიჯარეს დამატებითი ვადის დაცვის გარეშე შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მოიჯარე ნივთს განზრახ აყენებს მნიშვნელოვან ზიანს.

მუხლი 286

[1] თუ ნივთის კაპიტალური რემონტი აუცილებელია ან თუ მესამე პირი წარადგენს თავის უფლებებს იჯარის საგნის მიმართ, მაშინ მოიჯარემ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეიჯარეს.

[2] თუ მოიჯარე არ ატყობინებს მეიჯარეს აღნიშნულის შესახებ, მაშინ ის პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც ამის შედეგად წარმოეშობა მეიჯარეს.

მუხლი 287

[1] მოიჯარემ უნდა ითმინოს ნივთის მიმართ იმ კაპიტალური რემონტის ჩატარება, რომელიც აუცილებელია ნაკლის გამოსწორების ან ზიანის აღმოფხვრისა თუ შემცირებისათვის.

[2] მოიჯარემ უნდა დართოს მეიჯარეს ნივთის შემოწმების ნება, რამდენადაც ეს აუცილებელია ნივთის ექსპლუატაციის, გაყიდვისა თუ იჯარით ხელახალი გადაცემისათვის.

[3] მეიჯარემ დროულად უნდა აცნობოს მოიჯარეს სამუშაოებისა და ნივთის შემოწმების შესახებ და ასევე ასეთი სამუშაოების წარმოებისა და შემოწმების განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს მოიჯარის ინტერესები; იჯარის ქირის შემცირებასა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოიჯარის პოტენციური მოთხოვნების მიმართ აზრობრივად მოქმედებს ქირავნობის მომწესრიგებელი ნორმები (მუხ. 259d და 259e).

მუხლი 288

[1] ქირავნობის მომწესრიგებელი ნორმები (მუხ. 258 და მუხ. 259a–259i) აზრობრივად მოქმედებს, როდესაც:

a. მეიჯარე ნივთს არ გადასცემს მოიჯარეს შეთანხმებულ მომენტში ან გადასცემს მას ნაკლის მქონე ნივთს;

b. ნივთს წარმოეშობა ისეთი ნაკლი, რომლისათვისაც მოიჯარე პასუხს არ აგებს და რომლის საკუთარი ხარჯით აღმოფხვრის ვალდებულებაც მას არ ეკისრება ანდა თუ მოიჯარეს ხელი შეეშლება ნივთის ხელშეკრულების შესაბამის გამოყენებაში.

[2] მოიჯარის ინტერესების საზიანოდ დადებული განსხვავებული შეთანხმებები ბათილია, თუ ისინი მოცემულია:

a. წინასწარ ჩამოყალიბებულ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში;

b. საცხოვრებელი და კომერციული ფართების იჯარის ხელშეკრულებებში.

მუხლი 289

[1] ნივთის მიმართ განახლებები და ცვლილებები მეიჯარეს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოიჯარისათვის მისაღებია, ხოლო იჯარის ურთიერთობა კი არ არის შეწყვეტილი.

[2] სამუშაოების განხორციელებისას მეიჯარემ უნდა გაითვალისწინოს მოიჯარის ინტერესები; იჯარის ქირის შემცირებასა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოიჯარის პოტენციური მოთხოვნების მიმართ აზრობრივად მოქმედებს ქირავნობის მომწესრიგებელი ნორმები (მუხ. 259d და 259e).

მუხლი 289a

[1] მოიჯარეს ესაჭიროება მეიჯარის წერილობითი თანხმობა:

a. არსებული მართვის წესში ცვლილებებისათვის იმგვარად, რომ მათ ჰქონდეს განგრძობადი შედეგი იჯარის ვადის გასვლის შემდგომაც;

b. ნივთის მიმართ განხორციელებული განახლებები და ცვლილებები, რომლებიც სცილდება მისი ჩვეულებრივი მოვლა-პატრონობის ფარგლებს.

[2] თუ მეიჯარე ზემოაღნიშნულს დაეთანხმა, მაშინ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა მას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს წერილობითი ფორმით იყო შეთანხმებული.

[3] თუ მეიჯარე 1-ლი ნაწილის a ქვეპუნქტში მითითებულ ცვლილებას წერილობით არ დაეთანხმა, ხოლო მოიჯარემ კი სათანადო ვადის განმავლობაში ნივთი არ დააბრუნა საწყის მდგომარეობაში, მაშინ მეიჯარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება დამატებითი ვადის დაცვის გარეშე, ხოლო საცხოვრებელი და კომერციული ფართების შემთხვევაში კი, – კალენდარული თვის ბოლოს, სულ ცოტა, 30-დღიანი ვადის დაცვით.

მუხლი 290

[1] ქირავნობის მომწესრიგებელი ნორმები (მუხ. 261–261b) აზრობრივად მოქმედებს:

a. იჯარის საგნის გასხვისებისას;

b. იჯარის საგნის შეზღუდული სანივთო უფლებებით დატვირთვისას;

c. იჯარის წინასწარი ჩანაწერის სახით საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციისას.

მუხლი 291

[1] მოიჯარეს მეიჯარის თანხმობით შეუძლია ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს ქვეიჯარით ან ქირავნობით.

[2] ნივთის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული ფართების გაქირავებისათვის თანხმობის მიცემაზე მეიჯარეს შეუძლია უარი განაცხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

a. მოიჯარე უარს ამბობს ქირავნობის პირობების მეიჯარისათვის შეტყობინებაზე;

b. ქირავნობის პირობები ძირითადი იჯარის ხელშეკრულების პირობებთან შედარებით გაუმართლებელია;

c. გაქირავების შედეგად მეიჯარეს არსებითი ზარალი ადგება.

[3] მოიჯარე პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე იმისათვის, რომ ქვემოიჯარე ან დამქირავებელი ნივთით სარგებლობს სხვაგვარად, ვიდრე ეს თავად მისთვის არის ნებადართული. მეიჯარეს აღნიშნული პირობის დაცვა შეუძლია უშუალოდ მოსთხოვოს ქვემოიჯარეს ან დამქირავებელს.

მუხლი 292

კომერციული ფართების იჯარის მესამე პირზე გადასვლის მიმართ აზრობრივად მოქმედებს 263-ე მუხლი.

მუხლი 293

[1] თუ მოიჯარე ნივთს აბრუნებს ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე ან შეწყვეტის თარიღის დადგომამდე, მაშინ ის თავისუფლდება მეიჯარის მიმართ მასზე დაკისრებული ვალდებულებებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახდენს მეიჯარისათვის მისაღები ახალი მოიჯარის შეთავაზებას; ეს უკანასკნელი უნდა იყოს გადახდისუნარიანი და ასევე – მზად, იგივე პირობებით მიიღოს იჯარის ხელშეკრულება.

[2] წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარემ უნდა იხადოს იჯარის ქირის თანხა იმ თარიღამდე, როდესაც იჯარის ურთიერთობა ხელშეკრულების ან კანონის შესაბამისად წყდება ან შეიძლება შეწყდეს.

[3] კუთვნილი იჯარის ქირის თანხის ანგარიშში მეიჯარემ უნდა გაქვითოს ის თანხები, რომლებიც მან:

a. დაზოგა გასაწევ ხარჯებთან დაკავშირებით და

b. მიიღო შემოსავლის სახით ნივთის სხვაგვარი გამოყენებით ან განზრახ შეიკავა თავი ასეთი შემოსავლის მიღებისაგან.

მუხლი 294

იჯარის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და ვალების გაქვითვის მიმართ აზრობრივად მოქმედებს 265-ე მუხლი.

მუხლი 295

[1] თუ მხარეები პირდაპირ გამოხატული ფორმით ან უსიტყვოდ შეთანხმდნენ განსაზღვრულ ვადაზე, მაშინ იჯარის ურთიერთობა წყდება ამ ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების გარეშე.

[2] თუ მხარეებმა უსიტყვოდ გააგრძელეს იჯარის ურთიერთობა, მაშინ ეს უკანასკნელი მოქმედებს იგივე პირობებით შემდეგი ერთი წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ.

[3] მხარეებს საიჯარო წლის დასრულებისთანავე შეუძლიათ შეწყვიტონ გახანგრძლივებული იჯარის ურთიერთობა კანონისმიერი ვადის დაცვით.

მუხლი 296

[1] მხარეებს ნებისმიერი თარიღიდან ექვსთვიანი ვადის დაცვით შეუძლიათ შეწყვიტონ უვადო იჯარის ურთიერთობა, რამდენადაც შეთანხმებით ან ადგილობრივი ჩვეულებებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული და იჯარის საგნის სახეობის მიხედვით მხარეთა სხვაგვარი ნება არ ივარაუდება.

[2] საცხოვრებელი და კომერციული ფართების უვადო იჯარის ურთიერთობის შემთხვევაში, მხარეებს, სულ ცოტა, ექვსთვიანი ვადის დაცვით შეუძლიათ შეწყვიტონ იჯარის ურთიერთობა ადგილობრივი ჩვეულებებით განსაზღვრული თარიღიდან, ხოლო ადგილობრივი ჩვეულებების არარსებობისას კი, – იჯარის სამთვიანი ვადის ამოწურვის მომენტიდან. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უფრო მეტ ვადაზე ან სხვა თარიღზე.

[3] თუ მხარეები არ იცავენ შეწყვეტის ვადას ან არ ელოდებიან თარიღის დადგომას, მაშინ იჯარის ურთიერთობა შეწყვეტილად ითვლება მომდევნო შესაძლო თარიღიდან.

მუხლი 297

[1] როდესაც მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე ხელშეკრულების შესრულება მხარეთათვის მიზანშეუწონელი ხდება, ამ უკანასკნელებს კანონისმიერი ვადის დაცვით შეუძლიათ ნებისმიერი მომენტიდან შეწყვიტონ იჯარის ურთიერთობა.

[2] სასამართლო ვადაზე ადრე იჯარის შეწყვეტის ქონებრივ-სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავს საქმის ყველა გარემოების შეფასებით.

მუხლი 297a

[1] თუ ნივთის მოიჯარის მიერ მიღების შემდეგ ამ უკანასკნელის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება, მაშინ იჯარის ურთიერთობა წყდება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტიდან.

[2] თუმცაღა, თუ მეიჯარე მიმდინარე საიჯარო ქირისა და ინვენტარისათვის იღებს საკმარის უზრუნველყოფას, მაშინ მან იჯარის ურთიერთობა უნდა გააგრძელოს საიჯარო წლის ბოლომდე.

მუხლი 297b

თუ გარდაიცვლება მოიჯარე, მაშინ როგორც მის მემკვიდრეებს, ისე მეიჯარესაც შეუძლიათ კანონისმიერი ვადის დაცვით კანონით განსაზღვრული შემდგომი თარიღიდან შეწყვიტონ იჯარის ურთიერთობა.

მუხლი 298

[1] საცხოვრებელი და კომერციული ფართების მეიჯარემ და მოიჯარემ იჯარის შეწყვეტა უნდა გააფორმონ წერილობით.

[2] მეიჯარემ იჯარის შეწყვეტა უნდა გააფორმოს კანტონის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ბლანკის გამოყენებით, სადაც მითითებულია, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მოიჯარემ იმ შემთხვევაში, თუ მას სურს ხელშეკრულების შეწყვეტის გასაჩივრება ან იჯარის ურთიერთობის გახანგრძლივება.

[3] იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის ნების გამოვლენა ბათილია, თუ ის არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

მუხლი 299

[1] მოიჯარე ნივთსა და მთლიან ინვენტარს უკან აბრუნებს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ისინი იმყოფება დაბრუნების მომენტისათვის.

[2] მოიჯარეს გაუმჯობესებებისათვის შეუძლია მოითხოვოს საკომპენსაციო თანხა იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენს შედეგს:

a. იმ მცდელობებისა, რომლებიც სცილდება ჯეროვანი მართვის ფარგლებს;

b. იმ განახლებებისა და ცვლილებების, რომლებსაც მეიჯარე წერილობით დაეთანხმა.

[3] მოიჯარემ უნდა გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა ნივთის იმ გაუარესებისათვის, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა მის მიერ ნივთის ჯეროვანი მართვის შემთხვევაში.

[4] ბათილია შეთანხმებები, რომლითაც მოიჯარე წინასწარ კისრულობს ვალდებულებას, იჯარის ურთიერთობის დასრულებისას გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი თანხა მიმართულია შესაძლო ზიანის ანაზღაურებისკენ.

მუხლი 299a

[1] ნივთის დაბრუნებისას მეიჯარემ უნდა შეამოწმოს მისი მდგომარეობა და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოიჯარეს იმ ნაკლის შესახებ, რომლისათვისაც ეს უკანასკნელი არის პასუხისმგებელი.

[2] თუ მეიჯარე აღნიშნულს არ მოიმოქმედებს, მაშინ ის კარგავს თავის მოთხოვნის უფლებებს, რამდენადაც საქმე არ ეხება ისეთ ნაკლს, რომლის შემჩნევაც შეუძლებელი იქნებოდა ჩვეულებრივი დათვალიერების შემთხვევაში.

[3] თუ მეიჯარე ნაკლს მოგვიანებით აღმოაჩენს, მაშინ მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მოიჯარეს.

მუხლი 299b

[1] თუ ნივთის გადაცემისას მხარეებმა მოახდინეს ინვენტარის შეფასება, მაშინ იჯარის ურთიერთობის დასრულებისას მოიჯარემ უნდა დააბრუნოს იგივე სახისა და ღირებულების მქონე ინვენტარი ან აანაზღაუროს შემცირებული ღირებულება.

[2] მოიჯარეს არ ეკისრება დაკარგული საგნების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება, თუ ის ამტკიცებს, რომ დანაკლისი გამოწვეულია მეიჯარის ბრალით ან დგება დაუძლეველი ძალის შედეგად.

[3] მოიჯარეს შეუძლია მოითხოვოს საკომპენსაციო თანხა იმ ნამეტი ღირებულებისათვის, რომელიც წარმოადგენს მის მიერ გაწეული დანახარჯებისა და წარმოებული სამუშაოს შედეგს.

მუხლი 299c

გასული ერთი წლისა და მიმდინარე წლის პერიოდისათვის გადასახდელი ქირის თანხების საუზრუნველყოფოდ კომერციული ფართების მეიჯარეს აქვს იგივე დაკავების უფლება, რაც გამქირავებელს ქირის თანხის მოთხოვნებისადმი (მუხ. 268 და შემდ.).

მუხლი 300

[1] საცხოვრებელი და კომერციული ფართების იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისას არსებული უფლებების დაცვის მიმართ აზრობრივად მოქმედებს ქირავნობის მომწესრიგებელი ნორმები (მუხ. 271–273c).

[2] ოჯახის საცხოვრებელი ბინის მომწესრიგებელი ნორმები (მუხ. 273a) არ გამოიყენება.

მუხლი 301

საქმის წარმოება რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით.

მუხლი 302

[1] როდესაც ხელშეკრულება ან ადგილობრივი ჩვეულებები სხვაგვარად არ განსაზღვრავს, რქოსანი პირუტყვის იჯარისა და მენეჯმენტის (Viehpacht und Viehverstellung) შემთხვევაში, რაც დაკავშირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო იჯარასთან, შესაბამისი პირუტყვით სარგებლობის უფლება ეკუთვნის მოიჯარე-ფერმერს (Einsteller).

[2] მენეჯერი კისრულობს პირუტყვის ჭმევისა და მოვლის ვალდებულებას, ისევე როგორც მეიჯარე-მმართველს (Versteller) პროცენტებს უხდის ფულადი თანხის ან მიღებული სარგებლის ნაწილის გადაცემით სახით.

მუხლი 303

[1] თუ ხელშეკრულება ან ადგილობრივი ჩვეულებები სხვაგვარად არ განსაზღვრავს, მოიჯარე-ფერმერი პასუხს აგებს იჯარით მიღებული რქოსანი პირუტყვისათვის მიყენებული ზიანისათვის, როდესაც ის ვერ ამტკიცებს, რომ ზიანის თავიდან აცილება მისთვის შეუძლებელი იქნებოდა მიუხედავად გამოჩენილი გულმოდგინე დაცვის და მოვლა-პატრონობისა.

[2] მოვლა-პატრონობაზე გაწეული განსაკუთრებული ხარჯებისათვის მოიჯარე-ფერმერს შეუძლია მეიჯარე-მმართველისაგან მოითხოვოს საკომპენსაციო თანხის გადახდა, თუ ამ ხარჯების გაწევა არ იყო გამოწვეული მოიჯარე-ფერმერის ბრალით.

[3] მოიჯარე-ფერმერმა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეატყობინოს მეიჯარე-მმართველს მძიმე უბედური შემთხვევებისა თუ დაავადებების შესახებ.

მუხლი 304

[1] თუ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით, მაშინ ყოველ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მისი შეწყვეტა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება ან ადგილობრივი ჩვეულებები სხვაგვარად განსაზღვრავს.

[2] თუმცაღა, ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად და არა – შეუსაბამო დროს.

მეცხრე ტიტული: თხოვება/სესხი (Leihe)

პირველი თავი: თხოვება (Gebrauchsleihe)

მუხლი 305

თხოვების ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი კისრულობს ვალდებულებას, მონათხოვრეს უსასყიდლო სარგებლობისათვის გადასცეს ნივთი, ხოლო მონათხოვრე კი ვალდებულია, გამოყენების შემდეგ იგივე ნივთი დაუბრუნოს გამნათხოვრებელს.

მუხლი 306

[1] მონათხოვრეს შეუძლია ნათხოვარი ნივთით ისარგებლოს მხოლოდ იმგვარად, როგორც ეს გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, ხოლო როდესაც მხარეები აღნიშნულზე არ შეთანხმებულან, – ნივთის თვისებების ან განსაზღვრული მიზნის შესაბამისად.

[2] მონათხოვრეს არ შეუძლია ნივთი სარგებლობისათვის გადასცეს სხვა პირს.

[3] თუ მონათხოვრე მოქმედებს აღნიშნული დანაწესების საწინააღმდეგოდ, მაშინ ის პასუხს აგებს ასევე შემთხვევით მიყენებული ზიანისათვისაც, როდესაც ის ვერ ამტკიცებს, რომ ზიანი დადგებოდა შემთხვევითობის მიუხედავადაც.

მუხლი 307

[1] მონათხოვრეს ეკისრება ნივთის ექსპლუატაციის ჩვეულებრივი ხარჯები, ხოლო ნათხოვარი ცხოველების შემთხვევაში კი, – ასევე მათი ჭმევის ხარჯებიც.

[2] მონათხოვრეს შეუძლია გამნათხოვრებლისაგან მოითხოვოს საკომპენსაციო თანხის გადახდა იმ განსაკუთრებული ხარჯებისათვის, რომელთა გაწევაც მას გამნათხოვრებლის ინტერესებში ეკისრებოდა.

მუხლი 308

თუ რამდენიმე პირი ნივთს ერთობლივად იღებს თხოვებით, მაშინ ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად.

მუხლი 309

[1] თუ თხოვებისათვის არ არის შეთანხმებული განსაზღვრული ვადა, მაშინ ის წყდება იმ მომენტში, როდესაც მონათხოვრე ხელშეკრულების შესაბამისად ისარგებლებს ნივთით ან გავა ის ვადა, რომლის განმავლობაშიც შესაძლოა მომხდარიყო ნივთით სარგებლობა.

[2] გამნათხოვრებელს შეუძლია მოითხოვოს ნივთის უფრო ადრე დაბრუნება, თუ მონათხოვრე მას იყენებს ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგოდ ან აუარესებს მის მდგომარეობას ან სარგებლობაში გადასცემს მესამე პირს, ანდა – როდესაც წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო მას ნივთი სასწრაფოდ სათავისოდ ესაჭიროება.

მუხლი 310

როდესაც გამნათხოვრებელმა მონათხოვრეს ნივთი სარგებლობაში გადასცა ვადისა და მიზნობრიობის განსაზღვრის გარეშე, მაშინ მას ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება.

მუხლი 311

თხოვება წყდება მონათხოვრის გარდაცვალებით.

მეორე თავი: სესხი

მუხლი 312

სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს მსესხებელს საკუთრების უფლება ფულად თანხაზე ან სხვა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებზე, ხოლო მსესხებელი კი, თავის მხრივ, ვალდებულია დააბრუნოს იგივე სახეობის ნივთები იგივე რაოდენობითა და ხარისხით.

მუხლი 313

[1] ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში სესხს ერიცხება პროცენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი მხარეთა მიერ შეთანხმებულია.

[2] სამეწარმეო ურთიერთობებში პროცენტები ექვემდებარება გადახდას მიუხედავად მხარეთა შორის შეთანხმებისა.

მუხლი 314

[1] როდესაც ხელშეკრულება საპროცენტო განაკვეთს არ განსაზღვრავს, მაშინ შეთანხმებულად ივარაუდება ის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სესხის თანხის მიღების მომენტისათვის და ადგილას ჩვეულებრივ გამოიყენებოდა შესაბამისი სახის სესხებისათვის.

[2] სხვა შეთანხმების არარსებობისას ყოველწლიური პროცენტის სახით გადახდას ექვემდებარება შეპირებული პროცენტები.

[3] ბათილია ნებისმიერი წინასწარი შეთანხმება, რომლის თანახმადაც პროცენტები უნდა დაემატოს ძირითად თანხასა და შემდგომში მას კიდევ დაერიცხოს პროცენტი, კონტოკორენტულ ანგარიშზე და იმ ანალოგიურ კომერციულ დოკუმენტებში სამეწარმეო პროცენტების გამოანგარიშების გათვალისწინების პირობით, რომელთა შემთხვევაშიც რთული პროცენტის გამოანგარიშება ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს, როგორც, მაგალითად, – შემნახველი სალაროების შემთხვევაში.

მუხლი 315

მსესხებლის მოთხოვნის უფლება სესხის ობიექტის გადმოცემაზე და ასევე გამსესხებლის მოთხოვნის უფლება სესხის მიღებაზე ხანდაზმულია ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე, რომელიც აითვლება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების თარიღიდან.

მუხლი 316

[1] გამსესხებელს შეუძლია უარი თქვას სესხის ობიექტის გადაცემაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ მსესხებელი გადახდისუუნარო გახდა.

[2] აღნიშნული უფლებამოსილება გამსესხებელს აქვს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადახდისუუნარობა დამდგარია უკვე ხელშეკრულების დადების მომენტამდე, თუმცა ეს მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ მოგვიანებით.

მუხლი 317

[1] თუ მსესხებელს ნაცვლად შეთანხმებული ფულადი თანხისა გადაეცა ფასიანი ქაღალდები ან საქონელი, მაშინ სესხის თანხად მიიჩნევა ის საბირჟო ან საბაზრო ფასი, რომელიც აღნიშნულ ქაღალდებსა თუ საქონელს ჰქონდა გადაცემის მომენტისათვის და ადგილას.

[2] ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

მუხლი 318

სესხი, რომლის დაბრუნებისათვის არ არის შეთანხმებული არც განსაზღვრული თარიღი, არც ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა და არც მისი ნებისმიერ დროს პირველივე მოთხოვნისთანავე შეწყვეტის შესაძლებლობა, ექვემდებარება უკან დაბრუნებას გამსესხებლის პირველი მოთხოვნიდან ექვსი კვირის განმავლობაში.

მეათე ტიტული: შრომითი ხელშეკრულება

პირველი თავი: ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება

მუხლი 319

[1] ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული კისრულობს ვალდებულებას, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით შეასრულოს სამუშაო დამსაქმებლის სამსახურში, ხოლო ეს უკანასკნელი კი ვალდებულია, გადაუხადოს მას ხელფასი, რომელიც გამოითვლება ნამუშევარი დროისა (დროითი ხელფასი) თუ შესრულებული სამუშაოს (ნარდობრივი ხელფასი) მიხედვით.

[2] ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებად მიიჩნევა ასევე ხელშეკრულება, რომლითაც დასაქმებული კისრულობს ვალდებულებას, დამსაქმებლის სამსახურში შეასრულოს უწყვეტი სამუშაო საათობრივი, ნახევარდღიანი თუ დღიური განაკვეთით (შეთავსებით მუშაობა).

მუხლი 320

[1] თუ კანონით სხვაგვარად არ დადგინდება, თავისი ნამდვილობისათვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება არ საჭიროებს სპეციალური ფორმით დადებას.

[2] ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება დადებულად ითვლება ასევე იმ

შემთხვევაშიც, როდესაც დამსაქმებელი განსაზღვრული ვადის განმავლობაში ახდენს საკუთარ სამსახურში იმ სამუშაოს მიღებას, რომლის შესრულებაც არსებული გარემოებების შესაბამისად მოსალოდნელია მხოლოდ ხელფასის სანაცვლოდ.

[3] როდესაც დასაქმებული დამსაქმებლის სამსახურში სამუშაოს კეთილსინდისიერად ასრულებს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც შემდგომში ცნობილ იქნა ბათილად, მაშინ ორივე მხარემ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალეობები უნდა შეასრულოს იგივე წესით, როგორც ნამდვილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმ მომენტამდე, როდესაც ხელშეკრულების ბათილობის გამო აღნიშნული ურთიერთობა ერთი ან მეორე მხარის მიერ უქმდება.

მუხლი 321

რამდენადაც სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან არსებული გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, დასაქმებულმა ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო უნდა შეასრულოს პირადად.

მუხლი 321a

[1] დასაქმებულმა გულმოდგინედ უნდა შეასრულოს მაზე დაკისრებული სამუშაო და კეთილსინდისიერად დაიცვას დამსაქმებლის ლეგიტიმური ინტერესები.

[2] დასაქმებულმა კვალიფიციურად უნდა გამოიყენოს დამსაქმებლის მანქანა-დანადგარები, სამუშაო იარაღები, ტექნიკური მოწყობილობები და ნაგებობები, ისევე როგორც – სატრანსპორტო საშუალებები და ასევე მზრუნველობით მოეპყროს როგორც აღნიშნულ ობიექტებს, ისე სამუშაოს შესრულების მიზნით მის ხელთ არსებულ მასალებს.

[3] შრომითი ურთიერთობის განმავლობაში დასაქმებულს არ შეუძლია სასყიდლიანი სამუშაოს შესრულება მესამე პირებისათვის, რამდენადაც ის ამით დაარღვევს მასზე დაკისრებულ ერთგულების ვალდებულებას, განსაკუთრებით კი, – როდესაც ასეთი სამუშაოს შესრულებით ის კონკურენციას უწევს დამსაქმებელს.

[4] შრომითი ურთიერთობის განმავლობაში დასაქმებულს არ შეუძლია გამოიყენოს ან სხვა პირს გადასცეს ის კონფიდენციალური ინფორმაცია, სახელდობრ, – საწარმოო და კომერციული საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დამსაქმებლის სამსახურში მუშაობის დროს; საიდუმლოების გაუხმაურებლობის ვალდებულება მას უნარჩუნდება ასევე შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, რამდენადაც ეს აუცილებელია დამსაქმებლის ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.

მუხლი 321b

[1] დასაქმებულმა დამსაქმებელს უნდა წარუდგინოს ანგარიში ყოველივე იმის შესახებ, რასაც ის მესამე პირებისაგან იღებს მასზე დაკისრებული სახელშეკრულებო საქმიანობის განხორციელებისას, როგორც, მაგალითად, – ფულადი თანხები და ასევე მან ყოველივე აღნიშნული დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს დამსაქმებელს.

[2] დასაქმებულმა ასევე დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს დამსაქმებელს ყოველივე ის, რასაც დასაქმებული აწარმოებს მასზე დაკისრებული სახელშეკრულებო საქმიანობის რეალიზაციის პროცესში.

მუხლი 321c

[1] თუ არსებული შეთანხმებებით ან ჩვეულებებით ანდა სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულ სამუშაო დროის მოცულობასთან ერთად მოითხოვება ასევე ზეგანაკვეთული სამუშაო, მაშინ დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ასეთი სამუშაო იმდენად, რამდენადაც ეს მას შეუძლია და ასევე მას შეიძლება მოეთხოვოს ზეგანაკვეთული სამუშაოს შესრულება კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.

[2] დასაქმებულთან შეთანხმებით დამსაქმებელს შეუძლია აუნაზღაუროს მას ზეგანაკვეთული სამუშაო გონივრული პერიოდის განმავლობაში, სულ ცოტა, იგივე ნამუშევარი პერიოდის სანაცვლოდ დასვენების დროის მიცემით.

[3] თუ ზეგანაკვეთული სამუშაო არ ანაზღაურდება დასვენების დროის მიცემით და მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმებულან ან სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული, მაშინ დამსაქმებელმა ზეგანაკვეთული სამუშაოსათვის დასაქმებულს უნდა გადაუხადოს ხელფასი, რომელიც უტოლდება ჩვეულებრივ ხელფასს ამ უკანასკენლისათვის მისი ოდენობის, სულ ცოტა, ერთი მეოთხედის დამატებით.

მუხლი 321d

[1] დამსაქმებელს სამუშაოს შესრულების წესისა და წარმოებაში ან საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულების ყოფა-ქცევის შესახებ შეუძლია გასცეს ზოგადი მითითებები და მისცეს ამ დასაქმებულებს სპეციალური ინსტრუქციები.

[2] დასაქმებულზე ზოგადი მითითებების გაცემისა და მისთვის სპეციალური ინსტრუქციების მიცემისას დამსაქმებელმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.

მუხლი 321e

[1] დასაქმებული პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელსაც ის განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს დამსაქმებელს.

[2] ზრუნვის ფარგლები, რომლისათვისაც პასუხს აგებს დასაქმებული, განისაზღვრება ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის მიხედვით სამუშაოს შესრულებისათვის მოთხოვნილი პროფესიული რისკის, განათლების დონისა თუ პროფესიული განათლების გათვალისწინებით, ისევე როგორც – დასაქმებულის უნარ-ჩვევები და დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც დამსაქმებლისათვის ცნობილი იყო ან რომელთა შესახებაც მას უნდა სცოდნოდა.

მუხლი 322

[1] დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა გადაუხადოს არსებული შეთანხმებით ან ჩვეულებებით ანდა სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ხელფასი.

[2] თუ დასაქმებული ცხოვრობს დამსაქმებელთან ერთად საერთო ოჯახში, მა-

შინ მისი რჩენის ხარჯები სახლში განთავსებისა და კვების თანხებთან ერთად ქმნის ხელფასის ნაწილს, რამდენადაც სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან დადგენილი ჩვეულებებით.

მუხლი 322a

[1] თუ დასაქმებულს აქვს სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება მოგების ან ბრუნვის ანდა სამეურნეო საქმიანობის სხვაგვარი შედეგების წილზე, მაშინ წილის ოდენობის გამოანგარიშებისათვის განმსაზღვრელია სამეურნეო წლის შედეგები, როგორც ეს დგინდება საკანონმდებლო ნორმებისა და საყოველთაოდ აღიარებული კომერციული პრინციპების მიხედვით.

[2] დამსაქმებელმა დასაქმებულს ან ამ უკანასკნელის ნაცვლად ორივე მხარის მიერ ერთობლივად განსაზღვრულ ანდა მოსამართლის მიერ დანიშნულ ექსპერტს უნდა მისცეს აუცილებელი ახსნა-განმარტება და უზრუნველყოს მათთვის საბუღალტრო წიგნების გასაცნობად ხელმისაწვდომობა, რამდენადაც ეს მოითხოვება დამატებითი შემოწმებისათვის.

[3] თუ მხარეთა შორის შეთანხმებულია საწარმოს მოგებაში მონაწილეობა, მაშინ დასაქმებულს, გარდა აღნიშნულისა, მოთხოვნის საფუძველზე უნდა გადაეცეს მოგება-ზარალის უწყისის ასლი.

მუხლი 322b

[1] თუ განსაზღვრული გარიგებების დადებისათვის მხარეთა შორის შეთანხმებულია დასაქმებულისათვის საკომისიოს გადახდა, მაშინ ამ უკანასკნელზე მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც მესამე პირთან დაიდება ძალმოსილი გარიგება.

[2] ეტაპობრივად შესასრულებელი გარიგებების შემთხვევაში, ისევე როგორც დაზღვევის ხელშეკრულებების დროს მხარეებს შეუძლიათ წერილობით შეთანხმდნენ, რომ საკომისიოს მიღების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ნებისმიერი ნაწილის გადახდის ვადის დადგომისას ან გადახდისას.

[3] საკომისიოს მიღების მოთხოვნის უფლება სამომავლოდ უქმდება, თუ დამსაქმებლის მხრიდან ბრალის არარსებობისას ეს უკანასკენლი ვერ შეასრულებს გარიგებას ან როდესაც მესამე პირი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს; მხოლოდ ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში კი საკომისიოს თანხა პროპორციულად მცირდება.

მუხლი 322c

[1] თუ ხელშეკრულების პირობების თანახმად დასაქმებულს არ მოეთხოვება მისთვის გადასახდელი საკომისიოს თანხის საანგარიშგებო დოკუმენტის წარდგენა, მაშინ გადახდის ყოველი თარიღისათვის დამსაქმებელმა მას უნდა წარუდგინოს წერილობითი ანგარიში იმ გარიგებების შესახებ ინფორმაციის მითითებით, რომელთათვისაც გადასახდელია საკომისიო.

[2] დამსაქმებელმა დასაქმებულს ან ამ უკანასკნელის ნაცვლად ორივე მხარის მიერ ერთობლივად განსაზღვრულ ანდა მოსამართლის მიერ დანიშნულ ექსპერტს უნდა მისცეს აუცილებელი ახსნა-განმარტება და უზრუნველყოს მათთვის საანგარიშგებო საბუღალტრო წიგნებისა და შესაბამისი საბუღალტრო დოკუ-

მენტაციის გასაცნობად ხელმისაწვდომობა, რამდენადაც ეს მოითხოვება დამატებითი შემოწმებისათვის.

მუხლი 322d

[1] თუ დამსაქმებელი განსაზღვრულ შემთხვევებთან დაკავშირებით, როგორიცაა, მაგ., შობა ან სამეურნეო წლის დასასრული, ხელფასის გარდა გასცემს ასევე პრემიას, მაშინ დასაქმებულს აქვს აღნიშნულზე მოთხოვნის უფლება, როდესაც ეს მხარეთა მიერ შეთანხმებულია.

[2] თუ შრომითი ურთიერთობა წყდება მანამდე, სანამ დადგება პრემიის გაცემისათვის გათვალისწინებული შესაბამისი გარემოება, მაშინ დასაქმებულს აქვს მოთხოვნის უფლება პრემიის პროპორციულ ნაწილზე, როდესაც ეს მხარეთა მიერ შეთანხმებულია.

მუხლი 323

[1] თუ უფრო მცირე ვადები ან სხვა თარიღები არ არის შეთანხმებული ან ჩვეულებებით დადგენილი და სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები სხვაგვარად არ განსაზღვრავს, მაშინ დასაქმებულს ხელფასი უნდა მიეცეს ყოველი თვის ბოლოს.

[2] თუ უფრო მცირე ვადა არ არის შეთანხმებული ან ჩვეულებებით დადგენილი, მაშინ საკომისიო ექვემდებარება გადახდას ყოველი თვის ბოლოს; თუმცაღა, თუ გარიგებების შესრულება მოითხოვს ნახევარ წელზე მეტ ვადას, მაშინ ამ გარიგებებისათვის გათვალისწინებული საკომისიოს გადახდა მხარეთა შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით შეიძლება გადავადდეს.

[3] სამეურნეო წლის შედეგების წილები ექვემდებარება ანაზღაურებას, როგორც კი ეს შედეგები დადგინდება, თუმცა – სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა.

[4] დამსაქმებელმა შესრულებული სამუშაოს შესაბამისად დასაქმებულს უნდა გადაუხადოს საავანსო თანხა, თუ ეს უკანასკნელი დასაქმებულს ესაჭიროება რთული ეკონიმიკური მდგომარეობის გამო, ხოლო დამსაქმებელს კი გამართლებულად შეუძლია ასეთი თანხის გაცემა.

მუხლი 323a

[1] რამდენადაც ეს მხარეთა შორის შეთანხმებულია ან განსაზღვრულია ჩვეულებებით ანდა სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით, დამსაქმებელს შეუძლია დააკავოს ხელფასის თანხის ნაწილი.

[2] ყოველი ცალკეული ხელფასის გაცემის დღისათვის დაკავებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის თანხის ერთ მეათედს, ხოლო მთლიანობაში კი, – ერთი კვირის სამუშაოსათვის გათვალისწინებული ხელფასის ოდენობას; თუმცა, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს უფრო მეტი სახელფასო თანხის დაკავებაც.

[3] თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან დადგენილი ჩვეულებებით ანდა სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით, მაშინ დაკავებული სახელფასო თანხა განიხილება როგორც შრომითი ურთიერთობიდან

გამომდინარე დამსაქმებლის კუთვნილი მოთხოვნების უზრუნველყოფა და არა – როგორც პირგასამტეხლო.

მუხლი 323b

[1] რამდენადაც სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან დადგენილი ჩვეულებებით, დასაქმებულმა ხელფასი უნდა მიიღოს სამუშაო საათების განმავლობაში ეროვნულ ვალუტაში; დასაქმებულს უნდა წარედგინოს ხელფასის შესახებ წერილობითი საანგარიშო დოკუმენტი.

[2] დამსაქმებელს შეუძლია შეგებებული მოთხოვნის სახელფასო მოთხოვნასთან გაქვითვა მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს უკანასკნელი ექვემდებარება დაყადაღებას, თუმცა განზრახ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები შეიძლება გაიქვითოს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

[3] ბათილია შეთანხმებები, რომელთა თანახმადაც ხელფასი უნდა იქნეს გამოყენებული დამსაქმებლის ინტერესებში.

მუხლი 324

[1] თუ სამუშაო ვერ სრულდება დამსაქმებლის მხრიდან ბრალეული ქმედების გამო ან თუ დამსაქმებელი სხვა მიზეზებიდან გამომდინარე აგვიანებს სამუშაოს მიღებას, მაშინ ის რჩება ვალდებული, გადაიხადოს ხელფასი ისე, რომ დასაქმებულს არ ეკისრება შემდგომში სამუშაოს დამატებით შესრულება.

[2] სახელფასო თანხის ანგარიშში დასაქმებულმა უნდა გაქვითოს ის თანხები, რომლებიც მან სამუშაოს შესრულების ხელის შეშლის შედეგად დაზოგა, ან რომლებიც მან მიიღო სხვაგვარი სამუშაოს შესრულების შედეგად ანდა განზრახ თავი შეიკავა ასეთი თანხების მიღებისაგან.

მუხლი 324a

[1] თუ დასაქმებულს მის პიროვნებასთან დაკავშირებული ისეთი მიზეზებიდან გამომდინარე, როგორიცაა ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, კანონისმიერი მოვალეობის შესრულება ან საჯარო ფუნქციების განხორციელება, ხელი შეეშლება სამუშაოს შესრულებაში მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას, მაშინ მას დამსაქმებელმა შესაბამისი შეზღუდული დროის პერიოდისათვის უნდა უხადოს შესაბამისი ხელფასი ნატურალური ფორმით მიუღებელი ხელფასისათვის სათანადო საზღაურის ჩათვლით, რამდენადაც შრომითი ურთიერთობა გაგრძელდა ან დადებულია სამ თვეზე მეტი ვადით.

[2] თუ შეთანხმებებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდები არ არის განსაზღვრული, მაშინ დამსაქმებელმა პირველი სამუშაო წლის განმავლობაში უნდა იხადოს სამი კვირის სახელფასო თანხა, ხოლო ამის შემდგომ კი, – ხელფასი სათანადო უფრო ხანგრძლივი პერიოდებისათვის, რაც განისაზღვრება შრომითი ურთიერთობის ვადისა და განსაკუთრებული გარემოებების მიხედვით.

[3] დასაქმებულის ორსულობის შემთხვევაში დამსაქმებელმა უნდა იხადოს ხელფასი იგივე ოდენობით.

[4] წერილობითი შეთანხმებებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით შეიძლება შეთანხმებული იქნეს ზემოთ მოცემული დებუ-

ლებებისაგან განსხვავებული დანაწესები იმ პირობით, თუ ისინი დასაქმებულისათვის, სულ ცოტა, თანაბარღირებულია.

მუხლი 324b

[1] თუ დასაქმებულს კანონისმიერი ნორმის საფუძველზე აქვს მის პიროვნებასთან დაკავშირებული ბრალის გარეშე სამუშაოს შესრულებისათვის ხელისშემშლელი გარემოებების შექმნის ეკონომიკური შედეგების საწინააღმდეგო სავალდებულო დაზღვევა, მაშინ დამსაქმებელს არ ევალება ხელფასის გადახდა, როდესაც შესაბამისი შეზღუდული დროის პერიოდისათვის გადასახდელი სადაზღვევო თანხები ფარავს, სულ ცოტა, ამ პერიოდში მიუღებელი სახელფასო თანხის ოთხ მეხუთედს მაინც.

[2] თუ სადაზღვევო თანხები აღნიშნულზე ნაკლებია, მაშინ დამსაქმებელმა უნდა აანაზღაუროს ამ თანხებსა და სახელფასო თანხის ოთხ მეხუთედს შორის არსებული სხვაობა.

[3] თუ სადაზღვევო თანხები ექვემდებარება გადახდას მხოლოდ შესაბამისი ლოდინის პერიოდის (Wartezeit) გასვლის შემდეგ, მაშინ დამსაქმებელმა ამ პერიოდისათვის უნდა აანაზღაუროს, სულ ცოტა, სახელფასო თანხის ოთხი მეხუთედი მაინც.

მუხლი 325

[1] საოჯახო-სამართლებრივი რჩენისა და დახმარების ვალდებულების უზრუნველყოფისათვის დასაქმებულს შეუძლია მომავალში მისაღები კუთვნილი სახელფასო მოთხოვნების დათმობა ან დაგირავება იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს მოთხოვნები ექვემდებარება დაყადაღებას; დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე დასაქმებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი მოთხოვნების რეალიზაციის უწყება ვალების ამოღებისა და გაკოტრების შესახებ 1889 წლის 11 აპრილის კანონის 93-ე მუხლის თანახმად ადგენს თანხის იმ ოდენობას, რომელიც არ ექვემდებარება დაყადაღებას.

[2] სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული მომავალში მისაღები სახელფასო მოთხოვნების დათმობა და დაგირავება ბათილია.

მუხლი 326

[1] თუ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დასაქმებულმა ნარდობრივი სამუშაო უნდა შეასრულოს მხოლოდ და მხოლოდ ერთი დამსაქმებლისათვის, მაშინ ამ უკანასკნელმა მას უნდა მისცეს საკმარისი მოცულობის სამუშაო.

[2] თუ დამსაქმებელს მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას არ შეუძლია დასაქმებულისათვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისი მოცულობის სამუშაოს მიცემა ან თუ საწარმოო გარემოებები ითხოვს დროებით ნამუშევარი დროის მიხედვით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას, მაშინ დამსაქმებელს შეუძლია ასეთი სამუშაოს დასაქმებულისათვის მიცემა.

[3] თუ დროითი ხელფასი არ არის განსაზღვრული შეთანხმებებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით, მაშინ დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა გადაუხადოს ის საშუალო ხელფასი, რომელიც ამ უკანასკნელმა მანამდე გამოიმუშავა ნარდობრივი სამუშაოს შესრულებისას.

[4] თუ დამსაქმებელს არ შეუძლია არც საკმარისი მოცულობის ნარდობრივი სამუშაოსა და არც დროის მიხედვით ანაზღაურებადი სამუშაოს მიცემა, ის მაინც რჩება ვალდებული, შესრულების მიღების ვადის გადაცილების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად გადაიხადოს სახელფასო თანხა, რომელიც მას უნდა გაეცა დროის მიხედვით ანაზღაურებადი სამუშაოს მიცემის შემთხვევაში.

მუხლი 326a

[1] თუ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დასაქმებულმა უნდა შეასრულოს ნარდობრივი სამუშაო, მაშინ დამსაქმებელმა მას სახელფასო თანხის განაკვეთის შესახებ უნდა შეატყობინოს ყოველი ცალკეული სამუშაოს დაწყებამდე.

[2] თუ დამსაქმებელი არ შეატყობინებს დასაქმებულს აღნიშნულის შესახებ, მაშინ მან უნდა გადაიხადოს ანალოგიური ან მსგავსი სამუშაოებისათვის დადგენილი სახელფასო თანხის განაკვეთი.

მუხლი 327

[1] თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან დადგენილი ჩვეულებებით, დამსაქმებელმა დასაქმებული უნდა აღჭურვოს იმ ხელსაწყოებითა და მასალებით, რომლებიც ამ უკანასკნელს დასჭირდება სამუშაოს შესასრულებლად.

[2] რამდენადაც სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან დადგენილი ჩვეულებებით, თუ დასაქმებული დამსაქმებელთან შეთანხმებით თავად ახდენს თავისი თავის ხელსაწყოებითა თუ მასალებით აღჭურვას, მაშინ მას ამისათვის უნდა მიეცეს სათანადო საზღაური.

მუხლი 327a

[1] დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა აუნაზღაუროს სამუშაოს შესრულების შედეგად წარმოშობილი ყველა აუცილებელი ხარჯი, ხოლო სამუშაო ტერიტორიის მიღმა შესრულებული სამუშაოს შემთხვევაში კი, – ასევე ცხოვრებისათვის საჭირო დანახარჯებიც.

[2] წერილობითი შეთანხმებებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით ხარჯების ანაზღაურების სახით შეიძლება განისაზღვროს მყარი საზღაური, როგორიცაა, სახელდობრ, დღიური საზღაური ან ყოველკვირეული თუ ყოველთვიური ანაზღაურება იმ პირობით, რომ ამით დაიფარება წარმოშობილი ყველა აუცილებელი ხარჯი.

[3] ბათილია შეთანხმებები, რომელთა თანახმადაც თავად დასაქმებულმა მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა იკისროს აუცილებელი ხარჯები.

მუხლი 327b

[1] თუ დასაქმებული დამსაქმებელთან შეთანხმებით თავისი სამუშაოს შესასრულებლად იყენებს დამსაქმებლის ან თავად მის მიერ გამოყოფილ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, მაშინ დასაქმებულს უნდა აუნაზღაურდეს სამუშაოს შესრულების მიზნით ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას მის ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი ხარჯები.

[2] თუ დასაქმებული დამსაქმებელთან შეთანხმებით თავისი სამუშაოს შესასრულებლად იყენებს თავის ავტოსატრანსპორტო საშუალებას, მაშინ მას დამა-

ტებით უნდა აუნაზღაურდეს სამუშაოს შესრულების მიზნით ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული სახელმწიფო გადასახადები, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პრემია და მიეცეს სათანადო კომპენსაცია ცვეთისათვის.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 327c

[1] რამდენადაც უფრო მოკლე ვადა არ არის შეთანხმებული ან დადგენილი ჩვეულებებით, დასაქმებულის ანგარიშგების საფუძველზე მის მიერ გაწეული ხარჯები ყოველთვის ექვემდებარება ანაზღაურებას ხელფასის თანხასთან ერთად.

[2] თუ დასაქმებული მასზე დაკისრებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიზნით რეგულარულად სწევს ხარჯებს, მაშინ მას განსაზღვრული დროის პერიოდებში, თუმცა, არანაკლებ ყოველი თვისა უნდა მიეცეს სათანადო ავანსი.

მუხლი 328

[1] დამსაქმებელმა შრომით ურთიერთობაში პატივი უნდა სცეს დასაქმებულის პიროვნებას და დაიცვას მისი პირადი უფლებები დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევითა და ზნეობის ნორმების დაცვაზე ზრუნვით. კერძოდ, დამსაქმებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დასაქმებული ქალები და კაცები არ გახდნენ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი და რომ ასეთმა მსხვერპლმა შემდგომში აღარ განიცადოს შევიწროების უარყოფითი შედეგები.

[2] დამსაქმებელმა უნდა მიიღოს ყველა ზომა დასაქმებულის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ხელშეუხებლობის დასაცავად, რაც აუცილებელია არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოყენებადია უახლესი ტექნიკის მხრივ და შეესაბამება წარმოებისა თუ საოჯახო მეურნეობაში არსებულ გარემოებებს იმ პირობით, რომ ასეთი ზომების მიღება შეიძლება მას გონივრულად მოეთხოვოს სპეციფიკური შრომითი ურთიერთობისა და შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით.

მუხლი 328a

[1] თუ დასაქმებული ცხოვრობს დამსაქმებელთან საერთო ოჯახში, მაშინ ამ უკანასკნელმა უნდა იზრუნოს მის საკმარის კვებასა და სახლში სრულყოფილ განთავსებაზე.

[2] თუ დასაქმებულს ავადმყოფობისა თუ უბედური შემთხვევის გამო ხელი შეეშლება სამუშაოს შესრულებაში მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას, მაშინ დამსაქმებელმა შესაბამისი შეზღუდული დროის პერიოდისათვის უნდა უზრუნველყოს მასზე ზრუნვა და მისთვის სამეციდინო დახმარების გაწევა, რაც შრომითი ურთიერთობის ვადისა და განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით პირველი სამუშაო წლის განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს სამი კვირა, ხოლო შემდომში კი, – შესაბამისად უფრო მეტი ხანი.

[3] იგივე ვალდებულებები დამსაქმებელს ეკისრება ასევე დასაქმებულის ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაშიც.

მუხლი 328b

დამსაქმებელს შეუძლია დასაქმებულის შესახებ მონაცემები გამოიყენოს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს მონაცემები ეხება დასაქმებულის შრომითი ურთიერთობისათვის შესაბამისობას ან მოითხოვება შრომითი ხელშეკრულების შესასრულებლად. დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით მოქმედებს მონაცემთა დაცვის შესახებ 1992 წლის 19 ივნისის ფედერალური კანონის ნორმები.

მუხლი 329

[1] დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა მისცეს კვირაში ერთი გამოსასვლელი დღე, როგორც წესი, – კვირადღე, ხოლო როდესაც ეს არსებული გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებელია, მაშინ აღნიშნულის ნაცვლად – სრული სამუშაო დღე.

[2] განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას დასაქმებულს მისი თანხმობით გამონაკლისის სახით შეიძლება მიეცეს რამდენიმე გამოსასვლელი დღე ერთად ან ნაცვლად ერთი სრული გამოსასვლელი დღისა – დასვენების ორი არასრული დღე.

[3] გარდა აღნიშნულისა, დასაქმებულს, ჩვეულებრივ, უნდა მიეცეს თავისუფალი საათები და დღეები, ხოლო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენის შემდეგ კი, – ასევე სხვა სამუშაო ადგილის მოძიებისათვის საჭირო დრო.

[4] გამოსასვლელი დროის განსაზღვრისას სათანადო წესით უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის ინტერესები.

მუხლი 329a

[1] დამსაქმებელმა დასაქმებულს ყოველ სამუშაო წელს უნდა მისცეს, სულ ცოტა, ოთხკვირიანი, ხოლო 20 წლამდე ასაკის დასაქმებულს კი, სულ ცოტა, – ხუთკვირიანი შვებულება.

[2] ... (გაუქმებულია)

[3] არასრული სამუშაო წლისათვის დასაქმებულს შვებულება მიეცემა შესაბამისი წლის განმავლობაში ნამუშევარი ვადის შესაბამისად.

მუხლი 329b

[1] თუ დასაქმებულს მისი მხრიდან არსებული ბრალის გამო ხელი შეეშლება სამუშაოს შესრულებაში მთლიანობაში სამუშაო წლის განმავლობაში ერთ თვეზე მეტი ხნით, მაშინ დამსაქმებელს შეუძლია ყოველი გაცდენილი სრული თვისათვის ერთი მეთორმეტედით შეამციროს მისი შვებულების დრო.

[2] თუ სამუშაოს შესრულებაში ხელის შეშლა მთლიანობაში არ აღემატება სამუშაო წლის განმავლობაში ერთ თვეს და ასეთი ხელის შეშლა გამოწვეულია დასაქმებულის პიროვნებასთან დაკავშირებული მიზეზებით, როგორიცაა ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, კანონისმიერი მოვალეობის შესრულება ან საჯარო ფუნქციების განხორციელება თუ ახალგაზრდული შვებულება, დასაქმებულის მხრიდან ბრალის არარსებობისას, მაშინ დამსაქმებლის მხრიდან შვებულების ვადის შემცირება დაუშვებელია.

[3] შვებულების განმავლობაში დამსაქმებლის მხრიდან შვებულების ვადის შემცირება დაუშვებელია ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც დასაქმებულს ორ თვემდე ვადით სამუშაოს შესრულებაში ხელი ეშლება ორსულობის გამო, ან იმის გამო, რომ მან მიიღო დედობის შემწეობა მიუღებელი შემოსავლების კომპენსაციის შესახებ 1952 წლის 25 სექტემბრის კანონის (EOG) გაგებით.

[4] სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით შესაძლებელია მე-2 და მე-3 ნაწილების დებულებებისაგან განსხვავებული დანაწესების მიღება იმ პირობით, თუ ისინი ზოგადად დასაქმებულისათვის, სულ ცოტა, თანაბარღირებულია.

მუხლი 329c

[1] როგორც წესი, შვებულება დასაქმებულს ეძლევა სამუშაო წლის განმავლობაში; სულ ცოტა, ორკვირიანი შვებულება უნდა იყოს ერთმანეთის მიყოლებით მიცემული.

[2] დამსაქმებელი განსაზღვრავს შვებულების მიცემის დროს და ამასთან ითვალისწინებს დასაქმებულის სურვილებს იმდენად, რამდენადაც ისინი შეესაბამება წარმოებისა თუ საოჯახო მეურნეობის ინტერესებს.

მუხლი 329d

[1] დამსაქმებელმა დასაქმებულს შვებულების პერიოდისათვის უნდა გადაუხადოს სრული ხელფასი და ნატურალური ფორმით სათანადო საზღაური მიუღებელი ხელფასისათვის.

[2] შრომითი ურთიერთობის განმავლობაში დაუშვებელია შვებულების სანაცვლოდ ფულადი საზღაურისა თუ სხვა სარგებლის მიცემა.

[3] თუ შვებულების პერიოდში დასაქმებული ანაზღაურებად სამუშაოს ასრულებს მესამე პირისათვის და ამით ირღვევა დამსაქმებლის ლეგიტიმური ინტერესები, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია უარი თქვას შვებულების თანხის გადახდაზე და მოითხოვოს უკვე გადახდილი შვებულების თანხის უკან დაბრუნება.

მუხლი 329e

[1] დამსაქმებელმა დასაქმებულს 30 წლის ასაკის მიღწევამდე ყოველი სამუშაო წლის განმავლობაში უნდა მისცეს შვებულება მთლიანობაში ერთ სამუშაო კვირამდე უსასყიდლო ხელმძღვანელობითი, სამზრუნველო თუ საკონსულტაციო საქმიანობისათვის, რომელიც ხორციელდება სკოლის გარეთ ახალგაზრდული შრომის ფარგლებში კულტურულ ან სოციალურ დაწესებულებაში, ისევე როგორც – აუცილებელი საწყისი და შემდგომი განათლების მიღების მიზნით.

[2] დასაქმებულს ახალგაზრდული შვებულების განმავლობაში არა აქვს ხელფასის მოღების მოთხოვნის უფლება. შეთანხმებებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით შესაძლებელია დასაქმებულის სასარგებლოდ განსხვავებული დანაწესების მიღება.

[3] დამსაქმებელი და დასაქმებული უნდა შეთანხმდნენ ახალგაზრდული შვებულების დროისა და ვადის შესახებ; ამ დროს ისინი ითვალისწინებენ თავიანთ ორმხრივ ინტერესებს. თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ დასაქმებულს მიეცემა ახალგაზრდული შვებულება იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელმა ორი

თვით ადრე უნდა შეატყობინოს დამსაქმებელს თავისი უფლების რეალიზაციის შესახებ. გამოუყენებელი ახალგაზრდული შვებულების უფლება ქარწყლდება კალენდარული წლის ბოლოს.

[4] დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე დასაქმებულმა უნდა დაამტკიცოს მის მიერ ახალდაზრდული შრომის პროცესში განხორციელებული საქმიანობა და შესრულებული ფუნქციები.

მუხლი 329f

მშობიარობის შემდეგ დასაქმებულ ქალს აქვს, სულ ცოტა, 14-კვირიანი შვებულების აღების უფლება მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო.

მუხლი 330

[1] თუ დასაქმებული მის მიერ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დაკისრებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელს გადასცემს განსაზღვრულ საგარანტიო თანხას (Kaution), მაშინ ამ უკანასკნელმა ეს თანხა უნდა შეინახოს თავისი ქონებისაგან განცალკევებულად და უზრუნველყოს მისი დაცულობა.

[2] დამსაქმებელმა საგარანტიო თანხა უკან უნდა დააბრუნოს მაქსიმუმ შრომითი ურთიერთობის დასრულებისთანავე, რამდენადაც მისი დაბრუნება არ არის გადავადებული მხარეთა შორის არსებული წერილობითი შეთანხმებით.

[3] თუ დამსაქმებელი ახდენს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნების რეალიზაციასა და ეს მოთხოვნები სადავოა, მაშინ მას შეუძლია დააკავოს საგარანტიო თანხა ამ უკანასკნელის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, თუმცა დასაქმებულის მოთხოვნის საფუძველზე მან დაკავებული თანხა უნდა განათავსოს სასამართლოს დეპოზიტზე.

[4] დამსაქმებლის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში, დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს დამსაქმებლის ქონებისაგან განცალკევებულად შენახული საგარანტიო თანხის დაბრუნება შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დამსაქმებლის კუთვნილი მოთხოვნების გათვალისწინების პირობით.

მუხლი 330a

[1] დასაქმებულს ნებისმიერ დროს შეუძლია დამსაქმებლისაგან მოითხოვოს ცნობის გაცემა შრომითი ურთიერთობის სახისა და ვადის შესახებ და ასევე – მის მიერ შესრულებული სამუშაოსა და ყოფა-ქცევის თაობაზე.

[2] დასაქმებულის სპეციალური მოთხოვნის საფუძველზე ცნობა უნდა შემოიფარგლებოდეს შრომითი ურთიერთობის სახისა და ვადის შესახებ ინფორმაციით.

მუხლი 330b

[1] თუ შრომითი ურთიერთობა დადებულია განუსაზღვრელი ვადით ან ერთ თვეზე მეტი ვადით, მაშინ დამსაქმებელმა შრომითი ურთიერთობის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა დასაქმებულს წერილობით უნდა შეატყობინოს:

a. ხელშეკრულების მხარეთა სახელები;

b. შრომითი ურთიერთობის დაწყების თარიღის შესახებ;
c. დასაქმებულის ფუნქციები;
d. ხელფასი და შესაძლო დანამატები;
e. სამუშაო კვირის ხანგრძლივობა.

[2] თუ 1-ლი ნაწილის თანახმად შესატყობინებელი ხელშეკრულების პირობები შრომითი ურთიერთობის განმავლობაში შეიცვლება, მაშინ ამ ცვლილებების შესახებ დასაქმებულს წერილობით უნდა შეატყობინონ მათი ძალაში შესვლის მომენტიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

მუხლი 331

[1] თუ დამსაქმებელი დასაქმებულზე პირადად ზრუნვის მიზნით უწევს მას ფულად დახმარებას ან თუ დასაქმებულები თავად ახორციელებენ თავიანთ შენატანებს, მაშინ დამსაქმებელმა აღნიშნული ფულადი დახმარება უნდა გასწიოს ან შენატანები განახორციელოს ფონდის, კოოპერატივისა თუ საჯარო სამართლის დაწესებულების მიმართ.

[2] თუ დამსაქმებლის ფულადი დახმარება და თავად დასაქმებულთა ნებისმიერი შესაძლო შენატანი გამოიყენება ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ დაზღვევის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სადაზღვევო კომპანიასა თუ საყოველთაო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიაში (Krankenkasse) ავადმყოფობის, უბედური შემთხვევის, სიცოცხლის, ინვალიდობისა თუ გარდაცვალების შემთხვევის დაზღვევისათვის, მაშინ დამსაქმებელი არ არის ვალდებული, განახორციელოს ამ მუხლის წინა ნაწილით გათვალისწინებული ფულადი დახმარება და შენატანები, თუ დასაზღვევო შემთხვევის დადგომისას დასაქმებულს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება ექნება მზღვეველის მიმართ.

[3] თუ დასაქმებულს ეკისრება სამზრუნველო მიზნით შენატანების განხორციელება, მაშინ დამსაქმებელი ვალდებულია, ერთდროულად განახორციელოს შენატანები, სულ ცოტა, იგივე თანხის ოდენობით, მსგავსად ყველა დასაქმებულის საერთო შენატანებისა; დამსაქმებელი შენატანებს ახორციელებს საკუთარი სახსრებით ან სამზრუნველო დაწესებულების იმ სარეზერვო ფონდებიდან, რომლებიც ამ მიზნით მის მიერ წინასწარ იქნა აკუმულირებული და განცალკევებულად გატარებული დაწესებულების საბუღალტრო დოკუმენტაციაში. დამსაქმებელმა შენატანები უნდა განახორციელოს დასაქმებულისათვის დაკავებული ხელფასის თანხებიდან, რომლებსაც ემატება თავად მის მიერ განხორციელებული შენატანი არაუგვიანეს პირველი თვის დასასრულისა იმ კალენდარული ან სადაზღვევო წლის გასვლის შემდეგ, რომლისათვისაც შენატანების განხორციელების ვალდებულება იქნა ნაკისრი.

[4] დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა მისცეს აუცილებელი ახსნა-განმარტება სამზრუნველო დაწესებულებისა თუ მზღვეველის მიმართ კუთვნილი მოთხოვნის უფლებების შესახებ.

[5] „მე-2 სვეტი“ ცენტრალური ოფისის მოთხოვნის საფუძველზე დამსაქმებელი ვალდებულია მიაწოდოს მას მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომლითაც შეიძლება გაადვილდეს მივიწყებულ აქტივზე უფლებამოსილი პირის ან ასეთი აქტივის მმართველი დაწესებულებების მოძიება.

მუხლი 331a

[1] სამზრუნველო დაცვა იწყება შრომითი ურთიერთობის დაწყების დღიდან და სრულდება იმ დღეს, როდესაც დასაქმებული ტოვებს სამზრუნველო პროგრამას.

[2] თუმცა, დასაქმებული აგრძელებს გარდაცვალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის საწინააღმდეგო სამზრუნველო დაცვით სარგებლობას მანამდე, სანამ ის არ შევა ახალ სამზრუნველო ურთიერთობაში, თუმცა – მაქსიმუმ ერთი თვის ვადით.

[3] სამზრუნველო ურთიერთობის დასრულების შემდეგ მინიჭებული სამზრუნველო დაცვისათვის სამზრუნველო პროგრამით დასაქმებულს შეიძლება მოეთხოვოს სადაზღვევო რისკის დასაფარად აუცილებელი პრემიის თანხების გადახდაში თანამონაწილეობა.

მუხლი 331b

შესრულების ვადის დადგომამდე დაუშვებელია სამომავლო სამზრუნველო თანხების მიღებაზე მოთხოვნათა როგორც დათმობა, ისე დაგირავება.

მუხლი 331c

გარდაცვალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის რისკების საწინააღმდეგო სამზრუნველო დაცვის მიზნით მხარეებმა სამზრუნველო პროგრამებით შესაძლოა პირობად დათქვან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე არსებული მიზეზები. ასეთი დათქმა შეიძლება მოქმედებდეს მაქსიმუმ ხუთი წლის განმავლობაში.

მუხლი 331d

[1] დასაქმებულს ასაკობრივი პენსიის გადახდაზე მოთხოვნის უფლების წარმოშობამდე სამი წლის განმავლობაში შეუძლია საკუთარი საჭიროებისათვის დააგირავოს სამზრუნველო თანხების მიღებაზე კუთვნილი მოთხოვნის უფლება ან თანხა საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების შეძენისათვის საპენსიო ფონდიდან გარანტირებული გადახდების ოდენობამდე.

[2] დაგირავება დასაშვებია ასევე საბინაო კოოპერატივებში წილების ან მსგავსი წილობრივი მონაწილეობების შესაძენად იმ პირობით, რომ დასაქმებული პირადად გამოიყენებს ასეთი ფორმით თანადაფინანსებულ საცხოვრებელ ბინას.

[3] თავისი ნამდვილობისათვის დაგირავება საჭიროებს სამზრუნველო პროგრამისათვის წარდგენილ წერილობით შეტყობინებას.

[4] 50 წლის ასაკს გადაცილებული დასაქმებულები არ უნდა გასცდნენ საპენსიო ფონდიდან გარანტირებული გადახდის იმ ზღვრულ ოდენობას, რაზეც ისინი იქნებოდნენ უფლებამოსილი 50 წლის ასაკის მიღწევისას, ან – დაგირავების მომენტში არსებულ საპენსიო ფონდიდან გარანტირებული გადახდის ნახევარს.

[5] თუ დასაქმებული დაქორწინებულია, მაშინ დაგირავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მეუღლე აღნიშნულს წერილობით დაეთანხმება. თუ დასაქმებულს აღნიშნული თანხმობის მიღება არ შეუძლია ან თუ დასაქმებულს თანხმობის მიცემაზე ეტყვიან უარს, მაშინ მას შეუძლია მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს. ანალოგიური დანაწესი მოქმედებს რეგისტრირებული პარტნიორობის შემთხვევაში.

[6] თუ გირავნობის საგნის რეალიზაცია მოხდება სამზრუნველო თანხების გადახდის ვადის დადგომამდე ან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებამდე, მაშინ გამოიყენება მოხუცთა, ცოცხლად დარჩენილ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის შესახებ 1982 წლის 25 ივნისის ფედერალური კანონის 30d, 30e, 30g და 83a მუხლები.

[7] ფედერალური საბჭო განსაზღვრავს:

a. დაგირავებისათვის დასაშვებ მიზნებსა და ცნებას „საცხოვრებელ ბინაზე საკუთრება საკუთარი საჭიროებისათვის“;

b. პირობებს, რომლებიც უნდა შესრულდეს საბინაო კოოპერატივებში წილების ან მსგავსი წილობრივი მონაწილეობების დაგირავებისას.

მუხლი 331e

[1] დასაქმებულს ასაკობრივი პენსიის გადახდაზე მოთხოვნის უფლების წარმოშობამდე სამი წლის განმავლობაში შეუძლია სამზრუნველო პროგრამისაგან მოითხოვოს თანხა საკუთარი საჭიროებისათვის საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების შესაძენად.

[2] 50 წლის ასაკამდე დასაქმებულებს შეუძლიათ მიიღონ თანხა საპენსიო ფონდიდან გარანტირებული გადახდის ზღვრულ ოდენობამდე. 50 წლის ასაკს გადაცილებული დაზღვეულები არ უნდა გასცდნენ საპენსიო ფონდიდან გარანტირებული გადახდის იმ ზღვრულ ოდენობას, რაზეც ისინი იქნებოდნენ უფლებამოსილი 50 წლის ასაკის მიღწევისას, ან – თანხის მიღების მომენტში არსებულ საპენსიო ფონდიდან გარანტირებული გადახდის ნახევარს.

[3] დასაქმებულს შეუძლია აღნიშნული თანხის გამოყენება ასევე საბინაო კოოპერატივებში წილების ან მსგავსი წილობრივი მონაწილეობების შესაძენად იმ პირობით, რომ ის პირადად გამოიყენებს ასეთი ფორმით თანადაფინანსებულ საცხოვრებელ ბინას.

[4] თანხის მიღება შედეგად იწვევს სამზრუნველო თანხების მიღების მოთხოვნის უფლების ერთდროულ შემცირებას სამზრუნველო წესებისა და სამზრუნველო პროგრამის ტექნიკური პრინციპების შესაბამისად. გარდაცვალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევაში გადახდების შემცირების გამო სამზრუნველო დაცვის დაკარგვის თავიდან აიცლების მიზნით სამზრუნველო პროგრამა დასაქმებულებს პირდაპირ სთავაზობს დამატებით დაზღვევას ან შუამავლობს მათთან ასეთი დამატებით დაზღვევის მისაღებად.

[5] თუ დასაქმებული დაქორწინებულია, მაშინ თანხის მიღება და უძრავ ქონებაზე ნებისმიერი შემდგომი საუზრუნველყოფო უფლების დადგენა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მეუღლე აღნიშნულს წერილობით დაეთანხმება. თუ დასაქმებულს აღნიშნული თანხმობის მიღება არ შეუძლია ან თუ დასაქმებულს თანხმობის მიცემაზე ეტყვიან უარს, მაშინ მას შეუძლია მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს. ანალოგიური დანაწესი მოქმედებს რეგისტრირებული პარტნიორობის შემთხვევაში.

[6] თუ სამზრუნველო თანხების გადახდის ვადის დადგომამდე მეუღლეები განქორწინდებიან, მაშინ წინასწარ მიღებული თანხა ჩაითვლება საპენსიო ფონდიდან გარანტირებულ გადახდებად და იყოფა სამოქალაქო კოდექსის 123-ე მუხლის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე და 281-ე და ასევე საპენსიო

ფონდიდან გარანტირებული გადახდების შესახებ 1993 წლის 17 დეკემბრის კანონის 22–22b მუხლების შესაბამისად. ანალოგიური დანაწესი მოქმედებს რეგისტრირებული პარტნიორობის სასამართლო წესით გაუქმების შემთხვევაში.

[7] თუ თანხების წინასწარ მიღების ან სამზრუნველო თანხების მიღებაზე მოთხოვნათა დაგირავების შედეგად საფრთხე ექმნება სამზრუნველო პროგრამის ლიკვიდურობას, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია გადაავადოს შესაბამისი შუამდგომლობების დაკმაყოფილება. სამზრუნველო პროგრამა თავის რეგლამენტში ადგენს პრიორიტეტის წესს, რომლის თანახმადაც აღნიშნულ შემთხვევებში ხდება აღნიშნული თანხების წინასწარ მიღების ან სამზრუნველო თანხების მიღებაზე მოთხოვნათა დაგირავების შესაბამისი გადავადება. დეტალურ საკითხებს აწესრიგებს ფედერალური საბჭო.

[8] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით მოქმედებს მოხუცთა, ცოცხლად დარჩენილ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის შესახებ 1982 წლის 25 ივნისის ფედერალური კანონის 30d, 30e, 30g და 83a მუხლები.

მუხლი 331f

[1] სამზრუნველო პროგრამას თავის რეგლამენტში შეუძლია გაითვალისწინოს წესი, რომლის თანახმადაც არასაკმარისი დაფინანსების (Unterdeckung) პერიოდის განმავლობაში სამზრუნველო თანხების მიღებაზე მოთხოვნათა დაგირავება, თანხების წინასწარ მიღებისა და მათი დაბრუნების შესაძლებლობა იზღუდება დროში და ოდენობის მხრივ ანდა აღნიშნულს საერთოდაც შესაძლოა ეთქვას უარი.

[2] ფედერალური საბჭო ადგენს წინაპირობებს, რომელთა არსებობისას დასაშვებია 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვები, და ასევე განსაზღვრავს ამ შეზღუდვების ფარგლებს.

მუხლი 332

[1] გამოგონებები და პროექტები, რომლებსაც დასაქმებული თავისი სამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელებისას და მასზე დაკისრებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას ახდენს და ქმნის ან მონაწილეობას იღებს მათზე მუშაობაში, ეკუთვნის დამსაქმებელს მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა ამ გამოგონებებისა და პროექტების დაცვა.

[2] წერილობითი შეთანხმებით დამსაქმებელს შეუძლია დაიტოვოს იმ გამოგონებებისა და პროექტების შეძენის უფლება, რომლებიც მოხდა და შეიქმნა დასაქმებულის მიერ თავისი სამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელებისას, თუმცა – არა მასზე დაკისრებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას.

[3] იმ დასაქმებულმა, რომელიც მე-2 ნაწილის შესაბამისად ახდენს გამოგონებას და ქმნის პროექტებს, ამ ფაქტის შესახებ წერილობით უნდა შეატყობინოს დამსაქმებელს; ამ უკანასკნელმა დასაქმებულს ექვსი თვის განმავლობაში წერილობით უნდა შეატყობინოს იმის შესახებ, სურს თუ არა მას გამოგონებისა თუ პროექტის შეძენა, ან მათი დასაქმებულისათვის დატოვება.

[4] თუ გამოგონება და პროექტი არ დარჩება დასაქმებულს, მაშინ დამსაქმებელმა მას უნდა გადაუხადოს სათანადო სპეციალური საზღაური; ამ უკანა-

სკნელის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება, როგორიცაა, სახელდობრ, გამოგონებისა თუ პროექტის ეკონომიკური ღირებულება, დამსაქმებლის თანამონაწილეობის ხარისხი, მისი დამხმარე პირების მომსახურებისა და საწარმოს მოწყობილობების გამოყენება, ისევე როგორც – დასაქმებულის მიერ გაწეული ხარჯები და საწარმოში მის მიერ დაკავებული თანამდებობა.

მუხლი 332a (გაუქმებულია)

მუხლი 333

[1] თუ დამსაქმებელი საწარმოს ან მის ნაწილს გადასცემს მესამე პირს, მაშინ შრომითი ურთიერთობა საწარმოს უფლებამონაცვლეობის დღისათვის არსებული ყველა უფლებითა და ვალდებულებით გადადის შემძენზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დასაქმებული ასეთ გადაცემაზე უარს აცხადებს.

[1bis] თუ გადაცემული შრომითი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება, მაშინ შემძენმა უნდა დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები ერთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ვადის გასვლამდე კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება წყდება ვადის გასვლით ან ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე.

[2] საწარმოს გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, შრომითი ურთიერთობა წყდება შეწყვეტის კანონისმიერი ვადის დაცვით; ამ მომენტამდე საწარმოს შემძენსა და დასაქმებულს ეკისრებათ ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება.

[3] თავდაპირველი დამსაქმებელი და საწარმოს შემძენი სოლიდარულად აგებენ პასუხს დასაქმებულის იმ მოთხოვნებზე, რომელთა შესრულების ვადაც დადგა საწარმოს გადაცემამდე ან რომელთა შესრულების ვადაც დგება შემდგომში იმ მომენტამდე, როდესაც შრომითი ურთიერთობა ჩვეულებრივ შეწყდებოდა, ან წყდება დასაქმებულის მიერ საწარმოს გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში.

[4] თუმცაღა, დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები გადასცეს მესამე პირს, რამდენადაც სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან არსებული გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მუხლი 333a

[1] თუ დამსაქმებელი საწარმოს ან მის ნაწილს გადასცემს მესამე პირს, მაშინ მან დასაქმებულთა წარმომადგენელ ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, – თავად დასაქმებულებს დროულად, საწარმოს ან მის ნაწილის გადაცემის განხორციელებამდე უნდა შეატყობინოს:

a. გადაცემის მიზეზის შესახებ;

b. იმ სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შედეგების შესახებ, რომლებსაც გადაცემა იწვევს დასაქმებულებისათვის.

[2] თუ საწარმოს ან მისი ნაწილის გადაცემის გამო დაგეგმილია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ეხება დასაქმებულებს, მაშინ დასაქმებულთა წარმომადგენელ ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, – თავად და-

საქმებულებს დროულად, გადაწყვეტილების მიღებამდე აღნიშნული ზომების შესახებ უნდა გაეწიოთ შესაბამისი კონსულტაცია.

მუხლი 333b

თუ საწარმოს ან მისი ნაწილის გადაცემა მის აქტივის დათმობასთან ერთად მოხდება ვალების რესტრუქტურიზაციის გამო არსებული მორატორიუმის (Nachlassstundung) მოქმედების განმავლობაში, გაკოტრების საქმის წარმოების ფარგლებში ან კომპრომისული შეთანხმების საფუძველზე, მაშინ შრომითი ურთიერთობა ყველა უფლებითა და ვალდებულებით გადადის შემძენზე, როდესაც აღნიშნული ამ უკანასკნელთან ამგვარად იყო შეთანხმებული და დასაქმებული გადაცემაზე უარს არ აცხადებს. დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აზრობრივად მოქმედებს 333-ე მუხლი, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილისა, და 333a მუხლი.

მუხლი 334

[1] ვადიანი შრომითი ურთიერთობა წყდება შეწყვეტის შესახებ განცხადების გარეშე.

[2] თუ ვადიანი შრომითი ურთიერთობა შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ უსიტყვოდ გაგრძელდება, მაშინ ის ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულად.

[3] ათი წლის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეწყვეტის ექვსთვიანი ვადის დაცვით შეუძლია ნებისმიერ დროს კალენდარული თვის ბოლოდან შეწყვიტოს უფრო მეტი ვადით დადებული ვადიანი შრომითი ურთიერთობა.

მუხლი 335

[1] განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის მიერ.

[2] ხელშეკრულების შემწყვეტმა მხარემ წერილობით უნდა დაასაბუთოს შეწყვეტის საფუძვლები, თუ მეორე მხარე ამას ითხოვს.

მუხლი 335a

[1] დამსაქმებელსა და დასაქმებულს არ შეუძლიათ ხელშეკრულების შეწყვეტის განსხვავებული ვადების დადგენა; ურთიერთსაწინააღმდეგო შეთანხმებების არსებობის შემთხვევაში ორივე მხარისათვის მოქმედებს უფრო ხანგრძლივი დროის პერიოდი.

[2] თუ დამსაქმებელმა შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა ეკონომიკური მიზეზებიდან გამომდინარე ან გამოამჟღავნა ასეთი შეწყვეტის განზრახვა, მაშინ შეთანხმებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულისათვის შესაძლოა შეთანხმებულ იქნეს ხელშეკრულების შეწყვეტის უფრო მოკლე ვადები.

მუხლი 335b

[1] გამოსაცდელი ვადის განმავლობაში შრომითი ურთიერთობა შეიძლება შე-

წყდეს ნებისმიერ დროს შეწყვეტის ექვსდღიანი ვადის დაცვით; გამოსაცდელ ვადად ჩაითვლება შრომითი ურთიერთობის პირველი თვე.

[2] წერილობითი შეთანხმებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით შესაძლებელია განსხვავებული პირობების დათქმა; თუმცა, გამოსაცდელი ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს მაქსიმუმ სამი თვით.

[3] ავადმყოფობის, უბედური შემთხვევის ან არანებაყოფლობით ნაკისრი კანონისმიერი ვალდებულების შესრულების შედეგად გამოსაცდელი ვადის ფაქტობრივი შემცირების შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ექვემდებარება შესაბამის გახანგრძლივებას.

მუხლი 335c

[1] შრომითი ურთიერთობა პირველი სამუშაო წლის განმავლობაში შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის ერთთვიანი ვადის დაცვით, მეორე სამუშაო წლიდან მეცხრე სამუშაო წლის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში, – შეწყვეტის ორთვიანი ვადის დაცვით, ხოლო მეათე სამუშაო წლის შემდგომი პერიოდის განმავლობაში კი შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს კალენდარული თვის ბოლოდან შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით.

[2] აღნიშნული ვადები შეიძლება შეიცვალოს წერილობითი შეთანხმებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით; თუმცა, ეს ვადები ექვემდებარება შემცირებას მხოლოდ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებითა და მხოლოდ პირველი სამუშაო წლისათვის.

მუხლი 335d

მასობრივ დათხოვნად ჩაითვლება შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ ისეთი განცხადებები, რომლებსაც დამსაქმებელი 30 დღის განმავლობაში აჟღერებს საწარმოში იმ საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლებიც არ არის დაკავშირებული დასაქმებულის პიროვნებასთან, და რომლებიც ეხება:

1. სულ ცოტა, 10 დასაქმებულს იმ საწარმოში, რომელშიც ჩვეულებრივ დასაქმებულია 20-ზე მეტი და 100-ზე ნაკლები პირი;

2. სულ ცოტა, დასაქმებულთა 10 პროცენტს იმ საწარმოში, რომელშიც ჩვეულებრივ დასაქმებულია 100-ზე მეტი და 300-ზე ნაკლები პირი;

3. სულ ცოტა, 30 დასაქმებულს იმ საწარმოში, რომელშიც ჩვეულებრივ დასაქმებულია, სულ ცოტა, 300 პირი.

მუხლი 335e

[1] მასობრივი დათხოვნის მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს ასევე ვადიანი შრომითი ურთიერთობების მიმართაც, როდესაც ისინი წყდება შეთანხმებული ვადის გასვლამდე.

[2] აღნიშნული ნორმები არ მოქმედებს იმ საწარმოო პროცესის შეწყვეტის შემთხვევების მიმართ, რომლებსაც ადგილი აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შედეგად, გაკოტრების საქმის წარმოების დროს არსებული მასობრივი დათხოვნის შემთხვევაში ან აქტივის დათმობასთან ერთად კომპრომისული შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 335f

[1] თუ დამსაქმებელს განზრახული აქვს მასობრივი დათხოვნის განხორციელება, მაშინ მან შესაბამისი კონსულტაცია უნდა გაუწიოს დასაქმებულთა წარმომადგენელ ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, – თავად დასაქმებულებს.

[2] დამსაქმებელმა დასაქმებულებს უნდა მისცეს შესაძლებლობა, რომ მათ, სულ ცოტა, წარადგინონ თავიანთი წინადადებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მასობრივი დათხოვნის თავიდან აცილება ან მისი რაოდენობის შემცირება, ისევე როგორც – დათხოვნის შედეგების შერბილება.

[3] დამსაქმებელმა დასაქმებულთა წარმომადგენელ ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, – თავად დასაქმებულებს უნდა მიაწოდოს სრული სათანადო ინფორმაცია და ნებისმიერ შემთხვევაში წერილობით შეატყობინოს მათ:

a. მასობრივი დათხოვნის მიზეზების შესახებ;

b. იმ დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, რომლებთანაც შრომითი ხელშეკრულება უნდა შეწყდეს;

c. საწარმოში ჩვეულებრივ დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ;

d. დროის იმ პერიოდის შესახებ, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ განცხადებების გაჟღერება.

[4] დამსაქმებელმა კანტონის შრომის უწყებას უნდა მიაწოდოს მე-3 ნაწილში გათვალისწინებული შეტყობინების ასლი.

მუხლი 335g

[1] დამსაქმებელმა კანტონის შრომის უწყებას უნდა აცნობოს წერილობით ნებისმიერი დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის შესახებ და დასაქმებულთა წარმომადგენელ ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, – თავად დასაქმებულებს მიაწოდოს ამ შეტყობინების ასლი.

[2] შეტყობინება უნდა შეიცავდეს დასაქმებულთა წარმომადგენელი ორგანიზაციისათვის გაწეული კონსულტაციის შედეგებსა (მუხ. 335f) და დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის შესახებ სრულ სათანადო ინფორმაციას.

[3] კანტონის შრომის უწყება ეძიებს გადაწყვეტებს იმ პრობლემებისათვის, რომლებიც იწვევს დაგეგმილ მასობრივ დათხოვნას. დასაქმებულთა წარმომადგენელ ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, – თავად დასაქმებულებს შეუძლიათ ამ უწყებისათვის თავიანთი შენიშვნების წარდგენა.

[4] თუ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ხდება მასობრივი დათხოვნის ფარგლებში, მაშინ შრომითი ურთიერთობა წყდება შრომის უწყებისათვის დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის შესახებ შეტყობინების წარდგენიდან 30 დღის შემდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი დანაწესების თანახმად ასეთი შეწყვეტა ძალაში შედის უფრო გვიანდელი თარიღიდან.

მუხლი 335h

[1] სოციალური გეგმა წარმოადგენს შეთანხმებას, რომელშიც დამსაქმებელი და დასაქმებული განსაზღვრავენ იმ ღონისძიებებს, რომლითაც ხდება მასობ-

რივი დათხოვნის თავიდან აცილება ან მისი რაოდენობის შემცირება, ისევე როგორც – დათხოვნის შედეგების შერბილება.

[2] აღნიშნულმა გეგმამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას საწარმოს შემდგომ არსებობას.

მუხლი 335i

[1] დამსაქმებელმა უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები დასაქმებულებთან სოციალური გეგმის შემუშავების მიზნით, თუ მას:

a. ჩვეულებრივ დასაქმებული ჰყავს, სულ ცოტა, 250 პირი; და

b. განზრახული აქვს 30 დღის განმავლობაში, სულ ცოტა, 30 დასაქმებულის დათხოვნა იმ მიზეზებიდან გამომდინარე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ამ დასაქმებულთა პიროვნებასთან.

[2] განსაზღვრული დროის პერიოდში განხორციელებული დათხოვნები, რომლებიც ეფუძნება ერთიდაიგივე საწარმოო გადაწყვეტას, უნდა შეჯამდეს ერთად.

[3] დამსაქმებელი აწარმოებს მოლაპარაკებებს:

a. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების მონაწილე დასაქმებულთა კავშირებთან, როდესაც ის წარმოადგენს ამ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების მხარეს;

b. დასაქმებულთა წარმომადგენელ ორგანიზაციასთან; ან

c. პირდაპირ დასაქმებულებთან, თუ სახეზე არ არის დასაქმებულთა წარმომადგენელი ორგანიზაცია.

[4] წარმოებულ მოლაპარაკებებში დასაქმებულთა კავშირებს, დასაქმებულთა წარმომადგენელ ორგანიზაციასა თუ დასაქმებულებს შეუძლიათ ჩართონ ექსპერტები. ექსპერტებად ჩართულ პირებს გარეშე პირებთან ურთიერთობებში ეკისრებათ ინფორმაციის გაუხმაურებლობის ვალდებულება.

მუხლი 335j

[1] თუ მხარეები ვერ თანხმდებიან სოციალურ გეგმაზე, მაშინ უნდა დაინიშნოს არბიტრაჟი.

[2] არბიტრაჟი სოციალურ გეგმას ადგენს სავალდებულო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების გზით.

მუხლი 335k

სოციალური გეგმის მომწესრიგებელი ნორმები (მუხ. 335h–335j) არ მოქმედებს იმ მასობრივი დათხოვნის შემთხვევაში, რომლებსაც ადგილი აქვს გაკოტრების საქმის წარმოების ან კომპრომისული შეთანხმების მიღების პროცესში, რაც სრულდება კომპრომისული შეთანხმების მიღებით.

მუხლი 336

[1] შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა გაუმართლებელია, როდესაც მას ერთ-ერთი მხარე ახორციელებს:

a. იმ ნიშან-თვისებების გამო, რომლებიც აქვს მეორე მხარის პიროვნებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნიშან-თვისებები დაკავშირებულია შრო-

მით ურთიერთობასთან ან არსებითად აუარესებს საწარმოში დასაქმებულთა შორის თანამშრომლობას;

b. იმის გამო, რომ მეორე მხარე იყენებს კონსტიტუციურ უფლებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლების გამოყენება არღვევს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებას ან არსებითად აუარესებს საწარმოში ერთობლივ მუშაობას;

c. მხოლოდ და მხოლოდ მეორე მხარის შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების წარმოშობის დაბრკოლების მიზნით;

d. იმის გამო, რომ მეორე მხარე კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად ახდენს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების რეალიზაციას;

e. იმის გამო, რომ მეორე მხარე იმყოფება შვეიცარიის სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან შვეიცარიის სამოქალაქო სამსახურში ანდა – არანებაყოფლობით ნაკისრ კანონისმიერ ვალდებულებას.

[2] დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ასევე გაუმართლებელია, როდესაც ის ხორციელდება:

a. იმის გამო, რომ დასაქმებული არის ან არ არის დასაქმებულთა კავშირის წევრი ანდა იმის გამო, რომ კანონიერად ეწევა პროფკავშირულ საქმიანობას;

b. იმ პერიოდში, როდესაც დასაქმებული წარმოადგენს დასაქმებულთა არჩეულ წარმომადგენელს საწარმოს ან მასთან არსებულ ორგანოში, ხოლო დამსაქმებელი კი ვერ ამტკიცებს იმას, რომ მას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისათვის დასაბუთებული მიზეზი ჰქონდა;

c. მასობრივი დათხოვნის ფარგლებში დასაქმებულთა წარმომადგენელი ორგანიზაციისათვის, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, – თავად დასაქმებულებისათვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევის გარეშე (მუხ. 335f).

[3] მე-2 ნაწილის b ქვეპუნქტის თანახმად დასაქმებულთა იმ წარმომადგენელი ორგანიზაციის დაცვა, რომლის მანდატიც წყდება შრომითი ურთიერთობის სხვა პირზე გადასვლის შედეგად (მუხ. 333), შენარჩუნდება იმ მომენტამდე, სადამდეც გაგრძელდებოდა თავად მანდატი, შრომითი ურთიერთობის სხვა პირზე გადასვლას რომ არ ჰქონოდა ადგილი.

მუხლი 336a

[1] მხარე, რომელიც შრომით ურთიერთობას უკანონოდ წყვეტს, ვალდებულია მეორე მხარეს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია.

[2] კომპენსაციის ოდენობა დგინდება მოსამართლის მიერ საქმის ყველა გარემოების შეფასებით, თუმცა ის არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულის ექვსი თვის ხელფასის შესაბამის თანხას. შენარჩუნებულია სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები.

[3] თუ 336-ე მუხლის მე-2 ნაწილის c ქვეპუნქტის თანახმად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა გაუმართლებელია, მაშინ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულის ორი თვის ხელფასის ოდენობის თანხას.

მუხლი 336b

[1] პირმა, რომელსაც 336 და 336a მუხლებზე დაყრდნობით სურს კომპენსაცი-

ის მიღება, არაუგვიანეს შეწყვეტის ვადის ამოწურვისა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საწინააღმდეგოდ შემწყვეტ მხარეს უნდა წარუდგინოს წერილობითი პროტესტი.

[2] თუ პროტესტი სათანადოდ არის წარდგენილი, ხოლო მხარეები კი ვერ თანხმდებიან შრომითი ურთიერთობის გაგრძელებაზე, მაშინ იმ მხარეს, რომელსაც წარედგინა შეწყვეტის განცხადება, შეუძლია მოახდინოს საკომპენსაციო თანხის მიღებაზე კუთვნილი მოთხოვნის უფლების რეალიზაცია. თუ შრომითი ურთიერთობის დასრულებიდან 180 დღის განმავლობაში სარჩელი არ იქნება წარდგენილი, მოთხოვნის უფლება უქმდება.

მუხლი 336c

[1] გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდეგ დამსაქმებელს არ შეუძლია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა:

a. იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მეორე მხარე იმყოფება შვეიცარიის სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან შვეიცარიის სამოქალაქო სამსახურში, ხოლო რამდენადაც აღნიშნული სამსახური გრძელდება თერთმეტ დღეზე მეტ ხანს, – სამსახურის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ოთხი კვირის განმავლობაში;

b. იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებულს ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის შედეგად მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას სრულად ან ნაწილობრივ ეშლება ხელი სამუშაოს შესრულებაში, პირველი სამუშაო წლისათვის 30 დღის განმავლობაში, მეორე სამუშაო წლიდან მეხუთე სამუშაო წლის ჩათვლით პერიოდისათვის, – 90 დღის განმავლობაში, ხოლო მეექვსე სამუშაო წლიდან შემდგომი პერიოდისათვის კი, – 180 დღის განმავლობაში;

c. დასაქმებულის ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ 16 კვირის განმავლობაში;

d. იმ ვადის განმავლობაში, როდესაც დასაქმებული დამსაქმებლის თანხმობით მონაწილეობას იღებს უცხოეთში კომპეტენტური ფედერალური სახელმწიფო ორგანოს მიერ შეკვეთილ დახმარების აქციაში.

[2] 1-ლ ნაწილში გათვალისწინებული შემზღუდველი ვადების განმავლობაში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ნების გამოვლენა ბათილია; თუ, პირიქით, შეწყვეტის ნების გამოვლენა ხორციელდება აღნიშნული ვადის დენის დაწყებამდე ისე, რომ შეწყვეტის ვადა ამ მომენტისათვის ჯერ არ არის გასული, მაშინ ვადის დენა შეწყდება და ის გაგრძელდება მხოლოდ შემზღუდველი ვადის გასვლის შემდეგ.

[3] თუ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისათვის გათვალისწინებულია ისეთი დასრულების თარიღი, როგორიცაა თვის ან სამუშაო კვირის ბოლო, და ასეთი თარიღი არ ემთხვევა შეწყვეტის გახანგრძლივებული ვადის დასრულების თარიღს, მაშინ ეს უკანასკნელი გაგრძელდება მომდევნო დასრულების თარიღამდე.

მუხლი 336d

[1] გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდეგ დასაქმებულს არ შეუძლია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, თუ ხელმძღვანელს, რომლის ფუნქციების გა-

ნხორციელებაც შეუძლია დასაქმებულს, ან თავად დამსაქმებელს 336c მუხლის 1-ლი ნაწილის a ქვეპუნქტში მოცემული წინაპირობების არსებობისას ხელი ეშლება თავისი საქმიანობის განხორციელებაში, ხოლო დასაქმებულმა კი უნდა იკისროს ამ საქმიანობის განხორციელება აღნიშნული ხელის შეშლის პერიოდში.

[2] შესაბამისად გამოიყენება 336c მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

მუხლი 337

[1] მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე როგორც დამსაქმებელს, ისე დასაქმებულს ნებისმიერ დროს შეუძლია შრომითი ურთიერთობის ვადის დაცვის გარეშე შეწყვეტა; შრომითი ურთიერთობის შემწყვეტმა მხარემ წერილობით უნდა დაასაბუთოს შეწყვეტის საფუძვლები, თუ მეორე მხარე ამას ითხოვს.

[2] მნიშვნელოვან საფუძველს, სახელდობრ, წარმოადგენს ნებისმიერი გარემოება, რომლის არსებობისას შრომითი ურთიერთობის შემწყვეტ მხარეს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად ვეღარ მოეთხოვება ურთიერთობის გაგრძელება.

[3] აღნიშნული გარემოების არსებობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი შეხედულებით, თუმცა ამ უკანასკნელს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია მნიშვნელოვან საფუძვლად აღიაროს დასაქმებულისათვის მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულების არაბრალეული ხელის შეშლა.

მუხლი 337a

თუ დამსაქმებელი გადახდისუუნარო ხდება, მაშინ დასაქმებულს შეუძლია შეწყვეტოს შრომითი ურთიერთობა შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე კუთვნილი მოთხოვნებისათვის გონივრულ ვადაში წარედგინება უზრუნველყოფა.

მუხლი 337b

[1] თუ შრომითი ურთიერთობის ვადის დაცვის გარეშე შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი მდგომარეობს ხელშეკრულების მხარის სახელშეკრულებო პირობების საწინააღმდეგო ქმედებაში, მაშინ ამ უკანასკნელს სრულად ეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე წარმოშობილი ყველა მოთხოვნის მხედველობაში მიღებით.

[2] სხვა შემთხვევებში ვადაზე ადრე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ქონებრივ-სამართლებრივ შედეგებს სასამართლო განსაზღვრავს თავისი შეხედულებითა და საქმის ყველა გარემოების შეფასებით.

მუხლი 337c

[1] თუ დამსაქმებელი შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე დასაქმებულს ათავისუფლებს სამსახურიდან შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძვლის არარსებობისას, მაშინ დასაქმებულს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ თანხის ოდენობით, რასაც ის გამოიმუშავებდა, შრომითი ურთიერთობა შეწყვეტის ვადის დაცვით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ამოწურვით რომ დასრულებულიყო.

[2] ზიანის ანაზღაურების თანხის ანგარიშში დასაქმებულმა უნდა გაქვითოს ის თანხები, რომლებიც მან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შედეგად დაზოგა, ან რომლებიც მან მიიღო სხვაგვარი სამუშაოს შესრულების შედეგად ანდა განზრახ თავი შეიკავა ასეთი თანხების მიღებისაგან.

[3] სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს დამსაქმებელი, დასაქმებულს გადაუხადოს საკომპენსაციო თანხა, რომლის ოდენობასაც ის განსაზღვრავს თავისი შეხედულებითა და საქმის ყველა გარემოების შეფასებით; თუმცა, აღნიშნული თანხა არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულის ექვსი თვის ხელფასის შესაბამის თანხას.

მუხლი 337d

[1] თუ დასაქმებული მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე არ იკავებს სამუშაო ადგილს ან დაუყოვნებლივ ტოვებს მას, მაშინ დამსაქმებელს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ერთი თვის ხელფასის მეოთხედი თანხის ოდენობით; გარდა ამისა, მას აქვს მოთხოვნის უფლება ნებისმიერი სხვაგვარი ზიანის ანაზღაურებაზე.

[2] თუ დამსაქმებელი არ განიცდის ზიანს ან განიცდის უფრო ნაკლებ ზიანს წინა ნაწილში გათვალისწინებულ საკომპენსაციო თანხის ოდენობასთან შედარებით, მაშინ სასამართლოს ამ თანხის შემცირება შეუძლია თავისი შეხედულებით.

[3] თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ქარწყლდება გაქვითვის გზით, მაშინ მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს სარჩელის წარდგენით ან ვალების ამოღებით სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის ან მისი დატოვების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში; სხვა შემთხვევაში მოთხოვნის უფლება უქმდება.

[4] ... (გაუქმებულია)

მუხლი 338

[1] დასაქმებულის გარდაცვალებით შრომითი ურთიერთობა წყდება.

[2] თუმცა, დამსაქმებელმა გარდაცვალების დღიდან უნდა გადაიხადოს ხელფასის თანხა შემდგომი ერთი თვისათვის, ხოლო ხუთწლიანი სამუშაო ვადის გასვლის შემდეგ კი, – შემდგომი ორი თვისათვის იმ პირობით, რომ დასაქმებულს რჩება მეუღლე, რეგისტრირებული პარტნიორი ან არასრულწლოვანი შვილები, ხოლო აღნიშნული მემკვიდრეების სახეზე არყოფნისას, – სხვა პირები, რომელთა მიმართაც დასაქმებულს ეკისრება რჩენის ვალდებულება.

მუხლი 338a

[1] დამსაქმებლის გარდაცვალებით შრომითი ურთიერთობა გადადის მის მემკვიდრეებზე; აზრობრივად გამოიყენება საწარმოს უფლებამონაცვლეობისას შრომითი ურთიერთობის გადასვლის მომწესრიგებელი ნორმები.

[2] თუ შრომითი ურთიერთობა დაიდო მნიშვნელოვანწილად დამსაქმებლის პიროვნების გათვალისწინებით, მაშინ ეს ურთიერთობა წყდება მისი გარდაცვალებით; თუმცაღა, დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია იმ ზიანისათვის, რომელიც მას ადგება შრომითი ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის შედეგად.

მუხლი 339

[1] შრომითი ურთიერთობის შეწყვეტით დგება ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნის შესრულების ვადა.

[2] იმ გარიგებებისათვის საკომისიოს გადახდის მოთხოვნების შემთხვევაში, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ სრულდება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, საკომისიოს გადახდა მხარეთა შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით შეიძლება გადავადდეს, როგორც წესი, არაუმეტეს ექვსი თვისა, ეტაპობრივად შესასრულებელი გარიგებების შემთხვევაში კი, – არაუმეტეს ერთი წლისა, ხოლო დაზღვევის ხელშეკრულებების, ისევე როგორც იმ გარიგებების შემთხვევაში, რომელთა შესრულებაც მოითხოვს ნახევარ წელზე მეტ ვადას, – არაუმეტეს ორი წლისა.

[3] სამეურნეო წლის შედეგების წილის მიმართ მოთხოვნის შესრულების ვადა დგება 323-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 339a

[1] შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მომენტში ხელშეკრულების ყოველმა მხარემ მეორეს უნდა დაუბრუნოს ყველაფერი ის, რაც მან ამ უკანასკნელისაგან ან მესამე პირისაგან ამ ურთიერთობის განმავლობაში მისთვის გადასაცემის ანგარიშში მიიღო.

[2] კერძოდ, დასაქმებულმა უნდა დააბრუნოს ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამგზავრო დოკუმენტი, ისევე როგორც – აანაზღაუროს ავანსის სახით მიღებული სახელფასო თუ ხარჯების დაფარვის თანხები იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ეს თანხები აღემატება თავის მოთხოვნებს.

[3] შენარჩუნებულია ხელშეკრულების მხარეთა კუთვნილი დაკავების უფლებები.

მუხლი 339b

[1] თუ შრომითი ურთიერთობა წყდება 20 ან მეტი წლის მუშაობის სტაჟის მქონე 50 წლის ასაკს მიღწეულ დასაქმებულთან, მაშინ დამსაქმებელმა მას უნდა გადაუხადოს გამოსასვლელი თანხა.

[2] თუ შრომითი ურთიერთობის განმავლობაში დასაქმებული გარდაიცვლება, აღნიშნული გამოსასვლელი თანხა მიეცემა ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს ან არასრულწლოვან შვილებს, ხოლო აღნიშნული მემკვიდრეების სახეზე არყოფნისას, – სხვა პირებს, რომელთა მიმართაც დასაქმებულს ეკისრება რჩენის ვალდებულება.

მუხლი 339c

[1] გამოსასვლელი თანხის ოდენობა შეიძლება დადგინდეს წერილობითი შეთანხმებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით, თუმცა ის არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულის ორი თვის ხელფასის შესაბამის თანხას.

[2] თუ გამოსასვლელი თანხის ოდენობა არ არის დადგენილი, მაშინ მას განსაზღვრავს სასამართლო თავისი შეხედულებითა და საქმის ყველა გარემოების შეფასებით, თუმცა ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულის რვა თვის ხელფასის შესაბამის თანხას.

[3] გამოსასვლელი თანხა შეიძლება შემცირდეს ან ის საერთოდაც არ იქნეს გადახდილი, თუ შრომითი ურთიერთობა შეწყდა დასაქმებულის მიერ მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე ან – მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე დამსაქმებლის მიერ შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე ანდა თუ გამოსასვლელი თანხის გადახდის შედეგად დამსაქმებელი რთულ ეკონიმიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

[4] გამოსასვლელი თანხა გადახდას ექვემდებარება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე, თუმცა წერილობითი შეთანხმებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით ანდა სასამართლოს დადგენილებით შეიძლება განისაზვროს გადახდის უფრო გვიანი თარიღი.

მუხლი 339d

[1] თუ დასაქმებული იღებს გადახდებს დასაქმებულთა კეთილდღეობაზე ზრუნვის სქემების მიხედვით, მაშინ ეს თანხები შეიძლება გამოაკლდეს გამოსასვლელ თანხას იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აღნიშნული გადახდები განხორციელდა დამსაქმებლის დაფინანსებით ან დასაქმებულთა კეთილდღეობაზე ზრუნვის სქემების მიხედვით მიღებული ქონებრივი გადაცემების ხარჯზე.

[2] დამსაქმებელს არ ეკისრება გამოსასვლელი თანხის გადახდა ასევე იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის კისრულობს დასაქმებულის სასარგებლოდ სამომავლო სამზრუნველო თანხების გადახდების ვალდებულებას ან უზრუნველყოფს ასეთ გადახდებს მესამე პირის მეშვეობით.

მუხლი 340

[1] ქმედუნარიან დასაქმებულს შეუძლია დამსაქმებლის წინაშე წერილობით იკისროს ვალდებულება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ თავი შეიკავოს ნებისმიერი კონკურენტული საქმიანობისაგან, კერძოდ კი, – თავი შეიკავოს როგორც დამსაქმებელთან კონკურენციაში არსებული საკუთარი ბიზნესსაქმიანობის წარმართვისაგან, ისე ასეთ ბიზნესსაქმიანობაში აქტივობისა თუ მონაწილეობის მიღებისაგან.

[2] კონკურენციის აკრძალვის წესი სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ურთიერთობა აძლევს დასაქმებულს საშუალებას, გაეცნოს კლიენტურას ან საწარმოო და კომერციული საიდუმლოებას და როდესაც ასეთი ცოდნის გამოყენებას შეუძლია დამსაქმებლისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება.

მუხლი 340a

[1] კონკურენციის აკრძალვა უნდა იქნეს გონივრულად შეზღუდული ადგილით, ვადითა და საგნით ისე, რომ გამოირიცხოს დასაქმებულის ეკონომიკური წინსვლის უსამართლო დაბრკოლება; ასეთი აკრძალვა შეიძლება აღემატებოდეს სამ წელს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას.

[2] სასამართლოს თავისი შეხედულებითა და საქმის ყველა გარემოების შეფასებით შეუძლია შეზღუდოს გადამეტებული კონკურენციის აკრძალვა; ამავე დროს მან სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს დამსაქმებლის ნებისმიერი შესაძლო სამაგიერო შესრულება.

მუხლი 340b

[1] თუ დასაქმებული არღვევს კონკურენციის აკრძალვის წესს, მაშინ მან დამსაქმებელს უნდა აუნაზღაუროს ამის შედეგად მიყენებული ზიანი.

[2] თუ კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევისას გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს გადახდა და მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მაშინ დასაქმებული თავისუფლდება კონკურენციის აკრძალვის დაცვის ვალდებულებისაგან პირგასამტეხლოს თანხის გადახდით; თუმცა, ის რჩება ვალდებული, აანაზღაუროს ნებისმიერი სხვა ზიანი.

[3] თუ მხარეები სპეციალურად ამაზე წერილობით შეთანხმდნენ, პირგასამტეხლოსა და სხვა ზიანის ანაზღაურებასთან ერთად შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მდგომარეობის აღმოფხვრა, რამდენადაც ამას ამართლებს დამსაქმებლის დარღვეული ან სარფთხის ქვეშ არსებული ინტერესები და დასაქმებულის საქციელი.

მუხლი 340c

[1] კონკურენციის აკრძალვის წესი უქმდება, როდესაც დამსაქმებელს უდავოდ აღარ აქვს აკრძალვის შენარჩუნების არსებითი ინტერესი.

[2] კონკურენციის აკრძალვის წესი ასევე უქმდება, როდესაც დამსაქმებელი წყვეტს შრომით ურთიერთობას ისე, რომ დასაქმებულმა მას არ მისცა ამისათვის დასაბუთებული საბაბი, ან როდესაც შრომით ურთიერთობას წყვეტს დასაქმებული იმ დასაბუთებული მიზეზის არსებობისას, რომლისათვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება დამსაქმებელს.

მუხლი 341

[1] შრომითი ურთიერთობის ვადისა და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში დასაქმებულს არ შეუძლია იმ მოთხოვნებზე უარი თქმა, რომლებიც გამომდინარეობს კანონის იმპერატიული ნორმებიდან ან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო დებულებებიდან.

[2] შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები.

მუხლი 342

[1] შენარჩუნებულია შემდეგი ნორმების მოქმედება:

a. ფედერაციის, კანტონებისა და თემების საჯარო-სამართლებრივი სამსახურეობრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, რამდენადაც ეს ნორმები არ ეხება 331-ე მუხლის მე-5 ნაწილსა და 331a–331e მუხლებს;

b. ფედერაციისა და კანტონების შრომისა და პროფესიული სწავლების მომწესრიგებელი საჯარო-სამართლებრივი ნორმები.

[2] თუ ფედერაციისა და კანტონების შრომისა და პროფესიული სწავლების მომწესრიგებელი ნორმები დამსაქმებელსა თუ დასაქმებულს აკისრებს საჯარო-სამართლებრივ ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს აქვს მისი შესრულების სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება, თუ აღნიშნული ვალდებულება შეიძლება გათვალისწინებულიყო ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების შინაარსის სახით.

მუხლი 343 (გაუქმებულია)

მეორე თავი: სპეციალური ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები

A. სასწავლო პრაქტიკის ხელშეკრულება

მუხლი 344

სასწავლო პრაქტიკის ხელშეკრულებით დამსაქმებელი ვალდებულია, განსაზღვრული პროფესიული საქმიანობის ათვისებისათვის პრაქტიკანტს ჩაუტაროს პროფესიული სწავლების კურსი, ხოლო პრაქტიკანტი კი კისრულობს ამ მიზნით შეასრულოს სამუშაო დამსაქმებლის სამსახურში.

მუხლი 344a

[1] თავისი ნამდვილობისათვის სასწავლო პრაქტიკის ხელშეკრულება საჭიროებს წერილობითი ფორმით დადებას.

[2] ხელშეკრულება უნდა აწესრიგებდეს პროფესიული სწავლების სახესა და ვადას, ხელფასს, გამოსაცდელ ვადას, სამუშაო დროსა და დასვენების დროს.

[3] გამოსაცდელი ვადა არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს. თუ ხელშეკრულების მხარეებმა სასწავლო პრაქტიკის ხელშეკრულებაში არ გაითვალისწინეს გამოსაცდელი ვადა, მაშინ ეს უკანასკნელი შეადგენს სამ თვეს.

[4] გამოსაცდელი ვადა მხარეთა შეთანხმებითა და კანტონის ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობით გამონაკლისის სახით შეიძლება გახანგრძლივდეს ექვს თვემდე.

[5] ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა პირობებსაც, როგორიცაა, სახელდობრ, პროფესიული ხელსაწყოების მოწოდების, სახლში განთავსებისა და კვების, დაზღვევის პრემიების კისრებისა თუ ხელშეკრულების მხარეთა სხვა ვალდებულებების შესრულების შესახებ პირობები.

[6] ბათილია შეთანხმებები, რომლითაც იზღუდება პრაქტიკანტის თავისუფლება, პრაქტიკის დასრულების შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება თავისი პროფესიული საქმიანობის თაობაზე.

მუხლი 345

[1] პრაქტიკანტმა უნდა მოიმოქმედოს ყველაფერი, რაც აუცილებელია პრაქტიკის მიზნის მისაღწევად.

[2] პრაქტიკანტის კანონიერმა წარმომადგენელმა მაქსიმალურად უნდა დაუჭიროს მხარი დამსაქმებელს მისი ამოცანის შესრულებაში და ხელი შეუწყოს ამ უკანასკნელსა და პრაქტიკანტს შორის ურთიერთთანხმობის ჩამოყალიბებას.

მუხლი 345a

[1] დამსაქმებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ პროფესიული სწავლება მიმდი-

ნარეობდეს იმ სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელსაც ამისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები და პირადი თვისებები აქვს.

[2] დამსაქმებელმა ხელფასის თანხის შემცირების გარეშე პრაქტიკანტს უნდა მისცეს დრო, რომელიც საჭიროა პროფესიულ კოლეჯში ლექციებზე დასწრებისა და საწარმოო კურსებისათვის და ასევე – დასკვნითი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისათვის.

[3] 20 წლამდე ასაკის პრაქტიკანტს დამსაქმებელმა სასწავლო პრაქტიკის ყოველ წელს უნდა მისცეს, სულ ცოტა, ხუთკვირიანი შვებულება.

[4] დამსაქმებელს შეუძლია პრაქტიკანტს მისცეს სხვა, პროფესიული სამუშაოსაგან განსხვავებული, სამუშაო და ასევე – ნარდობრივი სამუშაოები მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ასეთი სამუშაოები დაკავშირებულია შესასწავლ პროფესიასთან და ხელს არ უშლის სწავლების პროცესს.

მუხლი 346

[1] გამოსაცდელი ვადის განმავლობაში სასწავლო პრაქტიკა შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს შეწყვეტის შვიდდღიანი ვადის დაცვით.

[2] სახელდობრ, სასწავლო პრაქტიკა 337-ე მუხლის გაგებით მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე შეიძლება ვადის დაცვის გარეშე გაუქმდეს, როდესაც:

a. სწავლების მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ სპეციალისტს არა აქვს პრაქტიკანტის სწავლებისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები და პირადი თვისებები;

b. პრაქტიკანტი არ ფლობს სწავლებისათვის აუცილებელ ფიზიკურ ან ფსიქიკურ მონაცემებს ანდა თუ საფრთხე ექმნება მის ჯანმრთელობასა თუ მორალურ მდგომარეობას; პრაქტიკანტს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, მის კანონიერ წარმომადგენელს წინასწარ უნდა მოუსმინონ;

c. სწავლების დასრულება შეუძლებელია ან შესაძლებელია მხოლოდ არსებითად შეცვლილი გარემოებების არსებობისას.

მუხლი 346a

[1] პროფესიული სწავლების დასრულების შემდეგ დამსაქმებელმა პრაქტიკანტს უნდა გადასცეს სერტიფიკატი, რომელშიც მოცემული იქნება შესწავლილი პროფესიული საქმიანობის შესახებ საჭირო ინფორმაცია და პროფესიული სწავლების ვადა.

[2] პრაქტიკანტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე სერტიფიკატში უნდა აისახოს ასევე პრაქტიკანტის უნარ-ჩვევები, შესრულებული სამუშაო და ყოფა-ქცევა.

B. კომივოიაჟორული ხელშეკრულება (Handelsreisendenvertrag)

მუხლი 347

[1] კომივოიაჟორული ხელშეკრულებით კომივოიაჟორი კისრულობს ვალდებულებას, ხელფასის სანაცვლოდ დამსაქმებლის კომერციული ფართის მიღ-

მა იშუამავლოს ან დადოს ნებისმიერი სახის გარიგება სავაჭრო, საწარმოო ან სხვაგვარი კომერციული მიზნით წარმოებული საქმის მფლობელის ხარჯზე.

[2] კომივოიაჟორად არ მიიჩნვა დასაქმებული, რომელიც ძირითადად არ არის დაკავებული ერთი ადგილიდან მეორეზე ხშირად გადამსვლელი საქმიანობით ან მხოლოდ შემთხვევით ან დროებით მუშაობს დამსაქმებლისათვის, ისევე როგორც – ერთი ადგილიდან მეორეზე ხშირად გადამსვლელი პირი, რომელიც გარიგებებს საკუთარი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში დებს.

მუხლი 347a

[1] შრომითი ურთიერთობა რეგულირდება წერილობითი ხელშეკრულებით, რომელიც, სახელდობრ, უნდა შეიცავდეს შემდეგ დებულებებს:

a. შრომითი ურთიერთობის ვადასა და შეწყვეტის წესს,

b. კომივოიაჟორის მინდობილობას,

c. საზღაურსა და ხარჯების ანაზღაურებას,

d. გამოსაყენებელ სამართალსა და განსჯადობას, რამდენადაც ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს საცხოვრებელი ადგილი აქვს საზღვარგარეთ.

[2] რამდენადაც შრომითი ურთიერთობა არ რეგულირდება წერილობითი ხელშეკრულებით, მუხლის წინა ნაწილში მოცემული შინაარსი განისაზღვრება კანონისმიერი ნორმებითა და ჩვეულებრივი სამუშაო პირობებით.

[3] ზეპირი შეთანხმება მოქმედებს მხოლოდ სამუშაოს დაწყებისათვის, ერთი კომივოიაჟორული საქმიანობის სახისა და ტერიტორიის დადგენისათვის, ისევე როგორც – სხვა დებულებებისათვის, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონისმიერ ნორმებსა და წერილობით ხელშეკრულებას.

მუხლი 348

[1] კომივოიაჟორი უნდა ეწვიოს კლიენტებს ამისათვის გათვალისწინებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს დასაბუთებული მიზეზი მისი შეცვლისა; კომივოიაჟორს დამსაქმებლის წერილობითი თანხმობის გარეშე არც საკუთარი და არც მესამე პირის სახელითა და ხარჯით არ შეუძლია შუამავლობა ან გარიგებების დადება.

[2] თუ კომივოიაჟორი უფლებამოსილია დადოს გარიგებები, მაშინ მან უნდა შეინარჩუნოს მისთვის დადგენილი ფასები და გარიგების სხვა პირობები, ასევე – დაიტოვოს უფლება, დამსაქმებლის თანხმობით შეიტანოს ცვლილებები აღნიშნულ პირობებში.

[3] კომივოიაჟორმა თავისი საქმიანობის შესახებ უნდა წარადგინოს რეგულარული ანგარიში, დაუყოვნებლივ გადასცეს დამსაქმებელს მიღებული შეკვეთები და შეატყობინოს მას იმ მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, რომლებიც ეხება მის კლიენტურას.

მუხლი 348a

[1] ბათილია ნებისმიერი შეთანხმება, რომლის თანახმადაც კომივოიაჟორმა პასუხი უნდა აგოს კლიენტის მხრიდან გადახდებისა თუ ვალდებულებათა სხვაგვარი შესრულებისათვის ანდა სრულად ან ნაწილობრივ იკისროს შესაბამისი მოთხოვნების წარდგენის ხარჯები.

[2] თუ კომივოიაჟორმა გარიგებები უნდა დადოს კერძო პირებთან, მაშინ მას კონკრეტულ გარიგებაში შეუძლია წერილობით იკისროს დამსაქმებლის მიერ კლიენტის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად განცდილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა მაქსიმუმ ერთი მეოთხედის ოდენობით იმ წინაპირობის არსებობისას, რომ მხარეთა შორის შეთანხმებულია გონივრული დელკრედერე საკომისიო.

[3] დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში, კომივოიაჟორ-სადაზღვევო ბროკერს შეუძლია წერილობით იკისროს მოთხოვნების წარდგენის ხარჯებისათვის პასუხისმგებლობა მოთხოვნათა მაქსიმუმ ნახევრის ოდენობით, როდესაც ადგილი აქვს პრემიის ან მისი ნაწილის გადაუხდელობასა და ის ითხოვს მოთხოვნების წარდგენას სასარჩელო წესით ან იძულებითი აღსრულების პროცესში.

მუხლი 348b

[1] თუ მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმებულან, კომივოიაჟორი უფლებამოსილია მხოლოდ გარიგებების დადების შუამავლობაზე.

[2] თუ კომივოიაჟორი უფლებამოსილია გარიგებების დადებაზეც, მაშინ მისი მინდობილობა ვრცელდება ყველა იურიდიულ მოქმედებაზე, რომლებიც ჩვეულებრივ შედეგად იწვევს ამ გარიგებების შესრულებას; თუმცა, სპეციალური უფლებამოსილების გარეშე მას არ შეუძლია კლიენტებისაგან არც გადახდების მიღება და არც გადახდის ვადებზე თანხმობის მიცემა.

[3] შენარჩუნებულია დაზღვევის ხელშეკრულებების შესახებ 1908 წლის 2 აპრილის ფედერალური კანონის 34-ე მუხლის ნორმათა მოქმედება.

მუხლი 349

[1] თუ კომივოიაჟორი მიმაგრებულია განსაზღვრულ უბანსა თუ კლიენტურაზე და მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმებულან, მაშინ ის ითვლება ექსკლუზიურად დანიშნულად სხვა პირების გამორიცხვით; თუმცა, დამსაქმებელი მაინც უფლებამოსილია, კომივოიაჟორის სამოქმედო უბანზე ან მის კლიენტურასთან პირადად დადოს გარიგებები.

[2] დამსაქმებელს შეუძლია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულებით განსაზღვრული კომივოიაჟორის სამოქმედო უბანი ან მისი კლიენტურა, როდესაც არსებობს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ასეთი შეცვლის დასაბუთებული მიზეზი; თუმცა, ასეთ შემთხვევაში შენარჩუნებულია კომივოიაჟორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები და მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უფლება.

მუხლი 349a

[1] დამსაქმებელმა კომივოიაჟორს უნდა გადაუხადოს ხელფასი, რომელიც შედგება ფიქსირებული თანხისაგან საკომისიოს თანხასთან ერთად ან მის გარეშე.

[2] წერილობითი შეთანხმება, რომლის თანახმადაც ხელფასი სრულად ან უმთავრესად უნდა შედგებოდეს საკომისიოს თანხისაგან, ნამდვილია, თუ საკომისიოს თანხა იძლევა სათანადო საზღაურს კომივოიაჟორის საქმიანობისათვის.

[3] წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელფასი შეიძლება თავისუფლად განისაზღვროს მაქსიმუმ ორი თვის გამოსაცდელი ვადისათვის.

მუხლი 349b

[1] თუ კომივოიაჟორი ექსკლუზიურად არის მიმაგრებული განსაზღვრულ სამუშაო უბანზე ან კლიენტურაზე, მაშინ დამსაქმებელმა მას უნდა გადაუხადოს შეთანხმებული ან ჩვეულებრივი საკომისიო ყველა იმ გარიგებაზე, რომლებიც იდება კომივოიაჟორის ან მისი დამსაქმებელის მიერ კომივოიაჟორის უბანზე ან კლიენტურასთან.

[2] თუ კომივოიაჟორი ექსკლუზიურად არ არის მიმაგრებული განსაზღვრულ სამუშაო უბანზე ან განსაზღვრულ კლიენტურაზე, მაშინ დამსაქმებელმა მას საკომისიო უნდა გადაუხადოს მხოლოდ იმ გარიგებებზე, რომლებიც დაიდო მისი შუამავლობით ან უშუალოდ მის მიერ.

[3] თუ საკომისიოს გადახდის ვადის დადგომის მომენტში გარიგების ღირებულება ჯერ კიდევ არ არის ზუსტად განსაზღვრადი, მაშინ თავდაპირველად ანაზღაურებას ექვემდებარება საკომისიოს თანხა დამსაქმებლის მიერ შეფასებული მინიმალური ღირებულებიდან გამომდინარე, ხოლო დარჩენილი თანხა კი – არაუგვიანეს გარიგების შესრულების თარიღისა.

მუხლი 349c

[1] თუ კომივოიაჟორს მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას ხელი ეშლება კომივოიაჟორული საქმიანობის შესრულებაში, თუმცა მას მაინც უნდა მიეცეს ხელფასი კანონის ან ხელშეკრულების შესაბამისად, მაშინ ხელფასის ოდენობა განისაზღვრება ფიქსირებული თანხითა და საკომისიოს მიუღებლობისათვის გათვალისწინებული სათანადო საზღაურით.

[2] თუ საკომისიოს თანხა შეადგენს ხელფასის ოდენობის ერთ მეხუთედზე ნაკლებს, მაშინ მხარები წერილობით შეიძლება შეთანხმდნენ, რომ კომივოიაჟორული საქმიანობის არაბრალეული ხელის შეშლის შემთხვევაში საკომისიოს მიუღებლობისათვის კომივოიაჟორს არ მიეცეს საზღაური.

[3] თუ კომივოიაჟორული საქმიანობის არაბრალეული ხელის შეშლის შემთხვევაში კომივოიაჟორი მაინც იღებს სრულ ხელფასს, მაშინ დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე მან სამუშაო უნდა შეასრულოს დამსაქმებლის საწარმოს ადგილსამყოფელზე, რამდენადაც კომივოიაჟორს შეუძლია ასეთი სამუშაოს შესრულება და მას გონივრულად შეიძლება მოეთხოვოს მისი შესრულება.

მუხლი 349d

[1] თუ კომივოიაჟორი ერთდროულად რამდენიმე დამსაქმებლისათვის საქმიანობს და მხარები წერილობით არ შეთანხმებულან მის მიერ გაწეული ხარჯების განაწილების შესახებ, მაშინ ყოველმა დამსაქმებელმა ხარჯები უნდა აანაზღაუროს თანაბარწილად.

[2] ბათილია შეთანხმებები, რომელთა თანახმადაც გაწეული ხარჯების საზღაური სრულად ან ნაწილობრივ შედის ფიქსირებული ხელფასის ან საკომისიოს თანხებში.

მუხლი 349e

[1] შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვადამოსული მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო დამსაქმებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში კი, – ასევე იმ მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, რომელთა შესრულების ვადაც ჯერ არ არის დამდგარი, კომივოიაჟორს აქვს მოძრავი ნივთებისა და ფასიანი ქაღალდების დაკავების უფლება, ისევე როგორც – კლიენტებიდან მიღებული იმ გადახდების დაკავების უფლება, რომელთა მიღებაც მას შეუძლია თანხების ინკასირებაზე მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

[2] დაკავების უფლების გამოყენება დაუშვებელია სამგზავრო დოკუმენტების, ფასების ჩამონათვალის, კლიენტთა სიებისა და სხვა დოკუმენტების მიმართ.

მუხლი 350

[1] თუ საკომისიო შეადგენს კომივოიაჟორის ხელფასის, სულ ცოტა, თანხის ერთ მეხუთედს და მისი ოდენობა განიცდის მნიშვნელოვან სეზონულ რყევებს, ხოლო კომივოიაჟორი კი დამსაქმებელთან ბოლო სეზონის დასრულების მომენტიდან მუშაობდა, მაშინ ამ უკანსაკნელს შემდეგი სეზონის განმავლობაში შეუძლია კომივოიაჟორს განუცხადოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხოლოდ შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენიდან მეორე თვის ბოლოს.

[2] ანალოგიური წინაპირობების არსებობისას, როდესაც კომივოიაჟორი დასაქმებული იყო დამსაქმებელთან სეზონის დასრულებამდე, მას ახალი სეზონის დაწყებამდე შეუძლია დამსაქმებელს განუცხადოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხოლოდ შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენიდან მეორე თვის ბოლოს.

მუხლი 350a

[1] შრომითი ურთიერთობის დასრულებისას კომივოიაჟორს უნდა აუნაზღაურდეს საკომისიო ყველა იმ გარიგებისათვის, რომლებიც მან დადო ან რომელთა დასადებადაც მას გასწია შუამავლობა, ისევე როგორც – ყველა იმ შეკვეთისათვის, რომლებიც მიეცა დამსაქმებელს შრომითი ურთიერთობის დასრულებამდე მიუხედავად მათი მიღებისა თუ შესრულების თარიღისა.

[2] კომივოიაჟორმა შრომითი ურთიერთობის დასრულებისას დამსაქმებელს უნდა დაუბრუნოს კომივოიაჟორული საქმიანობის შესასრულებლად მის განკარგულებაში არსებული ნიმუშები და მოდელები, ფასების ჩამონათვალი, კლიენტთა სიები და სხვა დოკუმენტები; დაკავების უფლება შენარჩუნებულია.

C. შინახელოსნობის ხელშეკრულება

მუხლი 351

შინახელოსნობის ხელშეკრულებით შინადასაქმებული კისრულობს ვალდებულებას, თავის სახლში ან მის მიერ განსაზღვრულ სხვა სამუშაო სივრცეში დამოუკიდებლად ან ოჯახის წევრებთან ერთად ხელფასის სანაცვლოდ დამსაქმებლისათვის შეასრულოს სამუშაოები.

მუხლი 351a

[1] ყოველი დავალების მიცემამდე დამსაქმებელმა შინადასაქმებულს უნდა შეატყობინოს ამ დავალების შესრულებისათვის აუცილებელი პირობები, სახელდობრ, – სამუშაოს დეტალები, რამდენადაც ისინი არ არის მოწესრიგებული ზოგადად მოქმედი სამუშაო პირობებით; დამსაქმებელმა უნდა განსაზღვროს შინადასაქმებულის მიერ მიწოდებული მასალები და ასევე წერილობით მიუთითოს ამ მასალებისათვის გადასახდელი საზღაური და ხელფასი.

[2] თუ ხელფასისა და შინადასაქმებულის მიერ მიწოდებული მასალებისათვის გადასახდელი საზღაურის შესახებ მონაცემები არ იქნება სამუშაოს მიცემამდე წერილობით შეტყობინებული, მაშინ ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ჩვეულებრივი სამუშაო პირობები.

მუხლი 352

[1] შინადასაქმებული ნაკისრი სამუშაოს შესრულებას უნდა შეუდგეს დროულად, დაასრულოს ის შეთანხმებულ თარიღამდე და შრომის შედეგი გადასცეს დამსაქმებელს.

[2] თუ შინადასაქმებულის მხრიდან არსებული ბრალის გამო სამუშაო ნაკლის მქონე იქნება, მაშინ ის ვალდებულია უსასყიდლოდ გამოასწოროს ის, რამდენადაც ამით შესაძლებელია ასეთი ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 352a

[1] შინადასაქმებული ვალდებულია, დამსაქმებლის მიერ მისთვის გადაცემული მასალები და ხელსაწყოები გამოიყენოს მაქსიმალური ზრუნვით, წარადგინოს ამ მასალებითა და ხელსაწყოებით სარგებლობის ანგარიში და დააბრუნოს სამუშაოსათვის გამოუყენებელი დარჩენილი მასალები, ისევე როგორც – მიღებული ხელსაწყოები.

[2] თუ შინადასაქმებული სამუშაოს შესრულებისას ამჩნევს მისთვის მიწოდებული მასალებისა თუ მიღებული ხელსაწყოების ნაკლს, მაშინ მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დამსაქმებელს და სამუშაოს შესრულების გაგრძელებამდე დაელოდოს მის მითითებებს.

[3] თუ შინადასაქმებულმა მისთვის მიწოდებული მასალები თუ ხელსაწყოები ბრალეულად დააზიანა, მაშინ ის დამსაქმებლის წინაშე პასუხს აგებს მასალებისა თუ ხელსაწყოების თვითღირებულების ზღვრულ ოდენობამდე.

მუხლი 353

[1] დამსაქმებლმა შრომის შედეგი უნდა შეამოწმოს მისი წარდგენისთანავე და შინადასაქმებულს ნაკლის შესახებ შეატყობინოს არაუგვიანეს ერთი კვირისა.

[2] თუ დამსაქმებლი დროულად არ შეატყობინებს შინადასაქმებულს ნაკლის შესახებ, მაშინ სამუშაო ჩაითვლება მიღებულად.

მუხლი 353a

[1] თუ შინადასაქმებული დამსაქმებლის სამსახურში უწყვეტად იმყოფება, მაშინ შესრულებული სამუშაოსათვის ხელფასი მას უნდა მიეცეს თვეში ორჯერ ან, შინადასაქმებულის თანხმობით, ყოველი თვის ბოლოს, ხოლო სხვა შემთხვევებში კი, – შრომის შედეგის გადაცემის მომენტში.

[2] ხელფასის თანხის ყოველი გაცემისას შინადასაქმებულს უნდა წარედგინოს წერილობითი ანგარიში ხელფასიდან თანხების დაკავების მიზეზების შესახებ.

მუხლი 353b

[1] თუ შინადასაქმებული დამსაქმებლის სამსახურში უწყვეტად იმყოფება, მაშინ 324-ე და 324a მუხლების შესაბამისად დამსაქმებელი ვალდებულია გასცეს ხელფასი იმ შემთხვევაში, როდესაც ის აცილებს სამუშაოს შესრულების მიღების ვადას ან როდესაც შინადასაქმებულს მის პიროვნებასთან დაკავშირებული მიზეზებიდან გამომდინარე ხელი ეშლება სამუშაოს შესრულებაში მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას.

[2] სხვა შემთხვევებში დამსაქმებელს არ ევალება 324-ე და 324a მუხლების შესაბამისად ხელფასის გაცემა.

მუხლი 354

[1] რამდენადაც სხვა რამ არ არის შეთანხმებული, თუ შინადასაქმებულის სამუშაოზე აყვანა ხდება გამოსაცდელი ვადით, მაშინ შეთანხმებულად ითვლება გამოსაცდელი და განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ურთიერთობა.

[2] რამდენადაც სხვა რამ არ არის შეთანხმებული, თუ შინადასაქმებული დამსაქმებლის სამსახურში უწყვეტად იმყოფება, მაშინ შეთანხმებულად ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ურთიერთობა, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში კი, – განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ურთიერთობა.

D. ზოგადი ნორმების გამოყენება

მუხლი 355

ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები სუბსიდიურად გამოიყენება სასწავლო პრაქტიკის, კომივოიაჟორული და შინახელოსნობის ხელშეკრულებების მიმართ.

მესამე თავი: კოლექტიური და სტანდარტული შრომითი ხელშეკრულებებით

A. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება

მუხლი 356

[1] კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით დამსაქმებლები ან მათი კავშირები ერთობლივად ადგენენ მასში მონაწილე დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული ცალკეული შრომითი ურთიერთობის დადების, შინაარსისა და შეწყვეტის მომწესრიგებელ დებულებებს.

[2] კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს ასევე სხვა

დებულებებსაც, რამდენადაც ისინი ეხება დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის ურთიერთობას ან ზღუდავს ასეთი დებულებების შემუშავებას.

[3] გარდა ამისა, კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება შეიძლება აწერიგებდეს ხელშეკრულების მხარეთა ერთმანეთს შორის უფლებებსა და ვალდებულებებს, ისევე როგორც მუხლის წინა ნაწილებში მითითებული დებულებების კონტროლსა და რეალიზაციას.

[4] თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით თავიდანვე ან კავშირში შემდგომში გაწევრიანების გამო ხელშეკრულების სხვა მხარეთა თანხმობით დამსაქმებლის ან დასაქმებულის მხარეს რამდენიმე კავშირი იღებს მონაწილეობას, მაშინ მათ ერთმანეთის მიმართ თანაბარი უფლებები და ვალდებულებები აქვთ; საწინააღმდეგო შეთანხმებები ბათილია.

მუხლი 356a

[1] ბათილია ხელშეკრულების მხარეთა შორის დადებული კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების დებულებები და შეთანხმებები, რომლითაც დამსაქმებელი ან დასაქმებული იძულებული უნდა გახდეს გაწევრიანდეს ხელშეკრულების დამდებ კავშირში.

[2] ბათილია ხელშეკრულების მხარეთა შორის დადებული კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების დებულებები და შეთანხმებები, რომლითაც დასაქმებული უნდა გამოირიცხოს განსაზღვრული პროფესიული საქმიანობიდან ან შეიზღუდოს ამ საქმიანობაში ანდა – მას წაერთვას აუცილებელი პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა ან ის შეიზღუდოს ამ შესაძლებლობაში.

[3] მუხლის წინა ნაწილების გაგებით დებულებები და შეთანხმებები გამონაკლისის სახით ნამდვილია, როდესაც ისინი გამართლებულია უპირატესი პატივსადები ინტერესებით, სახელდობრ კი, – პირთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ან სამუშაოს ხარისხის დაცვის ინტერესებით; თუმცა, პატივსადებ ინტერესს არ წარმოადგენს ახალი თანამშრომლის თავისი პროფესიის მიხედვით სამსახურში მიღების ხელის შეშლა.

მუხლი 356b

[1] ინდივიდუალურ დამსაქმებლებსა და დამსაქმებლის სამსახურში მყოფ ინდივიდუალურ დასაქმებულებს ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობით შეუძლიათ მიუერთდნენ კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებას, რომლითაც ისინი ჩაითვლებიან შრომითი ურთიერთობის მონაწილე დამსაქმებლად და დასაქმებულებად.

[2] კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს მასზე მიერთების დეტალურ მოწესრიგებას. ხელშეკრულებაზე მიერთების არაგონივრული პირობები, როგორიცაა, კერძოდ, შეუსაბამო ფულადი შენატანების შესახებ დებულებები შეიძლება მოსამართლის მიერ ბათილად იქნეს ცნობილი ან შემცირდეს დასაშვებ ოდენობამდე; თუმცა, ბათილია ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ შენატანების დამდგენი დებულებები თუ შეთანხმებები.

[3] ბათილია ხელშეკრულების მხარეთა შორის დადებული კოლექტიური შრო-

მითი ხელშეკრულების დებულებები და შეთანხმებები, რომლითაც კავშირების წევრები იძულებული უნდა გახდნენ მიუერთდნენ კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებას, თუ აღნიშნული კავშირები არ არიან უფლებამოსილი, გახდნენ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების მონაწილეები ან დადონ ანალოგიური ხელშეკრულება.

მუხლი 356c

[1] კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების დადება, ორმხრივი შეთანხმებით მისი შეცვლა და გაუქმება, ახალი მხარის ხელშეკრულებაში შემოსვლა, ისევე როგორც – ხელშეკრულების შეწყვეტა თავისი ნამდვილობისათვის საჭიროებს წერილობით ფორმას; ანალოგიურად წერილობითი ფორმის დაცვა აუცილებელია 356b მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ინდივიდუალური დამსაქმებლებისა და დამსაქმებულების მხრიდან ხელშეკრულებაზე მიერთების განცხადებასა და ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის დროს, ისევე როგორც – მიერთების გამოხმობის განცხადებისას.

[2] თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება არ არის დადებული განსაზღვრული ვადით და ის სხვა წესს არ ითვალისწინებს, მაშინ მისი შეწყვეტა ყველა სხვა მხარის მიმართ სამართლებრივი შედეგით შეუძლია ყოველ მხარეს ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს შეწყვეტის ექვსთვიანი ვადის დაცვით. აღნიშნული დებულება აზრობრივად მოქმედებს ასევე ხელშეკრულებაზე მიერთების მიმართაც.

მუხლი 357

[1] რამდენადაც კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, შრომითი ურთიერთობის დადების, შინაარსისა და შეწყვეტის შესახებ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების დებულებები ხელშეკრულების ვადის განმავლობაში უშუალოდ მოქმედებს მასში მონაწილე დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიმართ და მათი მხარეთა შეთანხმებით შეცვლა დაუშვებელია.

[2] ბათილია კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების მონაწილე დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებული შეთანხმებები, რომლებიც არღვევს სავალდებულო დებულებებს, და ხდება მათი ჩანაცვლება კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების დებულებებით; თუმცაღა, დასაშვებია განსხვავებული შეთანხმებების დადება დასაქმებულის სასარგებლოდ.

მუხლი 357a

[1] ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულება; ამ მიზნით კავშირებმა შესაბამისი ზემოქმედება უნდა მოახდინონ მათ წევრებზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – აამოქმედონ მათ ხელთ არსებული წესდებითა და კანონით გათვალისწინებული საშუალებები.

[2] ხელშეკრულების ყოველი მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს მშვიდი სა-

მუშაო ვითარების შენარჩუნება და, განსაკუთრებით კი, თავი შეიკავოს ნებისმიერი აგრესიული მოქმედებებისაგან, როდესაც საქმე ეხება ისეთ საკითხებს, რომლითაც მოწესრიგებულია კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება; კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების მხარეების ვალდებულება, გადაწყვიტონ დავები მშვიდობიანი გზით, მოქმედებს შეუზღუდავად მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ვალდებულება პირდაპირ არის შეთანხმებული.

მუხლი 357a

[1] კავშირებს შორის დადებულ კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებაში ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ მათ ერთობლივად ეკუთვნოდეთ დამსაქმებლების და დასაქმებულების მიმართ ხელშეკრულების პირობების შესრულების მოთხოვნის უფლება, რამდენადაც საქმე ეხება შემდეგ საკითხებს:

a. შრომითი ურთიერთობის დადება, შინაარსი და შეწყვეტა, რომლის დროსაც მოთხოვნის უფლება მიმართულია მხოლოდ აღიარებით სარჩელზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად;

b. ფულადი შენატანების განხორციელება საანგარიშსწორებო სალაროში და შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებებში, დასაქმებულების წარმომადგენლობა საწარმოო ურთიერთობებში და მშვიდი სამუშაო ვითარების შენარჩუნების უზრუნველყოფა;

c. a და b ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ დებულებებთან დაკავშირებული მონიტორინგი, საგარანტიო თანხის წარდგენა და პირგასამტეხლოს თანხები.

[2] მუხლის წინა ნაწილების გაგებით შეთანხმებები შეიძლება დაიდოს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარეები ამაზე პირდაპირ არიან უფლებამოსილი წესდებით ან კავშირის ზემდგომი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

[3] თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება სხვაგვარად არ განსაზღვრავს, ერთმანეთს შორის ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთობის მიმართ აზრობრივად მოქმედებს სამოქალაქო ამხანაგობის (einfache Gesellschaft) მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 358

ფედერაციისა და კანტონების სამართლის იმპერატიულს ნორმებს ენიჭება უპირატესობა კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების დებულებებთან შედარებით, თუმცა, დასაშვებია განსხვავებული შეთანხმებების დადება დასაქმებულის სასარგებლოდ იმ პირობით, რომ იმპერატიული ნორმებიდან სხვა წესი არ გამომდინარეობს.

B. სტანდარტული შრომითი ხელშეკრულება

მუხლი 359

[1] სტანდარტული შრომითი ხელშეკრულებით შრომითი ურთიერთობების

ცალკეული სახეებისათვის დგინდება მათი დადების, შინაარსისა და შეწყვეტის მომწესრიგებელი დებულებები.

[2] სასოფლო-სამეურნეო სფეროსა და საოჯარო მეურნეობაში დასაქმებულების შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებისათვის კანტონები იღებენ სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებებს, რომლებიც, სახელდობრ, ადგენს სამუშაო და დასვენების დროს და ასევე აწესრიგებს ქალებისა და არასრულწლოვანი დასაქმებულებების შრომის პირობებს.

[3] სტანდარტულ შრომით ხელშეკრულების მიმართ აზრობრივად გამოიყენება 358-ე მუხლი.

მუხლი 359a

[1] თუ სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება რამდენიმე კანტონის ტერიტორიაზე, მაშინ მისი მიღება შედის ფედერალური საბჭოს კომპეტენციაში, ხოლო სხვა შემთხვევაში კი, – კანტონის კომპეტენციაში.

[2] სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების მიღებამდე ეს უკანასკნელი უნდა იქნეს სათანადო წესით გამოქვეყნებული და უნდა დადგინდეს ვადა, რომლის განმავლობაშიც ნებისმიერ პირს, რომელიც ამტკიცებს პატივსადები პირადი ინტერესის არსებობას, შეუძლია წერილობით წარადგინოს მასზე თავისი პოზიცია; გარდა ამისა, უნდა მოუსმინონ შესაბამის დაინტერესებულ პროფესიულ კავშირებს ან საქველმოქმედო გაერთიანებებს.

[3] სტანდარტული შრომითი ხელშეკრულება ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც ის გამოქვეყნდა ოფიციალური პუბლიკაციის მიმართ მოქმედი ნორმების შესაბამისად.

[4] ანალოგიური პროცედურა მოქმედებს ასევე სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების გაუქმებისა და შეცვლის მიმართაც.

მუხლი 360

[1] რამდენადაც მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების დებულებები მოქმედებს უშუალოდ ამ ხელშეკრულებით მოწესრიგებული შრომითი ურთიერთობების მიმართ.

[2] სტანდარტული შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პირობა, რომლის თანახმადაც შეთანხმებები, რომლებიც გვერდს უვლის ხელშეკრულების ცალკეულ დებულებებს, თავიანთი ნამდვილობისათვის საჭიროებდეს წერილობით ფორმას.

მუხლი 360a

[1] თუ კონკრეტული სამრეწველო დარგის ან სპეციალობის ფარგლებში განსაზღვრულ ტერიტორიაზე, პროფესიასა თუ დარგში არსებული სტანდარტული ოდენობის ხელფასები რეგულარულად და უკანონოდ მცირდება და სახეზე არ არის კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება იმ მინიმალური ხელფასის მომწესრიგებელი დებულებებით, რაც ზოგადად სავალდებულოდ შეიძლება გა-

მოცხადდეს, მაშინ 360b მუხლის თანახმად სამმხრივი კომისიის განცხადების საფუძველზე კომპეტენტურ ორგანოს უკანონო პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლისა თუ მისი თავიდან აცილების მიზნით შეუძლია მიიღოს ვადიანი სტანდარტული შრომითი ხელშეკრულება, რომელიც დიფერენცირებული მინიმალური ხელფასის ოდენობას ითვალისწინებს რეგიონებისა და აუცილებლობის შემთხვევაში კი, – ტერიტორიების მიხედვით.

[2] მინიმალური ხელფასის ოდენობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესებს და არც უნდა არღვევდეს სხვა სამრეწველო დარგებისა თუ მოსახლეობის წრეების ლეგიტიმურ ინტერესებს. აღნიშნული ოდენობის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რეგიონალური თუ საწარმოო მრავალფეროვნებიდან გამომდინარე არსებული შესაბამისი სამრეწველო დარგებისა თუ პროფესიების უმცირესობის ინტერესები.

[3] თუ 1-ლი ნაწილის თანახმად სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებაში მოცემული მინიმალური ხელფასის მომწესრიგებელი ნორმების დარღვევა მეორდება ან სახეზეა იმის ნიშნები, რომ სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების გაუქმებამ შესაძლოა 1-ლი ნაწილის შესაბამისად გამოიწვიოს უკანონო პრაქტიკის განახლება, მაშინ სამმხრივი კომისიის განცხადების საფუძველზე კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების გარკვეული ვადით გახანგრძლივება.

მუხლი 360b

[1] ფედერაცია და თითოეული კანტონი აფუძნებენ სამმხრივ კომისიას, რომელიც შედგება თანაბარი რაოდენობის დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წარმომადგენლებისაგან, ისევე როგორც – სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან.

[2] 1-ლი ნაწილის შესაბამისად წარმომადგენლის არჩევასთან დაკავშირებით კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა კავშირებს.

[3] კომისიები თვალყურს ადევნებენ შრომის ბაზარს. თუ ისინი შეამჩნევენ დარღვევებს 360a მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით, მაშინ ეს კომისიები, როგორც წესი, ცდილობენ პირდაპირი შეთანხმების მიღწევას შესაბამის დამსაქმებლებთან. თუ შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება ორი თვის განმავლობაში, მაშინ ისინი მიმართავენ კომპეტენტურ ორგანოს სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების მიღების მოთხოვნით, რომელიც მინიმალური ხელფასის ოდენობას ითვალისწინებს შესაბამისი სამრეწველო დარგებისა თუ პროფესიების მიხედვით.

[4] თუ შესაბამის სამრეწველო დარგებში შრომის ბაზრის მდგომარეობა იცვლება, სამმხრივი კომისია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნით.

[5] სამმხრივ კომისიებს მათზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად უფლება აქვთ, საწარმოებში მიიღონ საჭირო ინფორმაცია და გაეცნონ ყველა იმ დოკუმენტს, რომლებიც აუცილებელია მათი კვლევა-ძიების განხორციელებისათვის. დავის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ამ მიზნით ფედერაციის

ან, შესაბამისად, კანტონის მხრიდან დანიშნული ორგანო.

[6] განცხადების საფუძველზე სამმხრივ კომისიებს სტატისტიკის ფედერალური უწყებიდან შეუძლიათ მიიღონ მათ მიერ წარმოებული კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი ის პირადი მონაცემები, რომლებიც მოცემულია კომპანიების კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებებში.

მუხლი 360c

[1] სამმხრივი კომისიის წევრებს ევალებათ სამსახურეობრივი საიდუმლოების დაცვა; კერძოდ, მათ გარეშე პირებთან ურთიერთობებში ეკისრებათ იმ საწარმოო და კერძო ინფორმაციის გაუხმაურებლობის ვალდებულება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

[2] გაუხმაურებლობის ვალდებულება ნარჩუნდება ასევე სამმხრივი კომისიიდან გასვლის შემდეგაც.

მუხლი 360d

[1] 360a მუხლის თანახმად სტანდარტული შრომითი ხელშეკრულება მოქმედებს ასევე იმ დასაქმებულების მიმართაც, რომლებიც ხელშეკრულების მოქმედების ტერიტორიაზე დაკავებულები არიან მხოლოდ დროებითი სამუშაოთი, და ასევე – სხვა ადგილიდან გადმოსული დასაქმებულების მიმართ.

[2] შეთანხმებით დასაქმებულის ინტერესების საზიანოდ 360a მუხლით განსაზღვრული სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების პირობების გვერდის ავლა დაუშვებელია.

მუხლი 360e

დამსაქმებელთა და დასაქმებულთა კავშირებს აქვთ აღიარებითი სარჩელის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის უფლება იმ ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით, იცავს თუ არა 360a მუხლის შესაბამისად დამსაქმებელი სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების პირობებს.

მუხლი 360f

თუ კანტონო 360a მუხლის გამოყენების მიზნით იღებს სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებას, მაშინ ამ ხელშეკრულების ასლს ის უგზავნის კომპეტენტურ ფედერალურ ორგანოს.

მეოთხე თავი: იმპერატიული ნორმები

მუხლი 361

[1] შეთანხმებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით დაუშვებელია შემდეგი ნორმების გვერდის ავლა როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის საზიანოდ:

მუხლი 321c: ნაწილი 1 (ზეგანაკვეთული სამუშაო)

მუხლი 323: ნაწილი 4 (ავანსი)

მუხლი 323b: ნაწილი 2 (გაქვითვა შეგებებულ მოთხოვნასთან)

მუხლი 325: ნაწილი 2 (სახელფასო მოთხოვნების დათმობა და დაგირავება)

მუხლი 326: ნაწილი 2 (სამუშაოს მიცემა)

მუხლი 329d: ნაწილები 2 და 3 (შვებულების თანხა)

მუხლი 331: ნაწილები 1 და 2 (დასაქმებულზე პირადად ზრუნვის მიზნით ფულადი დახმარების გაწევა)

მუხლი 331b: ნაწილები 1 და 2 (სამზრუნველო თანხების მიღებაზე კუთვნილი მოთხოვნების დათმობა და დაგირავება)

მუხლი 334: ნაწილი 3 (გრძელვადიანი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა)

მუხლი 335: (შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა)

მუხლი 335k: (სოციალური გეგმა გაკოტრების საქმის წარმოების ან კომპრომისული შეთანხმების მიღების პროცესში)

მუხლი 336: ნაწილი 1 (შრომითი ურთიერთობის უკანონოდ შეწყვეტა)

მუხლი 336a: (კომპენსაცია შრომითი ურთიერთობის უკანონოდ შეწყვეტის შემთხვევაში)

მუხლი 336b: (კომპენსაციის უფლების რეალიზაციის პროცედურა)

მუხლი 336d: (დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეუსაბამო დროს შეწყვეტა)

მუხლი 337: ნაწილები 1 და 2 (მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე შრომითი ურთიერთობის ვადის დაცვის გარეშე შეწყვეტა)

მუხლი 337b: ნაწილი 1 (შრომითი ურთიერთობის საფუძვლიანი შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები)

მუხლი 337d: (სამუშაო ადგილზე გაუმართლებელი გამოუცხადებლობის ან მისი დატოვების სამართლებრივი შედეგები)

მუხლი 339: ნაწილი 1 (მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომის მომენტი)

მუხლი 339a: (მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულებები)

მუხლი 340b: ნაწილები 1 და 2 (კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგები)

მუხლი 342: ნაწილი 2 (საჯარო სამართლის სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგები)

მუხლი 346: (სასწავლო პრაქტიკის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა)

მუხლი 349c: ნაწილი 3 (კომივოიაჟორული საქმიანობის ხელის შეშლა)

მუხლი 350: (ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციალური შემთხვევები)

მუხლი 350a: ნაწილი 2 (მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულებები)

[2] ბათილია შეთანხმები, ისევე როგორც სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების დებულებები, რომლებიც დამსაქმებლის ან დასაქმებულის საზიანოდ გვერდს უვლის წინა ნაწილში მოცემულ ნორმებს.

მუხლი 362

[1] შეთანხმებით, სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებით დაუშვებელია შემდეგი ნორმების დამსაქმებლის ან დასაქმებულის საზიანოდ გვერდის ავლა:

მუხლი 321e: (დასაქმებულის პასუხისმგებლობა)

მუხლი 322a: ნაწილები 2 და 3 (სამეურნეო საქმიანობის შედეგების წილი)

მუხლი 322b: ნაწილები 1 და 2 (საკომისიოს თანხაზე მოთხოვნის უფლების წარმოშობა)

მუხლი 322c: (საკომისიოს თანხის საანგარიშგებო დოკუმენტი)

მუხლი 323b: 1-ლი ნაწილის მეორე წინადადება (სახელფასო თანხის საანგარიშგებო დოკუმენტი)

მუხლი 324: (სახელფასო თანხა დამსაქმებლის მიერ სამუშაოს მიღების დაგვიანების შემთხვევაში)

მუხლი 324a: ნაწილები 1 და 3 (სახელფასო თანხა დასაქმებულისათვის მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულების ხელის შეშლის შემთხვევაში)

მუხლი 324b: (სახელფასო თანხა დამსაქმებლის სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში)

მუხლი 326: ნაწილები 1, 3 და 4 (ნარდობრივი სამუშაო)

მუხლი 326a: (ნარდობრივი სამუშაოს ხელფასი)

მუხლი 327a: ნაწილი 1 (ხარჯების ანაზღაურება ზოგადად)

მუხლი 327b: ნაწილი 1 (ხარჯების ანაზღაურება ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში)

მუხლი 327c: ნაწილი 2 (ავანსი ხარჯების ანაზღაურებისათვის)

მუხლი 328: (დასაქმებულის პიროვნების პატივისცემა ზოგადად)

მუხლი 328a: (დასაქმებულის პიროვნების პატივისცემა საერთო ოჯახში ცხოვრების შემთხვევაში)

მუხლი 328b: (დასაქმებულის პიროვნების პატივისცემა პერსონალური მონაცემების გამოყენების შემთხვევაში)

მუხლი 329: ნაწილები 1, 2 და 3 (დასვენების დრო)

მუხლი 329a: ნაწილები 1 და 3 (შვებულების ხანგრძლივობა)

მუხლი 329b: ნაწილები 2 და 3 (შვებულების ხანგრძლივობის შემცირება)

მუხლი 329c: (ერთმანეთის მიყოლებით მიცემული შვებულებისა და მისი მიცემის დრო)

მუხლი 329d: ნაწილი 1 (შვებულების თანხა)

მუხლი 329e: ნაწილები 1 და 3 (ახალგაზრდის შვებულება)

მუხლი 329f: (შვებულება მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო)

მუხლი 330: ნაწილები 1, 3 და 4 (საგარანტიო თანხა)

მუხლი 330a: (დამსაქმებლის ცნობა)

მუხლი 331: ნაწილები 3 და 4 (შენატანების გადახდა და ინფორმაციის გაცემის ვალდებულება დასაქმებულთა კეთილდღეობაზე ზრუნვის შემთხვევაში)

მუხლი 331a: (სამზრუნველო დაცვის დაწყება და დასრულება)

მუხლი 332: ნაწილი 4 (საზღაური გამოგონებების შემთხვევაში)

მუხლი 333: ნაწილი 3 (პასუხისმგებლობა შრომითი ურთიერთობის გადასვლის შემთხვევაში)

მუხლი 335i: (დასაქმებულებთან მოლაპარაკებების წარმოების ვალდებულება სოციალური გეგმის შემუშავების მიზნით)

მუხლი 335j: (სოციალური გეგმის შედგენა არბიტრაჟის მეშვეობით)

მუხლი 336: ნაწილი 2 (დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის გაუმართლებელი შეწყვეტა)

მუხლი 336c: (დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა შეუსაბამო დროს)
მუხლი 337a: (შრომითი ურთიერთობის ვადის დაცვის გარეშე შეწყვეტა ხელფასის გადაუხდელობის საფრთხის არსებობის გამო)
მუხლი 337c: ნაწილი 1 (სამსახურიდან გაუმართლებელი გათავისუფლების სამართლებრივი შედეგები)
მუხლი 338: (დასაქმებულის გარდაცვალება)
მუხლი 338a: (დამსაქმებლის გარდაცვალება)
მუხლი 339b: (გამოსასვლელი თანხის გადახდის წინაპირობები)
მუხლი 339d: (გამოსასვლელი თანხიდან გამოკლებული თანხები)
მუხლი 340: ნაწილი 1 (კონკურენციის აკრძალვის წინაპირობები)
მუხლი 340a: ნაწილი 1 (კონკურენციის აკრძალვის შეზღუდვა)
მუხლი 340c: (კონკურენციის აკრძალვის წესის გაუქმება)
მუხლი 341: ნაწილი 1 (მოთხოვნებზე უარი თქმის დაუშვებლობა)
მუხლი 345a: (მასწავლებლის მოვალეობები)
მუხლი 346a: (პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი)
მუხლი 349a: ნაწილი 1 (კომივოიაჟორის ხელფასი)
მუხლი 349b: ნაწილი 3 (საკომისიოს გადახდა)
მუხლი 349c: ნაწილი 1 (ხელფასი კომივოიაჟორული საქმიანობის შესრულებაში ხელის შეშლის შემთხვევაში)
მუხლი 349e: ნაწილი 1 (კომივოიაჟორის კუთვნილი დაკავების უფლება)
მუხლი 350a: ნაწილი 1 (საკომისიო შრომითი ურთიერთობის დასრულების შემთხვევაში)
მუხლი 352a: ნაწილი 3 (შინადასაქმებულის პასუხისმგებლობა)
მუხლი 353: (შრომის შედეგის მიღება)
მუხლი 353a: (ხელფასის გადახდა)
მუხლი 353b: ნაწილი 1 (ხელფასი სამუშაოს შესრულების ხელის შეშლის შემთხვევაში).
[2] ბათილია შეთანხმებები, ისევე როგორც სტანდარტული თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების დებულებები, რომლებიც დასაქმებულის საზიანოდ გვერდის უვლის წინა ნაწილში მოცემულ ნორმებს.

მეთერთმეტე ტიტული: ნარდობის ხელშეკრულება

მუხლი 363

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს შეთანხმებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი კი ვალდებულია, გადაუხადოს მას საზღაური.

მუხლი 364

[1] ზოგადად მენარდეს ეკისრება იგივე ზრუნვის ვალდებულება, რაც დასაქმებულს შრომით ურთიერთობაში.

[2] მენარდე ვალდებულია, პირადად შეასრულოს სამუშაო ან უზრუნველყოს ამ სამუშაოს შესრულება მისი პირადი ხელმძღვანელობით გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც გარიგების ბუნებიდან გამომდინარე მენარდის პირადი თვისებები არ მოითხოვება.

[3] მხარეთა შორის სხვაგვარი შეთანხმების ან პრაქტიკის არარსებობისას, მენარდე ვალდებულია, საკუთარი ხარჯით იზრუნოს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი დამხმარე საშუალებების, ხელსაწყოებისა და დანადგარების მოწოდებისათვის.

მუხლი 365

[1] რამდენადაც მენარდემ იკისრა მასალების მიწოდების ვალდებულება, ის პასუხს აგებს შემკვეთის წინაშე მათი ხარისხისათვის და მასვე ეკისრება იგივე საგარანტიო ვალდებულება, რაც გამყიდველს.

[2] მენარდე ვალდებულია, შემკვეთის მიერ მისთვის მიწოდებული მასალები გამოიყენოს მაქსიმალური ზრუნვით, წარუდგინოს მას ამ მასალებით სარგებლობის ანგარიში და დაუბრუნოს შემკვეთს სამუშაოსათვის გამოუყენებელი დარჩენილი მასალები.

[3] თუ სამუშაოს შესრულებისას გამოვლინდება შემკვეთისგან მიწოდებული მასალების ან მისთვის გამოყოფილი სამშენებლო ნიადაგის ნაკლი, ანდა თუ თავს იჩენს სხვა გარემოებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის სამუშაოს ჯეროვან ან დროულ შესრულებას, მაშინ მენარდემ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს; წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერი დამდგარი უარყოფითი შედეგისათვის.

მუხლი 366

[1] თუ მენარდე დროულად არ იწყებს სამუშაოს ან ხელშეკრულების პირობების დარღვევით ის აგვიანებს ამ სამუშაოს შესრულებას ანდა თუ შემკვეთის მხრიდან ბრალის არარსებობისას ის იმყოფება მნიშვნელოვან ვადაგადაცილებაში ისე, რომ სამუშაოს დროული დასრულება მოსალოდნელი აღარ არის, მაშინ შემკვეთს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან ისე, რომ აღარ დაელოდოს მიწოდების თარიღს.

[2] თუ სამუშაოს შესრულების პროცესში აშკარა ხდება, რომ სამუშაოს შედეგი მენარდის მხრიდან ბრალის არსებობისას ნაკლის მქონე ან ხელშეკრულების პირობებთან სხვაგვარად შეუსაბამო იქნება, მაშინ შემკვეთს შეუძლია დაუდგინოს მას გონივრული ვადა ხარვეზის გამოსწორებისათვის ან დაადგინოს ასეთი ვადა იმ გაფრთხილებით, რომ ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სამუშაოს გამოსწორება ან მისი შესრულების გაგრძელება მოხდება მესამე პირის მიერ მენარდის რისკითა და ხარჯით.

მუხლი 367

[1] ნაკეთობის გადაცემის შემდეგ შემკვეთმა უნდა შეამოწმოს მისი ხარისხი, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება საქმის წარმოების ჩვეულებრივი წესების შესაბამისად, და აღმოჩენილი ყოველგვარი შესაძლო ნაკლის შესახებ შეატყობინოს მენარდეს.

[2] თითოეული მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს ნაკეთობის საკუთარი ხარჯით ექსპერტების მეშვეობით შემოწმება და შემოწმების შედეგის დოკუმენტალური დადასტურება.

მუხლი 368

[1] თუ ნაკეთობა იმდენად ნაკლიანია ან სხვა მხრივაც იმდენად არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, რომ შემკვეთისათვის ის გამოუსადეგარია ან მას მისი მიღება არ შეიძლება გონივრულად მოეთხოვოს, მაშინ შემკვეთს შეუძლია უარი თქვას აღნიშნული ნაკეთობის მიღებაზე, ხოლო მენარდის მხრიდან ბრალის არსებობისას კი, – მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

[2] თუ ნაკეთობის ნაკლი ან ხელშეკრულების პირობებთან მისი შეუსაბამობა მინიმალურია, მაშინ შემკვეთს შეუძლია შეამციროს საზღაური ნაკეთობის შემცირებული ღირებულების პროპორციულად ან მოითხოვოს სამუშაოს გამოსწორება, რამდენადაც ეს მენარდისათვის არ იწვევს შეუსაბამო ხარჯებს, ხოლო მენარდის მხრიდან ბრალის არსებობისას კი, – მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

[3] იმ ნაგებობების შემთხვევაში, რომლებიც შენდება შემკვეთის მიწაზე და რომელთა მოცილებაც მათი ბუნების მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ არათანაზომიერი ზიანის მიყენებით, მაშინ შემკვეთს აქვს მხოლოდ წინამდებარე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული უფლებები.

მუხლი 369

ნაკეთობის ნაკლიანობიდან გამომდინარე შემკვეთის კუთვნილი უფლებები ქარწყლდება, როდესაც მას თავად მიუძღვის ბრალი ასეთი ნაკლის წარმოშობაში იმ მითითებების შედეგად, რომლებიც მან სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით მენარდის პირდაპირი გაფრთხილებების საწინააღმდეგოდ ან სხვა გზით გასცა.

მუხლი 370

[1] თუ გადაცემულ ნაკეთობას შემკვეთი პირდაპირ ან უსიტყვოდ მოიწონებს, მაშინ მენარდე თავისუფლდება მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან, რამდენადაც საქმე არ ეხება ისეთ ნაკლს, რომლის შემჩნევაც შეუძლებელი იქნებოდა სათანადო შემოწმების შემთხვევაში ან რომელიც მენარდემ განზრახ არ ახსენა.

[2] ნაკეთობის უსიტყვო მოწონება ივარაუდება, როდესაც შემკვეთი თავს იკავებს კანონით გათვალიწინებული შემოწმებისა და შეტყობინების წარდგენისაგან.

[3] თუ ნაკლი მხოლოდ მოგვიანებით გამოვლინდება, მაშინ შეტყობინება მენარდეს უნდა გაეგზავნოს დაუყოვნებლივ ნაკლის აღმოჩენის შემდეგ, რომლის წარუდგენლობის შემთხვევაშიც კი ნაკეთობა ჩაითვლება მიღებულად თუნდაც აღნიშნული ნაკლის მხედველობაში მიღებით.

მუხლი 371

[1] ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთის მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია

ნაკეთობის მიღებიდან ორი წლის ვადის გასვლისთანავე. თუმცა, ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს, რამდენადაც შესრულებული სამუშაოების ნაკლიანობა გამოწვეულ იქნა მოძრავი ნივთის სახით არსებული იმ ნაკეთობის ნაკლით, რომელიც თავისი დანიშნულების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების შედეგად მიუერთდა უძრავ ქონებას.

[2] უძრავი ნივთის სახით არსებული ნაკეთობის შესაძლო ნაკლთან დაკავშირებით შემკვეთის მოთხოვნის უფლებები მენარდის მიმართ, ისევე როგორც – იმ არქიტექტორებისა თუ ინჟინრების მიმართ, რომლებმაც გასწიეს სამსახური სამუშაოს შედეგის მისაღწევად, ხანდაზმულია ნაკეთობის მიღებიდან ხუთი წლის ვადის გასვლისთანავე.

[3] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აზრობრივად გამოიყენება მყიდველის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის მომწესრიგებელი წესები.

მუხლი 372

[1] შემკვეთმა საზღაური უნდა გადაიხადოს ნაკეთობის გადაცემის მომენტში.

[2] თუ ნაკეთობის გადაცემა უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილ და საზღაურის გადახდაც გათვალისწინებულია განაწილვადებით, მაშინ ნაკეთობის ყოველი ნაწილის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ამ ნაწილის გადაცემის მომენტში.

მუხლი 373

[1] თუ საზღაურის თანხა წინასწარ ზუსტად არის დადგენილი, მაშინ მენარდე ვალდებულია, დაამზადოს ნაკეთობა ამ თანხის ფარგლებში და არ მოითხოვოს თანხის მომატება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მან შეასრულა გათვალისწინებულზე მეტი სამუშაო ან გასწია მეტი ხარჯი.

[2] თუმცაღა, იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკეთობის დამზადებას ხელი შეუშალა იმ განსაკუთრებულმა გარემოებებმა, რომელთა წინასწარ გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ან რომლებიც გამოირიცხა ორივე მხარის მიერ დაშვებული წინაპირობებით, მაშინ მოსამართლეს შეუძლია თავისი შეხედულებით დაადგინოს ფასის გაზრდა ან ხელშეკრულების შეწყვეტა.

[3] შემკვეთმა სრული ფასი უნდა გადაიხადოს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნაკეთობის დამზადებას გათვალისწინებულზე ნაკლები შრომა დასჭირდა.

მუხლი 374

თუ ფასი წინასწარ არ არის განსაზღვრული ან ის განსაზღვრულია მხოლოდ მიახლოებით, მაშინ საზღაური დგინდება მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოსა და გაწეული ხარჯების ღირებულების შესაბამისად.

მუხლი 375

[1] თუ მენარდესთან შეთანხმებული საზღაურის მიახლოებითი თანხა არათანაზომიერად იზრდება შემკვეთის ბრალეული ჩარევის გარეშე, მაშინ ამ უკანასკნელს აქვს უფლება, გავიდეს ხელშეკრულებიდან როგორც სამუშაოს შესრულების დროს, ისე მისი დასრულების შემდეგ.

[2] იმ ნაგებობების შემთხვევაში, რომლებიც შენდება შემკვეთის მიწაზე, ამ უკანასკნელს შეუძლია საზღაურის სათანადო შემცირების მოთხოვნა, ხოლო

როდესაც ნაგებობა ჯერ არ არის დასრულებული, – უკვე შესრულებული სამუშაოებისათვის სამართლიანი საზღაურის გადახდის სანაცვლოდ სამუშაოების გაგრძელების თავიდან აცილება და ხელშეკრულებიდან გასვლა.

მუხლი 376

[1] თუ ნაკეთობა მის გადაცემამდე შემთხვევითობის შედეგად განადგურდება, მაშინ მენარდეს არ შეუძლია მოითხოვოს არც საზღაური მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის და არც მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემკვეთი იმყოფება სამუშაოს მიღების ვადაგადაცილებაში.

[2] ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მასალების განადგურების რისკი ეკისრება მის მიმწოდებელ მხარეს.

[3] თუ ნაკეთობა განადგურდება შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალის ან გამოყოფილი სამშენებლო ნიადაგის ნაკლის გამო ანდა მისი მხრიდან მითითებული სამუშაოების შესრულების მეთოდის შედეგად, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ მენარდემ დროულად გააფრთხილა შემკვეთი აღნიშნული რისკების არსებობის შესახებ, მას შეუძლია მოითხოვოს საზღაური უკვე შესრულებული სამუშაოსა და იმ ხარჯებისათვის, რომლებიც არ შედის საზღაურის თანხაში, და ასევე დამატებით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც, თუ შემკვეთი ბრალეულად მოქმედებდა.

მუხლი 377

სამუშაოს დასრულებამდე შემკვეთს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან მენარდისათვის უკვე შესრულებული სამუშაოებისათვის საზღაურის გადახდისა და მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 378

[1] თუ სამუშაოს დასრულება შეუძლებელი ხდება შემკვეთთან დაკავშირებული შემთხვევითობის გამო, მაშინ მენარდეს აქვს საზღაურის მოთხოვნის უფლება უკვე შესრულებული სამუშაოსა და იმ ხარჯებისათვის, რომლებიც არ შედის ფასში.

[2] თუ სამუშაოს დასრულების შეუძლებლობაში შემკვეთს მიუძღვის ბრალი, მაშინ მენადრეს დამატებით შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც.

მუხლი 379

[1] თუ გარდაიცვლება მენარდე ან მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას მენარდე ვეღარ შეძლებს სამუშაოს დასრულებას, მაშინ ნარდობის ხელშეკრულება წყდება, თუ ის დაიდო მენარდის პირადი თვისებების გათვალისწინებით.

[2] შემკვეთი ვალდებულია, მიიღოს და აანაზღაუროს უკვე შესრულებული სამუშაოს ნაწილი, რამდენადაც ეს უკანასკნელი მისთვის გამოსადეგია.

მეთორმეტე ტიტული: საგამომცემლო ხელშეკრულება

მუხლი 380

საგამომცემლო ხელშეკრულებით ლიტერატურული ან სახელოვნელო ნაწარმოების ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე (ნაწარმოების წარმომდგენი ავტორი) კისრულობს ვალდებულებას, გამოქვეყნების მიზნით ნაწარმოები გადასცეს გამომცემელს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია გაამრავლოს და გაავრცელოს ის.

მუხლი 381

[1] ავტორის უფლებები გამომცემელს გადაეცემა მხოლოდ იმ ფარგლებსა და პერიოდით, რაც საჭიროა ხელშეკრულების შესასრულებლად.

[2] ნაწარმოების წარმომდგენი ავტორი გამომცემლის წინაშე პასუხისმგებელია იმაზე, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ის უფლებამოსილი იყო ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, ხოლო როდესაც ნაწარმოები ექვემდებარება დაცვას, – იმაზე, რომ მას ჰქონდა საავტორო უფლება.

[3] როდესაც ნაწარმოები წინასწარ სრულად ან ნაწილობრივ უკვე იყო გადაცემული მესამე პირისათვის გამოსაცემად ან ნაწარმოების წარმომდგენმა ავტორმა იცოდა იმის შესახებ, რომ ნაწარმოები უკვე იყო გამოქვეყნებული, ამ უკანასკნელმა ეს ფაქტი ხელშეკრულების დადებამდე უნდა გააგებინოს გამომცემელს.

მუხლი 382

[1] მანამდე, სანამ სრულად არ გაიყიდება ნაწარმოების ის გამოცემები, რომლებზეც უფლებამოსილია გამომცემელი, ნაწარმოების წარმომდგენ ავტორს არ შეუძლია არც მთლიანად ნაწარმოების და არც მისი ცალკეული ნაწილების სხვაგვარად განკარგვა გამომცემლის საზიანოდ.

[2] საგაზეთო სტატიები და ჟურნალებში ცალკეული მცირე თხზულებები გამომცემლის მიერ შეიძლება ნებისმიერ დროს სხვაგან გამოქვეყნდეს.

[3] დაუშვებელია კრებულების სტატიების ან ჟურნალების შედარებით დიდი ზომის სტატიების გამომცემლის მიერ სხვაგან გამოქვეყნება ამ სტატიების სრული მოცულობით გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადის გასვლამდე.

მუხლი 383

[1] თუ გამოცემათა რაოდენობა მხარეთა შეთანხმებით არ განისაზღვრება, მაშინ გამომცემელი უფლებამოსილია მხოლოდ ერთ გამოცემაზე.

[2] მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობისას, გამოცემის მოცულობა დგინდება გამომცემლის მიერ, თუმცა ნაწარმოების წარმომდგენი ავტორის მოთხოვნის საფუძველზე მან უნდა დაბეჭდოს, სულ ცოტა, იმდენი ეგზემპლარი, რაც დააკმაყოფილებს ბაზრის ჯეროვან მოთხოვნებს, ხოლო პირველი გამოცემის დასრულების შემდეგ კი გამომცემელმა თავი უნდა შეიკავოს ახალი ეგზემპლარების დაბეჭდვისაგან.

[3] თუ ნაწარმოების გამოცემის უფლება უფლებამოსილ პირს ანიჭებს რამდენიმე ან ყველა გამოცემის უფლებას, ხოლო გამომცემელი არ ახდენს ნაწარმოების ახალი გამოცემის ორგანიზებას მას შემდეგ, რაც სრულად გაიყიდება

უკანასკნელი გამოცემის ყველა ეგზემპლარი, მაშინ ნაწარმოების წარმომდგენ ავტორს შეუძლია მას სასამართლო წესით დაუდგინოს ვადა ახალი გამოცემის უზრუნველყოფისათვის, რომლის უშედეგო გასვლის შემდეგ გამომცემელი კარგავს თავის უფლებას.

მუხლი 384

[1] გამომცემელი ვალდებულია, სათანადო ფორმატით გაამრავლოს ნაწარმოები შემოკლებების, დამატებებისა და ცვლილებების გარეშე, იზრუნოს ნაწარმოების ჯეროვან გამოქვეყნებაზე და გამოიყენოს აპრობირებული საშუალებები მის სარეალიზაციოდ.

[2] ფასის განსაზღვრა ხდება გამომცემლის შეხედულებით, თუმცა მან არ უნდა გაართულოს ნაწარმოების რელიზაცია შეუსაბამოდ მაღალი ფასის მოთხოვნით.

მუხლი 385

[1] ავტორი ინარჩუნებს უფლებას, შეასწოროს და გააუმჯობესოს თავისი ნაწარმოები, თუ ეს ზიანს არ აყენებს ამ უკანასკნელის გამოცემის ინტერესებს ან არ ზრდის გამომცემლის პასუხისმგებლობის მოცულობას, თუმცა, ამავე დროს, ავტორმა უნდა აანაზღაუროს აღნიშნულის შედეგად გამოწვეული გაუთვალისწინებელი ხარჯები.

[2] გამომცემელს არ შეუძლია ნაწარმოების ახალი ვერსიისა თუ გამოცემის მომზადება და დაბეჭდვა ისე, რომ წინასწარ ავტორს არ მისცეს მისი გაუმჯობესების შესაძლებლობა.

მუხლი 386

[1] თუ ადგილი აქვს ერთი და იგივე ავტორის რამდენიმე ინდივიდუალური ნაწარმოების სპეციალური გამოცემის უფლების გადაცემას, მაშინ ეს უკანასკნელი არ მოიცავს ასევე გამომცემლის უფლებამოსილებას, მოახდინოს აღნიშნული ნაწარმოებების ერთიანი კრებულის სახით გამოცემა.

[2] ანალოგიურად, ერთი და იგივე ავტორის ყველა ნაწარმოების ან მოცემული ჟანრის ყველა ნაწარმოების ერთიანი კრებულის სახით გამოცემა არ ანიჭებს გამომცემელს უფლებას, ცალ-ცალკე მოახდინოს ინდივიდუალური ნაწარმოებების გამოცემა.

მუხლი 387

თუ გამომცემელთან სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ნაწარმოების წარმომდგენი ავტორი ინარჩუნებს ექსკლუზიურ უფლებას, გამოსცეს ამ ნაწარმოების თარგმანი.

მუხლი 388

[1] ნაწარმოების წარმომდგენი ავტორისათვის გადასახდელი ჰონორარი ჩაითვლება შეთანხმებულად, თუ საქმის გარემოებების გათვალისწინებით ნაწარმოების გადაცემა მოსალოდნელი იყო მხოლოდ ჰონორარის სანაცვლოდ.

[2] ჰონორარის ოდენობას მოსამართლე განსაზღვრავს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

[3] თუ გამომცემელს აქვს რამდენიმე გამოცემაზე უფლება, მაშინ ივარაუდება, რომ მის მიერ ყოველი შემდგომი ორგანიზებული გამოცემისათვის მოქმედებს იგივე საჰონორარო და სხვა სახელშეკრულებო პირობები, რაც შეთანხმებულია პირველი გამოცემისათვის.

მუხლი 389

[1] ჰონორარის თანხის გადახდის ვადა დგება იმ მომენტიდან, როგორც კი მთლიანი ნაწარმოები, ან როდესაც ნაწარმოები ქვეყნდება ნაწილ-ნაწილ (ტომები, ნომრები, ფურცლები), – შესაბამისი ნაწილი დაიბეჭდება და გამზადდება გასავრცელებლად.

[2] თუ ჰონორარის თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია მოსალოდნელ რეალიზაციაზე, მაშინ გამომცემელს ეკისრება გაყიდვების შესახებ სტანდარტული ანგარიშის წარდგენა და მისი დოკუმენტალური დადასტურება.

[3] სხვაგვარი შეთანხმების არარსებობისას, ნაწარმოების წარმომდგენ ავტორს უფლება აქვს, მიიღოს ჩვეულებებით დადგენილი რაოდენობის უფასო საავტორო ეგზემპლარი.

მუხლი 390

[1] თუ ნაწარმოები მისი გამომცემლისათვის გადაცემის შემდეგ შემთხვევითობის შედეგად განადგურდება, გამომცემელი მაინც ვალდებულია გადაიხადოს ჰონორარი.

[2] თუ ავტორს ხელთ აქვს განადგურებული ნაწარმოების მეორე ეგზემპლარიც, მაშინ მან ის უნდა გადასცეს გამომცემელს; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვალდებულია, აღადგინოს ნაწარმოები, თუ ეს მისთვის მინიმალური ძალისხმევითაც არის შესაძლებელი.

[3] ორივე შემთხვევაში ავტორს აქვს სათანადო კომპენსაციის მიღების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 391

[1] თუ გამომცემლის მხრიდან უკვე აღდგენილი გამოსაცემი ნაწარმოები შემთხვევითობის შედეგად სრულად ან ნაწილობრივ განადგურდება მანამდე, სანამ მოხდება მისი რეალიზაცია, მაშინ გამომცემელი უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯით ხელახლა აღადგინოს განადგურებული ეგზემპლარები ისე, რომ ნაწარმოების წარმომდგენი ავტორი ვერ მოითხოვს ამისათვის ახალ ჰონორარს.

[2] გამომცემელს ეკისრება განადგურებული ეგზემპლარების აღდგენის ვალდებულება, როდესაც ეს შეიძლება მოხდეს შეუსაბამოდ მაღალი ხარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი 392

[1] საგამომცემლო ხელშეკრულება წყდება, როდესაც ავტორი ნაწარმოების დასრულებამდე გარდაიცვლება ან ქმედუუნარო ხდება ანდა ავტორის მხრიდან ბრალის არარსებობისას მას ხელი ეშლება ნაწარმოების დასრულებაში.

[2] გამონაკლისის სახით მოსამართლეს შეუძლია მხარეებს დართოს სახელშეკრულებო ურთიერთობის სრულად ან ნაწილობრივ გაგრძელების ნება, თუ ეს

შესაძლებლად და სამართლიანად მიიჩნევა, და ასევე – დაადგინოს აუცილებელი ზომების მიღება.

[3] თუ გამომცემლის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება, მაშინ ნაწარმოების წარმომდგენ ავტორს შეუძლია ამ ნაწარმოების სხვა გამომცემლისათვის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტში არსებული საგამომცემლო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ჯერ კიდევ ვადამოუსვლელი ვალდებულებების შესრულებისათვის წარედგინება შესაბამისი უზრუნველყოფა.

მუხლი 393

[1] როდესაც ერთი ან რამდენიმე ავტორი (Verfasser) კისრულობს ნაწარმოების გადამუშავების ვალდებულებას გამომცემლის მიერ წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, მაშინ მათ აქვთ მხოლოდ შეთანხმებული ჰონორარის თანხის მიღების მოთხოვნის უფლება.

[2] ნაწარმოებზე საავტორო უფლება ეკუთვნის გამომცემელს.

მეცამეტე ტიტული: დავალება

პირველი თავი: მარტივი დავალება

მუხლი 394

[1] დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოქმედებები ან გასწიოს მომსახურება.

[2] სამუშაოს შესრულების შესახებ ხელშეკრულებები, რომლებიც არ მიეკუთვნება წინამდებარე კანონით გათვალისწინებულ ხელშეკრულებათა რაიმე განსაკუთრებულ სახეს, ექვემდებარება დავალების მომწესრიგებელი ნორმებით რეგულირებას.

[3] საზღაური ექვემდებარება გადახდას, როდესაც ის გათვალისწინებულია შეთანხმებით ან დამკვიდრებული პრაქტიკით.

მუხლი 395

დავალება ითვლება მიღებულად იმ შემთხვევაში, თუ მასზე უარი დაუყოვნებლივ არ იქნება გაცხადებული და ის ეხება ისეთ მოქმედებებს, რომლებსაც რწმუნებული ახორციელებს ოფიციალური დანიშვნის ძალით ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ანდა რომელთათვისაც მან საჯაროდ მოახდინა თავისი მომსახურების შეთავაზება.

მუხლი 396

[1] თუ დავალების მოცულობა პირდაპირ არ არის ასახული ხელშეკრულებაში, მაშინ ის დგინდება დავალებული მოქმედებების ბუნებით.

[2] კერძოდ, დავალების მოცულობა მოიცავს ასევე ისეთი გარიგებების დადების უფლებამოსილებასაც, რომლებიც საჭიროა დავალების შესრულებისათვის.

[3] რწმუნებული საჭიროებს სპეციალურ უფლებამოსილებას იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მორიგების გაფორმებას, არბიტრაჟზე დათანხმებას, თამასუქით გამყარებული ვალდებულებების კისრებას, მიწის ნაკვეთების გასხვისებას ან უფლებრივ დატვირთვას ანდა ჩუქების ხელშეკრულებების დადებას.

მუხლი 397

[1] თუ მარწმუნებელმა დაკისრებული მოქმედებების შესრულებისათვის რწმუნებულს მისცა შესაბამისი მითითებები, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია გადაუხვიოს ამ მითითებებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებული გარემოებების გამო მარწმუნებლისაგან ნებართვის მიღება შეუძლებელია და, გარდა ამისა, რწმუნებულს შეუძლია ივარაუდოს, რომ ის მიიღებდა ასეთ ნებართვას მარწმუნებლის მხრიდან საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში.

[2] თუ რწმუნებული მარწმუნებლის საზიანოდ ახდენს მისი მითითებებიდან გადახვევას ისე, რომ ზემოაღნიშნული წინაპირობები არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ დავალება შესრულებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მითითებებიდან გადახვევის შედეგად დამდგარ ზიანზე პასუხისმგებლობას რწმუნებული თავის თავზე აიღებს.

მუხლი 397a

თუ მარწმუნებელი სავარაუდოდ მყარად ქმედუუნარო ხდება, მაშინ რწმუნებულმა ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მარწმუნებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედ ზრდასრულ პირთა დაცვის ორგანოს, თუ ასეთი შეატყობინება მიზანშეწონილად მიიჩნევა შესაბამისი ინტერესების დაცვისათვის.

მუხლი 398

[1] ზოგადად რწმუნებულს ეკისრება იგივე ზრუნვის ვალდებულება, რაც დასაქმებულს შრომით ურთიერთობაში.

[2] რწმუნებული პასუხს აგებს მარწმუნებლის წინაშე მასზე დაკისრებული მოქმედებების ერთგულად და ბეჯითად შესრულებისათვის.

[3] რწმუნებულმა პირადად უნდა უზრუნველყოს მოქმედებების შესრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უფლებამოსილია – ან არსებული გარემოებების გამო იძულებულია – მასზე დაკისრებული მოქმედებების შესრულება მიანდოს მესამე პირს ანდა როდესაც წარმომადგენლობა ჩვეულებების შესაბამისად დასაშვებად არის მიჩნეული.

მუხლი 399

[1] თუ რწმუნებულმა მასზე დაკისრებული მოქმედებების შესრულება მესამე პირს მიანდო შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე, მაშინ ის პასუხს აგებს ამ უკანასკნელის მოქმედებებისათვის, როგორც საკუთარი მოქმედებებისათვის.

[2] თუ რწმუნებული უფლებამოსილი იყო მოქმედებების შესრულების მესამე პირისათვის მინდობაზე, მაშინ ის პასუხს აგებს მხოლოდ ამ უკანასკნელის შე-

რჩევისა და მისთვის ინსტრუქტაჟის მიცემის დროს გამოვლენილი სათანადო ზრუნვისათვის.

[3] ორივე შემთხვევაში მარწმუნებელს შეუძლია უშუალოდ მესამე პირის მიმართ გამოიყენოს ის მოთხოვნის უფლებები, რომლებიც რწმუნებულს აქვს მესამე პირის წინააღმდეგ.

მუხლი 400

[1] რწმუნებული ვალდებულია, მოთხოვნის საფუძველზე ნებისმიერ დროს წარადგინოს ანგარიში მის მიერ საქმის წარმოების შესახებ და დააბრუნოს ყველაფერი ის, რაც მან საქმის წარმოების შედეგად რაიმე საფუძვლით მიიღო.

[2] რწმუნებულმა უნდა გადაიხადოს იმ თანხის პროცენტები, რომლის მარწმუნებლისათვის გადაცემის ვადას მან გადააცილა.

მუხლი 401

[1] თუ რწმუნებულმა მარწმუნებლის სასარგებლოდ მოქმედებისას საკუთარი სახელით შეიძინა მოთხოვნის უფლებები მესამე პირების მიმართ, მაშინ ეს მოთხოვნის უფლებები გადადის მარწმუნებელზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, შეასრულა დავალების ურთიერთობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული ყველა ვალდებულება.

[2] იგივე წესი მოქმედებს ასევე რწმუნებულის ქონებრივი მასის მიმართაც, თუ რწმუნებულის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება.

[3] ანალოგიურად, რწმუნებულის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში მარწმუნებელს რწმუნებულის კუთვნილი დაკავების უფლების გათვალისწინების პირობით შეუძლია მოითხოვოს იმ მოძრავი ნივთების მისთვის გადმოცემა, რომლებიც რწმუნებულმა შეიძინა საკუთარი სახელით, თუმცა მარწმუნებლის სასარგებლოდ.

მუხლი 402

[1] მარწმუნებელი ვალდებულია, რწმუნებულს პროცენტებით აუნაზღაუროს ის ხარჯები და დანახარჯები, რომლებიც ამ უკანასკნელმა გასწია დავალების სათანადოდ შესრულების დროს, და გაათავისუფლოს ის ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

[2] მარწმუნებელი პასუხს აგებს რწმუნებულის წინაშე დავალების შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის, რამდენადაც ის ვერ შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ზიანი დადგა მისი ბრალის გარეშე.

მუხლი 403

[1] თუ რამდენიმე პირი ერთობლივად ახდენს რწმუნებულისათვის დავალების მიცემას, მაშინ ისინი ამ უკანასკნელის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

[2] თუ რამდენიმე პირმა ერთობლივად იკისრა დავალების შესრულება, მაშინ ისინი მარწმუნებლის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ხოლო რამდენადაც რწმუნებულები არ არიან უფლებამოსილი დაკისრებული მოქმედებების შესრულება მიანდონ მესამე პირს, მათ მარწმუნებლის წინაშე ვალდებულების კისრება შეუძლიათ მხოლოდ ერთობლივი მოქმედებით.

მუხლი 404

[1] დავალება შეიძლება ხელშეკრულების ყოველი მხარის მიერ ნებისმიერ დროს გაუქმდეს ან შეწყდეს.

[2] თუმცა, თუ აღნიშნული შეუსაბამო დროს ხორციელდება, მაშინ ხელშეკრულებიდან გამსვლელ მხარეს ეკისრება მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

მუხლი 405

[1] რამდენადაც საწინააღმდეგო წესი არ არის შეთანხმებული ან შესასრულებელი მოქმედებების ბუნებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, დავალება უქმდება მარწმუნებლის ან რწმუნებულის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვით, მის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნით, მისი გარდაცვალებითა თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებით.

[2] თუმცაღა, იმ შემთხვევაში, თუ დავალების გაუქმება საფრთხეს უქმნის მარწმუნებლის ინტერესებს, მაშინ რწმუნებული, მისი მემკვიდრე ან წარმომადგენელი ვალდებულია, გააგრძელოს მოქმედებების შესრულება მანამდე, სანამ მარწმუნებელი, მისი მემკვიდრე ან წარმომადგენელი თავად ვერ შეძლებს ამ მოქმედებების შესრულებას.

მუხლი 406

მანამდე, სანამ რწმუნებული არ შეიტყობს დავალების გაუქმების შესახებ, მის მიერ შესასრულებელი მოქმედებებიდან გამომდინარე ვალდებული ხდება მარწმუნებელი ან მისი მემკვიდრე ისე, თითქოს დავალება ჯერ კიდევ არსებობს.

პირველი თავიbis: საქორწინო ან საპარტნიორო შუამავლობის დავალება

მუხლი 406a

[1] პირი, ვინც კისრულობს საქორწინო ან საპარტნიორო შუამავლობის დავალებას, ვალდებულია, მარწმუნებელს საზღაურის სანაცვლოდ უშუამავლოს მას დასაქორწინებლად ან მტკიცე პარტნიორობის დასამყარებლად.

[2] მარტივი დავალების მომწესრიგებელი ნორმები სუბსიდიურად გამოიყენება საქორწინო ან საპარტნიორო შუამავლობის დავალების მიმართ.

მუხლი 406b

[1] თუ შუამავალი ჩამოდის უცხოეთიდან ან ის გადის ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაშინ რწმუნებულმა მას უნდა აუნაზღაუროს უკან დაბრუნების ხარჯები, თუ აღნიშნულს ადგილი ექნება ქვეყანაში შემოსვლიდან ექვსი თვის განმავლობაში.

[2] რწმუნებულის მიმართ შუამავალი პირის მოთხოვნა ყველა დამატებით უფლებასთან ერთად გადადის თემზე, როდესაც უკან დაბრუნების ხარჯები ეკისრება ამ უკანასკნელს.

[3] რწმუნებულს უკან დაბრუნების ხარჯების ანაზღაურება შეუძლია მარ-

წმუნებლისგან მოითხოვოს მხოლოდ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ზღვრული თანხის ფარგლებში.

მუხლი 406c

[1] პროფესიონალური საქორწინო ან საპარტნიორო შუამავლობა უცხოელების მხრიდან ან მათ მიმართ საჭიროებს კანტონალური სამართლით გათვალისწინებული უწყების ნებართვას და ექვემდებარება მის ზედამხედველობას.

[2] ფედერალური საბჭო იღებს საკანონმდებლო ნორმების შესრულების შესახებ ინსტრუქციებს და, სახელდობრ, აწესრიგებს:

a. ნებართვის წინაპირობებსა და ვადას;

b. დარღვევის შემთხვევაში რწმუნებულის მიმართ დასაკისრებელ სანქციებს;

c. რწმუნებულის ვალდებულებას, წარადგინოს შუამავალი პირის უკან დაბრუნების ხარჯების უზრუნველყოფა.

მუხლი 406d

თავისი ნამდვილობისათვის ხელშეკრულება საჭიროებს წერილობით ფორმას და ის უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. ყოველი მხარის სახელსა და საცხოვრებელ ადგილს:

2. იმ მომსახურების მოცულობასა და სახეს, რომლის გაწევაც ეკისრება რწმუნებულს, ისევე როგორც – საზღაურისა და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობას, სახელდობრ, სარეგისტრაციო მოსაკრებლის თანხას;

3. იმ კომპენსაციის ზღვრულ თანხას, რომელიც მარწმუნებელმა უნდა გადაუხადოს რწმუნებულს, როდესაც ამ უკანასკნელმა გასწია პირის უკან დაბრუნების ხარჯები უცხოელების მხრიდან ან მათ მიმართ შუამავლობის შემთხვევაში (მუხ. 406b);

4. გადახდის პირობებს;

5. მარწმუნებლის უფლებას, წერილობით და კომპენსაციის გადახდის გარეშე 14 დღის განმავლობაში უარი თქვას მის მიერ გაკეთებული ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე ან ასეთი შეთავაზების მიღებაზე;

6. დათქმას რწმუნებულისათვის, რომლითაც მას ეკრძალება გადახდების მიღება 14-დღიანი ვადის გასვლამდე;

7. მარწმუნებლის უფლებას, ნებისმიერ დროს კომპენსაციის გადახდის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება შეუსაბამო დროს ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ზიანის ანაზღაურების გათვალისწინების პირობით.

მუხლი 406e

[1] ხელშეკრულება მარწმუნებლისათვის ძალაში შედის მხოლოდ ორმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულების ეგზემპლარის მიღებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ. ამ ვადის გასვლამდე რწმუნებულს არ შეუძლია მარწმუნებლისაგან გადახდების მიღება.

[2] 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მარწმუნებელს შეუძლია წერილობით უარი თქვას მის მიერ გაკეთებული ხელშეკრულების და-

დების შეთავაზებაზე ან ასეთი შეთავაზების მიღებაზე. აღნიშნულ უფლებაზე წინასწარ გაცხადებულ უარს მბოჭავი ძალა არა აქვს. დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აზრობრივად გამოიყენება ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე ან ასეთი შეთავაზების მიღებაზე უარის სამართლებრივი შედეგების მომწესრიგებელი ნორმები (მუხ. 40f).

[3] ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა გაფორმდეს წერილობით.

მუხლი 406f (გაუქმებულია)

მუხლი 406g

[1] ხელშეკრულების ხელმოწერამდე და მისი ვადის განმავლობაში რწმუნებულმა მარწმუნებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ განსაკუთრებული სირთულეების შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას დავალების შესრულებისას მარწმუნებლის პიროვნებასთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით.

[2] მარწმუნებლის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას რწმუნებულს ეკისრება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება; შენარჩუნებულია მონაცემთა დაცვის შესახებ 1992 წლის 19 ივნისის ფედერალური კანონის ნორმების მოქმედება.

მუხლი 406h

თუ შეთანხმებულია შეუსაბამოდ მაღალი საზღაური ან ხარჯები, მაშინ სასამართლოს მარწმუნებლის განცხადების საფუძველზე შეუძლია მათი სათანადო თანხის ოდენობამდე შემცირება.

მეორე თავი: აკრედიტივი და კრედიტის გაცემის დავალება

მუხლი 407

[1] იმ აკრედიტივების მიმართ, რომლითაც გამგზავნი ზღვრული თანხის მითითებითა ან ასეთი მითითების გარეშე ადრესატს ავალებს, მოთხოვნილი თანხა გადაუხადოს კონკრეტულ პირს, გამოიყენება დავალებისა და საგადახდო დავალების მომწესრიგებელი ნორმები.

[2] როდესაც ზღვრული თანხა არ არის მითითებული, მაშინ შესაბამის მონაწილე პირებთან მიმართებაში აშკარად შეუსაბამო მოთხოვნების შემთხვევაში ადრესატმა უნდა შეატყობინოს ამის შესახებ გამგზავნს და ამ უკანასკნელის მხრიდან შემდგომი მითითებების მიღებამდე უარი თქვას თანხების გადახდაზე.

[3] აკრედიტივის სახით მიცემული დავალება ითვლება მიღებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი თანხმობის გაცხადება მოხდა განსაზღვრულ თანხასთან დაკავშირებით.

მუხლი 408

[1] თუ პირმა მიიღო შესაბამისი დავალება და ის ასევე დაეთანხმა მესამე პირისათვის კრედიტის გაცემასა თუ განახლებას საკუთარი სახელითა და ხარ-

ჯით, თუმცა – მარწმუნებლის პასუხისმგებლობის ქვეშ, მაშინ ეს უკანასკნელი თანხის მიმღების ვალდებულებისათვის პასუხს აგებს როგორც თავდები, თუ რწმუნებული არ გაცდენია კრედიტის გაცემის დავალების ფარგლებს.

[2] ზემოაღნიშნული ვალდებულების წარმოშობისათვის საჭიროა მარწმუნებლის წერილობითი განცხადება.

მუხლი 409

მარწმუნებელს არ შეუძლია რწმუნებულს დაუპირისპიროს შესაგებელი იმაზე მითითებით, რომ თავად მესამე პირს არ შეუძლია ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულების კისრება.

მუხლი 410

მარწმუნებლის პასუხისმგებლობა წყდება, როდესაც რწმუნებულმა მესამე პირს თავითნებურად გაუგრძელა გადახდის ვადა ან უგულვებელყო მის წინააღმდეგ ზომების მიღება მარწმუნებლის მითითებების შესაბამისად.

მუხლი 411

იმ მესამე პირთან მარწმუნებლის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელსაც მიენიჭა კრედიტის მიღების უფლება, რეგულირდება თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით.

მესამე თავი: საშუამავლო ხელშეკრულება

მუხლი 412

[1] საშუამავლო ხელშეკრულებით მაკლერი იღებს დავალებას, საზღაურის სანაცვლოდ შექმნას ხელსაყრელი პირობები ხელშეკრულების გასაფორმებლად ან გასწიოს შუამავლობა ხელშეკრულების დასადებად.

[2] საშუამავლო ხელშეკრულება ზოგადად ექვემდებარება მარტივი დავალების მომწესრიგებელი ნორმებით რეგულირებას.

მუხლი 413

[1] მაკლერის გასამრჯელო ექვემდებარება გადახდას იმ მომენტიდან, როდესაც ხელსაყრელი პირობების შექმნის ან გაწეული შუამავლობის შედეგად მიიღწევა ხელშეკრულების დადება.

[2] თუ ხელშეკრულება დაიდება გადადების პირობით, მაშინ მაკლერის გასამრჯელოს მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირობა დამდგარია.

[3] რამდენადაც მაკლერს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიღებული აქვს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების გარანტია, მას ამ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია ასევე იმ შემთხვევაში, თუ გარიგება არ იდება.

მუხლი 414

თუ საზღაურის თანხა განსაზღვრული არ არის, მაშინ ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ხოლო ნიხრის არარსებობისას კი, – ჩვეულებრივი გასამრჯელო.

მუხლი 415

თუ მაკლერი ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგოდ მოქმედებს სხვა პირის ინტერესებში ან თუ მან ამ უკანასკნელისაგან ასევე არაკეთილსინდისიერად მიიღო გასამრჯელოს გადახდის შეპირება, მაშინ მას არ შეუძლია თავისი მარწმუნებლისაგან არც გასამრჯელოს და არც გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა.

მუხლი 416 (გაუქმებულია)

მუხლი 417

თუ ხელშეკრულების დასადებად ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად ან ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებისა თუ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად შუამავლობისათვის შეთანხმებულია მაკლერის შეუსაბამოდ მაღალი გასამრჯელო, მაშინ სასამართლოს მოვალის განცხადების საფუძველზე შეუძლია მისი სათანადო თანხის ოდენობამდე შემცირება.

მუხლი 418

კანტონები ინარჩუნებენ უფლებას, დაადგინონ საბირჟო მაკლერების, ოფიციალური მაკლერებისა (Sensale) და დასაქმების შუამავლების (Stellenvermittler) საქმიანობის მომწესრიგებელი სპეციალური წესები.

მეოთხე თავი: სააგენტო ხელშეკრულება

მუხლი 418a

[1] აგენტი წარმოადგენს პირს, რომელიც კისრულობს ვალდებულებას, ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ერთი ან რამდენიმე მარწმუნებლისათვის გასწიოს შუამავლობა გარიგებების დასადებად ან დადოს გარიგებები მარწმუნებლების სახელითა და ხარჯით ამ უკანასკნელებთან შრომით ურთიერთობაში ყოფნის გარეშე.

[2] რამდენადაც მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმებულან, წინამდებარე თავის ნორმები გამოიყენება იმ პირების მიმართაც, რომლებიც აგენტებად მუშაობენ მხოლოდ მეორე პროფესიის სახით. დაუშვებელია დელკრედერეს, კონკურენციის აკრძალვისა და მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე ხელშეკრულების შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმების გამორიცხვა აგენტის ინტერესების საზიანოდ.

მუხლი 418b

[1] საშუამავლო აგენტების მიმართ სუბსიდიურად გამოიყენება საშუამავლო ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები, ხოლო ხელშეკრულებების დადებაზე უფლებამოსილი აგენტების მიმართ კი, – კომისიის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 418c

[1] აგენტმა მარწმუნებლის ინტერესების დაცვაზე უნდა იზრუნოს ჩვეულებრივი მეწარმის გულისხმიერებით.

[2] იმ შემთხვევაში, თუ მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმებულან, აგენტს შეუძლია იმოქმედოს ასევე სხვა მარწმუნებლების სასარგებლოდაც.

[3] აგენტს მხოლოდ წერილობით შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა კლიენტის მხრიდან თანხის გადახდებისა თუ ვალდებულებათა სხვაგვარი შესრულებისათვის ანდა შესაბამისი მოთხოვნების წარდგენის ხარჯების სრულად ან ნაწილობრივ კისრებისათვის. აღნიშნულის შედეგად აგენტი უცილობლად იძენს სათანადო სპეციალური ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

მუხლი 418d

[1] აგენტს ხელშეკრულების დასრულების შემდეგაც კი არ შეუძლია გამოიყენოს ან სხვა პირს გადასცეს მისთვის მინდობილი ან სააგენტო ურთიერთობის საფუძველზე მის მიერ მიღებული მარწმუნებლის კონფიდენციალური ინფორმაცია.

[2] სახელშეკრულებო კონკურენციის აკრძალვის მიმართ შესაბამისად გამოიყენება სასამსახურო ხელშეკრულების (Dienstvertrag) მომწესრიგებელი ნორმები. თუ მხარეთა მიერ შეთანხმებულია კონკურენციის აკრძალვის წესი, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტისას აგენტს უცილობლად აქვს მოთხოვნის უფლება სათანადო სპეციალური ანაზღაურების მიღებაზე.

მუხლი 418e

[1] აგენტი მიიჩნევა უფლებამოსილად მხოლოდ გარიგებების დადების შუამავლობაზე, ნაკლის აღმოფხვრის პრეტენზიასა და სხვა იმ განცხადებებზე, რომლითაც კლიენტი ახორციელებს ან ინარჩუნებს მარწმუნებლის მიერ ნაკლის მქონე შესრულებიდან გამომდინარე თავის უფლებას, და ასევე – ახორციელებს მტკიცებულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მარწმუნებლის კუთვნილ უფლებებს.

[2] პირიქით, აგენტი არ მიიჩნევა უფლებამოსილად გადახდების მიღებაზე, გადახდის ვადების მიცემაზე ან კლიენტებთან ხელშეკრულების სხვა ცვლილებების შეთანხმებაზე.

[3] შენარჩუნებულია დაზღვევის ხელშეკრულებების შესახებ 1908 წლის 2 აპრილის ფედერალური კანონის 34-ე მუხლისა და 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმათა მოქმედება.

მუხლი 418f

[1] მარწმუნებელმა უნდა მოიმოქმედოს ყველაფერი ის, რაც ხელს შეუწყობს აგენტს მისი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის. კერძოდ, მან აგენტს უნდა წარუდგინოს აუცილებელი დოკუმენტები.

[2] მარწმუნებელი აგენტს დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს, თუ ის წინასწარ ვარაუდობს, რომ გარიგებები შესაძლოა დაიდოს ან დაიდება შეთანხმებულზე ან არსებული გარემოებებით მოსალოდნელზე ბევრად ნაკლები მოცულობით.

[3] თუ აგენტი მიმაგრებულია განსაზღვრულ უბანსა თუ კლიენტურაზე, მაშინ ის ითვლება ექსკლუზიურად უფლებამოსილად სხვა პირების გამორიცხვით, რამდენადაც მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმებულან.

მუხლი 418g

[1] აგენტს აქვს მხარეთა შორის შეთანხმებულ ან ჩვეულებრივ საშუამავლო თუ გარიგების დადების საკომისიოს მიღების მოთხოვნის უფლება ყველა იმ გარიგებისათვის, რომელთა დადებაზე შუამავლობაც მან გასწია ან რომლებიც მან დადო, ისევე როგორც, საწინააღმდეგო წერილობითი შეთანხმების არარსებობისას, – ისეთი გარიგებებისათვის, რომლებიც სააგენტო ურთიერთობის განმავლობაში დაიდო მისი თანამონაწილეობის გარეშე, რამდენადაც მან აღნიშნული ტიპის გარიგებებისათვის კლიენტების სახით მოიზიდა მესამე პირები.

[2] აგენტს, რომელიც ექსკლუზიურად არის მიმაგრებული განსაზღვრულ უბანსა თუ კლიენტურაზე, აქვს მოთხოვნის უფლება შეთანხმებულ ან, შეთანხმების არარსებობისას, – ჩვეულებრივ საკომისიოს მიღებაზე ყველა იმ გარიგებისათვის, რომლებიც სააგენტო ურთიერთობის განმავლობაში დაიდო კლიენტებთან ამ უბნისა ან კლიენტურის ფარგლებში.

[3] რამდენადაც მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმებულან, საკომისიოს მიღებაზე მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც კლიენტთან დაიდება ძალმოსილი გარიგება.

მუხლი 418h

[1] აგენტის მიერ საკომისიოს მიღების მოთხოვნის უფლება სამომავლოდ უქმდება იმდენად, რამდენადაც მარწმუნებლის მხრიდან ბრალის არარსებობისას ეს უკანასკენლი ვერ შეასრულებს დადებულ გარიგებას.

[2] პირიქით, აგენტი საერთოდ კარგავს საკომისიოს მიღების მოთხოვნის უფლებას, როდესაც მარწმუნებლის მხრიდან უკვე გაწეული მომსახურების სანაცვლოდ სრულად ანდა იმდენად მნიშვნელოვან ნაწილში არ ხორციელდება სამაგიერო შესრულება, რომ მარწმუნებელს არ შეიძლება მოეთხოვოს საკომისიოს თანხის გადახდა.

მუხლი 418i

რამდენადაც სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული შეთანხმებითა თუ დამკვიდრებული პრაქტიკით, საკომისიოს გადახდის ვადა დგება იმ კალენდარული ნახევარი წლის ბოლოს, როდესაც დაიდო გარიგება; თუმცა, დაზღვევის სფეროში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში საკომისიოს გადახდის ვადა დგება პირველი წლის პრემიის თანხის გადახდის მომენტიდან.

მუხლი 418k

[1] თუ აგენტი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე არ არის ვალდებული, წარადგინოს მისთვის გადასახდელი საკომისიოს თანხის საანგარიშგებო დოკუმენტი, მაშინ გადახდის ყოველი თარიღისათვის მარწმუნებელმა მას უნდა წარუდგინოს წერილობითი ანგარიში იმ გარიგებების შესახებ ინფორმაციის მითითებით, რომელთათვისაც გადასახდელია საკომისიო.

[2] მოთხოვნის საფუძველზე აგენტს უნდა მიეცეს საანგარიშგებო საბუღალტრო წიგნებისა და შესაბამისი საბუღალტრო დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება. აგენტს არ შეუძლია ამ უფლებაზე წინასწარ უარის თქმა.

მუხლი 418l

[1] რამდენადაც სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული შეთანხმებითა თუ დამკვიდრებული პრაქტიკით, აგენტს აქვს საკომისიოს მიღების მოთხოვნის უფლება მის მიერ დავალების შესაბამისად ამოღებული და მარწმუნებლისათვის გადაცემული თანხების ინკასირებისათვის.

[2] სააგენტო ურთიერთობის დასრულებისას აგენტი კარგავს თანხების ინკასირების უფლებამოსილებას და ის ასევე კარგავს თავის მოთხოვნის უფლებას თანხების ინკასირებისათვის სხვა საკომისიოს მიღებაზე.

მუხლი 418m

[1] მარწმუნებელმა აგენტს უნდა გადაუხადოს სათანადო კომპენსაცია, თუ ის მასზე დაკისრებული კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შედეგად ბრალეულად ხელს უშლის აგენტს შეთანხმებული ან არსებული გარემოებებით მოსალოდნელი ოდენობით საკომისიოს თანხის გამომუშავებაში. ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

[2] თუ იმ აგენტს, რომელსაც არ შეუძლია ერთდროულად რამდენიმე მარწმუნებლისათვის საქმიანობა, ავადმყოფობის, შვეიცარიის სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნის ან მსგავსი მიზეზების გამო მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას ხელი ეშლება თავისი საქმიანობის განხორციელებაში, მაშინ მას შეუძლია დროის შედარებით მოკლე პერიოდისათვის მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლის სათანადო კომპენსაცია, რამდენადაც სააგენტო ურთიერთობა გაგრძელდა, სულ ცოტა, ერთი წელი. აგენტს არ შეუძლია ამ უფლებაზე წინასწარ უარის თქმა.

მუხლი 418n

[1] რამდენადაც სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული შეთანხმებითა თუ დამკვიდრებული პრაქტიკით, აგენტს არა აქვს იმ ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომლებიც მან გასწია თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის წარმართვისათვის, თუმცა ის უფლებამოსილია ისეთი ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც მან იკისრა მარწმუნებლის სპეციალური მითითების საფუძველზე ან როგორც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას მისმა შემსრულებელმა, როგორიცაა – ტრასპორტირების და საბაჟო გადასახადების ხარჯები.

[2] ანაზღაურების ვალდებულება არ არის დამოკიდებული გარიგების დადების ფაქტზე.

მუხლი 418o

[1] სააგენტო ურთიერთობიდან გამომდინარე ვადამოსული მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო მარწმუნებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში კი, – ასევე იმ მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, რომელთა შესრულების ვადაც ჯერ არ არის დამდგარი, აგენტს აქვს მოძრავი ნივთებისა და ფასიანი ქაღალდების დაკავების უფლება, ისევე როგორც – ინკასირებაზე მინიჭებული უფლებამოსილების ძალით მესამე პირებიდან მიღებული თანხების დაკავების უფლება, რაზეც წინასწარ უარის თქმა არ შეუძლია.

[2] დაკავების უფლების გამოყენება დაუშვებელია ფასების ჩამონათვალისა და კლიენტთა სიების მიმართ.

მუხლი 418p

[1] თუ სააგენტო ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით ან თუ ხელშეკრულების ვადა დგინდება მისივე მიზნიდან გამომდინარე, მაშინ ის ავტომატურად წყდება აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადების გარეშე.

[2] თუ განსაზღვრული ვადით დადებული სააგენტო ურთიერთობა ორივე მხარისათვის აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ უსიტყვოდ გაგრძელდება, მაშინ ხელშეკრულება ჩაითვლება განახლებულად იგივე, თუმცა – მაქსიმუმ ერთი წლის ვადით.

[3] თუ ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობას წარმოადგენს შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენა, მაშინ ორივე მხარის მიერ აღნიშნული განცხადების წარდგენისაგან თავის შეკავება ჩაითვლება ხელშეკრულების განახლებად.

მუხლი 418q

[1] თუ სააგენტო ხელშეკრულება არ არის დადებული განსაზღვრული ვადით და ასეთი ვადა ვერ დგინდება ასევე მისი მიზნიდან გამომდინარეც, მაშინ ის ორივე მხარის მიერ შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ვადის პირველი წლის განმავლობაში შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენით მომდევნო კალენდარული თვის ბოლოდან. შეთანხმება შეწყვეტის უფრო მცირე ვადაზე საჭიროებს წერილობითი ფორმით დადებას.

[2] როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობა გრძელდებოდა, სულ ცოტა, ერთი წელი, მაშინ ის შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის შესახებ განცხადების ორი თვით ადრე წარდგენით კალენდარული წლის კვარტლის ბოლოდან. თუმცა, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის უფრო ხანგრძლივ ვადაზე ან შეწყვეტის სხვა თარიღზე.

[3] დაუშვებელია მარწმუნებლებისა და აგენტებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის განსხვავებული ვადების შეთანხმება.

მუხლი 418r

[1] როგორც მარწმუნებელს, ისე აგენტსაც მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე ნებისმიერ დროს შეუძლია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

[2] შესაბამისად გამოიყენება სასამსახურო ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 418s

[1] სააგენტო ურთიერთობა წყდება აგენტის გარდაცვალებით ან მისი ქმედუუნაროდ გახდომით, ისევე როგორც – მარწმუნებლის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნით.

[2] მარწმუნებლის გარდაცვალებით სააგენტო ურთიერთობა წყდება, როდესაც დავალების კისრება მნიშვნელოვანწილად მოხდა მისი პიროვნების გათვალისწინებით.

მუხლი 418t

[1] თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული შეთანხმებითა თუ დამკვიდრებული პრაქტიკით, აგენტის მიერ სააგენტო ურთიერთობის განმავლობაში შეძენილი კლიენტურის მხრიდან მიცემული დამატებითი შეკვეთებისათვის საკომისიოს მოთხოვნის უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეკვეთების მიცემა მოხდა სააგენტო ხელშეკრულების დასრულებამდე.

[2] სააგენტო ურთიერთობის დასრულებით დგება საკომისიოსა თუ კომპენსაციის მიღებაზე აგენტის კუთვნილი ყველა მოთხოვნის უფლების შესრულების ვადა.

[3] იმ გარიგებების შემთხვევაში, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ უნდა შესრულდეს მხოლოდ სააგენტო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, მხარეები შეიძლება წერილობით შეთანხმდნენ საკომისიოს მოთხოვნის უფლების შესრულების უფრო გვიანდელ თარიღზე.

მუხლი 418u

[1] თუ აგენტმა თავისი საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვნად გაზარდა მარწმუნებლის კლიენტების რაოდენობა და ასევე შეძენილ კლიენტურასთან საქმიანი კავშირებიდან გამომდინარე მარწმუნებლისა თუ მისი უფლებამონაცვლისათვის სააგენტო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც კი ადგილი აქვს მნიშვნელოვანი სარგებლის მიღებას, მაშინ აგენტს ან მის მემკვიდრეებს უცილობლად აქვს სათანადო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირობით, რომ ეს უსამართლო არ არის.

[2] აღნიშნული მოთხოვნის უფლება მოიცავს მაქსიმუმ წლის განმავლობაში სააგენტო ურთიერთობიდან მიღებულ წმინდა შემოსავალს, რომელიც გამოითვლება უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო შემოსავლების მიხედვით ან როდესაც სააგენტო ურთიერთობა ამდენი ხანი არ გაგრძელებულა, – მთელი სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში მიღებული საშუალო შემოსავლების მიხედვით.

[3] მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა, როდესაც სააგენტო ურთიერთობა წყდება იმ მიზეზის გამო, რომლისათვისაც პასუხისმგებელია აგენტი.

მუხლი 418v

სააგენტო ურთიერთობის დასრულების მომენტში ხელშეკრულების ყოველმა მხარემ მეორეს უნდა დაუბრუნოს ყველაფერი ის, რაც მან ამ უკანასკნელისაგან ან მესამე პირისაგან ამ ურთიერთობის განმავლობაში მისთვის გადასაცემის ანგარიშში მიიღო. შენარჩუნებულია ხელშეკრულების მხარეთა კუთვნილი დაკავების უფლებები.

მეთოთხმეტე ტიტული:
დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

მუხლი 419

პირი, რომელიც სხვა პირის საქმეებს ასრულებს ამ უკანასკნელისაგან უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, ვალდებულია ამ საქმეებს გაუძღვეს აღნიშნული პირის საუკეთესო ინტერესებისა და სავარაუდო ნების შესაბამისად.

მუხლი 420

[1] შემსრულებელი პასუხს აგებს ნებისმიერი გაუფრთხილებლობისათვის.

[2] თუმცა, როდესაც შემსრულებელი მოქმედებდა იმ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც ემუქრებოდა მეპატრონეს (Geschäftsherr), მისი პასუხისმგებლობის შეფასება ხდება უფრო რბილად.

[3] თუ საქმეების შესრულება მოხდა მეპატრონის აშკარად გამოხატული ან სხვაგვარად შესამჩნევი ნების საწინააღმდეგოდ, ხოლო მეპატრონის აკრძალვა კი არ იყო ამორალური ან კანონსაწინააღმდეგო, მაშინ შემსრულებელი პასუხს აგებს ასევე შემთხვევითობისათვისაც, რამდენადაც ის ვერ ამტკიცებს, რომ შემთხვევითობა მისი ჩარევის გარეშეც დადგებოდა.

მუხლი 421

[1] თუ შემსრულებელი უუნარო იყო, ხელშეკრულებების დადებით ეკისრა ვალდებულებები, მაშინ ის საქმეების შესრულებიდან გამომდინარე პასუხს აგებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის გამდიდრებულია ანდა მან გამდიდრებული არაკეთილსინდისიერად გაასხვისა.

[2] შენარჩუნებულია ასევე ზიანის მიყენებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა.

მუხლი 422

[1] როდესაც სხვისი საქმეების შესრულების კისრება გამოწვეული იყო მეპატრონის ინტერესებით, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია, შემსრულებელს პროცენტებით აუნაზღაუროს ყველა ის დანახარჯი, რაც აუცილებელი ან სარგებლის მომტანი და არსებული გარემოებების შესაბამისი იყო, ასევე გაათავისუფლოს შემსრულებელი იგივე ოდენობით მის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისაგან, ისევე როგორც – მოსამართლის შეხედულების შესაბამისად აუნაზღაუროს შემსრულებელს სხვა ზიანი.

[2] როდესაც შემსრულებელი სათანადო გულისხმიერებით მოქმედებდა, მაშინ ზემოაღნიშნული მოთხოვნის უფლება მას აქვს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ დაგეგმილი შედეგი ვერ მიიღწევა.

[3] თუ შემსრულებელს არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები, მაშინ მას უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების შესაბამისად აქვს სხვისთვის გადასაცემი ნივთიდან იმ ობიექტების თან წაღების უფლება, რითაც მან გადასაცემი ნივთი აღჭურვა.

მუხლი 423

[1] როდესაც საქმეების შესრულება არ მოხდა მეპატრონის ინტერესების გათვალისწინებით, მაშინ ეს უკანასკნელი მაინც უფლებამოსილია, მიისაკუთროს მისი საქმეების წარმოებიდან გამომდინარე მიღებული სარგებელი.

[2] მეპატრონე ვალდებულია შემსრულებელს აუნაზღაუროს გაწეული დანახარჯები და გაათავისუფლოს ის ნაკისრი ვალდებულებებისაგან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მეპატრონე გამდიდრებულია.

მუხლი 424

თუ საქმეების შესრულებას მეპატრონე შემდგომში მოიწონებს, მაშინ გამოიყენება დავალების მომწესრიგებელი ნორმები.

მეთხუთხმეტე ტიტული: კომისიის ხელშეკრულება

მუხლი 425

[1] შესყიდვებისა თუ გაყიდვების კომისიონერი წარმოადგენს პირს, ვინც საკომისიო საზღაურის (საკომისიო) სანაცვლოდ საკუთარი ხარჯით, მაგრამ სხვა პირის (კომიტენტი) სასარგებლოდ კისრულობს მოძრავი ნივთებისა თუ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერციების შესრულებას.

[2] კომისიის ურთიერთობის მიმართ გამოიყენება დავალების მომწესრიგებელი ნორმები, რამდენადაც წინამდებარე ტიტულის დანაწესებში სხვა რაიმე არ არის მოცემული.

მუხლი 426

[1] კომისიონერმა კომიტენტს უნდა მიაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია; განსაკუთრებით კი, მან კომიტენტს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დავალების შესრულების შესახებ.

[2] კომისიონერს ეკისრება მისთვის გადაცემული საკომისიო საქონლის დაზღვევის ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ამაზე კომიტენტისგან შესაბამისი დავალება მიიღო.

მუხლი 427

[1] როდესაც გასაყიდად გადაცემული საკომისიო საქონელი აშკარა ნაკლის მქონეა, მაშინ კომისიონერმა გადამზიდველის მიმართ ნაკლის არსებობის მტკიცების მიზნით უნდა უზრუნველყოს რეგრესული მოთხოვნის უფლებების შენარჩუნება, ხოლო რამდენადაც ეს შესაძლებელია, იზრუნოს საქონლის შენახვაზე და დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ კომიტენტს.

[2] თუ კომისიონერი უგულებელყოფს აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას, მაშინ მას დაეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის.

[3] თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ გასაყიდად გადაცემული საკომისიო საქონელი მალე გაფუჭდება, მაშინ კომისიონერი უფლებამოსილია, ხოლო რამდე-

ნადაც კომიტენტის ინტერესები ამას ითხოვს, – ასევე ვალდებულიცაა, უზრუნველყოს ამ ნივთის გაყიდვა იმ ტერიტორიაზე მოქმედი უწყების თანამონაწილეობით, სადაც იმყოფება ნივთი.

მუხლი 428

[1] თუ გაყიდვების კომისიონერმა საქონელი გაყიდა მისთვის დადგენილ მინიმალურ თანხაზე ნაკლებ ფასში, მაშინ მან კომიტენტს უნდა აუნაზღაუროს ფასთა სხვაობა, რამდენადაც ის ვერ ამტკიცებს, რომ საქონლის გაყიდვით თავიდან იქნა აცილებული კომიტენტისათვის ზიანის მიყენება და ასევე ამ უკანასკნელისათვის მითითებების მისაღებად მიმართვა უკვე აღარ იყო მიზანშეწონილი.

[2] გარდა აღნიშნულისა, კომისიონერის მხრიდან ბრალის არსებობისას მან ასევე უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მიყენებული ნებისმიერი სხვა ზიანიც.

[3] თუ კომისიონერმა საქონელი იყიდა უფრო იაფად, ვიდრე ამას ვარაუდობდა კომიტენტი, ანდა გაყიდა საქონელი მისთვის მითითებულ ფასზე უფრო ძვირად, მაშინ მიღებულ შემოსავალს ის სათავისოდ ვერ დაიტოვებს, არამედ მან შემოსავლის თანხა უნდა გადასცეს კომიტენტს.

მუხლი 429

[1] კომისიონერი, რომელიც კომიტენტის თანხმობის გარეშე მესამე პირზე გასცემს საავანსო ან საკრედიტო თანხებს, მაშინ ის ამას ახდენს საკუთარი რისკით.

[2] თუმცა, რამდენადაც ნასყიდობის ფასის დაკრედიტება წარმოადგენს გარიგების დადების ადგილზე მოქმედ ჩვეულებრივ სავაჭრო პრაქტიკას, კომიტენტის სხვაგვარი მითითებების არარსებობისას აღნიშნულზე უფლებამოსილია ასევე კომისიონერიც.

მუხლი 430

[1] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომისიონერი კრედიტს გასცემს შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე, მოვალის მიერ თანხების გადახდისა თუ ნაკისრი ვალდებულებების სხვაგვარი შესრულებისათვის ის პასუხისმგებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მან იკისრა ასეთი პასუხისმგებლობა, ან თუ მის ადგილსამყოფელზე აღნიშნული წარმოადგენს ჩვეულებრივ სავაჭრო პრაქტიკას.

[2] მოვალის მიერ თანხების გადახდაზე პასუხისმგებელი კომისიონერი უფლებამოსილია შესაბამისი საზღაურის (დელკრედერე საკომისიო) მიღებაზე.

მუხლი 431

[1] კომისიონერი უფლებამოსილია, მოითხოვოს კომპენსაცია კომიტენტის ინტერესებში გაცემული საავანსო თანხების, გაწეული ხარჯებისა და სხვა დანახარჯებისათვის, რასაც ემატება აღნიშნულ თანხებზე დარიცხული პროცენტი.

[2] კომისიონერს შეუძლია ასევე მოითხოვოს კომპენსაცია გამოყენებულ სასაწყობე ფართებსა და სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯებისათვის,

მაგრამ – არა მის მიერ დასაქმებულ პირებზე გაცემული სახელფასო თანხებისათვის.

მუხლი 432

[1] კომისიონერი უფლებამოსილია, საკომისიოს გადახდა მოითხოვოს გარიგების დადებისას ანდა – იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების დადება ვერ მოხერხდა იმ მიზეზით, რომელიც არ არის დაკავშირებული კომიტენტის პიროვნებასთან.

[2] იმ გარიგებების შემთხვევაში, რომელთა დადებაც ვერ მოხერხდა რაიმე სხვა მიზეზით, კომისიონერს აქვს ადგილობრივი ჩვეულებებით განსაზღვრული საკომისიოს მოთხოვნის უფლება მხოლოდ მის მიერ გაწეული ძალისხმევისათვის.

მუხლი 433

[1] საკომისიოს მოთხოვნის უფლება უქმდება, თუ კომისიონერი კომიტენტის მიმართ ბრალეულად ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას, განსაკუთრებით კი, – როდესაც მან მოახდინა საქონლის შესყიდვა შეუსაბამოდ მაღალ ფასად ან გაყიდვა შეუსაბამოდ დაბალ ფასად.

[2] გარდა ამისა, ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კომიტენტს აქვს უფლება, როგორც გამყიდველმა ან მყიდველმა თავად წარადგინოს სარჩელი კომისიონერის წინააღმდეგ.

მუხლი 434

კომისიონერს აქვს საკომისიო საქონლისა და ასევე გაყიდვიდან ამონაგები თანხების დაკავების უფლება.

მუხლი 435

[1] როდესაც საკომისიო საქონელი არ იყიდება ან მიცემულ დავალებაზე უარის თქმის შემთხვევაში კომიტენტი ახანებს საქონლის უკან წაღებას ან გონივრულ ვადაში მისი სხვაგვარად განკარგვის საკითხის გადაწყვეტას, მაშინ კომისიონერი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ ნივთის იმ ტერიტორიაზე მოქმედი უწყების მიერ აუქციონზე გაყიდვა, სადაც იმყოფება ნივთი.

[2] აუქციონზე გაყიდვა შეიძლება დადგინდეს მეორე მხარის მოსმენის გარეშე, თუ არც კომიტენტი და არც მისი წარმომადგენელი არ იმყოფება ნივთის ადგილსამყოფელზე.

[3] თუმცაღა, აუქციონს წინ უნდა უძღვოდეს კომიტენტისათვის წარდგენილი ოფიციალური შეტყობინება, რამდენადაც საქონელი არ განიცდის სწრაფ გაუფასურებას.

მუხლი 436

[1] როდესაც კომიტენტი სხვაგვარად არ ადგენს, იმ საქონლის, თამასუქებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვისა თუ გაყიდვისათვის დადებული კომისიის ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომელსაც აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, კომისიონერი უფლებამოსილია, თავად როგორც გამყიდველმა მოახდინოს იმ საქონლის მიწოდება, რომელიც მან უნდა შეისყიდოს, ან – მყიდველის

სახით იმ საქონლის სათავისოდ შენარჩუნება, რომლის გაყიდვაც მას დაევალა.

[2] აღნიშნულ შემთხვევებში კომისიონერი ვალდებულია, გამოიყენოს დავალების შესრულების მომენტში არსებული საბირჟო ან საბაზრო ფასი და, ამასთან, მას შეუძლია მიიღოს როგორც ჩვეულებრივი საკომისიოს თანხა, ისე დამატებით აინაზღაუროს საკომისიო ოპერაციების განხორციელებისას ჩვეულებრივ წარმოშობილი დანახარჯები.

[3] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით გარიგება განიხილება როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 437

თუ იმ შემთხვევებში, როდესაც კომისიონერს შეუძლია იმოქმედოს სავაჭრო ურთიერთობებში საკუთარი სახელით მონაწილე პირის (Eigenhändler) სახით, ის კომიტენტს ატყობინებს დავალების შესრულების შესახებ სხვა პირის მყიდველად ან გამყიდველად დასახელების გარეშე, – მაშინ ივარაუდება, რომ მან თავად იკისრა მყიდველისა თუ გამყიდველის ვალდებულება.

მუხლი 438

კომისიონერი აღარ არის უფლებამოსილი, თავად იმოქმედოს როგორც მყიდველმა ან გამყიდველმა, როდესაც კომიტენტი უარს აცხადებს მიცემულ დავალებაზე და ამ უარის შესახებ განცხადებას კომისიონერი იღებს მანამდე, სანამ ის გააგზავნის შეტყობინებას დავალების შესრულების შესახებ.

მუხლი 439

პირი, ვინც საზღაურის სანაცვლოდ კისრულობს საქონლის გაგზავნას ან შემდგომ გადაგზავნას გამგზავნის ხარჯზე, მაგრამ საკუთარი სახელით (ექსპედიტორი), მიიჩნევა კომისიონერად, თუმცა საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით მის მიმართ გამოიყენება გადაზიდვის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები.

მეთექვსმეტე ტიტული: გადაზიდვის ხელშეკრულება

მუხლი 440

[1] გადამზიდველი წარმოადგენს პირს, ვინც საზღაურის სანაცვლოდ (გადაზიდვის საზღაური) კისრულობს ნივთების გადაზიდვის განხორციელებას.

[2] გადაზიდვის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება დავალების მომწესრიგებელი ნორმები, რამდენადაც წინამდებარე ტიტულის დანაწესებში სხვა რაიმე არ არის მოცემული.

მუხლი 441

[1] გამგზავნმა გადამზიდველს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია მიმღების მისამართისა და მიწოდების ადგილის შესახებ, ტვირთის რაოდენობის, შეფუთვის, შიგთავსისა და წონის შესახებ, მიწოდების თარიღისა და ტრანსპორტირე-

ბის მარშრუტის, ისევე როგორც ძვირადღირებული ობიექტების შემთხვევაში, – ასევე ამ ობიექტების ღირებულების შესახებ.

[2] აღნიშნული ინფორმაციის მიუწოდებლობის ან მისი უზუსტობის შედეგად დამდგარი უარყოფითი შედეგებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება გამგზავნს.

მუხლი 442

[1] საქონლის ჯეროვანი შეფუთვისათვის უნდა იზრუნოს გამგზავნმა.

[2] ის პასუხს აგებს შეფუთვის გარეგნულად შეუმჩნევადი ნაკლიდან გამომდინარე შედეგებისათვის.

[3] და, პირიქით, გადამზიდველს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ნაკლიდან გამომდინარე შედეგებისათვის, რომელიც გარეგნულად შესამჩნევი იყო, თუ მან საქონელი ყოველგვარი დათქმის გარეშე მიიღო.

მუხლი 443

[1] მანამდე, სანამ გადასაზიდი ტვირთი ჯერ კიდევ გადამზიდველის ხელში იმყოფება, გამგზავნს აქვს უფლება, დაიბრუნოს უკან ეს ტვირთი გადამზიდველისათვის გაწეული ხარჯებისა თუ ტვირთის დაბრუნებით გამოწვეული სხვა უარყოფითი შედეგებისათვის კომპენსაციის გადახდის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

1. გამგზავნის მხრიდან გამოიწერა ზედნადები და ის გადამზიდველის მიერ გადაეცა მიმღებს;
2. გამგზავნმა უზრუნველყო გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღების შესახებ ხელწერილის გაცემა და ის ვეღარ იბრუნებს ამ დოკუმენტს;
3. გადამზიდველმა საქონლის წასაღებად მიმღებს გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება საქონლის ჩამოსვლის შესახებ;
4. საქონლის დანიშნულების ადგილზე ჩამოსვლის შემდეგ მიმღებმა მოითხოვა მისი გადმოცემა.

[2] აღნიშნულ შემთხვევებში გადამზიდველმა უნდა იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ მიმღების მითითებების შესაბამისად, თუმცაღა, როდესაც გამგზავნმა უზრუნველყო გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღების შესახებ ხელწერილის გაცემა, მაგრამ საქონელი დანიშნულების ადგილზე ჯერ ჩამოსულა, გადამზიდველი ვალდებულია აღნიშნული მითითებებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმღებს ტვირთის მიღების შესახებ ხელწერილი ჩაბარდა.

მუხლი 444

[1] როდესაც არ ხდება გადასაზიდი ტვირთის მიღება, არ ხორციელდება მასთან დაკავშირებული მოთხოვნის თანხების შესაბამისი გადახდა ან როდესაც ვერ ხერხდება ტვირთის მიმღების მოძიება, მაშინ გადამზიდველმა გამგზავნს უნდა შეატყობინოს ამის შესახებ და შესაბამისი პერიოდის განმავლობაში შეინახოს გადასაზიდი ტვირთი ან შესანახად გადასცეს ის მესამე პირს გამგზავნის რისკითა და ხარჯით.

[2] თუ არსებულ გარემოებებში გონივრული ვადის განმავლობაში არც გამგზავნი და არც მიმღები არ იღებს გადაწყვეტილებას გადასაზიდი ტვირთის

განკარგვასთან დაკავშირებით, მაშინ გადამზიდველს კომისიონერის მსგავსად შეუძლია უზრუნველყოს ამ საქონლის უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ რეალიზაცია იმ ტერიტორიაზე მოქმედი უწყების თანამონაწილეობით, სადაც იმყოფება ტვირთი.

მუხლი 445

[1] თუ გადასაზიდი ტვირთი მალფუჭებადია ან მისი სავარაუდო ღირებულება ვერ ფარავს მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაშინ გადამზიდველმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ფაქტის ოფიციალური დადასტურება და მას შეუძლია მოახდინოს გადასაზიდი ტვირთის რეალიზაცია იგივე წესით, რაც გათვალისწინებულია საქონლის მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში.

[2] რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაინტერესებულ პირებს უნდა შეატყობინონ ტვირთის რეალიზაციის განკარგულების მიღების შესახებ.

მუხლი 446

გადამზიდველმა გადასაზიდი ტვირთის მოვლასთან დაკავშირებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას მაქსიმალურად უნდა დაიცვას მესაკუთრის ინტერესები და ბრალის არსებობისას ის პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის.

მუხლი 447

[1] თუ გადასაზიდი ტვირთი დაიკარგა ან განადგურდა, მაშინ გადამზიდველმა უნდა აანაზღაუროს მისი სრული ღირებულება, რამდენადაც ის ვერ ამტკიცებს, რომ ტვირთის დაკარგვა ან განადგურება გამოწვეულ იქნა ტვირთის ბუნებრივი თვისებებით ან გამგზავნისა თუ მიმღების ბრალეული ქმედებით ან მათ მიერ მიცემული მითითებებით ანდა წარმოადგენს იმ გარემოებების შედეგს, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა გადამზიდველის მხრიდან სათანადო ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც კი.

[2] ბრალეულად მიიჩნევა გამგზავნის ისეთი ქმედება, როდესაც ის არ ატყობინებს გადამზიდველს გადასაზიდი ტვირთის განსაკუთრებულად დიდი ღირებულების შესახებ.

[3] შენარჩუნებულია იმ შეთანხმებების მოქმედება, რომლებიც ადგენს ტვირთის სრულ ღირებულებასთან შედარებით არსებულ უპირატეს ინტერესს ან ამ ღირებულებასთან შედარებით ნაკლები ოდენობით კომპენსაციის თანხას.

მუხლი 448

[1] იგივე წინაპირობებისა და დათქმების არსებობისას, რასაც ადგილი აქვს ტვირთის დაკარგვის შემთხვევაში, გადამზიდველი პასუხს აგებს ყოველგვარი ზიანისათვის, რაც წარმოიშობა ტვირთის მიწოდების დაგვიანების ან მისი დაზიანებისა თუ ნაწილობრივი განადგურების შედეგად.

[2] სპეციალური შეთანხმების არარსებობისას დაუშვებელია მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სრულ დანაკარგზე მეტი ოდენობით.

მუხლი 449

გადამზიდველი პასუხისმგებელია ყოველგვარი უბედური შემთხვევისა და შეცდომისათვის, რომლებსაც ადგილი აქვს ტვირთის ტრანსპორტირებისას მიუხედავად იმისა, უზრუნველყოფს თუ არა გადამზიდველი ტვირთის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებას პირადად ან სხვა გადამზიდველის მეშვეობით იმ გადამზიდველის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების შენარჩუნების პირობით, რომელსაც მან გადააბარა ტვირთი.

მუხლი 450

გადამზიდველმა დაუყოვნებლივ ტვირთის ჩამოსვლისთანავე უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მიმღებს.

მუხლი 451

[1] თუ მიმღები სადავოდ ხდის გადასაზიდ ტვირთთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მაშინ მას შეუძლია ამ ტვირთის გადაცემა მოითხოვოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სადავო თანხას განთავსებს სასამართლოს დეპოზიტზე (amtlich hinterlegt).

[2] გადამზიდველის კუთვნილი დაკავების უფლებასთან დაკავშირებით აღნიშნული თანხა იკავებს გადასაზიდი ტვირთის ადგილს.

მუხლი 452

[1] ტვირთის უპირობო მიღებითა და გადაზიდვის საზღაურის გადახდით ქარწყლდება გადამზიდველის მიმართ არსებული ყველა მოთხოვნა, გარდა განზრახ შეცდომაში შეყვანისა და უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევებისა.

[2] გარდა აღნიშნულისა, გადამზიდველი რჩება პასუხისმგებელი გარეგნულად შეუმჩნევადი ზიანისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღებმა ასეთი ზიანი აღმოაჩინა იმ ვადის განმავლობაში, როდესაც არსებული გარემოებების შესაბამისად საქონლის შემოწმება შესაძლებელი იყო ან ასეთი შემოწმება მას მოეთხოვებოდა კიდეც იმ პირობით, რომ მიმღებმა ზიანის აღმოჩენისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინა ამის შესახებ გადამზიდველს.

[3] თუმცა, აღნიშნული შეტყობინება უნდა გაკეთდეს ტვირთის გადაცემიდან არაუგვიანეს რვა დღისა.

მუხლი 453

[1] ყველა სადავო შემთხვევაში ნებისმიერი მხარის მოთხოვნის საფუძველზე იმ ტერიტორიაზე მოქმედ უწყებას, სადაც იმყოფება ტვირთი, შეუძლია დაადგინოს გადასაზიდი ტვირთის მესამე პირისათვის მიბარება ან, აუცილებლობის შემთხვევაში, – მისი მდგომარეობის დადასტურების შემდეგ რეალიზაცია.

[2] ტვირთის რეალიზაცია შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული მასთან დაკავშირებული ყველა სავარაუდოდ არსებული მოთხოვნის თანხების გადახდით ან სასამართლოს დეპოზიტზე განთავსებით.

მუხლი 454

[1] ტვირთის განდაგურების, დაკარგვისა თუ მისი ტრანსპორტირების დაგვია-

ნების შემთხვევაში, გადამზიდველის მიმართ კომპენსაციის მოთხოვნის სარჩელები ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც უნდა განხორციელებულიყო ტვირთის მიწოდება, ხოლო ტვირთის დაზიანების შემთხვევაში კი, – იმ დღიდან, როდესაც ის უნდა გადაცემოდა ადრესატს.

[2] მიმღებს ან გამგზავნს ყოველთვის შეუძლია შესაგებლის წარდგენის გზით გადამზიდველის მიმართ თავისი მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია, რამდენადაც მათ რეკლამაციის წარდგენა მოახდინეს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მოთხოვნის უფლება კი არ იკარგება ტვირთის მიღების შედეგად.

[3] ზემოაღნული წესები არ მოქმედებს გადამზიდველის მხრიდან განზრახვის და უხეში გაუფრთხილებლობის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 455

[1] ის სატრანსპორტო ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფოს ნებართვის საფუძველზე, არ არიან უფლებამოსილი, სპეციალური შეთანხმებითა თუ წესებით თავის სასარგებლოდ წინასწარ გამორიცხონ ან შეზღუდონ გადამზიდველის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები.

[2] თუმცა, მხარეებს შეუძლით შეთანხმდნენ ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებულ სახელშეკრულებო დანაწესებზე, რომლებიც წინამდებარე ტიტულის ნორმებით დასაშვებად მიიჩნევა.

[3] შენარჩუნებულია საფოსტო, რკინიგზითა და ორთქმავლებით მომსახურების შემთავაზებლების მიერ დადებული გადაზიდვის ხელშეკრულებების მომწესრიგებელი სპეციალური წესების მოქმედება.

მუხლი 456

[1] იმ გადამზიდველისა თუ ექსპედიტორის მიმართ, რომელიც მის მიერ ნაკისრი ტვირთის გადაზიდვის ვალდებულების შესრულებისათვის იყენებს საჯარო სატრანსპორტო ორგანიზაციის მომსახურებას ან რომელიც მონაწილეობას იღებს აღნიშნული სატრანსპორტო ორგანიზაციის მიერ ტვირთის გადაზიდვის ვალდებულების შესრულებაში, გამოიყენება აღნიშნული სატრანსპორტო ორგანიზაციების მიმართ მოქმედი სატვირთო მიმოსვლის მომწესრიგებელი სპეციალური დანაწესები.

[2] თუმცაღა, დასაშვებია, ერთი მხრივ, გადამზიდველსა თუ ექსპედიტორს და, მეორე მხრივ, მარწმუნებელს შორის განსხვავებული შეთანხმებების დადება.

[3] წინამდებარე მუხლი არ გამოიყენება სატვირთო ექსპედიტორების (Camionneure) მიმართ.

მუხლი 457

ის ექსპედიტორი, რომელიც მის მიერ ნაკისრი ტვირთის გადაზიდვის ვალდებულების შესრულებისათვის იყენებს საჯარო სატრანსპორტო ორგანიზაციის მომსახურებას, ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას რეგრესული მოთხოვნის უფლების არარსებობის გამო, როდესაც ამ უკანასკნელის დაკარგვაში მას თავად მიუძღვის ბრალი.

მეჩვიდმეტე ტიტული:
პროკურა და სხვა სავაჭრო მინდობილობები

მუხლი 458

[1] პირი, ვინც სავაჭრო, საწარმოო ან სხვაგვარი კომერციული მიზნით წარმოებული საქმის მფლობელის მიერ პირდაპირ ან უსიტყვოდ უფლებამოსილია საქმის წარმოებასა და „per procura“ საფირმო სახელწოდებით ხელმოწერაზე, წარმოადგენს პროკურისტს.

[2] პროკურის რეგისტრაციის მიზნით წარმოების მმართველმა მისი გაცემის შესახებ უნდა შეატყობინოს სამეწარმეო რეესტრს, თუმცა პროკურისტის მოქმედებების შესრულების შედეგად ის ვალდებული ხდება უკვე პროკურის რეგისტრაციამდე.

[3] სხვა სახის წარმოებისა თუ საქმეების შესრულებისათვის პროკურისტის დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ მისი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

მუხლი 459

[1] კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ პროკურისტი მიიჩნევა უფლებამოსილად, თამასუქის ხელმოწერით დაავალდებულოს წარმოების მმართველი და ამ უკანასკნელის სახელით განახორციელოს ყველა სახის იურიდიული მოქმედება, რომლებსაც მოიცავს აღნიშნული მმართველის წარმოებისა თუ საქმეების შესრულების მიზანი.

[2] მიწის ნაკვეთების გასხვისებასა და უფლებრივ დატვირთვაზე პროკურისტი უფლებამოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი უფლებამოსილება მას პირდაპირ მიენიჭა.

მუხლი 460

[1] პროკურა შეიძლება შემოიფარგლებოდეს ფილიალის საქმიანობის სფეროთი.

[2] პროკურა შეიძლება გაიცეს რამდენიმე პირზე ერთობლივად ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭებით (ერთობლივი პროკურა) იმგვარად, რომ ერთი პროკურისტის ხელმოწერა დანარჩენი პროკურისტების თანამონაწილეობის გარეშე არ იყოს მავალდებულებელი.

[3] კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ პროკურის სხვა შეზღუდვებს სამართლებრივი ძალა არა აქვს.

მუხლი 461

[1] პროკურის გაუქმება რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სამეწარმეო რეესტრში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი გაცემისას რეგისტრაცია არ განხორციელებულა.

[2] მანამდე, სანამ არ მოხდება პროკურის შესახებ ჩანაწერის სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლა და მისი გასაჯაროება, კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ პროკურა ინარჩუნებს ძალას.

მუხლი 462

[1] როდესაც სავაჭრო, საწარმოო ან სხვაგვარი კომერციული მიზნით წარმოებული საქმის მფლობელი თავის წარმოებაში – თუნდაც ეს იყოს მთლიანი წარმოება ანდა მასთან დაკავშირებული განსაზღვრული საქმეების შესრულება – წარმომადგენლად ნიშნავს პირს პროკურის გაცემის გარეშე, მაშინ მინდობილობა ვრცელდება ყველა იურიდიულ მოქმედებაზე, რომლებსაც ჩვეულებრივ მოიცავს ასეთი სახის წარმოება ანდა რომლებიც ჩვეულებრივ დაკავშირებულია ასეთის სახის საქმეების შესრულებასთან.

[2] თუმცაღა, სავაჭრო წარმომადგენელი თამასუქის საფუძველზე ვალდებულების კისრებაზე, სესხის მიღებასა და სასამართლო საქმის წარმოებაზე უფლებამოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი უფლებამოსილება მას პირდაპირ მიენიჭა.

მუხლი 463 (გაუქმებულია)

მუხლი 464

[1] იმ პროკურისტს, ისევე როგორც სავაჭრო წარმომადგენელს, რომელიც დანიშნულია მთლიანი წარმოების მართვისათვის ან წარმოების მფლობელთან იმყოფება შრომით ურთიერთობაში, ამ უკანასკნელის მმართველის თანხმობის გარეშე არ შეუძლია არც საკუთარი და არც მესამე პირის სახელით იმ გარიგებების დადება, რომლებიც მმართველის ბიზნესსაქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

[2] ზემოაღნიშნული ნორმის დარღვევის შემთხვევაში წარმოების მმართველს შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და შესაბამისი გარიგებების თავის თავზე გადმოტანა.

მუხლი 465

[1] პროკურა და სავაჭრო მინდობილობა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს იმ უფლებების შეზღუდვის გარეშე, რომლებიც შესაძლოა გამომდინარებდეს გარიგების მონაწილეთა შორის არსებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებიდან, ამხანაგობის ხელშეკრულებიდან, დავალებიდან ან მისთ.

[2] წარმოების მმართველის გარდაცვალების ან მისი ქმედუუნაროდ გახდომის შედეგად პროკურა ან სავაჭრო მინდობილობა არ უქმდება.

მეთვრამეტე ტიტული: საგადახდო დავალება

მუხლი 466

საგადახდო დავალებით გადამხდელი/ტრასატი (Angewiesene) უფლებამოსილია, დავალების მიმცემის/ტრასანტის (Anweisende) ხარჯზე ფული, ფასიანი ქაღალდები ან სხვა მოხმარებადი ნივთები გადასცეს შესრულების მიმღებს (Anweisungsempfänger), ხოლო ეს უკანასკნელი კი აღნიშნულ შესრულებას იღებს საკუთარი სახელით.

მუხლი 467

[1] თუ საგადახდო დავალების მიზანია შესრულების მიმღების წინაშე დავალების მიმცემის არსებული ვალის დაფარვა, მაშინ ეს უკანასკნელი ხორციელდება მხოლოდ საგადახდო დავალებით გადამხდელის მიერ შესრულებული გადახდით.

[2] თუმცაღა, შესრულების იმ მიმღებს, რომელმაც იკისრა საგადახდო დავალება, შეუძლია დავალების მიმცემის მიმართ თავისი მოთხოვნის ხელახლა რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავალების მიმცემის მხრიდან მას წარეგინა გადახდის მოთხოვნა, თუმცა გადახდილი თანხა არ მიუღია საგადახდო დავალებაში აღნიშნული ვადის გასვლამდე.

[3] ზიანისათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით იმ კრედიტორმა, რომელსაც არ სურს მისი მოვალისაგან წარდგენილი საგადახდო დავალების მიღება, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მას ამის შესახებ.

მუხლი 468

[1] საგადახდო დავალებით გადამხდელი, რომელიც ყოველგვარი დათქმის გარეშე უცხადებს შესრულების მიმღებს საგადახდო დავალების მიღების შესახებ, ვალდებულია განახორციელოს გადახდა და მას შეუძლია შესრულების მიმღებს წარუდგინოს მხოლოდ ის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს მათ შორის არსებული პირადი ურთიერთობებიდან ან თავად საგადახდო დავალების შინაარსიდან, თუმცა – არა დავალების მიმცემთან მისი ურთიერთობებიდან გამომდინარე შესაგებლები.

[2] რამდენადაც საგადახდო დავალებით გადამხდელი წარმოადგენს დავალების მიმცემის მოვალეს და მისი მდგომარეობა არანაირად არ გაუარესდება შესრულების მიმღების მიმართ გადახდის განხორციელების შედეგად, მაშინ ის ვალდებულია განახორიელოს აღნიშნული გადახდა.

[3] ზემოაღნიშნულ შემთხვევაშიც კი საგადახდო დავალებით გადამხდელი არ არის ვალდებული, გადახდის განხორციელებამდე განაცხადოს საგადახდო დავალების მიღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დავალების მიმცემთან სხვაგვარად შეთანხმდა.

მუხლი 469

თუ საგადახდო დავალებით გადამხდელი უარს აცხადებს შესრულების მიმღების მიერ მოთხოვნილ გადახდაზე ან წინასწარ აცხადებს, რომ მას არ სურს გადახდის განხორციელება, მაშინ ზიანისათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით შესრულების მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ დავალების მიმცემს.

მუხლი 470

[1] დავალების მიმცემს შეუძლია შესრულების მიმღების წინაშე გააუქმოს საგადახდო დავალება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან საგადახდო დავალება წარადგინა შესრულების მიმღების წინაშე თავისი ვალის დაფარვის ან ამ უკანასკნელისათვის სხვა სარგებლის მინიჭების მიზნით.

[2] დავალების მიმცემს საგადახდო დავალებით გადამხდელის წინაშე საგადახ-

დო დავალების გაუქმება შეუძლია მხოლოდ მანამდე, სანამ ეს უკანასკნელი შესრულების მიმღებს არ განუცხადებს საგადახდო დავალების მიღების შესახებ.

[2bis] თუ გადახდის სისტემის წესები სხვაგვარად არ ადგენს, უნაღდო ანგარიშსწორების საგადახდო დავალების გაუქმება დაუშვებელია იმ მომენტიდან, როდესაც გადასარიცხი თანხა მოიხსნა დავალების მიმცემის ანგარიშიდან.

[3] თუ დავალების მიმცემის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება, მაშინ ჯერ კიდევ მიუღებელი საგადახდო დავალება ჩაითვლება გაუქმებულად.

მუხლი 471

[1] დოკუმენტის ნებისმიერი მფლობელის მიმართ გადახდის წერილობითი დავალებები რეგულირდება წინამდებარე ტიტულის ნორმებით იმ გაგებით, რომ საგადახდო დავალებით გადამხდელის მიმართ დოკუმენტის ყოველი მფლობელი მიიჩნევა შესრულების მიმღებად, რომლის დროსაც დავალების მიმცემსა და შესრულების მიმღებს შორის უფლებები კი, პირიქით, განისაზღვრება მხოლოდ თანხის ყოველ გადამრიცხველსა და მიმღებთან დაკავშირებით.

[2] შენარჩუნებულია ჩეკისა და საგადახდო დავალების მსგავსი თამასუქების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების მოქმედება.

მეცხრამეტე ტიტული: მიბარების ხელშეკრულება

მუხლი 472

[1] მიბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს და უსაფრთხო ადგილზე შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი.

[2] შემნახველს საზღაურის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირდაპირ იქნა შეთანხმებული მხარეთა მიერ ან არსებული გარემოებების შესაბამისად იყო მოსალოდნელი.

მუხლი 473

[1] მიმბარებელი ვალდებულია, აუნაზღაუროს შემნახველს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული აუცილებელი ხარჯები.

[2] მიმბარებელი პასუხისმგებელია შემნახველის წინაშე მიბარების შედეგად დამდგარი ზიანისათვის, რამდენადაც ის ვერ ამტკიცებს, რომ ზიანი დადგებოდა მისი მხრიდან ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც.

მუხლი 474

[1] შემნახველს არა აქვს უფლება ისარგებლოს მიბარებული ნივთით მიმბარებლის თანხმობის გარეშე.

[2] წინააღმდეგ შემთხვევაში მან მიმბარებელს უნდა გადაუხადოს შესაბამისი საზღაური და ასევე ის პასუხისმგებელია შემთხვევითობისათვისაც, რამდენადაც ის ვერ ამტკიცებს, რომ შემთხვევითობას ნივთის მიმართ სხვაგვარად მაინც ექნებოდა ადგილი.

მუხლი 475

[1] მიმბარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიბარებული ნივთის ყველა შესაძლო ნამატთან ერთად უკან დაბრუნება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიბარება განსაზღვრული ვადით იყო შეთანხმებული.

[2] თუმცა, მიმბარებელმა შემნახველს უნდა აუნაზღაუროს ის დანახარჯი, რაც ამ უკანასკნელმა გასწია მიბარების ხელშეკრულების შეთანხმებული ვადის გათვალისწინებით.

მუხლი 476

[1] განსაზღვრული ვადის გასვლამდე შემნახველს შეუძლია მიბარებული ნივთი უკან დააბრუნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო შემნახველისათვის შეუძლებელი ხდება შემდგომში ნივთის უსაფრთხოდ ან მისთვის რაიმე უარყოფითი შედეგების დადგომის გარეშე შენახვა.

[2] თუ მიბარებისათვის ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ შემნახველს ნებისმიერ დროს შეუძლია ნივთის უკან დაბრუნება.

მუხლი 477

მიბარებული ნივთი მიმბარებლის ხარჯითა და რისკით ექვემდებარება დაბრუნებას იმ ადგილზე, სადაც ის უნდა შენახულიყო.

მუხლი 478

თუ რამდენიმე პირმა ერთობლივად მიიღო ნივთი შესანახად, მაშინ ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად.

მუხლი 479

[1] თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მიბარებულ ნივთზე საკუთრების უფლება მას ეკუთვნის, მაშინ შემნახველს მაინც ევალება ნივთის მიმბარებლისათვის დაბრუნება, რამდენადაც ადგილი არა აქვს ნივთის სასამართლო წესით ამოღებას (gerichtlich Beschlag) ან შემნახველის მიმართ წარდგენილია სარჩელი მესამე პირის საკუთრების უფლების დადასტურების მოთხოვნით.

[2] აღნიშნული ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ შემნახველმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მიმბარებელს.

მუხლი 480

თუ რამდენიმე პირმა კუთვნილი მოთხოვნის უფლებების უზრუნველსაყოფად მესამე პირთან (სეკვესტრატორთან) განათავსა ნივთი, რომლის უფლებრივი სტატუსი სადავო ან გაურკვეველია, მაშინ მესამე პირს შეუძლია ნივთის უკან დაბრუნება მხოლოდ დაინტერესებული პირების თანხმობით ან სასამართლოს ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 481

[1] თუ ფულის მიბარება ხდება მხარეთა იმ პირდაპირი ან უსიტყვო შეთანხმების საფუძველზე, რომლითაც შემნახველი არ არის ვალდებული, დააბრუნოს

აუცილებლად იგივე კუპიურები, არამედ მხოლოდ იგივე ოდენობის ფულადი თანხა, მაშინ ყველა სარგებელი და რისკი გადადის შემნახველზე.

[2] აღნიშნული გაგებით უსიტყვო შეთანხმება ივარაუდება, თუ ფულადი თანხა შემნახველს გადაეცა დაულუქავ და ღია მდგომარეობაში.

[3] თუ ადგილი აქვს სხვა მოხმარებადი ნივთებისა თუ ფასიანი ქაღალდების მიბარებას, მაშინ შემნახველს მიბარებული საგნების განკარგვა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ეს უფლებამოსილება მიმბარებლისგან პირდაპირ იქნა მინიჭებული.

მუხლი 482

[1] საწყობის მფლობელს, რომელიც ახდენს საქონლის შენახვის მომსახურების საჯარო შეთავაზებას, შეუძლია მიმართოს კომპეტენტურ ორგანოს საწყობში შენახულ საქონელზე შესაბამისი ფასიანი ქაღალდების გაცემის ნებართვის მისაღებად.

[2] სასაქონლო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს ჩვეულებრივ ფასიან ქაღალდებს, რომლითაც უფლებამოსილ პირს ენიჭება შენახული საქონლის მიღების უფლება.

[3] სასაქონლო ფასიანი ქაღალდები შეიძლება გაიცეს სახელობითი, საორდერო ან საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების სახით.

მუხლი 483

[1] საწყობის მფლობელს ეკისრება საქონლის შენახვის ვალდებულება, მსგავსად კომისიონერისა.

[2] რამდენადაც ეს შესაძლებელია, საწყობის მფლობელმა საქონლის მიმბარებელს უნდა შეატყობინოს იმ საქონლის მდგომარეობის ცვლილებების შესახებ, რომლის მიმართაც აშკარად მიზანშეწონილია დამატებითი ზომების მიღება.

[3] საწყობის მფლობელმა უნდა დართოს ნება საქონლის მიმბარებელს სამუშაო საათებში შეამოწმოს საქონელი და მიიღოს ნიმუშები, ისევე როგორც ნებისმიერ დროს მიიღოს აუცილებელი ზომები საქონლის შენარჩუნებისათვის.

მუხლი 484

[1] საწყობის მფლობელს მოხმარებადი ნივთების იგივე სახისა და ხარისხის სხვა ნივთებთან შერევა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ამაზე პირდაპირ არის უფლებამოსილი.

[2] შერეული საქონლიდან ნებისმიერ მიმბარებელს შეუძლია გამოითხოვოს მისი შენატანის შესაბამისი ოდენობის საქონლის გადმოცემა.

[3] საწყობის მფლობელს შეუძლია მოახდინოს საქონლის მოთხოვნილი გამოცალკევება სხვა მიმბარებლების მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 485

[1] საწყობის მფლობელს აქვს მოთხოვნის უფლება მიბარების შეთანხმებულ ან ჩვეულებრივ საზღაურზე, ისევე როგორც – იმ ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავად საქონლის შენახვასთან, როგორიცაა გადაზიდვის საზღაური, საბაჟო გადასახადი, რემონტი.

[2] აღნიშნული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს დაუყოვნებლივ, ხოლო მიბარების საზღაური კი გადახდილ უნდა იქნეს საქონლის მიბარებიდან სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ და ასევე ნებისმიერ შემთხვევაში, – საქონლის სრული ან ნაწილობრივი დაბრუნებისას.

[3] თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად საწყობის მფლობელს აქვს საქონლის დაკავების უფლება მანამდე, სანამ ის ფლობს ამ საქონელს ან შეუძლია განკარგოს ის სასაქონლო ფასიანი ქაღალდის მეშვეობით.

მუხლი 486

[1] საწყობის მფლობელს ეკისრება საქონლის უკან დაბრუნების ვალდებულება, მსგავსად ჩვეულებრივი შემნახველისა, თუმცა ის ვალდებულია, დაიცვას შენახვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჩვეულებრივი შემნახველი გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო საქონლის უკან დაბრუნებაზე უფლებამოსილი იქნებოდა აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

[2] თუ გაცემულია სასაქონლო ფასიანი ქაღალდი, მაშინ საწყობის მფლობელს შეუძლია – და ის ვალდებულიც არის, – საქონელი გასცეს ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე უფლებამოსილ პირზე.

მუხლი 487

[1] სასტუმროს მფლობელები, რომლებიც უცხო პირებს უწევენ სასტუმროს მომსახურებას, პასუხს აგებენ მათი სტუმრების მიერ სასტუმროს ნომერში შეტანილი ნივთების ნებისმიერი დაზიანისათვის, განადგურებისა თუ ქურდობისათვის, რამდენადაც ისინი ვერ ამტკიცებენ, რომ ზიანი გამოწვეულ იქნა თავად სტუმრის ან მისი ვიზიტორების, თანამგზავრებისა თუ მოსამსახურეების ქმედებით ანდა – დაუძლეველი ძალითა თუ ნივთის თვისებებით.

[2] თუმცა, ყოველი ცალკეული სტუმრის მიერ განცდილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება 1000 ფრანკით, როდესაც სასტუმროს მფლობელებს ან მათ მოსამსახურეებს ზიანის დადგომაში ბრალი არ მიუძღვით.

მუხლი 488

[1] თუ ძვირფასეულობა, დიდი ოდენობით ფულადი თანხები ან ფასიანი ქაღალდები სასტუმროს მფლობელს შესანახად არ გადაეცემა, მაშინ ეს უკანასკნელი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის დადგომაში მას ან მის მოსამსახურეებს მიუძღვით ბრალი.

[2] თუ სასტუმროს მფლობელი შესანახად იღებს აღნიშნულ საგნებს ან უარს აცხადებს მათ შესანახად მიღებაზე, მაშინ ის პასუხისმგებელია მათი მთლიანი ღირებულების ანაზღაურებაზე.

[3] თუ სტუმარს არ შეიძლება გონივრულად მოეთხოვოს ზემოაღნიშნული საგნების შესანახად გადაცემა, მაშინ სასტუმროს მფლობელი პასუხისმგებელია მათთვის ისე, როგორც სტუმრის კუთვნილი სხვა ნივთებისათვის.

მუხლი 489

[1] სტუმრის მოთხოვნის უფლება უქმდება, თუ ის სასტუმროს მფლობელს ზიანის შესახებ დაუყოვნებლივ მის აღმოჩენისთანავე არ შეატყობინებს.

[2] მფლობელს არ შეუძლია მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის თავიდან აცილება სასტუმროს ნომრებზე უარის გაცხადებით ან იმით, რომ ეს პასუხისმგებლობა დამოკიდებული ხდება კანონით გაუთვალისწინებელ პირობებზე.

მუხლი 490

[1] საჯინიბოსა თუ ავტოფარეხის მფლობელები პასუხს აგებენ მათთვის ჩაბარებული ან მათი თანამშრომლების მიერ სხვაგვარად მიღებული ცხოველების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი საკუთვნებლების დაზიანისათვის, განადგურებისა თუ ქურდობისათვის, რამდენადაც ისინი ვერ ამტკიცებენ, რომ ზიანი გამოწვეულ იქნა თავად ჩამბარებლების ან მისი ვიზიტორების, თანამგზავრებისა თუ მოსამსახურეების ქმედებით ანდა – დაუძლეველი ძალითა თუ ნივთის თვისებებით.

[2] თუმცა, საჯინიბოსა თუ ავტოფარეხის მფლობელებისათვის ჩაბარებული ცხოველების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი საკუთვნებლებისათვის ჩამბარებლების მიერ განცდილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება 1000 ფრანკით, როდესაც საჯინიბოსა თუ ავტოფარეხის მფლობელებს ან მათ მოსამსახურეებს ზიანის დადგომაში ბრალი არ მიუძღვით.

მუხლი 491

[1] სასტუმროსა და საჯინიბოსა თუ ავტოფარეხის მფლობელებს აქვთ სასტუმროში შეტანილი ან მათთვის ჩაბარებული ნივთების დაკავების უფლება იმ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, რომლებიც მათ ეკუთვნით სტუმრების სასტუმროში განთავსებისა და ცხოველებისა თუ სატრანსპორტო საშუალებების შენახვის მომსახურებისათვის.

[2] შესაბამისად გამოიყენება დამქირავებლის კუთვნილი დაკავების უფლების მომწესრიგებელი ნორმები.

მეოცე ტიტული: თავდებობა

მუხლი 492

[1] თავდებობის ხელშეკრულებით თავდები ძირითადი მოვალის კრედიტორის წინაშე კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს ძირითად მოვალეს ვალდებულების შესასრულებლად.

[2] ყოველი თავდებობის წინაპირობაა ნამდვილი ძირითადი ვალდებულების არსებობა. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ვალდებულება მომავალში შედის ძალაში, თავდებობის კისრება შეიძლება ასევე სამომავლო ან პირობითი ვალდებულებისათვისაც.

[3] პირი, ვინც შეცდომის ან ქმედუუნარობის გამო კისრულობს თავდებობას იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისათვის, რომელიც არ ავალდებულებს ძირითად მოვალეს, პასუხისმგებელია თავდებობის მომწესრიგებელი ნორმებით გათვალისწინებული წინაპირობებისა და პრინციპების შესაბამისად, როდესაც მის მიერ ვალდებულების კისრების მომენტში მისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების აღნიშნული ხარვეზის არსებობა. ანალოგიური წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი კისრულობს

ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს ძირითად მოვალეს ხანდაზმული ვალდებულების შესასრულებლად.

[4] რამდენადაც კანონიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, თავდებს არ შეუძლია წინასწარ უარი თქვას წინამდებარე ტიტულის ნორმებით მისთვის მინიჭებულ უფლებებზე.

მუხლი 493

[1] თავისი ნამდვილობისათვის თავდებობა საჭიროებს თავდების წერილობით განცხადებასა და თვით თავდებობის დოკუმენტში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული ზღვრული თანხის მითითებას.

[2] ფიზიკური პირების თავდებობის განცხადება დამატებით საჭიროებს ასევე ოფიციალურ დამოწმებას დოკუმენტის შედგენის ადგილზე მოქმედი წესების შესაბამისად. თუმცა, როდესაც პასუხისმგებლობის ოდენობა 2000 ფრანკს არ აღემატება, მაშინ საკმარისია საკუთარი ხელით შესრულებული მითითება თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული თანხისა, ხოლო, აუცილებლობის შემთხვევაში კი, – თვით თავდებობის დოკუმენტში მითითება სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ.

[3] კონფედერაციის ან მისი საჯარო დაწესებულებებისა თუ კანტონის სასარგებლოდ საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად, როგორიცაა საბაჟო გადასახადები, სახელმწიფო გადასახადები და მისთ. თავდებად დადგომისათვის ყველა შემთხვევაში აუცილებელია მხოლოდ და მხოლოდ თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში მისი პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული ზღვრული თანხის მითითება.

[4] თუ ოფიციალური დამოწმების სავალდებულო ფორმის გვერდის ავლის მიზნით თავდების პასუხისმგებლობის ოდენობა დაყოფილია მცირე თანხებად, მაშინ ამ ნაწილების ფარგლებში თავდებობის ფორმალური მოთხოვნების მიმართ აუცილებელია მთლიანი თანხის თავდებობისათვის გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნების დაცვა.

[5] თავდებობის პირობების შემდგომი ცვლილებებისათვის საკმარისია წერილობითი ფორმის დაცვა, გარდა პასუხისმგებლობის ოდენობის გაზრდისა და ჩვეულებრივი თავდებობის სოლიდარულ თავდებობად გარდაქმნის შემთხვევებისა. თუ ადგილი აქვს ძირითადი ვალდებულების მესამე პირის მიერ კისრებას მოვალისათვის ვალდებულებისაგან გათავისუფლების სამართლებრივი შედეგით, მაშინ თავდებობა უქმდება, თუ თავდები ამ ვალის გადაკისრებას წერილობით არ დაეთანხმება.

[6] თავდებობისათვის გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნები დაცულ უნდა იქნეს ასევე თავდებობის კისრებაზე სპეციალური მინდობილობის გაცემისა და ხელშეკრულების მეორე მხარის ან მესამე პირის წინაშე თავდებად დადგომის შეპირების შემთხვევებში. წერილობითი შეთანხმებით თავდების პასუხისმგებლობა შეიძლება შეიზღუდოს ძირითადი ვალდებულების იმ ნაწილით, რომელიც იფარება პირველ რიგში.

[7] ფედერალურ საბჭოს შეუძლია შეზღუდოს თავდებობის ოფიციალური დამოწმებისათვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა.

მუხლი 494

[1] თავისი ნამდვილობისათვის დაქორწინებული პირის მიერ თავდებობის კისრება საჭიროებს მეუღლის წინასწარ ან, ყველაზე გვიან, თავდებობის კისრებასთან ერთად მიცემულ წერილობით თანხმობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქორწინება სასამართლო წესით შეწყვეტილია.

[2] ... (გაუქმებულია)

[3] თავდებობის პირობების შემდგომი ცვლილებებისათვის მეორე მეუღლის თანხმობა მოითხოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავდების პასუხისმგებლობის ოდენობა იზრდება ან ჩვეულებრივი თავდებობა გარდაიქმნება სოლიდარულ თავდებობად ანდა როდესაც ცვლილება შედეგად იწვევს უზრუნველყოფის არსებით შემცირებას.

[4] ანალოგიური დანაწესი აზრობრივად მოქმედებს რეგისტრირებული პარტნიორობის შემთხვევაში.

მუხლი 495

[1] კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ჩვეულებრივი თავდებობიდან გამომდინარე თანხის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავდებობის კისრების შემდეგ ძირითადი მოვალის ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება ან მან ვალების რესტრუქტურიზაციის გამო მიიღო მორატორიუმი ანდა მის მიმართ კრედიტორის მხრიდან გამოჩენილი სათანადო ინიციატივის საფუძველზე განხორციელდა იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, რომლებიც დასრულდა აღსრულების შეუძლებლობის დამადასტურებელი საბოლოო დოკუმენტის გაცემით, ისევე როგორც – თავისი საცხოვრებელი ადგილი გადაიტანა უცხოეთში, რის შედეგადაც შვეიცარიაში მის მიმართ სარჩელის წარდგენა შეუძლებელი გახდა ანდა როდესაც საცხოვრებელი ადგილის უცხოეთში გადატანის შედეგად სამართლებრივი დევნა არსებით სირთულეებთან გახდა დაკავშირებული.

[2] თუ თავდებობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა უზრუნველყოფილია ასევე გირავნობითაც, მაშინ იმ პირობით, რომ მოვალის ქონებაზე არ იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება ან მას არ მიუღია მორატორიუმი ვალების რესტრუქტურიზაციის გამო, ჩვეულებრივი თავდებობიდან გამომდინარე თავდებს შეუძლია მოითხოვოს, რომ კრედიტორმა მოთხოვნა თავდაპირველად გირავნობის საგნებიდან დაიკმაყოფილოს.

[3] თუ თავდებმა იკისრა მხოლოდ კრედიტორის მიერ განცდილი დანაკარგის ანაზღაურება (თავდებობა დანაკარგის შემთხვევისათვის), მაშინ მის მიმართ სარჩელის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მოვალის მიმართ მიღებულია იძულებითი აღსრულების შეუძლებლობის დამადასტურებელი საბოლოო დოკუმენტი ან ძირითადმა მოვალემ საცხოვრებელი ადგილი გადაიტანა უცხოეთში, რის შედეგადაც შვეიცარიაში მის მიმართ სარჩელის წარდგენა შეუძლებელი გახდა ანდა როდესაც საცხოვრებელი ადგილის უცხოეთში გადატანის შედეგად სამართლებრივი დევნა არსებით სირთულეებთან გახდა დაკავშირებული. თუ გაკოტრების საქმის წარმოებაში იდება კომპრომისული შეთანხმება, მაშინ თავდებს შემცირებული ძირითადი ვალის ნაწილისათვის სარჩელი შეიძლება წარედგინოს დაუყოვნებლივ, კომპრომისული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

[4] დასაშვებია საწინააღმდეგო შეთანხმებები.

მუხლი 496

[1] პირს, ვინც კისრულობს თავდებობას სიტყვის „სოლიდარული“ ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი გამოთქმის დამატებით, შეიძლება წარედგინოს სარჩელი ძირითადი მოვალის მიმართ და იპოთეკარის მხრიდან იძულებითი აღსრულების გარეშეც, რამდენადაც ძირითადი მოვალე იმყოფება მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებაში ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.

[2] მფლობელობითი გირავნობისა და მოთხოვნების გირავნობის უფლებების რეალიზაციამდე ზემოაღნიშნულ პირს შეიძლება წარედგინოს სარჩელი მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც სასამართლოს შეხედულებით ამ გირავნობის უფლებების საგნების ღირებულება სავარაუდოდ ვერ ფარავს უზრუნველყოფილ ვალს ან როდესაც ასეთი მიმდევრობა შეთანხმებულ იქნა ანდა ძირითადი მოვალის ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება ან მან ვალების რესტრუქტურიზაციის გამო მიიღო მორატორიუმი.

მუხლი 497

[1] რამდენიმე თავდები, რომლებმაც ერთობლივად იკისრეს თავდებობა ერთი და იგივე დაყოფადი ძირითადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად, პასუხს აგებს თავისი წილისათვის როგორც ჩვეულებრივი თავდები, ხოლო სხვების წილებისათვის კი, – როგორც შემდგომი თავდები.

[2] თუ აღნიშნულმა თავდებმა პირებმა სოლიდარული ვალდებულება იკისრეს ძირითად მოვალესთან ან ერთმანეთს შორის დადებული შეთანხმებით, მაშინ თითოეული პასუხს აგებს მთლიანი ვალისათვის. თუმცა, თავდებს შეუძლია უარი თქვას იმ თანხის გადახდაზე, რომელიც აღემატება მასზე მოსული წილიდან გამომდინარე თანხას, მანამდე, სანამ არ დაიწყება იძულებითი აღსრულება მასთან ერთად პასუხისმგებელი ყველა სოლიდარული თანათავდებების მიმართ, რომლებმაც მანამდე ან ერთდროულად თავდებთან ერთად იკისრეს თავდებობა და ამ ვალდებულებისათვის შვეიცარიაში შესაძლებელია მათ მიმართ სარჩელის წარდგენა. ანალოგიური უფლება თავდებს აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მისმა თანათავდებმა პირებმა გადაიხადეს მათზე მოსული წილიდან გამომდინარე თანხები ან წარადგინეს სანივთო უზრუნველყოფა. როდესაც შეთანხმებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, განხორციელებული გადახდებისათვის თავდებს აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება მასთან ერთად პასუხისმგებელი სოლიდარული თანათავდებების მიმართ იმ ფარგლებში, რომლებშიც თითოეულმა მათგანმა ჯერ არ მოახდინა მასზე მოსული წილიდან გამომდინარე თანხების გადახდა. აღნიშნული რეგრესული მოთხოვნის უფლება შეიძლება განხორციელდეს ძირითადი მოვალის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების რეალიზაციამდეც.

[3] თუ კრედიტორისათვის ნათელი გახდა, რომ თავდებმა თავდებობა იკისრა სხვა თავდები პირების მიერ იგივე ძირითადი ვალდებულებისათვის თავდებობის კისრების პირობით, მაშინ ეს თავდები თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ აღნიშნული პირობა არ დგება ან შემდგომში ერთ-ერთ ამ თანათავდებთაგანს კრედიტორი გაათავისუფლებს ვალდებულებისაგან ანდა მისი თავდებობა ბათილად გამოცხადდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია

– თუ ამას მოითხოვს სასამართლიანობა, – უბრალოდ დაადგინოს, რომ თავდების პასუხისმგებლობაც ასევე პროპორციულად შემცირდეს.

[4] თუ რამდენიმე თავდები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კისრულობს თავდებობას ერთი და იგივე ძირითადი ვალდებულებისათვის, მაშინ თითოეული მათგანი პასუხს აგებს მის მიერ ნაკისრი მთლიანი თანხისათვის. თუმცა, რამდენადაც შეთანხმებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, აღნიშნულ გადამხდელ თავდებს სხვების მიმართ აქვს პროპორციული რეგრესული მოთხოვნის უფლება.

მუხლი 498

[1] შემდგომი თავდები, რომელმაც კრედიტორის წინაშე იკისრა წინამორბედი თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, პასუხს აგებს მასთან ერთად ისე, როგორც ჩვეულებრივი თავდები – ძირითად მოვალესთან ერთად.

[2] თავდების თავდები (Rückbürge) ვალდებულია, თავდებად დაუდგეს გადამხდელ თავდებს იმ რეგრესული მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად, რომელიც გადამხდელ თავდებს აქვს ძირითადი მოვალის მიმართ.

მუხლი 499

[1] თავდები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე.

[2] სხვა დათქმის არარსებობისას, ზღვრული თანხის ოდენობამდე თავდები პასუხს აგებს:

1. ძირითადი ვალდებულების შესაბამისი თანხისათვის ძირითადი მოვალის ბრალეული ქმედების ან ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების კანონისმიერი შედეგების ჩათვლით; თუმცაღა, ხელშეკრულების ანულირებიდან გამომდინარე ზიანისა და პირგასამტეხლოსათვის თავდები პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირდაპირ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის;

2. ძირითადი მოვალის წინააღმდეგ იძულებითი აღსრულების წარმოებისა და სარჩელის წარდგენის ხარჯებისათვის, რამდენადაც თავდებს დროულად მიეცა შესაძლებლობა, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აეცილებინა ეს ხარჯები, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, – გირავნობის საგნების გამოთხოვისა და გირავნობის უფლებების გადაცემის ხარჯებისათვის;

3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დარიცხული პროცენტებისათვის მიმდინარე და წინა წლის გადასახდელი საპროცენტო თანხის ოდენობამდე ანდა, აუცილებლობის შემთხვევაში, – მიმდინარე და წინა წლის ანუიტეტებისათვის.

[3] როდესაც თავდებობის ხელშეკრულებიდან ან არსებული გარემოებებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, თავდები პასუხისმგებელია მხოლოდ ძირითადი მოვალის მიერ თავდებობის დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ ნაკისრი ვალდებულებებისათვის.

მუხლი 500

[1] რამდენადაც თავიდანვე სხვაგვარად არ იყო გათვალისწინებული ან შემ-

დგომშიც სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, ფიზიკური პირების მიერ თავდებობის კისრებისას პასუხისმგებლობის ოდენობა ყოველ წელს მცირდება სამი პროცენტით, თუმცაღა, როდესაც მოთხოვნები უზრუნველყოფილია უძრავ ნივთებზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებით, პასუხისმგებლობის ოდენობა მცირდება საწყისი თანხის ერთი პროცენტით. ნებისმიერ შემთხვევაში ფიზიკური პირების მიერ თავდებობის კისრებისას პასუხისმგებლობის ოდენობა მცირდება, სულ ცოტა, ძირითადი ვალდებულების შემცირების პროპორციულად.

[2] გამონაკლისს წარმოადგენს თავდებად დადგომის შემთხვევები კონფედერაციის ან მისი საჯარო დაწესებულებებისა თუ კანტონის სასარგებლოდ საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად, როგორიცაა საბაჟო გადასახადები, სახელმწიფო გადასახადები და მისთ., ასევე ტრასპორტირების საზღაურის გადახდის ვალდებულებების შესასრულებლად, ისევე როგორც – ოფიციალური და სასამსახურო თავდებობები და ცვალებადი თანხის ვალდებულებებისათვის თავდებად დადგომის შემთხვევები, როგორცაა კონტოკორენტი, საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების შესახებ ხელშეკრულება და ასევე პერიოდულად განსახორციელებელი გადახდებისათვის თავდებად დადგომის შემთხვევები.

მუხლი 501

[1] თავდებს შესაძლოა არ წარედგინოს სარჩელი ძირითადი ვალდებულების გამო ამ უკანასკნელის გადახდისათვის დადგენილი ვადის დადგომამდე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ძირითადი მოვალის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შედეგად ვალდებულების შესრულების ვადა უფრო ადრე დგება.

[2] სანივთო უზრუნველყოფის წარდგენის სანაცვლოდ, თავდებს თავდებობის ნებისმიერი სახის შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს, რომ სასამართლომ შეაჩეროს მის მიმართ წარმოებული იძულებითი აღსრულება მანამდე, სანამ არ გაიყიდება ყველა გირავნობის საგანი და ძირითადი მოვალის მიმართ არ გაიცემა იძულებითი აღსრულების შეუძლებლობის დამადასტურებელი საბოლოო დოკუმენტი ან კრედიტორებთან არ დაიდება კომპრომისული შეთანხმება.

[3] თუ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომა საჭიროებს კრედიტორის ან ძირითადი მოვალის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენას, მაშინ თავდებისათვის ვადის დენა იწყება მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც მას მიუვა შეტყობინება აღნიშნული განცხადების წარდგენის შესახებ.

[4] თუ უცხოეთში საცხოვრებელი ადგილის მქონე ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულება უქმდება ან იზღუდება უცხოური კანონმდებლობის მოქმედების შედეგად, როგორიცაა, მაგალითად, საანგარიშსწორებო ოპერაციების მომწესრიგებელი ნორმების მოქმედების ან თანხების გადარიცხვის აკრძალვის შედეგად, მაშინ შვეიცარიაში საცხოვრებელი ადგილის მქონე თავდებს ასევე შეუძლია მიუთითოს აღნიშნულ კანონმდებლობაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან უარი თქვა ასეთი შესაგებლის წარდგენაზე.

მუხლი 502

[1] თავდები უფლებამოსილია – და ის ვალდებულიცაა, – კრედიტორს წაუყენოს ის შესაგებლები, რომლებიც ძირითად მოვალეს ან მის მემკვიდრეებს ეკუთვნით და რომლებიც ამავე დროს არ ეფუძნება ძირითადი მოვალის გადახდისუუნარობას. აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევებში, როდესაც ძირითადი მოვალისათვის თავდებობის კისრება ხდება იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისათვის, რომელიც შეცდომის ან ხელშეკრულების მხარის ქმედუუნარობის ანდა ხანდაზმულობის გამო არ ავალდებულებს ძირითად მოვალეს.

[2] თუ ძირითადი მოვალე უარს ამბობს თავის კუთვნილ შესაგებელზე, მაშინ, მიუხედავად ამისა, თავდებს მაინც შეუძლია ამ შესაგებლის კრედიტორის წინააღმდეგ გამოყენება.

[3] თუ თავდები თავს იკავებს ძირითადი მოვალის შესაგებლების გამოყენებისაგან, მაშინ ის კარგავს თავის რეგრესული მოთხოვნის უფლებას იმ ფარგლებში, რომლებშიც მას ამ შესაგებლების მეშვეობით შეეძლო გათავისუფლებულიყო ნაკისრი ვალდებულებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავდებმა შეძლო იმის დამტკიცება, რომ მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას მან ამ შესაგებლების არსებობის შესახებ არაფერი იცოდა.

[4] იმ თავდებს, რომელმაც თავდებობა იკისრა თამაშობისა და სანაძლეოს გამო სასარჩელო დაცვის არმქონე ვალდებულებისათვის, აქვს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის ცნობილი იყო აღნიშნული ხარვეზის არსებობა.

მუხლი 503

[1] თუ კრედიტორი თავდების საზიანოდ ამცირებს თავდებობის კისრების მომენტში სახეზე არსებულ ან ძირითადი მოვალისაგან შემდგომში მიღებულ და სპეციალურად თავდებობით უზრუნველყოფილი მოთხოვნისათვის დადგენილ გირავნობის უფლებებსა თუ სხვა უზრუნველყოფებსა და პრივილეგიებს, მაშინ თავდების პასუხისმგებლობა მცირდება აღნიშნული შემცირების შესაბამისი თანხით, რამდენადაც არ დამტკიცდება, რომ მიყენებული ზიანი უფრო ნაკლებია. ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა შენარჩუნებულია.

[2] გარდა აღნიშნულისა, ოფიციალური და სასამსახურო თავდებობების შემთხვევაში კრედიტორი თავდების წინაშე პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება წარმოიშვა დასაქმებულის მიმართ განსახორციელებელი მეთვალყურეობის ვალდებულების უგულებელყოფის ან მისგან გონივრულად მოთხოვნილი მზრუნველობით მოქმედების შედეგად ანდა თუ აღნიშნულის შედეგად ვალდებულება გაიზარდა იმ ოდენობამდე, რასაც ის სხვა შემთხვევაში არ მიაღწევდა.

[3] თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამ უკანასკნელმა თავდებს უნდა მიაწოდოს მისი უფლებების რეალიზაციისათვის საჭირო დოკუმენტები და აუცილებელი ინფორმაცია. კრედიტორმა მას უნდა გადასცეს ასევე თავდებობის კისრების მომენტში სახეზე არსებული ან ძირითადი მოვალისაგან შემდგომში მიღებული და სპეციალურად ამ მოთხოვნისათვის დადგე-

ნილი გირავნობის საგნები და უზრუნველყოფის სხვა ობიექტები ანდა – განახორციელოს მათი გადაცემისათვის საჭირო მოქმედებები. აღნიშნული წესი არ მოქმედებს კრედიტორის კუთვნილი სხვა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად არსებული გირავნობისა და დაკავების უფლებების მიმართ, რამდენადაც მათ ენიჭება უპირატესობა თავდების მოთხოვნასთან შედარებით.

[4] თუ კრედიტორი გაუმართლებლად უარს ამბობს ზემოაღნიშნული მოქმედებების განხორციელებაზე ან თუ მან არსებული მტკიცების საშუალებები ან გირავნობის საგნები და უზრუნველყოფის ის სხვა ობიექტები, რომელთათვისაც ის არის პასუხისმგებელი, არაკეთილსინდისიერად ან უხეში გაუფრთხილებლობით გაასხვისა, მაშინ თავდები თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან. მას შეუძლია მოითხოვოს განხორციელებული შესრულების უკან დაბრუნება და აღნიშნულის შედეგად მისთვის მიყენებული სხვაგვარი ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 504

[1] თუ დგება ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა, – თუნდაც ეს მოხდეს ძირითადი მოვალის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შედეგადაც, – თავდებს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს კრედიტორის მიერ მისგან დაკმაყოფილების მიღება. თუ მოთხოვნისათვის პასუხისმგებელია რამდენიმე თავდები, მაშინ კრედიტორი ვალდებულია მიიღოს ასევე თუნდაც ნაწილობრივი გადახდაც, როდესაც ეს უკანასკნელი, სულ ცოტა, უტოლდება გადამხდელ თავდებზე მოსული წილიდან გამომდინარე თანხას.

[2] თავდები თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან, თუ კრედიტორი გაუმართლებლად უარს ამბობს გადახდის მიღებაზე. ამ შემთხვევაში ყველა შესაძლო სხვა სოლიდარული თანათავდების პასუხისმგებლობა მცირდება მასზე მოსული წილიდან გამომდინარე თანხის ოდენობით.

[3] თავდებს შეუძლია დააკმაყოფილოს კრედიტორი ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდეც, თუ ეს უკანასკნელი მზადაა დაკმაყოფილების მისაღებად. თუმცა, ძირითადი მოვალის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის შემდეგ.

მუხლი 505

[1] თუ ძირითადი მოვალე იმყოფება ძირითადი თანხის, ნახევარი წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტების ან წლიური ამორტიზაციის თანხების გადახდის ექვსთვიან ვადაგადაცილებაში, მაშინ კრედიტორმა ამის შესახებ უნდა შეატყობინოს თავდებს. მოთხოვნის საფუძველზე კრედიტორმა თავდებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ძირითადი ვალდებულების მდგომარეობის შესახებ.

[2] ძირითადი მოვალის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების ან კომპრომისული შეთანხმების მიღების პროცესში კრედიტორმა უნდა განაცხადოს თავისი მოთხოვნის შესახებ და მოიმოქმედოს ყველაფერი ის, რაც მას უფლებების დასაცავად შეიძლება მოეთხოვოს. მან უნდა შეატყობინოს თავდებს გაკოტრების საქმის წარმოების ან კომპრომისული შეთანხმების მიღების შესახებ იმ მომენტიდან, როდესაც ეს მისთვის გახდება ცნობილი.

[3] თუ კრედიტორი თავს იკავებს ნებისმიერი აღნიშნული მოქმედების შესრულებისაგან, მაშინ ის კარგავს თავდების მიმართ თავისი მოთხოვნის უფლებებს იმ ფარგლებში, რომლებშიც ამ უკანკასნელს აღნიშნული მოქმედებების შეუსრულებლობის შედეგად მიადგა ზიანი.

მუხლი 506

თავდებს შეუძლია ძირითადი მოვალისაგან მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა, ხოლო როდესაც დგება ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა, მოითხოვოს ასევე თავდებობისაგან გათავისუფლებაც:

1. როდესაც ძირითადი მოვალე არღვევს თავდებთან დადებულ შეთანხმებებს, სახელდობრ, არ ახდენს განსაზღვრულ მომენტში შეპირებული თავდების ნაკისრი ვალდებულებისაგან გათავისუფლებას;

2. როდესაც ძირითად მოვალე ვადაგადაცილებაში აღმოჩნდება ან სხვა სახელმწიფოში თავისი საცხოვრებელი ადგილის გადატანის შედეგად ძირითადი მოვალის მიმართ სამართლებრივი დევნა მნიშვნელოვნად რთულდება;

3. როდესაც ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების, უზრუნველყოფის საგნების ღირებულების შემცირების ან ძირითადი მოვალის ბრალეული ქმედებების შედეგად თავდების რისკმა მნიშვნელოვნად მოიმატა თავდებობის კისრების მომენტში არსებულთან შედარებით.

მუხლი 507

[1] თავდებზე კრედიტორის უფლებები გადადის იმ ფარგლებში, რომლებშიც ის აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას. თავდებს ამ უფლებების რეალიზაცია შეუძლია ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისთანავე.

[2] თუმცა, რამდენადაც შეთანხმებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, თავდებობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის საუზრუნველყოფოდ დადგენილი გირავნობის უფლებებიდან და უზრუნველყოფის სხვა ობიექტებიდან თავდებზე გადადის მხოლოდ ის უფლებები და ობიექტები, რომლებიც სახეზე იყო თავდებობის კისრების მომენტში ან ძირითადი მოვალისაგან შემდგომში სპეციალურად ამ მოთხოვნისათვის იქნა მიღებული. თუ თუნდაც ვალის ნაწილობრივი დაფარვის შედეგად თავდებზე გადადის გირავნობის უფლების მხოლოდ ნაწილი, მაშინ კრედიტორთან დარჩენილ ნაწილს ენიჭება უპირატესობა თავდებზე გადასულ ნაწილთან შედარებით.

[3] შენარჩუნებულია თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სპეციალური მოთხოვნის უფლებები და შესაგებლები.

[4] თუ ხორციელდება თავდებობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის საუზრუნველყოფოდ დადგენილი გირავნობის საგნის რეალიზაცია ან გირავნობის საგნის მესაკუთრე ნებაყოფლობით ფარავს ვალს, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია თავდების მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე ერთმანეთს შორის შეთანხმდნენ დამგირავებელი და თავდები ან თუ გირავნობის საგანი შემდგომში იქნა მიღებული მესამე პირისგან.

[5] რეგრესული მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების მომენტიდან.

[6] თავდებს არა აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება ძირითადი მოვალის მიმართ სასარჩელო დაცვის არმქონე მოთხოვნის ან იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, რომელიც შეცდომის ან ხელშეკრულების მხარის ქმედუუნარობის გამო არ ავალდებულებს ძირითად მოვალეს. თუმცაღა, თუ მან ხანდაზმული ვალისათვის პასუხისმგებლობა იკისრა ძირითადი მოვალის დავალების საფუძველზე, მაშინ ეს უკანასკნელი მის მიმართ პასუხს აგებს დავალების მიმართ მოქმედი პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 508

[1] თუ თავდები სრულად ან ნაწილობრივ ფარავს ძირითად ვალდებულებას, მაშინ მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს ძირითად მოვალეს.

[2] თუ თავდები არ ატყობინებს ძირითად მოვალეს ძირითადი ვალდებულების დაფარვის შესახებ და ეს უკანასკნელი ასევე ახორციელებს გადახდას ისე, რომ მან არ იცოდა ვალდებულების დაფარვის შესახებ და მას ამის შესახებ არც უნდა სცოდნოდა, მაშინ თავდები კარგავს თავის რეგრესული მოთხოვნის უფლებას ძირითადი მოვალის მიმართ.

[3] შენარჩუნებულია კრედიტორის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა.

მუხლი 509

[1] ნებისმიერი საფუძვლით ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის შედეგად თავდებობისაგან თავისუფლდება თავდებიც.

[2] თუმცა, თუ ერთი და იგივე პირში ერთიანდება ძირითადი მოვალის სახით პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობა თავდებობიდან გამომდინარე, მაშინ კრედიტორი ინარჩუნებს თავდებობიდან გამომდინარე კუთვნილ განსაკუთრებულ სარგებელს.

[3] ფიზიკური პირის ნებისმიერი თავდებობა წყდება მისი კისრებიდან 20 წლის ვადის გასვლის შემდეგ. გამონაკლისს წარმოადგენს თავდებად დადგომის შემთხვევები კონფედერაციის ან მისი საჯარო დაწესებულებებისა თუ კანტონის სასარგებლოდ საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად, როგორიცაა საბაჟო გადასახადები, სახელმწიფო გადასახადები და მისთ., ასევე ტრასპორტირების საზღაურის გადახდის ვალდებულებების შესასრულებლად, ისევე როგორც – ოფიციალური და სასამსახურო თავდებობები და ასევე პერიოდულად განსახორციელებელი გადახდებისათვის თავდებად დადგომის შემთხვევები.

[4] ზემოაღნიშნული ვადის უკანასკნელი წლის განმავლობაში, – თუნდაც თავდებობისათვის უფრო მეტი ვადა იყო შეთანხმებული, – თავდებობის უფლების რეალიზაცია დასაშვებია იმდენად, რამდენადაც თავდებმა წინასწარ არ გაახანგრძლივა თავდებობის ვადა ან ის ახალი თავდებობით არ შეცვალა.

[5] თავდების წერილობითი განცხადებით თავდებობის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს არაუმეტეს შემდგომი ათი წლისა. თუმცა, ასეთი წერილობითი განცხადება ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კეთდება თავდებობის შეწყვეტამდე არაუადრეს ერთი წლისა.

[6] თუ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა დგება თავდებობის შე-

წყვეტამდე ორ წელზე ნაკლები ვადის განმავლობაში, ხოლო კრედიტორს არ შეეძლო ხელშეკრულების უფრო ადრე შეწყვეტა, მაშინ ნებისმიერი სახის თავდებობის შემთხვევაში თავდების მიმართ სარჩელის წარდგენა შესაძლებელია ძირითადი მოვალის წინააღმდეგ წინასწარ იძულებითი ღონისძიებების განხორციელების ან გირავნობის საგნების რეალიზაციის გარეშეც. თუმცა, თავდებს რეგრესული მოთხოვნის უფლება ძირითადი მოვალის მიმართ აქვს უკვე ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე.

მუხლი 510

[1] თუ ადგილი აქვს სამომავლო მოთხოვნისათვის თავდებობის კისრებას, მაშინ მანამდე, სანამ მოთხოვნა ჯერ არ არის წარმოშობილი, თავდებს კრედიტორის მიმართ გაკეთებული წერილობითი განცხადებით ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას თავდებობაზე, რამდენადაც თავდებობის დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა ან როდესაც შემდგომში აღმოჩნდება, რომ მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესია თავდების მიერ თავდებობის კეთილსინდისიერად კისრების მომენტში არსებულ მის ქონებრივ მდგომარეობასთან შედარებით. ოფიციალური ან სასამსახურო თავდებობების შემთხვევაში თავდებობაზე უარი შესაძლებელი აღარ არის ოფიციალური ან სასამსახურო ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ.

[2] თავდებმა კრედიტორს უნდა აუნაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მას წარმოეშვა იმ გარემოების შედეგად, რომ ის კეთილსინდისიერად ენდობოდა თავდებობის არსებობის ფაქტს.

[3] თუ თავდებობის კისრება ხდება მხოლოდ განსაზღვრული ვადით, მაშინ თავდების ვალდებულება წყდება, თუ კრედიტორი ვადის გასვლის შემდეგ ოთხი კვირის განმავლობაში არ მოახდენს თავისი მოთხოვნის სასამართლო წესით რეალიზაციასა და სასამართლო საქმის განხილვის წარმართვას მნიშვნელოვანი შეფერხების გარეშე.

[4] თუ აღნიშნულ მომენტში არ დგება მოთხოვნის შესრულების ვადა, მაშინ თავდებს შეუძლია პასუხისმგებლობისაგან გაითავისუფლოს თავი მხოლოდ საინვთო უზრუნველყოფის წარდგენის გზით.

[5] თუ ის აღნიშნულს არ აკეთებს, მაშინ თავდებობა ინარჩუნებს ძალას მისი მაქსიმალური ვადის განსაზღვრის პირობით ისე, თითქოს ეს უკანასკნელი შეთანხმებული იყო ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე.

მუხლი 511

[1] თუ თავდებობის კისრება ხდება განუსაზღვრელი ვადით, მაშინ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის შემდეგ თავდებს, – რამდენადაც ეს წარმოადგენს მის მიმართ სარჩელის წარდგენის წინაპირობას, – შეუძლია კრედიტორისაგან მოითხოვოს, რომ ძირითადი მოვალის მიმართ ოთხი კვირის განმავლობაში განხორციელდეს მოთხოვნის სასამართლო წესით რეალიზაცია, ყველა შესაძლო გირავნობის საგნის რეალიზაცია და სასამართლო საქმის განხილვის წარმართვა მნიშვნელოვანი შეფერხების გარეშე.

[2] თუ საქმე ეხება ისეთ მოთხოვნას, რომლის შესრულების ვადაც დგება კრე-

დიტორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების წარდგენით, მაშინ თავდებობის კისრებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ თავდები უფლებამოსილია, მოითხოვოს კრედიტორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების წარდგენა და მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომის შემდეგ მოახდინოს თავისი უფლებების რეალიზაცია მუხლის პირველ ნაწილში მითითებული დანაწესის გაგებით.

[3] თუ კრედიტორი აღნიშნულ მოთხოვნას არ ასრულებს, მაშინ თავდები თავისუფლდება ნაკისრი თავდებობისაგან.

მუხლი 512

[1] განუსაზღვრელი ვადით ნაკისრი ოფიციალური თავდებობა შეიძლება შეწყდეს ოფიციალური მოვალეობების შესრულების ვადის დასრულებისას შეწყვეტის ერთწლიანი ვადის დაცვით.

[2] თუ ოფიციალური მოვალეობების შესრულების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ოფიციალური თავდებობა შეიძლება შეწყდეს თანამდებობის დაკავებიდან ოთხი წლის ვადის დასრულების შემდეგ შეწყვეტის ერთწლიანი ვადის დაცვით.

[3] განუსაზღვრელი ვადით ნაკისრი სასამსახურო თავდებობის შემთხვევაში თავდებს აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის იგივე უფლება, რაც ოფიციალური თავდებობით თავდებს ეკუთვნის ოფიციალური მოვალეობების შესრულების განუსაზღვრელი ვადის შემთხვევაში.

[4] დასაშვებია საწინააღმდეგო შეთანხმებები.

ოცდამეერთე ტიტული: თამაშობა და სანაძლეო

მუხლი 513

[1] თამაშობიდან და სანაძლეოდან გამომდინარე მოთხოვნა არ წარმოიშობა.

[2] იგივე წესი მოქმედებს იმ სესხებისა და საავანსო თანხების მიმართ, რომლებიც შეგნებულად გაიცა თამაშობისა თუ სანაძლეოსათვის, ისევე როგორც – ფასის სხვაობაზე დაფუძნებული საბირჟო გარიგებებისა და საქონლის ან საბირჟო ფასიანი ქაღალდების მიწოდების შესახებ ისეთი გარიგებებისათვის, რომლებსაც თამაშის ან სანაძლეოს ხასიათი აქვს.

მუხლი 514

[1] ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე კეთილსინდისიერი მესამე პირების უფლებების შენარჩუნების პირობით, მიუხედავად დოკუმენტის გადაცემისა დაუშვებელია იმ ობლიგაციიდან ან თამასუქიდან გამომდინარე მოთხოვნის რეალიზაცია, რომლის ხელმოწერაც მოხდა მოთამაშის ან სანაძლეოს მონაწილის მიერ თამაშისა თუ სანაძლეოს თანხის დაფარვის მიზნით.

[2] ნებაყოფლობით განხორციელებული გადახდის უკან დაბრუნების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თამაშობასა თუ სანაძლეოსთან დაკავშირებული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება ჩაიშალა

შემთხვევითობის ან მიმღების მოქმედებების შედეგად ანდა როდესაც ეს უკანასკნელი განზრახ არაკეთილსინდისიერად მოიქცა.

მუხლი 515

[1] ლატარიიდან ან გათამაშებებიდან გამომდინარე მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ჩატარება კომპეტენტური ორგანოს მიერ არის ნებადართული.

[2] თუ აღნიშნული ნებართვა სახეზე არ არის, მაშინ ასეთი მოთხოვნა განიხილება როგორც თამაშობიდან გამომდინარე მოთხოვნა.

[3] უცხოეთში ნებადართული ლატარიების ან გათამაშებების ხელშეკრულებები სარგებლობს სამართლებრივი დაცვით შვეიცარიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტურმა შვეიცარიულმა ორგანომ დართო შესაბამისი ბილეთების რეალიზაციის ნება.

მუხლი 515a

კაზინოებში აზარტული თამაშებიდან გამომდინარე წარმოიშობა სასარჩელო წესით დაცვადი მოთხოვნები, რამდენადაც კაზინოს მიღებული აქვს კომპეტენტური ორგანოს ლიცენზია.

ოცდამეორე ტიტული: სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება და ქონების გადაცემის სანაცვლოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება

მუხლი 516

[1] სამისდღეშიო რჩენა შეიძლება დადგინდეს სარჩოს მიმღები კრედიტორის სიცოცხლის ვადით.

[2] სპეციალური შეთანხმების არარსებობისას ივარაუდება, რომ სამისდღეშიო რჩენის შეპირება ხდება სარჩოს მიმღები კრედიტორის სიცოცხლის ვადით.

[3] რამდენადაც მხარეთა შორის სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, სარჩოს მიმღები კრედიტორის ან მესამე პირის სიცოცხლის ვადით დადგენილი სამისდღეშიო რჩენა გადადის აღნიშნული კრედიტორის მემკვიდრეებზე.

მუხლი 517

თავისი ნამდვილობისათვის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება საჭიროებს წერილობითი ფორმით დადებას.

მუხლი 518

[1] სარჩო გადახდილ უნდა იქნეს ყოველ ნახევარ წელში ერთხელ წინასწარ, თუ შეთანხმებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული.

[2] თუ პირი, რომლის სიცოცხლის ვადითაც არის დადგენილი სამისდღეშიო რჩენა, გარდაიცვლება იმ ვადის გასვლამდე, რომლისათვისაც წინასწარ უნდა

იქნეს გადახდილი სარჩო, მაშინ გადახდას დაექვემდებარება მთლიანი თანხა.

[3] თუ სარჩოს გადამხდელის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება, მაშინ სარჩოს მიმღები კრედიტორი უფლებამოსილია, თავისი მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია მოახდინოს მოთხოვნის ძირითადი თანხის ფორმით, რომელიც განისაზღვრება იმ თანხის ოდენობით, რომლითაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტში ანალოგიური სარჩო შეიძლება დადგენილიყო სოლიდურ საპენსიო დაწესებულებაში.

მუხლი 519

[1] რამდენადაც მხარეთა შორის სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, სარჩოს მიმღებ კრედიტორს შეუძლია თავისი უფლებების განხორციელების უფლებამოსილების სხვა პირისათვის დათმობა.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 520

წინამდებარე კანონის დანაწესები არ გამოიყენება იმ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც მოქცეულია დაზღვევის ხელშეკრულებების შესახებ 1908 წლის 2 აპრილის ფედერალური კანონის რეგულირების სფეროში, გარდა სარჩოს მიღების უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობასთან დაკავშირებული ნორმისა.

მუხლი 521

[1] ქონების გადაცემის სანაცვლოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით მოსარგებლე კისრულობს ვალდებულებას, სარჩოს გადამხდელს (Pfrundgeber) გადასცეს ქონება ან ცალკეული აქტივები, ხოლო ეს უკანასკნელი კი ვალდებულია, უზრუნველყოს მოსარგებლის რჩენა და მასზე ზრუნვა ამ უკანასკნელის სიცოცხლის ვადის განმავლობაში.

[2] თუ სარჩოს გადამხდელი ინიშნება მოსარგებლის მემკვიდრედ, მაშინ მთელი ურთიერთობა ექვემდებარება მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს.

მუხლი 522

[1] თავისი ნამდვილობისათვის ქონების გადაცემის სანაცვლოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება საჭიროებს იგივე ფორმით დადებას, რაც გათვალისწინებულია მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებისათვის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მემკვიდრის დანიშვნა მასთან დაკავშირებული არ არის.

[2] თუ ხელშეკრულება იდება სახელმწიფოს მიერ სერტიფიცირებული სამისდღეშიო რჩენის დაწესებულებასთან კომპეტენტური ორგანოს მიერ მოწონებული პირობებით, მაშინ საკმარისია წერილობითი შეთანხმება.

მუხლი 523

თუ მოსარგებლემ სარჩოს გადამხდელს გადასცა მიწის ნაკვეთი, მაშინ თავისი მოთხოვნის უფლებების უზრუნველსაყოფად ის, გამყიდველის მსგავსად, ინარჩუნებს ამ მიწის ნაკვეთზე კანონისმიერ საუზრუნველყოფო უფლებას.

მუხლი 524

[1] მოსარგებლე ცხოვრობს სარჩოს გადამხდელის საერთო სახლში (in häusliche Gemeinschaft) და ეს უკანასკნელი ვალდებულია, განახორციელოს მის მიმართ შესრულება იმ სარგებლის მინიჭებით, რომლის მიღებასაც მოსარგებლე სამართლიანად უნდა ელოდებოდეს გადაცემული აქტივების ღირებულებისა და მოსარგებლის ხელშეკრულების დადებამდე არსებული ცხოვრების პირობების გათვალისწინებით.

[2] სარჩოს გადამხდელი ვალდებულია, მოსარგებლეს მისცეს ცხოვრების სათანადო პირობები და უზრუნველყოს მისი რჩენა, ხოლო ავადმყოფობის შემთხვევაში კი მას ევალება აუცილებელი მოვლა-პატრონობა და სამეციდინო დახმარების გაწევა.

[3] კომპეტენტური ორგანოების მხრიდან მოწონების პირობით, სამისდღეშიო რჩენის დაწესებულებებს თავიანთ შინაგანაწესებში შეუძლიათ ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევა დაადგინონ ზოგადად მავალდებულებელი სახელშეკრულებო შინაარსის სახით.

მუხლი 525

[1] ქონების გადაცემის სანაცვლოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეიძლება გასაჩივრდეს იმ პირების მიერ, რომლებსაც კანონისმიერი რჩენის მოთხოვნის უფლება აქვთ მოსარგებლის მიმართ, თუ აღნიშნული ხელშეკრულების დადებით ეს უკანასკნელი კარგავს მასზე დაკისრებული კანონისმიერი რჩენის მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას.

[2] ხელშეკრულების გაუქმების ნაცვლად სასამართლოს შეუძლია სარჩოს გადამხდელს დააკისროს რჩენის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა რჩენის ვალდებულება ამ უკანასკნლის შესრულებისას გადახდილი თანხების იმ გადასახდელების ანგარიშში, რომლებიც სარჩოს გადამხდელმა ხელშეკრულების შესაბამისად უნდა განახორციელოს მოსარგებლის მიმართ.

[3] გარდა აღნიშნულისა, შენარჩუნებულია მემკვიდრეთა მიერ საანდერძო განკარგულებათა შემცირების შესახებ სარჩელი და კრედიტორების მხრიდან შეცილების უფლება.

მუხლი 526

[1] ქონების გადაცემის სანაცვლოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს როგორც მოსარგებლის, ისე სარჩოს გადამხდელის მიერ შეწყვეტის ნახევარწლიანი ვადის დაცვით, როდესაც ხელშეკრულების შესაბამისად ერთ-ერთი მხარის შესრულების ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება მეორე მხარის შესრულების ღირებულებას და ზედმეტობის მიმღები ვერ ამტკიცებს მეორე მხარის ჩუქების განზრახვის არსებობას.

[2] ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია ძირითადი თანხისა და სარჩოს თანაფარდობა სოლიდურ საპენსიო დაწესებულებაში მოქმედი პრინციპების შესაბამისად.

[3] ის თანხა, რაც ხელშეკრულების გაუქმების მომენტში უკვე იქნა გადახდილი, ექვემდებარება ანაზღაურებას ჯამური ღირებულებისა და პროცენტების ორმხრივი გაქვითვით.

მუხლი 527

[1] როგორც მოსარგებლეს, ისე სარჩოს გადამხდელს შეუძლია ქონების გადაცემის სანაცვლოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ცალმხრივი გაუქმება, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა ან როდესაც სხვა მნიშვნელოვანი მიზეზები მეტისმეტად ართულებს ანდა შეუძლებელს ხდის ამ ურთიერთობის გაგრძელებას.

[2] თუ ქონების გადაცემის სანაცვლოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უქმდება ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, მაშინ ბრალეულმა მხარემ შესრულებულის დაბრუნებასთან ერთად არაბრალეულ მხარეს უნდა გადაუხადოს სათანადო კომპენსაცია.

[3] ხელშეკრულების სრულად გაუქმების ნაცვლად, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია შეწყვიტოს მხარეთა საერთო სახლში თანაცხოვრება და მოსარგებლეს კომპენსაციის მიზნით მიაკუთვნოს სამისდღეშიო რჩენის უფლება.

მუხლი 528

[1] სარჩოს გადამხდელის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარგებლეს ერთი წლის განმავლობაში შეუძლია მოითხოვოს სამისდღეშიო რჩენის ურთიერთობის შეწყვეტა.

[2] აღნიშნულ შემთხვევაში მოსარგებლეს შეუძლია მემკვიდრეების მიმართ იმ მოთხოვნის წარდგენა, რაც მას ექნებოდა სარჩოს გადამხდელის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში.

მუხლი 529

[1] მოსარგებლის მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება გადაცემას.

[2] სარჩოს გადამხდელის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში, მოსარგებლეს აქვს მოთხოვნა იმ ოდენობით, რაც უტოლდება სოლიდურ საპენსიო დაწესებულებაში სამისდღეშიო რჩენის ფორმით მისაღები სარჩოს ღირებულებას.

[3] ქონებაზე ყადაღის დადების მიზნით განხორციელებული იძულებითი აღსრულების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მოთხოვნასთან დაკავშირებით მოსარგებლეს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყადაღის დადებაში წინასწარი იძულებითი აღსრულების პროცესის გარეშე.

ოცდამესამე ტიტული: სამოქალაქო ამხანაგობა

მუხლი 530

[1] ამხანაგობა არის ორი ან მეტი პირის მიერ საერთო მიზნის საერთო ძალებითა თუ საშუალებებით მისაღწევად შექმნილი სახელშეკრულებო ურთიერთკავშირი.

[2] ამხანაგობა წარმოადგენს სამოქალაქო ამხანაგობას წინამდებარე ტიტუ-

ლის გაგებით, რამდენადაც ამ დროს ადგილი არა აქვს წინამდებარე კანონით გათვალისწინებული სხვა საზოგადოების წინაპირობების არსებობას.

მუხლი 531

[1] ყოველმა მონაწილემ უნდა განახორციელოს შენატანი, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ფულად თანხას, ნივთებს, მოთხოვნებსა თუ შრომას.

[2] თუ შეთანხმებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, მონაწილეებმა უნდა შეიტანონ თანაბარი შენატანები, ამასთან – იმ სახითა და მოცულობით, რაც მოითხოვება შეთანხმებული მიზნის მისაღწევად.

[3] რამდენადაც ცალკეულმა მონაწილემ ამხანაგობას სარგებლობაში უნდა გადასცეს ნივთი, რისკისა და გარანტიის ვალდებულების კისრებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების პრინციპები, ხოლო რამდენადაც მონაწილემ საკუთრებაში უნდა გადასცეს ამხანაგობას ნივთი, – ნასყიდობის ხელშეკრულების პრინციპები.

მუხლი 532

ყოველი მოსარგებლე ვალდებულია, სხვა მონაწილეებს გაუნაწილოს ის მოგება, რომელიც თავისი ბუნებით ამხანაგობას ეკუთვნის.

მუხლი 533

[1] თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ყოველი მოსარგებლე – მიუხედავად მის მიერ განხორციელებული შენატანის სახისა და ოდენობისა – თანაბრად მონაწილეობს მოგებასა და ზარალში.

[2] თუ შეთანხმებულია მონაწილეობა მხოლოდ მოგებაში ან მონაწილეობა მხოლოდ ზარალში, მაშინ ეს შეთანხმება მოქმედებს ორივე მხარისათვის.

[3] დასაშვებია შეთანხმება, რომლის თანახმადაც მონაწილე, რომელსაც საერთო მიზნის მიღწევაში თავისი წვლილი შეაქვს შრომითი საქმიანობით, მონაწილეობს მხოლოდ მოგებაში და არა -ზარალში.

მუხლი 534

[1] ამხანაგობის გადაწყვეტილებები მიიღება ყველა მონაწილის თანხმობით.

[2] თუ ხელშეკრულების თანახმად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, მაშინ ეს უკანასკნელი გამოითვლება პირთა რაოდენობის მიხედვით.

მუხლი 535

[1] ამხანაგობის მართვის უფლება აქვს ყველა მონაწილეს, რამდენადაც ხელშეკრულებით ან გადაწყვეტილებით ეს უფლებამოსილება ექსკლუზიურად არ ენიჭება ერთ ან რამდენიმე მონაწილეს ანდა – მესამე პირს.

[2] თუ მართვის უფლება აქვს ყველა ან რამდენიმე მონაწილეს, მაშინ ყოველ მათგანს შეუძლია იმოქმედოს დანარჩენების მონაწილეობის გარეშე, თუმცა ამხანაგობის მართვაზე უფლებამოსილ თითოეულ დანარჩენ მონაწილეს აქვს უფლება, თავისი პროტესტით შეეწინააღმდეგოს მოქმედებას მანამდე, სანამ ის არ შესრულდება.

[3] ზოგადი უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნისა და იმ იურიდიული

მოქმედებების განხორციელებისათვის, რომლებიც სცილდება საერთო საქმეების წარმოების ჩვეულებრივ სფეროს, საჭიროებს ყველა მონაწილის ერთხმად მიღებულ თანხმობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების მიღების დაგვიანების საფრთხე.

მუხლი 536

მონაწილეს არ შეუძლია თავის სასარგებლოდ იმ საქმეების შესრულება, რომლითაც ხელი ეშლება ან ზიანი ადგება ამხანაგობის მიზნის მიღწევას.

მუხლი 537

[1] როდესაც ამხანაგობის ერთი მონაწილე ამხანაგობის საქმეებთან დაკავშირებით სწევს ხარჯებს ან კისრულობს ვალდებულებებს, ისევე როგორც – განიცდის ზარალს, როგორც მისი მმართველობითი საქმიანობის უშუალო ან მასთან განუყოფლად დაკავშირებული რისკების შედეგს, მაშინ დანარჩენი მონაწილეები ინაწილებენ მის პასუხისმგებლობას.

[2] ამხანაგობის სასარგებლოდ ავანსის სახით გაცემული ფულადი თანხებისათვის ამხანაგობის მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს პროცენტის დარიცხვა ავანსის გაცემის დღიდან.

[3] და, პირიქით, მონაწილეს არა აქვს მოთხოვნის უფლება განსაკუთრებული საზღაურის მიღებაზე თავისი პირადი ძალისხმევისათვის.

მუხლი 538

[1] ამხანაგობის ყოველი მონაწილე ვალდებულია, ამხანაგობის საქმეების განხორციელებისას იმოქმედოს ისეთი მონდომებითა და ზრუნვით, რასაც ის ჩვეულებრივ საკუთარი საქმეებისადმი იჩენს.

[2] ამხანაგობის მონაწილე დანარჩენი მონაწილეების წინაშე პასუხს აგებს მისი ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის ისე, რომ ის ვერ გაქვითავს ასეთ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იმ სარგებელთან, რომელიც მან სხვა საქმიანობიდან გამომდინარე მოუტანა ამხანაგობას.

[3] მმართველი მონაწილე, რომელიც თავისი საქმიანობისათვის იღებს საზღაურს, პასუხს აგებს დავალების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 539

[1] დაუშვებელია მნიშვნელოვანი საფუძვლების გარეშე ამხანაგობის ხელშეკრულებაში მონაწილისათვის მინიჭებული ამხანაგობის მართვის უფლებამოსილების დანარჩენი მონაწილეების მხრიდან როგორც ჩამორთმევა, ისე -შეზღუდვა.

[2] თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძვლები, მაშინ აღნიშნული უფლებამოსილება შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს ნებისმიერი სხვა მონაწილის მიერ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამხანაგობის ხელშეკრულება სხვაგვარად ითვალისწინებს.

[3] კერძოდ, მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა, როდესაც მმართველმა ბრალეულად უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობები ან დაკარგა საქმეთა სათანადოდ გაძღოლის უნარი.

მუხლი 540

[1] რამდენადაც წინამდებარე ტიტულის ნორმებით, ისე ამხანაგობის ხელშეკრულებით სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული, დანარჩენ მონაწილეებთან მმართველი მონაწილის ურთიერთობის მიმართ გამოიყენება დავალების მომწესრიგებელი ნორმები.

[2] როდესაც მონაწილე, რომელიც არ არის უფლებამოსილი ამხანაგობის მართვაზე, ზრუნავს ამხანაგობის საქმეების შესრულებაზე, ან მართვაზე უფლებამოსილი მონაწილე ამეტებს თავის უფლებამოსილებას, მაშინ გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 541

[1] ამხანაგობის მართვის უფლებამოსილების არმქონე მონაწილეს უფლება აქვს, პირადად მიიღოს ინფორმაცია ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის შესახებ, გაეცნოს ამხანაგობის ბუღალტერიასა და დოკუმენტებს და ასევე – საათავისოდ მოამზადოს საერთო ქონებრივი მდგომარეობის შესახებ მიმოხილვა.

[2] საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

მუხლი 542

[1] მონაწილეს სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე არ შეუძლია მესამე პირის ამხანაგობაში მიღება.

[2] როდესაც ამხანაგობის მონაწილე მესამე პირს ცალმხრივად ანიჭებს თავის წილის ფარგლებში ამხანაგობაში მონაწილეობის უფლებას ან უთმობს მას თავის მთლიან წილს, ამით მესამე პირი არ ხდება ამხანაგობის მონაწილე და, განსაკუთრებით კი, – ის არ იძენს ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის გაცნობის უფლებას.

მუხლი 543

[1] როდესაც ამხანაგობის მონაწილე, მართალია, ამხანაგობის სასარგებლოდ, თუმცა საკუთარი სახელით გარიგებას დებს მესამე პირთან, მაშინ ის უფლებასილი და ვალდებული ხდება მხოლოდ მესამე პირის მიმართ.

[2] როდესაც ამხანაგობის მონაწილე ამხანაგობის ან ყველა მონაწილის სახელით გარიგებას დებს მესამე პირთან, მაშინ დანარჩენი მონაწილეები უფლებასილი და ვალდებული ხდებიან მესამე პირის მიმართ მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს გათვალისწინებულია წარმომადგენლობის მომწესრიგებელი ნორმებით.

[3] ცალკეული მონაწილის უფლებამოსილება, მესამე პირების წინაშე წარმოადგინოს ამხანაგობა ან ყველა მონაწილე, ივარაუდება არსებულად იმ მომენტიდან, როდესაც ამ მონაწილეს მიენიჭა ამხანაგობის მართვის უფლებამოსილება.

მუხლი 544

[1] ამხანაგობისათვის გადაცემული ან მისთვის შეძენილი ნივთები, სანივთო უფლებები ან მოთხოვნები ამხანაგობის ხელშეკრულების შესაბამისად ერთობლივად ეკუთვნით მონაწილეებს.

[2] იქ, სადაც ამხანაგობის ხელშეკრულებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, ამხანაგობის კრედიტორებს თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებ-

ლად შეუძლიათ გამოიყენონ მხოლოდ მათი მოვალის მიერ ამხანაგობის ქონების ლიკვიდაციიდან მისაღები წილი.

[3] თუ ამხანაგობის მონაწილეებმა მესამე პირის წინაშე ვალდებულებები იკისრეს ერთობლივად ან წარმომადგენლის გზით, მაშინ სხვა შეთანხმების არარსებობის პირობით, ისინი ამ პირის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

მუხლი 545

[1] ამხანაგობა უქმდება:

1. როდესაც მიღწეულ იქნა ის მიზანი, რისთვისაც დაიდო ამხანაგობის ხელშეკრულება, ან როდესაც ამხანაგობის მიზნის მიღწევა შეუძლებელი გახდა;

2. როდესაც მონაწილე გარდაიცვლება და ასეთი შემთხვევისათვის ჯერ კიდევ წინასწარ არ იქნა შეთანხმებული, რომ ამხანაგობის არსებობა უნდა გაგრძელდეს მონაწილეთა მემკვიდრეებზე;

3. როდესაც მონაწილის მიერ ამხანაგობის ქონების ლიკვიდაციიდან მისაღები წილის მიმართ ხორციელდება იძულებითი რეალიზაცია ან მონაწილის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება ანდა დგინდება საერთო მზრუნველობა;

4. ყველა მონაწილის მიერ დადებული შეთანხმებით;

5. იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც იყო დაფუძნებული ამხანაგობა;

6. ერთ-ერთი მონაწილის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტით, როდესაც ასეთი უფლება გათვალისწინებულია ამხანაგობის ხელშეკრულებაში ან როდესაც ამხანაგობა დაფუძნებული იყო განუსაზღვრელი ვადითა თუ ერთ-ერთი მონაწილის სიცოცხლის ვადით;

7. სასამართლოს გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე გაუქმების შემთხვევაში.

[2] მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე ამხანაგობის გაუქმების მოთხოვნა შესაძლებელია სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე ან როდესაც ამხანაგობა განუსაზღვრელი ვადით იყო დაფუძნებული, – შეწყვეტის შესახებ წინასწარი განცხადების წარდგენის გარეშეც.

მუხლი 546

[1] თუ ამხანაგობა დაფუძნებული იყო განუსაზღვრელი ვადით ან ერთ-ერთი მონაწილის სიცოცხლის ვადით, მაშინ ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა ექვსთვიანი ვადის დაცვით.

[2] თუმცა, ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად და არა შეუსაბამო დროს, ხოლო თუ დაგეგმილია ყოველწლიური ანგარიშების გაკეთება, – მხოლოდ სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ.

[3] თუ იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადითაც იყო დაფუძნებული ამხანაგობა, ამ უკანასკნელის არსებობა უსიტყვოდ გაგრძელდება, მაშინ ის ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით განახლებულად.

მუხლი 547

[1] თუ ამხანაგობა უქმდება სხვაგვარად, ვიდრე ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების წარდგენის შემთხვევისა, მაშინ მიიჩნევა, რომ მონაწილე მაინც ინარჩუნებს მის მიერ ამხანაგობის მართვის უფლებამოსილებას მანამდე, სანამ

ის არ შეიტყობს გაუქმების შესახებ ანდა – მანამდე, სანამ მას არ უნდა შეეტყო ამის შესახებ ჯეროვანი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაში.

[2] თუ ამხანაგობა უქმდება მონაწილის გარდაცვალებით, მაშინ გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრემ გარდაცვალების ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სხვა მონაწილეებს და კეთილსინდისიერად გააგრძელოს მისი მამკვიდრებლის მიერ შესასრულებელი მოქმედებები მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული სხვა სამზრუნველო ღონისძიებები.

[3] სხვა მონაწილეებმა ასევე დროებით უნდა გააგრძელონ საქმეების წარმოება.

მუხლი 548

[1] ამხანაგობის ქონების გაყოფისას, რასაც ადგილი აქვს მონაწილეთა შორის ამხანაგობის გაუქმების შემდეგ, ამხანაგობის საკუთრებაში მონაწილის მიერ გადაცემული ნივთები თავისთავად არ ექვემდებარება ამ უკანასკნელისათვის უკან დაბრუნებას.

[2] თუმცა, აღნიშნულ მონაწილეს აქვს მოთხოვნის უფლება იმ ღირებულებაზე, რომლის სანაცვლოდაც იქნა მიღებული ამხანაგობის საკუთრებაში გადაცემული ნივთები.

[3] თუ ასეთი ღირებულება დადგენილი არ არის, მაშინ მისი მოთხოვნის უფლება განისაზღვრება იმ ღირებულებით, რაც ნივთებს ჰქონდა შენატანის განხორციელების მომენტში.

მუხლი 549

[1] თუ საერთო ვალების დაფარვის, ცალკეული მონაწილის მიერ გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებისა და ქონებრივი შენატანების უკან დაბრუნების შემდეგ რჩება ზედმეტობა, მაშინ ის მოგების სახით უნდა განაწილდეს მონაწილეებს შორის.

[2] თუ ვალების დაფარვისა და ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების შემდეგ დარჩენილი საერთო ქონება არ არის საკმარისი განხორციელებული ქონებრივი შენატანების უკან დაბრუნებისათვის, მაშინ დანაკლისის ზარალის სახით კომპენსაცია ეკისრებათ ამხანაგობის მონაწილეებს.

მუხლი 550

[1] ამხანაგობის გაუქმების შემდეგ ამხანაგობის ქონების გაყოფა უნდა განხორციელდეს ერთობლივად ყველა მონაწილის მიერ იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამხანაგობის მართავაში.

[2] თუმცა, როდესაც ამხანაგობის ხელშეკრულება ეხებოდა მხოლოდ განსაზღვრულ ცალკეულ გარიგებებს, რომლებიც უნდა დადებულიყო მონაწილის მიერ თავისი სახელით, მაგრამ ამხანაგობის სასარგებლოდ, მაშინ მან ამ გარიგებების შესრულება ამხანაგობის გაუქმების შემდეგაც დამოუკიდებლად უნდა გააგრძელოს და დანარჩენ მონაწილეებს მათ შესახებ წარუდგინოს ანგარიში.

მუხლი 551

ამხანაგობის გაუქმებით მესამე პირების მიმართ არსებული ვალდებულებები არ იცვლება.

მესამე განყოფილება: სავაჭრო საზოგადოებები და კოოპერატივები

ოცდამეოთხე ტიტული: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (Kollektivgesellschaft)

პირველი თავი: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება და მისი დაფუძნება

მუხლი 552

[1] სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებას, რომელშიც ორი ან მეტი ფიზიკური პირი საზოგადოების კრედიტორების წინაშე თავისი პასუხისმგებლობის შეზღუდვის გარეშე საერთო საფირმო სახელწოდების ქვეშ ერთიანდება სავაჭრო, საწარმოო ან სხვაგვარი კომერციული მიზნით საქმის წარმართვის მიზნით.

[2] პარტნიორებმა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეგისტრაციაში უნდა გაატარონ სამეწარმეო რეესტრში.

მუხლი 553

თუ აღნიშნული სახის საზოგადოება არ ეწევა კომერციულ საქმიანობას, მაშინ ის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით არსებობს მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 554

საზოგადოება ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 555

წარმომადგენლობის საკითხთან დაკავშირებით სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციაში შეიძლება გატარდეს მხოლოდ ისეთი დადგენილებები, რომლებიც ითვალისწინებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებას ერთი პარტნიორისათვის ან კონკრეტული პარტნიორებისათვის ანდა – ადგენს საზოგადოების წარმომადგენლობას ერთობლივად სხვა პარტნიორებთან ან პროკურისტებთან ერთად.

მუხლი 556

[1] რეგისტრაციაში გასატარებელი ფაქტებისა თუ მათი ცვლილების შესახებ განცხადება ყველა პარტნიორის მიერ სამეწარმეო რეესტრის სამსახურის წინაშე პირადად უნდა იქნეს ხელმოწერილი ან წარდგენილი იქნეს წერილობითი ფორმით სათანადოდ დამოწმებული ხელმოწერებით.

[2] საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პარტნიორებმა საზოგადოების საფირმო სახელწოდება და თავიანთი ხელმოწერის ნიმუშები პი-

რადად უნდა აღნიშნონ სამეწარმეო რეესტრის სამსახურის წინაშე ან წარადგინონ ისინი ოფიციალურად დამოწმებული ფორმით.

მეორე თავი: ურთიერთობა პარტნიორთა შორის

მუხლი 557

[1] ერთმანეთს შორის პარტნიორთა სამართლებრივი ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება საზოგადოების ხელშეკრულებით.

[2] რამდენადაც მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, გამოიყენება სამოქალაქო ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმები იმ განსხვავებებით, რომლებიც ქვემოთ მოცემული დანაწესებიდან გამომდინარეობს.

მუხლი 558

[1] ყოველი სამეურნეო წლისათვის მოგება ან ზარალი და თითოეული პარტნიორის წილი გამოითვლება წლიური ანგარიშის საფუძველზე.

[2] კაპიტალში ყოველი პარტნიორის წილს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეიძლება დაემატოს პროცენტი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოცემული სამეურნეო წლისათვის დამდგარი ზარალის შედეგად კაპიტალში წილი შემცირებულია. ხელშეკრულებაში პირდაპირი შეთანხმების არარსებობისას საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4 პროცენტს.

[3] მოგებისა და ზარალის დადგენისას პარტნიორის მიერ გაწეული შრომისათვის ხელშეკრულებით დადგენილი საზღაური განიხილება როგორც საზოგადოების ვალი.

მუხლი 559

[1] ყოველ პარტნიორს აქვს უფლება, საზოგადოების სახსრებიდან წინა სამეურნეო წლისათვის მიიღოს მოგება, პროცენტები და საზღაური.

[2] რამდენადაც ამას ითვალისწინებს ხელშეკრულება, პროცენტები და საზღაური შეიძლება მიღებულ იქნეს უკვე სამეურნეო წლის განმავლობაში, ხოლო მოგება კი, პირიქით, – მხოლოდ საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ.

[3] ნებისმიერი მოგება, პროცენტები და საზღაური, რომლებსაც პარტნიორი არ იღებს, საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ ემატება კაპიტალში მის წილს იმ პირობით, რომ სხვა პარტნიორები ამას არ აპროტესტებენ.

მუხლი 560

[1] თუ კაპიტალში პარტნიორის წილი ზარალის შედეგად შემცირდა, მაშინ ეს პარტნიორი ინარჩუნებს თავის მოთხოვნის უფლებას საზღაურსა და შემცირებულ კაპიტალში წილიდან გამომდინარე პროცენტზე; ამასთან, მოგების წილის კვლავ მიღების უფლება მას აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განხორციელდება ზარალის შედეგად წარმოშობილი კაპიტალის შემცირების კომპენსირება.

[2] პარტნიორებს არ ევალებათ როგორც ხელშეკრულებაში გათვალისწინებულზე მეტი ოდენობით შენატანების განხორციელება, ისე ზარალის შედეგად შემცირებული შენატანების შევსება.

მუხლი 561

დანარჩენი პარტნიორების თანხმობის გარეშე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორს არ შეუძლია საზოგადოების ბიზნესსაქმიანობის სფეროში გარიგებების დადება არც საკუთარი და არც მესამე პირის სახელით, ასევე – სხვა საწარმოში მონაწილეობა შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორის, კომანდიტის ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წევრის სახით.

მესამე თავი: ურთიერთობა საზოგადოებასა და მესამე პირებს შორის

მუხლი 562

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას თავისი საფირმო სახელწოდებით შეუძლია უფლებების შეძენა და ვალდებულებების კისრება, სასამართლოში სარჩელის წარდგენა და მოპასუხედ გამოსვლა.

მუხლი 563

თუ სამეწარმეო რეესტრი არ შეიცავს საწინააღმდეგო სარეგისტრაციო ჩანაწერებს, მაშინ კეთილსინდისიერ მესამე პირს თავისუფლად შეუძლია ივარაუდოს, რომ საზოგადოების წარმომადგენლობაზე ნებისმიერი ცალკეული პარტნიორი არის უფლებამოსილი.

მუხლი 564

[1] საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პარტნიორებს უფლება აქვთ, საზოგადოების სახელით განახორციელონ ყველა ის იურიდიული მოქმედება, რომელიც შეიძლება ემსახურებოდეს საზოგადოების მიზნის მიღწევას.

[2] წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოცულობის შეზღუდვას კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ სამართლებრივი ძალა არა აქვს.

მუხლი 565

[1] წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება პარტნიორს ჩამოერთვას მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე.

[2] თუ პარტნიორი ამტკიცებს ასეთი საფუძვლების არსებობას, მაშინ ამ პარტნიორის განცხადების საფუძველზე – როდესაც არსებობს დაგვიანების საფრთხე – სასამართლოს შეუძლია დროებით ჩამოართვას შესაბამის პარტნიორს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. აღნიშნული სასამართლოეული განკარგულება ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

მუხლი 566

პროკურა, ისევე როგორც მთლიანი წარმოების მართვის სავაჭრო მინდობილობა შეიძლება გაიცეს მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე ყველა პარტნიორის თანხმობით, თუმცა, ამევე დროს, – ეს დოკუმენტები შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერი აღნიშნული პარტნიორის მიერ მესამე პირების მიმართ სამართლებრივი შედეგით.

მუხლი 567

[1] სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება უფლებასილი და ვალდებული ხდება იმ გარიგებებით, რომლებსაც წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პარტნიორი საზოგადოების სახელით დებს.

[2] აღნიშნული სამართლებრივი შედეგი დგება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედების განზრახვა არსებული გარემოებებიდან გამომდინარეობს.

[3] საზოგადოება პასუხს აგებს იმ დელიქტებიდან გამომდინარე ზიანისათვის, რომლებსაც პარტნიორი სჩადის მასზე დაკისრებული მართვის ფუნქციების განხორციელების დროს.

მუხლი 568

[1] პარტნიორები საზოგადოების ყველა ვალდებულებისათვის სოლიდარულად აგებენ პასუხს მთელი თავიანთი ქონებით.

[2] საზოგადოების პარტნიორებს შორის საწინააღმდეგო შეთანხმებას მესამე პირების მიმართ სამართლებრივი ძალა არა აქვს.

[3] თუმცა, ცალკეულ პარტნიორს, თუნდაც საზოგადოებიდან მისი გასვლის შემდეგ, შეიძლება დაეკისროს პირადი პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მის ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება ან როდესაც საზოგადოება გაუქმდა ან იძულებითი აღსრულების ღონისძიებები უშედეგოდ განხორციელდა. აღნიშნული წესი არ მოქმედებს საზოგადოების სასარგებლოდ ნაკისრი სოლიდარული თავდებობიდან გამომდინარე პარტნიორის პასუხისმგებლობის მიმართ.

მუხლი 569

[1] პირი, რომელიც შემოდის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სხვა პარტნიორებთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით, მათ შორის, – იმ ვალდებულებებისათვისაც, რომლებიც წარმოიშვა საზოგადოებაში მის შესვლამდე.

[2] საზოგადოების პარტნიორებს შორის საწინააღმდეგო შეთანხმებას მესამე პირების მიმართ სამართლებრივი ძალა არა აქვს.

მუხლი 570

[1] საზოგადოების კრედიტორებს აქვთ უფლება, საზოგადოების ქონებიდან თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება მიიღონ ცალკეული პარტნიორების პირადი კრედიტორების (Privatgläubiger) გამორიცხვით.

[2] პარტნიორებს არ შეუძლიათ კაპიტალში თავიანთი შენატანებისა და დარი-

ცხული პროცენტებისათვის გაკოტრების კრედიტორის სახით მონაწილეობის მიღება, თუმცა მათ შეუძლიათ მოითხოვონ უკვე ვადამოსული პროცენტები, ისევე როგორც – საზღაურისა თუ საზოგადოების ინტერესებში გაწეული ხარჯების საკომპენსაციო თანხების გადახდა.

მუხლი 571

[1] საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა შედეგად არ იწვევს ცალკეული პარტნიორების გაკოტრებას.

[2] ანალოგიურად, პარტნიორის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა არ იწვევს საზოგადოების გაკოტრებასაც.

[3] გაკოტრების საქმის წარმოებაში ცალკეული პარტნიორების უფლებები განისაზღვრება ვალების ამოღებისა და გაკოტრების შესახებ 1889 წლის 11 აპრილის კანონის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 572

[1] პარტნიორების პირად კრედიტორებს არა აქვთ უფლება, გამოიყენონ საზოგადოების ქონება თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა თუ უზრუნველყოფის წარდგენისათვის.

[2] იძულებითი აღსრულების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც მოვალეს საზოგადოებასთან სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ეკუთვნის პროცენტების, საზღაურის, მოგებისა და საზოგადოების ქონების ლიკვიდაციიდან მისაღები წილის სახით.

მუხლი 573

[1] მოვალეს არ შეუძლია საზოგადოების წინააღმდეგ მოთხოვნასთან იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომელიც მას ცალკეული პარტნიორების მიმართ ეკუთვნის.

[2] ანალოგიურად, პარტნიორს არ შეუძლია თავისი კრედიტორის მოთხოვნასთან საზოგადოების მოთხოვნის გაქვითვა.

[3] თუმცაღა, თუ საზოგადოების კრედიტორი ერთდროულად წარმოადგენს პარტნიორის პირად მოვალეს, მაშინ ორივე მოთხოვნის გაქვითვა დასაშვებია როგორც საზოგადოების კრედიტორის, ისე – პარტნიორის სასარგებლოდაც იმ პირობით, რომ პარტნიორს შეიძლება დაეკისროს პირადი პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებისათვის.

მეოთხე თავი: საზოგადოების გაუქმება და პარტნორის საზოგადოებიდან გასვლა

მუხლი 574

[1] სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება უქმდება მის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნით. დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით მოქმედებს სამოქალაქო ამხანაგობის გაუქმების მომწესრიგებელი ნორმები, რამდენადაც წინამდებარე ტიტულის დანაწესებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

[2] გარდა გაკოტრების შემთხვევისა, პარტნიორებმა საზოგადოების გაუქმების შესახებ უნდა შეატყობინონ სამეწარმეო რეესტრის სამსახურს.

[3] თუ წარდგენილია სარჩელი საზოგადოების გაუქმების მოთხოვნით, მაშინ სასამართლოს მხარის განცხადების საფუძველზე შეუძლია გამაფრთხილებელი ზომების მიღება.

მუხლი 575

[1] თუ პარტნიორის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება, მაშინ გაკოტრების მმართველს, სულ ცოტა, შესაბამისი განცხადების წარდგენის ექვსთვიანი ვადის დაცვით შეუძლია მოითხოვოს საზოგადოების გაუქმება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს უკანასკნელი განსაზღვრული ვადით იყო დაფუძნებული.

[2] იგივე უფლება აქვს პარტნიორის იმ კრედიტორსაც, რომელმაც მოახდინა ამ პარტნიორის მიერ საზოგადოების ქონების ლიკვიდაციიდან მისაღები წილის დაყადაღება.

[3] თუმცა, მანამდე, სანამ საზოგადოების გაუქმება რეგისტრაციაში არ გატარდება სამეწარმეო რეესტრში, საზოგადოებას ან დანარჩენ პარტნიორებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ აღნიშნული განცხადების წარდგენის სამართლებრივი შედეგი გაკოტრების მასისა თუ თავისი მოთხოვნის განმახორციელებელი კრედიტორის დაკმაყოფილებით.

მუხლი 576

თუ საზოგადოების გაუქმებამდე პარტნიორები შეთანხმდებიან, რომ მიუხედავად ერთი ან რამდენიმე პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლისა, საზოგადოებამ უნდა გააგრძელოს არსებობა დანარჩენი პარტნიორების მიერ, მაშინ ის წყვეტს არსებობას მხოლოდ საზოგადოებიდან გასული პარტნიორებისათვის; დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოება აგრძელებს არსებობას ყველა თავდაპირველი უფლებითა და ვალდებულებით.

მუხლი 577

როდესაც საზოგადოების გაუქმება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე და ასეთი საფუძვლები კი ძირითადად დაკავშირებულია ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პიროვნებასთან, მაშინ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს აღნიშნული პარტნიორის ან პარტნიორების საზოგადოებიდან გარიცხვა და ამ უკანასკნელში მათი წილების კომპენსაცია, რამდენადაც ყველა სხვა პარტნიორი ამას ითხოვს.

მუხლი 578

თუ პარტნიორის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება ან თუ მისი კრედიტორი, რომელმაც მოახდინა საზოგადოების ქონების ლიკვიდაციიდან პარტნიორის მიერ მისაღები წილის დაყადაღება, ითხოვს საზოგადოების გაუქმებას, მაშინ დანარჩენ პარტნიორებს შეუძლიათ მისი საზოგადოებიდან გარიცხვა და ამ უკანასკნელში მისი წილის კომპენსაცია.

მუხლი 579

[1] თუ სახეზეა მხოლოდ ორი პარტნიორი, მაშინ იმ პარტნიორს, რომელმაც არ მისცა მეორე პარტნიორს საზოგადოების გაუქმების საბაბი, იგივე წინაპირობების არსებობისას შეუძლია საზოგადოების საქმიანობის გაგრძელება და მეორე პარტნიორისათვის საზოგადოებაში კუთვნილი წილის კომპენსაცია.

[2] ანალოგიური განკარგულების მიღება შეუძლია სასამართლოსაც, როდესაც საზოგადოების გაუქმება მოთხოვნილ იქნა ძირითადად პარტნიორის პიროვნებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე.

მუხლი 580

[1] საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორის მიერ მისაღები საკომპენსაციო თანხის ოდენობა განისაზღვრება შეთანხმებით.

[2] თუ საზოგადოების ხელშეკრულება აღნიშნულ საკითხზე არ ითვალისწინებს რაიმე დანაწესს, ხოლო მონაწილეები კი ვერ აღწევენ შეთანხმებას, მაშინ სასამართლო საკომპენსაციო თანხის ოდენობას ადგენს პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის მომენტში არსებული საზოგადოების ქონებრივი მდგომარეობისა და გამსვლელი პარტნიორის მხრიდან შესაძლო ბრალეული ქმედების გათვალისწინებით.

მუხლი 581

პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლა, ისევე როგორც – ერთ-ერთი პარტნიორის მიერ საზოგადოების საქმიანობის გაგრძელება ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

მეხუთე თავი: ლიკვიდაცია

მუხლი 582

რამდენადაც პარტნიორთა შორის შეთანხმებული არ არის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების გაყოფის სხვა წესი ან საზოგადოების ქონებაზე არ იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება, საზოგადოების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ქვემოთ მოცემული წესების მიხედვით.

მუხლი 583

[1] ლიკვიდაცია ხორციელდება წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პარტნიორების მიერ, რამდენადაც არ არსებობს მათ პიროვნებასთან დაკავშირებული რაიმე წინააღმდეგობა და პარტნიორები ასევე არ თანხმდებიან სხვა ლიკვიდატორების დანიშვნაზე.

[2] რამდენადაც სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძვლები, პარტნიორის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიწვიოს არსებული ლიკვიდატორები და დანიშნოს სხვები.

[3] ლიკვიდატორები რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ სამეწარმეო რეესტრში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამით საზოგადოების თავდაპირველი წარმომადგენლობის წესი არ შეიცვლება.

მუხლი 584

პარტნიორთა მემკვიდრეებმა საზოგადოების ლიკვიდაციის განხორციელების მიზნით უნდა დანიშნონ საერთო წარმომადგენელი.

მუხლი 585

[1] ლიკვიდატორებმა უნდა დაასრულონ მიმდინარე საქმეები, შეასრულონ გაუქმებული საზოგადოების ვალდებულებები, მოახდინონ მისი მოთხოვნების რეალიზაცია, ხოლო საზოგადოების ქონება კი გადააქციონ ფულად თანხებად, რამდენადაც ეს მოითხოვება ქონების გაყოფისათვის.

[2] ლიკვიდატორებმა უნდა წარმოადგინონ საზოგადოება ლიკვიდაციის მიზნით განსახორციელებელ გარიგებებში; მათ შეუძლიათ ასევე წარმართონ სასამართლო საქმეები, დადონ მორიგების აქტები და საარბიტრაჟო შეთანხმებები, ხოლო რამდენადაც ეს ლიკვიდაციის მიზნის მიზღწევისათვის მოითხოვება, – ასევე დადონ ახალი გარიგებებიც.

[3] თუ პარტნიორი წარადგენს პროტესტს ლიკვიდატორების მიერ საზოგადოების ქონების საერთო შესასყიდ ფასად გაყიდვის წინააღმდეგ, ასეთ გაყიდვაზე უარისა თუ მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმის წინააღმდეგ, მაშინ პროტესტის წარმდგენი პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

[4] საზოგადოება პასუხს აგებს იმ დელიქტებიდან გამომდინარე ზიანისათვის, რომლებსაც ლიკვიდატორი სჩადის მასზე დაკისრებული მართვის ფუნქციების განხორციელების დროს.

მუხლი 586

[1] ფულადი სახსრები და აქტივები, რომლებიც ზედმეტია ლიკვიდაციის პროცესში, წინასწარ განაწილდება პარტნიორებს შორის საზოგადოების ქონების ლიკვიდაციიდან პარტნიორის მიერ მისაღები საბოლოო წილის ანგარიშში.

[2] სადავო ან ჯერ კიდევ ვადამოუსვლელი ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელი ფულადი სახსრები ექვემდებარება რეზერვირებას.

მუხლი 587

[1] ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე ლიკვიდატორებმა უნდა შეადგინონ საზოგადოების ბალანსი.

[2] როდესაც ლიკვიდაციის პროცესი უფრო მეტ ხანს გრძელდება, ლიკვიდატორებმა უნდა შეადგინონ ყოველწლიური შუალედური ბალანსები.

მუხლი 588

[1] ვალების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენება, უპირველეს ყოვლისა, პარტნიორების მიერ განხორციელებული შენატანების დაბრუნებისა და, ამის შემდგომ კი, – ლიკვიდაციის ვადის განმავლობაში დარიცხული პროცენტების ანაზღაურებისათვის.

[2] ზედმეტობა ექვემდებარება პარტნიორებს შორის განაწილებას მოგების განაწილების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 589

ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ ლიკვიდატორებმა უნდა უზრუნველყონ სამეწარმეო რეესტრში საზოგადოების საფირმო სახელწოდების ამოშლა.

მუხლი 590

[1] გაუქმებული საზოგადოების საბუღალტრო წიგნები და დოკუმენტები ინახება სამეწარმეო რეესტრიდან საფირმო სახელწოდების ამოშლიდან ათი წლის განმავლობაში ერთ-ერთი პარტნიორის ან, როდესაც პარტნიორები ვერ თანხმდებიან, – სამეწარმეო რეესტრის სამსახურის მიერ მითითებულ ადგილზე.

[2] პარტნიორები და მათი მემკვიდრეები ინარჩუნებენ უფლებას, გაეცნონ საზოგადოების საბუღალტრო წიგნებსა და დოკუმენტებს.

მეექვსე თავი: ხანდაზმულობა

მუხლი 591

[1] საზოგადოების ვალებისათვის პარტნიორის მიმართ საზოგადოების კრედიტორების მოთხოვნები ხანდაზმულია პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის ან საზოგადოების გაუქმების შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში გამოქვეყნებიდან ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ, რამდენადაც მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების გამო არ მოქმედებს ხანდაზმულობის უფრო მცირე ვადა.

[2] თუ მოთხოვნის შესრულების ვადა დგება მხოლოდ ზემოაღნიშნული გამოქვეყნების შემდეგ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან.

[3] ერთმანეთს შორის პარტნიორთა მოთხოვნების მიმართ აღნიშნული ხანდაზმულობის წესები არ გამოიყენება.

მუხლი 592

[1] დაუშვებელია ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენება იმ კრედიტორის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მხოლოდ საზოგადოების გაუნაწილებელი ქონებიდან.

[2] თუ პარტნიორი საწარმოს იძენს თავისი აქტივებითა და პასივებით, მაშინ ის ხუთწლიან ხანდაზმულობის ვადას კრედიტორს ვერ დაუპირისპირებს. თუმცა, საზოგადოებიდან გასული პარტნიორის მიმართ ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადის ნაცვლად მოქმედებს ორწლიანი ვადა ვალის გადაკისრების მიმართ მოქმედი პრინციპების შესაბამისად; ანალოგიურად, იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი საწარმოს იძენს თავისი აქტივებითა და პასივებით.

მუხლი 593

არსებული საზოგადოების ან სხვა პარტნიორის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა არ წყვეტს საზოგადოებიდან გასული პარტნიორის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენას.

ოცდამეხუთე ტიტული: კომანდიტური საზოგადოება

პირველი თავი: კომანდიტური საზოგადოების ცნება და მისი დაფუძნება

მუხლი 594

[1] კომანდიტური საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებას, რომელშიც ორი ან მეტი პირი საერთო საფირმო სახელწოდების ქვეშ ერთიანდება სავაჭრო, საწარმოო ან სხვაგვარი კომერციული მიზნით საქმის წარმართვისათვის იმგვარად, რომ, სულ ცოტა, ერთი პარტნიორი შეუზღუდავად აგებს პასუხს, ხოლო ერთი ან მეტი პარტნიორი კი, როგორც კომანდიტი, პასუხისმგებელია მხოლოდ განსაზღვრული ქონებრივი შენატანის – კომანდიტის მიერ შეტანილი თანხის ოდენობით.

[2] შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, თუმცა კომანდიტები კი – ასევე იურიდიული პირებიცა და სავაჭრო საზოგადოებები.

[3] პარტნიორებმა კომანდიტური საზოგადოება რეგისტრაციაში უნდა გაატარონ სამეწარმეო რეესტრში.

მუხლი 595

თუ აღნიშნული სახის საზოგადოება არ ეწევა კომერციულ საქმიანობას, მაშინ ის კომანდიტური საზოგადოების სახით არსებობს მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 596

[1] საზოგადოება ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

[2] ... (გაუქმებულია)

[3] თუ კომანდიტის მიერ თანხის შეტანა არ ხდება ნაღდი ფულის სახით ან ასეთი შეტანა ხდება მხოლოდ ნაწილობრივ, მაშინ ქონებრივი შენატანი და მისი კონკრეტული ღირებულება პირდაპირ უნდა მიეთითოს სარეგისტრაციო განცხადებაში და გატარდეს რეგისტრაციაში სამეწარმეო რეესტრში.

მუხლი 597

[1] რეგისტრაციაში გასატარებელი ფაქტებისა თუ მათი ცვლილების შესახებ განცხადება ყველა პარტნიორის მიერ სამეწარმეო რეესტრის სამსახურის წინაშე პირადად უნდა იქნეს ხელმოწერილი ან წარდგენილი იქნეს წერილობითი ფორმით სათანადოდ დამოწმებული ხელმოწერებით.

[2] საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა შეუზღუდავად პასუხისმგებელმა პარტნიორებმა საზოგადოების საფირმო სახელწოდება და თავიანთი ხელმოწერის ნიმუშები პირადად უნდა აღნიშნონ სამეწარმეო რეესტრის სამსახურის წინაშე ან წარადგინონ ისინი ოფიციალურად დამოწმებული ფორმით.

მეორე თავი: ურთიერთობა პარტნიორთა შორის

მუხლი 598

[1] ერთმანეთს შორის პარტნიორთა სამართლებრივი ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება საზოგადოების ხელშეკრულებით.

[2] რამდენადაც მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები იმ განსხვავებებით, რომლებიც ქვემოთ მოცემული დანაწესებიდან გამომდინარეობს.

მუხლი 599

კომანდიტური საზოგადოების მართვა ხორციელდება შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორის ან პარტნიორების მიერ.

მუხლი 600

[1] კომანდიტი, როგორც ასეთი, საზოგადოების საქმეთა მართვაზე არც უფლებამოსილია და არც ვალდებული.

[2] კომანდიტი არ არის უფლებამოსილი ასევე საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული მოქმედების განხორციელების წინააღმდეგ პროტესტის წარდგენაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს მოქმედება მიეკუთვნება საზოგადოების ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას.

[3] კომანდიტი უფლებამოსილია, მოითხოვოს მოგება-ზარალის უწყისის ასლი და ბალანსი და ასევე შეამოწმოს მისი სისწორე საზოგადოების ბუღალტერიისა და პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების პირადად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით გაცნობით; სადავო შემთხვევაში სასამართლოს მიერ ინიშნება ექსპერტი.

მუხლი 601

[1] კომანდიტის მონაწილეობა საზოგადოების ზარალში შემოიფარგლება მის მიერ შეტანილი თანხით.

[2] თუ სახეზე არ არის შეთანხმებები მოგებასა და ზარალში კომანდიტის მონაწილეობის შესახებ, მაშინ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო თავისი შეხედულებით.

[3] თუ კომანდიტის მიერ შესატანი თანხა სრულად არ არის გადახდილი ან თუ ის გადახდის განხორციელების შემდეგ შემცირდა, მაშინ კომანდიტს შეუძლია კუთვნილი პროცენტის, მოგებისა და პოტენციური საზღაურის მიღება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კომანდიტის მიერ შესატანი თანხა კვლავ მიაღწევს სრულ ოდენობას.

მესამე თავი: ურთიერთობა საზოგადოებასა და მესამე პირებს შორის

მუხლი 602

კომანდიტურ საზოგადოებას თავისი საფირმო სახელწოდებით შეუძლია უფლებების შეძენა და ვალდებულებების კისრება, სასამართლოში სარჩელის წარდგენა და მოპასუხედ გამოსვლა.

მუხლი 603

კომანდიტური საზოგადოების წარმომადგენლობა ხორციელდება შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორის ან პარტნიორების მიერ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 604

შეუზღუდავად პასუხისმგებელ პარტნიორს შეიძლება დაეკისროს პირადი პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება გაუქმდა ან იძულებითი აღსრულების ღონისძიებები უშედეგოდ განხორციელდა.

მუხლი 605

თუ კომანდიტი დებს გარიგებებს საზოგადოების სასარგებლოდ ისე, რომ პირდაპირ არ აცხადებს, რომ ის მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ როგორც პროკურისტი ან რწმუნებული, მაშინ ამ გარიგებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის ის პასუხს აგებს კეთილსინდისიერი მესამე პირების წინაშე შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორის მსგავსად.

მუხლი 606

თუ საზოგადოება ბიზნესსაქმიანობას განახორციელებს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე, მაშინ კომანდიტი რეგისტრაციის მომენტისათვის წარმოშობილი ვალდებულებებისათვის მესამე პირების წინაშე პასუხს აგებს შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორის მსგავსად, თუ ის ვერ ამტკიცებს, რომ მესამე პირებისათვის ცნობილი იყო მისი პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ.

მუხლი 607 (გაუქმებულია)

მუხლი 608

[1] კომანდიტი პასუხს აგებს მესამე პირების წინაშე სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული კომანდიტის მიერ შეტანილი თანხის ოდენობით.

[2] თუ კომანდიტმა მესამე პირს თავად განუცხადა კომანდიტის მიერ უფრო მეტი თანხის შეტანის შესახებ ან თუ მესამე პირს აღნიშნული გააგებინა საზოგადოებამ ისე, რომ ეს ფაქტი კომანდიტისთვის ცნობილი იყო, მაშინ ეს უკანასკნელი პასუხს აგებს უფრო მეტი თანხის ოდენობით.

[3] კრედიტორებს შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ ქონებრივი შენატანის განხო-

რციელების მომენტში მისი შეფასებითი ღირებულება არ შეესაბამებოდა მის ნამდვილ ღირებულებას.

მუხლი 609

[1] როდესაც სხვა პარტნიორებთან შეთანხმებით ან კაპიტალიდან შენატანების გატანის გზით (durch Bezüge) სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული ან სხვაგვარად გაცხადებული კომანდიტის მიერ შეტანილი თანხა მცირდება, მაშინ აღნიშნული ცვლილება მესამე პირების წინაშე ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის რეგისტრირებულ იქნა სამეწარმეო რეესტრში და გამოქვეყნდა.

[2] აღნიშნული გამოქვეყნების მომენტამდე წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კომანდიტი რჩება პასუხისმგებელი კომანდიტის მიერ შეტანილი შეუმცირებელი თანხის ოდენობით.

მუხლი 610

[1] საზოგადოების არსებობის ვადის განმავლობაში საზოგადოების კრედიტორებს არა აქვთ კომანდიტის მიმართ სარჩელის წარდგენის უფლება.

[2] თუ საზოგადოება უქმდება, მაშინ კრედიტორებს შეუძლიათ, ლიკვიდატორებს ან გაკოტრების მმართველს მოსთხოვონ კომანდიტის მიერ შეტანილი თანხის სალიკვიდაციო ან გაკოტრების მასაში შეტანა იმდენად, რამდენადაც ის ჯერ არ იქნა გადახდილი ან ის უკან დაუბრუნდა კომანდიტს.

მუხლი 611

[1] პროცენტისა და მოგების მიღების მოთხოვნის უფლება კომანდიტს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც – და იმ ფარგლებში, რომლებშიც – კომანდიტის მიერ შეტანილი თანხა პროცენტისა და მოგების თანხის გადახდის შედეგად არ მცირდება.

[2] კომანდიტი ვალდებულია, აანაზღაუროს უკანონოდ მიღებული პროცენტისა და მოგების თანხები. გამოიყენება 64-ე მუხლი.

მუხლი 612

[1] პირი, რომელიც შემოდის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ან კომანდიტის სახით – კომანდიტურ საზოგადოებაში, პასუხს აგებს კომანდიტის მიერ შეტანილი თანხის ფარგლებში, მათ შორის, – იმ ვალდებულებებისათვისაც, რომლებიც წარმოიშვა საზოგადოებაში მის შესვლამდე.

[2] საზოგადოების პარტნიორებს შორის საწინააღმდეგო შეთანხმებას მესამე პირების მიმართ სამართლებრივი ძალა არა აქვს.

მუხლი 613

[1] შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორის ან კომანდიტის პირად კრედიტორებს არა აქვთ უფლება, გამოიყენონ საზოგადოების ქონება თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა თუ უზრუნველყოფის წარდგენისათვის.

[2] იძულებითი აღსრულების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც მოვალეს საზოგადოებასთან სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე

ეკუთვნის პროცენტების, საზღაურის, მოგების, საზოგადოების ქონების ლიკვიდაციიდან მისაღები წილისა და ასევე პოტენციური საზღაურის სახით.

მუხლი 614

[1] თუ საზოგადოების კრედიტორი ერთდროულად წარმოადგენს კომანდიტის პირად მოვალეს, მაშინ კომანდიტის მოთხოვნის მიმართ გაქვითვა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომანდიტი პასუხს აგებს შეუზღუდავად.

[2] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით გაქვითვა რეგულირდება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმებით.

მუხლი 615

[1] საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა შედეგად არ იწვევს ცალკეული პარტნიორების გაკოტრებას.

[2] ანალოგიურად, პარტნიორის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა არ იწვევს საზოგადოების გაკოტრებასაც.

მუხლი 616

[1] საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოებისას მისი ქონება გამოიყენება საზოგადოების კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის ცალკეული პარტნიორების კრედიტორთა გამორიცხვით.

[2] გაკოტრების საქმის წარმოებაში კომანდიტი მოთხოვნის სახით ვერ განაცხადებს იმას, რაც მან საზოგადოების კაპიტალში შეიტანა კომანდიტის მიერ შეტანილი თანხის სახით.

მუხლი 617

როდესაც საზოგადოების ქონება მისი კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის საკმარისი არ არის, მაშინ ეს კრედიტორები უფლებამოსილი არიან, მათ პირად კრედიტორებთან კონკურენციაში მოახდინონ თავიანთი მოთხოვნების მთლიანი გადაუხდელი დარჩენილი ნაწილის დაკმაყოფილება ყოველი ცალკეული შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორის პირადი ქონებიდან.

მუხლი 618

კომანდიტის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოებისას არც საზოგადოების კრედიტორებსა და არც თავად საზოგადოებას არა აქვთ უპირატესი უფლება მის პირად კრედიტორთან შედარებით.

მეოთხე თავი: საზოგადოების გაუქმება, ლიკვიდაცია, ხანდაზმულობა

მუხლი 619

[1] კომანდიტური საზოგადოების გაუქმებისა და ლიკვიდაციის, ასევე – პარტ-

ნიორთა მიმართ არსებული მოთხოვნების ხანდაზმულობის მიმართ მოქმედებს იგივე დანაწესები, რაც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში.

[2] თუ კომანდიტის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება ან ხორციელდება მის მიერ საზოგადოების ქონების ლიკვიდაციიდან მისაღები წილის დაყადაღება, მაშინ შესაბამისად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები. თუმცა, კომანდიტის გარდაცვალება ან მის მიმართ საერთო მზრუნველობის დადგენა შედეგად არ იწვევს საზოგადოების გაუქმებას.

ოცდამეექვსე ტიტული: სააქციო საზოგადოება

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 620

[1] სააქციო საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებას საკუთარი საფირმო სახელწოდებით, რომლის წინასწარ განსაზღვრული კაპიტალი (სააქციო კაპიტალი) დაყოფილია ცალკეულ წილებად (აქციებად) და რომლის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ საზოგადოების ქონება.

[2] აქციონერებს ეკისრებათ მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და ისინი საზოგადოების ვალებისათვის პირადად პასუხს არ აგებენ.

[3] სააქციო საზოგადოება შეიძლება დაფუძნდეს ასევე არაკომერციული მიზნით საქმიანობისათვისაც.

მუხლი 621

სააქციო კაპიტალი უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, 100 000 ფრანკს.

მუხლი 622

[1] აქციები შეიძლება იყოს სახელობითი ან საწარმდგენლო. ელექტრონული ფასიანი ქაღალდების შესახებ 2008 წლის 3 ოქტომბრის კანონის გაგებით ელექტრონული ფასიანი ქაღალდის (Bucheffekten) სახით გამოშვებული აქციები ფორმდება როგორც სახელობითი, ისე საწარმდგენლო აქციების სახით.

[2] ორივე სახის აქციები შეიძლება არსებობდეს ერთდროულად წესდებით განსაზღვრული პროპორციით.

[3] წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სახელობითი აქციები მოგვიანებით გარდაიქმნას საწარმდგენლო აქციებად, ხოლო საწარმდგენლო აქციები კი – სახელობით აქციებად.

[4] აქციის ნომინალური ღირებულება უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, 1 სანტიმს.

[5] აქციის სერტიფიკატი ხელმოწერილ უნდა იქნეს, სულ ცოტა, დირექტორთა საბჭოს ერთი წევრის მიერ. საზოგადოებას შეუძლია განსაზღვროს, რომ დიდი

რაოდენობით გამოშვებულ აქციებსაც კი უნდა ახლდეს საკუთარი ხელით შესრულებული ხელმოწერა.

მუხლი 623

[1] საერთო კრება უფლებამოსილია, უცვლელად დარჩენილი სააქციო კაპიტალის შემთხვევაში წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით დაჰყოს აქციები ნაკლები ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად ან გააერთიანოს ისინი უფრო მეტი ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად.

[2] აქციების გაერთიანება საჭიროებს აქციონერის თანხმობას.

მუხლი 624

[1] აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს მხოლოდ მათი ნომინალური ღირებულებით ან ამ უკანასკნელზე უფრო მეტი ფასით. ეს წესი არ მოქმედებს ახალი აქციების გამოშვების მიმართ, რომლებიც ცვლის გაუქმებულ აქციებს.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 625

სააქციო საზოგადოება შეიძლება დაფუძნდეს ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის ანდა სხვა სავაჭრო საზოგადოებების მიერ.

მუხლი 626

წესდება უნდა შეიცავდეს შემდეგ დებულებებს:

1. საზოგადოების საფირმო სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს;
2. საზოგადოების მიზანს;
3. სააქციო კაპიტალისა და მასში განხორციელებული შენატანების ოდენობას;
4. აქციების რაოდენობას, ნომინალურ ღირებულებასა და სახეს;
5. საერთო კრების მოწვევის პროცედურასა და აქციონერთა ხმის უფლებას;
6. მართვისა და აუდიტის ორგანოებს;
7. საზოგადოების გარე ურთიერთობებში კომუნიკაციის ფორმას.

მუხლი 627

თავისი სავალდებულო ძალის შეძენისათვის შემდეგი დებულებები უნდა იქნეს შეტანილი წესდებაში:

1. წესდების ცვლილება, რამდენადაც ის განსხვავდება კანონისმიერი დანაწესებისაგან;
2. კორპორაციის უმაღლეს თანამდებობის პირებზე მოგების პროცენტის სახით დამატებითი გასამრჯელოების (Tantiemen) გადახდა;
3. საზოგადოების საქმიანობის დაწყებამდე აქციონერისათვის პროცენტების გადახდის (Bauzinsen) უზრუნველყოფა;
4. საზოგადოების ვადის შეზღუდვა;
5. პირგასამტეხლოს თანხა შენატანების დროული განუხორციელებლობის შემთხვევაში;
6. საზოგადოების კაპიტალის მოწონებული და პირობითი გაზრდა;

7. ... (გაუქმებულია)

8. სახელობითი აქციების გადაცემის შესაძლებლობის შეზღუდვა;

9. ცალკეული კლასების აქციათა პრივილეგიები, წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატები (Partizipationsscheine), აქციები ფიქსირებული დივიდენდებით (Genussscheine) და სპეციალური პრივილეგიების მინიჭება;

10. აქციონერების ხმის უფლებისა და ასევე წარმომადგენლების დანიშვნის უფლებამოსილების შეზღუდვა;

11. კანონით გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რომელთა დროსაც საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მხოლოდ კვალიფიციური უმრავლესობით;

12. საზოგადოების საქმეთა მართვის უფლებამოსილების დირექტორთა საბჭოს ცალკეული წევრისათვის ან მესამე პირისათვის დელეგირება;

13. გარე აუდიტორების საქმიანობის საორგანიზაციო მოწყობა და ამოცანები, რამდენადაც ამ შემთხვევაში ასეთი საორგანიზაციო მოწყობა და ამოცანები სცილდება კანონისმიერი ნორმებით გათვალისწინებულს;

14. განსაზღვრული ფორმით გამოშვებული აქციების სხვა ფორმაში გადატანა, ისევე როგორც – ამ დროს წარმოშობილი ხარჯების განაწილება, რამდენადაც აღნიშნული გვერდს უვლის ელექტრონული ფასიანი ქაღალდების შესახებ 2008 წლის 3 ოქტომბრის კანონით დადგენილ წესებს.

მუხლი 628

[1] თუ აქციონერი ახორციელებს ქონებრივ შენატანს, წესდებაში უნდა მიეთითოს შენატანის ობიექტი და მისი ღირებულება, ასევე – შენატანის განმახორციელებლის სახელი და მის მიერ მისაღები აქციები.

[2] თუ საზოგადოება აქციონერებისგან ან მისი ახლობლისაგან იღებს ქონებრივ ობიექტებს ანდა მას განზრახული აქვს საზოგადოების კაპიტალში ასეთი ქონებრივი შენატანის მიღება (Sachübernahmen), მაშინ წესდებაში უნდა მიეთითოს ობიექტი, გამსხვისებლის სახელი და საზოგადოების სამაგიერო შესრულება.

[3] თუ საზოგადოების დაფუძნებისას განსაკუთრებული პრივილეგიები იქნება შეთანხმებული დამფუძნებლების სასარგებლოდ, მაშინ ბენეფიციარების სახელები უნდა მიეთითოს წესდებაში, ხოლო ყოველი მინიჭებული პრივილეგია კი ზუსტად აღიწეროს თავისი შინაარსისა და ღირებულების მიხედვით.

[4] ათი წლის შემდეგ საერთო კრებას შეუძლია გააუქმოს წესდების ქონებრივი შენატანებისა თუ საზოგადოების კაპიტალში ქონებრივი შენატანის მიღების მომწესრიგებელი დებულებები. საზოგადოების კაპიტალში ქონებრივი შენატანის მიღების შესახებ დებულებები შეიძლება ასევე გაუქმდეს, თუ საზოგადოება საბოლოოდ უარს აცხადებს ქონებრივი შენატანის მიღებაზე.

მუხლი 629

[1] საზოგადოება დაფუძნებულად ითვლება იმ მომენტში, როდესაც დამფუძნებლები საჯარო აქტში განაცხადებენ სააციო საზოგადოების დაფუძნების შესახებ, მიიღებენ წესდებასა და დანიშნავენ მმართველ ორგანოებს.

[2] აღნიშნულ სადამფუძნებლო აქტში დამფუძნებლები ახდენენ აქციებზე ხელმოწერასა და აცხადებენ:

1. რომ ყველა აქცია სათანადოდ იქნა ხელმოწერილი;

2. რომ შეპირებული შენატანები შეესაბამება მთლიან საემისიო თანხას;

3. რომ შესრულებულია შენატანების განხორციელების კანონისმიერი და წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 630

თავისი ნამდვილობისათვის აქციებზე ხელმოწერა საჭიროებს:

1. აქციების რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, სახის, კლასისა და საემისიო თანხის მითითებას;

2. საემისიო თანხის ეკვივალენტური შენატანის განხორციელების უპირობო ვალდებულების კისრებას.

მუხლი 631

[1] დაფუძნების აქტში ნოტარიუსმა (Urkundsperson) ინდივიდუალურად უნდა დაასახელოს დაფუძნებისათვის გამოყენებული დოკუმენტები და დაადასტუროს, რომ ეს დოკუმენტები წარედგინა მასსა და დამფუძნებლებს.

[2] დაფუძნების აქტს უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

1. წესდება;

2. სადამფუძნებლო ანგარიში;

3. აუდიტორული დასკვნა;

4. ფულადი შეტანის დეპოზიტზე განთავსების დასტური;

5. ქონებრივი შენატანის შესახებ ხელშეკრულებები;

6. უკვე სახეზე არსებული ქონებრივი შენატანის მიღების შესახებ ხელშეკრულებები.

მუხლი 632

[1] საზოგადოების დაფუძნებისას გადახდილ უნდა იქნეს, სულ ცოტა, ყოველი აქციის ნომინალური ღირებულების 20 პროცენტი მაინც.

[2] ყველა შემთხვევაში განხორციელებული გადახდები უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, 50 000 ფრანკს.

მუხლი 633

[1] ფულადი შენატანები საზოგადოების ექსკლუზიური განკარგვისათვის უნდა განთავსდეს დეპოზიტზე ბანკების შესახებ 1934 წლის 8 ნოემბრის კანონით გათვალისწინებულ შესაბამის დაწესებულებაში.

[2] აღნიშნული დაწესებულება თანხას გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში.

მუხლი 633

ქონებრივი შენატანები აკმაყოფილებს მათთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

1. ისინი ხორციელდება წერილობითი ფორმით დადებული ან ოფიციალურად დამოწმებული ქონებრივი შენატანის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე;

2. საზოგადოებას მისი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ და-

უყოვნებლივ, როგორც მესაკუთრეს, შეუძლია ამ შენატანების განკარგვა ან ის იძენს საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის უპირობო მოთხოვნის უფლებას;

3. აუდიტორულ დასკვნასთან ერთად სახეზეა სადამფუძნებლო ანგარიში.

მუხლი 634a

[1] დირექტორთა საბჭო ადგენს იმ აქციებთან დაკავშირებით დამატებითი შენატანების განხორციელების მომწესრიგებელ წესებს, რომელთა თანხებიც სრულად არ არის დაფარული.

[2] აღნიშნული დამატებითი შენატანები შეიძლება განხორციელდეს ფულადი სახით, ქონებრივი შენატანისა თუ გაქვითვის გზით.

მუხლი 635

დამფუძნებლები წერილობით მოხსენებაში წარადგენენ ანგარიშს, რომელშიც უთითებენ:

1. ქონებრივი შენატანებისა თუ მიღებული ქონებრივი შენატანების სახესა და მდგომარეობას, ასევე – მათი ღირებულების შესაბამისობას;

2. ვალის არსებობასა და მისი გაქვითვის შესაძლებლობას;

3. დამფუძნებლებისა თუ სხვა პირების სასარგებლოდ სპეციალური პრივილეგიების მინიჭების დასაბუთებასა და შესაბამისობას.

მუხლი 635a

ლიცენზირებული აუდიტორი ამოწმებს სადამფუძნებლო ანგარიშსა და წერილობით ადასტურებს, რომ ეს უკანასკნელი სრული და ზუსტია.

მუხლები 636–639 (გაუქმებულია)

მუხლი 640

საზოგადოება ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 641

ფილიალები ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას იმ ადგილის მიხედვით, სადაც ისინი არის განთავსებული.

მუხლი 642

ქონებრივი შენატანების ობიექტები და მათ სანაცვლოდ გაცემული აქციები, საზოგადოების კაპიტალში ქონებრივი შენატანის მიღების ობიექტები და საზოგადოების სამაგიერო შესრულება, ისევე როგორც – სპეციალური პრივილეგიების შინაარსი და ღირებულება ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

მუხლი 643

[1] საზოგადოება პირის სტატუსს იძენს მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

[2] პირის სტატუსის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გზით შეძენა ხდება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც რეგისტრაციის წინაპირობები რეალურად სახეზე არ იყო.

[3] თუმცაღა, თუ საზოგადოების დაფუძნებისას ადგილი აქვს კანონისმიერი ან წესდებით გათვალისწინებული ნორმების უგულებელყოფას და ამით მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება კრედიტორებისა თუ აქციონერების ინტერესებს ანდა ირღვევა ეს ინტერესები, მაშინ სასამართლოს აღნიშნული კრედიტორებისა თუ აქციონერების მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების გაუქმების შესახებ.

[4] ზემოაღნიშნულ საკითხებზე სარჩელის უფლება უქმდება, თუ მისი წარდგენა არ ხდება შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 644

[1] საზოგადოების რეგისტრაციამდე გამოშვებული აქციები ბათილია; თუმცა, ეს არ ეხება აქციებზე ხელმოწერიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

[2] პირი, რომელიც საზოგადოების რეგისტრაციამდე გასცემს აქციებს, პასუხს აგებს ამის შედეგად დამდგარი ყოველგვარი ზარალისათვის.

მუხლი 645

[1] თუ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე პირები მოქმედებდნენ საზოგადოების სახელით, მაშინ ეს პირები პასუხს აგებენ პირადად და სოლიდარულად.

[2] თუ აღნიშნული ვალდებულებები აშკარად დასაფუძნებელი საზოგადოების სახელითა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციიდან სამთვიანი ვადის განმავლობაში იქნა ნაკისრი, მაშინ საზოგადოების სახელით მოქმედი პირები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან და ამ ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ საზოგადოება.

მუხლი 646 (გაუქმებულია)

მუხლი 647

წესდების ცვლილების შესახებ საერთო კრების ან დირექტორთა საბჭოს ყოველი გადაწყვეტილება ექვემდებარება ოფიციალურ დამოწმებასა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

მუხლები 648-649 (გაუქმებულია)

მუხლი 650

[1] სააქციო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრების მიერ; ეს გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭოს მიერ უნდა შესრულდეს სამი თვის განმავლობაში.

[2] საერთო კრების გადაწყვეტილება ექვემდებარება ოფიციალურ დამოწმებას და ის უნდა უთითებდეს შემდეგ მონაცემებს:

1. მთლიანი ნომინალური თანხა, რომლითაც უნდა გაიზარდოს სააქციო კაპიტალი, და ამ თანხის შესაბამისად განსახორციელებელი შენატანების ოდენობა;

2. აქციების რაოდენობა, ნომინალური ღირებულება და სახე, ისევე როგორც – აქციათა ცალკეულ კლასებთან დაკავშირებული პრივილეგიები;

3. საემისიო თანხა ან დირექტორთა საბჭოსათვის მისი დადგენის უფლებამოსილების მინიჭება, ისევე როგორც – დივიდენდის მიღების უფლების წარმოშობის თარიღი;

4. შენატანების სახე, ქონებრივი შენატანების შემთხვევაში კი, – მათი ობიექტი და ღირებულება, ისევე როგორც – ქონებრივი შენატანის განმახორციელებლის სახელი და მის მიერ მისაღები აქციები;

5. საზოგადოების კაპიტალში ქონებრივი შენატანის მიღების შემთხვევაში, – მისაღები ობიექტი, გამსხვისებლის სახელი და საზოგადოების სამაგიერო შესრულება;

6. სპეციალური პრივილეგიების შინაარსი და ღირებულება, ისევე როგორც – ბენეფიციარების სახელები;

7. ახალი სახელობითი აქციების გადაცემის შესაძლებლობის შეზღუდვა;

8. ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლების (Bezugsrecht) შეზღუდვა ან გაუქმება და აქციების შეძენის გამოუყენებელი ან ჩამორთმეული უპირატესი უფლების გადაცემა;

9. ახალი აქციების შეძენის სახელშეკრულებო უპირატესი უფლების გამოყენებისათვის დასაკმაყოფილებელი წინაპირობები.

[3] თუ საზოგადოების კაპიტალის ზრდა სამი თვის განმავლობაში რეგისტრაციაში არ ტარდება სამეწარმეო რეესტრში, მაშინ საერთო კრების გადაწყვეტილება ანულირდება.

მუხლი 651

[1] წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით საერთო კრებას შეუძლია დირექტორთა საბჭოს მიანიჭოს უფლებამოსილება, სააქციო კაპიტალი გაზარდოს მაქსიმუმ ორი წლის ვადაში.

[2] წესდებაში უნდა მიეთითოს ის ნომინალური თანხა, რომლითაც დირექტორთა საბჭოს შეუძლია სააქციო კაპიტალის გაზრდა. მოწონებული საზოგადოების კაპიტალი არ უნდა აღემატებოდეს თავდაპირველი სააქციო კაპიტალის ნახევარს.

[3] გარდა აღნიშნულისა, წესდება უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, რომლებიც მოითხოვება საზოგადოების კაპიტალის ჩვეულებრივი გაზრდისათვის, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებიც ეხება საემისიო თანხას, შენატანების სახეს, საზოგადოების კაპიტალში ქონებრივი შენატანის მიღებასა და დივიდენდის მიღების უფლებას.

[4] თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დირექტორთა საბჭოს შეუძლია განახორციელოს სააქციო კაპიტალის გაზრდა. ამ უფლებამოსილების განხორციელებისას დირექტორთა საბჭო ადგენს აუცილებელ დანაწესებს, რამდენადაც ასეთი დანაწესები უკვე არ არის მოცემული საერთო კრების გადაწყვეტილებაში.

[5] შენარჩუნებულია ბანკების შესახებ 1934 წლის 8 ნოემბრის კანონით გათვალისწინებული სარეზერვო კაპიტალის მომწესრიგებელი ნორმების მოქმედება.

მუხლი 651a

[1] სააქციო კაპიტალის ყოველი ზრდის შემდეგ დირექტორთა საბჭო წესდებაში შესაბამისად ამცირებს მოწონებული საზოგადოების კაპიტალის ნომინალურ თანხას.

[2] საზოგადოების კაპიტალის გაზრდისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოწონებული საზოგადოების კაპიტალის შესახებ დებულება დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით წესდებიდან ამოიშლება.

მუხლი 652

[1] აქციები ხელმოწერილ უნდა იქნეს სპეციალურ დოკუმენტში (ხელმოსაწერი ფორმა) საზოგადოების დაფუძნებისათვის მოქმედი წესების შესაბამისად.

[2] ხელმოსაწერი ფორმა უნდა უთითებდეს სააქციო კაპიტალის გაზრდის ან გაზრდის უფლებამოსილების შესახებ საერთო კრებისა და დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებებზე. თუ კანონი ითხოვს ემისიის პროსპექტს, მაშინ ხელმოსაწერი ფორმა ასევე უნდა უთითებდეს ამ უკანასკნელზე.

[3] თუ ხელმოსაწერი ფორმა არ უთითებს ვადებზე, მაშინ ის თავის მავალდებულებელ ძალას კარგავს ხელმოწერიდან სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 652a

[1] თუ ახალი აქციები საჯაროდ იქნება შეთავაზებული, მაშინ საზოგადოება ემისიის პროსპექტში უთითებს შემდეგ ინფორმაციას:

1. სამეწარმეო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერების შინაარსი, გარდა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების პირების შესახებ მონაცემებისა;

2. სააქციო კაპიტალის თავდაპირველი ოდენობა და შემადგენლობა აქციების რაოდენობის, ნომინალური ღირებულებისა და სახის, ისევე როგორც – აქციათა ცალკეულ კლასებთან დაკავშირებული პრივილეგიების მითითებით;

3. საზოგადოების კაპიტალის მოწონებული და პირობითი გაზრდის შესახებ წესდებისეული დებულებები;

4. ფიქსირებული დივიდენდებით აქციების რაოდენობა და მასთან დაკავშირებული უფლებების შინაარსი;

5. უკანასკნელი წლიური ანგარიში და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიშთან ერთად, ხოლო თუ ბალანსის შედგენის თარიღიდან გასულია ექვს თვეზე მეტი, – შუალედური ბალანსების შესახებ ანგარიშთან ერთად;

6. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ან საზოგადოების დაფუძნების შემდეგ გაცემული დივიდენდები;

7. ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილება.

[2] საჯაროდ მიიჩნევა ნებისმიერი მოწვევა აქციების ხელმოწერაზე, რომელიც არ არის მიმართული პირთა განსაზღვრული წრისადმი.

[3] იმ საზოგადოებების შემთხვევაში, რომლებსაც არა ჰყავს აუდიტორი, დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყოს ლიცენზირებული აუდიტორის მხრიდან აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიშის მომზადებისა და ემისიის პროსპექტის შემოწმების შედეგების შესახებ შესაბამისი ახსნა-განმარტების წარდგენა.

მუხლი 652b

[1] ყოველ აქციონერს აქვს მოთხოვნის უფლება ახალგამოშვებული აქციების იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება საზოგადოების კაპიტალში მის თავდაპირველ წილს.

[2] სააქციო კაპიტალის გაზრდის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილებით ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე. კერძოდ, მნიშვნელოვან საფუძვლებად ჩაითვლება საწარმოს, მისი ნაწილების ან საზოგადოების კაპიტალში წილების მიღება, ისევე როგორც – საზოგადოების კაპიტალში დასაქმებულების მონაწილეობა. დაუშვებელია ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლების გაუქმებით დაინტერესებული პირებისათვის არაობიექტურად უპირატესობის მინიჭება ან მათი ინტერესების ხელყოფა.

[3] როდესაც საზოგადოებამ აქციონერს მიანიჭა ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლება, მას შეუძლია ამ აქციონერს ასევე აუკრძალოს აღნიშნული უფლების რეალიზაცია წესდებაში გათვალისწინებული სახელობითი აქციების გადაცემის შეზღუდვის გზით.

მუხლი 652c

რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ადგენს, საზოგადოების კაპიტალში შენატანები უნდა განხორციელდეს საზოგადოების დაფუძნების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 652d

[1] სააქციო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს ასევე თავისუფლად გამოყენებადი საკუთარი კაპიტალის გარდაქმნითაც.

[2] გაზრდილი თანხის შევსებისათვის გამოყენებული სააქციო კაპიტალი უნდა იქნეს მოცემული აქციონერების მიერ დამტკიცებული ფორმით წარდგენილ წლიურ ანგარიშსა და ლიცენზირებული აუდიტორის მიერ მომზადებულ აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიშში. თუ ბალანსის შედგენის თარიღიდან გასულია ექვს თვეზე მეტი ხანი, მაშინ აუცილებელია შემოწმებული შუალედური ბალანსის შედგენა.

მუხლი 652e

დირექტორთა საბჭო წერილობით მოხსენებაში წარადგენს ანგარიშს, რომელშიც უთითებს:

1. ქონებრივი შენატანებისა თუ მიღებული ქონებრივი შენატანების სახესა და მდგომარეობას, ასევე – მათი ღირებულების შესაბამისობას;

2. ვალის არსებობასა და მისი გაქვითვის შესაძლებლობას;

3. გარდაქმნილი საკუთარი კაპიტალის თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობას;

4. საერთო კრების გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, განსაკუთრებით კი, – ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლების შეზღუდვისა თუ გაუქმების და აქციების შეძენის გამოუყენებელი ან ჩამორთმეული უპირატესი უფლების გადაცემის შესახებ

5. აქციონერებისა თუ სხვა პირების სასარგებლოდ სპეციალური პრივილეგიების მინიჭების დასაბუთებასა და შესაბამისობას.

მუხლი 652f

[1] ლიცენზირებული აუდიტორი ამოწმებს სააქციო კაპიტალის გაზრდის შესახებ ანგარიშსა და წერილობით ადასტურებს, რომ ეს უკანასკნელი სრული და ზუსტია.

[2] აუდიტორული დასკვნა არ მოითხოვება, როდესაც ახალ სააქციო კაპიტალში შენატანი ხორციელდება ფულადი სახით, სააქციო კაპიტალის გაზრდა არ ხდება კაპიტალში ქონებრივი შენატანის მიღების დაფინანსების მიზნით, ხოლო ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლებები არ არის შეზღუდული ან გაუქმებული.

მუხლი 652g

[1] თუ სააქციო კაპიტალის გაზრდის შესახებ ანგარიში და, რამდენადაც ეს მოითხოვება, აუდიტორული დასკვნა სახეზეა, მაშინ დირექტორთა საბჭო ცვლის წესდებას და ამასთან აცხადებს:

1. რომ ყველა აქცია სათანადოდ იქნა ხელმოწერილი;

2. რომ შეპირებული შენატანები შეესაბამება მთლიან საემისიო თანხას;

3. რომ შენატანები განხორციელდა კანონის, წესდებისა და საერთო კრების გადაწყვეტილების მოთხოვნათა შესაბამისად.

[2] გადაწყვეტილება და განცხადებები ოფიციალურად უნდა დამოწმდეს. ნოტარიუსმა ინდივიდუალურად უნდა დაასახელოს კაპიტალის გაზრდის საფუძვლად არსებული დოკუმენტები და ასევე დაადასტუროს, რომ ისინი წარედგინა დირექტორთა საბჭოს.

[3] საჯარო აქტს უნდა დაერთოს შეცვლილი წესდება, სააქციო კაპიტალის გაზრდის შესახებ ანგარიში, აუდიტორული დასკვნა, ისევე როგორც – ქონებრივი შენატანის შესახებ ხელშეკრულებები და უკვე სახეზე არსებული ქონებრივი შენატანის მიღების შესახებ ხელშეკრულებები.

მუხლი 652h

[1] დირექტორთა საბჭო წესდების ცვლილებებსა და ასევე თავის განცხადებებს სარეგისტრაციოდ წარუდგენს სამეწარმეო რეესტრს.

[2] სარეგისტრაციოდ წარედგინება:

1. საერთო კრებისა და დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებების შესახებ საჯარო აქტები თანდართული დოკუმენტებით;

2. შეცვლილი წესდების დამოწმებული ასლი.

[3] სააქციო კაპიტალის გაზრდის რეგისტრაციამდე გამოშვებული აქციები ბათილია; თუმცა, ეს არ ეხება აქციებზე ხელმოწერიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

მუხლი 653

[1] საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების კაპიტალის პირობითი გაზრდის შესახებ, რომლის დროსაც წესდებაში საზოგადოების

ან კონცერნის შემადგენლობაში შემავალი საზოგადოების მიმართ არსებული ახალი სასესხო დოკუმენტიდან გამომდინარე ან სხვა მსგავსი ვალდებულებების კრედიტორებსა და დასაქმებულებს ენიჭებათ ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლებები (კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებები).

[2] სააქციო კაპიტალი ავტომატურად იზრდება იმ მომენტში და იმ მოცულობით, რომლითაც ხდება აღნიშნული კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებების რეალიზაცია და შენატანის განხორციელების ვალდებულება სრულდება გაქვითვისა თუ გადახდის გზით.

[3] შენარჩუნებულია ბანკების შესახებ 1934 წლის 8 ნოემბრის კანონით გათვალისწინებული საკონვერტაციო კაპიტალის (Wandlungskapital) მომწესრიგებელი ნორმების მოქმედება.

მუხლი 653a

[1] ნომინალური თანხა, რომლითაც სააქციო კაპიტალი შეიძლება პირობითად გაიზარდოს, არ უნდა აღემატებოდეს თავდაპირველი სააქციო კაპიტალის ნახევარს.

[2] განხორციელებული შენატანი უნდა შეესაბამებოდეს, სულ ცოტა, ნომინალურ თანხას.

მუხლი 653b

[1] წესდება უნდა უთითებდეს შემდეგ მონაცემებს:

1. პირობითად გაზრდილი საზოგადოების კაპიტალის ნომინალური თანხა;
2. აქციების რაოდენობა, ნომინალური ღირებულება და სახე;
3. კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებების მფლობელთა წრე;
4. თავდაპირველი აქციონერების კუთვნილი ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლებების გაუქმება;
5. ცალკეული კლასების აქციათა უპირატესი უფლებები;
6. ახალი სახელობითი აქციების გადაცემის შესაძლებლობის შეზღუდვა.

[2] თუ სასესხო დოკუმენტიდან გამომდინარე ან სხვა მსგავსი ვალდებულებები, რომლებთანაც დაკავშირებულია კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებები, არ იქნება თავდაპირველად შეთავაზებული ხელმოსაწერად აქციონერებისათვის, წესდება დამატებით უნდა უთითებდეს შემდეგ მონაცემებს:

1. კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებების რეალიზაციის წინაპირობებს;
2. საემისიო თანხის გამოანგარიშების საფუძვლებს.

[3] ბათილია კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებები, რომელთა მინიჭებაც ხდება პირობითად გაზრდილი საზოგადოების კაპიტალის შესახებ წესდებაში გათვალისწინებული დებულების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე.

მუხლი 653c

[1] თუ სასესხო დოკუმენტიდან გამომდინარე ან სხვა მსგავსი ვალდებულებები, რომლებთანაც დაკავშირებულია კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებები, გამოშვებულ უნდა იქნეს პირობითად გაზრდილი საზოგადოების კაპიტალის ნაწილის სახით, მაშინ მათი ხელმოსაწერად შეთავაზება თავდაპირველად უნდა მოხდეს აქციონერებისათვის საზოგადოების კაპიტალში ამ უკანასკნელთა არსებული წილების პროპორციულად.

[2] აღნიშნული უპირატესი ხელმოწერის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ან გაუქმდეს, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი.

[3] საზოგადოების კაპიტალის პირობითად გაზრდისათვის აუცილებელი ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლების გაუქმებით, ისევე როგორც – უპირატესი ხელმოწერის უფლების შეზღუდვითა თუ გაუქმებით დაუშვებელია დაინტერესებული პირებისათვის არაობიექტურად უპირატესობის მინიჭება ან მათი ინტერესების ხელყოფა.

მუხლი 653d

[1] დაუშვებელია სახელობითი აქციების შეძენის მიზნით კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებების მქონე კრედიტორსა თუ დასაქმებულს აეკრძლოს ამ უფლებების რეალიზაცია სახელობითი აქციების გადაცემის შესაძლებლობის შეზღუდვის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შესაძლებლობა შენარჩუნებულია წესდებასა და ემისიის პროსპექტში.

[2] სააქციო კაპიტალის გაზრდის შედეგად, ასევე – კონვერტაციისა თუ ოფციის ახალი უფლებების მინიჭებისა თუ სხვაგვარად კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებები შეიძლება შეილახოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მცირდება კონვერტაციის ფასი ან უფლებამოსილ პირებს სხვაგვარად ეძლევათ სათანადო კომპენსაცია, ანდა თუ ანალოგიურად ილახება ასევე აქციონერების უფლებებიც.

მუხლი 653e

[1] კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებების რეალიზაცია ხდება წერილობითი განცხადების გაკეთებით, რომელიც მიუთითებს პირობითად გაზრდილი საზოგადოების კაპიტალის შესახებ წესდებაში გათვალისწინებულ დებულებაზე; თუ კანონი ითხოვს ემისიის პროსპექტს, მაშინ განცხადება ასევე უნდა მიუთითებდეს მასზეც.

[2] საზოგადოების კაპიტალში ფულადი შენატანი ან შენატანი გაქვითვის გზით უნდა განხორციელდეს საბანკო დაწესებულების მეშვეობით ბანკების შესახებ 1934 წლის 8 ნოემბრის კანონით გათვალისწინებული წესით.

[3] აქციონერის უფლებები წარმოიშობა შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულებისთანავე.

მუხლი 653f

[1] ყოველი სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ ლიცენზირებული აუდიტორი დირექტორთა საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე უკვე წინასწარვე ამოწმებს, შეესაბამებოდა თუ არა ახალი აქციების გამოშვება კანონს, წესდებას, ხოლო როდესაც ასეთი მოითხოვება, – ასევე ემისიის პროსპექტსაც.

[2] აუდიტორი ზემოაღნიშნულს ადასტურებს წერილობით.

მუხლი 653g

[1] აუდიტორული დასკვნის მიღების შემდეგ დირექტორთა საბჭო საჯარო აქტში ადგენს ახლადგამოშვებული აქციების რაოდენობას, ნომინალურ ღირებულებასა და სახეს, ისევე როგორც – ცალკეული კლასების აქციათა უპირატეს

უფლებებსა და სააქციო კაპიტალის მდგომარეობას სამეურნეო წლის ბოლოსათვის ან შემოწმების მომენტისათვის. დირექტორთა საბჭო შეიმუშავებს წესდების აუცილებელ ცვლილებებს.

[2] საჯარო აქტში ნოტარიუსი უთითებს, რომ აუდიტორული დასკვნა შეიცავს მოთხოვნილ ინფორმაციას.

მუხლი 653h

სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა დირექტორთა საბჭო ატყობინებს სამეწარმეო რეესტრს წესდების ცვლილების შესახებ და წარუდგენს მას საჯარო აქტსა და აუდიტორულ დასკვნას.

მუხლი 653i

[1] როდესაც კონვერტაციისა თუ ოფციის უფლებები ქარწყლდება და ეს ფაქტი ლიცენზირებული აუდიტორის მიერ დასტურდება წერილობით დასკვნაში, მაშინ დირექტორთა საბჭო აუქმებს პირობითად გაზრდილი საზოგადოების კაპიტალის შესახებ წესდებაში გათვალისწინებულ დებულებას.

[2] საჯარო აქტში ნოტარიუსი უთითებს, რომ აუდიტორული დასკვნა შეიცავს მოთხოვნილ ინფორმაციას.

მუხლი 654

[1] წესდების შესაბამისად ან მასში ცვლილებების შეტანის გზით საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პრივილეგირებული აქციების გამოშვების ან თავდაპირველი აქციების პრივილეგირებულ აქციებად გარდაქმნის შესახებ.

[2] თუ საზოგადოებამ გამოუშვა პრივილეგირებული აქციები, მაშინ შემდგომი პრივილეგირებული აქციები, რომლებიც უკვე არსებულ პრივილეგირებულ აქციებთან შედარებით მათ მფლობელს ანიჭებს უპირატეს უფლებებს, შეიძლება გამოშვებულ იქნეს მხოლოდ პრივილეგირებული აქციების მფლობელი დაზარალებული აქციონერების საგანგებო კრებისა და ასევე ყველა აქციონერის საერთო კრების თანხმობით. ზემოაღნიშნული წესი არ ეხება წესდებით გათვალისწინებულ განსხვავებულ რეგულაციას.

[3] ზემოაღნიშნული წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც პრივილეგირებულ აქციებთან დაკავშირებული წესდებით გათვალისწინებული უპირატესი უფლებები უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს.

მუხლი 655 (გაუქმებულია)

მუხლი 656

[1] ჩვეულებრივ აქციებთან შედარებით პრივილეგირებული აქციები მათ მფლობელს ანიჭებს იმ უპირატეს უფლებებს, რომლებიც პირდაპირ არის მითითებული თავდაპირველ წესდებაში ან ამ უკანასკნელში შეტანილ ცვლილებებში. დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით ისინი უთანაბრდება ჩვეულებრივ აქციებს.

[2] კერძოდ, უპირატესი უფლებები შეიძლება ეხებოდეს დივიდენდებს პრი-

ვილეგირებულ აქციებზე დამატებითი დივიდენდების მიღების უფლებასთან (Nachbezugsrecht) ერთად ან ამ უფლების გარეშე, საზოგადოების ლიკვიდაციიდან აქციონერის მიერ მისაღებ წილსა და ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლებებს.

მუხლი 656a

[1] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს წილობრივი მონაწილეობის კაპიტალს, რომელიც დაყოფილია ცალკეულ წილებად (წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატები). ეს წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატები გაიცემა კაპიტალში შენატანის განხორციელების სანაცვლოდ, მათ აქვს ნომინალური ღირებულება და ისინი არ იძლევა ხმის უფლებას.

[2] რამდენადაც კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, სააქციო კაპიტალის, აქციისა და აქციონერის შესახებ დებულებები მოქმედებს ასევე წილობრივი მონაწილეობის კაპიტალის, წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატებისა და წილობრივი მონაწილეების მიმართაც.

[3] წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატები სწორედ ასეთად უნდა იქნეს აღნიშნული წესდებაში.

მუხლი 656b

[1] წილობრივი მონაწილეობის კაპიტალი არ უნდა აღემატებოდეს სააქციო კაპიტალის ორმაგ ოდენობას.

[2] მინიმალური კაპიტალისა და მთლიანი მინიმალური შენატანის მომწესრიგებელი დებულებები არ გამოიყენება.

[3] საკუთარი აქციების შეძენის შეზღუდვების, საერთო რეზერვის, საერთო კრების ნების საწინააღმდეგოდ სპეციალური შემოწმების დაწყების, ასევე – კაპიტალის დაკარგვის შემთხვევაში შეტყობინების მომწესრიგებელი დებულებების მიზნებისათვის წილობრივი მონაწილეობის კაპიტალი ჩაითვლება სააქციო კაპიტალის ნაწილად.

[4] სააქციო ან წილობრივი მონაწილეობის კაპიტალის მოწონებული და პირობითი გაზრდა საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს თავდაპირველი სააქციო ან წილობრივი მონაწილეობის კაპიტალის ნახევარს.

[5] წილობრივი მონაწილეობის კაპიტალი შეიძლება შეიქმნას კაპიტალის მოწონებული და პირობითი გაზრდის გზით.

მუხლი 656c

[1] წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელს არა აქვს ხმის უფლება, ხოლო რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, – არც ასევე ამ უფლებასთან დაკავშირებული უფლებები.

[2] ხმის უფლებასთან დაკავშირებულ უფლებებს მიეკუთვნება საერთო კრების მოწვევის უფლება, ამ კრებაზე დასწრების უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, საქმის ვითარების გაცნობისა და განცხადებების წარდგენის უფლებები.

[3] თუ წესდება წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელს არ ანიჭებს ინფორმაციის მიღების ან საქმის ვითარების გაცნობისა თუ სპეციალური შემოწმების დაწყებაზე განცხადების წარდგენის უფლებებს (მუხ. 697a

და შემდ.), მაშინ სერტიფიკატის მფლობელს ინფორმაციის მიღების ან საქმის ვითარების გაცნობისა და სპეციალური შემოწმების დაწყების შესახებ წერილობითი მოთხოვნა შეუძლია წარუდგინოს უშუალოდ საერთო კრებას.

მუხლი 656d

[1] წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელებს უნდა ეცნობოთ საერთო კრების მოწვევის შესახებ დღის წესრიგის საკითხებთან და წამოყენებულ წინადადებებთან ერთად.

[2] საერთო კრების ყოველი გადაწყვეტილება წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელების მიერ მათი გაცნობის მიზნით დაუყოვნებლივ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი საზოგადოების ადგილსამყოფელსა და მის რეგისტრირებულ ფილიალებში.

მუხლი 656e

წესდებით წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელებს შეიძლება მიენიჭოთ უფლება, დირექტორთა საბჭოში იყოლიონ თავიანთი წარმომადგენელი.

მუხლი 656f

[1] წესდებით საბალანსო მოგებისა და საზოგადოების ლიკვიდაციიდან ამონაგები თანხების განაწილების და ასევე ახალი აქციების შეძენის უპირატეს უფლებებთან დაკავშირებით დაუშვებელია წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელების აქციონერებთან შედარებით უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაყენება.

[2] თუ არსებობს რამდენიმე კლასის აქცია, მაშინ წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატები, სულ ცოტა, უნდა გაუთანაბრდეს ყველაზე ნაკლები პრიორიტეტის აქციათა კლასს.

[3] წესდებაში შეტანილი ცვლილებები და საერთო კრების სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც აუარესებს წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელების მდგომარეობას, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესაბამისად საზიანოა ასევე იმ აქციონერთა ინტერესებისათვისაც, რომელთა სტატუსიც უთანაბრდება წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელების სტატუსს.

[4] რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელების უპირატესი უფლებები და წესდებით გათვალისწინებული საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მიღების უფლებები შეიძლება შეიზღუდოს ან გაუქმდეს მხოლოდ წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის დაინტერესებული მფლობელების საგანგებო კრებისა და ასევე ყველა აქციონერის საერთო კრების თანხმობით.

მუხლი 656g

[1] თუ უნდა შეიქმნას წილობრივი მონაწილეობის კაპიტალი, მაშინ აქციონერებს აქვთ აქციების შეძენის უპირატესი უფლება, მსგავსად ახალი აქციების გამოშვების შემთხვევაში არსებული უფლებისა.

[2] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აქციონერების მიერ მხოლოდ აქციებზე ხელმოწერას, ხოლო წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელების მიერ კი – მხოლოდ წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატებზე ხელმოწერას იმ შემთხვევაში, როდესაც სააქციო და წილობრივი მონაწილეობის კაპიტალი ერთდროულად და პროპორციულად უნდა გაიზარდოს.

[3] თუ გაიზრდება მხოლოდ წილობრივი მონაწილეობის კაპიტალი ან მხოლოდ სააქციო კაპიტალი ანდა ერთი მეორესთან შედარებით მეტად იზრდება, მაშინ აქციების შეძენის უპირატესი უფლებების მინიჭება ხდება იმგვარად, რომ აქციონერებმა და წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის მფლობელებმა შეძლონ მთლიან კაპიტალში თავიანთი მანამდე არსებული თანაბარი მონაწილეობის შენარჩუნება.

მუხლი 657

[1] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ფიქსირებული დივიდენდებით აქციების გაცემას იმ პირების სასარგებლოდ, რომლებიც დაკავშირებული არიან საზოგადოებასთან კაპიტალში თავდაპირველი მონაწილეობის გზით ან აქციონერის, კრედიტორის, დასაქმებულის სახით ანდა – სხვაგვარი წესით. წესდებაში უნდა მიეთითოს გამოშვებული ფიქსირებული დივიდენდებით აქციების რაოდენობა და მათთან დაკავშირებული უფლებების შინაარსი.

[2] ფიქსირებული დივიდენდებით აქციების მეშვეობით აქციების მფლობელებს შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ საბალანსო მოგების წილის ან საზოგადოების ლიკვიდაციიდან ამონაგები თანხებისა თუ ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლებები.

[3] ფიქსირებული დივიდენდებით აქციას არ უნდა ჰქონდეს ნომინალური ღირებულება; დაუშვებელია მისთვის როგორც წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატის სახელის დარქმევა, ისე მისი ბალანსში აქტივის ნაწილში მითითებული შენატანის სანაცვლოდ გამოშვება.

[4] ფიქსირებული დივიდენდებით აქციების მოსარგებლეები კანონის ძალით ქმნიან გაერთიანებას, რომლის მიმართაც აზრობრივად მოქმედებს სასესხო დოკუმენტიდან გამომდინარე ვალდებულებების კრედიტორთა გაერთიანების მომწესრიგებელი ნორმები. თუმცა, ფიქსირებული დივიდენდებით აქციებიდან გამომდინარე ცალკეულ ან ყველა უფლებაზე უარის შესახებ მავალდებულებელი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მხოლოდ ბრუნვაში არსებული ყველა აღნიშნული აქციების სერტიფიკატების მფლობელთა უმრავლესობას.

[5] ფიქსირებული დივიდენდებით აქციები საზოგადოების დამფუძნებელთა სასარგებლოდ შეიძლება შეიქმნას მხოლოდ თავდაპირველი წესდების საფუძველზე.

მუხლი 658 (გაუქმებულია)

მუხლი 659

[1] საზოგადოებას საკუთარი აქციების შეძენა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფლად გამოყენებადი საკუთარი კაპიტალი სახეზეა შეძენისათვის აუცილებელი თანხის ოდენობით და ამ აქციების საერთო ნომინა-

ლური ღირებულება არ აღემატება სააქციო კაპიტალის 10 პროცენტს.

[2] თუ სახელობითი აქციების შეძენა მოხდება მათი გადაცემის შესაძლებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, მაშინ ზღვრული ოდენობა შეადგენს 20 პროცენტს. სააქციო კაპიტალის 10 პროცენტზე მეტი ოდენობით შეძენილი საკუთარი აქციები ორი წლის განმავლობაში ექვემდებარება გასხვისებას ან საზოგადოების კაპიტალის შემცირების გზით გაუქმებას.

მუხლი 659a

[1] საკუთარი აქციებიდან გამომდინარე ხმის უფლება და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებათა რეალიზაცია შეჩერებულია.

[2] საკუთარი აქციების შესაძენი ღირებულების ეკვივალენტური თანხა საზოგადოებამ ცალკე სარეზერვო თანხის სახით უნდა გამოყოს.

მუხლი 659b

[1] თუ საზოგადოება შვილობილ საზოგადობებში ფლობს წილთა უმრავლესობას, მაშინ ამ შვილობილი საზოგადოებების მიერ მისი აქციების შეძენის მიმართ მოქმედებს იგივე შეზღუდვები და სამართლებრივი შედეგები, რაც გათვალისწინებულია საკუთარი აქციების შეძენისათვის.

[2] თუ ერთი საზოგადოება იძენს წილთა უმრავლესობას სხვა საზოგადოებაში, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს შემძენი საზოგადოების აქციებს, მაშინ ეს აქციები მიიჩნევა შემძენი საზოგადოების საკუთარ აქციებად.

[3] სარეზერვო თანხის გამოყოფის ვალდებულება ეკისრება იმ საზოგადოებას, რომელიც ფლობს წილთა უმრავლესობას.

მეორე თავი: აქციონერთა უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 660

[1] ყოველ აქციონერს აქვს მოთხოვნის უფლება საბალანსო მოგების პროპორციულ წილზე, რამდენადაც ასეთი მოგების აქციონერებს შორის განაწილება დგინდება კანონით ან წესდებით.

[2] საზოგადოების გაუქმების შემთხვევაში, აქციონერს აქვს უფლება ლიკვიდაციიდან მისაღებ პროპორციულ წილზე, რამდენადაც გაუქმებული საზოგადოების ქონების გამოყენების შესახებ წესდებისეული დებულებები სხვაგვარად არ განსაზღვრავს.

[3] შენარჩუნებულია წესდებაში ცალკეული კლასების აქციებისათვის გათვალისწინებული უპირატესი უფლებები.

მუხლი 661

რამდენადაც წესდებით სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული, მოგების წილის ან საზოგადოების ლიკვიდაციიდან ამონაგები თანხები გამოითვლება სააქციო კაპიტალში გადახდილი თანხების პროპორციის მიხედვით.

მუხლი 662 (გაუქმებულია)

მუხლი 662a (გაუქმებულია)

მუხლები 663a და 663b (გაუქმებულია)

მუხლი 663b[bis]

[1] იმ საზოგადოებებმა, რომელთა აქციებიც კოტირებს ბირჟაზე, ბალანსზე თანდართულ დოკუმენტებში უნდა მიუთითონ შემდეგი ინფორმაცია:

1. ყველა საზღაური, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გაიცა დირექტორთა საბჭოს არსებულ წევრებზე;

2. ყველა საზღაური, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გაიცა იმ პირებზე, რომლებსაც დირექტორთა საბჭომ მიანიჭა საზოგადოების სრული ან ნაწილობრივი მართვის უფლებამოსილება (აღმასრულებელი საბჭო);

3. ყველა საზღაური, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გაიცა საკონსულტაციო საბჭოს არსებულ წევრებზე;

4. ყველა საზღაური, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გაიცა დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოსა და საკონსულტაციო საბჭოს ადრინდელ წევრებზე, რამდენადაც ეს საზღაურები დაკავშირებულია საზოგადოების მმართველი ორგანოს სახით ადრინდელ საქმიანობასთან ან არ წარმოადგენს ჩვეულებრივ საბაზრო პრაქტიკას.

5. ყველა საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს ჩვეულებრივ საბაზრო პრაქტიკას და პირდაპირ ან არაპირდაპირ გაიცა იმ პირებზე, რომლებიც წარმოადგენენ 1-4 ქვეპარაგრაფებში დასახელებულ პირთა ახლობლებს.

[2] კერძოდ, საზღაურად ჩაითვლება:

1. ჰონორარები, ხელფასები, პრემიები და ანგარიშის დადებითი ბალანსები;

2. კორპორაციის უმაღლეს თანამდებობის პირებზე მოგების პროცენტის სახით მიღებული დამატებითი გასამრჯელოები, მონაწილეობა ბრუნვაში და სამეურნეო საქმიანობის შედეგებში სხვაგვარი მონაწილეობები;

3. ქონებრივი შენატანები;

4. აქციების გადანაწილება, კონვერტაციისა და ოფციის უფლებები;

5. გამოსასვლელი თანხები;

6. თავდებობები, საგარანტიო ვალდებულებები, მესამე პირების სასარგებლოდ გირავნობისა და სხვა უზრუნველყოფების წარდგენა;

7. მოთხოვნებზე უარი;

8. დანახარჯები, რომლებიც ასაბუთებს ან ზრდის სამზრუნველო თანხების მიღებაზე მოთხოვნის უფლებებს;

9. გადახდები დამატებითი სამუშაოებისათვის.

[3] გარდა აღნიშნულისა, ბალანსზე თანდართულ დოკუმენტებში უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:

1. ყველა სესხი და კრედიტი, რომლებიც გაიცა დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოსა და საკონსულტაციო საბჭოს არსებულ წევრებზე და რომლებიც ჯერ კიდევ გადაუხდელია;

2. ყველა სესხი და კრედიტი, რომლებიც დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოსა და საკონსულტაციო საბჭოს ადრინდელ წევრებზე გაიცა ჩვეულებრივი საბაზრო პრაქტიკის შეუსაბამო პირობებით და რომლებიც ჯერ კიდევ გადაუხდელია;

3. ყველა სესხი და კრედიტი, რომლებიც 1-2 ქვეპარაგრაფებში დასახელებულ პირთა ახლობლებზე გაიცა ჩვეულებრივი საბაზრო პრაქტიკის შეუსაბამო პირობებით და რომლებიც ჯერ კიდევ გადაუხდელია.

[4] საზღაურისა და კრედიტების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. დირექტორთა საბჭოს საერთო თანხა და მისი ყოველი წევრისათვის განკუთვნილი თანხა შესაბამისი წევრის სახელისა და ფუნქციის მითითებით;

2. აღმასრულებელი საბჭოს საერთო თანხა და მისი ყოველი წევრისათვის განკუთვნილი მაქსიმალური თანხა შესაბამისი წევრის სახელისა და ფუნქციის მითითებით;

3. საკონსულტაციო საბჭოს საერთო თანხა და მისი ყოველი წევრისათვის განკუთვნილი თანხა შესაბამისი წევრის სახელისა და ფუნქციის მითითებით.

[5] ახლობლებზე გაცემული საზღაურები და კრედიტები განცალკევებულად უნდა აღინიშნოს. ახლობლების სახელების მითითება აუცილებელი არ არის. დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოსა და საკონსულტაციო საბჭოს წევრებზე გაცემული საზღაურებისა და კრედიტების შესახებ ინფორმაციის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 663c

[1] იმ საზოგადოებებმა, რომელთა აქციებიც კოტირებს ბირჟაზე, ბალანსზე თანდართულ დოკუმენტებში უნდა მიუთითონ მნიშვნელოვანი აქციონერები და მათი წილობრივი მონაწილეობა, რამდენადაც ეს პირები მათთვის ცნობილია ან უნდა ყოფილიყო ცნობილი.

[2] მნიშვნელოვან აქციონერებს წარმოადგენენ ის აქციონერები და ხმის უფლებით დაკავშირებული აქციონერთა ჯგუფები, რომლებიც ფლობენ ხმის უფლების მქონე ყველა აქციის 5 პროცენტზე მეტს. თუ წესდება ითვალისწინებს სახელობითი აქციების უფრო დაბალ პროცენტულ ზღვარს (მუხ. 685d ნაწ. 1), მაშინ ეს ზღვარი გამოიყენება შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულების მიზნებისათვისაც.

[3] გარდა აღნიშნულისა, ბალანსზე თანდართულ დოკუმენტებში უნდა მიეთითოს ასევე საზოგადოებაში წილობრივი მონაწილეობა, ისევე როგორც – დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოსა და საკონსულტაციო საბჭოს ყოველი არსებული წევრის კუთვნილი კონვერტაციისა და ოფციის უფლებები ახლობლების წილობრივი მონაწილეობის ჩათვლითა და შესაბამისი წევრის სახელისა და ფუნქციის მითითებით.

მუხლები 663d–663h (გაუქმებულია)

მუხლები 664 და 665 (გაუქმებულია)

მუხლი 665a (გაუქმებულია)

მუხლები 666 და 667 (გაუქმებულია)

მუხლი 668 (გაუქმებულია)

მუხლი 669 (გაუქმებულია)

მუხლი 670

[1] თუ საბალანსო ზარალის შედეგად ვეღარ იფარება სააქციო კაპიტალისა და კანონისმიერი რეზერვების ნახევარი, მაშინ დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით შეიძლება განხორციელდეს იმ მიწის ნაკვეთებისა თუ წილობრივი მონაწილეობის აღნიშნულ ზღვრულ ოდენობამდე გადაფასება, რომელთა ნამდვილმა ღირებულებამ გადააჭარბა შეძენასა თუ დამზადებაზე გაწეულ ხარჯებს. გადაფასების თანხა განცალკევებულად უნდა აღინიშნოს როგორც გადაფასების რეზერვი.

[2] გადაფასება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ლიცენზირებული აუდიტორი უშუალოდ საერთო კრებას დაუდასტურებს იმ ფაქტს, რომ დაცულია კანონისმიერი დანაწესები.

მუხლი 671

[1] წლიური მოგების 5 პროცენტი ექვემდებარება საერთო რეზერვში გადაცემას მანამდე, სანამ ის არ გაუტოლდება გადახდილი სააქციო კაპიტალის 20 პროცენტს.

[2] თუნდაც მას შემდეგ, რაც აღნიშნული რეზერვი გაუტოლდება კანონით გათვალისწინებულ ოდენობას, მას უნდა დაემატოს:

1. ნებისმიერი აქციის გამოშვებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომელიც აღემატება აქციათა გამოშვების ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ ნომინალურ ღირებულებას, რამდენადაც ის არ გამოიყენება ბალანსიდან ჩამოწერებისა თუ სოციალური უზრუნველყოფის მიზნებისათვის;

2. ის, რაც დარჩა გაუქმებული აქციებზე გადახდილის თანხებიდან მას შემდეგ, რაც სანაცვლოდ გამოშვებული აქციებიდან დაიფარა ყველა შესაძლო ზარალი;

3. 10 პროცენტი იმ თანხებისა, რომლებიც უნდა გაიცეს მოგების წილის სახით 5-პროცენტიანი დივიდენდის თანხის გადახდის შემდეგ.

[3] რამდენადაც საერთო რეზერვი არ აღემატება სააქციო კაპიტალის ნახევარს, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ზარალის დაფარვის ან იმ ზომების მიღებისათვის, რომლებიც აუცილებელია ბიზნესსაქმიანობის რთულ პერიოდში წარმოების შენარჩუნებისათვის, უმუშევრობის დაძლევისა თუ მისი შედეგების შერბილებისათვის.

[4] მე-2 ნაწილის ქვეპარაგრაფი 3 და მე-3 ნაწილი არ გამოიყენება იმ საზოგადოებების მიმართ, რომელთა მთავარი მიზანიც მდგომარეობს სხვა საწარმოებში წილობრივ მონაწილეობაში (ჰოლდინგური კომპანიები).

[5] ... (გაუქმებულია)

[6] ... (გაუქმებულია)

მუხლი 671a

აქციების გასხვისებისა თუ გაუქმებისას საკუთარი აქციებისათვის რეზერვი შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაძენი ღირებულების მოცულობით.

მუხლი 671b

გადაფასების თანხის რეზერვი შეიძლება ჩამოიწეროს მხოლოდ სააქციო კაპიტალად გარდაქმნის გზით, ისევე როგორც – გადაფასებული აქტივების ხელახალი ჩამოწერისა თუ გასხვისების გზით.

მუხლი 672

[1] წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სარეზერვოდ გადაეცეს წლიური მოგების 5 პროცენტზე მეტი ოდენობის თანხები, ხოლო რეზერვი შეადგენდეს კანონით გათვალისწინებული გადახდილი სააქციო კაპიტალის 20 პროცენტზე მეტს.

[2] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა რეზერვების შექმნას და ადგენდეს მათ მიზნობრიობასა და გამოყენებას.

მუხლი 673

კერძოდ, წესდება რეზერვების შექმნას შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე საწარმოს დასაქმებულთათვის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებების დაფუძნებისა და დაცვის მიზნით.

მუხლი 674

[1] დივიდენდის თანხები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოხდება კანონისა და წესდების შესაბამისად სარეზერვოდ გადაცემული თანხების გამოკლება.

[2] საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმ რეზერვების შექმნის შესახებ, რომლებიც არ არის კანონსა და წესდებაში გათვალისწინებული ან რომლებიც სცილდება მათ მიერ დადგენილ მოთხოვნებს იმ პირობით, რომ;

1. ეს აუცილებელია განახლების მიზნებისათვის;

2. საწარმოს გრძელვადიანი კეთილდღეობის ან შეძლებისდაგვარად თანაბარი დივიდენდების გადახდის მხედველობაში მიღებით ასეთი რეზერვების შექმნა გამართლებულია ყველა აქციონერის ინტერესების გათვალისწინებით.

[3] ანალოგიურად, საერთო კრებას შეუძლია საწარმოს დასაქმებულთათვის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებების დაფუძნებისა და დაცვის მიზნით და ასევე სხვა სოციალური მიზნებისათვის საბალანსო მოგებიდან შექმნას რეზერვები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი არ არის გათვალისწინებული წესდებით.

მუხლი 675

[1] სააქციო კაპიტალზე პროცენტები არ გადაიხდება.

[2] დივიდენდების გადახდა დასაშვებია მხოლოდ საბალანსო მოგებიდან და ამ მიზნით შექმნილი რეზერვებიდან.

მუხლი 676

[1] აქციონერებმა განსაზღვრული ოდენობით შეიძლება მიიღონ პროცენტი საინვესტიციო ანგარიშიდან იმ პერიოდისათვის, რომელიც საწარმოს სრული დატვირთვით საქმიანობის დაწყებამდე მოითხოვება საზოგადოების დოკუ-

მენტაციის მომზადებისა და დაფუძნებისათვის. წესდება ამ ფარგლებში უნდა უთითებდეს ყველაზე გვიანდელ თარიღს, როდესაც აღნიშნული პროცენტების გადახდა წყდება.

[2] თუ ახალი აქციების გამოშვების გზით ადგილი ექნება საწარმოს აქტივების ზრდას, მაშინ კაპიტალის გაზრდის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საინვესტიციო ანგარიშიდან ახალ აქციებზე განსაზღვრული საპროცენტო თანხების გადახდა იმ ზუსტად მითითებულ მომენტამდე, რომელიც არ უნდა იყოს ახალი საწარმოო დანადაგარის ამუშავების თარიღზე უფრო გვიანი.

მუხლი 677

მოგების წილები დირექტორთა საბჭოს წევრებზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ საბალანსო მოგებიდან და, ამასთან, – მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება მათი კანონით გათვალისწინებული რეზერვში გადაცემა და 5-პროცენტიანი ანდა წესდებით დადგენილი უფრო მაღალი ოდენობით დივიდენდის თანხების აქციონერებისათვის გადახდა.

მუხლი 678

[1] აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს წევრებს, ისევე როგორც – მათ ახლობლებს, რომლებმაც უსაფუძვლოდ და არაკეთილსინდისიერად მიიღეს დივიდენდები, მოგების პროცენტის სახით დამატებითი გასამრჯელოები, სხვა მოგების წილები ან საზოგადოების საქმიანობის დაწყებამდე აქციონერისათვის გადახდილი პროცენტები, ეკისრებათ აღნიშნული თანხების უკან დაბრუნება.

[2] აღნიშნულ პირებს ეკისრებათ ასევე საზოგადოებისაგან მიღებული სხვა შესრულებების დაბრუნებაც, რამდენადაც ისინი აშკარად არათანაზომიერია სამაგიერო შესრულების თანხებისა და საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა.

[3] შესრულებების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება აქვს საზოგადოებასა და და აქციონერს; ეს უკანასკნელი წარადგენს სარჩელს საზოგადოების მიმართ შესრულების განხორციელების მოთხოვნით.

[4] შესრულებების უკან დაბრუნების ვალდებულება ხანდაზმულია შესრულების მიღებიდან ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 679

[1] საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში დირექტორთა საბჭოს წევრებმა უნდა დააბრუნონ ის დამატებითი გასამრჯელოები, რომლებიც მათ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოგების პროცენტის სახით მიიღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი დაამტკიცებენ, რომ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული დამატებითი გასამრჯელოების გადახდის წინაპირობები შესრულებულია; კერძოდ კი, უნდა დამტკიცდეს, რომ დამატებითი გასამრჯელოების გადახდა განხორციელდა გონივრულად წარმოებული საბუღალტრო აღრიცხვის საფუძველზე.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 680

[1] წესდებითაც კი დაუშვებელია აქციონერს დაეკისროს იმაზე მეტი თანხის გადახდა, ვიდრე ეს შეძენისათვის არის დაფიქსირებული მისი ემისიის მომენტში.

[2] აქციონერს არა აქვს გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 681

[1] იმ აქციონერს, რომელიც დროულად არ იხდის თავისი აქციის ემისიის თანხას, ეკისრება ვადაგადაცილების პროცენტების გადახდა.

[2] გარდა ამისა, დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია, გამოაცხადოს ვადაგადაცილებული აქციონერის მიერ აქციებზე ხელმოწერის კუთვნილი უფლებებისა და მის მიერ უკვე განხორციელებული ნაწილობრივი გადახდების დაკარგვის და ასევე გაუქმებული აქციების ნაცვლად ახალი აქციების გამოშვების შესახებ. როდესაც გაუქმებული აქციების სერტიფიკატები უკვე გამოშვებულია და ისინი ხელმისაწვდომი აღარ არის, მაშინ უფლებების დაკარგვის შესახებ განცხადება უნდა გამოქვეყნდეს შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში და ასევე – წესდებით გათვალისწინებული ფორმით.

[3] წესდება აქციის ემისიის თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევისათვის შესაძლოა აქციონერს ავალდებულებდეს ასევე პირგასამტეხლოს გადახდასაც.

მუხლი 682

[1] თუ დირექტორთა საბჭოს განზრახული აქვს ვადაგადაცილებული აქციონერის მიერ აქციებზე ხელმოწერის კუთვნილი უფლებების დაკარგვის შესახებ გამოცხადება ან მისთვის წესდებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნა, მაშინ მან თანხის გადახდის მოთხოვნა, სულ ცოტა, სამჯერ უნდა გამოაქვეყნოს შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში და ასევე – წესდებით გათვალისწინებული ფორმით, სულ ცოტა, ერთთვიანი დამატებითი ვადის მიცემით, რომელიც აითვლება მოთხოვნის უკანასკნელი გამოქვეყნების თარიღიდან. აქციონერი შეიძლება გამოცხადდეს აქციებზე ხელმოწერის უფლებადაკარგულად ან მას მოეთხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან მოთხოვნილი გადახდა დამატებითი ვადის განმავლობაშიც არ განახორციელა.

[2] სახელობითი აქციების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული გამოქვეყნების ადგილს იკავებს აქციათა რეესტრში რეგისტრირებული აქციონერებისათვის წარდგენილი გადახდის მოთხოვნა და დამატებითი ვადის დადგენა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამატებითი ვადა აითვლება გადახდის მოთხოვნის მიღების მომენტიდან.

[3] ვადაგადაცილებული აქციონერი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე იმ თანხისათვის, რომელიც არ იფარება ახალი აქციონერის მიერ განხორციელებული გადახდებით.

მუხლი 683

[1] საწარმდგენლო აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს მხოლოდ ნომინალური ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ.

[2] ღირებულების სრულად დაფარვამდე გამოშვებული აქციები ბათილია. შენარჩუნებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები.

მუხლი 684

[1] როდესაც კანონი ან წესდება სხვაგვარად არ განსაზღვრავს, სახელობითი აქციები შეიძლება გადაცემულ იქნეს შეუზღუდავად.

[2] გარიგების საფუძველზე გადაცემა შეიძლება განხორციელდეს ინდოსირებული აქციის სერტიფიკატის შემძენისათვის ფაქტობრივი გადაცემით.

მუხლი 685

[1] იმ სახელობითი აქციების გადაცემა, რომელთა თანხებიც სრულად არ არის დაფარული, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეძენა მოხდა მემკვიდრეობით, სამკვიდროს გაყოფით, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე ან იძულებითი აღსრულების შედეგად.

[2] საზოგადოებას თანხმობის მიცემაზე უარი შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემძენის გადახდისუნარიანობა საეჭვოა და არ ხდება საზოგადოების მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის წარდგენა.

მუხლი 685a

[1] წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სახელობითი აქციების გადაცემა შესაძლებელი იყოს მხოლოდ საზოგადოების თანხმობით.

[2] აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებს ასევე უზუფრუქტის დადგენის მიმართაც.

[3] თუ საზოგადოების მიმართ მიმდინარეობს ლიკვიდაცია, მაშინ შეზღუდვა ქარწყლდება.

მუხლი 685b

[1] საზოგადოებას შეუძლია უარი განაცხადოს ზემოაღნიშნული თანხმობის მიცემაზე, როდესაც ის აცხადებს წესდებაში მითითებული მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შესახებ ან აქციათა გამსხვისებელს სთავაზობს აქციების საკუთარი, სხვა აქციონერებისა თუ მესამე პირების სახელით მოთხოვნის მომენტში არსებულ რეალურ ფასად შეძენას.

[2] მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევა აქციონერთა ჯგუფის შექმნის მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც ამართლებს თანხმობის მიცემაზე უარს საზოგადოების მიზნისა თუ საწარმოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის გათვალისწინებით.

[3] გარდა ამისა, საზოგადოებას შეუძლია უარი თქვას აქციათა რეესტრში რეგისტრაციაზე, როდესაც შემძენი პირდაპირ არ განაცხადებს, რომ მან აქციები საკუთარი სახელითა და ხარჯით შეიძინა.

[4] თუ აქციათა შეძენა მოხდა მემკვიდრეობით, სამკვიდროს გაყოფით, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე ან იძულებითი აღსრულების შედეგად, მაშინ საზოგადოებას თანხმობის მიცემაზე უარი შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შემძენს სთავაზობს აქციების მისგან რეალური ღირებულებით შეძენას.

[5] საზოგადოების ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს შეუძლია შემძენს მოსთხოვოს რეალური ღირებულების დადგენა. შეფასების ხარჯები ეკისრება საზოგადოებას.

[6] თუ შემძენი უარს არ განაცხადებს აღნიშნული შეთავაზების მიღებაზე რეალური ღირებულების შეტყობიდან ერთი თვის განმავლობაში, მაშინ ასეთი შეთავაზება ჩაითვლება მიღებულად.

[7] დაუშვებელია წესდებით აქციათა გადაცემის შესაძლებლობის წინაპირობების დამძიმება.

მუხლი 685c

[1] მანამდე, სანამ აქციათა გადაცემისათვის საჭირო თანხმობა არ იქნება მიცემული, აქციებზე საკუთრების უფლება და მასთან დაკავშირებული ყველა უფლება რჩება გამსხვისებელთან.

[2] აქციების მემკვიდრეობით, სამკვიდროს გაყოფით, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე ან იძულებითი აღსრულების შედეგად შეძენის შემთხვევაში საკუთრების უფლება და ქონებრივი უფლებები შემძენზე გადადის დაუყოვნებლივ, ხოლო საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მიღების უფლებები კი, – მხოლოდ საზოგადოების მიერ თანხმობის მიცემის მომენტიდან.

[3] თუ საზოგადოება უარს არ განაცხადებს აღნიშნული თანხმობის მიცემაზე აქციების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში ან ის უარს განაცხადებს მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე, მაშინ ასეთი თანხმობა ჩაითვლება მიცემულად.

მუხლი 685d

[1] ბირჟაზე კოტირებული სახელობითი აქციების დროს საზოგადოებას შეუძლია უარი თქვას შემძენის აქციონერად მიღებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წესდება ითვალისწინებს იმ სახელობითი აქციების პროცენტულ ზღვარს, რომელთათვისაც შემძენი უნდა იქნეს აღიარებული როგორც აქციონერი, ხოლო აღნიშნული ზღვარი კი იქნება გადაცილებული.

[2] გარდა ამისა, საზოგადოებას შეუძლია უარი თქვას აქციათა რეესტრში რეგისტრაციაზე, როდესაც შემძენი საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე პირდაპირ არ განაცხადებს, რომ მან აქციები საკუთარი სახელითა და ხარჯით შეიძინა.

[3] თუ ბირჟაზე კოტირებული სახელობითი აქციების შეძენა მოხდა მემკვიდრეობით, სამკვიდროს გაყოფით ან მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე, მაშინ შემძენისათვის აქციათა რეესტრში რეგისტრაციაზე უარი დაუშვებელია.

მუხლი 685e

თუ ბირჟაზე კოტირებული სახელობითი აქციები იყიდება საფონდო ბირჟაზე, მაშინ გამსხვისებელი ბანკი დაუყოვნებლივ ატყობინებს საზოგადოებას გამსხვისებლის სახელსა და გაყიდული აქციების რაოდენობას.

მუხლი 685f

[1] თუ ბირჟაზე კოტირებული სახელობითი აქციები შეძენილ იქნა საფონდო

ბირჟაზე, მაშინ შესაბამისი უფლებები შემძენზე გადადის აქციების ფაქტობრივი გადაცემით. თუ ბირჟაზე კოტირებული სახელობითი აქციები შეძენილ იქნა საფონდო ბირჟის მიღმა დადებული გარიგებით, მაშინ შესაბამისი უფლებები შემძენზე გადადის იმ მომენტიდან, როდესაც ამ უკანასკნელმა საზოგადოებას წარუდგინა აქციონერად აღიარების მოთხოვნა.

[2] საზოგადოების მიერ შემძენის აქციონერად აღიარებამდე, შემძენს არ შეუძლია როგორც აქციებიდან გამომდინარე ხმის უფლების, ისე ამ უფლებასთან დაკავშირებული სხვა უფლებების რეალიზაცია. შემძენი არ არის შეზღუდული, განახორციელოს აქციონერის კუთვნილი ყველა სხვა უფლება, განსაკუთრებით კი, – ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლება.

[3] საზოგადოების მიერ აქციონერად ჯერ არ აღიარებული შემძენები უფლებამონაცვლეობის შემდეგ რეესტრში რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ აქციათა რეესტრში ხმის უფლების გარეშე. შესაბამისი აქციები საერთო კრებაზე არ ჩაითვლება წარმოდგენილად.

[4] თუ საზოგადოების მიერ შემძენის აქციონერად მიღებაზე უარი უკანონოა, მაშინ საზოგადოებამ უნდა აღიაროს მისი ხმის უფლება და ამ უფლებასთან დაკავშირებული უფლებები სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და აუნაზღაუროს შემძენს მიყენებული ზიანი, რამდენადაც ის ვერ ამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

მუხლი 685g

თუ საზოგადოება არ აცხადებს უარს შემძენის აქციონერად აღიარების მოთხოვნაზე 20 დღის განმავლობაში, მაშინ ეს უკანასკნელი ჩაითვლება ასეთად აღიარებულად.

მუხლი 686

[1] საზოგადოება აწარმოებს სახელობითი აქციების რეესტრს, რომელშიც რეგისტრაციაში ტარდება მესაკუთრეთა და უზუფრუქტუართა სახელები და მისამართები. საზოგადოებამ აღნიშნული რეესტრი უნდა აწარმოოს იმგვარად, რომ ის შვეიცარიის ფარგლებში ნებისმიერ დროს იყოს ხელმისაწვდომი.

[2] აქციათა რეესტრში რეგისტრაციას საფუძვლად უნდა დაედოს აქციის საკუთრების უფლებით შეძენისა თუ უზუფრუქტის უფლების დადგენის დოკუმენტალური დასტური.

[3] საზოგადოებამ აღნიშნული რეგისტრაცია უნდა დაამოწმოს შესაბამისი სერტიფიკატით.

[4] საზოგადოების მიმართ აქციონერად თუ უზუფრუქტუარად მიიჩნევა ის პირი, ვინც ასეთად რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში.

[5] რეგისტრაციის საფუძვლად არსებული დოკუმენტები ინახება აქციათა რეესტრიდან მესაკუთრისა თუ უზუფრუქტუარის შესახებ ჩანაწერის ამოშლის მომენტიდან ათი წლის განმავლობაში.

მუხლი 686a

დაინტერესებული პირების მოსმენის შემდეგ საზოგადოებას შეუძლია ამოშალოს აქციათა რეესტრიდან შესაბამისი ჩანაწერები, თუ ისინი განხორციელდა

შემძენის მიერ მიწოდებული ყალბი ინფორმაციის შედეგად. შემძენს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ჩანაწერის ამოშლის შესახებ.

მუხლი 687

[1] იმ სახელობითი აქციის შემძენს, რომლის თანხაც სრულად არ არის დაფარული, აქციათა რეესტრში მის რეგისტრაციამდე საზოგადოების მიმართ ეკისრება დარჩენილი თანხის გადახდის ვალდებულება.

[2] თუ აქციაზე ხელის მომწერი ასხვისებს მას, მაშინ მას შეიძლება წარედგინოს სარჩელი გადაუხდელი თანხის დაკისრების მოთხოვნით, თუ საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ ორი წლის განმავლობაში საზოგადოების ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება და მისი უფლებამონაცვლე კარგავს აქციიდან გამომდინარე თავის უფლებას.

[3] გამსხვისებელი, რომელიც არ არის აქციაზე ხელის მომწერი, შემძენის აქციის აქციათა რეესტრში რეგისტრაციის შედეგად თავისუფლდება თანხის გადახდის ვალდებულებისაგან.

[4] მანამდე, სანამ სახელობითი აქციების თანხა სრულად არ იქნება დაფარული, ყოველ სერტიფიკატზე უნდა მიეთითოს ნომინალურ ღირებულებაზე გადახდილი თანხა.

მუხლი 688

[1] დროებითი საწარმდგენლო აქციების სერტიფიკატები შეიძლება გამოშვებულ იქნეს მხოლოდ იმ საწარმდგენლო აქციებისათვის, რომელთა ნომინალური ღირებულებაც სრულად იქნა დაფარული. ნომინალური ღირებულების სრულად დაფარვამდე გამოშვებული დროებითი საწარმდგენლო აქციების სერტიფიკატები ბათილია. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები შენარჩუნებულია.

[2] თუ საწარმდგენლო აქციებისათვის გაცემულია დროებითი საწარმდგენლო აქციების სერტიფიკატები, მაშინ გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ მოთხოვნების დათმობისათვის მოქმედი ნორმების შესაბამისად, თუმცა ასეთი გადაცემა საზოგადოების მიმართ ძალმოსილია მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ამ უკანასკნელს შეატყობინებენ ამის შესახებ.

[3] დროებითი სახელობითი აქციების სერტიფიკატებში უნდა მიეთითოს მფლობელების სახელები. აღნიშნული დროებითი სერტიფიკატების გადაცემა რეგულირდება სახელობითი აქციების გადაცემის მიმართ მოქმედი ნორმებით.

მუხლი 689

[1] საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული კუთვნილი უფლებების რეალიზაციას, როგორიცაა საზოგადოების ორგანოთა დანიშვნა, საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მიღება და მოგების განაწილება, აქციონერი ახდენს საერთო კრებაზე.

[2] აქციონერს შეუძლია თავად წარმოადგინოს კუთვნილი აქციები საერთო კრებაზე ან შეუძლია მათი წარმოდგენა იმ მესამე პირის მეშვეობით, რომელიც შესაძლოა არც იყოს აქციონერი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდებით გათვალისწინებული დანაწესები სხვაგვარად ადგენს.

მუხლი 689a

[1] სახელობითი აქციებიდან გამომდინარე წევრობის უფლებების რეალიზაცია შეუძლია იმ პირს, რომელიც ამაზე უფლებამოსილია აქციათა რეესტრში რეგისტრაციის შედეგად ან აქციონერის მხრიდან წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

[2] საწარმდგენლო აქციებიდან გამომდინარე წევრობის უფლებების რეალიზაცია შეუძლია იმ პირს, რომელიც აქციების წარდგენისას თავის თავს წარმოაჩენს როგორც მათი მფლობელი. დირექტორთა საბჭოს შეუძლია დაადგინოს, რომ მფლობელობისათვის წარდგენილ იქნეს მტკიცებულების რაიმე სხვა სახე.

მუხლი 689b

[1] პირი, ვინც საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მიღების უფლებებს ახორციელებს როგორც წარმომადგენელი, ვალდებულია შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები.

[2] პირს, ვინც საწარმდგენლო აქციას ფლობს გირავნობის, დეპოზიტის ან თხოვების საფუძველზე ფაქტობრივი გადაცემით, წევრობის უფლებების რეალიზაცია შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აქციონერის მხრიდან სპეციალურად იყო ამაზე უფლებამოსილი წერილობითი დოკუმენტით.

მუხლი 689c

თუ საზოგადოება საერთო კრებაზე ხმის უფლების განხორციელებაში წარმომადგენლობისათვის აქციონერებს სთავაზობს მისი მმართველი ორგანოების წევრს ან სხვა ქვემდგომ პირს, მაშინ მან ერთდროულად უნდა დაასახელოს ასევე დამოუკიდებელი პირიც, რომელსაც აქციონერების მიერ შეიძლება მიენიჭოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

მუხლი 689d

[1] როდესაც შემნახველს სურს იმოქმედოს როგორც წარმომადგენელი მისთვის მიბარებული აქციებიდან გამომდინარე საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მიღების უფლებების რეალიზაციისას, ის ყოველი საერთო კრების ჩატარებამდე მიმართავს მიმბარებელს ხმის მიცემასთან დაკავშირებული მითითებების მისაღებად.

[2] თუ მიმბარებლის მითითებები დროულად ვერ მიიღება, მაშინ შემნახველი ხმის მიცემის უფლების რეალიზაციას ახდენს მიმბარებლის ზოგადი მითითებების მიხედვით; ასეთი მითითებების არარსებობისას კი ის ხმას აძლევს დირექტორთა საბჭოს მიერ შეთავაზებულ წინადადებებს.

[3] ბანკების შესახებ 1934 წლის 8 ნოემბრის კანონით გათვალისწინებული დაწესებულები და ასევე აქტივების პროფესიონალი მმართველები მიიჩნევიან შემნახველებად, რომლებიც მოქმედებენ როგორც წარმომადგენლები.

მუხლი 689e

[1] მმართველი ორგანოები, ხმის უფლების განმახორციელებელი დამოუკიდებელი წარმომადგენლები და წარმომადგენლად მოქმედი შემნახველები საზოგადოებას ატყობინებენ მათ მიერ წარმოდგენილი აქციების რაოდენობას, სახეო-

ბას, ნომინალურ ღირებულებასა და კლასს. აღნიშნული ინფორმაციის შეუტყობინებლობა შედეგად იწვევს საერთო კრების გადაწყვეტილებების საცილოობას იგივე წინაპირობების არსებობისას, რასაც ადგილი აქვს შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე საერთო კრებაში მონაწილეობის მიღებისას.

[2] თავმჯდომარე საერთო კრებას აწვდის ზოგად ინფორმაციას წარმომადგენლობის თითოეული ფორმის შესახებ. თუ ის არ აწვდის ამ ინფორმაციას საერთო კრებას მიუხედავად აქციონერის მხრიდან ამის მოთხოვნისა, ყოველ აქციონერს შეუძლია გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილებები საზოგადოების მიმართ სარჩელის წარდგენით.

მუხლი 690

[1] თუ აქცია რამდენიმე პირის საერთო საკუთრებაშია, მაშინ უფლებამოსილ პირებს აქციიდან გამომდინარე უფლებების განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ ერთობლივი წარმომადგენლის მეშვეობით.

[2] აქციაზე დადგენილი უზუფრუქტის შემთხვევაში, აქციიდან გამომდინარე უფლებების წარმომადგენლობა ხორციელდება უზუფრუქტუარის მიერ; ეს უკანასკნელი ვალდებულია, აუნაზღაუროს მესაკუთრეს მიყენებული ზიანი, თუ უფლებების წარმომადგენლობისას ის სათანადოდ არ ითვალისწინებს მის ინტერესებს.

მუხლი 691

[1] საერთო კრებაზე ხმის უფლების რეალიზაციის მიზნით აქციის გადაცემა დაუშვებელია, თუ ასეთი გადაცემის განზრახვა მდგომარეობს ხმის უფლების შეზღუდვის გვერდის ავლაში.

[2] ყოველი აქციონერი უფლებამოსილია, გააპროტესტოს დირექტორთა საბჭოში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა ან საერთო კრების ოქმში შეყვანა.

[3] თუ ის პირები, რომლებიც არ არიან უფლებამოსილი საერთო კრებაში მონაწილეობის მიღებაზე, მაინც მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში, მაშინ ყოველ აქციონერს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან თავიდანვე არ გააპროტესტა აღნიშნული, მაინც შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, რამდენადაც სასამართლოში მოპასუხედ გამოსული საზოგადოება ვერ ამტკიცებს, რომ ამ პირების მონაწილეობამ არ იქონია რაიმე ზეგავლება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

მუხლი 692

[1] აქციონერები თავიანთ ხმის უფლებას საერთო კრებაზე ახორციელებენ აქციათა მთლიანი ნომინალური ღირებულების მათ კუთვნილ აქციებთან შეფარდების შესაბამისად.

[2] ყოველ აქციონერს აქვს, სულ ცოტა, ერთი ხმა მაინც იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის მხოლოდ ერთ აქციას ფლობს. თუმცა, წესდებით შეიძლება შეიზღუდოს რამდენიმე აქციის მფლობელი აქციონერის კუთვნილი ხმის რაოდენობა.

[3] თუ საზოგადოების სანაციის შემთხვევაში ადგილი აქვს აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირებას, მაშინ თავდაპირველი ნომინალური ღირებულებით მინიჭებული ხმის უფლება შეიძლება შესაბამისად შენარჩუნდეს.

მუხლი 693

[1] წესდებით ხმის უფლება შეიძლება განისაზღვროს აქციათა ნომინალური ღირებულებისაგან დამოუკიდებლად თითოეული აქციონერის კუთვნილი აქციების რაოდენობის მიხედვით ისე, რომ ყოველი აქცია იძლეოდეს ერთ ხმას.

[2] აღნიშნულ შემთხვევაში ის აქციები, რომლებსაც უფრო ნაკლები ნომინალური ღირებულება აქვს საზოგადოების სხვა აქციებთან შედარებით, შეიძლება გამოშვებულ იქნეს მხოლოდ სახელობითი აქციების სახით და მათი თანხები კი სრულად უნდა იქნეს დაფარული. დანარჩენი აქციების ნომინალური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე ხმის უფლების მქონე აქციათა (Stimmrechtsaktien) ნომინალური ღირებულების ათმაგ ოდენობას.

[3] აქციების რაოდენობის მიხედვით ხმის უფლების განსაზღვრის წესი არ გამოიყენება:

1. აუდიტორის არჩევის მიმართ;
2. საზოგადოების მართვისა თუ მასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემოწმების მიზნით ექსპერტის დასახელების მიმართ;
3. სპეციალური შემოწმების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიმართ;
4. პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ სარჩელის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიმართ.

მუხლი 694

ხმის უფლება წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც გადაიხდება კანონით ან წესდებით დადგენილი თანხა.

მუხლი 695

[1] დირექტორთა საბჭოს წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას ხმის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომლებმაც ნებისმიერი სახით მიიღეს მონაწილეობა საზოგადოების მართვაში.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 696

[1] მორიგი საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიში და აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიში გაცნობის მიზნით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოების ადგილსამყოფელზე. ყოველ აქციონერს შეუძლია მოითხოვოს, რომ მას დაუყოვნებლივ მიეწოდოს აღნიშნული დოკუმენტების ასლი.

[2] სახელობითი აქციების მფლობელ აქციონერებს აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობონ წერილობითი შეტყობინებით, ხოლო საწარმდგენლო აქციების მფლობელ აქციონერებს კი – შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში გამოქვეყნების გზით და ასევე წესდებით გათვალისწინებული ფორმით.

[3] ყოველ აქციონერს საერთო კრების ჩატარებიდან ერთი წლის ვადის განმავლობაში შეუძლია საერთო კრების მიერ დამტკიცებული ფორმით საზოგადოებისაგან მოითხოვოს საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიში და ასევე აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიში.

მუხლი 697

[1] საერთო კრებაზე ყოველი აქციონერი უფლებამოსილია, დირექტორთა საბჭოსაგან მოითხოვოს ინფორმაცია საზოგადოების საქმეების შესახებ, ხოლო აუდიტორებისაგან კი, – მათ მიერ ჩასატარებელი შემოწმების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

[2] ინფორმაციის გაცემა უნდა მოხდეს იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს აუცილებელია აქციონერის კუთვნილი უფლებების განხორციელებისათვის. ინფორმაციის გაცემაზე შეიძლება ითქვას უარი, როდესაც ამის შედეგად საფრთხე ექმნება საზოგადოების კომერციულ საიდუმლოებას ან სხვა პატივსადებ ინტერესებს.

[3] საბუღალტრო წიგნებისა და საქმიანი მიმოწერის ნახვა შესაძლებელია მხოლოდ საერთო კრების ექსკლუზიური ნებართვით ან დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით და მხოლოდ კომერციული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფით.

[4] თუ პირს ინფორმაციის გაცემაზე ან საბუღალტრო წიგნებისა თუ საქმიანი მიმოწერის გაცნობაზე გაუმართლებლად ეტყვიან უარს, მაშინ ამის შესახებ შესაბამისი განცხადების საფუძველზე დადგენილებას იღებს სასამართლო.

მუხლი 697a

[1] ყოველ აქციონერს შეუძლია მოსთხოვოს საერთო კრებას საქმის განსაზღვრული გარემოებების გარკვევა სპეციალური შემოწმების ჩატარებით, რამდენადაც ეს აუცილებელია აქციონერის კუთვნილი უფლებების განხორციელებისათვის და მან უკვე მოახდინა ინფორმაციის მიღებისა თუ საბუღალტრო წიგნებისა და საქმიანი მიმოწერის გაცნობის უფლებების რეალიზაცია.

[2] თუ საერთო კრება აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ საზოგადოებას ან ყოველ აქციონერს შეუძლია 30 დღის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს სპეციალური აუდიტორის დანიშვნის მოთხოვნით.

მუხლი 697b

[1] თუ საერთო კრება არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ იმ აქციონერებს, რომლებიც ერთად წარმოადგენენ სააქციო კაპიტალის, სულ ცოტა, 10 პროცენტს ან 2 მილიონი ფრანკის ღირებულების მქონე აქციებს, სამი თვის განმავლობაში შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სპეციალური აუდიტორის დანიშვნის მოთხოვნით.

[2] განმცხადებლებს აქვთ მოთხოვნის უფლება სპეციალური აუდიტორის დანიშვნაზე, როდესაც ისინი ამტკიცებენ, რომ საზოგადოების დამფუძნებლებმა ან მმართველმა ორგანოებმა დაარღვიეს კანონი ან წესდება და ამით ზიანი მიაყენეს საზოგადოებას ან აქციონერებს.

მუხლი 697c

[1] სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოებისა და განმცხადებლის მოსმენის შემდეგ.

[2] თუ სასამართლო აკმაყოფილებს მოთხოვნას, მაშინ ის დამოუკიდებელ ექსპერტს ავალებს შემოწმების ჩატარებას. სასამართლო მოთხოვნის ფარგლებში განსაზღვრავს შემოწმების ობიექტს.

[3] სასამართლოს შეუძლია სპეციალური შემოწმება ერთობლივად რამდენიმე ექსპერტსაც დაავალოს.

მუხლი 697d

[1] სპეციალური შემოწმება უნდა განხორციელდეს გონივრული ვადის განმავლობაში და ბიზნესსაქმიანობისათვის არასაჭირო ხელის შეშლის გარეშე.

[2] საზოგადოების დამფუძნებლებმა, მმართველმა ორგანოებმა, რწმუნებულებმა, დასაქმებულებმა, საქმეთა მმართველებმა და ლიკვიდატორებმა სპეციალურ აუდიტორს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ნებისმიერი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოების შესახებ. დავის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

[3] სპეციალური აუდიტორი მოუსმენს საზოგადოებას სპეციალური შემოწმების შედეგების თაობაზე.

[4] სპეციალურ აუდიტორს ეკისრება ინფორმაციის გაუხმაურებლობის ვალდებულება.

მუხლი 697e

[1] სპეციალური აუდიტორი მის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ ადგენს დეტალურ ანგარიშს, თუმცა მან უნდა უზრუნველყოს კომერციული საიდუმლოების დაცვა. თავის ანგარიშს ის წარუდგენს სასამართლოს.

[2] სასამართლო ანგარიშს უგზავნის საზოგადოებას და მისი მოთხოვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, არღვევს თუ არა ანგარიშის ცალკეული პუნქტები კომერციული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას ან სხვა პატივსადებ ინტერესებს და, შესაბამისად, – იმის შესახებ, რომ ის არ უნდა წარედგინოს განმცხადებლებს.

[3] სასამართლო საზოგადოებასა და განმცხადებლებს აძლევს შესაძლებლობას, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები კორექტირებულ ანგარიშთან დაკავშირებით და დასვან დამატებითი შეკითხვები.

მუხლი 697f

[1] დირექტორთა საბჭო უახლოეს საერთო კრებას განსახილველად წარუდგენს ანგარიშსა და მასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს.

[2] ყოველ აქციონერს საერთო კრების ჩატარებიდან ერთი წლის განმავლობაში შეუძლია საზოგადოებისაგან მოითხოვოს ანგარიშისა და მასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების ტექსტის ასლი.

მუხლი 697g

[1] თუ სასამართლო აკმაყოფილებს სპეციალური აუდიტორის დანიშვნის მოთხოვნას, მაშინ ავანსის თანხის გადახდისა და ხარჯების გაწევის ვალდებულებას ის აკისრებს საზოგადოებას. როდესაც ეს გამართლებულია განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია ხარჯების გაწევის ვალდებულება სრულად ან ნაწილობრივ დააკისროს განმცხადებლებს.

[2] თუ საერთო კრება დაეთანხმა სპეციალურ შემოწმებას, მაშინ ხარჯები ეკისრება საზოგადოებას.

მუხლი 697h (გაუქმებულია)

მუხლი 697i

[1] ნებისმიერი პირი, რომელიც იძენს ბირჟაზე არაკოტირებული აქციების მქონე საზოგადოების საწარმდგენლო აქციებს, ვალდებულია ერთი თვის ვადაში შეატყობინოს საზოგადოებას შეძენის ფაქტის შესახებ, ისევე როგორც – აცნობოს მას თავისი სახელი და გვარი ან საფირმო სახელწოდება და თავისი მისამართი.

[2] აქციონერმა უნდა დაამტკიცოს საწარმდგენლო აქციის ფლობის ფაქტი და მოახდინოს თავისი პიროვნების იდენტიფიცირება:

a. ფიზიკური პირის შემთხვევაში: ფოტოსურათიანი ოფიციალური დოკუმენტით, სახელდობრ, – პასპორტის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მართვის მოწმობის ორიგინალითა თუ ასლით;

b. შვეიცარიაში რეგისტრირებული იურდიული პირის შემთხვევაში: სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული ამონაწერით;

c. უცხოეთში რეგისტრირებული იურდიული პირის შემთხვევაში: უცხოური სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული მიმდინარე დამოწმებული ამონაწერით ან ეკვივალენტური დოკუმენტით.

[3] აქციონერმა უნდა აცნობოს საზოგადოებას თავისი სახელისა თუ გვარის ან საფირმო სახელწოდებისა და თავისი მისამართის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

[4] შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ ელექტრონული ფასიანი ქაღალდების შესახებ 2008 წლის 3 ოქტომბრის კანონის თანახმად საწარმდგენლო აქციები ფორმდება ელექტრონული ფასიანი ქაღალდების სახით. საზოგადოება განსაზღვრავს შენახვის ადგილს, სადაც ხდება საწარმდგენლო აქციების განთავსება ან მთავარ რეესტრში რეგისტრაცია; შენახვის ადგილი უნდა იყოს შვეიცარიაში.

მუხლი 697j

[1] ნებისმიერი პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან მესამე პირებთან არსებული შეთანხმებით იძენს ბირჟაზე არაკოტირებული აქციების მქონე საზოგადოების აქციებს და ამის შედეგად აღწევს ან აჭარბებს სააქციო კაპიტალისა თუ ხმების 25-პროცენტიან ზღვარს, ვალდებულია ერთი თვის ვადაში შეატყობინოს საზოგადოებას იმ ფიზიკური პირის სახელი, გვარი და მისამართი, ვის სასარგებლოდაც ის საბოლოოდ მოქმედებს (ბენეფიციარი მესაკუთრე).

[2] აქციონერმა უნდა აცნობოს საზოგადოებას ბენეფიციარი მესაკუთრის სახელისა თუ გვარის ან მისამართის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

[3] შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ ელექტრონული ფასიანი ქაღალდების შესახებ 2008 წლის 3 ოქტომბრის კანონის თანახმად აქციები ფორმდება ელექტრონული ფასიანი ქაღალდების სახით. საზოგადოება განსაზღვრავს შენახვის ადგილს, სადაც ხდება აქციების განთავსება ან მთავარ რეესტრში რეგისტრაცია; შენახვის ადგილი უნდა იყოს შვეიცარიაში.

მუხლი 697k

[1] საერთო კრებას შეუძლია გაითვალისწინოს, რომ 697i და 697j მუხლებში მი-

თითებული შეტყობინებები, რომლებიც ეხება საწარმდგენლო აქციებს, წარედგინება არა საზოგადოებას, არამედ ფინანსურ შუამავალს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ 1997 წლის 10 ოქტომბრის კანონის გაგებით.

[2] დირექტორთა საბჭო ნიშნავს ფინანსურ შუამავალს და ატყობინებს აქციონერებს დანიშნული პირის შესახებ.

[3] ფინანსურმა შუამავალმა საზოგადოებას ნებისმიერ დროს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელი საწარმდგენლო აქციებისათვის მოხდა შეტყობინებების წარდგენა და ასევე – იმის შესახებ, რომ მფლობელობის ფაქტი შემოწმებულია.

მუხლი 697l

[1] საზოგადოება აწარმოებს საწარმდგენლო აქციების მფლობელი აქციონერების რეესტრს, ისევე როგორც – საზოგადოებისათვის შეტყობინებული ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრს.

[2] აღნიშნული რეესტრი შეიცავს საწარმდგენლო აქციების მფლობელი აქციონერებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების სახელსა და გვარს ან საფირმო სახელწოდებასა და მისამართს. რეესტრი შეიცავს ასევე საწარმდგენლო აქციების მფლობელი აქციონერების მოქალაქეობასა და დაბადების თარიღს.

[3] 697i და 697j მუხლების შესაბამისად შეტყობინების საფუძვლად არსებული დოკუმენტები ინახება პირის შესახებ ჩანაწერის რეესტრიდან ამოშლის მომენტიდან ათი წლის განმავლობაში.

[4] თუ 697k მუხლის შესაბამისად საზოგადოებამ დანიშნა ფინანსური შუამავალი, მაშინ რეესტრის წარმოებასა და დოკუმენტების შენახვაზე კომპეტენტურია ეს უკანასკნელი.

[5] რეესტრის წარმოება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შვეიცარიის ფარგლებში ის ნებისმიერ დროს იყოს ხელმისაწვდომი.

მუხლი 697m

[1] მანამდე, სანამ აქციონერი არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ შეტყობინების წარდგენის ვალდებულებას, იმ აქციებთან დაკავშირებული წევრობის უფლებები, რომელთა შეძენაც უნდა იქნეს შეტყობინებული, ექვემდებარება შეჩერებას.

[2] აქციონერს აქციებთან დაკავშირებული ქონებრივი უფლებების რეალიზაცია შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან შეასრულა მასზე დაკისრებული შეტყობინების წარდგენის ვალდებულება.

[3] თუ აქციონერი მასზე დაკისრებულ შეტყობინების წარდგენის ვალდებულებას არ ასრულებს აქციების შეძენიდან ერთი თვის განმავლობაში, მაშინ ქონებრივი უფლებები ქარწყლდება. თუ აქციონერი შეტყობინების წარდგენის ვალდებულებას მოგვიანებით შეასრულებს, მაშინ მას შეუძლია ამ მომენტის შემდგომ წარმოშობილი ქონებრივი უფლებების რეალიზაცია.

[4] დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს იმას, რომ აქციონერებმა არ მოახდინონ თავიანთი უფლებების რეალიზაცია მათზე დაკისრებული შეტყობინების ვალდებულების დარღვევით.

მესამე თავი: სააქციო საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობა

A. საერთო კრება

მუხლი 698

[1] სააქციო საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება.

[2] საერთო კრებას აქვს შემდეგი უფლებამოსილებები, რომლებიც არ ექვემდებარება სხვა პირებისათვის გადაცემას:

1. წესდების მიღება და შეცვლა;
2. დირექტორთა საბჭოს წევრთა და აუდიტორის არჩევა;
3. საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;
4. წლიური ანგარიშის დამტკიცება, ისევე როგორც – საბალანსო მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, განსაკუთრებით კი, – დივიდენდებისა და უმაღლეს თანამდებობის პირებზე მოგების პროცენტის სახით დამატებითი გასამრჯელოების ოდენობის დადგენა;
5. დირექტორთა საბჭოს წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლება;
6. იმ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც კანონისა თუ წესდების თანახმად მიეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას.

მუხლი 699

[1] საერთო კრება მოიწვევა დირექტორთა საბჭოს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – აუდიტორის მიერ. მოწვევის უფლება აქვთ ასევე ლიკვიდატორებსა და სასესხო დოკუმენტიდან გამომდინარე კრედიტორთა წარმომადგენლებს.

[2] მორიგი საერთო კრება ტარდება ყოველწლიურად სამეურნეო წლის დასრულებიდან ექვსი თვის ვადის განმავლობაში, ხოლო რიგგარეშე კრებები კი მოიწვევა საჭიროების მიხედვით.

[3] საერთო კრების მოწვევა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასევე ერთი ან რამდენიმე აქციონერის მიერაც, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ, სულ ცოტა, სააქციო კაპიტალის 10 პროცენტს. იმ აქციონერებს, რომლებიც წარმოადგენენ 1 მილიონი ფრანკის ღირებულების მქონე აქციებს, შეუძლიათ მოითხოვონ დღის წესრიგზე საკითხის დამატება (Traktandierung). საერთო კრების მოწვევა და დღის წესრიგზე საკითხის დამატება ხდება წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დღის წესრიგის საკითხისა და წინადადებების მითითებით.

[4] თუ დირექტორთა საბჭო აღნიშნულ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს გონივრული ვადის განმავლობაში, მაშინ განმცხადებლის წინადადებების საფუძველზე საერთო კრების მოწვევის შესახებ დადგენილებას იღებს სასამართლო.

მუხლი 700

[1] საერთო კრება წესდებით გათვალისწინებული ფორმით მოწვეულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 20 დღისა იმ თარიღამდე, რომლისათვისაც კრება არის დანიშნული.

[2] კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, ისევე როგორც – დირექტორთა საბჭოსა და იმ აქციონერთა წინადადებებს, რომლებმაც მოითხოვეს საერთო კრების ჩატარება ან დღის წესრიგზე საკითხის დამატება.

[3] დაუშვებელია იმ წინადადებებზე გადაწყვეტილების მიღება, რომლებიც არ განეკუთვნება დღის წესრიგს; გამონაკლისს წარმოადგენს წინადადებები რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ, სპეციალური შემოწმების ჩატარებისა და აქციონერის მოთხოვნის საფუძველზე აუდიტორის არჩევის შესახებ.

[4] წინასწარი შეტყობინება არ მოითხოვება დღის წესრიგის ფარგლებში წინადადებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების გარეშე საკითხების განხილვისათვის.

მუხლი 701

[1] იმ შემთხვევაში, თუ პროტესტი არ არის წარდგენილი, ყველა აქციის მესაკუთრეებსა თუ წარმომადგენლებს საერთო კრების ჩატარება შეუძლიათ კრების მოწვევის ფორმალური მოთხოვნების დაცვის გარეშეც.

[2] აღნიშნულ კრებაზე შესაძლებელია საერთო კრების კომპეტენციაში შემავალი ყველა საკითხის ქმედითად განხილვა და გადაწყვეტილების მიღება იმ პირობით, რომ მას ესწრებიან ყველა აქციის მესაკუთრეები ან წარმომადგენლები.

მუხლი 702

[1] დირექტორთა საბჭო იღებს აუცილებელ ზომებს ხმის უფლებათა განსაზღვრისათვის.

[2] დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს ოქმის შედგენას. ამ უკანასკნელში აღინიშნება:

1. აქციონერების, მმართველი ორგანოების, ხმის უფლების განხორციელებაში დამოუკიდებელი წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის სახით მოქმედი აქციების შემნახველების მიერ წარმოდგენილი აქციების რაოდენობა, სახეობა, ნომინალური ღირებულება და კლასი;

2. გადაწყვეტილებები და არჩევნების შედეგები;

3. ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნები და მათზე გაცემული პასუხები;

4. აქციონერების მიერ ოქმის ტექსტის მიმართ წარდგენილი ახსნა-განმარტებები.

[3] აქციონერებს აქვთ ოქმის ტექსტის გაცნობის უფლება.

მუხლი 702a

დირექტორთა საბჭოს წევრებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ საერთო კრებაში. მათ შეუძლიათ ასევე წინადადებების წარდგენა.

მუხლი 703

რამდენადაც კანონით ან წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს და ატარებს არჩევნებს წარმოდგენილი სააქციო ხმების აბსოლუტური უმრავლესობით.

მუხლი 704

[1] საერთო კრების შემდეგი გადაწყვეტილება ითხოვს, სულ ცოტა, წარმოდგენილი ხმების ორ მესამედსა და აქციების ნომინალური ღირებულების აბსოლუტურ უმრავლესობას:

1. საზოგადოების მიზნის შეცვლა;
2. რამდენიმე ხმის უფლების მქონე აქციათა შემოღება;
3. სახელობითი აქციების გადაცემის შესაძლებლობის შეზღუდვა;
4. საზოგადოების კაპიტალის მოწონებული და პირობითი გაზრდა ან ბანკების შესახებ 1934 წლის 8 ნოემბრის კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად სარეზერვო კაპიტალის შექმნა;
5. საზოგადოების კაპიტალის გაზრდა საკუთარი კაპიტალის ხარჯზე, ქონებრივი შენატანის სანაცვლოდ ან საზოგადოების კაპიტალში ქონებრივი შენატანის მიღებისა და სპეციალური პრივილეგიების მინიჭების მიზნით;
6. ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლების შეზღუდვა ან გაუქმება;
7. საზოგადოების ადგილსამყოფელის შეცვლა;
8. საზოგადოების გაუქმება.

[2] წესდების ის დანაწესები, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებისათვის ადგენს კანონით გათვალისწინებულზე მეტ უმრავლესობას, შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ წინასწარ გათვალისწინებული უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით.

[3] სახელობითი აქციების მქონე ის აქციონერები, რომლებიც არ დაეთანხმნენ საზოგადოების მიზნის შეცვლის ან რამდენიმე ხმის უფლების მქონე აქციათა შემოღების გადაწყვეტილებას, შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში ამ უკანასკნელის გამოქვეყნებიდან ექვსი თვის ვადის განმავლობაში არ არიან შებოჭილი აქციების გადაცემის შესაძლებლობის წესდებით გათვალისწინებული შეზღუდვებით.

მუხლი 704a

საწარმდგენლო აქციების სახელობით აქციებად გარდაქმნის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მიცემულ ხმათა უმრავლესობით. დაუშვებელია წესდებით აქციების გარდაქმნის პირობების გართულება.

მუხლი 705

[1] საერთო კრება უფლებამოსილია, თანამდებობიდან გაათავისუფლოს დირექტორთა საბჭოს წევრები და აუდიტორები, ისევე როგორც – ნებისმიერი მის მიერ არჩეული რწმუნებული და მინდობილი პირი.

[2] შენარჩუნებულია თანამდებობიდან გათავისუფლებული პირების კუთვნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები.

მუხლი 706

[1] დირექტორთა საბჭოსა და ყოველ აქციონერს საზოგადოების წინააღმდეგ სარჩელის სასამართლოში წარდგენით შეუძლიათ გაასაჩივრონ საერთო კრების გადაწყვეტილებები, რომლებიც არღვევს კანონისა თუ წესდების ნორმებს.

[2] კერძოდ, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილებები, რომლებიც

1. კანონისა თუ წესდების ნორმების დარღვევით ართმევს აქციონერებს განსაზღვრულ უფლებებს ან ზღუდავს მათ;

2. არასათანადოდ ართმევს აქციონერებს განსაზღვრულ უფლებებს ან ზღუდავს მათ;

3. შედეგად იწვევს საზოგადოების მიზნით გაუმართლებელ არათანაბარ მოპყრობას ან აქციონერების ინტერესების დარღვევას;

4. ახდენს საზოგადოების გარდაქმნას არასამეწარმეო იურიდიულ პირად ყველა აქციონერის თანხმობის გარეშე.

[3-4] ... (გაუქმებულია)

[5] სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აუქმებს საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მოქმედებს ყველა აქციონერის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ.

მუხლი 706a

[1] გასაჩივრების უფლება ქარწყლდება, თუ სარჩელი არ იქნება წარდგენილი საერთო კრების ჩატარებიდან მაქსიმუმ ორი თვის ვადის განმავლობაში.

[2] თუ მოსარჩელეს წარმოადგენს დირექტორთა საბჭო, მაშინ სასამართლო საზოგადოებას უნიშნავს წარმომადგენელს.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 706b

კერძოდ, ბათილია საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც:

1. აქციონერებს ართმევს საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას, მინიმალური ხმის უფლებას, სარჩელის წარდგენის უფლებას ან კანონის მიერ იმპერატიულად უზრუნველყოფილ აქციონერთა სხვა უფლებებს ან ზღუდავს ამ უფლებებს;

2. ზღუდავს აქციონერების მიერ კანონით დაშვებულ ზღვარს მიღმა განხორციელებულ კონტროლის უფლებას ან

3. უგულებელყოფს სააქციო საზოგადოების ბაზისურ სტრუქტურას ან არღვევს კაპიტალის დაცვის მომწესრიგებელ დანაწესებს.

B. დირექტორთა საბჭო

მუხლი 707

[1] დირექტორთა საბჭო შედგება ერთი ან რამდენიმე წევრისაგან.

[2] ... (გაუქმებულია)

[3] თუ საზოგადოების კაპიტალში მონაწილეობს იურიდიული პირი ან სავაჭრო საზოგადოება, მაშინ მისი დირექტორთა საბჭოს წევრად არჩევა დაუშვებელია; თუმცაღა, მის ნაცვლად შესაძლებელია მისი წარმომადგენლის არჩევა.

მუხლი 708 (გაუქმებულია)

მუხლი 709

[1] თუ ხმის უფლებასთან ან ქონებრივ მოთხოვნის უფლებებთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა კლასის აქციები, მაშინ წესდება უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული კატეგორიის აქციათა მფლობელი აქციონერების უფლებას, დირექტორთა საბჭოში აირჩიონ, სულ ცოტა, ერთი წარმომადგენელი მაინც.

[2] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს უმცირესობის ან აქციონერთა ცალკეული ჯგუფების დაცვის სპეციალურ დანაწესებს.

მუხლი 710

[1] რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ განსაზღვრავს, დირექტორთა საბჭოს წევრები აირჩევიან სამი წლის ვადით. თუმცა, დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს წელს.

[2] ხელახალი არჩევა შესაძლებელია.

მუხლი 711 (გაუქმებულია)

მუხლი 712

[1] დირექტორთა საბჭო ნიშნავს თავის თავმჯდომარესა და მდივანს. ეს უკანასკნელი შესაძლოა არც იყოს დირექტორთა საბჭოს წევრი.

[2] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს თავმჯდომარის არჩევას საერთო კრების მიერ.

მუხლი 713

[1] დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება მიცემულ ხმათა უმრავლესობით. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

[2] გადაწყვეტილებები შეიძლება მიღებულ იქნეს ასევე წარმოდგენილ წინადადებაზე წერილობითი თანხმობის მიცემის გზით, რამდენადაც დირექტორთა საბჭოს წევრი არ ითხოვს საკითხის ზეპირ განხილვას.

[3] საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილებების შესახებ უნდა შედგეს ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 714

დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებების მიმართ აზრობრივად მოქმედებს ბათილობის იგივე საფუძვლები, რაც გათვალისწინებულია საერთო კრების გადაწყვეტილებებისათვის.

მუხლი 715

დირექტორთა საბჭოს ყოველ წევრს შეუძლია თავმჯდომარისაგან მოითხოვოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა მისი საჭიროების დასაბუთებით.

მუხლი 715a

[1] დირექტორთა საბჭოს ყოველ წევრს შეუძლია მოითხოვოს საზოგადოების ყოველგვარ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება.

[2] სხდომებზე დირექტორთა საბჭოს ყველა წევრი და ასევე საზოგადოების მართვაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან, გასცენ შესაბამისი ინფორმაცია.

[3] სხდომების მიღმა ნებისმიერ წევრს შეუძლია საზოგადოების მართვაზე უფლებამოსილი პირებისაგან მოითხოვოს ბიზნესსაქმიანობის შესახებ ინფორმაცია, ხოლო თავმჯდომარის ნებართვით კი, – ასევე ცალკეული გარიგებების შესახებაც ინფორმაცია.

[4] რამდენადაც ეს აუცილებელია დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, ნებისმიერ წევრს შეუძლია მოსთხოვოს თავმჯდომარეს მისთვის საბუღალტრო წიგნებისა და დოკუმენტების წარდგენა.

[5] თუ თავმჯდომარე უარს ამბობს ინფორმაციის მიწოდების, წევრის მოსმენისა თუ დოკუმენტების გაცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორთა საბჭო.

[6] შენარჩუნებულია დირექტორთა საბჭოს საქმიანობის მომწესრიგებელი იმ წესებისა თუ გადაწყვეტილებების მოქმედება, რომლებიც აფართოებს დირექტორთა საბჭოების მიერ ინფორმაციის მიღებისა და დოკუმენტების გაცნობის უფლებამოსილებას.

მუხლი 716

[1] დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია ყველა იმ საკითხზე, რომლებიც კანონის ან წესდების თანახმად არ შედის საერთო კრების კომპეტენციაში.

[2] დირექტორთა საბჭო ახორციელებს საზოგადოების საქმეთა მართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან საქმეთა მართვა სხვა პირს გადააკისრა.

მუხლი 716a

[1] დირექტორთა საბჭოს ეკისრება შემდეგი მოვალეობები, რომელთა სხვა პირისათვის გადაცემა და ჩამორთმევა დაუშვებელია:

1. საზოგადოების ზოგადი მართვა და აუცილებელი მითითებების მიცემა;
2. საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის განსაზღვრა;
3. საბუღალტრო აღრიცხვის, საფინანსო კონტროლისა და დაგეგმარების ორგანიზაციული მოწყობა, რამდენადაც ეს აუცილებელია საზოგადოების მართვისათვის;
4. საზოგადოების მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;
5. საზოგადოების მართვაზე უფლებამოსილი პირების საქმიანობაზე, სახელდობრ კი, – კანონის ნორმების, წესდების დებულებების, რეგულაციებისა და მითითებების შესრულებაზე ზედამხედველობა;
6. საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის შემუშავება, ისევე როგორც საერთო კრების სხდომის მომზადება და მისი გადაწყვეტილებების შესრულება;
7. საზოგადოების ზედავალიანების შემთხვევაში სასამართლოსათვის შესაბამისი შეტყობინების წარდგენა.

[2] დირექტორთა საბჭოს შეუძლია თავისი გადაწყვეტილებების მომზადებისა

და შესრულების მოვალეობა ან დადებული გარიგებების კონტროლის უფლებამოსილება გადასცეს კომიტეტებს ან ცალკეულ წევრებს. დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყოს სათანადო ანგარიშგება მისი წევრების მიმართ.

მუხლი 716b

[1] წესდებით დირექტორთა საბჭოს შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, საზოგადოების საორგანიზაციო რეგულაციების შესაბამისად საქმეთა მართვა სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს ცალკეულ წევრებსა თუ მესამე პირებს.

[2] ზემოაღნიშნული რეგულაციები აწესრიგებს საზოგადოების საქმეთა მართვას, განსაზღვრავს ამისათვის საჭირო ორგანოებს, ადგენს მათ მოვალეობებს და, განსაკუთრებით კი, – შიდა ანგარიშგებას. განცხადების საფუძველზე საზოგადოების საქმეთა მართვის ორგანიზების შესახებ დირექტორთა საბჭო წერილობით ატყობინებს აქციონერებსა და საზოგადოების იმ კრედიტორს, რომელიც ამტკიცებს პატივსადები ინტერესის არსებობას.

[3] რამდენადაც საზოგადოების საქმეთა მართვა არ გადაეცა სხვას, მისი განხორციელება ერთობლივად ევალება დირექტორთა საბჭოს ყველა წევრს.

მუხლი 717

[1] დირექტორთა საბჭოს წევრებმა და ასევე საზოგადოების მართვაში ჩართულმა მესამე პირებმა მათზე დაკისრებული მოვალეობები უნდა შეასრულონ მაქსიმალური ზრუნვითა და საზოგადოების ინტერესების კეთილსინდისიერი დაცვით.

[2] ერთგვაროვანი წინაპირობების არსებობისას დირექტორთა საბჭოს წევრებს ეკისრებათ აქციონერების მიმართ თანასწორი მოპყრობის ვალდებულება.

მუხლი 718

[1] დირექტორთა საბჭო წარმოადგენს საზოგადოებას გარე ურთერთობებში. თუ წესდება ან საზოგადოების საორგანიზაციო რეგულაციები სხვაგვარად არ განსაზღვრავს, მაშინ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ეკუთვნის დირექტორთა საბჭოს ყოველ ცალკეულ წევრს.

[2] დირექტორთა საბჭოს შეუძლია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭოს ერთ ან რამდენიმე წევრს (დელეგატები) ან მესამე პირებს (აღმასრულებელი დირექტორები).

[3] სულ ცოტა, დირექტორთა საბჭოს ერთი წევრი მაინც უნდა იყოს საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი.

[4] საზოგადოების წარმომადგენლობა შესაძლებელი უნდა იყოს იმ პირის მიერ, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი შვეიცარიაში აქვს. ეს პირი უნდა იყოს დირექტორთა საბჭოს წევრი ან აღმასრულებელი დირექტორი. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს აქციათა რეესტრისათვის, ისევე როგორც 697I მუხლით გათვალისწინებული რეესტრისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უკანასკნელს აწარმოებს ფინანსური შუამავალი.

მუხლი 718a

[1] წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ საზოგადოების

სახელით ყველა იმ გარიგების დადება, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების მიზნებს.

[2] აღნიშნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ სამართლებრივი ძალა არა აქვს; გამონაკლისს წარმოადგენს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული სათავო ოფისისა თუ ფილიალის ექსკლუზიური ან საზოგადოების ერთობლივი წარმომადგენლობის მომწესრიგებელი დებულებები.

მუხლი 718b

თუ ხელშეკრულების დადებისას საზოგადოებას წარმოადგენს ის პირი, რომელთანაც საზოგადოება დებს ხელშეკრულებას, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა გაფორმდეს წერილობით. ეს მოთხოვნა არ მოქმედებს მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა შემთხვევაშიც საზოგადოების მიერ განსახორციელებელი შესრულების ღირებულება არ აღემატება 1000 ფრანკს.

მუხლი 719

საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირებმა დოკუმენტებზე ხელის მოწერა უნდა მოახდინონ თავიანთ ხელმოწერაზე საზოგადოების საფირმო სახელწოდების დამატებით.

მუხლი 720

დირექტორთა საბჭომ უნდა მიმართოს განცხადებით სამეწარმეო რეესტრს საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების რეგისტრაციის მოთხოვნით და ის წარუდგენს რეესტრს გადაწყვეტილების დამოწმებულ ასლს. ამ პირებმა თავიანთი ხელმოწერები სამეწარმეო რეესტრის სამსახურს უნდა წარუდგინონ პირადად ან სათანადოდ დამოწმებული ფორმით.

მუხლი 721

დირექტორთა საბჭოს შეუძლია დანიშნოს პროკურისტები და სხვა უფლებამოსილი პირები.

მუხლი 722

საზოგადოება პასუხს აგებს იმ დელიქტებიდან გამომდინარე ზიანისათვის, რომლებსაც საზოგადოების მართვასა თუ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი სჩადის მასზე დაკისრებული მართვის ფუნქციების განხორციელების დროს.

მუხლები 723–724 (გაუქმებულია)

მუხლი 725

[1] თუ უკანასკნელი წლის ბალანსიდან ირკვევა, რომ ვეღარ იფარება სააქციო კაპიტალისა და კანონისმიერი რეზერვების ნახევარი, მაშინ დირექტორთა საბჭო დაუყოვნებლივ იწვევს საერთო კრებას და სთავაზობს მას სანაციის ღონისძიებებს.

[2] როდესაც არსებობს ზედავალიანების წარმოშობის რეალური საფრთხე, უნდა შედგეს შუალედური ბალანსი და ეს უკანასკნელი უნდა წარედგინოს ლიცენზირებულ აუდიტორს შემოწმებისათვის. თუ შუალედური ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოების კრედიტორების მოთხოვნები არ იფარება არც საბაზრო და არც სალიკვიდაციო ღირებულებით, მაშინ დირექტორთა საბჭომ შესაბამისი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს სასამართლოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საზოგადოების კრედიტორები არსებული არასაკმარისი დაფინანსების მოცულობით უთმობენ უპირატეს რიგს საზოგადოების ყველა სხვა კრედიტორს.

[3] თუ საზოგადოებას არა ჰყავს აუდიტორი, მაშინ შეზღუდული შემოწმების განმახორციელებელი აუდიტორის მიმართ შეტყობინების ვალდებულების შესრულება ეკისრება ლიცენზირებულ აუდიტორს.

მუხლი 725a

[1] ზედავალიანების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე სასამართლო ხსნის გაკოტრების საქმის წარმოებას. დირექტორთა საბჭოს ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გადადოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა, როდესაც არსებობს სანაციის განხორციელების პერსპექტივა; ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლო იღებს ქონების შენარჩუნების ღონისძიებებს.

[2] სასამართლოს შეუძლია დანიშნოს საქმეთა მმართველი და ჩამოართვას დირექტორთა საბჭოს განკარგვის უფლებამოსილება ან მისი გადაწყვეტილებები დამოკიდებული გახადოს საქმეთა მმართველის თანხმობაზე. სასამართლო განსაზღვრავს საქმეთა მმართველის მოვალეობებს.

[3] გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადადება უნდა გამოქვეყნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია მესამე პირთა ინტერესების დაცვისათვის.

მუხლი 726

[1] დირექტორთა საბჭოს შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან მის მიერ დანიშნული კომიტეტები, დელეგატები, აღმასრულებელი დირექტორები და სხვა რწმუნებულები და მინდობილი პირები.

[2] საერთო კრების მიერ დანიშნულ რწმუნებულებსა და მინდობილ პირებს ნებისმიერ დროს შეიძლება დირექტორთა საბჭოს მიერ შეუჩერდეთ მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება საერთო კრების დაუყოვნებლივ მოწვევის პირობით.

[3] შენარჩუნებულია თანამდებობიდან გათავისუფლებული ან იმ პირების კუთვნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, რომლებსაც შეუჩერდათ მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება.

C. აუდიტორები

მუხლი 727

[1] შემდეგმა საზოგადოებებმა უნდა მოახდნონ თავიანთი წლიური ანგარიშისა

და, აუცილებლობის შემთხვევაში, – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტორის მხრიდან სტანდარტული შემოწმება:

1. საჯაროდ მოვაჭრე საზოგადოებები; ასეთად ითვლება საზოგადოებები, რომლებსაც:

a. აქვთ ბირჟაზე კოტირებული წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდები,

b. აქვთ სასესხო დოკუმენტიდან გამომდინარე გადაუხდელი ვალდებულებები,

c. საზოგადობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშისათვის ახორციელებენ შენატანს a ან b ქვეპუნქტების შესაბამისად, სულ ცოტა, აქტივების ან ბრუნვის 20 პროცენტის ოდენობით;

2. საზოგადოებები, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით ორი სამეურნეო წლის განმავლობაში აჭარბებენ ქვემოთ მოცემულ ორ სიდიდეს:

a. საბალანსო ნარჩენი თანხა 20 მილიონი ფრანკის ოდენობით;

b. ბრუნვიდან მოგება 40 მილიონი ფრანკის ოდენობით;

c. საშუალოდ წელიწადის განმავლობაში 250 სრული შტატი;

3. საზოგადოებები, რომლებსაც ეკისრებათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მომზადება.

[2] სტანდარტული აუდიტორული შემოწმება ტარდება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამას ითხოვენ აქციონერები, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ სააქციო კაპიტალის, სულ ცოტა, 10 პროცენტს.

[3] თუ კანონი არ ითხოვს წლიური ანგარიშის სტანდარტულ აუდიტორულ შემოწმებას, მაშინ ამ უკანასკნელის ჩატარება შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 727a

[1] თუ სტანდარტული აუდიტორული შემოწმების წინაპირობები სახეზე არ არის, მაშინ საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს თავისი წლიური ანგარიშის აუდიტორის მხრიდან შეზღუდული შემოწმება.

[2] ყველა აქციონერის თანხმობით შეზღუდული შემოწმების ჩატარებაზე უარი დასაშვებია, თუ საზოგადოებას არა აქვს საშუალოდ წელიწადის განმავლობაში ათ სრულ შტატზე მეტი.

[3] დირექტორთა საბჭოს შეუძლია აქციონერებს წერილობით მოსთხოვოს თანხმობის მიცემა. პასუხის გასაცემად დირექტორთა საბჭოს შეუძლია დაადგინოს, სულ ცოტა, 20-დღიანი ვადა და მიუთითოს იმაზე, რომ პასუხის გაუცემლობა განხილული იქნება როგორც თანხმობა.

[4] თუ აქციონერებმა უარი განაცხადეს შეზღუდული შემოწმების ჩატარებაზე, მაშინ ეს უარი მოქმედებს ასევე მომდევნო წლებისათვისაც. თუმცა, ყოველ აქციონერს აქვს უფლება, საერთო კრების ჩატარებიდან არაუგვიანეს ათი დღისა მოითხოვოს შეზღუდული შემოწმების ჩატარება. ასეთ შემთხვევაში საერთო კრებამ უნდა აირჩიოს აუდიტორი.

[5] რამდენადაც ეს მოითხოვება, დირექტორთა საბჭო ახდენს წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას და ატყობინებს სამეწარმეო რეესტრს სარეგისტრაციო ჩანაწერის ამოშლის ან აუდიტორის რეგისტრაციის მოთხოვნით.

მუხლი 727b

[1] საჯაროდ მოვაჭრე საზოგადობებმა აუდიტორად უნდა დანიშნონ სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ არსებული აუდიტორული კომპანია აუდიტორული ზედამხედველობის შესახებ 2005 წლის 16 დეკემბრის კანონის ნორმების შესაბამისად. აღნიშნულმა საზოგადობებმა ასევე უნდა უზრუნველყონ ლიცენზირებული აუდიტორის ან აუდიტის ლიცენზირებული ექსპერტის მიერ საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად განსახორციელებელი აუდიტორული შემოწმების ჩატარება სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ არსებული აუდიტორული კომპანიის მიერ.

[2] სხვა საზოგადობებმა, რომელსაც ევალებათ სტანდარტული აუდიტორული შემოწმების ჩატარება, ასევე აუდიტორად უნდა დანიშნონ აუდიტის ლიცენზირებული ექსპერტი აუდიტორული ზედამხედველობის შესახებ 2005 წლის 16 დეკემბრის კანონის ნორმების შესაბამისად. ამ საზოგადობებმა ასევე უნდა უზრუნველყონ ლიცენზირებული აუდიტორის მიერ საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად განსახორციელებელი აუდიტორული შემოწმების ჩატარება აუდიტის ლიცენზირებული ექსპერტის მიერ.

მუხლი 727c

იმ საზოგადობებმა, რომელსაც ევალებათ შეზღუდული აუდიტორული შემოწმების ჩატარება, აუდიტორად უნდა დანიშნონ ლიცენზირებული აუდიტორი აუდიტორული ზედამხედველობის შესახებ 2005 წლის 16 დეკემბრის კანონის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 728

[1] აუდიტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მან თავისი დასკვნა ობიექტურად უნდა შეადგინოს. დამოუკიდებლობის დარღვევა დაუშვებელია როგორც რეალური მდგომარეობის, ისე გარეგნული გამოვლინების მხრივ.

[2] კერძოდ, შემდეგი გარემოებებია შეუთავსებელი აუდიტორის დამოუკიდებლობასთან:

1. დირექტორთა საბჭოს წევრობა, საზოგადოებაში გადაწყვეტილების მიღების სხვაგვარი ფუნქცია ან საზოგადოებასთან შრომითი ურთიერთობის არსებობა;

2. სააქციო კაპიტალში პირდაპირი ან მნიშვნელოვანი არაპირდაპირი მონაწილეობა ან საზოგადოების მიმართ არსებითი მოთხოვნისა თუ ვალის არსებობა;

3. ახლო ურთიერთობა შემოწმების განმახორციელებელ პირსა და დირექტორთა საბჭოს წევრს, გადაწყვეტილების მიღების ფუნქციის მქონე პირსა თუ მნიშვნელოვან აქციონერს შორის;

4. საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებაში მონაწილეობის მიღება, ისევე როგორც – სხვა სახის მომსახურების გაწევა, რომლებიც წარმოშობს აუდიტორის მიერ საკუთარი სამუშაოების შემოწმების საჭიროების რისკს;

5. იმ მოვალეობის კისრება, რომელიც შედეგად იწვევს აუდიტორის ეკონომიკურ დამოკიდებულებას;

6. ხელშეკრულების დადება ბაზრის შეუსაბამო პირობებით ან იმ ხელშეკრულების დადება, რომლითაც აუდიტორს წარმოექმნება შემოწმების შედეგისადმი ინტერესი;

7. ძვირადღირებული საჩუქრების ან განსაკუთრებული პრივილეგიების მიღება.

[3] დამოუკიდებლობის შესახებ დებულებები მოქმედებს აუდიტორულ შემოწმებაში მონაწილე ყველა პირის მიმართ. თუ აუდიტორს წარმოადგენს ამხანაგობის ტიპის საზოგადოება ან იურიდიული პირი, მაშინ დამოუკიდებლობის შესახებ დებულებები მოქმედებს ასევე უმაღლესი ხელმძღვანელობითი ან მმართველობითი ორგანოს წევრებისა და გადაწყვეტილების მიღების ფუნქციის მქონე სხვა პირების მიმართაც.

[4] აუდიტორის დასაქმებულებს, რომლებიც არ მონაწილეობენ აუდიტორულ შემოწმებაში, ეკრძალებათ როგორც შესამოწმებელი საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წევრობა, ისე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციის განხორციელება.

[5] დამოუკიდებლობა სახეზე არ არის ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირები არ აკმაყოფილებენ დამოუკიდებლობის წინაპირობებს და ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული აუდიტორთან, აუდიტორულ შემოწმებაში მონაწილე პირებთან, უმაღლესი ხელმძღვანელობითი ან მმართველობითი ორგანოს წევრებთან და გადაწყვეტილების მიღების ფუნქციის მქონე სხვა პირებთან.

[6] დამოუკიდებლობის შესახებ დებულებები მოქმედებს ასევე იმ საზოგადოებების მიმართაც, რომლებიც შესამოწმებელ საზოგადოებასთან ან აუდიტორთან ერთად იმყოფებიან ერთიანი მენეჯმენტის ქვეშ.

მუხლი 728a

[1] აუდიტორი ამოწმებს:

1. შეესაბამება თუ არა წლიური ანგარიში და, აუცილებლობის შემთხვევაში, – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში საკანონმდებლო ნორმებს, წესდებასა და ფინანსური ანგარიშგების არჩეულ სტანდარტებს;

2. შეესაბამება თუ არა დირექტორთა საბჭოს მიერ საერთო კრებისათვის წარდგენილი წინადადება საბალანსო მოგების გამოყენების შესახებ საკანონმდებლო ნორმებსა და წესდებას;

3. არსებობს თუ არა შიდა კონტროლის სისტემა.

[2] აუდიტორული შემოწმების განხორციელებისა და შემოწმების ფარგლების დადგენისას აუდიტორი მხედველობაში იღებს შიდა კონტროლის სისტემას.

[3] დირექტორთა საბჭოს მიერ საზოგადოების საქმეთა მართვა არ წარმოადგენს აუდიტორული შემოწმების საგანს.

მუხლი 728b

[1] აუდიტორი დირექტორთა საბჭოს წარუდგენს ყოვლისმომცველ ანგარიშს ფინანსური ანგარიშგებისა და შიდა კონტროლის სისტემის შესახებ დასკვნებთან ერთად, ისევე როგორც – აუდიტორული შემოწმების განხორციელებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციას.

[2] აუდიტორი საერთო კრებას წარუდგენს წერილობით განზოგადებულ ანგარიშს აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ. აღნიშნული ანგარიში მოიცავს:

1. აუდიტორული შემოწმების შედეგების შეფასებას;

2. ინფორმაციას აუდიტორის დამოუკიდებლობის შესახებ;

3. ინფორმაციას იმ პირის შესახებ, რომელმაც განახორციელა აუდიტორული შემოწმება, და ასევე ინფორმაციას მისი კვალიფიკაციის შესახებ;

4. რეკომენდაციებს იმის შესახებ, უნდა იქნეს თუ არა წლიური ანგარიში და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში მოწონებული შესაბამისი დათქმით ან დათქმის გარეშე.

[3] ორივე ანგარიში უნდა იქნეს ხელმოწერილი აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელი პირის მიერ.

მუხლი 728c

[1] თუ აუდიტორი გამოავლენს კანონის, წესდებისა თუ საზოგადოების საორგანიზაციო რეგულაციების დარღვევებს, მაშინ ის ამის შესახებ წერილობით ატყობინებს დირექტორთა საბჭოს.

[2] გარდა აღნიშნულისა, აუდიტორი კანონისა თუ წესდების დარღვევების შესახებ აცნობებს საერთო კრებას, თუ:

1. ეს დარღვევები არსებითია; ან

2. აუდიტორის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დირექტორთა საბჭო არ იღებს სათანადო ზომებს.

[3] თუ საზოგადოება აშკარა ზედავალიანების მქონეა და დირექტორთა საბჭო ამის შესახებ არ ატყობინებს სასამართლოს, მაშინ შესაბამის შეტყობინებას სასამართლოს წარუდგენს აუდიტორი.

მუხლი 729

[1] აუდიტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მან თავისი დასკვნა ობიექტურად უნდა შეადგინოს. დამოუკიდებლობის შებღალვა დაუშვებელია როგორც რეალური მდგომარეობის, ისე გარეგნული გამოვლინების მხრივ.

[2] დასაშვებია საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებაში მონაწილეობის მიღება და ასევე შესამოწმებელი საზოგადოებისათვის სხვა სახის მომსახურების გაწევა. რამდენადაც არსებობს აუდიტორის მიერ საკუთარი სამუშაოების შემოწმების რისკი, სანდო შემოწმების ჩატარება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სათანადო საორგანიზაციო და საკადრო ღონისძიებათა მიღების გზით.

მუხლი 729a

[1] აუდიტორი ამოწმებს, არის თუ არა სახეზე ის გარემოებები, რომლებიც მიუთითებს, რომ:

1. წლიური ანგარიში არ შეესაბამება საკანონმდებლო ნორმებსა და წესდებას;

2. დირექტორთა საბჭოს მიერ საერთო კრებისათვის წარდგენილი წინადადება საბალანსო მოგების გამოყენების შესახებ არ შეესაბამება საკანონმდებლო ნორმებსა და წესდებას.

[2] აუდიტორული შემოწმება შემოიფარგლება გამოკითხვებით, ანალიტიკური აუდიტორული საქმიანობითა და საკითხების სათანადო დეტალური გამოკვლევებით.

[3] დირექტორთა საბჭოს მიერ საზოგადოების საქმეთა მართვა არ წარმოადგენს აუდიტორული შემოწმების საგანს.

მუხლი 729b

[1] აუდიტორი საერთო კრებას წარუდგენს წერილობით განზოგადებულ ანგარიშს აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ. აღნიშნული ანგარიში მოიცავს:

1. აუდიტორული შემოწმების შეზღუდულ ბუნებაზე მითითებას;

2. აუდიტორული შემოწმების შედეგების შეფასებას;

3. ინფორმაციას აუდიტორის დამოუკიდებლობის შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებაში მონაწილეობის მიღებისა და ასევე შესამოწმებელი საზოგადოებისათვის გაწეული სხვა სახის მომსახურების შესახებ;

4. ინფორმაციას იმ პირის შესახებ, რომელმაც განახორციელა აუდიტორული შემოწმება, და ასევე ინფორმაციას მისი კვალიფიკაციის შესახებ.

[2] ანგარიში უნდა იქნეს ხელმოწერილი აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელი პირის მიერ.

მუხლი 729c

თუ საზოგადოება აშკარა ზედავალიანების მქონეა და დირექტორთა საბჭო ამის შესახებ არ ატყობინებს სასამართლოს, მაშინ შესაბამის შეტყობინებას სასამართლოს წარუდგენს აუდიტორი.

მუხლი 730

[1] აუდიტორს ირჩევს საერთო კრება.

[2] აუდიტორად შეიძლება არჩეულ იქნეს ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირი ანდა – ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები.

[3] აუდიტორად შეიძლება არჩეულ იქნენ ასევე მუნიციპალური საფინანსო ზედამხედველობის უწყებები ან მათი თანამშრომლები იმ პირობით, თუ ისინი აკმაყოფილებენ წინამდებარე კანონის მოთხოვნებს. აზრობრივად მოქმედებს დამოუკიდებლობის შესახებ დებულებები.

[4] აუდიტორული კომპანიის, სულ ცოტა, ერთ წევრს მაინც უნდა ჰქონდეს თავისი საცხოვრებელი ადგილი, ადგილსამყოფელი ან რეგისტრირებული ფილიალი შვეიცარიაში.

მუხლი 730a

[1] აუდიტორის არჩევა ხდება ერთიდან სამ სამეურნეო წლამდე ვადით. მისი უფლებამოსილების ვადა იწურება უკანასკნელი წლისათვის წლიური ანგარიშის მიღებით. ხელახალი არჩევა შესაძლებელია.

[2] სტანდარტული აუდიტორული შემოწმებისას შემოწმების განმახორციელებელ პირს შეუძლია თავისი მანდატის განხორციელება მაქსიმუმ შვიდი წლის განმავლობაში. იგივე მანდატის კისრება მას შეუძლია მხოლოდ სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

[3] თუ აუდიტორი გადადგება თანამდებობიდან, მაშინ მან გადადგომის მოტივების შესახებ უნდა აცნობოს დირექტორთა საბჭოს; ეს უკანასკნელი ამ მოტივებს ატყობინებს უახლოეს საერთო კრებას.

[4] საერთო კრებას შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან აუდიტორი დაუყოვნებელი სამართლებრივი შედეგებით.

მუხლი 730b

[1] დირექტორთა საბჭო აუდიტორს აწვდის, მათ შორის მოთხოვნის შემთხვევაში – ასევე წერილობითაც, ყველა დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომლებიც აუცილებელია მისი მოვალეობების შესასრულებლად.

[2] აუდიტორი უზრუნველყოფს მის მიერ გაკეთებული დასკვნების საიდუმლოების დაცვას, რამდენადაც მას კანონით არ ევალება ამ ინფორმაციის გამჟღავნება. საერთო კრების მიმართ ანგარიშგებისას, კრებისათვის შეტყობინებების წარდგენისა და ინფორმაციის მიწოდებისას აუდიტორი უზრუნველყოფს საზოგადოების კომერციული საიდუმლოების დაცვას.

მუხლი 730c

[1] აუდიტორმა უნდა მოახდინოს აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მომსახურების დოკუმენტირება და აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიშებისა და ყველა არსებითი დოკუმენტის შენახვა, სულ ცოტა, ათი წლის განმავლობაში. ელექტრონული მონაცემები იგივე პერიოდის განმავლობაში ხელახლა წაკითხვადი უნდა იყოს.

[2] დოკუმენტები უნდა იძლეოდეს საკანონმდებლო ნორმათა შესრულების ეფექტურად დადასტურების შესაძლებლობას.

მუხლი 731

[1] იმ საზოგადოებების შემთხვევაში, რომლებსაც ევალებათ მოახდნონ თავიანთი წლიური ანგარიშისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტორის მხრიდან შემოწმება, აუდიტორული დასკვნა წარდგენილ უნდა იქნეს საერთო კრების მიერ წლიური ანგარიშისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მოწონებამდე და საბალანსო მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

[2] თუ ტარდება სტანდარტული აუდიტორული შემოწმება, მაშინ აუდიტორი უნდა ესწრებოდეს საერთო კრებას. საერთო კრებამ შეიძლება უარი თქვას აუდიტორის დასწრებაზე ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით.

[3] თუ მოთხოვნილი აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიში არ არის წარდგენილი, მაშინ წლიური ანგარიშისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მოწონებისა და საბალანსო მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებები ბათილია. თუ ადგილი ექნება აუდიტორის დასწრების შესახებ დებულებათა მოთხოვნების უგულებელყოფას, მაშინ აღნიშნული გადაწყვეტილებები საცილოა.

მუხლი 731a

[1] წესდებითა და საერთო კრების მიერ შეიძლება საფუძვლიანად მოწესრიგდეს აუდიტორის ორგანიზაციული მოწყობის საკითხები და გაფართოვდეს მისი მოვალეობების წრე.

[2] დაუშვებელია აუდიტორისათვის როგორც დირექტორთა საბჭოს მოვალეობების დაკისრება, ისე – იმ მოვალეობებისა, რომლებიც ბღალავს მის დამოუკიდებლობას.

[3] საერთო კრებას შეუძლია დანიშნოს ექსპერტი საზოგადოების მართვისა თუ მასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემოწმების მიზნით.

D. საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის ხარვეზები

მუხლი 731b

[1] თუ საზოგადოებას არა ჰყავს კანონით გათვალისწინებული მმართველი ორგანოები ან თუ ამ ორგანოების შემადგენლობა არ შეესაბამება კანონს, მაშინ აქციონერს, კრედიტორს ან სამეწარმეო რეესტრის ხელმძღვანელს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს აუცილებელი ზომების მიღება. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია:

1. საზოგადოებას მისი გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შესახებ გაფრთხილებით დაუდგინოს დამატებითი ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა აღდგეს კანონის შესაბამისი მდგომარეობა;

2. დანიშნოს არ არასებული ორგანო ან საქმეთა მმართველი;

3. გააუქმოს საზოგადოება და დაადგინოს მისი ლიკვიდაციის პროცესის დაწყება გაკოტრების საქმის წარმოების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

[2] თუ სასამართლო ნიშნავს არარასებულ ორგანოს ან საქმეთა მმართველს, მაშინ ის განსაზღვრავს იმ ვადასაც, რომლის განმავლობაშიც იმოქმედებს ასეთი დანიშვნა. სასამართლო ავალდებულებს საზოგადოებას, გასწიოს დანიშვნის ხარჯები და დანიშნული პირების მიმართ განახორციელოს საავანსო გადახდები.

[3] თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი, საზოგადოებას შეუძლია სასამართლოსაგან მოითხოვოს იმ პირების თანამდებობიდან გათავისუფლება, რომლებიც სასამართლომ დანიშნა.

მეოთხე თავი: სააქციო კაპიტალის შემცირება

მუხლი 732

[1] თუ სააქციო საზოგადოებას განზრახული აქვს თავისი სააქციო კაპიტალის შემცირება ისე, რომ ერთდროულად არ ახდენს მისი თავდაპირველი ოდენობის აღდგენას ახალი, სრულად გადასახდელი კაპიტალით, მაშინ საერთო კრებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება წესდების შესაბამისი ცვლილების შესახებ.

[2] საერთო კრებას აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ლიცენზირებული ექსპერტი წერილობით დასკვნაში ადასტურებს, რომ მიუხედავადა სააქციო კაპიტალის შემცირებისა კრედიტორთა მოთხოვნები სრულად იფარება. ლიცენზირებული ექსპერტი უნდა ესწრებოდეს საერთო კრებას.

[3] გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს აუდიტორული დასკვნის შედეგები და ასევე მიეთითოს იმის თაობაზე, თუ კაპიტალის რა სახის შემცირება უნდა განხორციელდეს.

[4] კაპიტალის შემცირებიდან გამომდინარე ბალანსში ასახული შესაძლო მოგება უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ ჩამოწერების მიზნებისათვის.

[5] სააქციო კაპიტალი 100 000 ფრანკზე ნაკლები ოდენობის თანხამდე შეიძლება შემცირდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად მოხდება შემცი-

რებული თანხის ჩანაცვლება ახალი, სრულად გადასახდელი კაპიტალით, სულ ცოტა, 100 000 ფრანკის ოდენობით.

მუხლი 732a

[1] თუ სანაციის ღონისძიებათა მიზნებისათვის სააქციო კაპიტალი ნულამდე შემცირდება და შემდგომში კი კვლავ მოიმატებს, მაშინ წევრობიდან გამომდინარე აქციონერთა თავდაპირველი უფლებები კაპიტალის შემცირების შედეგად ქარწყლდება. გამოშვებული აქციები ექვემდებარება გაუქმებას.

[2] სააქციო კაპიტალის ხელახალი გაზრდის შემთხვევაში თავდაპირველ აქციონერებს აქვთ ახალი აქციების შეძენის უპირატესი უფლება, რომლის მათთვის ჩამორთმევაც დაუშვებელია.

მუხლი 733

თუ საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სააქციო კაპიტალის შემცირების შესახებ, მაშინ დირექტორთა საბჭო სამჯერ აქვეყნებს ამ გადაწყვეტილებას შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში და ასევე – წესდებით გათვალისწინებული ფორმით; ამავე დროს დირექტორთა საბჭო აცნობებს კრედიტორებს, რომ შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში მესამე გამოქვეყნებიდან ორი თვის განმავლობაში მათ შეუძლიათ მოითხოვონ თავიანთი გაცხადებული მოთხოვნების დაკმაყოფილება ან უზრუნველყოფა.

მუხლი 734

სააქციო კაპიტალის შემცირება დასაშვებია მხოლოდ კრედიტორებისათვის დადგენილი კანონისმიერი ვადის გასვლისა და მათი გაცხადებული მოთხოვნების დაკმაყოფილების ან უზრუნველყოფის შემდეგ; ასევე სააქციო კაპიტალის შემცირება შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში სამეწარმეო რეესტრში მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საჯარო აქტით დადგინდება, რომ შესრულებულია წინამდებარე თავის ნორმათა მოთხოვნები. აქტი უნდა დაერთოს აუდიტორულ დასკვნას.

მუხლი 735

კრედიტორების მოწვევა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება ან უზრუნველყოფა შეიძლება არც განხორციელდეს, როდესაც სააქციო კაპიტალი უნდა შემცირდეს იმ მიზნით, რომ არსებული ზარალის შედეგად წარმოშობილი დეფიციტი აღმოიფხვრას იმ თანხის ფარგლებში, რომელიც არ აღემატება აღნიშნულ ზარალს.

მეხუთე თავი: სააქციო საზოგადოების გაუქმება

მუხლი 736

სააქციო საზოგადოება უქმდება:

1. წესდებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;
2. საერთო კრების გადაწყვეტილებით, რაზეც უნდა შედგეს საჯარო აქტი;

3. საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნით;

4. სასამართლოს გადაწყვეტილებით, როდესაც ამას მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე ითხოვენ აქციონერები, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ სააქციო კაპიტალის, სულ ცოტა, ათ პროცენტს. გაუქმების გადაწყვეტილების ნაცვლად სასამართლოს შეუძლია მიიღოს სხვა სათანადო და დაინტერესებული პირებისათვის მისაღები გადაწყვეტილება;

5. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 737

თუ საზოგადოების გაუქმება არ ხორციელდება გაკოტრების საქმის წარმოების შედეგად ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მაშინ ამის შესახებ სამეწარმეო რეესტრს შესაბამისი რეგისტრაციის მიზნით შეტყობინებას უგზავნის დირექტორთა საბჭო.

მუხლი 738

საზოგადოების გაუქმების შემდეგ იწყება მისი ლიკვიდაცია, გარდა შერწყმის, გაყოფისა და საზოგადოების ქონების საჯარო სამართლის კორპორაციისათვის გადაცემის შემთხვევებისა.

მუხლი 739

[1] თუ იწყება საზოგადოების ლიკვიდაცია, მაშინ ის ინარჩუნებს იურიდიული პირის სტატუსსა და აქციონერთა შორის საზოგადოების ქონების გაყოფამდე აგრძელებს საქმიანობას თავისი პირვანდელი საფირმო სახელწოდებით, თუმცაღა შემდეგი დამატებით: „ლიკვიდაციაში მყოფი“.

[2] საზოგადოების მმართველი ორგანოების უფლებამოსილებები საზოგადოების ლიკვიდაციის დაწყებით იზღუდება იმ მოქმედებებით, რომლებიც აუცილებელია ლიკვიდაციის პროცესის განხორციელებისათვის, თუმცა თავიანთი ბუნებით ისინი ვერ განხორციელდება ლიკვიდატორების მიერ.

მუხლი 740

[1] ლიკვიდაცია ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით ლიკვიდაციის პროცესის განხორციელება სხვა პირებს დაეკისრებათ.

[2] შესაბამისი რეგისტრაციის მიზნით დირექტორთა საბჭო ლიკვიდატორების შესახებ ატყობინებს სამეწარმეო რეესტრს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ლიკვიდაცია ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ.

[3] სულ ცოტა, ერთ-ერთი ლიკვიდატორი მაინც უნდა ცხოვრობდეს შვეიცარიაში და იყოს საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი.

[4] თუ საზოგადოების გაუქმება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაშინ ლიკვიდატორებს ნიშნავს სასამართლო.

[5] საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების შემთხვევაში, გაკოტრების მმართველი ლიკვიდაციას ახორციელებს გაკოტრების სამართლის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად. საზოგადოების მმართველი ორგანოები ინარჩუნებენ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას მხოლოდ იმ ფარგ-

ლებში, რომლებშიც მათ მიერ ასეთი უფლებამოსილების განხორციელება ჯერ კიდევ აუცილებელია.

მუხლი 741

[1] საერთო კრებას შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან მის მიერ დანიშნული ლიკვიდატორები.

[2] რამდენადაც სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძვლები, აქციონერის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიწვიოს არსებული ლიკვიდატორები და, აუცილებლობის შემთხვევაში, დანიშნოს სხვები.

მუხლი 742

[1] თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ლიკვიდატორებმა უნდა შეადგინონ საზოგადოების ბალანსი.

[2] საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვაგვარად ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების გაუქმების შესახებ უნდა აცნობონ სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და ასევე იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილიც უცნობია, უნდა აცნობონ შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში ინფორმაციის გამოქვეყნებით და ასევე – წესდებით გათვალისწინებული ფორმით; გარდა ამისა, აღნიშნულ კრედიტორებს მიეცემათ ასევე წინადადება, განაცხადონ თავიანთი მოთხოვნების შესახებ.

მუხლი 743

[1] ლიკვიდატორებმა უნდა დაასრულონ მიმდინარე საქმეები, აუცილებლობის შემთხვევაში მოახდინონ სააქციო კაპიტალის ჯერ კიდევ გადაუხდელი თანხების ამოღება, მოახდინონ აქტივების რეალიზაცია და საზოგადოების ვალდებულებების შესრულება, რამდენადაც ბალანსიდან და კრედიტორთა მოწვევიდან არ იკვეთება საზოგადოების ზედავალიანება.

[2] რამდენადაც ლიკვიდატორები ადგენენ საზოგადოების ზედავალიანების ფაქტს, მათ ამის შესახებ უნდა შეატყობინონ სასამართლოს; ამ უკანასკნელმა კი უნდა გამოაცხადოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

[3] ლიკვიდატორებმა უნდა წარმოადგინონ საზოგადოება ლიკვიდაციის მიზნით განსახორციელებელ გარიგებებში; მათ შეუძლიათ ასევე წარმართონ სასამართლო საქმეები, დადონ მორიგების აქტები და საარბიტრაჟო შეთანხმებები, ხოლო რამდენადაც ეს ლიკვიდაციის მიზნის მიზღწევისათვის მოითხოვება, – ასევე დადონ ახალი გარიგებებიც.

[4] თუ საერთო კრებამ სხვაგვარად არ დაადგინა, ლიკვიდატორებს შეუძლიათ ასევე პირდაპირი მიყიდვის გზით მოახდინონ აქტივების რეალიზაცია.

[5] როდესაც ლიკვიდაციის პროცესი უფრო მეტ ხანს გრძელდება, ლიკვიდატორებმა უნდა შეადგინონ ყოველწლიური შუალედური ბალანსები.

[6] საზოგადოება პასუხს აგებს იმ დელიქტებიდან გამომდინარე ზიანისათვის, რომლებსაც ლიკვიდატორი სჩადის მასზე დაკისრებული მართვის ფუნქციების განხორციელების დროს.

მუხლი 744

[1] თუ ცნობილმა კრედიტორებმა არ განაცხადეს თავიანთი მოთხოვნების შესახებ, მაშინ ამ მოთხოვნების შესაბამისი თანხა ექვემდებარება სასამართლოს დეპოზიტზე განთავსებას.

[2] ანალოგიურად, დეპოზიტზე განთავსებას ექვემდებარება შესაბამისი თანხა საზოგადოების ჯერ კიდევ ვადამოუსვლელი და სადავო ვალდებულებებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორებს წარედგინებათ ტოლფასი უზრუნველყოფა ან საზოგადოების ქონების განაწილება ჩერდება აღნიშნული ვალდებულებების შესრულებამდე.

მუხლი 745

[1] რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ განსაზღვრავს, გაუქმებული საზოგადოების ქონება მისი ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება აქციონერებს შორის მათ მიერ კაპიტალში შეტანილი თანხების პროპორციულად და აქციათა ცალკეული კლასებისათვის მინიჭებული უპირატესი უფლებების გათვალისწინებით.

[2] ქონების განაწილება შეიძლება განხორციელდეს არაუადრეს ერთი წლის ვადის გასვლისა იმ დღიდან, როდესაც კრედიტორების მოწვევა მესამედ მოხდა.

[3] ქონების განაწილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამი თვის გასვლის შემდეგ, როდესაც ლიცენზირებული ექსპერტი დაადასტურებს, რომ ვალები დაფარულია და გარემოებების მიხედვით შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ მესამე პირთა ინტერესებს საფრთხე არ დაემუქრება.

მუხლი 746

ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ ლიკვიდატორებმა უნდა მიმართონ სამეწარმეო რეესტრს საფირმო სახელწოდების შესახებ ჩანაწერის ამოშლის მოთხოვნით.

მუხლი 747

[1] აქციათა რეესტრი, საბუღალტრო წიგნები და 697I მუხლით გათვალისწინებული რეესტრი, ისევე როგორც – მათ საფუძვლად არსებული დოკუმენტები უნდა ინახებოდეს დაცულ ადგილას საზოგადოების გაუქმებიდან ათი წლის განმავლობაში. აღნიშნულ ადგილს ადგენენ ლიკვიდატორები ან, როდესაც ეს უკანასკნელები ვერ თანხმდებიან, – სამეწარმეო რეესტრის სამსახური.

[2] როგორც აქციათა რეესტრი, ისე 697I მუხლით გათვალისწინებული რეესტრი უნდა იქნეს შენახული იმგვარად, რომ შვეიცარიის ფარგლებში ის ნებისმიერ დროს იყოს ხელმისაწვდომი.

მუხლები 748–750 (გაუქმებულია)

მუხლი 751

[1] თუ სააქციო საზოგადოების ქონებას მიიღებს ფედერაცია, კანტონი ან კანტონის გარანტიით, – ოლქი ან თემი, მაშინ დაინტერესებული პირები საერთო კრების თანხმობით შეიძლება შეთანხმდნენ ლიკვიდაციის პროცესის განუხორციელებლობაზე.

[2] საერთო კრების გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საზოგადოების გაუქმების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად და მის შესახებ უნდა შეატყობინონ სამეწარმეო რეესტრის სამსახურს.

[3] საზოგადოების ქონების ვალებთან ერთად გადაცემა ხორციელდება აღნიშნული გადაწყვეტილების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციით, ხოლო საზოგადოების საფირმო სახელწოდების შესახებ ჩანაწერი კი ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლას.

მეექვსე თავი: პასუხისმგებლობა

მუხლი 752

თუ საზოგადოების დაფუძნებისას ან აქციების, ობლიგაციებისა თუ სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას ემისიის პროსპექტში ან ანალოგიურ შეტყობინებებში მოცემული იქნება ან გავრცელდება უზუსტო, შეცდომაში შემყვანი ან კანონის მოთხოვნათა შეუსაბამო ინფორმაცია, მაშინ ნებისმიერი ის პირი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით მონაწილეობდა აღნიშნულ ქმედებაში, პასუხს აგებს ფასიანი ქაღალდების შემძენების წინაშე აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის.

მუხლი 753

საზოგადოების დამფუძნებლები, დირექტორთა საბჭოს წევრები და ყველა ის პირი, ვინც მონაწილეობს საზოგადოების დაფუძნებაში, მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ როგორც საზოგადოების, ისე ცალკეული აქციონერებისა და საზოგადოების კრედიტორების წინაშე, როდესაც ისინი

1. წესდებაში, სადამფუძნებლო ანგარიშში ან სააქციო კაპიტალის გაზრდის შესახებ ანგარიშში განზრახ ან გაუფრთხილებლობით უსწოროდ ან შეცდომაში შეყვანის განზრახვით მიუთითებენ, ფარავენ ან ნიღბავენ ქონებრივ შენატანებს, ქონებრივი შენატანის მიღებას ან აქციონერებისა თუ სხვა პირებისათვის სპეციალური პრივილეგიების მინიჭებას ანდა აღნიშნული ზომების მიღებისას სხვაგვარად მოქმედებენ კანონსაწინააღმდეგოდ;

2. განზრახ ან გაუფრთხილებლობით შედეგად აღწევენ საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას იმ მოწმობისა თუ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც უსწორო ინფორმაციას შეიცავს;

3. შეგნებულად ახდენენ გადახდისუუნარო პირებისაგან აქციებზე ხელმოწერების მიღების ხელშეწყობას.

მუხლი 754

[1] დირექტორთა საბჭოს წევრები და საზოგადოების მართვასა თუ ლიკვიდაციის პროცესში ჩართული ყველა პირი როგორც საზოგადოების, ისე ცალკეული აქციონერებისა და საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, რომელიც მიყენებულ იქნა მათზე დაკისრებული მოვალეობების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევის შედეგად.

[2] პირი, ვინც შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე მასზე დაკისრე-

ბულ მოვალეობებს საზოგადოების სხვა მმართველ ორგანოს გადასცემს, პასუხს აგებს ამ უკანასკნელის მიერ მიყენებული ზიანისათვის, რამდენადაც ის ვერ დაამტკიცებს, რომ მმართველი ორგანოს შერჩევის, მისთვის მითითებების მიცემისა და მასზე ზედამხედველობის განხორციელებისას მან გამოიჩინა არსებულ გარემოებებში შესაძლო მაქსიმალური ზრუნვა.

მუხლი 755

[1] წლიური ანგარიშისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის შემოწმებაში, საზოგადოების დაფუძნებაში, კაპიტალის გაზრდასა თუ კაპიტალის შემცირებაში ჩართული ყველა პირი როგორც საზოგადოების, ისე ასევე ცალკეული აქციონერებისა და საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიყენებულ იქნა მათზე დაკისრებული მოვალეობების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევის შედეგად.

[2] თუ აუდიტორული შემოწმება ხორციელდება მუნიციპალური საფინანსო ზედამხედველობის უწყებების ან მათი თანამშრომლების მიერ, პასუხისმგებელია შესაბამისი უწყება. შემოწმებაში მონაწილე პირების მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლება რეგულირდება საჯაროსამართლებრივი ნორმებით.

მუხლი 756

[1] საზოგადოებისთან ერთად ცალკეული აქციონერებიც არიან უფლებამოსილი, სასარჩელო წესით მოითხოვონ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. აქციონერის მოთხოვნის უფლება მიმართულია საზოგადოების მიმართ შესრულების განხორციელებისკენ.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 757

[1] დაზარალებული საზოგადოების გაკოტრების შემთხვევაში, საზოგადოების კრედიტორებიც არიან უფლებამოსილი, მოითხოვონ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თუმცა, გაკოტრების მმართველებმა თავდაპირველად უნდა მოახდინონ აქციონერებისა და საზოგადოების კრედიტორთა მოთხოვნების რეალიზაცია.

[2] თუ გაკოტრების მმართველები უარს აცხადებენ აღნიშნული მოთხოვნების რეალიზაციაზე, მაშინ ამაზე უფლებამოსილია თითოეული აქციონერი ან კრედიტორი. ამონაგები თანხა, უპირველეს ყოვლისა, მიემართება სარჩელის წარმდგენი კრედიტორების მოთხოვნათა დასაფარად ვალების ამოღებისა და გაკოტრების სამართლის შესახებ 1889 წლის 11 აპრილის კანონის ნორმათა შესაბამისად. ნამეტი თანხა ნაწილდება სარჩელის წარმდგენ აქციონერებს შორის საზოგადოებაში მათი მონაწილეობის პროპორციულად; დარჩენილი თანხა ემატება გაკოტრების მასას.

[3] შენარჩუნებულია საზოგადოების მიერ კუთვნილი მოთხოვნის უფლებების დათმობის შესაძლებლობა ვალების ამოღებისა და გაკოტრების სამართლის შესახებ 1889 წლის 11 აპრილის კანონის 260-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 758

[1] ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ გასაჯაროებული ფაქტებისა და მხოლოდ საზოგადოების მიმართ, ისევე როგორც – იმ აქციონერების მიმართ, რომლებიც დაეთანხმნენ გადაწყვეტილებას ან რომლებმაც შეიძინეს აქციები მას შემდეგ, რაც მათთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

[2] დანარჩენი აქციონერების მიმართ სარჩელის წარდგენის უფლება ქარწყლდება ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 759

[1] თუ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება რამდენიმე პირს, მაშინ თითოეული მათგანი სოლიდარულად აგებს პასუხს სხვებთან ერთად იმ ფარგლებში, რომლებშიც მისი ინდივიდუალური ბრალისა და არსებული გარემოებების გამო მიყენებული ზიანი მას პირადად შეერაცხება.

[2] საერთო ზიანისათვის მოსარჩელეს შეუძლია რამდენიმე მონაწილის წინააღმდეგ ერთობლივად წარადგინოს სარჩელი და მოითხოვოს, რომ სასამართლომ ერთი საქმის ფარგლებში დაადგინოს ყოველი ცალკეული მოპასუხის პასუხისმგებლობა.

[3] რამდენიმე მონაწილეს შორის რეგრესული მოთხოვნის უფლება სასამართლოს მიერ განისაზღვრება საქმის ყველა გარემოების შეფასებით.

მუხლი 760

[1] წინა მუხლების ნორმათა შესაბამისად პასუხისმგებელი პირების ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც დაზარალებულისათვის ცნობილი გახდა ზიანისა და ასევე ზიანზე პასუხისმგებელი პირის ვინაობის შესახებ, თუმცა, – ნებისმიერ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი ქმედების ჩადენის დღიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

[2] თუ სარჩელი გამომდინარეობს იმ დანაშაულებრივი ქმედებიდან, რომლისათვის სისხლის სამართალი ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივ ვადას ითვალისწინებს, მაშინ ეს ვადა მოქმედებს ასევე სამოქალაქო მოთხოვნის უფლების მიმართაც.

მუხლი 761 (გაუქმებულია)

მეშვიდე თავი: საჯარო სამართლის კორპორაციის მონაწილეობა სააქციო საზოგადოებებში

მუხლი 762

[1] თუ საჯარო სამართლის კორპორაციებს, რომლებსაც წარმოადგენენ, მაგ., ფედერაცია, კანტონი, ოლქი ან თემი, სააქციო საზოგადოების მიმართ აქვთ საჯარო ინტერესი, მაშინ საზოგადოების წესდება კორპორაციას შეიძლება ანიჭებდეს დირექტორთა საბჭოში ან აუდიტორულ კომპანიაში წარმომადგენლების დანიშვნის უფლებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის არ წარმოადგენს აქციონერს.

[2] აღნიშნული საზოგადოებისა და ასევე იმ შერეული ტიპის საწარმოების (gemischtwirtschaftlichen Unternehmungen) შემთხვევაში, რომლებშიც საჯარო სამართლის კორპორაცია აქციონერის სახით მონაწილეობს, მხოლოდ თავად საჯარო სამართლის კორპორაციას აქვს მის მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭოს ან აუდიტორული კომპანიის წევრების გამოწვევის უფლება.

[3] საჯარო სამართლის კორპორაციის მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭოს ან აუდიტორული კომპანიის წევრებს იგივე უფლებები და ვალდებულებები აქვთ, რაც საერთო კრების მიერ არჩეულ წევრებს.

[4] საჯარო სამართლის კორპორაცია მის მიერ დანიშნულ წევრთა მოქმედებებისათვის პასუხს აგებს საზოგადოების, აქციონერებისა და კრედიტორების წინაშე ფედერალური და კანტონალური სამართლით გათვალისწინებული რეგრესული მოთხოვნის უფლების შენარჩუნების პირობით.

მერვე თავი: საჯაროსამართლებრივი დაწესებულებების მიმართ წინამდებარე კანონის ნორმათა გამოყენების გამორიცხვა

მუხლი 763

[1] სპეციალური კანტონალური კანონმდებლობით დაფუძნებული და სახელმწიფო ორგანოების თანამონაწილეობით მართვადი საზოგადოებებისა და დაწესებულებების მიმართ, რომლებსაც წარმოადგენენ, მაგ., ბანკები, სადაზღვევო თუ ელექტროენერგიის სადისტრიბუციო კომპანიები, სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ დაყოფილია აქციებად და მისი მობილიზება მოხდა კერძო პირთა ხელშეწყობით იმ პირობით, რომ კანტონი აღნიშნული საზოგადოებებისა და დაწესებულებების ვალდებულებებისათვის კისრულობს სუბსიდიურ პასუხისმგებლობას.

[2] იმ საზოგადოებებისა და დაწესებულებების მიმართ, რომლებიც სპეციალური კანტონალური კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებულ იქნენ 1883 წლის 1 იანვრამდე და იმართებიან სახელმწიფო ორგანოების თანამონაწილეობით, სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანტონი მათი ვალდებულებებისათვის არ კისრულობს სუბსიდიურ პასუხისმგებლობას.

ოცდამეშვიდე ტიტული: კომანდიტური სააქციო საზოგადოება

მუხლი 764

[1] კომანდიტური სააქციო საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებას, რომლის კაპიტალი დაყოფილია აქციებად და რომელშიც ერთ ან რამდენიმე წევრს საზოგადოების კრედიტორების წინაშე ეკისრება შეუზღუდავი და სოლიდარული პასუხისმგებლობა მსგავსად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორისა.

[2] რამდენადაც სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული, კომანდიტური სააქ-

ციო საზოგადოების მიმართ გამოიყენება სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები.

[3] თუ კომანდიტური კაპიტალი იყოფა არა აქციებად, არამედ იმ წილებად, რომლებიც ადგენს მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე კომანდიტის მონაწილეობის მოცულობას, მაშინ მოქმედებს კომანდიტური საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 765

[1] შეუზღუდავად პასუხისმგებელი წევრები ქმნიან კომანდიტური სააქციო საზოგადოების მმართველ ორგანოს. მათ ეკუთვნით საზოგადოების საქმეთა მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება. შეუზღუდავად პასუხისმგებელი წევრები უნდა დასახელდნენ წესდებაში.

[2] მმართველი ორგანოს წევრთა სახელები, საცხოვრებელი ადგილი, წარმოშობის ტერიტორია და ფუნქციები, ისევე როგორც – წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

[3] შეუზღუდავად პასუხისმგებელ წევრთა შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს არსებული წევრების თანხმობასა და წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

მუხლი 766

საზოგადოების მიზნების შეცვლასთან, ბიზნესსაქმიანობის გაფართოებასა თუ შევიწროვებას და ასევე წესდებით განსაზღვრულზე მეტი ვადით საზოგადოების არსებობის ვადის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით მიღებული საერთო კრების გადაწყვეტილებები საჭიროებს მმართველი ორგანოს წევრთა თანხმობას.

მუხლი 767

[1] მმართველი ორგანოს წევრებს შეიძლება ჩამოერთვათ საზოგადოების საქმეთა მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება იგივე წინაპირობების არსებობისას, რასაც ადგილი აქვს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში.

[2] უფლებამოსილების ჩამორთმევის შემთხვევაში წყდება ასევე წევრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა საზოგადოების მომავალში წარმოშობილი ვალდებულებებისათვისაც.

მუხლი 768

[1] საზოგადოების კონტროლი და საქმეთა მართვაზე მუდმივი ზედამხედველობა ექვემდებარება იმ სამეთვალყურეო ორგანოზე გადასვლას, რომელსაც წესდებით შეიძლება დაეკისროს სხვა მოვალეობებიც.

[2] სამეთვალყურეო ორგანოს დანიშვნისას მმართველი ორგანოს წევრებს ხმის უფლება არა აქვთ.

[3] სამეთვალყურეო ორგანოს წევრები რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ სამეწარმეო რეესტრში.

მუხლი 769

[1] სამეთვალყურეო ორგანოს საზოგადოების სახელით შეუძლია მოსთხოვოს პასუხი მმართველი ორგანოს წევრებს და წარადგინოს სარჩელი მათ წინააღმდეგ სასამართლოში.

[2] მმართველი ორგანოს წევრთა ბოროტი განზრახვით ჩადენილი ქმედების შემთხვევაში, სამეთვალყურეო ორგანო სასამართლო საქმეთა წარმართვაზე უფლებამოსილია ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს ეწინააღმდეგება საერთო კრების გადაწყვეტილებას.

მუხლი 770

[1] საზოგადოება უქმდება შეუზღუდავად პასუხისმგებელი ყველა პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლით, გარდაცვალებით, ქმედუუნაროდ გახდომითა თუ გაკოტრებით.

[2] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით კომანდიტური სააქციო საზოგადოების გაუქმების მიმართ მოქმედებს იგივე ნორმები, რომლებიც გამოიყენება სააქციო საზოგადოების გაუქმების მიმართ; თუმცაღა, წესდებით დადგენილ თარიღამდე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მმართველი ორგანოს თანხმობით.

[3] ... (გაუქმებულია)

მუხლი 771

[1] შეუზღუდავად პასუხისმგებელ პარტნიორს აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების წარდგენის უფლება მსგავსად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორისა.

[2] თუ ერთი ან რამდენიმე შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორი გამოიყენებს თავის ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების წარდგენის უფლებას, მაშინ რამდენადაც წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, საზოგადოება აგრძელებს არსებობას დანარჩენი პარტნიორების მიერ.

ოცდამერვე ტიტული: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 772

[1] შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს პერსონალურ კაპიტალურ საზოგადოებას, რომელშიც მონაწილეობს ერთი ან რამდენიმე პირი ან სავაჭრო საზოგადოება. მისი საწესდებო კაპიტალი დგინდება წესდებით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ საზოგადოების ქონება.

[2] პარტნიორები საწესდებო კაპიტალში მონაწილეობენ, სულ ცოტა, ერთი წილით. წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი შენატანებისა და გადახდების განხორციელების ვალდებულებები.

მუხლი 773

საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, 20 000 ფრანკს.

მუხლი 774

[1] საზოგადოების კაპიტალში წილის ნომინალური ღირებულება უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, 100 ფრანკს. სანაციის შემთხვევაში კი ის შეიძლება შემცირდეს ერთ ფრანკამდე.

[2] საზოგადოების კაპიტალში წილები უნდა შეივსოს, სულ ცოტა, ნომინალური ღირებულების ოდენობამდე.

მუხლი 774a

წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ფიქსირებული დივიდენდებით წილების შექმნა; შესაბამისად გამოიყენება სააქციო სამართლის ნორმები.

მუხლი 775

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დაფუძნდეს ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის ანდა სხვა სავაჭრო საზოგადოებების მიერ.

მუხლი 776

წესდება უნდა შეიცავდეს შემდეგ დებულებებს:

1. საზოგადოების საფირმო სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს;
2. საზოგადოების მიზანს;
3. საწესდებო კაპიტალის ოდენობას და ასევე წილების რაოდენობასა და ნომინალურ ღირებულებას;
4. საზოგადოების გარე ურთიერთობებში კომუნიკაციის ფორმას.

მუხლი 776a

[1] თავისი სავალდებულო ძალის შეძენისათვის შემდეგი დებულებები უნდა იქნეს შეტანილი წესდებაში:

1. დამატებითი შენატანებისა და გადახდების განხორციელების ვალდებულებათა დასაბუთება და გაფორმება;
2. წილებზე პარტნიორების ან საზოგადოების კუთვნილი პირველი შეთავაზების (Vorhand), უპირატესი შესყიდვისა თუ ნასყიდობის უფლებების დასაბუთება და გაფორმება;
3. პარტნიორების მიმართ კონკურენციის აკრძალვა;
4. პირგასამტეხლოს თანხები კანონისმიერი ან წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;
5. ცალკეული კატეგორიის წილებთან დაკავშირებული პრივილეგიები (პრივილეგირებული წილები);
6. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებზე პარტნიორების მხრიდან ვეტოს დადების უფლებები;
7. პარტნიორების ხმის უფლებისა და ასევე წარმომადგენლების დანიშვნის უფლებამოსილების შეზღუდვა;

8. წილები ფიქსირებული დივიდენდებით;

9. წესდებით გათვალისწინებული რეზერვები;

10. პარტნიორთა კრების უფლებამოსილებები, რომლებიც სცილდება მისთვის კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებს;

11. დირექტორების მიერ მიღებული განსაზღვრული გადაწყვეტილებების პარტნიორთა კრების მხრიდან მოწონება;

12. პარტნიორთა კრების თანხმობის აუცილებლობა იმ ფიზიკური პირების დასახელებისათვის, რომლებიც განახორციელებენ საზოგადოების საქმეთა მართვას იმ პარტნიორების სახელით, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს ან სავაჭრო საზოგადოებებს;

13. დირექტორების, აღმასრულებელი დირექტორების, პროკურისტებისა და ასევე სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნის უფლებამოსილება;

14. დირექტორებზე მოგების პროცენტის სახით დამატებითი გასამრჯელოების გადახდა;

15. საზოგადოების საქმიანობის დაწყებამდე პარტნიორისათვის პროცენტების გადახდის უზრუნველყოფა;

16. გარე აუდიტორების საქმიანობის საორგანიზაციო მოწყობა და ამოცანები, რამდენადაც ამ შემთხვევაში ასეთი საორგანიზაციო მოწყობა და ამოცანები სცილდება კანონისმიერი ნორმებით გათვალისწინებულს;

17. წესდებით გათვალისწინებული საზოგადოებიდან გასვლის უფლების მინიჭება, ასევე ამ უფლების რეალიზაციის პირობები და გადასახდელი საკომპენსაციო თანხა;

18. საზოგადოებიდან პარტნიორების გარიცხვის სპეციალური საფუძვლები;

19. კანონისმიერისაგან განსხვავებული საზოგადოების გაუქმების სხვა საფუძვლები.

[2] თავისი სავალდებულო ძალის შეძენისათვის კანონისმიერი ნორმებისაგან განსხვავებული შემდეგი დანაწესები უნდა იქნეს ასევე შეტანილი წესდებაში:

1. მოგვიანებით ახალი პრივილეგირებული წილების შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

2. საზოგადოების კაპიტალში წილის გადაცემა;

3. პარტნიორთა კრების მოწვევა;

4. პარტნიორთა ხმის უფლების განსაზღვრის წესი;

5. პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი;

6. დირექტორთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი;

7. საზოგადოების საქმეთა მართვა და წარმომადგენლობა;

8. დირექტორების მიმართ კონკურენციის აკრძალვა.

მუხლი 777

[1] საზოგადოება დაფუძნებულად ითვლება იმ მომენტში, როდესაც დამფუძნებლები საჯარო აქტში განაცხადებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების შესახებ, მიიღებენ წესდებასა და დანიშნავენ მმართველ ორგანოებს.

[2] აღნიშნულ სადამფუძნებლო აქტში დამფუძნებლები ახდენენ საზოგადოების კაპიტალში წილებზე ხელმოწერას და აცხადებენ, რომ:

1. ყველა წილი სათანადოდ იქნა ხელმოწერილი;

2. შეპირებული შენატანები შეესაბამება მთლიან საემისიო თანხას;

3. შესრულებულია შენატანების განხორციელების კანონისმიერი და წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

4. ისინი კისრულობენ წესდებით გათვალისწინებულ დამატებითი შენატანებისა თუ გადახდების განხორციელების ვალდებულებებს.

მუხლი 777a

[1] თავისი ნამდვილობისათვის საზოგადოების კაპიტალში წილებზე ხელმოწერა საჭიროებს წილების რაოდენობის, ნომინალური ღირებულებისა და საემისიო თანხის მითითებას, ისევე როგორც, აუცილებლობის შემთხვევაში, – წილების კატეგორიების მითითებას.

[2] წილებზე ხელმოწერის დოკუმენტში მითითება უნდა გაკეთდეს წესდების იმ დებულებებზე, რომლებიც ეხება:

1. დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულებებს;

2. გადახდების განხორციელების ვალდებულებებს;

3. პარტნიორების მიმართ კონკურენციის აკრძალვას;

4. პარტნიორების ან საზოგადოების კუთვნილი პირველი შეთავაზების, უპირატესი შესყიდვისა თუ ნასყიდობის უფლებებს;

5. პირგასამტეხლოს თანხებს.

მუხლი 777b

[1] დაფუძნების აქტში ნოტარიუსმა ინდივიდუალურად უნდა დაასახელოს დაფუძნებისათვის გამოყენებული დოკუმენტები და დაადასტუროს, რომ ეს დოკუმენტები წარედგინა მასსა და დამფუძნებლებს.

[2] დაფუძნების აქტს უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

1. წესდება;

2. სადამფუძნებლო ანგარიში;

3. აუდიტორული დასკვნა;

4. ფულადი შეტანის დეპოზიტზე განთავსების დასტური;

5. ქონებრივი შენატანის შესახებ ხელშეკრულებები;

6. უკვე სახეზე არსებული ქონებრივი შენატანის მიღების შესახებ ხელშეკრულებები.

მუხლი 777c

[1] დაფუძნებისას საემისიო თანხის ეკვივალენტური შენატანი სრულად უნდა განხორციელდეს საზოგადოების კაპიტალში თითოეული წილისათვის.

[2] გარდა აღნიშნულისა, სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება:

1. ქონებრივი შენატანების, ქონებრივი შენატანების მიღებისა და წესდებაში გათვალისწინებული სპეციალური პრივილეგიების მიმართ;

2. ქონებრივი შენატანების, ქონებრივი შენატანების მიღებისა და სპეციალური პრივილეგიების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მიმართ;

3. შენატანების განხორციელებისა და მისი შემოწმების მიმართ.

მუხლი 778

საზოგადოება ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 778a

ფილიალები ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას იმ ადგილის მიხედვით, სადაც ისინი არის განთავსებული.

მუხლი 779

[1] საზოგადოება პირის სტატუსს იძენს მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

[2] საზოგადოება პირის სტატუსს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გზით იძენს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც რეგისტრაციის წინაპირობები რეალურად არ სრულდება.

[3] თუ საზოგადოების დაფუძნებისას არ შესრულდა კანონისმიერი ან წესდებით გათვალისწინებული ნორმები და ამით მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნა კრედიტორებისა თუ პარტნიორების ინტერესებს ანდა დაირღვა ეს ინტერესები, მაშინ სასამართლოს აღნიშნული კრედიტორებისა თუ პარტნიორების მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების გაუქმების შესახებ.

[4] ზემოაღნიშნულ საკითხებზე სარჩელის უფლება უქმდება საზოგადოების დაფუძნების შესახებ ინფორმაციის შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 779a

[1] სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით მოქმედი პირები თავიანთი მოქმედებებისათვის პასუხს აგებენ პირადად და სოლიდარულად.

[2] თუ საზოგადოება მისი რეგისტრაციიდან სამი თვის განმავლობაში თავის თავზე იღებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ცალსახად მისი სახელით იქნა ნაკისრი, მაშინ საზოგადოების სახელით მოქმედი პირები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან და ამ ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ საზოგადოება.

მუხლი 780

წესდების ცვლილების შესახებ პარტნიორთა კრების ყოველი გადაწყვეტილება ექვემდებარება ოფიციალურ დამოწმებასა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

მუხლი 781

[1] პარტნიორთა კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის შესახებ.

[2] გადაწყვეტილების შესრულება ევალებათ დირექტორებს.

[3] წილებზე ხელმოწერა და შენატანები განისაზღვრება საზოგადოების და-

ფუძნების მომწესრიგებელი ნორმებით. გარდა ამისა, ხელმოსაწერი ფორმის მიმართ შესაბამისად გამოიყენება სააქციო კაპიტალის გაზრდის მომწესრიგებელი ნორმები. წილებზე ხელმოწერის საჯარო შეთავაზება გამორიცხულია.

[4] საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ შეტყობინება სამეწარმეო რეესტრს სარეგისტრაციოდ უნდა წარედგინოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში; სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება ძალას კარგავს.

[5] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით სტანდარტული წესით კაპიტალის გაზრდის შესახებ სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება:

1. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ფორმისა და შინაარსის მიმართ;
2. პარტნიორების მიერ ახალი წილების შეძენის უპირატესი უფლების მიმართ;
3. საკუთარი კაპიტალის ხარჯზე საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიმართ;
4. კაპიტალის გაზრდის შესახებ ანგარიშისა და აუდიტორული დასკვნის მიმართ;
5. წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანისა და დირექტორების განცხადებების მიმართ;
6. სამეწარმეო რეესტრში საწესდებო კაპიტალის გაზრდის რეგისტრაციისა და წინასწარ გაცემული დოკუმენტების ბათილობის მიმართ.

მუხლი 782

[1] პარტნიორთა კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ.

[2] საწესდებო კაპიტალი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა შემცირდეს 20 000 ფრანკზე ნაკლებ ოდენობამდე.

[3] არსებული ზარალის შედეგად წარმოშობილი დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით საწესდებო კაპიტალი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორებმა სრულად განახორციელეს წესდებით გათვალისწინებული დამატებითი შენატანები.

[4] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება სააქციო კაპიტალის შემცირების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 783

[1] საზოგადოებას საკუთარი წილების შეძენა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლად განკარგვადი საკუთარი კაპიტალი სახეზეა შეძენისათვის აუცილებელი თანხის ოდენობით და ამ წილების საერთო ნომინალური ღირებულება არ აღემატება საწესდებო კაპიტალის ათ პროცენტს.

[2] თუ წილების შეძენა მოხდება მათი გადაცემის შესაძლებლობის შეზღუდვასთან, პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლასთან ან მის გარიცხვასთან დაკავშირებით, მაშინ ზღვრული ოდენობა შეადგენს 35 პროცენტს. საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტზე მეტი ოდენობით შეძენილი საკუთარი წილები ორი წლის განმავლობაში ექვემდებარება გასხვისებას ან საზოგადოების კაპიტალის შემცირების გზით გაუქმებას.

[3] თუ მომავალში შესაძენ წილთან დაკავშირებულია დამატებითი შენატანე-

ბისა თუ გადახდების განხორციელების ვალდებულება, მაშინ ეს უკანასკნელი ექვემდებარება გაუქმებას წილების შეძენამდე.

[4] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების მიერ საკუთარი წილების შეძენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება საკუთარი აქციების მომწესრიგებელი ნორმები.

მეორე თავი: პარტნიორთა უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 784

[1] თუ საზოგადოების კაპიტალში წილებთან დაკავშირებით გაცემულია რაიმე დოკუმენტი, მაშინ ეს უკანასკნელი შეიძლება შედგეს მხოლოდ დოკუმენტური მტკიცებულების ან სახელობითი ფასიანი ქაღალდის სახით.

[2] აღნიშნული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს იგივე მითითებებს წესდებით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით, რაც მოცემულია წილებზე ხელმოწერის დოკუმენტში.

მუხლი 785

[1] წილების დათმობა და ასევე წილის დათმობის ვალდებულების კისრება საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას.

[2] წილის დათმობის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს იგივე მითითებებს წესდებით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით, რაც მოცემულია წილებზე ხელმოწერის დოკუმენტში.

მუხლი 786

[1] საზოგადოების კაპიტალში წილების დათმობა საჭიროებს პარტნიორთა კრებას თანხმობას. პარტნიორთა კრებას შეუძლია უარი თქვას თანხმობის მიცემაზე მისი მიზეზების მითითების გარეშე.

[2] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აღნიშნულისაგან განსხვავებულ დანაწესს, რომლითაც ის:

1. უარს ამბობს წილების დათმობისათვის პარტნიორთა კრების თანხმობის აუცილებლობაზე;
2. უთითებს იმ მიზეზებს, რომლებიც ამართლებს თანხმობის მიცემაზე უარს;
3. ითვალისწინებს თანხმობის მიცემაზე უარის შესაძლებლობას, თუ საზოგადოება გამსხვისებელს სთავაზობს წილების რეალურ ფასად მიღებას;
4. გამორიცხავს წილების დათმობას;
5. ითვალისწინებს თანხმობის მიცემაზე უარის შესაძლებლობას, თუ წესდებით გათვალისწინებული დამატებითი შენატანებისა თუ გადახდების განხორციელების ვალდებულებების შესრულება საეჭვოა და საზოგადოების მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის წარდგენა არ ხდება.

[3] თუ წესდება გამორიცხავს წილების დათმობას ან თუ პარტნიორთა კრება უარს აცხადებს თანხმობის მიცემაზე, მაშინ შენარჩუნებულია პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის უფლება მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე.

მუხლი 787

[1] თუ წილების დათმობისათვის აუცილებელია პარტნიორთა კრების თანხმობა, მაშინ დათმობა ძალმოსილი ხდება მხოლოდ აღნიშნული თანხმობის მიცემის მომენტიდან.

[2] თუ პარტნიორთა კრება ექვსი თვის განმავლობაში უარს არ განაცხადებს წილების დათმობაზე თანხმობის მიცემაზე, მაშინ ეს უკანასკნელი ჩაითვლება მიცემულად.

მუხლი 788

[1] თუ საზოგადოების კაპიტალში წილების შეძენა ხდება მემკვიდრეობით, სამკვიდროს გაყოფით, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე ან იძულებითი აღსრულების შედეგად, მაშინ მასთან დაკავშირებული ყველა უფლება და ვალდებულება შემძენზე გადადის პარტნიორთა კრების თანხმობის გარეშე.

[2] თუმცაღა, ხმის უფლებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენებისათვის აუცილებელია პარტნიორთა კრების მიერ შემძენის ხმის უფლების მქონე პარტნიორად აღიარება.

[3] პარტნიორთა კრებას შეუძლია უარი თქვას აღნიშნულ აღიარებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება შემძენს შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის მომენტში სთავაზობს წილების რეალურ ფასად მიღებას. შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს საზოგადოების მიერ საკუთარი სახელით ან სხვა პარტნიორებისა თუ მესამე პირების სახელით. თუ შემძენი ექვსი თვის განმავლობაში უარს არ განაცხადებს შეთავაზებაზე მას შემდეგ, რაც ის შეიტყობს რეალური ფასის შესახებ, მაშინ ასეთი შეთავაზება ჩაითვლება მიღებულად.

[4] თუ პარტნიორთა კრება უარს არ განაცხადებს შემძენის ხმის უფლების მქონე პარტნიორად აღიარების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ამ მოთხოვნის მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში, მაშინ მიიჩნევა, რომ პარტნიორთა კრებამ მოახდინა ასეთი აღიარება.

[5] წესდებით შესაძლებელია შემძენის ხმის უფლების მქონე პარტნიორად აღიარების მოთხოვნის გამორიცხვა.

მუხლი 789

[1] თუ კანონი ან წესდება ადგენს წილების რეალური ფასის განსაზღვრის აუცილებლობას, მაშინ მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ ეს უკანასკნელი დადგინდეს სასამართლოს მიერ.

[2] სასამართლო საქმის წარმოების ხარჯებს ანაწილებს და ღირებულების დადგენას ახდენს თავისი შეხედულებით.

მუხლი 789a

[1] საზოგადოების კაპიტალში წილზე უზუფრუქტის დადგენისათვის შესაბამისად გამოიყენება წილების გადაცემის მომწესრიგებელი ნორმები.

[2] თუ წესდება გამორიცხავს წილის დათმობას, მაშინ გამორიცხულია ასევე წილებზე უზუფრუქტის დადგენაც.

მუხლი 789b

[1] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს წილებზე გირავნობის უფლების დადგენას პარტნიორთა კრების თანხმობით. ამ უკანასკნელს შეუძლია უარი თქვას თანხმობის მიცემაზე, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი.

[2] თუ წესდება გამორიცხავს წილის დათმობას, მაშინ გამორიცხულია ასევე წილებზე გირავნობის უფლების დადგენაც.

მუხლი 790

[1] საზოგადოება აწარმოებს კაპიტალში წილთა რეესტრს. საზოგადოებამ ეს რეესტრი იმგვარად უნდა აწარმოოს, რომ ის შვეიცარიის ფარგლებში ნებისმიერ დროს იყოს ხელმისაწვდომი.

[2] წილთა რეესტრში რეგისტრაციაში ტარდება:

1. პარტნიორების სახელები და მისამართები;

2. ყოველი პარტნიორის წილთა რაოდენობა, ნომინალური ღირებულება და, აუცილებლობის შემთხვევაში, – ასევე მათი კატეგორიებიც;

3. უზუფრუქტუარების სახელები და მისამართები;

4. მოგირავნეთა სახელები და მისამართები.

[3] ის პარტნიორები, რომლებიც არ არიან უფლებამოსილი ხმის უფლებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაციაზე, წილთა რეესტრში აღინიშნებიან როგორც ხმის უფლების არმქონე პარტნიორები.

[4] პარტნიორებს აქვთ წილთა რეესტრის გაცნობის უფლება.

[5] რეგისტრაციის საფუძვლად არსებული დოკუმენტები ინახება წილთა რეესტრიდან რეგისტრირებული პირის შესახებ ჩანაწერის ამოშლის მომენტიდან ათი წლის განმავლობაში.

მუხლი 790a

[1] ნებისმიერი პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან მესამე პირებთან არსებული შეთანხმებით იძენს წილებს და ამის შედეგად აღწევს ან აჭარბებს საწესდებო კაპიტალისა თუ ხმების 25-პროცენტიან ზღვარს, ვალდებულია ერთი თვის ვადაში შეატყობინოს საზოგადოებას იმ ფიზიკური პირის სახელი და გვარი და მისამართი, ვის სასარგებლოდაც ის საბოლოოდ მოქმედებს (ბენეფიციარი მესაკუთრე).

[2] პარტნიორმა უნდა აცნობოს საზოგადოებას ბენეფიციარი მესაკუთრის სახელისა თუ გვარის ან მისამართის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

[3] აზრობრივად გამოიყენება ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრისა (მუხ. 697l) და აქციონერზე დაკისრებული შეტყობინების წარდგენის ვალდებულების დარღვევის შედეგების (მუხ. 697m) მომწესრიგებელი სააქციო სამართლის ნორმები.

მუხლი 791

[1] პარტნიორთა სახელები, საცხოვრებელი ადგილი და წარმოშობის ტერიტორია, ისევე როგორც – მათი წილების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

[2] აღნიშნული რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენა ეკისრება საზოგადოებას.

მუხლი 792

თუ წილი რამდენიმე პირს განუყოფლად ეკუთვნის, მაშინ:

1. მათ ერთობლივად უნდა განსაზღვრონ ერთი პირი, რომელიც განახორციელებს მათ წარმომადგენლობას; ამ პირებს წილიდან გამომდინარე უფლებების განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ წარმომადგენლის მეშვეობით;

2. აღნიშნული პირები დამატებითი შენატანებისა თუ გადახდების განხორციელების ვალდებულებებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად.

მუხლი 793

[1] პარტნიორებს ეკისრებათ თავიანთი წილების შესაბამისი შენატანის განხორციელების ვალდებულება.

[2] შენატანები კომპენსაციას არ ექვემდებარება.

მუხლი 794

საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ საზოგადოების ქონება.

მუხლი 795

[1] წესდებით პარტნიორებს შეიძლება დაეკისროთ დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება.

[2] თუ წესდება ითვალისწინებს დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულებას, მაშინ ის უნდა ადგენდეს თითოეულ წილთან დაკავშირებით განსახორციელებელი დამატებითი შენატანის თანხასაც. ეს უკანასკნელი არ უნდა აღემატებოდეს წილის ნომინალური ღირებულების ორმაგ ოდენობას.

[3] პარტნიორები პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარ წილებთან დაკავშირებული დამატებითი შენატანების განხორციელებისათვის.

მუხლი 795a

[1] დამატებითი შენატანების განხორციელების მოთხოვნა შეუძლიათ დირექტორებს.

[2] დამატებითი შენატანების განხორციელების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ:

1. ვეღარ იფარება საწესდებო კაპიტალისა და კანონისმიერი რეზერვების თანხა;

2. საზოგადოებას აღნიშნული დამატებითი სახსრების გარეშე არ შეუძლია თავისი საქმიანობის სათანადოდ გაგრძელება;

3. საზოგადოებას საკუთარი კაპიტალი ესაჭიროება წესდებაში აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე;

[3] შეუსრულებელი დამატებითი შენატანების განხორციელების ვადა დაუყოვნებლივ დგება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში.

მუხლი 795b

შესრულებული დამატებითი შენატანები ექვემდებარება სრულ ან ნაწილობრივ დაბრუნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხა იფარება თავისუფლად

განკარგვადი საკუთარი კაპიტალით და ლიცენზირებული ექსპერტი ამას წერილობით ადასტურებს.

მუხლი 795c

[1] წესდებით გათვალისწინებული დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება შეიძლება შემცირდეს ან შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწესდებო კაპიტალისა და კანონისმიერი რეზერვების თანხა სრულად არის დაფარული.

[2] შესაბამისად გამოიყენება საწესდებო კაპიტალის შემცირების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 795d

[1] საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორებისათვის დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება შენარჩუნდება შემდგომი სამი წლის განმავლობაში ქვემოთ მოცემული შეზღუდვების გათვალისწინების პირობით. საზოგადოებიდან გასვლის მომენტი განისაზღვრება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მიხედვით.

[2] საზოგადოებიდან გასულმა პარტნიორებმა დამატებითი შენატანები უნდა განახორციელონ მხოლოდ საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში.

[3] აღნიშნული პარტნიორების მიერ დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება ქარწყლდება, რამდენადაც ის შესრულდა უფლებამონაცვლის მიერ.

[4] საზოგადოებიდან გასულ პარტნიორებზე დაკისრებული დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულების გაზრდა დაუშვებელია.

მუხლი 796

[1] წესდებით პარტნიორებს შეიძლება მოეთხოვოთ დამატებითი გადახდების განხორციელება.

[2] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ იმ დამატებითი გადახდების განხორციელების ვალდებულებებს, რომლებიც ემსახურება საზოგადოების მიზანს, მისი დამოუკიდებლობის ან პარტნიორთა ჯგუფის შემადგენლობის შენარჩუნებას.

[3] წესდებაში უნდა განისაზღვროს წილთან დაკავშირებული დამატებითი გადახდების განხორციელების ვალდებულების საგანი და მოცულობა, ისევე როგორც – მოცემული გარემოებების შესაბამისად სხვა არსებითი პუნქტებიც. უფრო დეტალური აღწერისათვის შესაძლებელია მითითების გაკეთება პარტნიორთა კრების რეგულაციებზე.

[4] წესდებით გათვალისწინებული ფულადი თანხების გადახდისა თუ სხვა ქონებრივი ობიქტების გადაცემის ვალდებულებები ექვემდებარება დამატებითი გადახდების მომწესრიგებელი ნორმებით რეგულირებას, თუ გათვალისწინებული არ არის სათანადო სამაგიერო შესრულება და ეს ვალდებულებები ემსახურება საზოგადოების საკუთარი კაპიტალის დაფარვის საჭიროების დაკმაყოფილებას.

მუხლი 797

წესდებით გათვალისწინებული დამატებითი შენატანებისა თუ გადახდების განხორციელების ვალდებულებების შემდგომში შემოღება ან გაფართოება საჭიროებს ყველა დაინტერესებული პარტნიორის თანხმობას.

მუხლი 798

[1] დივიდენდების გადახდა დასაშვებია მხოლოდ საბალანსო მოგებიდან და ამ მიზნით შექმნილი რეზერვებიდან.

[2] დივიდენდის თანხები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოხდება კანონისა და წესდების შესაბამისად სარეზერვოდ გადაცემული თანხების გამოკლება.

[3] დივიდენდის თანხები უნდა განისაზღვროს საზოგადოების კაპიტალში წილების ნომინალური ღირებულების პროპორციულად; თუ ადგილი ჰქონდა დამატებითი გადახდების განხორციელებას, მაშინ დივიდენდის თანხების ოდენობის განსაზღვრისათვის მათი თანხებიც უნდა დაემატოს ნომინალურ ღირებულებას; წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აღნიშნულისაგან განსხვავებულ დანაწესს.

მუხლი 798a

[1] საწესდებო კაპიტალისა და განხორციელებული დამატებითი შენატანებისათვის პროცენტები არ გადაიხდება.

[2] საზოგადოების საქმიანობის დაწყებამდე აქციონერისათვის პროცენტების გადახდა დასაშვებია. შესაბამისად გამოიყენება საზოგადოების საქმიანობის დაწყებამდე აქციონერისათვის პროცენტების გადახდის მომწესრიგებელი სააქციო სამართლის ნორმები.

მუხლი 798b

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს უმაღლეს თანამდებობის პირებზე მოგების პროცენტის სახით დამატებითი გასამრჯელოების გადახდას. შესაბამისად გამოიყენება უმაღლეს თანამდებობის პირებზე მოგების პროცენტის სახით დამატებითი გასამრჯელოების გადახდის მომწესრიგებელი სააქციო სამართლის ნორმები.

მუხლი 799

პრივილეგირებული წილების მიმართ შესაბამისად გამოიყენება პრივილეგირებული აქციების მომწესრიგებელი სააქციო სამართლის ნორმები.

მუხლი 800

სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება საზოგადოების მიერ პარტნიორების, დირექტორებისა და ასევე მათი ახლობლების მიმართ განხორციელებული გადახდების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

მუხლი 801

სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება სარეზერვო თანხების მიმართ.

მუხლი 801a

[1] საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიში და აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიში პარტნიორებს უნდა გაეგზავნოთ არაუგვიანეს მორიგ პარტნიორთა კრებაზე მომწვევასთან ერთად.

[2] პარტნიორებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ მათ პარტნიორთა კრების ჩატარების შემდეგ მიეწოდოთ მათ მიერ მიღებული საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიში.

მუხლი 802

[1] ყოველ პარტნიორს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების ყოველგვარ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება.

[2] თუ საზოგადოებას არა ჰყავს აუდიტორი, მაშინ ყოველ პარტნიორს შეუძლია შეუზღუდავად გაეცნოს საბუღალტრო წიგნებსა და დოკუმენტებს. თუ საზოგადოებას ჰყავს აუდიტორი, მაშინ საბუღალტრო წიგნებისა და დოკუმენტების გაცნობის უფლება სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცდება პირის მიერ გამართლებული ინტერესის არსებობა.

[3] თუ არსებობობს იმის საფრთხე, რომ პარტნიორები მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებენ საზოგადოების საწინააღმდეგო მიზნებისათვის, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საზოგადოებას, მაშინ დირექტორებს შეუძლიათ აუცილებელ ფარგლებში უარი განაცხადონ ინფორმაციის მიწოდებასა და საბუღალტრო წიგნებისა და დოკუმენტების გაცნობის ნებართვის მიცემაზე; პარტნიორის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება.

[4] თუ პარტნიორთა კრება გაუმართლებლად უარს აცხადებს ინფორმაციის მიწოდებასა თუ საბუღალტრო წიგნებისა და დოკუმენტების გაცნობის ნებართვის მიცემაზე, მაშინ პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე შესაბამის განკარგულებას იღებს სასამართლო.

მუხლი 803

[1] პარტნიორებს ეკისრებათ კომერციული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება.

[2] პარტნიორებმა თავი უნდა შეიკავონ ყველა იმ ქმედების განხორციელებისაგან, რაც საზოგადოების ინტერესებისათვის საზიანოა. კერძოდ, მათ არ უნდა განახორციელონ ის მოქმედებები, რომლებიც მათ ანიჭებს განსაკუთრებულ სარგებელს, თუმცა საზიანოა საზოგადოების მიზნებისათვის. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს პარტნიორისათვის ნებისმიერი კონკურენტული საქმიანობისაგან თავის შეკავების ვალდებულებას.

[3] პარტნიორებს შეუძლიათ განახორციელონ ერთგულების ვალდებულებისა თუ შესაძლო კონკურენციის აკრძალვის საწინააღმდეგო საქმიანობა, რამდენადაც ყველა დანარჩენი პარტნიორი ამას წერილობით დაეთანხმება. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ დანარჩენი პარტნიორების წერილობითი თანხმობის ნაცვლად აუცილებელი იყოს პარტნიორთა კრების თანხმობა.

[4] შენარჩუნებულია დირექტორების მიმართ მოქმედი კონკურენციის აკრძალვის სპეციალური დანაწესების მოქმედება.

მესამე თავი: საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობა

მუხლი 804

[1] საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.

[2] პარტნიორთა კრებას აქვს შემდეგი უფლებამოსილებები, რომლებიც არ ექვემდებარება სხვა პირებისათვის გადაცემას:

1. წესდების შეცვლა;

2. დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა;

3. აუდიტორული კომპანიის წევრებისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტორების დანიშვნა და გამოწვევა;

4. საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;

5. წლიური ანგარიშის დამტკიცება, ისევე როგორც – საბალანსო მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, განსაკუთრებით კი, – დივიდენდებისა და უმაღლეს თანამდებობის პირებზე მოგების პროცენტის სახით დამატებითი გასამრჯელოების ოდენობის დადგენა;

6. დირექტორებისათვის გადასახდელი საკომპენსაციო თანხების ოდენობის განსაზღვრა;

7. დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლება;

8. საზოგადოების კაპიტალში წილების დათმობაზე თანხმობის მიცემა ან, შესაბამისად, – პარტნიორების ხმის უფლების მქონე პარტნიორად აღიარება;

9. წილებზე გირავნობის უფლების დადგენაზე თანხმობის მიცემა იმ შემთხვევაში, თუ წესდება ამას ითვალისწინებს;

10. წესდებით გათვალისწინებული პირველი შეთავაზების, უპირატესი შესყიდვისა თუ ნასყიდობის უფლებების გამოყენებაზე გადაწყვეტილებების მიღების წესი;

11. დირექტორებისათვის საზოგადოების მიერ საკუთარი წილების შეძენაზე უფლებამოსილების მინიჭება ან ასეთი შეძენის მოწონება;

12. გადახდების განხორციელების ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დეტალური რეგულაციების მიღება იმ შემთხვევაში, თუ წესდება უთითებს ასეთ რეგულაციებზე;

13. დირექტორებისა და პარტნიორების იმ საქმიანობაზე თანხმობის მიცემა, რომელიც არღვევს ერთგულების ვალდებულებასა თუ კონკურენციის აკრძალვის პირობას, რამდენადაც წესდება გამორიცხავს ყველა პარტნიორის მხრიდან თანხმობის მიცემის აუცილებლობას;

14. გადაწყვეტილებების მიღების წესი იმ საკითხთან დაკავშირებით, უნდა წარედგინოს თუ არა სასამართლოს განცხადება მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის მოთხოვნით;

15. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა წესდებით გათვალისწინებული საფუძვლებიდან გამომდინარე;

16. საზოგადოების გაუქმება;

17. დირექტორების მიერ განხორციელებული იმ მოქმედებების მოწონება, რომელთათვისაც წესდების თანახმად აუცილებელია პარტნიორთა კრების თანხმობა;

18. გადაწყვეტილებების მიღების წესი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც კანონი ან წესდება მიაკუთვნებს პარტნიორთა კრების კომპეტენციას ან რომლებსაც ამ უკანასკნელს წარუდგენენ დირექტორები.

[3] პარტნიორთა კრება ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორებს, პროკურისტებსა და სავაჭრო წარმომადგენლებს. წესდებით აღნიშნული უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოთ ასევე დირექტორებსაც.

მუხლი 805

[1] პარტნიორთა კრება მოიწვევა დირექტორების, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – აუდიტორის მიერ. მოწვევის უფლება აქვთ ასევე ლიკვიდატორებსაც.

[2] მორიგი პარტნიორთა კრება ტარდება ყოველწლიურად სამეურნეო წლის დასრულებიდან ექვსი თვის ვადის განმავლობაში. რიგგარეშე კრებები მოიწვევა წესდების შესაბამისად და საჭიროების მიხედვით.

[3] პარტნიორთა კრება მოწვეულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 20 დღისა იმ თარიღამდე, რომლისათვისაც კრება არის დანიშნული. წესდებით აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ან შემცირდეს ათ დღემდე. შენარჩუნებულია ყველა პარტნიორის მონაწილეობით კრების ჩატარების შესაძლებლობა.

[4] გადაწყვეტილებები შეიძლება მიღებულ იქნეს ასევე წერილობითაც, რამდენადაც პარტნიორი არ ითხოვს საკითხის ზეპირ განხილვას.

[5] გარდა აღნიშნულისა, სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება:

1. კრების მოწვევის მიმართ;
2. პარტნიორის მიერ კრების მოწვევისა და წინადადებების წარდგენის უფლებების მიმართ;
3. დღის წესრიგის საკითხების მიმართ;
4. წინადადებების მიმართ;
5. ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების მიმართ;
6. მოსამზადებელი ღონისძიებების მიმართ;
7. ოქმის მიმართ;
8. პარტნიორების წარმომადგენლობის მიმართ;
9. კრებაში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობის მიმართ.

მუხლი 806

[1] პარტნიორთა ხმის უფლება განისაზღვრება მათი წილების ნომინალური ღირებულების მიხედვით. პარტნიორებს აქვს, სულ ცოტა, ერთი ხმა. წესდებით შეიძლება შეიზღუდოს რამდენიმე წილის მფლობელი პარტნიორის კუთვნილი ხმის რაოდენობა.

[2] წესდებით ხმის უფლება შეიძლება განისაზღვროს წილების ნომინალური ღირებულებისაგან დამოუკიდებლად ისე, რომ ყოველი წილი იძლეოდეს ერთ ხმას. ასეთ შემთხვევაში ყველაზე დაბალი ნომინალური ღირებულების მქონე წილები უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, დანარჩენი წილების ნომინალური ღირებულების ერთ მეათედს.

[3] ხმის უფლების განსაზღვრა წილების რაოდენობის მიხედვით არ გამოიყენება:

1. აუდიტორული კომპანიის წევრების არჩევის მიმართ;

2. საზოგადოების მართვისა თუ მასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემოწმების მიზნით ექსპერტის დასახელების მიმართ;

3. პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ სარჩელის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიმართ.

მუხლი 806a

[1] დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას ხმის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომლებმაც ნებისმიერი სახით მიიღეს მონაწილეობა საზოგადოების მართვაში.

[2] საზოგადოების მიერ საკუთარი წილების შეძენის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას ხმის უფლება არა აქვს იმ პარტნიორს, ვინც წილებს თმობს.

[3] პარტნიორების იმ საქმიანობაზე თანხმობის მიცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელიც არღვევს ერთგულების ვალდებულებასა თუ კონკურენციის აკრძალვის პირობას, შესაბამის პირს ხმის უფლება არა აქვს.

მუხლი 806b

წილზე უზუფრუქტის დადგენის შემთხვევაში, ხმის უფლება და მასთან დაკავშირებული უფლებები აქვს უზუფრუქტუარს. ეს უკანასკნელი ვალდებულია, აუნაზღაუროს მესაკუთრეს მიყენებული ზიანი, თუ ის კუთვნილი უფლებების განხორციელებისას სათანადოდ არ ითვალისწინებს მესაკუთრის ინტერესებს.

მუხლი 807

[1] წესდებით პარტნიორებს შეიძლება მიენიჭოთ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება. წესდებაში პირდაპირ უნდა მიეთითოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა მიმართაც მოქმედებს ვეტოს დადების უფლება.

[2] ვეტოს დადების უფლების შემდგომში შემოღება საჭიროებს ყველა პარტნიორის თანხმობას.

[3] ვეტოს დადების უფლება არ ექვემდებარება სხვა პირებისათვის გადაცემას.

მუხლი 808

რამდენადაც კანონით ან წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს და ატარებს არჩევნებს წარმოდგენილი ხმების აბსოლუტური უმრავლესობით.

მუხლი 808a

პარტნიორთა კრების თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს განსხვავებულ დანაწესს.

მუხლი 808b

[1] პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღება, სულ ცოტა, წარმოდგენილი ხმების ორი მესამედით, ისევე როგორც – განხორციელებად ხმის უფლებასთან დაკავშირებული მთლიანი საწესდებო კაპიტალის აბსოლუტური უმრავლესობით აუცილებელია შემდეგ შემთხვევებში:

1. საზოგადოების მიზნის შეცვლა;

2. პრივილეგირებული ხმის უფლების მქონე წილების შემოღება;

3. წილების გადაცემის შესაძლებლობის შეზღუდვა, გამორიცხვა ან მისი გაიოლება;

4. საზოგადოების კაპიტალში წილების დათმობაზე თანხმობის მიცემა ან, შესაბამისად, – პარტნიორების ხმის უფლების მქონე პარტნიორად აღიარება;

5. საწესდებო კაპიტალის გაზრდა;

6. ახალი წილების შეძენის უპირატესი უფლების შეზღუდვა ან გაუქმება;

7. დირექტორებისა და პარტნიორების იმ საქმიანობაზე თანხმობის მიცემა, რომელიც არღვევს ერთგულების ვალდებულებასა თუ კონკურენციის აკრძალვის პირობას;

8. სასამართლოსათვის განცხადების წარდგენა მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის მოთხოვნით;

9. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა წესდებით გათვალისწინებული საფუძვლებიდან გამომდინარე;

10. საზოგადოების ადგილსამყოფელის შეცვლა;

11. საზოგადოების გაუქმება.

[2] წესდების ის დანაწესები, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებისათვის ადგენს კანონით გათვალისწინებულზე მეტ უმრავლესობას, შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ წინასწარ გათვალისწინებული უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით.

მუხლი 808c

სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესის მიმართ.

მუხლი 809

[1] საზოგადოების მართვას ყველა პარტნიორი ერთობლივად ახორციელებს. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საზოგადოების მართვის განსხვავებულ წესს.

[2] დირექტორებად შეიძლება დაინიშნონ მხოლოდ ფიზიკური პირები. თუ საზოგადოების კაპიტალში მონაწილეობს იურიდიული პირი ან სავაჭრო საზოგადოება, მაშინ აუცილებლობის შემთხვევაში, საზოგადოება უთითებს იმ ფიზიკურ პირზე, რომელიც აღნიშნულ ფუნქციას განახორციელებს იურიდიული პირისა თუ სავაჭრო საზოგადოების ნაცვლად. წესდება ამისათვის შეიძლება ითვალისწინებდეს პარტნიორთა კრების თანხმობას.

[3] თუ საზოგადოებას ჰყავს რამდენიმე დირექტორი, მაშინ თავმჯდომარეობის საკითხს აწესრიგებს პარტნიორთა კრება.

[4] თუ საზოგადოებას ჰყავს რამდენიმე დირექტორი, მაშინ ეს დირექტორები გადაწყვეტილებას იღებენ მიცემულ ხმათა უმრავლესობით. თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორების მიერ გადაწყვეტილებების მიღების სხვაგვარ წესს.

მუხლი 810

[1] დირექტორებს გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ ყველა იმ საკითხზე, რომლებიც კანონის ან წესდების თანახმად არ შედის პარტნიორთა კრების კომპეტენციაში.

[2] ქვემოთ მოცემული დანაწესების გათვალისწინების პირობით დირექტორებს ეკისრებათ შემდეგი მოვალეობები, რომელთა სხვა პირისათვის გადაცემა და ჩამორთმევა დაუშვებელია:

1. საზოგადოების ზოგადი მართვა და აუცილებელი მითითებების მიცემა;
2. საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის განსაზღვრა კანონითა და წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში;
3. საბუღალტრო აღრიცხვის, საფინანსო კონტროლისა და დაგეგმარების ორგანიზაციული მოწყობა, რამდენადაც ეს აუცილებელია საზოგადოების მართვისათვის;
4. საზოგადოების მართვაზე უფლებამოსილი პირების საქმიანობაზე, სახელდობრ კი, – კანონის ნორმების, წესდების დებულებების, რეგულაციებისა და მითითებების შესრულებაზე ზედამხედველობა;
5. საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის შემუშავება (წლიური ანგარიშგება, წლიური ანგარიში და აუცილებლობის შემთხვევაში, – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში);
6. პარტნიორთა კრების სხდომის მომზადება და მისი გადაწყვეტილებების შესრულება;
7. საზოგადოების ზედავალიანების შემთხვევაში სასამართლოსათვის შესაბამისი შეტყობინების წარდგენა.

[3] დირექტორების თავმჯდომარეს, ანდა ცალკეულ დირექტორებს ეკისრებათ შემდეგი მოვალეობები:

1. პარტნიორთა კრების მოწვევა და ხელმძღვანელობა;
2. პარტნიორებთან კომუნიკაცია;
3. სამეწარმეო რეესტრში აუცილებელი შეტყობინებების წარდგენის უზრუნველყოფა.

მუხლი 811

[1] წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დირექტორების მიერ პარტნიორთა კრებისათვის:

1. განსაზღვრული გადაწყვეტილებების დასამტკიცებლად წარდგენის ვალდებულება;
2. ცალკეული საკითხების დასამტკიცებლად წარდგენის შესაძლებლობა.

[2] პარტნიორთა კრების მიერ განსაზღვრული გადაწყვეტილებებისა თუ ცალკეული საკითხების დამტკიცება არ იწვევს დირექტორების პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

მუხლი 812

[1] დირექტორებმა და ასევე საზოგადოების მართვაში ჩართულმა მესამე პირებმა მათზე დაკისრებული მოვალეობები უნდა შეასრულონ მაქსიმალური ზრუნვითა და საზოგადოების ინტერესების კეთილსინდისიერი დაცვით.

[2] მათ ეკისრებათ იგივე ერთგულების ვალდებულება, რაც გათვალისწინებულია პარტნიორების მიმართ.

[3] ზემოაღნიშნულ პირებს ეკრძალებათ ნებისმიერი კონკურენტული საქმიანობის განხორციელება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება სხვა წესს ითვალისწინებს ან ყველა დანარჩენი პარტნიორი წერილობით ეთანხმება ასეთ საქმიანობას. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ დანარჩენი პარტნიორების წერილობითი თანხმობის ნაცვლად აუცილებელი იყოს პარტნიორთა კრების თანხმობა.

მუხლი 813

ერთგვაროვანი წინაპირობების არსებობისას დირექტორებსა და ასევე საზოგადოების მართვაში ჩართულ მესამე პირებს ეკისრებათ პარტნიორების მიმართ თანასწორი მოპყრობის ვალდებულება.

მუხლი 814

[1] საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილია ნებისმიერი პარტნიორი.

[2] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საზოგადოების წარმომადგენლობის განსხვავებულ წესს, თუმცა, სულ ცოტა, ერთი დირექტორი მაინც უნდა იყოს საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით წესდება შეიძლება უთითებდეს რეგულაციებზე.

[3] საზოგადოების წარმომადგენლობა შესაძლებელი უნდა იყოს იმ პირის მიერ, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი შვეიცარიაში აქვს. ეს პირი უნდა იყოს დირექტორი ან აღმასრულებელი დირექტორი. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს წილთა რეესტრზე, ისევე როგორც 697l მუხლით გათვალისწინებული ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრისათვის.

[4] წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოცულობისა და შეზღუდვის, ისევე როგორც საზოგადოებასა და მის წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება სააქციო სამართლის ნორმები.

[5] საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირებმა დოკუმენტებზე ხელის მოწერა უნდა მოახდინონ თავიანთ ხელმოწერაზე საზოგადოების საფირმო სახელწოდების დამატებით.

[6] აღნიშნული პირები რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ სამეწარმეო რეესტრში. მათ თავიანთი ხელმოწერები სამეწარმეო რეესტრის სამსახურს უნდა წარუდგინონ პირადად ან სათანადოდ დამოწმებული ფორმით.

მუხლი 815

[1] პარტნიორთა კრებას ნებისმიერ დროს შეუძლია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მის მიერ არჩეული დირექტორები.

[2] თითოეულ პარტნიორს შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს განცხადება დირექტორისათვის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ჩამორთმევისა თუ შეზღუდვის მოთხოვნით, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი, სახელდობრ კი, – როდესაც შესაბამისმა პირმა უხეშად

დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობები ან დაკარგა საქმეთა სათანადოდ გაძღოლის უნარი.

[3] დირექტორებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეუჩერონ აღმასრულებელ დირექტორებს, პროკურისტებსა და სავაჭრო წარმომადგენლებს მათზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელება.

[4] თუ აღნიშნული პირები დაინიშნენ პარტნიორთა კრების მიერ, მაშინ ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული.

[5] შენარჩუნებულია თანამდებობიდან გათავისუფლებული ან იმ პირების კუთვნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, რომლებსაც შეუჩერდათ მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება.

მუხლი 816

დირექტორების გადაწყვეტილებების მიმართ აზრობრივად მოქმედებს ბათილობის იგივე საფუძვლები, რაც გათვალისწინებულია სააქციო საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებებისათვის.

მუხლი 817

საზოგადოება პასუხს აგებს იმ დელიქტებიდან გამომდინარე ზიანისათვის, რომლებსაც საზოგადოების მართვასა თუ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი სჩადის მასზე დაკისრებული მართვის ფუნქციების განხორციელების დროს.

მუხლი 818

[1] სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება აუდიტორის მიმართ.

[2] პარტნიორს, რომელსაც ეკისრება დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება, შეუძლია მოითხოვოს წლიური ანგარიშის სტანდარტული აუდიტორული შემოწმება.

მუხლი 819

საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის ხარვეზების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება სააქციო სამართლის ნორმები.

მუხლი 820

[1] სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება კაპიტალის დაკარგვისა და საზოგადოების ზედავალიანების, ისევე როგორც – გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისა და მისი გადადების შემთხვევებში შეტყობინების ვალდებულების მიმართ.

[2] დირექტორების ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გადადოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა, სახელდობრ, თუ შეუსრულებელი დამატებითი შენატანები დაუყოვნებლივ განხორციელდება და ასევე არსებობს სანაციის განხორციელების პერსპექტივა.

მეოთხე თავი: საზოგადოების გაუქმება და პარტნორის საზოგადოებიდან გასვლა

მუხლი 821

[1] შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება უქმდება:

1. თუ სახეზეა წესდებით გათვალისწინებული საზოგადოების გაუქმების საფუძველი;

2. თუ პარტნიორთა კრება მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას;

3. თუ იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება;

4. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

[2] თუ პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების გაუქმების შესახებ, მაშინ ეს გადაწყვეტილება ექვემდებარება ოფიციალურ დამოწმებას.

[3] ნებისმიერ პარტნიორს შეუძლია სასამართლოს მოსთხოვოს საზოგადოების გაუქმება მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე. გაუქმების გადაწყვეტილების ნაცვლად სასამართლოს შეუძლია მიიღოს სხვა სათანადო და დაინტერესებული პირებისათვის მისაღები გადაწყვეტილება, როგორიცაა, კერძოდ, სარჩელის წარმდგენი პარტნიორისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდა მისი წილის რეალური ღირებულების ოდენობით.

მუხლი 821a

[1] სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გაუქმების სამართლებრივი შედეგების მიმართ.

[2] საზოგადოების გაუქმება ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას. სასამართლოს გადაწყვეტილებით საზოგადოების გაუქმების შესახებ სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სამეწარმეო რეესტრს. სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე საზოგადოების გაუქმების შესახებ საზოგადოებამ უნდა აცნობოს სამეწარმეო რეესტრს.

მუხლი 822

[1] პარტნიორს მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით საზოგადოებიდან გასვლაზე თანხმობის მიღების მოთხოვნით.

[2] წესდებით პარტნიორებს შეიძლება მიენიჭოთ საზოგადოებიდან გასვლის უფლება და ეს უკანაკნელი დამოკიდებული გახდეს განსაზღვრულ პირობებზე.

მუხლი 822a

[1] თუ პარტნიორი წარადგენს სარჩელს მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე საზოგადოებიდან გასვლის მოთხოვნით ან თუ პარტნიორი აცხადებს თავისი გასვლის შესახებ წესდებით გათვალისწინებული შესაბამისი უფლების საფუძველზე, მაშინ პარტნიორებმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ დანარჩენ პარტნიორებს.

[2] იმ შემთხვევაში, თუ სხვა პარტნიორები აღნიშნული შეტყობინების მიღე-

ბიდან სამი თვის განმავლობაში წარადგენენ სარჩელს მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე საზოგადოებიდან გასვლის მოთხოვნით ან იყენებენ წესდებით გათვალისწინებულ საზოგადოებიდან გასვლის უფლებას, მაშინ საზოგადოებიდან ყველა გამსვლელ პარტნიორს უნდა მოეპყრან თანასწორად მათი წილების ნომინალური ღირებულების პროპორციულად. თუ ადგილი ჰქონდა დამატებითი გადახდების განხორციელებას, მაშინ მათი თანხებიც უნდა დაემატოს ნომინალურ ღირებულებას.

მუხლი 823

[1] თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი, მაშინ პარტნიორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის მოთხოვნით.

[2] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს პარტნიორთა კრების მიერ პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა კონკრეტული მიზეზები.

[3] მიერთებით საზოგადოებიდან გასვლის (Anschlussaustritt) მომწესრიგებელი ნორმები არ გამოიყენება.

მუხლი 824

პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლასთან დაკავშირებული საქმის წარმოებაში სასამართლოს მხარის განცხადების საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ შესაბამისი პირის წევრობის ცალკეული ან ყველა უფლებისა და ვალდებულების მოქმედება შეჩერდეს.

მუხლი 825

[1] თუ პარტნიორი გადის საზოგადოებიდან, მაშინ მას აქვს მოთხოვნის უფლება საკომპენსაციო თანხის მიღებაზე იმ ოდენობით, რაც შეესაბამება მისი წილების რეალურ ღირებულებას.

[2] წესდებით გათვალისწინებული საზოგადოებიდან გასვლის უფლების საფუძველზე პარტნიორის გასვლის მიმართ წესდებით შეიძლება დადგინდეს საკომპენსაციო თანხის მიღების მომწესრიგებელი განსხვავებული დანაწესები.

მუხლი 825a

[1] საკომპენსაციო თანხის გადახდის ვადა დგება საზოგადოებიდან გასვლის მომენტში, რამდენადაც საზოგადოებას:

1. აქვს განკარგვადი საკუთარი კაპიტალი;
2. შეუძლია გაასხვისოს გამსვლელი პარტნიორის წილი;
3. შესაბამისი ნორმების დაცვით შეუძლია შეამციროს თავისი საწესდებო კაპიტალი.

[2] ლიცენზირებულმა ექსპერტმა უნდა დაადგინოს განკარგვადი საკუთარი კაპიტალის ოდენობა. თუ ეს უკანასკნელი არ არის საკმარისი საკომპენსაციო თანხის გადახდისათვის, მაშინ მან ამავე დროს უნდა გამოთქვას თავისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ოდენობით იქნებოდა შესაძლებელი საწესდებო კაპიტალის შემცირება.

[3] საკომპენსაციო თანხის გადაუხდელი ნაწილის მიმართ საზოგადოებიდან გასულ პარტნიორს აქვს უპროცენტო სუბორდინირებული მოთხოვნა. ეს უკანასკნელი ვადამოსული ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ წლიურ ანგარიშში დადგინდება განკარგვადი საკუთარი კაპიტალი.

[4] მანამდე, სანამ საკომპენსაციო თანხა არ იქნება სრულად გადახდილი, საზოგადოებიდან გასულ პარტნიორს შეუძლია მოითხოვოს საზოგადოების მიერ აუდიტორის დანიშვნა და წლიური ანგარიშის სტანდარტული აუდიტორული შემოწმება.

მუხლი 826

[1] ყოველ პარტნიორს აქვს მოთხოვნის უფლება საზოგადოების ლიკვიდაციიდან ამონაგები თანხების წილზე, რომლის ოდენობაც შეესაბამება მისი წილის ნომინალური ღირებულების საწესდებო კაპიტალთან შეფარდებას. თუ ადგილი ჰქონდა დამატებითი გადახდების განხორციელებას და ისინი არ იქნა ანაზღაურებული, მაშინ მათი თანხებიც უნდა დაემატოს შესაბამისი პარტნიორების წილებსა და საწესდებო კაპიტალს. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აღნიშნულისაგან განსხვავებულ დანაწესს.

[2] სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება საზოგადოების ლიკვიდაციის გზით გაუქმების მიმართ.

მეხუთე თავი: პასუხისმგებლობა

მუხლი 827

სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ პირების პასუხისმგებლობის მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოების დაფუძნებაში ან ჩართულები არიან მის მართვაში, აუდიტორულ შემოწმებასა თუ ლიკვიდაციაში.

ოცდამეცხრე ტიტული: კოოპერატივი

პირველი თავი: ცნება და დაფუძნება

მუხლი 828

[1] კოოპერატივი წარმოადგენს კორპორატიულად ორგანიზებულ შეუზღუდავი რაოდენობის პირებისა თუ სავაჭრო საზოგადოებების გაერთიანებას, რომლის ძირითადი მიზანია მისი წევრების მხარდაჭერა ან კონკრეტული ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთო თვითდახმარების გზით.

[2] წინასწარ განსაზღვრული ძირითადი კაპიტალის მქონე კოოპერატივების დაფუძნება დაუშვებელია.

მუხლი 829

საჯაროსამართლებრივი პირთა გაეთიანებები რეგულირდება ფედერაციისა და კანტონების საჯარო სამართლით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი ემსახურება კოოპერატიულ მიზნებს.

მუხლი 830

კოოპერატივი დაფუძნებულად ჩაითვლება წესდების შემუშავებისა და მისი სადამფუძნებლო კრებაზე მიღების შემდეგ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

მუხლი 831

[1] კოოპერატივის დაფუძნებაში მონაწილეობას უნდა იღებდეს, სულ ცოტა, შვიდი წევრი.

[2] თუ შემდგომში კოოპერატივის წევრთა რაოდენობა აღნიშნულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები ხდება, მაშინ შესაბამისად გამოიყენება საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის ხარვეზების მომწესრიგებელი სააქციო სამართლის ნორმები.

მუხლი 832

წესდება უნდა შეიცავდეს შემდეგ დებულებებს:

1. კოოპერატივის საფირმო სახელწოდებასა (ფირმა) და ადგილსამყოფელს;
2. კოოპერატივის მიზანს;
3. კოოპერატივის წევრთა შესაძლო ვალდებულებას ფულადი თუ სხვა შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც ამ შენატანების სახესა და ოდენობას;
4. მართვისა და აუდიტის ორგანოებს და ასევე წარმომადგენლობის განხორციელების სახეს;
5. კოოპერატივის გარე ურთიერთობებში კომუნიკაციის ფორმას.

მუხლი 833

თავისი სავალდებულო ძალისათვის შემდეგი დებულებები უნდა იქნეს შეტანილი წესდებაში:

1. კოოპერატივის წილთა (პაიები) მეშვეობით კოოპერატივის კაპიტალის ფორმირების მომწესრიგებელი ნორმები;
2. კოოპერატივის კაპიტალში არაფულადი სახით განხორციელებული შენატანების (ქონებრივი შენატანები), ასევე მათი საგნისა და ჩასათვლელი თანხის მომწესრიგებელი დებულებები, ისევე როგორც კოოპერატივის კაპიტალში შენატანის განმახორციელებელი წევრის შესახებ დებულებები;
3. იმ ქონებრივი ობიქტების მომწესრიგებელი დებულებები, რომელთა მიღებაც ხდება კოოპერატივის დაფუძნებისას, ამ ქონებრივი ობიქტებისათვის გადასახდელი საზღაური და ასევე მათი მესაკუთრის პიროვნების შესახებ დებულებები;
4. კოოპერატივში შესვლისა და მისი წევრობის დაკარგვის შესახებ კანონისმიერი დანაწესებისაგან განსხვავებული ნორმები;

5. პირადი პასუხისმგებლობისა და დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულების მომწესრიგებელი დებულებები;

6. კოოპერატივის ორგანიზების, წარმომადგენლობის, წესდების შეცვლისა და საერთო კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესის შესახებ კანონისმიერი დანაწესებისაგან განსხვავებული ნორმები;

7. ხმის უფლების გამოყენების შეზღუდვებისა და გაფართოების შემთხვევები;

8. წმინდა მოგებისა და ლიკვიდაციიდან დარჩენილი ქონების გამოანგარიშებისა და გამოყენების მომწესრიგებელი დებულებები.

მუხლი 834

[1] წესდება უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და ის განხილვისა და მიღებისათვის უნდა წარედგინოს ერთ-ერთი დამფუძნებლის მიერ მოწვეულ კრებას.

[2] გარდა აღნიშნულისა, კრებას განსახილველად უნდა წარედგინოს დამფუძნებლების წერილობითი ანგარიში ნებისმიერი შესაძლო ქონებრივი შენატანისა და მისაღები ქონებრივი ობიექტების შესახებ.

[3] აღნიშნული კრება ნიშნავს ასევე აუცილებელ მმართველ ორგანოებს.

[4] კოოპერატივის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე წევრობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ წესდების ხელმოწერის გზით.

მუხლი 835

საზოგადოება ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 836

ფილიალები ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას იმ ადგილის მიხედვით, სადაც ისინი არის განთავსებული.

მუხლი 837

[1] კოოპერატივი აწარმოებს რეესტრს, რომელშიც უთითებს წევრების სახელსა და გვარს ან საფირმო სახელწოდებასა და მისამართს. კოოპერატივმა აღნიშნული რეესტრი იმგვარად უნდა აწარმოოს, რომ ის შვეიცარიის ფარგლებში ნებისმიერ დროს იყოს ხელმისაწვდომი.

[2] რეგისტრაციის საფუძვლად არსებული დოკუმენტები ინახება რეესტრიდან კოოპერატივის წევრის შესახებ ჩანაწერის ამოშლის მომენტიდან ათი წლის განმავლობაში.

მუხლი 838

[1] კოოპერატივი პირის სტატუსს იძენს მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

[2] თუ კოოპერატივის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე პირები მოქმედებდნენ საზოგადოების სახელით, მაშინ ეს პირები პასუხს აგებენ პირადად და სოლიდარულად.

[3] თუ აღნიშნული ვალდებულებები აშკარად დასაფუძნებელი კოოპერატივის

სახელითა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციიდან სამთვიანი ვადის განმავლობაში იქნა ნაკისრი, მაშინ საზოგადოების სახელით მოქმედი პირები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან და ამ ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ კოოპერატივი.

მეორე თავი: წევრობის შეძენა

მუხლი 839

[1] კოოპერატივში ახალი წევრის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

[2] შეუზღუდავი წევრობის პრინციპის დაცვის პირობით წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კოოპერატივში შესვლის დეტალური პირობები; თუმცა, ეს პირობები კოოპერატივში შესვლას მეტისმეტად არ უნდა ართულებდეს.

მუხლი 840

[1] კოოპერატივში ახალი წევრის მიღება საჭიროებს წერილობით განცხადებას.

[2] თუ კოოპერატივის შემთხვევაში ამ უკანასკნელის ქონებასთან ერთად არსებობს ცალკეული წევრების პირადი პასუხისმგებლობა ან დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება, მაშინ ახალი წევრის მიღების განცხადება პირდაპირ უნდა უთითებდეს აღნიშნულ პასუხისმგებლობასა თუ ვალდებულებაზე.

[3] ახალი წევრის მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდების თანახმად საკმარისია მხოლოდ და მხოლოდ განცხადება ახალი წევრის მიღების შესახებ ან აუცილებელია საერთო კრების გადაწყვეტილება.

მუხლი 841

[1] თუ კოოპერატივისადმი მიკუთვნება დაკავშირებულია ამ კოოპერატივთან დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებასთან, მაშინ წევრობის შეძენა ხდება კომპეტენტური ორგანოს მიერ დაზღვევის განაცხადის მიღებით.

[2] ლიცენზირებული სადაზღვევო კოოპერატივების მიერ წევრებთან დადებული დაზღვევის ხელშეკრულებები რეგულირდება დაზღვევის ხელშეკრულებების შესახებ 1908 წლის 2 აპრილის ფედერალური კანონის ნორმებით, მსგავსად ამ კოოპერატივების მიერ მესამე პირებთან დადებული დაზღვევის ხელშეკრულებების მიმართ დადგენილი წესისა.

მესამე თავი: წევრობის დაკარგვა

მუხლი 842

[1] მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული კოოპერატივის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება, ნებისმიერ წევრს შეუძლია თავისუფლად გავიდეს კოოპერატივიდან.

[2] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კოოპერატივიდან გამსვლელის ვალდებულებას, გადაიხადოს სათანადო ოდენობის გასასვლელი თანხა, როდესაც არსებული გარემოებების შესაბამისად წევრის გასვლა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს კოოპერატივს ან საფრთხეს უქმნის მის შემდგომ არსებობას.

[3] წესდების ან ხელშეკრულების საფუძველზე კოოპერატივიდან გასვლის გრძელვადიანი აკრძალვა ან მეტისმეტი გართულება ბათილია.

მუხლი 843

[1] წესდების ან ხელშეკრულების საფუძველზე კოოპერატივიდან გასვლა შეიძლება გამოირიცხოს მაქსიმუმ ხუთი წლის ვადით.

[2] აღნიშნული ვადის განმავლობაშიც კი წევრს შეუძლია გავიდეს კოოპერატივიდან მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე. კოოპერატივიდან თავისუფლად გასვლისათვის გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას შენარჩუნებულია კოოპერატივიდან გამსვლელის ვალდებულება, გადაიხადოს სათანადო ოდენობის გასასვლელი თანხა.

მუხლი 844

[1] კოოპერატივიდან გასვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამეურნეო წლის დასრულებისას და გასვლის შესახებ ერთწლიანი შეტყობინების ვადის დაცვით.

[2] წესდებით შესაძლებელია გასვლის შესახებ შეტყობინების უფრო მცირე ვადის გათვალისწინება და ასევე კოოპერატივიდან გასვლის დაშვება სამეურნეო წლის განმავლობაშიც.

მუხლი 845

იმ შემთხვევაში, თუ წესდება კოოპერატივიდან გამსვლელ წევრს ანიჭებს წილს კოოპერატივის ქონებაში, გაკოტრების საქმის წარმოებაში მყოფი წევრის კუთვნილი გასვლის უფლება შეიძლება განხორციელდეს გაკოტრების მმართველის მიერ, ხოლო თუ ეს წილი დაყადაღებულია, – მოთხოვნების რეალიზაციის უწყების მიერ.

მუხლი 846

[1] წესდება შეიძლება ადგენდეს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობისას კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან.

[2] გარდა აღნიშნულისა, კოოპერატივის წევრი ნებისმიერ დროს შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე.

[3] გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. წესდებით ამ გადაწყვეტილების მიღებაზე კომპეტენტურ ორგანოდ შეიძლება დასახელდეს გამგეობა, რა შემთხვევაშიც გარიცხულ წევრს აქვს საერთო კრებაზე ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. გარიცხულ წევრს შეუძლია საჩივრით მიმართოს სასამართლოს სამი თვის განმავლობაში.

[4] კოოპერატივიდან თავისუფლად გასვლისათვის გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას გარიცხულ წევრს შეიძლება მოეთხოვოს გასასვლელი თანხის გადახდა.

მუხლი 847

[1] კოოპერატივის წევრობა წყდება წევრის გარდაცვალებით.

[2] თუმცა, წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ მემკვიდრეები ავტომატურად გახდნენ კოოპერატივის წევრები.

[3] გარდა აღნიშნულისა, წესდებით ასევე შეიძლება განისაზღვროს, რომ მემკვიდრეები ან რამდენიმე მემკვიდრიდან ერთ-ერთი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გარდაცვლილი წევრის ნაცვლად აღიარებულ იქნეს კოოპერატივის წევრად.

[4] კოოპერატივში მონაწილეობის მისაღებად მემკვიდრეთა გაერთიანებამ უნდა დანიშნოს საერთო წარმომადგენელი.

მუხლი 848

თუ კოოპერატივისადმი მიკუთვნება დაკავშირებულია განსაზღვრულ სამსახურთან (Beamtung) ან სამუშაოზე აყვანასთან ანდა წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობის შედეგს მსგავსად დაზღვევის კოოპერატივის შემთხვევისა, მაშინ, რამდენადაც წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, წევრობა ქარწყლდება სამსახურის, სამუშაოსა თუ ხელშეკრულების შეწყვეტით.

მუხლი 849

[1] კოოპერატივში წილის დათმობის, ხოლო როდესაც კოოპერატივის წევრობასთან ან წილთან დაკავშირებით გაცემულია შესაბამისი დოკუმენტი, – ასევე ამ უკანასკნელის გადაცემის შედეგად შემძენი ავტომატურად არ ხდება კოოპერატივის წევრი. შემძენი ხდება წევრი მხოლოდ ამ საკითხთან დაკავშირებით კანონისა და წესდების შესაბამისად კოოპერატივის წევრთა მიერ გადაწყვეტილების მიღების გზით.

[2] მანამდე, სანამ შემძენი არ იქნება მიღებული კოოპერატივის წევრად, წევრობასთან დაკავშირებული პირადი უფლებების რეალიზაციაზე უფლებამოსილია გამსხვისებელი.

[3] თუ კოოპერატივისადმი მიკუთვნება დაკავშირებულია განსაზღვრულ ხელშეკრულებასთან, მაშინ წესდება შეიძლება ადგენდეს ხელშეკრულების მიღებით წევრობის ავტომატურად უფლებამონაცვლეზე გადასვლის წესს.

მუხლი 850

[1] წესდების თანახმად კოოპერატივის წევრობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან ან ამ ნაკვეთის საწარმოო მიზნით ექსპლუატაციასთან.

[2] აღნიშნულ შემთხვევებში წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მიწის ნაკვეთის გასხვისებისა თუ წარმოების მიღების შედეგად შემძენი ან მიმღები ავტომატურად გახდეს კოოპერატივის წევრი.

[3] მიწის ნაკვეთის გასხვისების გამო წევრობის გადასვლასთან დაკავშირებული დანაწესი მესამე პირების მიმართ თავისი ნამდვილობისათვის საჭიროებს საადგილმამულო რეესტრში წინასწარი ჩანაწერის სახით რეგისტრაციას.

მუხლი 851

კოოპერატივის წევრობის გადაცემისა და მემკვიდრეობის გადასვლის შემთხვევაში უფლებამონაცვლის მიმართ მოქმედებს კოოპერატივიდან გასვლის დროს არსებული იგივე პირობები, რომლებიც გამოიყენება თავდაპირველი წევრის მიმართ.

მეოთხე თავი: კოოპერატივის წევრების უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 852

[1] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კოოპერატივის წევრობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

[2] აღნიშნული მოწმობა შეიძლება იყოს მოცემული ასევე პაის შესახებ დოკუმენტის ნაწილის სახითაც.

მუხლი 853

[1] როდესაც კოოპერატივში არსებობს პაიები, მაშინ მასში შემსვლელმა ნებისმიერმა პირმა უნდა მიიღოს, სულ ცოტა, ერთი პაი მაინც.

[2] წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს რამდენიმე პაის შეძენის შესაძლებლობას განსაზღვრულ ზღვრულ რაოდენობამდე.

[3] პაიები გაიცემა წევრის სახელზე. თუმცაღა, პაიები შეიძლება შედგეს არა როგორც ფასიანი ქაღალდი, არამედ მხოლოდ დოკუმენტური მტკიცებულების სახით.

მუხლი 854

კოოპერატივის წევრებს აქვთ თანაბარი უფლებები და ვალდებულებები, რამდენადაც კანონიდან გამონაკლისი შემთხვევა არ გამომდინარეობს.

მუხლი 855

კოოპერატივის საქმეებში მონაწილეობის უფლებები, განსაკუთრებით კი, კოოპერატივის საქმეთა მართვასა და ინტერესების ხელშეწყობასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაცია ხდება საერთო კრებაში მონაწილეობის მიღებით, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი, – წერილობით ხმის მიცემის გზით (საერთო კენჭისყრა).

მუხლი 856

[1] კოოპერატივის საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშისა და წლიური ანგარიშის მოწონების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საერთო კრების ან საერთო კენჭისყრის ჩატარებამდე არაუგვიანეს ათი დღისა ეს დოკუმენტები გაცნობის მიზნით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს კოოპერატივის ადგილსამყოფელზე.

[2] წესდება შეიძლება განსაზღვრავდეს კოოპერატივის თითოეული წევრის უფლებამოსილებას, კოოპერატივის ხარჯზე მოითხოვოს საწარმოო ანგარიშისა და ბალანსის ასლის მიღება.

მუხლი 857

[1] კოოპერატივის წევრებს შეუძლიათ აუდიტორის ყურადღება გაამახვილონ საქმიანობის საეჭვო ტენდენციებზე და მოითხოვონ აუცილებელი ახსნა-განმარტება.

[2] საბუღალტრო წიგნებისა და საქმიანი მიმოწერის ნახვა შესაძლებელია მხოლოდ საერთო კრების ექსკლუზიური ნებართვით ან გამგეობის გადაწყვეტილებით და მხოლოდ კომერციული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფით.

[3] სასამართლოს შეუძლია მიიღოს განკარგულება კოოპერატივისათვის განსაზღვრული, კონტროლის უფლების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების საბუღალტრო წიგნებიდან ან საქმიანი მიმოწერიდან დამოწმებული ასლის სახით მიწოდების ვალდებულების დაკისრების შესახებ. აღნიშნულმა განკარგულებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას კოოპერატივის ინტერესებს.

[4] როგორც წესდებით, ისე კოოპერატივის მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებით კოოპერატივის წევრთა კუთვნილი კონტროლის უფლების გამორიცხვა ან შეზღუდვა დაუშვებელია.

მუხლი 858 (გაუქმებულია)

მუხლი 859

[1] რამდენადაც წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, კოოპერატივის საქმიანობიდან მიღებული წმინდა მოგება თავისი სრული მოცულობით გადადის კოოპერატივის აქტივში.

[2] თუ გათვალისწინებულია წმინდა მოგების განაწილება კოოპერატივის წევრთა შორის, მაშინ რამდენადაც წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, განაწილება ხორციელდება ცალკეული წევრების მიერ კოოპერატივის კუთვნილი მოწყობილობებით სარგებლობის ფარგლების მიხედვით.

[3] თუ კოოპერატივში არსებობს პაიები, მაშინ ამ პაიებზე გასაცემი წმინდა მოგების კვოტა არ უნდა აღემატებოდეს სპეციალური უზრუნველყოფის გარეშე გაცემული გრძელვადიანი სესხებისათვის დადგენილ ჩვეულებრივ საპროცენტო განაკვეთის ოდენობას.

მუხლი 860

[1] რამდენადაც წმინდა მოგება გამოიყენება სხვაგვარად, ვიდრე კოოპერატივის აქტივის ზრდა, ამ მოგების ერთი მეოცედი ნაწილი ყოველწლიურად უნდა გადაეცემოდეს სარეზერვო ფონდს. ასეთი გადაცემა უნდა ხორციელდებოდეს, სულ ცოტა, 20 წლის განმავლობაში; როდესაც კოოპერატივში არსებობს პაიები, გადაცემა ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მანამდე, სანამ სარეზერვო ფონდი არ გაუტოლდება კოოპერატივის კაპიტალის ერთ მეხუთედს.

[2] წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სარეზერვო ფონდის შემდგომი გაზრდაც.

[3] რამდენადაც სარეზერვო ფონდი არ აღემატება კოოპერატივის დარჩენილი აქტივის ნახევარს, ხოლო როდესაც კოოპერატივში არსებობს პაიები, – კოოპერატივის კაპიტალის ნახევარს, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ

ზარალის დაფარვის ან იმ ზომების მიღებისათვის, რომლებიც აუცილებელია ბიზნესსაქმიანობის რთულ პერიოდში კოოპერატივის მიზნების მისაღწევად.

[4] ... (გაუქმებულია)

მუხლი 861

[1] საკრედიტო კოოპერატივებს შეუძლიათ წესდებაში გაითვალისწინონ წინა მუხლების დებულებებისაგან განსხვავებული ნორმები წმინდა მოგების განაწილების შესახებ, თუმცა მათ ასევე ეკისრებათ სარეზერვო ფონდის შექმნისა და მისი ზემოთ მოცემული დებულებების შესაბამისად გამოყენების ვალდებულება.

[2] სარეზერვო ფონდს ყოველ წელს უნდა დაემატოს წმინდა მოგების, სულ ცოტა, ერთი მეათედი მაინც მანამდე, სანამ ფონდის თანხის ოდენობა არ გაუტოლდება კოოპერატივის კაპიტალის ერთ მეათედს.

[3] თუ კოოპერატივის წილებზე წმინდა მოგების კვოტები განაწილდება ისე, რომ მათი ოდენობა გადააჭარბებს სპეციალური უზრუნველყოფის გარეშე გაცემული გრძელვადიანი სესხებისათვის დადგენილ ჩვეულებრივ საპროცენტო განაკვეთს, მაშინ იმ თანხის ერთი მეათედი, რომლითაც ის აღემატება ამ საპროცენტო განაკვეთს, ასევე ექვემდებარება სარეზერვო ფონდში გადაცემას.

მუხლი 862

[1] წესდებით ფონდის შექმნას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ასევე მომსახურე პირებისა და საწარმოს დასაქმებულებისათვის, ისევე როგორც – კოოპერატივის წევრებისათვის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებების დაფუძნებისა და დაცვის მიზნით.

[2-4] ... (გაუქმებულია)

მუხლი 863

[1] კანონისა და წესდების შესაბამისად განხორციელებული შენატანები სარეზერვო და სხვა ფონდებში პირველ რიგში გამოიქვითება გასანაწილებლად გათვალისწინებული წმინდა მოგების თანხებიდან.

[2] რამდენადაც საწარმოს გრძელვადიანი კეთილდღეობის უზრუნველყოფის მხედველობაში მიღებით რეზერვების შექმნა გამართლებულია, საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმ რეზერვების შექმნის შესახებ, რომლებიც არ არის კანონსა თუ წესდებაში გათვალისწინებული ან რომლებიც სცილდება მათ მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

[3] ანალოგიურად, მომსახურე პირების, დასაქმებულებისა და კოოპერატივის წევრებისათვის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებების დაფუძნებისა და დაცვის მიზნით, ისევე როგორც – სოციალური უზრუნველყოფის სხვა მიზნით განხორციელებული შენატანები წმინდა მოგების თანხებიდან გამოიყოფა ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი არ არის გათვალისწინებული წესდებით; ასეთი შენატანები რეგულირდება წესდებით გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის ფონდის მომწესრიგებელი ნორმებით.

მუხლი 864

[1] წესდება უნდა განსაზღვრავდეს, აქვთ თუ არა კოოპერატივიდან გამსვლელ წევრებსა თუ მათ მემკვიდრეებს კოოპერატივის აქტივებზე მოთხოვნის უფლებები, ხოლო თუ აქვთ, – მაშინ რა სახის მოთხოვნის უფლებებია ეს. აღნიშნული მოთხოვნის უფლებები გამოითვლება კოოპერატივიდან გასვლის მომენტში ბალანსში მოცემული წმინდა აქტივების მიხედვით რეზერვების გაუთვალისწინებლად.

[2] წესდება კოოპერატივიდან გამსვლელ წევრსა თუ მის მემკვიდრეებს შეიძლება ანიჭებდეს მისი პაის ღირებულების სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურების უფლებას გასასვლელი თანხის გაუთვალისწინებლად. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების გადავადებას კოოპერატივიდან წევრის გასვლის დღიდან სამ წლამდე ვადით.

[3] იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წესდება ამის შესახებ არ შეიცავს რაიმე დანაწესს, კოოპერატივი რჩება უფლებამოსილად, გადაავადოს საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება სამ წლამდე ვადით, რამდენადაც ასეთი გადახდის შედეგად მას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზარალი მიადგეს ან საფრთხე შეექმნას მის შემდგომ არსებობას. აღნიშნული წესი არ ეხება კოოპერატივის შესაძლო მოთხოვნის უფლებას, მიიღოს კოოპერატივიდან გამსვლელის მიერ გადახდილი სათანადო ოდენობის გასასვლელი თანხა.

[4] კოოპერატივიდან გამსვლელი წევრისა თუ მისი მემკვიდრეების მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც შესაძლებელია თანხის გადახდის მოთხოვნა.

მუხლი 865

[1] თუ წესდება არ შეიცავს რაიმე დანაწესს საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესახებ, მაშინ კოოპერატივიდან გამსვლელი წევრები ან მათი მემკვიდრეები ვერ მოითხოვენ ასეთი თანხის გადახდას.

[2] თუ კოოპერატივი უქმდება წევრის გასვლიდან ან გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო კოოპერატივის ქონება კი განაწილდება, მაშინ კოოპერატივიდან გამსვლელ წევრსა თუ მის მემკვიდრეებს აქვთ იგივე მოთხოვნის უფლება, რაც კოოპერატივის არსებულ წევრს კოოპერატივის გაუქმების შემთხვევაში.

მუხლი 866

კოოპერატივის წევრებს ეკისრებათ კოოპერატივის ინტერესების კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულება.

მუხლი 867

[1] წესდება აწესრიგებს შენატანისა და გადახდის განხორციელების ვალდებულებას.

[2] თუ კოოპერატივის წევრებს ეკისრებათ წილების თანხების გადახდისა თუ სხვა შენატანების განხორციელების ვალდებულებები, მაშინ კოოპერატივმა ამ ვალდებულებების შესრულება მათ უნდა მოსთხოვოს დაზღვეული წერილით მიცემული სათანადო ვადის განმავლობაში.

[3] თუ პირველი მოთხოვნისთანავე გადახდა არ განხორციელდება და კოოპერატივის წევრი ასევე არ შეასრულებს ამ ვალდებულებას მეორე მოთხოვნიდან ერთთვიანი ვადის განმავლობაში, მაშინ მან შეიძლება დაკარგოს თავისი წევრობის უფლებები იმ პირობით, თუ ის დაზღვეული წერილით წინასწარ გაფრთხილებულ იქნა ასეთი შედეგების შესახებ.

[4] რამდენადაც წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, კოოპერატივის წევრი მის მიერ წევრობის უფლებების დაკარგვით არ თავისუფლდება ვადამოსული ან მისი კოოპერატივიდან გასვლის შედეგად მომავალში ვადადამდგარი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 868

კოოპერატივის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელია კოოპერატივის ქონება. რამდენადაც წესდება სხვაგვარად არ განსაზღვრავს, ეს პასუხისმგებლობა არის ექსკლუზიური.

მუხლი 869

[1] გარდა ლიცენზირებული სადაზღვევო კოოპერატივების შემთხვევებისა, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე დანაწესს, რომლის თანახმადაც კოოპერატივის ქონების გამოყენების შემდგომ კოოპერატივის წევრები პასუხს აგებენ პირადად და შეუზღუდავად.

[2] აღნიშნულ შემთხვევაში, რამდენადაც კრედიტორები განიცდიან ზარალს კოოპერატივის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გამო, კოოპერატივის წევრები მთელი თავიანთი ქონებით სოლიდარულად აგებენ პასუხს კოოპერატივის ყველა ვალდებულებისათვის. ამ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების რეალიზაცია გაკოტრების მმართველის მიერ ხორციელდება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებამდე.

მუხლი 870

[1] გარდა ლიცენზირებული სადაზღვევო კოოპერატივების შემთხვევებისა, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე დანაწესს, რომლის თანახმადაც კოოპერატივის წევრები კოოპერატივის ქონების გამოყენების შემდგომ პირადად, თუმცა მხოლოდ განსაზღვრული თანხის ოდენობით აგებენ პასუხს კოოპერატივის იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც აღემატება მათ საწევრო შენატანებსა და წილების ღირებულებას.

[2] როდესაც კოოპერატივში არსებობს წილები, ცალკეული წევრების პასუხისმგებლობის თანხა განისაზღვრება მათი წილების ღირებულების ოდენობის შესაბამისად.

[3] ამ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების რეალიზაცია გაკოტრების მმართველის მიერ ხორციელდება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებამდე.

მუხლი 871

[1] აღნიშნული პასუხისმგებლობის ნაცვლად ან ამ უკანასკნელთან ერთად კოოპერატივის წესდება წევრებს შეიძლება აკისრებდეს დამატებითი შენატანების

განხორციელების ვალდებულებას, რომლებიც ამავე დროს გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ საბალანსო ზარალის დასაფარად.

[2] დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება შეიძლება იყოს შეუზღუდავი, თუმცა მისი შეზღუდვა შესაძლებელია ასევე განსაზღვრული თანხებით ან საწევრო შენატანებისა თუ კოოპერატივის წილების პროპორციულად.

[3] თუ წესდება არ შეიცავს დამატებითი შენატანების ცალკეულ წევრებს შორის განაწილების მომწესრიგებელ რაიმე დანაწესს, მაშინ ყოველ წევრზე გადასახდელი თანხა განისაზღვრება კოოპერატივის წილების ღირებულების შესაბამისად, ხოლო თუ ასეთი წილები არ არსებობს, – მაშინ „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“ პრინციპის მიხედვით.

[4] დამატებითი შენატანების განხორციელება შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს მოთხოვნილი. კოოპერატივის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების შემთხვევაში, დამატებითი შენატანების განხორციელების მოთხოვნა გადადის გაკოტრების მმართველზე.

[5] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით გამოიყენება შენატანების განხორციელების მოთხოვნისა და წევრობის უფლებების დაკარგვის მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 872

ბათილია წესდების დებულებები, რომლებიც პასუხისმგებლობას ზღუდავს განსაზღვრული ვადით ან კონკრეტული ვალდებულებებითა თუ წევრთა ცალკეული ჯგუფებით.

მუხლი 873

[1] იმ კოოპერატივის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში, რომლის წევრებსაც ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა ან დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება, გაკოტრების მმართველმა კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობის გეგმასთან (Kollokationsplan) ერთად უნდა დაადგინოს ცალკეული წევრის პასუხისმგებლობაში დროებითი თანამონაწილეობის ფარგლები ან განსახორციელებელი დამატებითი შენატანების თანხების ოდენობა და მოითხოვოს ამ თანამონაწილეობიდან გამომდინარე ან დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულებების შესრულება.

[2] უიმედო თანხები თანაბრად უნდა განაწილდეს დანარჩენ წევრთა შორის, ხოლო ზედმეტობა კი ექვემდებარება დაბრუნებას ქონების განაწილების სიის საბოლოო დადგენის შემდეგ. შენარჩუნებულია ერთმანეთს შორის კოოპერატივის წევრების რეგრესული მოთხოვნის უფლება.

[3] კოოპერატივის წევრთა ვალდებულებების დროებითი დადგენა და ქონების განაწილების სია შეიძლება გასაჩივრდეს ვალების ამოღებისა და გაკოტრების სამართლის შესახებ 1889 წლის 11 აპრილის კანონის ნორმების შესაბამისად.

[4] პროცედურა რეგულირდება ფედერალური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 874

[1] კოოპერატივის წევრთა პასუხისმგებლობაში თანამონაწილეობისა თუ დამატებითი შენატანების ვალდებულებების ცვლილებისა და ასევე პაიების ოდენობის შემცირებისა თუ გაუქმების მომწესრიგებელი ნორმები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ წესდებაში ცვლილებების შეტანის გზით.

[2] გარდა აღნიშნულისა, პაიების ოდენობის შემცირებისა თუ გაუქმების მიმართ გამოიყენება სააქციო საზოგადოების ძირითადი კაპიტალის შემცირების მომწესრიგებელი ნორმები.

[3] პასუხისმგებლობაში თანამონაწილეობისა თუ დამატებითი შენატანების ვალდებულებების შემცირება არ ეხება წესდებაში შეტანილი ცვლილებების გამოქვეყნებამდე წარმოშობილ ვალდებულებებს.

[4] პასუხისმგებლობაში თანამონაწილეობისა თუ დამატებითი შენატანების ვალდებულებების ხელახალი კისრება ან მათი მოცულობის გაზრდა კოოპერატივის ყველა კრედიტორის სასარგებლოდ მოქმედებს მიღებული გადაწყვეტილების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 875

[1] პირი, ვინც შემოდის იმ კოოპერატივში, რომლის წევრებსაც ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა ან დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება, პასუხს აგებს კოოპერატივის სხვა წევრების მსგავსად, მათ შორის, – იმ ვალდებულებებისათვისაც, რომლებიც წარმოიშვა კოოპერატივში მის შემოსვლამდე.

[2] წესდების საწინააღმდეგო დებულებას ან კოოპერატივის წევრთა შორის საწინააღმდეგო შეთანხმებას მესამე პირების მიმართ სამართლებრივი ძალა არა აქვს.

მუხლი 876

[1] როდესაც შეუზღუდავად ან შეზღუდულად პასუხისმგებელი წევრი გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზით გადის კოოპერატივიდან, მის გასვლამდე წარმოშობილი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა მაინც შენარჩუნდება, რამდენადაც კოოპერატივიდან გასულის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ ერთი წლის ან წესდებით დადგენილი უფრო მეტი ვადის განმავლობაში მის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება.

[2] ანალოგიური წინაპირობების არსებობისას და იგივე ვადების განმავლობაში შენარჩუნდება ასევე დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულებაც.

[3] თუ კოოპერატივი უქმდება, მაშინ მისი წევრები ასევე რჩებიან პასუხისმგებელი ან დამატებითი შენატანების განხორციელებაზე ვალდებული იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის გაუქმების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ ერთი წლის ან წესდებით დადგენილი უფრო მეტი ვადის განმავლობაში კოოპერატივის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება.

მუხლი 877

[1] თუ კოოპერატივის წევრები კოოპერატივის ვალებისათვის პასუხისმგებე-

ლი არიან შეუზღუდავად ან შეზღუდულად ანდა მათ ეკისრებათ დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება, მაშინ გამგეობამ სამი თვის განმავლობაში წევრის ყოველი შემოსვლისა თუ გასვლის შესახებ უნდა შეატყობინოს სამეწარმეო რეესტრის სამსახურს.

[2] გარდა აღნიშნულისა, გამსვლელ ან გარიცხულ წევრს, ისევე როგორც წევრის მემკვიდრეებს უფლება აქვთ, თავიანთი ინიციატივით მოახდინონ წევრის გასვლის, გარიცხვისა თუ გარდაცვალების შემთხვევის რეგისტრაცია. სამეწარმეო რეესტრის სამსახურმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს კოოპერატივის გამგეობას ნებისმიერი ასეთი განცხადების შესახებ.

[3] ლიცენზირებული სადაზღვევო კოოპერატივები თავისუფლდებიან მათი წევრებისათვის სამეწარმეო რეესტრის სამსახურის მხრიდან განხორციელებული რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ვალდებულებისაგან.

მუხლი 878

[1] კოოპერატივის ცალკეული წევრების პირადი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე კრედიტორთა მოთხოვნის უფლებები შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი კრედიტორის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებიდან კიდევ ერთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონის თანახმად ეს მოთხოვნის უფლებები ჯერ კიდევ მანამდე გაქარწყლდა.

[2] ერთმანეთს შორის კოოპერატივის წევრების რეგრესული მოთხოვნის უფლება ასევე ხანდაზმულია ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ გადახდის განხორციელების დღიდან, რომელსაც ეს მოთხოვნის უფლება ეხება.

მეხუთე თავი: კოოპერატივის ორგანიზაციული მოწყობა

მუხლი 879

[1] კოოპერატივის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება.

[2] საერთო კრებას აქვს შემდეგი უფლებამოსილებები, რომლებიც არ ექვემდებარება სხვა პირებისათვის გადაცემას:

1. წესდების მიღება და შეცვლა;
2. გამგეობის წევრთა და აუდიტორის არჩევა;
3. საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;
4. გამგეობის წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლება;
5. იმ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც კანონისა თუ წესდების თანახმად მიეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას.

მუხლი 880

იმ კოოპერატივების შემთხვევებში, რომლებიც ითვლის 300-ზე მეტ წევრს ანდა რომელთა წევრების უმრავლესობასაც თავად კოოპერატივები ქმნიან, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საერთო კრებას მიკუთვნებული უფლებამოსილებების სრულ ან ნაწილობრივ რეალიზაციას წევრთა მიერ წერილობით ხმის მიცემის გზით (საერთო კენჭისყრა).

მუხლი 881

[1] საერთო კრება მოიწვევა გამგეობის ან წესდებით ამაზე უფლებამოსილი სხვა მმართველი ორგანოს მიერ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – აუდიტორის მიერ. მოწვევის უფლება აქვთ ასევე ლიკვიდატორებსა და სასესხო დოკუმენტიდან გამომდინარე კრედიტორთა წარმომადგენლებს.

[2] საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნეს წევრთა, სულ ცოტა, ერთი მეათედის მოთხოვნით, ხოლო 30-ზე ნაკლები წევრისაგან შემდგარი კოოპერატივების შემთხვევაში კი, – სულ ცოტა, სამი წევრის მოთხოვნით.

[3] თუ გამგეობა აღნიშნულ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს გონივრული ვადის განმავლობაში, მაშინ განმცხადებლის წინადადებების საფუძველზე საერთო კრების მოწვევის შესახებ დადგენილებას იღებს სასამართლო.

მუხლი 882

[1] საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნეს წესდებით გათვალისწინებული ფორმით, თუმცა – არაუგვიანეს ხუთი დღისა იმ თარიღამდე, რომლისათვისაც კრება არის დანიშნული.

[2] 30-ზე მეტი წევრისაგან შემდგარი კოოპერატივების შემთხვევაში მოწვევა ძალმოსილია იმ მომენტიდან, როდესაც ის ხორციელდება საჯარო გამოქვეყნების გზით.

მუხლი 883

[1] საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, ხოლო წესდების შეცვლის შემთხვევაში კი, – შეთავაზებული ცვლილებების არსებით შინაარსს.

[2] დაუშვებელია გადაწყვეტილებების მიღება იმ საკითხებზე, რომლებიც არ იქნა აღნიშნული წესით შეტყობინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება მომდევნო საერთო კრების მოწვევის შეთავაზების შესახებ.

[3] წინასწარი შეტყობინება არ მოითხოვება წინადადებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების გარეშე საკითხების განხილვისათვის.

მუხლი 884

როდესაც – და ასევე მანამდე, სანამ – ყველა წევრი ესწრება კრებას, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ პროტესტი არ არის წარდგენილი, ამ წევრებს შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება მოწვევის წესების მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაშიც.

მუხლი 885

კოოპერატივის თითოეულ წევრს საერთო კრებაზე ან საერთო კენჭისყრაზე აქვს ერთი ხმა.

მუხლი 886

[1] საერთო კრებაზე თავისი ხმის უფლების განხორციელებისას კოოპერატივის წევრი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა წევრის მიერ, თუმცა რწმუნებულს არ შეუძლია ერთზე მეტი წევრის წარმომადგენლობა.

[2] 1000-ზე მეტი წევრისაგან შემდგარი კოოპერატივების შემთხვევაში, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ყოველი წევრის მიერ ერთზე მეტი, თუმცა არაუმეტეს ცხრა სხვა წევრის წარმომადგენლობის შესაძლებლობას.

[3] წესდებით შეიძლება დასაშვებად იქნეს მიჩნეული წარმომადგენლობა ოჯახის ქმედუნარიანი წევრების მეშვეობით.

მუხლი 887

[1] გამგეობის წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას ხმის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომლებმაც ნებისმიერი სახით მიიღეს მონაწილეობა კოოპერატივის მართვაში.

[2] ... (გაუქმებულია)

მუხლი 888

[1] რამდენადაც კანონით ან წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს და ატარებს არჩევნებს მიცემული ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. ეს წესი მოქმედებს ასევე იმ გადაწყვეტილებებისა და არჩევნების მიმართაც, რომლებიც მიიღება და ტარდება საერთო კენჭისყრის გზით.

[2] კოოპერატივის გაუქმებისა და ასევე მისი წესდების შეცვლისათვის საჭიროა მიცემული ხმების ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებებისათვის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მათი მიღების უფრო მკაცრ პირობებს.

მუხლი 889

[1] კოოპერატივის წევრების პირადი პასუხისმგებლობის დადგენისა თუ მისი მოცულობის გაზრდის ანდა მათ მიერ დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ყველა წევრის სამი მეოთხედის უმრავლესობის თანხმობას.

[2] აღნიშნული გადაწყვეტილებები არ არის მავალდებულებელი კოოპერატივის იმ წევრებისათვის, რომლებიც არ დაეთანხმნენ გადაწყვეტილებების მიღებას, თუ ეს წევრები გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში განაცხადებენ კოოპერატივიდან გასვლის შესახებ. ასეთი გასვლა ძალმოსილია გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

[3] აღნიშნულ შემთხვევაში კოოპერატივიდან გასვლა ვერ გახდება დამოკიდებული გასასვლელი თანხის გადახდის პირობაზე.

მუხლი 890

[1] საერთო კრება უფლებამოსილია, თანამდებობიდან გაათავისუფლოს გამგეობის წევრები და აუდიტორები, ისევე როგორც ნებისმიერი მის მიერ არჩეული რწმუნებული და მინდობილი პირი.

[2] წევრთა, სულ ცოტა, ერთი მეათედის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული პირების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, როდესაც სახეზეა ამის მნიშვნელოვანი საფუძვლები, განსაკუთრებით კი, – როდესაც თანამდებობიდან გათავისუფლებულმა პირებმა

უგულებელყვეს მათზე დაკისრებული ვალდებულებები ან ვერ შეძლეს მათი შესრულება. ასეთ შემთხვევებში სასამართლომ, რამდენადაც ეს აუცილებელია, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კოოპერატივის კომპეტენტური ორგანოების მიერ ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ, ხოლო არჩევნების ჩატარებამდე პერიოდისათვის კი მიიღოს სათანადო განკარგულებები.

[3] შენარჩუნებულია თანამდებობიდან გათავისუფლებული პირების კუთვნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები.

მუხლი 891

[1] კოოპერატივის გამგეობასა და ნებისმიერ წევრს შეუძლია კოოპერატივის მიმართ სასამართლოში სარჩელის წარდგენით გაასაჩივროს საერთო კრების მიერ ან საერთო კენჭისყრის გზით მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც არღვევს კანონსა თუ წესდებას. თუ მოსარჩელეს წარმოადგენს გამგეობა, მაშინ სასამართლო კოოპერატივს უნიშნავს წარმომადგენელს.

[2] გასაჩივრების უფლება ქარწყლდება, თუ სარჩელი არ იქნება წარდგენილი გადაწყვეტილების მიღებიდან მაქსიმუმ ორი თვის ვადის განმავლობაში.

[3] სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აუქმებს გადაწყვეტილებას, მოქმედებს ყველა წევრის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ.

მუხლი 892

[1] იმ კოოპერატივებს, რომლებიც ითვლის 300-ზე მეტ წევრს ანდა რომელთა წევრების უმრავლესობასაც თავად კოოპერატივები ქმნიან, წესდების საფუძველზე შეუძლიათ საერთო კრების უფლებამოსილებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცენ დელეგატთა კრებას.

[2] დელეგატთა კრების შექმნის, არჩევისა და მოწვევის წესი რეგულირდება კოოპერატივის წესდებით.

[3] რამდენადაც წესდებით სხვაგვარად არ არის მოწესრიგებული ხმის უფლება, დელეგატთა კრებაზე თითოეულ დელეგატს აქვს თითო ხმა.

[4] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით დელეგატთა კრების მიმართ მოქმედებს საერთო კრების მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები.

მუხლი 893

[1] ლიცენზირებულ სადაზღვევო კოოპერატივებს, რომელთა წევრების რაოდენობაც აღემატება 1000-ს, შეუძლიათ საერთო კრების უფლებამოსილებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცენ გამგეობას.

[2] გადაცემას არ ექვემდებარება საერთო კრების კუთვნილი დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულების დადგენასა თუ მისი მოცულობის გაზრდასთან, კოოპერატივის გაუქმებასთან, შერწყმასთან, გაყოფასა და სამართლებრივი ფორმის გარდაქმნასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები.

მუხლი 894

[1] კოოპერატივის გამგეობა შედგება, სულ ცოტა, სამი პირისაგან; უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ კოოპერატივის წევრები.

[2] თუ კოოპერატივის კაპიტალში მონაწილეობს იურიდიული პირი ან სავაჭრო

საზოგადოება, მაშინ მისი გამგეობის წევრად არჩევა დაუშვებელია; თუმცაღა, მის ნაცვლად შესაძლებელია მისი წარმომადგენლის არჩევა

მუხლი 895 (გაუქმებულია)

მუხლი 896

[1] გამგეობის წევრები აირჩევიან მაქსიმუმ ოთხი წლის ვადით, თუმცა რამდენადაც წესდებით სხვა რაიმე არ არის განსაზღვრული, დასაშვებია მათი ხელახალი არჩევა.

[2] ლიცენზირებული სადაზღვევო კოოპერატივების შემთხვევაში გამგეობის უფლებამოსილების ვადასთან დაკავშირებით გამოიყენება სააქციო საზოგადოების მიმართ მოქმედი ნორმები.

მუხლი 897

წესდებით შესაძლებელია გამგეობის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ნაწილის გადაცემა მის მიერ არჩეული ერთი ან რამდენიმე კომიტეტისათვის.

მუხლი 898

[1] წესდებით საერთო კრებას ან გამგეობას შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, საზოგადოების მართვისა თუ მასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების გადაწყვეტისა და ასევე საზოგადოების წარმომადგენლობის ფუნქციები გადაეცეს ერთ ან რამდენიმე პირს, დირექტორსა თუ აღმასრულებელ დირექტორს, რომლებიც შესაძლოა არც იყვნენ კოოპერატივის წევრები.

[2] კოოპერატივის წარმომადგენლობის განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს იმ პირის მიერ, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი შვეიცარიაში აქვს. ეს უკანასკნელი უნდა იყოს გამგეობის წევრი, დირექტორი ან აღმასრულებელი დირექტორი. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს 837-ე მუხლით გათვალისწინებულ რეესტრაციაზე.

მუხლი 899

[1] საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ, კოოპერატივის სახელით განახორციელონ ყველა ის იურიდიული მოქმედება, რომელიც შეიძლება ემსახურებოდეს კოოპერატივის მიზნის მიღწევას.

[2] წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოცულობის შეზღუდვას კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ სამართლებრივი ძალა არა აქვს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული სათავო ოფისისა თუ ფილიალის ექსკლუზიური ან საზოგადოების ერთობლივი წარმომადგენლობის მომწესრიგებელი დებულებების გათვალისწინების პირობით.

[3] კოოპერატივი პასუხს აგებს იმ დელიქტებიდან გამომდინარე ზიანისათვის, რომლებსაც საზოგადოების მართვასა თუ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი სჩადის მასზე დაკისრებული მართვის ფუნქციების განხორციელების დროს.

მუხლი 899a

თუ ხელშეკრულების დადებისას კოოპერატივს წარმოადგენს ის პირი, რომელთანაც კოოპერატივი დებს ხელშეკრულებას, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა გაფორმდეს წერილობით. ეს მოთხოვნა არ მოქმედებს მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა შემთხვევაშიც საზოგადოების მიერ განსახორციელებელი შესრულების ღირებულება არ აღემატება 1000 ფრანკს.

მუხლი 900

კოოპერატივის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირებმა დოკუმენტებზე ხელის მოწერა უნდა მოახდინონ თავიანთ ხელმოწერაზე კოოპერატივის საფირმო სახელწოდების დამატებით.

მუხლი 901

გამგეობამ უნდა მიმართოს განცხადებით სამეწარმეო რეესტრს კოოპერატივის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების რეგისტრაციის მოთხოვნით და ის წარუდგენს რეესტრს გადაწყვეტილების დამოწმებულ ასლს. ამ პირებმა თავიანთი ხელმოწერები სამეწარმეო რეესტრის სამსახურს უნდა წარუდგინონ პირადად ან სათანადოდ დამოწმებული ფორმით.

მუხლი 902

[1] გამგეობა კოოპერატივის საქმეებს უნდა გაუძღვეს მაქსიმალური ზრუნვით და ასევე სრული ძალისხმევით ხელი უნდა შეუწყოს კოოპერატივის ამოცანების შესრულებას

[2] კერძოდ, გამგეობას ეკისრება:

1. საერთო კრების საქმეთა მომზადება და მისი გადაწყვეტილებების შესრულება;

2. საზოგადოების საქმეთა მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების მხრიდან კანონის, წესდებისა და ნებისმიერი შესაძლო რეგულაციების მოთხოვნათა შესრულებასთან დაკავშირებით ზედამხედველობა და კოოპერატივის ბიზნესსაქმიანობის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღება.

[3] გამგეობა პასუხისმგებელია საკუთარი და საერთო კრების ოქმების, აუცილებელი საბუღალტრო წიგნებისა და ასევე კოოპერატივის წევრთა რეესტრის სათანადო წარმოებაზე, ასევე – იმაზე, რომ საწარმოო ანგარიში და წლიური ბალანსი შედგეს და აუდიტორს წარედგინოს შემოწმებისათვის საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად და რომ სამეწარმეო რეესტრის სამსახურს გადაეცეს შესაბამისი შეტყობინებები კოოპერატივში შესვლასა და კოოპერატივიდან გასვლასთან დაკავშირებით.

მუხლი 903

[1] როდესაც არსებობს ზედავალიანების წარმოშობის რეალური საფრთხე, მაშინ გამგეობამ დაუყოვნებლივ საბაზრო ფასების საფუძველზე უნდა შედგინოს შუალედური ბალანსი.

[2] თუ უკანასკნელი წლიური ბალანსიდან და შემდგომში შედგენილი სალიკვი-

დაციო ან შუალედური ბალანსებიდან ირკვევა, რომ კოოპერატივის კრედიტორების მოთხოვნები ვეღარ იფარება საზოგადოების აქტივებით, მაშინ გამგეობამ შესაბამისი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს სასამართლოს. ამ უკანასკნელმა უნდა გახსნას გაკოტრების საქმის წარმოება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზე არ არის გაკოტრების საქმის წარმოების გადავადების წინაპირობები.

[3] იმ კოოპერატივების შემთხვევაში, რომლის წევრებსაც აქვთ პაიები, გამგეობამ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს საერთო კრება და მოახსენოს მას საქმის ვითარება, როდესაც უკანასკნელი წლიური ბალანსიდან ირკვევა, რომ კოოპერატივის კაპიტალის ნახევარი ვეღარ იფარება.

[4] იმ კოოპერატივების შემთხვევაში, რომლის წევრებსაც ეკისრებათ დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება, სასამართლოს უნდა გაეგზავნოს შესაბამისი შეტყობინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამი თვის განმავლობაში ბალანსიდან გამომდინარე ზარალი წევრების დამატებითი შენატანებით არ იფარება.

[5] გამგეობის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გადადოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა, როდესაც არსებობს სანაციის განხორციელების პერსპექტივა; ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლო იღებს ქონების შენარჩუნების ღონისძიებებს, როგორიცაა აღწერის ჩატარება, მმართველის დანიშვნა.

[6] ლიცენზირებული სადაზღვევო კოოპერატივების შემთხვევაში წევრების მოთხოვნის უფლებები ჩაითვლება დაზღვევის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე კრედიტორის უფლებებად.

მუხლი 904

[1] კოოპერატივის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოებისას გამგეობის წევრებს კოოპერატივის კრედიტორების მიმართ ეკისრებათ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოგების წილის ან სხვაგვარი აღნიშვნის სახით მიღებული გადახდების ანაზღაურება, რამდენადაც ასეთი თანხები აღემატება სამაგიერო შესრულებისათვის გადახდილ სათანადო საზღაურსა და მათი გადახდა არ უნდა განხორციელებულიყო გონივრულად წარმოებული საბუღალტრო აღრიცხვის შემთხვევაში.

[2] ზემოაღნიშნული გადახდების ანაზღაურება გამორიცხულია, რამდენადაც უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების შესაბამისად ასეთი ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლებელია.

[3] სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს თავისი შეხედულებით საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

მუხლი 905

[1] გამგეობას შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან მის მიერ დანიშნული კომიტეტები, დელეგატები, აღმასრულებელი დირექტორები და სხვა რწმუნებულები და მინდობილი პირები.

[2] საერთო კრების მიერ დანიშნულ რწმუნებულებსა და მინდობილ პირებს ნებისმიერ დროს შეიძლება გამგეობის მიერ შეუჩერდეთ მათზე დაკისრებული

ფუნქციების შესრულება საერთო კრების დაუყოვნებლივ მოწვევის პირობით.

[3] შენარჩუნებულია თანამდებობიდან გათავისუფლებული ან იმ პირების კუთვნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, რომლებსაც შეუჩერდათ მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება.

მუხლი 906

[1] სააქციო სამართლის ნორმები შესაბამისად გამოიყენება აუდიტორის მიმართ.

[2] აუდიტორის მიერ წლიური ანგარიშის სტანდარტული აუდიტორული შემოწმების მოთხოვნა შეუძლიათ:

1. წევრთა 10 პროცენტს;
2. წევრებს, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ, სულ ცოტა, საპაიო კაპიტალის 10 პროცენტს;
3. წევრებს, რომლებსაც ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა ან დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება.

მუხლი 907

იმ კოოპერატივების შემთხვევაში, რომლის წევრებსაც ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა ან დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება, აუდიტორმა უნდა დაადგინოს, სწორად იქნა თუ არა წარმოებული კოოპერატივის წევრთა რეესტრი. თუ კოოპერატივს არა ჰყავს აუდიტორი, მაშინ გამგეობამ კოოპერატივის წევრთა რეესტრის შემოწმება უნდა უზრუნველყოს ლიცენზირებული აუდიტორის მიერ.

მუხლი 908

კოოპერატივის ორგანიზაციული მოწყობის ხარვეზების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება სააქციო სამართლის ნორმები.

მუხლები 909 და 910 (გაუქმებულია)

მეექვსე თავი: კოოპერატივის გაუქმება

მუხლი 911

კოოპერატივი უქმდება:

1. წესდებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;
2. საერთო კრების გადაწყვეტილებით;
3. კოოპერატივის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნით;
4. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 912

თუ კოოპერატივის გაუქმება არ ხორციელდება გაკოტრების საქმის წარმოების შედეგად, მაშინ ამის შესახებ სამეწარმეო რეესტრს შესაბამისი რეგისტრაციის მიზნით შეტყობინებას უგზავნის გამგეობა.

მუხლი 913

[1] ქვემოთ მოცემული დანაწესების გათვალისწინების პირობით კოოპერატივის ლიკვიდაცია ხორციელდება სააქციო საზოგადოების მიმართ მოქმედი ნორმების შესაბამისად.

[2] ყველა ვალის დაფარვისა და კოოპერატივის ყველა შესაძლო წილის ღირებულების ანაზღაურების შემდეგ გაუქმებული კოოპერატივის დარჩენილი ქონება შეიძლება განაწილდეს წევრებს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წესდება ითვალისწინებს ასეთ განაწილებას.

[3] რამდენადაც წესდებით სხვა რაიმე არ არის განსაზღვრული, ასეთ შემთხვევაში ქონების განაწილება ხორციელდება გაუქმების მომენტში სახეზე არსებულ წევრებსა თუ მათ უფლებამონაცლეებს შორის „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“ პრინციპის მიხედვით. შენარჩუნებულია კოოპერატივიდან გამსვლელი წევრებისა თუ მათი მემკვიდრეების კუთვნილი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების კანონისმიერი მოთხოვნის უფლება.

[4] თუ წესდება არ შეიცავს კოოპერატივის წევრებს შორის ქონების განაწილების შესახებ რაიმე წესს, მაშინ ლიკვიდაციიდან დარჩენილი ქონება გამოყენებულ უნდა იქნეს კოოპერატივის მიზნებისათვის ან საქველმოქმედო ძალისხმევათა ხელშეწყობისათვის.

[5] როდესაც წესდებით სხვა რაიმე არ არის დადგენილი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

მუხლი 914 (გაუქმებულია)

მუხლი 915

[1] თუ კოოპერატივის ქონებას მიიღებს ფედერაცია, კანტონი ან კანტონის გარანტიით, – ოლქი ან თემი, მაშინ დაინტერესებული პირები საერთო კრების თანხმობით შეიძლება შეთანხმდნენ ლიკვიდაციის პროცესის განუხორციელებლობაზე.

[2] საერთო კრების გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს კოოპერატივის გაუქმების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად და მის შესახებ უნდა შეატყობინონ სამეწარმეო რეესტრის სამსახურს.

[3] კოოპერატივის ქონების ვალებთან ერთად გადაცემა ხდება აღნიშნული გადაწყვეტილების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციით, ხოლო კოოპერატივის საფირმო სახელწოდების შესახებ ჩანაწერი კი ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლას.

მეშვიდე თავი: პასუხისმგებლობა

მუხლი 916

კოოპერატივის ხელმძღვანელობაში, საქმეთა მართვაში, ზედამხედველობასა თუ ლიკვიდაციის პროცესში ჩართული ყველა პირი პასუხს აგებს კოოპერატივის წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც მიყენებულ იქნა მათზე დაკისრებული მოვალეობების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევის შედეგად.

მუხლი 917

[1] გამგეობის წევრები და ლიკვიდატორები, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ მოვალეობებს განზრახ ან გაუფრთხილებლობით არღვევენ კოოპერატივის ზედავალიანების ფაქტთან დაკავშირებით, პასუხს აგებენ კოოპერატივის, მისი ცალკეული წევრებისა და კრედიტორების წინაშე ამის შედეგად მიყენებული ზიანისათვის.

[2] იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაცია, რომელიც ირიბად მიყენებულ იქნა კოოპერატივის წევრებისა და კრედიტორებისათვის მხოლოდ კოოპერატივისათვის ზიანის მიყენების გზით, ხორციელდება სააქციო საზოგადოების მიმართ მოქმედი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 918

[1] თუ რამდენიმე პირი პასუხისმგებელია ერთი და იგივე ზიანისათვის, მაშინ ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად.

[2] რამდენიმე მონაწილეს შორის არსებული რეგრესული მოთხოვნის უფლება სასამართლოს მიერ განისაზღვრება ცალკეული მონაწილის ბრალის ხარისხის მიხედვით.

მუხლი 919

[1] წინა მუხლების ნორმათა შესაბამისად პასუხისმგებელი პირების ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც დაზარალებულისათვის ცნობილი გახდა ზიანისა და ასევე ზიანზე პასუხისმგებელი პირის ვინაობის შესახებ, თუმცა, – ნებისმიერ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი ქმედების ჩადენის დღიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

[2] თუ სარჩელი გამომდინარეობს იმ დანაშაულებრივი ქმედებიდან, რომლისათვის სისხლის სამართალი ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივ ვადას ითვალისწინებს, მაშინ ეს ვადა მოქმედებს ასევე სამოქალაქო მოთხოვნის უფლების მიმართაც.

მუხლი 920

საკრედიტო კოოპერატივებისა და ლიცენზირებული სადაზღვევო კოოპერატივების შემთხვევაში პასუხისმგებლობა განისაზღვრება სააქციო სამართლის ნორმების შესაბამისად.

მერვე თავი: კოოპერატივების გაერთიანებები

მუხლი 921

სამ ან მეტ კოოპერატივს შეუძლია შექმნას კოოპერატივების გაერთიანება და ის კოოპერატივის სახით ჩამოაყალიბოს.

მუხლი 922

[1] როდესაც წესდებით სხვა რაიმე არ არის დადგენილი, კოოპერატივების გაერთიანების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დელეგატთა კრება.

[2] წესდება განსაზღვრავს გაერთიანებაში შესული კოოპერატივების დელეგატთა რაოდენობას.

[3] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესდება განსხვავებულ წესს ადგენს, თითოეულ დელეგატს აქვს თითო ხმა.

მუხლი 923

რამდენადაც წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, გამგეობა იქმნება გაერთიანებაში შესული კოოპერატივების წევრებისაგან.

მუხლი 924

[1] წესდებით გაერთიანების გამგეობას შეიძლება მიენიჭოს გაერთიანებაში შესული კოოპერატივების ბიზნესსაქმიანობის ზედამხედველობის უფლება.

[2] წესდებით გაერთიანების გამგეობას შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, სასამართლოში წარდგენილი სარჩელით გაასაჩივროს გაერთიანებაში შესული ცალკეული კოოპერატივების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

მუხლი 925

კოოპერატივების გაერთიანებაში შესვლა შედეგად არ იწვევს შემსვლელი წევრებისათვის იმ ვალდებულებების დაკისრებას, რომლებიც მათ ჯერ კიდევ არა აქვთ კანონისა თუ კოოპერატივის წესდების შესაბამისად.

მეცხრე თავი: საჯარო სამართლის კორპორაციის მონაწილეობა კოოპერატივებში

მუხლი 926

[1] თუ საჯარო სამართლის კორპორაციებს, რომლებსაც წარმოადგენენ, მაგ., ფედერაცია, კანტონი, ოლქი ან თემი, კოოპერატივების მიმართ აქვთ საჯარო ინტერესი, მაშინ კოოპერატივის წესდება კორპორაციას შეიძლება ანიჭებდეს გამგეობასა თუ აუდიტორულ კომპანიაში წარმომადგენლების დანიშვნის უფლებას.

[2] საჯარო სამართლის კორპორაციის მიერ დანიშნული გამგეობისა თუ აუდიტორული კომპანიის წევრებს აქვთ იგივე უფლებები და ვალდებულებები, რაც საერთო კრების მიერ არჩეულ წევრებს.

[3] მხოლოდ თავად საჯარო სამართლის კორპორაციას აქვს მის მიერ დანიშნული გამგეობისა და აუდიტორული კომპანიის წევრების გამოწვევის უფლება. საჯარო სამართლის კორპორაცია მის მიერ დანიშნულ წევრთა მოქმედებებისათვის პასუხს აგებს კოოპერატივის, მისი წევრებისა და კრედიტორების წინაშე ფედერალური და კანტონალური სამართლით გათვალისწინებული რეგრესული მოთხოვნის უფლების შენარჩუნების პირობით.

მეოთხე განყოფილება: სამეწარმეო რეესტრი, საფირმო სახელწოდება და სამეწარმეო ბუღალტერია

ოცდამეათე ტიტული: სამეწარმეო რეესტრი

მუხლი 927

[1] სამეწარმეო რეესტრის წარმოება ხდება თითოეულ კანტონში.

[2] კანტონებს თავისუფლად შეუძლიათ სამეწარმეო რეესტრის ოლქების მიხედვით წარმოება.

[3] კანტონები ადგენენ უწყებებს, რომლებსაც ეკისრებათ სამეწარმეო რეესტრის წარმოება, და ასევე – კანტონალურ საზედამხედველო ორგანოებს.

მუხლი 928

[1] სამეწარმეო რეესტრის ხელმძღვანელებსა და მათ უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ საზედამხედველო ორგანოებს ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა იმ ყოველი ზიანისათვის, რომელიც დგება თავად ამ ხელმძღვანელებისა თუ ორგანოების ანდა მათ მიერ დანიშნული მომსახურე პირების ბრალით.

[2] ... (გაუქმებულია)

[3] თუ პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მხრიდან ზარალი არ დაიფარება, მაშინ მისი ანაზღაურება ეკისრება კანტონს.

მუხლი 929

[1] ფედერალური საბჭო გამოსცემს სამეწარმეო რეესტრის ორგანიზაციული მოწყობის, წარმოებისა და ზედამხედველობის მომწესრიგებელ დებულებებს, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული პროცედურის, სარეგისტრაციო განაცხადების წარდგენის, თანდართული დოკუმენტაციისა და მათი შემოწმების, სარეგისტრაციო ჩანაწერების შინაარსის, მოსაკრებლებისა და საჩივრებთან დაკავშირებული წარმოების მომწესრიგებელ დებულებებს.

[2] მოსაკრებლების ოდენობა უნდა ესადაგებოდეს საწარმოს ეკონომიკურ მნიშვნელობას.

მუხლი 929a

[1] ფედერალური საბჭო გამოსცემს სამეწარმეო რეესტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებისა და სარეგისტრაციო ორგანოებს შორის მონაცემთა ელექტრონული გაცვლის მომწესრიგებელ დებულებებს. კერძოდ, ფედერალურ საბჭოს შეუძლია კანტონებს მისცეს მითითებები სამეწარმეო რეესტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებასთან, თანდართული დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღებასთან, დოკუმენტაციის ელექტრონულ ფორმატში გადატანასა და მონაცემთა ელექტრონული გადაცემასთან დაკავშირებით.

[2] ფედერალური საბჭო ადგენს, დასაშვებია თუ არა – ხოლო თუ დასაშვებია, მაშინ რა წინაპირობების არსებობისას – სამეწარმეო რეესტრის სამსახურისათვის სარეგისტრაციო განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის

ელექტრონულად წარდგენა. ფედერალურ საბჭოს შეუძლია გამოსცეს დოკუმენტაციის ელექტრონულად შენახვის მომწესრიგებელი დებულებები და კანტონებს მისცეს მითითებები, სამეწარმეო რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერები გასცენ ელექტრონული ფორმით.

მუხლი 930

სამეწარმეო რეესტრი საჯაროა სარეგისტრაციო განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის ჩათვლით.

მუხლი 931

[1] სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერები სრული ტექსტით დაუყოვნებლივ ექვემდებარება გამოქვეყნებას შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონითა თუ დადგენილებით გათვალისწინებულია სარეგისტრაციო ჩანაწერის მხოლოდ ნაწილის ან ჩანაწერიდან ამონარიდის გამოქვეყნება.

[2] ანალოგიურად, შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში უნდა განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული ყველა პუბლიკაცია.

[2bis] ფედერალურ საბჭოს შეუძლია ასევე შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში გამოქვეყნებული მონაცემები სხვაგვარადაც გახადოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

[3] ფედერალური საბჭო გამოსცემს შვეიცარიის სავაჭრო მაცნის ორგანიზაციული მოწყობის მომწესრიგებელ დებულებებს.

მუხლი 931a

[1] იურიდიული პირების შემთხვევაში სამეწარმეო რეესტრისათვის სარეგისტრაციო განცხადებით მიმართვის ვალდებულება ეკისრება უმაღლეს ხელმძღვანელობით ან მმართველობით ორგანოს. შენარჩუნებულია საჯაროსამართლებრივ კორპორაციებთან და დაწესებულებებთან დაკავშირებული სპეციალური საკანონმდებლო ნორმების მოქმედება.

[2] სარეგისტრაციო განცხადება უნდა იქნეს ხელმოწერილი უმაღლესი ხელმძღვანელობითი ან მმართველობითი ორგანოს ორი წევრის მიერ ან იმ ერთი წევრის მიერ, ვინც წარმოადგენს ხელმოწერაზე ერთადერთ უფლებამოსილ პირს. განცხადება ხელმოწერილ უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრის სამსახურის წინაშე ან წარდგენილ იქნეს სათანადოდ დამოწმებული ხელმოწერებით.

მუხლი 932

[1] სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისათვის განმსაზღვრელია სარეგისტრაციო განცხადების ჟურნალში აღრიცხვის მომენტი.

[2] სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერი მესამე პირების მიმართ ძალმოსილია მხოლოდ შვეიცარიის სავაჭრო მაცნის იმ ნომრის დაბეჭდილი სახით გამოსვლის თარიღის მომდევნო სამუშაო დღიდან, რომელშიც ეს ჩანაწერი ქვეყნდება. აღნიშნული სამუშაო დღე ასევე წარმოადგენს განმსაზღვრელ თარიღს იმ ვადისათვის, რომლის დენაც იწყება სარეგისტრაციო ჩანაწერის გამოქვეყნებით.

[3] შენარჩუნებულია იმ სპეციალური საკანონმდებლო ნორმების მოქმედება,

რომელთა თანახმადაც რეგისტრაციასთან ასევე უშუალოდ არის დაკავშირებული მესამე პირების მიმართ არსებული სამართლებრივი შედეგები ან ვადის დენის დაწყება.

მუხლი 933

[1] შესაგებლის წარდგენა მესამე პირის მიმართ ძალმოსილი სარეგისტრაციო ჩანაწერის არცოდნის ფაქტზე მითითებით გამორიცხულია.

[2] თუ ის ფაქტობრივი გარემოება, რომლის რეგისტრაციაც გათვალისწინებულია კანონით, რეალურად არ გატარდა რეგისტრაციაში სამეწარმეო რეესტრში, მაშინ მისი მესამე პირის მიმართ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მტიცდება, რომ ეს ფაქტობრივი გარემოება მესამე პირისათვის ცნობილი იყო.

მუხლი 934

[1] პირი, ვინც დაკავებულია სავაჭრო, საწარმოო ან სხვაგვარი კომერციული მიზნით წარმოებული საქმით, ვალდებულია მოახდინოს წარმოების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია ამ უკანასკნელის სათავო ოფისის ადგილსამყოფელის მიხედვით.

[2] პირი, ვინც დაკავებულია საფირმო სახელწოდების ქვეშ არსებული ისეთი ბიზნესსაქმიანობით, რომლისათვისაც რეგისტრაცია სავალდებულო არ არის, უფლებამოსილია მოახდინოს წარმოების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია ამ უკანასკნელის სათავო ოფისის ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 935

[1] შვეიცარული საწარმოების ის ფილიალები, რომელთა სათავო ოფისი განთავსებულია შვეიცარიის ტერიტორიაზე, რეგისტრაციაში ტარდებებიან მათი ადგილმდებარეობის მიხედვით მას შემდეგ, რაც განხორციელდება სათავო ოფისის რეგისტრაცია.

[2] შვეიცარული საწარმოების ის ფილიალები, რომელთა სათავო ოფისი განთავსებულია უცხოეთში, რეგისტრაციაში ტარდებებიან იგივე წესით, რაც არსებობს შვეიცარული საწარმოებისათვის, რამდენადაც უცხოური კანონმდებლობა არ ითხოვს განსხვავებული წესის დაცვას. ასეთ ფილიალებს უნდა დაენიშნოთ შვეიცარიაში საცხოვრებელი ადგილისა და კომერციული წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე რწმუნებული.

მუხლი 936

ფედერალური საბჭო გამოსცემს სამეწარმეო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციის მომწესრიგებელ დეტალურ დებულებებს.

მუხლი 936a

[1] სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეებს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კომენდიტურ საზოგადოებებს, კავშირებს, ფონდებს, ფილიალებსა და საჯაროსამართლებრივ ინსტიტუტებს ენიჭებათ საიდენტიფიკაციო კოდი საწარმოს საიდენტიფიკაციო კო-

დების შესახებ 2010 წლის 18 ივნისის ფედერალური კანონის შესაბამისად.

[2] საწარმოს საიდენტიფიკაციო კოდი უცვლელი რჩება სამართლის სუბიექტის არსებობის განმავლობაში; კერძოდ, ის ასევე არ იცვლება ადგილსამყოფელის შეცვლის, გარდაქმნის და სახელწოდებისა თუ საფირმო სახელწოდების ცვლილების მიუხედავად.

[3] ფედერალური საბჭო იღებს საკანონმდებლო ნორმების შესრულების შესახებ ინსტრუქციებს. ფედერალურ საბჭოს შეუძლია გაითვალისწინოს საფირმო სახელწოდებასთან ერთად საწარმოს საიდენტიფიკაციო კოდის მითითება წერილებზე, შეკვეთის ბლანკებსა და ანგარიშ-ფაქტურებზე.

მუხლი 937

თუ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია ფაქტობრივი გარემოება, მაშინ მისი ნებისმიერი ცვლილებაც ასევე ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

მუხლი 938

როდესაც სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული საწარმო წყვეტს არსებობას ან გადაეცემა სხვა პირს, მაშინ თავდაპირველ მფლობელსა ან მის მემკვიდრეებს ევალებათ მისი სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის უზრუნველყოფა.

მუხლი 938a

[1] თუ საზოგადოება აღარ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და მას აღარ აქვს გამოყენებადი აქტივები, მაშინ სამჯერადი უშედეგო გაფრთხილების შემდეგ სამეწარმეო რეესტრის ხელმძღვანელს შეუძლია მისი სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლა.

[2] თუ პარტნიორი, აქციონერი თუ კოოპერატივის წევრი ანდა კრედიტორი ამჟღავნებს საზოგადოების რეგისტრაციის შენარჩუნების ინტერესს, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

[3] დეტალურ საკითხებს აწესრიგებს ფედერალური საბჭო.

მუხლი 938b

[1] თუ სამეწარმეო რეესტრში მმართველი ორგანოს სახით რეგისტრირებული პირები თავისუფლდებიან მათ მიერ დაკავებული თანამდებობიდან, მაშინ შესაბამისმა იურდიულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს მათი სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლა.

[2] თანამდებობიდან გათავისუფლებულ პირებს შეუძლიათ ასევე თავად წარადგინონ განცხადება მათი სახელების სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის მოთხოვნით. რეესტრის ხელმძღვანელი დაუყოვნებლივ ატყობინებს იურდიულ პირს სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის შესახებ.

[3] ზემოაღნიშნული დებულებები გამოიყენება ასევე სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირების სახელების რეესტრიდან ამოშლის მიმართაც.

მუხლი 939

[1] თუ სავაჭრო საზოგადოების ან კოოპერატივის ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება, მაშინ გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდეგ სამეწარმეო რეესტრის ხელმძღვანელმა რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ამის შედეგად დამდგარი საზოგადოებისა თუ კოოპერატივის გაუქმება.

[2] თუ გაკოტრების საქმის წარმოება შეწყდება, მაშინ შეწყვეტის შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიღებისთანავე ზემოაღნიშნული სარეგისტრაციო ჩანაწერი ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლას.

[3] გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების შემდეგ, ამ ფაქტის შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიღებისთანავე საზოგადოება ან კოოპერატივი ექვემდებარება სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლას.

მუხლი 940

[1] სამეწარმეო რეესტრის ხელმძღვანელმა უნდა შეამოწმოს, შესრულებულია თუ არა რეგისტრაციისათვის აუცილებელი კანონისმიერი წინაპირობები.

[2] კერძოდ, იურიდიული პირების რეგისტრაციის შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, ეწინააღმდეგება თუ არა წესდება კანონის იმპერატიულ ნორმებს და ასევე აქვს თუ არა მას კანონით მოთხოვნილი შინაარსი.

მუხლი 941

სამეწარმეო რეესტრის ხელმძღვანელი დაინტერესებული მხარეებისაგან ითხოვს მათზე დაკისრებული სარეგისტრაციო განცხადებების წარდგენის ვალდებულების შესრულებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – კანონით გათვალისწინებულ რეგისტრაციებს ის ახორციელებს საკუთარი ინიციატივით.

მუხლი 941a

[1] კანონით იმპერატიულად გათვალისწინებული საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის ხარვეზების შემთხვევაში, სამეწარმეო რეესტრის ხელმძღვანელი განცხადებით მიმართავს სასამართლოს აუცილებელი ზომების მიღების მოთხოვნით.

[2] კანონით იმპერატიულად გათვალისწინებული ფონდის ორგანიზაციული მოწყობის ხარვეზების შემთხვევაში, სამეწარმეო რეესტრის ხელმძღვანელი განცხადებით მიმართავს საზედამხედველო ორგანოს აუცილებელი ზომების მიღების მოთხოვნით.

[3] თუ დარღვეულია კავშირში აუდიტორის საქმიანობის მომწესრიგებელი იმპერატიული დებულებები, მაშინ სამეწარმეო რეესტრის ხელმძღვანელი განცხადებით მიმართავს სასამართლოს აუცილებელი ზომების მიღების მოთხოვნით.

მუხლი 942

ნებისმიერი პირი, რომელსაც ევალება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის განცხადების წარდგენა და ის ამ ვალდებულებას განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ ასრულებს, პასუხს აგებს ამის შედეგად მიყენებული ზიანისათვის.

მუხლი 943

[1] როდესაც კანონი დაინტერესებულ პირებს ავალდებულებს რეგისტრაციის განცხადების წარდგენას, სარეგისტრაციო ორგანო ნებისმიერი ბრალეული დარღვევისათვის საკუთარი ინიციატივით იყენებს საჯარიმო სანქციებს 10-დან 500 ფრანკამდე თანხის ოდენობით.

[2] ანალოგიური საჯარიმო სანქციები გამოიყენება სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წევრების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ სამეწარმეო რეესტრისათვის მოგება-ზარალის უწყისისა და ბალანსის წარდგენის მოთხოვნას.

ოცდამეთერთმეტე ტიტული: საფირმო სახელწოდებები

მუხლი 944

[1] კანონით გათვალისწინებული არსებითი ხასიათის შინაარსთან ერთად, ყოველი საფირმო სახელწოდება შეიძლება შეიცავდეს იმ მონაცემებს, რომლებიც გამიზნულია მასში ნახსენები პირების დეტალური აღწერისათვის ან საწარმოს ბუნების მითითებისათვის ანდა ის წარმოადგენს ფანტაზიის ნაყოფს იმ პირობით, რომ საფირმო სახელწოდების შინაარსი შეესაბამება სინამდვილეს, ვერ გამოიწვევს გაუგებრობებსა და არ ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს.

[2] ფედერალურ საბჭოს შეუძლია გამოსცეს დებულებები, რომლითაც მოწესრიგდება საფირმო სახელწოდებების შექმნისას ეროვნული და ტერიტორიალური აღნიშვნების გამოყენების დასაშვებობის ფარგლები.

მუხლი 945

[1] პირმა, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა ინდივიდუალური მეწარმის სახით (als alleiniger Inhaber), თავისი საფირმო სახელწოდების შექმნისას უნდა გამოიყენოს საკუთარი გვარი სახელთან ერთად ან მის გარეშე.

[2] თუ საფირმო სახელწოდება შეიცავს სხვა გვარებსაც, მაშინ მასში უნდა ჩანდეს, თუ რომელი გვარი წარმოადგენს ინდივიდუალური მეწარმის გვარს.

[3] საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს ისეთი სახის დამატება, რაც მიუთითებდა საზოგადოების დაფუძნებაზე.

მუხლი 946

[1] დაუშვებელია სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდების გამოყენება იმავე ტერიტორიაზე არსებული სხვა ინდივიდუალური მეწარმის მიერ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას იგივე სახელი და გვარი აქვს, რითაც შეიქმნა ძველი საფირმო სახელწოდება.

[2] ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ახალი ინდივიდუალური მეწარმე ვალდებულია თავის საფირმო სახელწოდებას დაურთოს ისეთი სახის დამატება, რომლითაც ის აშკარად განსხვავებული იქნება ძველი საფირმო სახელწოდებისაგან.

[3] შენარჩუნებულია სხვა ტერიტორიაზე რეგისტრირებული ინდივიდუალური

მეწარმის მიმართ არსებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები.

მუხლები 947 და 948 (გაუქმებულია)

მუხლი 949 (გაუქმებულია)

მუხლი 950

[1] სავაჭრო საზოგადოებებსა და კოოპერატივებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ თავიანთი საფირმო სახელწოდება ამ უკანასკნელის შექმნის ზოგადი პრინციპების დაცვის პირობით.

[2] ფედერალური საბჭო ადგენს, თუ სამართლებრივი ფორმების რომელი აბრევიატურებია დასაშვები.

მუხლი 951

სავაჭრო საზოგადოებისა თუ კოოპერატივის საფირმო სახელწოდება აშკარად განსხვავებული უნდა იყოს შვეიცარიაში სავაჭრო საზოგადოებებისა და კოოპერატივების უკვე რეგისტრირებული ყველა საფირმო სახელწოდებისაგან.

მუხლი 952

[1] ფილიალებს უნდა ჰქონდეთ იგივე საფირმო სახელწოდება, როგორიც აქვს სათავო ოფისს; თუმცა, მათ შეუძლიათ თავიანთ საფირმო სახელწოდებას დაურთონ სპეციალური დამატებები, რამდენადაც ეს დამატებები ეხება მხოლოდ კონკრეტულ ფილიალს.

[2] იმ საწარმოს ფილიალის საფირმო სახელწოდება, რომლის ადგილსამყოფელიც უცხოეთშია, დამატებით უნდა უთითებდეს ასევე სათავო ოფისის მდებარეობას, ფილიალის მდებარეობასა და ამ უკანაკნელის პირდაპირ გამოხატულ დასახელებას.

მუხლი 953 (გაუქმებულია)

მუხლი 954

თავდაპირველი საფირმო სახელწოდება შეიძლება შენარჩუნდეს, როდესაც მასში შეტანილი ინდივიდუალური მეწარმისა თუ პარტნიორის სახელი შეიცვალა კანონის ძალით ან კომპეტენტური ორგანოს მიერ.

მუხლი 954a

[1] კორესპონდენციაში, შეკვეთის ბლანკებსა და ანგარიშ-ფაქტურებზე, ისევე როგორც პუბლიკაციებში რეესტრში რეგისტრირებული საფირმო სახელწოდება ან სახელი უნდა იქნეს მოცემული სრულად და უცვლელად.

[2] დამატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემოკლებები, ლოგოები, სავაჭრო სახელწოდებები, საფირმო ნიშნები (Enseignes) და სხვა მსგავსი მონაცემები.

მუხლი 955

სამეწარმეო რეესტრის ხელმძღვანელი ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების მიერ საფირმო სახელწოდების შექმნის მომწესრიგებელი დებულებების მოთხოვნათა შესრულება.

მუხლი 955a

საფირმო სახელწოდების რეგისტრაცია არ ათავისუფლებს უფლებამოსილ პირს ფედერალური კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნორმების მოთხოვნათა შესრულების ვალდებულებისაგან, სახელდობრ კი, – საქმიან ურთიერთობებში მოტყუების საწინააღმდეგო დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებისაგან.

მუხლი 956

[1] სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული და შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში გამოქვეყნებული ცალკეული ინდივიდუალური მეწარმის ან სავაჭრო საზოგადოებისა თუ კოოპერატივის საფირმო სახელწოდება უფლებამოსილ პირს აქვს ექსკლუზიურ სარგებლობაში.

[2] პირს, რომლის ინტერესებიც ირღვევა საფირმო სახელწოდების უნებართვო სარგებლობის შედეგად, შეუძლია სასარჩელო წესით მოითხოვოს საფირმო სახელწოდების შემდგომი სარგებლობისაგან თავის შეკავება, ხოლო ბრალეული ქმედების შემთხვევაში კი, – ზიანის ანაზღაურება.

ოცდამეთორმეტე ტიტული: სამეწარმეო ბუღალტერია და ფინანსური ანგარიშგება

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 957

[1] ქვემოთ მოცემული დებულებების შესაბამისად საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ვალდებულება ეხება:

1. ინდივიდუალურ მეწარმეებსა და ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს, რომელთა ბრუნვიდან მოგებამაც უკანასკნელ სამეურნეო წელს შეადგინა, სულ ცოტა, 500 000 ფრანკი;

2. იურიდიულ პირებს.

[2] მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლებისა და გასავლების შესახებ, ისევე როგორც – ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე საბუღალტრო აღრიცხვის ვალდებულება ეკისრებათ:

1. ინდივიდუალურ მეწარმეებსა და ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს, რომელთა ბრუნვიდან მოგებამაც უკანასკნელ სამეურნეო წელს შეადგინა 500 000 ფრანკზე ნაკლები თანხა;

2. კავშირებსა და ფონდებს, რომლებსაც არ მოეთხოვებათ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია;

3. ფონდებს, რომლებიც თავისუფლდებიან აუდიტორის დანიშვნის ვალდებულებისაგან შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 83b მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

[3] მე-2 ნაწილის თანახმად საწარმოებისათვის აზრობრივად მოქმედებს სტანდარტული საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები.

მუხლი 957a

[1] საბუღალტრო აღრიცხვა ქმნის ფინანსური ანგარიშგების საფუძველს. ის მოიცავს იმ სამეურნეო ოპერაციებსა და არსებულ გარემოებებს, რომლებიც აუცილებელია საწარმოს ქონებრივი, ფინანსური და საშემოსავლო მდგომარეობის (ეკონომიკური მდგომარეობა) ასახვისათვის.

[2] ფინანსური ანგარიშგება ხორციელდება სტანდარტული საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად. სახელდობრ, გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. სამეურნეო ოპერაციებისა და არსებული გარემოებების სრული, სარწმუნო და სისტემატური აღრიცხვა;

2. ცალკეული საბუღალტრო ოპერაციების დოკუმენტალური დადასტურება;

3. სიცხადე;

4. მიზნის შესაბამისობა საწარმოს სახესა და სიდიდესთან;

5. განმეორებითი შემოწმების შესაძლებლობა.

[3] საბუღალტრო დოკუმენტის სახით გამოსადეგია ქაღალდზე შესრულებული ან ელექტრონული თუ ანალოგიური ფორმით არსებული ყველა წერილობითი ჩანაწერი, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლად არსებული სამეურნეო ოპერაციისა თუ გარემოების აღწარმოება.

[4] საბუღალტრო აღრიცხვა ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში ან იმ ვალუტაში, რომელიც მოითხოვება ბიზნესსაქმიანობისათვის.

[5] საბუღალტრო აღრიცხვა ხორციელდება ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე ან ინგლისურ ენაზე. მისი განხორციელება შესაძლებელია წერილობით, ელექტრონულად ან ანალოგიური ხერხით.

მუხლი 958

[1] ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობას უნდა ასახავდეს იმგვარად, რომ მესამე პირს მიეცეს სანდო შეფასების გაკეთების შესაძლებლობა.

[2] ფინანსური ანგარიშგება ხორციელდება საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშში. ეს უკანასკნელი მოიცავს წლიურ ანგარიშგებას (ინდივიდუალური ანგარიშგება), რომელიც შედგება ბალანსისაგან, მოგება-ზარალის უწყისისა და დანართისაგან. შენარჩუნებულია მსხვილი საწარმოებისა და კონცერნების მომწესრიგებელი ნორმების მოქმედება.

[3] საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიში უნდა მომზადდეს სამეურნეო წლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში და წარედგი-

ნოს კომპეტენტურ ორგანოს ან კომპეტენტურ პირებს დასამტკიცებლად. ანგარიშს ხელს უნდა აწერდეს უმაღლესი ხელმძღვანელობითი ან მმართველობითი ორგანოს თავმჯდომარე და ასევე თავად საწარმოში ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 958a

[1] ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ საწარმო უახლოეს მომავალში გააგრძელებს თავის საქმიანობას.

[2] თუ ბალანსის შედგენის თარიღიდან მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში განზრახულია საწარმოს საქმიანობის სრული ან ნაწილობრივი შეჩერება ან ეს უკანასკნელი სავარაუდოდ გარდაუვალია, მაშინ საწარმოს შესაბამისი ნაწილებისათვის ფინანსური ანგარიშგება უნდა ეფუძნებოდეს საბაზრო ფასებს. საწარმოს საქმიანობის შეჩერებასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის სარეზერვო ფონდში უნდა განხორციელდეს ანარიცხები.

[3] საწარმოს საქმიანობის გაგრძელების ვარაუდისაგან გადახვევები უნდა აღინიშნოს ანგარიშგების დანართში; ეკონომიკურ მდგომარეობაზე ამ გადახვევების გავლენა უნდა აიხსნას.

მუხლი 958b

[1] დანახარჯები და შემოსავლები ბუღალტრულად უნდა გატარდეს ერთმანეთისაგან განცალკევებულად გარიგების დროისა და ბუნების მხედველობაში მიღებით.

[2] რამდენადაც საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან გამომდინარე მიღებული წმინდა მოგება ან ფინანსური შემოსავალი არ აღემატება 100 000 ფრანკს, დასაშვებია დროით გამიჯვნაზე უარის თქმა და მის ნაცვლად ხარჯებისა და შემოსავლების საფუძვლად აღება.

მუხლი 958c

[1] კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების მიმართ მოქმედებს შემდეგი პრინციპები:

1. ის უნდა იყოს ნათელი და გასაგები.
2. ის უნდა იყოს სრული.
3. ის უნდა იყოს სანდო.
4. მასში მოცემული უნდა იყოს დედააზრი.
5. ის უნდა იყოს კეთილგონივრული.
6. ანალოგიური კრიტერიუმები უნდა იქნეს გამოყენებული ანგარიშგების პრეზენტაციისა და შეფასებისას.
7. აქტივებისა და პასივების, ისევე როგორც – ხარჯისა და შემოსავლის ერთმანეთთან გაქვითვა დაუშვებელია.

[2] ბალანსსა და დანართში ცალკეული მუხლების მდგომარეობა უნდა მტკიცდებოდეს ინვენტარიზაციითა თუ სხვა გზით.

[3] ფინანსური ანგარიშგება უნდა ესადაგებოდეს საწარმოსა და დარგის თავისებურებებს კანონით გათვალისწინებული მინიმალური შინაარსის დაცვის პირობით.

მუხლი 958d

[1] ბალანსი და მოგება-ზარალის უწყისი შეიძლება აისახოს საანგარიშო ან საანგარიშგებო ფორმაში. არ არის აუცილებელი იმ მუხლების ცალ-ცალკე აღნიშვნა, რომლებსაც არა აქვს რაიმე ღირებულება ან აქვს მხოლოდ არაარსებითი ღირებულება.

[2] შესაბამის სამეურნეო წლის ციფრებთან ერთად, წლიურ ანგარიშში მოცემული უნდა იყოს გასული წლის შესაბამისი მონაცემები.

[3] ფინანსური ანგარიშგება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში ან იმ ვალუტაში, რომელიც მოითხოვება ბიზნესსაქმიანობისათვის. თუ ეროვნული ვალუტა არ გამოიყენება, მაშინ მონაცემები ასევე უნდა იქნეს მოცემული ეროვნულ ვალუტაში. გამოყენებული გაცვლითი კურსები უნდა გამოქვეყნდეს და აუცილებლობის შემთხვევაში კი, – განიმარტოს კიდეც.

[4] ფინანსური ანგარიშგება ხორციელდება ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე ან ინგლისურ ენაზე.

მუხლი 958e

[1] წლიური ანგარიში და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში მათი კომპეტენტური მმართველობითი ორგანოს დამტკიცების შემდეგ აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიშთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში ან ასლის სახით გაეგზავნოს იმ ნებისმიერ პირს, ვინც მათ საკუთარი ხარჯით ითხოვს დამტკიცებიდან ერთი წლის განმავლობაში, როდესაც საწარმოს:

1. აქვს სასესხო დოკუმენტიდან გამომდინარე გადაუხდელი ვალდებულებები; ან

2. აქვს ბირჟაზე კოტირებული წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდები.

[2] დანარჩენმა საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ იმ კრედიტორებისათვის საზოგადოების საქმეთა მდგომარეობისა და აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიშების გასაცნობად ხელმისაწვდომობა, რომლებიც ამტკიცებენ პატივსადები ინტერესის არსებობას. დავის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

მუხლი 958f

[1] საბუღალტრო წიგნები და პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები, ისევე როგორც საზოგადოების საქმეთა მდგომარეობისა და აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიშები ექვემდებარება შენახვას ათი წლის განმავლობაში. შენახვის ვადა აითვლება სამეურნეო წლის დასრულების მომენტიდან.

[2] საზოგადოების საქმეთა მდგომარეობისა და აუდიტორული შემოწმების შესახებ ანგარიშები შენახულ უნდა იქნეს წერილობითი ფორმითა და ხელმოწერილი სახით.

[3] საბუღალტრო წიგნები და პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შენახვა დასაშვებია ქაღალდის სახით, ელექტრონულად ან ანალოგიური ხერხით, რამდენადაც ამით უზრუნველყოფილი იქნება საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლად არსებული სამეურნეო ოპერაციებისა და გარემოების შესაბამისობა,

და ასევე – იმ პირობით, რომ მათი ხელახლა წაკითხვა ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი.

[4] ფედერალური საბჭო გამოსცემს ძირითადი საბუღალტრო წიგნების, მათი წარმოებისა და შენახვის პრინციპების მომწესრიგებელ დებულებებს, ასევე გამოსაყენებლი ინფორმაციის მატარებლის შესახებ წესებს.

მეორე თავი: წლიური ანგარიშგება

მუხლი 959

[1] ბალანსი ასახავს საწარმოს ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობას ბალანსის შედგენის თარიღისათვის. ის იყოფა აქტივებად და პასივებად.

[2] ბალანსის აქტივის ნაწილში შეიტანება აქტივები იმ შემთხვევაში, თუ ადრე მომხდარი მოვლენების გამო შესაძლებელია მათი განკარგვა, მოსალოდნელია ფულადი სახსრების შემოდინება და ასევე შესაძლებელია მათი ღირებულების სანდო შეფასება. სხვა აქტივების ბალანსის აქტივში შეტანა დაუშვებელია.

[3] საბრუნავი კაპიტალის სახით ბალანსში შეიტანება ლიკვიდური სახსრები, ისევე როგორც – სხვა აქტივები, რომლებიც ბალანსის შედგენის თარიღიდან სავარაუდოდ ერთი წლის ან ჩვეულებრივი საქმიანი ციკლის განმავლობაში ხდება ლიკვიდური ანდა ხორციელდება მათი სხვაგვარი რეალიზაცია. ყველა დანარჩენი აქტივი ბალანსში შეტანილ უნდა იქნეს ძირითადი კაპიტალის სახით.

[4] პასივების სახით ბალანსში შეიტანება მოზიდული და საკუთარი კაპიტალი.

[5] ვალდებულებები ბალანსში შეტანილ უნდა იქნეს მოზიდული კაპიტალის სახით, თუ ისინი გამოწვეულია ადრე მომხდარი მოვლენებით, მოსალოდნელია ფულადი სახსრების შემოდინება და ასევე შესაძლებელია მათი ოდენობის სანდო დადგენა.

[6] მოკლევადიანი ვალდებულებების სახით ბალანსში შეიტანება ის ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადაც დგება ბალანსის შედგენის თარიღიდან სავარაუდოდ ერთი წლის ან ჩვეულებრივი საქმიანი ციკლის განმავლობაში. ყველა დანარჩენი ვალდებულება ბალანსში შეიტანება გრძელვადიანი ვალდებულებების სახით.

[7] საკუთარი კაპიტალი უნდა აისახოს და გადანაწილდეს შესაბამისი იურიდიული ფორმის სახით.

მუხლი 959a

[1] აქტივებში ლიკვიდობის ხარისხი უნდა აისახოს, სულ ცოტა, ქვემოთ მოცემული პოზიციების შესაბამისად და ინდივიდუალური ქვემოთ მოცემული რიგითობით:

1. საბრუნავი კაპიტალი:

a. ლიკვიდური სახსრები და საბირჟო კურსის მქონე მოკლევადიანი აქტივები,

b. საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან გამომდინარე მოთხოვნები,

c. დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები,

d. მარაგები და არაფაქტურირებული მომსახურება,

e. მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების ერთმანეთისაგან აქტივში გამიჯვნა;

2. ძირითადი კაპიტალი:

a. ფინანსური კაპიტალდაბანდებები,

b. მონაწილეობა კაპიტალში,

c. მატერიალური ძირითადი საშუალებები,

d. არამატერიალური ძირითადი საშუალებები,

e. გადაუხდელი ძირითადი, საპარტნიორო ან საფონდო კაპიტალი.

[2] პასივებში მათი გადახდის ვადა უნდა აისახოს, სულ ცოტა, ქვემოთ მოცემული პოზიციების შესაბამისად და ინდივიდუალური ქვემოთ მოცემული რიგითობით:

1. მოკლევადიანი მოზიდული კაპიტალი:

a. საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან გამომდინარე ვალდებულებები,

b. მოკლევადიანი პროცენტიანი ვალდებულებები,

c. დანარჩენი მოკლევადიანი ვალდებულებები,

d. მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების ერთმანეთისაგან პასივში გამიჯვნა;

2. გრძელვადიანი მოზიდული კაპიტალი:

a. გრძელვადიანი პროცენტიანი ვალდებულებები,

b. დანარჩენი გრძელვადიანი ვალდებულებები,

c. სარეზერვო ფონდში განხორციელებული ანარიცხები და ასევე კანონით გათვალისწინებული ანალოგიური პოზიციები;

3. საკუთარი კაპიტალი:

a. ძირითადი, საპარტნიორო ან საფონდო კაპიტალი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, – კაპიტალში მონაწილეობის მიხედვით დაყოფილი კაპიტალი,

b. კანონისმიერი ფულადი რეზერვები,

c. კანონისმიერი საშემოსავლო რეზერვები,

d. ნებაყოფლობითი საშემოსავლო რეზერვები ან უარყოფითი პოზიციების სახით არსებული აკუმულირებული დანაკარგი,

e. უარყოფითი პოზიციების სახით არსებული საკუთარ კაპიტალში პარტნიორის წილები.

[3] სხვა პოზიციები ბალანსსა თუ დანართში უნდა აისახოს ინდივიდუალურად, რამდენადაც ეს არსებითია მესამე პირების მიერ ქონებრივი ან ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის ან საწარმოს საქმიანობის შედეგად დამკვიდრებულია პრაქტიკით.

[4] ბალანსსა თუ დანართში განცალკევებულად უნდა აისახოს მოთხოვნები და ვალდებულებები პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეებისა და მმართველი ორგანობის მიმართ, ისევე როგორც – მოთხოვნები და ვალდებულებები იმ საწარმოების მიმართ, რომლებშიც არსებობს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა.

მუხლი 959b

[1] მოგება-ზარალის უწყისი ასახავს სამეურნეო წლის განმავლობაში საწარმოს შემოსავლების დონეს. ის შეიძლება შედგეს წარმოების მოგება-ზარალის უწყისის ან რეალიზაციის მოგება-ზარალის უწყისის სახით.

[2] წარმოების მოგება-ზარალის უწყისში (საერთო ხარჯების გამოანგარიშების მეთოდი), სულ ცოტა, შემდეგი პოზიციები უნდა იქნეს ასახული ინდივიდუალურად და ქვემოთ მოცემული რიგითობით:

1. საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან გამომდინარე მიღებული წმინდა მოგება;
2. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის მარაგის, ისევე როგორც არაფაქტურირებული მომსახურების მოცულობის შეცვლა;
3. მასალის ხარჯები;
4. პერსონალის ხარჯები;
5. დანარჩენი საწარმოო ხარჯები;
6. ძირითად კაპიტალში საამორტიზაციო გამოქვითვები და საბალანსო ღირებულების კორექტირება;
7. ფინანსური დანახარჯები და შემოსავლები;
8. არასაწარმოო დანახარჯები და შემოსავლები;
9. განსაკუთრებული, ერთჯერადი ან პერიოდული არასაწარმოო დანახარჯები და შემოსავლები;
10. პირდაპირი გადასახადები;
11. წლიური მოგება ან ზარალი.

[3] რეალიზაციის მოგება-ზარალის უწყისში (ბრუნვის ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთშეჯერების გზით სამეურნეო შედეგების დადგენის მეთოდი (Umsatzkostenverfahren)), სულ ცოტა, შემდეგი პოზიციები უნდა იქნეს ასახული ინდივიდუალურად და ქვემოთ მოცემული რიგითობით:

1. საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან გამომდინარე მიღებული წმინდა მოგება;
2. რეალიზებული პროდუქციისა და მომსახურების შეძენისა თუ დამზადების ხარჯები;
3. ადმინისტრაციული და საქონლის გასაღების ხარჯები;
4. ფინანსური დანახარჯები და შემოსავლები;
5. არასაწარმოო დანახარჯები და შემოსავლები;
6. განსაკუთრებული, ერთჯერადი ან საანგარიშო პერიოდის მიღმა არსებული დანახარჯები და შემოსავლები;
7. პირდაპირი გადასახადები;
8. წლიური მოგება ან ზარალი.

[4] რეალიზაციის მოგება-ზარალის უწყისის შემთხვევაში, დანართში ასევე უნდა აისახოს პერსონალის ხარჯებიც, ხოლო საამორტიზაციო გამოქვითვებისა და საბალანსო ღირებულების კორექტირების პოზიცია კი – ძირითად კაპიტალში.

[5] სხვა პოზიციები მოგება-ზარალის უწყისსა თუ დანართში უნდა აისახოს ინდივიდუალურად, რამდენადაც ეს არსებითია მესამე პირების მიერ შემოსავლების დონის შეფასებისათვის ან საწარმოს საქმიანობის შედეგად დამკვიდრებულია პრაქტიკით.

მუხლი 959c

[1] წლიური ანგარიშგების დანართი ავსებს და ხსნის წლიური ანგარიშგების სხვა შემადგენელ ნაწილებს. ის შეიცავს:

1. წლიური ანგარიშგების მიმართ გამოყენებული პრინციპების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, რამდენადაც ეს პრინციპები არ არის კანონით გათვალისწინებული;

2. ბალანსისა და მოგება-ზარალის უწყისის პოზიციების შესახებ ინფორმაციას, მათ გაშიფვრასა და ახსნა-განმარტებას;

3. აღდგენის მიზნებისათვის არსებული მოხმარებული რეზერვებისა და ასევე დამატებითი დაფარული რეზერვების საერთო თანხას, რამდენადაც ამ უკანასკნელის ოდენობა აღემატება იგივე სახის ახლადშექმნილი რეზერვების საერთო თანხას, როდესაც ამით მიღწეული ეკონიმიკური შედეგი არსებითად უფრო ხელსაყრელია;

4. კანონით მოთხოვნილ სხვა ინფორმაციას.

[2] რამდენადაც უშუალოდ ბალანსსა თუ მოგება-ზარალის უწყისში მონაცემები არის ნათლად მოცემული, დანართი დამატებით უნდა შეიცავდეს ასევე შემდეგ ინფორმაციას:

1. საწარმოს საფირმო სახელწოდებას ან დასახელებას, ისევე როგორც სამართლებრივ ფორმასა და ადგილსამყოფელს;

2. განცხადებას იმის თაობაზე, რომ საშუალოდ წელიწადის განმავლობაში სრული შტატების რაოდენობა არ აღემატება 10-ს, 50-სა თუ, შესაბამისად, – 250-ს;

3. იმ საწარმოს საფირმო სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს, რომლებშიც არსებობს პირდაპირი ან არსებითი არაპირდაპირი მონაწილეობა კაპიტალში პარტნიორის წილისა და ხმათა რაოდენობის მითითებით;

4. საკუთარი წილების რაოდენობას, რომლებსაც თავად საწარმო ფლობს და რომლებიც იმყოფება იმ საწარმოს მფლობელობაში, რომელშიც მონაწილეობს პირველი საწარმო;

5. საკუთარი წილების შეძენასა და გასხვისებას და ასევე იმ პირობებს, რომლითაც მოხდა მათი შეძენა თუ გასხვისება;

6. ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსი სალიზინგო გარიგებებიდან გამომდინარე ვალდებულებებისა და სხვა სალიზინგო ვალდებულებების ნარჩენ თანხას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ვალდებულებები წყდება ან შეიძლება შეწყდეს ბალანსის შედგენის თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში;

7. სამზრუნველო დაწესებულებების წინაშე არსებულ ვალდებულებებს;

8. მესამე პირის ვალდებულებებისათვის დადგენილი უზრუნველყოფის საერთო თანხას;

9. საკუთარი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივებისა და ასევე პირობადებულ საკუთრებაში არსებული აქტივების საერთო თანხას;

10. სამართლებრივ ან ფაქტობრივ ვალდებულებებს, რომელთათვისაც ფულადი სახსრების შემოდინება არც მოსალოდნელია და არც შესაძლებელია მათი ოდენობის სანდო დადგენა (სავარაუდო ვალდებულება);

11. ყველა ხელმძღვანელობითი ან მმართველობითი ორგანოსა და თანამ-

შრომლის წილობრივი მონაწილეობის ოდენობასა და ღირებულებას ან ასეთ უფლებებზე ოფციებს;

12. მოგება-ზარალის უწყისის განსაკუთრებული, ერთჯერადი ან საანგარიშო პერიოდის მიღმა არსებული პოზიციების განმარტებებს;

13. ბალანსის შედგენის შემდგომ მომხდარ არსებით მოვლენებს;

14. აუდიტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ვადამდელი უარის შემთხვევაში: ასეთი უარის მიზეზებს.

[3] ინდივიდუალურ მეწარმეებსა და ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს შეუძლიათ უარი თქვან დანართის შედგენაზე, თუ მსხვილი საწარმოების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად მათ არ ევალებათ ფინანსური ანგარიშგება. თუ ბალანსისა და მოგება-ზარალის უწყისის მინიმალური დაყოფის მომწესრიგებელ წესებში მოითხოვება დამატებითი ინფორმაცია, ხოლო აღნიშნული პირები უარს განაცხადებენ დანართის შედგენაზე, მაშინ აღნიშნული ინფორმაცია უშუალოდ უნდა იქნეს მოცემული ბალანსსა თუ მოგება-ზარალის უწყისში.

[4] იმ საწარმოებმა, რომლებსაც აქვთ სასესხო დოკუმენტიდან გამომდინარე გადაუხდელი ვალდებულებები, უნდა წარადგინონ ინფორმაცია ამ ვალდებულებების ოდენობის, საპროცენტო განაკვეთების, შესრულების ვადისა და სხვა პირობების შესახებ.

მუხლი 960

[1] აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება, როგორც წესი, ხდება ცალ-ცალკე, რამდენადაც ისინი არსებითია და თავიანთი მსგავსი ნიშნების მიხედვით შეფასების მიზნით ჩვეულებრივ ჯგუფებად არ ერთიანდება.

[2] შეფასება უნდა განხორციელდეს კეთილგონივრულად, თუმცა ის ხელს არ უნდა უშლიდეს საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის სანდო აღქმას.

[3] თუ არსებობს აქტივების გადამეტებული შეფასებისა თუ სარეზერვო ფონდში ანარიცხების სიმცირის კონკრეტული ნიშნები, მაშინ შეფასება ექვემდებარება გადამოწმებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, – შესაბამის მისადაგებას.

მუხლი 960a

[1] პირველადი აღრიცხვის შემთხვევაში აქტივები უნდა შეფასდეს მაქსიმუმ მათ შეძენასა თუ დამზადებაზე გაწეული ხარჯების ოდენობით.

[2] ნებისმიერ შემდგომ შეფასებაში აქტივები უნდა შეფასდეს არაუმეტეს მათ შეძენასა თუ დამზადებაზე გაწეული ხარჯების ოდენობისა. აღნიშნული წესი არ მოქმედებს ცალკეული სახის აქტივების მიმართ მოქმედი დებულებების მიმართ.

[3] გამოყენებითა და სიძველით განპირობებული ღირებულების შემცირება გასათვალისწინებელია საამორტიზაციო გამოქვითვების მეშვეობით, ხოლო ღირებულების სხვაგვარი შემცირება კი გასათვალისწინებელია საბალანსო ღირებულების კორექტირების გზით. საამორტიზაციო გამოქვითვები და საბალანსო ღირებულების კორექტირება უნდა ხორციელდებოდეს ზოგადად აღიარებული სამეწარმეო პრინციპების შესაბამისად. ისინი პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიქვითება შესაბამისი აქტივებიდან მოგება-ზარალის უწყისში ასახვით და მათი პასივებში ჩვენება დაუშვებელია.

[4] საწარმოს აღდგენის მიზნებისათვის, ისევე როგორც მისი გრძელვადიანი კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის დასაშვებია დამატებითი საამორტიზაციო გამოქვითვებისა და საბალანსო ღირებულების კორექტირების განხორციელება. გარდა აღნიშნულისა, ანალოგიური მიზნებისათვის დასაშვებია დაუსაბუთებელი საამორტიზაციო გამოქვითვებისა და საბალანსო ღირებულების კორექტირების გაუქმება.

მუხლი 960b

[1] ნებისმიერ შემდგომ შეფასებაში აქტივები უნდა შეფასდეს ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული საბირჟო ან მოქმედ ბაზარზე არსებული სხვა თვალსაჩინო საბაზრო ფასით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ფასი აღემატება აქტივების ნომინალურ ან შეძენის ღირებულებას. აღნიშნული უფლების განმახორციელებელმა პირმა უნდა მოახდინოს ყველა აქტივის შეფასება ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული საბირჟო ან საბაზრო ფასით ბალანსის იმ პოზიციების შესაბამისად, რომლებსაც აქვს თვალსაჩინო საბაზრო ფასი. აღნიშნულ შეფასებაზე დანართში უნდა გაკეთდეს მითითება. შესაბამისი აქტივების საერთო ღირებულება თვალსაჩინო საბაზრო ფასით განცალკევებულად უნდა იქნეს ნაჩვენები ფასიანი ქაღალდებისა და დანარჩენი აქტივებისათვის.

[2] თუ აქტივის შეფასება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული საბირჟო ან საბაზრო ფასით, მაშინ საბალანსო ღირებულების კორექტირება შეიძლება განხორციელდეს მისი მოგება-ზარალის უწყისში ასახვით იმისათვის, რომ მხედველობაში იქნეს მიღებული ფასის განსაზღვრისას არსებული ცვალებადობა. თუმცა, საბალანსო ღირებულების ასეთი კორექტირება დაუშვებელია, თუ ამის შედეგად შემცირდება როგორც შეძენის ღირებულება, ისე ასევე შესაძლოა – ყველაზე დაბალი საბაზრო ფასიც კი. ცვალებადობის რეზერვების ერთიანი თანხა ბალანსსა თუ დანართში განცალკევებულად უნდა აისახოს.

მუხლი 960c

[1] თუ მარაგებისა და არაფაქტურირებული მომსახურების შემდგომ შეფასებაში ბალანსის შედგენის დღეს არსებული სარეალიზაციო ღირებულება, ჯერ კიდევ მოსალოდნელი ხარჯების გათვალისწინებით, შეძენასა თუ დამზადებაზე გაწეულ ხარჯებზე ნაკლებია, მაშინ ბალანსში ასახვას ექვემდებარება ეს სარეალიზაციო ღირებულება.

[2] მარაგები მოიცავს ნედლეულს, სამუშაოს შედეგებს, მზა პროდუქციასა და სარეალიზაციოდ გამზადებულ საქონელს.

მუხლი 960d

[1] ძირითადი კაპიტალი მოიცავს იმ აქტივებს, რომელთა შეძენაც ხდება მათი გრძელვადიანი გამოყენებისა თუ ფლობის განზრახვით.

[2] გრძელვადიან პერიოდად მიიჩნევა დროის ის პერიოდი, რომელიც აღემატება თორმეტ თვეს.

[3] წილობრივ მონაწილეობად მიიჩნევა სხვა საწარმოს კაპიტალში არსებული წილები, რომელთა ფლობაც ხანგრძლივი ვადით ხდება და რომლებიც პირს

მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას ანიჭებს. ასეთი შესაძლებლობა ივარაუდება, თუ წილები იძლევა, სულ ცოტა, ხმების 20 პროცენტს.

მუხლი 960e

[1] ვალდებულებები ბალანსში უნდა აისახოს მათი ნომინალური ღირებულებით.

[2] თუ ადრე მომხდარი მოვლენები ქმნის მომავალ სამეურნეო წლებში ფულადი სახსრების შემოდინების მოლოდინს, მაშინ სარეზერვო ფონდში სავარაუდოდ საჭირო ანარიცხები უნდა განხორციელდეს მათი მოგება-ზარალის უწყისში ასახვით.

[3] გარდა აღნიშნულისა, სარეზერვო ფონდში ანარიცხები უნდა განხორციელდეს ასევე:

1. საგარანტიო ვალდებულებებიდან გამომდინარე რეგულარულად გასაწევი ხარჯებისათვის;
2. მატერიალური ძირითადი საშუალებების გაჯანსაღებისათვის;
3. რესტრუქტურიზაციისათვის;
4. საწარმოს გრძელვადიანი კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის.

[4] სარეზერვო ფონდში დაუსაბუთებელი ანარიცხების გაუქმება აუცილებელი არ არის.

მესამე თავი: ფინანსური ანგარიშგება მსხვილი საწარმოებისათვის

მუხლი 961

იმ საწარმოებმა, რომლებსაც კანონით ევალებათ სტანდარტული აუდიტორული შემოწმების ჩატარება:

1. წლიური ანგარიშის დანართში უნდა წარადგინონ დამატებითი ინფორმაცია;
2. წლიური ანგარიშის ნაწილის სახით უნდა მოამზადონ ფულის მოძრაობის შესახებ ანგარიში;
3. უნდა მოამზადონ საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიში.

მუხლი 961a

წლიური ანგარიშის დანართი ასევე უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით ინფორმაციას:

1. გრძელვადიანი პროცენტიანი ვალდებულებების შესახებ, რომლებიც დაყოფილია ხუთ წლამდე ვადის განმავლობაში და ხუთი წლის გასვლის შემდეგ ამ ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომის კრიტერიუმის მიხედვით;
2. აუდიტორისათვის გადახდილი საზღაურის შესახებ, რომლის შემთხვევაშიც გამიჯნულია ერთმანეთისაგან აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება და სხვა სახის მომსახურება.

მუხლი 961b

ფულის მოძრაობის შესახებ ანგარიში ცალ-ცალკე ასახავს ბიზნესსაქმიანობიდან, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე ლიკვიდურ სახსრებში ცვლილებებს.

მუხლი 961c

[1] საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიში ასახავს სამეურნეო წლის დასრულებისათვის საწარმოსა და ასევე აუცილებლობის შემთხვევაში, – კონცერნის ბიზნესსაქმიანობის მიმართულებასა და ეკონომიკურ მდგომარეობას იმ მოსაზრებების საფუძველზე, რომლებმაც ვერ ჰპოვა თავიანთი გამოხატულება წლიურ ანგარიშში.

[2] სახელდობრ, საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიში უნდა იძლეოდეს ინფორმაციას:

1. საშუალოდ წელიწადის განმავლობაში სრული შტატების რაოდენობის შესახებ;
2. რისკის შეფასების განხორციელების შესახებ;
3. შეკვეთებისა და დანიშვნების შესახებ;
4. კვლევისა და განვითარების მიმართულებით მიმდინარე საქმიანობის შესახებ;
5. განსაკუთრებული მოვლენების შესახებ;
6. სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

[2] საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წლიურ ანგარიშში ასახულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მუხლი 961d

[1] დასაშვებია წლიური ანგარიშის დანართში დამატებითი ინფორმაციის, ფულის მოძრაობისა და საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშების წარდგენაზე უარი, თუ თავად საწარმო ან ის იურიდიული პირი, რომელიც მას აკონტროლებს, ადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშს ფინანსური ანგარიშგების აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.

[2] წინამდებარე თავის ნორმათა შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნის უფლება აქვთ:

1. პარტნიორებს, რომლებიც წარმოადგენენ, სულ ცოტა, ძირითადი კაპიტალის 10 პროცენტს;
2. კოოპერატივის წევრთა 10 პროცენტს ან კავშირის წევრთა 20 პროცენტს;
3. თითოეულ პარტნიორსა თუ წევრს, რომელსაც ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა ან დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება.

მეოთხე თავი: ფინანსური ანგარიშგების აღიარებული სტანდარტების შესაბამისად შედგენილი ფინანსური ანგარიში

მუხლი 962

[1] წინამდებარე ტიტულის შესაბამისად წარსადგენ წლიურ ანგარიშთან ერთად შემდეგმა პირებმა დამატებით უნდა მოამზადონ ფინანსური ანგარიში ფინანსური ანგარიშგების აღიარებული სტანდარტების შესაბამისად:

1. საზოგადოებებმა, რომელთა წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდები კოტირებს ბირჟაზე, თუ ბირჟა ამას მოითხოვს;

2. კოოპერატივებმა, რომლებსაც ჰყავთ, სულ ცოტა, 2000 წევრი;

3. ფონდებმა, რომლებსაც კანონით ევალებათ სტანდარტული აუდიტორული შემოწმების ჩატარება.

[2] აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნა შეუძლიათ ასევე:

1. პარტნიორებს, რომლებიც წარმოადგენენ, სულ ცოტა, ძირითადი კაპიტალის 10 პროცენტს;

2. კოოპერატივის წევრთა 10 პროცენტს ან კავშირის წევრთა 20 პროცენტს;

3. თითოეულ პარტნიორსა თუ წევრს, რომელსაც ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა ან დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება.

[3] აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების ვალდებულება არ არსებობს, თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში მზადდება ფინანსური ანგარიშგების აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.

[4] აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების არჩევაზე უფლებამოსილია უმაღლესი ხელმძღვანელობითი ან მმართველობითი ორგანო, რამდენადაც წესდებით, საზოგადოების ხელშეკრულებითა თუ ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით სხვაგვარად არ არის დადგენილი ანდა თუ უმაღლესი ორგანო აღიარებულ სტანდარტებს არ განსაზღვრავს.

მუხლი 962a

[1] თუ ფინანსური ანგარიშის მომზადება ხდება ფინანსური ანგარიშგების აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, მაშინ ეს სტანდარტები მოცემული უნდა იყოს თავად ანგარიშგებაში.

[2] არჩეული აღიარებული სტანდარტები უნდა გამოიყენებოდეს თავიანთ ერთიანობაში, ხოლო ფინანსური ანგარიშგებისათვის კი, – როგორც მთლიანი ნორმატიული აქტი.

[3] აღიარებული სტანდარტების შესრულება უნდა შემოწმდეს ლიცენზირებული აუდიტორის მიერ. ფინანსური ანგარიშის მიმართ ტარდება სტანდარტული აუდიტორული შემოწმება.

[4] აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული ფინანსური ანგარიში უნდა წარედგინოს უმაღლეს მმართველობით ორგანოს იმ მომენტში, როდესაც წლიური ანგარიში წარედგინება დასამტკიცებლად, თუმცა თავად ფინანსური ანგარიში არ საჭიროებს დამტკიცებას.

[5] ფედერალური საბჭო განსაზღვრავს აღიარებულ სტანდარტებს. მას შეუძლია დაადგინოს ასევე ის წინაპირობები, რომლებიც უნდა შესრულდეს სტანდარტების არჩევისას ან ერთი სტანდარტის მეორეთი შეცვლისას.

მეხუთე თავი: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში

მუხლი 963

[1] თუ ფინანსური ანგარიშის წარდგენაზე ვალდებული იურიდიული პირი აკონტროლებს ფინანსური ანგარიშის წარდგენაზე ვალდებულ ერთ ან რამდენიმე

საწარმოს, მაშინ საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის სახით მან უნდა მოამზადოს კონსოლიდირებული წლიური ანგარიში (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში) მის კონტროლის ქვეშ არსებული ყველა საწარმოსათვის.

[2] ერთი იურიდიული პირი აკონტროლებს სხვა საწარმოს, როდესაც:

1. უმაღლეს მმართველობით ორგანოში ის პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ხმათა უმრავლესობას;

2. მას პირდაპირ ან არაპირდაპირ აქვს უფლება, დანიშნოს ან გამოიწვიოს უმაღლესი ხელმძღვანელობითი ან მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა; ან

3. წესდების, ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტის, ხელშეკრულებისა თუ მსგავსი დოკუმენტების საფუძველზე შეუძლია მაკოტროლებელი ზეგავლენის მოხდენა.

[3] 963b მუხლის შესაბამისად აღიარებული სტანდარტებით შესაძლებელია კონსოლიდირებულ საწარმოთა წრის განსაზღვრა.

[4] კავშირებს, ფონდებსა და კოოპერატივებს შეუძლიათ კონსოლიდირებული წლიური ანგარიშის მომზადების ვალდებულება გადააკისრონ კონტროლის ქვეშ არსებულ საწარმოს იმ პირობით, რომ შესაბამისი კონტროლის ქვეშ არსებული საწარმო ხმათა უმრავლესობით ან სხვაგვარად ყველა სხვა საწარმოს ერთიანი მართვის ქვეშ აქცევს და ის ასევე ამტკიცებს, რომ ამ კონტროლს რეალურად ახორციელებს.

მუხლი 963a

[1] იურიდიული პირი თავისუფლდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მომზადების ვალდებულებისაგან, თუ:

1. მისი მოცულობა, კონტროლის ქვეშ არსებულ საწარმოსთან ერთად, არ აღემატება ერთმანეთის მიყოლებით ორი სამეურნეო წლის განმავლობაში ქვემოთ მოცემულ ორ სიდიდეს:

a. საბალანსო ნარჩენი თანხა 20 მილიონი ფრანკის ოდენობით;

b. ბრუნვიდან მოგება 40 მილიონი ფრანკის ოდენობით;

c. საშუალოდ წელიწადის განმავლობაში 250 სრული შტატი;

2. ის კონტროლდება იმ საწარმოს მიერ, რომლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშიც მომზადდა და სტანდარტულად შემოწმდა შვეიცარული ან ტოლფასი უცხოური რეგულაციების შესაბამისად; ან

3. იურიდიულმა პირმა 963-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მომზადება გადააკისრა კონტროლის ქვეშ არსებულ საწარმოს.

[2] მიუხედავად აღნიშნულისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში ექვემდებარება მომზადებას, თუ:

1. ეს აუცილებელია ეკონომიკური მდგომარეობის შეძლებისდაგვარად სანდო შეფასების გაკეთებისათვის;

2. ამას ითხოვენ პარტნიორები, რომლებიც წარმოადგენენ, სულ ცოტა, ძირითადი კაპიტალის 10 პროცენტს ან კოოპერატივისა თუ კავშირის წევრთა 10 პროცენტი;

3. ამას ითხოვს ის პარტნიორი ან წევრი, რომელსაც ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა ან დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება; ან

4. ამას ითხოვს ფონდის ზედამხედველობის ორგანო.

[3] თუ იურიდიული პირი 1-ლი ნაწილის ქვეპარაგრაფი 2-ის შესაბამისად უარს აცხადებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის შვილობილი კონცერნისათვის (Unterkonzern) მომზადებაზე, მაშინ მან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში უნდა გააცნოს სათავო კონცერნს საკუთარი წლიური ანგარიშის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 963b

[1] შემდეგი საწარმოების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში უნდა შემუშავდეს აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული ფინანსური ანგარიშის შესაბამისად:

1. საზოგადოებები, რომელთა წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდები კოტირებს ბირჟაზე, თუ ბირჟა ამას მოითხოვს;

2. კოოპერატივები, რომლებსაც ჰყავთ, სულ ცოტა, 2000 წევრი;

3. ფონდები, რომლებსაც კანონით ევალებათ სტანდარტული აუდიტორული შემოწმების ჩატარება.

[2] აზრობრივად გამოიყენება 962a მუხლის 1–3 და მე-5 ნაწილები.

[3] დანარჩენი საწარმოების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში რეგულირდება სტანდარტული ფინანსური ანგარიშგების პრინციპების შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის დანართში საწარმო განსაზღვრავს შეფასების წესებს. თუ საწარმო უხვევს ამ წესებიდან, მაშინ ის ამის შესახებ უთითებს დანართში და სხვაგვარად წარადგენს კონცერნის ქონებრივი, ფინანსური და საშემოსავლო მდგომარეობისათვის აუცილებელ ინფორმაციას.

[4] მიუხედავად აღნიშნულისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში უნდა შემუშავდეს აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული ფინანსური ანგარიშის შესაბამისად, თუ:

1. ამას ითხოვენ პარტნიორები, რომლებიც წარმოადგენენ, სულ ცოტა, ძირითადი კაპიტალის 20 პროცენტს ან – კოოპერატივის წევრთა 10 პროცენტი ან კავშირის წევრთა 20 პროცენტი;

3. ამას ითხოვს ის პარტნიორი ან წევრი, რომელსაც ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა ან დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება; ან

4. ამას ითხოვს ფონდის ზედამხედველობის ორგანო.

მუხლი 964 (გაუქმებულია)

მეხუთე განყოფილება: ფასიანი ქაღალდები

ოცდამეცამეტე ტიტული: სახელობითი, საწარმდგენლო და საორდერო ფასიანი ქაღალდები

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 965

ფასიან ქაღალდს წარმოადგენს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელთანაც უფლება იმგავარად არის დაკავშირებული, რომ ამ დოკუმენტის გარეშე შეუძლებელია როგორც ამ უფლების რეალიზაცია, ისე მისი გადაცემა.

მუხლი 966

[1] ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე მოვალემ შესრულება უნდა განახორციელოს მხოლოდ დოკუმენტის მისთვის გადმოცემის სანაცვლოდ.

[2] მოვალე თავისუფლდება დოკუმენტში მითითებული კრედიტორის მიმართ ვალდებულების დროული შესრულების განხორციელებით, თუ ის არ მოქმედებს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

მუხლი 967

[1] ფასიან ქაღალდით მინიჭებული საკუთრების უფლებისა თუ შეზღუდული სანივთო უფლების გადაცემა ყველა შემთხვევაში საჭიროებს დოკუმენტზე მფლობელობის გადაცემას.

[2] საორდერო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში დამატებით საჭიროა ინდოსირება, ხოლო სახელობითი ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში კი, – წერილობითი განცხადება, რომელიც არ არის აუცილებელი, რომ გაკეთდეს თავად ფასიან ქაღალდზე.

[3] კანონით ან ხელშეკრულებით ფასიანი ქაღალდების გადაცემისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა პირების, სახელდობრ კი, – მოვალის თანამონაწილეობა.

მუხლი 968

[1] ინდოსირება ყველა შემთხვევაში ხორციელდება თამასუქის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

[2] დოკუმენტის გადაცემასთან ერთად შევსებული ინდოსამენტი გადაცემის საკმარის ფორმად ჩაითვლება.

მუხლი 969

რამდენადაც დოკუმენტის შინაარსიდან ან ბუნებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, ყველა გადაცემადი ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში დოკუმენტის ინდოსირებითა და მისი ფაქტობრივი გადაცემით ინდოსანტის კუთვნილი უფლებები გადადის შემძენზე.

მუხლი 970

[1] სახელობითი ან საორდერო ფასიანი ქაღალდი შეიძლება გარდაიქმნას საწარმდგენლო ფასიან ქაღალდად მხოლოდ ყველა უფლებამოსილი და ვალდებული პირის თანხმობით. ასეთი თანხმობა თავად დოკუმენტში უნდა იქნეს გაცხადებული.

[2] იგივე პრინციპი მოქმედებს საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის სახელობით ან საორდერო ფასიან ქაღალდად გარდაქმნისათვის. თუ აღნიშნულ შემთხვევაში სახეზე არ არის უფლებამოსილი და ვალდებული პირების თანხმობა, მაშინ გარდაქმნა ძალმოსილია, თუმცაღა – მხოლოდ გარდაქმნის განმახორციელებელ კრედიტორსა და მის უშუალო უფლებამონაცვლეს შორის.

მუხლი 971

[1] თუ ფასიანი ქაღალდი დაიკარგება, მაშინ ის შეიძლება სასამართლოს მიერ გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

[2] ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნა შეუძლია დაკარგვის ან დაკარგვის ფაქტის აღმოჩენის მომენტისათვის არსებულ ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე უფლებამოსილ პირს.

მუხლი 972

[1] ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ უფლებამოსილ პირს თავისი უფლების რეალიზაცია შეუძლია დოკუმენტის გარეშეც ანდა მას შეუძლია მოითხოვოს ახალი დოკუმენტის გაცემა.

[2] დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით ძალადაკარგულად გამოცხადების პროცედურისა და შედეგების მიმართ გამოიყენება ცალკეული სახეების ფასიანი ქაღალდების მომწესრიგებელი დებულებები.

მუხლი 973

შენარჩუნებულია ფასიანი ქაღალდების, როგორიცაა, სახელდობრ, თამასუქის, ჩეკისა და საუზრუნველყოფო უფლების დამდგენი დოკუმენტის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების მოქმედება.

მუხლი 973a

[1] შემნახველი უფლებამოსილია, რამდენიმე მიმბარებლის კუთვნილი შენაცვლებადი ფასიანი ქაღალდები შეინახოს ერთად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმბარებელი პირდაპირ ითხოვს მისი ფასიანი ქაღალდების განცალკევებულად შენახვას.

[2] თუ შენაცვლებადი ფასიანი ქაღალდები შემნახველს გადაეცემა კოლექტიური შენახვისათვის, მაშინ მიმბარებელი შემნახველისათვის ფასიანი ქაღალდების გადაცემით იძენს თანასაკუთრების წილს საერთო მფლობელობაში არსებულ ერთიდაიგივე სახის ფასიან ქაღალდებზე. წილის ოდენობის დადგენისათვის განმსაზღვრელია ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება, ხოლო ნომინალური ღირებულების არმქონე ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში კი, – ამ უკანასკნელთა რაოდენობა.

[3] მიმბარებელს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს, სხვა მიმბარებლის თანამო-

ნაწილეობისა თუ თანხმობის მიუხედავად, თავისი წილის ფარგლებში მოახდინოს საერთო მფლობელობიდან ფასიანი ქაღალდების გამოთხოვა.

მუხლი 973b

[1] მოვალეს შეუძლია გასცეს ერთიანი დოკუმენტები ან ერთიანი დოკუმენტის მეშვეობით შეცვალოს რამდენიმე შენაცვლებადი ფასიანი ქაღალდი, რომლებიც შესანახად გადაეცა ერთ შემნახველს, რამდენადაც ეს გათვალისწინებულია დოკუმენტების გაცემის პირობებით ან საზოგადოების წესდებით ანდა მიმბარებელმა აღნიშნულზე განაცხადა თავისი თანხმობა.

[2] ერთიანი დოკუმენტი წარმოადგენს იგივე სახის ფასიან ქაღალდს, რასაც ის ცალკეული უფლებები, რომლებსაც ეს დოკუმენტი განასახიერებს. ერთიანი დოკუმენტი იმყოფება შესაბამისი მიმბარებლების თანასაკუთრებაში მათი წილების პროპორციულად. ერთიან დოკუმენტთან დაკავშირებით თანამესაკუთრეთა სტატუსისა და უფლებების მიმართ აზრობრივად მოქმედებს 973a მუხლის მე-2 ნაწილი.

მუხლი 973c

[1] მოვალეს შეუძლია მოახდინოს იგივე ფუნქციის მქონე უფლებების მინიჭება, რაც აქვს ფასიან ქაღალდებს (არასერტიფიცირებული ფასიანი ქაღალდები), ან არასერტიფიცირებული ფასიანი ქაღალდებით შეცვალოს შენაცვლებადი ფასიანი ქაღალდები ან ერთიანი დოკუმენტები, რომლებიც შესანახად გადაეცა ერთ შემნახველს, რამდენადაც ეს გათვალისწინებულია დოკუმენტების გაცემის პირობებით ან საზოგადოების წესდებით ანდა მიმბარებელმა აღნიშნულზე განაცხადა თავისი თანხმობა.

[2] მოვალე მის მიერ გაცემულ არასერტიფიცირებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით აწარმოებს რეესტრს, რომელშიც რეგისტრაციაში ტარდება აღნიშნული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და თვითღირებულება, ასევე მასში აღინიშნებიან კრედიტორები. რეესტრი არ არის საჯარო.

[3] არასერტიფიცირებული ფასიანი ქაღალდები წარმოიშობა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს მხოლოდ ასეთი რეგისტრაციის ძალით.

[4] არასერტიფიცირებული ფასიანი ქაღალდების გადაცემა საჭიროებს დათმობის შესახებ წერილობით განცხადებას. მათი დაგირავება კი რეგულირდება მოთხოვნების დაგირავების მომწესრიგებელი ნორმებით.

მეორე თავი: სახელობითი ფასიანი ქაღალდები

მუხლი 974

ფასიანი ქაღალდი მიიჩნევა სახელობით ფასიან ქაღალდად, თუ მასში მითითებულია განსაზღვრული პირის სახელი და ის არ არის არც საორდეროდ გაცემული და არც კანონით არის გამოცხადებული როგორც საორდერო ფასიანი ქაღალდი.

მუხლი 975

[1] მოვალემ შესრულება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ პირის მიმართ, ვინც წარმოადგენს დოკუმენტის მფლობელს და ასევე დოკუმენტალურად ადასტურებს, რომ ის წარმოადგენს დოკუმენტში დასახელებულ პირს ან მის უფლებამონაცვლეს.

[2] თუ მოვალე შესრულებას ახორციელებს აღნიშნული დოკუმენტალური დადასტურების გარეშე, მაშინ ის არ თავისუფლდება იმ მესამე პირის წინაშე ვალდებულებისაგან, რომელიც ამტკიცებს თავის უფლებამოსილებას.

მუხლი 976

თუ მოვალემ სახელობით ფასიან ქაღალდში დაიტოვა უფლება, შესრულება განახორციელოს დოკუმენტის ნებისმიერი მფლობელის მიმართ, მაშინ ის თავისუფლდება ვალდებულებისაგან ამ უკანასკნელის მიმართ კეთილსინდისიერად განხორციელებული შესრულების შედეგად იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან არ მოითხოვა კრედიტორის უფლებამოსილების დადასტურება; ამავე დროს, ის არ არის ვალდებული, განახორციელოს შესრულება დოკუმენტის მფლობელის მიმართ.

მუხლი 977

[1] როდესაც არანაირი სპეციალური ნორმები არ არის დადგენილი, სახელობითი ფასიანი ქაღალდები ძალადაკარგულად ცხადდება საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების მიმართ მოქმედი ნორმების შესაბამისად.

[2] მოვალეს შეუძლია დოკუმენტში გაითვალისწინოს ძალადაკარგულად გამოცხადების გამარტივებული პროცედურა, რომელიც მდგომარეობს საჯარო მოწვევათა რაოდენობის შემცირებით ან ვადების შეკვეცით ანდა მას შეუძლია დაიტოვოს უფლება, განახორციელოს შედეგიანი შესრულება დოკუმენტის წარდგენისა და ძალადაკარგულად გამოცხადების გარეშეც იმ პირობით, რომ კრედიტორი სავალო საბუთს აცხადებს გაუქმებულად, ხოლო საჯარო ან დამოწმებულ დოკუმენტში აღნიშნულ ვალს კი, -დაფარულად.

მესამე თავი: საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდები

მუხლი 978

[1] ფასიანი ქაღალდი მიიჩნევა საწარმდგენლო ფასიან ქაღალდად, თუ მისი სიტყვასიტყვითი ტექსტიდან ან დოკუმენტის ფორმიდან ჩანს, რომ მისი ნებისმიერი მფლობელი აღიარებულია უფლებამოსილ პირად.

[2] თუმცა, მოვალე აღარ არის უფლებამოსილი გადახდაზე, თუ მის მიმართ გაცემულია სასამართლოს ან პოლიციის მიერ მიღებული გადახდის აკრძალვის განკარგულება.

მუხლი 979

[1] მოვალეს შეუძლია საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე მოთხოვნას დაუპირისპიროს მხოლოდ ისეთი შესაგებლები, რომლითაც ის სა-

დავოს ხდის წარდგენილი დოკუმენტის ნამდვილობას, ანდა რომლებიც თავად დოკუმენტიდან გამომდინარეობს, ისევე როგორც – ის შესაგებლები, რომლებიც შესაბამისი კრედიტორის მიმართ მას პირადად ეკუთვნის.

[2] შესაგებლები, რომლებიც ეფუძნება მოვალის უშუალო ურთიერთობებს დოკუმენტის თავდაპირველ მფლობელთან, დასაშვებია, როდესაც დოკუმენტის შეძენისას მფლობელი შეგნებულად მოქმედებდა მოვალის ინტერესების საზიანოდ.

[3] დაუშვებელია შესაგებელი იმ ფაქტზე მითითებით, რომ დოკუმენტის ბრუნვაში გაშვება მოხდა მოვალის ნების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 980

[1] საწარმდგენლო პროცენტიანი კუპონიდან გამომდინარე მოთხოვნის საწინააღმდეგოდ მოვალე ვერ წარადგენს შესაგებელს იმ ფაქტზე მითითებით, რომ ძირითადი ვალი დაფარულია.

[2] თუმცა, ძირითადი ვალის გადახდისას მოვალე უფლებამოსილია, საწარმდგენლო პროცენტიანი კუპონების მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე დაიტოვოს იმ კუპონებზე მომავალში დასარიცხი პროცენტის შესაბამისი ოდენობის თანხა, რომლებიც არ იქნა მისთვის გადაცემული ძირითად სავალო დოკუმენტთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის კუპონები, რომლებიც არ იქნა გადაცემული, ძალადაკარგულად გამოცხადდა ან მათი თანხა იქნა უზრუნველყოფილი.

მუხლი 981

[1] საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდები, როგორიცაა აქციები, ობლიგაციები, აქციები ფიქსირებული დივიდენდებით, აქციის კუპონები, აქციის კუპონების ვაუჩერები (Bezugsscheine), თუმცაღა, – ცალკეული კუპონების გარდა, უფლებამოსილი პირის თხოვნის საფუძველზე ექვემდებარება სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად გამოცხადებას.

[2] ... (გაუქმებულია)

[3] განმცხადებელმა უნდა ამტკიცოს დოკუმენტის ფლობისა და მისი დაკარგვის ფაქტები.

[4] თუ აქციის კუპონებით ან ვაუჩერით აღჭურვილი ფასიანი ქაღალდის მფლობელმა დაკარგა მხოლოდ კუპონები ან ვაუჩერი, მაშინ თხოვნის დასაბუთებისათვის საკმარისია მხოლოდ ძირითადი სავალო დოკუმენტის წარდგენა.

მუხლი 982

[1] განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე ვალდებულ პირს შეიძლება აეკრძალოს თანხის გადახდა ორმაგი გადახდის საფრთხის არსებობაზე მითითებით.

[2] თუ აქციის კუპონები ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს, მაშინ საქმის წარმოების დროს ვადამოსული ცალკეული კუპონების მიმართ შესაბამისად გამოიყენება პროცენტიანი კუპონების ძალადაკარგულად გამოცხადების მომწესრიგებელი ნორმები.

მუხლი 983

თუ სასამართლო სარწმუნოდ ჩათვლის იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი ადრე ფლობდა დოკუმენტს და მან ეს დოკუმენტი შემდგომში დაკარგა, მაშინ საჯარო შეტყობინებით ის დოკუმენტის უცნობ მფლობელს ავალებს განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს ფასიანი ქაღალდი; წინააღმდეგ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდი გამოცხადდება ძალადაკარგულად. ვადა უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, ექვს თვეს; ამ ვადის დენა იწყება პირველი საჯარო შეტყობინების დღიდან.

მუხლი 984

[1] დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნა შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში უნდა გამოქვეყნდეს სამჯერ.

[2] განსაკუთრებულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია მიმართოს ასევე მოთხოვნის სათანადო გამოქვეყნების სხვა საშუალებებსაც.

მუხლი 985

[1] თუ დაკარგული საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი წარდგენილია, მაშინ სასამართლო განმცხადებელს დაუდგენს ვადას დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ სარჩელის წარსადგენად.

[2] თუ განმცხადებელი არ წარადგენს სარჩელს აღნიშნული ვადის განმავლობაში, მაშინ სასამართლო უკან აბრუნებს დოკუმენტს და აუქმებს გადახდის აკრძალვას.

მუხლი 986

[1] თუ დაკარგული საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი დადგენილი ვადის განმავლობაში არ იქნება წარდგენილი, მაშინ სასამართლოს შეუძლია დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადება ან არსებული გარემოებების შესაბამისად, სხვა განკარგულებების მიღება.

[2] საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადება დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს შვეიცარიის სავაჭრო მაცნეში ან სასამართლოს შეხედულებით, – ასევე სხვაგვარადაც.

[3] საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ განმცხადებელი უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯით მოითხოვოს ახალი დოკუმენტის მომზადება ან ვადამოსული შესრულების განხორციელება.

მუხლი 987

[1] თუ დაკარგულია ცალკეული კუპონები, მაშინ სასამართლომ უფლებამოსილი პირის თხოვნის საფუძველზე უნდა მიიღოს განკარგულება, რომლის თანახმადაც გადასახდელი თანხა ექვემდებარება სასამართლოს დეპოზიტზე განთავსებას გადახდის ვადის დადგომისას ანდა – დაუყოვნებლივ, თუ კუპონის განაღდების ვადა უკვე დამდგარია.

[2] როდესაც გადახდის ვადის დადგომის თარიღიდან გასულია სამი წელი და ამ პერიოდში უფლებამოსილმა პირმა არ წარადგინა თავისი განაცხადი, სასამართლოს განკარგულების თანახმად დეპოზიტზე განთავსებული თანხა ექვემდებარება განმცხადებელზე გაცემას.

მუხლი 988

დაუშვებელია ბანკნოტებისა და დიდი რაოდენობით გამოშვებული სხვა იმ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების ძალადაკარგულად გამოცხადება, რომლებიც ექვემდებარება გადახდას მათი წარდგენისას და განკუთვნილია სამოქალაქო ბრუნვაში ფიქსირებული თანხების დამდგენი ფულის შემცვლელის სახით მოქმედებისათვის.

მუხლი 989

შენარჩუნებულია წარმომდგენზე გაცემული იპოთეკის მოწმობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების მოქმედება.

მუხლები 990-1186

{არ არის მოცემული წინამდებარე გამოცემაში როგორც არააქტუალური, ვინაიდან ამ მუხლებში მოცემულია მხოლოდ ცალკეული ფასიანი ქაღალდების (თამასუქი, ჩეკი) მომწესრიგებელი კაზუისტიკური რეგულაციები}.